



9 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 0

1 2 3 4 5 6 7 8 9 0

1 2 3 4 5 6 7 8 9 0

სახელგანთქმული გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი ამ რომანში მოგვითხრობს კასტილიის მეფე ალფონსოსა და ებრაელი ასულის რაკელის ამალღებულ, უაღრესად წარმატებულ და ტრაგიკული სიყვარულის ამბავს, რომელსაც XII საუკუნეში გადავყავართ. მწერალი ამ ისტორიულ რომანში ხალხთა მეგობრული თანაარსებობის, პროგრესის, მაღალი პუმიანისტური მორალის უდიდეს მებოტბედ გვევლინება და სხვადასხვა რელიგიის რწმენისა და პოლიტიკური სისტემის ხალხებს მშვიდობისაკენ მოუწოდებს.

გერმანულიდან თარგმნეს  
ლეილა ხუბუამ და ელენე კოფუამ

ბოლოსიტყვაობა და რედაქცია  
დავით ლაშქარაძისა



ფრედერი შარტასა და პილდას



# ნაწილი პირველი

მეფე აღინათ სიყვარულით ებრაელი ასულის, რომელს ერქვა ფერ-  
მოზა, მშვენიერი, და დაივიწყა მუდღვე თვისი.

ა ლ ფ ო ნ ს ო ბ რ ძ ე ნ ი  
დაახლოებით 1270 წელი

ტოლედოსაკენ გაემგზავრა  
ალფონსო თავისი ახალგაზრდა,  
ულამაზესი დედოფლითა,  
მაგრამ გვაბრმაგებს სიყვარული,  
და იგიც ერთი ებრაელი  
ასულის ხილვით მოიხიბლა;  
ფერმოზა ერქვა მას სახელად,  
დიას, ფერმოზა, „მშვენიერი“,  
არცთუ ტყუილად ერქვა ასე.  
და დაივიწყა მეფემ თვისი  
დედოფალი.



## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მუჰამედ წინასწარმეტყველის გარდაცვალებიდან ოთხმოცი წლის შემდეგ მუსლიმანების მიერ შექმნილი სახელმწიფო მსოფლიო მნიშვნელობის სამეფოდ იქცა, რომელიც ინდოეთის საზღვრებიდან დაწყებული აზიისა და ხმელთაშუაზღვის სამხრეთ სანაპიროების გასწვრივ მდებარე აფრაკის ტერიტორიის გავლით ატლანტის ოკეანემდე აღწევდა. ძლევამოსილი ლაშქრობის მეოთხმოცე წელს მუსლიმანებმა ხმელთაშუა ზღვის ვიწრო დასავლეთი სრუტე გადალახეს, „ანდალუზში“, ესპანეთში შეიჭრნენ, ქრისტიან-ვესტგოთების მიერ სამასი წლის წინათ დაარსებული სახელმწიფო ააოხრეს და ძლიერი დარტყმით მთლიანად დაიპყრეს ნახევარკუნძული პირინეებამდე.

ახალმა მფლობელებმა თან მოიტანეს მაღალი კულტურა და ესპანეთი ევროპაში ყველაზე მშვენიერ, კეთილმოწყობილ და ხალხმრავალ ქვეყნად აქციეს. გამოცდილ ხუროთმოძღვრებისა და შორსმკვრეტელ სამშენებლო საუწყებოების მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, უზარმაზარი, დიდებული ქალაქები შენდებოდა, რომელთა მსგავსი რომაელების შემდეგ არ უნახავს ქვეყნის ამ ნაწილს. კორდოვა, ესპანეთის ხალიფას რეზიდენცია, მთელი დასავლეთის სატანტო ქალაქად იყო აღიარებული.

მუსლიმანებმა ააღორძინეს განადგურებამდე მისული სოფლის ნეურნეობა და მორწყვის ბრძნული სისტემის შექმნით არნახული მოსავალი მიიღეს. უაღრესად განვითარებული ტექნიკის გამოყენებით გააუმჯობესეს სამთო საქმე. მათი ფეიქრები ცნობილნი იყვნენ ძვირფასი ხალიჩებითა და თხელი მაუდით, ღურგლები და მოქანდაკენი — ხის ოსტატური ჩუქურთმებით, კონები — ყოველგვარი ბეწვეულის გამოყვანით. მჭედლები უბადლო ოსტატობით ამზადებდნენ ყოველდღიური საჭიროებისა და ომისათვის აუცილებელ საგნებს. მათი ოსტატების მიერ გამოკედლილი მახვილები, დაშნები

და ხანჯლები ბევრად უფრო ლამაზი და ბასრი იყო, ვიდრე არამუსლიმანების მიერ გაკეთებული, ხოლო მათი საჭურველი — უფრო მაგარი და იარაღი ბევრად შორსმსროლელი. მათ საიდუმლო იარაღზე მთელი ქრისტიანული სამყარო შიშით ლაპარაკობდა. ისინი ამას როდი დაჭერდნენ. კიდევ სხვა რამ გამოიგონეს: სასტიკი, მომაკვდინებელი ფეთქებადი ნაერთი — ეგრეთ წოდებული თხევადი ცეცხლი. ესპანელ მუსლიმანთა გემები, რომლებსაც მართავდნენ გამოცდილი მათემატიკოსები და ასტრონომები, სწრაფად მოგზაურობდნენ და საიმედო იყვნენ, რაც მათ საშუალებას აძლევდათ სავაჭრო ურთიერთობა გაეჩაღებინათ და თავიანთი ბაზრები ისლამის სახელმწიფოს საქონლით აევსოთ.

ესპანეთის ცის ქვეშ არასოდეს არ ყოფილა ხელოვნება და მეცნიერება ასე აყვავებული. სახლები განსაკუთრებული გემოვნებით იყო მორთული — ამღლებული მშვენიერს ერწყმოდა. სკოლების ფართო ქსელისათვის ოსტატურად შემუშავებული განათლების სისტემა კარგი ცოდნის მიღების საშუალებას იძლეოდა. მარტო ქალაქ კორდოვაში სამი ათასი სკოლა იყო. ყოველ დიდ ქალაქს თავისი უნივერსიტეტი ჰქონდა. ასეთი მდიდარი ბიბლიოთეკები კაცობრიობას მხოლოდ ელინური ილექსანდრიის აყვავების პერიოდში თუ ახსოვს. ფილოსოფოსებმა ყურანი გააფრცელეს, გადათარგმნეს, განმარტეს და თავისებურად გაიაზრეს ცნობილ ბერძენ მოაზროვნეთა თხზულებები. მეზღაპრეთა ბრწყინვალე, ნაირფერმა ხელოვნებამ ფანტაზიის დღემდე არნახული სივრცე გაშალა. ნიჭიერმა მწერლებმა, მდიდარი, მეღერადი არაბული ენა ისე სრულჰყვეს, რომ შესაძლებელი გახდა გრძნობის უფაქიზესი ელფერით გადაცემა.

დაპყრობილთა მიმართ მუსლიმანები გულმოწყალენი იყვნენ. თავიანთი ქრისტიანებისათვის სახარება თარგმნეს არაბულ ენაზე, მოქალაქეობრივი უფლება მისცეს. დიახ, ისლამის ბატონობის დროს ესპანელი ებრაელები ისე თავისუფლად და კარგად ცხოვრობდნენ, რომ თავიანთი სახელმწიფოს განადგურების შემდეგ არასოდეს არ უცხოვრიათ ასე. ებრაელები ჰყავდათ ხალიფებს მინისტრებად და ექიმებად. აარსებდნენ ფაბრიკებს, გაჩაღებული ჰქონდათ ვაჭრობა უცხო ქვეყნებთან და აგზავნიდნენ თავიანთ გემებს ყველა შვიდ ზღვაზე. ფილოსოფიურ სისტემებს ქმნიდნენ არაბულ ენაზე, მაგრამ ებრაულ დამწერლობას არ ივიწყებდნენ. თარგმნიდნენ არისტოტელეს და მის მოძღვრებას საკუთარი „დიდი წიგნის“ მოძღვრებასთან ერთად სახელგანთქმული არაბული სიბრძნის დოქტრინას უთავსებდნენ. შექმნეს ბიბლიის მეტად გაბედული, თავისუფალი კრიტიკა. ააღორძინეს ებრაული პოეზია.

სამ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ასეთი აყვავება. მერე მოვარდა მძვინვარე ქარიშხალი და ყველაფერი გააცამტვერა.

მუსლიმანებმა როცა ნახვეარკუნძული დაიპყრეს, ქრისტიანი-ვესტგოთების დამარცხებულმა ნაწილებმა ესპანეთის ჩრდილოეთის მთიან მხარეს შეაფარეს თავი. ამ მიუღდომელ ადგილებში შექმნეს პატარა საგრაფოები და თაობიდან თაობამდე მუსლიმანების წინააღ-დეგ გერილიას — ყაჩაღურ ომებს ეწეოდნენ. დიდი ხნის განმავ-ლობაში მარტო იბრძოდნენ. მაგრამ შემდეგ რომის პაპმა ჯვაროსნუ-ლი ლაშქრობა გამოაცხადა. საყოველთაოდ ცნობილი მქადაგებლები მგზნებარედ მოუწოდებდნენ მორწმუნეებს, განედევნათ მუსლიმა-ნები იმ მიწიდან, ქრისტეს მიმდევრებს რომ წაართვეს. ყოველი მხრიდან თავი მოიყარეს ჯვაროსნებმა, ისინი მივიდნენ ქრისტიანული ესპანეთის ყოფილ მფლობელთა მეომრულად განწყობილ მემკვიდ-რეებთან. თითქმის ოთხი საუკუნე ელოდნენ ეს უკანასკნელი ვესტ-გოთები ამ დღეს და როგორც იქნა დაიძრნენ სამხრეთისაკენ. გასა-თუთებულმა, ნატიფმა მუსლიმანებმა ვერ გაუძლეს მათ ველურ შემოტევას. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქრისტიანებმა დაიბ-რუნეს ნახვეარკუნძულის მთელი ჩრდილოეთ ნაწილი მდინარე ტა-ხომდე.

ქრისტიანების არმიის მიერ სულ უფრო და უფრო შევიწროვე-ბულმა მუსლიმანებმა დახმარებისათვის ერთმორწმუნე აფრიკელებს მიმართეს, ველურ, ისლამისათვის ფანატიკურად თავდადებულ მეომ-რებს, მათ შორის იმათაც, რომლებიც თვალუწვდენელ სამხრეთ უდაბნოში — საპარაში ცხოვრობდნენ. აფრიკელმა მუსლიმანებმა შეაჩერეს ქრისტიანების წინსვლა. მაგრამ მათთან ერთად განდევნეს განათლებული, თავისუფლად მოაზროვნე მუსლიმანთა მმართველე-ბიც, რომლებიც აქამდე ანდალუზიაში მეფობდნენ. მათთვის უცხა-იყო რაჯულშემწყყნარებლობა. აფრიკელმა ხალიფამ — იუსუფმა ანდალუზიაც თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა. ურწმუნოებისაგან ქვეყნის გაწმენდის მიზნით იუდეველთა წარმომადგენელნი ლუსენ-ში მიიწვია, თავის ბანაკში და ასე განუცხადა: „სახელითა ყოვლად მოწყალე ღვთისა, წინასწარმეტყველმა თქვენს წინაპრებს აღუთქვა მართლმორწმუნეთა მიწაზე რაჯულშემწყყნარებლობა, მხოლოდ ერთი პირობით, რომელიც ძველ წიგნებში წერია. თუ თქვენი მესია ხუთი საუკუნის განმავლობაში არ გამოცხადდება, თქვენ — ამაზე თქვენმა წინაპრებმა თანხმობა განაცხადეს — მუჰამედს აღიარებთ წინას-წარმეტყველთა შორის უდიდეს წინასწარმეტყველად, რომელიც თქვენ ღმერთთა რჩეულებს ჩრდილავს. ხუთასი წელი უკვე გავიდა. აღსრულების დრო დადგა. ირწმუნეთ წინასწარმეტყველი, აღიარეთ ისლამი! ან დატოვეთ ჩემი ანდალუზია!“

ბევრმა ებრაელმა, თუმც კონების წადების უფლება არ ჰქონდათ, დასტოვა ანდალუზია, უმრავლესობა ჩრდილოეთ ესპანეთში წავიდა, რადგან იქ ხელმეორედ დამკვიდრებულ ქრისტიანებს ომისგან განადგურებული მხარის აღსადგენად სჭირდებოდათ ებრაელები, მათი შესანიშნავი სამეურნეო გამჭრიახობა, ხელობის სიყვარული და მრავალმხრივი ცოდნა. ებრაელებს დაუბრუნეს ესპანეთის ახლანდელ მფლობელთა მამების მიერ წართმეული მოქალაქეობრივი უფლება, გარდა ამისა მრავალი პრივილეგიაც მიანიჭეს.

ზოგიერთი ებრაელი მუსლიმანურ ესპანეთში დარჩა და ალაპი იწამა. მათ უნდოდათ ამ გზით შეენარჩუნებინათ თავიანთი ქონება, შემდეგ კი, უფრო მოხერხებულ დროს, გადასახლებულიყვნენ უცხოეთში და ისევ დაბრუნებოდნენ საკუთარ სარწმუნოებას. მაგრამ საამო იყო სამშობლოში ცხოვრება, განსაკუთრებით საამო — მშვენიერ ანდალუზიაში და ისინი აყვავებდნენ გადასახლებას. და როცა ხალიფა იუსუფის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება უფრო გულმოწყალე ხელმწიფის ხელში გადავიდა, ებრაელებმა გადასახლებბაზე ფიქრს თანდათან მიანებეს თავი. მართალია, ყველა ურჯულოს აკრძალული ჰქონდა ანდალუზიაში ცხოვრება, მაგრამ ისლამის ერთგულების დასამტკიცებლად საკმარისი იყო დროდადრო მეჩეთში გამოჩენა და დღეში ხუთჯერ შემდეგი სიტყვების გამეორება: „არ არს ღმერთი გარდა ალაპისა და მუჰამედი მოციქულია მისი“. მამა-პაპათა რწმენის უარყოფელ ებრაელებს მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ მალულად შეესრულებინათ თავიანთი წეს-ჩვეულებები. ებრაელებისგან გაწმენდილ ანდალუზიაში ფარული ებრაული სამლოცველო სახლები იყო.

მაგრამ მათ, ამ ფარულმა ებრაელებმა, იცოდნენ, ეს საიდუმლო ბევრისათვის ცნობილი იყო, და თუ ახალი ომი დაიწყებოდა, მათი ერესი გამოაშკარავდებოდა. ისიც იცოდნენ, თუ ახალი წმიდა ომი დაიწყებოდა, ისინი დაიღუპებოდნენ. და ამიტომ, როცა ისინი, როგორც ამას მათი კანონი ბრძანებდა, ყოველდღე მშვიდობის შენარჩუნებაზე ლოცულობდნენ, ამ მხურვალე ლოცვას მარტო მათი ბაგენი როდი დაღაღებდნენ.

როცა იბრაჰიმი ეზოში, დანგრეული შადრევის საფეხურებზე ჩამოჯდა, მხოლოდ მამინ იგრძნო, როგორ დაღლილიყო. მთელი ერთი საათი დაბორილობდა ამ დაძველებულ სახლში.

მას კი, მართლაც რომ არ ჰქონდა დროის დაკარგვის უფლება. უკვე ათი დღეა, რაც ტოლედოში იმყოფებოდა და მეფის მრჩეველები



სამართლიანად მოითხოვდნენ პასუხს — თანხმდება თუ არა შეასრულოს გადასახადების მოიჯარის მოვალეობა.

იბრაჰიმს, მუსლიმანური სევილიის სამეფოს ვაჟარს, არა ერთხელ ჰქონია საქმე ქრისტიანული ესპანეთის მმართველებთან, მაგრამ ასეთი გრანდიოზული საწარმოსათვის ხელი არასოდეს მოუქცია. წლების მანძილზე კასტილიის სამეფოს ფინანსიური მდგომარეობა ძალიან ცუდი ჰქონდა, ხოლო მას შემდეგ, რაც მეფე ალფონსომ თხუთმეტი თვის წინ სევილიის წინააღმდეგ უგუნური ლაშქრობა მოაწყო, რომელიც მარცხით დამთავრდა, ხაზინა საბოლოოდ გაკოტრდა. დონ ალფონსოს სკირდებოდა ფული, ბევრი ფული და დაუყოვნებლივ.

სევილიელი ვაჟარი იბრაჰიმი მდიდარი იყო. გემებისა და ადგილმამულის მფლობელს ჰქონდა კრედიტი მრავალ ისლამურ ქალაქში. იტალიისა და ფლანდრიის სავაჭრო ცენტრებში. მაგრამ თუ იგი ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს, იძულებული იქნება კასტილიის ამ საწარმოში დააბანდოს მთელი კაპიტალი, ხოლო თვით ყველაზე შორსმჭვრეტელ ადამიანსაც კი გაუჭირდება გაითვალისწინოს, შესძლებს თუ არა კასტილიის სახელმწიფო თავიდან აიცილოს განადგურება. რომელიც უახლოეს წლებში მოელის.

სამაგიეროდ მეფე ალფონსო თავის მხრივ ბევრ სიკეთეს სთავაზობდა. იბრაჰიმს საიჯაროდ აძლევდნენ გადასახადებს, აგრეთვე სამთო საბადოების შემოსავალს და იგი დარწმუნებული იყო, თუ საჭირო თანხას იშოვიდა, ამით უკეთეს მდგომარეობას შეიქმნიდა — მის ხელთ აღმოჩნდებოდა სამეფოს მთელი შემოსავალი. მართალია. მას შემდეგ, რაც ქრისტიანებმა მუსლიმანებს სახელმწიფო წაართვეს, ვაჭრობა და ხელოსნობა საკმაოდ დაეცა, მაგრამ კასტილია ესპანეთის სამეფოში ყველაზე ნაყოფიერი მხარე იყო. მის წიაღში უამრავი სიმდიდრე იმალებოდა და იბრაჰიმს სჯეროდა, რომ შესძლებდა ეს მხარე კვლავ ფეხზე დაეყენებინა.

ასეთი დიდი საქმის ხელმძღვანელობა შორიდან როდი შეიძლება. ადგილზევე იქნება საჭირო მისი შესრულებისათვის თვალის დევნება, აუცილებელი გახდება მუსლიმანური სევილიის დატოვება და აქ, ქრისტიანულ ტოლედოში გადმოსახლება.

იბრაჰიმი ახლა ორმოცდათხუთმეტი წლისაა. ყველაფერს მიაღწია, რაც სურდა. მისი ასაკისა და მდგომარეობის კაცს არც უნდა ეფიქრა ასეთ საეჭვო საწარმოზე.

თავჩაქინდრული იჯდა იბრაჰიმი დამშრალი შადრევნის დანგრეულ კიბეზე და უცებ იგრძნო: წინასწარ რომ სცოდნოდა ეს საწარმო როგორი არასაიმედო იქნებოდა, მაინც გადმოსახლდებოდა ტოლედოში, აქ, ამ სახლში.)

მას ტოლედოსაკენ სწორედ ეს საცოდავი, გავერანებული სახლი იზიდავდა.

დიდხნის წინანდელი, უცნაური ამბავი აკავშირებდა ამ სახლთან იბრაჰიმს. ამაყი სევილიის მსხვილმა ფინანსისტმა, ემირის მეგობარმა და მრჩეველმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე ირწმუნა მუჰამედ წინასწარმეტყველი. მაგრამ იგი მუსლიმანად არ დაბადებულა, ებრაელი იყო. ეს სახლი — კასტილიო დე კასტრო, ყოველთვის, კიდრე მუსლიმანები მეფობდნენ ტოლედოში, ეკუთვნოდა მის მამა-პაპას, იბნ ეზრას საგვარეულოს. მაგრამ როცა მეფე ალფონსო მეექვსემ ქალაქი მუსლიმანებს წაართვა — მას შემდეგ უკვე ასმა წელმა განვლო — ბარონ დე კასტროებმა იბნ ეზრების სახლი ხელთ გდეს. ბევრჯერ ყოფილა იბრაჰიმი ტოლედოში და ყოველთვის ნატვრით შესცქეროდა ციხე-კოშკის პირქუშ კედლებს. ახლა კი, როცა მეფემ ბარონ დე კასტროები ტოლედოდან განდევნა და მათ ეს სახლი წაართვა, იბრაჰიმს, როგორც იქნა, საშუალება მიეცა შევიდეს ამ სახლში და გადაწყვიტოს, აქვს თუ არა უფლება დაიბრუნოს ის, რაც უხსოვარი დროიდან მის წინაპრებს ეკუთვნოდათ.

ხარბი თვალებით ათვალიერებდა ყველაფერს, აუჩქარებელი ნაბიჯებით შემოიარა მრავალი კიბე და დარბაზი, დერეფანი, პალატი და ეზო. ცარიელი, უშნო შენობა ციხე-სიმაგრეს უფრო ჰგავდა, ვიდრე სასახლეს, გარედან შენობა მაშინაც ასე გამოიყურებოდა, როცა იქ იბრაჰიმის მამა-პაპა იბნ ეზრები ცხოვრობდნენ. მაგრამ სახლი შიგნით, რა თქმა უნდა, მათ უკეთ მოაწყვეს, არაბული წესის ძიხედვით. ეზოები კი ჩრდილოვან ბაღად აქციეს.

მომხიბლავი აზრია, წინაპართა სახლი, დანგრევამდე მისული უბადრუკი კასტილიო დე კასტრო, აღადგინო და ლამაზ, კოხტა კასტილიო იბნ ეზრად გადააკეთო.

რა გიჟური გეგმებია! იგი ვაჟართა მეფეა სევილიაში, ხოლო ემირის კარზე სასურველი სტუმარია არაბთა ქვეყნებიდან მოსულ პოეტთა, მხატვართა და მეცნიერთა შორის. იქ იგი და მისი შვილები — ქალიშვილი რეჰია და ვაჟიშვილი ახმეტი ლაღად სუნთქავენ. განა ცოდვა და სიგიჟე არაა თუნდაც ხუმრობით გაიფიქრო, რომ დიდებული, დახვეწილი სევილია ბარბაროს ტოლედოზე გასცვალო.

არა, ეს არაა სიგიჟე და რა თქმა უნდა, არაა ცოდვა.

იბნ ეზრას საგვარეულო, ყველაზე ამაყია ნახევარკუნძულის იუდეველთა შორის, უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში ბევრჯერ გახდა ბედის უკუღმართობის მსხვერპლი. ანდალუზიაში მავრების შემოჭრის შემდეგ მომხდარი ებრაელთა დევნა იბრაჰიმსაც შეეხო ჯერ კიდევ ბავშვობაში, მაშინ მას იეჰუდა იბნ ეზრა ერქვა. იბნ

ეზრების ოჯახიც სევილიას სამეფოს სხვა ებრაელებთან ერთად გაიქცა ჩრდილოეთ ქრისტიანულ ესპანეთში. იგი, როგორც მოზარდი, ოჯახის ნება-სურვილს დაემორჩილა, სევილიაში დაჩა და ისლამი იწამა. მასთან მეგობრობდა ემირის ვაჟი აბდულა და მშობლები იმედოვნებდნენ, ამ გზით სიმდიდრის ნაწილს გადაეარჩინათო. როცა აბდულა ტახტზე ავიდა, იბრაჰიმს დაუბრუნა თავისი ქონება. ემირმა იცოდა, რომ მისი მეგობარი ძველი სარწმუნოების ერთგული იყო. სხვებმაც იცოდნენ, მაგრამ თითქოს ვერ ამჩნევდნენ ამ ამბავს. ახლაც ქრისტიანთა ახალი ომი ემუქრებოდა მართლმორწმუნე მაჰმადიანებს და წმიდა ომის დროს ემირი აბდულა ველარ დიაცავდა ერეტიკოსს. ამიტომ იგი თავისი წინაპრებივით იძულებული იქნება ნაამაგარი დატოვოს და გამათხოვრებული გაიქცეს ქრისტიანულ ესპანეთში. განა უფრო გონივრული არ იქნებოდა ახლავე, სანამ მდიდარი და საქვეყნოდ ცნობილია, თავისი სურვილით გადასახლებულიყო ტოლედოში?

თუ მოისურვებს, მას აქაც, ტოლედოშიც, შეუძლია ისარგებლოს ისეთივე პატივით, როგორც სევილიაში. სიტყვის გადაკვრაც კი საკმარისი იქნება, რომ იგი სამი წლის წინათ გარდაცვლილი ებრაელის იბნ შოშანის მაგივრად ფინანსთა მინისტრად დანიშნონ. ექვს გარეშეა, აშკარადაც რომ დაუბრუნდეს თავის სარწმუნოებას აქ, ტოლედოში, ყოველგვარი თანამდებობის მიღება შეუძლია.

კედლის ქუჩურტანიდან ეზოში გამგებელი უთვალთვალვდა. უკვე ორი საათია უცხოელი აქ არის. რისთვის შესცქერის ამ დროუამისაგან დაძველებულ კედლებს? ზის ეს ურჯულო როგორც საკუთარ სახლში, თითქოს სამუდამოდ აქ აპირებს დარჩენას. უცხოელის შინაყმა, რომელიც გარეთა ეზოში ელოდებოდა, მოუყვა, ურჯულოს სევილიაში თხუთმეტი ჯიშინი ცხენი და ოთხმოცი ყმა ჰყავსო და მათ შორის ოცდაათი შავკანიანიაო. დიახ, ურჯულონი ცხოვრობენ მდიდრულად და ხელგამლილად. მაგრამ თუმცა ჩვენმა მეფემ უკანასკნელად დამარცხება განიცადა, მოვა დრო და წმიდა ქალწულისა და სანტ-იაგოს წყალობით გავიმარჯვებთ. გავანადგურებთ მუსლიმანებს და მათ განძეულს ხელთ ვიგდებთ.

უცხოელი კი წასვლას არ აპირებდა.

დიახ, სევილიელი ვაჭარი იბრაჰიმი იჯდა და თავის ფიქრებს მისცემოდა. არასოდეს არ ჰქონია შემთხვევა ასეთი პასუხსაგები გადაწყვეტილება მიეღო. მაშინ, როცა მავრები ანდალუზიაში შემოიჭრნენ და მაჰმადის კანონი მიიღო, მხოლოდ მეცამეტე წელში იყო გადამდგარი, იგი პასუხს არ აგებდა არც ღეთისა და არც კაცის წინაშე. მისი ბედი ოჯახმა გადაწყვიტა. ახლაც თვითონ უნდა ამოერჩია.

სევილია სიმწიფისა და დიდების ზენიტში ბრწყინავდა, მაგრამ როგორც მისი მეგობარი მუსა ამბობდა, ეს უკვე გადაშფიფების ხანა იყო. დასავლეთის ისლამის მზე ესვენებოდა. ქრისტიანულ ესპანეთში, კასტილიაში, კი მზე ახლა ამოდის, აქ ყველაფერი პირველყოფილ მდგომარეობაშია. მათ დაანგრიეს ყველაფერი, რაც ისლამმა შექმნა და როგორღაც შეაკოწიწეს. სოფლის მეურნეობა გაღატაკდა, მიწას ძველებურად ამუშავებენ, ხელოსნობა დაეცა, სახელმწიფო გაუკაცრიელდა, დარჩენილები სამხედრო საქმეს მისდევენ, მშვიდობიან შრომას გადაჩვეულნი. იბრაჰიმი შემოიკრებს ხალხს, რომელსაც მუშაობა შეუძლია და რომელმაც იცის მიწაში უქმად გაბნეული სიმდიდრის მოპოვება.

დაცემული და განადგურებული კასტილიისათვის სულის ჩადგმა და გაცოცხლება არც ისე ადვილი იქნება, მაგრამ სწორედ ესაა საინტერესო.

რა თქმა უნდა, დიდი დრო დასჭირდება, მრავალი უშფოთველი, მშვიდობიანი წლები შეეწირება ამ ამბავს.

უცებ იგრძნო: ეს ღვთის ხმა იყო, რომელიც მას თხუთმეტი თვის წინ ჩაესმა, როცა დამარცხებულმა ალფონსომ სევილიის ემირს ზავი სთხოვა, ომის მოტრფიალე ალფონსო მრავალ ღათმობაზე მიდიოდა. თანახმა იყო ზოგიერთი მხარე გადაეცა, უხვად აენაზღაურებინა სამხედრო ზარალი, მაგრამ რვაწლიან ზავზე, რასაც ემირი მოითხოვდა, მეფე სასტიკ უარს ამბობდა. იბრაჰიმი კი ემირს არწმუნებდა და ურჩევდა დაეინებით მოეთხოვა ზავი და თანდათანობით დაეთმო სხვა რამე, დაეკაყოფილებულიყო ნაკლები მიწებით და უარი ეთქვა ასეთ დიდ ფულად ანაზღაურებაზე. როგორც იქნა, მან მიაღწია მიზანს და მადლიანი რვაწლიანი ზავი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული იყო. დიახ, ეს თვით ღმერთმა აიძულა და ჩააგონა მაშინ: „იბრაჰილე მშვიდობისათვის! არ შედრკე, იბრაჰილე მშვიდობისათვის!“

და იმავე შინაგანმა ხმამ მოიყვანა იგი ტოლედოში. თუ ისევ დაიწყება ახალი წმიდა ომი — ომი კი აუცილებლად დაიწყება — კირვეულ დონ ალფონსოს სევილიასთან ზავის დარღვევის ცთუნება არ მოასვენებს, მაგრამ იბრაჰიმი აქ იქნება და შეეცდება ეშმაკობით, დაშინებით ან გონიერული რჩევებით მეფეს ხელი ააღებინოს თავის გადაწყვეტილებაზე და თუ ვერ დაიყოლია, ცოტა ხნით მაინც შეუწინარჩუნებს ხალხს მშვიდობას.

ხოლო ებრაელთათვის, მისი ებრაელებისათვის, ნამდვილი ლოცვა-კურთხევა იქნება, თუ იბრაჰიმი ომის დაწყებისას სამეფო საბჭოში მიიღებს მონაწილეობას. ცვაროსნები ჩვეულებრივ ყველაზე

ადრე ებრაელებს დაესხმიან თავს, მაგრამ იბრაჰიმი, მათი სისხლი და ხორცი, მფარველ კალთას გადააფარებს და დაიცავს კიდევ მათ.

სევილიელი ვაჭარი იბრაჰიმი როდი ტყუოდა, როცა თავის თავს ისლამის მიმდევარს უწოდებდა. ის თავყვანს სცემდა ალაჰს. და მის წინასწარმეტყველს. უყვარდა არაბული ლიტერატურა და მეცნიერება. მუსლიმანების ადამ-წესები მისთვის მახლობელი და ჩვეული იყო. იგი ავტომატურად დღეში ხუთჯერ ასარულებდა გამანიან წესს. ხუთჯერ ემხობოდა პირქვე მექასკენ შებრუნებული და ლოცულობდა. როცა სერიოზული გადაწყვეტილების მიღება უხდებოდა, ან ახალ დიდ საქმეს წამოიწყებდა, გულწრფელად მოუხმობდა ალაჰს და ყურანის პირველ სურას წარმოთქვამდა. მაგრამ შაბათობით, როცა სევილიელი ებრაელები თავს იყრიდნენ მისი სახლის სარდაფის პალატებში, ჰაიდუმლო სამლოცველოში, ისრაელთა ღმერთის სადიდებლად და „დიდი წიგნის“ საკითხავად, იბრაჰიმს გული სიხარულით ევსებოდა და შეებას გრძნობდა. მან იცოდა, რომ ახლა იგი აღიარებდა თავის სანუკვარ სარწმუნოებას, და ეს ჭეშმარიტებათა ჭეშმარიტების აღსარება გაწმენდდა მას მთელი კვირის ნახევარი ჭეშმარიტებისაგან.

ტოლედოში დაბრუნების მწარე, ნეტარი სურვილი აღუგზნებდა იბრაჰიმს გულში აღონაიმ, წინაპართა უძველესმა ღმერთმა.

ერთხელ, როცა ანდალუზიელ ებრაელებს თავს დაატყდათ დიდი უბედურება, იბრაჰიმს ეზრების ოჯახის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, მისმა ბიძამ იეჰუდა იბრაჰიმს აქედან, კასტილიიდან დიდ დანებარება გაუწია თავის ხალხს. ამ იეჰუდამ, ალფონსო მეშვიდეს მხედართმთავარმა, სასაზღვრო ციხე-სიმაგრე კალატრავა დაიცვა მუსლიმანებისაგან. ამით საშუალება მისცა ათასობით, ათი ათასობით დევნილ ებრაელს თავი შეეფარებინა ციხე-სიმაგრისათვის. ახლა, სწორედ იმავე საქმისათვის ღმერთმა მას, ყოფილ ვაჭარს იბრაჰიმს მოუწოდა.

იგი აქ დაბრუნდა, ამ სახლში.

მდიდარმა ფანტაზიამ იბრაჰიმს თვალნათლივ წარმოუდგინა, როგორი იქნება ეს სახლი. კვლავ სჩქეფს შადრევანი. უხმოდ, იღუმალად ჰყვავის კარ-მიდამო. გაუკაცრიელებულ პალატებში ისევ დედის სიციცხლე. ფეხები, სტუმართმოძულე ქვის იატაკის მაგივრად ძვირფას ხალიჩებში ეფლობა. კედლები მოხატულია ებრაული და არაბული თქმულებებით, „დიდი წიგნიდან“ ამოღებულ და მუსლიმანი პოეტების ლექსებით. ყოველი მხრიდან მორატოაქებს ციხე გამაგრილებელი წყალი და მის ჩუხჩუხს ერწყმის შორეული ფიქრები და ოცნებები.

ასეთი იქნება ეს სახლი. და იგი შევა ამ სახლში თავისი ნამდვილი სახელით — იეჰუდა იბნ ეზრა.

თავში უტრიალებდა ღვთიური გამონათქვამები, რითაც იგი დაამშვენებდა თავისი სახლის კედლებს—ლექსები მამა-პაპათა „დიდი წიგნიდან“, რომელიც მას ამიერიდან ყურანს შეუცვლის. „არცა ქაღებითა ჩემითა გარდასცვალებად მათა, არცა ბორცუნი შენნი გარდაიძრენ. ესრეთ არცა ჩემ მიერი წყალობა მოგაკლდეს შენ, არცა აღთქმა მშვიდობისა შენისა გარდაიკვალოს“.

უღარდელმა, სანეტარო ღიმილმა სახე გაუბადრა. თითქოს თვალნათლივ ხედავდა თავისი საძინებელი ოთახის ლავგარდანის გასწვრივ შავი, ცისფერი და ოქროსფერით კლავილი დაწერილობით შესრულებულ ღვთის აღთქმის დიდებულ ლექსს. საღამოთი, ძილის წინ გულში ჩაიქსოვს ამ ლექსს, დილით კი, როცა გაეღვიძება, კვლავ ამ სტრიქონებს მიაპყრობს მზერას.

ღვი ადგა და გაიზმორა. დიახ, იგი გადმოვა ტოლედოში საცხოვრებლად. მამა-პაპათა ძველ, მაგრამ განახლებულ სახლში. ღარიბ-დატყ კასტილიას სიცოცხლეს დაუბრუნებს, შეუნარჩუნებს მშვიდობას და დევნილ ისრაელს თავშესაფარს მისცემს.)

პირველმა მინისტრმა, მანრაიე დე ლარამ, მოახსენა დონ ალფონსოს სევილიელ ვაჟარ იბრაჰიმთან შეთანხმების პირობები, რომელზედაც მხოლოდ ხელის მოწერა იყო საჭირო. მოხსენებას დედოფალი ესწრებოდა. ქრისტიანულ ესპანეთში დედოფალი ძველთაგანვე ქმრის თანამმართველი იყო და სახელმწიფოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებებით სარგებლობდა.

მაგიდაზე იღო არაბულ ენაზე დაწერილი შეთანხმების სამი საბუთი. ხელშეკრულებები საფუძელიანად იყო შედგენილი და დონ მანრაიე დინჯად განმარტავდა ყველა პუნქტს.

მეფე უყურადღებოდ უსმენდა. დონა ლეონორს და პირველ მინისტრს დიდხანს მოუხდათ დონ ალფონსოს დარწმუნება, სამეფო სამსახურში მიეღოთ ეს ურწმუნო. განა იბრაჰიმი არ იყო დამნაშავე ზამინ, თხუთმეტრ თვის წინათ, რომ ასეთი მძიმე საზავო ხელშეკრულების დადება მოუხდათ?

ოჰ, ეს საზავო ხელშეკრულება! ახლობლებმა დაარწმუნეს, ხელშეკრულება მეტად ხელსაყრელიაო. მართალია შიში არ გამართლდა, მას არ დასჭირვებია ემირისათვის დაეთმო თავისი საყვარელი ქალაქი, ციხე-სიმაგრე ალარკოსი, რამელიც მან პირველი ლაშქრობის დროს წაართვა მტრებს და თავის სახელმწიფოს შემოუერთა, კონტრიბუციაც არ იყო მაინცდამაინც დიდი. მაგრამ რვაწლიანი დაზავე-

ბა! გულფიცხ ახალგაზრდა, სულითა და გულით ჯარისკაც მეფეს არ შეეძლო დამშვიდებით ეცქირა ამ უსასრულოდ გრძელი რვა წლის განმავლობაში, როგორ იტრაბახებდნენ ურჯულონი თავიანთი გამარჯვებით. იმ აღამიანთან, რომელმაც აიძულა ხელი მოეწერა ასეთი სამარცხვინო ხელშეკრულებისათვის, ახლა მეორე ხელშეკრულებას უნდა მოაწეროს ხელი, რომელსაც შეიძლება ბევრი რამ მოჰყვეს. იგი იძულებული იქნება, ყოველთვის მოითმინოს მასთან ახლო ყოფნა და მოისმინოს მისი საეკვო წინადადებანი. მეორე მხრივ მას დამაჯერებლად მიაჩნდა გონიერი დედოფლისა და მისი გამოცდილი მეგობრის მანრიკეს მოსაზრებები. მას შემდეგ რაც მისი კეთილი, მდიდარი იუდეველი იბნ შოშანი გარდაიქცევა, ძალიან ძნელი გახდა მსხვილი ვაჭრებისაგან და მთელი ქვეყნის ბანკირები-საგან ფულის გამოძალვა და არავინ დარჩა სვეილიელი იბრაჰიმის მეტრე, ვისაც შეეძლო დახმარებოდა ამ ფინანსიური გაჭირვების დროს.

ალფონსო უყურადღებოდ უსმენდა მანრიკეს და დაფიქრებულ მისჩერებოდა დონა ლეონორს.

დონა ლეონორი იშვიათი სტუმარი იყო ტოლედოს სამეფო რეზიდენციაში. იგი დაიბადა აქვიტანიის საჰერცოგოში, სამხრეთ საფრანგეთის კეთილშობილ მხარეში, სადაც სამეფო კარის დახვეწილ მიხრა-მოხრას იყო ჩვეული და ტოლედოს ადათ-წესები სამხედრო ბანაკით უხეში ეჩვენებოდა, თუმცა ქალაქი უკვე ასე წყლია კასტილიის მეფეებს ეკუთვნოდა. მას კარგად ესმოდა, რომ დონ ალფონსო მეტწილად თავის სატახტო ქალაქში უნდა ყოფილიყო, ძველისძველ მტერთან ახლოს, თვითონ კი თავის სამყოფელად ბურგოსი აირჩია — სამშობლოსთან ახლოს, ჩრდილოეთ კასტილიაში.

თუმცა არავის არათფერი უთქვამს, მაგრამ ალფონსომ კარგად იცოდა, ამჯერად რატომ ჩამოვიდა დონა ლეონორი ტოლედოში, რატომ უნდა, აქ იგი დონ მანრიკეს თხოვნიდა. მისი მინისტრი და კეთილი მეგობარი ალბათ ფიქრობს, ლეონორის დახმარების გარეშე იგი ვერ დაიყოლიებს მეფეს, რომ ურჯულო თავის კანცლერად დანიშნოს. მაგრამ ალფონსო თვითონვე მალე დარწმუნდა, რომ ეს გარდუვალია და დონა ლეონორის რჩევის გარეშე დათანხმდებოდა. მაგრამ იგი კმაყოფილი იყო, რომ დიდხანს ვერ დაითანხმეს, მას უხაროდა, რომ დონა ლეონორი აქ იყო.

რა გულდაგულ მორთულა. იგი ხომ მხოლოდ ძველი მეგობრის მანრიკეს მოხსენების მოსასმენად მოვიდა. დონა ლეონორი ყოველთვის ცდილობდა მარტო დედოფალი კი არა, მომხიბლავი ქალიც ყოფილიყო. ეს ამბავი ალფონსოს ცოტა სასაცილოდ ეჩვენებოდა. მაგრამ მოსწონდა კიდევ. თითქმის სულ ბავშვმა—ის-ის იყო მეთხუ-

თმეტე წელში გადადგა — მამის, ჰენრიხ ინგლისელის სასახლე დასტოვა და მისი საცოლე გახდა. მაგრამ ამ წლების მანძილზე, რაც ლეონორმა მის ლარიბ-ლატაკ, პირქუშ კასტილიაში გაატარა, სადაც გამოუღმებელი ომების გამო კურტუზული ხრიკების თავი აღარ ჰქონდათ, იგი თავისი სამშობლოს სულისკვეთების ერთგული დარჩა — თავაზიანი, ნატიფი მანერების მოყვარული.

თუმცა ოცდაცხრა წლის იყო, სრულიად ნორჩად გამოიყურებოდა თავის მძიმე, მდიდრულ ტანსაცმელში. პატარა ტანის მიუხედავად, მაინც წარმოსადეგი იყო. ხშირი ქერა; თმები ოქროს საღებრით ჰქონდა დამაგრებული. მაღალ, კეთილშობილურ შეზღვევ გამოიყურებოდა დიდი ჰკვიანური მწვანე თვალები, რომელთა ოდნავ ცივ, გამომცდელ მზერას დინჯი, შეუცნობელი ღიმილი არბილებდა და მშვიდ სახეს სითბოს მატებდა.

დღე, დასცინოს მას მისმა დონა ლეონორმა, ღმერთმა აღფონსოს ჰკუა უბოძა, მან თავის ცოლზე და სიმამრზე, ინგლისის მეფეზე, ნაკლებად როდი იცის, რომ დღევანდელ პირობებში სამხედრო სიძლიერეზე უფრო ჰკვიანის მეურნეობაზე ზრუნვა საჭირო. რას ვიზამთ, ეშმაკური შემოვლით გზას თუმცა მახვილზე უფრო სანდოდ მივყავართ მიზნისაკენ, მაგრამ აღფონსოსათვის მეტისმეტად ნელი და მოსაწყენია. იგი ჭარისკაცია და არა მათემატიკოსი, ჭარისკაცი და მხოლოდ და მხოლოდ ჭარისკაცი და ეს კარგიც არის ასეთ დროს, როცა ქრისტიან მეფეებს თვით ღმერთმა უბრძანა დაუღალავად ებრძოლონ ურჯულოებს.

დონა ლეონორიც თავის ფიქრებს მისცემოდა. აღფონსოს სახე ეუბნებოდა. მას, თუ რა გრძნობათა ჰიდილი იყო მასში, რომ აღფონსოს ესმის ყველაფერი და ემორჩილება მდგომარეობას, მაგრამ ბრაზობს და უღლის თავიდან მოშორება სურს. აღფონსო სახელმწიფო მოღვაწე არ არის და ეს ლეონორზე უკეთ არავე იცოდა. იმ მეფისა და დედოფლის ასულზე უკეთ, რომელთა ეშმაკურ და მეტად გაბედულ პოლიტიკას უკვე რამდენიმე ათეული წელია მთელი ჰკვიანა სულგანაბული ადევნებს თვალს. აღფონსო ჰკვიანია, როცა მოინდომებს. მაგრამ მისი დაუდგრომელი ხასიათი ყოველთვის გადმოლახავს გონიერულ ზღუდეს და სწორედ ამ წრეგადასული თავაწყვეტილობისათვის უყვარს მას აღფონსო.

— ხომ ხედავ, მეფეო, და შენც, დონა ლეონორ, — დაასრულა საუბარი დონ მანრიკემ, — იგი არ თმობს არც ერთ თავის მოთხოვნას, მაგრამ გვთავაზობს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე რომელიმე ხხვას შეუძლია.

გაბრაზებულმა დონ აღფონსომ თქვა: — კასტილიოც მიაქვს!



როგორც ალბოროკე?—ალბოროკეს უწოდებდნენ იმ საჩუქარს, რომელსაც თავაზიანობის წესების თანახმად ხელშეკრულების დადების შემდეგ გადასცემდნენ ხრლმე.

— არა, მეფეო, — უპასუხა დონ მანრიკემ, — მაპატიე, დამავიწყდა მეტქვა: მას არ უნდა კასტილიო საჩუქრად მიიღოს, სურს იყიდოს ათას ოქროს მარავედად.

ეს დიდი თანხა იყო, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ძველი ნანგრევები ღირდა. ასეთი გულუხვობა შეენოდა წარჩინებულ დიდებულს. მაგრამ სევილიელ ვაჭარ იბრაჰიმისგან ეს კანდიერება იყო! ალფონსო ადგა და ბოლოს ცემა დაიწყო.)

დონა ლეონორი თვალს ადევნებდა მას. ამ იბრაჰიმს ბევრი შრომა მოუხდებდა, რომ მის ალფონსოს ასიამოვნოს. რას იზამ. იგი რაინდია, კასტილიელი რაინდი. რა კარგად გამოიყურება. ნამდვილი მამაკაცია, თუმც ოცდაათი წლისაა, მაგრამ ყმაწვილს ჰგავს! ლეონორმა თავისი ბავშვობის ერთა ნაწილი დონფრონის კოშკში გაატარა, იქ კოშკის ყოვლისშემძლე მფარველის, ახალგაზრდა, მრისხანე წმიდა გიორგის ხის დიდი ქანდაკება იდგა და ლეონორს თავისი ალფონსოს გაბედული, გამხდარი სახე ყოველთვის ამ წმიდანის სახეს აგონებდა. მას ქმრის ყველაფერი მოსწონდა: ოქროსფერი თმები, მოკლედ შეკრეჭილი ხშირი წვერი, რომელიც ტუჩების ირგვლივ მოპარსული ჰქონდა ისე, რომ, ვიწრო პირი გამოკვეთილად უჩანდა, მაგრამ ყველაზე მეტად მისი ნაცრისფერი, სიცოცხლით სავსე თვალები მოსწონდა, ალღევების დროს მრისხანების ცეცხლს რომ აფრქვევდნენ. აი, ახლაც ცეცხლს აფრქვევენ მისი თვალები.

— იგი მხოლოდ ერთ წყალობას ითხოვს, — განაგრძო მანრიკემ. — წარდგეს შენი უდიდებულეობის წინაშე და პირადად შენგან მიიღოს საბუთები და ხელმოწერა. ემირმა, — განმარტა მანრიკემ, — რაინდად აკურთხა და თავგამოდებით უფრთხილდება თავის ღირსებას. გაიხსენე, დონ ალფონსო, რომ ურჯულოთა ქვეყნებში ვაჭარი ისეთივე ღირსებებით სარგებლობს, როგორც მეომარი, მათი წინასწარმეტყველიც ხომ ვაჭარი იყო.

უცებ ალფონსო ხასიათზე მოვიდა და გაეცინა: სიცილის დროს სახე ბავშვივით უბრწყინავდა.

— იქნებ მიბრძანებ, ებრაულად ველაპარაკო? — შესძახა ალფონსომ.

— მან კარგად იცის ლათინური, — სერიოზულად უპასუხა მანრიკემ, — და კასტილიურადაც საკმაოდ კარგად ლაპარაკობს.

სრულიად მოულოდნელად დონ ალფონსომ ისევ სერიოზული სახე მიიღო. — არაფერი მაქვს ებრაელი ალპაჰიმის საწინააღმდეგო, —

თქვა მან, — მაგრამ ებრაელის ესკრივიანო მაიორად დანიშვნა, — უნდა გამიგოთ, ზიზლსა მგერის.

— დონ მანრიკემ კვლავ იგივე გაიმეორა, რაც ბოლო ხანებში არა ერთხელ მოუხსენებია მეფისათვის.

— მთელი საუკუნის განმავლობაში იძულებული ვიყავით გვეომა და დავგვეპყრო, მეურნეობისათვის არ გვეცალა, მუსლიმანებს კი ამისათვის საკმაო დრო ჰქონდათ. თუ გვინდა მათ გავუტოლოდეთ, ჩვენთვის აუცილებელია ებრაელთა მოხერხებულობა, მკვერმეტყველება და მათი საქმიანი ურთიერთობის უნარი. ქრისტიანი მეფეებისათვის ბედნიერება იყო, რომ ანდალუზიელმა მუსლიმანებმა თავიანთი ებრაელები განდევნეს. შენ არაგონებ ბიძასაც ხომ ჰყავს თავისი დონ ხოზე იბნ ეზრა, ნავარიის მეფეს კი თავისი ბენ სერახი. — მამაჩემსაც ჰყავს თავისი აარონი ლინკოლნიდან, — დასძინა დონა ლეონორმა. — ზოგჯერ მამაჩემი მას აპატიმრებს, მაგრამ მერე კვლავ ათავისუფლებს, პატივს დებს და მიწებით ასაჩუქრებს.

დონ მანრიკემ დაასრულა:

— რა თქმა უნდა, კასტილიის საქმე უკეთესად იქნებოდა, ჩვენი ებრაელი იბნ. შოშანი რომ არ მომკვდარიყო.

დონ ალფონსო მოიღუშა. იბნ შოშანის განხსენებამ გააბრაზა. მას უკვე ოთხი წლის წინათ სევილიის ეპირის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობა სურდა, რომელიც ასე უშედეგოდ დამთავრდა. ომის დაწყობებაში იბნ შოშანს მიუძღოდა ბრალი. ახლა მის ადგილს, როგორც ჩანს, სევილიელი იბრაჰიმი დაიკავებს. სწორედ ეს სურთ დონა ლეონორს და მანრიკეს — ისიც იბნ შოშანივით შეეცდება გადაათქმევიანოს დონ ალფონსოს თავისი ნაჩქარევი გადაწყვეტილება. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, და არა სამეურნეო საქმისათვის მოითხოვენ ასე დაჟინებით ებრაელის მოწვევას. ალფონსოს ისინი მეტად თავაწყვეტილ მემორად თვლიან. მათ არ სწამთ, რომ ალფონსოს ეყოფა მეფისათვის საჭირო ეშმაკობა და მოთმინება, რაც აუცილებელია ამ ვაქრულ ეპოქაში.

— ამასთან ერთად ისინი არაბულ ენაზე დაწერილი — თქვა მან გაჯავრებით და ხელშეკრულებები გაშალა. — კარგად ვერც კი ვკითხულობ, რას უნდა მოვაწერო ხელი.

დონ მანრიკე მეფეს მიუხვდა: იგი ხელის მოწერას აყოვნებდა.

— თუ მიბრძანებ, მეფეო, — სწრაფად უპასუხა მანრიკემ, — ხელშეკრულებებს ლათინურ ენაზე დავამზადებინებ.

— კარგი, — დაეთანხმა ალფონსო. — ოთხშაბათამდე ნუ მოუხმობ შენს ებრაელს.

აუდიენცია, რომლის დროსაც ხელშეკრულებებზე ხელმოწერა უნდა მომხდარიყო, დანიშნული იყო მცირე დარბაზში. ლეონორმა დარბაზობაზე დასწრება მოინდომა, რადგან ებრაელის ნახვა სურდა.

დონ მანრიკე რეგალიებით იყო შემკული. ოქროს ძეწკვზე სამკერდე ნიშანი ეკიდა, მეფის საიდუმლო მრჩეველთათვის მინიჭებული ფამილიარესი, — კასტილიის ღერბიანი ფირი, რომელზედაც სამი გოდოლი იყო გამოსახული, ციხე-კოშკებით გამაგრებული ქვეყნის სიმბოლოდ. დონა ლეონორიც სადარბაზოდ იყო მორთული, სამაგიეროდ ალფონსომ სახელმწიფო აქტზე ხელისმოწერის ცერემონიისათვის შეუფერებელი საშინაო ტანისამოსი ჩაიცვა. მას განიერსახელოებიანი კოლეტი და თავისუფალი წალეები ეცვა.

(ყველა ელოდა, რომ იბრაჰიმი მისი უდიდებულესობის წინაშე, წესისამებრ, ცალ მუხლზე დაიჩოქებდა. მაგრამ იგი ჯერჯერობით მეფის ქვეშევრდომი კი არ არის, არამედ მუსლიმანთა სახელმწიფოს დიდებულთაა. იბრაჰიმი მუსლიმანური ესპანეთის ადათის მიხედვით იყო ჩაცმული: მხრებზე მძიმე, ლურჯი მანტია ჰქონდა მოხურული, როგორც წარჩინებული მუსლიმანები ატარებდნენ მაშინ, როცა ისინი საკუთარი ამაღლის თანხლებით ქრისტიან მეფეებს უნდა წარსდგომოდნენ. დონა ლეონორს, დონ ალფონსოს და დონ მანრიკეს იბრაჰიმმა მღაბლად დაუკრა თავი და მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა.)

პირველად დედოფალმა დაიწყო ლაპარაკი:

— მშვიდობა თქვენდა, სევილიელო იბრაჰიმ, — თქვა მან არაბულად. ნახევარკუნძულზე მცხოვრებმა განათლებულმა ხალხმა, ქრისტიანულ სამეფოში, ლათინურის გარდა არაბულიც იცოდა.

ზრდილობა მოითხოვდა, რომ ალფონსოს სტუმრისათვის არაბულ ენაზე მიემართა, ასეც ჰქონდა განზრახული, (მაგრამ ამ კაცის ქედმაღლობამ, რძემღამაც არ ისურვა მუხლი მოეყარა მეფის წინაშე, გადააწყვეტინა მისთვის ლათინურ ენაზე მიემართა.)

— *Salve domine Ibrahim,* — გაბრაზებით წაიბუზღუნა მისასალმებელი სიტყვები ალფონსოდ.

დონ მანრიკემ რამდენიმე ფრაზით განმარტა, თუ რა მიზნით იყო მოწვეული. ვაჟარი იბრაჰიმი. ამასობაში ქეშმარიტად დიდგვაროვანი დონა ლეონორი მისთვის ჩვეულო დარბაისლური ღიმილით ათვალიერებდა მამაკაცს. იბრაჰიმი მაღალი ჩანდა, რადგან მაღალქუსლიანი ფეხსაცმლები ეცვა. თავისუფალი მანერების მიუხედავად, ვაჟარი წელში გამართული იდგა. ხშირი, მოკლე წვერით შემოფარგლულ ფერმკრთალ, შავგვრემან სახიდან გამოაყურებოდა მშვიდი ნუშისებური, კვიანური, ოღნავ ქედმაღლური თვალები. მხრებზე

უცხოელი დიდებულის, კარგად შეკერილი, ლურჯი მანტია ჰქონდა მოხურული. დონა ლეონორი შურით ათვალეირებდა ძვირფას ქსოვილს, რომელიც ქრისტიანულ სამეფოში ძნელად საშოვნია იყო. მაგრამ, როცა ეს კაცი მათ სამსახურში იქნება, რა თქმა უნდა, დედოფლისათვის იშოვნის ასეთ ძვირფას ქსოვილს და სასწაულთმოქმედ სუნამოს, რომლის შესახებ ძალიან ბევრი რამ სმენია დონა ლეონორს.)

მეფე სალაშქრო საწოლის მსგავს კამბზე იჯდა ნახევრად წამოწოლილი, განგებ უდარდელი სახით. — ვიმედოვნებ, — თქვა მან, როგორც კი მანრიკემ სიტყვა დაამთავრა, — რომ დროულად მოიტანოცი ათას ოქროს მარავედს, რომელიც ვალდებული ხარ ბეს სახით გადამიხადო. — ოცი ათასი ოქროს მარავედი დიდი ფულია, — უპასუხა იბრაჰიმმა, — ხუთი თვე კი ძალიან პატარა დროა. მაგრამ ფული ხუთ თვეში გექნებათ, მეფევ ბატონო, თუ, რა თქმა უნდა, ხელშეკრულების მიხედვით მოცემული რწმუნებულება მხოლოდ პერგამენტზე არ დარჩება. — შენი ექვეები გასაგებია, სევილიელი იბრაჰიმ, — თქვა მეფემ. — რწმუნებულება, შენ რომ მოითხოვ, გაუგონარია. ჩემმა დიდებულებმა ამიხსნეს, რომ გინდა ხელთ იგდო ყველაფერი, რაც ღმერთმა მიწყალობა, — გადასახადები, სახაზინო შემოსავალი, ბაჟი, რკინის საბადოები და მარილის მადაროები. მე მგონია, გაუმძღარი კაცი ხარ, სევილიელი იბრაჰიმ. — ვაჭარმა მშვიდან უპასუხა: — ჩემი გაძღომა ძალიან ძნელია იმიტომ, რომ შენ უნდა გაგაძღო, მეფევ, შენ კი დამშეულხ ხარ. მე წინასწარ გადავიხდი ოცი ათას ოქროს მარავედს, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, რამდენის მოგება შემიძლია, საიდანაც ცოტადენი პროცენტი მეკუთვნის. შენი გრანდები და რიკოს-ომბრესი თავნება და უხეში ბატონები არიან. აპატიე ვაჭარს, დედოფალო, — მდაბლად თავი დაუკრა დონა ლეონორს და არაბულად განაგრძო, — თუ შენს წინაშე, პირმთვარევე, ასეთ სულმდაბლურ და მოსაწყენ საქმეებზე ვებდავ საუბარს.

მაგრამ დონ ალფონსო არ ნებდებოდა: — ჩემის აზრით, სრულიად საკმარისი იქნებოდა დაკმაყოფილებულიყავი ალჰაქიმის წოდებით, ჩემი ებრაელი იბნ შოშანის თანამდებობით, კეთილი ებრაელი იყო და ძალიან ვწუხვარ მასზე. — ჩემთვის დიდი პატივია, მეფევ ბატონო, — უპასუხა იბრაჰიმმა, — რომ შენ ამ ჰქვიანი და მეტად იღბლიანი აღამიანის ადგილს მთავაზობ, მაგრამ თუ გსურს გამსახურო, რაც მე თვითონ მინდა გულით, არ შემიძლია დავკმაყოფილდე მხოლოდ იმ უფლებებით, რითაც იბნ შოშანი სარგებლობდა. — დე ალაჰმა დაუმკვიდროს სასუფეველი სამოთხეში!

მეფეს თითქოს არც გაუგონია იბრაჰიმის პასუხი, ისე გადავიდა მშობლიურ ენაზე, ვულგარულ ლათინურზე, კასტილიურზე. — მაგრამ შენი მოთხოვნა, ჩემი ბექდის მცველი იყო, სხვა არა იყოს რა უხერხულად მიმაჩნია.

— გადასახადს ვერ აგიკრიფავ, მეფე ბატონო, — მშვიდად უპასუხა ვაჰარმა, რომელიც გაკირვებით გამოთქვამდა კასტილიურ სიტყვებს, — თუ მხოლოდ შენი ალპაჰიმი ვიქნები. წინასწარ უნდა მოვითხოვო, რომ ესკრივანოდ დამნაშნო. თუ შენი ბექდის მცველი არ ვიქნები, გრანდები არ დამემორჩილებიან. — წესისამებრ, მორჩილი ხმით ლაპარაკობ და თავმდაბალ სიტყვებს ხმარობ, — უპასუხა დონ ალფონსომ. — მაგრამ ვერ მომატყუებ. ძალიან გაბედულ წინადადებებს აყენებ, მე ვიტყვოდი, რომ შენ, — და მან ვულგარული ლათინურით ძალიან უხეში სიტყვა იხმარა, — თავხედი ხარ. მანრიკემ სწრაფად განმარტა: — მეფე აღნიშნავს, რომ შენი თავის ფასი იცი. — რა თქმა უნდა, — მხიარულად, და კარგი ლათინური ენით, თავისი წკრიალა ხმით დაუმატა დონა ლეონორმა, — სწორედ ამის თქმა უნდოდა მეფეს.

ვაჰარმა კვლავ დაბლა დახარა თავი ჯერ დონა ლეონორისა და შემდეგ ალფონსოს წინაშე.

— მართალია, ვიცი ჩემი თავის ფასი, — თქვა მან, და სამეფო გადასახადების ფასიც ვიცი. ცუდად ნუ გამიგებთ, დედოფალო, შენც, დიდო ამაყო მეფეო, და ნურც შენ, დიდებულო დონ მანრიკე. უთვალავი განძითა და აურაცხელი შესაძლებლობით სავსე კალთა დააბერტყა ღმერთმა კასტილიის მშვენიერ მიწას, მაგრამ ომებმა, რომლებიც შენ და შენ წინაპართ გადაგხდათ, მეფეო, დრო არ დაგიტოვათ, რომ ეს ღვთის წყალობა გამოგეყენებინათ. ახლა კი, შენ გადაწყვიტე, მეფე ბატონო, რვა მშვიდობიანი წელი აჩუქო შენს ქვეყანას. ამ რვა წლის განმავლობაში რამდენი სიმდიდრის ამოღება შეიძლება შენი მთების წიაღიდან, უხვი მიწიდან და მდინარეებიდან! ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ შენს ქვეშევრდომებს ასწავლონ მიწის უკეთ დამუშავება და ჯოგის გამრავლება. შენ მთების წიაღში მე უკვე ვხედავ რკინას. ფასდაუდებელი რკინის გამოუღეველ საბადოს! ვხედავ სპილენძს, ლილაქვას, ვერცხლისწყალსა და ვერცხლს და მეც მოვძებნი ხელმარჯვეებს, დახელოვნებულ მადნისმთხრელებს, მკედლებს და ჩამომსხმელებს. მცოდნე ადამიანებს ისლამის ქვეყნიდან მოვიწვევ, მეფე ბატონო, და მაშინ შენი თოფხანები სევილიისა და კორდოვის თოფხანებს არ ჩამოუვარდება. გარდა ამისა, ჩვენ ისეთი მასალა გვაქვს, რომლის შესახებ თქვენ, ჩრდილოეთელებს, არც კი გსმენიათ. ამას ქაღალდი ჰქვია. მასზე წერა უფრო მოსახერხებელია, ვიდრე პერგამენტზე. საჭიროა მხოლოდ

მისი დამზადების საიდუმლოების ცოდნა. იგი თხუთმეტჯერ იაფი დაგიჯდებათ, ვიდრე პერგამენტი. შენი ტახოს სანაპიროებზე კი ყველაფერი უხვად არის ამ მასალის დასამზადებლად. მაშინ კი, თქვენს ქვეყანაში, მეფევ ბატონო და დედოფალი; კიდევ უფრო აყვავდება მეცნიერება, ფილოსოფია და პოეზია.

იგი შთამაგონებლად და დამაჯერებლად ლაპარაკობდა; თან შემპარავ, გაბრწყინებულ თვალებს ხან მეფეს და ხან დონა ლეონორს შეავლებდა, ისინი ოდნავ აღელვებული ყურადღებით უსმენდნენ მკვერმეტყველ მამაკაცს. დონ ალფონსოს იბრაჰიმის სიტყვები სასაცილოდ ეჩვენებოდა. არ სჯეროდა მისი; სიმდიდრე შრომითა და ოფლით კი არა, მახვილით მოიპოვება. დონ ალფონსო მეოცნებეც იყო: თვალნათლივ ხედავდა იბრაჰიმის მიერ შეპირებულ განძეულობას და ქვეყნის აყვავებას, ნათელმა ღიმილმა გაუბრწყინა სახე ალფონსოს, კვლავ სრულიად გაახალგაზრდავდა და დონა ლეონორმა იგრძნო, რა სასურველი იყო იგი მისთვის.

დონ ალფონსომ ლაპარაკი დაიწყო და გულახდილად აღიარა: — შენ მშვენივრად ლაპარაკობ, სევილიელო იბრაჰიმ, და შესაძლოა, დანაპირების ნაწილი მაინც დასრულდეს. ჰკვიან და საქმეში ჩახედულ კაცად მეჩვენები.

მაგრამ თითქოს ინანაო, რომ ასე ადვილად დაემორჩილა ვაჭრულ საუბარს და შეაქო კიდევაც იგი, უცხად შეიცვალა ტონი და დამცინავად დაუმატა: — გავიგე ძვირი დაგჯდომია ჩემი კასტილიო, დე კასტროს ყოფილი კასტილიო. ალბათ დიდი ოჯახი, გაქვს, რადგან ასეთი უზარმაზარი სახლი დაგპირდა? — ქალ-ვაჟი მყავს, — უპასუხა ვაჭარმა, — მაგრამ მე მიყვარს, როცა ჩემთან მეგობრები ცხოვრობენ, რომ ვინმეს რჩევა ვკითხო და ვესაუბრო. გარდა ამისა, ბევრი ითხოვენ ჩემგან დახმარებას, რას ვიზამთ, უფალმა ინება, რომ ვაჭირვებულები შევიფაროთ. — ძვირად გიჯდება შენი ღმერთის ერთგულება, — უთხრა მეფემ. — მე მერჩივნა, კასტილიო ალბოროკეს სახით მომეცა შენთვის სიკვდილამდე შენს მფლობელობაში. — ამ სახლს ყოველთვის კასტილიო დე კასტრო როდი ერქვა, — თავაზიანად უპასუხა ვაჭარმა. — წინათ მას კასრ იბნ ეზრა ერქვა. სწორედ ამიტომ დამეზადა მისი შესყიდვის სურვილი. შენმა მრჩევლებმა, მეფევ ბატონო, ვთქვარო, ალბათ მოგახსენეს, რომ თუმცა მე არაბული სახელი მქვია, მაინც იბნ ეზრების საგვარეულოს ვეკუთვნი. ჩვენ კი, იბნ ეზრებს, არ გვიყვარს სხვის ჰერქვეშ ცხოვრება. ეს ჩემი მხრივ თავხედური განზრახვა კი არ იყო, მეფევ ბატონო, — განაგრძობდა იგი და მის ხმაში ამჯერად ნდობა, მოკრძალება და მეგობრობა ეღერდა, — გამომეთხოვა შენგან სხვა ალბოროკე.

დონა ლეონორმა გაოცებით იკითხა: — სხვა ალბოროკე? — ბატონმა ესკრივანო მიიორმა, — განმარტა დონ მანრიკემ, — ითხოვა და ჩვენ უფლება მივეციოთ თავისი ტაბლისათვის ყოველდღიურად მიიღოს ბატკანი სამეფო მამულიდან. — ჩემთვის იმითაა ძვირფასი ეს პრივილეგია, — აუხსნა მეფეს იბრაჰიმმა, — რომ შენმა ბაბუამ, უავგუსტესმა იმპერატორმა ალფონსომ, იგივე წყალობა გაიღო ბიძაჩემის მიმართ. (როცა ტოლედოში გადმოვალ და შენს სამსახურში ვიქნები, საქვეყნოდ დაეუბრუნდები მამა-პაპათა სარწმუნოებას. უარს ვიტყვი ჩემს სახელზე იბრაჰიმზე და კვლავ გავხდები იეჰუდა იბნ ეზრა, ისევე როგორც ის ბიძა, რომელმაც შენს ბაბუას ციხე-სიმაგრე კალატრავა შეუნარჩუნა. მეფეც ბატონო და დედოფალი, ნება დამრთეთ სულელურად გულახდილი ვიყო და მოვახსენოთ, სევილიაში რომ შემძლებოდა მამა-პაპათა სარწმუნოებას დაეუბრუნებოდი, არ შეველეოდი ჩემ მშვენიერ სამშობლოს.)

— ჩვენ დიდად გვახარებს, რომ დაათასე ჩვენი შემწყყარებლობა, — თქვა დონა ლეონორმა, დონ ალფონსომ კი პირდაპირ ჰკითხა: — როგორ ფიქრობ, წინააღმდეგობები არ შეგხვდება სევილიის დატოვებისას? — როცა ჩემი საქმეების ლიკვიდაციას მოვახდენ, რა თქმა უნდა, ზარალსაც ვნახავ, — უპასუხა იეჰუდამ. სხვა სირთულეები არ მაშინებს, ღვთისწყალობით ემირი მფარველობს. იგი ქვეიანი, თავისუფლად მოაზროვნე კაცია. ეს რომ მხოლოდ მისგან იყოს დამოკიდებული, სევილიაშივე ვაღიარებდი საქვეყნოდ მამა-პაპათა სარწმუნოებას, ემირი გამიგებს და წინ არ აღუდგება ჩემს გულისწადილს.

ალფონსო ათვალისწინებდა მის წინ მოკრძალებულად მდგომ კაცს, რომელიც უტიფარი გულახდილობით ლაპარაკობდა. ეს კაცი დემონივით ქვეიანი და არანაკლებ საშიში ჩანდა. თუ იგი თავის მეგობარს ემირს ლალატობდა, განა მისი, უცხო ქრისტიანის ერთგული იქნება? იეჰუდა თითქოს მიხვდაო მის ფიქრს და თითქმის მხიარულად უთხრა: — რაკი სევილიას დავტოვებ, თავისთავად ცხადია, ჩემი იქ დაბრუნება შეუძლებელი იქნება. ხედავ, მეფეც ბატონო, თუ კარგად არ გემსახურე, შენ ხელთა ვარ.)

დონ ალფონსომ თითქმის უხეშად ჩაიბუზღუნა: — ახლა ხელს მოვაწერ. წინათ თავის სახელს ლათინურად აწერდა: Alfonsus rex Castilliae ანდა Ego rex; ბოლო ხანებში კი მოუხშირა თავისი ხალხის ენაზე წერას, ვულგარულ ლათინურზე, რომანულ, კასტილიურ ენაზე. — იმედი მაქვს, დაკმაყოფილდები იმით, რომ მხოლოდ lo el rey დაწერო? — დამკინავად აღნიშნა მან. იეჰუდა ხუმრობითვე შეეპასუხა: — მე შენი ინიციალები და კალმით ზანის გასმაც დამაკმაყოფილებდა, მეფეც ბატონო.

დონ მანრიკემ დონ ალფონსოს კალამი მიაწოდა. მეფემ სამივე საბუთს სწრაფად მოაწერა ხელი, ისეთი მოღუშული, პირქუში სახე ჰქონდა, თითქოს რალაც არასასიამოვნო, მაგრამ გარდაუვალი ნაბიჯი გადადგაო. (იეჰუდა თვალს ადევნებდა. კმაყოფილი იყო მიღწეულით, მხიარული მოუთმენლობით ელოდა მომავალს. იგი უმადლოდა ბედს, თავის ღმერთს ალაჰს და თავის ღმერთს ადონაის. იგი გრძნობდა, როგორ კვდებოდა მასში მუსლიმანი და მოულოდნელად მეხსიერებაში წამოტივტივდა სამადლობელი ლოცვა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობისას ასწავლეს და უნდა გაემეორებინა ყოველთვის, როცა იგი რალაც ახალს შეიცნობდა: „ღიღება შენდა, აღონაი, უფალო ჩვენო, რომელმაც მაცოცხლე დღემდე, დამალამებინე ეს დღე და გამითენე მეორე დილა“.)

შემდეგ მანაც მოაწერა ხელი საბუთებს და მეფეს გადასცა. მოწიწებით, მაგრამ ოდნავ შესამჩნევი ცბიერი მოლოდინით. და მართლაც, ალფონსო გაოცდა, როცა ხელმოწერას დახედა, წარბები ზეასწია და შუბლი შეიკრა — ასოები უჩვეულო იყო. — რას ნიშნავს ეს? — შეჰყვირა მან. — ეს ხომ არაბული არაა, მეფეე ბატონო, ჩემ თავს ნება მივეცი, — თავაზიანად შენიშნა იეჰუდამ, — რომ ებრაულად მომეწერა ხელი, — და მან მოკრძალებით აუხსნა: — ჩემი ბიძა, რომელსაც თქვენმა უავგუსტესმა ბაბუამ თავადის ტიტული უბოძა, ყოველთვის ებრაულად აწერდა ხელს: „იეჰუდა იბნ ეზრა ჰანასი, თავადი“.

ალფონსომ მხრები აიჩიჩა და დონა ლეონორს მიუბრუნდა, ჩანდა იგი აუდიენციას დამთავრებულად თვლიდა:

ამასობაში იეჰუდამ თქვა: — კიდევ ერთ წყალობას გთხოვ — ხელთათმანს. ხელთათმანს მნიშვნელოვანი დავალების სიმბოლოდ რაინდი რაინდს გადასცემდა და საქმის კეთილად დამთავრების შემდეგ ისევ პატრონს უბრუნდებოდა.

ალფონსომ ჩათვალა, რომ ამ ერთი საათის განმავლობაში საქმოდ თავხედური მოთხოვნები ჩაყლაპა და ის იყო დააპირა უქმეხად ეპასუხა, რომ უცებ დონა ლეონორის გამაფრთხილებელ გამოხედვას შეასწრო თვალი. — კარგი, ასე იყოს.

ახლა კი მუხლი მოიყარა იეჰუდამ მეფის წინაშე და ალფონსომ ხელთათმანი გადასცა.

მაგრამ შემდეგ მეფეს, თითქოს შერცხვაო ჩადენილი საქმისა და რომ ებრაელს ეგრძნო ჩვენ მხოლოდ სავაჭრო ხელშეკრულება გვაკავშირებსო, უთხრა: — მაშ ასე, ახლა სასწრაფოდ მიშოვნე დაპირებული ოცი ათასი მარავედი. — დონა ლეონორმა კი გამომცდელად, ოდნავ შესამჩნევი ჰირეულობით შეანათა თავისი დიდ-



რონი მწვანე თვალები იეჭუდას და წკრიალა ხმით უთხრა: — მოხარული ვართ, რომ ვაგიცანით, ბატონო ესკრივანო.

ვიდრე ტოლედოს დატოვებდა და სევილიაში გაემგზავრებოდა საქმეების მოსაგვარებლად, იეჭუდამ ებრაული თემის — ალჰამის საზოგადოების უხუცესი დონ ეფრაიმი ბარ აბა ინახულა.

დონ ეფრაიმი სამოცი წლის შეუხედავი, გამხდარი და სადად ჩამული ჰოხუცი იყო. ერთი შეხედვით ვერც წარმოიდგენდით, რომ ამ ჩია კაცის ხელში იყო ესოდენ დიდი ძალაუფლება, რადგან ტოლედოს ებრაული თემის უხუცესი, თავისებურ მონარქს წარმოადგენდა. ებრაულ თემს — ალჰამას საკუთარი სამართლმწარმოების უფლება ჰქონდა, ვერავენ ჩაერეოდა მათ საქმეებში, ისინი მხოლოდ თავიანთ „პარნასს“, დონ ეფრაიმსა და მეფეს ემორჩილებოდნენ.

მცივანა, გამხდარი დონ ეფრაიმი ავეჯით მორთულ, წიგნებით სავსე ოთახში იჯდა. მიუხედავად თბილი ამინდისა, ქურქში გახვეული მაყალს ეფიცებოდა. დონ ეფრაიმი კარგად იყო სასახლის საქმეებში ჩახედული და თუმც იბრაჰიმის ოფიციალური დანიშვნა ცნობილი უნდა გამხდარიყო მისი ტოლედოში საბოლოოდ გადმოსვლის შემდეგ, იცოდა, რომ ვაჟარმა თანხმობა განაცხადა გადასახადების მოიჭარე და ალჰაჰიმი იბნ შოშანის მემკვიდრე ყოფილიყო. დონ ეფრაიმსაც შესთავაზეს გადასახადების იჯარით აკრეფა და იბნ შოშანის თანამდებობა, მაგრამ ამ დიდი საქმის წამოწყება მას საეჭვოდ მოეჩვენა, ალჰაჰიმის თანამდებობა კი სწორედ იმის გამო, რომ მეტად ბრწყინვალე იყო, სახიფათოდ მას გაანდეს ვაჟარი იბრაჰიმის ცხოვრების საიდუმლოება, მან იცოდა, რომ იგი ფარულად აღიარებდა იუდეველთა სარწმუნოებას. კარგად ესმოდა, თუ რა შინაგანი და გარეგნული მიზეზები აიძულებდა იბრაჰიმს, რომ კასტილიაში გადმოსახლებულიყო, ეფრაიმს მრავალჯერ უწარმოებია იბრაჰიმთან ერთად დიდი საქმეები და არა ერთხელ მის წინააღმდეგაც, და არ სიამოვნებდა, რომ იბნ ეზრების საგვარეულოს საეჭვო შვილმა ამჯერად თავის საასპარეზოდ ტოლედო ამოარჩია.

დონ ეფრაიმი იჯდა, ერთ ხელის გულს მეორე ხელის თითებით ისრესდა, ელოდა, რას ეტყოდა სტუმარი. დონ იეჭუდა ებრაულად ლაპარაკობდა, საუცხოოდ ებრაულ ენაზე. მან მაშინვე უამბო ეფრაიმს, რომ გამოსასყიდად სამეფო ხაზინის მთელი შემოსავალი იჯარით აიღო ტოლედოსა და კასტილიაში. — როგორც გაეიგე, შენ უარი განაცხადე გადასახადების აკრეფაზე. — ფქვა მან მეგობრუ-

ლად. — დიახ, უპასუხა დონ ეფრაიმი, — აეწონ-დაეწონე, ვიანგარიშე და უარი განვაცხადე. უარი განვაცხადე ჩვენი ალჰაქიმის, იბნ შოშანის თანამდებობის მემკვიდრეობაზეც — კურთხეული იყოს ჩვენი წმიდანის ხსოვნა! ეს თანამდებობა, ჩემი აზრით, თავმდაბალი ადამიანისათვის მეტისმეტად ბრწყინვალეა. — მე კი დავთანხმდი, — უბრალოდ თქვა დონ იეჰუდამ. — დონ ეფრაიმი ადგა და თაყვანი სცა. — ბედნიერებას გისურვებს შენი მსახური, ბატონო ალჰაქიმო, — თქვა ეფრაიმი და, რადგან იეჰუდამ მხოლოდ ჩუმად ჩაიღიმა, განაგრძო, — ან იქნებ, უკვე შეიძლება დაგიძახონ, დონ ალჰაქიმ მაიორი? — მისმა უდიდებულესობამ მეფემ, — თქვა იეჰუდამ, რომელიც ძლივს ფარავდა სიხარულს, — პატივი დამდო და თავის ერთ-ერთ ფამილიარესად დამნიშნა. დიახ, დონ ეფრაიმ, მე ვიქნები ერთ-ერთი ოთხ საიდუმლო მრჩეველთაგან. მონაწილეობას მივიღებ კურიის სხდომაზე. მეფის, ჩვენი მბრძანებლის საქმეებს ვაწარმოებ, როგორც მისი ესკრივანო მაიორი.

დონ ეფრაიმი უსმენდა იბრაჰიმს და ერთდროულად აღფრთოვანებასაც განიცდიდა და ანტიპათიასაც, სიხარულსაც და უკმაყოფილებასაც. უსმენდა და თან ფიქრობდა „ვინ იცის, რა ძვირი დაუჯდა ეს პატივი, ამ უგნურსა და აზარტულ მოთამაშეს!“ „ან კიდევ: „სადამდე მიიყვანს მას, ამ სულელს, ასეთი პატივმოყვარეობა?“ და „დე, გვფარვიდეს ყოვლისშემძლე და არ მისცეს ამ კაცს ნება იმისა, რომ ისრაელებს უბედურება გადაჰკიდოს!“

დონ ეფრაიმი აურაცხელი ქონების პატრონი იყო, სევილიელ ვაჭარ იბრაჰიმის საოცარ სიმდიდრეზე კი ბევრი მითქმა-მოთქმა ისმოდა, მაგრამ გუნებაში დონ ეფრაიმი ფიქრობდა, რომ მისი ქონება ბევრით როდი ჩამოუვარდებოდა ამ ღვთის მოღალატისა და ქედმაღალი კაცის სიმდიდრეს. იგი, ეფრაიმი, თავის ქონებას ფარავს, რომ ხალხის ყურადღება არ მიიქციოს. სევილიელ იბრაჰიმს, როგორც ნამდვილ იბნ ეზრას, უყვარს, როცა მის ფუფუნებით ცხოვრებაზე ბევრს ლაპარაკობენ. ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ტოლედოში ამ ნიჭიერ, მაგრამ არასაიმედო, საშიშ ადამიანს, როცა ღმერთს შეეპიძება და თავხედურად ავა ასეთ მიუწევდომელ სიმაღლეზე.)

ეფრაიმი ფრთხილად შენიშნა: — ალჰამა იბნ შოშანთან თანხმობით. ცხოვრობდა. — გეშინია, დონ ეფრაიმ? — მეგობრულად უპასუხა დონ იეჰუდამ. — ნუ გეშინია! ფიქრადაც არ მომსვლია ტოლედოს თემის საქმეებში ჩავერდო, მით უმეტეს შევაეწიროვო, მე ხომ თვით უნდა გავხდე მისი ერთ-ერთი შვილი, სწორედ ამის საოქმელად მოვედი უენთან. დეარის შვილთა რწმენა შენც კარგად

იცი, ყოველთვის ჩვენი უძველესი სარწმუნოების მხოლოდ ნახევრად ჰემშარიტ ყლორტად მიმაჩნდა. როგორც კი აქ ჩემ ადგილს დავიკავებ, მაშინვე აბრამის კალთას შევაფარებ თავს და საქვეყნოდ დავიბრუნებ მამა-პაპათა გვარს: იეჰუდა იბნ ეზრა.)

ღონ ეფრაიმი შეეცადა მხიარული გაოცება გამოეხატა, მაგრამ მღელვარება ემატებოდა (არც თვითონ და არც მისმა ალჰამამ არ უნდა მიიპყროს ყურადღება ისეთ დროს, როცა ახალი ჯვაროსნული ომია მოსალოდნელი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ებრაელების დევნა, ორმაგად საჭიროა ამ ბრძნული წესის დაცვა. სევილიელი იბრაჰიმისგან იუდეველობის მიღებით კი ტოლედოელი ებრაელები მთელი მსოფლიოს ყურადღებას მიიპყრობენ! ძველთაგანვე იბნ ეზრებს ტრაბახი უყვარდათ. იყვენინდენ, ბაზრის მუშაობით. დღემდე სარაგოსა, ლოგრონო და ტულუზა ჰყოფნიდათ საასპარეზოდ, ეფრაიმის ქალაქში, ტოლედოში, ისინი არ ყოფილან. ახლა კი მათ შორის ყველაზე ამაყი და საშიში გადაეკიდა!)

ღვთისმორწმუნე და ჰკვიან ეფრაიმს არ უნდოდა უსამართლო ყოფილიყო. იბნ ეზრები თავიანთი ფუფუნებითა და პატივმოყვარეობით მისი სულისათვის უცხონი იყენენ, მაგრამ მათი საგვარეულო — იგი ამას ყოველთვის აღიარებდა — ს ე ფ ა რ დ ა შ ი, ესპანეთის ისრაელში, ყველაზე დიდებული საგვარეულო იყო. მათი ოჯახებიდან გამოვიდნენ მეცნიერები, პოეტები, მეომრები, ვაჰრები, დიპლომატები, რომელთა-სახელები საყოველთაოდ ცნობილია მუსლიმანურ და ქრისტიანულ ქვეყნებში, — იუდეველთა მშვენიება და სიამაყენი. რაც მთავარია, ებრაელთა დევნის საშინელ წლებში დიდსულოვნად ეხმარებოდნენ თავის ხალხს. მათ ათასობით ებრაელი გამოისყიდეს წარმართთა ტყვეობიდან და ათასობით ებრაელს მისცეს თავშესაფარი სეფარდასა და პროვანსში. სწორედ ეს იბნ ეზრა, რომელიც ახლა მის წინ იჯდა, ღვთისაგან უხვად იყო დაჯილდოებული, ყველაზე მძიმე პერიოდში სევილიის მსხვილ ვაჰართა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა. მაგრამ არ მოხდეს ისე, რომ ამ კაცმა თავისი პატივმოყვარეობითა და თავხედური ქედმაღლობით ისრაელებს ლოცვა-კურთხევის მაგივრად უბედურება დაატეხოს თავს!

ღონ იეჰუდას სიტყვების შემდეგ სწრაფად გაიფიქრა ყოველივე ეს ღონ ეფრაიმმა და იმ წუთშივე პატივისცემით დასძინა: — ჩვენთვის უდიდესი პატივია შენი აქ მოსვლა. ღმერთმა გამოუზავნა ტოლედოს ალჰამას საჭირო დროს საჭირო კაცი, რომელსაც შეუძლია მისი მართვა. ნება მომეცი შენ მზრებზე გადმოვიტანო კრდე ერთი სიმძიმე — ჩემი შოვალეობა.

თავისთვის კი გაითქვრა: „ო, ყოვლისშემძლე ღმერთო, ნუ დასჯი მკაცრად ისრაელის ხალხს. შენ მოაქციე ამ მეშუმადის, რჯულგანდგომილის გული და ახლა იგი გვიბრუნდება ჩვენ. ნუ ინებებ, რომ აქ, შენ ტოლედოში, იყოყოჩოს თავისი სიმდიდრით და გაამპარტავანდეს, ნუ ინებებ, რომ სხვა ხალხთა შური და სიძულვილი გამოიწვიოს ისრაელთა მიმართ!“

ამასობაში ღონ იეჰუდამ თქვა: — არა, ღონ ეფრაიმ, შენზე უკეთ აღჰამას ვერავინ უხელმძღვანელებს, მაგრამ დიდ პატივს დამდებთ, თუ ერთ შაბათ დღეს მომიხმობთ თორაღან საკვირაო თავის წასაკითხად, როგორც ამას ყველა კეთილი ებრაელი აკეთებს. დღესვე მომეცი ნება, ცოტათი მაინც შევამსუბუქო თქვენი ღარიბების ბედი. ნება მომეცი გადმოგცე ჩემი მცირედი წვლილი, ვთქვათ, ხუთასი ოქროს მარავედი.

ტოლედოს თემს არასოდეს არ მიუღია ასე უხვი საჩუქარი და იეჰუდას ასეთმა თავხედურმა, სულელურმა, მოჩვენებითმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოდვილმა ქედმაღლობამ შეაშინა და აღაშფოთა ღონ ეფრაიმი. არა, ეს კაცი ტოლედოს გააოცებს თავისი ბრწყინვალეობით, მაშინ ეფრაიმს აღარ შეეძლება აღჰამას პარნასად დარჩენა. — კიდევ ერთხელ კარგად მოიფიქრე ღონ იეჰუდა, — სთხოვა მან. — როცა ტოლედოში იეჰუდა იბნ ეზრა იქნება, აღჰამა ჩემით არ დაკმაყოფილდება.

— ნუ დამცინი, — მშვიდად უპასუხა იეჰუდამ, — შენზე უკეთ არავინ იცის, რომ აღჰამა მმართველად არ ისურვებს ისეთ კაცს, რომელიც ორმოცი წელი აგარიანელთა რწმენას აღიარებდა და დღეში ხუთჯერ აღაჰზე ლოცულობდა. შენ თვით არ მოინდომებ, რომ ტოლედოს თემის უხუცესად მეშუმადი იყოს. გამოტყდი, რომ ეს ასეა.

და ეფრაიმმა კვლავ იგრძნო ზიზღი და აღფრთოვანებაც იეჰუდასადმი. თვითონ ერთი სიტყვაც არ დასცდენია იეჰუდას ცხოვრების ჩრდილოვან მხარეზე. მაგრამ ეს კაცი უსირცხვილო გულახდილობით, თითქმის წყვეული სიამაყითაც კი ლაპარაკობს ამის შესახებ, როგორც საერთოდ იბნ ეზრებს სჩვევიათ. — მე არ მეკუთვნის შენი განსჯა, — თქვა მან.

— იმის შესახებაც იფიქრე, ჩემო ბატონო და მასწავლებლო ეფრაიმ. — უთხრა იეჰუდამ და პირდაპირ სახეში შეხედა მას, — რომ აგარიანელებს პირველი საშინელი შეურაცხყოფის შემდეგ არასოდეს უწყენინებიათ ჩემთვის, უფრო მეტიც, ისე ნაზად მეპყრობოდნენ, როგორც ვარდის თბილი წყალი ელაშენება სხეულს და არაფერს იშურებდნენ ჩემთვის. მათი ცხოვრების წესები შემეყვარდა და თუმც ხშირად ჩემი გული აღშფოთებულა, მაგრამ

ბევრი მათი ადათი ჩემს სხეულს მეორე კანივით შეეზარდა. იქნებ ასეც მოხდეს, რომ როცა რაიმე დიდი საქმის გადაწყვეტა მომიხდება, საშველად, ძველი ჩვეულებების მიხედვით, მუჰამედს მოვუხმობ და ყურანის პირველ ლექსებს წარმოვთქვამ. გულანდილად მითხარ, დონ ეფრაიმ, ყოველივე ეს რომ გაგეგო, განა ცთუნება არ შეგიპყრობდა განგედევნე, შეგეჩვენებინე?

დონ ეფრაიმს ეწყინა, რომ იეჰუდამ ისევ შეიცნო მისი ფიქრები. უდავოა, ფიქრობდა ის, ეს კაცი თავის საპატიო გადაწყვეტილებების მიუხედავად, ღვთისმგმობი და თავისუფლად მოაზროვნეა. ეფრაიმს ერთი წუთით მართლაც მომხიბლველად მოეჩვენა ალმემორიდან — ადგილი სინაგოგაში, სადაც კითხულობენ ცნობებს, შოფარში — ცხვრას რქაში ჩაეყვირა, რომ იეჰუდა განდევნილიაო. მაგრამ ეს მხოლოდ ამო ოცნება იყო; ასევე თავისუფლად შეეძლო სინაგოგიდან განედევნა დიდი ხალიფა ანდა მეფე. ჩვენი ბატონი.

— არც ერთ საგვარეულოს იმდენი არ გაუკეთებია ისრაელებისათვის, რაც იბნ ეზრების ოჯახმა გააკეთა, — თავაზიანად აუარა მან გვერდი პასუხს. — ყველასათვის ცნობილია, რომ შენ ჯერ ცამეტი წლისაც არ იყავი, როცა მამაშენმა განდგომილობა გარგუნა წილად. — ეპისტოლე წაგიკითხია? რომელშიც ჩვენი მბრძანებელი და მასწავლებელი მოსე ბენ მაიმონი მფარველობს იმათ; ვინც იძულებით ირწმუნა მუჰამედ წინასწარმეტყველი? — ჰკითხა იეჰუდამ. — მე უბრალო ადამიანი ვარ, — ისევ აარიდა პასუხს თავი ეფრაიმმა, — და რაბინების დავაში არ ვერევი. — დამიჯერე: დონ ეფრაიმ, — გულთბილად უთხრა იეჰუდამ, — არ ყოფილა დღე, რომ საღვთო წერილი არ გამხსენებოდა. სევილიაში, ჩემს სახლში, სარდაფის პალატებში სინაგოგა მოვაწყე და დიდ ღღესასწაულებში იქ ათი კაცი თავს ვიყრიდით და ვლოცულობდით წესის მიხედვით. და როცა აქ გადმოვალ, მაინც ვიზრუნებ იმისათვის, რომ ჩემი სინაგოგა სევილიაში ისევ არსებობდეს. აბდულა ემირი დიდსულოვანი ადამიანია და ჩემი მეგობარი: იგი თვალს დახუჭავს!

— როდის გაქვს განზრახული ტოლედოში გადმოსახლება? — იკითხა დონ ეფრაიმმა. — ეფიქრობ, სამ თვეში. — უპასუხა იეჰუდამ. — თუმცა უბრალოდ ვცხოვრობ, მაგრამ უფლებას მომცემ, როცა ჩამოხვალ ჩემი სტუმარი იყო? — უთხრა ეფრაიმმა. — მადლობელი ვარ. — უპასუხა იეჰუდამ. — (მე უკვე ვიზრუნე თავშესაფარზე. მეფისაგან, ჩვენი ბატონისაგან კასტილიო დე კასტრო შევაძინე. მან გადაწყვიტებ ჩემთვის, ჩემი შვილების, ჩემი მეგობრებისა და მსახურებისათვის.)

დონ ეფრაიმა შიში ველარ დამალა. — დე კასტროები, — გააფრთხილა მან, — ყველაზე შურისმაძიებლები არიან რიკოს-ომბრეს-თაგან. როცა მეფემ მათ სახლი წაართვა, საშინელი მუქარა დაიწყეს. უდიდეს შეურაცხყოფად ჩასთვლიან, თუ ახლა მათ ყოფილ სახლში იუდა იცხოვრებს. ამას დაუფიქრდი, დონ იეჰუდა. დე კასტროები საკმაოდ ძლიერნი არიან, მათ ბევრი მომხრე ჰყავთ. შენსა და მთელი ისრაელი ხალხის საწინააღმდეგოდ ნახევარ სამეფოს ამხედრებენ.

— გაფრთხილებისათვის გმადლობთ, დონ ეფრაიმ, — უთხრა იეჰუდამ, — ყოვლისშემძლემ უშიშარი გული მიბოძა-

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

დონ იეჰუდას მმართველი და მდივანი იბნ ომარი, ტოლედოში ჩამოვიდა და მეფის სიგელი ჩამოიტანა. თან ჩამოჰყენენ მუსლიმანი ხურთთმოდვრები, მხატვრები და ზელოსნები. კასტილიო დე კასტროში მუშაობა გაჩაღდა. ისე სწრაფად და ხარჭების დაუზოგავად მიმდინარეობდა შენობის გადაკეთება, რომ ამან ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. შემდეგ სევილიიდან ჩამოვიდა ყველ შინამსახური, მათ ავეჯითა და კურკლეულით დატვირთული ოთხთვალეები, ოცდაათი ჯორი და თორმეტი ცხენი ჩამოჰყვა. ათასნაირი ხმები ვრცელდებოდა უცხოელზე, რომელიც ტოლედოში უნდა ჩამოსულიყო.

ადრ, ისიც ჩამოვიდა. თან ჩამოჰყენენ ქალიშვილი რაკელი, ვაჟი ალაზარი და ახლო მეგობარი — მკურნალი მუსა იბნ დაუდი.

იეჰუდას ძლიერ უყვარდა თავისი შვილები და ძალიან აფიქრებდა, როგორ შეეგუებოდნენ გააზიზებულ სევილიაში გაზრდილები ტოლედოს მკაცრ ცხოვრებას.)

გამრჯე, თოთხმეტი წლის ალაზარს, რა თქმა უნდა, მოეწონება უხეში რაინდული ყოფა, მაგრამ როგორ იგრძნობს თავს რეხია? მისი საყვარელი რაკელი?

ნაზი მზრუნველობით შეჰყურებდა იეჰუდა გვერდით მომავალ ქალიშვილს, რომელსაც, წესისამებრ, სამგზავროდ ვაჟის ტანსაცმელი ეცვა. ადვილად შეიძლებოდა იგი ვაჟად ჩაეთვალათ, უნაგირზე თუმც ოდნავ უხერხულად, კუთხურად, ბავშვურად, მაგრამ შინც

გაბედულად იჯდა. ხშირი, შავი თმები ქუდის ქვეშ ძლივს ეტეოდა. დიდი, მონაცრისფრო-ცისფერი თვალებით დაკვირვებულად ათვალიერებდა იმ ქალაქის ადამიანებსა და სახლებს, რომელიც მისთვის სამშობლო უნდა გამხდარიყო.

იეჰუდამ იცოდა: რაკელი ყოველნაირად ეცდებოდა, ტოლედო თავის სამშობლოდ გაეხადა. სევილიაში დაბრუნებისთანავე აუხსნა ქალიშვილს, თუ რამ აიძულა აქედან წასულიყო. ჩვიდმეტი წლის გოგონას გულახდილად, თანატოლივით ესაუბრებოდა, თითქოს ისიც მასავით გამოცდილი ყოფილიყოს. იეჰუდა გრძნობდა, რომ მისი რაკელი, თუმცა ხანდახან ძალიან ბავშვურადაც იქცეოდა, კარგად გაუგებდა მას, რაკელი მისი შვილია. იგი, — სწორედ ამ საუბრის დროს ვახდა ეს ცხადი — ნამდვილი იბნ ეზრაა, გაბედული, ჭკვიანი, ყოველივე ახლის მხარდამჭერი, გულღია და მდიდარი ფანტაზიის მქონე.

მაგრამ იგრძნობს თუ არა აქ თავს თავისუფლად, ქრისტიანთა და მეომართა შორის? ვაითუ ცივ, პირქუშ ტოლედოში იღარდოს თავის სევილიაზე? სევილიაში იგი ყველას უყვარდა. არა მარტო თანატოლ მეგობრებს, არამედ ემირიის ახლობლებსაც. მცოდნე, ჭკვიანი დიპლომატები, პოეტები და მხატვრები სიხარულით უსმენდნენ ამ, ჯერ კიდევ ნახევრად ბავშვის, გულუბრყვილო, მოულოდნელ შეკითხვებსა და შენიშვნებს.

ასე თუ ისე, ისინი უკვე ტოლედოში არიან, და ეს კასტილიოდე კასტროა, რომელიც ამიერიდან მათ ეკუთვნის და კასტილიო იბნ ეზრა დაერქმევა.

იეჰუდა ნასიამოვნები და გაოცებული დარჩა, რომ ამ პირქუშ სახლში მოკლე დროის განმავლობაში ამდენი რამ გაეცეთებინათ მის გამოცდილ, ერთგულ ხელოსნებს. ქვის იატაკი, რომელზედაც წინათ ყოველი ფეხის ნაბიჯი ხმაურს გამოსცემდა, ფაფუკი სქელი ხალიჩებით იყო მოფენილი. კედლების გასწვრივ რბილი სავარძლები დაედგათ, ლამაზი მუთაქებითა და ბალიშებით, წითელი და ლაქვარდისფერი მოოქროვილი ფრიზები ამშვენებდნენ პალატების კედლებს. თვალს მოგტაცებდათ საოცრად ლამაზ ორნამენტებში ჩაქსოვილი არაბული და ებრაული წარწერები. ჭკვიანურად მოფიქრებული წყალგაყვანილობის მილები მიედინებოდა პატარა შადრევნებისაკენ, რომელიც იქაურობას აგრილებდა. უშველებელი პალატი მოეწყოთ იეჰუდას წიგნებისათვის. მაგიდებზე ელაგაჰ პრელი, საგანგებოდ შესრულებული ინიციალებითა და თავსამკაულებით მორთულ გვერდებზე გადაშლილი წიგნები.

აი, პატრიოც — ის ეზო, სადაც მან ეს დიდი გადაწყვეტილება

მიიღო. აი, შადრევანი, რომლის კიდეზეც იგი იჯდა. სწორედ ასე ჰქონდა მას ყველაფერი წარმოდგენილი. უხმაუროდ და თანაზომიერად სჩქევს წყლის ნაკადები. ხეების ხშირ ფოთლების ქვეშ, საიდანაც მუქი ყვითელი ფორთოხლები და ღია-მრყეთალო ლიმონები მოჩანს, იგრძნობა მღვმარება. ხეები საგანგებოდაა შეკრეკილი, ფერადი ყვავილების ბუჩქები ღიდი გემოვნებითაა შერჩეული და ყველგან საამოდ მოწანწკარებს წყალი.

ღონა რაკელი ფართოდ გახელილი თვალებით ჩუმად, ყურადღებით ათვალისწინებდა ახალ სახლს სხვებთან ერთად და გუნებაში კმაყოფილი იყო. შემდეგ მისთვის განკუთვნილი პალატებისაკენ გასწია ტანზე შემოტმასნული ვაჟური ნამგზავრი ტანსაცმელი გაიხადა და მტერისა და ჭუჭყის მოსაცილებლად გაემართა.

მისი საწოლი ოთახის გვერდით სააბაზანო იყო. შორენკეცით მოფენილ იატაკზე ღრმა აუზი გაეკეთებინათ, რომელშიც თბილი და ცივი წყლის მილები გადიოდა. ღონა რაკელი ბანაობდა. გაღია საადი და მოახლე ფატიმა ემსახურებოდნენ მას. იგი ნებივრობდა თბილ წყალში და უყურადღებოდ უსმენდა გადიასა და მოახლის ლაყბობას.

მერე კი სულ ადარ უგდებდა ყურს მათ და ფიქრებს მიჰყვა.

აქ ყველაფერი ისევე იყო, როგორც სევილიაში, თვით აბაზანაც კი, რომელშიც იწვა. მაგრამ იგი უკვე რეხია კი არა, ღონა რაკელია.

მგზავრობისას მის ყურადღებას იპყრობდა სულ ახალი და ახალი შთაბეჭდილებები და ვერც კი მოასწრო გააზრება, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ახლა აქ, აბაზანაში მშვიდად ჩაწოლილმა, მთელი სიძლიერით შეიგრძნო გარდაქმნა. სევილიაში რომ ყოფილიყო, თავის ლეილასთან გაიქცეოდა და ყოველივეს უამბობდა. ლეილა ჯერ კიდევ სულელია, მას არაფერი ესმის და ვერაფრით უშველიდა, მაგრამ მაინც მისი მეგობარია. აქ მეგობრები არა ჰყავს. მისთვის ყველა და ყველაფერი უცხოა. აქ არაა მეჩეთი ასხარი; არც მეჩეთის მინარეთიდან ისმის მუეძინის ყვირილი, რომელიც გაბანაზე და ლოცვაზე მოუხმობდა ხალხს. ასხარის მუეძინიც ისევე ყვიროდა, როგორც სხვები, მაგრამ რაკელი მას ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული. აქ არ არის ხატიბა, რომელიც ყურანში მისთვის გაუგებარ ადგილებს განუმარტავს. აქ ცოტანი არიან ისეთები, ვისთანაც თავის საყვარელ არაბულ ენაზე შეიძლება ისაუბროს, მას უნემშ, სასაცილო კილოზე მოუხდება ლაპარაკი და მის ირგვლივაც უხეში ხმისა და უხეში ქცევების, მკაცრი აზრების ადამიანები იქნებიან—კასტილიელები, ქრისტიანები და ბარბაროსები.



იგი ბედნიერი იყო ნათელ, მშვენიერ სველიაში. მამამისი სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი დიდებულთაგანი იყო და რაკელიც უფრო იმიტომაც უყვარდა ყველას, რომ ასეთი მამის შვილია. რა მოელის მას აქ? გაიგებენ ვანა ქრისტიანები, რა დიდი კაცია მამამისი? მოეწონებათ თუ არა რაკელი, მისი შეხედულებები და ქცევები? ვაითუ ქრისტიანებსაც ისევე უცხოდ და სასაცილოდ მოეჩვენათ რაკელი, როგორაც ძინი ეჩვენება მას?

და შემდეგ კიდევ ის, რაღაც დიდი და ახალი: ახლა იგი ყველასათვის ებრაელია.

რაკელი მუსლიმანური რწმენით გაიზარდა. მაგრამ ჯერ სულ პატარას, — ეს მოხდა დედის სიკვდილის შემდეგ, როცა ხუთი წლისა თუ იქნებოდა, — მამამ გაიხმო და სერიოზულად, ჩურჩულით უთხრა, რომ იგი იზნ ეზრების შთამომავალია, და ეს მისთვის ყველაფერზე დიდი, სანუკვარი და გულის საიდუმლო უნდა გახდეს, რომ ამის შესახებ არავისთან არ შეიძლება საუბარი (გვიან, როცა წამოიზარდა, მამამ ვანდო, რომ იგი მუსლიმანია, მაგრამ იუდეველიცაა, და ქალიშვილს ებრაელთა სარწმუნოებასა და ზნეჩვეულებებზე ესაუბრა.) იეჰუდა არ აიძულებდა რაკელს, რომ იუდეველთა ადამ-წესები შეესრულებინა. მაგრამ, როცა რაკელი გულუბრყვილოდ შეეკიფხა, რომელი ერწმუნა და როგორ მოქცეულიყო, მამამ მეგობრულად უპასუხა: — მე არ შემიძლია იძულებით მოგახვიო თავს რომელიმე სარწმუნოება, როცა გაიზრდები, შენ თვითონ გადაწყვიტე, იკისრებ თუ არა ამ საშიში ნაბიჯის გადადგმას, რომ ფარულად აღიარო იუდეველთა სარწმუნოება.)

ის ამბავი, რომ მამამ თვით მიანდო არჩევანი, მის თავმოყვარეობას სიამაყეს მატებდა.

ერთხელ თავი ვერ შეიკავა და თავისდაუნებურად ლეილას გაანდო, რომ იგი იზნ ეზრების შთამომავალია, მაგრამ ლეილამ სრულიად მოულოდნელად, უბრალოდ უპასუხა: „ვიცი“ — და ღუმილის შემდეგ დაუმატა: „საბრალოვ“.

რაკელს თავისი საიდუმლოების შესახებ ლეილასთან აღარასოდეს უსაუბრია. მაგრამ უკანასკნელი შეხვედრის დროს აქვითინებულმა ლეილამ ჩაიბუტბუტა „წინასწარ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა“.

ლეილას გაბედულმა, სულელურმა სიბრაულმა გაუღვიძა რაკელს სურვილი, დაწვრილებით გაცნობოდა, თუ ვინ იყვნენ ებრაელები, რომლებსაც ეკუთვნოდნენ ის და მამამისი. მუსლიმანები მათ „დიდი წიგნის ხალხს“ ეძახდნენ. მაშასადამე, პირველ რიგში ამ წიგნის წაკითხვა იყო საჭირო.

რაკელმა სთხოვა მუსა იბნ დაუდს, ძია მუსას, რომელიც მათთან ცხოვრობდა, დიდად განსწავლული კაცი იყო და რამდენიმე ენას ფლობდა, ესწავლებინა მისთვის ებრაული. რაკელი ყველაფერს ადვილად ითვისებდა და მალე შესძლო „დიდი წიგნის“ წაკითხვა.

რაკელს პატარაობიდანვე უყვარდა ძია მუსა, მაგრამ უფრო ახლოს მეცადინეობის პერიოდში გაიცნო, მათი ოჯახის უახლოესი მეგობარი, მალალი, გამხდარი მამაკაცი, მამაზე უფროსი იყო. იგი ხან ღრმა მოხუცი ჩანდა, ხან კი საოცრად ახალგაზრდა. მის გამხდარ სახეს, დიდი მოკაუჭებული ცხვირით, საოცარ ნათელს ფენდა მშვენიერი თვალები, რომელთა მზერა ადამიანს სულში წვდებოდა. მან ბევრი გადაიტანა. მამა უამბობდა, რომ მუსას ასეთი დიდი ცოდნისა და სულიერი თავისუფლების მოსაპოვებლად უდიდესი ტანჯვის ატანა მოუხდა. მაგრამ მუსა ამის შესახებ არ ლაპარაკობდა. სამაგიეროდ ჯერ კიდევ პატარა რაკელს შორეულ ქვეყნებში მცხოვრებ იშვიათ ადამიანებზე მოუთხრობდა და ის ბევრად უფრო საინტერესოდ ეჩვენებოდა, ვიდრე ზღაპრები და ისტორია, რომელთა კითხვა და მოსმენა უყვარდა იმიტომ, რომ მისი მეგობარი ძია მუსა, რომელსაც ყველაფერი თავისი თვლით ენახა და განეცადა, მის გვერდით იჯდა.

მუსა მუსლიმანი იყო და ყველა წესს მკაცრად იცავდა. მაგრამ სარწმუნოებაში მერყეობდა და არც მალავდა, რომ ეეჭვებოდა ყველაფერი, გარდა მეცნიერებისა. ერთხელ, როცა რაკელს ისაია წინასწარმეტყველს უკითხავდა, ასე უთხრა: — ეს უდიდესი პოეტი იყო, შესაძლოა მუჰამედ წინასწარმეტყველზე და ქრისტიანთა წინასწარმეტყველზე უფრო დიდი.

ასეთი საუბრები აცბუნებდა. ჰქონდა თუ არა მუსლიმან ქალს ებრაული „დიდი წიგნის“ კითხვის უფლება? როგორც ყველა მუსლიმანი, იგი ყოველდღიურად ამბობდა ყურანის პირველ სურას, ზოლო იქ, უკანასკნელ მეშვიდე ლექსში მორწმუნენი ევედრებიან ალაჰს ააცდინოს იმათ გზას, ვისზედაც იგი გამწყრალია. ხატბმა, რაკელის მეგობარმა ასხარის მეჩეთიდან, აუხსნა, რომ ალაჰის გამრისხებულებად ებრაელები იგულისხმება, როცა ალაჰმა მათ უბედურება დაატეხა თავს, ამით ცხადყო თავის რისხვა ებრაელების მიმართ. ვაითუ „დიდი წიგნის“ კითხვამ მცდარ გზაზე დააყენოს იგი. ძალა მოიკრიბა და მუსას ჰკითხა. მუსამ დიდხანს უყურა რაკელს ალერსიანად და უთხრა, რომ მათ იბნ ეზრას, ალაჰი, აშკარაა, არ განრისხებია.

მუსას სიტყვები რაკელმა დამაჯერებლად ჩათვალა. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მამამისს ალაჰი წყალობს. მან მამას არა

მარტო სიბრძნე და კეთილი გული უბოძა, არამედ ყოველგვარი სიკეთე და დიდი პატივიც მიაგო.

რაკელს უყვარდა მამა, რადგან მის თვალში იგი განხორციელება იყო რაკელის მიერ სიამოვნებით მოსმენილი ზღაპრულ სამყაროსა და ისტორიის ყველა გმირის, კეთილი მმართველების, ჰქვიანი ვეზირების, ბრძენი მკურნალების, კარისკაცებისა და ჯადოქრების, ასევე სიყვარულით აღგზნებული ახალგაზრდა კაცების, რომელთა წინაშე ქალები ქედს იხრიდნენ. გარდა ამისა, მამა გულით მეტად საშიშ საიდუმლოს ატარებდა — იგი იბნ ეზრების შთამომავალი იყო.

მას გულში ღრმად აღებეჭდა ის გაუგებარი, ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები, რომლებიც მამამ ბავშვს გაუმხილა, რომ იგი იბნ ეზრების შთამომავალია. შემდეგ უფრო მნიშვნელოვანმა სიტყვებმა დაჩრდილეს წინათ ნათქვამი. ჩრდილოეთ სეფარდაში, ქრისტიანულ ესპანეთში დიდი ხნის მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მამამ დამარტოხელა და მაშინდელივით ისევ ჩურჩულით გაანდო, რა საფრთხე ელოდა სევილიაში ფარულ ებრაელებს, თუ ნახევარკუნძულზე წმიდა ომი იფეთქებდა. შემდეგ მეზღაპრესავით, ოდნავ ხუმრობით დაუმატა: „ახლა კი, ალაპის ერთგულნი, იწყება ამბავი მესამე ძმის შესახებ, რომელიც დღის სინათლეს გაშორდა და მღვიმის მოოქროსფრო ბინდს შეაფარა თავი“. გონიერი რაკელი მაშინვე მიაუხვდა და ზღაპრის მსმენელის ტონით მისცა შეკითხვა: „რა დაემართა მესამე ძმას?“ — „ამის გასაგებად მეც მღვიმეს უნდა მივაშურო“, — უთხრა მამამ და სანამ ლაპარაკობდა, სიყვარულით სავსე, მაგრამ გამომცდელი თვალი არ მოუშორებია რაკელისათვის. მერე ცოტახანი შეიცადა, ვიდრე რაკელი გაერკვეოდა მის მიერ განდობილ ამბავში, შემდეგ ისევ განაგრძო: „ბავშვობისას, ჩემო შვილო, თუ გახსოვს გითხარი, რომ დადგება დღე, როცა შენი ბედი შენვე უნდა გადაწყვიტო-მეთქი. აი, ეს დღეც დადგა (არ გავალდებულე ჩემს გზას მიჰყვე, არც უარს გეუბნები. აქ საკმარის ბევრი მამაკაცია, ახალგაზრდები, ჰქვიანები, განათლებულები, ჩინებულები, რომლებიც სიამოვნებით შეგიერთავენ ცოლად. თუ შენი სურვილიცაა, ერთ-ერთ მათგანს მიგათხოვებ და ჩვენთვის საკადრის მზითვებს გვატან. კარგად იფიქრე და ერთი კვირის შემდეგ მითხარი რა გადაწყვიტე“. რაკელმა უყოყმანოდ უპასუხა: „იქნებ პატივი დამდო, მოილო მოწყალება და ეხლავე მკითხო?“ „იყოს ნება შენი, ახლავე გეკითხები“, — უთხრა მამამ და რაკელმა უპასუხა: „მამაჩემი ცუდს არაფერს გადაწყვეტდა და მისი გადაწყვეტილება ჩემი გადაწყვეტილებაცაა“.)

რაკელს გული თბილი გრძნობით აევსო, როცა მიხვდა, თუ რა ახლობლები იყვნენ ერთმანეთისთვის. მამასაც სიხარულმა გაუბრწყინა სახე.

მერე მამამ უამბო რაკელს ებრაელთა მიერ განვლილ მძიმე დღეთა შესახებ, რომ მუდამ საფრთხეში მცხოვრებთ ახლაც ებტერებიან მუსლიმანები და ქრისტიანებიც. სწორედ ეს არის თავის რჩეული ხალხისადვის ღვთისაგან მოვლენილი დიდი გამოცდა. საუკუნეების მანძილზე ნაცად ამ ხალხთა შორის ამორჩეული იქნა ერთი საგვარეულო: იბნ ეზრების. ღმერთმა მას მოუწოდა იბნ ეზრების საგვარეულოდან. ხმა ღვთისა ესმა მას და უპასუხა „მეც აქა ვარო“. და თუ დღემდე ებრაელთა სამყაროს მოშორებული ცხოვრობდა, ამიერიდან ვალდებულია ებრაელთა შორის იცხოვროს.

მამამ შეიღს რომ გული გადაუშალა და შიგ ჩაახედა, მიენდო ისე, როგორც შეილი ენდო მას — ამან ისინი ერთმანეთს საბოლოოდ დააკავშირა.

ახლა, როცა ჩამოვიდნენ დანიშნულ ადგილას, აბაზანაში რაკელს თითქოს ისევ ესმოდა მამის სიტყვები. თუმც, ამ სიტყვებს დროდადრო მისი მეგობრის, ლეილას უნუგეშო ტირილი ახშობდა. მაგრამ სულელმა პატარა ლეილამ არაფერი იცოდა, და არაფერი ესმოდა. რაკელი ბედს უმადლოდა, რომ იბნ ეზრა იყო და რაღაც დიდის მოლოდინში ბედნიერად გრძნობდა თავს.

ოცნებისგან გამოერყვა და ისევ ჩაესმა მისი საყვარელი, სულელი მოხუცი გადიას, საადისა და მოფუსფუსე ფატიმას ლაუბობა. ორივენი გარბი-გამორბოდნენ სააბაზანოსა და საძინებელ ოთახს შორის და ვერაფრით ვერ შეგუებოდნენ ახალ სამყოფელს. რაკელი გააყინა მათმა საქციელმა და ანცობა მოუნდა, ისე როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე.

იგი წამოდგა. სხეული თავიდან ფეხებამდე ჩაითვალიერა. ეს შიშველი, წყლის წვეთებით დანამული, შავგვრემანი გოგონა ამიერიდან რეხია კი არა, დონა რაკელი იბნ ეზრა იყო. იგი კისკისით შეეკითხა გადიას: — რაო, მე უკვე ის აღარა ვარ? მამჩნევ, რომ ის აღარა ვარ? მითხარი ჩქარა! — და რადგან მოხუცი ქალი იმ წუთში ვერ მიუხვდა, რაკელი კისკისს განაგრძობდა და დაჟინებით მოითხოვდა პასუხს. — ახლა მე ხომ კასტილიელი, ტოლედოელი. ებრაელი ქალი ვარ! — შეწუხებულმა გადიამ ცივი ხმით დაიწყო ენის ტარტარი: — ღმერთს ნუ სცოდავ, რეხია, ჩემო თვალისჩინო, ჩემო შეილო, შენ მართლმორწმუნე ხარ. ხომ გწამს წინასწარმეტყველი. — ფიქრებში წასულმა რაკელმა ღიმილით უპასუხა: — წინასწარმეტყველის წვერს გეფიცები, გადიავ, აღარ ვიცი ტოლედოში

მწამს თუ არა მეუპამედ წინასწარმეტყველი. — მოხუცი ქალი შიშისაგან შეერთა. — ალაპი იყოს შენი მფარველი, რეხია, ჩემო შვილო, — თქვა მან. — ასეთ რამეზე არ უნდა იხუმრო. — მაგრამ რაკელი არ ჩუმდებოდა: — კეთილი ინებე და ახლავე რაკელი დამიძახე! — და მან წამოიყვირა: — რაკელ! რაკელ! რაკელ! — უცებ წყალში გადაეშვა და გაღია გაწუწა.

ღონ ალფონსომ იეპულა სასახლეში გამოცხადებისთანავე მიიღო. — როგორაა საქმე, ჩემო ესკრივანო? — ჰკითხა მან ნაძალადევი თავაზიანობით.

იეპულამ დაწვრილებით უამბო. მისი რეპოზიტარიები, კანონმდებლები, უკვე ბაჟისა და გადასახადების სიებს ამოწმებენ და აზუსტებენ. რამდენიმე კვირის შემდეგ მას ზუსტად ეცოდინება ციფრები. ეასტილიაში მოწვეულია ასოცდაათი მცოდნე ადამიანი, უმთავრესად მუსლიმანური ქვეყნებიდან, მაგრამ აგრეთვე პროვანსიდანაც, იტალიიდან და თვით ინგლისიდანაც კი. ისინი მოაწესრიგებენ სოფლის მეურნეობას, სამთო საქმეს, ხელოსნობას და გააუმჯობესებენ საგზაო ქსელს. იეპულას მოჰყავდა ცალკეული დაზუსტებული ციფრები, იგი თავისუფლად ლაპარაკობდა, ყველაფერი ზეპირად ახსოვდა.

მეფე თითქოს უყურადღებოდ უსმენდა, მაგრამ როცა იეპულამ დაამთავრა ლაპარაკი, შენიშნა: — განა არ გეცნაუბრია დიდ ცხენთსაშენზე, შენ რომ უნდა გააშენო? ამაზე არაფერი გითქვამს მოხსენებაში. გარდა ამისა, ოქროს საქმის ოსტატებსაც შემპირდი, რომლებსაც საკუთარ ოქროს ფულს გამოვაჭრევიებდი, ამისათვის რღონე რაიმე?

თავის მრავალრიცხოვანი მოხსენებით ბარათებში იეპულა მხოლოდ ერთხელ შეეხო ცხენთსაშენის გაუმჯობესებისა და ერთხელ ზარაფხანის საქმეს. იეპულა გააოცა ღონ ალფონსოს მეხსიერებამ. — ღვთისა და შენი წყალობით, მეფევე ბატონო, — უპასუხა მან, — იქნებ ას თვეში გავაკეთოთ ის, რაც ასი წლის მანძილზე არ გაკეთებულა. რაც ამ სამ თვეში გავაკეთე, ჩემი აზრით, ცუდი დასაწყისი არ უნდა იყოს.

— ცოტა რამ გაკეთებულია, — დაეთანხმა მეფე. — მაგრამ მე დიდი ლოდინის უნარი არა მაქვს. გულახდილად გეუბნები, ღონ იეპულა, ასე მგონია, უფრო მეტ ზარალს მომიტან, ვიდრე სარგებელს, წინათ ჩემ ბარონებს, მართალია უხალისოდ. და დავით, მაგრამ მაინც შემოპქონდათ წვლილი სამხედრო საჭიროებისათვის, როგორც მეუბნებიან — სწორედ ეს შეადგენდა ხაზინის მთავარ შემოსავალს. ახლა, როცა შენ ჩემი ესკრივანო ხარ, მრავალწლიან მოსაწყენ ზავს იმიზეზებენ და არაფერს იხდიან.

იეჰუდა გაბრაზდა, რომ მეფემ ეს არაფრად ჩააგდო, უმადურობა გამოიჩინა და რაღაც საყვედურიც კი გამოთქვა, იგი ნანობდა, რომ დონა ლეონორი ბურგოსში იყო; ამ ჰკვიანი, მხიარული ქალის თანქასწრებით, საუბარიც მეგობრულად წარიმართებოდა. მაგრამ იეჰუდამ თავი შეიკავა და თავაზიანი ირონიით მიმართა:—ამ შემთხვევაში შენი გრანდები უპრივილეგიო ქვეშევრდომებს გვანან. როგორც კი საქმე გადასახადს შეეხება, ისინი მაშინვე უარის სათქმელ მიზეზს ეძებენ, მაგრამ შენი ბარონების მოსაზრებანი მერყევია და ჩემი გამოცდილი კანონმდებლები დამაჯერებელი საბუთებით იოლად აბათილებენ მათ. სულ მალე მოგმართავ მორჩილი თხოვნით, შემაგონებელი წერილები დაუგზავნოთ შენს რეკოს-ომბრესს, რომელიც ამ საბუთებს ემყარება.

ტომც გრანდების თავხედობა და კულდაზიკობა აღშფოთებდა, მაგრამ ებრაელი რომ ასე უპატივეცემლოდ იხსენიებდა, ამან გააბრაზა მეფე. ალფონსო ბრაზობდა, რომ ებრაელი ესაჭიროებოდა და იგი არ ნებდებოდა:—შენ მომახვიე თავს ეს ოხერი რვაწლიანი ზავი და ახლა კი მდგომარეობიდან გამოსასვლელად იძულებული ვარ ათასგვარ ვაჭრულ ხრიკებსა და ფორმალობას მივმართო.)

ტეჰუდამ თავი შეიკავა. — შენი მრჩევლები, — უპასუხა მან, — დათანხმდნენ მაშინ, რომ ხანგრძლივი ზავი სასარგებლო იყო არა მარტო სევილიის ემირისათვის, არამედ შენთვისაც. მიწათმოქმედება და სარეწაოები გავერანებულია. შენი ბარონები ბიურგერებსა და გლეხებს ჩაგრავენ. შენ ნამდვილად გჭირდება რამდენიმე მშვიდობიანი წელი, რომ ყველაფერი ეს შესცვალო.)

— დიახ, — დანანებით თქვა ალფონსომ. — იძულებული ვიქნებით, შორიდან ვუყუროთ, სხვები როგორ ომობენ ურჯულოებთან. შენ კი ამ დროს იმოქმედებ და შენ საქმეს გააკეთებ.

— საქმეებზე კი არ არის ლაპარაკი, მეფევ ბატონო, — ისევ მოთმინებით სცადა იეჰუდამ თავისი ბატონისათვის შთაეგონებინა. — შენი გრანდები გადიდგულდნენ, იმიტომ რომ მათ გარეშე გაგვირდებოდა ომის დროს, ახლა კი უნდა შეაგნებინო, რომ შენ მეფე ხარ.

ალფონსო იეჰუდას მიუახლოვდა და სახეში ჩახედა თავისი ნაცრისფერი თვალებით, უცნაურად რომ უბრწყინავდა. — როგორი შემოსავლელი გზები მონახე, ჩემო ეშმაკო, ბატონო ესკრივანო, — ჰკითხა მეფემ, — რომ ჩემი ბარონებისაგან შენი ფული ერთი ასად აიღო?

იეჰუდა არ შედრკა: — ჩემ ხელთ დიდი კრედიტია, მეფევ ბატონო, და მაშასადამე, ბევრი დროც. ამიტომ შემიძლია დიდი თანხა

ვასესხო შენს ბრწყინვალებას და არ მეშინია თუ დიდხანს მომიხდება ლოდინი ასანაზღაურებლად. აი, სწორედ ამ მოსაზრებებზეა აგებული მთელი ჩემი გეგმა. ჩვენ გრანდებისაგან მოვითხოვთ, რომ მათ აღიარონ შენი უფლება გადასახადებზე, მაგრამ გადახდაზე არ დავაჩქარებთ. თანდათან გადავუწევთ ვადას. სამაგიეროდ მათგან საპასუხო დათმობებს მოვითხოვთ, რაც ძვირად არ დაუჯდებათ. მოვითხოვთ, რომ თავიანთ ქალაქებსა და სოფლებს მიანიჭონ ფუფუნოსი, პრივილეგიები, რომლებიც მცხოვრებლებს გარკვეულ დამოუკიდებლობას მისცემს, და ამით მივალწევთ იმას, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ქალაქები და სოფლები შენ დაგემორჩილებიან და არა შენ ბარონებს. ბიურგერები გრანდებზე უფრო ხალისიანად, ზუსტ ვადებში გადაიხდიან უფრო დიდ გადასახადებს. შენი ძლიერების წყარო ისაა, რომ გლეხები შრომისმოყვარენი იყვნენ და ქალაქის მკვიდრნი ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდნენ, მეფევე ბატონო. მიეცი მათ მეტი უფლება — და შენი ჭირვეული გრანდების ძალა შესუსტდება.

აღფონსო ძლიერ კვიციანი იყო და კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა თავისი უსინჯისო ბარონების სიჭიჭის მოტეხვა. ესპანეთის სხვა ქრისტიანულ სამეფოებშიც — არაგონში, ნავარაში, ლეონშიც სცადეს მხარი დაეჭირათ ბიურგერებისა და გლეხობისათვის გრანდების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ეს კეთდებოდა მეტად მოკრძალებულად. მეფეებიც გრანდებს ეკუთვნოდნენ და არა მღაბიობებს. ისინი რაინდები იყვნენ და საკუთარ თავსაც ვერ უმხელდნენ, რომ გრანდების საწინააღმდეგოდ იძულებული იყვნენ ბრბოს შეერთებოდნენ, და დღემდე აღფონსოსათვის ვერავის გაეხედა აშკარად შეეთაყვებინა ასეთი რამ. ამ უცხოელმა, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა რაინდობასა და თავადობაზე, თავისუფლად გახედა. მან ჩვეულებრივი სიტყვებით გამოთქვა საღი აზრები, ის, რაც უნდა გაეკეთებინათ. აღფონსო უმადლოდა იეპუდას და სძულდა იგი.

— ძალიან ცბიერი კი ხარ, მაგრამ ნუთუ სერიოზულად ფიქრობ, — დამცინავად უთხრა აღფონსომ, — მითითებებითა და ლაყბობით შეგიძლია აიძულო ნუნეისები ან არენოსები, უარი თქვან ქალაქებსა და სოფლებზე? ჩემი ბარონები რაინდები არიან და არა ვაჭრები და ადვოკატები.

იეპუდამ კვლავ არ შეიმჩნია წყენა. — ეს შენი ბატონი რაინდები, — უპასუხა იეპუდამ, — თანდათან მიხვდებიან, რომ უფლება, კანონი და ხელშეკრულება ისევე ძლიერი და ნამდვილია, როგორც მათი ციხე-კოშკები და მახვილი. დარწმუნებული ვარ, რომ შენი უდიდებულესობის კეთილი დახმარებით შეეძლებ ვასწავლო ეს მათ.

მეფეს არ უნდოდა, დონ იეჰუდას სიღინჯითა და თვითდაჯერებულობით მასზე მოხდენილ შთაბეჭდილებას აპყროლოდა, ამიტომ ჭიუტად განაგრძობდა: — ბოლოს და ბოლოს შეიძლება მათ რომელიმე უბადრუკ ქალაქს თავისუფლად ვაკრობის უფლება მისცენ, მაგრამ გამოსაღებს არ გადამიხდინან, წინასწარ გეუბნები. და მათ ამის უფლება აქვთ. მშვიდობიანობის დროს ვალდებულნი არ არიან, გადასახადები იხადონ. როცა მეფედ მაკურთხენ, ფიცი მივეცი მათ ამის შესახებ. ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით დავუმტყიცე lo el rey. ახლა შენი სიბრძნის წყალობით მრავალი წლის განმავლობაში ომი არ იქნება. აი, რას იმოწმებენ და რატომ ჭიუტობენ.

— მაპატიე, მეფეო, — საოცარი სიმშვიდით თქვა დონ იეჰუდამ, — რომ მეფეს ვიცავ მეფისაგან. შენი ბარონები არ არიან მარხულები და მათი მოსაზრებები უსუსურია. ომი, ღრმად დარწმუნებული ვარ, რვა წლის განმავლობაში არ იქნება, მაგრამ შემდეგ კი, თუ შენ არ შეიცვლები, ომი გარდაუვალაა. გრანდები კი ვალდებული არიან სამხედრო დახმარება აღმოგიჩინონ. მე როგორც თქვენი ესკრივანო, ვალდებული ვარ, წინასწარ ვიზრუნო მომავალ ომზე. ე. ი. ახლავე უნდა დავიწყო ფულების შეგროვება ამისათვის. უგუნურება იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ნაუცბათევად შეიძლება საჭირო თანხის შოვნა ომის დაწყებისთანავე. ჩვენ მხოლოდ შემოვიღებთ ერთწლიან მცირე გადასახადებს. ჭერჯერობით მხოლოდ შენი ქალაქებიდან დაიწყებთ, მათ გარკვეულ შეღავათებს მივცემთ და ისინი სიამოვნებით გაგიწევენ საომარ დახმარებას: ბარონები მოქალაქეებზე ნაკლებ რაინდობას არ გამოიჩენენ და არც გაგაწბილებენ იმაზე, რაზედაც მოქალაქენი არ გეუბნებიან უარს.

დონ იეჰუდამ შეიცადა, ვიდრე ალფონსო მის ნათქვამს გაიაზრებდა. მერე კი გამარჯვებაში დარწმუნებულმა კვლავ განაგრძო საუბარი: — გარდა ამისა, მეფევ ბატონო, შენი მაღალი რაინდული დიდსულოვნებით გრანდებს. აიძულებ დათანხმდნენ ცოტაოდენ დამატებით გადასახადებზე. — კიდევ რა მოიფიქრე? — უნდობლად ჰკითხა დონ ალფონსომ. — იმ უიღბლო ლაშქრობის შემდეგ, — განუმარტა იეჰუდამ, — სევილიელ ემირს ჯერ კიდევ დარჩა ბევრი ტყვე. შენმა ბარონებმა ვალდებულება კი აიღეს გამოისყიდონ ტყვეები, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ შესრულებაზე. — დონ ალფონსო გაწითლდა. კანონი და ადათი ითხოვდა, რომ ვასალი ვალდებული იყო გამოესყიდა თავისი გლეხი, ბარონს კი — თავისი ვასალი, თუ ისინი მათ სამსახურში ყოფნის დროს ტყვედ ჩავარდებოდნენ. ბარონები თავიანთ ვალდებულებას არ უარპყოდნენ, მაგრამ ამჯერად გულგრილად ეკიდებოდნენ. ისინი მეფეს ბრალს



დებდნენ, ზედმეტად აჩქარდი და ამიტომაც დაემარცხდით ომშიო. დონ ალფონსოს ყველაფერზე მეტად სიამოვნებდა ამაყად განცხადებინა: „ჩემს თავზე ვლებულობ ტყვეების გამოსყიდვას, თქვე წუწურაქებო!“ მაგრამ ამისათვის უამრავი თანხაა საჭირო, მას არ შეუძლია ლამაზი ქვის გაყიდვის ნება მისცეს თავის თავს.

მაგრამ ახლა მას გვერდით ჰყავდა იეჰუდა იბნ ეზრა, რომელმაც უთხრა: — ვბედავ შემოგთავაზო, მეფე ბატონო, ტყვეების გამოსასყიდი მოგცეთ თქვენი ხაზინიდან: გრანდებს კი, რომლებსაც ეს დიდ სარგებლობას მოეტანს, მხოლოდ ერთ რამეს მოვთხოვთ, რომ მათ სცნონ, სამხედრო გადასახადის ახლავე გადახდის ვალდებულება.

— ხაზინა გაუძლებს? — სხვათაშორის იკითხა დონ ალფონსომ.

— ამაზე მე ვიზრუნებ. მეფე ბატონო. — ასევე სხვათაშორის უპასუხა იეჰუდამ.

დონ ალფონსოს სახე გაუბრწყინდა. — დიდებული გეგმაა, — გამოტყდა იგი. მერე ახლოს მივიდა თავის ესკრივანოსთან და გულზე ჩამოკიდებულ სამკერდე ფირს შეახო ხელი. — შენ იცა შენი საქმე, დონ იეჰუდა, — გამოუტყდა ალფონსო.

მაგრამ იმწუთშივე მადლიერების გრძნობა იმის მწარე შეგრძნებამ დაჩრდილა, რომ იგი ჰკვიანი, მაგრამ მისთვის მეტად არასასიამოვნო ვაჭრისაგან სულ უფრო მეტად დავალებული რჩებოდა.

— სამწუხაროა, — გულდასმით თქვა მან, — რომ ჩვენ არ შეგვიძლია ასევე შევარცხვინოთ ბარონ დე კასტროები და მისი მეგობრები. ბარონ დე კასტროებთან, — დასძინა მან. — იცოდე, შენ გამახვიე არასასიამოვნო ამბებში.

ფაქტების ასეთმა დამახინჯებამ იეჰუდა აღაშფოთა. მეფესა და დე კასტროს შორის მტრობა ჯერ კიდევ ბავშობიდანვე დაიწყო, იგი გამწვავდა, როცა დონ ალფონსომ მათ ტოლედოს ციხე-კოშკი წაართვა. ახლა კი მეფეს უნდოდა ამ მტრობის მთელი პასუხისმგებლობა იეჰუდისათვის მოეხვია თავს. — მე ვიცი, — უპასუხა მან, — ბარონ დე კასტროები შენ გადანაშაულებენ იმაში, რომ წინადაცვეთილი ძალი ბილწავს მათ სასახლეს. მაგრამ შენთვის არც ის არის უცნობი, რომ უკვე მრავალი წელია ბარონ დე კასტროები შენზე აუგს ამბობენ.

დონ ალფონსომ გადაულაპა ეს და არაფერი თქვა. — კარგი. — მტრობის აჩეჩვით უპასუხა მან. — სცადე და ახლაც გამოიყენე შენი ხრიკები და ლინები, მაგრამ ჩემი გრანდები ჭიუტი მებრძოლები არიან, ამაში შენ მალე დარწმუნდები, დე კასტროებიც შეეცდებიან ბევრი დავიღარაბა შეგვახვედრონ.

— შენ რომ ჩემი გეგმა მოიწონე, მეფევე ბატონო, ეს დიდოწყალობაა, — უპასუხა იეჰუდამ, ცალ მუხლზე დაიჩოქა და მეფის მწითული თმებით დაფარულ, ვაჟკაცურ, უხალისოდ გამოწვეილ ძლიერ ხელს ეამბორა.

მეორე დღეს იბნ ეზრას კასტილიოში დონ მანრიკე დე ლარა — მეფის პირველი მინისტრი ესტუმრა, რომ ამით პატივისცემა გამოეხატა ახალი ესკრივანოსადმი. მინისტრს თან ახლდა თავისი ვაჟი გარსერანი, დონ ალფონსოს ახლო მეგობარი.

დონ მანრიკემ, რომელმაც აშკარა იყო, გუშინდელი აუდიენციის ამბავი კარგად იცოდა, თქვა: — გაოცებული ვარ, რომ შენ მეფეს, ჩვენს მბრძანებელს, ტყვეების გამოსასყიდად ასეთი დიდოთანხა შესთავაზე. — და ხუმრობით დაუმატა: — როგორ გგონია, საშიში არ არის, მეველედ ასეთი ძლიერი მეფე გყავდეს?

დონ იეჰუდამ მოკლედ მიუგო. მეფის ქედმაღლობითა და უნდობლობით გამოწვეულ წყენას ჯერ კიდევ არ გაეწლო. იეჰუდამ, მართალია, კარგად იცოდა, რომ აქ, ბარბაროსულ ჩრდილოეთში, პატივს სცემენ მხოლოდ მეომრებს, მათზე კი, ვინც ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნავს, ლაპარაკობენ სულელური ზიზლით. მაგრამ არ ეგონა, რომ ასე გაუჭირდებოდა ამის ატანა.

დონ მანრიკე იეჰუდას მიუხედა და, თითქოს მეფის უხეშობის გამართლება უნდოდა, შენიშნა, რომ არ უნდა გაუწყრე ახალგაზრდა, ომის მოტრფიალე მეფეს, რომელიც ამჟობინებს სიძნელეები მახვილით გადალახოს და არა მოლაპარაკებებით. დონ ალფონსომ ხომ თავისი ბავშვობა სამხედრო ბანაკში გაატარა, და თავს ბრძოლის ველზე უფრო თავისუფლად გრძნობს, ვიდრე მაგიდასთან, სადაც მოლაპარაკება მიმდინარეობს. მაგრამ დონ მანრიკემ მალე შეეცვალა საუბრის თემა. იგი საქმეებზე სალაპარაკოდ კი არ მოსულა, მას სურს ტოლედოში კოლეგას ჩამოსვლას მიესალმოს, და სთხოვა იეჰუდას მისთვის და მისი შვილისათვის ეჩვენებინა სახლი, რომელზედაც საოცარ ამბებს ლაპარაკობს მთელი ქალაქი.

იეჰუდამ სიამოვნებით შეუსრულა სურვილი. შემოიარეს ხალიჩებით მოფენილი პალატები, გადასასვლელები და კიბეები, სადაც მსახურები თავს უხმოდ ხრდინენ მათ წინაშე. დონ მანრიკე აქებდა, როგორც საქმის მცოდნე, გარსერანი კი გულუბრყვილო აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

ბაღში იეჰუდას შეილებს შეხედნენ. — დონ მანრიკე დე ლარა, ჩვენი მეფის პირველი მრჩეველი, — წარუდგინა იეჰუდამ, — და მისი ღირსეული შვილი, რაინდი დონ გარსერანი. — რაკელი ბავშვური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა სტუმრებს. ყოველგვარი

დამორცხვების გარეშე ჩაება საუბარში. მაგრამ მისი ლათინური-დან ჩანდა, რომ, თუმცა გულმოდგინედ მეცადინეობდა, ამ ენას კარგად მაინც ვერ ფლობდა, გულიანად დასცინოდა თავის საკუთარ შეცდომებს და სტუმრებს შესთავაზა არაბულ ენაზე ელაპარაკათ. საუბარი გაცხოველდა. მამა და შვილი აღტაცებით აღნიშნავდნენ დონა რაქელის ენაბახვილობას და თავაზიან გამოთქმებს, რომლებიც არაბულ ენაზე კიდევ უფრო ცერემონიალურად ჟღერდა. დონა რაქელი იცინოდა, მასთან ერთად იცინოდნენ სტუმრებიც. თოთხმეტი წლის, საკმაოდ თამამი ალაზარი დონ გარსერანს ეკითხებოდა ცხენებისა და რაინდობის შესახებ. ახალგაზრდა გრანდს არ შეეძლო არ მოხიბლულიყო ამ უშუალო, ცოცხალი ბიჭით და სიამოვნებით პასუხობდა მის კითხვებზე. დონ მანრიკემ შეგობრულად ურჩია იეჰუდას, რომ მისი ვაჟი რომელიმე დიდგვაროვან ოჯახში პაჟად მიებარებინა. დონ იეჰუდამ უბასუხა, ამას მეც ვფიქრობდიო, და არაფერი უთქვამს თავის ფარულ იმედზე, რომ მეფე აიყვანდა ალაზარს თავის სამსახურში.

დანარჩენი გრანდები და უწინარეს ყოვლისა, დე ლარას ოჯახის შეგობრებიც, არ ჩამორჩნენ დონ მანრიკეს. ეახლნენ რა მეფეს, პატივი სცეს ახალ ესკრივანო შაიოჩს.

განსაკუთრებით სიამოვნებით მოდიოდნენ ახალგაზრდა ბარონები, მათ დონა რაქელთან ყოფნა ხიბლავდათ. თავადების ასულები მხოლოდ სამეფო კარისა ან საეკლესიო დიდი დღესასწაულების დროს გამოჩნდებოდნენ. ისინი მარტო არასოდეს არ იყვნენ და მათთან მხოლოდ ზოგადი, უშინაარსო ხასიათის საუბარი იყო შესაძლებელი. საუბარი კი ებრაელი მინისტრის ქალთან, რომელიც ნაკლებ იცავდა ცერემონიას, მაგრამ მაინც მანდილოსნად ითვლებოდა, მეტად სასიამოვნო და საინტერესო იყო. თუმცა რაქელს ისეთ გადაჭარბებულ ქათინაურებს ეუბნებოდნენ, როგორც ამას კურტუაზული ზრდილობა მოითხოვდა. რაქელი თავაზიანად ისმენდა და გუნებაში ეცინებოდა მათ სასიყვარულო ლაყბობაზე. ხანდახან ხვდებოდა, რომ ამ თავაზიანი საუბრების მიღმა უხეშობა და წადილი იმალებოდა, მაშინ დაიმორცხვებდა და ჩუმდებოდა.

ქრისტიან რაინდებთან ურთიერთობა რაქელს იმიტომ მოსწონდა, რომ მათთან საუბრის დროს ენაში იწაფებოდა — ოფიციალურ ლათინურში, რომელიც მიღებული იყო სამეფო კარსა და საზოგადოებაში და ვულგარულ ყოველდღიურ ლათინურში — კასტილიურში.

ახალი ნაცნობები მზად იყვნენ სამსახური გაეწიათ და სიამოვნებით ათვალთვლინებდნენ ქალაქს, როცა რაქელი მოისურვებდა.

იგი ტახტრევანში იჯდა, ერთ მხარეს ცხენით მიჰყვებოდა დონ გარსერან დე ლარა, ან დონ ესტებან ილანი, ხოლო მეორე მხარეს — მისი ძმა დონ ალაზარი. გადია საადიცი თან მიჰყვებოდა ტახტრევანით. მალემსრბოლნი გზას ათავისუფლებდნენ, ხოლო შავკანიანი მსახურნი ყველაზე ბოლოს მიდიოდნენ. ასე მიჰყვებოდნენ ტოლედოს ქუჩებს.

ამ ასი წლის განმავლობაში, რაც ქრისტიანთა ხელთ იყო, ქალაქმა ისლამისდროინდელი ბრწყინვალება და დიდება დაჰკარგა. იგი სევილიაზე პატარა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალაქში ასი ათასზე ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობდა, უფრო სწორად ორას ათასამდე. ასე რომ ტოლედო ქრისტიანული ესპანეთის ყველაზე დიდი ქალაქი იყო. იგი პარიზზე დიდია და ლონდონზე ბევრად უფრო დიდი.

ამ ბრძოლების საუკუნეში ყველა დიდი ქალაქი, თვით მხიარული სევილიაც კი, ციხე-ქალაქი იყო ტოლედოში ყველა კვარტალს კომუკებიანი გალავანი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო ბევრ თავადთა სახლებიც თავისთავად ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. გამაგრებული იყო ყველა ქიშკარი, გამაგრებული იყო ეკლესიები და ხიდები, პირქუშ, ციხე-სიმაგრედ ქცეულ მთის ძირიდან, მდინარე ტახოს გავლით, გარეუბნებისაკენ რომ მიემართებოდა. ქალაქის გალავნის შიგნით გორაკის ფერდობზე, მკიდროდ იყვნენ ერთმანეთზე მიჯრილი სახლები, ვიწრო და ბნელი, ხშირად ძალიან ციცაბო საფეხურებიანი ქუჩები. დონა რაკელს საშიშ ხეობად ეჩვენებოდა — ყველგან კედლის შვერილები, ქუჩაბანდები და ისევ მძიმე რკინის საღტეებიანი ქიშკრები.

უზარმაზარი, სოლიდური, დანგრევის პირას მისული შენობები ისლამის დროიდან თითქმის სახეუცვლელად იდგა.

დონა რაკელი გუნებაში ფიქრობდა, რომ სახლები მაშინ უფრო ლამაზად გამოიყურებოდა, როცა მუსლიმანები ზრუნავდნენ. სამაგიეროდ მას ძალიან მოსწონდა ჰრელი ხალხი, რომლებიც დიდიდან შებინდებამდე დაფუსფუსებდნენ ქალაქში, განსაკუთრებით კი მთავარი მოედანი, სოკოლოვერი, სადაც, როგორც ეტყობოდა, ძველად ბაზრის მოედანი უნდა ყოფილიყო. ხალხი ხმაურობდა, ცხენები ჰიხინებდნენ, ვირები ყროყინებდნენ. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა, ერთმანეთს გასაქანს არ აძლევდნენ. ქუჩაში ნაგავი ეყარა. მაგრამ რაკელი არც ნაღვლობდა სევილიაში გამეფებულ მშვენიერ წესრიგზე, ისე მოსწონდა ტოლედოს მშფოთვარე ცხოვრება.

რაკელმა შენიშნა, რა მორჩილნი და თავშეკავებულნი იყვნენ აჭაური მუსლიმანი ქალები. ყველა ჩადრით დადიოდა. სევილიაში

მდაბიო წრის ქალები მუშაობის დროს ან ბაზარში წასვლისას სახეს არ იფარავდნენ ხელისშემშლელი ჩადრით. ხოლო განათლებულ დიდებულთა ოჯახებში მხოლოდ გათხოვილი ქალები ატარებდნენ რიდეს — ძალიან ძვირფას, თხელ ქსოვილს, რომელიც სილამაზისათვის უფრო იყო გამიზნული, ვიდრე საბურველად. აქ კი, ალბათ იმისათვის, რომ ურჯულოთა მზერისაგან დაეფარათ თავი, ყველა მუსლიმანი ქალი გრძელ გაუმჭვირვალ ჩადრს ატარებდა მუდმივად.

ახალგაზრდა გრანდები ამაყობდნენ თავიანთი ქალაქით და რაკელს სიამოვნებით უამბეს ტოლედოს ისტორია. სამყაროს შექმნის მეოთხე დღეს ღმერთმა მზე შექმნა და ტოლედოს თავზე დაადგა. ამიტომ მათი ქალაქი ყველაზე უხუცესია. ქალაქი რომ უძველესია, ამისათვის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი არსებობს. მას ფლობდნენ ჯერ კართაგენელები, შემდეგ ექვსასი წელი — რომაელები, სამასი წელი — ქრისტიანი გოთები, ოთხასი წელი — არაბები. ახლა კი ასმა წელმა განვლო სახელოვანი მეფის, ალფონსოს შემდეგ, რაც ქალაქს კვლავ ქრისტიანები ფლობენ, და იმეფებენ საშინელ სამსჯავრომდე.

დიდება და აყვავების ეპოქა, — ჰყვებოდნენ ახალგაზრდა გრანდები, — ქალაქმა განიცადა ქრისტიანების, ვესტგოთების მფლობელობის დრო, რომლის შთამომავალნიც არიან თვითონ რაინდები. იმ დროის ტოლედო ყველაზე მდიდარი და დიდებული ქალაქი იყო მთელ ქვეყანაზე. მეფე ათანაგილდმა თავის ასულს ბრუნჰილდას სამიათასჯერ ათასი ოქროს მარაგედის ღირებულების განძეული მისცა მზითვად. მეფე რეკარედს იუდეველთა მეფის, სოლომონის მაგიდა ჰქონდა, რომელიც უზარმაზარი ზურმუხტისაგან იყო გამოკვეთილი და ოქროში ჩასმული. მეფე რეკარედს ჯადოსნური სარკეც ჰქონდა, რომელშიც მთელი მსოფლიოს დანახვა შეიძლებოდა. ყველაფერი ეს გაიტაცეს, გაანადგურეს და გააკოტრეს მუსლიმანებმა, ურჯულოებმა, ძაღლებმა, ბარბაროსებმა.

განსაკუთრებით ამაყობდნენ ახალგაზრდა რაინდები თავიანთი ეკლესიებით. ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა რაკელი ამ უზარმაზარ შენობებს — ნამდვილ ციხე-კოშკებს. რაკელს ოცნებაში ესახებოდა, რა ლამაზები იქნებოდნენ ეს შენობები მაშინ, როცა იქ ჯერ კიდევ მეჩეთები იყო. როცა ისინი გარშემორტყმული იყვნენ ხეებით, შადრევნებითა და მედრესებით. ახლა კი ყველაფერი გაშიშვლებულია და პირქუში.

წმიდა ლეოკადიას ეკლესიის ეზოში რაკელმა შენიშნა ჰა, რომლის კიდევები განსაკუთრებული სილამაზის არაბული წარწერე-

ბიანი ქვებით იყო მოპირკეთებული. რაკელი ამაყობდა, რომ შეეძლო უძველესი კუფური დამწერლობების წაკითხვა, სიამოვნებით აყოლებდა თითს ქვაზე ამოკვეთილ უკვე სანახევროდ გადაშლილ ასოებს და თან კითხულობდა: „ყოვლად გულმონწყალე ღმერთის სახელით, ხალიფა აბდარ რაჰმან მძლეველმა — ღმერთმა იღლეგრძელოს — ბრძანა აეშენებინათ ეს ჭა ქალაქ ტოლეიტოლას მეჩეთში — ღმერთი ფარვიდეს მას — სამას ოცდამესამე წლის მეჩვიდმეტე კვირას“. ეს იგი, ორას ოთხმოცდაათი წელია გასული. — ეს იყო დიდი ხნის წინათ, — თქვა დონ ესტებან ილანმა, რომელიც მას მოაცილებდა, თან ჩაიციანა.

არა ერთხელ შეუთავაზებიათ რაკელისათვის ახალგაზრდა გრანდებს ეკლესიების შიგნიდან დათვალიერება, სევილიაში საერთოდ ბევრს ლაპარაკობდნენ ამ „ეკლესიებზე“, — მშვენიერ უძველეს მეჩეთებზე, რომლებიც ჩრდილოელ ბარბაროსებს კერპთაყვანისმცემელთა საძაგელ საკერპებებად გადაექციათ. რაკელსაც ძლიერ აინტერესებდა ასეთი ეკლესიის ხილვა, მაგრამ ამავე დროს რალაც შიში აკავებდა და ამიტომ ყოველთვის პოულობდა თავაზიან მიზეზს უარის სათქმელად. ბოლოს სძლია შიშს და დონ გარსერანისა და დონ ესტებანის თანხლებით შევიდა წმიდა მარტინის ეკლესიაში.

ბინდ-ბუნდში სანთლები ენთო. ირგვლივ საკმეველის სუნი იდგა. აი, ისიც, ძველთაგან აკრძალული, რისი ხილვაც ასე სურდა და რისიც ასე ეშინოდა: კერპის გამოსახულებები. მართალია, დასავლეთელი მაჰმადიანები თავისუფლად მსჯელობდნენ წინასწარმეტყველის მიერ ამა თუ იმ აკრძალვაზე, ზერელედ უყურებდნენ, როცა მართლმორწმუნენი ღვინოს სვამდნენ და ქალები პირს არ იბურავდნენ, მაგრამ წინასწარმეტყველის მითითებას მკაცრად იცავდნენ — არ შეექმნათ ალაჰის გამოსახულება, აგრეთვე ყველა სულდგმულის — ადამიანის და მხეცის; ნებადართული იყო მხოლოდ მცენარისა და ნაყოფის ფორმათა გამოსახვა. აქ კი, ყველგან ქვისა და ხისგან გაკეთებული ადამიანები იდგნენ. ყველა დანარჩენი ადამიანები და მხეცები, ბრტყელ და ნაირფერ ფიცარზე იყო დახატული. ესენი იყვნენ კერპები, ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველისათვის საზიზღარი კერპები!

მას, ვისაც ღმერთმა ჰქუა და გონება, გრძნობა და ზნეობრივი საფუძვლები უწყალობა, ებრაელი იქნება ის თუ მუსლიმანი, უნდა ეთაკილებოდეს ასეთი გამოსახულებების ნახვა. და ისინი, მართლაც, საზიზღარნი არიან. უჩვეულოდ გაქვავებულნი, მაგრამ მაინც ცოცხალნი, საოცრად დაუჯერებელი, გასაყიდად გამოტანილი ცოცხალ-მკვდარნი თევზების დარი. ამ ბარბაროსებს თავიანთი მედიდურობით

ალაპთან გატოლება სურთ, და გარეგნულად მის მსგავს ადამიანებს ჰქმნიან და თაყვანს სცემენ, სულელები მუხლს იყრიან მათ მიერვე გაკეთებული ქვისა და ხის კერპთა წინაშე და საკმეველს აყნოსებენ. მაგრამ განკითხვის დღეს ალაპი უხმობს ამ კერპების შემქმნელთ და უბრძანებს კერპებს სული ჩაუდგან და თუ ვერ შესძლებენ, საუკუნოდ ჩააგდებს ჯოჯოხეთის ცეცხლში.

რაკელს მაინც იზიდავდა იგი. მას თავბრუს ახვევდა ის აზრი, რომ შესაძლებელია წარმატალი ადამიანის სახის გამომეტყველების, მისი ნაკეთების მოძრაობის წუთით დაქერა. იმის შეგნება, რომ ეს შესაძლებელია უბრალო მომავლადეი ადამიანისათვის, მას ერთსა და იმავე დროს სიამაყითა და შიშის გრძნობით ავსებდა.

მისი გამცილებელი გრანდები მოწიწებით და დიდის გულმოდგინებით უხსნიდნენ რაკელს გამოსახულებებს. აი, ხის კაცი მხრებზე მოხურული მოსასხამითა და ბატით. ეს — წმიდა მარტინია, რომლის საპატივცემულოდაც ააგეს ეს ეკლესია. იგი მეომარი იყო და, მხოლოდ ჭვრით შეიარაღებული, თავგამოდებით იბრძოდა მტრის ურდოების წინააღმდეგ. ერთხელ, როცა ძალიან ციოდა, მან თავისი ერთადერთი მოსასხამი ლატაკს მოახურა, მაგრამ ზეციდან სამაგიერო მოსასხამი მიიღო. ერთხელაც, როცა იმპერატორი ფეხზე არ წამოუდგა, ტახტს ცეცხლი წაეკიდა და მეფე იძულებული გახდა, რომ თაყვანი ეცა წმიდანისათვის. ყოველივე ამის ნახვა შესაძლებელი გახლდათ, რადგან ეს საინტერესო ამბები დაფებზე იყო დახატული. დონა რაკელს თავბრუ ეხვეოდა — ეს კაცი ალბათ დერვიში იყო.

მეორე სურათზე გამონახტული იყო მუსლიმანი გოგონა, ვარდებით სავსე კალათით ხელში. გოგონას წინ ოდნავ მკრთალი, მეფური გამომეტყველებით, მეფურ ტანსაცმელში გამოწყობილი მავრი იდგა. დონ გარსერანმა თავშეკაეებული ღვარძლიანობით მოუთხორო, რომ ესენი მეფის ასული კასილდა და მისი მამა ტოლედოს მეფე — ალ მენონი იყვნენ. კასილდას ძიძა ფარულად უნერგავდა ბავშვის ქრისტიანულ სარწმუნოებას. გოგონას ყოველგვარი შიშის გარეშე მიჰქონდა საკმელი ქრისტიან ტყვეებთან, რომლებიც შიმშილით იხოცებოდნენ მამამისის ჯურღმულებში. მეფემ ყოველივე შეიტყო თავისი ჯაშუშისაგან და მოულოდნელად თავს წაადგა ქალიშვილს. მან მკაცრად ჰკითხა. რა ჰქონდა კალათში. გოგონას პური ედო, მაგრამ უპასუხა: „ყვავილებით“. განრისხებულმა მეფემ კალათას თავი მოჰკლიჯა — და რას ხედავს, პური ყვავილებად ქცეულიყო. რაკელი არ გაოცებულა, მსგავსი ამბები არაბულ ზღაპრებშიც ჰქონდა გაგონილი. — აა, — თქვა მან, — გასაგებია, კასილდა ჯადოქარი ყოფილა, — დონ გარსენარმა უხეშად შეუსწორა:

— იგი წმიდანი იყო.

დონ ესტებან ილანმა რაკელს გაანდო, რომ მისი ხმლის ვადაში წმიდა ილდეფონსოს ძეგლია დატანებული და ამ რელიკვიამ ორჯერ იხსნა იგი ბრძოლის ქარცეცხლიდან. „რამდენი ჯაღოქარი ჰყოლია ქრისტიანებს“—გაიფიქრა დონა რაკელმა და მხიარულად მოუთხრო ერთ-ერთი უტყუარი საშუალების შესახებ: საჭიროა, რომ ბრძოლის დღეს მექიდან დაბრუნებულმა მლოცველმა, უმჯობესია — დერვიშმა, ჩაგიფურთხოს დილის სასმელში. — ბევრი ჩვენი მეომარი იყენებს ამ საშუალებას ომში წასვლისას, — აუხსნა რაკელმა.

ყველაფერმა ახალმა, რაც მოისმინა, ნახა და განიცადა ტოლედოში რაკელმა, საოცარი სისწრაფით დაჩრდილა მუსლიმანური წარსული. უკვე უჭირდა წარმოდგენა თავისი ახლო მეგობრის, ლეილას სახისა, ან კიდევ ასხარის მეჩეთიდან მუეძინის ყვირილის, რომელიც მორწმუნეებს სალოცავად მოუხმობდა. მაგრამ იგი ცდილობდა, არაფერი დაეიწყებოდა. კვლავ კითხულობდა არაბულად და ვარჯიშობდა ლამაზ, მაგრამ რთულ არაბულ კალიგრაფიაში. თუმცა თავს ებრაელად თვლიდა, მაინც განაგრძობდა მუსლიმანური წესჩვეულების დაცვას. ასრულებდა დაწესებულ გაბანვას და კითხულობდა ლოცვებს. მამა ხელს არ უშლიდა.

გამუდმებით გადიასთან ყოფნა მას წარსულს აგონებდა, დაწოლისას, როცა გადია გახდაში შველოდა, დიდხანს საუბრობდნენ ახლად ნანახზე და აქაურ და სევილიაში ცხოვრებას ერთმანეთს ადარებდნენ. გადია ხშირად არიგებდა რაკელს — გადამეტებულად ნუ იმეგობრებ ურჯულოებთან, რეხია, ჩემო ბეკეკა. მათ ჯოჯოხეთის ცეცხლში დაწვა მოელით, რადგან ურცხვები არიან, ეს კარგად იციან და ამიტომაც დიდგულობენ აქ, დედამიწაზე. სულთანის ცოლი კი მათ შორის ყველაზე დიდგულაა. ეს ურჯულო თითქმის ყოველთვის შორს ცხოვრობს თავისი ქმრის ჰარამხანისაგან, ჩრდილოეთის ქალაქში. სულთანი ალფონსო, ამბობენ, ისეთივე ამაყი და გულცივია, როგორც მისი მეუღლე.

მართალია, ურჯულონი დიდგულნი იყვნენ, გადია არ სცდებოდა. დონა რაკელს ერთხელაც არ ენახა მეფე. თვით მამამისიც კი, მისი ერთ-ერთი მრჩეველი, მეფეს ძალიან იშვიათად ხედავდა.

თავისი მმართველისა და მდივნის — იბნ ომარისაგან, რომელსაც კარგად ჰქონდა მოწყობილი საინფორმაციო სამსახური, დონ იეჰუდამ შეიტყო, რა მტრულად იყვნენ განწყობილი მის მიმართ კას-



ტილიელი გრანდები. მას შემდეგ, რაც კევიანი იბნ შოშანი გარდაიცვალა, გრანდებმა თავისი პრივილეგიები გააძლიერეს. ხოლო დონ ალფონსოს დამარცხების შემდეგ კი ახალი უფლებები და უპირატესობანი მიითვისეს. და ახლა მათ აშფოთებდა ის, რომ კვლავ გამოჩნდა წინანდელზე უფრო ცბიერი და გაუმაძღარი ებრაელი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს წაართვას მათ ყველაფერი, რაც ბრძოლით მოიპოვეს. ისინი ილანძღებოდნენ, ჩხუბობდნენ, ხრიკებს აწყობდნენ. იეჰუდამ მშვიდი სახით მოისმინა ყოველი. მან უბრძანა იბნ ომარს გაეერცვლებინა ხმა, თითქოს ახალი ესკრივანო დამონებულ ხალხს იცავს მძარცველი ბარონებისაგან და გადაწყვეტილი აქვს ბიურგერებსა და გლეხებს მდგომარეობა გაუუმჯობესოს.

დონ იეჰუდას წინააღმდეგ განწყობილთ სათავეში ედგა მეფის უახლოესი მეგობარი, ტოლედოელი არქიეპისკოპოსი, მამაცი დონ მარტინ დე კარდონა. მას შემდეგ, რაც ქრისტიანებმა დაიბრუნეს კასტილია, ეკლესია გააფთოებულ ბრძოლას ეწეოდა ებრაელების თემის წინააღმდეგ. ებრაელებს სხვა მოსახლეობისაგან განსხვავებით არ შეჰქონდათ საეკლესიო მეთაუდი, ისინი უშუალოდ მეფეს უხდიდნენ ბეგარას. ამ საქმეს ვერაფერი უშველა ვერც პაპის ედიქტებმა და ვერც კარდინალების კოლეგიის დადგენილებებმა. არქიეპისკოპოსი დონ მარტინი აღშფოთებული იყო, წინასწარ გრძნობდა, რომ ამ ცბიერი იბნ ეზრას დანიშნის შემდეგ, ებრაელები კიდევ უფრო გაჯიუტდებოდნენ და სულ აღარ დაემორჩილებოდნენ ეკლესიის მოთხოვნებს. იგი არავითარ საშუალებას არ ზოგავდა ახალი ესკრივანოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

მით უმეტეს, საოცარი იყო, რომ იეჰუდას ჩამოსვლისთანავე, იბნ ეზრების კასტილიოში, თითქმის აშკარა კეთილი სურვილებით ესტუმრა არქიეპისკოპოსის მდივანი და მეფის მოძღვარი—კანონიკი დონ როდრიგო.

თავდაპირველი, თავაზიანი დონ როდრიგო წიგნების დიდი მოყვარული იყო. იგი თავისუფლად ლაპარაკობდა, წერდა და კითხულობდა ლათინურად და არაბულად. კითხულობდა აგრეთვე ებრაულადაც. მას ძალიან უყვარდა იეჰუდასთან და უფრო მეტად კი იეჰუდას მეგობარ, განსწავლულ მუსა იბნ დაუდთან საუბარი.

მუსას დარბაზები კარგად იყო მოწყობილი. მოხუცს უკვე ორჯერ მოუხდა გაქირვებისა და დენის ატანა. და მძიმე პირობებში დარწმუნდა, რომ უხმოდ შეუძლია სილარიბეს შეეგუოს, და სწორედ ამიტომ იგი დიდად აფასებდა კეთილმოწყობილობას. გულკეთილი სიამაყით აჩვენა მან კანონიკს გულმოდგინედ დამუშავებული გათბობის მილები და კედლებზე გაკრული ქეჩის საფენები,

რომლებიც გონიერულად მოფიქრებული მოწყობილობით სველდებოდა, რითაც ცხელ დღეებში დარბაზები საამოდ გრილდებოდა. მუსას უამრავი წიგნები კოხტად ელაგა მის საყვარელ, კარგად განათებულ საწერ მაგიდაზე. ლამაზი, ნახევრად მრგვალი ვალერეა, რომელიც ბაღში გადიოდა, თითქოს გიხმობდა მშვიდად გეთვალთვრებინა გარემო.

ცოდნას დახარბებული კანონიკი თვალს ვერ ამორებდა იეჰუდასა და მუსას ბიბლიოთეკას. იგი აღტაცებული იყო სხვადასხვა დარგის უამრავი წიგნებით, მათი ლამაზი კალიგრაფიით, ინიციალებითა და ფერადი მოხატულობით, ოსტატურად გაკეთებული, მოხატული ბუდეებით გრაფიკებისათვის, მდიდრულ და ამავე დროს გამძლე წიგნის ყლებით. განსაკუთრებით გააოცა იმ მასალამ, რაზედაც დაწერილი იყო წიგნების უმრავლესობა. მასალა, რომლის შესახებაც, ქრისტიანულ სამყაროს, მხოლოდ ყურმოკრული ჰქონდა: ქალაღი.

ვაი რომ, მათ, ქრისტიანული სახელმწიფოს მეცნიერებს წერა უხდებათ პერგამენტზე და ცხოველების ტყავზე, რაც არა მარტო გაცილებით მეტ შრომას მოითხოვს, არამედ მასალაც ძალიან ძვირია და იშვიათი. ხშირად უხდებათ მწერლებს უკვე დაწერილი პერგამენტების გამოყენება, წინაპრების მიერ დიდი გაჭირვებით დაწერილის, დიდი გაჭირვებით ამოფხეკა და თავიანთი აზრების დაწერა. და ვინ არის იმის თავდები, რომ დღევანდელი მწერალი, თუნდაც კეთილი სურვილებით, არ გაანადგურებს თავისი წინაპრის უდიდეს სიბრძნეს იმისათვის, რომ შთამომავლობას შეუხანოს საკუთარი, იქნებ სრულიად გულუბრყვილო აზრები.

ღონ იეჰუდამ აუხსნა კანონიკს, თუ როგორ მზადდებოდა ქალაღი. წისქვილებში თეთრი მცენარეული მასალისაგან, რომელსაც ბამბა ჰქვია, ამზადებენ ფაფას, რასაც შემდეგ ამოიღებენ და ამრობენ. საერთოდ ძალიან იაფი ჯდება. საუკეთესო ქალაღი ხატევაში მზადდება და ხატვის ეძახიან. ღონ როდრიგომ სათუთად აიღო ხატეიზე დაწერილი წიგნი და თან გულუბრყვილოდ უკვირდა, როგორ თავსდებოდა ამოდენა სულიერი სიმდიდრე ასეთ პატარა ზომასა და წონაში. იეჰუდამ მოუთხრო, რომ იგი უკვე შეუდგა ტოლედოში ქალაღის მანუფაქტურის მოწყობილობის დამზადებას, წყალი საკმარისია, ნიადაგიც შესაფერია საჭირო მცენარეებისათვის. ღონ როდრიგო აღფრთოვანებული იყო. იეჰუდა დაჰპირდა, რომ უშოვნინდა ქალაღს.

შემდეგ როდრიგო და მოხუცი მუსა მრავალ ვალერეაში იხსდნენ და მშვიდად საუბრობდნენ. ღონ როდრიგო ჰყვებოდა, რომ ქრის-

ტიანულ ქვეყნებშიც გაგონილი აქვთ მუსას განსწავლულობის ამბავი, განსაკუთრებით მისი ისტორიული ნაშრომის შესახებ, რომელზედაც ახლა იგი მუშაობს. გაგონილი აქვთ აგრეთვე ისიც, რომ მან სასტიკი ღეუნა განიცადა. მუსამ ზრდილობიანი თავის დაკერით მადლობა გადაუხადა გამხდარი და მალალი მუსა მოხერხებულად, ოდნავ წინ წამოწეული იჭდა რბილ ბალიშებზე. მისი დიდი, მშვიდი თვალებიდან სათნოება და სიბრძნე გამოკრთოდა. იგი სიტყვაძვირი კაცი იყო, მაგრამ ყოველ მის ნათქვამში დიდი ცოდნა, მდიდარი გამოცდილება და აზრის სიღრმე იგრძნობოდა. მისი სიტყვები ახლებურად ჟღერდა, ძალიან საინტერესოდ, მაგრამ ხანდახან შიშს გაგრძობინებდათ.

იბნ ეზრას კასტილიოში ბევრი რამ იყო შიშის მოძვერელი. ფრიზებზე სხვა წარწერათა შორის ებრაული წარწერებიც გამოკრთოდა, თუმც წაკითხვა ჭირდა ორნამენტის ხვეულებს შორის, მაგრამ კანონიკმა, რომელიც ამყობდა ებრაულის ცოდნით, მშვენივრად გაარკვია, რომ წარწერები საღვთო წერილიდან იყო ამოღებული, ეკლესიასტეს წიგნიდან, სოლომონის ქადაგებიდან. მუსაც დაეთანხმა, რომ ეს ასეა, მან მაჩვენებელი აიღო და კანონიკს აჩვენა, როგორ იყო სიტყვები ფრიზებში ჩახლართული, როგორ ჩნდებოდნენ და იკარგებოდნენ არაბესკების ხვეულებში. ეს ყოველივე უჩვენა, თან წაუეითხა და გადაუთარგმნა ლათინურ ენაზე: „რამეთუ მითცა ვითარცა შემთხვევა ძეთა კაცთასა, და შემთხვევა საცხოვართა და შემთხვევა ერთი მათდა, ვითარცა სიკუდილი მისი, ეგრეთ სიკუდილი ამათი, და სული ერთი ყოველთა შინა, და რათა უმეტეს აქუს კაცს პირუტყუთა, არა რავე, რამეთუ ყოველნი ამავო ყოველნი მოვლენ ადგილსა ერთსა შინა: ყოველნი შეჰქმენ მიწისაგან, და ყოველნი მოიქცევიან მიწადვე და ვინ უწყის სული ძეთა კაცთაი, უკეთუ იგი ადვალს მალა და სული საცხოვართა უკეთუ შთავალს იგი დაბლა ქუჭყანად?“. ღონ როდრიგო თვალს ადევნებდა ებრაულ წარწერებს კედელზე და ხედავდა, რომ მუსა სწორად თარგმნიდა. მაგრამ განა ეს სიტყვები, რომლებიც მას წმიდა იერონიმეს თარგმანიდან ახსოვდა, სხვანაირად არ ჟღერდა? გონიერ და თავმდაბალ მუსას ბაგეებში ღვთის სიტყვებსაც თითქოს გოგირდის სუნი ასდიოდა ოდნავ.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეს თავგანწირული ადამიანი, რომელიც ზრუნავდა იბნ ეზრების კასტილიოს ბიბლიოთეკაზე, უფრო ძლიერ იზიდავდა კანონიკს, ვიდრე თვით დიდებული ბიბლიოთეკა. როცა ბალიშებში დინჯად ჩააქდარ მუსას შეჰყურებდა, ეჩვენებოდა, რომ ღრო უძლურია მუსას წინაშე ისევე, როგორც

სიბრძნის წინაშე, ორმოცდაათი წლის დონ როდრიგოს ზოგჯერ მუსა თავის ტოლად, ზოგჯერ კი — სამყაროსათვის მოხუცად ეჩვენებოდა. მუსას წყნარი, მაგრამ ოდნავ დამცინავი თვალების სხივი ხიბლავდა კანონიკს და აბნევდა კიდეც, და მიუხედავად ამისა, ამ ადამიანთან უფრო ეადვილებოდა საუბარი, ვიდრე გულუბრყვილო მოოწმუნე ქრისტიანების უმრავლესობასთან.

კანონიკი მუსას უყვებოდა აკადემიის შესახებ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. რა თქმა უნდა, ეს პატარა სკოლა ჯერ ვერ გაუტოლდება. მუსლიმანურს, მაგრამ მისი საშუალებით, დასავლეთი ეცნობა არაბულსა და ძველ წარმართთა სიბრძნეს. — დამიჯერე, ბრძენო მუსა, — მგზნებარედ ამბობდა კანონიკი, — ფართო გული მაქვს. ყურანის გადათარგმნაც შევეუკვეთე ლათინურ ენაზე. გარდა ამისა, ჩემთან აკადემიაში ურჯულონი სწავლობენ — ებრაელები და მუსლიმანები. თუ ნებას დამრთავ, რომელიმე მოწაფეს მოგიყვან, რომ იგიც გახდეს შენთან საუბრის ღირსი.

— დიახ, პატივცემულო დონ როდრიგო, — თავაზიანად უპასუხა მუსამ, მოიყვანე შენი მოწაფეები. თან ურჩიე ფრთხილად იყვენენ, — შენც სიფრთხილე გმართებს! — და მან მიუთითა კედელზე დაწერილ გამონათქვამზე, როგორი საკვირველიც არ უნდა გვეჩვენოს ეს გამონათქვამი, წმიდა წიგნიდან იყო, ამჟამად მოსეს საღვთო წერილის მეხუთე წიგნიდან ამოღებული „წყვეულ იყავნ, რომელმან აცდუნოს ბრმა გზასა“.

როცა დონ როდრიგო მასპინძელს დაემშვიდობა, თავი უხერხულად იგრძნო, რადგან სტუმრობა ძლიერ ხანგრძლივი გამოუვიდა. მან ხუმრობით თქვა: — ჩემგან გაწყრომის ღირსი ხარ, დონ იეჰუდა, რადგან შენი წყალობით კინალამ მეთათე აღთქმა დავივიწყე. რა თქმა უნდა, მე არ ვისურვებდი არც შენს სახლს, არც შენს ვირს, არც შენს მსახურებს და არც მოახლეებს, ვშიშობ, რომ ვინატრებდი შენს წიგნებს.

თემის უხუცესი დონ ეფრაიმი იეჰუდას ესტუმრა, ალჰამის საქმეების გამო მოსალაპარაკებლად. — როგორც მოსალოდნელი იყო, — დაიწყო მან, — შენმა სახელმა და ბრწყინვალეობამ ლოცვა-კურთხევა მოუტანა თემს, მაგრამ ამასთან ერთად ახალი უბედურებაც დაატეხა თავს, შენმა კარგმა მდგომარეობამ შურით აღავსო ჩვენი მტერი არქიეპისკოპოსი, ეს ბიწიერი, ეს ისავი. დონ მარტინმა გამოაჩინა ძველთაძველი პერგამენტი — კარდინალების კოლეგიების დადგენილება, რომლის თანახმადაც ჯერ კიდევ ექვსი წლის

წინათ ითხოვდნენ, რომ არა მარტო ედომის შვილებს, არამედ აბრამის შვილებსაც გადაეხადათ საეკლესიო მეთედი, მაშინ კეთილშობილმა ალჰაქიმმა — იბნ შოშანმა, ღმერთმა გაანათლოს მისი სახელი, თავიდან აიცილა ტონზურთანა თავდასხმა. მაგრამ ახლ., ამ უსინდისოს ჰგონია, რომ მისი დრო დადგა. მისი წერილი ალჰამისადმი მუქართაა სავსე.

დონ იეჰუდამ კარგად იცოდა, რომ საეკლესიო მეთედის მოთხოვნა გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ფულის მოთხოვნა. ეკლესიის გამარჯვება ებრაელების მთავარი პრივილეგიის დაღუპვას მოასწავებდა, მაშინ ისინი პირდაპირ მეფეს კი არ დაექვემდებარებიან, არამედ ებრაელებსა და მეფეს შორის არქიეპისკოპოსი ჩადგება. სხვა გზა არ იყო, დონ იეჰუდა თავის თავს უნდა გამოტყდომოდა, რომ დონ ეფრაიმის შიში უსაფუძვლო არ იყო. — ამჯერად არქიეპისკოპოსს შეეძლო თავის მიზნებისათვის მიეღწია. დონ მარტინი — მეფის უახლოესი მეგობარი, რა თქმა უნდა, უკვე ჩახიჩინებს მეფეს აიძულოს ებრაელები გადაიხადონ საეკლესიო მეთედი და ამით გამოისყიდოს ებრაელის, იბნ ეზრას ასე დიდ თანამდებობაზე დანიშვნით ჩადენილი ცოდვა.

მაგრამ იეჰუდას თავისი ექვეები ხმამაღლა არ გამოუთქვამს: — ამჯერადაც არ ეღირსება ამ ბილწს თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, — თქვა მან. — გარდა ამისა, ყველა გადასახადები ჩემ განკარგულებაშია. ნება მომეცი არქიეპისკოპოსის წერილს მე ვუპასუხო.

ეს ამბავი სულაც არ ჰქონდა გათვალისწინებული დონ ეფრაიმს. მას არ სურდა, რომ მის საქმეებში დონ იეჰუდა ჩარეულიყო. — ღმერთმა დამიფაროს, თავზე მოგახვიო ასეთი ძნელი საქმე, ჩემო ბატონო და მასწავლებლო იეჰუდა. — ზრდილობიანად უარყო დონ ეფრაიმმა იეჰუდას წინადადება, — მაგრამ მე მინდოდა ალჰამის სახელით სხვა საქმეებზე მელაპარაკა შენთან მოკრძალებით. შენი სახლის სიმდიდრე, დოვლათი, რითაც ღმერთმა დაგაჯილდოვა მეფის მფარველობა, რაც ღმერთმა გიწყალობა, ებრაელთა მოშურნეებს თვალში ეჩხირებათ, ხოლო არქიეპისკოპოსის გულს ეკლად ესობა. ამიტომ მე კიდევ ჩავაგონე ალჰამას, რაც შეიძლება ნაკლებად მიიპყრონ ყურადღება და თავიანთი სიმდიდრით ნუ გააღიზიანებენ ბოროტთ. მოწყალება მოიღე და შენც ნუ გააღიზიანებ ამით მტრებს, დონ იეჰუდა. — კარგად მესმის შენი შფოთვა, ჩემო ბატონო და მასწავლებლო, დონ ეფრაიმ, — უპასუხა იეჰუდამ, — მაგრამ არ ვიზიარებ მას. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ძალა შიშს უნერგავს ადამიანს. მე თუ ახლა სისუსტეს გამოვიჩინე, მაშინ

არქიეპისკოპოსი გათამამდება და ჩემსა და შენს წინააღმდეგ გაილაშქრებს.

უახლოეს შაბათს დონ იეჰუდა სინაგოგაში წავიდა.

იგი გაცხადებული დარჩა, შიგნიდან ისე ღარიბულად გამოიყურებოდა ესპანელი ებრაელების ეს მთავარი სალოცავიც კი. დონ ეფრაიმი აქაც არ უშვებდა ფუფუნებას. მართალია, როცა კილობანს ხსნიდნენ, სადაც ინახებოდა თორა, აღთქმის სახატეს იქიდან მოჩანდა და ბრწყინავდა წმიდა ემბლემა, რომლებითაც მორთული იყო საღვთო წერილების გრძელნიღები, ძვირფასი ქსოვილებისაგან გაკეთებული საბურველები, ძვირფასთვლებიანი ოქროს ფირები და ვიკრივინები.

დონ იეჰუდა მოწვეული იყო ბიბლიის საკვირაო თავის წასაკითხად, სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ წარმართა წინასწარმეტყველმა ბალაამმა, როგორ მოინდომა ისრაელი ხალხის დაწყევლა, მაგრამ ღმერთმა ინება, რომ მას დაელოცა ღვთის რჩეული ხალხი და წინასწარმეტყველმა წარმოთქვა: „ვითარ ეგეკეთილარიან სახლნი შენნი იაკობ, და საყოფელნი შენნი ისრაელ. ვითარცა მთანი მაგრილობელნი, და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა, და კარავნი, რომელ აღმართნა უფალმან და ვითარცა ნაძვნი წყალთა ზედა“.

იეჰუდა ძველებური წესით ერთფეროვნად, გალობით კითხულობდა ლექსებს. იგი გაკვირვებით კითხულობდა, მისი აქცენტი უცნაურად და თითქმის სასაცილოდაც გაისმოდა, მაგრამ არავინ არ იცინოდა, პირიქით, ტოლედოელი ებრაელები — ქალები და კაცები — პატივისცემით უსმენდნენ და დონ იეჰუდას აღელვება მათაც გადაედო. მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცს ჯერ კიდევ ყრმობაში ბედმა მეშუმადობა არგუნა, თავისი სურვილით დაუბრუნდა აბრამის კალთებს და რადგან ახლა ძალაუფლება მიიღო, იგი ყოველ დონეს იხმარს, რომ ღვთის კურთხევა ასრულდეს ტოლედოელ ებრაელებზეც.

ახლა, როცა რაკელს აშკარად შეეძლო იუდეველთა სარწმუნოების აღიარება, მისთვის უფრო მძიმე გახდა ებრაელობა, ვიდრე წინათ. ხშირად კითხულობდა დიდ წიგნს, საათობით იჯდა დაფიქრებული. მისი წინაპრების, მეფეებისა და წინასწარმეტყველების საქმიანობაზე გატაცებით ოცნებობდა. ის ძლიერი, ამადლებული და ღრმად ღვთისნიერი, რაზედაც იქ იყო ლაპარაკი და ის სუსტი წვრილმანი, მეტისმეტად ბილწი, რაც აგრეთვე არ იყო დაფარული,

აცოცხლებდა მის წარმოდგენას და თავს ამაყად და ბედნიერად გრძნობდა, რომ ასეთი წინაპრების შთამომავალი იყო.

მაგრამ აქ, ტოლედოელ ებრაელებში თავს უცხოვრებდა გრძნობდა, თუმცა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მათ ეკუთვნის. კარგად რომ გაცნობოდა თავის ხალხს, ხშირად დადიოდა ებრაულ ქალაქ იუდე-რიაში.

იუდეურიაში რაკელს ყოველთვის დაჰყვებოდა დონ ბენიამინ ბარ აბა, ალჰამის უხუცესის ახალგაზრდა ნათესავი. იგი იბნ ეზრე-ბის კასტილიოში კანონიკმა დონ როდრიგომ მოიყვანა, ბენიამინი მისი მოწაფე, სწავლული მთარგმნელი იყო აკადემიაში.

თუმცა მხოლოდ ოცდასამი წლის იყო, გამოირჩეოდა მახვილი გონებით და ღრმა ცოდნით, მასში იგრძნობოდა ბავშვობა, ეშმაკობა და სიცელქე, რაც იზიდავდა დონა რაკელს. სულ მალე მათ შორის დამყარდა კარგი, მეგობრული დამოკიდებულება. ისინი ხშირად ისეთ უბრალო რამეებზე იცინოდნენ, რაც სხვებს სრულიად არ ეჩვენებოდათ სასაცილოდ. და რაკელი ბევრ ისეთ კითხვას, რომელსაც მამასა და მუსას ვერ დაუსვამდა, თავის მეგობარ ბენიამინს ეკითხებოდა.

თავის მხრივ ბენიამინი გულახდილად უმხელდა ბევრ საიდუმლოს. მაგალითად, თუნდაც იმას, რომ მისი ნათესავი დონ ეფრა-იმი — პარნასი მაინცდამაინც არ ექაშნიკებოდა: და ბენიამინი ასეთი ღარიბი რომ არ იყოს, ერთ დღესაც ვერ გაძლებდა ეფრაიმის სახლში. რაკელს არასოდეს არ ჰყოლია ღარიბი მეგობარი. იგი მას გაოცებული და ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა.

ბენიამინი მხოლოდ ეფრაიმის სასიამოვნოდ ასრულებდა ებრაულ წეს-ჩვეულებას. თვითონ ამ წესებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა. სამაგიეროდ არაბული სიბრძნე იტაცებდა და სიამოვნებით ლაპარაკობდა ძველთაძველ, უდიდეს, უკვე სამუდამოდ დადუმებულ ხალხზე, განსაკუთრებით კი ბერძნებზე — იონიელებზე, ასე უწოდებდა იგი მათ. ერთ იონიელთაგანს, ვინმე არისტოტელს იგი მოსე მასწავლებლის თანასწორად თვლიდა. ამასთანავე ამაყობდა, რომ ებრაელი იყო, რადგან ისინი ბიბლიის ხალხია და ათასწლობით ერთგულად იცავდნენ ბიბლიას.

როცა რაკელი იუდეურიაში მიემგზავრებოდა, ბენიამინიც ყოველთვის ახლდა ხოლმე. ტოლედოში ოცი ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ამას გარდა კიდევ ხუთი ათასი ქალაქს გარეთ და თუმცა არავითარი კანონი ამას არ მოითხოვდა, მაინც უმრავლესობა თავიანთი გალაგნით გარშემორტყმულ, გამაგრებულ კვარტალებში ცხოვრობდა.

ებრაელები უხსოვარი დროიდან დამკვიდრდნენ ტოლედოში, — ჰყვებოდა ბენიამინი, — თვით ქალაქის სახელიც ებრაული სიტყვი-საგან წარმოდგება, ტოლედოტ — თაობათა მწკრივი. აქ მოსული პირველი ებრაელები მეფე სოლომონის მიერ ბარბაროსებისაგან ხარკის ასაკრეფად იყვნენ გამოგზავნილი. ებრაელები თითქმის ყოველთვის კარგად ცხოვრობდნენ, მაგრამ ქრისტიან ვესტგოთების დროს საშინელი დევნა განიცადეს. ყველაზე მეტად დევნიდა მათ ვინმე იულიანი, გაქრისტიანებული ებრაელი, რომელმაც არქიეპისკოპოსობა მიიღო. იგი სულ უფრო და უფრო მკაცრ ბრძანებებს გამოსცემდა თავის ყოფილ ძმათა მიმართ. დაბოლოს მიაღწია ისეთი კანონის გამოცემას, რომლის ძალითაც, ვინც ნათლობას არ მიიღებდა, მონად უნდა გაეყიდათ. მაშინ ებრაელებმა ზღვებს გადალ-მიდან მოუხმეს არაბებს და ხელი შეუწყვეს მათ ქვეყნის დაპყ-რობაში. არაბებმა ქალაქებში ჩააყენეს ებრაელთა გარნიზონები, რომლებსაც ებრაელი მხედართმთავრები მეთაურობდნენ. — წარ-მოიდგინე, დონა რაკელ, — ამბობდა ბენიამინი, — რა მოხდა, ჩაგრუ-ლები ბატონებად იქცნენ და ყოფილი მჩაგვრელები კი მონებად.

შთაგონებით მოუთხრობდა ბენიამინი წიგნების შესახებ, რომ-ლებიც შექმნილი იყო ისლამის ბატონობის დროს, სეფარდელი ებრაელი პოეტებისა და სწავლულების მიერ. ზეპირად უკითხავდა რაკელს სოლომონ იბნ გაბიროლისა და იეჰუდა ჰალევის მგზნებარე ლექსებს. ჰყვებოდა აბრამ ბარ ხიიას ნაწარმოებებზე, მათემატიკასა, ასტრონომიასა და ფილოსოფიაში. — ყველაფერი დიდებული, რაც შექმნილია აქ, სეფარდის ქვეყანაში, სულ ერთია რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს — ადამიანის აზრებში თუ ქვაში, ყველაფერი ებრაელების დახმარებითაა შექმნილი — დამაჯერებლად თქვა მან.

ერთხელ რაკელმა გაანდო მას იმ უხერხულობის შესახებ, წმიდა მარტინის ეკლესიაში კერპებმა რომ ჩააყენეს. ბენიამინი უსმენდა, ჯერ ყოყმანობდა, მერე ჯიბიდან ეშმაკური ღიმილით ამოიღო პატარა წიგნი, რაკელს აჩვენა. წიგნაკში, რომელსაც მან თავისი უბის წიგნაკი უწოდა, ადამიანთა სახეები იყო ჩახატული. პერიო-დულად ზოგი მათგანი მხეცებისას ემგასვსებოდა. დონა რაკელი გაოცებული, შეშინებული და დაინტერესებული იყო. რა გაუგო-ნარი ღვთისგმობაა! დონ ბენიამინის წიგნში არა მარტო საერთოდ ადამიანის სახეები იყო კერპთა სახეების მსგავსად, დონა რაკელმა ეკლესიაში რომ ნახა, მის ნახატებში გარკვეული პიროვნებების შეცნობაც შეიძლებოდა. უფრო მეტიც, მას ღმერთთან გატოლება გადაეწყვიტა, გაბედულად, საკუთარი სურვილის მიხედვით ცვლიდა მათ; ამახინჯებდა მათ სულს. როგორ არ გასკდებოდა მიწა და თან არ ჩაიტანს ცოდვილს? იქნებ რაკელიც ცოდვას ჩადის, რაკი. იგი ამ



სურათებს ათვლიერებს? მაგრამ მას თავის შეკავება აღარ შეეძლო და თვლიერებას განაგრძობდა. აი, ცხოველის გამოხატულება, ათითქოს მეღიებია, მაგრამ ეს მეღია როდია, ეშმაკური სახიდან დონ ეფრაიმის თვინიერი თვალები გიმზერს და რაკელმა, მთელი თავისი ორჭოფობისა და შიშის მიუხედავად, გაიცინა.

ყველაზე ახლობელი მისთვის ბენიამინი მაშინ იყო, როცა სხვადასხვა ამბებსა და მომხიბლავ შემთხვევებს უამბობდა, რაც იუდეველ დიდ ადამიანებს შემთხვევით ტოლედოში.

აი, თუნდაც რაბი ხანან ბენ რაბუას ამბავი. მან შესანიშნავი წყლის საათი გააკეთა. იგი ორი წყალსაცავის, ორი ცისტერნისაგან შედგებოდა. ისე ოსტატურად იყო გამოანგარიშებული, რომ ერთი ნელა ივსებოდა წყლით, მთვარის ავსებასთან დაკავშირებით, მეორე კი პირიქით, იცლებოდა მთვარის დაკლებისას. ასე რომ, მისი მიხედვით შეიძლებოდა გაგება, რომელი თვის რა დღე და რომელი საათი იყო. მოშურნეებმა რაბი ხანანას ჯადოქრობა დასწამეს. „ცოდნა ყოველთვის საექვოდ ეჩვენებათ“, — განაცხადა ასაკისათვის შეუფერებლად გონიერმა ბენიამინმა. და აღკალდმა რაბი ხანანა დილეგში ჩასვა. ამასობაში, როგორც წესი, ცისტერნები წყლით აღარ ივსებოდა. მაშინ იფიქრეს, რომ რაბიმ დატყვევებამდე გააფუჭა ოსტატურად გაკეთებული წყლის საათი, რომელზედაც სამჭერ შვიდი წლის განმავლობაში შრომობდა და გადაწყვიტეს მისთვის შეეკეთებინებინათ საათი, მაგრამ მან სულ გააფუჭა. მაშინ იგი დასწვეს, — კოშკი, რომელშიც რაბი ხანანა იჯდა, დღესაც დგას, — დაამთავრა დონ ბენიამინმა. — ცისტერნებიც შეგიძლია ნახო უერთა დელ რეიში, მითრეებულ, გასართობ კოშკში — გულიანაში.

საღამოს რაკელმა გადია საადს უამბო საცოდავი სწავლული ოსტატის ხანანას შესახებ, რომელიც ბოროტი ადამიანების მიერ გაწამებული თავის ხელოვნებას და მეცნიერებას შეეწირა. იგი ხატოვანად მოუთხრობდა წყლის საათზე, დილეგზე და რაბინის დაწვავზე. გადია საადმა კი უთხრა: — აჰ, ტოლედოში, ბოროტი ხალხია. ჩემი სურვილი იქნებოდა, რეხია, ჩემო ბეკეკა, ქალაქ სვეცილიაში დაებრუნებულიყავით. ალაჰი იყოს მისი მფარველი!

## თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ძმები ფერნანი და გუტიერე დე კასტროები ცარიელი მუქარით როდი დაკმაყოფილდნენ იმ კაცის წინააღმდეგ ვინც მათ კასტი-

ლიოში წინადაცვეთილი ჩაასახლა. ისინი შეიარაღებულები შეიჭრნენ ღონ ალფონსოს სამფლობელოში. ერთხელ კუნეკაშიც კი შევიდნენ. გზებზე ხვდებოდნენ მოქალაქეებს და ტყვეებად მოჰყავდათ თავიანთ ციხე-კოშკებში. კასტილიელ გლეხებს საქონელს სტაცებდნენ. ნადავლს ხელთ იგდებდნენ თუ არა, მაშინვე შინ, ალბარასინში მიდიოდნენ — მიუღგომელ მთებში.

ღონ ალფონსო ცოფებს ყრიდა. რაც კი თავი ახსოვდა, სძულდა ყველა დე კასტრო. სამი წლის ასაკში გახდა იგი მეფე და დე კასტროს ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი. მმართველობდა მისი სახელით, იგი მკაცრად და ცუდად ექცეოდა ბიჭს და ალფონსომ იზეიმა, როცა მანრიკე დე ლარამ, როგორც იქნა, დაამარცხა ბარონ დე კასტროები. მაგრამ დე კასტროები ძველებურად ძლიერები იყვნენ თავიანთ საგრაფოში და გრანდებს შორის მრავალი მომხრე ჰყავდათ.

დე კასტროების უკანასკნელმა თავხედურმა ძალადობამ გააცოფა ალფონსო. შეუძლებელია, ასე გაგრძელდეს. შეიჭრება მათ ციხეებში, გაანადგურებს, თმებს შეჭრის ორივე ძმას და მონასტერში გამოამწყვდევს, არა ის მათ თავებს წააცლის.

ისიც იცოდა შინაგანად, რომ ასეთი თავდასხმა აუცილებლად სახიფათო უსიამოვნებას გამოიწვევდა მის ბიძასთან, არაგონის მეფესთან.

საქმე ისაა, რომ დიდი ხანია არაგონი ისევე, როგორც კასტილია, სიუზერენულე უფლებების მაძიებელი იყო დე კასტროს საგრაფოსა და მთიან ალბარასინზე, რომელიც კასტილიასა და არაგონს შორის მდებარეობდა. მაგრამ უკანასკნელი მფლობელი გრაფის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ვაჟიშვილებმა ფერანანმა და გუტიერე დე კასტროებმა უარი განაცხადეს, რომ ვინმეს დამორჩილებოდნენ. თუ ახლა ალფონსო შეიჭრება მათ ქვეყანაში, ძმები დასახმარებლად არაგონს მიმართავენ და ბიძამისი ალფონსო-რამონდესი, არაგონის მეფე, შემთხვევას არ გაუშვებს ხელიდან, ვასალად მიიღოს ისინი და დაიცვას ალფონსოსაგან. ეს კი არაგონთან ომს ნიშნავს.

მაგრამ ალფონსო ამ აზრებს ჩამოყალიბებას არ აცლიდა, ისე იშორებდა თავიდან. აუცილებლად გაილაშქრებს გრაფ დე კასტროების წინააღმდეგ! იეპუდას მოუხმობს, რომ საჭირო თანხა უშოვოს!

მხიარულად მიდიოდა იეპუდა მეფის ციხე-კოშკში. მან არ იცოდა, რისთვის დასჭირდა იგი მეფეს, რომელიც დიდი ხანია არ ენახა და უხაროდა, რომ შემთხვევა ეძლეოდა მოეხსენებინა მიღწევები;

უფრო მეტიც: მას ხელთ ჰქონდა ამ მიღწევების ერთ-ერთი ნივთიერი საბუთი, სრულიად უმნიშვნელო, მაგრამ იგი მაინც გაახარებს და გაამხიარულებს დონ ალფონსოს.

იეჰუდა იდგა მეფის წინაშე და მოახსენებდა. გადასახადის ურჩმა გადამხდელებმა, რამდენიმე რიკოს-ომბრესმა, უფრო ზუსტად — ცხრამ, ხელი მოაწერა და ბეჭდით დაამოწმა განცხადება იმის შესახებ, რომ თუ გადასახადის ვადას კიდევ გადააცილებდა, მეფის სასარგებლოდ უარს აცხადებდა გარკვეულ ქალაქებზე. შემდეგ იეჰუდამ მოახსენა, რომ მოწყობილია თერთმეტი, ახალი საუკეთესო მეურნეობა, და ტალავერთან ახლოს შეუდგენ აბრეშუმის ქიის საცდელ მოშენებას. გახსნილია მრავალი, ახალი მანუფაქტურა აქ; ტოლედოში, აგრეთვე ბურგოსში, ავილში, სეგოვიასა და ვალიადოლიდში.

და მერე მეფეს ძღვნად მიართვა თავისი დიდი სიურპრიზი.

— მეფევე ბატონო, მახსოვს უკმაყოფილება გამოთქეი, — რომ მე შენს ქვეყანაში არ მოეუხმე ოქრომქედლებსა და ფულის მომპრელებს. ნება მიბოძე, რომ დღეს მოწიწებით ვაღმოგვე შენი ოსტატების პირველი ნახელავი. — და იეჰუდამ ამაყი ღიმილით გადასცა ალფონსოს ის, რაც მოტანილი ჰქონდა.

მეფემ გამოართვა, დახედა და სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა. დღემდე ნახევარკუნძულებზე განლაგებულ ქრისტიანულ სახელმწიფოებში მხოლოდ არაბული ოქროს ფული ტრიალებდა, ახლა კი მას ხელში ეჭირა ქრისტიანული ესპანეთის ოქროს ფული — კასტილიური მონეტა. მონეტაზე მოწითალო-ყვითელი ფერით ელვარებდა მეფის პროფილი, რომელიც ადვილად გამოსაცნობი იყო. ორმხრივ ლათინურად იყო წაწერილი: „ალფონსუს, ღვთის წყალობით, კასტილიის მეფე“. მეთრე მხარეზე კი ესპანეთის მფარველი, იაკობ მოციქული, სანტიაგო, იყო გამოხატული. მახვილშემართული, იჭდა ცხენზე. სწორედ ისეთი, როგორც ევლინებოდა ქრისტიან მეომრებს და ეხმარებოდა ურჯულოების განადგურებაში.)

ხარბად, ბავშვივით გახარებული ათვალეირებდა დონ ალფონსო ლამაზ მონეტას. დღეიდან ამ სრულფასოვან ოქროზე გამოსახულ მის სახეს იცნობენ ყველგან, არა მარტო ქრისტიანულ სახელმწიფოებში, არამედ ისლამის ქვეყნებშიც, და ყველას მოაგონებს ერთხელ კიდევ, რომ კასტილიას საიმედო მფარველები ჰყავს — სანტიაგო და თვით მეფე, დონ ალფონსო. — ეს დიდებულად გაგიკეთებია, დონ იეჰუდა, — შეაქო მეფემ და როცა იეჰუდამ შენიშნა, თუ რა გაბრწყინებული ჰქონდა მეფეს სახე და როგორ უციმციმებდა თვალები. დააეწყდა კიდევ, რომ ეს კაცი მას ხშირად უსამართლოდ ექცეოდა.

მაგრამ, შემდეგ, მეომრის ფორმაში გამოხატულმა სანტიაგომ მეფეს მოაგონა წინასწარ მოფიქრებული განზრახვები და აკრთევ ის, რისთვისაც მოუხმო თავის (ესკრივანოს;) მეფემ ყოველგვარი ზედმეტი განმარტების გარეშე თქვა: — რადგან ფული გვაქვს, მე შემიძლია ძმები კასტროების წინააღმდეგ გავილაშქრო, როგორ გგონია, გვეყოფა თუ არა ლაშქრობისათვის ექვსი ათასი ოქროს მარაველი?)

ღონ იეჰუდას სიხარული უცებ ჩაუქრა. მეფეს აუხსნა, რომ ბარონ დე კასტროები, რა თქმა უნდა, დახმარებისათვის არაგონის მეფეს მიმართავდნენ. მეფე ალფონსო-რაიმუნდესი მათ თავის ვასალებად აღიარებს. — შენი უავგუსტესი ბიძა თავს დაგესხმის, — დაბეჯითებით უმტკიცებდა იეჰუდა. — საკმაო ძალები ჰყავს მომზადებული, რომლებიც მან პროვანსზე გასალაშქრებლად შეკრიბა, ხაზინაც სავსე აქვს, აი, ნახავ, ღონ ალფონსო, არაგონთან ომში ჩაბმული აღმოჩნდები შენთვის ძალიან არასასიამოვნო გარემოებაში.

ღონ ალფონსოს გაგონებაც არ უნდოდა. — ერთი შენც, მომწყვდი თავიდან შენი უსაფუძვლო მიზეზებით! — გააწყვეტინა მან იეჰუდას. — დე კასტროს წინააღმდეგ ორასიოდე კარგი შუბი საკმარისია, მე ჩაეწვდი სწრაფი თავდასხმის ხელოვნებას. ყველაფერი დამთავრდება უეცარი თავდასხმით, ეს არის და ეს. თუ აღბარასინს ან მხოლოდ სანტა მარიას დავიპყრობ, ჩეპი სულმოკლე ბიძა არაგონიდან მუქარით დაკმაყოფილდება და არ გამოილაშქრებს ჩემზე. მიშოეე ექვსი ათასი ოქროს მარაველი, ღონ იეჰუდა! — დაყინებით სთხოვდა იგი.

იეჰუდამ იცოდა: ის, რაშიც მეფეს იეჰუდასი და თავისი თავის დარწმუნება უნდოდა, — ამო იმედები იყო. მეფე ალფონსო-რაიმუნდესი მშვიდობისმოყვარეობის მიუხედავად, ომს გამოუცხადებს ღონ ალფონსოს, თუ მას ხელსაყრელი მიზეზი ექნება.

მეფე რაიმუნდესი მტრულად იყო განწყობილი ალფონსოს წინააღმდეგ და არცთუ უსაფუძვლოდ. კასტილიამ საბუთად გამოიყენა უძველესი სიგელები და არაგონზე სიუზერენული უფლებების პრეტენზია განაცხადა. ეს სიუზერენული უფლებები წმიდა პრესტიჟის საკითხი იყო. ასე, მაგალითად, უძლიერესმა ინგლისის მეფემ ფრანგთა მიწა-წყლის დიდი ნაწილის მფლობელმა, თავის სიუზერენად საფრანგეთის მეფე სცნო, თუმცა იგი საფრანგეთის გაცილებით მცირე ნაწილს ფლობდა, ვიდრე ინგლისის მეფე, სინამდვილეში არაგონის მოხუცი მეფისთვის, ალფონსო-რაიმუნდესისთვის სულ ერთი იყო ცოტათი მეტი თუ ნაკლები პრესტიჟი

ექნებოდა. მაგრამ გაშმაგებულ ალფონსოს იგი ცარიელ, დრომოქმულ რაინდობის იდეალის განსახიერებად მიიჩნევდა და აღშფოთებდა, რომ ბევრი, მათ შორის მისი საკუთარი ვაჟიც, მხარს უჭერდა რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილ რაინდობას და გუნდრუქს უკმევდა ალფონსოს, როგორც გმირს, ამიტომ მან განაცხადა, რომ ალფონსოს მოთხოვნამ, ეცნოთ მისი სიუზერენული უფლებები, დაკარგა ყოველგვარი აზრი. ამასობაში ალფონსო ყოველი მოხერხებული შემთხვევისას პრეტენზიას აცხადებდა არაგონის სიუზერენობაზე და ტრახახობდა: დადგება დრო, როცა კადნიერი არაგონელი მუხლს მოიდრეკს ჩემს, კანონიერი სიუზერენის წინაშე.

ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ ალფონსო ლაშქრობას დაიწყებდა, არაგონი აუცილებლად ჩაებმებოდა ომში და დონ იეჰუდა ფიქრობდა, როგორმე ფრთხილად ჩაეგონებინა ეს მეფისთვის. მაგრამ ალფონსოს გათვალისწინებული ჰქონდა იეჰუდას წინააღმდეგობა, რომლის გაგებაც არ სურდა და თავის ესკრივანოს დაასწრო. — ცხადია, ყველაფერში შენ ხარ დამნაშავე, — გაბრაზებულმა დაუყვირა მას, — რადგან შენ დაეპატრონე გრაფ დე კასტროების სახლს.

ამ მძიმე თვეების განმავლობაში იეჰუდამ მეორე სახე შეიძინა — თავაზიანი მორჩილების ნილაბი, მაგრამ ხმის დამორჩილება უჭირდა: მღელვარების დროს ენა ებორკებოდა და ჩლიფინებდა. ასე მოხდა ახლაც, როცა უპასუხა: — დე კასტროების წინააღმდეგ ლაშქრობა, მეფეო, ექვსი ათასი ოქროსი მარაველი კი არ დაჯდება, არამედ ორასი ათასი. ცინებე და დამიჯერე, შენო უდიდებულესობავ, არაგონი არავითარ შემთხვევაში არ დარჩება მშვიდად თუ დე კასტროს წინააღმდეგ გაილაშქრებ. — მან გადაწყვიტა მეფისათვის უკანასკნელი, უდავო საბუთი დაესახელებინა. — კარგად იცი, რომ არაგონის კარზე ალპაქიმად, ჩემი ნათესავი დონ ხოზე იბნ ეზრაა.) მან მეფის გეგმები იცის. ბევრჯერ უნდოდა შენ უავეუსტეს ბიძას შეიარაღებული დანშარება გაეწია ბართონ დე კასტროებისათვის. მე და ბიძაშვილმა მიმოწერა დავიწყეთ და ერთმანეთს ვეთათბირებოდით. დონ ხოზემ მეფის დავიწყება შეძლო. მაგრამ მეც გამაფრთხილა. არაგონმა ვალდებულება იკისრა — მფარველობა გაუწიოს დე კასტროებს; იმ შემთხვევაში თუკი შენ თავს დაესხმი მათ. — დონ ალფონსოს გადატყეცილი შუბლი ღრმა ნაოქმა დადარა. — ვხედავ, რომ შენ და შენი თავაზიანი ძამიკო გულმოდგინე მოლაპარაკებას აწარმოებთ ჩემ ზურგს უკან — თქვა მან. — აქამდეც მინდოდა მომეხსენებინა თქვენთვის დონ ხოზეს გაფრთხილება, — შეეპასუხა იეჰუდა, მაგრამ შენ მოწყალეა არ მოილე და ამის საშუალება არ მომიტეო.

მეფე მტკიცე ნაბიჯებით ბოლთას სცემდა. დონ იეჰუდა კი მის დარწმუნებას განავრცობდა. — კარგად მესმის, მეფეო, რომ მოუთმენლად გინდათ თავხელი ბარონების დასჯა. მეც არ მაქვს მოთმინება — ნუ გამიწყრებით ჩემი თავმდაბალი სიტყვებისათვის. მაგრამ იყავით მოწყალე და ცოტა კიდევ მოითმინეთ. თუ დამშვიდებულად განვსჯით, ძმები დე კასტროების მიერ მოყენებული ზარალი არც ისე დიდია.

— ჩემი ქვეშევრდომები მათ საპყრობილეებში იტანჯებიან! — დაიყვირა ალფონსომ.

— მიბრძანე და გამოვისყიდი ტყვეებს. ისინი მდაბიონი არიან და სულ ორასი-სამასი მარავედი დაგვიჯდება.

— გაჩუმდი! — შეუტია მას ალფონსომ. — მეფე თავის ქვეშევრდომებს ვასალისგან არ შეისყიდის! მაგრამ შენთვის ეს გაუგებარია, ვაჰარო!

იეჰუდა გაფითრდა. დავობდნენ სწორედ იმაზე, დე კასტროები იყვნენ თუ არა დონ ალფონსოს ვასალები. მაგრამ რას ვიზამთ, ამ ამბარტანებს ძარცვა და მკვლელობა მიაჩნიათ დავის გადაწყვეტის ერთადერთ წესიერ საშუალებად. დიდი სიამოვნებით ეტყოდა: „დაიწყე ლაშქრობა, სულელო რაინდო, ექვსი ათას ოქროს მარავედს გადმოგიგდებ!“ ხოლო თუ საქმე არაგონთან ბრძოლაზე წავა, მისი გეგმები ჩაიფუშება. მან ხელი უნდა შეუშალოს ამ ლაშქრობის დაწყებას.

— მაგრამ თუ ტყვეების გასათავისუფლებლად ისეთ ხერხს მოგძებნით, რომელიც შენს მეფურ ღირსებას ჩრდილს არ მიაყენებს? თუ იმას შივალწევთ, რომ დე კასტროებმა ტყვეები არაგონს მისცენ? ნება მომეცი მოლაპარაკება დავიწყო. თუ შენი თანხმობა იქნება, თვით წავალ სარაგოსაში დონ ხოზესთან მოსათათბირებლად. გთხოვ, მეფეო, ერთი პირობა მომეცი: ომი არ დაიწყო დე კასტროებთან, ვიდრე არ ინებებ და ჩემთან ერთხელ კიდევ არ მოითათბირებ.

— ძალიან ბევრს იღებ შენ თავზე, — ჩაიბუზღუნა ალფონსომ. მაგრამ იგი თავისი განზრახვის უგუნურებას მიხვდა. სამწუხაროდ, ებრაელი მართალი იყო.

მან ოქროს ფული აიღო, დაკვირვებით შეათვალიერა, ხელის გულზე დაიდო და სიმძიმე გაუსინჯა. სახე გაუბრწყინდა. — არაფერს გაპირდები, — თქვა მან, — მაგრამ ვიფიქრებ შენ ნათქვამზე.

იეჰუდა მიხვდა, რომ მეტს ვერაფერს შიალწევდა იგი გამოემშვიდობა და არაგონში გაემგზავრა.

კანონიკი როდრიგო იეპუდას არყოფნის დროსაც ხშირად მიდიოდა ხოლმე იბნ ეზრას კასტილიოში. მას მოხუცი მუსას საზოგადოება მოსწონდა.

ისინი პატარა ვალერიაში ისხდნენ, ვასცქეროდნენ მყუდრო ბაღს, უსმენდნენ წყლის ნაკადის წყნარ, მუდამ ზომიერ, მუდამ ცვალებად დუღუნს და დინჯად ბაასობდნენ. ლავგარდანს გასწვრივ ბრძნული გამონათქვამების წითელი, ლაჟვარდოვანი, ოქროთი მოვარაყებული ფრიზი მიჰყვებოდა. ახალი არაბული დამწერლობის ერთმანეთში ჩახლართული, ყვავილის ორნამენტში ჩაწნული ხვეული, რომელიც თავისი კრელი ბადით არაბესკში გადადიოდა, ხალიჩასავით ფარავდა კედლებს. ფანტასტიკურ ხვეულებში მოჩანდა ძველი არაბული, კუფური, გეომეტრიული დამწერლობანი და მასიური ებრაული, გამონათქვამებად ლავდებოდნენ, იკარგებოდნენ, სხვაში გადადიოდნენ, ისევ ჩნდებოდნენ, უცნაურად ამაღლელებლნი, შემადებუნებელნი.

როდრიგო არაბესკების და ორნამენტების ბარდებში ეძებდა ებრაულ გამონათქვამებს, რომლებიც ჭერ კიდევ პირველი სტუმრობის დროს გადაუთარგმნა მას მუსამ: „რამეთუ მითცა ვითარცა შემთხვევა ძეთა კაცთასა, და შემთხვევა საცხოვართა და შემთხვევა ერთი მათდა, ვითარცა სიკუდილი მისი, ეგრეთ სიკუდილი ამათი, და სული ერთი ყოველთა შინა, და რათა უმეტეს აქუს კაცს პირუტყუთა? არა რავე, რამეთუ ყოველნი ამავე და ყოველნი მოვლენ ადგილსა ერთსა შინა: ყოველნი შეჰქმენ მიწისაგან და ყოველნი მოიქცევიან მიწადვე. და ვინ უწყის სული ძეთა კაცთაი უკეთუ იგი აღვალს მალა და სული საცხოვართა უკეთუ შთავალს იგი დაბლა ქუჩყნად“. მაშინვე შეაშფოთა კანონიკი იმან, რომ ეს ლექსი მუსას წაკითხვით სულ სხვანაირად ეღერდა, ვიდრე ჩვეულებრივ ლათინურ თარგმანში. ახლა მან, როგორც იქნა, ვადაწყვიტა, ეს საკითხი გაერჩია მუსასთან, მაგრამ მუსამ ალერსიანად გააფრთხილა იგი: — არაა საჭირო ასეთი სახიფათო მსჯელობა, ჩემო დიდად ღირსეულო მეგობარო. შენ კარგად იცი, რომ როცა იერონიმე ბიბლიას თარგმნიდა, კეთილი სულის მიერ იყო შთაგონებული, ესე იგი, სიტყვები, რომლითაც ღმერთი მოსეს ელაპარაკებოდა, ლათინურად არა ნაკლებ ღვთაებრივია, ვიდრე ებრაულად. ნუ ბიილტვი მეტისმეტი სიბრძნისაყენ, ღირსეულო როდრიგო. ეკვის ქიას ფხიზლად სძინავს. მას შეუძლია გაიღვიძოს და ააფორაიქოს შენი რწმენა. მაშინ დაიღუბები. სხვა ქრისტიანული ქვეყნიდან ჩამოსული შენი თანამოძმენი ჩვენ ტოლედოს შავი მაგიის ქალაქს ეძახიან ისედაც. ჩვენი ხვეული, არაბული და ებრაული დამწერ-

ლობა კი ეშმაკეულ ხლართებად ეჩვენებათ. ფრთხილად იყავი, ასეთი ცნობისმოყვარეობის გამო ერეტიკოსად არ გამოგაცხადონ.

მიუხედავად ამისა, დონ როდრიგო თავის მშვიდ თვალებს მაცბუნებელ წარწერებს ვერ აშორებდა. მაგრამ წარწერებზე უფრო ის კაცი აწუხებდა კანონიკს, ვისი სურვილითაც იყო ისინი შერჩეული, — მოხუცი მუსა დონ როდრიგო მაშინვე მიხვდა, რომ მოხუცი მუსა სულით ხორცამდე ურწმუნო იყო. მას საკუთარი ალაპი და მუჰამედიც არ სწამდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს კეთილი და მრავლის ამტანი წარმართი პირველ ყოვლისა ნამდვილი მეცნიერი იყო. მან, როდრიგომ, შეისწავლა ყველაფერი, რასაც ქრისტიანული მეცნიერება გასწვდებოდა, ტრივიუმი და კვადრივიუმი — გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა, არითმეტიკა, მუსიკა, გეომეტრია და ასტრონომია, გარდა ამისა, ყველა ნებადართული არაბული მეცნიერება და ქრისტიანული ყველა სიბრძნე; მაგრამ მუსამ გაცილებით მეტი იცოდა, მან ყველაფერი იცოდა, ყველაფერზე ფიქრობდა და ყველაზე მშვენიერი ღვთის საჩუქარი იყო ამ უღმერთო ადამიანთან საუბარი.

— ერეტიკოსად მე? — სევდანარევი ალერსით უპასუხა დონ როდრიგომ მოხუცი მეცნიერის გაფრთხილებას. — ვშიშობ, რომ ერეტიკოსი შენ ხარ, ჩემო საყვარელო ბრძენო მუსა. და ვშიშობ, რომ მხოლოდ ერეტიკოსი კი არა, ნამდვილი წარმართი ხარ, რომელსაც თვით თავისი სარწმუნოების კეშმარტიცაც არ სწამს. — შენ ეს ვაშინებს? — ჰკითხა მოხუცმა მახინჯმა ბრძენმა და თავისი კვიანი თვალების გამსკვალავი მზერა მიაპყრო დონ როდრიგოს თვინიერ სახეს. — ამის მეშინია იმიტომ, რომ, — უპასუხა მან, — შენი მეგობარი ვარ, შემეცოდები თუ ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვები. — განა მე მაინც არ დავიწვები ჯოჯოხეთის ცეცხლში, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მუსლიმანი ვარ? — იკითხა მუსამ. — აუცილებელი არ არის, საყვარელო მუსა, — დამრიგებლურად თქვა როდრიგომ. — ყოველ შემთხვევაში, არა ისე მცხუნვარე ცეცხლში.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, ჩაფიქრებულმა მუსამ ორაზროვნად გამოთქვა: — განსაკუთრებულ განსხვავებას ვერ ვხედავ სამ წინასწარმეტყველს შორის, მართალი ხარ. ერთნაირად ვცემ პატივს მოსეს, ქრისტეს და მუჰამედს. — ასეთი რამის მოსმენაც კი შეუძლებელია ჩემთვის, — თქვა კანონიკმა და ცოტა გაიწია. — შენს წინააღმდეგ ზომები უნდა მიმეღო. — მუსამ თავაზიანად შენიშნა: — თუ ასეა, ჩანთვალე, რომ არაფერი მითქვამს.

ასეთი საუბრების დროს მუსა დგებოდა ხოლმე, მიდიოდა



თავის საწერ მაგიდასთან და წიგნებსა და არაბესკებს ხაზავდა. როდრიგო შერიოთა ჯა საყვედურით შესცქეროდა, როგორ უქმად ხარჯავდა მუსა ძვირფას ქალაღდს. კანონიკი სიამოვნებით უკითხავდა მუსას ნაწყვეტებს თავისი ქრონიკიდან, რომ მისგან დამატებითი ან უფრო ზუსტი ცნობები მიეღო. ქრონიკაში ბევრი რამ იყო ნათქვამი მიცვალებული წმიდანების შესახებ. ისინი ხშირად ამარცხებდნენ ურჯულოებს, ამობდნენ ჰაერში, ბრძოლის ველზე გატანილ რელიკვიებსაც არა ერთხელ მოუტანია გამარჯვება ქრისტიანებისათვის. მუსამ შენიშნა, რომ ეს წმიდა გვაგები ხშირად ყოფილან ქრისტიანთა დამარცხების მოწმენი. მან თავისი აზრი დინჯად და საქმიანად გამოთქვა და სრულიად გასაგებად ჩასთვალა, რომ როდრიგოს ეს არ აღუნიშნავს. საერთოდ გულდასმით უსმენდა კანონიკს, გუნებაში შრომის მნიშვნელობის რწმენა უმტკიცდებოდა.

როცა მუსა ღონ როდრიგოსათვის საკუთარ თხზულებას — „ისლამის ისტორია ესპანეთში“ — უკითხავდა, საცოდავ ღონ როდრიგოს საშინლად პრიმიტიული ეჩვენებოდა საკუთარი ნაწერი. მას ციებ-ციხლება იპყრობდა, როცა ისმენდა ამ თავისებურ, გაბედულ ისტორიულ ნაშრომს. „სახელმწიფოები ღმერთის მიერ კი არაა დაარსებული, — ნათქვამი იყო იქ, — არამედ იგი ცხოვრების ბუნებრივმა ძალამ შექმნა, საზოგადოებებად გაერთიანება აუცილებელია ადამიანებისათვის კაცთა მოდგმისა და კულტურის შესანარჩუნებლად, სახელმწიფო ძალაუფლება საჭიროა, რათა ადამიანებმა ერთმანეთი არ გაანადგურონ, რადგან ისინი ბუნებით ბოროტნი არიან. ძალა, რომელიც სახელმწიფოს ერთ მთლიანობად აყალიბებს, არის ნებისყოფითი, ისტორიული და სისხლიერი კავშირი. სახელმწიფოებს, ხალხებს, კულტურას, როგორც ყველა სულდგმულს, ბუნებისაგან მიკუთვნებული აქვს სიცოცხლის გარკვეული ვადა; როგორც ცალკეული ქმნილებანი, ისინი ზუთ ასაკს გაივლიან: წარმოშობა, აღმავლობა, აყვავება, დასასრული და განადგურება. ცივილიზაცია აუცილებლად გადადის ნებივრობაში, თავისუფლება სკეპტიციზმი და სახელმწიფოები, ხალხები, კულტურა ცვლიან ერთმანეთს მკაცრი, საუკუნო, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონების თანახმად, ყველაფერი ნუღმივად ცვალებადია, როგორც ჰაერში ატაცებული უდაბნოს ქვიშა“.

— თუ კარგად გავიგე, ჩემო მეგობარო მუსა, — შენიშნა ერთხელ, ასეთ კითხვასთან დაკავშირებით ღონ როდრიგომ, — შენ საერთოდ არ გწამს ღმერთი, მხოლოდ კაღარი, ბედი გწამს.

— ღმერთი არის ბედისწერა, — შეეპასუხა მუსა. ეს არის როგორც ებრაელთა „ღიღი წიგნის“, ისე ყურანის ცოდნის ჯამი.

მან ზევით აიხედა, მისივე მსგავსად როდრიგომაც თვალი მიადევნა ფრიზებში ჩახვეულ ლექსებს, რომლებშიც სოლომონი აცხადებს „ყოველისათვის ჟამი არს და ჟამი არს ყოვლისა საქმისაი ცასა ქუეშე. ჟამი არს შობისაი და ჟამი არს სიკუდილისაი, ჟამი არს დანერგვისაი და ჟამი მოფხურად დანერგულისა მის. ჟამი არს მოკლვისაი და ჟამი განკურნებისაი. ჟამი არს დარღუევისაი და ჟამი აღშენებისაი. ჟამი ტირილისაი და ჟამი სიცილისაი. ჟამი არს სიყვარულისაი და ჟამი სიძოლილისაი. ჟამი არს ბრძოლისაი და ჟამი მშვიდობისაი. რაიმე უმეტეს არს მოქმედებისა მის, რომელსა შურების“. როცა დარწმუნდა, რომ კანონიკმა წაიკითხა ეს სიტყვები, მუსამ განაგრძო:—ყურანის ოთხმოცდამეერთე სურაში, სადაც ქვეყნის დასასრულზეა ლაპარაკი, წინასწარმეტყველი ამბობს: „ყურანი გაფრთხილებათ მსოფლიოსათვის. თქვენ შორის მათთვის, რომელნიც წრფელ გზას ეძებენ, მაგრამ თქვენ ვერ ისურვებთ, თუ არ მას, რაც ღმერთს სწადია, ქვეყნის მფლობელსა“. ხედავ, ჩემო ღირსეულო მეგობარო, სოლომონი და მუჰამედიც ერთ დასკვნამდე მიდიან: ღმერთი და ბედისწერა ერთი და იგივეა, ანდა ფოლოსოფიის ენაზე: ღმერთი ყველა შემთხვევითობათა ჯამია.

ასეთი სიტყვები დონ როდრიგოს აშფოთებდა და გადაწყვიტა აღარ მისულიყო ხოლმე იბნ ეზრების კასტილიოში. მაგრამ ორი დღეც არ გაივლიდა და იგი ისევ იჯდა გალერეაში, სულის ამაშფოთებელი წარწერების ქვეშ. ზოგჯერ მას მოწაფეებიც მოჰყავდა, უფრო ხშირად ბენიამინი.

ხანდახან გალერეაში დონა რაკელიც მოდიოდა და შადრევნის წყნარ შხაპუნში ყურს უგდებდა მეცნიერი მამაკაცების დინჯ საუბარს.

ერთხელ ბენიამინის იქ ყოფნამ რაკელს რაბი ხანან ბენ რაბუა გაახსენა, მან კანონიკს ჰკითხა, თუ რა იცის ამ სწავლულისა და მისი დროის საზომი მანქანის შესახებ, მას არ ავიწყდებოდა დონ ბენიამინის ნაამბობი, თუ როგორ ღვენიდნენ მეცნიერ რაბინს და როგორ გახადეს იძულებული, დაენჯრია თავისი ქმნილება, მერე როგორ აწამეს და დასწვეს იგი. დონ როდრიგოს არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ მეცნიერებს ცოდნის გამო სღვენიდნენ და აწამებდნენ. იმისათვის მას თავის ქრონიკაში არ ჩაურთავს რაბი ხანანის ამბავი. — მე გალიანაში ცისტერნა დავათვალიერე, — აუხსნა მან. — სრულიად ჩვეულებრივი ცისტერნებია, არა მგონია რომ მათ როდისმე დროის საზომად იყენებდნენ. საერთოდ, არ მჯერა, რომ რაბი ხანანი აწამეს. დამადასტურებელი საბუთები ვერ ვნახე.

ახალგაზრდა დონ ბენიამინს ეწყინა, რომ კანონიკმა არ დაიჯერა

მისი ნაამბობი რაბი ხანანის შესახებ, და პატივისცემით, მაგრამ ცხარედ შეეპასუხა: — იგი რომ გამოჩენილი მეცნიერი იყო, ამას შენ ვერ უარყოფ, დიდად პატივცემულო დონ როდრიგო. მან არა თუ მარტო მშვენიერი ასტროლაბია დაამზადა, არამედ გალენის შრომები თარგმნა არაბულ და ლათინურ ენაზე და ამ გზით ძველი ბერძნების სამედიცინო მეცნიერება დღემდე შემოგვინახა.

დონ როდრიგომ პასუხი არ გასცა, სამაგიეროდ საუბარი დაიწყო ადრეული ქრისტიანობის დროს არსებული მკურნალების შესახებ, გალენის დროს ცხოვრობდნენ წმიდა კოსმოსი და დამიანი, სხვათაშორის, წარმოშობით არაბები, რომლებიც მასზე ნაკლებად როდი ექიმობდნენ. მოშურნეებმა დააბეზლეს, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ. მოსამართლეებმა მათ სიკვდილი მიუსაჯეს და ზღვაში გადაადგეს: გამოცხადდნენ ანგელოსები და გადაარჩინეს. მერე ცეცხლში შეაგდეს, მაგრამ ცეცხლმა ვერ დასწვა ისინი. ქვევით უნდოდათ ჩაქოლვა, მაგრამ ქვეები მსროლელებს დაუბრუნდა. სიკვდილის შემდეგაც სასწაულებრივად მკურნალობდნენ. ერთ კაცს თქმის განგრენა ჰქონდა, მან ორივე წმიდანის ხატზე ილოცა, როცა ღრმა ძილში წავიდა, მოეჩვენა, რომ წმიდანებმა მტკივანი ფეხი მოსპურეს და მკვდარი არაბის ფეხით შეუცვალეს. და მართლაც, როცა გამოეღვიძა, მას ახალი ჯანმრთელი ფეხი ჰქონდა. მკვდარი არაბიც იპოვეს, რომლის ფეხიც წმიდანებმა ავადმყოფს გაუკეთეს.

— ისინი უდიდესი ჯადოქრები იყვნენ, — დაეთანხმა დონა რაკელი. მუსამ კი თქვა: — მუსლიმანი დიდი ექიმები მხოლოდ სიცოცხლეში მკურნალობდნენ. გარდა ამისა მე ბევრი ქრისტიანი ვიცი, რომლებიც სერიოზული დაავადების შემთხვევაში სიამოვნებით მიმართავენ რჩევისათვის ებრაელ და მუსლიმან ექიმებს. — დონ როდრიგომ, რომელიც ამჯერად უფრო ცუდ განწყობაზე არ იყო, ვიდრე სხვა დროს, უპასუხა: — ჩვენ, ქრისტიანები, ვასწავლით, რომ თავმდაბლობა სათნოებაა. — მუსა ალერსიანად დაემოწმა. — გეთანხმები, სწავლებით კი ასწავლით, ჩემო ღირსეულო მეგობარო. — დონ როდრიგოს გაეცინა, — არ გეწყინოს, — თქვა მან, — მე რომ ავად გავხდე, თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ შენ მიმკურნალებ, ბრძენო მუსა.

დონ ბენიამინი ჩუმად რაღაცას იხატავდა თავის უბის წიგნაკში. მან დონა რაკელს უჩვენა ჩანახატი: ხეზე ყვავი იჯდა, რომელსაც მუსას სახე ჰქონდა. ეს, ნამდვილი პორტრეტი იყო. ესე იგი, ორმაგ ცოდვად ჩაითვლებოდა. მაგრამ პორტრეტი, მხიარული; მეგობრული იყო და ამიტომ რაკელს მოეწონა ნახატიც და ისიც ვინა; ოახატა.

მისი ნაამბობი რაბი ხანანის შესახებ, და პატივისცემით, მაგრამ ცხარედ შეეპასუხა: — იგი რომ გამოჩენილი მეცნიერი იყო, ამას შენ ვერ უარყოფ, დიდად პატივცემულო დონ როდრიგო. მან არა თუ მარტო მშვენიერი ასტროლაბია დაამზადა, არამედ გალენის შრომები თარგმნა არაბულ და ლათინურ ენაზე და ამ გზით ძველი ბერძნების სამედიცინო მეცნიერება დღემდე შემოგვინახა.

დონ როდრიგომ პასუხი არ გასცა, სამაგიეროდ საუბარი დაიწყო ადრეული ქრისტიანობის დროს არსებული მკურნალების შესახებ, გალენის დროს ცხოვრობდნენ წმიდა კოსმოსი და დამიანი, სხვათაშორის, წარმოშობით არაბები, რომლებიც მასზე ნაკლებად როდი ექიმობდნენ. მოშურნეებმა დააბეზლეს, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ. მოსამართლეებმა მათ სიკვდილი მიუსაჯეს და ზღვაში გადაადგეს: გამოცხადდნენ ანგელოსები და გადაარჩინეს. მერე ცეცხლში შეაგდეს, მაგრამ ცეცხლმა ვერ დასწვა ისინი. ქვებით უნდოდათ ჩაქოლვა, მაგრამ ქვები მსროლელებს დაუბრუნდა. სიკვდილის შემდეგაც სასწაულებრივად მკურნალობდნენ. ერთ კაცს თეძოს განგრენა ჰქონდა, მან ორივე წმიდანის ხატზე ილოცა, როცა ღრმა ძილში წავიდა, მოეჩვენა, რომ წმიდანებმა მტკივანი ფეხი მოსპურეს და მკვდარი არაბის ფეხით შეუცვალეს. და მართლაც, როცა გამოეღვიძა, მას ახალი ჯანმრთელი ფეხი ჰქონდა. მკვდარი არაბიც იპოვეს, რომლის ფეხიც წმიდანებმა ავადმყოფს გაუკეთეს.

— ისინი უდიდესი ჯადოქრები იყვნენ, — დაეთანხმა დონა რაკელი. მუსამ კი თქვა: — მუსლიმანი დიდი ექიმები მხოლოდ სიცოცხლეში მკურნალობდნენ. გარდა ამისა მე ბევრი ქრისტიანი ვიცი, რომლებიც სერიოზული დაავადების შემთხვევაში სიამოვნებით მიმართავენ რჩევისათვის ებრაელ და მუსლიმან ექიმებს. — დონ როდრიგომ, რომელიც ამჯერად უფრო ცუდ განწყობაზე არ იყო, ვიდრე სხვა დროს, უპასუხა: — ჩვენ, ქრისტიანები, ვასწავლით, რომ თავმდაბლობა სათნოებაა. — მუსა ალერსიანად დაემოწმა. — გეთანხმები, სწავლებით კი ასწავლით, ჩემო ღირსეულო მეგობარო. — დონ როდრიგოს გაეცინა, — არ გეწყინოს, — თქვა მან, — მე რომ ავად გავხდე, თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ შენ მიმკურნალებ, ბრძენო მუსა.

დონ ბენიამინი ჩუმად რაღაცას იხატავდა თავის უბის წიგნაკში. მან დონა რაკელს უჩვენა ჩანახატი: ხეზე ყვავი იჯდა, რომელსაც მუსას სახე ჰქონდა. ეს, ნამდვილი პორტრეტი იყო. ესე იგი, ორმაგ ცოდვად ჩაითვლებოდა. მაგრამ პორტრეტი, მხიარული; მეგობრული იყო და ამიტომ რაკელს მოეწონა ნახატიც და ისიც ვინა; ოახატა.

მეფე არავითარ ზომებს არ ღებულობდა ძმები და კასტროების წინააღმდეგ და მათი მომხრეები გათამამდნენ. ისევე, როგორც თავის დროზე, ბურგოსის მცხოვრებნი ეროვნულ გმირს, სიღკმპეადორს იცავდნენ ალფონსო მეექვსისაგან, ანლა მეამბოხე ბრონები ძმებს და კასტროებს იცავდნენ ალფონსო მერვისაგან.)  
„რა კარგი ვასალები იქნებოდნენ, კარგი მეფე რომ ჰყავდეთო!“ როცა მეფე გადასახადის ნარჩენს მოითხოვდა, ნუნიესები და არენასები იცინოდნენ: „გთხოვთ, დონ ალფონსო, მობრძანდი და დაიხსენი შენი ფული, ისევე როგორც დაიხსენი შენი ქვეშევრდომები და კასტროების ციხე-კოშკიდან“.

დონ ალფონსო მძვინვარებდა. და თუ მას არ სურდა, რომ ყველა ბარონი აჯანყებულიყო, აღარ უნდა მოეთმინა ძმები და კასტროების თვითნებობა.)

მეფემ თავისი ახლობელი გრანდები მოიწვია საბჭოზე: დონ მანრიკე და ლარა და მისი ვაჟიშვილი გარსერანი, არქიეპისკოპოსი დონ მარტინი და კარდონა და კანონიკი დონ როდრიგო; ესკრივანო მაიორი დონ იეჰუდა ჯერ ისევ არაგონში იყო.

(მეგობრების წინაშე დონ ალფონსომ თავისი უძღური ბრაზი გამომანთხია. და კასტროები მას ყოველ წუთს შეურაცხყოფას აყენებენ, მისი ესკრივანო კი მოლაპარაკებას აწარმოებს არასაიმედო მეფე რაიმუნდესთან და რაინდული დავა ვაჭართა საბჭოზე უნდა გადაწყვიტოს. ამ ოხერ დავაში ხომ თვითონ ებრაელი დამნაშავე, — რას შეძერა და კასტროების სახლში?)

— მგონი, უკეთესია, გამოვაგდო იქიდან, — ჯიუტად დაასრულა დონ ალფონსომ.

დონ მანრიკემ მისი დამშვიდება სცადა. — სამართლიანი იყავით, მეფევე ბატონო. ებრაელმა დაიმსახურა თავისი კასტილიო. მან დანაპირებზე მეტი გააკეთა. გრანდები გადასახადს მშვილობიანობის დროსაც იხდიან. ჩვიდმეტი ქალაქი, რომელიც წინათ გრანდებს ეკუთვნოდა, ახლა თქვენ გემორჩილებათ. რამდენიმე თქვენი ქვეშევრდომი მართალია ტყვედ ჰყავთ და კასტროებს, სამაგიეროდ სვეილიის ტყვეობიდან გათავისუფლებულია მრავალი ასეული თქვენი რაინდი და ჯარისკაცი.)

წითელლოყება, მრგვალი სახის, შექალაქარავებული, უხეში, მაგრამ მხიარული არქიეპისკოპოსი დონ მარტინი შეედავა. მას მებრძოლის გამომეტყველება ჰქონდა, რაინდს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოძღვარს. მისი წოდების ადმინიშვნელი ტანისამოსი აბჯარს ვერ ფარავდა. აქ, ტოლედოში, მუსლიმანებთან ასე ახლოს ცხოვრება იგივეა, რაც დაუსრულებელ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ყოფნა. ასე

ფიქრობდა იგი. — ქება-დიდება არ დაიშურე შენი ებრაელისათვის, დიდებულო დონ მანრიკე, — თქვა მან თავისი რიხიანი ხმით. — უდავოა, (ვმ ახალმა იბნ ეზრამ მოახერხა ქვეყნიდან ამოქაჩა ასი ათასი ოქროს მარაველი. აქედან ცოტაოდენი მეფესაც არგუნა, ჩვენ ხელმწიფეს. სამაგიეროდ წმიდა ეკლესიას ზარალი მიაყენა. ამაზე თვალს ნუ ხუჭავთ, ბატონებო! ტოლედოელი ებრაელები თავბედები იყვნენ ჭერ კიდევ გოთების, ჩვენი მამების დროს, მის შემდეგ კი, რაც შენ, მეფეო, ინებე იეჰუდას ასე განდიდება, ალჰამის ურცხვობა აუტანელია. მათი უხუცესი ეფრაიმ ბარ აბა არა თუ მარტო უარს აცხადებს ჩემი კუთვნილი მეათედის გადახდაზე, — ამასთან იგი, სამწუხაროდ, შენ გიმოწმებს, მეფევე ბატონო, იმასაც ბედავს, რომ გამომწვევი თავბედობით, სინაგოგაში ქადაგებს იაკობის წინასწარმეტყველებას: „თავადს იუდა ვერ გაასაწყლებს და ბელადს — მისი წელი“. მე ხომ დაეუმტკიცე მას, ეკლესიის მამათა ქმნილებების საფუძველზე, რომ იაკობის ამ წინასწარმეტყველებას ძალა მხოლოდ მესიის მოსვლამდე ჰქონდა და ყოველგვარი ღირებულება დაკარგა მხსნელის გამოჩენისას. მაგრამ მხოლოდ ჩვენ, ქრისტიანებს, ძალგვიძს გავიგოთ საღვთო წერილის შინაგანი იდუმალი აზრი. ებრაელები უგუნურ საქონელს გვანან და ასოებს ეჭიდებიან.)

— იქნებ ტოლედოს ალჰამას არ ეკუთვნის ასე სასტიკი განსჯა, — რბილად გამოთქვა თავისი აზრი კანონიკმა. — როცა, თავის დროზე, ბრძებმა და ცოდვილებმა — ამაყმა იერუსალიმელმა ებრაელებამ ჩვენი უფალი იესო ქრისტე სამსჯავროს წინაშე წააყენა, ტოლედოელი ებრაელების საზოგადოებამ მღვდელმთავარ კაიფასთან ელჩები გაგზავნა და გააფრთხილა იგი, რომ ჭვარს არ ეცვა მხსნელი. ეს უძველესი წიგნებითაა დამოწმებული.

არქიეპისკოპოსმა დონ როდრიგოს რისხვით შეხედა, მაგრამ შეპასუხებისაგან თავი შეიკავა. არქიეპისკოპოსსა და მის მდივანს დონ როდრიგოს შორის უცნაური დამოკიდებულება დამკვიდრდა. არქიეპისკოპოსი მორწმუნე იყო და არ ცბიერობდა თავისთავად. მან იცოდა, რომ მეომრული ტემპერამენტი ხანდახან აგულიანებდა ისეთი სიტყვებისა და საქმეებისათვის, რაც შეუფერებელი იყო ესპანეთის პრიმასისა და წმიდა ევგენიუსისა და ილდეფონსოს მემკვიდრისთვის. იმ ცოდვების გამოსასყიდად, მის მეომრულ ზნეჩვეულებებს რომ შეეძლოთ მოეხვეიათ მისთვის, მან თვითონ დაუწესა თავის თავს საკანონო: გამუდმებული თანხლება კრავივით თვინიერი დონ როდრიგოსი იმ შემთხვევაში, თუ მას განკითხვის დღეს დაადანაშაულებენ, რომ ხანდახან მასში მებრძოლი სძლევდა მოძღვარს.

ამგვარად, ნაცვლად იმისა, როდრიგოს რომ შედავებოდა, იგი მეფეს მიუბრუნდა: — თავის დროზე, როცა აუცილებლობას და შენ მრჩევლებს დაემორჩილე და ებრაელი მიიღე, გაფრთხილებდი, დონ ალფონსო, და გიწინასწარმეტყველებდი: დადგება დრო და ინანებ ამ ამბავს. უწმინდესმა ტაძარმა უსაფუძვლოდ როდი აუტრძალა ქრისტიან მეფეებს ურჯულოების დაახლოება.

დონ მანრიკე შეეპასუხა: — ინგლისისა და ნაეარის, აგრეთვე ლეონის, პორტუგალიის და არაგონის მეფეებმა თავიანთი იუდეველი მინისტრები დაიტოვეს ლათერანის კრების დადგენილების მიუხედავად. ისინი მხოლოდ იმითი დაკმაყოფილდნენ, რომ წმიდა მამას თავისი სინანული გამოუტყნადეს. ასევე მოიქცა ჩვენი მეფე, ჩვენი ხელმწიფე, რომელსაც გარდა ამისა, შეეძლო მაგალითისათვის დაემოწმებინა თავისი უავგუსტესი წინაპრები. ალფონსო მეექვსეც ორი ებრაელი მინისტრი ჰყავდა, მეშვიდეს, ესპანეთის იმპერატორს — ხუთი. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა აეშენებინა კასტილიას ამდენი ეკლესიები თავის წმიდანებისათვის და ამდენი ციხე-სიმაგრეები მუსლიმანების წინააღმდეგ ებრაელების დაუხმარებლად.

— ნება მომეცი, ღირსეულო მამაო, — დაასკვნა კანონიკმა, — მოგაგონო ჩვენი მეგობარი, დიდად პატივცემული ეპისკოპოსი ვალიადოლიდელი. მანაც ვერაფრით ვერ მიიღო გადასახადი და იძულებული გახდა, ეს საქმე ჩვენი იეპუდასათვის დაევალებინა.

ამჯერად კი რისხვა ვერ დაფარა დონ მარტინმა. — შენ სათნობით აღსავსე ხარ, დონ როდრიგო, — აბუზღუნდა იგი, — შენ თითქმის წმიდანი ხარ და ამიტომ გიტან. მაგრამ ნება მომეცი, მორჩილად გითხრა: ხანდახან შენი სიმშვიდე და მოთმინება უბრალოდ უსინდისობაა და მეტი არაფერი.

მეფე მათ კინკლაობას ყურს არ უგდებდა იგი თავისი ფიქრებით იყო გართული და ბოლოს განაცხადა, რაც აწუხებდა: — ხშირად შევეკითხვიარ ჩემ თავს, ღმერთი რატომ აძლევს ურჯულოებს ასეთ ძალას და ჩვენ კი უარს გვეუბნება ამაზე. მე ასე ვფიქრობ: ისინი დაწყევლილი არიან საუკუნოდ, ამიტომაც თავისი დიდი მოწყალეების გამო ამქვეყნიური ცხოვრების ცოტა დროის მანძილზე მათ მისცა ჰკუა, მქვერმეტყველება და განძის გამრავლების ნიჭი.

ყველანი დაბნეულად სდუმდნენ. მათ უკვირდათ, რომ მეფე ასე გულწრფელად გამოთქვამდა თავის იღუმალ ფიქრებს, მართალი რომ ვთქვათ, არც შეეფერებოდა. მაგრამ მეფეს უფლება აქვს მეფური უზრუნველობით აშკარად თქვას, რა უღევს გულში.

ახალგაზრდა დონ გარსერანი მსჯელობის საგანს დაუბრუნდა. —

აი, რა შეგეძლოთ გაგვეთვინათ, მეფევე ბატონო, — შესთავაზა მან. — თუ შენ დე კასტროების ოჯახის წინააღმდეგ არ გაილაშქრებ, მაშინ ჯარები მათ საზღვარზე დააყენე, ქალაქ კუენკაში გარნიზონი შეიყვანე. — კარგი რჩევაა, — ხმამაღლა მოიწონა ეპისკოპოსმა. — ჩააყენე გარნიზონი კუენკაში საკმაოდ ბევრი, რომ დე კასტროებს შენ ქვეშევრდომებზე თავდასხმის ხალისი დაეკარგოთ.

ღონ ალფონსოც უკვე ფიქრობდა ამის შესახებ. მაგრამ მას ესიაბოვნა, რომ ეს ღონისძიება სხვებმა შესთავაზეს. — დიახ, სწორედ ასე მოვიქცევი, — განაცხადა მან. — ამის საწინააღმდეგოდ ჩვენი ებრაელიც ვერაფერს იტყვის. — ბირქუში მხიარულებით დასძინა ალფონსომ.

ღონ მანრიკე ფიქრობდა, სამი რაზმი საკმაო იყო ბარონ დე კასტროებისაგან კუენკას დასაცავად. ღონ ალფონსო შეედავა, რომ დე კასტროების ყაჩაღურ თავდასხმებს შეიძლება მაღა გაელვობინა ვალენსიის ემირისათვის და მასაც თვალი დაედგა ქალაქისათვის. უმჯობესი იქნება, მეტი ჯარისკაცი გავგზავნოთ კუენკაში, თუნდაც ორასი სათადარიგო შუბი. არქიეპისკოპოსმა, რომელიც სამხედრო საქმის მცოდნედ ითვლებოდა, შეახსენა: გარკვეული რაოდენობა ჯარისკაცებისა ყოველთვის უნდა იყოს ცინე-სიმაგრის გარეთ, რათა გლეხების კარმიდამო დაიცივან და გააცილონ ქალაქიდან გამგზავრებული მოქალაქეები. — სამასი შუბი გავგზავნე, ღონ ალფონსო, — ურჩია მან.

ღონ ალფონსომ ხუთასი გავგზავნა.

ტაზმის მეთაურობა დაავალა თავის მეგობარს, ღონ ესტებან ილანს, მხიარულსა და გაბედულ ახალგაზრდას. გამგზავრების წინ მეფემ მას სთხოვა: — არ დაუშვა ახალი შეურაცხყოფები, ღონ ესტებან! ცოტაოდენი საწყენიც არ მოითმინო! დე კასტროს ვილანებმა თუნდაც ერთი საცოდავი ქათამი რომ მოიპარონ ჩვენ ტერიტორიაზე, არ დაზოგო! დაედევნე, შეიჭერი მათ სანტა მარიაში და წაართვი ქათამი, ათეულ ჯარისკაცადაც რომ დაგიჭდეს! — მან ესტებანს ხელთათმანი მისცა — რაინდული დავალების აღსანიშნავად. ღონ ესტებანმა ხელზე აკოცა მეფეს და უთხრა: — ჩემით უკმაყოფილო არ იქნები, ღონ ალფონსო.)

პატარა ქალაქ კუენკასა და მის ახლო მდებარე სოფლებში შევიდნენ ჯარისკაცები. ისინი თვალს არ აშორებდნენ მთიანი ქვეყნის, ალბარასინის ძნელად მისადგომ საზღვარს. მაგრამ დე კასტროების არც ერთი კაცი არ გამოჩენილა. გავიდა ერთი კვირა, მერე მეორე, ღონ ესტებანის ჯარისკაცები ბუზღუნებდნენ, მოსაწყენი სამსახურიოა, კუენკას მცხოვრებნი კი ილანძღებოდნენ ჩაყენებულ ჯარისკაცთა გამო.



ამასობაში იეჭუდა იჯდა სარაგოსაში და ეთათბირებოდა თავის ნათესავს დონ ხოზე იბნ ეზრას — განათლებულ, თავაზიან, სასიამოვნო, სიმსუქნეში შესულ სკეპტიკოს კაცს. მან იეჭუდას აგრძობინა, რომ საწადელს მიუხვდა. თვითონ ძალიან უნდოდა მშვიდობიანობა და სიამოვნებით თანაუგრძნო ნათესავს. იეჭუდა ცდილობდა, ბარონ დე კასტროების მიერ დატყვევებული კასტილიელები არაგონს გამოესყიდა და ალფონსოსათვის დაებრუნებინა, სამაგიეროდ კი, იგი უარს იტყვის ქალაქ დაროკის დაჩემებაზე. დონ ხოზეს იეჭუდას წინადადება მისაღებად მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ ამით თავისი მბრძანებლის გულს მოინადირებდა. რა თქმა უნდა, აჩქარება არ ვარგა, მეფე რაიმუნდესი ახლა სამხედრო ბანაკშია. მთელი მისი ფიქრები მიმართულია ტულუზის გრაფთან ომის კეთილად დამთავრებისაკენ, და დონ ხოზეს ლოდინი მოუწევს, ვიდრე დროს შეურჩევდეს მეფეს და შეაწუხებდეს ასეთი უმნიშვნელო საქმისათვის. ორი კვირის შემდეგ იგი წავა დონ რაიმუნდესთან ბანაკში. მანამდე დონ იეჭუდამ უნდა მოითმინოს. შემდეგ კი მასაც შეეძლება იქ მისვლა.

იეჭუდამ კარგად გამოიყენა ეს ორი კვირა. პერპინიანში წავიდა და კეთილად დააგვირგვინა ერთი აწეწილი საქმე. ტულუზაში ჩავიდა და ნათესავს ეწვია, მეორე იბნ ეზრას, ამ ქალაქის ებრაელთა ბალის. შემდეგ იგი მეფე რაიმუნდესის ბანაკს ესტუმრა. დონ ხოზე პატოსნად ეხმარებოდა მას და მეფემ მოწყალედ მოუსმინა იეჭუდას. მაგრამ მეფე დინჯი, დარბაისელი კაცი იყო და ერთი კვირა გავიდა, ვიდრე იგი თანხმობას განაცხადებდა.

იეჭუდამ შეებით ამოისუნთქა. ყველაზე რთული სულელური დაბრკოლება, რომელიც მშვიდობას ხელს უშლიდა, მოშორებული იყო. მან შიკრიკი გაგზავნა დონ ალფონსოსთან და აცნობა, რომ სასურველი ხელშეკრულება დადებული და ბეჭდით დამოწმებულია, იეჭუდა თვითონაც მალე ტოლედოში იქნება.

შიკრიკი ჭერ არც კი იყო ტოლედოში მისული, როცა დონ ალფონსომ კუნეკადან თავისი მეგობრის, ესტებან ილანის ვრცელი, უთავბოლო წერილი მიიღო.

გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა. ბარონ დე კასტროების შეიარაღებულმა მსახურებმა კასტილიიდან გაიტაცეს ცხვრის ფარა. მათი მღევარი დონ ესტებანის ჯარისკაცები დე კასტროების სამფლობელოში შეიჭრნენ, სადაც რაინდებსა და საჭურველმტვირთველებს გადაეყარნენ. ატყდა ერთმანეთის ლანძღვა. საქმე შეტაკებამდე მივიდა, ამ დროს მოკლულ იქნა რაინდი, რომელიც საუბედუროდ დე კასტროების ერთ-ერთი ძმა აღმოჩნდა, გრაფი ფერნანდი. არ

შემიძლია დაგიმალო, წერდა დონ ესტებანი, რომ კასტილიელის ისრით მოკლული ფერნან დე კასტრო საომარი საქურვლით არ იყო შეიარაღებული, იგი სანადიროდ გამოსულა და ხელთათმანზე თავისი საყვარელი შევარდენი ეჭდა. კასტილიელმა მშვილდოსანმა რატომ ისროლა ისარი მოუფიქრებლად, ამის გამორკვევა ახლა შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, მან, ესტებანმა, მაშინვე ბრძანა, ჩამოეხრჩოთ დამნაშავე.

დონ ალფონსომ წერილი წაიკითხა და შეწუხდა. ამაზე უარესი დასასრულის მოფიქრებაც კი შეუძლებელი იყო. მდაბიომ, ვილანმა, მისი, დონ ალფონსოს ბრძანებით მოღალატურად მოკლა დიდგვაროვანი თავადი, მით უმეტეს უიარაღო. ახლა კი, კასტილიის მეფე შერაცხვენილია მთელ ესპანეთში.

მეორე ძმას გუტიერე დე კასტროს კანონიერი, რაინდული უფლება აქვს შური იძიოს ძმისათვის. იგი დახმარებისათვის არაგონს მიმართავს და პროვანსის მძლეველ მეფე რაიმუნდესს სასურველი მიზეზი ექნება, ომი აუტეხოს საძულველ ნათესავს, ალფონსოს. სულელური ომი არაგონთან, რომელიც მას არ სურდა და რის თავიდან აცილება ყველაზე უფრო უნდოდა, ახლა გარდაუვალია.

ალფონსოს რცხვენოდა იეჰუდასი. რცხვენოდა თავისი მრჩეულებისა და მთელი ქრისტიანული სამყაროსი. მაგრამ იგი ხომ ისე მოიქცა, როგორც მოიქცეოდა ყველა რაინდი მის ადგილას. მისი სამეფო ვალი იყო, თავისი ქალაქის კუნეკას დასაცავად ჯარი გაეგზავნა და ბრძანებისათვის, რომელიც გულად დონ ესტებან ილანს მისცა, არავის შეეძლო გაეკიცხა იგი. დონ ესტებანი მისი მეგობარი და კეთილი რაინდი, გარდა ამისა მის მახვილს წმიდა ილდეფონსოს ძვალი აქვს დატანებული. ოჰ, წმიდა რელიკვიამ ვერ განდევნა ეშმაკი! ყველაფერი ეს ხომ სატანის ოინები და ეშმაკური ხრიკებია და არაფინაა ამ ამბავში დამნაშავე, — არც ის, არც დონ ესტებანი, არც ფერნანი დე კასტრო და არც ებრაელი. მაგრამ მთელი ქრისტიანული სამყარო მას, დონ ალფონსოს, დაადანაშაულებს.

ღიაზ, იეჰუდამ მას ვერ მოუტანა ბედნიერება, ახლა კი როცა მას, ალფონსოს, ასე სჭირდება მისი რჩევა, იგი არ არის!

კიდევ კარგი, რომ არ არის. ალფონსო ახლა ვერ შესძლებდა იეჰუდას ნახვას. ვერ აიტანდა მის სასაყვედურო, გონივრულ სიტყვებს. მას ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც ყველაფერს გაუგებს. გაუგებს, რომ არ არის დამნაშავე, რომ გაუგონარი უბედურება დაატყდა თავს. მას შინაური, ძალიან ახლობელი ადამიანი სჭირდება.

იეჰუდასთვის არ მოუცდია, მცირე ამაღის თანხლებით ბურგოსში, თავის დედოფალთან, დონა ლეონორთან გაემგზავრა.

დონა ლეონორი სიხარულით შეხვდა მეფეს. იგი მაშინვე მიუხვდა მეფეს და ალფონსოს აღარ დასჭირებია თავის მართლება, თუ როგორ მოხდა ყოველივე. ორივე ერთსა და იმავეს განიცდიდა. ყველაფერში ბოროტი ბედია დამნაშავე, მისი ალფონსო უდანაშაულოა.

არაგონთან მოსალოდნელი ომი ალფონსოზე მეტად აწუხებდა დონა ლეონორს. იგი ამ ორივე სახელმწიფოს გაერთიანებაზე ოცნებობდა. მომავალი ომი კი უმსხვრევდა იმედებს, მაგრამ თავისი დარდი დამალა და როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივ მშვიდად გამოიყურებოდა ალფონსოს დონა ლეონორის სიახლოვემ, მასთან საუბარმა სიმხნევე და სიმშვიდე შემატა. ამის იმედიც ჰქონდა.

კაცმა რომ თქვას, ალფონსოს ტოლედო ერჩია ბურგოსს. ჭერ კიდევ ბავშვმა ტოლედოში ჩაიდინა საგმირო საქმეები, სწორედ აქედან დაიპყრო თავისი სამეფო, გარდა ამისა, ტოლედო ოდითგანვე ცნობილი, ნამდვილი მტრების — მუსლიმანების უშუალო მეზობელია და ალფონსო, როგორც მეფე და ჭარისკაცი, მტერთან ახლოს უნდა იყოს. მაგრამ ახლა კიდევაც ახარებდა ძველ, უხსოვარი დროიდან ცნობილ ქრისტიანულ ბურგოსში ყოფნა. და თვით ქალაქი, რომლის სახელთან უთვალავი მოგონებებით იყო დაკავშირებული, ახალ ძალასა და რწმენას უნერგავდა. ქალაქ ბურგოსის კასტილიოსაგან მიიღო მისმა კასტილიამ სახელწოდებაც, აქედან მოუპოვა მისმა წინაპარმა ფერნან გონსალესმა კასტილიის საგრაფოს დამოუკიდებლობა, გააფართოვა და გააძლიერა მისი საზღვრები. აქ, ბურგოსში, მისმა პაპის მამამ, ალფონსო მეექვსემ, დაამტკიცა, რომ მეფე უკან არ დაიხვეს ესპანეთის უდიდესი კაცის წინაშეც კი. იმავე ალფონსომ განდევნა ქალაქიდან ესპანეთის უმაღლესი გმირი, სიდ კომპეადორი, რადგან უკმაყოფილო იყო წარმოებულ ომით. კასტილიოს მეფე არავის აპატიებს ურჩობას თვით სიდსაც კი, ვილაც დე კასტროებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირდა.

მაგრამ სიდ კომპეადორი უკვე მკვდარია, და თვით მეფეებმაც დიდი ხანია ესპანეთის უკეთილშობილეს რაინდსა და მეომარს აპატიეს ყოველივე და ქალაქი ბურგოსი ამაყობდა დიდი გმირის სახელთან უშუალოდ დაკავშირებული მოგონებებით. პირქუში სიამოვნებით შედგა ღონ ალფონსო უელგას მონასტრის ეკლესიაში ჩამოკიდებული სკივრის წინაშე. თითქოს განძეულობით სავსე ეს სკივრი სიღმა გირაოდ მისცა ორ ებრაელ ბანკირს, აღმოჩნდა, რომ

მასში მხოლოდ ქვიშა იყო — გმირის შეხედულებით მის სიტყვას უნდა ენდონ. სკივრი თელსაჩინო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ უნდა მოექცეს რაინდი ებრაელ ვაჭრებს.

დონ რაიმუნდეს არაგონელი არ ჩქარობდა ომს, საერთოდ არ უყვარდა ამჩატება. სამაგიეროდ, დონ ალფონსოსათვის ლოდინი ტანჯვა იყო და ამიტომაც თავისი აზრი დონა ლეონორს გაუზიარა, პირველი მე დავესხმი თავსო.

ღმერთად დონა ლეონორმა დუმილი დაარღვია და მეფეს პირდაპირ და გარკვევით უთხრა, რომ ქვეყანას ჯერ არ უპატიებია მეფისათვის სევილიასთან დამარცხება. ახალი ომი არაგონმაც რომ წამოიწყოს, მაინც უქმეყოფილებას გამოიწვევს. ასეთ გარემოებაში შენ რომ პირველად დაესხა თავს — ეს იმას ნიშნავს, არა ხარ მართალი — ეს სისულელეა. დონ ალფონსომ მოთმინებით მოისმინა დედოფლის მწარე სიტყვები.)

როგორც იქნა იეპულა ბურგოსში ჩამოვიდა. როგორც კი გაიგო ფერნან დე კასტროს სიკვდილი, მიხვდა, რა საშიშროებას მოასწავებდა ეს ამბავი. საშინელ ხასიათზე დადგა და სასოწარკვეთილმა საკუთარ თავს დააბრალა ყოველფე. იგი მოტყუვდა. ტოლედოში უნდა დარჩენილიყო და როგორმე მეფე შეეჩერებინა. ამჯერად საკუთარმა ინტუიციამ უღალატა.

მაგრამ საქმიანმა იეპულამ ომის თავიდან აცილების იმედი არ დაჰკარგა. დაუყოვნებლივ გაემგზავრა ტოლედოში. როგორც კი შეიტყო ალფონსოს ბურგოსში ყოფნა, სასწრაფოდ გაეშურა მასთან.

გამოცხადდა დონ ალფონსოსთან, მაგრამ მან სხვადასხვა იმბები მოიმიზეზა და არ ისურვა იეპულას ნახვა. სამაგიეროდ იგი დედოფალმა მიიღო.

ღამ ჰქვიანი ქალის დანახვამ იეპულას ენერგია შემატა. — თუ შენი უდიდებულესობა ნებას დამრთავს, დედოფალს, — შესთავაზა მან, — ახლავე გავემგზავრები სარაგოსაში და შევეცდები მეფეს გული მოვუღობო, ახლახანს როცა მას ბანაკში ვეახლე, ყურადღება მიწყალობა. — მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, — თქვა დონა ლეონორმა, დონ იეპულამ ფრთხილად შენიშნა: — რა თქმა უნდა, მეფესთან ხელცარიელი მისვლა შეუძლებელია. — მაინც რას შესთავაზებდი? — ჰკითხა ლეონორმა. — იქნებ შევძლოთ დონ ალფონსოს დაყოლიება, უარი თქვას სადავო სიუზერენულ უფლებებზე. — უფრო ფრთხილად შესთავაზა იეპულამ. — კასტილიის სიუზერენული უფლებები უდავოა, — ცივად უთხრა დონა ლეონორმა, — ამას ომი სჯობია! — და იეპულას ისეთი ზიზლით შეხედა, რომ იგი მიხვ-

და: დედოფალი და მეფე ორი წვეთივით ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ დედოფალი არავითარ შემთხვევაში უარს არ იტყვოდა ამ ცარიელ რაინდულ ტიტულსა და თავის სასაცილო დაჩემებაზე. დედოფალსაც ჩარჩობად მიაჩნდა მთელი ამ ვითარების გონივრულად აწონდაწონვა.

დაბოლოს დონ ალფონსომ მოწყალება გაიღო და იეჰუდა მიიღო. თან დაცინვით უთხრა: — ხომ ხედავ, ესკრივანო, ცდა არ დაგიკლია სარაგოსასა და ტულუზაში, ათასგვარი ეშმაკური ხელშეკრულებებიც მოიგონე, მაგრამ თვითონვე ხედავ, რა ფასი აქვთ მათ. ვერ მომიტანე ბედნიერება, დონ იეჰუდა. რამეში მაინც გამოძაღეკი და ფული მიშოვნე. ვშიშობ, რომ ამჯერად საკმაოდ ბევრი ფული დაგვჭირდება.

დონ ალფონსომ სათათბიროდ რაინდები მოიწვია. მან კარგად იცოდა სამხედრო საქმე და გადაწყვიტა, არაგონს ძვირად დაუჭლებდა მასთან ომი. თუმც ნათლად ხედავდა, რომ უპირატესობა მტრის მხარეზე იყო, ალფონსოს მაინც სჯეროდა თავისი ვარსკვლავის. როგორც რაინდი და ქრისტიანი, თავის ბედს ყოველდღე მღერტოს ანდობდა, რომელიც კასტილიის მეფეს, ალფონსოს დასაღუპავად არ გაიმეტებდა.)

ცდა ღმერთმა დაასაჩუქრა რწმენისათვის. ორმოცდაჩვიდმეტე წლის დონ რაიმუნდეს არაგონელი თავისი აყვავების ხანაში, პროვანსზე გამარჯვების ზეიმის დროს, მოულოდნელად გარდაიცვალა. უფალმა გულში დაქრა და თან წაიყვანა ისე სწრაფად, რომ ვეღარ მოასწრო ევნო თავისი კასტილიელი ძმისწულისათვის.)

დონ ალფონსოს ცხოვრებაში მოულოდნელი ბედნიერება მოხდა. არაგონის ტახტის მემკვიდრე, ჩვიდმეტი წლის ინფანტი დონ პედრო არ ჰგავდა მამას) დონ რაიმუნდესმა ჰკვიანური პოლიტიკით გააფართოვა თავისი სამეფოს საზღვრები და ეშმაკობით მოიპოვა უფლება და მიწები პროვანსში — სამხედრო ძალას მხოლოდ მაშინ მიმართა, როცა დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. არ თავილობდა თავის გრანდებთან შერიგებას, თუ მათ ამ შერიგებით ფულს ან სამსახურს დასტყუებდა. ახალგაზრდა დონ პედროს მამის ასეთი გაქნილი პოლიტიკა მიუღებელ ფანდად და რაინდისათვის უღირს საქციელად მიაჩნდა. თავის კასტილიელ ბიძაშვილს პედროს, სხვების მსგავსად, ქრისტიანი რაინდის ნამდვილ განსახიერებად თვლიდა არ იყო საშიში, რომ იგი კასტილიას ომს გამოუცხადებდა.

— უფალი მწყალობს! — ზეიმით ეუბნებოდა ალფონსო თავის დედოფალს, იეჰუდას კი დატრიალებით განუცხადა: — აი, ხომ ხედავ!

დონა ლეონორი მასთან ერთად ხარობდა. თავისი ჩვეულებრივი დინჯი ღიმილით შესცქეროდა ალფონსოს თავშეუკავებელ ლხენას, ლეონორი მთელი გულითა და სულით კასტილიისა და არაგონის ურყევი კავშირის მომხრე იყო და, თუმცა არ სურდა დაეთმო კასტილიის სუვერენული უფლებები, მთელი ძალით ისწრაფოდა, რომ ამ პრეტენზიებს კიდევ არ გამოეწვია ახალი განხეთქილება.

ბრძნული პოლიტიკა, რომ კასტილია მარტო ვერასოდეს ვერ გახდებოდა ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორც წმიდა რომის იმპერია, ინგლისი და საფრანგეთია, დონა ლეონორმა მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიიღო. (ადრე კასტილია და არაგონი გაერთიანებული იყო. და ორი გვირგვინით ნაკურთხ მონარქს სრული უფლება ჰქონდა თავი ესპანეთის იმპერატორად გამოეცხადებინა. უკანასკნელი წლების მანძილზე დედოფალს საშინლად სტანჯავდა მეფეების—რაიმუნდესისა და ალფონსოს შორის არსებული დავა. დონა ლეონორს გულით უნდოდა, როგორმე ბოლო მოეღო ამ მტრული დამოკიდებულებისათვის და ეს ორი სახელმწიფო კვლავ დაეკავშირებინა.)

ახლა ამისათვის ყველა პირობა იყო. დონა ლეონორმა მეფეს ტახტის კანონიერი მემკვიდრის მაგივრად სამი ქალიშვილი შესძინა. ვინც ცოლად შეირთავდა უფროსს, ცამეტი წლის ბერენგარიას, მას შეეძლო კასტილიის ტახტის მემკვიდრე გამხდარიყო. არაგონის ტახტის მემკვიდრისა და ინფანტ ბერენგარიას ქორწინების სურვილი ადვილი გასაგები იყო. მაშინ ორივე სახელმწიფოს გამგებლობის სადავე კვლავ ერთი გამგებლის ხელში იქნებოდა) დღემდე ამ დიდებულ ქორწინებას ხელს უშლიდა ამ ორი მეფის ერთმანეთისადმი ცუდი განწყობილება ახლა წინ არაფერი ეღობებოდა ინფანტისა და ახალგაზრდა პედროს დაქორწინებას. დონ პედრო ალფონსო მეფით იყო აღტაცებული, და მისი დარწმუნება ეღიარებინა სიუზერენული უფლებები სიმამრის, რომლის ტახტის მემკვიდრე სულ ერთია— მაინც გახდებოდა, არცთუ ისე ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

დონ ალფონსომ თავაზიანად, თუმცა გარკვეული მოუთმენლობით მოუსმინა დედოფლის გეგმებს. — კარგად და გონივრულად მოგიფიქრებია, ჩემო ჭკვიანო ლეონორ, — უთხრა მან, — მაგრამ დრო არ ითმენს. ბიჭი ჯერ არ არის რაინდად ნაკურთხი. ბიძაჩემმა, ალფონსო-რაიმუნდესმა, არ იკადრა მისთვის სამსახური გამე-

წია. ვფიქრობ, უმჯობესია აქ მოვიწვიოთ დონ პედრო, გადავცემ მახვილს და რაინდად ვაკურთხებ. დანარჩენი თავისთავად მოგვარდება.

(ამ გადაწყვეტილების შემდეგ მეფე-დედოფალი ზარ-ზეიმით გამგზავრა სარაგოსაში დონ რაიმუნდესის დაკრძალვაზე.)

ახალგაზრდა მეფე პედრო, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, კასტილიის მეფის ალფონსოს მიმართ მოკრძალებულ თავყვანისცემას იჩენდა და აღტაცებული იყო დონა ლეონორით. მისი აზრით, დონა ლეონორი ოს მშვენიერი ბანოვანია, რომელსაც პოეტები უმღერდნენ, მიუწვდომელი მზეთუნახავი, რომელიც მოწყალებით ღებულობს რაინდთა წმიდა სიყვარულით აღგზნებულ თავყვანისცემას.

დონა ლეონორმა ალფონსოს რჩევა მიიღო და არ აჩქარებულა. ნხოლოდ ზოგადად, გადაკვრით უთხრა პრინცს, რომ ის და დონ ალფონსო არაგონელ ბიძაშვილთან უფრო ახლო, მჭიდრო კავშირის დამყარებაზე ფიქრობენ. ამ საუბრის დროს დონა ლეონორს თავი მინდობილად და მეგობრულად ეჭირა. ერთგვარ დედობრივ გრძნობასაც კი იჩენდა და ახალგაზრდა მონდენილი პრინცი ყოველივეს მიუხედა და ძალაუწიებურად ყურებამდე გაწითლდა. არა მარტო უფროს, გამოცდილ რაინდთან დანათესავება ხიბლავდა, არამედ მას უკვე მომჯადოებლად ელანდებოდა ესპანეთის გაერთიანებული სახელმწიფოს სამეფო გვირგვინი. მან ხელზე აკოცა დონა ლეონორს და უპასუხა: — არ არსებობს პოეტი, მშვენიერო ბანოვანო, რომელსაც შეუძლია ნოტბა-დიდება შეასხას ჩემს ბედნიერებას.

სახელმწიფო საქმეებზე და საერთოდ კასტილიისა და არაგონის ურთიერთდამოკიდებულებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. სამაგიეროდ, ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ დონ პედრო უნდა ეკურთხოს რაინდად. იგი ჩვიდმეტი წლის იყო. სწორედ დროც არის და უმჯობესიც რომ ჯერ რაინდი გახდეს და მერე მეფედ ეკურთხოს. ამ ცერემონიის ჩასატარებლად ალფონსომ იგი ბურგოსში მიიწვია. თვითონ აკურთხებს რაინდად ისეთი დიდებით, როგორც შეშვენის ესპანეთის ორ დიდ მეფეს.

დონ პედრომ სიხარულით მიიღო მიწვევა.

ბურგოსში დიდი მზადება იყო. დონ ალფონსომ მთელი სამეფო კარის მსახური იქ გაგზავნა. დონა ლეონორმა ალფონსოს უთხრა, რომ ამ ზეიმზე საჭირო იყო ესკრივანოს შვილების მოწვევა. მეფე შეიკმუნხა, მაგრამ მაინც დათანხმდა.

როცა ჰეროლდმა კასტილიოში სამივე იბნ ეზრას მიპატიებდა გადასცა, იეპულა გუნებაში ზეიმობდა. იგი თავისი შვილებით და დიდებული ამალით გაემგზავრა ბურგოსში.

ღონ გარსევანმა და ღონა ლეონორის ამალის ერთმა ახალ-გაზრდა რაინდმა დიდი სურვილი გამოთქვეს, რომ ეს ძველთაძველი ქალაქი რაკელისა და მისი ძმისათვის დაეთვალეირებინათ. ყოველივე რაინდულით აღტაცებული ყრმა ალაზარი ხარბად ათვალეირებდა სიდ კომპეადორის სახელთან დაკავშირებულ რელიკვიებს: საფლავს, საჭურველს და ცხენის საომარ აღკაზმულობას.

კიდევ უფრო ამხნევებდა ყმაწვილს ეს დიდებული მზადება ასპარეზობისათვის. გამოფენილი იყო ამ დიდ ტურნირში მონაწილე რაინდების საღერბო ფარები. გამოაცხადეს აგრეთვე შეჯიბრი არბალეტიდან სროლაში. ალაზარმა, რომელიც ამაცობდა თავისი არბული, დიდებული არბალეტით, მაშინვე გადაწყვიტა შეჯიბრში მონაწილეობის მიღება. ბავშვური აღტაცებით შესცქეროდა იგი ბრძოლისათვის მომზადებულ ხარებს.

ღონ პედროს პატივსაცემი დარბაზობა მეფის სასახლეში, იმ კასტილიოში იყო გამართული, საიდანაც მიიღო კასტილიის ქვეყანამ სახელწოდება. ეს იყო ძველთაძველი შენობა, მეტად მკაცრი არქიტექტურით იატაკი ხალიჩებით მოეფინათ, კიბეებზე ვარდები მიმოებნიათ, ხოლო კედლებს გობელენები ამშვენებდა, რომელზედაც ნადირობისა და ბრძოლის სურათები იყო ამოქარგული. ღონა ლეონორმა სპეციალურად გამოიწერა ისინი თავისი სამშობლო საფრანგეთიდან. მაგრამ, დედოფლის დიდი მონდომების მიუხედავად, ამ მეტად პირქუშმა ციხე-კოშკმა მხოლოდ ოდნავ მიიღო მხიარული ელფერი.

სასახლის დიდ დარბაზებში გრძელი და პატარა მაგიდები დადგეს, შემდეგ ეზოშიც მიუმატეს მაგიდები. არაგონელ პრინცს თავისი ალჰაქიმი, ღონ ზოზე იბნ ეზრა ახლდა, და ისიც იეჰუდა იბნ ეზრასთან ერთად ეზოში გაშლილ მაგიდასთან მიიწვიეს. თუმცე ეს ადგილი არ იყო მაინცდამაინც სპატიო, მაგრამ ასეთი დიდი ზეიმის დროს, მოგვხსენებათ, ძნელია წოდებისა და მიხედვით ხალხის განაწილება.

ქალაქი ბურგოსი განთქმული იყო თავისი მკაცრი ჰავით. ახლაც, ივნისის თვეში, ეზოში საკმაოდ ციოდა. ნახშირით დანთებული მაყალები ნაკლებად ათბობდა მათ და მთელი ზეიმისას არასასიამოვნო ამინდი კიდევ ერთხელ აგრძნობინებდა ამ ორ დარბაისელ ებრაელს, რომ უფრო სასიამოვნო იყო სასახლეში ჭდომა, ვიდრე აქ. ეზოში, მაგრამ ისინი ერთმანეთს უმაღავდნენ ამ წყენას და გაცხოველებული საუბრობდნენ ბედნიერი ხელსაყრელი შედეგების შესახებ, რომელიც კასტილიისა და არაგონის მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებას უნდა მოჰყოლოდა. საქონლის გაცვლა-გამოცვლა გაადვილდება, დაბოლოს ეკონომიკაც გამოცოცხლდება.



საუბრის დროს იეჭუდა თავის ქალიშვილს გადახედავდა ხოლმე, რომელიც მის პირდაპირ იჯდა. მისი გონიერი გოგონა, ცხადია, მიხვდა, რომ შეიძლებოდა უკეთესი კავალერი შეერჩიათ, ვიდრე ის არაგონელი წვრილმამულიანი თავადი, რომელიც გვერდით უჯდა, თუმცა რაკელს მოწყენა მაინც არ ეტყობოდა. ალაზარიც თავის თანატოლებთან ერთად უჯდა მაგიდას და მხიარულად საუბრობდა.

როცა მაგიდიდან აიშალნენ, თავი მოიყარეს სასახლეში. კედლის გასწვრივ მიჰყვებოდა მაღალი ადგილი, რომლის იქით დაბალ მოაჯირთან ქალები ისხდნენ. კავალრები ქვევით იდგნენ და ისე ესაუბრებოდნენ მათ. დონა რაკელი მეორე რიგში იჯდა და ხშირად არც კი ჩანდა წინ მსხდომთა იქით. დონ გარსერანმა მეფეს რაკელზე ანიშნა, ალფონსოს სხვა ახლობლებიც აღტაცებით უყვებოდნენ ამ ებრაელის საოცრად ჰკვიანი ასულის შესახებ. ალფონსოს ცნობის-მოყვარეობა აღეძრა. როცა დონ გარსერანმა მეფეს დონა რაკელი დაანახა, იგი საკმაოდ შორს იდგა. და თუმც წამით შეავლო თვალი ქალს, თავისი გამჭრიახი თვალებით მაინც კარგად შეამჩნია მისი ნაკვთები. გამხდარი, ხორბლისფერი სახე, დიდი თვალები, თითქოს მკაცრი, განიერფარფლებიან ქუდში ბავშვურად გამოიყურებოდა. ბეწვით გაწყობილი კაბის ღრმად ამოჭრილი გულიდან ქალწულის მშვენიერი გულმკერდი და ნაზი ყელი მოჩანდა. — მშვენიერია, — თქვა ალფონსომ.

დონა ლეონორმა, როგორც კარგმა დიასახლისმა, უმაღლ შენიშნა, რომ დონ იეჭუდას საკადრის პატივს არა სცემენ, სწორედ ისეთს, როგორც მის წოდებას ეკუთვნოდა. პაეს მოაწვევინა იეჭუდა. რამდენიმე ზრდილობიანი შეკითხვა მისცა — როგორ გაატარა დრო, არის თუ არა ყველაფრის კმაყოფილი, და ბოლოს სურვილი გამოთქვა, რომ იეჭუდას მისთვის წარედგინა თავისი შვილები.

დონა რაკელმა გულახდილი ცნობისმოყვარეობით შეხედა სახეში დედოფალს, დონა ლეონორი კიდევაც განრისხდა, რომ ებრაელის ასულმა ოდნავადაც არ დაიმორცხვა დედოფლის წინაშე. კორსაუზე ლამაზად მოყოლებული მაქმანი და მწვანე ატლასის კაბა, დედოფლის აზრით, ჭერ ნაადრევია ებრაელის სრულიად ახალგაზრდა ასულისათვის. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ დონა ლეონორი დიასახლისი იყო, თავი მეტად თავაზიანად ექირა, უფრო მეტიც, დონ ალფონსოს მოაგონა, რომ საჭიროა რამდენიმე ალერსიანი სიტყვის თქმა მისი მინისტრის შვილებისათვის.)

ყრმა ალაზარი ყურებამდე გაწითლდა, როცა მეფე გაესაუბრა. დონ ალფონსოს ალაზარი გმირული სიქველის განსახიერებად მიიჩნევდა. მეფეს გულუბრყვილო თავყვანისცემით შესცქეროდა, შეე-

დეგ შეეკითხა კიდევ, მიიღებდა თუ არა დონ ალფონსო რაინდულ თამაშობაში მონაწილეობას და დაუმატა, რომ იგი, ალაზარი, აპირებს მონაწილეობა მიიღოს არბალეტის მსროლელთა შეჯიბრებაში. — ჩემი არბალეტი სახელგანთქმული სევილიელი ხელოსნის იბნ იხადის ხელითაა გაკეთებული. — ამაყად გაანდო მეფეს ალაზარმა. — აი, ნახავ, მეფევე ბატონო, შენ რაინდებს არ დაადგებათ კარგი დღე. — დონ ალფონსოს ბიჭი ართობდა, მასში იგი თავისი პატივმოყვარე ესკრივანოს ნამდვილ ვაჟს ხედავდა.

დონა რაკელთან საუბარმა არცთუ ისე იოლად ჩაიარა. ისინი ერთმანეთს რამდენიმე უმნიშვნელო ლათინური ფრაზებით გაესაუბრნენ. რაკელი მეფეს თავისი დიდი მონაცრისფრო-ცისფერი თვალებით მშვიდად და გამომცდელად შეჰყურებდა. ალფონსოსაც არ მოეწონა, რომ იგი სრულიადაც არ მორცხვობდა. მეფემ აღარ იცოდა, რაზე ელაპარაკა და ისე, სხვათა შორის, იკითხა: — გესმის რის შესახებ მღერიან ჩემი ჟონგლიორები? — მეფის მუსიკოსები კასტილიურ ენაზე მღეროდნენ. დონა რაკელმა პირდაპირ უთხრა: — რა თქმა უნდა, ბევრი მესმის, მაგრამ მათი ვულგარული ლათინურიდან ბევრია გაუგებარი. — „ვულგარულ ლათინურს“ ჩვეულებრივ ხალხურ ენას უწოდებდნენ და ალბათ უცხოელ ქალიშვილს საწყენად არ უთქვამს. მაგრამ ალფონსო არაეის არ აძლევდა უფლებას მისი მშობლიური ენა შეურაცხყოფთ, ამიტომ შეაჩერა იგი. — ჩვენ ამ ენას კასტილიურ ენას ვუწოდებთ. ასი ათასობით პატროსანი აღამიანი, თითქმის ყველა ჩემი ქვეშევრდომი, სწორედ ამ ენაზე ლაპარაკობს. — წინადადების დამთავრებაც კი ვერ მოასწრო, რომ ინანა, რადგან მისი სიტყვები საკმაოდ მკაცრად და პედანტურად უღერდა. ამიტომ საჩქაროდ შეცვალა საუბრის თემა: — ჩემმა ქვეყანამ სახელწოდება კასტილია სწორედ ამ სასახლის სახელიდან კასტილიოდან მიიღო. აქედან, ამ ციხე-სიმაგრიდან, დაიპყრო იგი გრაფ ფერნან გონსალესმა. მოგწონს ჩემი ციხე-კოშკი? — და სანამ რაკელი პასუხისათვის ემზადებოდა, ალფონსომ არაბულ ენაზე დაუმატა: — იგი ძველისძველია და სავსეა მოგონებებით. — დონა რაკელმა, რომელიც მიჩვეული იყო იმის თქმას, რასაც ფიქრობდა, მოუტირებლად უპასუხა მეფეს: — ახლა ჩემთვის გასაგებია, მეფევე ბატონო, თუ რატომ მოგწონს იგი შენ. — ალფონსოს არ ექაშნიკა რაკელის პასუხი. ნუთუ რაკელის აზრით სახელგანთქმული ციხე-კოშკი შესაძლებელია მხოლოდ მათ მოსწონდეთ, ვინც მასთან პირადი მოგონებებით არის დაკავშირებული? უნდოდა სამაგიერო პასუხის გაცემა, მაგრამ დონა რაკელი სტუმარი იყო და გარდა ამისა, ებრაელის ქალწულისათვის თავაზიანობის სწავლება მას არ შეეფერებოდა. მან საუბრის თემა შეცვალა.

ებრაელი ყმაწვილი დონ ალაზარი მიუხედავად იმისა, რომ ესკრივანოს ვაჟიშვილი იყო, შეჭიბრში არბალეტიდან სროლაში მხოლოდ დონ მანრიკეს უშუალო ჩარევის შემდეგ დაუშვეს. ალაზარმა მეორე ჯილდო აიღო. ბავშვურმა გულწრფელობამ, მგზნებარე აღფრთოვანებამ და სიხარულმა ჯილდოს მიღების გამო, გულისტყენამ, რომ პირველი ჯილდო ვერ მიიღო, ამაყობამ თავისი არბალეტით, რომლის მსგავსი მართლაც არ მოიძებნებოდა ბურგოსში — ყოველივე ამან ალაზარს ტურნირის მონაწილეთა სიმპათია მოუხვეჭა.

მეფემ მიულოცა. ალაზარი გახარებული იყო, თუმც ეტყობოდა, რომ რაღაც მაინც აწუხებდა. ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ კი თავისი არბალეტი მეფეს გაუწოდა და უთხრა: — შენთვის მომირთმევია, მეფევე ბატონო, გამომართვი თუ მოგწონს, მიჩუქებია. — აღფონსო გაოცდა. ბიჭი მამას არ ჰგავდა, სულ სხვა იყო. მას ძვირფასი ნივთები და ფული არ ხიბლავდა. მას ნამდვილად ჰქონდა რაინდული სიქველის ერთ-ერთი თვისება — გულუხვობა. — ყოჩალი ყოფილხარ, დონ ალაზარ, — შეაქო მეფემ. — ბიჭი ალაპარაკდა: — მეფევე ბატონო, ამ შეჭიბრში გამარჯვება მაინცდამაინც არ გამჰქირვებია არბალეტიდან სროლაში ხუთი წლის ასაკიდან ვვარჯიშობ. ცუდ მსროლელს მუსლიმანები რაინდულ ორდენში არ ღებულობენ. — ამას მართლა ითხოვენ? — შეეკითხა დონ აღფონსო. — რა თქმა უნდა, მეფევე ბატონო, — უპასუხა ალაზარმა და არაბულ ენაზე საჩქაროდ ჩამოთვალა ზეპირად შესწავლილი, მუსლიმანი რაინდისათვის სავალდებულო ათი თვისება: — რაინდი უნდა იყოს მამაცი, გულკეთილი და თავაზიანი. უნდა ჰქონდეს პოეტური ნიჭი, იყოს მკვევრმეტყველი, ფიზიკურად ჯანმრთელი და ძლიერი, კარგი ცხენოსანი, შუბის მტყორცნელი, მოფარიაკავე და არბალეტის მსროლელი. — დონ აღფონსომ გაიფიქრა, რომ თვითონ არ გამოირჩეოდა პოეტური ნიჭითა და მკვევრმეტყველობით და მას აღბათ არავენ მიიღებდა მუსლიმანთა რაინდულ ორდენში.

მესამე დღეს დანიშნული იყო ხარების ბრძოლა. მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ დიდებული გრანდები. მას შემდეგ, რაც ტარაგონელი ეპისკოპოსი ევსევი ხართან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, პრელატებს აეკრძალათ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, რაც ძლიერ აწუხებდა არქიეპისკოპოსს. დონ მარტინს, რომელიც სიამოვნებით აჩვენებდა თავის სიმამაცეს რაინდულ ხელოვნების ამ სახეობაში.

დონ აღფონსო და დედოფალი, რომლებიც გარშემორტყმულნი იყვნენ ყველაზე დიდგვაროვანი დიდებულებით, ტრიბუნიდან უყუ-

რებდნენ სანახაობას. მეფე კარგ გუნებაზე იყო, განსაკუთრებით ამხიარულებდა ადამიანებისა და ხარების გაცხარებული ბრძოლა.

მეორე ტრიბუნაზე და მეზობელი სახლების აივნებზე ისხდნენ მორთულ-მოკაზმული ქალები, მათ შორის დონა რაკელიც იყო. იგი კვლავ უკანა რიგში, მოფარებულ ადგილას იჯდა, მაგრამ ალფონსომ სწრაფად მოძებნა და შენიშნა, რომ რაკელი მარტო ხარების ბრძოლით არ იყო გატაცებული, დროგამოშვებით ალფონსოს გადახედავდა ხოლმე. ალფონსოს გაახსენდა, ჭერ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილმა, უკვე მამამისივით თამამმა, როგორ მიახალა პირში, რომ მას ალფონსოს ციხე-კოშკი არ მოეწონა. და უცებ სურვილი გაუჩნდა, რომ მონაწილეობა მიეღო ამ თამაშობაში. ნება არ ჰქონდა, გული გაეტეხა გულკეთილ ბიჭუნასათვის, რომელსაც სურდა, საკუთარი არბალეტი ერთუქებიანა მისთვის, და უნდა გაემართლებინა ნდობა ახალგაზრდა ბიძაშვილისა, რომელიც ესოდენ აღტაცებულია ალფონსოთი. ცხადია, ხარი უნდა გამოიწვიოს და დაამარცხოს კიდევ.

დონ მანრიკე აფიცებდა მეფეს მირონცხებული თავი არ გაეწირა ტყუილუბრალოდ. დონა ლეონორი ემუდარებოდა უარი ეთქვა ამ უგუნურ განზრახვაზე. დონ როდრიგომ კი შეახსენა: ალფონსო მეექვსედან დაწყებული, ესპანეთის არც ერთ მეფეს არ მიუღია მონაწილეობა ხარებთან ბრძოლაშიო. არქიეპისკოპოსი მარტინი ეუბნებოდა, მეც თავს ვიკაეებ ამ დიდი სურვილისგანო, მაგრამ დონ ალფონსო ყველაფერს ხუმრობაში ატარებდა და ჭაბუკური სილალით ყურს არ უგდებდა ამ მოსაზრებებს.

ალფონსომ სამეფო მანტია მოიხსნა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე აბჯრით მოსაედნენ. საყვირების ხმა გაისმა და ჰეროლდმა გამოაცხადა: (შემდეგ ხარს შეებრძოლება დონ ალფონსო, წყალობითა ღვთისითა, ტოლედოსა და კასტილიის მეფე“)

დიდებული სანახავი იყო მეფე, როცა იგი ცხენით გამოვიდა არენაზე. მსუბუქი ჯავშანი ეცვა, სახე და კისერი ღია ჰქონდა. მწითურ კულულებზე რკინის მუზარადი ეხურა. შეუდარებელი მხედრის ყოველი მოძრაობა ცხენს კარგად ესმოდა. მისი დიდი ხელოვნების მიუხედავად, პირველი სამი დარტყმა უშედეგო აღმოჩნდა. მესამეჯერ საშიშროება იმდენად დიდი იყო, რომ ხალხმა თავი ვეღარ შეიკავა და ერთხმად შეჰყვირა. ალფონსომ მაშინვე დაიმორჩილა თავიც და ცხენიც. „შენს პატივსაცემად, დონა ლეონორ!“ — ხმამალა გასძახა მეფემ დედოფალს და მეოთხე დარტყმამ გაუმართლა.

საღამოთი, აბაზანის მიღებისას დონა რაკელმა გადიას — საადს

მოუთხრო: — ალფონსო ძალიან მამაცია და ყველაფერი ისე იყო, როგორც ზღვაოსან ვაჭარ ახმედის ზღაპარში, როცა იგი ურჩხულის სამთიობოში შევიდა. მაინცდამაინც არ მიტაცებს ხარების ბრძოლა, კიდევ კარგი, რომ სევილიაში აკრძალულია. მაგრამ ქრისტიანებისათვის იქნება სწორედ ესაა ის, რაც მათ აუცილებლად სჭირდებოდათ სული მეხუთებოდა, როცა ვხედავდი, როგორ გაექანა მათი მეფე გამძვინვარებული ხარისაკენ. უკანასკნელი დარტყმის დროს კარგად შევნიშნე მეფის ბაგენი, როგორ შეირხენ, გახსოვს, ვაჭარ ახმედმაც, ვიდრე ფეხს შესდგამდა ურჩხულის სამთიობოში, პირველად სურა წაიკითხა. ნამდვილად მეფემაც ლოცვა წაიჩურჩულა. რა თქმა უნდა, ამან უშველა. იგი აისივით მშვენიერი იყო. და ნეტა გენახა, როგორ გაიხარა, როცა ხარი უსულოდ დაეცა. ალფონსო გმირია, მაგრამ ნამდვილი რაინდი მაინც არაა. (რაინდული სიქველენი აქლია. არაა მქვერმეტყველი და არ ესმის პოეზია. ასე რომ არ იყოს თავისი ძველთაძველი პირქუში ციხე-სიმაგრე არ მოეწონებოდა.)

დონ ალფონსოს და დონა ლეონორს არ უნდოდათ სადავო საკითხების გადაწყვეტით ჩრდილი მიეყენებინათ ამ საზეიმო დღეებისათვის და ამიტომ ნიშნობასა და ვასალური ფიცის შესახებ ლაპარაკიც კი არ ყოფილა.

ერთგვირიანი ზეიმი დასასრულს უახლოვდებოდა. ღირსშესანიშნავი დღე თენდებოდა — „მახვილის დაკვრის“ დღე, როცა დონ პედროს რაინდად კურთხევისათვის მახვილის დარტყმა მოელოდა.

დილით ახალგაზრდა პრინცი საზეიმო განწმენდისთვის განზანას. შეუდგა. ორი ღვთისმსახური მოსავდა მას. სამოსი სისხლისფერი იყო, რომელიც რაინდს უნდა დაეღვარა ეკლესიისა და ღვთისგან დაკანონებული წესების დასაცავად. ფეხსაცმელები კი ყავისფერი, როგორც ბიწა, რომელშიც ოდესმე მოუხდებოდა ჩასვლა, ხოლო სარტყელი — სინდისივით თეთრი, რომლის დაცვას იგი აღუთქვამდა.

ზარებს რეკდნენ, როცა პრინცი ვარდებით მოფენილი ქუჩებით სანტიაგოს ეკლესიისაკენ მიემართებოდა. იქ მას კასტილიელი და არაგონელი გრანდებითა და დიდგვაროვანი ბანოვნებით გარშემორტყმული დონ ალფონსო ელოდებოდა. საჭურველმტვირთველებმა აღელვებულ დონ პედროს თავზე მუზარადი დაახურეს, შემოსეს აბჯრით, ხელთ სამკუთხა ფარი მისცეს — ახლა მას თავდასაცავი საჭურველი ჰქონდა. შემოართყეს მახვილი — იგი მზად იყო თავდასხმისათვის. ორმა კეთილშობილმა ქალწულმა ფეხზე ოქროს დეზები გაუკეთა — დონ პედროს უკვე შეეძლო სიმართლისა და სიკეთისათვის საბრძოლველად წასვლა.

დონ პედრომ მუხლი მოიყარა და არქიებისკოპოსმა დონ მარტინმა ომანხიანი ხმით დაიწყო ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, შენ ბრძანე დედამიწაზე ხმალი ემიშველათ ბოროტების დასასჯელად და ქრისტიან რაინდებს უდანაშაულოთა დასაცავად მოუწოდე, ამ შენ მსახურს, არ აშიშვლებინო ხმალი უდანაშაულოთა მიმართ, მაგრამ უდანაშაულოთა და დაკანონებული წესის დაცვა შეაძლებინე“.

დონ ალფონსოს გაახსენდა ის დღე, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აკურთხეს რაინდად ტოლედოს ქუჩებში აჯანყებულეების წინააღმდეგ სისხლიანი ბრძოლების შემდეგ. ეს ტოლედოს ტაძარში მოხდა. სანტიაგოს ქანდაკებასთან, თვით სანტიაგომ აკურთხა იგი რაინდად. თუმცა შესაძლოა სანტიაგოს კი არ დაუკრავს მისთვის მახვილი, როგორც ამას ნაკლებად მორწმუნენი ამტკიცებდნენ, არამედ მისმა ქანდაკებამ დაჰკრა ნამდვილი ხელოვნებით მოწყობილი ავტომატური მექანიზმის საშუალებით. ან იქნებ, ამ დიდებული საზეიმო წუთებისათვის თვით ქანდაკება იქცა წმიდანად, როგორც არქიებისკოპოსი ამტკიცებდა. რატომ არ უნდა გამოცხადებულყო სანტიაგო, რომ თვით ეკურთხებინა კასტილის ყრმა მეფე რაინდად?

ზიზღნარევი თანაგრძნობით უყურებდა დონ ალფონსო თავის ახალგაზრდა ნათესავს, რომელსაც მის წინაშე მორჩილად მოეყარა მუხლი. ვინ მოსთელის, რამდენი გამარჯვებისათვის მიუღწევია ალფონსოს მის წლოვანებაში. აჯანყებულნი რიკოს-ომბრესები ყოველგვარი უფლების გარეშე მოითხოვდნენ ალფონსოსაგან ფიცის მიღებას. მაგრამ მან ღვთის წყალობით კასტილიისა და ტოლედოს მეფემ ბავშვური, მაგრამ მკაცრი ხმით შეჰყვირა: „არა, ეს არ მოხდება! ახლავე დაიჩოქეთ, უკეთურო გრანდებო!“ ისინი ომითაც ემუქრებოდნენ, მის წინააღმდეგ დიდი ლაშქარიც კი გამოიყვანეს. მაშინ ხუმრობისათვის სად ეცალა. ალფონსო თავგანწირულად იბრძოდა თავისი ნამდვილი მტრების წინააღმდეგ (ეს კი, მის წინაშე მუხლმოდრეკილი ახალგაზრდა ბიძაშვილი, საბრალო არაგონელი მეფე, ჯერ კიდევ უჭკუო ბალღი, ალბათ, არც გაძალიანდება, როცა თავხედი გრანდები მოითხოვენ სამარცხვინო ფიცს, რომელიც არაგონელმა ბარონებმა იძულებით მიადებინეს თავიანთ ეგრეთ წოდებულ მეფეებს: „ჩვენ, რომლებიც შენზე ბევრნი ვართ, მეფედ გირჩევთ იმ პირობით, რომ ჩვენ სურვილსა და უფლებებს არ შეზღუდავ და რომ ჩვენ შორის შუამავლად იქნება შენზე მეტი ძალაუფლებით აღჭურვილი. და თუ არა — არა. Si no, no!“ ალფონსოს მხრივ დიდი წყალობაა, რომ ასეთ „მეფეს“ თავის ასულს

-აძლევს! და შემდეგ ტახტსაც. სამაგიეროს კი ძლიერ ცოტას ითხოვს, ვიდრე ალფონსო ცოცხალია, მისი სიუზერენული უფლებები სცნოს ესპანეთში.)

ახლა დონ პედრომ ღრმა ღვთისმოსაობით წარმოთქვა რაინდული ფიცი: „ფიცსა ვლებ, არასოდეს ვიშიშვლებ მახვილს უღანაშაულოს წინაშე და ყოველთვის დავიცავ ღმერთის მიერ დაკანონებულ წმიდათა წმიდა წესს“. მან მდაბლად დახარა თავი მახვილის დარტყმის მოლოდინში, რომელმაც უნდა მორჩილჰყოს და აღამადლოს კიდევ და უკუნითი უკუნისამდე განამტკიცოს მისი რაინდული ფიცი.

აი, დარტყმაც, გაშიშვლებული მახვილი ალფონსომ დონ პედროს მხარზე ყუით დაჰკრა, არცთუ ისე ძლიერად, თუმც ახალგაზრდა რაინდმა აბჯარს შიგნით მაინც იგრძნო ტკივილი.

დონ პედრო ძალაუნებურად შეიშმუშნა თავიც ასწია და წამოდგომა სცადა. მაგრამ დონ ალფონსომ იგი შეაჩერა. — არა, ბიძაშვილო, ჭერ კიდევ არაა — თქვა მან. — რაინდად კურთხევა განვამტკიცოთ ლენის ფიციოთ. მომართვით დროშა! — ბრძანა მან. დროშის მოლოდინში ალფონსომ მარჯვენა ხელიდან ხელთათმინი გაიძრო, მარცხენა კასტილიის ალამს მოჰკიდა და წარმოთქვა: — შენივე სურვილით, ჩემო ბიძაშვილო, დონ პედრო არაგონელო, გაღიარებ ჩემს ერთგულ ვასალად. ვფიცავ, რომ მუდამ შენი მფარველი ვიქნები, როცა კი მიხმობ. დე ღმერთი იყოს ჩემი მფარველი. — ალფონსო ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ვაჟკაცური ხმა გარკვევით ისმოდა ეკლესიაში.

ახალგაზრდა დონ პედროს ჭერ თავი ვერ დაედწია რაინდად კურთხევის ამამალლებელი, დამამორჩილებელი ცერემონიის ტყვეობისაგან და ამიტომ კარგად ვერ ერკვეოდა, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ. დონა ლეონორმა ინფანტთან ქორწინებისა და შემდგომ კასტილიის ტახტის მემკვიდრედ გახდომის იმედით მოიტყუა იგი. შესაძლებელია კი არ მოიტყუა, არამედ აღუთქვა კიდევ? მაშ რაღა საჭირო იყო ეს მეორე ფიცი, ფიცი ვასალისა? ვაითუ, ამ სიტყვების გამეორების შემდეგ მან ხელ-ფეხი შეიკრას ვალდებულებით? მაგრამ აქვს თუ არა ეკვის მიტანისა და უნდობლობის უფლება? ეს-ესაა რაინდული მორჩილების ფიცი მისცა და პირველსავე მძიბე წუთებში გატეხოს იგი?

ახალგაზრდა რაინდი მუხლმოდრეკილი დგას უფროსის წინაშე, რომელიც მბრძანებლური ომახიანი ხმით მოითხოვს: — შენ კი იმის ნიშნად, დონ პედრო, რომ მემსახურები ალაღმართლად და ღვთის მოშიშრად, როცა ვაჰირვების ჟამს გიხმობ, ხელზე მემთხვიე! — და ალფონსომ მუხლმოდრეკილ ახალგაზრდას ხელი გაუწოდა.

ხალხით გაქვდილ ტაძარში სამარისებური სიჩუმე იყო. მებდა-  
ცემულებივით ხმაგაკმენდილნი იდგნენ არაგონელი ბარონები. უკვე  
თითქმის ერთ თაობაზე მეტი ხანია, რაც არაგონი არ სცნობდა  
მძიმე ვასალურ დამოკიდებულებას და ახლა ძლიერ უკვირდთ,  
რატომ გადაწყვიტა მათმა ახალგაზრდა მეფემ კასტილიელისათვის  
ასეთი შეურაცხყოფელი ფიცის მიცემა? იქნებ გადაწყვეტილია  
ამ ორი ახალგაზრდის ნიშნობა და ორივე მხარემ სიგელებიც  
გასცვალოს?

დონ პედრო ისევ დაჩოქილი იყო, ხოლო დონ ალფონსოს ხელი  
ჰქონდა საკოცნელად გაწვდილი. უკანა რიგებში ფეხისწვერებზე  
დგებოდნენ, რომ უკეთ შეეხედათ, თუ რა ხდებოდა. და აი, აღს-  
რულდა. ახალგაზრდა არაგონელი მეფე მარჯვენა ხელზე ემთხვია  
იმ კაცს, რომელსაც მარცხენა ხელით კასტილიის ალამი ეჭირა.  
ალფონსომ ხელთათმანი გაუწოდა და არაგონელმაც გამოართვა  
იგი.

ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ ტაძრის სიბნელიდან სინათ-  
ლეზე გამოსულმა თავისუფლად ამოისუნთქა. პირქუში, ხმაგაკმენ-  
დილი არაგონელი დიდებულებით გარშემორტყმული დონ პედრო  
გამოერკვა თავისი ოცნებებისა და ფიქრებისაგან და მწარედ შეიგ-  
რძნო, რაც მოხდა, რაც ჩაიდინა.

მაგრამ განა მან ჩაიდინა ეს? არა, ალფონსო თავს დაესხა ანაზ-  
დად. თავხედურად შეიტყუა იგი ხაფანგში, მან, მის მიერ გაღ-  
მერთებულმა კაცმა, რაინდობის განსახიერებამ, რომელმაც ეს რაინ-  
დად კურთხევის წმიდა წეს-ჩვეულება თაღლითური ხრიკებისათვის  
გამოიყენა.

ტაძარში ჩატარებული ცერემონიის შემდეგ სახალხო ზეიმა  
უნდა დაწყებულიყო. გამოჩნდა კიდევ კასტილიელი საპატიო  
ბარონების ამაღლა. მაგრამ დონ პედრომ თავისიანებს უბრძანა: —  
ჩვენ შინისკენ მივემგზავრებით, ბატონებო, დაუყოვნებლივ! დედა-  
ქალაქში დაბრუნებისას გადავწყვეტთ, თუ რა უნდა მოვიმოქმე-  
დოთ! — და ახალგაზრდა მეფემ მახვილის ელარუნით დასტოვა ქალაქი  
ბურგოსი თავის ამაღასთან ერთად, ისე რომ კასტილიელებისავე  
არც კი გაუხედაია.

ამჯერად თვით ყოვლად მშვიდ დედოფალსაც შეეცვალა განწყობილება. ახლა ზედმეტი იყო ფიქრი იმ კავშირის შესახებ, რომელსაც უკვე დიდი ხანია გულში ელოლიავენოდა დონა ლეონორი.  
ო, არა, არა ვაჟკაცური სულით, არამედ ბავშვური ქედმაღლობით  
იყო გამოწვეული იმის მიღწევის სურვილი, რომლის გაკეთებაც  
სრულიად ადვილად შეიძლებოდა შეგონებით და დარწმუნებით.



დედოფალს გულისწყრომამ მალე გაუარა. ალფონსო არ ეკუთვნის იმ მამაკაცთა რიცხვს, რომელთაც ხანგრძლივი მოლაპარაკებები შეუძლიათ. იგი ფრენისათვისაა გაჩენილი და არა ცოცვისათვის. მისი მამა, ინგლისის გამგებია მბრძანებელი და დიდი მეფეც კი ხანდახან გაშმაგდებოდა ხოლმე. ერთხელ თავი ვერ შეიკავა და მისი მრისხანე სიტყვების გამო რაინდებმა კენტერბერიის არქიეპისკოპოსი მოჰკლეს, რასაც შესაძლებელი იყო დამღუპველი შედეგიც მოჰყოლოდა.

ღონ მანრიკემ და ღონ იეჰუდამ დედოფალს მიღება სთხოვეს, დედოფალმა ისინი მიიღო.

იეჰუდა გაცოფებული იყო. მეფემ თავისი სულელური ჯარისკაცური გამოხდომით კვლავ გააფუჭა ის, რასაც იეჰუდამ ესოდენ დიდი გაჭირვებითა და მოთმინებით მიაღწია. ღონ მანრიკეც აღელვებული იყო, მაგრამ ღონა ლეონორმა ცივად, მისთვის ჩვეული მეფური ღირსებით შეაწყვეტინა საყვედურები ალფონსოს მიმართ. ყველაფერში ახალგაზრდა ღონ პედროს დამნაშავე. მან ძალიან იჩქარა, თავაზიანობის წესები დაარღვია, ბურგოსი დასტოვა, და მხოლოდ ამიტომ ვერ მოხერხდა აშკარა გაუგებრობის მოწესრიგება.

ღონ მანრიკეც დაეთანხმა დედოფალს, რომ, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ღონ პედრო ბურგოსში დარჩენილიყო. მაგრამ რას იზამ, ეს გაუზრდელი ახალგაზრდა—არაგონის მეფეა. უეჭველია, ახლა თავის ვასალად მიიღებს გუტიერე დე კასტროს და ომი, რომელიც ღვთის წყალობით კასტილიას აღარ ემუქრებოდა, გარდუვალა.

იეჰუდამ ფრთხილად შენიშნა: — იქნებ ვცადოთ ამ გაუგებრობის მოწესრიგება? — და რადგან ღონა ლეონორი დუმდა, იეჰუდამ განაგრძო. — თუ ვინმეს შეუძლია, დედოფალს, ახალგაზრდა არაგონელი მეფე დაარწმუნოს, რომ იგი შეცდა და მისი აღშფოთება სრულიად უსაფუძვლოა — ეს მხოლოდ შენ.—ღონა ლეონორი ჩაფიქრდა. — იქნებ მისთვის გასაგზავნი უსტარის დაწერაში დამეხმაროთ? — ჰკითხა მან. ღონ იეჰუდამ კიდევ უფრო ფრთხილად უპასუხა: — ვშიშობ, რომ მარტო უსტარი საკმარისი არაა. — ღონა ლეონორმა წარბები ასწია. — რაო, მე თვით ვეახლო სარაგოსაში? — იკითხა მან. ღონ მანრიკემ იეჰუდას სიტყვა მიაშველა. — სხვა გამოსავალი არაა, — შენიშნა მან. ქედმაღალი და გულჩათხრობილი ღონა ლეონორი დუმდა. ღონ იეჰუდა შიშობდა, დედოფლის თავმოყვარეობა დასძლევდა გონებას. მაგრამ ცოტა დაფიქრების შემდეგ დედოფალმა აღუთქვა. — ვიფიქრებ, თუ რის გაკეთება შემიძლება, კასტილიის ღირსების შეუბღალავად.

დედოფალი დუმდა. დონ ალფონსოსათვის ოდნავი საყვედურ-რიც კი არ უთქვამს. იგი ელოდა, როდის ეტყოდა თვით ალფონსო რამეს. და მართლაც ალფონსომ საყვედურებით დაიწყო. — ვერ გამიგია, ამ ხალხს რა მოუვიდა. ავადმყოფივით მექცევიან. განა ჩემი ბრალია, რომ ეს გლახაკი გაიქცა! როგორც ხედავთ, მამას საკმაოდ კარგად ვერ გაუზრდია — იგი ხომ ჯერ სრულიად ახალგაზრდაა, — შემარიგებელი ტონით შენიშნა დონა ლეონორმა. — იქნებ არ ღირს ყურადღება მივაქციოთ მის ნაკლებად თავაზიანობას.

— შენ კეთილი ხარ, როგორც ყოველთვის, დონა ლეონორ, — უთხრა ალფონსომ.

— ცოტა ბრალი მეც მიმიძღვის — ადრევე უნდა მოვლაპარაკებოდი დონ პედროს ლენის ფიცის შესახებ. იქნებ სჯობდეს, ჩემი შეცდომის გამოსწორება ვსცადო? რა იქნება სარაგოსაში გავემგზავრო და იქ გამოვარკვიო ეს გაუგებრობა? — ალფონსომ გაკვირვებით წარბები ასწია, — ასეთი ქარაფშუტასთვის დიდი პატივი ხომ არ არის შენი გამგზავრება, — ჰკითხა ალფონსომ. — როგორც არ უნდა იყოს, იგი არაგონის მეფეა, — წყნარად უპასუხა ლეონორმა; — და მისთვის ჩვენი ინტანტის მითხოვებას ვაპირებდით.

ალფონსომ მცირე გულისტკივილი და დიდი შვება იგრძნო. რა კარგია, რომ მას ლეონორი ჰყავს. თავმდაბალი, ყოველგვარი მაღალფარდოვანი სიტყვების გარეშე ცდილობს მოწესრიგებას, რაც ახლა მოხდა. ალფონსომ უთხრა: — ჩვენ დროს, როცა შეუძლებელია პირდაპირ იმოქმედო და ეშმაკობაა საჭირო, სწორედ შენისთანა დედოფალი სჭირდება. მე რაინდი ვარ და რაინდად დავრჩები. მოთმინება არ მყოფნის, ხშირად უხერხულობაში ვაგდებ, დონა ლეონორ! — დედოფლისადმი მაღლობასა და სიხარულს სიტყვებზე უფრო ძლიერ მეფის ბავშუური ღიმილით გასხივოსნებული სახე გამოხატავდა.

არაგონში გამგზავრებამდე დონა ლეონორი იეპუდასა და დონ მანრიკე დე ლარას ეთათბირა. გადაწყვიტეს, რომ კასტილია გამოიყვანდა თავის გარნიზონს კუენკადან და ვალდებულებას მიიღებდა, რომ ორი წლის განმავლობაში თავისი ჯარის ნაწილი აღარ გაავზავნოს დე კასტროს საგრაფოს საზღვრებისაკენ, არაგონმაც თავისი მხრიდან წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ბარონ დე კასტროს მტრულ მოქმედებებს. თუ გუტიერე დე კასტრო არაგონის ვასალი გახდება, კასტილიას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, მაგრამ თავის უფლებებზე ხელს არ აიღებს. არაგონზე კასტილიის სუვერენიტეტის საკითხი დიად რჩება და ბურგოსში ჩატარებული ცერემონია არა-

ფერს არ ცვლის. რადგან კასტილიის მიერ დახმარებისა და მფარველობის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შევა ძალაში, როცა არაგონი ამ დახმარებისათვის განკუთვნილ ას ოქროს მარავედს გადაიხდის, ხოლო კასტილია პირობას მისცემს, რომ ამ გადასახადის მოთხოვნაზე თავს შეიკავებს.

სწორაგოსაში ახალგაზრდა მეფემ დონა ლეონორს უაღრესად თავაზიანი მიღება მოუწყო, თუმც არ დაუფარავს, როგორ გაანაწყენა და იმედები გაუცრუა ბურგოსში მომხდარმა ამბავმა. დონა ლეონორი არ ცდილა დონ ალფონსოს გამართლებას. მან მოუთხრო, თუ როგორ იტანჯება ალფონსო სევილიასთან გრძელვადიანი ზავის გამო, რასაც დათანხმდა მეფე, მეტისმეტად ფრთხილი მინისტრების დაჩემებით. იგი ოცნებობს სევილიასთან დამარცხება გამოისყიდოს და ურჯულოებზე ახალი გამარჯვება მოიპოვოს ქრისტიანთა სადიდებლად. ამის მიღწევა არაგონთან ბედნიერი კავშირით, რომელიც უკვე საიმედოდ ითვლებოდა, უფრო ადვილი შესაძლებელი იყო. თავისი რაინდული მოუთმენლობით ალფონსომ იჩქარა. მას კარგად ესმის ორივე შეფის—დონ ალფონსოსა და დონ პედროს მდგომარეობა. იგი დონ პედროს გულლია, დედური, გულთბილი, ქალური გამოხედვით უცქეროდა.)

ასეთ მეტად მომხიბლავ, კეთილ მანდილოსანთან საუბრის დროს დონ პედრო ძლივს იკავებდა თავს, მისი ღირსების საკადრისი გულგრილობა რომ შეენარჩუნებინა, რომელიც შეურაცხყოფილ რაინდს შეეფერებოდა. დაბოლოს, დონ პედრომ თქვა: — შენ ბევრად ამსუბუქებ შეურაცხყოფას, რომელიც მე მომაყენეს, მშვენიერო ბანოვანო, რისთვისაც დიდად გმადლობ. შენმა მრჩეველებმა ჩემს მრჩეველებთან მოილაპარაკონ.

და როცა დონა ლეონორი დონ პედროს ემშვიდობებოდა ისევე, როგორც მაშინ, რამდენიმე თბილი სიტყვით იმედი გამოთქვა კასტილიისა და არაგონის სამეფოებს შორის უფრო მკვიდრო კავშირის შესახებ. — თავჯანს გცემ, მშვენიერო ბანოვანო, — უპასუხა მან. — როცა შენ პირველად მაჩუქე მოწყალე ღიმილი, გული სიამით ამევსო, მაგრამ ახლა მკაცრი ზამთარი დადგა. ირგვლივ ყველაფერი გაიყინა. — და ძლივს დაუმატა: — შენი გულისათვის, მშვენიერო დედოფალო, ვუბრძანებ ჩემს მრჩეველებს მიიღონ კასტილიის წინადადებები. დონ ალფონსოსთან ომს არ დავიწყებ. ჩვენი კავშირი მან დაარღვია. არავითარი სურვილი არა მაქვს მისი დანათესავების და, მით უმეტეს, მასთან ერთად ომში წასვლის.

დონა ლეონორი ბურგოსში დაბრუნდა. დონ ალფონსო დაეთანხმა, რომ დედოფალს საკმაოდ ბევრისათვის მიუღწევია: ომი თავი-

დან აცილებულია. — ჰქვიანი ხარ, ლეონორ, — შეაქო ალფონსომ. —  
შენ ჩემი დედოფალი და ჩემი მეუღლე ხარ.

და იმ ღამით დონ ალფონსოს თავისი მეუღლე, რომელმაც მას  
სამი ქალიშვილი აჩუქა, უყვარდა სწორედ ისე, როგორც პირველ-  
ღამეს, როცა მან იგი შეიცნო.

## თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

მას შემდეგ, რაც თითქმის ხუთასი წელი მეფობდნენ მუსლი-  
მანები იერუსალიმში, გოტფრიდ ბულონელმა კვლავ დაიპყრო  
ქალაქი და დააფუძნა ქრისტიანული „იერუსალიმის სამეფო“. მაგ-  
რამ ქრისტიანთა ბატონობა მხოლოდ ოთხმოცდარვა წელს გაგრ-  
ძელდა. შემდეგ ისევ მუჰამედის მიმდევრებმა დაიპყრეს ქალაქი.  
ამჟერად იერუსალიმზე მოლაშქრე მუსლიმანებს, სალადინად —  
„სარწმუნოების მხსნელად“ წოდებული სირიისა და ეგვიპტის  
სულთანი იუსუფი ხელმძღვანელობდა.

ბრძოლა, რომელშიც მან გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა,  
მოხდა ჰატინის მთების მიდამოებში, ტიბერიის დასავლეთით, ამ  
ბრძოლის მოწამე იყო მუსლიმანი ისტორიკოსი იმად ად-დინი.  
რც მუსა იბნ დაუდთან მეგობრობდა და ერთ-ერთ წერილში დაწე-  
რილებით აუწერა ბრძოლის მსვლელობა.

„მტრის აბჯროსანნი, — წერდა იგი, — უვნებელი იყვნენ, ვიდ-  
რე ცხენებზე ისხდნენ, რადგან მათ თავით ფეხებამდე რკინის  
აბჯარი მოსავდა. მაგრამ თუ ცხენი წაიქცეოდა — მხედარიც იღუ-  
პებოდა. ბრძოლის დაწყებისას ლომებს ჰგავდნენ, მაგრამ, როცა  
ბრძოლა დამთავრდა, ფარას მოწყვეტილ უპატრონო ცხვრებს  
დაემსგავსნენ.

არც ერთი ურჯულო არ გადარჩენილა. ორმოცდახუთი ათასი  
ჩყვნენ. ცოცხლად გადარჩენილნი, თხუთმეტ ათასამდე თუ იქნებო-  
და, და ისინიც ტყვედ წაიყვანეს. ყველანი ხელთ ჩაგვივარდნენ:  
თვით იერუსალიმის მეფე თავისი გრაფებით და დიდებულებით.  
კარების თოკებიც კი აღარ გვეოფინდა. მე ვნახე ერთი თოკით  
შეკრული ოცდაათი-ორმოცი კაცი, ვნახე უფრო მეტიც, ასზე მეტ  
კაცს ერთი მეთვალყურე რომ ჰყავდა. და ამას ჩემი საკუთარი ბედ-  
ნიერი თვალებით ვუყურებდი. ოცდაათი ათასამდე იყო დახოცილი,

მაგრამ ტყვეების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ჩვენები რაინდს ერთ წყვილ ხამლებში ჰყიდდნენ. თითქმის საუკუნეა ასე იაფად არ გაყიდულა ტყვე.

და ამ რამდენიმე საათის წინ რა ამაყად და დიდებულად გამოიყურებოდნენ ეს ქრისტიანი რაინდები. ახლა კი გრაფები და ბარონები მონადირეთა ნადავლად იქცნენ. რაინდები — ლომების საკმელად. თავისუფალ ქედმაღალ ხალხს ბორკილები გაუყარეს. დიდია ალაპი! ისინი კეშმარიტებას ტყუილს უძახდნენ, ყურანს — სიცრუეს, და აი ახლა, ნახევრად შიშველნი, თავჩაქინდრულნი ისხდნენ, კეშმარიტების ხელით მიწასთან გასწორებულნი.

მათ, ბრმა ბრიყვებმა, ბრძოლაში თან წამოიღეს წმიდათა წმიდა ჯვარი, რომელზედაც მათი წინასწარმეტყველი ქრისტე იყო წამებული და ეს ჯვარიც ახლა ჩვენ ხელთაა.

როცა ბრძოლა დამთავრდა, მე პატინის მთაზე ავედი, რომ ირგვლივ თვალი მომეგლო. პატინის მთა ის მთაა, სადაც მათმა წინასწარმეტყველმა ქრისტემ თავისი საყოველთაოდ ცნობილი ქადაგება წარმოთქვა. თვალი გადავაგლე ბრძოლის ველს. და თვალნათლივ დავრწმუნდი, რის გაკეთება შეუძლია ხალხს, რომელსაც ალაპი წყალობს, იმ ხალხის მიმართ, რომლებსაც ლოდად აწევს მისი წყევლა. ვხედავდი მოქირლ თავებს, ადამიანთა ნაკუწად ქცეულ, დახლეჩილ სხეულებს, მოკვეთილ ხელებსა და ფეხებს. ირგვლივ ყველაფერი მომაკვდავთა და დახოცილთა სისხლში იყო არეული და გამახსენდა ყურანის სიტყვები: „ურწმუნონი იტყვიან, რომ მე არარაობა ვარ“.

ბევრ ასეთ სიტყვებს წერდა ამ სანახაობით ფრთაშესხმული ისტორიკოსი იმად აღ-დინი და ასე ამთავრებდა წერილს: „ჰოი, გამარჯვების საამო სურნელებავ!“

მუსა კითხულობდა ბარათს და სწუხდა. კედლიდან გამაფრთხილებლად გამოიყურებოდა კუფური დამწერლობის უძველესი გამონათქვამი: „მშვიდობის უნცია, ტონა გამარჯვებას სჯობია“. სწორედ, აი, ამ გამონათქვამის გამო წმიდათა წმიდა ომის დროს ბევრი მუსლიმანი გამოაცხადეს ერეტიკოსად და სიცოცხლის ფასად დაუჯდათ ეს ამბავი. მაგრამ ყოველივეს მიუხედავად, ბევრი ბრძენი ადამიანი მაინც იშველიებდა ამ გამონათქვამს, მათ შორის მისი მეგობარი იმადი, ის, ვინც ეს ბარათი მოიწერა. ერთხელ ამ გამონათქვამის გამო იმადი კინალამ მოჰკლა ვიღაც ფანატიკოსმა დერვიშმა. ახლა კი, აი, ასეთი ბარათი გამოგზავნა!

რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე იყო, როგორც იუდეველთა დიდ წიგნშია: იეზერ ჰარა, ბოროტის საწყისი დასაბამიდანვე ძლიერი იყო

ადამიანებში. ადამიანებს სურთ დევნა და ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და კვლა, და თვით ისეთი ბრძენიც კი, როგორცაა მისი მეგობარი იმადი „გამარჯვების ღვინითაა მთვრალი“.

სულ მალე დადგება დრო, როცა ბევრი დათვრება გამარჯვების ღვინით. ახლა, როცა იერუსალიმი ისევ მუსლიმანთა ხელშია, ქრისტიანთა მღვდელმთავარი აღარ დააყოვნებს, მოუწოდოს წმიდა ომისაკენ და ბრძოლის ველი, რომელიც ასე საშინელი სიცხადით აღწერა იმადმა, აღარ იქნება ერთადერთი.

და ასეც მოხდა.

ცნობამ, რომ დაეცა იერუსალიმი, რომელსაც ოთხმოცდაათი წლის წინათ ასეთივე გაუგონარი მსხვერპლის გაღებით დაეპატრონენ ჯვაროსნები, აუწერელ მწუხარებაში ჩააგდო მთელი ქრისტიანული სამყარო. ყველგან მიეცნენ მარხვასა და ლოცვა-ვედრებას. საეკლესიო თავადებმა უარი თქვეს ფუფუნებაზე, რათა მკაცრი თავდაპირით მაგალითი მიეცათ სხვათათვის. უფრო მეტიც, კარდინალებმა ფიცი დასდეს, რომ ცხენზე არ შესხდებოდნენ, ვიდრე წარმართები სრესდნენ იმ მიწას, რომელზედაც დადიოდა მათი მხსნელი. მათ ერჩიათ, მოწყალება ეთხოვათ, ქრისტიანულ სამფლობელოებში ეხეტიალათ და ცოდვების მონანიება და შურისძიება ექადაგათ.

წმიდა მამა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდებდა, იერუსალიმის — დედამიწის ჭიპის — მეორე საშოთხის გასანთავისუფლებლად. ვინც ჯვარს ხელთ აიღებდა, ყველას ჰპირდებოდა ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ბედნიერებას, მან საჯაროდ გამოაცხადა შვიდი წლით *treuga dei* — ომის შეწყვეტა.

მან თვით მისცა ღიდსულოვანი მაგალითი — შეწყვიტა ხანგრძლივი შუღლი გერმანიის მფლობელთან, რომის იმპერატორ ფრიდრიხთან. მან ლეგატი, ტირის არქიეპისკოპოსი გაგზავნა ფრანკთა და ინგლისის მეფეებთან და დაათიცა ბოლო მოეღოთ შუღლისათვის. პორტუგალიის, ლეონის, კასტილიის, ნავარიის, არაგონის მეფეებისადმი გაგზავნილ მგრძობიარე უსტარში ივედრებოდა დაევიწყებინა ყველა უთანხმოებანი, ძმურად გაერთიანებულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში: ებრძოლათ მათ ნახევარკუნძულზე ურჯულო აგარიანელთა და ანტიქრისტე—ხალიფა იაკუბ ალმანსურის წინააღმდეგ აფრიკაში.

როცა არქიეპისკოპოსმა დონ ალფონსოს მოახსენა პაპის ეპისტოლეს შესახებ, მეფემ სასწრაფოდ შეჰკრიბა სამეფო საბჭო — თავისი კურია. დონ იეჰუდამ უქეიფობა მოიმიზნა, ამით კეთილგონიერულად შეიკავა თავი და არ გამოცხადდა.

არქიეპისკოპოსმა ცხარედ აღნიშნა, რომ მათთან, ესპანეთში, ჯვაროსნული ლაშქრობანი ხუთასზე მეტი წლით ადრე დაიწყო, ვიდრე სხვა ქვეყნებში. დღევანდელი მმართველების მამებმა, ქრისტიანმა გოთებმა, მაშინვე დაიწყეს წინააღმდეგობა, როგორც კი მუსლიმანურმა შავმა ჭირმა გაანადგურა ქვეყანა.

— ჩვენი ვალია, — შთამაგონებლად წამოიძახა მან, — განვაგრძოთ უდიდესი წმიდა ტრადიცია — *Deus vult*. — ასე ინება ღმერთმა! — დაამთავრა მან ჯვაროსანთა საბრძოლო შეძახილით.

რა დიდი სიამოვნებით მიჰბაძედნენ გრანდები ამ შეძახილს, თვით მშვიდობისმოყვარე დონ როდრიგოც, ყველანი ერთი სურვილით იყვნენ აღგზნებულნი. მაგრამ ისინი ცხვირჩამოშვებულნი ისხდნენ და ღუმდნენ. რადგან კარგად ესმოდათ, რომ არსებული დაბრკოლებები მათთვის დაუძლეველი იყო.

— კარგად მახსოვს, — თქვა ბოლოს მოხუცმა დონ მანრიკემ, — როგორ შევიკერით ანდალუზიაში და როგორ მივედით ზღვამდე, მე მონაწილე გახლდით, როცა ჩვენმა მეფემ მუსლიმანებს ქალაქი კუენკა და ციხე-სიმაგრე ალარკოსი წაართვა. ერთადერთი დიდი სურვილი მაქვს — რომ ნება დამართონ საფლავში ჩასვლამდე ურჯულოებს კიდევ ერთხელ შევებრძოლო. მაგრამ ჩვენ საზავო ხელშეკრულება გვაქვს სევილიასთან, იგი ხელმოწერილია მეფის, ჩვენი ხელმწიფის მიერ და მისი საღერბო ბექლითაა დამოწმებული.

— ეს საცოდავი ქაღალდის ნაგლეჯი დღეს ძალაში აღარაა, — მრისხანედ თქვა არქიეპისკოპოსმა, — და არავის შეუძლია მეფე გაკიცხოს, ჩვენი ხელმწიფე, თუ იგი ამ ქაღალდს ჯალათს გადასცემს დასაწვავად, შენ არ ხარ შებოქილი ამ ხელშეკრულებით, მეფევე ბატონო! — მიმართა მან ალფონსოს. — *Juramentum contra utilitatem ecclesiasticam prestitum non tenet*. — ეკლესიის საზიანო ფიცი — გაუქმებულია. ასეა ნათქვამი გრაციანის დეკრეტალიის კრებულში.

— ეს ასეა, — დაუდასტურა კანონიკმა და პატივით თავი დახარა, — მაგრამ ურჯულოებს ამის გაგონებაც კი არ სურთ, ისინი დაეინებით მოითხოვენ ხელშეკრულების დაცვას. სულთან სალადინმა თავისი ტყვეების უმრავლესობა შეიწყალა, მაგრამ როცა მარკგრაფ შატილონელმა ზავის დარღვევის უფლება იმით დაასაბუთა, რომ თითქოს მის ფიცს ღმერთისა და ეკლესიის წინაშე ძალა არ ჰქონდა, — გაიხსენეთ, ბატონებო! — სულთანმა ბრძანება

გასცა, რომ იგი დაესაჯათ. დასავლეთის ურჯულო ხალიფაც სალადინივით ფიქრობს და მოქმედებს. თუ ჩვენ დავარღვევთ ღრობით ზავს სევილიასთან, იგი ზღვას გადმოლახავს და ამ გზით მოვა აფრიკიდან. რაც შეეხება ჯარისკაცებს, უდაბნოს ქვიშასავით ურიცხვი ჰყავს. მაშინ კი აღარ გვიშველის არც სიმამაცე და არც თავგანწირვა. ამიტომ თუ ჩვენი მეფე ბატონი, დაეყრდნობა საეკლესიო უფლებებს და საზავო ხელშეკრულებას გაუქმებულად გამოაცხადებს, ეკლესიას ზიანს მოუტანს და არა სარგებელს.

ღონ მარტინმა მკაცრად შეხედა თავის მდივანს: ამ ხრიკიანმა ყოველთვის რაღაც უნდა გამოიგონოს! ღონ როდრიგო კი ყოველგვარი აღელვების გარეშე განაგრძობდა: — ყოვლისმზილველმა ღმერთმა იცის, თუ როგორ ვისწრაფით, შური ვიძიოთ ჩვენი წმიდა ქალაქის შეურაცხყოფისათვის. მაგრამ ღმერთმა გონება გვიბოძა, ნაადრევად აჩქარებული თავგამოდებით არ მოვემატოთ ქრისტიანულ სამყაროს უბედურება.

გაბრაზებული ღონ აღფონსო ფიქრებში იყო წასული. — სევილიის დასახმარებლად მავრები მოვლენ, ეს მართალია, — თქვა მან ბოლოს. — მაგრამ არც მე ვიქნები მარტო. აქ; სანაპიროზე გადმომსხდარი ჯვაროსნები დაგვეხმარებიან, როცა მუსლიმანებს შეეუტევი. ისინი ადრეც გვეხმარებოდნენ ჩვენ.

— ჯვაროსნები ნაწილ-ნაწილ ჩამოვლენ, — შენიშნა მანრიკემ, — ისინი ვერ გაუძლებენ ხალიფას კარგად ორგანიზებულსა და დისციპლინირებულ არმიას. — და რადგან მეფეს არაფრის გაგონება არ სურდა, ღონ მანრიკემ აუხსნა მას ნამდვილი მიზეზი, რომელიც კასტილიას აიძულებდა უმოქმედოდ ყოფილიყო. მან მეფეს სახეში შეხედა და დინჯად და გარკვევით უთხრა: — გამარჯვება, მეფევ ბატონო, მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ უზრუნველყოფი შენი არაგონელი ბიძაშვილის ნამდვილ გულთად დახმარებას. საჭიროა, რომ ღონ პედრო ნებაყოფლობით შემოგიერთდეს, თუ ჩვენი ნახევარკუნძულის ქრისტიანული ლაშქარი ერთსულოვანი არ იქნება, ხალიფას ვერ გაუმკლავდება.

აღფონსომ კარგად იცოდა, რომ ეს ასე იყო და ამიტომ აღარაფერი უთქვამს. მან სახელმწიფო საბჭო დაითხოვა.

როცა აღფონსო მარტო დარჩა, დაუცხრომელმა სიშმაგემ შეიპყრო, თითქმის ოცდაცამეტი წლისაა, ადამიანის სიცოცხლის მთელი საუკუნე გალია და საშუალება არა ჰქონია ნამდვილი საგმირო საქმე ჩაედინა. ალექსანდრემ მის წლოვანებაში მსოფლიო დაიპყრო. ამჟერად, დიდი, ერთადერთი საშუალება ეძლეოდა — ჯვაროსნული ლაშქრობა, მათ კი თავიანთი უდავო ფაქტებითა და ეშმაკური მო-



საზრებებით უნდათ წინააღმდეგობა გაუწიონ, რომ ალფონსომ დიდება მოიპოვოს და ახალი სიდ კომპეალორი გახდეს.)

მაგრამ არავის არ მისცემს უფლებას, რომ ხელი შეუშალოს. და თუ ეს არაგონელი ცინგლიანი ქაბუკი არ აღიარებს ალფონსოს მთავარსარდლობას, უიმისოდაც წამოიწყებს ლაშქრობას. თვით ღმერთმა უწყალობა ქვეყნის დასავლეთ ნაწილის ბელადობა და ამ წმიდა მოვალეობას ხელიდან არ გაუშვებს. არავითარი არაგონი არ სჭირდება, უიმისოდაც კარგად იშოვის დამხმარეს. მხოლოდ რამდენიმე თვით სჭირდება მის ადგილ-მამულებს ჯვაროსნები, შემდეგ კი შეუძლიათ, გაემგზავრონ წმიდა მიწაზე. თუ მას, მისი ჯარის გარდა, კიდევ ოცი ათასი ჯარისკაცი ეყოლება, თავისუფლად შესძლებს მთელი ანდალუზიის დაპყრობას სამხრეთამდე და ვიდრე ხალიფა ჯარის შეკრებას მოასწრებს, აფრიკაში შეიკრება. მაშინ იაკუბ ალმანსური, ვიდრე თავის სახელმწიფოს აღმოსავლეთ საზღვრებს გააშიშვლებს, ძალაუვნებურად ასწონ-დასწონის.

მაგრამ ყოველივე ამისათვის უამრავი ფულია საჭირო. ფულია საჭირო ლაშქრობისათვის, რომელიც ალბათ ნახევარ წელიწადს გაგრძელდება, ფულია საჭირო იმათ გასასტუმრებლად, ვინც ამ ლაშქრობაში დაეხმარება.

მან იეჰუდას მოუხმო.

როცა იეჰუდამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაწვევის ამბავი გაიგო, ერთდროულად შეიგრძნო აუტანელი მღელვარება და აღმაფრენაც. დაიწყო დიდი ომი, რომლისაც ყველას ეშინოდა. ისევ საშიში გახდა ისლამისა და ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის საზღვარი. იეჰუდას ზეცამ დააკისრა ურთულესი ამოცანა, რადგან კასტილიის მეფის ესკრივანოზე უკეთ არავის შეუძლია ნახევარ-კუნძულზე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა.

და კვლავ გააცვიფრა იეჰუდა მისი მეგობრის მუსას სიბრძნემ. მთელი თავისი სიცოცხლე მუსა უმტკიცებდა: დაწყნარდი, ზედმეტად ნუ ფუსფუსებ, მოიფიქრე, ბედს მიენდე, რადგან მის წინაშე ყოველივე ამაოა. მაგრამ მას, იეჰუდას, არ შეეძლო ადვილად დამშვიდებულიყო, არ გაეთვალისწინებინა, არ ეფუსფუსა. როცა მეფემ არაგონთან ომის წამოწყება დააპირა, იეჰუდამ ათასი ხრიკები მოიგონა, გულმოდგინედ გაემგზავრა ჯერ ჩრდილოეთში, შემდეგ სამხრეთში და მერე ისევ ჩრდილოეთს დაბრუნდა. ფუსფუსებდა, საქმეებს აწყობდა, ასევე მოიქცა მეორეჯერაც და როცა დარწმუნდა, რომ ყველა მისი ანგარიში ამაო იყო, სასოწარკვეთილმა გამჩენ ღმერთს უსაყვედურა. მაგრამ ბედს, მის მეგობარ მუსასავით ბრძენსა და ცბიერს, სურდა, რომ ის, რაც იეჰუდას უდიდეს

ბოროტებად მიაჩნდა, უდიდეს სიკეთედ ექცია. სწორედ არა-  
გონთან უსიამოვნება, რომლის მოწესრიგებასაც იეჭულა გულით  
ცდილობდა, აკაეებდა ალფონსოს, ახალი ომი დაეწყო. (ექუ-  
დას ქვიანიურმა ანგარიშმა და გონიერულმა მსჯელობამ კი არა,  
ალფონსოს სრულიად მოუფიქრებელმა, უტიფარმა ნაბიჯმა მოუ-  
ტანა ბედნიერება და მშვიდობა ნახევარკუნძულს.)

სევილიიდან ჩამოვიდა წიგნით მოვაჭრე და გამოძევი ხაკამი.  
იგი დასავლეთ სამყაროს ყველაზე გამოჩენილ წიგნით მოვაჭრედ  
ითვლებოდა. მის ხელქვეით მუშაობდა ორმოცი მწერალი. დიდ-  
ბულ საეაქროში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიჩენილი სხვა-  
დასხვა დარგის მეცნიერულ წიგნებს. მან დღე იეჭულას საჩუქარი  
გადასცა ემირ აბდულისაგან — სპარსელი იბნ სინას „ცხოვრების  
აღწერა“ — ორიგინალური ხელნაწერი. იბნ სინა, რომელიც ას  
ორმოცდაათი წლის წინათ გარდაიცვალა, მუსლიმანური სამყაროს  
უდიდეს მოაზროვნედ ითვლებოდა. ქრისტიანი მეცნიერები, რომ-  
ლებიც მას ავიცენას სახელით იცნობდნენ, დიდ პატივს სცემდნენ.  
წიგნით მოვაჭრე ხაკამის მიერ ჩამოტანილი ხელნაწერის გამო თავის  
დროზე დიდი სისხლი დაიდვარა. ერთ-ერთმა კორდოველმა ხალი-  
ფამ იმისათვის, რომ ხელთ ჩაეგდო ეს ხელნაწერი, მოჰკლა მისი  
პატრონი და შემდეგ მთელი გვარი ამოკლიტა. იეჭულა დიდნანს  
გონს ვერ მოვიდა, ისე გაახარა ემირის ძვირფასმა საჩუქარმა,  
იმშუთშივე მუსასთან გაიქცა: აღელვებულნი, ფრთხილად ათვალი-  
ერებდნენ ნაწერებს, სადაც ამ ბრძენთა ბრძენმა შთამომავლობას  
შემოუნახა თავისი ცხოვრება.

ემირმა წიგნის გამოძევიელ ხაკამს სთხოვა საჩუქრის გადაცე-  
მასთან ერთად მისი მეგობარი იეჭულასათვის ზეპირად ეთქვა, რომ  
ხალიფა იაკუბ ალმანსური უკვე შეუდგა ომისათვის მზადებას და,  
როგორც კი სევილიას თავს დაესხმიან, იმავე წაშს ჯარს სათავეში  
ჩაუდგება და ნახევარკუნძულისაკენ დაიძვრება. სწორედ ამის გამო  
დაბრუნდა აღმოსავლეთიდან მარაკეში. ემირ აბდულა დარწმუნე-  
ბულია, რომ მშვიდობის შენარჩუნება ისევე ძვირფასია იეჭულასა-  
თვის, როგორც მისთვის. ამიტომ ურიგო როდი იქნებოდა, რომ  
ურჯულო მეფეები გაეფრთხილებინა-

აი, რაზე ფიქრობდა ალფონსოს წინ მდგომი იეჭულა. — ძლივს  
არ დაგინახე, ჩემო ესკრივანო! — გესლიანი თავაზიანობით მიესალ-  
მა მას მეფე. — რაო, სნეულო, უკვე გამოკეთდი? რა ცუდია, რომ  
შენ ვერ მიიღე მონაწილეობა ჩემს სამეფო საბჭოში. — მეც იმავე  
აზრს გამოვთქვამდი, რასაც შენი დაახლოებული გრანდები. მე,  
როგორც შენი ესკრივანო, ვალდებული ვარ, მათზე უფრო მეტად

ვიბრძოლო ნეიტრალიტეტისათვის. კარგად დაფიქრდი, მეფევ ბატონო, თუ შენ ახლა ჭვარს აიღებ ხელთ, ბევრი ისეთი გამოგყვება, რომელთა მემორად ყოლას შენ არ ისურვებდი. ბევრი შენი ვილანი შევა ჭარში და ისარგებლებს ჭვაროსნების უპირატესობით. ისინი თავიდან აიცილებენ ყოველდღიურ ჭაფას და შენს ხარჯზე გამოიკვებებიან იმის მაგივრად, რომ შენ და შენი ბარონები შეინახონ. ეს გაანადგურებს სახელმწიფოს მეურნეობას.

— ჩემს მეურნეობას! — ირონიულად გაიცინა ალფონსომ. — რით ვერ გაიგე, ანგარიშიანო მხდალო, რომ საქმე ეხება არა მეურნეობას, არამედ უფალი ღმერთისა და კასტილიის მეფის ღირსებას.

იეჰუდა მაინც არ ნებდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, თუ რა საშიში იყო განრისხებული ღონ ალფონსო. — უმორჩილესად გთხოვ, მეფევ ბატონო, ცუდად ნუ გამიგებ. არ ვცდილობ, რომ ომი აგაცდინო. პირიქით, გირჩევ, ომისათვის მოემზადო. გთხოვ ახლავე აკრიფო სამხედრო გადასახადი, სწორედ ის დამატებითი გადასახადები, რომლის შესახებაც პაპი იწერება. ახლა მემორანდუმზე ვმუშაობ, სადაც ვამტკიცებ, რომ შენ გაქვს გადასახადების გადიდების უფლება, თუმცა ჯერ ომი არ დაგიწყია.

იეჰუდამ დრო მისცა ალფონსოს, რომ მისი წინადადება მოეფიქრებინა. და შემდეგ განაგრძო: — სანამ ომში არ მონაწილეობ, შენს ხაზინაში სხვა შემოსავალიც შემოვა. მუსლიმანურ აღმოსავლეთთან ვაჭრობა შეწყდა, გემების მსხვილ მესაკუთრეებს და ქრისტიანული ქვეყნების ვაჭრებს, ვენეციელებს, პიზელებს, ფლანდრიელებს აღარაფერი შემოაქვთ აღმოსავლეთიდან, მსოფლიოს უფრო მდიდარი ნახევარსფეროდან ძვირფასი საქონლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ შენი ვაჭრების საშუალებით. მეფეო, ვინმე თუ მოისურვებს ძველებურად მიიღოს მუსლიმანისგან მარცვლეული, საქონელი, ჯიშინი ცხენები, მათ მოუხდებათ თხოვნით შენთან მოსვლა, მეფევ ბატონო. თუ ვინმე მოინდომებს მუსლიმანი მკვლელების ოსტატურ ნახელავს, — შესანიშნავ აბჯარს, დიდებულ ფოლადის ჭურჭელს, თუ ქრისტიანები, ისევე როგორც უწინ, მოისურვებენ ისლამის ქვეყნებიდან მიიღონ აბრეშუმში, ბეწვი, სპილოს ძვალი, ოქროს ქვიშა, მარჯანი, ძოწი, მარგალიტი, სხვადასხვა ბალახი, საღებავები და მინა, ისინი იძულებული გახდებიან შეუამავლობისათვის შენს ქვეშევრდომებს მიმართონ. ჩაუფიქრდი ყოველივე ამას, მეფევ ბატონო, სხვა მონარქების ხაზინა ამ ომში გალატაკდება, შენი ხაზინა საკმაოდ გაიზრდება. და როცა დანარჩენები დასუსტდებიან, აი, მაშინ, მეფევ ბატონო, სწორედ შენ, კასტილიის მეფემ, უკანასკნელი, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა აგემე.

ებრაელი დამაჯერებლად ლაპარაკობდა. მისმა სიტყვებმა მოხიბ-  
ლა მეფე.

მაგრამ ამან მეფე კიდევ უფრო შეაგულიანა. — მიშოვნე ფული — უბრძანა მან იეჰუდას. — ჯერ ორასი ათასი! მე ახლავე მინდა გავილაშქრო, ახლავე დააგირავე რაც გინდა, მიშოვნე ფული. გაფითრებულმა იეჰუდამ უპასუხა: — არ შემძლია, მეფევე ბატონო, და სხვებსაც არავის შეუძლია. — მთელი მრისხანება თავის თავისა და უკუღმართი ბედის მიმართ, რომელიც ხელიდან სტაცებდა დიდებას, ალფონსომ იეჰუდას დაატეხა თავს. — შენ გიდევეს ბრალი ჩემს შერცხვენაში, — ღელავდა იგი. — შენ მოიგონე ეს სამარცხვინო ზავი და სხვა ებრაული ხრიკები. მოღალატე ხარ! სევილიისათვის და შენი წინადაცვეთილი მეგობრებისათვის ზრუნავ, გეშინია, რომ მათ თავს დაეცხმები და ამით დაკარგულ დიდებას დავიბრუნებ. მოღალატე ხარ!

კიდევ უფრო გაფითრებული დუშდა. — წადი! — უყვირა მას მეფემ. — თვალით არ დამენახო! )

სპეციალური გადასახადი, რომლის შესახებაც იეჰუდამ მეფეს მოახსენა, ეგრეთწოდებული სალადინის მეთადი იყო. პაპმა ეს გადასახადები შეაწერა ქრისტიანული ქვეყნების იმ ქვეშევრდომთ, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ სულთან სალადინის წინააღმდეგ დიდ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ისინი ვალდებული იყვნენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ ფულადი სახით. ეს წვლილი უნდა ყოფილიყო მთელი მათი შემოსავლისა და მოძრავი ქონების ერთი მეთადი ნაწილი.

კასტილიის სამეფოს ესკრივანო დიდად კმაყოფილი იყო პაპის ბრძანებისა. მან, მისმა იურისტებმა და კანონმდებლებმა გადაწყვიტეს სალადინის მეთადი აეკრიფათ თვით ალფონსოს სამფლობელოში. რადგან ღმერთმა ინება, რომ მეფე, ჩვენი მბრძანებელი, ნეიტრალური ყოფილიყო, მაგრამ ეს ნეიტრალიტეტი მაინც დროებითია, ამიტომ მეფე ვალდებულია მოემზადოს წმიდა ომისათვის. ასე გადმოსცა საქმის ვითარება ვრცელ მემორანდუმში ღონ იეჰუდას.

ღონ მანრიკემ მეფეს გადასცა მემორანდუმი. ალფონსომ წაიკითხა. — ეშმაკურადაა მოფიქრებული, — თქვა მან წყნარად, პირქუშად, — ეშმაკი ძალლია, ეშმაკი ვაჰარია და ძალლი. ამ ძალლს რომ ბოენდომებინა, შეეძლო ფულის შოვნა. თვითონ რატომ არ მობრძანდა? — იკითხა მეფემ. ღონ მანრიკემ უპასუხა: — ვფიქრობ, არ

უნდოდა კიდევ ერთხელ ეგემა შენი მრისხანება.—განა ასე მგრძნობიარეა? — დაცინვით შენიშნა ალფონსომ. — შენ მეტად მკაცრად მოექვეცი მას, მეფეო, — უთხრა დონ მანრიკემ.

მეფე საკმაოდ ჰკვიანი კაცია და მიხვდა, რომ ებრაელი სამართლიანად იყო გაჭავერებული და ამიტომ თავის თავზე ბრახობდა. მაგრამ მთელი ქრისტიანული სამყარო იღებდა მონაწილეობას წმიდათა წმიდა ომში, ულმობელმა ბედისწერამ კი იგი გაწირა უმოქმედობისათვის. რა თქმა უნდა, ალფონსო აღშფოთებული და თავისი მრისხანება შეუძლია თავს დაატეხოს იმათაც კი, ვინც უდანაშაულოა! ისეთი ჰკვიანი კაცი, როგორიც ეს ებრაელია, ადვილად უნდა მიმხვდარიყო ამას.

ალფონსო იეპუდას ნახვის მიზეზს ეძებდა. დიდი ხანია ფიქრობდა ალარკოსის ციხე-სიმაგრე აღედგინა, რომელიც თვითონ შემოუერთა სამეფოს. იმის მიხედვით, რასაც იბნ ეზრა ეუბნებოდა, ახლა ამისათვის საჭირო თანხა ჰქონდა. ბრძანა მოეყვანათ იეპუდა.

იეპუდას ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა მეფის მიერ მიყენებული წყენა და, როცა ალფონსომ გამოიძახა, ბოროტი კმაყოფილება იგრძნო. ესე იგი, მეფე მალე მიხვდა, რომ უიმედოდ გაუჭირდება. მაგრამ იეპუდამ კარგად იცოდა თავისი ფასი. არ უნდოდა კიდევ ერთხელ მიეღო მეფისაგან შეურაცხყოფა. მან მოკრძალებით მოუბოდიშა და შეუთვალა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა.

მეფემ სძლია თავის მრისხანებას და ბრძანა დონ მანრიკეს საშუალებით მოეტანათ ფული ალარკოსისათვის, ბევრი ფული, ოთხი ათასი ოქროს მარავედი. ესკრივანომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაუგზავნა მეფეს ნაბრძანები თანხა და, როგორც ერთგულ ქვეშევრდომს შეუფერებოდა, წერილით მიულოცა ციხე-სიმაგრის მშენებლობის დაწყება, რითაც მეფე მთელ ქვეყანას უმტკიცებდა, რომ იგი საომრად ემზადება. მეფე დაიბნა, მან უკვე აღარ იცოდა, რა ეფიქრა თავის ებრაელზე.

დონ ალფონსოჲ ძლიერ უნდოდა ბურგოსში გამგზავრება დედოფალთან მოსალაპარაკებლად. ისედაც დაიგვიანა იქ ჩასვლა. ალბათ, დონა ლეონორი მაშინ დაორსულდა, როცა სარაგოსიდან კარგი ამბით დაბრუნებულმა ღამე ალფონსოსთან გაატარა. მაგრამ ბურგოსში ახლა ბევრი არასასიამოვნო სტუმარი იყო. ქალაქი გზად მდებარეობდა, სადაც ყველა ჯარის ნაწილს უნდა გაევიღო, რომელიც სანტიაგო დე კომპოსტელასაკენ, ევროპის უწმინდეს ადგილისაკენ მიემართებოდა და თუ ამ გზაზე ჩვეულებრივ ყოველთვის უამრავ მწირს ნახავდით, მით უმეტეს ახლა უფრო მეტი იყო, რადგან ყველა რაინდი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიემართე-

ბოდა, წმიდანისგან ლოცვა-კურთხევის მიღებას ჩქარობდა. მათ ბურგოსი უნდა გაეცლოთ, ყველა მიდიოდა დონა ლეონორთან თავ-ვანის საცემად, და როცა დონ ალფონსომ მათთან შეხვედრა წარმოიდგინა, გულზე დარდი შემოაწვა. ისინი საომრად მიდიოდნენ, იაკი სახლში უნდა მჯდარიყო.

მაგრამ მას არ უჭეძლო საკუთარ ციხე-კოშკში ყოფილკო და სეედას და მწუხარებას მისცემოდა. და ამიტომ ათასგვარ საქმეებს იმიზეზებდა. ხან სად და ხან სად გაემგზავრა. კალატრავაში წავიდა ორდენის რაინდებთან; რჩეული ჯარისკაცების დასათვალისწინებლად, ალარკოსში გაემგზავრა სიმაგრეების მშენებლობის შესამოწმებლად, მეგობრებთან ერთად მსჯელობდა ომის შესახებ, და თან პატივმოყვარე გეგმებს აწუობდა.

და როცა ველარ ახერხებდა რაიმე ახალი საქმის მომიზეზებას, ნადირობდა.

ერთ პაპანაქება დღეს, როცა ალფონსო ნადირობიდან ბრუნდებოდა თავის მეგობრებთან გარსერან დე ლარასა და ესტებან ილანთან ერთად, უერთა-დელ-რეის მამულში დაისვენა.

უერთა-დელ-რეი, ვრცელი, ჩრდილიანი მამული, მდებარეობდა მდინარე ტანოს მიხვეულ-მოხვეულ სანაპიროზე, მამული შემოვლებული იყო ჩამონგრეული ქვის კედლით. ობლად ეკიდა ჭიშკარი, რომელიც სტუმრებს ესალმებოდა ჩვეულებრივი არაბული მისალმებით: „ალაფია — მშვიდობა მომსვლელს“, — ეს სიტყვები კარზე ამოჭრილი იყო ძველებური ჭრელი დამწერლობით. კედელს იქით — ბუჩქები, პატარა ქალა, სხვადასხვა კვლები, მაგრამ იქ, სადაც ძველად მებაღეებს იშვიათი ყვავილები გამოჰყავდათ, ახლა სასარგებლო მცენარეულობა იყო დარგული: ბოსტნეული, კომბოსტო და თალგამი. ყოველივე ამის შუაში იყო გაუკაცრიელებელი საზაფხულო სასახლე და კოხტა ტალავერი. მდინარის ნაპირას შეამჩნევდით მიტოვებულ დამსკდარ ნაგებს და საბანაოს.

მეფე თავისი ახლობლებით სასახლის წინ, ხეების ჩრდილში იჯდა. მთელი შენობა უცხოდ გამოიყურებოდა, მუსლიმანური სულით გაქლენთილი. აქ, ჩრდილში, მდინარის პირას, საიდანაც ქალაქის შესანიშნავი ხედი მოჩანდა, უხსოვარი დროიდან იდგა სახლი, რომაელებმა აქ ვილა ააშენეს, გოთებმა — ქალაქგარეთა ციხე-კოშკი და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ სასახლე, რომელიც ახლა გატიალბულა, მავრთა მეფე გალაფრემ თავისი ქალიშვილის ინფანტ გალიანასათვის ააშენებინა და დღემდე მას პალასიო დე გალიანას უწოდებდნენ.

დღეს აქაც ცხელოდა, მდინარის პირას და ბაღში სულისშემბუ-

თავი სიჩუმე სუფევდა, მეფე და მისი თანამოსაუბრენი სიტყვებს ძლივს გამოთქვამდნენ. — თურმე უერტა უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე მეგონა, — თქვა დონ ალფონსომ. უცებ ალფონსოს ახალი აზრი დაებადა. მის წინაპართ და თვით ალფონსოსაც უფრო მეტად დანგრევა და გაცამტვერება უხდებოდათ, ნაკლები დრო რჩებოდათ საერთოდ ახლის ასაშენებლად, მაგრამ სიყვარული ახლის შექმნისადმი ჭერ კიდევ დედის რძესთან ერთად შეისისხლხორცა. მისი მეუღლე ლეონორი აგებდა ეკლესიებს, მონასტრებს, საავადმყოფოებს. თვით ალფონსო კი — ეკლესიებს, ციხე-კოშკებსა და ციხე-სიმაგრეებს. რატომ არ უნდა ააგოს ალფონსომ სასახლე თავისთვის და თავისი ოჯახისათვის? გალიანას შეეკეთება ისე, რომ შესაძლებელი იყოს იქ ცხოვრება, არცთუ ისეთ დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. განსაკუთრებით ზაფხულობით აქ ცხოვრებას არაფერი აჯობებს. შესაძლოა პაპანაქებაში დონა ლეონორიც ეწვიოს აქაურობას. — თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონებო? — იკითხა ალფონსომ, — შევაკეთო გალიანა? — და მხიარულად დაუმატა. — დაეთავალიეროთ ნანგრევები!

ისინი სახლისაკენ გაემართნენ. შესახვედრად მოისწრაფოდა ოდნავ ადგლებული და მოკრძალებული მოურავი ბელარდო, რომელმაც მათი ყურადღება ბოსტინისაკენ მიაპყრო და თან მოუთხრო, თუ რათდენ დიდი სარგებლობა მოუტანა ამ მიტოვებულმა ბაღმა. როცა სახლში შევიდნენ, ბელარდო აჩვენებდა დანგრეულ ადგილებს და ამავე დროს მჭევრმეტყველურად უხსნიდა მათ, თუ რა დიდებული იყო წინათ აქ ყოველივე — მოზაიკური იატაკები, მდიდრულად მორთული კედლები და კერი, მაგრამ წყალდიდობის დროს ტახო ადიდდება ხოლმე და სახლშიც იჭრება. ბელარდოს გული სტიკვა, რომ თვალნათლივ ხედავს სასახლის დანგრევას. მაგრამ ერთ კაცს რისი ვაკეთება შეუძლია. და დანანებით დაუმატა, რომ მას არა ერთხელ მიუმართავს მეფის მრჩეველებისათვის, შეეკეთებინათ გალიანა და მდინარის პირას კაშხალი აეგოთ, მაგრამ მისი მოსმენაც კი არ უნდოდათ, უფულობას იმიზეზებდნენ.

— ყბედი მართალია, — უთხრა ლათინურად ესტებანმა დონ ალფონსოს. — სასახლე მართლაც საოცრად ლამაზი იყო. არცაა გასაკვირი, ბებერ წინადაცვეთილს ქალიშვილისათვის უზრუნია.

გრანდების ჩექმების დეზები აქა-იქ ამოჩრილ მოზაიკის იატაკზე ხმამაღლა წკრიალებდა, ხმები გუგუნებდა უკაცრიელ სავანეებში.

- დონ ალფონსო უხმოდ ათვალერებდა სასახლეს. „არა, შეუძლებელია, გალიანას სულ მთლიანად დანგრევას ველოდო“, — გაი-

ფიქრა მან. — მართალია, დონ ალფონსო, მის აღდგენას საკმაოდ ბევრი ფული და შრომა დასჭირდება, — შენიშნა დონ გარსერანმა. — მაგრამ ეფიქრობ, გალიანადან შესაძლებელია დიდებული სასახლის აგება. ნეტავი განახა, რა გააკეთა შენმა ებრაელმა დე კასტროების ძველი, მახინჯი კასტილიოსგან.

• დონ ალფონსოს უცებ გაახსენდა, თუ როგორ გააკვირვა ძველ-მოდურმა, ბურგოსის სადა ციხე-კოშკმა და რა გულახდილად უთხრა ებრაელის ასულმა დონ ალფონსოს თავისი აზრი. დონ ესტებანმა მხარი აუბა დონ გარსერანის ნათქვამს და მეფეს ურჩია: — თუ სერიოზულად გადაწყვიტე გალიანას აღდგენა, მაშინ ჯერ შენი ებრაელის სახლი დაათვალიერე.

„მართლაც მკაცრად მოვეპყარ ებრაელს, — გაიფიქრა ალფონსომ, — დონ მანრიკესაც ასე სჯერა. კარგი, მე ამას გამოვასწორებ და თან მის სახლსაც შევათვალიერებ“.

— შესაძლებელია თქვენ მართალი ხართ, — ჩაიბურტყუნა ალფონსომ საპასუხოდ.

როგორც იეჰუდამ უწინასწარმეტყველა, კასტილია აყვავდა იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე დანარჩენი ქრისტიანული სამყარო წმიდა ომს ეწეოდა. ქარავნებსა და გემებს მოჰქონდა საქონელი აღმოსავლეთიდან მუსლიმანური ესპანეთის ქვეყნებში. იქიდან ისინი მიდიოდნენ კასტილიაში, კასტილიიდან კი სხვა დანარჩენ ქრისტიანულ ქვეყნებში.

როცა ჯვაროსნული ლაშქრობა გამოცხადდა, ბარონები ილანძლებოდნენ და ავად იხსენიებდნენ იეჰუდას: თითქოს ებრაელმა შეუშალა ხელი, რომ მონაწილეობა მიეღოთ ამ წმიდა ომში, ამიტომ მისი განდევნა სურდათ, მაგრამ მალე ნათელი გახდა, თუ რა დიდი სარგებელი მოაქვს ქვეყნისათვის ნეიტრალიტეტს. ებრაელის მიმართ ბუზღენი და წუწუნი შესწყდა, სამაგიეროდ გარკვეული შიში და იღუმალი პატივისცემა გაიზარდა, თავადთა გარკვეულმა ნაწილმა იეჰუდას პირმოთნეობა დაუწყო. დე გუზმანისა და დე ლარას შთამომავლებმა ყოვლისშემძლე, დონ მანრიკეს ღარიბმა ნათესავმა, ებრაელ ესკრივანოს სთხოვეს მათი შვილები პაჟად აეყვანა.

როცა იეჰუდამ ერთხელ სხვათა შორის წაიტრიალა, რომ კასტილიისა და ჩემი პირადი საქმეები კარგად მიდისო, მუსამ, რომელიც თავისი მეგობრის დამსახურებას აღიარებდა, დამცინავად, სიბრაულულითა და მხიარულად შეხედა მას. „უნდა იფუსფუსოს, — გაი-



ფიქრა მან. — იგი ერთსა და იმავე დროს ათას საქმეს უნდა მართავდეს. თავს ცუდად გრძნობს, თუ ვერ ახერხებს აღამიანთა საქმეში ჩაბმას. თუ არ აამოძრავებს ყველას, თუ არ მისცემს ახალ სამუშაოს სამეფო კანცელარიის მწერლებს, თუ არ გაამგზავრებს გემებს ყველა შვიდ ზღვაზე, ახალ ქარავენებს — ახალი ქვეყნებისაკენ. საოცარია, — თავი უნდა დააჯეროს, რომ ამას ყოველივეს აკეთებს ქვეყნად მშვიდობისა და თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის, რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ამას იეჭულა იმიტომ აკეთებს, რომ მოლდაწეობა და ძალაუფლება უყვარს“. — რა შეიცვლება, შენ რომ უფრო მეტი ძალაუფლება გქონდეს? — თქვა მან. — რა შეიცვლება, რომ შენ ორას ორმოცდაათი ათასი და არა ორასი ათასი ოქროს მარაველი გქონდეს? შენ ხომ არ იცი, ვიდრე აქ სუფთა ღვინოს მიირთმევ, იქნებ ამ დროს აქედან ოთხი კვირის სავალ გზაზე, სამუშაო უღაბნოში მიმოფანტა შენი ქარავენები ან ზღვამ შთანთქა შენი გემები. — არც ზღვისა და არც სამუშაოს არ მეშინია. — უბასუხა იეჭულამ. — სულ სხვა მაშინებს, — და მან მეგობარს არ დაუმალა, გაუმხილა იღუმალი საზრუნავი. — მე მხოლოდ დონ ალფონსოს თავხედი, თავაშეებული ახირება და გაცხარება მაშინებს. მან ხელმეორედ, დაუმსახურებლად მომაცუნა შეურაცხყოფა და თუ ისევ თავისკენ მიხმობს, ავადმყოფობას მოვიმიზეზებ, ჩემს სახეს ველარ იხილავს. მართალია, კარგად მესმის, რა ცეცხლს ვეთამაშები, როცა არაფრის დათმობა არ მსურს. — მუსა მიუახლოვდა საწერ მაგიდას და არაბესკებისა და წრეების ხაზვა დაიწყო. — ჩემო იეჭულა, დათმობაზე იმიტომ არ მიდიხარ, მშვიდობა შეინარჩუნო თუ ქედმაღლობის გამო? — ჰკითხა მუსამ. — მართალია, ამაყი ვარ, — უბასუხა იეჭულამ, — მაგრამ ამჯერად, მე ვფიქრობ, ჩემი ქედმაღლობა მხოლოდ სიკეთესა და კარგ ანგარიშს წარმოადგენს. სიშმავე და გონიერება დონ ალფონსოს ხასიათში ისე საოცრადაა შერწყმული, რომ არავის შეუძლია წარმოიდგინოს, ბოლოს და ბოლოს რას გააკეთებს იგი.

იეჭულა მეფესთან არ მიდიოდა და თვით მეფეც კმაყოფილდებოდა მოკლე, მაგრამ მბრძანებლური განკარგულებებით. იეჭულას დარდი ემატებოდა. შიშობდა, რომ გაბრაზებულ კაცს შეეძლო დღეს თუ ხვალ კასტილიოდან და სამეფოდან გაექცევიანა. ან ებრძანებინა იეჭულას შეპყრობა და თავისი ციხე-კოშკის დილეგში ჩაგდება. ხან კი იმედი ჰქონდა, რომ დონ ალფონსო შეეცდებოდა მასთან შერიგებას და მთელ ქვეყანას უჩვენებდა, თუ როგორ წყალობს მას. მაგრამ მოლოდინი ტანჯვა იყო. ერთხელ იეჭულას მისმა ვაჟმა ალაზარმა მწარე დანაწებით ჰკითხა. — დონ

აღფონსოს ნუთუ არასოდეს ვუკითხვიარ? რატომ ერთხელ მაინც არ გესტუმრება?—და გულნატკენი იეპულა იძულებული იყო შეიღოსათვის ეპასუხა: — აჰ, კასტილიაში, ეს მიღებული არაა, ჩემო შეიღო.

როგორი დიდი ტვირთი მოეხსნა მხრებიდან, როცა სამეფო ციხე-კოშკიდან მოსულმა ელჩმა ამცნო, რომ დონ აღფონსო აპირებს მასთან სტუმრობას.

მეფეს გარსეარანი, ესტებანი და მცირე ამაღა ახლდა, იგი ცდილობდა ნაძალადევი მხიარულებით დაეფარა უხერხულობა.

სახლი მას უცხოოდ მოეჩვენა, თითქმის მტრულად, ისევე, როგორც მისი პატრონი. ამასთანავე კარგად შენიშნა, რომ თავისთავად ეს სახლი ნამდვილად უნაკლო იყო. იღუმალნი ზომიერების გრძობის წყალობით ურთიერთისაგან მკვეთრი სხვაობა მთლიან ჰარმონიას ქმნიდა. ყველაფერს გაუგონარი სიმდიდრის კვალი აჩნდა, არც ერთი კუთხე, არც ერთი წვრილმანი არ დავეიწყებინათ, მრავალი მსახური იყო აქ, თუმც არ ჩანდნენ, პირველსავე დაძახებაზე ადგილზე იყვნენ. ხმაური დახშული იყო ძვირფასი ხალიჩებით და სახლში გამეფებული სიჩუმე კიდევ უფრო იგრძნობოდა წყლის ჩუხჩუხის გამო. ასეთი საოცარი რამ დგას მის ხმაურიან ტოლედოს გულში! ასე საკვირველად შეიცვალა მისი კასტილიო დე კასტრო! მეფე უცხოოდ, დაუპატიებელ სტუმრად გრძნობდა თავს.

აღფონსომ არაბული, ებრაული და ლათინური წიგნები და გრაფიკები შეათვალიერა. — ასწრებ ამათ წაკითხვას? — ჰკითხა მან. — ბევრს ვკითხულობ, — უპასუხა იეპულამ.

სტუმრებისათვის განკუთვნილ გალერეაში იეპულამ მეფეს წარუდგინა მუსა იბნ დაუდი, როგორც ყველაზე სწავლული ექიმი სამი რელიგიის. მორწმუნეთა შორის. მუსა მიესალმა დონ აღფონსოს და ყოველგვარი პირმოთენობის გარეშე სახეში შეხედა. დონ აღფონსომ მოისურვა, რომ მისთვის რომელიმე ბრძნული გამონათქვამი გადაეთარგმნათ, რომელიც ოქროსფერ, ჭრელ გირლიანდად მიჰყვებოდა კედელს. და მუსამ გადაუთარგმნა სწორედ ის, რომელიც ადრევე დონ როდრიგოს უთარგმნია: „რამეთუ მითცა ვითარცა შემთხვევა ძეთა კაცთასა, და შემთხვევა საცხოვართა და შემთხვევა ერთი მათდა, ვითარცა სიკუდილი მისი, ეგრეთ სიკუდილი ამათი, და სული ერთი ყოველთა შინა და რათა უმეტეს აქუს კაცს პირუტყუთა? არა რავე, რამეთუ ყოველნი ამავო ყოველნი მოვლენ ადგილსა ერთსა შინა, ყოველნი შეჰქმენ მიწისაგან, და ყოველნი მოიქცევიან მიწადვე და ვინ უწყის სული ძეთა კაცთაი, უკეთუ იგი ადვალს მადლა და სული საცხოვართა უკეთუ შთავალს იგი დაბლა ქუჭყნად“.

დონ ალფონსო ჩაფიქრდა. — ეს ერეტიკული სიბრძნეა, — მკაცრად თქვა მან. — იგი ბიბლიიდანაა აღებული, — თავაზიანად უთხრა მუსამ. — ეს სიტყვები აღებულია მეფე სოლომონის, სოლომონ მქადაგებლის წიგნიდან. — ჩემის აზრით ეს არ წარმოადგენს მეფურ სიბრძნეს, — გააწყვეტინა დონ ალფონსომ. — მეფე ძირს, მიწაში არ ეშვება ცხოველივით.

საუბარი შეწყვიტა და შემდეგ იეჭუდას უთხრა: — იარაღების დარბაზი მაჩვენე.

— მეფე ბატონო, თუ ნებას დამრთავ იარაღების დარბაზს ჩემი ვაჟიშვილი ალაზარი გაჩვენებს, — სთხოვა იეჭუდამ, — და ამ დღეს იგი მისი ცხოვრების საუკეთესო დღედ ჩათვლის.

დონ ალფონსომ სიამოვნებით გაიხსენა ეს სასიამოვნო ახალგაზრდა. — შენ საზრიანი, რაინდი ვაჟი გყავს, დონ იეჭუდა, — უთხრა ალფონსომ. — თუ შენი ნება იქნება, მე სიამოვნებით ვნახავდი შენს ქალიშვილსაც, — დაუმატა მან. იგი ალერსიანად, როგორც საქმის მცოდნე, ესაუბრა ალაზარს საქურველზე, ცხენებსა და ჯორებზე.

შემდეგ ყველანი ბაღში წავიდნენ და, თითქოს განგებ, დონა რაკელიც ბაღში აღმოჩნდა.

ეს ისევე ის რაკელი იყო, ბურგოსში რომ ნახა, სწორედ ის, რომელმაც მეტად მოურიდებლად უპასუხა ალფონსოს კითხვაზე და მაინც სხვანაირი ჩანდა. რაკელს მსუბუქი, უცხოურად შეკერილი კაბა ეცვა, იგი ამ სახლის დიასახლისი იყო, რომელიც უცხო დიდებულ სტუმარს ხვდებოდა. და თუ ბურგოსში საერთო ტონს ვერ ჰყვებოდა და თავს უხერხულად გრძნობდა, აი, აქ კი გემოვნებით გაშენებული ბაღი, შადრეუნი, უცხო მცენარეები — ყველაფერი ეს მის ბუნებრივ ჩარჩოს წარმოადგენდა, ხოლო ალფონსო სრულიად უცხო ჩანდა, აქ არ იყო მისი ადგილი.

ალფონსომ თავი დახარა, ხელთათმანი გაიძრო, როგორც ამას კურტუაზული ზრდილობა მოითხოვდა, რაკელის ხელი აიღო და ეამბორა. — მოხარული ვარ, რომ კვლავ გიხილე, ბანოვანო. იქ, ბურგოსში, ვერ შევძელი ჩვენი საუბარი დამემთავრებინა, — თქვა ალფონსომ ხმამაღლა, ყველას გასაგონად.

ბაღში თავი მოეყარა შედარებით უფრო ფართო საზოგადოებას: მეფესა და მის ახლობლებს შემოუერთდნენ ალაზარი და იეჭუდას პაეები. ბაღში სეირნობისას ალფონსო და რაკელი სხვებს ჩამორჩნენ. — ახლა, როცა ეს სახლი ვნახე, — თქვა ალფონსომ, ამჯერად კასტილიურად, — მე მესმის, ასულო, რატომ არ მოგეწონა ჩემი ბურგოსის კასტილიო. — რაკელი გაწითლდა, რცხვენოდა, რაკი მეფეს

აწყენინა, თან ეამებოდა, რომ ალფონსოს ახსოვდა მისი სიტყვები. რაკელი დუმდა, ოდნავ შესამჩნევი, გაურკვეველი ღრმული შეეხო მის დახრილ ბაგეებს. — გესმის, ჩემი ვულგარული ლათინური? — განაგრძობდა ალფონსო, რაკელი უფრო გაწითლდა: ალფონსოს ყოველი მისი სიტყვა დაუმახსოვრებია. — ამ ხნის განმავლობაში უკეთ შევისწავლე კასტილიური ენა, მეფე ბატონო, — უპასუხა რაკელმა. ალფონსომ უთხრა: — სიამოვნებით გაგესაუბრებოდი არაბულად, ბანოვანო, მაგრამ ჩემს ბაგეებში ეს ენა უხეშად, უთავბოლოდ ჟღერს და შენს სმენას შეურაცხყოფდა. — თავს ნუ შეიწუხებ, ისაუბრე კასტილიურად, მეფე ბატონო, რადგან იგი შენი მშობლიური ენაა. — გულახდილად უთხრა დონა რაკელმა.

ამ სიტყვებმა დონ ალფონსო გააბრაზა. რაკელს საპასუხოდ უნდა ეთქვა: „ჩემთვის ეს ენა სასიამოვნოდ ჟღერს“ ან რაიმე ამის მსგავსი, ამას მოითხოვდა კურტუაზულობა. რაკელი კი ყოველგვარი თავაზიანობის გარეშე ამბობდა იმას, რაც პირზე მოადგებოდა და აძაგებდა მის მშობლიურ, კასტილიურ ენას. — ჩემი კასტილია, ნამდვილად, ჭერ კიდევ უცხო ქვეყანაა შენთვის, — თქვა მან უხეშად, — და მხოლოდ აქ გრძნობ თავს როგორც სახლში. — არა, — უპასუხა რაკელმა, — შენი ქვეყნის კავალრები დიდ ყურადღებას გვაქცევენ, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ კასტილია ჩვენთვის მშობლიურ ქვეყნად იქცეს.

ახლა საჭირო იყო დონ ალფონსოს ეთქვა რამდენიმე ჩვეულებრივი თავაზიანი სიტყვა, თუნდაც ამის მსგავსი: „ძნელ საქმეს როდი წარმოადგენს ყურადღებიანი იყო ასეთი ქალისადმი, როგორც შენა ხარ“. მაგრამ ალფონსოს მოსწყინდა ნაცოდვილარი, გამოგონილი, მოღური ყბედობა, და დონა რაკელსაც თავაზიანი ყბედობა სასაცილოდ ეჩვენებოდა. საერთოდ, როგორ უნდა ესაუბროს მას? იგი არ ეკუთვნის იმ ქალთა რიცხვს, რომელთაც უყვართ მაღალფარდოვანი, თავაზიანი, მაგრამ არაფრის მთქმელი ქათინაურები და არც იმ ქალთა რიცხვს, რომლებსაც მაგალითად თავისუფალი ჭარისკაცული დამოკიდებულება მოსწონთ. ალფონსო მიჩვეული იყო, რომ ყველას აქვს თავისი განკუთვნილი ადგილი, და რომ მან, ალფონსომ, კარგად იცის ვისთან აქვს საქმე. მაგრამ ვის მიაკუთვნოს დონა რაკელი და როგორ დაიჭიროს მასთან თავი, ეს არ იცოდა. და ყველაფერი, რაც აკავშირებდა მის ებრაელთან, ახლა კარგავდა გარკვეულობას და თანდათან ბევრი რამ ბუნდოვანი ხდებოდა. რისთვის სჭირდება მას დონა რაკელი? მაინც რა უნდა ამ ქალისგან? შესაძლებელია სურს — და გულში მეტად უხეში სიტყვა გაიმეორა თავის ვულგარულ ლათინურ ენაზე, — მასთან დამის გატარება? ალფონსომ თვითონაც არ იცოდა.

აღსარებისას ალფონსოს სუფთა სინდისით შეეძლო ეთქვა, რომ დონა ლეონორის გარდა ჯერ არც ერთი ქალი არ ჰყვარებია. რაინდული სიყვარული „ტრფობა“ არ მოსწონდა. თავადების გაუთხოვარ ასულებს ძლიერ იშვიათად თუ ნახავდით და ისიც დიდ საზოგადოებაში, ამიტომ კურტუაზული კოდექსი მხოლოდ გათხოვილი ქალებისადმი ტრფობას უშვებდა და მათთვის მაღალფარდოვანი, გაყინული, სასიყვარულო ლექსების მიძღვნას მოითხოვდა. თანაც აქედან არაფერი გამოდიოდა. ამიტომ იყო, რომ ალფონსო ხშირად ატარებდა ღამეებს ტყვედ ჩავარდნილ მუსლიმან ქალებთან და მეძავეებთან. როგორც გაგხარდება, ისე შეიძლება მათთან საუბარი და მოქცევა. ერთხელ ნავარელი რაინდის ცოლთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ ამ კავშირს მისთვის სიხარული არ მოუნიჭებია. ალფონსომ შვება იგრძნო, როცა ქალი თავისი ნება-სურვილით სამშობლოში გაემგზავრა. მცირე ხნის ურთიერთობა დონა ბლანკასთან, ლეონორის სეფე ქალთან, პირდაპირ ტანჯვა იყო, დაბოლოს დონა ბლანკა, ვინ იცის თავისი ნებითა თუ სხვისი ძალდატანებით, მონოზნად აღიკვეცა. არა, ალფონსო ბედნიერი მხოლოდ დონა ლეონორთან იყო.

თუმც დონ ალფონსოს თავისი ფიქრები სიტყვებით არ გამოუნატავს, მაინც მკვეთრად შეიგრძნო მათი მნიშვნელობა და გაბრაზდა კიდევ, რომ ებრაელის ასულთან ასეთი საუბარი ჰქონდა. მას ხომ არ მოსწონდა რაკელი. რაკელს თავმდაბლობის ნატამალიც კი არ გააჩნდა, სულაც არ ჰგავდა კეთილშობილ ბანოვანს, იგი მეტად გაბედულია და თავს ნებას აძლევს ყველაფერი თვითონ განსაჯოს, თუმც ჯერ სულ პატარა გოგონაა. არაფრით არ ჰგავს ცივ, დიდებულ, ოქროსკულულებიან ქრისტიან ქალებს, არა, რაინდი მის სათაყვანებლად ლექსებს ვერ შეთხზავს, იგი მაინც ვერ გაიგებდა მათ.

აღარ სურდა რაკელთან საუბრის გაგრძელება, სურდა შორს ყოფილიყო ამ სახლიდან. წყნარი ბაღი თავისი წყლის მონოტონური ჩუხჩუხით, სადაც აყვავებული ფორთოხლის ხეების დამატობელი სურნელება იდგა, აღიზიანებდა მას. კმარა თავის მოსულელება და ამ ებრაელის ქალიშვილთან თავაზიანობა. ახლაც მიატოვებს მას და სამუდამოდ.

მაგრამ ამის ნაცვლად მან თავისი საკუთარი ხმა გაიგონა: — ქალაქგარეთ მაქვს მამული. მას გალიანას უწოდებენ. ეს სახლი მუსლიმანმა მეფემ თავისთვის ააშენა და მის შესახებ უამრავ ამბებს ჰყვებიან. — დონა რაკელი შეკრთა, მასაც გაეგონა გალიანას შესახებ, იქ ხომ არ იდგა რაბი ხანანას წყლის საათი? — მე მინდა აღვადგინო სასახლე, — განაგრძობდა დონ ალფონსო, — და ისე,

რომ ახალი ბევრად სჯობდეს ძველს. შენი რჩევა, კეთილშობილო ბანოვანო, ჩემთვის მეტად სასურველია.

დონა რაკელმა მეფეს გაკვირვებით, თითქმის წყრომით, შეხედა. მუსლიმანი რაინდი არასოდეს ვაბედვდა ქალის მიწვევას ასე უხეშად. მაგრამ მაშინვე გაამართლა, რომ სხვაგვარად იქცევიან ქრისტიანი რაინდები. კურტუაზული წესები ვალდებულს ხდის მათ ხშირად გამოთქვან მაღალფარდოვანი ფრაზები, რომლის მიღმა არაფერი იმალება. რაკელმა მალულად ახედა ალფონსოს სახეს — და შეეშინდა. მისი სახე უცნაურად, ხარბად და დამბულად გამოიყურებოდა და მაშინვე მიხვდა, რომ ალფონსოს მიერ ნათქვამი სიტყვები მართო კურტუაზული წესებით როდია ნაკარნახევი.

რაკელი შეშინებული და შეურაცხყოფილი იყო. იგი განმართვდა და მხოლოდ თავაზიანი დიასახლისი გახდა. ამჯერად მან ზრდილობიანად უპასუხა არაბულად: — რა თქმა უნდა, მამაჩემი დიდად კმაყოფილი იქნება, თუ შესძლებს თავისი რჩევა-დარიგებით დახმარება გაგიწიოს.

დონ ალფონსომ შუბლი შეიკუმუნა. ეს რა ჰქნა! მან სამართლიანად დაიმსახურა ასეთი საკადრისი პასუხი. ადრევე უნდა სცოდნოდა, ფრთხილად უნდა ყოფილიყო. რაკელი ხომ ღეთისგან წყეული ადამიანთა ასული იყო, ამ ჩადოქრულმა ბაღმა, წყეულმა სახლმა შთააგონეს ასეთი საუბარი. იგი გამოერკვა. ფეხს აუჩქარა და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ რაკელი და ალფონსო სხვებს წამოეწივნენ.

ალაზარმა დონ ალფონსოს მიმართა. იგი ახლა მეფეს გაცხარებით უყვებოდა ზარადიანი ჩაფხუტის შესახებ, რომელსაც მოძრავი ნაწილები ჰქონდა. სურვილისამებრ შესაძლებელი იყო რკინის ფირფიტის აწევა და დაწევა ისე, რომ ცხვირი, თვალები და პირი მტრის მახვილისგან დაცული იქნებოდა. მეფის პაეებს კი არ სჯეროდათ. — ჩემი თვალით ვნახე ასეთი აბჯარი! — ცხარობდა ალაზარი. — მას კორდოველი მესაქურვლე აბღულა ჰედავს, მამამ აღმითქვა, როცა რაინდად მაკურთხებენ, საჩუქრად მივიღებ სწორედ ასეთ აღჭურვილობას, შენც ხომ გაქვს, მეფეე ბატონო, ასეთი აბჯარი? — დონ ალფონსომ უპასუხა, რომ გაუგია მათ შესახებ. — მაგრამ არა გაქვს, — მშრალად დასძინა მან. — მამა უსათუოდ გიშოვის! — უთხრა ალაზარმა. — ძალიან მოგეწონება, — უმტკიცებდა მეფეს ყრმა, — მამას უბრძანე, რომ გამოიწეროს აბჯარი შენთვის.

დონ ალფონსოს სახე გაუბრწყინდა, ბიჭის რა ბრალია, რომ მას ასეთი კადნიერი და ბუტია და ჰყავს. — ხომ ხედავ, დონ იეჰულა, — თქვა ალფონსომ, — მე და შენ ვაჟს კარგად გვესმის ერთმანეთის. ხომ არ მომცემ ალაზარს პაეად?

დონა რაკელი ოდნავ აღელვებული ჩანდა. დანარჩენებიც ძლიერ ფარავდნენ თავიანთ გაოცებას. სიხარულისაგან ენადაბმულმა ალაზარმა თითქმის წაილულლულა: — ამას მართლა ამბობ, დონ ალფონსო? კეთილი ინებე და გინდა შენს სამსახურში ამიყვანო? — დონ იეპულა კი, რომლის დიდი ხნის ნატვრა ასე მოულოდნელად განხორციელდა, მეფის წინაშე მდებლად დაიხარა და წყნარად უთხრა: — ეს დიდი წყალობაა, თქვენო უდიდებულესობავ.

— მეფე, ჩვენი მბრძანებელი, მოწყალე ყურადღებით გესაუბრებოდა, — უთხრა იეპულამ ამავე საღამოს დონა რაკელს. დონა რაკელმა გულახდილად უპასუხა: — ჩემი აზრით, მეფე ზედმეტად მოწყალე იყო. რატომღაც მეშინია მისი, — და იქვე განმარტა: — მას განზრახული აქვს ქალაქგარეთა ციხე-კოშკის გალიანას აღდგენა და ამ საქმეში რჩევა-დარიგებას მთხოვს. როგორ ფიქრობ, მამაჩემო, ეს ხომ ჩვეულებრივი წინადადება არ არის? — არ არის ჩვეულებრივი, — დაეთანხმა იეპულა.

და მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ დონა რაკელი და იეპულა მეფემ გალიანაში მიიწვია. ამჯერად მეფემ უფრო ფართო საზოგადოება დააბატოა და ბაღში სეირნობისას თითქმის არც კი გამოლაპარაკებია დონა რაკელს, სამაგიეროდ სტუმრების გასამხიარულებლად უამრავ შეკითხვებს აძლევდა ოდნავ უხეშ, მაგრამ ყბედ მოურავს — ბელარდოს.

მამულის დათვალიერების შემდეგ ალფონსომ სტუმრები მდინარე ტახოს ნაპირას გაშლილ სუფრასთან მიიწვია. ხის კუნძზე მჭდომმა მეფემ მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოთქვა და გუნებაში თვითონ ეცინებოდა. — თითქმის ასი წელია, რაც ტოლედოში ვართ, იგი ჩვენ დედაქალაქად გადავაქციეთ. ავაშენეთ, გავამაგრეთ და დავიცავით ურჯულოთა თავდასხმებისაგან, მაგრამ სინდისის, დიდი რწმენისა და საბრძოლო გამარჯვებებზე ზრუნვაში გართულებს არა გვქონდა თავისუფალი დრო, რომ ხელი მოგვეკიდა იქნებ ამაო, მაგრამ მეფის საკადრის სხვა საქმეებისათვის, არად ვაგდებდით სილამაზესა და დიდებულებას. სამხრეთელმა ჩვენმა მეგობრებმა, ოუნდაც დონ ესკრივანომ და მისმა ასულმა უცხო თვალთ რომ წახედეს ჩვენს ქალაქებსა და სახლებს, ბურგოსის ციხე-კოშკი შიშველი და მეტად მოუხერხებელი მოეჩვენათ. და აი, ახლა, როცა თავისუფალი დრო გვაქვს, მოგვეხასიათა შევაკეთოთ მიტოვებული სასახლე დე გალიანა და გავხადოთ იგი კიდევ უფრო ლამაზი. ვიდრე უწინ იყო. დე, მთელმა ქვეყანამ დაინახოს, რომ ჩვენ აღარა

ვართ მათხოვრები, რომ ჩვენ კიდევ გაგვაჩნია შესაძლებლობანი ვაშენოთ მდიდრული სასახლეები, თუ ამის სურვილი გვაქვს.

ეს იყო შეტად ამაყი, ვრცელი სიტყვა. ასეთ სიტყვას დონ ალფონსო მხოლოდ საზეიმო საღამოებზე თუ წარმოთქვამდა და ახლა, ამ მცირე მაგიდის გარშემო მსხდომი სტუმრები განცვიფრებულნი იყვნენ მეფის საქციელით.

როგორ ფიქრობ, ჩემო ესკრივანო? — მიმართა ალფონსომ იეპუ-დას უკვე ჩვეულებრივი ტონით. — შენ ამ საქმეებში საკმაოდ ერკვევი. შენი ქალაქგარეთა სახლი, გალიანა, — დაფიქრებით უპასუხა დონ იეპულამ, — მშვენიერ ადგილას მდებარეობს. აქ მდინარის სივრცისთან ერთად შენი დედაქალაქის დიდებული ხედი ჩანს. ასეთი ციხე-კოშკის შეკეთებისათვის შრომის დახარჯვა, რა თქმა უნდა, ღირს.

— ესე იგი, ჩვენ აღვადგენთ გალიანას, — დაუფიქრებლად გადაწყვიტა მეფემ. — აქ ერთი დიდი დაბრკოლებაა, — მორიდებით შენიშნა იეპულამ. — მართალია, შენ მდიდარი ხარ კეთილი ქეომრებითა და ხელმარჯვე ხელოსნებით, მეფევ ბატონო, მაგრამ შენი ხელოსნები და მხატვრები ჯერ კიდევ არ დაოსტატებულან, რომ ისე შეაკეთონ ციხე-კოშკი, როგორც შენს დიდებულებასა და სურვილს ეკადრება, — მეფე მოიღუშა. — და განა შენ სულ მცირე დროის განმავლობაში არ ააშენე ბრწყინვალე უზარმაზარი სახლი? — მე მუსლიმანი ხუროთმოძღვრები და ხელოსნები გამოვიწერე. მეფეო, — საქმიანი ხმადაბალი ხმით უთხრა დონ იეპულამ.

ყველა დუმდა. ქრისტიანული სამყარო ურჯულოთა წინააღმდეგ წმიდა ომს ეწეოდა. და განა ეკადრება ქრისტიან მეფეს მუსლიმანი მხატვრების მოწვევა? განა მუსლიმანები დათანხმდებიან, რომ ქრისტიან მეფეს ციხე-კოშკი აუგონ?

დონ ალფონსომ ირგვლივ მყოფ საზოგადოებას თვალი გადაავლო. მათ სახეზე რაღაცის მოლოდინი იყო აღბეჭდილი და არა დაცინვა. ებრაელის ასულის სახეზეც არ ჩანდა დაცინვა ვაითუ, გუნებაში თავხედურად ფიქრობს, რომ ალფონსოს მოძველებული, პირქუში ციხე-სიმაგრეების გარდა არაფრის აშენება არ შეუძლიან? ნუთუ, ტოლედოსა და კასტილიის მეფეს არ შეუძლია განახორციელოს ეს უსუსური ჩინაფიქრი — ქალაქგარეთ ციხე-კოშკის შეკეთება? — რადგან ასეა, მუსლიმანი მშენებლები მოიწვიე, — უბრძანა ალფონსომ მტკიცედ, — მე მინდა გალიანას აღდგენა, — მოუთმენლად თქვა მან. — რადგან შენ ბრძანებ, მეფევ ბატონო, უპასუხა დონ იეპულამ, — დავავალებ ჩემს იბნ ომარს, რომ შენთვის საჭირო ხალხი გამოიწეროს, იგი მარჯვე კაცია. — ძალიან კარგი, — თვალ-



ყური ადევნე. რომ საქმე არ დაყოვნდეს. ბატონებო, ახლა კი  
ღროა გავემგზავროთ! — თქვა ალფონსომ.

ალფონსო ღონა რაკელს არც სადილობისას და არც ბაღში სეირ-  
ნობისას არ გამოსაუბრებია.

## თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ღონ ალფონსოს სულ უფრო და უფრო უმძიმდა ღონა ლეო-  
ნორის შორს ყოფნა, მისი სიახლოვე ალფონსოსათვის ყოველთვის  
სასიკეთო იყო. გარდა ამისა, აღარ შეიძლებოდა მისი მართო და-  
ტოვება. ღონა ლეონორმა ცუდი ფეხმძიმობა იცოდა, მშობიარობა  
ექვსი-შვიდი კვირის მერე იყო მოსალოდნელი. ალფონსომ მასთან  
შიკრიკი გაგზავნა და შეატყობინა, რომ მალე ჩავიდოდა ბურგოსში.

ღონა ლეონორს არ სწყინდა, რომ მეუღლე ამდენი ხანია ასე  
შორს იყო. იგი იტანჯებოდა ალფონსოს იძულებითი უმოქმედობის  
გამო. კარგად ესმოდა, რომ მეფეს არ უნდოდა ლეონორთან სასახ-  
ლეში შეხვედროდა წმიდა მიწაზე მიმავალ მემორებს. იგი მადლო-  
ბელი იყო, რომ ალფონსო შაინც ჩამოვიდა.

ღონა ლეონორს კარგად ესმოდა ალფონსოს მდგომარეობა.  
თუმცა ძალიან სწყინდა, მაგრამ შეიგნო, რომ კასტილიას ნეიტრა-  
ლიტეტი უნდა დაეცვა. იგი ხომ დარწმუნდა, თუ რა ძლიერ იყო ღონ  
პედრო ნაწყენი. ლეონორმა იცოდა: კიდევაც რომ მოხერხდეს  
აუცილებელი კავშირის დამყარება არაგონთან, მწარე წყენის  
გრძნობა ყოველთვის უბიძგებს ახალგაზრდა მეფეს დამლუპველი  
დავისკენ უმადლესი სარდლობის თაობაზე, წინასწარ შეიძლება  
წარმოიდგინო, რომ დამარცხება გარდაუვალა.

კეთილი სიტყვებით არწმუნებდა იგი ალფონსოს, რომ საკუთარ  
თავზე გამარჯვებისათვის მეტი ვაჟკაცობა დასჭირდა, ვიდრე ყვე-  
ლაზე გაბედული სამხედრო ოპერაციისათვის. ყველამ ძალიან კარ-  
გად იცის, რომ გარემოებათა უბედურმა თავმოყრამ აიძულა იგი  
უმოქმედობისათვის.

— შენ ძველებურად ესპანეთის უპირველესი რაინდი და გმირი  
ხარ, ჩემო ალფონსო, — თქვა მან, — და მთელმა ქრისტიანულმა  
სამყარომ იცის ეს.

ღონა ლეონორის ასეთი სიტყვები გულს უამებდა ალფონსოს.

დონა ლეონორი მისი სატრფო და დედოფალია. როგორ მოითმინა ამდენხანს ტოლედოში ყოფნა მისი ალერსიანი სიტყვების, რჩევისა და მზრუნველობის გარეშე?

ალფონსოც თავის მხრივ ცდილობდა კარგად გაეგო მისთვის. დონა ლეონორი დღემდე რომ ბურგოსს ამჯობინებდა სატახტო ქალაქად, ალფონსოს განებივრებული ქალის ენიაზობად მიაჩნდა. ახლა მიხვდა, რომ ამ გრძნობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ლეონორის პიროვნებაში. მამამისის, ჰენრიხ ინგლისელის და დედა-მისის ელეონორა აქვიტანიელის კარზე გაზრდილს, სადაც თავაზიანი და ზრდილობიანი ზნე-ჩვეულება მეფობდა, ალფონსოს შორეული ტოლედოს შეჩვევა, რა თქმა უნდა, გაუძნელდებოდა. ბურგოსში, რომელიც სანტიაგო დე კომპოსტელაში ღვთის სალოცავად მიმავალთა გზაზე მდებარეობდა, ადვილი იყო ნატიფ, ქრისტიანულ სამეფოთა კართან ურთიერთობის დამყარება. ბურგოსში გამუდმებით დადიოდნენ სტუმრად მისი ნახევარი დის ქრისტიანული სამყაროს ქალის იდეალად აღიარებული პრინცესა მარია დე ტრუას და მამამისის სამეფო კარის რაინდები და პოეტები.

ახლა დონ ალფონსო ბურგოსსაც სხვა, უფრო მიხვედრილი თვალთ უყურებდა. იგი ხედავდა უძველესი ქალაქის მკაცრსა და ამაყ სილამაზეს, რომელიც არაბულ სულს არ დაემორჩილა და იდგა დიდებული, ზვიადი, შეუვალი და ქრისტიანული. რა ბრყვია, რომ თუნდაც ერთი წუთით მაინც შეიძულა კეთილშობილური, რაინდული ბურგოსი სულელი გოგოს ლაყბობის გამო.

იგი ბრაზობდა, რომ ბრძანა გალიანა ხელახლა აეშენებინათ თავისი ძველებური, მუსლიმანური სიმდიდრით და ამის შესახებ არაფერი უთქვამს ლეონორისთვის. პირველად იგი ფიქრობდა, რომ ლეონორს დაიყოლიებდა ზაფხულობით თითო-ოროლა თვე ეცხოვრა ტოლედოში, როცა ლამაზ, გრილ ციხე-კოშკს აღადგენდნენ. ახლა კი იცოდა, რომ გალიანა ლეონორს არ მოეწონებოდა. მას უყვარს ყოველივე გამძლე, მტკიცე, სერიოზული და არა მსუბუქი ფუფუნება, რაღაც მერყევი და წარმავალი.

ამ უკანასკნელი კვირების განმავლობაში ყოველნაირად ცდილობდა ესიამოვნებინა ლეონორისთვის. თავისი მდგომარეობის გამო ლეონორს არ შეეძლო კავალკალებში და ნადირობაში მონაწილეობის მიღება, მანაც უარი განაცხადა ამ სიამოვნებაზე და თითქმის სულ სასახლეში იყო. შვილებსაც უფრო ყურადღებით ექცეოდა, განსაკუთრებით ინტანტ ბერენგარიას. იგი გაბედული გამომეტყველების ძალიან მაღალი, ულამაზო გოგონა იყო. დედისგან ქვეყნისა და ადამიანების მიმართ ინტერესი და ცნობისმოყვარეობა დაჰყვა, აგრეთვე

პატივმოყვარეობაც. ბევრს კითხულობდა და სწავლობდა. უხაროდა რომ მამა ახლა უფრო ყურადღებით ექცეოდა, მაგრამ მაინც გულჩახვეული იყო. ალფონსო ვერ დაუმეგობრდა ქალიშვილს..

დონა ლეონორი შეურიგდა იმ აზრს, რომ მემკვიდრეს ვერ გააჩენდა. არც ისე ცუდი ამბავია, ამბობდა იგი ღიმილით, თუ მეტოხედაც ქალიშვილს გავაჩენ. მაშინ ბერენგარიას მომავალ ქმარს შეუძლია ნამდვილად იქონიოს კასტილიის გვირგვინის იმედი და ესე იგი, ამ სამეფოს ერთგული მოკავშირე იქნება. იმედოვნებდა, რომ დონ პედროს დაიყოლიებდა წრფელ კავშირზე და გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი იმშობიარებდა, მაშინვე წასულიყო სარაგოსაში და შუამავლობას შესდგომოდა. ახლანდელ მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ჯარების აღმოსავლეთისაკენ დიდი წინ წაწევა ძალიან ნელა მიმდინარეობს. ქრისტიანული არმია მხოლოდ სიცილიამდე მივიდა, ესე იგი, თუ არაგონთან კარგი დამოკიდებულების დამყარებას მიაღწივს, მაშინ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ალფონსო მოასწრებს წმიდა ომში მონაწილეობის მიღებას.

ჯერჯერობით კი დონა ლეონორი ათასნაირ საქმეებს იგონებდა, რომ ლოდინი მეფისთვის აუტანლად ხანგრძლივი არ ყოფილიყო.

აი, თუნდაც კალატრავის რაინდთა ორდენი. კასტილიის ეს ნაჩივეი ჯარი მხოლოდ ომის დროს ემორჩილებოდა მეფეს, მშვიდობიანობის დროს კი დიდი მაგისტრი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. წმიდა ომი ალფონსოს კარგ საბაბს აძლევდა დაუინებით მოეთხოვა ასეთი წესის შეცვლა. დონა ლეონორმა მეფეს შესთავაზა წასულიყო კალატრავაში, შეეწირა ორდენისათვის სიმამრების ასაშენებელი და რაინდთა შესაიარაღებელი ფული. ორდენის წესების გადახედვაზე და მისი დისციპლინის შესახებ მოლაპარაკება ეწარმოებინა ორდენის დიდ მაგისტრთან დონ ნუნიო პერესთან, რომელიც თუმცა ბერი იყო, მაგრამ სამხედრო საქმის დიდ მცოდნედ ითვლებოდა.

გარდა ამისა იყვნენ ტყვეები, რომლებიც წმიდა ქალაქის დასაცავად წარმოებული ბრძოლების დროს სულთან სალადინის მონობაში მოხედნენ. პაპი მოუწოდებდა და შეაგონებდა მთელ ქრისტიანულ სამყაროს, გამოესყიდათ ეს ტყვეები. მაგრამ წმიდა ომი უამრავ თანხას ნთქავდა, ქრისტიანი მბრძანებელნი ფეხს ითრევდნენ, პირობას იძლეოდნენ, დრო კი მიდიოდა. სულთანმა გამოსასყიდ თანხად დააწესა ათი ოქროს კრონი მამაკაცისთვის, ხუთი—ქალისთვის, ერთი კრონი კი ბავშვისათვის. გამოსასყიდი დიდი იყო, მაგრამ გადაჭარბებული არა. დონა ლეონორმა ალფონსოს ურჩია, რაც შეიძლებოდა, მეტი ტყვე გამოესყიდა. ამ გზით იგი მთელ ქვეყანას დაუმტკიცებს;

რომ სხვებს არ ჩამორჩება წმიდა საქმისათვის თავგამოდებაში. ასეთი გეგმები მოეწონა დონ ალფონსოს, მაგრამ მათ განსახორციელებლად ფულები იყო საჭირო.

მან იეჰუდა ბურგოსში იხმო.

იეჰუდა ტოლედოში იყო, თავის მშვენიერ კასტილიო იბნ ეზრა-ში. და იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა ომობდა, მისი სეფარდი მშვიდობიანი ცხოვრებით ტკბებოდა, ქვეყნის სავაჭრო და მისი საკუთარი საქმეები იფურჩქნებოდა.

მაგრამ ახალმა, მძიმე საზრუნავმა შეიპყრო იეჰუდას სული. ფიქრმა ტოლედოელ და საერთოდ კასტილიელ ებრაელებზე.

პაპის სავსებით გარკვეული ედიქტის თანახმად, ყველას, ვინც ლაშქრობაში მონაწილეობას არ ლებულობდა, უნდა გადაეხადა სალადინის მეთადი, მაშასადამე, ებრაელებსაც. არქიეპისკოპოსმა დონ მარტინმა ისარგებლა ამ ბრძანებულებით და მოითხოვა რომ ალჰამას გადაეხადა ეს შესატანი.

დონ ეფრაიმმა მოუტანა იეჰუდას არქიეპისკოპოსის წერილი, რომელიც უხეში, მუქარის ტონით იყო დაწერილი. იეჰუდამ წაიკითხა. იგი კარგა ხანია ელოდა დონ მარტინის ამ მოთხოვნას.

— ალჰამა, — წერილი ხმით თქვა დონ ეფრაიმმა, — გალატაკდება თუ სხვა გადასახადებთან ერთად სალადინის მეთადის გადახდაც მოუხდა.

— თუ თქვენ ამ ბეგარისათვის თავის არიდებას ფიქრობთ, ჩემი დახმარების იმედი ნუ გექნებათ, — უყოყმანოდ განუცხადა იეჰუდამ.

უხუცესის სახეზე გაბოროტება და აღშფოთება გამოიხატა. „იეჰუდას, — მწარედ გაიფიქრა მან, — რაში ენაღვლება რამდენს ვიხდით ჩვენ. იგი პროცენტებს ხვეტავს, მევახშე! ჩვენ კი, გინდაც დავლუპულვართ“.

დონ იეჰუდა სტუმარს ფიქრს მიუხვდა. — ფულზე ნუ წუწუნებ, ჩემო ბატონო და მასწავლებლო ეფრაიმ, — სიტყვა გააწყვეტინა მან ეფრაიმს. — თქვენ საქმაო მოგება ნახეთ კასტილიის ნეიტრალიტეტის წყალობით. კარგა ხნით ადრე უნდა მომეთხოვა თქვენთვის სალადინის მეთადი. აქ საქმე მხოლოდ ფულში არაა. საქმე ბევრად უფრო სერიოზულია.

საოცრად დიდმა თანხამ, რომელიც ალჰამას უნდა გადაეხადა, უხუცესს ეფრაიმის თავიდან განდევნა ყველა სხვა საზრუნავი; ახლა, როცა იეჰუდამ იგი ასე უხეშად ჩაახედა სინამდვილეში, მას უკვე აღარ შეეძლო თვალი აერიდებინა უფრო მეტად უღმობელი თავდასხმისათვის. სალადინის მეთადის უხდიდნენ ეკლესიებს და არა მე-

ფეს. როცა ლაპარაკი იყო ქრისტიანებისგან ასაკრეფი, გადასახადის გადიდებაზე, არქიეპისკოპოსმა თავისი უფლებები წამოაყენა ამ გადასახადებზე და ხაზინა იძულებული გახდა. დათმობაზე წასულიყო. როცა ჯერი ებრაელებზე მიდგება, დონ მარტინი მეტი დაჟინებით მოითხოვს ამ პრივილეგიას, თუ იგი თავისას მიაღწევს, ალჰამას დამოუკიდებლობას ბოლო მოეღება.

დონ იეჰუდამ გულახდილი, აშკარა სიტყვებით აუხსნა ეს დონ ეფრაიმს. — შენ ჩემზე უკეთ იცი, რა საფრთხეცაა მოსალოდნელი, — უთხრა მან, — არ შეიძლება, რომ ჩვენსა და მეფეს შორის კიდევ ერთი რგოლი იყოს. ჩვენ დამოუკიდებელნი უნდა დავრჩეთ, როგორც უძველეს წიგნებში წერია. გრანდებივიით უნდა შევიწინარჩუნოთ თვითმმართველობა და საკუთარი სასამართლო წარმოება. მეფემ უნდა მოიპოვოს სალადინის მეთაულის აკრეფის უფლება, მე უნდა მივიღო ეს უფლება და არა დონ მარტინმა. ამისათვის მოვიმოქმედებ ყველაფერს, და თუ ამას მივალწევ, თუ თქვენ თავს მხოლოდ ფულით გამოისყიდით, ღმერთს მადლობა შესწირეთ!

დონ ეფრაიმი, რომელსაც თავს დაესხა იეჰუდა, გუნებაშო გრძნობდა, რომ იგი მართალი იყო. გარდა ამისა, გააოცა იმ ამბავმა. რომ იეჰუდამ ასე სწრაფად და სწორად გაიგო საქმის ვითარება. მაგრამ არ უნდოდა თავისი უნებური აღფრთოვანება იეჰუდას შეემჩნია. მეტისმეტად დარდობდა ფულზე. თავს ცუდად გრძნობდა, სციოდა ერთი ხელის ფრჩხილებით მეორე ხელის გულს იჭავებდა და გაბუტული იჯდა. — შენმა ბიძაშვილმა დონ ხოზემ მიაღწია იმას, რომ სარაგოსელი ებრაელები მეთაულის მხოლოდ ნახევარს იხდიან.

— შესაძლებელია, რომ ჩემი სახლიცაი ჩემზე მოხერხებულაია. — ცივად უპასუხა იეჰუდამ, — ყოველ შემთხვევაში, მას ისეთი მოწინააღმდეგე არ ჰყავს, როგორც დონ მარტინია, — იგი გაბრაზდა. — ნუთუ კვლავ არ გსურს დაინახო? მოხარული ვიქნები, თუ ამჯერად არქიეპისკოპოსი უღელს ვერ დაგვადგამს. ამ საქმისათვის სიამოვნებით გადავუხდი მეფეს მთელ მეთაულს და ეს მეთაული ნოყიერი იქნება, დონ ეფრაიმ, დამშვიდებული იყავი. ალჰამის თვითმმართველობა ღირს ამდენად. — მან ეს სიტყვები ისეთი მოულოდნელი მღელვარებით თქვა, რომ ენა ებმოდა.

— ვიცი, რომ ჩვენი შეგობარი ხარ, — სწრაფად უპასუხა დონ ეფრაიმმა, — მაგრამ მკაცრი მეგობარი.

ეპისკოპოსმა დონ ეფრაიმის ზრდილობიან უარს მეორე, მრისხანე წერილი არ მოაყოლა. ნაცვლად ამისა იგი ბურგოსში გაემგზავრა, უეჭველია, უნდოდა მეფე როგორმე დაეყოლიებინა და მისგან მიეღო რწმუნებულება, როგორ ემოქმედა ებრაელების წინააღმდეგ.

იეჰუდას ეშინოდა, რომ დონ მარტინი მიაღწევდა საწაღელს. ალ-

ფონსო და ლეონორი ღვთისმოსავეები არიან, კასტილიის ნეიტრალიტეტი ლოლად აწევს მათ სინდისს. დონ მარტინი ალბათ დაიმოწმებს პაპის შეუვალ ედიქტს და ურჩევს მათ ცოდვები არ გაიდიდონ. იეპულა თვითონ ფიქრობდა ბურგოსში გამგზავრებას, მაგრამ მოხუც ბუსას აზრმა, რომ შესაძლებელი იყო სწორედ „ფუსფუსით“ დაღუპულიყო ყველაფერი, შეაჩერა იგი.

როცა მეფემ დაიბარა იეპულა ბურგოსში, ეს ამბავი ზეციურ სასწაულად მიიღო.

არქიეპისკოპოსი მართლა აძალებდა მეფეს. იგი იმოწმებდა წმიდა ტახტისა და უმაღლესი საეკლესიო ავტორიტეტის ნაწერებსა და მთელ რიგ ბრძანებულებებს. განა ებრაელებმა პილატეს არ უპასუხეს: „ქრისტეს სისხლი გვაცხია ჩვენ და ჩვენს ბავშვებს“ — და განა ამით თვითონ არ გამოუტანეს თავიანთ თავს სამართალი? უფალმა მათ მაშინვე დასდო სამუდამო მონობის მსჯავრი, და ქრისტიანი მონარქების მოვალეობაა ღვთისგან შეჩვენებულ ხალხს არ გაამართინოს ქელი. — შენ კი, დონ ალფონსო, — მიმართავდა იგი მეფეს, — მთელი შენი მეფობის მანძილზე წყალობ და ხელს უწყობ ებრაელებს, და ჩვენს მძიმე დროში, როცა ღვთის საფლავი ისევ წინადაცვეთილი ანტიქრისტეს ხელშია და პაპის ედიქტი ყველას უსიტყვოდ ავადლებულებს, ესე იგი იუდეველებსაც, სალადინის მეათედის შეტანაჲ, შენ ყოყმანობ, არ ასრულებ ამას და ურჩულოებს თავზე ხელს უსვამ, რაც დიდად სწყინთ შენს ნამდვილად მორწმუნე ქვეშევრდომებს.

მეფემ წინააღმდეგობა ვერ გაუწია არქიეპისკოპოსის შეგონებას.

— კარგი, დონ მარტინ, ჩემი ებრაელებიც შემოიტანენ სალადონის მეათედს.

დიდად გაიხარა დონ მარტინმა: — ახლავე დავაწესებ გადასახადს!

ეს ალფონსოს არ უნდოდა. პაპს შეეძლო მოეთხოვა, რომ მეფეს მოეკრიფა გადასახადი და დაეხარჯა იგი ომის საჭიროებისათვის, მაგრამ ფულის აკრეფა და ომის გადაწყვეტა თუ აუცილებლად რისთვის გამოეყენებინა იგი, — მისი სამეფო უფლება იყო. ეს ძველთაძველი სადაო საკითხი ახლაც, სალადინის მეათედის დანიშვნის დღიდანვე ისევ მწვავედ წამოიჭრა. თუმცა ალფონსო აფასებდა არქიეპისკოპოსს, ერთგულ მეგობარს და ნამდვილ დიად რაინდს, მაგრამ დათმობაზე წასვლა მანინ არ სურდა. — მაპატიე, დონ მარტინ, — უთხრა მან. — მაგრამ ეს საკითხი შენ არ გეხება, — და, როცა არქიეპისკოპოსი აღშფოთდა, მეფემ იგი დაამშვიდა. — არც შენ ხარ ფულს დახარბებული და არც მე, ჩვენ ქრისტიანი რაინდები ვართ, მტერს

ნადავლს ვართმევთ, მაგრამ მეგობარს არ ვედავებით ფულის თაობაზე. ამჭერადაც დეე, იურისტებმა და რეპოზიტარიებმა თქვეან თავისი სიტყვა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ებრაელს აძლევ ნებას გადაწყვიტოს, როგორ გატარდეს წმიდა მამის ელიქტი? — ექვიანად და ფიცხად ჰკითხა დონ მარტინმა. — ძალიან კარგია, რომ დონ იეპუდა ახლა აქ მოდის, — უპასუხა ალფონსომ. — რა თქმა უნდა, მასაც მოვეთათბირებ. — ეს კი ველარ მოითმინა არქიეპისკოპოსმა. — ვის გინდა, რომ შეეკითხო — ორმაგად ურჯულოს? ეშმაკის მოგზავნილს? შენ ფიქრობ, რომ კეთილ რჩევას მოგვეცემს თავისი მეგობრის სევილიის ეპისკოპოსის საზარალოდ? ვინაა თავლები, რომ იგი ამ წუთშიც მასთან ერთად არ აწყობს ხრიკებს. ჭერ კიდევ ფარაონმა თქვა: „თუ ომი ატყდება, ებრაელები ჩვენ მტრებს მიემხრობიან“.

დონ ალფონსო სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. — ამ ჩემმა ესკრივანომ დიდი სამსახური გამიწია, — თქვა მან. ყველა იმათზე მეტი, ვინც მანამდე მყავდა. ჩემი სამეფოს მეურნეობაში გაიზარდა წესრიგი და შემცირდა სიბერავე (შენ უსამართლო ხარ მის მიმართ. დონ მარტინ. — თბილმა სიტყვებმა, რითაც მეფე ებრაელს იცავდა. არქიეპისკოპოსი შეაკრთო. — როგორც ჩანს, — თქვა მან უფრო წუხილით, ვიდრე გაბრაზებით, — წმიდა მამას საფუძველი ჰქონდა, როცა ქრისტიან მონარქს აფრთხილებდა, არ ჰყოლოდათ ებრაელი მრჩეველი. მან პაპის შემონათვალი გაიმეორა: „ფრთხილად იყავით. ქრისტიანო დიდებულნო, ნუ იქნებით მოწყალენი და ნუ დაიახლოვებთ იუდეველებს, ისინი სამაგიეროს შემდეგი ანდაზის მიხედვით გადაგიხდიან: *mus in pera, serpens in gremio et ignis in sinu* — როგორც თავი ტომარაში, როგორც გველი უბეში. როგორც ნაკვერჩხალი სახელოში. — და ნაწყენმა დაასრულა: — შენ ძალიან დაიახლოვე ეს კაცი, დონ ალფონსო. იგი გულში ჩაგიძვრავს“)

მეფეს გული აუჩუყა მეგობრის წუხილმა. — ასე ნუ ფიქრობ, — უთხრა მან, — მე არ მინდა შევინარჩუნო, რაც სამართლიანად ეკუთვნის ეკლესიას. — ავწონ-დავწონი შენსა და მის მოსაზრებებს და თუ მისი მოსაზრებები უფრო სრულფასოვანი, დამაჭერებელი და უანგარო არ იქნება, შენ დაგიჭერებ.

არქიეპისკოპოსი მოღუშული და შემფოთებული იყო. — განა ეს არ კმარა, რომ ღმერთმა შენი ცოდვებისათვის უმოქმედობით დაგსაჯა იმ დროს, როცა მთელი ქრისტიანული სამყარო იბრძვის? ძველ ცოდვებს ახალს ნუ უმატებ! გაფიცებ, ნუ დაუშვებ, რომ შენს სამეფოში ურჯულოები წმიდა მამის ელიქტს დასცინოდნენ! — დონ ალფონსომ მას მკლავზე ხელი მოჰკიდა და უთხრა: — მადლობელი ვარ

გაფრთხილებსათვის, — მეხსომება და იეჭუდას თავს არ მოვატყუებინებ.

ვიდრე იგი იეჭუდას ელოდა, დონ მარტინის სიტყვები ყოველ წუთს ახსოვდა. არქიეპისკოპოსი მართალი იყო: მან ძალიან გაათამაშა თავისი ებრაელი. იგი მეგობარივით ექცეოდა მას. და არა ისე, როგორც კაცს, რომელთანაც იძულებული არიან საქმე იქონიონ. სახლში ესტუმრა, მისი ვაჟი ჰაჟად წამოიყვანა, თავაზიანად ექცეოდა მის ქალიშვილს და, ამ გოგონას დაცინვითა და ქედმაღლობით გაღიზიანებულმა, ქალაქგარეთ მაერიტანული სასახლის აღდგენა გადაწყვიტა. თუ გველს უბეში ჩაისვამ, ის გიკბენს და მოგშხამავს. ან იქნებ უკვე ზოგშხამა კიდეც.

აღარ დაემორჩილება ებრაელის სურვილებს. იეჭუდა პასუხს აგებს, რომ ალჰამას სალადინის მეთაფი არ შეაწერა. და თუ იგი თავის გასამართლებლად ვერაფერს იტყვის, ალფონსო ებრაელებს დონ მარტინს გადასცემს. უმჯობესია ცხვირს მაღლა ნუ იწევენ ეს ურჯულოები!

მაგრამ განა მას შეუძლია ეკლესიას გადასცეს თავისი უფლება ებრაელების მფლობელობაზე, თავისი *patrimoniae real?* მისი წინაპრები ამ საქმეში ჩარევის ნებას არავის აძლევდნენ.

მან გადახედა მოხსენებებს, სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. იგი სასურველზე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი ესკრივანო მას პირნათლად და ერთგულად ემსახურებოდა. ამისი უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ ალფონსოს გულში მაინც ექნება არქიეპისკოპოსის გაფრთხილება; იგი არავის გააბრიყვებინებს თავს.

პირველ რიგში იგი ებრაელს დიდ თანხას მოსთხოვს კალატრავისთვის და ტყვეების გამოსასყიდად. ებრაელის პასუხით გაირკვევა, ვისი ინტერესებია მისთვის უფრო ძვირფასი — ხაზინისა და სახელმწიფოსი, თუ პირადული და ებრაელების.

მოუთმენელი ლოდინით დაღლილი შეხედა ალფონსო იეჭუდას.

იეჭუდაც დაძაბული და აღელვებული იყო. მეფესთან საუბარზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, ფრთხილად უნდა ემოქმედა.

პირველ რიგში მან დაწვრილებით მოახსენა მეურნეობის მდგომარეობა. უამბო მნიშვნელოვან წარმატებაზე, არ დავიწყებია უფრო წვრილმანი მიღწევებიც, რომლებსაც, მისი აზრით, მეფე უნდა გაეხარებინა. უამბო დიდი ცხენსაშენის შესახებ: მუსლიმანური ანდალუზიიდან და აფრიკიდან სამოცი ჯიშისანი ცხენი უკვე მოჰყავდათ



კასტილიისაკენ. მოწვეული იყო მეცხენეობის სამი გამოცდილი სპეციალისტი. შემდეგ კასტილიური ფულის შესახებ მოუყვა, თანდათან მეტი რაოდენობით ჰრიან ოქროს მარაველებს, თუმცა დონ ალფონსოს გამოსახულება, როგორც ადამიანის სახის ყველა გამოსახულება, წინასწარმეტყველის მიმდევრებს ეჭავრებათ, მაგრამ მაინც მონეტები, რომლებიც მის ძლიერებაზე მეტყველებდა, დონ ალფონსოს სახის გამოსახულებითა და მისი ღერბით ვრცელდება მუსლიმანურ ქვეყნებში. დედოფალს კი, ვფიქრობ, გაახარებს ის ამბავი, რომ მოკლე დროში შეეძლება კასტილიური აბრეშუმისგან დამზადებული ქსოვილის ჩაცმა.

მეფე ყურადღებით უსმენდა და კმაყოფილიც ჩანდა. მაგრამ მას არ ავიწყებოდა თავისი გადაწყვეტილება — ებრაელისთვის არ მიეცა გადიდებულების საშუალება. — ყველაფერი ეს საამოდ ჟღერს, — აღნიშნა მან და გესლიანი ლმობიერებით დასძინა: — ახლა, როგორც იქნა, ფულიც გვაქვს, რომ აქაურ მუსლიმანებს დავცხოთ. დონ იეპუდას იმედი გაუცრუვდა — იგი დიდ მადლობას მოელოდა, მაგრამ მაინც მშვიდად უპასუხა: — ჩვენ ამ მიზანს უფრო ადრე ვუახლოვდებით, ვიდრე მე მეგონა. და რაც უფრო მეტ ხანს შეინარჩუნებ მშვიდობას, მეფეო, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გექნება მრავალრიცხოვანი და ძლიერი არმია შეკრიბო, რომელიც შენ გამარჯვებას უტყუარს გახდის.

დონ ალფონსომ იგივე ცბიერი ლმობიერებით ჰკითხა: — თუ ჯერ კიდევ არ მრთავ ნებას წმიდა ომში ჩავეება, იქნებ უკიდურეს შემთხვევაში, ფული მაინც მოგეცა, რომ ქრისტიანულმა სამყარომ ირწმუნოს ჩემი კეთილი სურვილი! — კეთილი ინებე, მეფევე ბატონო, შენს მიუხვედრელ მსახურს უფრო ნათლად გააგებინო შენი აზრი, — უპასუხა დონ იეპუდამ. — მე და დონა ლეონორმა გადავწყვიტეთ, — აუხსნა ალფონსომ, — გამოვისყიდოთ სალადინის ტყვეები, გამოვისყიდოთ ძალიან ბევრი ტყვე, — და იმაზე გაცილებით მეტი ციფრი დაასახელა, ვიდრე განზრახული ჰქონდა. — ათასი მამაკაცი, ათასო ქალი და ათასი ბავშვი.

იეპუდა თითქოს დაიბნა და ალფონსო უკვე ფიქრობდა: „ახლა კი გამოვიჭირე, ახლა გამოაჩენს თავის ნამდვილ სახეს ეს მელა. მაგრამ იეპუდამ მაშინვე უპასუხა: — თექვსმეტი ათასი ოქროს მარაველი ძალიან დიდი ფულია, ჩვენ ნახევარკუნძულზე სხვა ვერც ერთი მეფე ვერ შესძლებდა თავის თავისთვის ნება მიეცა და ყოველგვარი პირადი ინტერესების გარეშე კეთილი საქმისათვის გადაეყარა ასეთი დიდი თანხა. შენ შეგიძლია ამის ნება მისცე შენს თავს, მეფეო.

ალფონსომ აღარ იცოდა, გახარებოდა ეს ამბავი, თუ გაბრაზებუ-

ლიყო. — გარდა ამისა მინდოდა კალატრავას ორდენისათვის გამეყე-  
თებინა ძალიან მდიდრული საჩუქარი, — განაგრძო მან. ახლა კი მართ-  
ლა შეწუხდა იეჰუდა. მაგრამ მაშინვე დაფიქრდა: მეფეს უნდა ზე-  
ცისგან პატიება იყილოს იმისათვის, რომ წმიდა ომში მონაწილეობას  
არ ღებულობს და ჯობია მან ეს ამ გზით გააკეთოს, ისე რომ არქი-  
ეპისკოპოსს არ დაუთმოს სალაღინის მეთაურობა.

— რა თანხას ფიქრობდი, მეფეო? — ჰკითხა იეჰუდამ. — მე მინ-  
დოდა შენი აზრი გამეგო, — უპასუხა ალფონსომ. იეჰუდამ ურჩია:  
— რა იქნება, თუ კალატრავასაც იმდენსავე თანხას შესწირავ, რაც  
ალარკოსს: ოთხი ათასი ოქროს მარავედს? — ხუმრობ, ჩემო ძვირ-  
ფასო, — ალერსით უთხრა მეფემ. — ჩემ საუკეთესო რაინდებს მათ-  
ხოვრულ ნაწყალობევს ვერ ვაკადრებდი შესაწირ თანხად რვა ათასი  
მარავედი განსაზღვრე.

ამჯერად კი მოიღუშა იეჰუდა, მაგრამ დავა აღარ დაუწყო და  
მეფის წინ თავდახრილმა თქვა: — მეფე ბატონო, ახლა შენ წმიდა  
საქმისთვის ოცდაოთხი ათასი ოქროს მარავედი გაიღე. დარწმუნებუ-  
ლი იყავი, ღმერთი სიკეთით გადაგიხდით. — და როცა მღვლევალება  
დასძლია, მხიარულად დასძინა. — მე ისედაც მოველოდი, რომ ღმერ-  
თი მოწყალე იქნებოდა შენს მიმართ და ყველაფერი წინასწარ გა-  
ვითვალისწინე. — მეფემ გაკვირვებით შეხედა მას. — იმ იმედით.  
რომ შენი დამსახურებისამებრ ღმერთი მოწყალებით გადმოგვხედავს.  
და ტახტის მემკვიდრეს შეგძენს, ჩემს რეპოზიტორიებს ნათლობის  
საჩუქრების სიის გადახედვა ეუბრძანე, — აუხსნა იეჰუდამ.

საქმე ისაა, რომ ძველი წიგნების მიხედვით მეფეს უფლება ჰქონ-  
და პირველი ვაჟიშვილის შეძენის შემთხვევაში ყველა ვასალისაგან  
დამატებითი გადასახადი მოეთხოვა, რათა ტახტის მემკვიდრე ღირ-  
სეულად აღზრდილიყო. ამასთანავე გადასახადი დიდი ინიშნებოდა.

ღონ ალფონსომაც, ღონა ლეონორის მსგავსად, კარგა ხანია მემ-  
კვიდრის შეძენის იმედი დაკარგა და მის ესკრივანოს რომ სჯეროდა  
მისი ბედნიერება, ამან მეფე გაახარა. გამოცოცხლებულმა ალფონსომ  
დარცხვენილი ღიმილით თქვა: — შენ მართლაც წინდახედული კაც  
ხარ. — და რაკი ესკრივანო უყოყმანოდ დაეთანხმა მის მიერ მოთხო-  
ნილი თანხა გადაეცა, ღონ ალფონსომ უკვე გადაწყვიტა, როგორც  
ფიქრობდა, სალაღინის მეთაურობის აკრეფა იეჰუდასთვის დაევალებინა  
და არა ღონ მარტინისათვის.

მაგრამ ებრაელს სიტყვაც არ დაუძრავს სალაღინის მეთაურობის შე-  
სახებ, რომელიც ალჰამას უნდა გადაეხადა. — როგორაა სალაღინის  
მეთაურობის საქმე? — ყოველგვარი გადასვლის გარეშე ჰკითხა მეფემ.  
— მე მითხრეს, რომ თქვენ ეკლესიის მოტყუება გინდათ, ამას მე არ  
მოვითმენ. თქვენ აქ შეცდით.

უეცარმა გაცხარებულმა თავდასხმამ წონასწორობა დააკარგინა იეჰუდას. მაგრამ მან განსაჯა, რომ სეფერდელი ებრაელების ბედი მის ენაზე იყო დამოკიდებული, მან თავი შეიკავა, თავისთავს უბრძანა ცივი ანგარიშით ემოქმედა, მოთმინება არ დაეკარგა. — ცილო დაგეწამეს, მეფევე ბატონო, — თქვა მან. — კარგა ხანია ალჰამის სალაღინის მეთაური გამოვიანგარიშე, სხვა გზით ვერ მოგცემდი იმ ფულს, რაც დღეს მომთხოვეთ. მაგრამ თქვენ ებრაელ ქვეშევრდომებს, რა თქმა უნდა, სურვილი აქვთ ეს გადასახადი მხოლოდ თქვენ გადაგიხადონ, მეფევე ბატონო, და არა ყველას, ვინც მოისურვებს ან უკვე მოისურვა მისი აკრეფა.

მიუხედავად იმისა, რომ დონ ალფონსო კმაყოფილი იყო იმით, რომ დონ მარტინის ბრალდება ასე უცებ აიცილა თავიდან იეჰუდამ, მაინც მიუთითა მას: — ნუ დაგავეწყდება, დონ იეჰუდა! „ყველა“, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, — ტოლედოს არქიებისკოპოსია.

— შენი მამა-პაპის მიერ ალჰამისათვის მიცემულ სტატუტში, რომელიც შენ მიერაა დამტკიცებული, მეფეო, გათვალისწინებულია, რომ ჩვენმა თემმა გადასახადი უნდა გადაგიხადოს მხოლოდ შენ და სხვა არავის: თუ თქვენ ბრძანებთ, ცხადია, მეთაედს გადაეუხდით ტოლედოს არქიებისკოპოსს, მაგრამ მაშინ ეს იქნება მხოლოდ მეთაედი და არც ერთი სოლდოთი მეტი, რადგან ძალიან ძნელია თხის გაკრეპა, რომელიც წინააღმდეგობას გიწევს. თუ მეთაედს შენ გადაგიხდით, მეფეო, ეს მსუყე მეთაედი იქნება, რადგან ტოლედოს ალჰამს შენ უყვარხარ და პატივს გცემს. — და ჩუმი შემპარავი ხმით დასძინა: — იქნებ უკეთესიც იყოს დამეფარა ის, რაც ახლა უნდა გითხრა. მაგრამ მე სინდისიერად გემსახურები და არ შემიძლია გავჩუმდე ჩვენ სინდისი შეგვაწუხებდა, რომ ფული შეგვეტანა იმ ქალაქის დასაპყრობად, რომელსაც უხსოვარი დროიდან წმიდად ვთვლით და რომელიც ღმერთმა მემკვიდრეობით გვარგუნა. შენ, მეფევე ბატონო, ჩვენ ფულებს აღმოსავლეთში საომრად კი არ დახარჯავ, არამედ შენი კასტილიის გასაძლიერებლად და სადიდებლად გამოიყენებ, რომელიც ჩვენ გვიცავს და უზრუნველგვეყოფს კმაყოფილებითა და სიმშვიდით. ჩვენ ვიცით — შენ ამ ფულებს ჩვენი კეთილდღეობისათვის გამოიყენებ. არქიებისკოპოსი კი რისთვის გამოიყენებს მას — ჩვენ არ ვიცით.

მეფეს სჯეროდა ებრაელის ნათქვამი. ებრაელი, რა მოსაზრებაც არ უნდა ჰქონოდა მას, იმავე გზით მიდიოდა, რა გზითაც ალფონსო, ებრაელი მისი მეგობარი იყო. ალფონსო ამას ვრძნობდა. მაგრამ სწორედ ეს ამბავია დაუშვებელი. „თავი ტომარაში, გველი უბეში, ნაკვერჩხალი სახელოში“, — ჩაესმოდა მას ყურში წმიდა მამის სიტყვე-

ბი. არ შეიძლება ებრაელის ძალიან დაახლოება: ეს ცოდვია, ორმაგი ცოდვია ახლანდელ დროში, წმიდა ომის დროს.

— ნუ წაგვართმევ უფლებას, რითაც ასი წელია ვსარგებლობთ, — დააფიცა მას იეჰუდამ. — შენ უერთგულეს ქვეშევრდომებს მტრის ხელში ნუ ჩააგდებ. შენ ხარ ჩვენი პატრონი და არა არქიეპისკოპოსი. ნება მომეცი მე ავკრიფო სალადინის მეთაული, მეფევე ბატონო!

იეჰუდას სიტყვებმა გული აუჩუყა მეფეს. მაგრამ ამ სიტყვების მთქმელი ურჯულო იყო, მის უკან კი, ვინც მეფეს აფრთხილებდა, ეკლესია იდგა.

— ვიფიქრებ შენ მოსაზრებებზე, დონ იეჰუდა, — უთხრა მეფემ ყოველგვარი აღფრთოვანების გარეშე.

თვალეში სხივი ჩაუქრა იეჰუდას. თუ ახლა ვერ დაარწმუნებს მეფეს, მაშინ ველარასოდეს ვერ შესძლებს ამას. ღმერთმა ზურგი შეაქცია მას. იეჰუდამ დარწმუნების უნარი დაკარგა.

აღფონსომ შენიშნა ებრაელის სასოწარკვეთილება. არავის არ გაუწევია მისთვის ასეთი სამსახური. როგორც — ამ იბნ ეზრამ. მეფეს გული დაწყდა, რომ ებრაელს აწყენინა.

— არ გეგონოს, რომ შენს სამსახურს არ ვაფასებდე. შენ საუკეთესოდ შეასრულე ჩემი დავალება, დონ იეჰუდა, — და მან ალერსიანად დასძინა: — მე ჩემ გრანდებს მოვიწვევ, როცა შენ ხელთათმანს დამიბრუნებ დავალების შესრულების აღსანიშნავად.

დონა ლეონორიც არ იყო დარწმუნებული იმაში, საჭირო იყო თუ არა არქიეპისკოპოსისათვის გადაეცათ ებრაელებისაგან სალადინის მეთაულის აკრეფის უფლება. როგორც დედოფალს, არ უნდოდა ტახტის ასეთ მნიშვნელოვან უფლებაზე უარი ეთქვა. როგორც კეთილი ქრისტიანი, იგი გრძნობდა, რომ სცოდავდა, როცა სამეფოს სადავო ნეიტრალიტეტიდან სარგებელს იღებდა. მას არ უნდოდა არქიეპისკოპოსის მოთხოვნისთვის უარი ეთქვა. ცუდი ფეხმძიმობა ხელს უწყობდა მის ყოყმანს. მან ვერაფერი ვერ ურჩია დონ ალფონსოს.

იგი ღვთის რჩევას ეძებდა და გადაწყვიტა მოეცადა, ვიდრე ლეონორი მოილოგინებდა. თუ იგი ვაჟიშვილს გაუჩენდა, ამაში იგი ღვთის ნებას დინახავდა. მაშინ სალადინის მეთაულს ხაზინაში მიიღებდა, რადგან მას უფლება არა აქვს ვაჟიშვილის სამემკვიდრო შეამციროს.

ჯერჯერობით კი. დაპირების თანახმად, მან პატივი სცა თავის

ესკრივანოს. ხალხმრავალი კრების წინაშე იეპუდამ მეფეს რაინდული დავალების ხელთათმანი დაუბრუნა, და ალფონსომ შიშველი ხელით თავისი ვასალის შიშველი ხელი აიღო. მოწყალებით გადაუხადა მადლობა, გადაეხვია და ორივე ლოყაზე აკოცა.

არქიეპისკოპოსი აღშფოთებული იყო. მისმა მოძღვრულმა გაფრთხილებამ მხოლოდ პაერი შეაზანზარა, ანტიქრისტეს მოციქული თანდათან მაგრად ბოკავს მეფეს. მაგრამ ამჯერად დონ მარტინმა მტკიცედ გადაწყვიტა სინაგოგისთვის. არ მიეცა საშუალება, ეზეიმა ეკლესიაზე გამარჯვება: გადაწყვიტა ყოველი საშუალება. გამოეყენებინა და ეშმაკობისთვის ეშმაკობით ეპასუხა.

აზრადაც არ მომსვლიაო, არწმუნებდა იგი მეფეს, შენთან ფულის გამო მედავა. ამის დასამტკიცებლად ისეთ დათმობაზე მივდივარ. რომლის დაცვა ძალიან გამიჭირდება წმიდა ტახტის წინაშეო. ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ სალაღინის მეთედს აუცილებლად შეიარაღებისათვის გამოიყენებთ. ამიტომ ფულის გამგებლობას თქვენ გითმობთ. ჩემ თავსა და ეკლესიას მხოლოდ ამ მეთედის აკრფის უფლებას ვუტოვებ. შემოსულ გადასახადს მთლიანად დაუყოვნებლივ მეფის ხაზინას გადასცემთ.

მეგობრის გულუბრყვილო ეშმაკურ სახეზე დონ ალფონსომ ამოიკითხა, როგორ უჭირდა მას ამ დათმობაზე წასვლა — თვითონაც კარგად იცოდა, რომ აქ საქმე პრინციპს ეხებოდა, და შეეპასუხა:

— ვიცი, რომ ჩემთვის სიკეთე გინდა. მაგრამ მე მგონია ჩემი ესკრივანოც სინდისიერი განზრახვით მოქმედებს, როცა მარწმუნებს, რომ უარი არ ვთქვა მეფის ასეთ მნიშვნელოვან უფლებაზე.

დონ მარტინმა წაიბუზღუნა:

— კვლავ ეს ურჯულო! ეს მოღალატე! — იგი მოღალატე არ არის, — გამოექომაგა ალფონსო თავის მინისტრს. — იგი თავის ებრაელებს მთელ მეთედს დააყაჭინებს, უკანასკნელ სოლდომდე. ამ მეთედდიდან უკვე დამპირდა დიდ თანხას ჩვენი ჭვაროსნული ომი-სათვის — ოცდაათხ ათას ოქროს მარავედს.

ასეთმა ციფრმა არქიეპისკოპოსზე შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ არ უნდოდა ამის გამომჟღავნება და დამკინავედ აღნიშნა:

— დაპირებით ყოველთვის ბევრს დაგპირდება.

— დღემდე ყველაფერს ასრულებს, რასაც კი დამპირდა, — შეეპასუხა დონ ალფონსო.

დონ მარტინის გულში პაპის წერილისა და ბრძანების სიტყვები აედერდა: ებრაელები, რადგან მათი ბრალია ჭვაროსნული ომები, სამუდამო მონობისათვის განწირულნი, კაინის ნიშნით დადალულნი, დაწყევლილი არიან კაენივით და სამუდამო ხეტიალი აქვთ მისჯილი.

და რას ვხედავთ? დონ ალფონსო, ქრისტიანი, სახელოვანი რაინდი და გმირი, იმის ნაცვლად, რომ ძალით მოახრევეინოს მათ ქედი, ამ დემონზე, რომელიც მას გულში ჩაუძვრა, სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობს. დონ მარტინს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ეშმაკურად ემოქმედა. თავისი შეხედულებები შეეზღუდა და ქრისტიანული თვინიერება დაეცვა. მაგრამ ახლა უკვე თავი დაანება თავის შეკავებას: — ნუთუ ეშმაკმა დაგაბრძავა და ვერ ხედავ, საით მიყავხარ მას? — გაცხარდა იგი. — შენ თქვი, რომ მისი წყალობით შენი ქვეყანა აყვავდა. ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს ყვავილები შხამიანი? ისინი ცოდვის შვილები არიან. შენ შენი ღვთის მგმობელობითი უმოქმედობის გამო მდიდრდები. ქრისტიანი მეფეები, ღვთის საფლავის გასანთავისუფლებლად, მოხალისედ მიდიან ყოველგვარ გაჭირვებაზე, საფრთხესა და სიკვდილზე, შენ კი ამ ხნის განმავლობაში მდიდრულ, წარმართულ სასახლეს აშენებ ქალაქგარეთ! და ეკლესიას უარს ეუბნები მეათედზე, რისი უფლებაც მას წმიდა მამამ დაუთმო!

ალფონსო თვითონ ნანობდა გალიანას აღდგენას, სწორედ ამიტომ ვერ აიტანა მოძღვრის თამამი საყვედური. — გიკრძალავ ასეთ ლაპარაკს! — გააწყვეტინა მას ალფონსომ. თავი ძლივს დაიმორჩილა. — შენ ეკლესიის დიდი თავადი ხარ, დონ მარტინ, — უთხრა მან. — ევთილი მეომარი და ერთგული მეგობარი. მე რომ ეს არ მახსოვდეს, გიბრძანებდი, მთელი ერთი თვე არ დამნახებოდლი.

იმ დღესვე მოიხმო მან იეპულა. — ებრაელებს ეკლესიას არ ვუთმობ, — გადაწყვიტა მან, — მე ვიტოვებ, როგორც ჩემ საკუთრებას. დე, მე გადამიხადონ მეათელი. ამას შენ აკრეფ. როგორც დამპირდი, მსუყე მეათელი უნდა იყოს.

კრამდენიმე დღის შემდეგ დონა ლეონორს ვაჟიშვილი შეეძინა.

დონ ალფონსოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მას ღვთის კურთხევა მოევლინა. იგი სწორედ მოიქცა, როცა თავის შინაგან გრძნობას ენდო და ეკლესიას არ დაუთმო არც ერთი სამეფო უფლება. სწორედ მოიქცა მაშინაც, როცა ჯერ კიდევ ყმაწვილი პედრო აიძულა ხელზე ეკოცნა მისთვის, თავისი ვასალური დამოკიდებულების აღსანიშნავად. მაშინ ალფონსოს ეს რომ არ გაეკეთებინა, ინფანტი რომ ახალგაზრდა არაგონელზე დაენიშნა, ახლა, როცა მოსალოდნელი შემკვიდრეობა ხელიდან წაუვიდა არაგონელს, დაიწყებოდა უფრო გაბოროტებული უსიამოვნება.)

თავისი ციხე-დარბაზის კაპელაში ბედნიერმა მამამ მუხლი მოიყა-

რა და მადლობა შესწირა ღმერთს, რომ კასტილიას, როგორც იქნა, მემკვიდრე გაუჩნდა, მისი სისხლი და ხორცი. ალფონსო ჩაებმება დიდ ომში ყველას ჯიბრზე და ღვთის სადიდებლად დაიმორჩილებს სევილიას, კორდოვას და გრანადას. იგი სამეფოს გაადიდებს, მის საზღვრებს შორს, სამხრეთისაკენ გადასწევს. თუ თვითონ ვერ შესძლებს მთელი ნახევარკუნძულის დაბრუნებას, მაშინ, ღვთის წყალობით, ამას მისი შვილი გააკეთებს.

ღონ იეჰუდაც ბედნიერი იყო. გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, მას ძალიან ეშინოდა, რომ დედოფალად ამჯერადაც გოგოს გააჩენდა, ასეთ შემთხვევაში დედოფალი ინფანტ ბერენგარიას დანიშნავდა პედროზე და ამით გულს მოულობდა მას. მაშინ კი არაგონთან კავშირი და ომი გარდაუვალი იყო. ახლა ეს საშიშროება თავიდან აცილებულია.

ღონ იეჰუდას ეგონა, რომ მის სიხარულს ყველანი გაინაწილებდნენ, პირველ რიგში კეთილის მსურველი, სახელმწიფო საქმეებში დაბრძენებული ღონ მანრიკე, მაგრამ მან ცივად შეუტია: — ნუ გავიწყდება, რომ ქრისტიან რაინდს ელაპარაკები მოხარული ვარ, რომ ჩვენ მეფეს მემკვიდრე შეეძინა, მაგრამ ჩემს სიხარულს ჩრდილავს ის, რომ დიდ ომს აღარ დავიწყებთ. ნუთუ შენ ფიქრობ — მშვიდად ჩავალ საფლავში, ვიდრე ერთხელ კიდევ არ შევებრძოლები ურჯულოებს? შენ გგონია, კასტილიელი რაინდი მოხარულია, რომ მისი მეფე სახლში ზის, როცა მთელი ქრისტიანული სამყარო წმიდა ომს აწარმოებს ურჯულოების წინააღმდეგ? შენმა სიტყვებმა შეურაცხმყო, ებრაელო.

იეჰუდა დარცხვენილი იყო, მაგრამ მან მადლი შესწირა უოვლის-შემძლეს, რომელმაც სეფარდის ნახევარკუნძული და ისრაელი ხალხი იხსნა კასტილიისათვის ინფანტის ბოძებით.

ალფონსომ ჯერ არნახული მდიდრული ნათლობა მოაწყო და ბურგოსში მოიწვია მთელი სამეფო კარის შტატი. მხოლოდ ღონა რაკელი არ მოუწვევია. სამაგიეროდ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა თავისი პაეის, ღონ ალაზარის მიმართ. მას გამორჩეული ჰყავდა იგი სხვა პაეებს შორის. ერთხელ მას აზრი დაებადა, რომ ახალგაზრდა ლამაზი ალაზარი სრულებით არ ჰგავდა თავის დას. იგი გაოცდა, რომ ასეთი აზრი დაებადა და მალე მოიშორა თავიდან ეს ფიქრი.

ნათლობასთან დაკავშირებით იეჰუდამ მეფეს და ღონა ლეონორს ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა, ინფანტი ბერენგარიაც არ დავიწყებია. მან შენიშნა, რომ ბერენგარია იმედგაცრუებული და შეწუხებული იყო. როგორც ჩანდა, იგი პედროზე დანიშვნის წინააღმდეგი არ

იქნებოდა. უკვე ოცნებობდა კასტილიისა და არაგონის გვირგვინზე. გაერთიანებული ესპანეთის გვირგვინზე. ახლა კი ეს იმედი დაემსხვრა.

ინფანტი დიდი ზეიმით მონათლეს და ფერნან ენრიკე დაარქვესა შემდეგ იეჰულა ტოლედოში დაბრუნდა.

## თ ა ვ ი მ ე ზ ვ ი დ ე

ჯერ კიდევ პირველი ჯვაროსნული ომის დროს ქრისტიანი მებრძოლები პირველ რიგში თავიანთ საკუთარ ქვეყანაში დაესხნენ თავს ურჯულოებს — ებრაელებს.

მოძრაობის ხელმძღვანელებს ასე არ უნდოდათ, მათ ერთი მიზანი ჰქონდათ: გაეთავისუფლებინათ წმიდა მიწა ურჯულოთა მონობისაგან. მაგრამ უმრავლესობა ჯვაროსნებს სარწმუნოებრივი ინტერესებისათვის როდი მიეტმასნა. მგზნებარე რწმენას ზედ დაერთო თავგადასავლის ძიებისა და მომხვეჭელობის სურვილი. რაინდები, რომელთა სწრაფვა გამარჯვებისაკენ სამშობლოში კანონით იყო დაოკებული, იმედოვნებდნენ მუსლიმანთა მიწა-წყალზე მოეპოვებინათ საბრძოლო დიდება და ნადავლი. ყმა გლეხები ხელში იჭერდნენ ჯვარს, რათა პირადი დამოკიდებულებით გამოწვეული ჩაგვრისა და გადასახადებისაგან გაათავისუფლებულიყვნენ. „ათასი ჯურის ხალხი მიეტმასნა ჯვაროსნულ ლაშქარს არა იმისათვის, რომ ცოდვები მოენანიებინათ, არამედ ახლად რომ შეეცოდათ“, — ჰყვება იმდროინდელი ღვთისმოსოში მიმატიანე ალბერტ აკვენტისი.

ვინმე გილიომ ლე კარპანტიემ, ტრუას მიდამოებში მცხოვრებმა, დავის და შფოთვის მოყვარულმა, თავი მოუყარა გულად ღვთისმლოცველებს და რაინისაკენ გაემართა. გზადაგზა სულ უფრო და უფრო ემატებოდათ ხალხი — ფრანკები და გერმანელები, მალე ასი ათასმა კაცმა მოიყარა თავი. რაინის მხარეში ჯვაროსანთა ამ ბნელ რაზმს „ღვთისმლოცვარე ძმები“ დაარქვეს.

„აღსდგა თავაშვებული, დაუოკებელი, გამძვინვარებული ბრბო, — გადმოგვემს იმდროინდელი ებრაელი მიმატიანე, — ფრანკები და გერმანელები, და გაემართნენ წმიდა ქალაქისაკენ, რათა განედევნათ ისმაილის შვილნი. ყველა ურჯულომ ჯვარი დაიკერა ტანისამოსზე, გროვდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, მამაკაცები, ქალები და ბავშვები. და ერთ-ერთი მათგანი — ვილჰელმ ხურო, წყეულიმც იყოს ავა-



ზაკის სახელი აღიზიანებდა ხალხს და ამბობდა: „ჩვენ გივუღეჭით გზას, რომ შური ვიძიოთ ისმაილის შვილებზე, მაგრამ განა აქ, ჩვენში არ ცხოვრობენ სწორედ ის იუდეველნი, რომელთა მამებმა ჭვარს იცვეს ჩვენი ღმერთი? ჭერ მათზე ვიძიოთ შური. თუ ისინი კვლავ გიჭიუტდებიან და მესიად არ სცნობენ იესოს, მაშინ ძირფესვიანად აღმოვფხვრათ იუდას სახსენებელი. ხალხმა გაუგონა მას და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „მოვიტყეთ, როგორც გვეუბნება“, — და წმიდა აღთქმის ხალხს შეესივნენ“.

ბირველ რიგში, ექვს იარს, შაბათ დღეს — ქალაქ შპაიერში მოწყვიტეს ებრაელები, სამი დღის შემდეგ — ქალაქ ვორმსში. შემდეგ კელნისაკენ გაემართნენ. აქ ეპისკოპოსმა ჰერმანმა თავისი ებრაელების დაცვა სცადა. „მაგრამ ღვთის მოწყალეების კარი დახშული იყო, — გადმოგვეცემს მემატთანე, — ავაზაკებმა გაწყვიტეს ჭარისკაცები და ხელთ იგდეს ებრაელები. ბევრმა კაცმა, ქალმა და ბავშვმა, ვიდრე წყალში ნათლობას მიაღებინებდნენ, ქვები გამოიბა და რაინში დაიხრჩო თავი, ყვირილით: „ისმინე, ისრაელო, არ არის სხვა ღმერთი, გარდა ჩვენი ღმერთის აღონაისა“.

ასეთივე ამბავი ხდებოდა ტრირში და მაინცში.

მაინცში მომხდარ ამბავს მემატთანე ასე მოგვითხრობს: „სივანის მესამე დღეს, რომლის შესახებაც ოდესღაც ჩვენმა შოქლდვარმა მოსემ თქვა: მზად შეხვდით მესამე დღეს, როცა მე სინადან დავბრუნდები, — ამ მესამე დღეს, შუალამისას, ემიხო ლაინინგენელი — წყევლიმც იყოს ბოროტის სახელი! — თავისი ხროვით მიადგა ქალაქს და ბიურგერებმაც გაუღეს კარი. და ავაზაკი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ: „ახლა კი შურს ვიძიებთ ჭვარცმულისათვის“. წმიდა აღთქმის შვილებმა თავის დასაცავად იარაღი აისხეს, მაგრამ მწუხარებისა და მარხვისაგან დასუსტებულნი ვერ გაუმკლავდნენ მოწინააღმდეგეს. რამდენიმე ხანს იცავდნენ არქიეპისკოპოსის ციხე-კოშკის შიგნით ეზოში შესასვლელ მაგარ კარს, მაგრამ ჩვენ მრავალ ცოდვათა გამო მათ არ ეწერათ ბოროტთა გამკლავება. როცა ნახეს, რომ მათი ბედი გადაწყვეტილია, ერთმანეთს გამხნევება დაუწყეს: „მართალია მტერი დავგზოცავს, მაგრამ ჩვენი სულელები გადარჩებიან და ედემის ნათელ ბაღში შევლენ. ერთადერთი ღმერთის სახელით სიკვდილის გამო ცხონებულნი“, — და ბოლოს მათ თქვეს: „ღმერთს მსხვერპლს შევწირავთ“. როცა მტრები ეზოში შეცვივდნენ, ნახეს სამლოცველო ტანისამოსში გამოწყობილი უძრავად მჯდარი მამაკაცები. ბოროტმოქმედებმა იფიქრეს, აქ რაღაც ეშმაკობას აქვს ადგილი, დაუწყეს ქვებისა და ისრების სროლა, სამლოცველო ტანისამოსიანი მამაკაცები ადგილიდან არ იძროდნენ, მაშინ ხმლებით აჩხეს. მათ კი, რომლებ-

მაც ციხე-სიმაგრეს შეაფარეს თავი, ერთმანეთი დახოცეს. ქეშმარიტი სივანის ამ მესამე დღეს მაინცი ებრაელებმა ისეთი განსაცდელი განიცადეს, რომელიც ღმერთმა ოდესღაც ჩვენს წინაპარ აბრამს დაატეხა თავს. როგორც მან თქვა: „აი მეც“ — და განემზადა, რომ თავისი შვილი ისაკი ღმერთისათვის მსხვერპლად შეეწირა, ასევე ისინიც ღმერთს მსხვერპლად წირავდნენ თავიანთ შვილებსა და ახლობლებს. მამა შვილს წირავდა მსხვერპლად, ძმა — დას, საქმრო — საცოლეს, მეზობელი — მეზობელს. აქამდე ვის უნახავს ერთ დღეში ამდენი მსხვერპლი? თერთმეტი ათასზე მეტი თავისი ნებით მიდიოდა დასაკლავად ან თვითონ იკლავდა თავს. ერთადერთის, უმადლესის, საშინელის სახელით“.

რეგენსბურგში ღვთისმლოცვარე ძმებმა დახოცეს შვილას ოთხ-მოცდათოთხმეტი ებრაელი, რომელთა სახელები წამებულთა წიგნშია მოხსენებული. ას რვა ადამიანი დათანხმდა ნათლობაზე. ღვთისმლოცვარე ძმებმა შერევეს ისინი ღუნაიში, ჩაუშვეს მდინარეში დიდი ჯვარი, რომლის ქვეშ ებრაელებს აყვინთებდნენ. იცინოდნენ და ყვიროდნენ: „ახლა ქრისტიანები ხართ, ფრთხილად იყავით, არ დაუბრუნდეთ თქვენ იუდურ ცრურწმენას“. მათ სინაგოგას ცეცხლი წაუკიდეს და ებრაელების საღმრთო წერილის პერგამენტის გრაგნილი-საგან დაბაში გამოქრეს.

იარის, სივანის და ტამუზის თვეებში რაინის მხარეში თორმეტი ათასი ებრაელი დაიღუპა, გარდა ამისა, ოთხი ათასი — შეაბიასა და ბავარიასი.

საერო და საეკლესიო თავადთა უმრავლესობა არ ამართლებდა ღვთისმლოცვარე ძმების სიმბეცეს და ძალდატანებით ნათლობას. გერმანიის იმპერატორმა ჰაინრიხ მეოთხემ საზეიმო სიტყვაში დანაშაულად ჩათვალა ეს ხოცვა-ჟლეტა და ძალით მონათლულებს ნება დართო დაბრუნებოდნენ იუდეველობას. მან საქმის ძიება დაიწყო მაინცი არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ, იმისათვის რომ თავისი ებრაელები სათანადოდ არ დაიცვა და გამდიდრდა მათი ქონებით. არქიეპისკოპოსი იძულებული გახდა გაქცეულიყო. იმპერატორმა მის შემოსავალს ყადაღა დაადო და ებრაელებს ზარალი აღუნახაღურა. ღვთისმლოცვარე ძმათა უმრავლესობა წმიდა მიწაზე მისვლამდე დაიღუპა საცოდავი სიკვდილით. მრავალი ათასი უნგრელებმა გაჟლიტეს, მეთაურები გილიომ ლე კარპანტიე და ემიხო ლაინინგენელი შერცხვენილები დაბრუნდნენ სახლში, ისინი ტანისამოსჩამოფლეთილთა საცოდავ გროვას მიუძღოდნენ. „გილიომმა, — მოგვითხრობს მემატთანე, — ლაშქრობის წინ ქალაქ ტრუას რაბინს ჰკითხა, როგორ დამთავრდებოდა ლაშქრობა. რაბინმა მას ასეთი პასუხი გას-

ცა: „რამდენიმე ხანს ბრწყინვალედ იცხოვრებ, მაგრამ შემდეგ დამარცხებული დაბრუნდები, სამი ცხენით“. გილიომი იმუქრებოდა: „ერთი ზედმეტი ცხენითაც რომ დავბრუნდე, იცოდე მოგკლავ და შენთან ერთად ამოვწყვეტ ყველა ფრანკ ებრაელს“. იგი სამი ცხენოსანი მეომრის თანხლებით დაბრუნდა, ესე იგი ოთხი ცხენით და უხაროდა, რომ რაბინს მოკლავდა. მაგრამ, როცა კარებში შემოდიოდა, კედელს ქვა მოწყდა და ერთი ცხენოსანი მეომარი ცხენიანად მოუკლა. მაშინ გილიომმა უარი განაცხადა თავის განზრახვაზე და მონასტერში წავიდა“.

ახლა, როცა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო, ებრაელებს წინაპართა მიერ გადატანილი და „გოდების ველში“ ჩაწერილი ტანჯვა გაახსენდათ და შიშისაგან შეძრწუნდნენ.

მალე მათაც აღრინდელი ხვედრი ერგოთ. მაგრამ ამჯერად მათ პირველ რიგში მეფეები ავიწროებდნენ.

ჰერცოგ ვრატისლავ ბოჰემელმა თავისი ქვეშევრდომი ებრაელები აიძულა მონათლულიყვნენ, მაგრამ როცა მათ ბოჰემიიდან წასვლა გადაწყვიტეს, რათა იუდეველობას დაბრუნებოდნენ, ჰერცოგმა ქონება წაართვა და თავის ხაზინას შემატა. ხაზინადარმა, განათლებულმა კაცმა, ჰერცოგის დავალებით, გადასასახლებლად გამზადებულებს ლათინური სიტყვა უთხრა ჰეგზამეტრით: „თქვენ ბოჰემიაში იერუსალიმის განძი არ მოგიტანიათ. მათხოვრები მოხვედით და მათხოვრებად გასწით აქედან“.

სხვებზე მეტი სიმწარე ნახეს ებრაელებმა ფრანკების სამეფოში. გასული ჯვაროსნული ომის დროს მათ მფარველობა გაუწიეს ლუდოვიკო VII და ელეონორა აქვიტანელმა. მაგრამ საფრანგეთის ახლანდელი მბრძანებელი მეფე ფილიპ-ავგუსტი თვითონ ჩაუდგა სათავეში მათ, ვინც ანადგურებდა და ძარცვავდა „დაწყველილ ტომს“. „ებრაელები, — განაცხადა მან, — ვერაგულად და ეშმაკობით დაეუფლნენ ჩემი დედაქალაქის პარიზის სახლების უმრავლესობას. მათ ჩვენ გაგვძარცვეს ისევე, როგორც მათმა წინაპრებმა გაძარცვეს ეგვიპტელები“. ამ ძარცვის გამო შურისძიების მიზნით მან უბრძანა ჯარისკაცებს ერთ-ერთ შაბათს პარიზისა და ორლეანის სინაგოგებისათვის ალყა შემოერტყათ და არ გამოეშვათ ებრაელები, ვიდრე მათ სახლებს არ გაძარცვავდნენ. ებრაელებს უბრძანეს საშაბათო ტანისამოსებიც გაეხადათ და ნახევრადშიშველები დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ვაშიშველებულ სახლებში, შემდეგ ბრძანა იუდეველებს სამი თვის განმავლობაში დაეტოვებინათ სამეფოს საზღვრები ისე, რომ არ წაეღოთ არავითარი ქონება.

დევნილთა უმრავლესობამ თავშესაფარი იპოვა მეზობელ საგრაფოებში, რომლებიც ფორმალურად ითვლებოდნენ ფრანკების მეფის სავასალო მიწებად, სინამდვილეში კი დამოუკიდებელნი იყვნენ.

მაგრამ ფილიპ-ავგუსტის ხელი აქაც მისწვდა მათ.

მაგალითად, შამპანის მარკგრაფინიამ, ბლანშმა, ზანში შესულმა, თავისუფლად მოაზროვნე, გულმოწყალე ბანოვანმა, ბევრი ლტოლვილი შეიფარა. ფრანკების სამფლობელოში ძველთაგანვე წესად ჰქონდათ ვნების კვირას ქრისტეს ვნებათა გასახსენებლად ქალაქის მოედანზე სახეში გაერთყათ იუდეველთა წარმომადგენლისათვის—თემის უხუცესის ან რაბინისათვის. მარკგრაფინიამ თავის ქვეშევრდომ ებრაელებს ნება მისცა ეს ნატურალური ბეგარა ეკლესიისათვის ფულადი გადასახადით შეეცვალათ. ფილიპ-ავგუსტმა, რომელიც განრისხებული იყო იმის გამო, რომ გადასახლებულებმა მარკგრაფინია ბლანშთან ჰპოვეს თავშესაფარი, მოითხოვა თავის ვასალისგან უარეყო ეს დადგენილება. მეფემ წმიდა ომი მოიმიზეზა და ბლანში იძულებული გახდა დაეთმო მისთვის.

მაგრამ ბედისწერამ იხსნა ებრაელები ასეთი შეგინებისაგან მართლაც სამწუხარო, დიდად ტრაგიკული საშუალებით. ვიდრე ვნების კვირა დადგებოდა, ერთმა ჯვაროსანმა მეფე ფილიპ-ავგუსტის ქვეშევრდომმა მარკგრაფინიას სამფლობელოში, ქალაქ ბრე-სიურსენში, ებრაელი მოკლა. გრაფინიამ მკვლელს სიკვდილი მიუსაჯა და მისი სისრულეში მოყვანა ფურიმის დღეს გადაწყვიტა, როცა ებრაელები დედოფალი ესთერისა და მისი მამობილის მარდოხაის მიერ იუდეველთა მტრის ამანის დამხობას დღესასწაულობდნენ. ქალაქ ბრეში მცხოვრები ებრაელები, ცხადია, დასჯას ესწრებოდნენ კმაყოფილებით. ფილიპ-ავგუსტს აცნობეს, რომ მის ქვეშევრდომ მკვლელს ხელები შეუტრეს და თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს ღვთის ვნებათა დასაცინად. სამეფო ავაზაკმა, როგორც მას შემტინანე იხსენიებს, მაშინ მარკგრაფინიასგან მოითხოვა, რომ ქალაქ ბრეს ყველა ებრაელი დაეპატიმრებინა. მარკგრაფინია აყოვნებდა ამ ბრძანების შესრულებას. მეფემ ბრეში ჯარი გაგზავნა, ებრაელები დაიჭირეს და არჩევანი მისცეს — ნათლობა ან სიკვდილი. ოთხი მონათლა, ცამეტ წელს მიღწეული ცხრამეტი ბავშვი მონასტერში გაგზავნეს, დანარჩენი ყველა ებრაელი ოცდაშვიდ კოცონზე დაწვეს. მეფე ფილიპ-ავგუსტმა მარკგრაფინია ბლანშს უთხრა: „ახლა კი გათავისუფლდნენ შენი ებრაელები ვნების კვირას გასილაქებისაგან, კეთილშობილო ბანოვანო“. შემდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში წავიდა.

მაგრამ მთელი ჩრდილოეთ საფრანგეთის ებრაელები დამფრთხალნი იყვნენ და დახმარების სათხოვნელად მოციქულები გაუგზავნეს თავიანთ მოძმეებს უფრო ბედნიერ ქვეყნებში — პროვანსსა და ესპანეთში.

ძალიან დიდ იმედს ამყარებდნენ ტოლედოს ძლიერ თემზე. იქ მათ გააგზავნეს ფრანკების სამეფოს ებრაელთა შორის ყველაზე სახელოვანი და კეთილსინდისიერი — რაბი ტობია ბენ სიმონი.

როგორც კი იეჰუდა დაბრუნდა, რაბი ტობია მივიდა მასთან.

ჩვენი ბატონი და მასწავლებელი ჰა-ხასიდად წოდებული, ტობია ბენ სიმონი, ღვთისმოსავი, episcopus judaeorum francorum, ფრანკოლდეველთა მეთაური, საღვთო წერილში განსწავლული სახელოვანი და ისრაელებისაგან პატივცემული იყო. შეუხედავი გარეგნობისა და მორიდებული რაბი ტობია უძველესი ებრაული ოჯახის შტოს ეკუთვნოდა, რომელიც განთქმული იყო თავისი სწავლეულობით. ისინი დაახლოებით ასი წლის წინ ღვთისმლოცვარე ძმებს გამოექცნენ გერმანიიდან და ჩრდილო საფრანგეთში დასახლდნენ.

იგი ლაპარაკობდა გერმანელი ებრაელების დაუხვეწავ გაქიანურებულ აშკენაზის დიალექტზე, რომელნიც დონ იეჰუდას ყურებში როდი ჟღერდა ჩვეულ კლასიკურ ებრაულ ენასავით სამოდ. მაგრამ იეჰუდა ველარ ამჩნევდა გამოთქმებს, რაბი ტობიას რომ უსმენდა. რაბი ჰყვებოდა იმ უთვალავ ეშმაკურ და სასტიკ ხრიკებზე, რასაც მეფე ფილოპ-აგუსტი მიმართავდა, და საშინელ სისხლიან ამბებზე, რომელიც პარიზში, ორლენაში, ბრე-სიურ-სენში, ნემურში და ქალაქ სანსში მოხდა. იგი ყოველგვარი მჭევრმეტყველების გარეშე ჰყვებოდა: უამბობდა იმ ტანჯვაზე, რითაც თავს აბეზრებდნენ ებრაელებს მდევნელები. ამას ისევე დაწვრილებით ჰყვებოდა, როგორც სისხლიანი სასაკლავოების შესახებ და წვრილმანი მსხვილმანად ჩანდა, და ეს მსხვილმანი დაუსრულებელი ჯაჭვის რგოლი ზღებოდა. ისევ და ისევ მეორდებოდა მისამღერა: „და ისინი ყვიროდნენ: „ისმინე, ისრაელო, არ არის სხვა ღმერთი გარდა ჩვენი ღმერთის აღონაისა“, — და მათ ხოცავდნენ“.

მდიდრულ, მყუდრო სახლში უცნაურად ჟღერდა შეუხედავი რაბის ნაამბობი ველური ამბების შესახებ. რაბი ტობია დიდხანს და დაჟინებით ლაპარაკობდა. მაგრამ დონ იეჰუდა მთელი გულისყურით უსმენდა. მისი ცოცხალი ფანტაზია ხელშეისახებად უხატავდა იეჰუდას რაბის ნაამბობს. მასში საკუთარმა უსიამოვნო მოგონებებმა გაიღვიძეს. მაშინ, ადამიანური საუკუნე ნახევრის წინ მის

მშობლიურ სევილიაში მუსლიმანები იმას სჩადიოდნენ, რასაც ახლა ქრისტიანები სჩადიან საფრანგეთში. ისინიც თავს დაესხნენ ახლო-მყოფ „ურჯულოებს“, ებრაელებს და არჩევანი მისცეს: ან მუსლიმანური სარწმუნოება მიეღოთ, ან მომკვდარიყვნენ. იეჰუდამ ძალიან კარგად იცოდა, რას გრძნობდნენ ისინი, ვისაც ახლა დაესხნენ თავს.

— ჯერჯერობით, — თქვა რაბი ტობიამ, — თავშესაფარი კიდევ მოგვეცეს დამოუკიდებელი მიწა-წყლის გრაფებმა და ბარონებმა, მაგრამ მირონცხებული ავაზაკი ავიწროებს მათ და დიდხანს ვერ გაუწევენ წინააღმდეგობას. მათ გულში არც ღვარძლია და არც სიკეთე, ისინი საფრანგეთის მეფეს ომს არ დაუწყებენ სამართლიანობისათვის და ებრაელების გამო. მოახლოებულა ეამი, როცა უნდა დავიძრაოთ ადგილიდან, ეს კი ადვილი როდია, რადგან საკუთარი ტყავისა და თორის რამდენიმე გრაგნილის გარდა, ვერაფრის ვადაჩენა ვერ შევძელით.

მშვიდობა, სიმდიდრე და სიწყნარე გამეფებულყო აქ, ამ მშენიერ სახლში. საამოდ ჩქეფდნენ შადრევნები, კედლებზე ოქროსფრად ბრწყინავდა დიადი გამონათქვამების მოწითალო-მოცისფრო წარწერები. რაბი ტობიას მკვდრის ფერი ედო, მის თხელ, გაფითრებულ ტუჩებს მონოტონურად წყდებოდა სიტყვები. დონ იეჰუდა კი ხედავდა უამრავ ებრაელს, თუ როგორ მიათრევდნენ დაღლილ-დაქანცულ ფეხებს, სხდებოდნენ გზის პირას შეშინებულნი და, ახალი საფრთხის მოლოდინში, აქეთ-იქით იტკირებოდნენ, თუ როგორ იღებდნენ ხელში თავიანთ, სადმე გზაში გამოჰკრილ გრძელ კვერთხს და ისევ განაგრძობდნენ გზას.

ფრანკ ებრაელებზე ზრუნვა ჯერ კიდევ ბურგოსში აწუხებდა იეჰუდას, და მისი სწრაფი გონება მათ საშველად ნაირნაირ გეგმებს თხზავდა. მაგრამ ახლა, როცა რაბი ტობიას ნაამბობს ისმენდა, მისმა გონებამ ახალი გეგმა შეიმუშავა, გეგმა — გაბედული და ძნელი. მხოლოდ იეჰუდას და სხვას არავის შეეძლო ნამდვილად ეშველა მათთვის. შეუხედავი რაბი, რომელიც არ ითხოვდა, არ ცდილობდა შეგონებას და არც მოიხზოვდა, მხოლოდ თავისი გამომეტყველებით აგულიანებდა იეჰუდას სამოქმედოდ.

როცა მეორე დღეს იბნ ეზრების კასტილიოში ეფრაიმ ბარ აბა მოვიდა, დონ იეჰუდას გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. რაბი ტობიას მოთხრობით აღელვებულ დონ ეფრაიმს უნდოდა ათი ათასი ოქროს მარავედი მოეგროვებინა ფრანკ ებრაელ ლტოლვილთა დასახმარებელი ფონდისათვის, თვითონ ათასი მარავედის მიცემას ფიქრობდა და მოვიდა, დონ იეჰუდასათვის ეთხოვა თავისი წვლილის შეტანა.

მაგრამ იეჰუდამ უპასუხა: — დევნილების გაჭირვებას არაფერს უშველის ჩვენი მიცემული ფული, რომელიც მათ მხოლოდ რამდენიმე თვე ან თუნდაც ერთი წელი ეყოფათ. გრაფები და ბარონები, რომელთა ქალაქებშიც შეუფარებიან ახლა მათ თავი, ვერ გაუბედვენ მეფეს ურჩობას და გააძევებენ ებრაელებს, და ისინიც ისევ გაუდგებიან გზას, იელიან უგზო-უკელოდ, ისევ ახალი მტრების კლანჭებში მოექცევიან და ბოლოს და ბოლოს გასანადგურებლად განწირულნი აღმოჩნდებიან. მათ მხოლოდ ერთი რამე უშველით: საიმედო ადგილზე უნდა დავასახლოთ, საიდანაც მათ არავინ გარეკავს.

ტოლედოს ალჰამის პარნასი უსიამოვნოდ გაოცდა. თუ ახლა, წმიდა ომის დროს, ქვეყანას ღატაკი ებრაელების ზროვით გაეავსებო, ამას ცუდი შედეგი მოყვება. არქიეპისკოპოსი ისევ აამხედრებს ხალხს იუდეველთა წინააღმდეგ და მთელი ქვეყანა გააპართლებს მას. ტოლედოელი ებრაელები განათლებულები, მდიდრები და ზრდილნი არიან, მათ ქრისტიანების პატივისცემა მოიპოვეს, ქვეყანაში ასობით, ან იქნებ ათასობით ფრანკ-ღატაკ ებრაელთა შემოშვებით, რომლებმაც აქაური ენა და ზნე-ჩვეულება არ იციან და გამოსარჩევი იქნებიან ადგილობრივი მცხოვრებთაგან ტანისამოსითა და უჩვეულო ცუდი მანერებით, დევნილებს ვერ უშველი. მხოლოდ თავს ჩაიგდებ საფრთხეში.

მაგრამ ეფრაიმს ეშინოდა, რომ ასეთი უარყოფა უგუნურად გაბედულ იბნ ეზრას განზრახვას მხოლოდ გაამტკიცებდა. მან სხვა რამ მოიფიქრა. — იგრძნობენ კი აქ თავს ფრანკი ებრაელები თავისუფლად? — თქვა მან. — ისინი ხომ მდაბინი არიან, ღვინით ვაჭრობდნენ, ფრთხილად აწარმოებდნენ ფულის ბრუნვას, მხოლოდ საცოდავი საწვრილმანო ვაჭრობა ეხერხებათ. მათი აზროვნება შეზღუდულია. მსხვილ სავაჭრო საქმეებზე წარმოდგენა არა აქვთ. ამისათვის მე მათ არ ვკიცხავ. მათ წილად ხედათ მძიმე, გაჭირვებული ცხოვრება. უმრავლესობა გერმანიიდან ლტოლვილთა შვილია. ზოგმა კი თვით განიცადა გერმანელების დევნა. წარმოდგენაც არა მაქვს, როგორ შეეთვისებიან ჩვენს სამყაროს ეს დაშინებული პირქუში ხალხი. — დონ იეჰუდა დუმდა. პარნასს მოეჩვენა, რომ მან ოდნავ ჩაიცინა, დონ ეფრაიმი უკვე დაჟინებით ლაპარაკობდა: — ჩვენი საპატიო სტუმარი — ღვთისმოსავი ადამიანია, რომელიც დამსახურებულად სარგებლობს სწავლულის სახელით. თუმცა მის წიგნებში ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანი აზრებია, მაგრამ ბევრმა საკითხმა გამოაცა. მე შენზე მკაცრი ვარ, დონ იეჰუდა. ზნეობაზე და აღთქმათა დაცვაზე ვფიქრობ, მაგრამ ჩვენი ბატონი და მასწავ-

ლებელი ტობია ცხოვრებას მხოლოდ მარტო ცოდვათა მონანიებად წარმოგვიდგენს. იგი და მისი მიმდევრები ჩვენი საზომით როდი ზომავენ. ვფიქრობ, რომ ჩვენი ფრანკი მოძმეები ჩვენ ვერ შეგვეთვისებიათ, ჩვენ კი — მათ.

მაგრამ დონ ეფრაიმა არ თქვა ის, რაც ძალიან უნდოდა მეშუამდსა და ღვთისგან განდგომილ იეჰუდასთვის გაეხსენებინა: რაბი ტობია ყველაზე საშინელი სიტყვებით ჰკიცხავდა იეჰუდას მსგავს რწმენადაკარგულებს. იგი ანუსიმებსაც კი არ სწყალობდა, რომლებიც სიკვდილის მუქარით დაშინებულები მოინათლნენ, თუმცა, მერე კვლავ დაუბრუნდნენ იუდეველთა სარწმუნოებას. იეჰუდას კი, რომელიც შიშის გამო კი არა, თავისი სურვილით ემსახურებოდა უცხო ღმერთს ამდენი ხნის განმავლობაში, უნდა სცოდნოდა, რომ რაბი ტობიასა და მის თანამოაზრეთა თვალში ამისათვის სასჯელად განდევნას იმსახურებდა, რათა მისი სული სხეულთან ერთად დაღუპულიყო. ნუთუ იეჰუდა ალჰამას ავალდებულებს და თვითონაც კისრულობს იმ ხალხზე ზრუნვას, რომლებიც მასზე ასე ფიქრობენ?

— რა თქმა უნდა, ეს წმიდა კაცი არაა ჩვენნაირი, — თქვა დონ ეფრაიმისათვის შეუცნობელმა იეჰუდამ, — ჩვენნაირი ადამიანები უცხოა მისი სულისათვის, ჩემნაირი კი ალბათ ეზიზღებათ კიდევ მას და მის მიმდევრებს. მაგრამ ის ჩვენი დევნილი ძმებიც, რომლებიც თავის დროზე ჩემმა ბიძამ, დონ იეჰუდამ იბნ ეზრა ჰანასიმ, თავადმა შეიფარა აქ, ხომ განსხვავდებოდნენ ჩვენებისაგან და არავინ იცოდა დამკვიდრდებოდნენ თუ არა კასტილიაში, მაგრამ ისინი დამკვიდრდნენ, აყვავდნენ და განცხრომით ცხოვრობენ. ვფიქრობ, თუ ძალიან ვეცდებით, ჩვენ ფრანკ ძმებსაც შევეგუებით.

დონ ეფრაიმი, რომელიც მთლად დაღუულს ჰგავდა თავის ფართო სამოსში, ძალიან შეწუხებული იყო, იგი ანგარიშობდა. — მე ვამაყობდი, რომ ჩვენ შეგვიძლია ათი ათასი ოქროს მარავედის გაღება ფრანკი დევნილებისათვის. თუკი მათ ჩვენს ქვეყანაში შემოვიკედლებთ, სადაც გამოსაკვებ ფულსაც კი ვერ იშოვნებინ, მაშინ იძულებული ვიქნებით, რამდენიმე წლის განმავლობაში, იქნებ, სამუდამოდაც ვიზრუნოთ მათზე. ათი ათასი ოქროს მარავედი დიდი ხნის სამყოფი არაა. ჩვენ შემდეგაც მოგვიხდება სალადინის მეათედის გადახდა. ტყვეების გამოსასყიდი ფულიც ნუ დაგავიწყდება. ჩვენი თანხა ძალიან შეთხელდა. ახლა კი ისეთი დროა, ხშირად მოგვიხდება მისი გამოყენება. ყველგან, მთელ მსოფლიოში წმიდა ომი — კარგი საბაბია ედომისა და აგარის შვილებისათვის, რომ დიდი გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით ებრაელები საპყრობილეებში ჩაყარონ. საღვთო წერილში ნაანდერძეია ტყვეთა განთავისუ-



ფლება. მგონია, პირველ რიგში, ამ ანდერძს უნდა მივსდიოთ. ათასობით ფრანკი ლატაკის შეკედლება ამდენად მნიშვნელოვნად არ მიმაჩნია. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მოწყალებაა, მაგრამ, მაპატიე ასეთი გულახდილობა, მოუფიქრებელი და უპასუხისმგებლო საქციელი იქნებოდა.

ღონ იეპუდა თითქოს არც გაბრაზებულა.—მე საღვთო წერილი არ წამიკითხავს, — უპასუხა მან, — მაგრამ ყურში და გულში ჩამრჩა ჩვენი მასწავლებლის მოსეს ნაბრძანები: „უკეთუ გლახაკი იყოს ძმა შენი, რომელი შენთანა არს, და ვერ შემძლებელ იყოს ჰხელითა შენ შორის. კელი აღუპყრას მას ვითარცა მწირსა, და მსხემსსა, და ცხოვნდეს ძმა იგი შენი შენთანა“. თუმცა მე ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ერთი მოვალეობა ისე შევასრულოთ, რომ მეორეზე უარი არ ვთქვათ. ვიდრე მომიხერხდებოდეს ომი ავარიდო კასტილიას, — მისი ხმა შედიდურად ქდერდა, თუმცა ალერსიანად ლაპარაკობდა, — იქამდე ტოლედოს ალჰამს ისეთი მდიდარი შემოსავალი ექნება, რომ მას რამდენიმე ათასი ფრანკი ებრაელის თავშესაფარისა და საზრდოსათვის გამოსასყიდი ფულიდან არ დასჭირდება თანხის აღება.

შიში თანდათან უფრო უკუმშავდა გულს ღონ ეფრაიმს. ნუთუ ეს კაცი თავისი გულზვიადობის გამო, არ უნდა მიხვდეს, რა სახიფათო საქმის წამოწყებას აპირებს. ან, იქნებ მართლაც არ ესმის. ეფრაიმს მეტი თავისშეკავება აღარ შეეძლო, უნდა ეთქვა გულში ფარულად ნატარები შიში. — ფიქრე თუ არა, ჩემო ძმაო და ბატონო ღონ იეპუდა, იმაზე, თუ როგორ ძლიერ იარაღს აძლევ არქიებისკოპოსს? იგი ჯოჯოხეთის მთელ ძალებს შესძრავს და შენს ფრანკ ებრაელებს არ შემოუშვებს ჩვენს ქვეყანაში. იგი ცოდეგებში ჩაფლულ საფრანგეთის მეფეს მიმართავს, პაპს მიმართავს. ეკლესიებში იქადაგებს და ხალხს აამხედრებს ჩვენ წინააღმდეგ იმის გამო, რომ გამძვინვარებული წმიდა ომის დროს კასტილიაში მოგვეყავს ურჯულოთა და მათხოვართა ზროვები. ჩვენი მბრძანებელი მეფე შენ გწყალობს, მაგრამ ალფონსო არქიებისკოპოსსაც უგდებს ყურს, დრო კი, წმიდა ომი, ამჟამად არქიებისკოპოსის სასარგებლოა და არა ჩვენი. შენ, ღონ იეპუდა, მტრისაგან დაიცავი ჩვენი თავისუფლება და პრივილეგიები, ეს შენ სამარადისო დამსახურებად დარჩება. მაგრამ შესძლებ კი, ხელმეორედ გააკეთო ასეთი რამ?

ეფრაიმის სიტყვები მიზანს მოხვდა და ღონ იეპუდას კვლავ წარმოუდგა თავისი ჩანაფიქრის მთელი სიძნელე. იქნებ მან ზედმეტად შეაფასა თავისი ძალები? მაგრამ სწრაფად დასძლია წუთით გაელვებული ეპვი, როგორც ამას ეფრაიმი მოელოდა, გოროზი გამომეტყველება ძიილო და ცივად თქვა: — როგორც ვხედავ, ჩემი წინა-

დადება არ მოგწონს. მოდი შევეთანხმდეთ. შენ მოაგროვებ ათი ათას ოქროს მარავედს. მე კი მივალწევ იმას, რომ მეფემ შემოუშვას ჩვენთან დევნილი ებრაელები და მათ აუცილებელი უფლებები და პრივილეგიები მისცეს. ამას მე ჩუმად გადაკეთებ. ალჰამის მხარდაჭერის გარეშე. სინაგოგებში სამთხოვნელო პარაკლისებისა და კენესა-წუხილის, მეფესთან საზეიმო დელეგაციის გაგზავნის გარეშე. ყველა საზრუნავი მე მომანდე, მხოლოდ მე. — იეპუდა ხედავდა, რომ მისი სტუმარი განაწყენებული იყო, ამისი სურვილი კი მას არ ჰქონდა. მან ალერსიანად დასძინა: — მაგრამ თუ ეს მოვახერხებ, თუ მეფე დამთანხმდა, შენც ნუ გამიწევ წინააღმდეგობას, მომეცი პირობა, რომ გუნებაშიც არ გამიწევ წინააღმდეგობას და მთელი ძალით, შენთვის ღვთისგან მონიჭებული ჰკუთ და მენხმარები ჩანაფიქრის შესრულებაში, — და მან დონ ეფრაიმს ხელი გაუწოდა.

თავისი სურვილის წინააღმდეგ გატაცებულმა ეფრაიმმა, რომელიც ჭერ კიდევ ყოყმანობდა, ხელი ჩამოართვა მას და თქვა: — დე, ასე იყოს.

ამასობაში ბურგოსში, დონა ლეონორის ირგვლივ არსებულ ატმოსფეროში მცხოვრებ მეფეს დაავიწყდა ტოლედოც და ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული. იგი ტკბებოდა იმ სიმშვიდითა და გულდაჩერებულობით, რაც ბურგოსის სასახლეში იყო გამეფებული. მას მემკვიდრე ვაჟიშვილი ჰყავდა. დიდად კმაყოფილი იყო.

მაგრამ რამდენიმე კვირისა და თვის შემდეგ, რაც მან დედაქალაქიდან მოშორებით გაატარა, მრჩეველებმა დაეინებით მოითხოვეს ტოლედოში დაბრუნება.

ბურგოსის კედლების დატოვებისთანავე იგი ისევ მოიცვა ადრინდელმა მღელვარებამ, მტკივნეულად იგრძნო წყევლა, რომელიც მუდამ თან სდევდა: უნდა ელოდოს და ელოდოს, მას არ უწყერი თავისი სამეფოს საზღვრების გაფართოება, ალფონსო მეექვსე და მეშვიდე იმპერატორის გვირგვინს ატარებდა, მათ დიდ საქმეებს მომღერლები უმღეროდნენ: — მის ნამოქმედარზე კი მხოლოდ ორსამ საცოდავ რომანსში თუ წაიღიღინებდნენ.

როცა თვალი მოჰკრა კლდეებს, რომლებზედაც ტოლედო იყო გაშენებული, მოუთმენელმა სიშმაგემ შეიპყრო და პირველსავე დღეს დაიბარა თავისი ესკრივანო, — კაცი, რომლისგანაც ვაჭრობით უნდა მიეღო თავისი რაინდული ვალის შესრულების უფლება და დაეწყო ომი.

იეპუდაც მოუთმენლად ელოდა მეფის დაბრუნებას. მას უნდოდა,

როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, მოეხსენებინა თავისი გაბედული გეგმა და მიეღო ედიქტი, რომლის ძალითაც ფრანკ ებრაელებს კასტილიაში შემოსვლის უფლება ექნებოდათ. მან კარგი მიზეზები მოიფიქრა. გაცხოველებულ, შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმული მთელი ქვეყანა სწრაფად იზრდება, ახალი ხელებია საჭირო, როგორც ალფონსო მეექვსე და მეშვიდეს დროს, საჭიროა ახალი ხალხის მოყვანა.

და აი, დგას იგი მეფის წინაშე და მოახსენებს. იგი უამბობდა ახალ მიღწევებზე, ხაზინაში სასიხარულო დიდ შემოსავალზე. გაჩიუტებული გრანდებისათვის კვლავ სამი ქალაქის წართმევისა და ალფონსოსათვის მათ დამორჩილებაზე. რომ მთელ ქვეყანაში, თვით ტოლედოში და მის ახლო მიდამოებში, იქმნება დიდად საიმედო წარმოებები — შუშის ქარხანა და ტყავის საწარმო, მექოთნეთა საწარმო და ქაღალდის მანუფაქტურა, რომ არაფერი ვთქვათ ზარაფხანისა და სამეფოს ცხენთსაშენის გაფართოების შესახებ.

იეჰუდა მოკლედ მოახსენებდა, თან კი ფიქრობდა, ახლაც მიემართა თუ არა მეფისთვის თავისი დიდი სათხოვარის შესახებ. მაგრამ დონ ალფონსო ღუმდა და მის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდა კაცი.

იეჰუდა განაგრძობდა ლაპარაკს. თავაზიანად გამოჰკითხა, შენიშნა თუ არა მეფემ უკან დაბრუნებისას ავილის მიდამოებში დიდი ჯოგი; ახლა მესაქონლეობა მოწესრიგებულია და საძოვრებს გონივრულად იყენებენ. უკან მომავალ მეფეს ჰქონდა თუ არა დრო, აბრეშუმსართავეებისათვის ახლად დარგული თუთის ხეები დაეთვალიერებინა?

როგორც იქნა მეფემ გახსნა ბაგე. კი, თქვა მან, მე ვნახე თუთის ხეების ნარგავები, ჯოგიც და კიდევ ბევრი რამ, რაც ჩემი ესკრივანოს მუყაითობაზე მეტყველებსო. — თავს ნულარ მომამბეზრებ ამით, — თქვა მან მოღუშვით, და მაშინვე სხვა ამბებზე გადავიდა. — შენი დამსახურება ცნობილი და აღიარებულია. ახლა მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს: როდის შემეძლება სირცხვილი ჩამოვირეცხო და წმიდა ომში ჩავება?

იეჰუდა არ მოელოდა, რომ მეფის წყალობა უცებ არაკეთილგანწყობილებით შეიცვლებოდა. მწუხარებით და აღშფოთებით შენიშნა, რომ დევნილ ებრაელთა გადმოსახლებაზე ლაპარაკი უნდა გადაედო. მაგრამ მას არ შეეძლო, პასუხი არ გაეცა მეფის უგუნურ საყვედურზე. — დრო, როცა შენ ომის დაწყება შეგეძლება, მეფევე ბატონო, — უთხრა მან, — დამოკიდებული არ არის მხოლოდ შენი ქვეყნის ფინანსებზე. იგი წესრიგშია. — და მან გამომწვევად განაც-

ხადა: — დე, ესპანელთა სხვა მეფეები, რაც მთავარია არაგონი, და-  
თანხმდნენ შენთან ერთად ხალიფას ჭარის წინააღმდეგ გაერთიანე-  
ბული ლაშქრის გამოყვანაზე, მაშინ, მეფე ბატონო, შენ შეგიძლია  
გაცილებით დიდი წვლილის გაღება, ვიდრე მოგეთხოვება და თუ  
საჭირო იქნება — ხვალვე, ამაში შეგიძლია დარწმუნებული იყო.

ალფონსომ შუბლი შეიკრა. ეს თავხედი, დამკინავი ებრაელი  
ყოველთვის მას ყოველგვარი „თუებით“ კვებავს, მას არაფერი უპა-  
სუხნია, ბოლთას სცემდა.

შემდეგ მოულოდნელად გადაულაპარაკა: — მითხარი როგორაა  
გალიანას საქმეები? გადაკეთება მალე დამთავრდება? — დამთავრე-  
ბულია, — ამაყად უპასუხა იეჰუდამ, — პირდაპირ გასაოცარია, ამ  
ძველი შენობიდან რა გააყეთა ჩემმა იბნ ომარმა. თუ შენი სურვილი  
იქნება ათ დღეში, სულ დიდი სამ კვირაში შეგიძლია იცხოვრო იქ.

— იქნებ მოვისურვო კიდეც, — დაფიქრების გარეშე უპასუხა  
ალფონსომ, — ყოველ შემთხვევაში მინდა ვნახო, რა გააკეთეთ. ოთხ-  
შაბათს დავათვალიერებ, ან უფრო ადრე. წინასწარ გაცნობებ. შენც  
წამოხვალ და ყველაფერს მაჩვენებ. დონა რაკელიც თან წამოიყვან-  
ე, — თითქოს შემთხვევით თქვა მან.

იეჰუდა შეძრწუნდა. იგი შიშმა აიტანა, როგორც მაშინ, დონ  
ალფონსოს მოულოდნელი მოპატიებების დროს.

— როგორც მიბრძანებ, მეფე ბატონო, — უპასუხა მან.

დათქმულ დროს იეჰუდა და რაკელი მეფეს უერთა-დელ-რის  
კარებთან უცდიდნენ. დონ ალფონსო ზუსტად მოვიდა. მან ოფიცია-  
ლური თავაზიანი სალაში მისცა დონა რაკელს და მხიარულად მიე-  
სალმა თავის ესკრივანოს.

— აბა მაჩვენე, რა გააკეთეთ, — თქვა მან რაღაც ნაძალადევი  
მხიარულებით.

ნელი ნაბიჯით სეირნობდნენ ბაღში. ბოსტნეულის კვლები აღარ  
იყო. მათ ადგილს დეკორატიული მცენარეულობა და გემოვნებით  
დარგული ხეები ამშვენებდა. პატარა ტყე ხელუხლებელი დაეტო-  
ვებინათ. მიძინებული გუბურიდან არხი გაეყვანათ და ახლა ტახოს-  
კენ ნაკადული მირაკრავებდა, რომელზედაც ბევრგან პატარა ხიდე-  
ბი გაედოთ. ბაღში ფორთოხლის ხეები და ქრისტიანულ ქვეყნებ-  
ში დღემდე უცნობი, კარგად მოვლილი, მსხვილნაყოფიანი ლიმონე-  
ბი ხარობდა. ამაყად მიუთითა იეჰუდამ მეფეს ამ ნაყოფზე: მუსლი-  
მანები მას „ადამის ნაყოფს“ უწოდებდნენ, რადგან ადამმა ამ ნაყო-  
ფის ჭამისათვის ღვთის მცნებას უღალატა.

ფართო, ხრეშმოყრილი გზით სასახლისკენ გაემართნენ: აქ ჰიშ-კარზე არაბული წარწერა მოჩანდა: „ალაფია — მშვიდობა მომსვლელს“. მათ შენობა შიგნიდან დაათვალიერეს. კედლის გასწვრივ სავარძლები იყო ჩამწკრივებული. ქანდაკებიდან გობელენები ეშვებოდნენ, იატაკი ლამაზი ხალიჩებით იყო მოფენილი. გასაგრილებლად ყველგან წყალი მოჩხრიალეზდა. მოზაიკიანი ჭერები და ფრიზები დამთავრებული არ იყო. — შენს დაუქითხავად ლექსებისა და გამონათქვამების შერჩევა ვერ გადავწყვიტეთ. შენს განკარგულებას ველით, მეფეე ბატონო.

ღონ ალფონსო მოკლე პასუხს აძლევდა, თუმცა სასახლე აშკარად მოეწონა. ჩვეულებრივ მას არ აინტერესებდა, როგორი იყო ესა თუ ის სიმაგრე ან სახლი. ამჟერად იგი უფრო მცოდნეს თვალთ უყურებდა ყველაფერს. ებრაელის ქალი მართალი იყო. მისი ბურგოსის სასახლე პირქუში და დაღვრემილია. ახალი გალიანა მშვენიერი და მყუდროა, მაინც ბურგოსის სასახლე უფრო მოსწონდა: აქ, გაფაქიზებულ სიმიდრეში თავს უხერხულად გრძნობდა. იგი იძულებულ სამადლობელ სიტყვებს ამბობდა, რასაც ზრდილობა მოითხოვდა, მისი ფიქრები კი სადღაც შორს დაბორილებდა. საუბარი თანდათან ძუნწდებოდა. ღონა რაკელიც ცოტას ლაპარაკობდა. თანდათან ღონ იეჰუდაც გაჩუმდა.

პატრო ბაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე ეზოს. აქაც დიდი, შადრევნიანი წყალსაცავი იყო, ირგვლივ თაღედი ჩამწკრივებულიყო. მქრქალ სარკეებში არეკლილი ბაღი დაუსრულებელი ჩანდა. მეფემ უქმაყოფილოდ და გოცებით აღიარა, რამდენი რამ გაეკეთებინათ ამ ხალხს ასე მოკლე ხანში.

— მშენებლობის დროს ხომ არ ყოფილხარ აქ, კეთილშობილო ბანოვანო? — უცებ მიუბრუნდა იგი რაკელს. — არა, მეფეე ბატონო, — უპასუხა ქალიშვილმა. — ეს შენი მხრივ არაა თავაზიანობა, — შენიშნა მეფემ, — მე ხომ გთხოვე რჩევა. — მამაჩემს და იბნ ომარს ჩემზე მეტი ესმით მშენებლობის ხელოვნებასა და მორთულობის საქმეში, — უპასუხა რაკელმა. — მოგწონს გალიანა ისეთი, როგორიც ახლაა? — ჰკითხა ღონ ალფონსომ. — მათ მშვენიერი სასახლე აგიშენეს, — გულწრფელი აღფრთოვანებით უპასუხა რაკელმა, — მთლად ჩვენი ზღაპრების ჯადოსნურ სასახლეს ჰგავს. — „იგი ამბობს ჩვენი ზღაპრებისო, — გაიფიქრა მეფემ, — ჯერ კიდევ უცხოა აქ და ყოველთვის მაგრძნობინებს, რომ იქ, სადაც თვითონ არის, მე უცხო ვარ“. — და აქ ყველაფერი ისეა, როგორც შენ წარმოგედგინა? — ჰკითხა მან. — რაღაც მაინც არ მოგწონს ალბათ? არავითარ რჩევას არ მომცემ, თუნდაც სულ მცირეს? — ოღნავ გოცებით, მაგრამ და-

უმორცხვებლად შეხედა რაკელმა სულსწრაფ მეფეს. — რაკი მიბრძანებ, მეფეე ბატონო, — უპასუხა მან, — გეტყვი. სარკეები არ მომწონს გალერეაში. არ მომწონს ყოველ წუთში ვუყურო ჩემს გამოსახულებას. თითქმის მეშინია კიდევ, როცა ერთდროულად გხედავთ შენ, მამას, ხეებს და შადრევანს ნამდვილად და ამავე დროს ანარეკლებს. — კარგი, სარკეებს ავიღებთ, — გადაწყვიტა მეფეე. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ისინი ქვის სკამზე ისხდნენ. დონ ალფონსო რაკელს არ უყურობდა, მაგრამ გალერეის სარკეებში ხედავდა. ხედავდა და ათვალეირებდა. იგი მას პირველად ხედავდა. მკვირცხლი და დაფიქრებული, მცოდნე და მიაშიტი, გაცილებით მასზე უმცროსი და გაცილებით უფროსი იყო რაკელი. ალფონსოსთვის რომ ეკითხათ, აგონდებოდა თუ არა რაკელი ორი კვირის წინ ბურგოსში, კეთილსინდისიერად უპასუხებდა, რომ არაო. და ამავე დროს ეს სიცრუე იქნებოდა. რაკელი მის გულში ჩასაფრებელიყო.

ალფონსო კვლავ რაკელს ათვალეირებდა სარკეში. გამხმარი სახე შავ წარბებქვეშ დიდი მონაცრისფრო-ცისფერი თვალები, ძალიან მიაშიტი და ბავშვური, მაგრამ დაბალ შუბლში ალბათ ბრძნული ფიქრები უტრიალებს. არ არის კარგი, რომ ბურგოსშიც კი ვერ ივიწყებდა რაკელს. „ალაფია — მშვიდობა მომსეღელს“, ესალმებოდა მეს ახალი სასახლე, მაგრამ არც ისაა კარგი, რომ მან გადააქეთა ეს სასახლე. დონ მარტინი მართალი იყო, როცა ჰკიცხავდა: მუსლიმანური ფუფუნება ქრისტიან რაინდს არ უხდება, განსაკუთრებით ახლა, ჯვაროსნული ომის დროს.

დონ მარტინმა ერთხელ განუმარტა მას, უწყესო ქალთან ძილი საპატიებელი ცოდვაა, მუსლიმან ტყვე ქალთან უფრო ნაკლებ საპატიებელი, კეთილშობილ ბანოვანთან უფრო ნაკლებ საპატიო. უეპველია, ყველაზე მძიმე ცოდვა — ებრაელის ქალთან ძილია.

დონა რაკელმა საუბარი დაიწყო, რომ უხერხული სიჩუმე დაერღვია, იგი ცდილობდა მხიარულად ელაპარაკა:

— მაინტერესებს, მეფეე ბატონო, რა ლექსებს ამოირჩევ ფრიზებისათვის. მხოლოდ ლექსები მისცემენ სახლს ნამდვილ აზრს. და რომელ ანბანს ირჩევთ — არაბულს თუ ლათინურს?

დონ ალფონსომ გაიფიქრა: „დახე როგორი თამაშია, სრულებით: არ ერიდება, ქედმაღალია, ამყოფს თავისი ჰკუთითა და გემოვნებით. მაგრამ მე მას ვაჭობებ სიჩუიტეში. დე, დონ მარტინმა რაც უნდა ის ილაპარაკოს. ბოლოს და ბოლოს ჯვაროსნულ ომში წავალ და ყველა ცოდვები მეპატიება“.

ალფონსომ თქვა: — ვფიქრობ, რომ ლექსებს მე არ ავარჩევ,

კეთილშობილო ბანოვანო, მე არ გადავწყვეტ, როგორი ასოები უნდა იყოს: ლათინური, არაბული თუ ებრაული. — იგი იეპუდას მიუბრუნდა, — ნება მომეცი, ესკრივანო, ვიყო შენ მიმართ ისეთივე გულახდილი, როგორც დონა რაკელი იყო ჩემთან ბურგოსში. რაც თქვენ გაგიკეთებიათ, ძალიან ლამაზია, მხატვრები და საქმის მცოდნენი შეგაქებენ, მაგრამ მე არ მომწონს. ეს საყვედური არაა, ღმერთმა მოშოროს. პირიქით, გაცელებული ვარ, რა ჩქარა და კარგად გააკეთეთ ყველაფერი, შენც მართალი იქნები, თუ იტყვი: „შენ ასე ისურვე, მე მხოლოდ დაგემორჩილე“. ყველაფერს ისე ვლაპარაკობ, როგორც არის: მაშინ, როცა ეს გიბრძანე, სწორედ ასე მსურდა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მე ბურგოსში ვიყავი ჩემ უძველეს, პირქუშ სასახლეში, რომელიც დონა რაკელს მოუხერხებელი ეჩვენა. ახლა კი ჩემთვის ეს არის მოუხერხებელი. იმასაც კი ვფიქრობ, სარკეებიც რომ აიღოთ და კედლებიც საუცხოო ლექსებმა დაამშვენონ, ჩემთვის მაინც არ იქნება მომხიბლელი და მიმზიდველი აქაურობა.

— ძალიან ვწუხვარ, მეფევე ბატონო, — თქვა მოჩვენებითი გულგრილობით დონ იეპუდამ. — სასახლის გადაკეთებაში ბევრი შრომა და ბევრი ფული დაიხარჯა, და მე მაწუხებს, რომ ჩემი ქალიშვილის მიერ უცაბედად ნათქვამმა სიტყვამ ჩაგაგონა, ავეშენებინა სახლი, რომელიც არ მოგწონს.

„დონ მარტინმა ძალიან ბევრი იყისრა, — გაიფიქრა მეფემ, — როცა უნდოდა ჩემთვის მავრიტანული სასახლის აშენება აეკრძალა. ვერც ებრაელის ქალთან ძილს ამიკრძალავს“.

— შენ ყველაფერი ძალიან ადვილად გწყინს, დონ იეპუდა იბნ ეზრა, — უთხრა მეფემ, — უდავოდ ამაყი კაცი ხარ. როცა შენთვის ალბოროკედ მინდოდა კასტილიო დე კასტრო მეძღვნა, უარი თქვი ჩემს საჩუქარზე. ჩვენ ხომ მაშინ დიდ გარიგებაზე დავდევით ხელშეკრულება, დიდი გარიგება კი დიდ ალბოროკეს მოითხოვს. ზოგიერთი რამ უნდა გამოასწორო, ესკრივანო. ეს სასახლე მე არ მომწონს — როგორც უკვე ვთქვი, ამაში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. — იგი მეტისმეტად მყუდროა ჯარისკაცისათვის. თქვენ იგი მოგწონთ. ნება მომეცით გაჩუქოთ.

იეპუდა გაფითრდა, კიდევ უფრო გაფითრდა დონა რაკელი.

— ვიცი, — განაგრძობდა მეფე, — შენ ისეთი კარგი სახლი გაქვს, რომ უკეთესის ნატვრაც კი არ შეიძლება. მაგრამ, იქნებ ეს სახლი შენს ქალიშვილს შეუყვარდეს. გალიანა ხომ თავის დროზე მუსლიმანი პრინცესას სასახლე იყო? აქ შენი ქალიშვილი თავს კარგად იგრძნობს, ეს სახლი სწორედ მისი შესაფერისია.

სიტყვები თავაზიანად ეღერდა, მაგრამ მეფე მაინც დაღვრე-

მილი ამბობდა, მისი შუბლი ღრმა ნაოქებს დაეღარა, ნათელი, გაბრწყინებული თვალები დონა რაკელს დაუფარავი მტრობით მისჩერებოდა.

ალფონსომ მზერა მოაშორა რაკელს, სულ ახლოს მივიდა დონ იეპუდასთან და უთხრა, ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ, დამარცვლით რომ ყოველივე სიტყვა, რაკელს გაეგო: — გაშიგე, მე მინდა, რომ შენმა ქალიშვილმა აქ იცხოვროს.

დონ იეპუდა მეფის წინ იდგა მოკრძალებული და მორჩილი, მაგრამ მას თვალები არ დაუხრია, საიდანაც აღშფოთება, სიამაყე და სიძულვილი გამოსჰქვიოდა. დონ ალფონსოს სხვის სულში ღრმად ჩახედვის უნარი არ ჰქონდა. მაგრამ ახლა, როცა თავის ესკრივანოს პირდაპირ იდგა, კარგად იგრძნო, რა ქარიშხალიც მძვინვარებდა მის გულში, და წუთის რაღაც უმნიშვნელო მონაკვეთში ინანა, რომ ეს კაცი გამოიწვია ბრძოლაში.

სამარისებური სიჩუმე მძიმე ტვირთად დააწვა სამივეს, თითქოს ფიზიკურადაც კი იგრძნეს ეს სიმძიმე. შემდეგ იეპუდამ გაჭირვებით წარმოთქვა: — შენ ჩემზე ბევრი წყალობა მოიღე, მეფევე, ნუ დამასამარებ მეტისმეტ წყალობათა ქვეშ. — იმჯერად, როცა ჩემ ალბოროკეზე უარი მითხარი, გააბტიე. ნუ გამაჯაერებ მეორეჯერ. მე მინდა ეს სასახლე შენ ქალიშვილს და შენ გაჩუქოთ. Sic volo, — თქვა მან მტკიცედ, სიტყვათა დაყოფით და კასტილიურადაც გაიმეორა: — ასე მსურს! — და მაშინვე გამოძწვევი თავაზიანობით ნიუბრუნდა ქალიშვილს: — მადლობას არ მეტყვი, დონა რაკელ?

რაკელმა უპასუხა: — აქ დგას დონ იეპუდა იბნ ეზრა. იგი თქვენ ერთგული მსახური და ჩემი მამაა. ნება მომეცით, მან გიპასუხოს.

გაბრაზებული, უმწეო, მოთმინებადაკარგული მეფე ხან იეპუდას უყურებდა, ხან დონა რაკელს და მერე ისევ იეპუდას. როგორ ბედავენ! იგი, ალფონსო, დგას აქ, მათ წინაშე, მამუზარი მთხოვნელივით!

მაგრამ ამ დროს იეპუდამ თქვა:

— დრო მომეცი, მეფევე ბატონო, რომ შესაფერი პასუხი დღირსეული მადლობის გამოსახატავი სიტყვები გამოვძებნო.

უკან დაბრუნებისას რაკელი ტახტრევეანზე იჯდა, იეპუდა ცხენით მიჰყვებოდა გვერდით. რაკელი ელოდა, როდის აუხსნიდა მამამომხდარ ამბავს. როგორც იგი იტყვის და გადაწყვეტს, ისე იქნება სწორი.

ჯერ კიდევ მაშინ, კასტილიო იბნ ეზრაში, რაკელი დააბნია მე-



ფის უჩვეულო მიწვევამ. თუმც მწვევას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, და ამან დაამშვიდა იგი, მართალია, ცოტათი გულიც კი გაუტეხა. დონ ალფონსოს ახალმა მოპატიებებამ ახალი მოლოდინით აღავსო, სასიამოვნო შიშმა აიტანა. მაგრამ რაც ახლა მოხდა, მეფის გადაწყვეტი, თავშეუქავებელი, მბრძანებლური მოთხოვნა მან დარტყმასავით იგრძნო. აქ კურტუაზულობის ნიშანწყალიც არ იყო. ამ მამაკაცს სურს მოეხვიოს, აკოცოს თავისი თავხედი, მოშიშვლებული პირით, დაიძინოს მასთან. და იგი კი არ თხოულობს, მოითხოვს: sic volo!

სველიაში მუსლიმანი რაინდები და პოეტები ხშირად ესაუბრებოდნენ რაკელს გალანტურად, მაგრამ როგორც კი მათი სიტყვები ორაზროვანი ხდებოდა, რაკელი დაირცხვენდა და თავის თავში ჩაიკეტებოდა. მაშინაც კი, როცა ქალები ერთმანეთში სიყვარულისა და სიამოვნების ხელოვნებაზე ლაპარაკობდნენ, მას რცხვენოდა და უხალისოდ უგდებდა ყურს; თვით თავის მეგობარ ლეილასთანაც კი ასეთ საკითხს მხოლოდ გადაკრულად ეხებოდა ხოლმე. სულ სხვა საქმეა, როცა პოეტების ლექსები მოუთხრობდა სასიყვარულო ენებაზე, რომელიც მამაკაცსა და ქალს გონებას უკარგავდა, ანდა როცა თვალდახუჭული და სახეაგზნებული მეზღაპრეები ჰყვებოდნენ ასეთივე ამბებს, მაშინ რაკელის ოცნებაში მწველი და შემაცბუნებელი სურათები წარმოისახებოდა ხოლმე.

ქრისტიანი რაინდებიც ხშირად ლაპარაკობდნენ სიყვარულზე, „სამიჯნურო სამსახურზე“, მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი მაღალფარდოვანი სიტყვები და კურტუაზულობა იყო, მათი სასიყვარულო ლექსები კი რაღაცნაირად ცივი, გათოშილი და ყალბი. ხანდახან, მართალია, იგი ცდილობდა წარმოედგინა, რანაირი სანახავი იქნებოდა, რომელიმე აბჯრით ან მძიმე ფარჩით შემოსილ ბატონს უცებ რომ გაეხადა თავისი სამოსელი და მოხვეოდა მას. ამის წარმოდგენისგან სული ეხუთებოდა, მაგრამ მაშინვე ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდა და ამ სასაცილოში ინთქმებოდა გამაღიზიანებელი და მაცოთუნებელი.

ახლა კი — მეფე. იგი ხედავდა მის შიშველ, მოპარსულ ტუჩებს. რომელსაც მოოქროსფრო, ჟღალი წვერი ევლო გარშემო, იგი ხედავდა მის ნათელ, მკაცრ თვალებს. მას ესმოდა, როგორ თქვა მან ხმისაუწყველად, მაგრამ ისე, რომ მეხივით მოხვდა რაკელის ყურსა და გულს: მე ასე მსურს! რაკელი მშიშარა არ იყო, მაგრამ ამ ხმამ შეაძრწუნა. მაგრამ ეს მარტო შიში როდი იყო. მისი ხმა გულის სიღრმეში აღწევდა. დონ ალფონსო ბრძანებდა და ეს იყო მისი კურტუ-

აზული მანერა, მანერა უხეში და დაუხვეწელი, სამაგიეროდ ძალიან ვაჟაკური და, ყოველ შემთხვევაში, არა სასაცილო.

და აი, მან უბრძანა რაკელს: შემიყვარე! და რაკელი გულის სიღრმემდე შეძრწუნდა. რაკელი ის მესამე ძმა იყო, რომელიც მღვიმის შესასვლელთან იდგა და არ იცოდა, დაეტოვებინა უშიშარი დღის სინათლე და შესულიყო მღვიმის ოქროსფრად მოციმციმე ბინდბუნდში. მღვიმეში კეთილ სულთა მბრძანებელი იყო, მაგრამ იქვე ყოველისგამანადგურებელი სიკვდილიც მძევნავრებდა. ვის შეხვდა იქ მესამე ძმა?

მამა მშვიდი სახით მიჰყვებოდა გვერდით. რა კარგია, რომ მამა ჰყავს. მეფის სიტყვის მიხედვით რაკელს მეორეჯერ უხდება ცხოვრების შეცვლა. გადამწყვეტი სიტყვა მამამისს ეკუთვნის. მასთან სიახლოვე, მისი ალერსიანი, ყურადღებიანი გამოხედვა რაკელს სიმტკიცეს მატებდა.

მაგრამ დონ იეჰუდას, თუმცა შესახედავად დამშვიდებული იყო, წინააღმდეგობის შემცველი ფიქრები და გრძნობები შემოსეოდა.

რაკელი, თავისი რაკელი, თავისი ქალიშვილი, ქვიანი, ყვავილივით ნაზი რაკელი ამ კაცისათვის უნდა გადაეცა.

დონ იეჰუდა მუსლიმანურ ქვეყანაში გაიზარდა, სადაც კანონი და ჩვეულება მამაკაცს რამდენიმე ცოლის ყოლის ნებას აძლევს. ხასას ბევრი უფლება ჰქონდა, წარჩინებული კაცის ხასა, პატივისცემითაც სარგებლობდა. მაგრამ ვერაფერს ვერ მოიფიქრებდა, რომ ისეთი დიდი კაცი, როგორც ვაჟარი იბრაჰიმი იყო, თავის ქალიშვილს ხასად გაუხდიდა ვინმეს, თუნდაც ემირს.

თვითონ იეჰუდას მხოლოდ ერთი ქალი უყვარდა — რაკელის დედა, რომელიც უბედური, სულელური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, ვაჟიშვილის — ალაზარის გაჩენის ცოტახნის შემდეგ. მაგრამ დონ იეჰუდა გაუმადლარი იყო და ცოლის სიცოცხლეშივე ჰყავდა სხვა ქალები. ცოლის სიკვდილის შემდეგაც მრავალი. მაგრამ ამ ქალებს რაკელსა და ალაზარს არ აკარებდა. იგი ვნებას ქაიროელი და ბაღდადელი მოცეკვავეებითა და კადისელი ჰეტერებით იკმაყოფილებდა, რომლებიც განთქმულნი იყვნენ თავიანთი ხელოვნებით სასიყვარულო საქმეში; მერე მეტისმეტად მოყირჰდებოდა და ვიდრე თავის უმწიკვლო ქალიშვილის წინაშე წარდგებოდა, ყოველთვის გამდინარე წყლით განიბანებოდა. მას არ შეეძლო თავისი რაკელი უხეში, მწითურთმიანი ბარბაროსის ხასა გაეხანდა.

იბნ ეზრების საგვარეულო იმით იყო განთქმული, რომ სეფარდელ ებრაელთა შორის ყველაზე მეტი მათ გააკეთეს თავიანთი ხალხისათვის. ისრაელთა კეთილდღეობისათვის იბნ ეზრები ქედს იხრიდნენ

ჯოლმე. მაგრამ სხვაა საკუთარი თავის დამცირება და სულ სხვაა საკუთარი ქალიშვილის დამცირება.

იეჰუდამ იცოდა — ალფონსო წინააღმდეგობას ვერ აიტანდა. მას ისღა რჩებოდა: ან მიეცა ქალიშვილი მეფისთვის, ან გაქცეულიყო შორს, ძალიან შორს, ყველა ქრისტიანულ სახელმწიფოს იქით, რადგან ქრისტიანულ სამყაროში დონ ალფონსოს ენება ყველგან უწევდა მას და მის ქალს. შორეულ მუსლიმანურ სახელმწიფოში, აღმოსავლეთში მოუწევს გადასახლება, სადაც ებრაელები ჯერ კიდევ მშვიდად ცხოვრობენ სულთანის მფარველობის ქვეშ. უნდა წაიყვანოს შვილები და გაიქცეს გადატაცებული, თან წაიღოს მხოლოდ ვალების ტვირთი, რადგან რაც ებადა, ყველაფერი დონ ალფონსოს სამფლობელოში ჰქონდა დაბანდებული. ისეთივე დატაკ-დევენილი, როგორც რაბი ტობია მოვიდა მასთან, მივა იგი კასრ-ეშ-შამაში, ქაიროელ მდიდარ და ძლიერ ებრაელებთან.

მაგრამ კიდევაც რომ ამოიგლიჯოს გულიდან სიამაყე და სულიერად ქედმოხრილი შეურიგდეს გადატაცებას, გაჭირვებას და დევნას — აქვს თუ არა მას ამისი უფლება? თუ იგი თავის ქალიშვილს დაიცავს სამარცხვინო შეუღლებისაგან, დონ ალფონსოს რისხვა ებრაელებს დაატყდებათ. ტოლედოელი ებრაელები ვერ შესძლებენ თავიანთ ფრანკ ძმებს დაეხმარონ, ვერ დაეხმარებიან თავიანთ თავსაც. ალფონსო არქიეპისკოპოსს მიანდობს სალადინის მეათედის აკრეფას და ალჰამას უფლებებს წაართმევს. და ებრაელები იტყვიან: „იეჰუდამ, რჯულის მოღალატემ, დაგვლუპა“ და ისინი იტყვიან: „ერთმა იბნ ეზრამ გვიხსნა, ამ იბნ ეზრამ კი დაგვლუპა“.

როგორ მოიქცეს?

რაკელი კი იცდიდა. იეჰუდა ფიზიკურად გრძნობდა მის გვერდით, ტახტრევანში მჯდომი თავისი ქალიშვილის მოლოდინს. და მან გუნებაში წაიკითხა დიდი უბედურების ლოცვა: „ო, ალაჰ, შენ მოგმართავ გაჭირვებისა და სასოწარკვეთილების ეამს. უშველე ჩემს სისუსტეს და გაუბედაობას. დამიფარე საკუთარი სიმბდალისა და უგუნურებისაგან. დამიფარე აღამიანთა მძიმე ტვირთისაგან“.

შემდეგ მან თქვა: — შვილო ჩემო, ძნელი გადაწყვეტილება გვაქვს მისილება, — თვითონ უნდა მოვიფიქრო ყველაფერი, ვიდრე შენთან ვილაპარაკებდე.

რაკელმა უპასუხა: — როგორც გენებოს, მამა. — გუნებაში კი თქვა: „თუ წასვლას გადაწყვეტ — კარგი იქნება, თუ დარჩენას — არც ის იქნება ურიგო“.

გვიან, ღამით, იეჰუდა მარტო იჯდა თავის ბიბლიოთეკაში და ლამპარის სინათლეზე საღვთო წერილს კითხულობდა.

ისააკის მსხვერპლის შეწირვის ამბავს კითხულობდა. ღმერთმა დაუძახა: „აბრაამ!“ — და მან უპასუხა — „აქ ვარ!“ — და განემზადა ღვთისთვის ერთადერთი საყვარელი ვაჟიშვილის შესაწირავად.

იეჰუდა ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ ნელ-ნელა შორდებოდა მას თავისი ვაჟი. ალაზარს უძლევი ძალით ეწეოდა რაინდული ცხოვრება მეფის სასახლეში, მან ზურგი შეაქცია იუდეველთა და არაბთა ზნე-ჩვეულებასა და სიბრძნეს. მართალია, სხვა პაეები აგრძნობინებდნენ ახალგაზრდა ებრაელს, რომ მისი ადგილი აქ არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანდა, მათი წინააღმდეგობა მხოლოდ აძლიერებდა ალაზარის სურვილს, გამხდარიყო ისეთივე, როგორც ისინი იყვნენ. სამაგიეროდ აშკარად გრძნობდა მის მიმართ კეთილად განწყობილი მეფის მხარდაჭერას.

საკმარისია, რომ ამ კაცმა ვაჟიშვილი წაართვა. არ უნდა დაუშვას, ქალიშვილიც წაართვას. იეჰუდას ვერ წარმოედგინა, რომ მის სახლს აღარ დაამშვენებდა ჰევიანი და მხიარული რაკელი.

მან მეორე საღვთო წერილი გადაშალა და იეფატის შესახებ წაიკითხა, მეძვიე ქალის ძისა და თვითონ ყაჩაღის შესახებ, რომელიც ისრაელის შვილებმა უბედურების ეამს თავიანთ უფროსად და მოსამართლედ დაიყენეს. და ვიდრე მტრების, ამონის შვილთა წინააღმდეგ საბრძოლველად გავიდოდა, მან ღმერთს აღთქმა მისცა: „თუ შენ ამონელებს ხელთ ჩამაგდებინებ, ადონაი, როცა ამონელებზე გამარჯვებული შინ დაებრუნდები, რაც ჩემი სახლის ქიშკრიდან პირველი გამოვა ჩემს შესახვედრად, შენი იქნება, მას სამსხვერპლოზე დავეწვავ“. როცა ამონელთა შვილნი დაამარცხა და შინ დაბრუნდა და მის შესახვედრად ცეკვით და დაირით გამოვიდა მისი ასული, მისი ერთადერთი შვილი, მან შემოიფლითა სამოსი და თქვა: „ოჰ, ჩემო გოგონა! შენ დამლუბე მე და ჩემი სიმშვიდის დამრღვევთა რიცხვში ხარ“. და მან აღასრულა ღვთისთვის მიცემული აღთქმა“.

იეჰუდას თვალწინ წარმოუდგა რაბი ტობიას გამხდარი, დაშრეტილი სახე და ესმოდა კიდევ, როგორ ჰყვებოდა იგი თავისი მონოტონური, გულში ჩამწვდომი ხმით, რომ ფრანკთა თემებში უზენაესის სახელით მამა სწირავდა ვაჟიშვილს მსხვერპლად და საქმროსაცოლეს.

მისგან სხვას მოითხოვენ. ეს ადვილიც არის და უფრო მძიმეც — მისცე ქალიშვილი ავხორც ქრისტიან მეფეს.

მეორე დღით დონ იეჰუდა თავის მეგობარ მუსასთან წავიდა და ყველაფერი დაუფარავად უამბო:—ქრისტიანმა მეფემ მოისურვა,

რომ ჩემმა ქალიშვილმა მასთან დაიძინოს. მან განიზრახა აჩუქოს რაკელს ქალაქგარეთ გაშენებული სახლი, გალიანა, რომელიც მისი ბრძანებით შევაკეთე. ან უნდა გავიქცე, ან ქალიშვილი უნდა მივცე მას. თუ გავიქცევი, იგი შეავიწროებს იმ ებრაელებს, რომლებიც მის მფარველობაში იმყოფებიან, მაშინ ფრანკთა სამეფოში დევნილი უთვალავი ებრაელი აქ თავშესაფარს ვერ იპოვის.

მუსა სახეში შეჰყურებდა მეგობარს და ხედავდა, რომ იგი სრულიად დაბნეული იყო, იეჰუდას მუსასთან არასდროს უტარებია ნიღაბი. მუსამ გაიფიქრა: „იგი მართალს ამბობს — თუ არ დამორჩილდება, საფრთხე მხოლოდ მას და მის ქალიშვილს კი არ ელის, საფრთხე მელის მეც და ტოლედოელ ებრაელებს, ღვთისმოსავ, ბრძენ და უცნაურად ახირებულ რაბი ტობიას და ყველა მათ, ვიზუდაც ტობია ზრუნავს, ისინი კი ძალიან ბევრნი არიან. და თუ იეჰუდა მეფის მრჩეველთა შორის არ იქნება, ომი უფრო ადრე ატყდება“.

მუსამ გაიფიქრა: „იეჰუდას ქალიშვილი უყვარს და არ სურს ცუდი რჩევა მისცეს, მით უმეტეს არ უნდა ძალა დაატანოს. მაგრამ მას სურს, ქალიშვილი აქ დარჩეს და დაემორჩილოს მამაკაცს. იგი თავს არწმუნებს, რომ მძიმე არჩევანის წინაშე დგას, მაგრამ სინამდვილეში უკვე კარგა ხანია აირჩია, აქ უნდა დარჩენა, არ სურს გალატაკებული წავიდეს აქედან, უცხო ქვეყანაში. დარჩენა რომ არ უნდოდეს, მაშინვე იტყოდა: ჩვენ უნდა გავიქცეთ. მეც დარჩენას მოვისურვებდი, მეც ძნელად გავბედავდი გალატაკებას და დევნილობას“.

მუსა ეთანხმებოდა მუსლიმანთა აზრს სიყვარულისა და სიამოვნების საკითხში. ქრისტიანი რაინდებისა და მომღერლების ფაქიზი, ზეშთაგონებული „სამიჯნურო სამსახური“ მას გამონაგონად მიაჩნდა, არაბი პოეტების სიყვარული რეალური, ხელშესახები იყო. მათთანაც კვდებოდნენ სიყვარულით ყმაწვილკაცები, მათი ქალიშვილებიც დნებოდნენ სატრფოზე დარდით. მაგრამ იმაში, რომ მამაკაცი ქალთან დაწვებოდა, დიდ უბედურებას ვერ ხედავდნენ. სიყვარული — გრძნობის საგანია და არა სულის. სატრფიალო ტკობა უსაზღვროა, მაგრამ ეს მხურვალე ტკობა ვერ შეედრება კვლევა-ძიებისა და შეცნობის ნათელ სიხარულს.

გუნებაში მისმა მეგობარმა იეჰუდამ, ალბათ თვითონაც იცის, რომ მსხვერპლი, რომელსაც რაკელისაგან მოითხოვენ, არც ისე დიდია. მაგრამ თუ მუსა არ დაარწმუნებს მას გონივრული სიტყვებით, იეჰუდა, რათა სხვასაც მოეწონოს და თვითონაც დატკბეს თავისი სულიერი სიდიადით და მისიით, მცდარ გზას აირჩევს და წავა ტოლედოდან თავისი ქალიშვილის „ბედნიერებისათვის“. ცხადია, რაკელისათვის ეს ვერაფერი ბედნიერება იქნება, რადგანაც რა მოე-

ლის რაკელს, თუ მეფის ხასა არ გახდება? თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, იეპულა მას მიათხოვებს ვინმე გადასახადის ამკრეფის შვილს ან მდიდარ კაცს. განა უკეთესი არაა, რომ რაკელმა დიდი სიხარული და დიდი უბედურება განიცადოს, იცხოვროს დიდი ცხოვრებით და არა საშუალო, უფერულით? კედელზე არაბული წარწერა იუწყებოდა: „ნურცა ეძებდე ხიფათს და ნურცა განერიდებოდე მას“. რაკელი — მამამისის შვილია: თუ მას წესიერსა, უფერულსა და არასაიმედო, სახიფათო, ბრწყინვალე ცხოვრებას შორის არჩევანი მოუხდა, იგი სახიფათოს აირჩევს.

მუსამ თქვა: — ჰკითხე მას, იეპულა, ჰკითხე შენ ქალიშვილს. — იეპულამ ყურებს არ დაუჭერა და იყვირა: — ჩემ ქალიშვილს თვითონ მივანდო არჩევანი? იგი ჰკვიანია, მაგრამ რა ესმის ცხოვრების? და მას მივანდო ათასობით ხალხის ბედის გადაწყვეტა!

მუსამ საქმიანად და გარკვევით უპასუხა: — ჰკითხე მას, ეს კაცი ზიზღს ხომ არ გვრის. თუ არა — დარჩი. შენ თვითონ ამბობ: რომ თქვენი გაქცევა ბევრს მოუტანს უბედურებას.

(იეპულამ პირქუშად და ბრაზიანად უპასუხა: — და მე სხვათა ბედნიერება ჩემი ქალიშვილის სიმრუშით უნდა ავანაზღაურო?)

მუსამ გაიფიქრა: „აი, იგი ჩემს წინაშე გულწრფელად აღმფოთებული დგას და უნდა, რომ მე შევაცვლეინო აზრი თავისი აღმფოთების მიმართ და უარვეყო მისი ზნეობრივი მოსაზრებები. გუნებაში მან დარჩენა გადაწყვიტა. მისთვის აუცილებელია მოქმედება, მას იზიდავს იგი და თავს ცუდად გრძნობს, როცა უმოქმედოდ არის. ისეთი გაქანება, როგორც მას სჭირდება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ხელში ექნება მმართველობა, მმართველობა კი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ აქ დარჩება. იქნებ კიდევაც — მაგრამ ამაში თავის თავსაც კი არ გამოუტყდება. ბედნიერებად თვლის მეფის გულისთქმას მისი ქალიშვილის მიმართ და უკვე ოცნებობს, რა კეთილდღეობას მოუპოვებს და როგორ ააყვავებს კასტილიასა და თავის ებრაელებს, როგორ ძალაუფლებას მიიღებს მეფის ავხორცობის წყალობით“. მუსა /მეგობარს მწარე დაცინვით შეპყურებდა.

— როგორ აღელდი, — უთხრა მან, — შენ ლაპარაკობ სიმრუშეზე. მეფეს ჩვენი რაკელის მეძავობა რომ უნდოდეს, ჩემად შეხვდებოდა ხოლმე მას. ნაცვლად ამისა, მას, ქრისტიან მჭფეს, სურს იგი, ებრაელის ქალი, გალიანაში დაასახლოს, ისიც ამ დროს, წმიდა ომის დროს!

მეგობრის სიტყვებმა იეპულა აღელვა. როცა დონ აღფონსოს პირისპირ იდგა, ბრაზითა და სიძულვილით იყო ანთებული მისი უხეშობისა და თავშეუკავებლობის გამო, ამავე დროს მტრული პატივის-

ცემაც იგრძნო მისი სიამაყისა და გოლიათური ძალის სურვილის შიმართ. მუსა სწორია: სურვილის ასეთი მრისხანე ძალა უფრო დიდია, ვიდრე ავბორცის უინი.

— ამ სახელმწიფოში წესად არ არის ხასის ყოლა, — შეეკამათა უფრო შერბილებული ხმით იეჰუდა.

— მეფე შემოიღებს ამ ჩვეულებას, — უპასუხა მუსამ.

— ჩემი ქალიშვილი არავისი ხასა არ იქნება, თუნდაც თვით მეფისა, — თქვა იეჰუდამ. — მამამთავართა ხასები ისრავლთა ტომების ფუძემდებლები გახდნენ. გაიხსენე აბრამის ხასა, აგარი: მან ვაჟი-შვილი გააჩინა, რომელიც დედამიწის ზურგზე ყველაზე ძლიერი ხალხის მამამთავარი გახდა, მას იზმაილი ერქვა, — და რაკი იეჰუდა ხმას არ იღებდა, ერთხელ კიდევ ურჩია მას და ძალიან დაჟინებითაც: — ჰკითხე შენ ქალიშვილს, ზიზლს ხომ არ გვრის ეგ კაცი მას.

იეჰუდამ მადლობა გადაუხადა მეგობარს და წავიდა.

წავიდა, ქალიშვილს დაუძახა და უთხრა: — შენ გულს შეეკითხე, შვილო ჩემო, და იყავი ჩემთან გულახდილი. მეფე რომ მოვიდეს წენტან გალიანაში, იგრძნობ თუ არა მის შიმართ ზიზლს? თუ შენ იტყვი: ეს კაცი მე ზიზლს მგვრის — მაშინ ხელს ჩაკვიდებ, დავუძახებ ალაზარს და ჩრდილოეთის მთებით ტულუზელი გრაფის სამფლობელოში გადავალთ, იქიდან კი შორს, ბევრი ქვეყნის გავლით, სულთან სალადინის სამეფოს ვეწვევით. დე მან აქ ცოფები ყაროს და მისმა რისხვამ ათასებს მიაყენოს ზიანი.

რაკელი გუნებაში თვინიერ სიამაყესა და დაუოკებელ ცნობის-მოყვარეობას გრძნობდა. ბედნიერი იყო, რომ ალაჰმა მრავალთა შორის იგი ამოარჩია, ისევე როგორც მისი მამა, და მოლოდინის აუტანელი გრძნობით იყო აღვსილი.

მან თქვა: — მეფე არ მეზიზღება.

იეჰუდამ გააფრთხილა: — კარგად დაფიქრდი, ჩემო შვილო, იქნებ ამ სიტყვებმა ბევრი უბედურება შეგახვედროს. დონა რაკელმა გაიმეორა: — არა, მამა, მეფე არ მეზიზღება.

მაგრამ როგორც კი თქვა ეს სიტყვები, უგონოდ დაეცა.

იეჰუდას თავზარი დაეცა. იგი მას ყურში ჩასჩურჩულებდა ლექსებს ყურანიდან. მან გადია საადს და მსახურ ფატიმას დაუძახა და რაკელის ლოგინში ჩაწვენა უბრძანა. იეჰუდამ მუსა-მკურნალი იხმო.

მაგრამ როცა მუსა მოვიდა, რაკელს უკვე ეძინა, ღრმა, საღი ძილით.

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიიღეს, ეკვები გაუქარწყულდა იეჰუდას და სიმტკიცე იგრძნო: ახლა ყველაფერს განახორციელებს,

რაც ჩაფიქრებული აქვს. გაბედულებამ სახე ისე გაუბრწყინა, რომ რაბი ტობიას მზერაში საყვედურსა და წყენას ამოიკითხავდით. როგორ შეუძლია ისრაელის შვილს, ამისთანა უბედურ დროს ასეთი მზიარული იყოს! მაგრამ იეჰუდამ უთხრა მას:

— გული გაიმაგრე, ჩემო ბატონო და მასწავლებლო, დიდხნის ლოდინი აღარ მოგიწევს, მალე სამხიარულო ამბავი შექნება ჩვენი ძმებისათვის.

დონა რაკელი მთლად გაციხროვნებული იყო სიხარულისაგან. ხან ჩაფიქრდებოდა, ხან მიუკარებელი ხდებოდა, ყოველ წუთს რაღაცას მოელოდა. გაღია საადი ჩასჩურჩულებდა თავის აღზრდილს, გაემხილა მისთვის, რა ემართებოდა, მაგრამ რაკელი არაფერს ეუბნებოდა და მოხუცი განაწყენებული იყო. რაკელს ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის კარგად ეძინა, მაგრამ დიდხანს ვერ იძინებდა. და როცა ძილი გაუტყდებოდა, თავის მეგობრის, ლეილას, ხმა ესმოდა: „ჩემო საცოდაო“, — და დონ ალფონსოს მბრძანებლური ხმა ესმოდა: „მე ასე მსურს“. მაგრამ ლეილა სულელი გოგოა, დონ ალფონსო კი სახელოვანი რაინდი და მეფე.

მესამე დღეს დონ იეჰუდამ თქვა: — ახლა მეფეს ჩვენ პასუხს ვაცნობებ, შვილო. — შეიძლება ერთი სურვილი გამოვთქვა, მამა? — ჰკითხა რაკელმა. — თქვი, რა სურვილი გაქვს, — უპასუხა დონ იეჰუდამ. — მე ვისურვებდი, — თქვა რაკელმა, — ვიდრე გალიანაში წავიდოდე, იქ კედლებზე იყოს გამონათქვამები, რომლებიც საჭირო შემთხვევაში სწორ გზაზე დაამაყენებდა. გთხოვ, მამა, შეარჩიე ეს გამონათქვამები. — რაკელის სურვილმა იეჰუდა აღელვა. — მაგრამ, — შენიშნა მან, — ერთი თვე მაინც დასკირდება, ვიდრე წარწერიან ფრიზებს გააკეთებენ. — დონა რაკელმა ნაღვლიანი სიხარულის გამომხატველი ღიმილით უპასუხა: — სწორედ ამაზე ვიფიქრე, მამა. თუ შეიძლება, ნება მომეცი ამ ხნის განმავლობაში შენთან დავრჩე.

დონ იეჰუდა ქალიშვილს მოეხვია, მისი სახე მკერდში ჩაიკრა ისე, რომ თვითონ ზევიდან დაჰყურებდა. და რა ნახა? შვილის სახეზეც ისეთივე დაძაბული და ბედნიერი მოლოდინი ამოიკითხა, როგორც თათ თვითონ იყო შეპყრობილი.

სახეიმო სვლა, დონ იეჰუდას მდივნის იბნ ომარის მეთაურობით, კასტილიო იბნ ეზრადან დაიწყო. მსახურები მიჰყვებოდნენ ათასგვარი განძეულობით, იშვიათი ხალიჩებით, ძვირფასი ლარნაკებით, შესანიშნავი ნაკეთობის ხანჯლებით, მახვილებითა და სურნელოვანი სანელებლებით დატვირთულ ჯორებს. ქარავანს მიჰყვებოდა



ორი წმიდა ჯიშის ცხენი, მიჰქონდათ ოქროს მარავედებით პირ-  
თამდე ავსილი სამი ქოთანნი. ქარავანმა ბაზრის მოედანი, სოკოდო-  
ვერი გადაქრა და მეფის სასახლისაკენ მიმავალ აღმართს შეუღდა.  
ხალხი უყურებდა და ამბობდა: საჩუქრების ქარავანია.

სასახლეში მორიგე ხაზინადარმა მეფეს მოახსენა: — საჩუქრე-  
ბი გაახლეს. — ალფონსომ გაკვირვებით იკითხა: — რა საჩუქრები?

გაოცებისაგან შეცბუნებული მეფე უყურებდა, როგორ შემოჰ-  
ქონდათ განძეულობა პალატში. იბნ ეზრების საჩუქრები უეჭველად  
ებრაელის პასუხი იყო მის მიერ გამოთქმულ სურვილზე. ქარავმული-  
პასუხი, როგორც საერთოდ ურჯულოებს აქვთ წესად. მაგრამ ებრა-  
ელი უწინდელით შეუცნობელი რჩებოდა. მისი ქარავმული პასუხი  
მეტისმეტად დახვეწილი იყო და დონ ალფონსო ვერ მიუხვდა.

მან იბნ ეზრა იხმო. — რისთვის მიგზავნი ამ მოოქრულ ხარ-  
ხურას? — მივარდა მეფე იეჰუდას. — შენი წინადაცვეთილებისა-  
თვის გინდა მომისყიდო? გინდა, რომ წმიდა ომისაგან თავი გამო-  
ვისყიდო? თუ გგონია, რომ ვერაგული ღალატი შემიძლია? რა ეშმა-  
კური თავხედობაა!

— მომიტევე შენს მსახურს, დონ ალფონსო, — დინჯად უპასუხა  
იეჰუდამ, — მაგრამ ვერ გამიგია, რითი გაგაჯარე. შენ მე, უღირსს,  
და ჩემ ქალიშვილს შემოგვთავაზე მდიდრული საჩუქარი. ჩვენ წე-  
სად გვაქვს საჩუქარს საჩუქრითვე ვუპასუხოთ. ვეცადე, ჩემი სიმ-  
დიდრიდან საუკეთესოები ამერჩია, შენ თვალს რომ სიამოვნებო-  
და. — ალფონსომ მოუთმენლად უპასუხა: — რატომ პირდაპირ არ  
მეუბნები? ისე რომ ქრისტიანმა და რაინდმა გაგიგოს: მოვა თუ არა  
შენი ქალიშვილი გალიანაში?

იგი ებრაელს გვერდში ედგა და პირდაპირ პირში ახლიდა ამ სიტ-  
ყვებს. იეჰუდას სირცხვილი ახრჩობდა. „კიდევაც უნდა მოვახსე-  
ნო, — ფიქრობდა იგი, — უნდა დავუდასტურო უხეში სიტყვებით,  
რომ ჩემი შვილი მის ლოგინში მანამდე იქნება, ვიდრე მისი მიუწ-  
ვდომელი დედოფალი ცხოვრობს თავის შორეულ — ცივ ბურგოსში.  
საკუთარი პირით უნდა ვთქვა სამარცხვინო და დამამცირებელ  
სიტყვები, მე, იეჰუდა იბნ ეზრამ. მაგრამ ამ თავაწყვეტილს სამაგი-  
ეროს კეთილი საქმეებით გადავახდევინებ. უნდა მას თუ არ უნდა!“

დონ ალფონსოს კი ფიქრები არ აძლევდა მოსვენებას: „ვიწვე-  
ვკვდები როდისღა ამოიღებს ხმას, ეს ძალდი? როგორ მიყურებს!  
შიში გიპყრობს აღამიანს, როცა იგი ასე გიკჷქერის“.

მაგრამ, აი, იეჰუდა დაიხარა მეფის წინაშე, დაიხარა ძალიან დაბ-  
ლა, ერთი ხელით მიწას შეეხო და თქვა: — რაკი თქვენი სურვილია,  
ჩემი ქალიშვილი გადმოვა გალიანაში საცხოვრებლად, მეფეო.

ბრაზმა წუთში გაუარა ალფონსოს. უსაზღვრო, ბავშვურმა სიზარულმა გაუნათა ფართო, უცებ გასხივოსნებული სახე. — ეს შესანიშნავია, დონ იეჰუდა! — წამოიძახა მან. — რა მშვენიერი დღეა!

— ბავშვურმა გულუბრყვილობამ ისე გაუსხივოსნა სახე, რომ დონ იეჰუდა თითქმის შეურიგდა მას.

მან უთხრა: — ჩემი ქალიშვილი მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ: როცა გალიანაში მოვა, ფრიზეზზე შესაფერისი გამონათქვამები უნდა იყოს დაწერილი.

დონ ალფონსომ ისევე უნდობლობა იგრძნო და იკითხა: — ეს კიდევ რააა? ჩემს მოსატყუებლად ხომ არ იგონებთ ყოველგვარ ეშმაკურ მიზეზებს?

დონ იეჰუდას მწარედ მოაგონდა მამამთავარი იაკობი, რომელიც რაპილისათვის შვიდი და კიდევ შვიდი წელი წირავდა. ამ კაცს კი შვიდი კვირის მოცდაც არ სურს. გულისტკივილით, წრფელად თქვა: — ჩემ ქალიშვილს ეშმაკობისა და ცბიერების არაფერი ესმის, დონ ალფონსო, გთხოვ, კეთილ ინებე და გაიგე, რომ დონა რაკელს ცოტა ხანს კიდევ უნდა მამის ქერქვეშ დარჩეს, ვიდრე ცხოვრების ახალ გზას დაადგებოდეს. გთხოვ, კეთილ ინებე და გაიგე, მას უნდა იხილოს მისთვის ჩვეული ბრძნული სიტყვები ახალ არცთუ საფრთხეს მოკლებულ ადგილას.

ალფონსომ ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა: — რამდენი დრო დასჭირდება წარწერების გაკეთებას? — იეჰუდამ უპასუხა: ორი თვეც არ გაივლის, რომ ჩემი ქალიშვილი გალიანაში იქნება.



# ნ ა წ ი ღ ი მ ე ო რ ე

სრულ შვიდ წელიწადს განმარტოვდა იგი ციხე-დარბაზში ებრაელის  
ასულთან, არც საკუთარი თავი ახსოვდა და აღარც სამეფო თვისა,  
აღარაფერი აღარდებდა ამ ქვეყანაზე.

ა ლ ფ ო ნ ს ო ბ რ ძ ე ნ ი

Cronica General (დაახლოებით 1270 წელი)

სრულ შვიდ წელიწადს იყო მეფე  
ებრაელ ასულთან ჩაკეტილი,  
ერთი წუთითაც არ სტოვებდა  
და ისე შეუყვარდა იგი, —  
თავისი სამეფო დაივიწყა,  
მან დაივიწყა თავისი თავი.

(სეპულვედას რომანსიდან)



აღფონსომ თვალი გაახილა და მაშინვე გამოფხიზლდა. სიზმრების ოცნებიდან სინამდვილეში გადასასვლელად არსად და არასდროს არ სჭირდებოდა მას დრო. ახლაც უმალ შეეგუა მისთვის სრულიად უჩვეულო, მავრიტანულ პალატს, საითყენაც ფარდაჩამოფარებულ ვიწრო ფანჯრიდან ძლივს მოიკვლევდა გზას დილის მზის სხივი.

შიშველი, მხარბეჭიანი, ტანთეთრა, მწითურთმებიანი, — სასია-მოვნოდ მოღლილი აღფონსო მდიდრულ საწოლში იწვა.

აღფონსოს მარტო ეძინა. რაკელი რამდენიმე საათის შემდეგ იშორებდა მას. ასე იყო წინა სამ ღამესაც. ქალს მარტო სურდა გაღვიძება. საღამოს და დილას, ვიდრე იგი აღფონსოს ეჩვენებოდა — დიდი ხნის განმავლობაში საკუთარი თავით იყო გართული, ბანაობდა ვარდის წყალში და შემდეგ გულდაგულ იცვამდა.

აღფონსო წამოდგა, მხრებში გასწორდა, შიშველმა დაიწყო სიარული ხალიჩებით მოფენილ პატარა ოთახში, ჩუმაღ ღიღინებდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე მეფობდა, ყოველი ბგერა დახშული იყო. ხმას აუწია. ამღერდა, ამღერდა ხმამაღლა, მხედრულმა სიმღერამ მის გულში დახშულ სიხარულს თითქოს შვება აგარჯობინაო.

რაც მის გალიანაში იმყოფებოდა, მებაღე ბელარდოს გარდა, არც ერთ ქრისტიანს არ შეხვედრია, თავისი ახლო მეგობრის გარსერანის ნახვაც კი არ სურდა, თუმცე გარსერანი ყოველ დილით ეახლებოდა მას და თავს აბეზრებდა შეკითხვებით, ხომ არაფერს ისურვებს ან მიბრძანებსო მეფე. უწინ ყოველ წუთს დაკავებული იყო ხალხის მიღებით და საქმეებით, ან თუნდაც საქმეებზე ზრუნვით და საუბრებით. აღფონსო მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პირველად იყო თავისუფალი და, რაც მთავარია, სრულიად მარტო, თითქოს სადღაც შთაინთქა ტოლედო, ბურგოსი, წმიდა ომი, მთელი ესპანეთი, — ირგვლივ არაფერი არ არსებობდა აღფონსოსა და რაკელის გარდა. გაოცებით ემორჩილებოდა ამ ახალ, ჭერ განუცდელ

გრძნობას. აი ეს იყო ნამდვილი სიცოცხლე, დღემდე არ უცხოვრია თურმე, მხოლოდ თვლემდა.

სიმღერა შეწყვიტა, მხრებში გასწორდა, ძლიერად დაამთქნარა და უმიზეზოდ გაიცინა.

შემდეგ რაკელი და ალფონსო ისევ ერთად იყვნენ. ისაუბნეს. ალფონსო ქათმის ბულიონითა და ხორციანი ღვეზელით დანაყრდა, რაკელმა კი კვერცხი, ტყბილეული და ხილი ირჩია. ალფონსომ წყალში გაზავებული სურნელოვანი ღვინო დალია. რაკელმა ძლიერ დაშპრული ლიმონის წვენი დააყოლა. ალფონსო ამაყად და სიხარულით ათვალიერებდა რაკელს. მას განიერი თხელი აბრეშუმის სამოსი ეცვა, თავზე, როგორც გათხოვილ ქალს შეეფერება, თავსახური მოეხვია. მაგრამ, როგორც არ უნდა შეფუთნილიყო, ალფონსო, სულ ერთია, თავით ფეხებამდე იცნობდა მას.

მხიარულად ლაყობდნენ. ალფონსო რაკელს სთხოვდა ყოველივე აეხსნა და მოეთხორო მისთვის, ბევრი რამ რაც რაკელსა და მის წარსულს ეხებოდა, ალფონსოსათვის სრულიად უცხო იყო, მას კი გულთ სურდა ყველაფრის ცოდნა. მისთვის გასაგები იყო რაკელის საუბარი, არაბულ ენაზე ილაპარაკებდა, ლათინურსა თუ კასტილიურზე. ალფონსოსაც თავში მოდიოდა ათასი ახალი აზრი, რაც საინტერესო იქნებოდა რაკელისათვის, და იგიც ჩქარობდა გაენდო სათქმელი მისთვის. თითოეული სიტყვა, რაკელის ან ალფონსოს მიერ ნათქვამი, საყურადღებო იყო, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უაზროდ და ბავშვურად ეღერდა. ხოლო როცა მარტო რჩებოდნენ, იგონებდნენ თავიანთ ნათქვამ სიტყვებს და იცინოდნენ. კარგად ესმოდათ ურთიერთის. თუმცა ერთმანეთისაგან ასე განსხვავდებოდნენ, მაგრამ თავიანთ სანუკვარ გრძნობებში ერთსულოვანი იყვნენ, რადგან ორივენი ერთსა და იმავეს განიცდიდნენ — უსაზღვრო ბედნიერებას.

ო! ერთმანეთთან შეერთების ნეტარებავ!

აი, იგი ახლოვდება, სულ ახლოსაა, თვალის დახამხამება და... ერთი წუთიც... მაგრამ მაინც აყოვნებენ, რადგან სურვილი როდია აღსრულებაზე ნაკლებ სანეტარო.

გალიანას დიდი პარკი ჰქონდა. პარკის დახვეწილ, თეთრი კედლების გალავნის შიგნით ჭერ კიდევ ბევრი იყო სრულიად უცნობი. პატარა ტყესთან, ფანჩატურთან, ტბორთან და თვით სახლთან გასაოცარი ამბები და მოგონებები იყო დაკავშირებული. მაგალითად, ორი ნახევრად დანგრეული ცისტერნა, რომლებიც დროის განმსაზღვრელ ხელსაწყოს წარმოადგენდა, რაბი ხანანას დამსხვრეული მანქანიდან იყო შემორჩენილი. ახლა ესენი ხელუხლებლად ეწყო. რაკელმა

აღფონსოს მოუთხრო რაბი ხანანას სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ. აღფონსომ მოუსმინა, მაგრამ დიდად არ დაინტერესებულა. არაფერი უთქვამს.

ორივემ იცოდა და სიამოვნებით მსჯელობდნენ გალიანას პრინცესას შესახებ, რომლის სახელსაც ეს მამული ატარებდა. მამამისმა, ტოლედოელმა მეფემ გალაფრემ ქალიშვილისათვის ააშენა სასახლე. პრინცესას სილამაზემ უამრავი სასიძოვები მოიზიდა, მათ შორის იყო ბრადამანტე — მეზობლად მდებარე გვადალახარის მეფე, რომელიც გოლიათური მოყვანილობით გამოირჩეოდა. მეფე გალაფრემ აღუთქვა ქალიშვილის ხელი, მაგრამ ფრანკთა მეფემ კარლოს დიდმა, მოჰკრა თუ არა ყური პრინცესას სილამაზეს, გამოცხადდა ტოლედოში, როგორც ვინმე „მენეტი“, გალაფრეს კარის სამსახურში ჩადგა და გალაფრეს უძლიერესი მტერი, კორდოვას ხალიფა დაამარცხა. გალიანას შეუყვარდა მამაცი კარლოსი, ხოლო მეფე გალაფრემ მადლობის ნიშნად ქალიშვილის ხელი აღუთქვა მას. მოტყუებული სასიძო გოლიათი ბრადამანტე დიდძალი ჯარით წამოვიდა და ტოლედოს ომის გაშოუცხადა. მენეტ-კარლოსი ორთა ბრძოლაში გამოიწვია. რა თქმა უნდა, კარლოსმა სიამოვნებით მიიღო გამოწვევა, მტერს სძლია და კიდეცა მოჰკლა გოლიათი. მაგრამ კარლოსს ასე სწრაფად განდიდებამ მტერი და მოშურნე მოუმრავლა. ისინი მეფე გალაფრეს ყურში აწვეთებდნენ: მენეტს სურს შენთვის ტახტის წართმევაო. გალაფრემ გადაწყვიტა, მენეტისთვის მკვლელი მიეგზავნა, პრინცესა გალიანამ წინასწარ შეიტყო ეს, გააფრთხილა თავისი შეყვარებული და მასთან ერთად გაიქცა კარლოსის ქალაქ აახენში. იქ ქრისტიანობა მიიღო და დედოფალი გახდა.

რაკელს სწამდა, რომ გალიანამ მართლა შეიყვარა ფრანკების მეფე და მასთან ერთად გაიქცა. რაც შეეხება იმას, რომ კარლოსმა გოლიათი დაამარცხა, ეს, რა თქმა უნდა, სიცრუე იყო და გალიანას გაქრისტიანებაც კი საერთოდ არ სჭეროდა. — ყოველივე ეს დონ როდრიგომ ძველ წიგნებში ამოიკითხა, იგი დიდად განსწავლული მეცნიერია, — უმტკიცებდა აღფონსო. — კარგი, ძია მუსას შევეკითხები, — გადაწყვიტა რაკელმა.

ცოტა არ იყოს განერვიულებულმა აღფონსომ თქვა. — როცა ჩემმა პაპის პაპამ ტოლედო ხელთ ჩაიგდო, სასახლე გალიანა დაანგრიეს. ის აღარ აღუდგენიათ, რადგან იმ დროს ტოლედო სწორედ საზღვარზე მდებარეობდა. ახლა მტკიცედ ძიპყრია ხელთ კალატრავა, ალარკოსი და ტოლედოსაც აღარ ელის საფრთხე. აი რატომ შეეძელი ასე მშვიდად შემეკეთებინა შენთვის გალიანას სასახლე. — რაკელმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა. რად უნდოდა აღფონსოს



ამის მოყოლა, თუ როგორი გმირია. ის რომ გმირია, რაინდი და დიდი მეფე, ეს ყველამ კარგად იცოდა.

აღფონსო მოითხოვდა რაკელისაგან, რომ მას განემარტა გამონათქვამები, გრეხილ გირლანდებად რომ იყო ჩახვეული კედლებსა და ფრიზებში, რამდენჯერმე მეორდებოდა კუფური დამწერლობა, რაკელიც ადვილად კითხულობდა მათ. მან მოუთხრო აღფონსოს, როგორ ისწავლა წერა-კითხვა. ჯერ ახალი დამწერლობა „ნასხი“, ყურანის ლექსებისა და ალაჰის ოთხმოცდაცხრამეტი სახელი, შემდეგ დაიწყო უძველესი კუფური დამწერლობის შესწავლა, დაბოლოს, ძია მუსას დახმარებით — ებრაული შეისწავლა. აღფონსომ გულში აპატია მეტისმეტად ბევრი, არაფრის მაქნისი ცოდნა, იმიტომ, რომ იგი რაკელი იყო.

წარწერათა შორის კედელზე იყო უძველესი არაბული გამონათქვამი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა ძია მუსას. რაკელმა მეფეს სწორედ ეს გამონათქვამი წაუკითხა: „მშვიდობის ფიფქი უფრო ძვირფასია, ვიდრე გამარჯვების რკინის ტვირთი“. მძიმედ, ბუნდოვნად, მაგრამ ამავე დროს მედიდურად ეჩვენებოდა აღფონსოს რაკელის ბავშვური ბაგეებით ნათქვამი. ეს გასაოცარი სიტყვები მისთვის გაუგებარი იყო. რაკელმა გადაუთარგმნა მისთვის გასაგებ ლათინურ ენაზე: „მშვიდობის უნციჲ ტონა გამარჯვებაზე ძვირფასია“. — სისულელეა, — მოუჭრა აღფონსომ, — ეს გამოსადეგია მხოლოდ გლეხებისა და მოქალაქეებისათვის და არა რაინდთათვის. — აღფონსოს რაკელის გულის ტკენის შეეშინდა და ამიტომ შემარბებელი ხმით დაუმატა: — თუმცა მშვენიერი ქალის ბავით გამოთქმულს მაინც არა უშავს.

— მეც შევთხზე ოდესღაც რაღაც დარიგება, — მოუთხრო აღფონსომ უფრო გვიან, — ეს მოხდა მაშინ, როცა ალარკოსი ავიღე. მე მაშინ ხელთ ვიგდე მთის ქედი ნარ-ელ-აბიადის სამხრეთით, რომლის დასაცავადაც ჩემი ბარონების დე აროს ვასალის, ვინმე დიეგოს მეთაურობით დავტოვე ძლიერი რაზმი. დიეგოს დასძინებოდა და მტერი გაპარვოდა, რომელსაც ძალით შეეპყრო მისი ჯარისკაცები. ამ ამბავს კინაღამ ალარკოსი შეეწირა. ვბრძანე ზარმაცი კარავის სარზე მიეხათ. აი, სწორედ მაშინ შევთხზე ჩემი დარიგება. იქნებ მოვიგონო: „დე ფხიზლად იყოს ის, ვინც ისწრაფვის მტერს სიცოცხლე მოუსპოს და ფარი წაართვას. მძინარე მგელი მშვიერი რჩება. მძინარე კაცი ვერ გაიმარჯვებს“. ვბრძანე ეს სიტყვები დიდი ასოებით დაეწერათ, რათა დიეგოს წაეკითხა პირველ, მეორე და მესამე დილას. მხოლოდ შემდეგ დავათხრე ვინე თვალები, რომლითაც არაფერს ხედავდა. მერე კი ალარკოსი ვიგდე ხელთ.

იმ დღეს რაკელს ხმა არ ამოუღია.

პაპანაქებაში რაკელი ჩვეულებრივ გარეთ არ გამოდიოდა. იგი მყუდრო ნახევრადჩაბნელებულ საწოლ ოთახში იწვა, სადაც კედელზე გაკრული წყლით გაყვანილი ქეჩა საამოდ აგრილებდა იქაურობას. დონ ალფონსო პარკში, ხის ჩრდილქვეშ წვეებოდა, მებაღე ბელარდოს მახლობლად, რომელიც, მიუხედავად საშინელი სიცხისა, ბეჯითად შრომობდა, ან ისე იქცეოდა, თითქოს შრომობსო. ალფონსოს დანახვაზე ბელარდომ პირველად გაპარვა გადაწყვიტა, მაგრამ ვერ მოასწრო—მეფემ დაუძახა. უყვარდა ბაასი მდაბიოსთან. იცოდა მათთან საერთო ენის გამონახვა, მათ კილოზე ლაპარაკი. ამიტომ იყო სწორედ, რომ დიდი მოწიწებისა და რიდის მიუხედავად, მასთან მართლის თქმას არ ერიდებოდნენ. მეფეს ძლიერ ართობდა ბელარდოს მოთაღლითო, მრგვალი, პრიალა სახე და თვით ბელარდო თავისი გულუბრყვილო-ემპაქური ხრიკებით. ალფონსო ხშირად უხმობდა ბელარდოს თავისთან.

ბელარდოს სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ალფონსო მას ამღერებდა— უმთავრესად რომანსებს. ბელარდო მღეროდა რომანსს ვინმე ქალბატონ ფლორინდაზე, რომელსაც კავასაც უწოდებდნენ. ფლორინდამ და მისმა მოახლებებმა,—ნათქვამი იყო რომანსში,—რომლებსაც ეგონათ, რომ არავენ უყურებდათ, საჩქაროდ გაიშიშვლეს ნაზი ფეხები და ყვითელი ატლასის ბაბითი დაიწყეს მათი სისქის გაზომვა. ყველაზე ლამაზი და თეთრი ფეხები აღმოაჩნდა ფლორინდას. ფანჯრის ფარდას ამოფარებულმა მეფე როდრიგომ იხილა ქალიშვილების ეს გართობა და იღუმალი ცეცხლი აღენტო გულში. მეფემ იხმო ფლორინდა და უთხრა: „გაფურჩქნულო ფლორინდა, შენმა სიყვარულმა დამაბრმავა და დამასნეულა. გამკურნე სენისაგან, სამაგიეროდ სამეფო კვერთხსა და გვირგვინს გიბოძებ!“ რომანსში ნათქვამია — თავდაპირველად ფლორინდამ არაფერი უპასუხა, დიახ, რომ ის განაწყენდა კიდევ, მაგრამ ბოლოს მეფემ თავისას მიადწია და მშვენიერმა ფლორინდამ დაჰკარგა თავისი უმანკოების იერი. მალე მეფე დისაჯა თავისი ცოდვილი ავხორცობისათვის და მასთან ერთად მთელი ესპანეთიც. და თუ იკითხავთ, ვინ იყო ამ ორ არსებას შორის დამნაშავე, მამაკაცები გიპასუხებენ — ფლორინდა, ხოლო ქალები — როდრიგო.

ასე მღეროდა მებაღე ბელარდო. მეფე უსმენდა და ერთი წამით ექვიც კი შეეპარა, უტიფარი განზრახვით ხომ არ მოაგონა მებაღემ მას გოთების უკანასკნელი მეფის როდრიგოს უკუღმართი ბედი. როგორც სხვა რომანსებშია, გრაფმა ხელიანმა, ფლორინდას მამამ

არაბებთან დაამყარა კავშირი. ამით სამაგიერო უნდა ეზლო მეფე როდრიგოსათვის. სულ მალე ესპანეთში არაბები შემოიყვანა და როდრიგოს ცოდვიანი აღგზნება გახდა მიზეზი ქრისტიანი გოთების სამეფოს დაღუპვისა. მაგრამ მებალე ბელარდოს სახეს სულელური გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა. მას ბოროტი განზრახვა არ ჰქონია.

ნაშუადღევს რაკელი გუბურაში ბანაობდა. იგი ალფონსოს ეძახდა საცურაოდ. ალფონსოს ეუხერხულებოდა ქალის წინ გაშიშვლება, ასევე უხერხულად მიაჩნდა, როცა რაკელი მისი თანდასწრებით იხდიდა. ცრურწმენა ეუფლებოდა მას. მუჰამედი თავის მიმდევრებს სამჯერ, — დიახ, ხუთჯერ განბანვასაც კი უბრძანებდა ყოველდღიურად. ებრაელებში მკაცრი სისუფთავე იყო მიღებული რელიგიური კანონის მიხედვით, ამიტომაც ეკლესია კიცხავდა ყველას, ვინც ძალიან ხშირად ბანაობდა.

მხიარული კისკისით ყოფდა რაკელი ცალ ფეხს წყალში, შემდეგ ძალას მოიკრეფდა, გადაეშვებოდა გუბურაში და მიცურავდა. ალფონსო თან მიჰყვებოდა, უსაზღვრო სიამოვნებას განიცდიდა, როცა ყვინთავდა და ცურაობდა.

სრულიად შიშველნი იხდნენ მდინარის ნაპირას და მცხუნვარე მზის სხივებით შრებოდნენ. პაპანაქებისაგან ჰაერი თრთოდა, ყვავილები და თურინჯის ხეები თავბრუდამხვევ სურნელებას აფრქვევდა, წკრიალებდნენ და კრიჭინებდნენ კიჭინობლები. — იცი ამბავი ფლორინდასა და როდრიგოს შესახებ? — უცებ ჰკითხა ალფონსომ რაკელს. — რა თქმა უნდა, რაკელმა იცოდა. — მაგრამ, რომ გოთების სამეფოს დამხობაში მათ სიყვარულს მიუძღვოდა ბრალი — ეს მხოლოდ ზღაპარია და მეტი არაფერი, — განაცხადა რაკელმა მოხუცი ბრძენის ტონით. — ძია მუსამ ყოველივე ამიხსნა: ქრისტიანული სამეფო დაჩაჩანაკდა, გოთების მეფეები და ჯარისკაცები ძლიერ განებვირდნენ, სწორედ ამით ისარგებლეს ჩვენებმა და პატარა ძალებით ასე უცბად დაამარცხეს ისინი.

ალფონსომ შუბლი შეიჭმუხნა, როცა რაკელმა სიტყვა „ჩვენი“ იხმარა, მაგრამ საეჭვო მოხუცის, მუსას განმარტება მაინც მოეწონა. — სადღაც მართალია შენი მოხუცი კიოტი მუსა, — შენიშნა ალფონსომ, — მეფე როდრიგო ცული ჯარისკაცი იყო და ამიტომაც დაამარცხეს. მაგრამ მას შემდეგ ჩვენ დავეუფლეთ სამხედრო ხელოვნებას, — წელში გასწორდა და ისე დაუმატა მან, — სამაგიეროდ მუსლიმანები გაანებვირეს ხალიჩებმა, ლექსებმა და კიდევ ღმერთის ოთხმოცდა ცხრა მეტმა სახელმა, რომლის დაზეპირებას შენ ჩაგჩინებდნენ. ახლა ჩვენ დედამიწის პირისაგან აღვგვით მათ ციხე-

სიმაგრეებს, კოშკებს, გავანადგურებთ მათ მბრძანებლებს, ხოლო ქალაქებს დედამიწასთან გავასწორებთ და ზედ მარილს მოვაყრით. საკუთარი თვალით იხილავ, მშვენიერო ბანოვანო, როგორ ჩავეყრით შენ მუსლიმანებს ზღვაში. — ალფონსო წამოხტა, შიშველი, ლაღი, მხიარული იღვა იგი მცხუნვარე მზეში.

უცებ ალფონსო უცხო გახდა მისთვის და ამის გამო რაკელი მოიკუნტა. გასაოცარი კაცი იყო მისი ალფონსო, იგი იღვა რაკელის წინაშე ძლიერი, მხიარული, მეტად ამაყი და ვაჟკაცური, ჭეშმარიტად ღირსია მისი სიყვარულისა. გონებითაც მაღლა დგას, ვიდრე ამას რაკელი წარმოიდგენდა. არა, იგი ჩინებული ვაჟკაცია, ჭეშმარიტად კასტილიის მბრძანებლად და დაბადებული, შესაძლოა არა მარტო კასტილიის, არამედ ზღვით გარშემორტყმული მთელი ანდალუზიის. მაგრამ, რაც ყველაზე ძვირფასია ცასა და დედამიწაზე მისთვის მიუწვდომელია. უმთავრესი არ ესმის: არაფერი იცის სულის შესახებ, რაკელმა კი იცის იმიტომ, რომ მუსასი და მამამისის გაზრდილია და იმიტომაც, რომ იგი ეკუთვნის იმათ, რომლებმაც მეგვიდრობად „ღიღი წიგნი“ მიიღეს.

ალფონსო ხვდებოდა, რას განიცდიდა რაკელი. მან იცოდა, რომ რაკელს მთელი გულით უყვარდა იგი, რომ მისთვის ყველაფერი ძვირფასი იყო: ალფონსოს სიმაჟაცე, გულადობა, მოკარბებული ძალა, თუნდაც მანკიერების თანაზიარი. მაგრამ საუკეთესო, რაც მას გააჩნია, ეს რაინდობაა — მხოლოდ რაკელს არ ძალუძს ამის გაგება. მას მხოლოდ სიყვარული შეუძლია. ქვეყნად არვის ძალუძს რაკელს აუხსნას და განუმარტოს, რა არის რაინდობა და რა არის მეფე. „ამ საქმისა ჩემ ძაღლებს უფრო გაეგებათ“ — განზრახი უხეშობით გაიფიქრა ალფონსომ და დაენანა, რომ გალიანაში არ ჩამოიყვანა თავისი უშველებელი ძაღლები. ამავე დროს ბუნდოვნად შეიგრძნო, რომ რაკელის სულშიაც იყო მისთვის შეუცნობელი კუნძულები. ეს იყო არაბული, ებრაული, ალფონსოსათვის სრულიად უცხო, რასაც ვერაფრით ვერ ჩაწვდა, რისიც მხოლოდ განადგურება შეეძლო. და ჭერ კიდევ შეუცნობლად, ჭერ კიდევ ისე, რომ ვერცკი გამოხატავდა. წამიერად იგრძნო ალფონსომ: რომ ასეთივე მდგომარეობა სუფევდა დღეს მის ესპანეთში. ქვეყანა მას ეკუთვნოდა, იგი ფლობდა მას. დმერთმა უწყალობა ეს, იგი მეფე იყო აქ და ძლიერ უყვარდა თავისი ქვეყანა. მაგრამ ამ ესპანეთში უდიდესი ნაწილი სწორედ იმ არაბულისა და ებრაულისა, რომელიც მეფის მორჩილი იყო, მისთვის მაინც მიუწვდომელი რჩებოდა.)

უცბად ალფონსომ დაინახა — რაკელი მოკუნტული იჭდა უმწეო და მთელი ჯრსებით მას მიწოდებოდა. შენიშნა უბედურებაში მყოფი

ქალი და მყისვე გაახსენდა რაინდული მოვალეობა. — ნუ გეშინია, შენს მუსლიმანებს არც ხვალ, არც ზეგ არ ვუპირებ ზღვაში გადაყრას, — დაამშვიდა მან რაკელი, — სულაც არ მინდოდა შენი წყენა.

სულ რამდენიმე დღემ განვლო, მათ კი ასე ეგონათ, გალიანაში მთელი სიცოცხლე გავატარეთო. ისინი ერთფეროვნებას და მოწყენას არ გრძნობდნენ, პირიქით, დღეები მოკლედ ეჩვენებოდათ და ღამეებიც არ ყოფნიდათ, ჯერ კიდევ რამდენი საინტერესო უნდა მოეთხროთ ერთმანეთისათვის და რამდენი ახალი გასართობები და თავშესაქცევი ელოდათ მომავალში.

შიგნით ეზოში, პატიოში, შადრევანთან იჯდა რაკელი-მეზღაპრე. შადრევნიდან ატყორცნილი წყლის ნაკადი ჩქეფდა, რაკელი კი განაგრძობდა ოცი, ასი ზღაპრის თხრობას. ზღაპრები ერთიმეორეს ისე ენაცვლებოდნენ, როგორც წარწერები კედლებზე. იგი უყვებოდა მეფეს გველის მსახვრელსა და მის მეუღლეს. გულუხვ ძაღლზე, აზრას ტომიდან ერთ-ერთი შეყვარებულის სიკვდილზე და ნაღვლიანი მასწავლებლის ამბავს. კიდევ უამბო ერთკბილასა და ორკბილას და აგრეთვე დიდებულზე, რომელიც დაორსულდა. მოუთხრო ზღაპარი ჩიტი როკის კვერცხზე და ზღაპარი ფორთოხლის შესახებ, რომელიც იმწუთშივე გადაიშალა, როგორც კი პოეტმა გადაწყვიტა შეეჭამა. და უცებ ფორთოხალი დიდ ქალაქად გადაიქცა, აქაც პოეტს უამრავი საკვირველებანი და სათავგადასავლო ამბები ელოდა.

რაკელი შადრევნის კიდზე იჯდა, ხელებზე თავდაყრდნობილი მოუთხრობდა და ხშირად თვალებს ხუჭავდა, თითქოს უნდოდა განეცადა ის, რასაც ჰყვებოდა. მოუთხრობდა რაკელი წმიდა აღმოსავლური წესებით. მაგალითად: „მაგრამ მეორე დღით — დილა მშვიდობისა, კეთილო მეფეო და მსმენელო, — ჩვენი ქვრივი გაემგზავრა ვაჰართან...“ — ანდა თვითონ შეწყვეტდა თხრობას და შეეკითხებოდა: „აბა მითხარი, შენ როგორ მოიქცეოდი იმის აღგილას, კეთილო მეფე და მსმენელო?“

აღფონსო ისმენდა, თუ რაოდენ საინტერესო ამბები ხდება ქვეყანაზე, იგი თანდათან ხვდებოდა, თუ რა არაჩვეულებრივი იყო მისი ხედარი, რომელსაც დღემდე სრულიად ბუნებრივად თვლიდა. არა, კაცმა მართალი რომ თქვას, რაკელის ზღაპრებზე ნაკლები ფანტასტიკური როდი იყო ის, რაც მეფემ გადაიტანა, წარმოდგენაც კი შეუძლებელია. სამი წლის ბიჭუნა მეფე გახდა. მის ირგვლივ მყოფი გრანდები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ — ვინ უნდა ყოფილიყო

მეფის მეურვე. ამის გამო ბავშვს დაათრევდნენ ერთი ბანაკიდან მეორეში, ქალაქიდან ქალაქში, ვიდრე ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ქაბუკმა თავისი ბავშვეური ხმით სან-რომანის ტაძრის სამრეკლოდან ტოლედოელ მოქალაქეებს არ მოუხმო, მხარი დაეჭირათ მეფისათვის და ეხსნათ ჭირვეული ბარონების კლანჭებიდან. შემდეგ სრულიად ახალგაზრდა დაქორწინდა მასავით ახალგაზრდა ინგლისელ პრინცესაზე. რამდენი შემოვლითი გზის გავლა მოუხდა პრინცესას ლეონთან ომის გამოც, ვიდრე ქორწილს იზეიმებდა. მთელი თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები ბრძოლებს შესწირა, ვის არ ებრძოდა. ურჯულოებსა და ურჩ გრანდებს, ხან არაგონის, ხან ლეონის, ხან ნავარიისა და პორტუგალიის მეფეებს, მიუხედავად თავისაღვთისმოსაობისა, წმიდა მამასაც კი შეებრძოლა. შემდეგ იგი აშენებდა ეკლესიებს, მონასტრებს, ციხე-სიმაგრეებს. ბოლოს ქალაქგარეთ აღადგინა აი ეს სასახლე გალიანა. აქ დასახლდა. ცხოვრების ნამდვილი აზრი — ეს ქალი იპოვნა თავისი ზღაპრებით, ამ ზღაპრების შინაარსი ძლიერ ჩამოგავდა ალფონსოს ცხოვრებას.

რაკელი სულ ახალ-ახალ გასართობებს იგონებდა. ერთ დღეს იგი ალფონსოს ვაჟურ ტანსაცმელში გამოეცხადა, რომელსაც საერთოდ მოგზაურობის დროს იცვამდა. ხმლის შემორტყმაც კი არ დავიწყებია. ნაზი, მშვენიერი, ოდნავ მოუხერხებლად კეკლუცობდა ალფონსოს წინაშე. რაკელმა მეფეს მძიმე აბრეშუმისგან ნაქსოვი ოქროსქსოვილიანი ხალათი და მარგალიტებით ნაქარგი ფეხსაცმელები აჩუქა. ალფონსომ ყოველგვარი სურვილის გარეშე ჩაიცვა ხალათი და გადაქრით უთხრა უარი, როცა რაკელმა მოსთხოვა, ფეხმორთხმით დამჯდარიყო.

დანაშაულის გამოსასყიდად, რაკელს რომ წყენა მიაყენა ნაჩუქარის დაწუნებით, რაინდულ აბჯარში გამოეცხადა მას. აბჯარი მსუბუქი იყო, ვერცხლისა, მას ალფონსო მხოლოდ საზეიმო დღეებში იცვამდა. რაკელი ალტაცებით შესცქეროდა ალფონსოს წარმოსადგგ და ვაჟკაცურ აღნაგობას. თავი ველარ შეიკავა და გამოუტყდა: მაშინ ხართან შებრძოლებისას შიშით ვცახცახებდით. მაგრამ, როცა რაკელმა სთხოვა ნამდვილ საომარ აბჯარში ჩვენებოდა და ცნობილი ხმლის Fulmen Dei უფლის ელვის — ნახვის სურვილი რომ გამოთქვა, ალფონსომ სიტყვა ბანზე აუგდო.

რაკელი გადია საადთან ალფონსოს აქებდა. გადია პირქუშად ღუმდა. რაკელმა ველარ მოითმინა და აენტო.

— შენ მას ვერ იტან, მთელი არსებით გძულს! — განა შემძლია მძულდეს ის, ვინც შენ გიყვარს, ჩემო ბეკეკა! — განუცხადა საადმა, მაგრამ შემდეგ გამოუტყდა: — გული მტკივა, რომ მეფე ცოლად

არ გირთავს, თუმც შენ იმდენად მშვენიერი ხარ, მისთვის ცოლად არც კი მემეტებო.

გადია შეწუხებული და ნაღვლიანი დადიოდა. ერთ დღეს თავის განიერი გულისპირიდან ამოიღო ყველაზე ძვირფასი განძი, რაც მას გააჩნდა — ვერცხლის ავგაროზი, რომელსაც თითის მაგვარი ხუთი სხივი ჰქონდა. ეს იყო „ფატიმას ხელი“, აკრძალული, მაგრამ ძლიერ მოქმედი ავგაროზი, გადიამ დააფიცა რაკელს მისთვის გამოერთმია ავგაროზი. რაკელს გული აუჩუყდა და გამოართვა.

როცა გადიას ქალაქიდან რაიმეს ამოტანა სჭირდებოდა, იძულებული იყო ბელარდოსათვის მიემართა. მათ დიდის გაჭირვებით ესმოდათ ერთმანეთის. ჩასუქებული ურჯულო ბელარდო ისევე უზინდებოდა გადიას, როგორც ბელარდოს იგი. კაცმა რომ თქვას, ორივეს დიდი სურვილი ჰქონდა ხანდახან ენა მოეთხანა. ისინი სხდებოდნენ ხის ჩრდილქვეშ და მოჰყვებოდნენ ლანძღვა-გინებას. მძიმე ჩადრიანი გადია ხორხისმიერი ბგერებით არაბულ ენაზე, სხაპასხუპით გამოთქვამდა სალანძღავ სიტყვებს მეფეზე, ჩვენს მბრძანებელზე, იმ იმედით, რომ ბელარდო მაინც ვერ გაუგებდა, ბელარდო უხეში კასტილიური კილოთი კილავდა, თან დასტიროდა საზიზღარ შებილწვას ქრისტიანი მეფისა, რომელიც ებრაელის ქალის საწოლში იწვა, მერე რა დროს, როცა წმიდა ომი მძვინფარებდა. თუმც ერთმანეთის არ ესმოდათ, ორივე თანაგრძნობით უქნევდა თავს ერთმანეთს.

ღონ ალფონსომ თავისი ძაღლების ჩამოყვანა ბრძანა, უზარმაზარი ძაღლებისა, რომლებიც საშინლად არ მოსწონდა რაკელს. ალფონსო ძაღლებს სადილობისას ხორცის დიდ ნაჭრებს უგდებდა და ეთამაშებოდა. ჭამის დროს სისუფთავესა და სიჩუმეს მიჩვეულ რაკელს ალფონსოს საქციელი არ მოსწონდა. რაკელის უკმაყოფილობას შენიშნავდა თუ არა ალფონსო, ძაღლებს თავს ანებებდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ თავისას განაგრძობდა. ხანდახან ჭაღრაკს თამაშობდნენ. რაკელი კარგად თამაშობდა. აშკარა ინტერესით, დიდ ხანს ფიქრობდა თითოეულ სვლაზე. ალფონსო ნერვიულობდა, მოითხოვდა სწრაფად გაეკეთებინა სვლა. რაკელი გაოცებული თვალეზით შესცქეროდა. მუსლიმანების ქვეყანაში არ იყო მიღებული პარტნიორის დაჩქარება. ერთხელ ალფონსომ იჩქარა, მოუფიქრებელი სვლა გააკეთა და ფიგურის უკან წაღება მოინდომა. რაკელი შეიკმუხნა, მაგრამ ალერსიანად აუხსნა თამაშის წესი: რადგან ფიგურას ხელი შეაბე, ვალდებული ხარ, სვლა გააკეთო. — ჩვენთან ეს სულ სხვაგვარადაა, — შეეკამათა ალფონსო და ფიგურა თავის

ადგილას დააბრუნა. თამაშის დამთავრებაჰდე რაკელი ღუმდა და ყოველწინაირად ცდილობდა, როგორმე მოეგო ალფონსოს.

გარდა ამისა, ისინი ზოგჯერ ანკესით თევზაობდნენ. ნავითაც სუ-ირნობდნენ მდინარე ტახოზე. რაკელი სთხოვდა ალფონსოს მისთვის შეესწორებინა შეცდომები ლათინურ და კასტილიურ ენებში, თავის მხრივ ალფონსოს არაბულს ასწავლიდა. ალფონსო მეტად სწრაფად ითვისებდა, მაგრამ ასეთ უმნიშვნელო ამბებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

გალიანაში სილის, მზისა და წყლის საათები იყო. რაკელი ზედაც არ უყურებდა მათ. მისი საათი ყვაველები იყო. შირაზის ვარდები შუადღისას იშლებოდა, კონიის ტულიში თავის გვირგვინს მხოლოდ საღამო ჟამს ხსნიდა. ჟამინი კი საამო სურნელებას მხოლოდ შუადღისას აფრქვევდა.

მაგრამ დადგა დღე, როცა გარსერანი ალფონსოსთან შემოიჭრა და მოახსენა: — მამაჩემია აქ. — დონ ალფონსომ მკაცრად შეიკმუხნა ფართო, გლუვი შუბლი. — არავისი ნახვა არ მსურს, — წამოიყვირა, — გესმის, არ მსურს! — გარსერანი ცოტა ხანს ღუმდა, შემდეგ კი უბასუხა: — მამაჩემმა, შენმა პირველმა მინისტრმა, ჟოგახსენა, რომ იმდენი ახალი ამბები აქვს სათქმელი, რამდენიც ჭალარა თმაში. — ალფონსო საშინაო ფეხსაცმელების ფლატუნით ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში მიმოდიოდა. გარსერანი თვალს ადევნებდა, თითქოს შეებრაღა კიდევ მეგობარი. — სთხოვე მამაშენს დამიცადოს, — თქვა ბოლოს მკაცრად მეფემ, — ასე იყოს, მივიღებ.

დონ მანრიკეს არც ერთი საყვედურის სიტყვა არ უთქვამს, იგი ლაპარაკობდა საქმეებზე ისე, თითქოს მხოლოდ გუშინ დასცილდა მეფეს. კალატრავას ორდენის მაგისტრი დაუინებით მოითხოვს შენთან შეხვედრას, მეტად საჩქარო საქმის გამო. კუენკას ეპისკოპოსი ტოლედოში იმყოფება, თხოვს მეფეს, ნება მისცეს თავისი ქალაქის საქმეების შესახებ თვითონ მას მოუსმინოს. ასეთივე თხოვნით მოგმართავენ, მეფეო, წარმომადგენლები ქალაქ ლოგრონოდან და ვილიანუევის რჩეულნი. ხალხი ღელავს, რომ მეფეს არავისი მიღება არ სურს. ალფონსო გაეცხლდა: — რას მიბრძანებ, ვიჯდე და ვუცადო, ხომ არ მოისურვებს ვინმე, თავი მომაბეზროს თავხედური თხოვნებით? ჭერ ორი თვეც კი არ გასულა, რაც კუენკას ეპისკოპოსმა ათასი მარავედი გამომცინებდა. არ მსურს მისი მომტირალი, ძუნწი სიფათის დანახვა. დონ მანრიკემ მეფეს სიტყვა ბანზე აუგდო და ისე განაგრძო:—ვილიანუევა იცდის, რომ დანაპირი შეუსრულოთ. ლოგრონოლთათვის მიცემულ პრივილეგიებს ხელი უნდა მოაწერო.



დროა ლოპე დე აროს საქმეები მოვათავოთ, რა ხანია შეპირებულნი ვართ ამ საკითხის გადაწყვეტას! მაგისტრს შენი თანხმობა სჭირდება კალატრავას ასაშენებლად. შენი ქალაქის კუენკას მცხოვრებლები ბარონ დე კასტროს სარდაფებში ჩამწყვედულნი, შენგან ხსნას ელოდებიან. შენ ეს ყოველივე კარგად იცი, დონ მანრიკე. — განა მე ცოტა ლოდინი დამჭირდა? — პირქუშად, მაგრამ აღრინდელი გულდაჭერების გარეშე უთხრა ალფონსომ და მოულოდნელად დაამთავრა საუბარი: — კარგი, ხვალ ტოლედოში ვიქნები.

ალფონსო რაკელთან წავიდა. წყენისა და ჯავრისაგან თავს ვერ იჭერდა. პირდაპირ უთხრა რაკელს: — ხვალ აუცილებლად უნდა ვიყო ტოლედოში. — რაკელს მკვდრის ფერი დაედო. ხვალ? — შეეკითხა იგი უაზროდ. — დიდხანს არ დავრჩები, — სასწრაფოდ უთხრა ალფონსომ და შეეცადა დაემშვიდებინა, — ორ დღეში დავბრუნდები. — ორ დღეში, — ასევე საცოდავად გაიმეორა რაკელმა ისე, თითქოს ამ სიტყვების მნიშვნელობა ვერ გაიგო და „ნუ წახვალ“ შეევედრა რამდენჯერმე.

ალფონსო დილით ადრე წავიდა. რაკელი მარტო დარჩა.

დილა საშინლად გაგრძელდა და ასე გაგრძელდება მეორე დილაც და მესამეც, ვიდრე ალფონსო არ დაბრუნდება.

რაკელი ბაღში წავიდა, შემდეგ მდინარე ტახოს ნაპირას გაისვინა, სახლში დაბრუნდა, ისევ ბაღში ჩავიდა, შეცქეროდა პირქუშ ქალაქ ტოლედოს. შირაზის ვარდი არ იშლებოდა და შუადღეც იგვიანებდა, მას შემდეგ, რაც ვარდმა ფურცლები გაშალა, დრო უფრო ნელა მიდიოდა. დღისით რაკელი ნახევრად ჩაბნელებულ თავის საწოლ ოთახში იწვა; პაპანაქება იყო, საღამომდე უსაზღვრო დიდი დრო ეჩვენებოდა რაკელს. ისევ ბაღში გავიდა, მაგრამ ტულღებზე ვერ არ გაშლილიყო, ჩრდილებიც ოდნავ გაზრდილიყო. დაბოლოს დაბნელდა, მაგრამ ეს უფრო მტანჯველი აღმოჩნდა.

დაუსრულებული გრძელი ღამის შემდეგ დადგა უფერული დილის რიქრაჟი, შემდეგ გათენდა, სინათლე შემოიჭრა ფარდებიდან, რაკელი წამოდგა. იგი ჩვეულებრივ არ აჩქარებდა მსახურებს, რომლებიც მას ბანდნენ, ნელსაცხებლებით უზღლდნენ ტანს და რთავდნენ. თვითონ რაკელიც, რაც შეეძლო არ ჩქარობდა. საუზმე მოუტანეს, მაგრამ ხილი უმწიფარი მოეჩვენა, ფაქიზად შერჩეული ტკბილეული — უგემური. გონების თვალით ხედავდა ალფონსოს, რომელიც აქ არ იყო, როგორ უყურადღებოდ და ხარბად ჰამდა. რაკელი ესაუბრებოდა მას, სასიყვარულო სიტყვებით მიმართავდა მის გამო-

სახულებას. ალტაცებული იყო მისი პირხმელი, ვაჟაკური სახითა და წითური ქერა თმებით, ლამაზი, თეთრი კბილებით. ვალერსებოდა მის თეძოებს და ფეხებს. ამბობდა ურცხვ სიტყვებს, რომლებსაც, ალბათ, ალფონსოს პირადად ვერასოდეს ვერ გაუბედავდა, თან წითლდებოდა და იცინოდა.

თავისთვის ზღაპრებს ჰყვებოდა. ზღაპრის მთავარი გმირები გოლიათები და სასწაულები იყვნენ, რომლებიც ირგვლივ ყველაფერს მუსრაღდნენ და ისწრაფოდნენ რაკელის მტრების გასანადგურებლად. ისინი ალფონსოს შეხედულებებს იმეორებდნენ, უაზრობამდე დაყვანილთ. ერთ-ერთი ამ შმაგთაგანი ალფონსოც იყო, მაგრამ რაკელს ვერ გამოერკვია რომელი. კაცმა რომ სიმართლე თქვას, ეს ის კი არ იყო, არამედ ვიღაც მოჯადოებული, საშინელებად ქცეული ალფონსო, სატრფოს რომ ელოდა, რომელსაც მისთვის პირვანდელი სახე უნდა დაებრუნებინა, რაკელი გაათავისუფლებს მას ჭადოსგან.

რაკელს გაახსენდა, როგორ ელაპარაკა პირველად ალფონსოს ბურგოსში, როგორ უთხრა, რომ მას არ მოსწონს მისი პირქუში ციხე-კოშკი და როგორ გახედა დედოფალმა დონა ლეონორმა მწყალობელი, ცივი შემფასებლის თვალით რაკელს. უსიამოვნო შეგრძნებამ მოიცვა, სცადა ამ შეგრძნების თავიდან მოშორება.

წერილიც კი დაუწერა ალფონსოს, არც უფიქრია, ოდესმე წაიკითხავდა თუ არა მას ალფონსო, მაგრამ სურდა აეხსნა საყვარელი ადამიანისათვის, რატომ უყვარდა ასე ძლიერ. ამ ბარათში მთელი თავისი სული ჩააქსოვა: „შენ მშვენიერი ხარ, ყველაზე უძლიერესი რაინდი. ესპანეთის გმირი ხარ; როგორც რაინდს შეეფერება, შენ მზად ხარ უაზრობას თავი შესწირო. ერთი მხრივ ეს სისულელეა და ამავე დროს შესანიშნავიც, სწორედ ამიტომ მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო, ჩემო თავაწყვეტილო, მამაცო მეომარო, შენ როხროხა, ფიცხი და თვითნებური ხარ, როგორც მტაცებელი ფრინველი და მსურს მკერდში ჩაგიკრა“. როცა რაკელი ბარათს ხელმეორედ კითხულობდა, ეშმაკურად და ენებინად აქნევდა თავს.

ერთხელ, როცა ფრანკულს სწავლობდა, ფრანკთა ლექსები წაიკითხა. ერთი ლექსი განსაკუთრებით მოეწონა, წიგნი მოძებნა და ზებირად ისწავლა. „ქალმა თქვა: ყოველ აღთქმას ავასრულებ შენთვის, ჩემო მეგობარო, ნამდვილად სასურველო და გულითადო, *mon ami et mon vrai désir*, რაინდმა უთხრა: რით დავიშახტურე შენი სიყვარული, ჩემო ქალბატონო? ქალმა თქვა: „მხოლოდ იმით, რომ სწორედ ისეთი ხარ, როგორსაც ვნატრობდი: *mon ami et mon vrai désir*“.

რაკელი ბალში ჩავიდა. მებაღე ბელარდო ატმებს კრეფდა. რაკელმა სთხოვა სევილიური ადათის მიხედვით, ორი ატამი მაინც დაეტოვებინა, რომ ხეს სიმარტოვე არ ეგრძნო და არ მოსწყენოდა. ბელარდომ ატმების კრეფა შეწყვიტა. რაკელმა მის მორჩილებაში არაკეთილმოსურნეობა შენიშნა.

რაკელი მდინარე ტახოს ნაპირას იჯდა, ტოლედოს მხარეს გასცქეროდა და ოცნებობდა. უცებ ალფონსო წარმოიდგინა ვერცხლის აბჯარში. რაკელი მას ახალ, რკინის მოსევადებულ, სახსრებიან კოხტა აბჯარს აჩუქებს კორდოველი იარაღის მოხელე აბდულას გამოჰკვდილს, რომელიც იმ ჯავშანზე ნაკლებ მოსახმარი როდი იქნება. ქრისტიანები რომ ატარებენ. მამამ უნდა შეუკვეთოს აბდულას აბჯარი ალფონსოსათვის.

უცებ რაკელს გაახსენდა, რომ მამას შეპირდა ზოგჯერ შაბათის დამდეგს გესტუმრები და მთელ სადღესასწაულო დღეს შენთან გავატარებო. მამამისს ეს არ უთხოვია. თვითონ დაპირდა, მაგრამ არასოდეს არ შეუსრულებია. რაკელს ძლიერ გაუკვირდა, როგორი შორეული გახდა მისთვის მამა.

ამ პარასკევს უსათუოდ წავა მასთან. არა, შეუძლებელია ალფონსო ჩამოვა. სამაგიეროდ მომავალ პარასკევს აღარაფერი შეუშლის ხელს.

ტოლედოში არც ერთ მრჩეველს არ უთქვამს მეფისათვის საყვედური, არც გაოცება გამოუხატავთ, მაგრამ ალფონსო კარგად გრძნობდა, ისინი კიცხავდნენ მას. ეს ამბავი ალფონსოს სულაც არ აწუხებდა. მხოლოდ ერთ კაცთან არ სიამოვნებდა შეხვედრა. ეს იეჰუდა იყო. მაგრამ ის არ გამოჩენილა.

დილიდან საღამომდე ალფონსო საქმეებით იყო გართული, მიღებით, თათბირებითა და საბუთების კითხვით. იგი ლაპარაკობდა, დაობდა, შედეგებს ითვალისწინებდა, საკითხებს წყვეტდა და საბუთებს ხელს აწერდა. ალფონსო ცდილობდა ხალხი და მოვლენები ნათლად დაენახა, მაგრამ მის თვალსა და საქმიანობას გალიანას თილისმა ფარავდა ყოველთვის და როცა ლაპარაკობდა, ან რაიმეს ხელს აწერდა, ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა: „ნეტა რას აკეთებს ახლა რაკელი? სად არის — მირადორაზე თუ პატიოში? ნეტა რომელი კაბა აცვია? ალბათ მწვანე...“

ღამით ვნებისაგან იწვოდა. ცდილობდა კალატრავას ციხე-კოშკის გეგმაზე ან კუენკას ეპისკოპოსის დევაზე ეფიქრა, მაგრამ ამის მაგივრად თავში არაბული ლექსის სტრიქონები ენაცვლებოდა

ერთმანეთს, რომელიც რაკელისაგან ესმოდა და ცდილობდა ლექსი მთლიანად აღედგინა გონებაში, მაგრამ, მიუხედავად შესანიშნავი მეხსიერებისა, ყველა რითმის შეკრება უჭირდა, ყოველივე ეს საშინლად ანერვიულებდა ნათლად ხედავდა რაკელის ტუჩებს, ლექსს რომ კითხულობდა. ალფონსოს არ ესმოდა მისი. რაკელი ცდილობდა დახმარებას და ხელებგაშლილი გულში ჩასაკრავად ელოდა. ალფონსოს ცეცხლი ედებოდა, სისხლი უჩქეფდა, ლოგინში მშვიდად წოლის საშუალებას არ აძლევდა.

დაბოლოს, სამმა დღემ, რომელიც საუკუნოდ ეჩვენებოდა, განვლო. ალფონსო ისევ გალიანაში იყო და ძველებური უსაზღვრო არაამქვეყნიური აღტაცება, რომლის გამო სუნთქვა ეკვროდათ, ისევ იპყრობდა ორივეს.

რაკელი ალფონსოს ყოველი სურვილის მორჩილი იყო. მაგრამ მას მაინც არ ყოფნიდა — ალექსი, ამბოჩი, ხვეენა და ბოლოს ერთ სხეულად შეერთება ალფონსოს კიდევ უფრო შმაგად სწყუროდა და მძინევაობდა, რომ მისი წყურვილი დაუცხრომელი იყო.

მასთან უფრო ხშირად იყო, ვიდრე თავისთავთან. ალფონსო რაკელს ანდობდა იმ მეფურად ქედმაღლურ და ბავშვურად გულუბრყვილო საიდუმლოს, რომელსაც დღემდის არავის, საკუთარ თავსაც არ უმქლავებდა; და როცა იგრძნობდა, რაკელს ყველაზე სანუკვარი გავანდო, — ეს სიახლოვე უფრო მეტად უღიზიანებდა სურვილს ეთქვა, რაც მისი სულის სიღრმეში იყო დამალული. ალფონსოს უყვარდა, როცა რაკელი პასუხობდა, რადგან მისი პასუხი თითქმის ყოველთვის მოულოდნელი იყო და ამავე დროს გასაგებიც. არანაკლებ უყვარდა რაკელის დუმილი, რადგან ვის შეეძლო ასე ლამაზად მღუმარება, თანხმობა, წინააღმდეგობა, გახარება, წუხილი, დრტვინვა ან კიცხვა?

და არ არსებობდა მათთვის არც დრო, არც წარსული, არც მომავალი, იყო მხოლოდ პირსავესე აწმყო.

მაგრამ რაკელმა სრულიად მოულოდნელად დაამსხვრია მარადიული ნეტარება.

— დღეს საღამოთი ტოლედოში მამასთან ვაპირებ გამგზავრებას — გამოუცხადა მან.

შეცბუნებული ალფონსო შეჰყურებდა და გუნებაში ფიქრობდა — ნეტა ამ ორს შორის რომელი გაგიყდაო? არა, იქნებ მოესმა! ხმამალა ამის თქმა მას არ შეეძლო, ალბათ, კარგად ვერ გაუგო და ენის ბორძიკით კვლავ შეეკითხა: რაკელმა გაუმეორა: — დღეს საღამოთი მამასთან მივემგზავრები, კვირა დილით დავბრუნდები.

ალფონსო გაცოფდა. — არ გიყვარვარა — გაცხარდა იგი. — ჭერ

რიგიანად არ გაგვიცნია ერთმანეთი და უკვე გული სხვაგან გიწევს. ეს სასიკვდილო წყენა ჩემთვის. არ გიყვარვარ!

სანამ ალფონსო სულ უფრო გაცხარდებოდა, რაკელმა გაიფიქრა: „ამ ქედმაღალ მეფეს ჩემს მეტი არაფერ გააჩნია, სულ მარტოდმარტოა, მე კი მამა და ეგ მყავს“.

შინაგანმა ზეიმმა ვერ იხსნა მწვავე ფიზიკური ტკივილისაგან, რომელსაც რაკელი განიცდიდა იმის გამო, რომ დღევანდელი საღამო, შემდეგ დამე და კიდევ მთელი დაუსრულებელი დღე, კვლავ დაუსრულებელი დამე. უერთმანეთოდ უნდა გაეტარებინათ.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ღონ იეპულა რაკელის წასვლას გაცილებით მწარედ განიცდიდა, ვიდრე ეგონა. დროგამოშვებით ალფონსოს მიმართ ეჭვიანობა ახრჩობდა. ხშირად წამოიდგენდა, რომ ამ საძულველ მეტოქეს შეეძლო სრულიად მოულოდნელად აზრად მოსვლოდა და ერთ მშვენიერ დღეს განადგურებული, გათელილი რაკელი უკან გამოეგზავნა.

ალაზარიც ადარდიანებდა. რაკელის ორჭოფული მდგომარეობა, დისა და მამის სამარცხვინო დიდება სულ უფრო ართულებდა ახალგაზრდის სასახლეში ცხოვრებას. მაგრამ მამას არ თხოვდა რჩევა-დარიგებას, რაც მას ეგონა და აშინებდა. პირიქით, იგი ჩაიკეტა თავის საკუთარ არსებაში, ძლიერ იშვიათად გამოჩნდებოდა სახლში. როცა მოვიდოდა, უგუნებოდ იყო და დუმდა.

რაკელის წასვლის შემდეგ პირველი შაბათი დადგა.

შაბათი დღე ოდითგანვე, ჭერ კიდევ სევილიაშიც იეპულასთვის დიდ საზეიმო დღედ ითვლებოდა. უფალმა თავის ხალხს მეშვიდე დღე უბოძა დასვენების დღედ, რათა ებრაელს, სხვა ხალხისაგან გამორჩეულს, ამ ერთ დღეს უბედურების ქამსაც კი თავისუფლად ეგრძნო თავი. საქმიანი იეპულა ნამდვილად ზეიმობდა შაბათს, იგი ივიწყებდა საქმეებს და გახარებული იყო, რომ მისი ხალხი და თვით იეპულა — ღვთის რჩეულები იყვნენ.

გონების საწინააღმდეგოდ, იგი იმედოვნებდა, რომ რაკელი პირველსავე შაბათს მოვიდოდა მასთან. როცა რაკელი არ მოვიდა, გონებამ გაიმარჯვა და გული არ გაუტეხა, ხოლო მეორე შაბათს ვერც გონებამ, ვერც ღიღამა ნებისყოფამ ვერ შესძლო დაეყუჩებინა მტან-

ჯველი სულიერი ტკივილი. იგი ათი ათას მიზეზს იგონებდა, რასაც რაკელის მოსვლა შეეძლო შეეფერხებინა, მაგრამ უნაყოფოდ. „ნეტა რა მოუვიდა ჩემს ბავშვს? რისთვის მიმატოვა ჩემმა შვილმა?“ — ასეთი ფიქრები ტკინს უბურღავდა იეჰუდას.

შემდეგ ალფონსო ჩამოვიდა ტოლედოში. იეჰუდას მასთან შეხვედრის ცთუნება არ აძლევდა მოსვენებას. კარგი საბაბიც ჰქონდა — გადაუდებელი საქმეები, მაგრამ ეშინოდა, განაწყენებული საკუთარ თავს ვერ მოვერევიო და არ წავიდა. ელოდა, ალფონსო მიხმობსო. ელოდა პირველ დღეს, მეორეს, მესამეს და უხაროდა, მეფე რომ არ უხმობდა, მაგრამ მაინც გაბრაზდა, როცა ალფონსომ ტოლედო ისე დატოვა, რომ იეჰუდა არ გამოუძახნია.

და აი, მესამე შაბათიც მოვიდა ურაკელოდ. მათ — იმ ქრისტიანმა ჭარისკაცმა, უგულო, უსინდისო ადამიანმა და ოდესღაც სიყვარულის ღირსმა და მოსიყვარულე ქალიშვილმა პირი შეკრეს, რომ იეჰუდა დუმილით დატანჯონ, გააწვალონ, მკერდიდან გული ამოგლიჯონ. გათავდა, რაკელი მისთვის სამუდამოდ დაკარგულია.

მაგრამ რაკელისაგან ცნობა მოვიდა. შაბათ საღამოს თვით რაკელიც ჩამოვიდა მამასთან.

იეჰუდას ზიზღს ჰკვრიდა გრძნობების ზედმეტი გამომჟღავნება. მიუხედავად ამისა, რაკელს მაგრად მოხვია ხელი, თავი გადაუწია და მისი ცქერით ტკბებოდა. რაკელმა მამის მკლავებში თითქოს დაისვენა, თვალები დახუჭა. იეჰუდას არ შეეძლო ქალიშვილის თვალებში ამოეკითხა, რა გადაახდა რაკელს. ერთი მაინც ნათელი იყო: რაკელი არ იყო დამცირებული, არც საცოდავი. ეს მისი რაკელი იყო, უფრო გამშვენიერებული.

იეჰუდამ სთხოვა ქალიშვილს სანათური აენთო. ძველი წესის მიხედვით ეს პატივი ქალებს ეკუთვნოდა. სანათურის შუქმა გაანათა დარბაზში ჩამოწოლილი შაბათ საღამოს ბინდი. ნამდვილად საზეიმო საღამო იყო. იეჰუდამ იგალობა იეჰუდა ჰალევის შაბათის სიმღერა. „მოდი, სანუკვარო, მოდი შაბათის დღეო და შეხვდი სასძლოს“ — და მხიარულად ჩაიკითხა დავითის ფსალმუნნი:

„იხარებდინ ცანი და გალობდიან ქუეყანა, აღიძარნ ზღუა და სავსება მისი. იხარებდინ ველნი, და ყოველი რაი არს მათ შინა, მაშინ იხარებდინ ყოველნი ხენი მალნარისანი“.

ტაბლას შემოუსხდნენ ერთგულ მუსასთან ერთად. რაკელი დაფიქრებული იყო, მაგრამ ბედნიერად გამოიყურებოდა. მუსამ, თავისი ჩვეულების მიუხედავად, თავი ვეღარ შეიკავა და რაკელის ხელს მიუაღერსა, თან თქვა: — რა ლამაზი ხარ, შვილო ჩემო. — ბევრ რამე-

ზე ისაუბრეს სუფრასთან, მაგრამ არაფერი თქმულა იმაზე, რასაც ყველა მათგანი ფიქრობდა.

იმ დამეს რაკელს მშვიდი, ღრმა ძილით ეძინა. იეჰუდას ეჭვები სულს უხუთავდა, ან იქნებ ეჭვები კი არა, ეჭვიანობა. თუმცა სატანჯველი, რომელიც იმ დღეებში განიცადა, ნელ-ნელა ქრებოდა.

მეორე დღეს რაკელი თავის მამასთან ერთად პატიოში იქდა შადრევანთან; გაღიმებულებმა ერთმანეთს აღმაცერად შეხედეს. შემდეგ — პირდაპირ, დაბოლოს, რაკელმა პასუხი გასცა იმ კითხვაზე, რომელიც მამამ ვერ გამოთქვა: — ყველაფერი რიგზეა მამაჩემო. თავს უბედურად არ ვგრძნობ. — ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ გამოტყდა: — ბედნიერი ვარ, — მერე სრულიად გულახდილად განუცხადა: — ძალიან ბედნიერი. — იეჰუდას პასუხის გაცემა, საერთოდ, არ უჭირდა; ახლა კი არ იცოდა, რა ეთქვა. რა თქმა უნდა, ამ სიტყვებმა გულიდან მძიმე ლოდი ჩამოუხსნა, მაგრამ თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, უხაროდა ეს თუ არა.

გალიანაში რაკელი თანდათან მუსლიმანობას უბრუნდებოდა, მამასთან კი თავისი იუდეველობა გაიხსენა. იბნ ეზრას კასტილიოს კარებზე, როგორც ყოველი ებრაელის სახლის კარის შესასვლელთან, დამაგრებული იყო იუდეველთა რწმენის ნიშნები — პატარა მილებში მოთავსებული იყო პერგამენტის გრაგნილები ისრაელთა, ჰემშარიტი ერთადერთი ღმერთის აღიარებითა და უსიტყვო ერთგულების აღთქმით. რაკელმა გადაწყვიტა ასეთივე მეზუზა უსათუოდ დაემაგრებინა გალიანას შესასვლელის თავზე.

დაღამდა, დამესთან ერთად დადგა ჰავდალა, გაყრის მეტად ამარუყებელი და ნაღვლიანი ცერემონია, რომლის მეშვეობითაც შაბათი კვირის დანარჩენ დღეებს ეყრება, დღესასწაული — სამუშაო დღეს. სანთელი აანთეს, თასი ღვინით აავსეს, ძვირფასი ბარძიშით სურნელოვნება მოიტანეს. იეჰუდამ ღვინო აკურთხა, მოსვა, შემდეგ სურნელოვნება აკურთხა — დატება შაბათის სურნელებით. ცეცხლიც აკურთხა და ბოლოს ღვინოში სანთელი ჩააქრო.

ამის შემდეგ ერთმანეთს ძილი ნებისა უსურვეს გულდაწყვეტით, ისინი ხომ მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ შეხვდებოდნენ კვლავ ერთმანეთს! რაკელმა დაძინებაც კი ვერ მოასწრო და ყველაფერი სწრაფად დაავიწყდა ერთის გარდა — დალოდებოდა განთიადს, როცა იგი გალიანაში დაბრუნდებოდა.

კანონიკ როდრიგოს მეტად კაცთმოყვარე გული ჰქონდა. კანონიკი დონ როდრიგო ცდილობდა დაეცვა საკანონო ქრისტიანული მოვალეობა, მაგრამ ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ მის კაცთმოყვარე-

ობასა და საკანონო მცნებებს შორის აღიძვრებოდა ხოლმე უთანხმოება. წმიდა მამამ ჯვაროსნული ომი გამოაცხადა და ესპანეთი მოვალე იყო მონაწილეობა მიეღო ამ ომში. მაგრამ, როცა კანონიკი იმას გაიფიქრებდა — ქვეყანაზე ისევ გაჩაღდა დიდი ომი, ხალხები ერთმანეთს აწამებენ და ხოცავენო, იღუმალ უხაროდა, რადგან მისი ნახევარკუნძული დღემდე უფალმა იხსნა. მაგრამ ეს ცოდვიანი სიხარული იყო და როცა დამით წარმოიდგენდა, რომ ვიდრე კანონიკი თავის ესპანელებთან ერთად განცხრომაშია, წმიდა მიწისათვის ქეშმარიტ ქრისტიანებს ელოდათ ტანჯვა და სიკვდილი, ისეთი მწველი სირცხვილის გრძობა იპყრობდა მას, რომ საწოლიდან წამოხტებოდა და შიშველ მიწაზე იძინებდა.

საერთო უბედურებით გამოწვეული მწუხარება, ალფონსოს, მისი სულიერი შვილის გამო მიღებული გულის ტკივილით უორკეცდებოდა. კანონიკს ალფონსო უმცროს ძმასავით უყვარდა. შარავანდელით მოსილმა რაინდმა მეფემ კი დიდად დაამწუხრა. როცა მატთანეს წერას იწყებდა, წინასწარ ტკებოდა სიამით, ვინაიდან ეს მატთანე მისი საყვარელი აღზრდილის მმართველობის აღწერით უნდოდა დაეგვირგვინებინა. სიტყვებიც კი შერჩეული ჰქონდა, როგორ უნდა აღეწერა ალფონსო მერვე *vultu vivax memoria tenax, intellectu capax*, ნათელი სახით, შესანიშნავი მეხსიერებით და ძლიერი გონებით. და უცებ მისი ალფონსო გაუგონარ ხიფათში გაება, მძიმე ცოდვაში ჩაეფლო. უმთავრეს ცოდვათაგან ერთ-ერთ, მესამე მომაკვდინებელ ცოდვაში!

როდრიგო ვალდებულია წააქეზოს ალფონსო, მოინანიოს ყოველივე, მხოლოდ ამას შეუძლია მეფე სულიერი სიკვდილისაგან იხსნას. მაგრამ როდრიგო კარგად იცნობდა ადამიანის სულს, ნათლად ხედავდა, რომ ცოდვილი გაბრუებულია ცოდვის საამო სურნელებით და ყოველივე რჩევა-დარიგება და შეგონება ამო იქნებოდა. კანონიკს ისლა დარჩენოდა, ალფონსოსთვის ელოცა. როცა დონ როდრიგო ხორცის მოკვდინებას მიეცემოდა, ხანდახან ეჩვენებოდა, თითქოს იგი ალფონსოს ცოდვებს ნაწილობრივ ინანიებდესო. მართალია, მომაკვდავს როდი ეკადრება მაცხოვარს დაემსგავსოს და თავზე იდოს სხვა ადამიანის ცოდვები, — კანონიკი ამას გრძნობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვითგვემის დროს გულში მაინც ეპარებოდა დამამწვიდებელი ცთომილება.

თუმცა თავის თავზე აღებული მონანიება არსებითად არაფერს აძლევდა, გარდა იმ გრძნობისა, რომ კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. სამაგიეროდ ამ დალოცვილ საათებში კანონიკი გრძნობდა ნეტარ, არამიწიერ სიმსუბუქეს. თითქოს



მისი სხეული სადღაც ქრებოდა, ყოველი მიწიერი იშლებოდა და ასე ტკბებოდა ღვთისა და სულისაგან შექმნილი ნეტარებით.

კანონიკმა თიოქმის დაკარგა იმედი, რომ მეფეს იხსნიდა სულიერი დაცემისაგან; და აი, ასეთი აღტაცების ერთ-ერთმა წუთმა უველა მისი ეჭვი გაფანტა. იგრძნო, რომ მისი ლოცვები შესმენილია. გულის სიღრმეში იმედი მიეცა, რომ ღმერთი მოწყალებას არ მოაკლებდა და მის ბაგეებს საჭირო სიტყვებს მოუძებნიდა.

ეს იმედი მაშინაც კი არ დაუკარგავს, როცა არქიეპისკოპოსმა პასუხისმართვის იხმო: — როდემდე გინდა უქვერიტო მშვიდად შენს სულიერ შეილს, ალფონსოს, რომელიც წუმბეში ეფლობა? — თავს დაესხა ამ სიტყვებით ღონ მარტინი და ვიდრე კანონიკი პასუხის გაცემას მოახერხებდა, განაგრძო: — გაიხსენე ფინეესი, აარონის შვილიშვილი. როგორ ამხედრდა იმ კაცის წინააღმდეგ, რომელიც მადიანბიტელთან ძრუშობდა. ჩაფიქრებულმა კანონიკმა ღონ მარტინს ახედა და წყნარად ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უპასუხა: — არა მგონია, ღმერთს ენებოს ლახვარი ჩავეცე მეფეს, ჩვენს მბრძანებელსა და ღონა რაკელს. — კარგად გესმის, რომ მე მხოლოდ ქარაგმულად გითხარი, — შეაწყვეტინა მკაცრად არქიეპისკოპოსმა. — ერთი გახსოვდეს: შენ არ ცდილობი — ღმერთზე ვსასოებ, — თქვა ღონ როდრიგომ, — იგი სათანადო წუთებში შთამაგონებს საჭირო სიტყვებს.

არქიეპისკოპოსი მიხვდა, რომ ღონ როდრიგოს საშუალებით ვერაფერს მიაღწევდა. უკვე რამდენიმე კვირაა იმაზე ფიქრობდა, იქნებ თვით მოველაპარაკო მეფეს მის შეუწყნარებელ ბოროტმოქმედებაზეო. ღონ მარტინმა უხალისოდ დაავალა ღვთისმოსავს მეტად მშვიდ როდრიგოს, მეფეს მოლაპარაკებოდა. ახლა გულიც მოსდიოდა. როცა კანონიკს დავალებული შეახსენა, მან პასუხის ნაცვლად რაღაც გაუგებარი, უთავბოლო ლაყბობა მოისმინა მისგან. მიზეზს ეძებდა, ყელში მომდგარი ბოლმა თავის მდივანზე გადმოენთხია.

სხვათა შორის, ისინი დიდი ხნის განმავლობაში ერთი საკითხის გამო დაობდნენ: იმ დროს, როცა მთელი ქრისტიანული დასავლეთი რომაელი ილუმენის დიონისე მცირის კვალს მიჰყვებოდა და წელთაღრიცხვას ქრისტეს დაბადებიდან იწყებდნენ, ესპანელი თავადები კი — ოცდათვრამეტი წლით ადრე, იმ—წლიდან, როცა იმპერატორმა ავგუსტმა იბერიის ნახევარკუნძული ერთ სახელმწიფოდ გადააქცია. წელთაღრიცხვის ასეთმა განსხვავებამ არეგდარევა გამოიწვია საზღვარგარეთთან მიმოწერის დროს. ამის გამო ღონ როდრიგო ყოველმხრივ ცდილობდა არქიეპისკოპოსის კანცელარიიდან ამოღებული ბარათები და წერილები დაეთარიღე-

ბინა საზღვარგარეთიდან მიღებული ნიმუშების მიხედვით. როცა არქივისკოპოსი კარგ ხასიათზე იყო, იგი ადვილად ეგუებოდა მისი მდივნის მიერ ეროტიკული სიახლის შემოღებას. მაგრამ თუ უხასიათოდ იყო, გადაჭრით უკრძალავდა. აი, დღესაც, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მკაცრი ტონით განუცხადა:

— სამწუხაროდ შევნიშნე, ჩემო საყვარელო ბატონო და ძმაო ჩემო, რომ შენ ძველებურად დაიწყე ჩვენი ბარათების დათარიღება იმავე წლიდან, როგორც პაპის კანცელარიაშია. არა ერთხელ მითქვამს შენთვის ჩემი სურვილი, დაცული ყოფილიყო ესპანური ეკლესიის თავისებურება. არ მსურს დღეიდან უარი ვთქვა უფლებებზე, რომლებიც თვით პაპის უფლებებზე უძველესნი არიან. ამოდ როდი იყო ჩემი წინამორბედი ტოლედოს პირველი ეპისკოპოსი პეტრე მოციქულის მიერ ნაკურთხი.

ღონ როდრიგოს კარგად ესმოდა, მისი უფროსი ასეთი გატაცებით რატომ ცდილობდა წელთაღრიცხვის შესახებ ძველი დავის განახლებას და შემარბიებელი ხმით განუცხადა: — მერწმუნე, დიდად პატივცემულო მამაო, ღმერთი არ მომაკლებს წყალობას, რომ ჩვენი მეფის სული ვიხსნა.

ალფონსო შეჩერდა მეზუზას წინ, რომელშიც იუდეველთა მცნებების გრაფილი იღო. იგი თვითონ რაკელმა დაკიდა ჯალიანაში მის პალატში შესასვლელ კარის წირთხლზე. — რაო, კიდეც ბევრი რამის შეცვლას აპირებ აქ? — ჰკითხა ალფონსომ უბოროტო დამცინავი ხმით.

— რა თქმა უნდა, — მხიარულად უპასუხა რაკელმა. — როცა სახლი მთავრდება სიკვდილის მეტი აღარაფერი რჩება, — მოიყვანა ციტატა რაკელმა არაბული გამონათქვამიდან. — როგორც გენებოს, — დაეთანხმა ალფონსო, — კიდეც ერთი ავგაროზი არაფერს დააშავებს.

რაკელს აღარაფერი უთქვამს. მას გული არ მოსვლია ალფონსოზე, რომელმაც მისი სარწმუნოების მცნებებში მხოლოდ ავგაროზი შენიშნა და მეტი არაფერი. ან კი როგორ შეეძლო ალფონსოს ისრაელთა ერთსახოვანი, უხილავი ღმერთის არსის გაგება, როცა თვითონ მუხლს იდრეკდა სამი ღმერთის ხატის წინაშე? ალფონსო მხოლოდ რაინდი და ჭარისკაცი იყო და, რა თქმა უნდა, მოკრძალებული ჩურჩული ზენაარის წინაშე მისთვის უცხოა. რაკელმა ეს კარგა ხანია იცოდა, მაგრამ საოცარი ის იყო, ყოველივე ეს მის თვალში სრულიად არ ამცირებდა ალფონსოს. რაც არ უნდა დამღუპველი და

უღვთო ყოფილიყო ალფონსოს რაინდობა, იგი თავისებურად ათ-  
ბობდა რაკელის გულს.

ალფონსო თავის მხრივ ცდილობდა აღექვა, რაც დღემდე ბუნ-  
დოვნად ჰქონდა წარმოდგენილი. დე, გალიანაში მისი ყოფნა ჩა-  
ეთვალათ რაინდისათვის არასაკადრის საქციელად, სამეფო მოვა-  
ლეობისადმი სასტიკ ღალატად — იგი მაინც მზად იყო საკუთარი  
ბედნიერებისათვის ასეთი ღალატით გაეწირა თავი. რაკელთან ყოფნა  
გახდა ახლა მისი ცხოვრების აზრი. იტანჯებოდა, როცა სულ მცირე  
ხნითაც სატრფოსთან განშორება უხდებოდა. იგი არასოდეს დასტო-  
ვებს მას. ალფონსო ამას გრძნობდა, ესმოდა და ეს იყო საშინელება.  
რომ ამ განცდებში იყო ნამდვილი ნეტარება.

ალფონსოს მსგავსად რაკელიც საესე იყო ბედნიერებით, იგი  
გალიანაში ცხოვრობდა არა რალაც „მოწოდების“ გამო, არამედ  
მხოლოდ იმიტომ, რომ მას ასე სურდა, აქ იგი ბედნიერი იყო და  
რაკელს მოსწონდა ალფონსო ქრისტიანი, რაინდი, ბარბაროსი —  
სწორედ ისეთი, როგორიც არის. ალფონსო მეფე იყო, ექვემდება-  
რებოდა ერთადერთ თავის შინაგან მეფურ ხმას. ეს ხმა ყოველთვის  
მართალი იყო, მაშინაც კი, როცა ბრძანა თვალები დაეთხარათ სა-  
დარაჯოზე ჩაძინებული გუშაგისათვის, ან როცა მტრის ქალაქი მი-  
წასთან გაასწორა და მარილი მოაყარა.

რაკელი ამყობდა იმითაც, რაც უწინ რაკელში დამცინავ ღი-  
მილს გამოიწვევდა. ალფონსო რაკელს უყვებოდა ნორმანდიელი და  
გოთი მძვინვარე მეფეების — მის წინაპართა შესახებ და რაკელი მას-  
თან ერთად აღტაცებული იყო. ალფონსო აქებდა თავისი ვულვა-  
რული ლათინური ენის, საკუთარი კასტილიურის უხეშ ძალას და  
რაკელიც გულმოდგინედ ცდილობდა შეესწავლა ეს ენა.

ალფონსოს ბავშვივით უხაროდა, როცა რაკელი საუბარში ხში-  
რად ხმარობდა სიტყვებსა და საქციევებს მისი ჯარისკაცური, კასტი-  
ლიური ენიდან. ალბათ, ამის მაღლობის ნიშნად იყო, რომ დათანხმდა  
ჩაეცვა აღმოსავლური ხალათი იმ საათებში, როცა რაკელი აუზთან  
იჯდა და ზღაპრებს უყვებოდა, მაგრამ როცა რაკელმა მორიდებით  
შეაპარა სურვილი წვერის მოპარსვის შესახებ, რადგან მას სურდა  
ალფონსოს სახის დანახვა უწვევროდ, ალფონსომ უხეშად განუცხადა  
უარი: უწვევროდ მხოლოდ ეონგლიორები და მასხარები დადიანო—  
რაკელი არ გაბრაზებულა, მხოლოდ გაიცინა. მათ შორის შეუძლებე-  
ლი იყო გჳნრიდება, ორივენი ერთ მთლიანს წარმოადგენდნენ ისევე,  
როგორც მაშინ, პირველ ხანებში.

მაგრამ აი, პარასკევს რაკელი მამასთან წასასვლელად მოემზადა,

ამჯერად ალფონსო არ ცდილა შეეჩერებინა რაკელი, მაგრამ იგი ბავშვივით გაბუტული იქდა.

პირვანდელივით გულდამძიმებულმა რაკელმა დატოვა ალფონსო, მაგრამ იზნ ეზრას კასტილიოსაყენ მიმავალ გზაზე მამის ნახვა გულით მოუნდა. იგრძნო, როგორ სჭირდებოდა მამის დახმარება, რომ მისთვის ახალი ძალები შთაენერგა. მამასთან ახლოს რაკელი თავს ბევრად ძლიერად გრძნობდა. გალიანაში იგი მხოლოდ ალფონსოს ნაწილს წარმოადგენდა და არა თავის თავს. რაკელი აღტაცებული იყო ალფონსოთი მთლიანად, მთელი მისი არსებით. თავისი გაორებული მდგომარეობის გამო საკუთარი თავი ბევრად უღირსად წარმოედგინა. მამასთან ყოფნისას რაკელმა იცოდა, რომ მისი გაორება სათნოება იყო, შესაძლებელია საეკვო, მაგრამ მაინც ბედნიერება.

ალფონსო ამჯერად აღარ გაემგზავრა ტოლედოში, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ეხილა მის ირგვლივ მყოფი მღუშარე მრჩეველები და მათი საყვედურით სავსე სახეები. არჩია დაედლია ტანჯვა და რაკელს გალიანაში დალოდებოდა.

მისი არყოფნის დროს სახლის მორთულობა არასასიამოვნოდ, უცხოდ ეჩვენებოდა. რბილი ხალიჩები, ფერადი ხვეულები, მორთულობა და მჩქეფარე შედრევენები გულს უღონებდა.

იგი ერთ ხანს შეჩერდა ფრიზებში ჩახვეული ებრაული გამონათქვამის წინ. დიდებული მეხსიერების წყალობით ადვილად დაიმახსოვრა სიტყვები, რომელიც რაკელმა უთარგმნა. ებრაელთა ღმერთი ჰპირდებოდა თავის რჩეულ ხალხს მუდმივ წყალობას და ყველა სხვა ხალხზე გამარჯვებას. ალფონსო გულით დარდობდა რაკელის არყოფნას, უყურებდა ამ უტიფარ წარწერას და ფიქრობდა, ამოდ როდი ვიტანჯებოდი მე ამ ქალის გამო, საუბედუროდ ასე არიან შექმნილნი ებრაელები, რომ ღვთის ნებით ეშმაკი უფრო ხშირად მათ ირჩევს თავის იარაღად. უცებ მას გაახსენდა: „გველო უბეში, ნაკვერჩხალი სახელოში“. — რაკელიც თავისი ნება-სურვილის გარეშე სადღაც მაინც ჯადოქარია, იგი რაკელმა მოაჯადოვა.

ალფონსო გარეთ გავიდა, ხის ქვეშ წამოწვა.

მებაღე ბელარდოს უხმო, რომ ცოტა მაინც ელაყბა მასთან და პირდაპირ ჰკითხა: — საინტერესოა, რას ფიქრობ შენ ჩემი აქ, გალიანაში ცხოვრების გამო? — ქონით დაფარულმა ბელარდოს მრგვალმა სახემ სულელური გამომეტყველება მიიღო. — რასაც მე ვფიქრობ, მეფევე ბატონო, არამც თუ თქმა, არამედ გაფიქრებაც კი შეუძლებელია, — ამოილულლულა მან ბოლოს. — სულ ერთია, თქვი, —

მოუთმენლად უბრძანა ალფონსომ, — რაკი ნაბრძანები მაქვს თქმა, აი რას გეტყვი: ასეთი დიდი ცოდვის ჩადენა მხოლოდ უდიდესს შეუძლია — განაგრძე! — მოსთხოვა ალფონსომ. — დასანანი აგრეთვე, — განაგრძო გათამამებულმა მებაღემ, — რომ ყოველივე ამის გამო ჩვენ ყველას და თვით შენ, მეფევ ბატონო, მოგვიხდება გამოვეთხოვოთ გულითად სიამოვნებასა და სიტკბოებას — რაც მთავარია, საყუთარ სიცოცხლეს. — განაგრძე, ნუ გრცხვენია, — გაათამამა მეფემ. — ბოლო თვეებში, ხშირად მაგონდება ცხონებული ბაბუაჩემი, — ყბედობდა ბელარდო, — როცა იგი კარგ ხასიათზე იყო. ჰყვებოდა თავის დიდ წმიდა ლაშქრობაზე, აი, როგორ მოხდა, მეფევ ბატონო. მაშინდელმა ბიზანტიის იმპერატორმა, ალექსიმ წმიდა მამას დახმარება სთხოვა წმიდა მიწის გასათავისუფლებლად და თან მისწერა, თუ რა დიდ ლანძღვა-გინებასა და ავად ხსენებას იტანს იქ ქრისტიანობა, როგორ სტეხენ ხელებს, ფეხებს, ყურებს და ცხვირს წმიდანთა გამოსახულებებს, როგორ ატანენ ძალას წარმართი მაჰმადიანები ქრისტიან ქალიშვილებს, ხოლო დედებს იმ დროს უბრძანებენ იმღერონ, შემდეგ დედებს ხდიან ნამუსს და ქალიშვილებს აიძულებენ ურცხვი რომანსები იმღერონ. გარდა ამისა, სწერდა ბიზანტიის იმპერატორი, მიუხედავად იმისა, რომ ეს წმიდა ომია, წარმართებს შეიძლება უამრავი ოქრო და ძვირფასეულობა გამოვრჩეთ, ქალებიც ხომ აღმოსავლეთში ბევრად უფრო მომხიბვლელია, ვიდრე დასავლეთში. ყველა ქრისტიანს და მათ შორის ბაბუაჩემსაც ამ წერილის წაკითხვისას გული აუჩუყდა და ბრაზით აეწათო. ცხონებულმა ბაბუაჩემმა დაიკერა გულზე ჯვარი, საჩქაროდ შეიძინა ნახმარი ტყავის კოლეტი, ტყავისავე ჩაფხუტი, და, თქვენი ნებართვით, ნეტარი იყოს ჩემი პაპის ხსენება, გაუდგა შორეულ გზას. წარმოდგენაც კი არ შემიძლია, როგორ ეყო ძალა მონუსს ამისათვის, თუმც მაშინ იგი საკმაოდ ახალგაზრდა იყო. მაგრამ ვიდრე აღნიშნულ ადგილს მიაღწევდა, სხვებს მოესწროთ ნადავლის დატაცება — ოქროსა და ლამაზ ქალებს კი, რა თქმა უნდა, ბევრი შეეწირა, ბაბუას არ ეღირსა ეომნა, სახლში ხელცარიელი დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ამაზე უკეთესი მოსაგონარი ბაბუას არაფერი ჰქონდა. მან ხომ იმ ქვასთან ილოცა, რომელზედაც თვით მაცხოვარი იჯდა, ის წყალი დალია, რომელსაც მაცხოვარი სვამდა და ტანიც იორდანის წმიდა მდინარეში განიბანა. როცა ბაბუა კარგ ხასიათზე იყო, იგი ჰყვებოდა ამ ამბებს და თვალები ნეტარს უგავდა. — ბელარდო დადუმდა, მოგონებებში ჩაიძირა, — შემდეგ? წარმოთქვა ალფონსომ, — ეჰ, კარგი იქნებოდა, რომ ჩვენც გვლირ-

სებოდა მსგავსი ღვთის სამადლო თავშესაქცევი. — თქვა ბელარდომ სულელური, ოცნებით გატაცებული სახით. — ხომ არ იქნება ცუდი, ომი რომ დავიწყეთ ამ წყეულ მაჰმადიანებთან? თუ გავვიმართლდა, ხელთ ვიგდებთ ქალებსა და უამრავ ფულს და თუ ბედმა გვიმტყუნა, მაშინ პირდაპირ სამოთხეში ამოვყოფთ თავს. — მოკლედ, — თქვა დონ ალფონსომ, — შენ ბიწიერებად სთვლი, რომ მე აქ ავხორცობით ვნებიერობ? — ღმერთმა დამიფაროს შენი დიდებულების საწინააღმდეგოდ ასეთი ღვთის საგმობი ფიქრებისაგან, — იუარა ბელარდომ.

ცბიერი მებაღის ლაყბობა, როგორი სულელურიც არ იყო, გულში მოხედა ალფონსოს. — ესე იგი, ყველა თვლის, რომ ალფონსომ დაივიწყა თავისი მეფური და რაინდული მოვალეობა, რომ იგი „განაზებულია“ შორეული წარსულის გმირების პერკულესისა და ანტონის მსგავსად და როგორც ებრაელთა რაინდი სამსონი თავის დალილასთან, ალფონსოც ნებიერობს რაკელთან. სახლში ვერ ჩერდებოდა, მთელ ღროს ბაღში ატარებდა, ღია ცის ქვეშ ეძინა. ძილშიც შფოთავდა და ვერ ისვენებდა.

მაგრამ, როგორც კი რაკელი დაბრუნდა, კვლავ შეიპყრო თილისმამ. არაბული ზნე-ჩვეულებები ადარ ეზიზღებოდა. გალიანაში ნამდვილი სიცოცხლე იყო, რომლის მსგავსი მას არასოდეს განუცდია. ალფონსომ ქაბუკურად გაიცინა, როგორი ბედნიერია იგი. მზიარული სილაღე დაეუფლა, დე, იყოს განაზებული — ესე იგი, მას ასე მოსწონს, თვითონ აირჩია ეს გზა, არავის აქვს უფლება ერთთავად ილაყბოს ცოდვებისა და მონანიების შესახებ. ისეთი დიდი ბედნიერება, რომელსაც რაკელი მას ანიჭებს, შეუძლებელია იყოს ეშმაკისეულიდან გამომდინარე. არა, პირიქით, ალფონსოს ღმერთი არ აკლებს წყალობას, იგი მეფეა და ეს სასიყვარულო ნეტარება — ღვთის განსაკუთრებული წყალობაა. ტყუილად ხომ არაა დონ ალფონსო Alfonsus Rex, ამ სახელით მერვე. იგი თვით აგებს თავის მოქმედებაზე პასუხს. იგი რაკელთან ცხოვრობს ზენარის შთავგონებითა და თავისი მეფური ნება-სურვილით.

როცა რაკელი შემდეგ პარასკევს ისევ გაემგზავრა მამასთან, ალფონსომ უთხრა: — არ მსურს ქურდულად იკვლევდე გზას ჩემს დედაქალაქში, არ მსურს, რომ ალფონსო მეფის გულის რჩეული იმალებოდეს ხალხში.

და მართლაც, რაკელი გაემგზავრა ტოლედოში ღია ტახტრევანით. თვით ალფონსომ კი ამაღა იზმო გალიანაში, ზეიმით შეჯირითდა ქალაქში და სამეფო ციხე-კოშკში.

პაემა ალაზარმა თვითონ მიმართა მეფეს. საჭურველმტვირთველ-მა პანჩომ სასაცილოდ აიგდო მისი სატრფიალო სამსახური დონა ხუანასადმი და ამ შეურაცხყოფისათვის ორთა ბრძოლაში სურდა გამოეწვია სანჩო. ამასთანავე თავმდაბლად სთხოვა მეფეს, მეც მიბოძეო საჭურველმტვირთველობა, რომ შესაძლებლობა მომეცეს ორთა ბრძოლაში გამოვიწვიო შეურაცხყოფელიო.

ჭაბუკის აჩემება სრულიად სამართლიანი იყო. იგი დროზე მეტხანს ასრულებდა უმწიკვლოდ თავის მოვალეობას და უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ მეფე ამ წოდებას უბოძებდა, მაგრამ შეუძლებელი იყო ებრაელის საჭურველმტვირთველობა. — შენ, ჩემო ალაზარ, დაჯილდოებული ხარ რაინდის ყველა თვისებით,—მეგობრულად უპასუხა ალფონსომ ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ.—მაგრამ ჩვენ სამეფოში რაინდები მხოლოდ ქრისტიანები არიან. ჭაბუკი გაწითლდა. ეს მე ვიცოდი, — ჩაიბურტყუნა მან, — და, ვიდრე შენი უდიდებულესობისათვის წყალობის თხოვნას გაგებდავდი, დიდ ხანს ვცდიდი ჩემ სინდისს. ყველაფერი ავწონ-დავწონე, მზად ვარ ქრისტიანი რაინდი გავხდე.

ალფონსო გაოცდა და დაიბნა. ათასი, ათი ათასი ებრაელი სწირავდა საკუთარ სიცოცხლეს მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი სარწმუნოება შეენარჩუნებინა. და აი, აქ, ამ ბიჭს ყოველგვარი ძალდატანებისა და შეგონების გარეშე სურს განუდგეს წინაპართა რწმენას. — მამასთან გქონდა საუბარი? — ჰკითხა მეფემ. — არა, — გადაწყვეტით უპასუხა ალაზარმა და ჭიუტად დაუმატა: — არავის შეუგონებია და არავის მიეცემ უფლებას გადამათქმევინოს.

მეფეს შეცბუნებამ გაუარა. ესე იგი მის კასტილიაში, მის სამეფო კარზე ცხოვრებამ თვალები აუხილა ამ ჭაბუკს და უცებ ისეთმა აზრმა გაუელვა, რომლის დაფიქრებაც კი აშინებდა დღემდე, რომ მის თვალისჩინს, მის სატრფოსაც კეშმარიტების სხივი გააცისკროვნებს. ხომ შეიგრძნო და დააფასა რაკელმა ალფონსოს რაინდული, მეომრული თვისებები, რაც მანამდე სრულიად უცხო იყო მისი სულისათვის! უბრალო იმედიც კი, რომ ალფონსო შესაძლებდა რაკელის შემობრუნებას კეშმარიტი რწმენისაკენ, მათ ურთიერობას კიდევ უფრო ამაღლებულ აზრს ანიჭებდა და მისი ენება ამ ქალისადმი ცოდვიანი აღარ იქნება. ძლიერ გაუჭირდა მოზღვავებული სიხარულის შეკავება, მაგრამ მინც წყნარად უპასუხა ალაზარს. — მე დიდად მსიამოვნებს შენი სიტყვების მოსმენა. მეგობარო, მაგრამ ღვთისმეტყველი არა ვარ და ამიტომ არ ვიცი, რას მოგთხოვენ, ვიდრე მოგნათლავენ. დონ როდრიგოს მოველაპარაკები.

ზეციერისგან ასეთი წახალისება რომ მიიღო, ალფონსომ გადაწყვიტა მოლაპარაკებოდა პატრს თავისი საკუთარი საქმეების გამო. ვიდრე ალაზარზე ეტყოდა რამეს, ალფონსომ მანამდე გაანდო ღონ როდრიგოს დონა რაკელთან თავისი ღრმა შინაგანი კავშირის შესახებ. — ნურას მეუბნები, ღირსეულო მამაო, — ფიცხად განაგრძობდა ალფონსო საუბარს ისე, რომ კანონიკს არც ერთი სიტყვა არ ათქმევინა რჩევისა და გაფრთხილებისათვის. — ნუ მეტყვი, რომ ჩემი ვნება ცოდვიანია. კიდევაც რომ ასეთი იყოს, იგი ბედნიერი, სასიხარულო, საამური ცოდვია და არ ვნანობ. — და მან გაცხარებით დაამთავრა: — ეს მომხიბლავი ქალი ქვეყანაზე ყველაზე მეტად მიყვარს და რადგან უფალმა ღმერთმა თვით მომანიჭა ასეთი სიყვარული, თვითონვე მაპატიებს ამ ცოდვას.

როცა ალფონსომ საუბარი დაიწყო, ღონ როდრიგო სიამოვნების გრძნობით აივსო ღვთისადმი, რომელმაც შესძლო ცოდვიანი გულის შემსუბუქება. მაგრამ მალე სიხარული საშინელებით შეიცვალა, როცა გაიგო, რა სიგიჟემდე მისულა მეფე. — ბერს იმიტომ ლაპარაკობ, რომ დამაჯერო და ვეღარ შევძლო გითხრა მკაცრი, სამართლიანი სიტყვები, — ნაღვლიანად უთხრა მან ალფონსოს, როცა ამ უკანასკნელმა საუბარი დაამთავრა. — მაგრამ ყველაფერი ის, რაც ვალდებული ვარ გითხრა, ადრევე იცოდი შენ, და ჩემზე უკეთესად.

ალფონსომ შეხედა მის ნაღვლიან სახეს და ძლივს გასაგონად ჰკითხა: — მამაო ჩემო, ნუთუ ღვთის წყალობა მომაკლდა, ნუთუ სამარადისოდ წყეული ვარ? — კანონიკის სამკლოვიარო ღუმელმა კვლავ შეაგულიანა ალფონსო. — რას იზამ, წყეული ვარ და დე, წყეული ვიყო, — უდარდელად განაცხადა მან. — სად განისვენებენ ჩემი მამა-პაპათა წინაპრები, ის მეფეები, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ მოქცეულნი ქრისტეს სარწმუნოებაზე? — ჰკითხა ალფონსომ გამომწვევი ხმით. — მე ვიცი, სად განისვენებენ. დე, ღმერთმა მათთან გამაგზავნოს მეც!

სასოწარკვეთილება ძლივს შეიკავა როდრიგომ და მორჩილად მიმართა ალფონსოს: — შვილო ჩემო, ახალ ცოდვაში ფეხს ნუ დგამ ასეთი ბილწი ხუმრობით. გულის სიღრმეში შენ თვითონ არ გჯერა ეს ერეტიკული ლაყბობა. უკეთესი იქნება, იმაზე ვიფიქროთ, რა გავაკეთოთ შენი სულის ხსნისათვის.

— ნუ სწუხარ ასე, ჩემო ძვირფასო, ღირსეულო მამაო და მეგობარო, — სთხოვა მეფემ კაბუკური ღმილით. — ღმერთი მოწყალეა და არ მოექცევა ასე მკაცრად საწყალ ცოდვილს. მერწმუნე, ღმერთმა გამომიგზავნა ნიშანი და მან მოუთხრო ალაზარის ამბავი.



კანონიკი დიდის გულმოდგინებით უსმენდა და გულზე შვება იგრძნო. მან კარგად იცოდა, როგორ გაქვადნენ კასტილიო იზნ ეზრას მფლობელები თავის ქედმალლურ ცრუ მეცნიერებაში, თვითონ არასოდეს ცდილა მათი შთამომავლობიდან ვინმესთვის აეხილა თვალი. ალფონსოს კი მართლაც წყალობს ღმერთი, საკმარისი იყო ყრმა თავის სასახლეში მიეყვანა, რომ მას ყოვლად მოწყალე ჩვენი მხსნელი ეწამებინა. ასეთი დამსახურება ბევრ მკრეხელობას გამოისყიდის.

ალფონსომ დაინახა, როგორ მოუღბო გული როდრიგოს და მეგობრულად გაანდო მას თავისი ამაყი გულის სანუკვარი საიდუმლოებანი.

— მღვდელმსახურის მსგავსად, მეფეს ღვთის მიერ ნაბოძები აქვს ჩვეულებრივი მოკვდავისათვის მიუწვდომელი, იღუმალი ცოდნა. ვიცი, განგებამ გამომიგზავნა ეს გასაოცარი ქალი, რათა გამოვაფხიზლო და მისი სული ვიხსნა.

თუმც კანონიკს მეტად აწუხებდა ალფონსოს ამპარტავნობა, მაგრამ, მის სიტყვებში მაინც იგრძნობოდა სინამდვილის მარცვალი. გზები უფლისა მიუწვდომელი და შეუცნობია. შესაძლებელია მეფის უღვთო ვნებას დამღუპველი შედეგი კი არ მოეტანა, არამედ დალოცვილი ნაყოფი გამოეღო.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, დონ როდრიგოს წინაშე რთული ამოცანა იდგა. მეფის საქებარი ზრახვაეც კი — ეხსნა დონა რაკელის სული — როდი აძლევდა უფლებას კანონიკს არ დაეშალა მეფისთვის ხორციელი კავშირი ამ ქალთან, თანაც დონ როდრიგომ კარგად იცოდა, რომ მეფე არაფრით არ დაემორჩილებოდა ამ კავშირის აღკვეთას.

— (ო თქმა უნდა, დონა რაკელის გაქრისტიანება კეთილი საქმეა. — თქვა მან, — მაგრამ ამით ვერ გამოისყიდი დანაშაულს, მეფევე ბატონო და შვილო ჩემო. — რას მიბრძანებ, რა გავაკეთო? — მოუთმენლად შეეკითხა ალფონსო.)

როდრიგო გუნებაში თავის სისუსტეს სწყევლიდა, მაგრამ თავს სძლია და მეფეს ურჩია: — გაერიდე ქვეყანას ორი კვირით, თუ არა და ერთი კვირით მაინც. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის რომელიმე მონასტერში, სულიერ სავანეში იცხოვრე და პასუხი გაეცი საკუთარ სინდისს. ელოდე, ვიდრე ღვთის ხმას არ გაიგონებ, — ბევრს თხოულობ ჩემგან, — შენიშნა ალფონსომ. — ბევრად უფრო ცოტას გთხოვ, რაც საერთოდ მოგეთხოვება, ძლიერ მიჭირს საყვარელი შვილის დასჯა.

რაბი ტობია, რომელიც დონ ეფრაიმის სახლში ცხოვრობდა, დროის დიდ ნაწილს მისთვის განკუთვნილ პალატებში ატარებდა, მარხულობდა, ლოცულობდა და ეზიარებოდა საღეთო წერილის სიბრძნეს. — ყოველი წუთი — გვასწავლიდა იგი, — როცა არ ვეზიარებით ჩვენს მაცხოვარსა და მის მოძღვრებას, ამოა და დაკარგული:

ხანგრძლივი ტანჯვისა და შეურაცხყოფის გადატანის შემდეგ, რაც თვით რაბისა და მის თემს გადახდა, იგი მკაცრი ფანატიკოსი გახდა. განსაკუთრებით მძიმე იყო მისთვის ეს უკანასკნელი წელი, როცა მეფე ფილიპ ავგუსტმა პარიზიდან განდევნა ებრაელები, სწორედ მაშინ რაბი თავის თანამომძმებთან ერთად ბრე-სიურსენში გაიქცა. მაგრამ მალე მარკგრაფინია ბლანშმა აღადგინა ელიქტი, რომელშიც ნათქვამი იყო — ყოველ წითელ პარასკევს სახალხოდ სახეში უნდა გაერთყათ რომელიმე დიდებული ებრაელისათვის, იესო ქრისტეს მიერ გადატანილი ტანჯვის შურისსაძიებლად. მაშინ თემმა აიძულა რაბი ტობია საჩქაროდ თავი გაერიდებინა, რადგან ამ შერცხვენისთვის ხელისუფლება უსააუოდ მას აირჩევდა — მისი არყოფნის დროს მეფემ უმოწყალოდ დაარბია ბრეში მყოფ ებრაელთა თემი. რაბის მეუღლე ცეცხლზე დაწვეს, ხოლო შვილები მონასტერში ჩაამწყვდიეს. აი, აქ, ტოლედოში, რაბი ტობია მხოლოდ მთელი ხალხის დიდ ტანჯვაზე ლაპარაკობდა, და არას ამბობდა საკუთარ განცდებზე. ყველას, ვინც კი ეს ამბავი იცოდა, მკაცრად აუკრძალა რაიმეს თქმა ტოლედოელმა ებრაელებმა თანდათან გაიგეს ყოველივე, რაც რაბი ტობიას წილად ხვდა.

თავის სავანეში განმარტოებული, იგი ხშირად იგონებდა ბრეში მომხდარ ამბებს. ამ დროს გონებას უბურღავდა მწარე ეპიკები — კარგად მოიქცა თუ არა, როცა ყური უგდო თემის დაჯინებულ მოთხოვნას და ქალაქი დატოვა. იქნებ სჯობდა დარჩენილიყო და აეტანა შერცხვენა, იგი თავის ცოლ-შვილთან ერთად გახდებოდა წყალობის ღირსი, ღმერთის სადიდებლად რომ შეეწირა თავისი სიცოცხლე.

რაბი ტობიას ხორცის დათრგუნვა ოდითგანვე მიაჩნდა ღვთის დიდ წყალობად. მსხვერპლად შეწირვა, მარტილობა მიწიერი ცხოვრების ღირსეულ გვირგვინად წარმოედგინა. იგი განმარტავდა, რომ მომკვდინებელ ცოდვას სჩადის, ვინც ჭვაროსნების მოახლოებისას თავისი სახლის წინ ჭვარს გამოიტანს, ამასაც არ სჯერდება და ტანისამოსზეც ჭვარს იკვრებს. თუკი ავაზაკები მოითხოვენ თქვენგან გადასკეთ მამაკაცები საწამებლად ან ქალები ნამუსის ასახდელად, — ასწავლიდა იგი, — არ დაუთმოთ, თუნდაც ყველა გავანად-

გურონ. წყეული იყოს, ვინც საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად კერპთაყვანისმცემელი გახდება. იგი სამარადისოდ წყეული დარჩება, მაშინაც თუ ერთი კვირის შემდეგ გონს მოსული დაუბრუნდება ისრაელობას.

— თავმდაბლობა უმშვენიერესი გვირგვინია, — გვასწავლიდა იგი, ყველაზე ღირსეული მსხვერპლია განადგურებული გული, ყველაზე დიდი სათნოება მორჩილებაა. როცა ალაღმართალ კაცს საქვეყნოდ დასცინიან, ამთრახებენ და აწამებენ, იგი მადლობას სწირავს ზენაარს სასჯელისათვის და გუნებაში ფიცსა დებს, რომ გამოსწორდება. იგი არ აღუდგება მათ, ვინც ბოროტება არგუნა წილად, პირიქით, თავის მწვალებელს ყოველივეს აპატიებს. დაქინებით ფიქრობს სიკვდილის ქამის მოახლოებაზე. თუკი ართმევენ იმას, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია — ცოლს და ბავშვს — მორჩილად თავს ხრის სამართლიანი განგების წინაშე, მაგრამ თუ მტრები მოითხოვენ მისგან სარწმუნოებისაგან განდგომას, სიხარულით გასწირავს თავის სიცოცხლეს. ნუ დრტვინავთ, როცა წარმართთა თვითკმაყოფილებას და კეთილდღეობას შესცქერით. გზანი ღვთაებისა მოწყალეა, თუნდაც მიზანი მათი საუკუნეთა განმავლობაში იღუპალებით მოცული რჩებოდეს.

გულფიცხი რაბი ტობიასათვის ასეთი მორჩილება ყოველთვის როდი იყო ადვილი, ბევრი ებრაელი თავის დიდ სიძულვილს მღვართა წინააღმდეგ გამოთქვამდა შმაგი, მრისხანე ლექსებით, ლანძღვა-გინებით „მოხეტიალეებისა და მაწანწალების“ მათი „ჯვარცმული კერპების“ და „ნათლობის ბინძური წყლის“ მიმართ. უზომო იყო ჩივილი და ღალადისად გაისმოდა ვედრება შურისძიებაზე. „ღმერთო სამართლიანო, ნუ დაივიწყებ დაღვრილ სისხლს. ნუ მოითმენ, რომ ფერფლი ფარავდეს მათ, მიაგე ჩემს მტრებს სასჯელი, როგორც შენი წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ. დე, შენმა დამსჯელმა ხელმა დაამხოს ჩემი მტრები იოსაფატის ველზე!“ ეს მეღვქმეები ბედავდნენ და ღმერთს ბრალს სდებდნენ. „ეინ ხარ შენ, ღმერთო, შენი ხმა რომ არ ისმის? როგორ იტან კვლავ ღვთისმგმობელობას და ედომის ზეიმს? წარმართები შემოიჭრნენ შენს ტაძარში, შენ კი დუმხარ! ესაი მასხარად იგდებს შენს შვილებს, ეენ კი დუმხარ! გამოცხადდი, აღსდექ, ხმა ამოიღე, ნუ დარჩები უტყვთა შორის უტყვი“. და როცა რაბი ტობია ასეთ ლექსებს კითხულობდა, ძალაუნებურად მის გულში რისხვა ცხოველდებოდა. მაგრამ იგი იმწუთშივე ნანობდა: „როგორ შეუძლია თიხამ მექოთნეს უთხრას: შენ რას აკეთებ?“ — საკუთარ თავს კიცხავდა და მისი ურვა კიდევ უფრო ფანატიკური ხდებოდა.

მორწმუნენი მასში წინასწარმეტყველს ხედავდნენ. და მართლაც: როცა იგი თავის სავეანეში განმარტობული „დიდი წიგნის“ კითხვით იყო გატაცებული, ზოგჯერ სასწაულებრივ ხილვებს ხედავდა და მაღლი ენიჭებოდა ხილული სიტყვებში ჩამოეყალიბებინა. იგი კვრეტდა ედომის ბაღში უფლის შუქით გასხივოსნებულ ქვემარტი სარწმუნოების ქომაგებს. თვალნათლივ ხედავდა მკრეხელებს, რომლებიც ჯოჯოხეთის გეენის ცეცხლში იწვოდნენ და ეკითხებოდა მათ, და ყველაზე საშინელ, მეხუთე წრეში მყოფნი პასუხობდნენ: „ჩვენ ჩაგდებული ვართ აქ მხოლოდ იმისათვის, რომ მიწიერი ცხოვრებიდან განვუღვეით აღონაის და თაყვანი ვეცით ჯვარცმულსო“, — და უყვებოდნენ, რომ თორმეტი თვის განმავლობაში ცეცხლში უნდა იწვოდნენ, ვიდრე მათი სული არ განადგურდებოდა მსგავსად მათი სხეულისა, მაშინ ჯოჯოხეთი ამოყრის მათ ნეშტს და ქარი წმიდათა ფეხქვეშ გაფანტავს მას; მან ნახა თავისი თავი უკუნდამით სინაგოგაში, სადაც თავი მოეყარათ უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე გარდაცვლილებს; მათ შორის ბუნდოვან მოჩვენებებად მოსჩანდნენ ისინი, რომლებსაც მომდევნო წელს უწერიათ სიკვდილი. და ვიდრე თვალდახუტული უჯდა საღვთო წიგნებს, მისი სული პარიზისა და ტოლედოს ქუჩებში დაეხეტებოდა, ხედავდა ნაცნობ ადამიანებს, ნათლად ხედავდა, რომ მათ არ ჰქონდათ ჩრდილი და მან იცოდა, რომ სულ ახლო მომავალში საშინელი სიკვდილი ელოდათ. იგი ამ უაჩრდილო ხალხთა შორის არც თუ უკმაყოფილოდ ხედავდა იეპულა იბნ ეზრას — მეშუამდს, რომელმაც თავისი ქალიშვილი ხასად მიჰგვარა წარმართ მეფეს.

სწორედ ამ ხანებში ფრანკი ებრაელებისაგან მეტად არასასიამოვნო ცნობა მოვიდა. როგორც რაბი ტობია ფიქრობდა — ბევრმა ყოვლისშემძლე გრაფმა და სინიორმა თავიანთი მეფის კვალს მისდიოა. გაძარცვეს მათ სამფლობელოებში მცხოვრები ებრაელები და შემდეგ იქიდან განდევნეს. რაბი ტობიამ ჯერ მოუხსინა, წაიკითხა, შემდეგ კი ადგა და პარნას ეფრაიმისაკენ გასწია.

თუმც პარნას ეფრაიმს მაინცდამაინც არ ესმოდა და არ მოსწონდა ჩვენი ბატონი და მასწავლებელი ტობია, მაგრამ საკუთარი ნება-სურვილის გარეშე ისიც მოიხიბლა ჰალარა, ფერმკრთალი კაცი, რომელიც შინაგანი ცეცხლით იწვოდა. და როცა იგი თავისით ეწვია, ეფრაიმი მოწიწებით და ამასთან ერთად მოუთმენლად ელოდა, რას ეტყოდა მას რაბი.

მაგრამ რაბი ტობიამ ჩვეულებრივ ხმადაბლა განუცხადა. რომ გადაწყვეტილი აქვს ტოლედოს დატოვება და თავის ებრაელებთან დაბრუნება. უბედურებას უბედურება მოსდევს და არ

სჯერა, რომ ტოლედოდან შესაძლებელია უბედურების თავიდან აშორება. დევნილების დიდი ხნით დატოვება ფრანკთა სამფლობელოებში შეუძლებელია და რადგან სეფარდის საზღვარი მათთვის დაკეტილია, ფიქრობს გადმოიყვანოს ისინი გერმანიაში, საიდანაც მათი წინაპარნი მოვიდნენ.

მრავალნაირი ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობები და აზრები აღეძრა ეფრაიმს. დახმარების მთხოვნელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს, ალჰაჰიმისათვის ბედნიერება იქნებოდა; რომ მსგავსი სტუმრებისაგან თავი დაეღწია, რადგან რაც უფრო იზრდებოდა მათი რიცხვი, მით უფრო საშიში ხდებოდა. შავი ნისლით იყო მოცული ბედი, რომელიც დევნილთა გერმანიაში ელოდებოდა. იმპერატორი ფრიდრიხი, ალბათ, მისცემს თავშესაფარს მათ; მაგრამ დღემდის არც ერთ ქვეყანაში არ განიცდიდნენ ებრაელები ისეთ სასტიკ დევნას, როგორც გერმანიაში, თვით იმპერატორი აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა და მხოლოდ მისი სახელი როდი იქნებოდა საკმარისი დევნილთა დასაცავად. ყოველივე ეს რაბი ტობიამ ეფრაიმზე ნაკლებ არ იცოდა. მაგრამ დაუცხრომელი რელიგიური თავგამოდებით, მას არათუ ეშინოდა, არამედ სწყუროდა კიდევ წამება და ტანჯვა თავისი ძმების გამო, იქნებ საჭიროა, ეფრაიმმა რაბი ტობიას აზრი შეაცვლევინოს?

ვიდრე იგი ყოველივე ამის შესახებ ფიქრობდა, ტობია განაგრძობდა: — გულახდილად გეტყვი: მახარებს, რომ იეჰუდა იბნ ეზრა არ ჩქარობს დანაპირები დახმარების აღმოჩენას. გაფიქრებაც კი მიჭირს, რომ დახმარება უნდა გაგვიწიოს მეშუამდმა, რომელმაც საკუთარი ქალიშვილის უმანკოება კერპთთაყვანისმცემელს შესწირა. არც ფული მსურს მისი და არც დახმარება: „სიმრუშით მოპოვებულს ღვთის სახლში ნუ შეიტან“, — ნათქვამია წმიდა წიგნში.

იმის გამო, რომ რაბი ტობია ხმადაბლა ლაპარაკობდა, მის სიტყვებში უფრო ცხადად გაისმოდა სიძულვილი და ზიზღი, დონ ეფრაიმი იღუმალ კმაყოფილი იყო, რომ იეჰუდასადმი მისი მტრული დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დასტურდებოდა ამ მართალი კაცის მიერ იეჰუდას გაკიცხვითა და გამოებით. მაგრამ ეფრაიმმა, როგორც სამართლიანმა კაცმა, იბნ ეზრას დაცვა დაიწყო. — ჩვენ ძმათა შორის მთელ დასავლეთ ქვეყანაში მხოლოდ ერთადერთ დონ იბნ ეზრას შეუძლია ჩვენი დახმარება, — უპასუხა მან. — მის კეთილ სურვილებში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ცოტახანი შეიცადე, ჩემო ბატონო და მასწავლებლო. მოუთმენლობით და სიმკაცრით ნუ უხუტავ დევნილებს კურთხეულ კასტილიაში შესასვლელ კარებს.

რაბი ტობია უკვე თვით ნანობდა, რომ გულისწყრომასა და ჩისხვას ვერ სძლია. იგი დასთანხმდა კიდევ ერთ ხანს მოეთმინა.

ღონ იეპულა დამწუხრებული იყო. მას სტანჯავდა აზრი, რას ფიქრობდნენ ტოლედოელი ებრაელები მასზე და მის ქალიშვილზე. ალბათ ზიზღით არიან შეაყრობილნი?

წაღვლობდა ალაზარზეც. თუმც ბიქს არაფერი უთქვამს, რომ გაქრისტიანებას აპირებდა, მაგრამ იეპულა გრძნობდა: ალაზარის ასცდა ებრაელების ჭეშმარიტ მოძღვრებასა და არაბული სიბრძნის გზას.—ამაში თვით იეპულა იყო დამნაშავე: იმის მაგივრად, რომ ვაჟიშვილი არ გაეკარებინა ჯარისკაცისა და რაინდის აღფონსოს კარის სიახლოვეს, მან, პირიქით, თვით მიჰგვარა თავისი ვაჟიშვილი აღფონსოს.)

დამნაშავეა მძიმე, მეტად მძიმე დანაშაული ჩაიდინა მან.

წანდაახან თავს იმართლებდა, რომ ქალიშვილი შესწირა ღვთის დიდებას, მაგრამ გამჩენმა ღმერთმა მისი მსხვერპლი არ მიიღო, რაც ღლითი დღე ნათელი ხდებოდა. იეპულას იმედი ჰქონდა, რომ რაკელისა და აღფონსოს დაახლოება გაუადვილებდა მიზნების განხორციელებას, რომ უფრო ადვილად შესძლებდა კასტილიაში ჩამოესახლებინა ფრანკი ლტოლვილები. ახლა კი, პირიქით, აღფონსოსა და რაკელის ურთიერთობა კიდევ უფრო აფერხებდა მათ განთავისუფლებას და უფრო მეტიც, განადგურებით ემუქრებოდა. მეფე გაურბოდა იეპულას, დრო მიდიოდა და არ უხმობდა მას. იეპულას საშუალება არ ეძლეოდა გულახდილად ეთქვა მეფისათვის, რა უკლაგდა გულს.)

ასეთი სულიერი განწყობით შეხვდა იეპულა მასთან სტუმრად მოსულ პარნას ეფრაიმს, რომელიც თავის მოვალეობად თვლიდა იეპულასათვის გაენდო რაბი ტობიას განზრახვა.

ღონ იეპულა თავზარდაცემული იყო. სწორედ ეს ეფრაიმ ბარ აბა არ ენდობოდა იეპულას, ახლა კი უფლება აქვს იზვიმოს და პირდაპირ უთხრას, რომ რაბი ტობიამაც ლაყბობად მიიჩნია მისი დანაპირები — იზრავლის ლტოლვილ შვილებს კასტილიაში მივცემ თავშესაფარსო. უშედეგო ლოდინს რაბიმ ამჯობინა, ფრანკი ებრაელები გერმანიაში გაეყვანა. ამ ამბის სათქმელად თვითონ არც კი მოვიდა. ალაღმართალი კაცი იეპულას ჭირიანივით გაურბოდა.

— კარგად ვიცი, რაბი ტობიას ვეზიზღები მთელი თავისი მკაცრი ღვთისმოსავი, უეშმაკო გულით, — თქვა მან მწარე, მწველი სირცხვილით.

— დიდხანს ალოდინებ ჩვენს ბატონსა და მასწავლებელ ტობიას, — უპასუხა დონ ეფრაიმიმა, — გასაგებია, რომ მას სურს დევნილთა გადასარჩენად სხვა გზა მონახოს. დარწმუნებული ვარ, აღთქმას იძლეოდი ხალასი გულით. მაგრამ მეშინია, რომ გამჩენმა უფალმა არ შეისმინა შენი განზრახვა.

დონ იეჰუდამ წონასწორობა დაკარგა, რადგან ეფრაიმი ასე გულახდილად უსაყვედურებდა იეჰუდას ზედმეტი სიამაყის გამო. გულისწყრომამ კიდევ უფრო საზრიანი გახადა იგი. — ნებართვისათვის რომ მიმეღწია, უფრო მეტი დრო დამჭირდა, ვიდრე ვფიქრობდი. არც მიკვირს, რომ სულიერად დაეცი, — თქვა მან, — მაგრამ ნუ გავიწყდება, რა სწრაფად და ცუდად შეიცვალა ყოველივე. როცა დახმარება შემოგთავაზე, ჩემი საუბარი შეეხებოდა ათას ხუთასს, სულ დიდი, ორი ათასამდე ლტოლვილს. ახლა ისინი ხუთი თუ ექვსი ათასი არიან. კარგად მესმის შენი ეჭვები. — განა სახელმწიფოში ამდენი მათხოვრის შემოშვება შეიძლება? — იეჰუდა ერთხანს გაჩუმდა, შემდეგ ეფრაიმს თვალეში ჩახედა და საუბარი განაგრძო: — მაგრამ ვფიქრობ, გამოსავალი ვიპოვე. შეუძლებელია, რომ ლტოლვილები მათხოვრებად გადმოვიდნენ საზღვარზე. ჩვენ მათ ფული უნდა მივცეთ, ვფიქრობ, ოთხი ოქროს მარაველი თითო-ეულზე საკმარა.

ეფრაიმიმა დაბნეული მზერა მიაპყრო. — თვითონ ამბობ, რომ ლტოლვილთა რიცხვი ექვსი ათასი კაცია! — გაწვრილებული ხმით წამოიყვირა მან. — სად გინდა იშოვო ამდენი ფული?

— მართალი ხარ, მარტო მე ამას ვერ შევძლებ, — მეგობრულად უთხრა იეჰუდამ. — მე შემიძლია თანხის ნახევარი — თორმეტი ათასი ოქროს მარაველი გავიღო. დანარჩენისათვის კი შენი დახმარება მჭირდება, ჩემო ბატონო და მასწავლებლო ეფრაიმ.

ეფრაიმი მოკუნტული იჯდა, სულ პატარა ჩანდა თავის თბილ ჩასაცმელში ჩაფლული. იეჰუდას უტიფარ წამოწყებებსა და გევძებს, რატომღაც აღტაცებაში მოჰყავდა იგი. ეამა, რომ ეს ამაყო სთხოვდა მას ხელის შეწყობას. მაგრამ როგორ უნდა დაეხმაროს თორმეტი ათასი მარაველით? მას შემდეგ, რაც ალჰაქიმმა დიდი თანხა შესწირა ლტოლვილთა სასარგებლოდ, საიდანღა შეეძლო ამდენი ფულის გაღება. არადა რაბი ტობიას სხვა გზა არა რჩება უგუნური ღვთისმოსაობით ფრანკი ლტოლვილები გერმანიაში უნდა ჩაიყვანოს დასალუპავად.

მაგრამ ეს არ ვარგა! ამას დონ ეფრაიმი არ დაუშვებს, მაშინ მას არც ერთი წუთი აღარ ექნება მოსვენება. იგი ვალდებულია იბნ ეზრას დაეხმაროს. ვალდებულია ალჰამიდან ამოიღოს ფული!

და უცებ ეფრაიმის სულში ცოდვიანი იმედი აფუსფუსდა — იქნებ იეჰუდას გეგმა არ გამართლდეს? ამ ჰამპულა, დამნაშავე წინასწარმეტყველს წარმოდგენილი აქვს, რომ შეუძლია ყველაფერს მიაღწიოს წარმართ მეფესთან, რადგან მის ავხორცობას საკუთარი ქალიშვილი შესწირა, მაგრამ ის ცუდად იცნობს ქრისტიანებს და მათ უგუნურ მეფეებს.

დონ ეფრაიმა საქმიანი, ოდნავ შესამჩნევი დაცინვით დააზუსტა: — თუ ალჰამა სათანადო თანხას გაიღებს, შენ მიაღწევ იმას, რომ ექვსი ათასმა ფრანკმა ლტოლვილმა ებრაელმა ტოლედოში ცხოვრების უფლება მიიღოს, სწორად გაიგე? — იეჰუდამ ასევე საქმიანად განმარტა: — უნდა მოგროვდეს ისეთი თანხა, რომ ყოველ ფრანკ ლტოლვილზე მოდიოდეს ოთხი ოქროს მარავედი. ჩემის მხრივ, მე შევიტან თორმეტი ათას მარავედს, და თუ დანარჩენს უზრუნველყოფს ალჰამა, მაშინ გპირდები გამოვთხოვო სამეფო ედიქტი, რომლის ძალითაც ლტოლვილები კასტილიაში ცხოვრების უფლებას მიიღებენ.

— მაინც რა ხნის განმავლობაში აპირებ ედიქტის გამოთხოვას, ჩემო ბატონო და მასწავლებლო დონ იეჰუდავ? — უღმობლად და უხეშად განაგრძობდა დაკითხვას დონ ეფრაიმი.

იეჰუდამ მრისხანედ გადახედა მას. თავხედი იყო ეს ეფრაიმ ბარ აბა. ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, პირველად განიცადა დამარცხება იეჰუდამ და ხალხი უმალ გათავხედდა. მაგრამ სწრაფად შეიკავა თავი — ალჰამას უფლება აქვს ისე უყუროს, როგორც გამოუსწორებელ მევალეს; რადგან არ შეასრულა დანაპირები.

მაგრამ იგი ჯერ არ გაკოტრებულა. მან ძალები უნდა შემოიკრიბოს უკანასკნელი, უიმედო ცდებისათვის. მაშინ იქნებ გამჩენმა მიიღოს მისი მსხვერპლი და ამით სძლიოს მეფის ბოროტ ნებასურვილს.

იგი წამოდგა უეცარი გადაწყვეტილებით, თავის დაქნევით სთხოვა ეფრაიმს მოეცადა, ბიბლიოთეკაში შევიდა, სკივრიდან ამოიღო საღვთო წერილის გრაგნილი, გაშალა, მოძებნა საჭირო ლექსი, ხელი დაადო და წყნარად, მაგრამ მგრძნობიარედ წარმოთქვა: — *«აჰ, შენი თანდასწრებით, ჩემო ბატონო და მასწავლებლო ეფრაიმ ბარ აბა, საზეიმოდ ვფიცავ: ვიდრე კარგობის ღღესასწაული გაივლის, მეფე აღფონსოს, ამ სახელით მერვეს, ექვსი ათასი ფრანკი ებრაელისათვის სეფარდის მიწაზე დასახლების უფლებას გამოვთხოვ.»*

ღრმად შეძრწუნებული ეფრაიმი წამოდგა იეჰუდამ ისეთივე მგრძნობიერებით მოითხოვა: — ახლა კი, ბატონო მოწმევ, შეას-



რულე შენი მოვალეობა და წაიკითხე სიტყვები საღვთო წერილიდან, რომლებზედაც დავიფიცე. — ეფრაიმი დაიხარა გრავნილზე, დაიწყო კითხვა და ფერდაკარგული ტუჩებით იმეორებდა: — „აღთუ-  
უთქვა აღნათქვამი უფალსა ღმერთსა შენსა, არა დააყენო აღსრუ-  
ლება მისი, რამეთუ მიხდით მოგხადოს იგი უფალმან ღმერთმან  
შენგან, და იყოს შენდა ცოდვაი. უკეთუ არა გენებოს, აღუთქვა  
შენ, არა რა ცოდვა არს შენდა, გარნა, რომელ აღმოხდეს ბაგეთა  
შენთა, დაიმარხე, და ჰყავ, ვითარცა სახითა აღუთქვა უფალსა  
ღმერთსა შენსა მისაგებელი, რომელსა იტყოდა პირი შენი“. —  
ამინ, დე, ასე იყოს, — თქვა იეჰუდამ, — და თუ მე ვერ მივალწევ  
იმას, რაც დავიფიცე, მაშინ სახალხოდ უნდა შემაჩვენო. — ამინ, დე,  
ასე იყოს, — გაიმეორა ეფრაიმმა.

თავისი მოქმედებების განსასჯელად განკუთვნილ ღმერთს აღფონ-  
სო კალატრავაში, მოსანანიებელ სავანეში ატარებდა. იგი ცდილობ-  
და თავი დაერწმუნებინა, რომ გალიანაში მისი საქციელი ძალიან  
საძრახისი იყო და მონანიებას ცდილობდა, მაგრამ არ ნანობდა,  
პირიქით, შეჰხაროდა იმას, რაც იყო, და იცოდა, რომ ყველაფერს  
ისევ თავიდან დაიწყებდა. მონასტერში გატარებულმა მშვიდმა,  
განმარტობულმა დღეებმა კიდევ უფრო განამტკიცეს აღფონსოში  
ის ჰაბუკუჩი თავგამოდება, სიფიცხე, რომელსაც იგი უპირისპი-  
რებდა დონ როდრიგოს მწუხარებას. მწველი, დარდიანი ფიქრები  
რაკელზე ჯოჯოხეთური ცეცხლი როდი იყო, პირიქით, ღვთის წყა-  
ლობად მიაჩნდა ახლა ექვიც არ ეპარებოდა, რომ იგი უსათუოდ  
შესძლებდა რაკელის სულის ხსნას.

ასეთი სულიერი განწყობით დაბრუნდა იგი ტოლედოში, მაგრამ  
რალაც გაურკვეველი სინანულის გრძობით აღვსილმა, თითქოს  
მონასტერში ყოფნის დროს დაკარგულის ასანაზღაურებლად, თავს  
აღლა დაატანა, მთელი დღე ტოლედოში დარჩენილიყო და მხოლოდ  
მეორე დღეს საღამოსათვის გადაწყვიტა გალიანაში გამგზავრება.

იგი საქმეებს ჩაუჭდა, გულით უხაროდა, რომ ეს საქმეები მოი-  
თხოვდა დიდ ყურადღებას.

არაგონელმა დონ პედრომ შეკრიბა ჯარი, გადაწყვეტილი ჰქონდა  
შექრილიყო ვალენსიის მუსლიმანთა სამფლობელოში, ამის შესახებ  
დონ აღფონსოს არქიეპისკოპოსმა შეატყობინა. დონ მარტინი კმა-  
ყოფილი დარჩა, რომ კანონიკმა შესძლო დაეყოლებინა მეფე მო-  
ნასტერში განმარტობულიყო, რათა პირისპირ ყოფილიყო ზენა-  
ართან და ახლა დონ აღფონსო, რა თქმა უნდა, სიამოვნებით

ზიპყრობს ყურს სულიერ დამოძღვრებას. შემდეგ არქიეპისკოპოს-მა მკვახე სიტყვებით აუხსნა ალფონსოს: მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე რა ჩამოურეცხავი სირცხვილი უწერია ნახევარ-კუნძულზე მეფეთა შორის ყველაზე უძლიერეს მეფეს, თუ არაგონი ჩაებმება წმიდა ომში, ხოლო იგი მონაწილეობას არ მიიღებს.

აქვე უშუალოდ და დონ ალფონსოს განსაცვიფრებლად, და-იწყო ჟონგლიორი ხუან ველასკესის ქება-დიდება. ეკლესიას ჩვეულებრივი საცდურით აღსავსე ხალხური მომღერლებისათვის მხოლოდ კიცხვისა და გმობის სიტყვები გააჩნდა. მაგრამ ხუან ველასკესი იმდენად აჭადრობდა დონ მარტინის გულს, რომ თვით იხმო იგი არქიეპისკოპოსის სასახლეში, არქიეპისკოპოსი ფიქრობ-და, დონ ალფონსოსათვისაც სასიამოვნო იქნებოდა მოესმინა, როგორ უმღეროდა ხუან ველასკესი თავის ძარღვიან კასტილიურ ენაზე როლანდისა და სიდის გმირობას, თუ არას ვიტყოდით ამ მოხეტიალე მუსიკოსის აკრობატულ სიმარჯვეზე.

დონ ალფონსომ ჟონგლიორის მოყვანა ბრძანა. დონ მარტინი მართალი იყო: უბრალო, მარტივი და მეტად გამომსახველი სიტყ-ვები რომანსისა მას პირდაპირ გულში ხვდებოდა.

შეუძღვებელი იყო, მის მახვილს უმოქმედობის გამო ენავი მოკიდებოდა. ალფონსომ განუცხადა თავის ძველ, გულწრფელ მრჩეველს დონ მანრიკეს, რომ იგი ახლა ნამდვილად ჩაებმებოდა ომში.

თვითონაც ასევე მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, უპასუხა დონ მანრიკემ, მაგრამ როცა სენიორ ესკრივანომ ჩემივე თხოვნით იანგა-რიშა, რამდენი დაჯდებოდა ყოველივე ეს, ნათელი გახდა, რომ იმედი არ უნდა გვქონდეს. დონ იეპუდა არაბული ციფრებით ანგარიშობდა, მანრიკე მიჩვეული იყო რომაულ ციფრებს და არა-ბულ ციფრებში ცუდად ერკვეოდა, თუმცა ეკლესიაც არ სცნობდა ამ ციფრებს. საუბედუროდ, თანხა, რომელთანაც ახლა საქმე ჰქონ-დათ, ისეთი დიდი იყო, რომ არაბული ციფრების გვერდის ავლა შეუძლებელი გახდა — შენს ესკრივანოს უნდა მოეთათბირო, მეფევე ბატონო, რა დაჯდება ხალიფას წინააღმდეგ ომი, — ურჩია დონ მან-რიკემ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ალფონსო შიშსაც განიცდიდა და უნებურ ცნობისმოყვარეობას რაკელის მამასთან შეხვედრის წინ. მაგრამ მას შემდეგ, რაც დონ მანრიკემ პირდაპირ დაასახელა იეპუდა, მეფემ გადაწყვიტა მისი მოწვევა.

ჭეროლდი გაგზავნა იბნ ეზრას კასტილიოში. ამავე დროს გალია-

ნაში გაუგზავნა რაკელს სულ მცირე ბარათი ლათინურ; არაბულ და კასტილიურ ენაზე დაწერილი: „ხვალამდე, ხვალამდე, ხვალამდე“.

იეჰუდამ რომ გაიგო მეფე უხმობდა, შვეებით ამოისუნთქა. რითაც არ უნდა დამთავრებულიყო შეხვედრა, ლოდინს მაინც სჯობდა.

და აი, ისინი პირისპირ იდგნენ, თითოეული მათგანი ერთიმეორეში ცვლილებებს ეძებდა. იეჰუდა ეძებდა და თანდათან პოულობდა ბარბაროსის სახის ნაკვთებში იმას, რასაც შეეძლო რაკელი მოეხიბლა. უხერხულ მდგომარეობაში მყოფი მეფე კი მოხუცებრაელის ნაკვთებში თავისი სატრფოსთან მსგავსებას პოულობდა.

— მე მხოლოდ ისღა დამრჩენია, გითხრა ჩემო ესკრივანო, — ოღნავ დაძაბული სილალით დაიწყო დონ ალფონსომ, — შენს წინდახედულებას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ, რომ ახლა ასე ვნებებო-რობთ. ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე ომი დავიწყო: შენი გამოანგარიშებით ამისათვის საჭიროა ორასი ათასი მარავედი. შემიძლია მივიღო ეს თანხა?

იეჰუდა მოემზადა, ვიდრე თავის მთავარ საქმეს შეუდგებოდა, მოესმინა და უკუეგდო ყოველგვარი სისულელე. ამიტომ წყნარად უპასუხა: — შეგიძლია ეს თანხა მიიღო, მეფევე ბატონო, მაგრამ მაშინ ხომ საუბარი არაგონთან ლაშქრობას შეეხებოდა და არა ხალიფასთან ომს, — იქნებ ალფონსოს გაეხარდა კიდევ თავისი მინისტრის შეპასუხება, მაინც თავის თავს არ გამოუტყდა და დაჟინებით მოითხოვა: — თუკი არაგონი ბედავს მონაწილეობა მიიღოს ლაშქრობაში, ნუთუ მე არ შემიძლია? — შენს უფავუსტეს ნათესავს არ დაუღვია ზავი ვალენსიელ ემირთან, — არ ცხრებოდა იეჰუდა. — კაცმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ თავს მოეხვია ჩემთვის ეს წყეული ზავი, სჯობდა არ მოეგონებინა ეს ამბავი, — წარბშეკვრით უთხრა ალფონსომ. იეჰუდას სახე კვლავინდებურად არაფერს გამოხატავდა. — საქმე საქმედ რჩება, სულ ერთია რა სახელს შევარქმევთ მას, — თქვა იეჰუდამ — საერთოდ დაუჭერებლად მიმაჩნია, რომ დონ პედრო ომში ჩაება. ჩემს სახლიკაცს, დონ ზოზე იბნ ეზრას, ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ თავის მეფეს არასასიამოვნო სინამდვილე უთხრას. უნდა ვივარაუდოთ, იგი მას მოაგონებს, რომ ხალიფა ბრუნდება აღმოსავლეთიდან თავის დედაქალაქში და თუ არაგონი ომს წამოიწყებს, უსათუოდ გადავა ანდალუზიაში. მარტოხელა არაგონს ომი არ შეუძლია. ისევე, როგორც კასტილიას.

დონ ალფონსო ტუჩებმოკუმული და შუბლშექმუხნილი იჯდა. მას ყოველთვის ერთი და იგივე მოსაზრება აბრკოლებდა. — არ

შეიძლება ომის წამოწყება ქარაფშუტა არაგონელთან შეურიგებლად.

— ვიცი, მეფევ ბატონო, გული ლაშქრობისკენ მიგიწევს,— გულში ჩამწვდომი ხმით განაგრძობდა იეპულა, — დამიჯერე, რომ მე და ჩემი სახლიკაცი, დონ ხოზე, ბევრს ვფიქრობთ, როგორ დავამყაროთ ნამდვილი მშვიდობა ჩვენს უავგუსტეს მონარქებს შორის.

მეფე კიდევ უფრო მოიღუშა. ვილაც იბნ ეზრებს არ შესწევდათ არაგონთან შეთანხმების ძალა. ებრაელს უკეთ ესმოდა ეს, ვიდრე თვით მეფეს. ხომ არ დასცინოდა იგი მას?

იეპულა მეფის უკმაყოფილებას ნათლად ხედავდა. ეხლა შეუფერებელი დრო იყო, ლტოლვილთა შემოშვება რომ ეთხოვა. მაგრამ მან ხომ ფიცი მისცა და მის წინაშე ხალხთა წყველა-კრულვა მრისხანე აჩრდილივით ტორტმანებდა, დრო იწურებოდა. ვინ იცის, კიდევ როდის შეხვდებოდა მეფეს? უნდა თქვას.

იეპულამ ლაპარაკი დაიწყო.

ღაფონსო უსმენდა და ბრაზობდა. აი, ახლა კი უჩვენა მელიამ თავისი ნამდვილი სახე. — განა ამ წუთში არ მიმტკიცებდი, რომ გინდა დამეხმარო წმიდა ომის დაწყებაში. ახლა ითხოვ, რომ ჩემს ქვეყანაში შემოუშვა შენი ებრაელები. გაიძვერა სახეში პირდაპირ მოგახლი, — გინდა ხელი შემიშალო. ყველაფერს აკეთებ, რომ ხელი შემიშალო. გინდა როგორმე ხელი შემიშალო, არაგონელ ქარაფშუტასთან შეთანხმებაში. მტრობას მიღვიძებ არაგონის წინააღმდეგ, ხოლო შენი სახლიკაცი არაგონს მტრობას უღვივებს ჩემს წინააღმდეგ. თქვენ დაძვრებით, წრიალებთ, ტყუიხართ, როგორც ნამდვილი ებრაელი ჩარჩები და მევახშეები.)

მეფე ხმას არ იმალლებდა, ხმადაბლა ლაპარაკობდა, რაც მის სიტყვებს უფრო საშიშს ხდიდა.

„არ უნდა მეთქვა, — ფიქრობდა იეპულა, — მაგრამ ხომ უნდა დამეწყოს ზეცას შევფიცე. ფიცის გატეხა შეუძლებელია. — უსამართლოდ შეურაცხვეყოფთ მე და ჩემს სახლიკაცს, მეფევ ბატონო, — მამაცად უთხრა იეპულამ, — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. მაგრამ როგორც ჩანს, მეტი ძალა არ შეგვწევს, — და კიდევ უფრო გაბედულად დაუმატა: — ვიცი, ვის შეუძლია კიდევ უფრო მეტის მიღწევა: დედოფალს, შენს მეუღლეს. იგი ჩვენს შორის ყველაზე ჰკვიანია. წადი მასთან, სთხოვე, რომ უავგუსტესი დონ პედრო შეთანხმებაზე დაიყოლოს.“

მეფე ბოლთას სცემდა. — ძლიერ უტიფარი ხარ, ბატონო ესკრივანო, — მიახალა აღფონსომ იეპულას. დახშულ ხმაში აშკარად იგრძნობოდა ბრაზი.

იეპულა თავალებით განაგრძობდა, მას დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა: — თვით შენს მეუღლეს, დედოფალსაც კი თვეები დასჭირდება შეთანხმების მისაღწევად, მაპატიე თუ ჩემი დაბალი, ვაქრული შეგნებით ვერ გამიგია, რატომ არ უნდა ვისარგებლო ამ თვეებით და არ მოვიზიდო ჩვენსკენ ფრანკი ლტოლვილები. მათ ყველას აქვს თავები და ხელები, რომლითაც შეუძლიათ შენს ქვეყანას დიდი სარგებლობა მოუტანონ. შენი მიწები, მეფევ ბატონო, გაუთავებელი ომების შედეგად ჭერ კიდევ გატიალებულია. გამოიყენე ეს სასარგებლო ახალმოსახლენი. უმორჩილესად გთხოვ, მეფევ ბატონო, ასე ადვილად ნუ უგულუბელყოფ ჩემს გონივრულ დასკვნებს. მოიფიქრე, აწონ-დაწონე.

ღონ ალფონსოს რაც შეიძლება მალე უნდოდა დაემთავრებინა ეს არასასიამოვნო საუბარი. იქნებ ებრაელი მართალი იყო. უეჭველად მართალი იყო და უკვე უნდოდა დასთანხმებოდა, მაგრამ თავი შეიკავა: ებრაელს სითამამის საფუძველს კარგად აწონ-დაწონილი საბუთები კი არ აძლევდა, არამედ რაღაც სულ სხვა. — იქნებ შენი დასკვნები სწორი იყოს, — გაბრაზებით უთხრა ალფონსომ, — მაგრამ მათ საწინააღმდეგოდ არანაქვებ კარგი მოსაზრებები გამოინახება, ეს შენ კარგად იცი. — იეპულამ სცადა შეპასუხებოდა მეფეს, მაგრამ ალფონსომ სიტყვის თქმის უფლება არ მისცა. — არაფერი მსურს ამის შესახებ მოვისმინო, — ხმა აიმაღლა ალფონსომ.

მაგრამ როგორც კი თვალი შეავლო ებრაელის გაფითრებულ, დატანჯულ სახეს, გაიხსენა ქალიშვილი ამ კაცისა და აჩქარებით დაუმატა: — არ გეწყინოს, ყოველივეს მოვიფიქრებ: გავითვალისწინებ შენს მოსაზრებასაც. — და ნაძალადევი მხიარულებით დაამთავრა: — სიკეთეს არ დავივიწყებ.

ისინი ერთმანეთს დაცილდნენ — მეფე მოწყალებით სავსე, ებრაელი კი მოჩვენებითი მორჩილებითა და სიმშვიდით, სინამდვილეში ერთმანეთისადმი იღუმალა უნდობლობით.

## თ ა ვ ი მ მ ს ა მ ი

რაკელი მთელი ამ ხნის განმავლობაში თავს იტეხდა და ვერაფრით აეხსნა — როგორ დასტოვა ალფონსომ მარტო მთელი კვირით. გაურკვეველი შიში მოსვენებას არ აძლევდა. იგი ხვდებოდა, ამ საქმეში ალფონსოს ღმერთი ერაი.

შემდეგ კი ბარათი მიიღო, სადაც ალფონსო მისი ქვეყნის სამივე

ენაზე მხიარულად ამცნობდა: ხვალ ხვალ, ხვალ და აი, ისიც გა-  
წოცხადდა.

იხილეს თუ არა ერთმანეთი, თითქოს არც განშორებულან. ამ  
გაუთავებელი კვირის განმავლობაში ისინი კი არ ცხოვრობდნენ,  
მხოლოდ სუნთქავდნენ, უმიზნოდ ცოცხლობდნენ, ახლა კი თავიდან  
დაიწყეს. გალიანას გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინათ, საკუ-  
თიარ სასაუბრო ენას თზავდნენ ლათინურისა და არაბულისაგან,  
თავიანთი განსაკუთრებული, ჯერ დაუწერელი კანონებით და სხვა  
არავითარი ენა მათ არ სჭირდებოდათ; მაგრამ უკეთ მაშინ ესმო-  
დათ ერთმანეთის, როცა სდუმდნენ.

მიუხედავად ამისა, ბევრი რამ შეიცვალა ორავესათვის; უფრო  
ახლოს გაიციეს ერთმანეთი. ახლა ალფონსო რაკელში ხშირად  
გრძნობდა გაუგებარსა და საექვოს, რაც საკუთარ ხალხთან ანათე-  
სავებდა რაკელს, რომელიც ღეთისაგან დაგმობილი იყო; მაშინ იგი  
ღეთისმოსაური და ცბიერი სიხარულით ფიქრობდა თავის გადა-  
წყვეტილებაზე — აღმოეთხვრა რაკელში ეს თვისებები. რაკელი  
აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ალფონსოს  
თავისი დიდი ძაღლები უყვარდა. ერთხელ ძაღლები უწყინრად  
მივიარდნენ რაკელს, რომელმაც ზიზღით აარიდა თავი მათ ტლანქ  
აღერსს მაშინ ალფონსომ მხიარულად, მაგრამ ოდნავ გულღვარძ-  
ლიანად მოუთხრო: — ჩვენ, ესპანელ მონარქებს, გვიყვარს ჩვენი  
ცხოველები. ჩვენ წინაპართ, გოთ მეფეებს, ეკვი არ ეპარებოდათ,  
რომ ოდესმე იქ, სამოთხეში, კვლავ იპოვიდნენ თავიანთ ძაღლებს.  
სხვა შემთხვევაში მათთვის სამოთხე როდი იქნებოდა სამოთხე.  
ცხადია, მათ სწამდათ შენი საყვარელი მუსას სიბრძნე, რომელიც  
ამბობს, ცხოველების სულიც იქ მოხვდება, სადაც ადამიანისაო. —  
ალფონსომ შენიშნა, როგორ დაანაღვლიანა რაკელი მისმა ხუმრო-  
ბამ და იმ წუთშივე გამოთქვა ღრმა სინანული. — მაპატიე, საყვა-  
რელო! რადგან შენ არ მოგწონს ჩემი ძაღლები და გაშინებენ კი-  
დეც, მე მათ უკანვე გავაგზავნი. — რადგან რაკელმა უარყო ეს წინა-  
დადება, ალფონსოს კიდევ უფრო მოუნდა შერიგებოდა მას და  
დაუმატა: — ჩემს ბელარლოსაც ვერ იტან, მასაც თავიდან მოვიშო-  
რებ. — რაკელს ძლიერ გაუჭირდა ალფონსოსათვის გადაეთქმევინე-  
ბინა ეს გადაწყვეტილება.

დროგამოშვებით საშინლად სტანჯავდა ალფონსოს ფიქრი — რა-  
კელის ჭეშმარიტი მოქცევის ქამი დადგაო, მაგრამ ახლა, როცა  
ისევ რაკელთან იყო, მასთან სიახლოვემ აგრძნობინა, რომ ეს ამბავი  
უფრო საჩოთიროა, ვიდრე მას წარმოედგინა. რაკელს ღღემდე ვერ

გაეგო, რა იყო რაინდი. თვითონ აღფონსო ვინ იყო — ესე იგი საჭიროა, უჩვენოს რაინდობა მთელი თავისი სიდიადით.

აღფონსომ გალიანაში ჟონგლიორი ხუან ველასკესი მოიწვია.

როცა რაკელმა ქრისტიანული უბრალო უხეში გიტარა მოისმინა, ძალაუნებურად გაიხსენა არაბული არფის, მულნის და ფლეიტის ხმები, მათი მისმარის, შაჰრუდის და ბარბითის ნაზი ჰანგები. რაკელის ნათელი გონება და ფაქიზი სმენა სწრაფად აღიქვამდა, რაც ცოცხლობდა ჟონგლიორის მარტივ მუსიკასა და ლექსებში. და თუ ყოველთვის არ ესმოდა ზუსტი აზრი ამ ვულგარული ლათინურისა, სამაგიეროდ იტაცებდა ჟონგლიორის სიმღერის რაინდული, მხიარული ჰეროიკა.

ხუან ველასკესი მღეროდა ბრეტანელი მარკგრაფ როლანდის გმირობასა და სიკვდილზე, თუ მებრძოლთა მცირე რაზმით როგორ მოიგერია მან რონსევალიის ხეობაში ურჯულოთა ურიცხვი ურდოები, მღეროდა, როგორ ურჩია მისმა მეგობარმა ოლივიემ, ჩაებერა უძლიერეს რქა ოლიფანტში და უკან მოეხმო იმპერატორის, კარლოს მეფის ჯარი. მაგრამ როლანდმა არ დაუჯერა მეგობარს. რაინდებმა გაუგონარი სიმაძაქე ჩაიდინეს და დაიღუპნენ. ხუან ველასკესი მღეროდა, თუ როგორ დადიოდა დაჭრილი როლანდი მინდორზე, აგროვებდა თავის მკვდარ პალადინებს, რომ მათი გვამები არქიებისკოპოსს ტურპინთან მიეტანა უკანასკნელი კურთხევისათვის. ბოლოს, თუმც გვიან, მაგრამ მაინც ჩაყვია თავის ჯადოსნურ რქაში. მთები და ხეობები გამოეხმაურნენ მას, დასკრეს როლანდი მეორეჯერ უფრო მძიმედ და, დიდი ხნის შემდეგ გონს რომ მოვიდა, ხედავს გვამებით მოფენილ ველზე, მის გარდა ძე ხორციელი არაა ცოცხალი. გრძნობს, როგორ ახლოვდება აღსასრული, სიკვდილი თავიდან გულისკენ მიეპარება. მაშინ დიდი გაჭირვებით მიცოცდება მაღალი ნაძვის ხის ქვეშ. წვება მწვანე მოლზე. თავს სამხრეთისაკენ, ესპანეთისაკენ, მტრის მიმართულებით იბრუნებს, მარჯვენა ხელთათმანს მაღლა, ზეცისაკენ სწევს. და მიქელგაბრიელ მთავარანგელოზი გამოართმევს ხელთათმანს.

სუნთქვაშეკრული, ბავშვივით გაოცებული უსმენდა რაკელი. შემდეგ დაფიქრდა და შენიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო ერთი რამ: რატომ დროულად არ ჩაებერა რქაში გმირმა როლანდმა. მაშინ მისი რაინდები ცოცხლები გადარჩებოდნენ და მტერსაც დაამარცხებდნენ. მეფეს ეჩოთირა რაკელის ფხიზელი მოსაზრება, მაგრამ, როცა რაკელმა სთხოვა მომღერლებს გაემეორებინათ როლანდის დაღუპვის ლექსი, გრძნობამორეულ რაკელს აღტაცებით

უბრწყინავდა თვალები, ალფონსომ გადაწყვიტა, რაინდულმა სი-  
ლიადემ რაკელის სულში გამოძახილი ჰპოვაო.

ეს მთლიანად დადასტურდა, როცა რაკელმა ალფონსოს საჩუქა-  
რი მოუტანა, არაბული რაინდული აბჯარი, რომელზედაც რაკელი  
უკვე დიდი ხანია ლაპარაკობდა გადაკვრით.

დიდებული, მოსევადებულე, ფოლადისაგან გაკეთებული აბჯარი,  
იმის გამო, რომ ბევრი მისი ნაწილი აღვილად მოძრაობდა, საოც-  
რად მსუბუქი და ფაქიზი იყო. ალფონსოს თვალები გაუბრწყ-  
ინდა. რაკელი აბჯრის ჩაცმაში მოეხმარა. ეს მამაკაცის საქმე იყო,  
მეტეს არ მოეწონა რაკელის დახმარება, მაგრამ ალფონსოს ძალა  
არ იყო, მისთვის უარი ეთქვა.

რაკელი ალფონსოს რთავდა, შენიშვნებსაც აძლევდა, მაგრამ  
ყოველივე ამას აშკარა აღფრთოვანებით აკეთებდა. ალფონსო  
გმირულად იდგა. მოლურჯო-შავი ლატით შემოსილი ჯავშნის მოქ-  
ნილი რგოლები ალფონსოს ვაჟკაცურ გულმკერდს რბილად შემოტ-  
მასნოდა, ცისფერი თვალები ელავდა ზარადიდან. რაკელმა ბავშვუ-  
რი აღტაცებით ტაში შემოჰკრა: — ჩემო საყვარელო, ღვთის სასწა-  
ულთა შორის შენ ყველაზე დიდი სასწაული ხარ! — რაკელი ოთახში  
დადიოდა გარს უვლიდა ალფონსოს, თან ცეკვავდა და არაბულ  
ლექსებს უმღეროდა: — გმირნო ამაყნო! ხელთა გაქვთ მომაკვდინე-  
ბელი მახვილი და თავზარსა სცემთ შუბით. მტრებს თავს ესხმით,  
როგორც გრიგალი, როგორც ქარიშხალი. რა სიხარულია თქვენი  
გამხნელება სიმღერით.

ალფონსო ღიმილთ უსმენდა. იგი აღტაცებული იყო. ჯერ არა-  
სოდეს უმღერია მისთვის რაკელს მხედრული ლექსები, მაგრამ  
ახლა ალფონსომ ამასაც მიადწია. ახლა გაიგო რაკელმა, რას ნიშ-  
ნავს მეომარი. ახლა შეუძლია წამოიწყოს საუბარი სწორედ იმ ღი-  
ლისა და წმიდა ამბის შესახებ, რაც მათ სამუდამოდ დააკავშირებს.

დიდხანს არც კი უფიქრია ალფონსოს, პირდაპირ ჰკითხა: თანახ-  
მაა თუ არა რაკელი, რომ ალფონსოსთან ერთად მოისმინოს წირვა.

რაკელმა ალფონსოს შეხედა. ნამდვილად ვერ გაიგო. ალბათ, ეს  
ერთ-ერთი უთავბოლო ხუმრობა თუ იყო. გაუბედავად გაიღიმა.  
რაკელის ღიმილმა ალფონსო გააბრაზა. სწრაფად მოერია თავს და  
ბავშვური სერიოზულობით აუხსნა: — ძვირფასო, თუ მოინათლები,  
არა მარტო საკუთარ სულს იხსნი, არამედ მეც გამანათვისუფლებ  
მძიმე ცოდვისაგან, და მაშინ ჩვენ ყოველგვარი ცოდვებისა და  
მონანიების გარეშე დავრჩებით ერთად სამუდამოდ, — ალფონსოს  
სახეზე ისეთი გულუბრყვილო რწმენა იყო აღბეჭდილი, რომ რა-  
კელზე ძალაუწებურად იმოქმედა.



მაგრამ იმავე წუთში მის გონებას ჩასწვდა ამ სიტყვების მნიშვნელობა და რაკელმა მწვავე წყენა იგრძნო. ესე იგი, ალფონსო არ ემყოფილდება იმით, რაც რაკელმა შესწირა და ახლა გაუმადლარი მეომრის სიჩღუნგით უნდა წაართვას უკანასკნელიც, წარუვალი საკუთრება, რომელიც წინაპრებმა უანდერძეს. განა არაა საკმარისი, ღვთის რისხვას რომ იმსახურებს და ურჯულოსთან საუბრობს, ჰამს, ბანაობს და მასთან ერთად ლოგინში სძინავს? რაკელის სახეზე აშკარად გამოიხატა წყენა და გულისტკივილი.

ალფონსომ მოუხერხებლად დააპირა მისი დარწმუნება. რაკელმა წყნარად, ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე, მტკიცედ უთხრა უარი.

რაკელმა კარგად იცოდა, ალფონსო ბრძოლაში ჯიუტი იყო, იოლად არ მოეშვებოდა მას და თუმცა თავის რწმენის სიმტკიცეში ეჭვი არ ეპარებოდა, შემწვობისა და დახმარების სათხოვნელად თავისიანებს — მამას და მუსას მიმართა.

რაკელმა მამას გაუზიარა ალფონსო დაჟინებით მთხოვს მოვინათლო, დონ იეპუდას მკვდრის ფერი დაედო. — გთხოვ, მამაჩემო, შენი შიშით ნუ შეურაცხყოფ, — ჩუმაღ წარმოთქვა რაკელმა. — შენ თვითონ მასწავლიდი, რომ იბნ ეზრას გვარისა ვარ და დიდ წიგნს ნაზიარები. ეს აღბეჭდილი მაქვს გონებაში.

მუსასთან საუბარში რაკელს არაფერი დაუფარავს, გულახდილად გაანდო, რომ მომავალი შეუპოვარი ბრძოლის ეშინია.

მუსამ რაკელს ხელი მოჰკიდა და მუჰამედ წინასწარმეტყველისა და მისი ებრაელი ცოლების შესახებ უამბო. თავდაპირველად წინასწარმეტყველი სიკეთით შეუდგა ებრაელთა მოქცევას თავის მოძღვრებისაკენ, მაგრამ როცა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, მახვილი აღმართა და ბევრი მათგანი მოჰკლა. ერთ-ერთი ლაშქრობისას მასთან ბანაკში მოხვდა ებრაელის ქალწული, ზაინაბი, რომლის მამა და ძმები მუსლიმანმა მეომრებმა დახოცეს. ზაინაბმა აღიარა, რომ არ არის სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა. ელაქუცებოდა, ეპირფერებოდა წინასწარმეტყველს, თავს აჩვენებდა ისე, თითქოს უყვარდა, მუჰამედიც მოიხიბლა, მასთან წვებოდა, თავის ჰარამხანაში შეიყვანა და სხვა ცოლების წინაშე უპირატესობა მიანიჭა. ზაინაბმა ერთხელ ჰკითხა, საკმელთა შორის რომელს ირჩევდა. „ბატკნის მკერდს“ — უბასუხა მუჰამედმა. ზაინაბმა წინასწარმეტყველისა და მისი მეგობრებისათვის ბატკანი შეწვა. მკერდს შხამიანი წვენი წაუსვა. ერთ-ერთმა მეგობარმა შეჰპამა მკერდის ნაჭერი და მოკვდა. მუჰამედმა თუმცა პირველივე ლუკმა გადმოაფურთხა, მაგრამ მაინც ავად გახდა. ებრაელმა ზაინაბმა მუჰამედს აუხსნა, ამით მხოლოდ

მინდოდა, დამემტკიცებინა, როგორ უყვარხარ ალაქს, ვინაიდან ალაქის რჩეულისათვის შხამი უვნებელია და რომ ასე არ მომხდარიყო, მაშინ სიკვდილის ღირსი იქნებოდით. ზოგნი ამბობენ, მუჰამედმა ზაინაბს აპატიო, სხვები ამტკიცებენ, დასაჯაო.

ქალაქი კაიბარი, სადაც მხოლოდ ებრაელები ცხოვრობდნენ, განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა მუჰამედს. ამ ქალაქში მცხოვრები მამაკაცების უმრავლესობა ომში დაეცა; დანარჩენ ექვსას, ქალაქის ხელში ჩაგდებისთანავე წინასწარმეტყველმა თავი მოაკვეთინა. ტყვე ქალთა შორის იყო ერთი ქალი სახელად საფია; ქმარი მოუკლეს, ხოლო მამა სიკვდილით დაუსაჯეს. იგი ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა და ისეთი ლამაზი იყო, რომ მუჰამედმა თავის პარამხანაში წამოიყვანა. თუმცა უმწიკლო არ იყო, მაგრამ მუჰამედს გულთ შეუყვარდა. მუხლს შეაშველებდა ხოლმე, რომ საფიას ადვილად შეძლებოდა აქლემზე ასვლა. საჩუქრებით აავსო და სიკვდილამდე არ მობეზრებია, მუჰამედის სიკვდილის შემდეგ საფიამ ორმოცდახუთი წელი იცოცხლა.

ასე უამბობდა მუსა.—ესე იგი, ამ ქალებმა უარყვეს აღონაი?— ჰკითხა რაკელმა. ებრაელი ზაინაბი რომ სინამდვილეში მოხიბლულიყო მუჰამედის მოძღვრებით, რა თქმა უნდა, არ შეეცდებოდა მის მოწამვლას, — უპასუხა მუსამ. — რაც შეეხება საფიას, მთელი თავისი დანაზოგი სიმდიდრე უანდერძა თავის ნათესავეებს, რომლებიც იუდეველებად დარჩნენ.

— შენ ყოველგვარი მორიდების გარეშე ლაპარაკობ წინასწარმეტყველზე, მაშ, რაღად რჩები მუსლიმანად, ძია მუსა?— ცოტა დაყოვნების შემდეგ ჰკითხა რაკელმა. — მე სამივე რელიგიას ვაღიარებ, — უპასუხა მუსამ, — ყოველ მათგანში არის ჰეშმარიტების მარცვალი, მაგრამ გარდა ჰეშმარიტებისა, თითოეულ მათგანში ისეთი რამაა, რომლის რწმენაც გონებას ეწინააღმდეგება. იგი მიუახლოვდა თავის საწერ მაგიდას და დაიწყო წრეებისა და არაბესკების ხაზება, ზურგშექცევით იღვა და თან ლაპარაკობდა: — ვიდრე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ხალხის სარწმუნოება არ არის სხვა ხალხის სარწმუნოებაზე ცუდი, საკუთარი თავი შემეზიზნებოდა, თუ დავტოვებდი იმ თემს, სადაც გავიზარდე.— იგი წყნარად ლაპარაკობდა, ხმა არ აუწევია, მისი სიტყვები რაკელს გულში ხედებოდა.

როცა მუსა მარტო დარჩა, უნდოდა „ისლამის ისტორიაზე“ ემუშავა, მაგრამ რაკელის ნათქვამი გაახსენდა, თვით გაუკვირდა, ესოდენ მკაცრი სიტყვები რომ იხმარა და დიდხანს ვერ შესძლო ვულისყურით მუშაობა.

სამაგიეროდ მუსამ ლექსი დაწერა: „ისე სავსეა ჩვენი საუკუნე იარაღით და მეომრებით, რკინის უღარუნით და ბრძოლების ხმაურით, რომ დღეს ბრძენის სიტყვებიც კი უღარუნობს, ნაცვლად იმისა, რომ ნაზად ჩურჩულებდეს, ვით სადამოს ნიავეთ აშრიალებული ხის კენწეროს ფოთლები“.

ღონ როდრიგო ერიდებოდა ლაპარაკს მასზე გადმოვლენილ მადლსა და ექსტაზის წუთებზე — ხორცის მოკვდინების შედეგებზე. მას ერჩივნა სწავლულად და მკვლევარად ჩაეთვალათ იგი. არც ტყუოდა რადგან, მიუხედავად თავისი ღვთისმომწიშობისა, იგი შეპყრობილი იყო მძაფრი ექვებით სავსე აზროვნების სინარულით. მას ხიბლავდა გონების საუცხოო თამაში. ყველაზე დიდ სიტყობობას განიცდიდა, როცა თავის საკუთარ თავთან ან სხვა ვინმესთან მრავალჯერ აწონ-დაწონიდა მოსაზრებებს რომელიმე მდგომარეობის საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ. თანამედროვე ღვთისმეტყველთა შორის თავიანთ სცემდა აბელარს. მას მოსვენებას არ აძლევდა მეცნიერის მტკიცება, რომ უდიდეს წარმართთა ფილოსოფიიდან უფრო მოკლეა გზა სახარებამდე, ვიდრე ძველი აღთქმიდან. და კვლავ უბრუნდებოდა აბელარის გაბედულ შრომას: „Sic et non — ჰო და არა“, — სადაც ციტირებულია ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვები საღვთო წერილიდან. მკითხველს კი თვით ეძლევა ამ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის უფლება.

ღონ როდრიგომ იცოდა, რომ მას შეეძლო გაეხედა ამ სახიფათო სფეროს უკიდურეს საზღვრამდე მიჭრილიყო. ტყუილუბრალოდ როდი ბუდობდა მის სულში ნაკრძალი სავანე, სადაც ვერ აღწევდა გონების თამაში ექვები. სწორედ აქ ეძებდა იგი თავშესაფარს ყოველგვარი ცთუნებისაგან.

თავისი სარწმუნოების ეს ფარული, ურყევი რწმენა უფლებას აძლევდა მას, კვლავინდებურად იბნ ეზრას კასტილიოში ერეტიკოს მუსასთან გაემართა მეგობრული კამათი.

მუსამაც იცოდა, რომ კანონიკთან შესაძლებელი იყო ყოველგვარი შიშის გარეშე მსჯელობა ყველაზე სათაკილო საკითხების გარშემო. მას არ ერიდებოდა როდრიგოსთან ესაუბრა თუნდაც მეფის სამიჯნურო კავშირზე. — ჩვენს მეგობარ იეჰუდას იმედი ჰქონდა, — შენიშნა მან, — რომ რაკელის თავშეკავებულობა და მეტად აღერსიანი ადათ-ჩვეულებანი დაიმორჩილებდა ალფონსოს თავაწყვეტილ ჭარისკაცულ განწყობილებას. რაკელი კი აშკარად მოხიბლულია ალფონსოს საბრძოლო გულადობით. ვშიშობ, გალიანაში

ცხოვრება რაკელს უფრო მალე გახდის რაინდობის ქომაგად, ვიდრე მეფეს — შვიდობისმყოფელად.

— ძნელია, ამ გაცხარებულ ჯვაროსნულ ლაშქრობისას აღფონსომ შვიდობის ქება-დიდებას ათხოვოს ყური, — თქვა როდრიგომ. მუსა ოთახის კუთხეში მოხერხებულად დამჯდარიყო და ოღნავ წამოწეული, თითქმის ხმამაღლა ფიქრობდა: — თქვენი ჯვაროსნული ლაშქრობანი! თუგინდ მომკალი, მაინც ვერ გამიგია, როგორ შეგიძლიათ თქვენ მხსნელს შვიდობის თავადი უწოდოთ და მისივე სახელით, თავგამოდებითა და ღვთისმოსაობით გააჩალოთ ომი. — თუ არა თქვენ, მაშ ვინ მოუტანა ქვეყანას წმიდა ომი, ჩემო ძვირფასო და დიდადატივეცემულო მუსა? — მორიდებით ჰკითხა კანონიკმა. — სწორედ მუჰამედს არ ეკუთვნის მოძღვრება ჯიჰადის შესახებ? ჩვენი bellum sacrum გამოცხადებულ იყო ჯიჰადისაგან დასაცავად. — მაგრამ წინასწარმეტყველი ომის წარმართვას უკანონებს მას, ვინც გამარჯვებაში დარწმუნებულია, — დაფიქრებით თქვა მუსამ.

მუსამ შენიშნა, რომ მისმა უკანასკნელმა დასკვნამ სტუმარს გული ატკინა და ზრდილობისათვის საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

ღეღი საოცარ ხრიკებს გამოძებნის, რათა ჩვენს ნახევარკუნძულს ომი დავიდან ააცილოს, — ეშნიშნა მან. — ყველას გვეშინოდა, რომ მეფის, ჩვენი ხელმწიფის უგონო ვნება უბედურებამდე მიგვიყვანდა, ის კი სასიკეთოდ შემობრუნდა, რადგან ვიდრე ჩვენი რაკელი შესძლებს მეფის შეჩერებას, საეკვოა, რომ მან ხალიფას ომი წამოუწყოს. რა თვითნებური, ბავშვურად საუცხოოა ის ძალა, რომელსაც მე კადარს ვეძახი, ხოლო შენ, ღირსეულო მეგობარო, განგებას უწოდებ!

კანონიკმა სიტყვა გააწყვეტინა ამ პირდაპირი გამოწვევის საპასუხოდ, კანდიერად მოლაპარაკე მოხუცს: — თუ შენ ღვთაებას ლანძღავ სიბრძნის და უაზრო თვითურჯულობისათვის, მოიღე მოწყალება და მითხარი, რატომ ისწრაფი სიბრძნისაკენ, რა სარგებელი მოაქვს ყველაფრის ცოდნას? — უდიდესი სარგებლობა, — სწრაფად გამოეხმაურა მუსა, — რადგან იგი საოცრად ეხმარება ადამიანს, არსებული მდგომარეობის ორაზროვნება და მისი შინაგანი წინააღმდეგობანი დაინახოს. მე გულს მითბობს შეცნობა თავისთავად. ნუ უარყოფ, ჩემო პატივეცემულო მეგობარო, რომ იგი შენც გატკბობს.

ასეთი საუბრის შემდეგ დონ როდრიგო თავის თავს კიცხავდა, რომ მას სიამოვნებას ჰგვრიდა ურჯულო მოხუცთან ურთიერთობა და

თავს აძალებდა ან შეეწყვიტა სტუმრობა ან, ყოველ შემთხვევაში, იზნ ეზრას კასტილიოში იშვიათად მისულიყო.

მაგრამ ახლა კანონიკმა ზეციდან მიიღო მითითება. მეფემ იგრძნო, რომ იგი მარტო ვერ შესძლებდა ურწმუნოებას გამკლავებოდა; რომელსაც რაკელის გული შეეებოჯა. და ამიტომ დონ როდრიგოს მიმართა დახმარებისათვის. ხომ არ შეეძლო დონ როდრიგოს ესოდენ საბატიო თხოვნა უყურადღებოდ დაეტოვებინა, არც ის შეეძლო იზნ ეზრას სახლში სტუმრობა შეეწყვიტა.

და აი, ნახევრად მრგვალ დარბაზში ძველებურად შეიკრიბნენ მუსა, რაკელი, კანონიკი და ახალგაზრდა დონ ბენიამინი. როდრიგომ თან მოიყვანა იგი, რომ ამით დაემალა მისი მოსვლის მთავარი მიზანი — რაკელის მოქცევა.

დონ ბენიამინს ძლიერ უჭირდა რაკელთან თამამად თავის დაქე-რა. მთელი ეს კვირეები იგი განუწყვეტლივ ფიქრობდა მის ბედზე, ძნელსა და მეტად სახიფათო ბედნიერებაზე. მხოლოდ რაკელის გალიანაში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მიხვდა ბენიამინი, თუ რა ძვირფასი იყო მისთვის რაკელი და ახლა ბენიამინის სურვილი, რაღაც მწარე მორჩილებასთან შეერთებული, სრულიად ახალ ფერსა და სიღრმეს მატებდა მის მეგობრობას.

დონ ბენიამინს ეგონა, ქალიშვილში დიდ ცვლილებას ნახავდა. მაგრამ მის წინაშე აღრინდელი რაკელი იჯდა. ახალგაზრდა კაცი, ერთის მხრივ, გულგატეხილი იყო, ხოლო მეორეს მხრივ, გახარებულიც და თავისი განსწავლულობის მიუხედავად გონებას ვერ იკრებდა. იგი ჩუმ-ჩუმად გადახედავდა ხოლმე რაკელს და დაბნეული უსმენდა სხვების ლაპარაკს, თვითონ კი სდუმდა.

დონ როდრიგო თავის მხრივ ხელსაყრელ მომენტს უტედიდა, შესდგომოდა თავის ძირითად დავალებას. იგი არ იყო მგზნებარე ფანატიკოსი, ეზიზღებოდა ჯიქური მოქმედება, ელოდა მხოლოდ მოხერხებულ სიტყვას, ხელის ჩასაჭიდებლად. მუსამ ხელი შეუწყო და წამოიწყო საუბარი თავისი საყვარელი თემის ირგვლივ, რომ ყველა ხალხს თვით ბედის მიერ უწყერია ჟამი აყვავებისა და ჟამი დაქცობისა.

მართალია, დაეთანხმა კანონიკი, მაგრამ მხოლოდ ხალხის ნაწილი თუ გრძნობს, რომ მათი დრო რა ხანია წავიდა. — თუნდაც ებრაელთა ერი, — დამაჯერებლად განაგრძობდა იგ. — მაცხოვრის გამოჩენის შემდეგ ერთი ან ორი საუკუნის განმავლობაში, ებრაელებს კვლავ შეეძლოთ თავი დაემშვიდებინათ თვითმრტყუებით, თითქოს მათი „დიდი წიგნის“ გამოცხადება ძალაში რჩება და მათი სახელმწიფო კვლავ აღსდგება, მაგრამ აგერ უკვე ათასი წელია, რაც

ისინი განიცდიან უბედურებას და მაინც არ აღიარებენ, რომ მაცხოვრის გამოცხადება იყო ის ლოცვა-კურთხევა, რომელიც იესაიმ აუწყა. მათ უნდათ დროს ჭკუით აჯობონ და ჯიუტობენ თავიანთ შეცდომებში.

ამ საუბრის დროს კანონიკი არც რაკელს უყურებდა, არც ბენიამინს, იგი ამჯერად არ ქადაგებდა, ჩვეულებრივ საუბრობდა მუსასთან, როგორც ფილოსოფოსი ფილოსოფოსთან. ბენიამინს კარგად ესმოდა, სად უმიზნებდა კანონიკი, როგორი უდანაშაულო, მაგრამ სასტიკი ღვთისმოშიშობით ცდილობდა რაკელის წინაშე მისი იუდეველობის დაგმობას. ამ დროს ბენიამინმა უცებ, თითქოს გამოფხიზლდაო, თავიდან მოიცილა საოცნებო ფიქრები და მაღალფარდოვნად დაიწყო თავისი და რაკელის სარწმუნოების დაცვა. — ჩვენ სულაც არ გვინდა დროს ჭკუით ვაჯობოთ. ღირსეულო მამაო, ჩვენ ვიცით უფრო მეტიც: დრო ჩვენს წინააღმდეგ არაა, პირიქით, იგი ჩვენს მხარეზეა და იმ გამარჯვებას, რომელიც აღთქმულია ჩვენს წიგნში, უხეშად, სიტყვა სიტყვით როდი განვმარტავთ. გამარჯვება, რომელსაც ჩვენი წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ, მახვილით არ მოიპოვება. ასეთი გამარჯვება არც გვხიბლავს ჩვენ. ჩვენ არ გვიზიდავს რაინდები, საქურველმტვირთველნი და სააღყო მანქანები. ჩვენი მემკვიდრეობაა „დიდი წიგნი.“ ორი ათასი წელი ესწავლობდით მას, იგი ჩვენ გვაკავშირებდა უბედურებისა და ღვენის შაშს ისევე, როგორც ჩვენი დიდების ხანაში. მართო ჩვენ შეგვიძლია მისი ნამდვილი განმარტება, იგი ჩვენ აღგვითქვამს სულიერ გამარჯვებებს, რომელსაც ვერ წავგვართმევს ვერც ჯვაროსნული ლაშქრობა, ვერც ჯიპადი.

— მართალია, — დაცინვით და ნაღვლიანად თქვა დონ როდრიგომ, — *eritis sicut dii, scientes donum et malum*, თქვენ ჯერ კიდევ გჯერათ მაცდური გველის სიტყვებისა. და რადგან სხვებზე უფრო უხეშად ხართ გონებით დაჯილდოებული, ამიტომ თავი ყოვლისმცოდნედ მიგაჩნიათ. მაგრამ სწორედ ეს თვითრწმენა გაბრმავებთ, ხელს გიშლით გაიგოთ ის, რაც სრულიად ცხადია, მესია უკვე კარგა ხანია გამოცხადდა, დრო შესრულდა, ლოცვა-კურთხევა მოველინა სამყაროს. ამას ყველა ხედავს, მხოლოდ თქვენ არ გსურთ ეს დაინახოთ.

— სადღაა მესიის მეფობა? — მწუხარებით შეეპასუხა დონ ბენიამინი. — მე მას ვერ ვხედავ. ვერ ვხედავ, რომ მახვილიდან გუთანს ჰედდეთ, ხოლო შუბიდან ნამგალს. ვერა ვხედავ აღფონსოს შეთანხმებას ხალიფასთან. ჩვენი მესია სამყაროს ნამდვილად მოუტანს მშვიდობას. რა იცით თქვენ მშვიდობის შესახებ! მშვიდობა — შა-

ლომი. თვით სიტყვაც გაუგებარია თქვენთვის! თქვენ სიტყვის გადათარგმნასაც ვერ ახერხებთ თქვენს უზადრუკ ენებზე!

— შენ ძლიერ მეომრული სულით აღიღებ მშვიდობას, ჩემო საყვარელო დონ ბენიამინ, — მუსა შეეცადა დაემშვიდებინა იგი.

მაგრამ ბენიამინი არ უსმენდა. დონა რაკელის სიახლოვით აღფრთოვანებული თამამად ლაპარაკობდა: — რა ფასი აქვს თქვენს საცოდავ რახს, თქვენს *treuga dei*, თქვენს უნიათო *eirenel* შალომი — აი, გვირგვინი, აი, ნამდვილი ნეტარება, დანარჩენი კი, რაც შალომი არ არის — ბოროტებაა. ჩვენს მეფე დავითს არ ეწერა ტაძრის აშენება. რადგან იგი მარტო დამპყრობელი იყო და დიდი მეფე. მხოლოდ სოლომონმა, მშვიდობისმოყვარე მეფემ, ააგო ტაძარი, რადგან მისი მეფობისას აღამიანი მშვიდად ცხოვრობდა საკუთარი ტერიფისა და ლელვის ხის ქვეშ. ღმერთისათვის წაბილწულია და უღირსი საკურთხეველი, რომელზედაც მახვილია აღმართული. ასეთია ჩვენი მოძღვრება. თქვენ, თაყვანსა სცემთ თქვენს მესიას და ცეცხლისა და მახვილისათვის იმეტებთ მის ქალაქ იერუსალიმს, მშვიდობის ქალაქს. ჩვენ ლატაკნი და შიშველნი ვართ, თქვენ კი მთელი თქვენი ბრწყინვალეებისა და იარაღის ელვარების მიუხედავად — ბრყევი. ეს ჩვენი აღთქმის ქვეყანაა, იგი ჩვენ გვეკუთვნის. და რადგან ეს ასეა დაწერილი, ამიტომაც იბრძვით მის დასაყრობად თქვენ და მუსლიმანები. სასაცილო იქნებოდა, რომ ესოდენ სავალალო არ ყოფილიყო.

რაც უფრო მეტად ცხარობდა ახალგაზრდა, მით უფრო მშვიდობისმოყვარე ხდებოდა კანონიკი. — შენ ლაპარაკობ ნეტარებაზე. შვილო ჩემო, — თქვა მან, — და მას შალომს უწოდებ. შენ ამტკიცებ, რომ იგი თქვენი მემკვიდრეობაა. ჩვენც ვიცით, რა არის ნეტარება. ჩვენ მას სხვაგვარად ვუწოდებთ, მაგრამ განა სულ ერთი არაა, რა სახელს დავარქმევთ მას? თქვენ შეარქვით შალომი, ჩვენ კი რწმენას, მადლს ვუწოდებთ. — კანონიკმა აქ თავს ძალა დაატანა, რომ დაეძლია სირცხვილი და გამოეთქვა თავისი საიდუმლო, რაც მის სულში ბუდობდა. — მადლი, შვილო ჩემო, როდია შორეული მომავლის დანაპირები, იგი ახლაც არსებობს ქვეყანაზე. მე არ გახლავარ ისეთი მჭევრმეტყველი, როგორც შენ და ამიტომ არ შემიძლია ავიხსნა, რა არის მადლი. მისი მიღწევა ან ხილვა გონების საშუალებით შეუძლებელია. იგი ღვთის უდიდესი წყალობაა. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვილოცოთ მისთვის. მე ვიცი, მადლი არსებობს, — მთელი ძლიერებით, ღრმა რწმენით წარმოთქვა საბოლოო სიტყვა კანონიკმა, — და ბედნიერი ვარ ჩემი რწმენის, ვევედრები გამჩენს, მან სხვებიც აზიაროს ნეტარებას.

მთელი დასავლეთი აწარმოებდა საუბარს ამა თუ იმ რწმენის უპირატესობაზე. ომი მიმდინარეობდა ამ საკამათო საკითხის გამო — ქრისტიანობის უპირატესობის დასამტკიცებლად და, ცხადა, დისპუტები ცხარე ხასიათს იღებდა.

მუსას წყნარ სამყოფელშიც კანონიკს და ღონ ბენიამინს არა ერთხელ ჰქონიათ დავა სარწმუნოებაზე. მაგრამ ახლა ღონ ბენიამინი ცდილობდა თავი შეეკავებინა; აღარ უნდოდა მეორეჯერ მიეყენებინა შეურაცხყოფა დიდად პატივცემულ მოძღვარ როდრიგოსათვის უხეში თავდასხმებით. ღონა რაკელი უამისოდაც მტკიცედ იდგა თავის რწმენაზე. პირველი მძაფრი თავდასხმისას ბენიამინმა სიხარულით შენიშნა, თუ როგორი თანაგრძნობით უსმენდა მას რაკელი, ამიტომაც შემდგომ დისპუტებში იგი კმაყოფილდებოდა, აღენიშნა შინაგანი გონივრულობა იუდეველებისა, რომელთა ღმერთი არ ითხოვს რწმენისათვის გონების მსხვერპლად შეწირვას. მეცნიერული სიღინჯით მოჰყავდა ციტატები პოეტ იეჰულა პალევის მშვენიერი წიგნიდან: „დაამცირებულო რწმენის დასაცავად“. ან მიუთითებდა უდიდესი ბრძენის მოსე ბენ მაიმონის შრომაზე, რომელიც ახლა ქაიროში წარმატებით ვრცელდებოდა. კანონიკსაც საპასუხოდ ასევე დინჯად მოჰყავდა არგუმენტები ავგუსტინის ან აბელარის ნაშრომებიდან. რაკელი იშვიათად თუ ჩაებმებოდა საუბარში, ან დროდადრო თუ იძლეოდა კითხვებს, ყურადღებით უსმენდა და იმახსოვრებდა ყოველივეს, რასაც ბენიამინი ამბობდა. რაკელი და ბენიამინი კვლავ დაახლოვდნენ.

ბენიამინი არ უშალავდა თავის თავს, რომ რაკელი უყვარდა, მაგრამ არაფრით ამქლავებდა ამ გრძნობას. თავი ახლო მეგობარით ექირა. ამ ხანშიშესულ მამაკაცთა საზოგადოებაში რაკელი და ბენიამინი თავს ახალგაზრდებად გრძნობდნენ. ისინი კარგი ამხანაგები იყვნენ.

ერთხელ, როცა მუსა როდრიგოსთან მარტო დარჩა, შეეკითხა: მაინც რატომ ისწრაფვი, რომ რაკელი თავის სარწმუნოებაში დააქვო. თვით შენს მიერ ღრმად პატივცემული აბელარის მოძღვრებაც გვასწავლის, მოთმინებით მოვექცეთ სხვის რწმენას, ვიღრე იგი არ ეწინააღმდეგება გონებისა და ზნეობის ბუნებრივ კანონებსო. — და განა მე არ ვამქლავნებ საკმაო მოთმინებას თუნდაც შენს მიმართ, ჩემო პატივცემულო მეგობარო მუსა? — ჰკითხა კანონიკმა. — გამობატვაც არ შემიძლია, რა დიდ სიხარულს განვიცდიდი, რომ შენი *mens regalis*, შენი მეფური გონება უეცრად შთაგონებული იყოს მაღლით, მაგრამ იმდენად ვერ გავკადნიერდები, ვიფიქრო, წილად მხედეს შენი ჰუმარიტების გზაზე დაყენება. ჩემს ბუნებას არ



ეგზეზა ფანატიკური გზებით ვიმოქმედო — შენ ეს კარგად იცი. მაგრამ, როცა მე ჩვენი რაკელის მშვილ, სანდომიან, სპეტაკ სახეს ვუტყუებ, შინაგანი ხმა მიბრძანებს მისი სულის ხსნას. მე გამანდეს ეს ბედნიერი ამბავი, ცოდვას ჩავიდენდი, რომ იგი დამეფარა.

მეფემ მოთმინება დაკარგა, ხედავდა, რომ როდრიგოსი და მისი ცდა — ეხსნათ რაკელის სული, ამაო იყო.

ერთხელ ალფონსო რაკელთან ერთად იღვა ერთ-ერთი ებრაული გამონათქვამის წინაშე, რომელიც რაკელმა დააწერინა კედელზე. მას შემდეგ, რაც რაკელმა წაუკითხა და გადაუთარგმნა ლექსი, დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ ალფონსოს მშვენიერი მეხსიერება პქონდა და ახლა თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა იგი: „მოგიკირწყლავ შენს გზას ძვირფასი ქვებით და ბროლის კოშკს აგიშენებ. უძლური იქნება შენს საწინააღმდეგოდ აღმართული მახვილი და წყეული ის ენა, რომელიც შენ კილვა-ძაგებას გჟადრებს“. მის ხმაში გაისმოდა დამცინავი გოცება, ხოლო თხელ ტუჩებს გულღვარძლიანი ღიმილი მანჭავდა — ვერ გამიგია, რატომ ირჩიე სწორედ ეს გამონათქვამი, — თქვა მან, — ე. ი. შენც გსურს ყველაფრის მიმართ ბრმა იყო? სადღაა თქვენი გზები ძვირფასი ქვებით მოკირწყლული? უკვე ათას წელზე მეტია თქვენ ღარიბ-ღატაკნი და უძლურნი ხართ. და მხოლოდ ჩვენი წყალობით ცხოვრობთ. როდემდე გინდათ თქვენი საცოდავი სიშიშველე ასეთი ნაირფეროვანი, მაგრამ ცარიელი დაპირებებით შემოსოთ? მე მხოლოდ ის მწყინს, რომ შენც ჭიუტობ.

ეს იყო პირველი შემთხვევა, ასე უხეშად რომ მიმართა ალფონსომ რაკელს. მოხერხებულად შეეძლო რაკელს ამ უსამართლო და გულმწყრალ სიტყვებზე საკადრისად ეპასუხნა. მაგრამ არ უნდოდა ალფონსოსთან უსიამოვნების ჩამოგდება და ამიტომ მშვიდად უთხრა: — თქვენი დიდი ფილოსოფოსი აბელარი გვასწავლის, რომ ქრისტიანს მართებს მოთმინება გამოიჩინოს ყოველგვარი გონიერი რწმენისადმი. — თქვენი რწმენა უგონოა, — გულღვარძლიანად აუმაღლა ხმას მეფემ, — ამაშია მთელი არსი.

რაკელს გული სტკიოდა, რომ მისი საყვარელი ადამიანი აუგად იხსენიებდა იმას, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო. გაახსენდა, რომ, როცა ბენიამინი იუდეველთა რწმენას იცავდა, ძირითად მოტივად სწორედ მის გონიერულობას იშველიებდა. და თუ მეცნიერმა, მკვერმეტყველმა ბენიამინმა ვერ შესძლო მშვიდი როდრიგოს დარწმუნება, როგორ შესძლებს ის ფიცხ ალფონსოს შთააგონოს „დიდი წიგნის“ მნიშვნელობა? და თანაც თავის საცოდავი

ლათინურით. რაკელი ჩაფიქრებული უკვირდებოდა ალფონსოს სახეს თავისი დიდი მონაცრისფრო-ცისფერი თვალებით. დიახ, ალფონსოს გულწრფელად სწამს, რასაც სხვისი ნათქვამის მიხედვით ენეორებს. ათასჯერ ათასი რაინდი და ყმა გაგზავნეს ქრისტიანებმა წმიდა მიწის დასაპყრობად, მაგრამ უშედეგოდ. და მაინც ვერაფრით ვერ შეიგნეს, რომ მათთვის არ იყო შექმნილი ეს მიწა. და აი, თვით ის, მისი ალფონსოც, დასცინის იმათ წინასწარმეტყველებას, ვისაც ეს მიწა ეკუთვნოდა. შეპყურებდა რაკელი ალფონსოს და უცებ გადაიხარხარა ადამიანთა, განსაკუთრებით თავისი ალფონსოს სიბრძავეზე.

ალფონსოს ისედაც აბრაზებდა რაკელის მღუმარე გამოხედვა და ახლა ასე უეცარმა სიცილმა საბოლოოდ გამოიყვანა იგი მოთმინებიდან. შეკმუხნულ წარბებქვეშ ბოროტად გაიელვა თვალებმა. — ნუ იცინი! — უბრძანა მან. — გაჩუმდი, ურჯულოვ, ნუ ბედავ ჩვენი წმიდა ომის დაცინვას.

რაკელმა უხმოდ დატოვა ოთახი.

ორი საათის შემდეგ ალფონსო ეძებდა რაკელს სახლში, ბაღში, რაკელიც ეძებდა ალფონსოს და როცა ერთმანეთი იპოვეს, ალფონსოს ბავშვივით მორცხვად გაელიმა, რაკელსაც გაელიმა ერთმანეთს აკოცეს.

კოცნიდა რაკელი და წყნარად ამბობდა: — „როცა ვინმეზე მრისხანებთ, ნუ გაექცევით მის სიახლოვეს. მიდით მასთან, თავმდაბლად დაუპარით თავი და უთხარით მშვიდად, ყოველგვარი ღვარძლიანობის გარეშე ყველაფერი, რაც მის გამო გულსა გტკენთ. კვლავ არაკრაკდება სიყვარულის წყარო და თქვენ შორის უკეთესი ის იქნება, ვინც პირველად მოიხრის ქედს“, ასეა ნათქვამი ყურანში. ჩვენ ორივენი მოვედით. ე. ი. არც ერთი არა ვართ ერთმანეთზე უკეთესი.

ღებულა უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც თავის ვაჟიშვილის ქრისტიანებთან დაახლოების მოწმე გახდა, მაგრამ როცა გაიგო, ალაზარი მოინათლაო, ეღდა ეცა, თითქოს რაღაც სრულიად მოულოდნელო მომხდარიყო.)

მხოლოდ ესლა მიხვდა მთელ თავის დანაშაულს, მას ალაზარი ნაკლებად უყვარდა, ისე არ უყვარდა როგორც რაკელი. მთელი თავისი ბავშვობა ალაზარმა, როგორც მუსლიმანმა, მუსლიმანებს შორის გაატარა. და ვიდრე ბიჭი შეიცნობდა, რა იყო იუდეველობა, მამამ თვით გააგზავნა ცთუნებით აღსავსე ქრისტიან მეფის კარზე, ახლა მისი ვაჟიშვილი მოლაღატეა, ღვთისგან რჩეული თავისი ხალ-

ხი, რაინდობის ოსპის შექამანდში გაცვალა, დაილუპა, დაიკარგა, სა-  
მუდამოდ ამოძირკულია მათი რიცხვიდან, ვინც აღსდგება მეორე  
მოსვლის ეამს.

იეჰუდა, თითქოს შვილის ცხედარს დასტირისო, შვიდი დღის  
განმავლობაში მიწაზე ეგდო ტანსაცმელშემოხეული.

ღონ ეფრაიმ ბარ აბა მის დასამშვიდებლად მოვიდა. პარნას  
ღონ იეჰუდას სასტიკი ბედი შიშსა ჰგვრიდა. იეჰუდას უსაშინელებს  
სასჯელი დაატყდა თავს — ერთადერთი შვილი სარწმუნოებას გა-  
ნუღდა. რჯულგადასულნი ოდითგანვე ებრაელების უღმობელი  
მტრები იყვნენ. ახლა ეს ყრმაც, იეჰუდას ვაჟიშვილი, ერთ-ერთი  
მათგანი გახდა. მაგრამ რადგან თვით მოვალეობა მოითხოვდა მწუ-  
ხარეს დამშვიდებას, ეფრაიმმა სძლია ზიზღს და საშინელებას. იგი  
მოვიდა, იეჰუდასკენ დაიხარა და, როგორც წესია, წარმოთქვა:

— დიდება შენდა, აღონაი, ჩვენო უფალო, მოსამართლევ, ალა-  
მართალო, — და აღჰამის ათი ღირსეული მამაკაცი გამოაგზავნა,  
რომ წაეკითხათ დაწესებული ლოცვები.

ღეჰუდას შვილზე მწუხარება როდი სტანჯავდა მართო, არამედ  
წინდაუხედავი აღთქმა, რომლის ძალითაც ფრანკ ლტოლვილებს  
კასტილის საზღვრებს უხსნიდა. ვადა, რომელიც მან აღუთქვა ხალ-  
ხის საჯაროდ შეჩვენების შიშით, უკვე იწურებოდა. მეფის ნახვა კი  
ამ ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა. ახლა, როცა მეფემ მას ორი-  
ვე შვილი წაართვა, ჭერ ქალიშვილი და მერე ვაჟი, რალა თქმა უნდა,  
შეეცდება თავი აარილოს იეჰუდასთან შეხვედრას.)

ახალი წლის დღეები დადგა, რომ შაჰანას მოქუფრული საზე-  
იმო დღეები, სინდისის გამოსაცდელად რომ იყო განკუთვნილი.

დღესასწაული რაკელმა მამასთან გაატარა. მას არც ერთი სიტ-  
ყვით არ უხსენებია ალაზარის რჯულგადასულობის ამბავი, თუმცა  
კარგად ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ამის გამო იეჰუდა. რაკელს  
მართალია თავზარი დასცა ალაზარის მონათვლამ, მაგრამ ამავე  
დროს უფრო განუმტკიცდა ღვთისმოშიშობა და ღმერთის ერთგუ-  
ლება.

იეჰუდამ მოიწვია სახლში თემის წევრი, რომელსაც ევალებოდა  
ამ დღეებში ჩაეყვირა ცხვრის რქაში — შოფარში, რომლის გამა-  
ფრთხილებელი ხმა ვალდებულია მოისმინოს ყველა იუდეველმა აღ-  
სარების დღესასწაულზე. რადგან ამ დღეს ღმერთი ყოველ მის შექ-  
მნილს უწესებს სამართალს და სწყვეტს ადამიანთა ბედს. შოფარის  
გამგმირავი კრიალა ხმა სანეტარო თრთოლვას ჰგვრიდა რაკელს და  
თავისი დიდი მიდრეკილების გამო ზღაპრულისაყენ, თითქოს თვალ-  
ნათლივ ხედავდა, როგორ წერდა უხილავი ხელი სიცოცხლის და

სიკეთის წიგნში მართალ ადამიანთა სახელებს და შლიდა ბოროტთა სახელებს. იმათი ბედის გადაწყვეტა კი, ვინც არც კეთილს ეკუთვნოდა და არც ბოროტს, ე. ი. უმეტესობის, გადადებული იყო განწმენდის დღესასწაულამდე, რომ ათი დღე კიდევ გამოეყენებინათ მოსანანიებლად.

სალამო ეამს იეჭულა და რაკელი, როგორც ამას ადათ-წესი მოცოხვოდა, გაემგზავრნენ გამდინარე წყლისაკენ — ქალაქგარეთ მდინარე ტახოს სანაპიროს მიაშურეს. პურის ნამცეცეებს ყრიდნენ და თავის ცოდვებს ისროდნენ წყალში, რომ მდინარეს იგი ზღვაში წაეღო. იმეორებდნენ წინასწარმეტყველის სიტყვებს: „არ არის მეორე შენი მსგავსი სხვა ღმერთი, რომელიც მიუტევებს ცოდვებსა და ღალატს აპატიებს, რომელიც არ გაჯიუტდება მრისხანების ეამს, რადგან მისთვის სიამოვნებაა იყოს მოწყალე. იგი მოწყალებას მოიღებს ჩვენზე. იგი დავიწყებას მისცემს ჩვენს დანაშაულს და ჩვენ ცოდვებს ზღვის ფსკერზე დამარხავს“.

უკვე ბინდებოდა, როცა სახლში დაბრუნდნენ. მსახურმა სანათი შემოიტანა, მაგრამ იეჭულამ ანიშნა, უკან წაეღო. რაკელი ძლივსლა ხედავდა მამის სახეს, როცა იეჭულამ ლაპარაკი დაიწყო. — ჩვენი წინაპართა საფლავის ქვები დაღადებენ, რომ იბნ ეზრები დავითის საგვარეულოდან არიან. ჩემმა ვაჟიშვილმა და შენმა ძმამ ალაზარმა გაპყიდა და გასცა თავისი მეფური მემკვიდრეობა. არც მამაშენია უდანაშაულო ამ საშინელ ამბავში. დანაშაული მძიმეა, მე ვინანიებ მას, თუმც დვითის გულმონწყალება ზღვასავით ღრმაა, ჩემი ცოდვის მიტევება შეუძლებელია. — პირველად იყო, რომ იეჭულამ მასთან ცოდვაზე, მონანიებასა და დანაშაულის გამოსყიდვაზე წამოიწყო საუბარი. რაკელს მამამისის საცოდაობა გულს უკლავდა. სულს უხუთავდა. დანაშაულის სამაგიეროდ, — განაგრძობდა იეჭულა, — მე თვითონ ვიკისრე ძნელი ვალდებულება, — და მან მოუთხრო რაკელს თავის გეგმებზე ფრანკ ებრაელთა კასტილიაში ჩასახლების შესახებ.

რაკელი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ არაფერი უპასუხნია, არც შეკითხვები მიუცია. იეჭულამ თავს ძალა დაატანა და საუბარი განაგრძო:

— მოვახსენე მეფეს, ჩვენს ხელმწიფეს, ჩემს გეგმებზე. მან არც უარი მითხრა და არც თანხმობა განაცხადა. მე კი აღთქმა მაქვს მიცემული და დრო აღარ ითმენს.

მხოლოდ დღეს, მას შემდეგ, რაც რაკელი ვალიანაში დასახლდა, იეჭულამ პირველად ანსენა ალფონსო და რაკელს გული ატკინა, მისი საყვარელი ადამიანი მამამისმა მოიხსენია „მეფედ“, „ჩვენ ხელ-

მწიფედ“. თითქოს ცივი წყალი გადაესხაო, იმდენად ამაღლევებელი და საშიში იყო მამის ნათქვამი. იეჭუდას სიტყვებში რაკელმა იგრძნო ერთგვარი მოთხოვნა და მთელი სულით წინაღუდგა. უსამართლოდ მიაჩნდა ნამამისის ცდა — თავის თავზე აღებული მოვალეობა რაკელისათვის მოეხვია თავს.

იეჭუდას მეტი არა უთქვამს რა, არც დაჟინებით მოუთხოვია რაიმე რაკელისაგან. სინათლის შემოტანა ბრძანა. გაუგებარი, ბოროტი ძრწოლა და შიშისზარი გაქრა. ზეთიანი სანთლების სინათლის ნაზ კაშკაშში რაკელის სახე ნათლად დაინახა. მთელი დღის განმავლობაში პირველად გაიღიმა და რაკელს უთხრა:

— შვილო ჩემო, ქეშმარიტად დავითის მოდგმის დედოფალი ხარ. — დილით, ვიდრე გალიანაში გაემგზავრებოდა, რაკელმა მამას უთხრა:

— მოველაპარაკები მეფეს, ჩვენს ხელმწიფეს, ფრანკ ებრაელთა შესახებ.

როცა რაკელმა განუცხადა მეფეს, რომ გადაწყვეტილი აქვს ახალწლის დღესასწაული იბნ ეზრას კასტილიოში გაატაროს, მეფე შეეცადა დაემალა თავისი უკმაყოფილება. ეს დღეები გალიანაში გაატარა. ალფონსოსათვის აუტანელი იყო ტოლედოში, რაკელთან ასე ახლო და ამავე დროს ასე უსაზღვროდ შორს ყოფნა. ბრაზობდა რაკელზე, იეჭუდაზე, იეჭუდას ღმერთსა და მის დღესასწაულზე.

დიდებული შემოდგომის დღეები იყო, მაგრამ ალფონსოს ახლა ეს არ ახარებდა. ნადირობდა, მაგრამ არც ნადირობა და არც მისი საყვარელი ძაღლები აღარ ახარებდა. ალფონსოს წინაშე ბუნდოვნად მოსჩანდა მრისხანე და საუცხოო ქალაქი, მისი ტოლედო, მაგრამ არც ეს სანახაობა იზიდავდა. არ ახარებდა არც მდინარე ტახო და არც მისი ერთგული ქვეშევრდომის ბელარდოს ლაყბობა. იგი იმაზე ფიქრობდა, რაც რაკელმა უამბო ახალწლის დღესასწაულის შესახებ. ალბათ, ახლა რაკელი ლოცულობს და თავის ღმერთს სთხოვს, აპატიოს ხელმწიფესთან ურთიერთობა.

რაკელი დაბრუნდა. ალფონსოს მწარე დარდი მყისვე გაუქარვდა და თუმც რაკელი ალფონსოსთან შეხვედრამ გულით გაახარა, მეფემ შენიშნა, რომ რაკელი შეცვლილი იყო: მის სახეს რაღაც უცნაური, ჩაფიქრებული სიმშვიდის დალი დასტყობოდა. ალფონსომ თავი ვერ შეიკავა და ალერსიანად, მაგრამ გესლიანად ჰკითხა, შესძლო თუ არა მან თავის ღმერთთან ანგარიშის გასწორება. რაკელი თითქოს არ გააბრაზა ალფონსოს დაცინვამ, ან იქნებ ვერც შენიშნა. თავის

ფიქრებში ღრმად ჩაძირული რაკელი მდუმარედ შესცქეროდა ალფონსოს. რაკელის სიჩუმემ უფრო ააღლევა ალფონსო, ვიდრე მისმა წინააღმდეგობამ. ალფონსოს აღსარებაზე გაფიქრებაც კი არ შეეძლო. არც ერთი მღვდელი არ შეუნდობდა. რაკელი კი შეურიგდა თავის ღმერთს. ალფონსომ გადაწყვიტა, კიდევ უფრო გასაჯავრებელი და გულსატკენი ეთქვა რაკელისათვის.

მაგრამ სრულიად მოულოდნელად რაკელმა საუბარი წამოიწყო. — დიახ, — თქვა მან უცნაური სერიოზულობით, მაგრამ ამავე დროს მეტად უბრალოდ, — კურთხეული, დალოცვილი დღეები დადგა, ახლა კეშმარიტი მონანიებით ცოდვილს შეუძლია სულის ხსნა, რადგან მიცვალებულების მოხსენიების დღეს, ახალწლის დღეს, მართალია ღმერთს ბედის წიგნში შეაქვს განაჩენი, მაგრამ ბექედს მხოლოდ ათი დღის შემდეგ დაასვამს — განწმედის დღეს, და ლოცვებით, კეთილი საქმეებით, პირუთვნელი და გულწრფელი მონანიებითაა შესაძლებელი ამ განაჩენის შეცვლა. — რაკელმა მოულოდნელად გაბედა და დაუმატა: — შენ რომ მოგესურვა, ჩემო ალფონსო, შეგეძლო დამხმარებოდი, გამჩენისათვის პატიება გამომეთხოვა. კარგად იცი, რა გაჭირვებას განიცდის ჩემი ხალხი ფრანკთა ქვეყანაში. რატომ არ უნდა გაუხსნა საზღვრები ამ ჩემ ძმებს?

მძინევარებამ მოიცვა ალფონსო. აი, თურმე, მონანიება, რომელიც რაკელს მისმა მღვდელმა დააკისრა. რაკელს ნაბრძანები აქვს, აიძულოს ალფონსო გაცხარებული წმიდა ომის დროს მისი ქვეყანა ურჯულოებით გაავსოს. მას ნაბრძანები აქვს ალფონსო თავის ხალხს და თავის ღმერთს ჩამოაცილოს და ყოველივე ამისათვის მათი აღონაი განწმენდს რაკელს. ყველანი შეთქმულნი არიან — რაკელი, მისი მამა და მათი მღვდელმსახურები. (ასეთი საძაგელი, ბინძური მორიგების თავსმოხვევა ჯერ არავის გაუბედავს ალფონსოსათვის. მისი მოტყუება უნდოდათ, როგორც ბრიყვთა შორის უბრიყვესის. მათ უნდოდათ სიყვარულისა და რაკელის სხეულის სანაზღაუროდ ალფონსოს სული გაეყიდათ. მაგრამ ალფონსო ასე ადვილად არ წამოეგება ამ მოტყუარა ანკესზე, იგი თვალს არავის აახვევინებს, მას ვერავინ აიძულებს, ვერავინ.)

ძლივს შესძლო ალფონსომ თავი შეეკავებინა და პირზე მომღვარი უწმარერი, უშვერი ლანძღვა არ ეთქვა. სამაგიეროდ სიბრაზისაგან დამანჭული სახით, მკექარე, მბრძანებლური ხმით, თითქოს მტრულად განწყობილ გრანდებს მიმართავს, ლათინურ ენაზე გარკვევით წარმოთქვა:

— არ მსურს სახელმწიფო საქმეები გალიანაში ვაწარმოო. არ

მსურს სახელმწიფო საქმეებზე შენთან ვითათბირო. — შემოტრი-  
ალდა, რაკელს ზურგი შეაქცია და სწრაფად წავიდა.

და როცა ღამით რაკელთან შესვლა მოისურვა, რაკელმა განუც-  
ხადა, რომ, ებრაული ადათის მიხედვით, მონანიების უამს ქალები სა-  
წოლში მარტო რჩებიანო. ახლა კი ალფონსოს მოთმინების ფილა  
აევისო! განა იგი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს რაკელის სულიერ  
კრურწმენას? იქნებ ეს ახალი ხრიკია, რომლის საშუალებითაც ცდი-  
ლობს გამოძალოს ედიქტი თავისი ებრაელებისათვის? ესე იგი მათ  
გამო ეუბნება უარს?

ალფონსომ რაკელს მრისხანე მზერა მიაპყრო და მუქარით, მაგ-  
რამ წყნარად სთხოვა: — ბედავ და პირობას მიღებ, არა? შენი ქეცი-  
ანი, საზიზღარი ებრაელები უნდა შემოვეუშვა ჩემს ქვეყანაში, რომ  
ამ საღამოს მიმიღო? ამას კი ვერ მოვითმენ. მე ბატონი ვარ ამ სახლ-  
ში, და ამ სახელმწიფოში!

რაკელი ალფონსოს შეპყურებდა თავისი ნაცრისფერი ფართოდ  
გახელილი თვალებით, ჩივილს, საშინელებას, საყვედურს რომ გამო-  
ხატავდა, და არა შიშს. ამან საბოლოოდ გაამხეცა ალფონსო, მივარ-  
და რაკელს, ლოგინზე დააგდო, და როგორც მტერს, ისე ეცა. რაკელა  
ეწინააღმდეგებოდა, სუნთქვა ეკვროდა. ყაფთობებულმა ალფონ-  
სომ იგი ხელმეორედ დააგდო საწოლზე, ტანსაცმელი შემოახია,  
შემდეგ უხმოდ, შმაგად, მაგრამ უხეშად — ყოველგვარი სიამოვნე-  
ბის გარეშე, დაიმორჩილა იგი.

რაკელმა იმავე ღამით დატოვა გალიანა. იგი იბნ ეზრას კასტი-  
ლიოში წავიდა.

ალფონსოს ესმოდა, როგორ დატოვა სახლი რაკელმა გაღია  
საადთან ერთად. ტოლედოსკენ მიმავალი კლდოვანი გზა მოკლე, მაგ-  
რამ ღამით საშიში იყო. ალფონსომ ცოტა დაყოვნების შემდეგ  
შეიარაღებული გამცილებელი დაადევნა რაკელს, მაგრამ იგი მას  
ველარ დაეწია. „ასეც მოუხდება, — გაიფიქრა ალფონსომ, —  
თვითონ მიმიყვანა ამ ზომამდე. ასე სჯობია, როგორც მოხდა, ესე  
იგი, ასე სურს მამაზეციერს, აღარაფერი დამაკავებს. ახლა კი გავი-  
ლაშქრებ მუსლიმანებზე: მარტო რაკელი იყო მიზეზი, რომ მე ესო-  
დენ დიდი ხანია სამარცხვინოდ ვზოზინობ. არაგონელი ქარაფშუტი  
ანგარიშიში მოტყუვდა. განგებას არ სურს, რომ ვიდრე მე ავზორცო-  
ბით ვარ გართული — მან ისარგებლოს და ურჯულოები გაჟ-  
ლიტოს“.

დილით გადაწყვიტა გამოეჩინა დიდსულოვნება და კიდევ ერ-

თი დღე დარჩენილიყო გალიანაში, იქნებ რაკელი დაბრუნდესო, მიუხედავად სამართლიანი გულისწყრომისა, ალფონსოს სურდა რაკელთან მეგობრულად განშორება. რამდენი მშვენიერი, დიდებული დღეებია აქ განცდილი და ხომ არ შეიძლება ყოველივე ეს ასე უაზროდ, ასე უღამაზოდ შეწყდეს.

ალფონსო დახეტილობდა ჯერ სახლში, შემდეგ პარკში, შფოთიანად, მოუსვენრად. ცდილობდა მხიარული ყოფილიყო, დალილას სურდა იგი ფილისტიმელთათვის გადაეცა, მაგრამ ალფონსო როდია სამსონივით სულელი. ალფონსოს ვერ მოსტაცებ საკუთარ ძალას. ჩანს, გალიანაში გატარებული მშვენიერი ცხოვრება მხოლოდ ესპეხისმო — მოჩვენება, უღაბნოს მირაჟი აღმოჩნდა. მაგრამ ახლა ნიაჟმა გაფანტა ცთუნება და მას გარს ერტყმოდა ჯანსაღი სინამდვილე.

იგი იღგა მეზუზას წინ, რომელიც რაკელმა მიაქედებინა კარებზე. ეს იყო ძვირფასი ლითონის მილი, რომლის მინიანი ჭუჭრუტანიდან მუქარით გამოიყურებოდა შადაის მცნებების გამომხატველი სიტყვები. მას გულით უნდოდა ეს ურჯულო აბდაუბდა ჩამოეგლიჯა, მაგრამ ალფონსოს რაკელის ღმერთის რისხვის შეეშინდა და ამჯერად იმით დაკმაყოფილდა, რომ მეზუზას მუშტი ჩაარტყა. მინა ჩაამტვრია. მინის ნამსხვრევებმა ხელი გაუჭრა, სისხლი წამოვიდა, მოიწმინდა, მაგრამ შეჩერება ვერ შესძლო; ბოროტი სიცილით შეკუყურებდა სისხლიან ხელს. დე, ახლა გაიკვირვოს ყველამ, ვინც ფიქრობდა, რომ იგი აქ ნებვირობს. არა, ახლა იგი ბრძოლაში ჩაებმება. თავისი სახელოვანი მახვილით Fulmen Dei. ყველას და ყველაფერს გაგმირავს, დაანგრევს, ღვთის სასურველ პატიოსან ვაჟკაცურ ბრძოლაში გულიდან ამოიგდებს ყოველგვარ ბრყვეულ ჩანაფიქრებს და ამით სისხლს განწმენდს ცოდვებისა და ეჭვებისაგან, მჩაგვრელი, დამაუძლურებელი წარმართული სისულელისაგან.

— იქნებ შენი საუკეთესო იმედები მართალი გამოდგეს, ჩემო კეთილო, და უფრო ადრე აღსრულდეს, ვიდრე ელოდი. — ყალბა მხიარულებით უთხრა ალფონსომ მეზალე ბელარდოს. — აბა ამოიღე პაპაშენის ტყავის კოლეტი და მუზარადი. შემთხვევას მოგცემ მათ გასამზეურებლად. — ბელარდოს უფრო გაკვირვება ეტყობოდა, ვიდრე სიხარული. — მზად ვარ ვემსახურო შენს უდიდებულესობას ყველაფრით, რაც კი გამაჩნია, მათ შორის. პაპის ტყავის კოლეტითაც მაგრამ აქაც საჭიროა კაცი, ვინც ბართ იმუშავებს. ჩემო მეფეო, არ მგონია, შენი ბალის გავერანება მოისურვო. — მეზალის ორჭოფობამ ალფონსო შეაფიქრინა. — მართალია, ხვალ არ ვაპირებ გალამჭრებას, — ჩაიბურტყუნა მან და რადგან საუბარი მიმდინარეობდა რაბი ხანანას მიერ გამოგონებულ დროის გამზომ ნახევრადღანგრე-



ულ ცისტერნის გვერდით, ალფონსომ ბრძანა:—ვიდრე ვინმეს კისერი არ მოუტეხია, ცისტერნები მიწით ამოავსეთ.

რაკელი არც მეორე დღეს დაბრუნებულა. ალფონსო ტოლედოსაკენ გაეშურა. სასახლეში, ალბათ, უკვე იცოდნენ, რომ მეფეს რაკელთან უსიამოვნება ჰქონდა. ყველა გამხიარულდა და შვებით ამოისუნთქეს.

ალფონსო საქმეებში ჩაეფლო.

ყველაფერი ისე იყო, როგორც ებრაელმა იწინასწარმეტყველა. ქვეყანა ყვაოდა. კასტილიის ხაზინა სავსე იყო. იეჰუდა, სხვათა შორის, იმაშიც მართალი იყო, რომ ხალიფასთან საომრად კასტილიას ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკმაო თანხა. მაგრამ ცდება ებრაელი თუ ფიქრობს, ასეთი საუბრებით კვლავ შეძლებს, რომ ალფონსოს თავი შეაკავებინოს თავისი წმიდა მოვალეობის შესრულებისაგან. ევოთ ებრაელებს მისი ქვეყნის ხარჯზე ჯიბის გასქელება, და თუ მოინდომებს, ალფონსოსაც შეუძლია თავისი ფრანკი ბიძაშვილის ფილიპ-ავგუსტის მსგავსად ებრაელებს წაართვას ფული — მაშინ მას ოქრო ექნება, რომ ხალიფას წინააღმდეგ ომი წამოიწყოს.

— შეუძლებელია ვიყო *eques ad fornacem* რაინდი-ნაცარქე-ქია, როცა მთელი ქრისტიანული ქვეყანა ომობს, — განუცხადა ალფონსომ დონ მანრიკეს. — ყოველივე გავიანგარიშე, მოვისაზრე და ვფიქრობ, რომ ომის დაწყება შესაძლებელია. — ანგარიშში გაწაფული შენი ესკრივანო სულ სხვას ფიქრობს, — შეეკამათა მანრიკე. — ჩვენს ებრაელს, — მაღალფარდოვნად უპასუხა ალფონსომ, — ანგარიშისას გამორჩა ერთი რამ — სინდისი. სინდისი მას ისევე ესმის, როგორც მე — თალმუდი. — მანრიკე აღელდა — ბოლოს და ბოლოს თვით შენ დანიშნე იგი შენი ხაზინის ზედამხედველად. იგი ვალდებულია გაუფრთხილდეს მას. ასე ადვილად ყურს ნუ უგდებ დონ მარტინს. დონ ალფონსო, — სთხოვა მან, — უდიდესია სამხედრო ლაშქრობის ცთუნება, მით უმეტეს, რომ ეს ცთუნება თვით ღმერთის ნება-სურვილია, მაგრამ თუ ერთი-ორი წელი მაინც არ გვეყოფა ფული, ასეთი ლაშქრობა სახელმწიფოს დაღუპავს.

გუნებაში ალფონსო არ ენდობოდა იბნ ეზრას. იეჰუდა ყოველგვარ მიზეზებს ეძებდა, რომ როგორმე ხელი შეეშალა წმიდა ომში ჩაბმისათვის, რადგან თავისი ებრაელების კასტილიაში შემოყვანა მხოლოდ მშვიდობიანი მდგომარეობის დროს იყო შესაძლებელი. ასეთი თავხედური გეგმა თავშიც კი არ მოუვიდოდა იბნ ეზრას, ალფონსო მეფის ურჯულო ავხორცობა რომ არა, ამიტომაც ალფონსოს რცხვენოდა თავისი ახლო მეგობარ მანრიკესათვის გაენდო

ეჭვები და ამის ნაცვლად მხოლოდ ეს ჩაიბურტყუნა: — აქ თქვენ მხოლოდ ყაყანებთ და ქრისტიანული სამყაროს წინაშე პასუხი მე უნდა ვაგო.

აწარმოე მოლაპარაკება არაგონთან დონ ალფონსო, — მშრალად და ოდნავ ნაწყენად ურჩია მანრიკემ. — დაამყარე დონ პედროსთან პატიოსანი კავშირი.

მეფემ იჩქარა და თავისი მეგობარი და მრჩეველი გაუშვა. ყოველთვის ერთი და იგივე წინააღმდეგობები ხედება. რა თქმა უნდა, მანრიკე მართალი იყო. ომის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული იქნება არაგონთან დამოკიდებულება. საჭიროა ზუსტად მოილაპარაკოს ყველაფერზე და შემდეგ დადოს ზელშეკრულება. მაგრამ ამ ქვეყანაზე ეს მხოლოდ ერთადერთ ადამიანს — დონა ლეონორს შეუძლია გააკეთოს.

რა გაეწყობა, იგი გაემგზავრება ბურგოსში.

რა ხანია არ უნახავს ლეონორი? მთელი საუკუნეა. ლეონორი მას მოკლე თავაზიან ბარათებს უგზავნიდა. ალფონსოც, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც თავაზიანად და მოკლედ პასუხობდა. ალფონსოს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მათი შეხვედრა. იგი, რა თქმა უნდა, გაითამაშებს მხიარულ როლს, ლეონორი კი უპასუხებს ალერსიანად, ოდნავ ძალდატანებული ღიმილით. არცთუ ისე სასიხარულო იქნება ეს შეხვედრა.

ალფონსო შეეცდება აუხსნას ყოველივე მომხდარი, მაგრამ სად იპოვის სიტყვებს, რომლის საშუალებითაც შესძლებს მეორე ადამიანს გააგებინოს, თუ რა საშინელია და რა დიდებული, როცა თავს გადაგივლის უზარმაზარი ტალღა, მიგაქანებს უფსკრულისაკენ, შემდეგ ზეცამდე აგიტაცებს, მერე ისევ ქვემოთ დაგაქანებს და კვლავ აგიტაცებს?

როდრიგოსთან საუბარში ალფონსო ქედმაღლურად და ჭიუტად იცავდა რაკელს და მის ვნებებს რაკელისადმი. ღეთის მოშიშარმა მოძღვარმა მას გაუგო, მაგრამ ლეონორი თავდაპირილი, ალერსიანი, ქეშმარიტად დიდგვაროვანი ბანოვანი მას ვერ გაუგებს. მის წინაშე ალფონსო დაკარგავს მეტყველების უნარს და, რაც არ უნდა თქვას, სულ ერთია საცოდავი, ბრიყვი ბიჭუნას შთაბეჭდილებას დატოვებს, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს თავი გაიმართლოს. ეს იქნება ყველაზე უსასტიკესი დამცირება მის ცხოვრებაში.

მეფეს არა აქვს უფლება ვინმეს წინაშე ასე დაიმდაბლოს თავი და ქვეყნად არ არსებობს არაფერი, რის გამოც ღირდეს ესოდენ დიდი დამცირება.

მაგრამ არა, არის ისეთი ნეტარება, რომლის გულისთვისაც ღირს ყოველგვარი დამცილება და სამუდამო ტანჯვა-წამება.

და მის წინაშე კვლავ ამოტივტივდა გალიანა თავისი მიწიერი დიდებით. ალფონსო გრძნობს, როგორ ეკვრის რაკელი, გრძნობს მის მომხიბლავ დამათრობელ სიახლოვეს — როგორ ფეთქავს სისხლი და როგორ ცემს გული. ალფონსო რაკელის თმებში აპარებს თითებს და თმებს უწეწავს, ვიდრე რაკელი სიცილით არ ეტყვის „გეყოფა. ალფონსო“, „მტკივა, ალფონსო“. ვის შეუძლია ისე თავისებურად, სასაცილოდ და დამაჯერებლად სთქვას „ალფონსო“, რომ ამ ერთი სიტყვის გამო სიცილიც გინდოდეს და ამავე დროს ურუანტელიც გივლიდეს. იგი ხედავს რაკელის თვალებს, მტრედის ფრთის ფერს, ხედავს, როგორ იბინდება, რა ნელა ეშვება მისი მძიმე ქუთუთოები და შემდეგ კვლავ როგორ იწევა ზევით.

მას არაბული ლექსები გაახსენდა, რომლებიც ერთხელ წასაკითხად მისცა რაკელმა: „ხშირად მესმოდა თავს გადავლილი ისრის ზუზუნით და არ შეგემკრთალვარ, მაგრამ როცა მისი კაბის შრიალი მესმის ვთრთო და ვკანკალებ. ხშირად მსმენია შეტევაზე გადმოსული მტრის საყვირის ხმა, გულგრილად შევხვედრივარ მას, მაგრამ, როცა მისი ხმა მესმის, ცეცხლი მედება“. ამ ლექსებმა მასში გულის ტკივილი გამოიწვია. რაინდს როდი აქვს უფლება იყოს ასე მონურად მორჩილი. მაგრამ ეს ნაზი, მონური მორჩილების გამომხატველი ლექსები ჰეშმარიტებას დადადებდა, ისე ვით სახარება. ცეცხლი ეკიდებოდა რაკელის გახსენებაზე. როგორ შეეძლო მას თუნდაც ეფიქრა რაკელის, თავისი რაკელის, თავისი სიცოცხლის ნეტარი და ცოდვილიანი აზრის მიტოვება.

უნდა დაიბრუნოს რაკელი, უნდა შეურიგდეს მას.

ეს მხოლოდ ერთადერთი გზითაა შესაძლებელი, მძიმედ ამოისუნთქა. რას იზამ, სხვა გზა არ არის.

იეჰუდას უხმო.

ღონ იეჰუდა არ გახლდათ შვიშარა, მაგრამ როცა შუაღამისას აღელვებული რაკელი მასთან მივიდა, შიშმა აიტანა. — მან შეურაცხყო ისე, როგორც არასოდეს არავის დედაკაცი არ შეურაცხყვია, — უთხრა რაკელმა. იეჰუდას მოთმინება არ ჰყოფნიდა, ვიდრე ყველაფერს გაიგებდა. მაგრამ თავი შეიკავა. მუსა გააღვიძა, სთხოვა ძლიერმოქმედი, დამაწყნარებელი სასმელი მოემზადებინა და თან დაუმატა: — დაწეკი, შვილო ჩემო, ხეალ ჯანმრთელად იგრძნობ თავს.

როცა მარტო დარჩა, გაცხარებული ცდილობდა წარმოედგინა; რა უნდა მომხდარიყო. ალბათ, მეფეს სთხოვა ფრანკ-ებრაელების თავშესაფარი. იეჰუდამ გამოცდილებით იცოდა, თუ რა სასტიკად და დაუნდობლად იცოდა ამ კაცმა შეურაცხყოფა, როცა აღელვებული იყო. რაკელმა ვერ მოითმინა წყენა და გამოიქცა. მაგრამ ეს კაცი ხომ შურისმაძიებელია. ახლა იგი გულის ჯავრს მასზედ იყრის, იეჰუდაზე, და მთელ ებრაელობაზე. ახლა მიხვდა იეჰუდა, რომ რაკელმა და თვითონაც ტყუილებრალოდ გაიღეს ესოდენ დიდი მსხვერპლი.)

საკუთარი თავის დაწყენარებას ლამობდა, მაგრამ დაძინება მაინც ვერ მოახერხა. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ყველაფერმა ამაოდ ჩაიაროს. უნდა გამოიძებნოს იმედისათვის მიხვეულობილი გზები, თავს იმტკრევედა ფიქრებით. ეს ქრისტიანი თუმცა ყოველთვის სახელსა და ღირსებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ღირსების შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვს. უკვე ორჯერ გალანძლა და შეარცხვინა იეჰუდა, მაგრამ ორივეჯერ მიხვდა, რომ სჭირდება და საჩქაროდ შეურიგდა მას. რაკელი უყვარს, მის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. იგი შეეცდება რაკელთან შერიგებას, შეევედრება, რომ რაკელი დაუბრუნდეს.

მეხუთე ტიშრის დილა იყო. სამი კვირაც აღარ დარჩა იეჰუდას მიერ მიცემული აღთქმის შესასრულებლად. ამ პირველ უძილო ღამეს იეჰუდა მიხვდა, რომ კვლავ მოელოდა ბევრი უძილო ღამეები, ხშირად მოუხდება სასოწარკვეთილების უფსკრულში ჩავარდნა და იქიდან მოხერხებით და იმედებით თავის დაღწევა.

ასეთ მდგომარეობაში იყო იეჰუდა იბნ ეზრა. შენ კი რა მოგდის, რაკელ? დაბორილებ გაფითრებული, მღუშარე და ამაოდ ელოდები მისგან ცნობას. კარგად ხედავ მამის დაღონებულ, შეშფოთებულ შემოხედვას, მაგრამ ის შენ არ გათბობს, ვერც გამშვიდებს, შენ გესმის შენი გადიას ცრემლიანი გოდება — ამაოდ, მისმა ავგაროზმა, „ფატიმას ხელმა“ ვერ გიშველა, მისი შეგონება და მუდარა არ გეკარება. მეხსიერებაში კვლავ აღადგენ ალფონსოს სახეს, წარმოსადგობას, თუ როგორი იყო იგი იმ სანეტარო აგზნებულ წუთებში; როცა გრძნობების მოზღვავებისას სხეული და სული ერთმანეთს ერწყმის. მაგრამ ეს სახე თანდათან მეორე სახით იცვლება და ახლა შენს წინაშე ავხორციობით დამახინჯებული მოძალადის სახის ნაკეთებია. განა ასეთია შენი დამატყვევებელი რაინდის სახე? მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დარდობ მასზე და კარგად იცი, საკმარისია, გინმოს და იმ წუთშივე წახვალ მასთან, გაიქცევი.

ღლეები გადიოდა. ღონ ალფონსო ტოლედოში იყო. მაგრამ არც

რაკელსა და არც იეჰუდას არ უხმობდა. მხოლოდ დონ მანრიკე მოდიოდა სახელმწიფო საქმეების საწარმოებლად.

დადგა ებრაელთათვის წმიდათა წმიდა დღე — განწმენდის დღე — იომ ქიფური, გასაოცარი, მრავალსახიერი კაცი, სრულიად სხვა იეჰუდად გარდიქმნა ამ დღეს. მან თავიდან მოიცილა ყოველგვარი წვრილმანი მედიდურობა, საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ მისი „მაღალი დანიშნულება“ მისი პირადი ძალაუფლების მოყვარეობის სამოსს წარმოადგენდა მხოლოდ. ამის გამო იგი ღვთის წინაშე წარსდგა, როგორც ქეშმარიტად გულმოკლული, საცოდავი და ცოდვილი არარაობა. რაც უფრო ქედმაღალი და ამპარტავანი იყო უწინ სხვებთან შედარებით, მით უფრო დამცირებული და ქედმოხრილი გახდა ახლა. მკერდში ხელს ირტყამდა და მწველი სირცხვილით ღმერთს უხმობდა: — ცოდვილი ვარ, რადგან თავი ქედმაღლურად და თავხედურად მეჭირა. ჩემი თვალებით შევეცოდე, რადგან დიდგულად და კადნიერად ვიხედებოდი, ჩემი გულითაც, რადგან მედიდურობით მქონდა სავსე. ვგრძნობ, ვაღიარებ და ვნანობ. შემიწყალე გამჩენო, მომეც ძალა ცოდვების მოსანანიებლად.

ახლა იგი არა მარტო გონებით, არამედ მთელი თავისი არსებით მზად იყო ყოველგვარი სასჯელი მიეღო.

როცა ორი დღის შემდეგ მეფემ თავისთან იხმო, მას არაფრის იმედი აღარა ჰქონდა და აღარაფრის ეშინოდა. სიკეთე იქნება თუ ბოროტება — კურთხეული იყოს, — ასე არწმუნებდა თავის თავს სასახლეში მიმავალი და ასეც ფიქრობდა ნამდვილად.

აღფონსოს თავი ქედმაღლურად და დარცხვენლად ეჭირა. დიდხანს და ბევრს ლაპარაკობდა უმნიშვნელო საქმეებზე. თუნდაც: ბარონ დე არენასის მიერ შექმნილ დაბრკოლებებზე და იმაზე, რომ მას გადაწყვეტილი აქვს, აღარ მოითმინოს მეტი. დონ იეჰუდამ უწინდელთან შედარებით ორჯერ უნდა შეუკვეცოს ვადები და თუ ისინი არ ინებებენ გადახდას, მაშინ აღფონსო ძალით დაიკავებს სადავო სოფელს. — ზუსტად შევასრულებ შენი უდიდებულესობის ბრძანებას, — თავის დახრით უპასუხა იეჰუდამ.

აღფონსო წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიღო და ჰკითხა. — რა მდგომარეობაშია მომავალი ომი? — ჯერ არ მოგიგროვებია საკმაო თანხა? — მოელაპარაკე არაფონსს, მეფევ ბატონო, მაშინ შეგიძლია ომი დაიწყო, — საქმიანად უპასუხა იეჰუდამ. — ერთი და იგივეს ახირება, — ჩაიბურტყუნა აღფონსომ, წამოდგა და პირდაპირ ჰკითხა: — რა ისმის ებრაელებზე, რომელთა თავს მოხვევას მიპირებ? ილაპარაკე პატიოსნად არა როგორც მათმა ძმამ, არამედ როგორც ჩემმა მრჩეველმა. ექნებათ თუ არა ჩემს ქვეშევრდომებს

წამოყვედრების საფუძველი: რას აკეთებს ეს პეფე — გაცხარებული წმიდა ომის დროს თავის ქვეყანაში ათასობით ღატაკ ებრაელს გზას უხსნისო?

იეჰუდას სამწუხარო, მორჩილი თავშეკავებულობა წუთში შმაგი ზემით შეიცვალა. — მაგის მსგავსს ვერავინ იტყვის, მეფევე ბატონო, — უპასუხა მან და კვლავინდებურად იეჰუდა გახდა მოკრძალებული, თავის თავსა და თავის უპირატესობაში დარწმუნებული. — ვერ გავბედავდი შენთვის სახელწიფოში მათხოვრების შემოშვება მეთხოვნა. პირიქით, მე ვფიქრობდი ყოვლად უქვეშევრდომილესურად შემომეთავაზებინა, რომ საზღვარზე გამოეშვათ მხოლოდ ის ლტოლვილები, რომლებსაც ხელზე ოთხი ოქროს მარაველი მაინც ექნებათ. ახალმოშენ ებრაელები უბადრუკი ღატაკები კი არ იქნებიან, არამედ ვაჭრობისა და ხელობის მცოდნე ხალხი, რომლებიც გაამდიდრებენ შენს ხაზინას საკმაოდ დიდი გადასახადებით.

ღაფონსოს ძლიერი სურვილი ჰქონდა, რომ ვინმეს დაერწმუნებინა და ამიტომ ჰკითხა: — როგორ ფიქრობ, შეიძლება ხალხსა და ჩემს გრანდებს ეს შევავნებინოთ? — გრანდების რა მოგახსენო, მაგრამ შენს ხალხს კი ნამდვილად. შენი კასტილიელები სინამდვილეში იგრძნობენ სახსრების მოზღვავებას, ისინი ბარაქიანად იცხოვრებენ, — უპასუხა იეჰუდამ. მეფეს გაეცინა. — ჩვეულებრივ, აპარბებ, რა თქმა უნდა. ამას მიჩვეული ვარ, — შენიშნა მან და თითქოს სხვათა შორის უბრძანა: — მოამზადებინე ედიქტი. — იეჰუდამ თავი მდაბლად დაუკრა.

იგი ჯერ არც კი იყო წელში გამართული, რომ მეფემ დაუმატა: — საბუთები გალიანაში გამომიგზავნე. დღესვე დავბრუნდები უკან. კეთილ ინებე და შენს ქალიშვილს გადაეცი, ძლიერ მესიამოვნება, თუ ისიც დაესწრება ხელისმოწერას.

დანიშნულ ვადამდე ხუთი დღით ადრე დონ იეჰუდამ შეატყობინა პარნას ეფრაიმს, რომ მეფე, ჩვენი ხელმწიფე, დათანხმდა ექვსი. ათასი ფრანკი ებრაელი ჩამოსახლდესო. — ამით საშუალებას გაძლევ თავი აღარ შეიწუხო და აღარ გადაამცე ანათემას, — ცბიერი და მედიდური თავმდაბლობით განაგრძო მან. მართალია, თორმეტი ათასი ოქრო მარაველის გადასახადისაგან არ შემიძლია გაგანთავისუფლო, მაგრამ, სამაგიეროდ ისინი რომ ჩვენს ქვეყანაში თავშესაფარს მიიღებენ, შენი დიდი დამსახურებაც იქნება, რადგან შენ რომ არ დამხმარებოდი, მე ამას ვერ მივალწევდი, — დიდსულოვნად

დაუმატა მან. დონ ეფრაიმმა გაფითრებული ტუჩებით ჩაიბუტბუტა ლოცვა-კუთხევა, რომლის წარმოთქმა საერთო წესი იყო იმ შემთხვევაში, როცა სასიხარულო ამბავს იგებდნენ: — დიდება შენდა, ილონაი, გამჩენო ჩვენო, ვინაიდან შენ თვით სიკეთე ხარ, და ჩვენც სიკეთეს გვანიჭებ.

იეჰუდამ თავი ველარ შეიკავა: — Naphthule elohim niphalti — გამჩენის გამარჯვება, ჩემი გამარჯვებაა! — ზემით წამოიძახა მან.

გაბრწყინებული, ფრთაშესხმული დადიოდა, ფეხებქვეშ მიწას ვერ გრძნობდა. სად გაქრა კაცი, რომელიც ამ ორი კვირის წინ განადგურებული იყო თავისი უმწეობის შეგრძნებით? მის მედიღურობას საზღვარი არა ჰქონდა. გულში დასცინოდა ბრიყვ ეკრპთაყვანისმცემლებს, წმიდა ომი რომ წამოიწყეს იმ ქვეყნისათვის, რომელიც არასოდეს არ იქნება მათი. ჰეშმარიტ წმიდა ომს, ღვთის ომს, თვით იეჰუდა აწარმოებდა. ვიდრე ისინი დედამიწის გულზე სიკვდილს, გატიალებას, გაოხრებას სთესავენ, იეჰუდა მშვიდობიანად აბინავებს ექვსი ათას ლტოლვილს. იგი წინასწარ ხედავდა, თუ როგორ მუშაობდნენ მათი საზრიანი თავები და მარჯვე ხელები, თუ როგორ აწყობდნენ საწარმოებს, ამუშაებდნენ ვენახებს, ქმნიდნენ და ცვლიდნენ მათთვის საჭირო საგნებს.)

იეჰუდა ზეიმობდა თავის ერთგულ მუსასთან ერთად. მან ტკბილედ მოიხატა და ღვინობის დამფასებელი მუსა, თანამესუფრედ მოიწვია მუსლიმანური სამყაროს უბადლო ღორბუეკლების, ძმები დუნუნების საკადრის ნადიმზე. მუსას წინაშე იგი მალავდა თავის დიდ სიხარულს. განა იგი გამჩენის საყვარელი შვილი არ არის. თუ ღმერთი ხანდახან უბედურებას უგზავნის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ბედნიერება უკეთ შეიგრძნოს.

— ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, — ალერსიანი დაცინვით დაეთანხმა მუსა. — მეფე დავითის შთამომავლობის ხარ, და ღმერთიც ცხოვრების ქარიშხლისაგან გიცავს, ამიტომ არც გკირდება გონების ხმას ყური უგდო. შენი დაუოკებელი გულის საამებლად შეგიძლია „შექმნა“ და დაუზოგავად გაანადგურო, შემუსრო, ისე, როგორც იქცევიან ის რაინდები, რომელთა მიმართ შენ ესოდენ განუსაზღვრელ სიძულვილს გრძნობ. გონებით შენ მათ გამჟოლ ხედავ, მაგრამ საქმეში მათი ძირითადი წესის მიხედვით ხელმძღვანელობ: „ოლონდ გულხელდაკრეფილი არ იჯდე, ილონდ რაიმე გააკეთო, უკეთესია ისეთი რამეც კი, რაც არაა საჭირო, ვიდრე არაფერი საერთოდ“.

ისინი სუფთა ღვინოს სუამდნენ, იეჰუდაც თავის მხრივ აღიზიანებდა მეგობრულად თავის მუსას: — რა თქმა უნდა, ბრძენი ყველაფერს გულგრილად უნდა შესცქეროდეს და სხვაზე ხელის აღმარ-

თვას საკუთარი სიკვდილი ერჩიოს. შემძლია დაგიმოწმო, რომ შენ სწორედ ასე იქცეოდი. და რომ მე არა, სულ ცოტა ორჯერ ან სამჯერ იქნებოდი მკვდარი და აღარ შეგეძლებოდა რონის ნაპირებიდან მოტანილი ამ ღვინის შესმა. — ისინი სვამდნენ.

— მოხარული ვარ, — თქვა მუსამ, — რომ შენი იზნ ომარი დღეს მაინც აღარ მოგთხოვს, საჩქაროდ შეადგინო ხელშეკრულება სხვა სახელმწიფოსთან ანდა გაამგზავრო საეპრო ფლოტი. სამწუხაროა, რომ მე ასე იშვიათად მეძლევა შემთხვევა, მშვიდად დეტებ შენი მეგობრობით. შენ ერთთავად აღიღებ მშვიდობას და საკუთარ სიმშვიდეზე კი არ ფიქრობ. — მე რომ ჩემ სიმშვიდეზე ვიფიქრო, — უბასუხა იეჰუდამ, — მაშინ სხეებს აღარ ექნებოდათ მშვიდობა.

მუსა უწყინარი, მომღიმარი, გამომცდელი თვალებით ათვალერებდა მეგობარს. — მკვირცხლად დარბიხარ, ჩემო იეჰუდა, — თქვა მან, — შესვენება არ იცი. ვშიშობ, საკუთარ სულს გაურბიხარ, ის კი ვერ გეწევა. მართალია, არა ერთხელ მიგიღწევია მიზნამდე სირბილით, მაგრამ ნუ გავიწყდება, ზოგჯერ სუნთქვა გეკვროდა, — და ცოტა დაყოვნების შემდეგ დაუმატა: — განა ყველას ესმის, რომ ჩვენ კი არ ვცოცხლობთ, გეცოცხლებენ: ჩემთვის ეს დიდი ხანია ნათელია: მე არა ვარ ხელი, რომელიც კამათელს აგორებს, მე მხოლოდ კამათელი ვარ. მეშინია, რომ შენ ვერასოდეს ვერ ჩაწვდები ამას. მაგრამ სწორედ ამიტომ მიყვარხარ და ვმეგობრობ შენთან.

დიდხანს ისხდნენ ისინი ასე — სვამდნენ, მიირთმევდნენ და ბაასობდნენ. შემდეგ კი შესტკეროდნენ მოცეკვავეებს, რომლებსაც იეჰუდამ უხბო.

და როცა მომდევნო კვირებში იეჰუდა თავის მუსას სიტყვებს იგონებდა, ალერსიანად დასცინოდა. ყველაფერი ისე ეწყობა, როგორც მან ჩაიფიქრა. ორი უზარმაზარი საქონლით დატვირთული ქარავანი, შორეული აღმოსავლეთიდან რომ დაიძრა, იეჰუდას საკეთილდღეოდ გადაურჩა ომებს, ზღვების ხიფათს, უკუღმართობას და ახლა მშვიდობიანად მიაღწია საიმედო ნავმისადგომს. გაცხარებული წმიდა ომის პერიოდში სულთან სალადინის ნაცვლებთან დაიდო ხელშეკრულება, რომელიც იეჰუდასა და ქასტილიის სამეფოსათვის უადრესად ხელსაყრელი იყო. იეჰუდა გაოცებული რწმუნდებოდა, რომ ტოლედოს სინამდვილე მისი დიდი ხნის ოცნებების განხორციელება იყო, იმ ოცნებების, რომლებიც ელანდებოდა



ოდესლაც ნახევრად დანგრეულ შადრევანთან. სიამაყის გრძნობა მოციმციმე ღრუბელივით ბურავდა მას.

იეჰუდამ შეუკვეთა ღერბის ნახატი და მეფეს სთხოვა დაემტკიცებინა იგი. ღერბის შუაში გამოხატული იყო მენორა — შვიდმკლავიანი სასანთლე იელოვა ტაძრისა, ხოლო ირგვლივ ებრაული დამწერლობით მოხატული იყო იეჰუდას სახელი და თანამდებობა. იეჰუდამ შეუკვეთა ბეჭედი, რომელზედაც ეს ღერბი იყო ამოკვეთილი და მას გულზე ჩამოკიდებული ატარებდა ისე, როგორც ატარებდნენ მამა-პაპათა წინაპარნი, ის მამაკაცები, რომელთა შესახებაც „დიდი წიგნი“ მოგვითხრობს.

სალადინის მეათედი, რომელსაც ალჰამა იხდიდა, ძლიერ დიდი იყო. და იეჰუდა ამ თანხის დიდ პროცენტს იღებდა. იეჰუდამ გადაწყვიტა არ შეენახა ეს თანხა. აღმოჩნდა, რომ თურმე პარიზელმა ებრაელებმა, როცა მათ დევნიდნენ, შესძლეს გადაერჩინათ თორას გრაგნილი, რომელიც მოსე წინასწარმეტყველის ხუთი წიგნიდან გადარჩენილთა სიაში ყველაზე უძველესად ითვლებოდა. ეს იყო ეგრეთწოდებული სეფერ ჰილალი. იეჰუდამ წიგნი სამი ათას მარავედად იყიდა. იეჰუდას გარდა არავის შეეძლო, ასეთი კეთილშობილური ექსტით გაეღო ამოდენა თანხა ლტოლვილებისათვის.

და, ახლა, იეჰუდა მუსასთან ერთად იქდა მტკრევადი, ძვირფასი პერგამენტის გრაგნილის წინ, რომელმაც შთამომავლობიდან შთამომავლობას შემოუნახა ღვთის სიტყვა და ებრაელი ხალხის ამადლებული კეთილშობილური დამწერლობა. ხარბად და მოკრძალებით ჰკრეტდნენ ისინი საოცარ წიგნს, მოწიწებით ეხებოდნენ მას.

იეჰუდა ფიქრობდა, პერგამენტის გრაგნილი ალჰამისათვის გადაეცა საჩუქრად, მაგრამ ტოლედოს სინაგოგების უთვალადობა სტანჯავდა. არა, იგი ჯერ თავის გასაოცარ წიგნს აუშენებს შესაფერის საცავს, ამ ძვირფასი ხელნაწერის, ებრაელი ხალხის ტოლედოს ალჰაქიმისა და თვით იეჰუდა იბნ ეზრას საკადრის ტაძარს.

— ხომ იცი, რომ ამით უფრო მეტად გააღვივებ არქიეპისკოპოსისა და ბარონების მძულვარებას? — გააფრთხილა იგი მუსამ. — იეჰუდამ არად ჩააგდო მუსას გაფრთხილება და პასუხად მხოლოდ გაიცინა. — მე ავუშენებ ისრაელთა ღმერთს მის საკადრის სახლს, — თქვა მან. ალერსიანად, ჩვეულებრივზე უფრო სერიოზულად შეეცადა მუსა გონს მოეყვანა იეჰუდა. — იეჰუდა, ჩემო მეგობარო, ნუ შეკაზმავ ცხენს მაინცდამაინც ძვირფასი აღკაზმულობით. ვაითუ ბოლოს ცხენის მაგივრად მხოლოდ აღკაზმულობა და ჩული შეგჩრჩეს.

იეჰუდამ მეგობრულად დაარტყა მხრებზე ხელი მუსას და თავისი გაბედული გზა განაგრძო.

დონა ლეონორმა ბურგოსში ყურმოკრულ ჭორებს ყურადღება არ მიაქცია მაშინაც კი, როცა უთხრეს, ალფონსო მთელ კვირეებს ებრაელ ქალთან ატარებს გალიანაშიო. ლეონორი თავისთვის არწმუნებდა, ეს ალფონსოს ზერელე გატაცება იქნებოა. მართალია, მათი ცოლქმრობის თხუთმეტი წლის განმავლობაში ალფონსოს დროგამოშვებით ჰქონია სატრფიალო თავგადასავლები, მაგრამ ყოველთვის მალე უბრუნდებოდა ლეონორს პატარა ბიჭივით დარცხვენილი. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ალფონსოს სერიოზულად შეეძლო ვინმეს შეყვარება და ისიც ამ ებრაელი ქალსაა. როცა ალფონსომ იგი პირველად ნახა, თითქმის ყურადღებაც კი არ მიუქცევია მისთვის, პირიქით, ლეონორმა სთხოვა, ქალიშვილისათვის რამდენიმე თავაზიანი სიტყვა ეთქვა. ამასთან ერთად, ებრაელის ქალი ძლიერ თამამია და, განსაკუთრებით თავისებურად აცვია, რითაც ალფონსოს ვერ მოხიბლავდა.

არა, დონა ლეონორი არ ექვიანობდა. სასტიკ მაგალითს წარმოადგენდა დედამისის — ელეონორა აქვიტანელის ცხოვრება, რომელიც თავის მეუღლეს ჰენრიხ ინგლისელს საშინელი ექვიანობით სტანჯავდა. მეუღლე იძულებული იყო ლეონორის დედა უკანასკნელ წლებში დამწყვდეული ჰყოლოდა. არა, ლეონორი არ გაჰყვება დედის კვალს. ალფონსოს ებრაელი ქალით გატაცება ისევე მალე გაუვლის, როგორც ყველა დანარჩენს გაუვლია.

კვირები და თვეები გადიოდა, ალფონსო ძველებურად იყო შეყვარებული დონა რაკელზე. დონა ლეონორმა იგრძნო, რომ აქ მისი მოსაზრება ძალას კარგავდა და თავის მოტყუება აღარ შეეძლო. ლეონორი ფანტაზიის ნაყოფად თვლიდა გალექსილ რომანებს, რომლებსაც მისი და ტრუადან უგზავნიდა და ფრანკი რაინდები და ტრუვერები უმღეროდნენ. ზოგჯერ თვითონაც წარმოდგენია თავისი თავი ერთ-ერთ იმ მშვენიერ, ბრწყინვალე გონების ქალად — ჯინევრად თუ იზოლდად — რომელთა გულისათვის ჩინებული რაინდები, ლანსელოტი ან ტრისტანი საკუთარ პატივსა და სიცოცხლეს სწირავდნენ. და აი, ეს აბდაუბდა უაზრო ამბები უცბად მოშაირთა შეთხზულ, გამოგონილ ამბად კი არა, მის ცხოვრებად გადაიქცა, საშინელ სინამდვილედ, რომლითაც მისი მეუღლე, მისი რაინდი, მისი საყვარელი ადამიანი, მისი ალფონსო, ცხოვრობდა.

ლეონორი მრისხანებამ შეიპყრო ალფონსოს მიმართ, რომელმაც

ასე უბასუხა მის სიყვარულს, მის ზომიერ, ბანოვანიისათვის შესაფერ მხიარულ ზნე-ჩვეულებას და ინფანტის დაბადებას. უცებ ლეონორი იმ ქალისადმი, ებრაელი უნამუსოსადმი უსაზღვრო ზიზღმა მოიკვა, ამ ქალმა მას წმიდა ეკლესიით ნაკურთხი ქმარი წაართვა, ქმარი, რომელიც თხუთმეტი წლის მანძილზე მას ეკუთვნოდა.

შეუძლებელი იყო დედამისის მსგავსად გონი დაეკარგა. იგი ბრძნულად უნდა მოიქცეს, რადგან ბრძოლა მოელის სამეფოს უქკვიანეს კაცთან, იბნ ეზრასთან, რომელიც თვითონ, სულელმა ლეონორმა, თავისთავის დასალუპავად მოიწვია აქ.

ლეონორი კვკვიანი იყო. მრისხანება ჩაიხშო. გაგონებაც კი არ უნდოდა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ, ყველაფერს უარყოფდა მის ახლობლებთანაც კი. გულწრფელი და ერთგული მეგობარი ბურგოსელი არქიეპისკოპოსი მობრძანდა, რომელმაც მწუხარებით წამოიწყო საუბარი მომხდარი უბედურების შესახებ. ლეონორმა მეფური გამომეტყველება მიიღო და დიდად პატივცემულ სტუმარს ისე ცივად შეხედა, რომ იგი იძულებული შეიქნა იმწუთშივე დადუმებულიყო.

არა, დონა ლეონორს გაგონებაც არ უნდოდა გალიანას შესახებ. არავითარ ზომებს არ ლებულობდა არც ალფონსოსა და არც მისი საყვარლის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, საყვედურსაც არავისთან გამოთქვამდა მათ მიმართ.

მაგრამ ერთი კი გააკეთა — მკვეთრად შეცვალა თავისი პოლიტიკა. სამეფო კარის გასაოცრად, დონა ლეონორმა სრულიად მოულოდნელად კასტილიის ნეიტრალიტეტი უაზროდ და უქკუოდ გამოაცხადა. ყველა კარგად ხედავს, რომ ახლა სახელმწიფოს გააჩნია სათანადო თანხა წმიდა ომში მონაწილეობისათვის. ბოლოს და ბოლოს დროა ლაშქრობაში მონაწილეობა მივიდოთო.)

ლეონორმა იცოდა: საკმარისი იყო ალფონსოს ლაშქრობაში ჩაბმა და ბოროტი გრძნეულება სწრაფად გაქრებოდა; ეს უეჭველი იყო, ვითარცა „მამაო ჩვენო“.

ლეონორი მოახერხებს, რომ ალფონსომ აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა ლაშქრობაში. იგი მიაღწევს არაგონთან კავშირს. ლეონორის ბაგეს ბოროტი ღიმილი გადაეფინა. ალფონსოს უგუნურ ვნებებიდან რაღაც სარგებლის მიღება შეიძლებოდა: დონ პედროს შემობრუნებაა შესაძლებელი, თუ მას ავუხსნით, რომ ალფონსო ავზნიანი და ხშირად გონებას კარგავს. რომ იმ დროს, როცა დონ პედროს ესოდენ მწარედ ატკინა გული, გონდაკარგუ-

ლი იყო და ამიტომ დონ პედრომ ყოველივე უნდა აპატიოს და დაივიწყოს.

დონა ლეონორმა მეგობრული ბარათი გაუგზავნა დონ პედროს. ამ ბარათში ბანოვანის ღირსების შესაფერისად, მაგრამ უალრესად ნაზი გამოთქმით აგრძობინა დონ პედროს, რომ მისი ხილვა სურს. ბარათი დონ ლუისს, ლეონორის მეგობარს, ბურგოსელი არქიეპისკოპოსის მდივანს, უნდა წაეღო.

ახალგაზრდა მეფე გაოცებული იყო დონ ალფონსოს სასიყვარულო ამბებით. მიუხედავად დიდი სიძულვილისა, რომელსაც იგი ალფონსოს მიმართ განიცდიდა, დონ პედროს იგი ყოველთვის რაინდობის განსახიერებად ჰყავდა წარმოდგენილი. კასტილიის მეფის თავხედური, თავდაუქერელი ვნებანი კიდევ ერთხელ ამტკიცებდა მისი რაინდობის უცვლელ თვისებებს მსგავსად ტრისტანისა და ლანსელოტისა, რომლებიც ყველაფერს სწირავდნენ თავის გულის რჩეულებს. ალფონსოც თავის მეფურ, რაინდულ პატივსა და ღირსებას ალაღბედს ანდობდა ქალის გამო, რომლის სიყვარულითაც იყო აღგზნებული. ის, რომ ეს ქალი ებრაელი იყო, ამ შემთხვევას განსაკუთრებული იდუმალების შარავანდელით მოსაყვდა. უამრავ ფანტასტიკურ ამბებს ჰყვებოდნენ რაინდებზე, რომლებიც აღმოსავლეთში მუსლიმანი ქალებით იყვნენ მოჯადობულნი. დონ პედროს არ შეეძლო მღელვარების გარეშე ეფიქრა თავის ნათესავზე, რომელიც ქრისტიანულ რწმენას განუდგა და თავის სულს ღუპავდა და ამასთანავე თავისდაუნებურად აღტაცებული იყო ალფონსოს შეუპოვრობით.

ასეთი წინააღმდეგობებით სავსე გრძობებით კითხულობდა იგი დონა ლეონორის ბარათს. მას თითქოს ესმოდა კიდევ დონა ლეონორის ხმა. თვალნათლივ ხედავდა ბანოვანი ქალის სახეს, გულით ეცოდებოდა ეს დიდებული ქალი, რომელიც ქორწინებამ მიაჯაჭვა ამ ქაჯთან წილნაყარ ალფონსოს. და, რადგან ეს კეთილშობილი ქალი უბედურებაში აღმოჩნდა, დონ პედროს ვალია დაეხმაროს მას.

ამასთან ერთად, იგი ჯვაროსნული ომის დაწყების დღიდანვე ძლიერ იტანჯებოდა უმოქმედობით. მთლიანად შეიარაღდა, რომ თავს დასხმობდა ვალენსიას, სადაც ახლა მუსლიმანები ბრძანდებოდნენ. ვალენსიის ემირთან გაგზავნა ელჩები, რომლებიც ძველ ხელშეკრულებებს ეყრდნობოდნენ და თავხედურად მოითხოვდნენ ემირისაგან ხარკს. ისე, რომ დონ ხოზე იბნ ეზრას დიდი შრომა დასჭირდა, ემირთან კვლავ მოეწესრიგებინა ურთიერთობა. მინისტრი იძულებული იყო სულ ახალ-ახალი ხერხები გამოეგონა, რათა

ჭირვეულ მბრძანებელს არ დაერღვია ესოდენ „სამარცხვინო“ მშვიდობა.

ამრიგად, დონა ლეონორის ბარათს დონ პედრომ ცხოველურ გამოძახილით უპასუხა, მაგრამ თავს მაინც ვერ სძლია, რომ ბურგოსში გამგზავრებულიყო და მას პირველს ეცადა შერიგება. ბურგოსში ეს წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული, ამიტომ დონა ლეონორის წარგზავნილმა ღვთისმოსავმა, მეტად მოხერხებულმა მდივანმა დონ ლუისმა დონ პედროს მდგომარეობიდან იოლი გამოსავალი შესთავაზა. ესოდენ მძიმე დროს ურიგო არ იქნებოდა, რომ ქრისტიანი მონარქი სალოცავად წასულიყო სანტიაგო დე კომპოსტელაში. და თუ წმიდა სავანეში მიმავალი ბურგოსშიც შეივლიდა, ამით იგი დიდ სიხარულს მიანიჭებდა დონა ლეონორს. პედრომ ბურგოსში შეიარა.

დონა ლეონორს მეტად ესიამოვნა, რომ ახალგაზრდა მეფე ძველებურად რაინდული აღტაცებით შესცქეროდა. დონ პედრომ საკმაოდ უხერხულად წამოიწყა საუბარი დონა ლეონორის უბედურებაზე. ლეონორმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ გაიგო მისი სიტყვები, თუმცა არ ცდილა, დაემალა თავისი დარდი. დონა ლეონორი მეტყველი ნახით შესცქეროდა დონ პედროს, აუხსნა, რომ კასტილიასთან ზავის დადების შემდეგ ესპანეთის სამეფოს საშუალება ეძლევა ჩაებას ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ამით დონ პედრო დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო მთელ ქრისტიანულ სამყაროს, არამედ თვით ლეონორსაც. რადგან იხსნის დიდ მეფესა და მხედართმთავარს ბოროტი სულისაგან, რომელთანაც მჭიდროდა დაკავშირებული და ალფონსო კვლავ დაიბრუნებს თავის ნამდვილ კეთილშობილურ ბუნებას. შეძრწუნებული პედრო ხელთათმანს აწვალებდა და არ იცოდა, საპასუხოდ რა ეთქვა. რა თქმა უნდა, მე მესმის, — უთხრა ლეონორმა დონ პედროს, — რომ თქვენთვის შეუფერებელია გადადგათ პირველი ნაბიჯები ზავის დასაღებად იმ კაცთან, რომელმაც ესოდენ გატყინათ გული. მაგრამ იქნებ შესაძლებელი გახდეს ალფონსოს შეგულიანება იმ საქმეზე, რომელიც გაძფანტავს დონ პედროს უნდობლობას ალფონსოსადმი.

და როგორც დონა ლეონორი მოელოდა, დონ პედრო შეეკითხა, რა საქმეების შესახებ ლაპარაკობდა იგი. მაგრამ ლეონორს წინასწარ კარგად ჰქონდა ყოველივე მოფიქრებული. იმედი, რომ ალფონსო ბარონ დე კასტროზე არაგონის სიუზერენულ უფლებებზე უარს არ იტყვის, რითაც თავის დიდ დანაშაულს გამოისყიდის, გადაუხდის ახლანდელ მმართველს, ბარონ გუტიერე დე კასტროს, საკმაოდ დიდ თანხას ძმის მოკვლისათვის; იქნებ ალფონსო დათან-

ხმდეს, რომ ბარონ გუტიერეს დაუბრუნდეს ტოლედოს კასტილიო.  
დონა ლეონორის ფიქრით, ალფონსო აუცილებლად დათანხმდებოდა ასეთ ანაზღაურებაზე, რადგან ამაზე იქნებოდა დამოკიდებული ჯვაროსნული ლაშქრობის შესაძლებლობა. და თუ იგი იეჰუდას წაართმევს კასტილიოს, ამპარტავანი ებრაელი არ მოითმენს და, რა თქმა უნდა, იბნ ეზრას ოჯახთან ალფონსოს განხეთქილება გარდაუვალა.

დონ პედრო დაიბნა ასეთი სახის დათმობა, რა თქმა უნდა, ბევრ საქმეს გამოასწორებდა. დონ პედრო კარგად ხედავდა კეთილშობილი ქალის მუდართით სავსე მზერას. დონ პედროს გულში მოხვდა ქალის გადაკრული სიტყვა, თუ იგი დაიხსნიდა ალფონსოს ჯადოქარის კლანჭებისაგან, ეს იქნებოდა ქვეშაირტად რაინდული სამსახური ქალისადმი. იგი ნაზი, ნაღვლიანი დედოფლის მწუხარე სიმშვიდემ გულწრფელად ააღელვა. დონ პედრო ხელზე ეამბორა დედოფალს და უთხრა, რომ იგი მოიფიქრებს ყოველივეს მისადმი მეგობრული განწყობით; რომ მისთვის არაფერი არ არსებობდა უფრო საოცნებო, ვიდრე ბრძოლა ქრისტესა და დონა ლეონორისათვის.

რაკელის გალიანაში დაბრუნების შემდეგ დონ ალფონსომ იგრძნო, რომ არასოდეს ასე ძლიერ არ ჰყვარებია იგი. როცა ალფონსო რაკელის ნაზ სახეს შესცქეროდა, მას თავისი უხეშობის გამო რცხვენოდა; იგი ხომ ქალთ იყო, მისი გულის რჩეული, მან კი უნამუსო ძალადობა მიაყენა, მაგრამ სხვა დროს სწორედ იმის მოგონებაზე, თუ როგორ შესძლო რაკელის თავგანწირული წინააღმდეგობის დაძლევა, მთელი მისი არსება ბოროტი ავხორცობით ინთებოდა. მასში კვლავ იღვიძებდა გააფთრებული სურვილი რაკელის დამცირობისა და, როცა რაკელი უფრო თავდავიწყებით ეძლეოდა მას, ვიდრე თვითონ ალფონსო, იგი გაშმაგებით ზეიმობდა.

ამასთან ერთად, ალფონსო უმადლოდა რაკელს იმისათვის, რომ ერთი სიტყვითაც არ მოუგონებია მისთვის ის მწარე წუთები. ჩამოვიდა თუ არა რაკელი, შეშინებულმა ჰკითხა, რით გაიჭრა ხელი ალფონსომ, რადგან მეზუზის ნამსხვრევეებისაგან მიღებული ჭრილობა ძლიერ ნელა ხორცდებოდა. ალფონსომ სიტყვა ბანზე აუგდო, კმაყოფილი იყო, რომ რაკელს შემდეგ არც გაუმეორებია ეს შეკითხვა; არც ის უკითხავს; რატომ იყო რაბი ხანანის ცისტერნები მიწით ამოვსებული.

სინამდვილეში რაკელს სულაც არ დავიწყებია ის წუთები, მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც რაკელს სურდა და ამავე დროს რისიც ეშინოდა; მისი თანდასწრებით შეურაცხყოფა აღარ იყო შეურაცხმყოფელი, უხეშობაც აღარ ეჩვენებოდა უხეშობად, და ზოგჯერ როცა ალფონსოს მკერდზე იწვა, ოცნებობდა კვლავ ეხილა სახე ველურისა, ისეთი, როგორიც ალფონსოს იმ შმაგი წუთების დროს ჰქონდა.

რაკელის იმედი, რომ ალფონსოს გარდაქმნიდა, რაინდიდან ჩვეულებრივ ადამიანად აქცევდა, ისევე ამაო აღმოჩნდა, როგორც ტალღების კლდესთან ჰიდილი. თუმცე რაკელს ეს მაინცდამაინც არც სურდა. მას რაინდი ალფონსოც უყვარდა. ალფონსოს პირხმელი, თითქოს უხეში, საჭრისით გამოკვეთილი ვაკეაცური სახე, მისთვის დამახასიათებელი ერთურთს შერწყმული მოუხეშაობა და მოხდენილობა რაკელს სისხლს უმღვრევდა.

ბიბლიის ყველა დანარჩენი წიგნებიდან ახლა რაკელი ქებათა ქების სიმღერებს ირჩევდა და ბრძანა თავის საწოლში კედელზე დაეკიდათ იქიდან ამოღებული ლექსი: „რამეთუ ძლიერ არს სიყვარული, ვითარცა სიკვდილი... ფიცხელ, ვითარცა შური ჯოჯოხეთისა, ფრთე მისა, ფრთე ცეცხლისა აღისა. არ ძალუძს წყალსა მრავალსა დაშრეტად სიყვარულისა, და მდინარე ვერ წარღუნის მას“. რაკელმა ლექსი გადაუთარგმნა ალფონსოს. მან ყურადღებით მოუსმინა. შემდეგ სთხოვა ლექსი კიდევ ერთხელ გაემეორებინა და ებრაულად წაეკითხა. — ცუდად არ ჟღერს, — შენიშნა ალფონსომ, — პირიქით, კარგია.

მას შემდეგ, რაც რაკელმა არაბული აბჯარი აჩუქა, ალფონსომ იცოდა, რომ რაკელს მეომარი ალფონსო უყვარდა. მაგრამ უმიზეზოდ როდი ეჭვიანობდა იგი მამისა და მოხუც მუსას მიმართ, ალფონსო გრძნობდა, რომ რაკელის გონება არც ახლა სცნობდა მასში ნამდვილად კარგსა და გმირულს. მთელი თავისი აღგზნებითა და ვნებებით ცდილობდა ალფონსო თავისი ბუნების არსი გადაეშალა რაკელისათვის. ომი — ეს ღვთის მცნებაა, სამხედრო დიდება — უმაღლესი დიდება, რისი მოპოვებაც კი ადამიანს შეუძლია. მხოლოდ ომში მქდავენდება თითოეული ადამიანისა და საერთოდ მთელი ხალხის ავი და კარგი. განა ებრაელებს არ ჰყავდათ სამსონი და გედეონი, დავითი და იუდა მაკაბოისი? როგორ შეუძლია მეფეს უომრად მმართველობა? მეფეს ერთგული მომხრეები სჭირდება და ისინი დამსახურებულად მოითხოვენ მისგან გასამრჩელოს. ესე იგი, მისთვის აუცილებელია სულ ახალ-ახალი მიწები, რომ დაარიგოს ჯილდოს სახით ერთგული სამსახურისათვის. თუ მტერს არ წაართვი,

მაშ ვის უნდა გამოართვა მიწები? სწორედ ამიტომ არის ღვთის მიერ მოვლენილი მეფე, რომ ნადავლი აიღოს და ამით გაზარდოს თავისი სამფლობელოები. თუმცა ალფონსომ იცის ზომა, ის არ არის ისეთი გაუმადლარი, როგორც მისი სიმამრი — ჰენრიხ ინგლისელი, ანდა კიდევ რომელი იმპერატორი ფრიდრიხი. იგი არც ცდილობს მთელი ქვეყნის დაპყრობას. მას არ სჭირდება ის, რაც ბირინეების იქითა მხარესაა. მას მხოლოდ ესპანეთის მფლობელობა სურს, მაგრამ მთელი ესპანეთისა, როგორც ქრისტიანულის, ისე მუსლიმანურის.

ბედისწერასავით შეუპოვარი და გაბედული ეჩვენებოდა რაკელს ალფონსო. ცთუნებაც და გაუგონარი მუქარაც გამომდინარეობდა ამ ფრანკი და გოთი ბარბაროსების შთამომავლისაგან, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ მას უბოძა გამჩენმა მთელი ნახევარკუნძულის მფლობელობა.

ალფონსო უამბობდა რაკელს იმ დიდსა და კეთილშობილურ სამხედრო ხელოვნებაზე, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლავდა თუ ის დღემდე არაა აღექვანდრე და კეისარი, მხედართმთავრად მაინც არის დაბადებული. თანდაყოლილი ალღოთი იცოდა, როდის იყო საჭირო მსუბუქი და როდის მძიმე ცხენოსანი ჯარის შეშვება ბრძოლაში. ერთი შეხედვით შეეძლო მას ბრძოლის ველის ღირსების განსაზღვრა და უბაძლოდ იცოდა ჯარის ნაწილებისათვის ისეთი საფარის მოძებნა, საიდანაც მტერს სრულიად მოულოდნელად თავს დაესხმოდა. და თუ იგი ყოველთვის ვერ იმარჯვებდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ყოფნიდა ერთადერთი, მხედართმთავრისათვის მოსაწყენი, მაგრამ აუცილებლად საჭირო — მოთმინება.

ალფონსოს ნაამბობს რომ მოისმენდა, თუ რამდენი სისხლიანი ბრძოლა მოიგო და რამდენი მტერი დაამარცხა, რაკელი თითქმის ყოველთვის სულ სხვას ამბობდა, ვიდრე ალფონსო მოელოდა. მაგალითად, რაკელი ეკითხებოდა: — რამდენი სთქვი? სამი ათასი მტრის მხრიდან და ორი ათასი შენი? და მის შეკითხვაში საყვედური კი არა, შეშფოთება გაისმოდა, ან კიდევ თავის თავში ჭიუტად ჩაიკეტებოდა და ალფონსოს არ შეეძლო ამ სიმარტოვიდან მისი გამოყვანა. ყველაზე ძნელი ასატანი კი ის იყო, როცა რაკელი მღუმარედ შესცქეროდა მას. ეს იყო მკვევრმეტყველური მღუმარება, უფრო გულსატკენი, ვიდრე მრისხანე წინააღმდეგობა.

ერთხელ რაკელის მღუმარებამ გააბოროტა იგი: — იცი, ვინ გატეხა შენი წმიდა მეზუზის მინა? მე. სწორედ ამ ხელით. და შენი რაბი ხანანას ცისტერნების მიწით ამოვსება მე ვბრძანე — დაიმახსოვრე. — რაკელმა არაფერი უთხრა, ალფონსოს სუნთქვა უჭირდა,



წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე უკან დაბრუნდა, რაკელს გვერდით მიუჯდა და სულ სხვა თემაზე წამოიწყო საუბარი. უცებ შეჩერდა და პატიების თხოვნა გადაწყვიტა. რაკელმა ალერსიანად მიაფარა ბაგეებზე ხელი.

თუმც ალფონსო მთელი არსებით ვერ იტანდა იმას, რაც რაკელში უცხო იყო, მაგრამ კარგად იცოდა, რომ რაკელის ტყვეა, სამუდამო ტყვე. „Et nunc et semper et in saecula saeculorum, amen“,—ბილწად ჩაიბურტყუნა თავისთვის. თვითონ გასწირა თავისი სული დასაღუპავად, რადგან მისთვის ნათელი იყო, რომ ვერასოდეს შესძლებდა რაკელის გაქრისტიანებას. იქნებ ასეც სჯობდეს. სულ ერთია თავს ვერ დააღწევს ამ მოჯადოებულ წრეს, რომელშიაც თვით მოიმწყვდია თავი; და ალფონსო, გაათრეებული ჭიუტობდა თავის ცოდვაში.

კანონიკი ღონ როდრიგო აღარას ეუბნებოდა გალიანას შესახებ. ამას ახლა არავითარი აზრი არ ჰქონდა. თითქმის ყველაფერი თქვეს, რისი თქმაც შეიძლებოდა ამ საკითხზე. თუმც ალფონსო თავის ცოდვას მეფურ უპირატესობად თვლიდა და იცოდა შედეგების უფლება არა ჰქონდა არც ერთ ღვთის მსახურს, მაინც საშინლად სტანჯავდა კანონიკის, მისი გულითადი მეგობრის, მღუმარე მწუხარება და დიდხანს იტეხდა თავს, რით დაემტკიცებინა კანონიკისადმი დიდი სიყვარული და მადლიერება.

არქიეპისკოპოსისათვის ანგარიში არ გაუწევია, ისე გამოსცა ედიქტი, რომლის ძალითაც მის სამფლობელოში ესპანური წელთაღრიცხვის მაგივრად უნდა შემოეღოთ რომაული, როგორც ეს მიღებული იყო სხვა დანარჩენ დასავლეთის სახელმწიფოებში.

ღონ როდრიგოს საყვედურით სავსე მწუხარება სიხარულითა და მადლიერების გრძნობით შეეცვალა: — შენ სწორად მოიქეცი, ღონ ალფონსო, — გამოუტყდა როდრიგო.

არქიეპისკოპოსი, რომელიც ვერ ბედავდა ალფონსოს გაკიცხვას მისი ავხორცობის გამო, ახლა განსაკუთრებული სიციხარით ამხედრდა ახალი ედიქტის წინააღმდეგ. უსაყვედურებდა ალფონსოს, ყოველგვარი განსაკუთრებული საჭიროების მიუხედავად, მხოლოდ და მხოლოდ ვიღაც უცხოელებისათვის უკუაგდე ესპანური ფკლესიის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობაო. ალფონსოს არც ერთი წინაპარი ასე ადვილად არ დათმობდა ამ ძვირფას უპირატესობას. ალფონსოს კარგად ესმოდა, რომ საქმე ედიქტს როდი ეხებოდა, რომ არქიეპისკოპოსი გალიანას გამო მძვინვარებდა და ამიტომ ძლიერ მკაცრად დატუქსა მძრახავი. ალფონსომ შესძლო უკუეგლო პაპის ოინბაზური დაჩემება და ახლა სიამოვნებდა, რომ

ესოდენ უმნიშვნელო საქმეში მოთაფლა წმიდა მამა. ამასთან ერთად, რომი მართალი იყო. ესპანელები სინამდვილეში არაქრისტიანულ ამპარტავნობას ამჟღავნებდნენ, როცა წელთაღრიცხვას თავიანთი საკუთარი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ამბიდან იწყებდნენ; რა თქმა უნდა, ძლიერ მნიშვნელოვანი იყო, რომ იმპერატორმა ავგუსტმა უბოძა მათ მოქალაქეობრიობის უფლება, მაგრამ, რაც არ უნდა ვთქვათ, ქრისტეს დაბადება მთელი სამყაროს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო და გამონაკლისს არც მათი ნახევარკუნძულო წარმოადგენდა.

მეფის სიხარული, მწუხარე როდრაგოს რომ კმაყოფილება მიანიჭა, დიდხანს არ გაგრძელებულა. გულში ღრმად შეჭრილი ცოდვა ცეცხლს უკიდებდა. ერთ დღეს, ადრეული წირვის შემდეგ, სამეფო სასახლის კაპელანი ალფონსომ გააკვირვა უეცარი შეკითხვით: — ამიხსენი, ღირსეულო ძმაო, რა არის ცოდვა? შეუახნის მღვდელი გაოცებული იყო დონ ალფონსოს საკვირველი შეკითხვით. — ნება მომეცი, მეფეო, წმიდა ავგუსტის გამონათქვამი მოგახსენო, — უპასუხა კაპელანმა. — ცოდვა, როგორც ის ამბობს, ისეთი მოქმედებაა, რომელიც ადამიანმა კარგად იცის, რომ აკრძალულია, მაგრამ რომლისგანაც მას თავის შეკავება არ შეუძლია — გმადლობთ, ღირსეულო ძმაო, — უპასუხა მეფემ. იგი დიდ ხანს ფიქრობდა ეკლესიის უდიდესი მამის გამონათქვამის გამო, შემდეგ შეიშშუშნა და იმით დამშვიდდა, რომ ჭკაროსნული ლაშქრობა განწმინდავდა ცოდვიდან, თუკი ცოდვას სჩადის.

თუმც მეფეს ვერავინ უბედავდა გაკიცხვას, მაგრამ ყველგან გაისმოდა ათასგვარი ბოროტი ჩურჩული. მეზღვე ბელარდომ მეფეს მოუთხორო, რომ ცუდი ხალხი ჩვენს ქალბატონ დონა რაკელს ჯადოქარს ეძახის და თან ამტკიცებს, ვითომცდა მან მეფე მოაჯადოვაო.

ამგვარი მითქმა-მოთქმა კიდევ მეტად უმტკიცებდა ალფონსოს გადაწყვეტილებას — დაეცვა თავისი და რაკელის სიყვარული. ასე, მაგალითად, იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მოკლე გზა გალიანადან იბნ ეზრას კასტილიომდე რაკელს ღია ტახტრევეანდით გაევილო. ხდებოდა ისიც, რომ ზოგიერთი თავხედი და უტიფარი პირში დასცინოდა რაკელს, სხვები კი ყვიროდნენ: — შეხედეთ, აღქაჯი, ჯადოქარი! — მაგრამ რაკელი სულაც არ ჰგავდა ჯოჯოხეთის მოციქულს; რაკელში აღარაფერი იყო ბიჭური, მან ახლა სულ ახალი, ბრძნული, მნიშვნელოვანი სილამაზე შეიმატა, რომელსაც მთელი ხალხი თვალნათლივ ხედავდა. მძრახვეები ცოტანი როდი იყვნენ, მაგრამ უფრო დიდ ნაწილს არ უკვირდა, რომ მეფემ სატრფოდ

სწორედ ისეთი არაჩვეულებრივად ლამაზი ქალი აირჩია და ხანდა-  
ხან კიდევაც უწონებდნენ გადაწყვეტილებას. — მზეთუნახავო! —  
შესძახოდნენ ისინი რაკელს; უხაროდათ, როცა მას შესცქეროდნენ.  
სხვანაირად არ უწოდებდნენ თუ არა ფერმოზას — მშვენიერს, და  
თანაგრძნობით სავსე, ალტაცებულ რომანსებს მღეროდნენ რაკე-  
ლისა და მეფის სიყვარულის შესახებ.

ალფონსო არ იკლებდა სიამოვნებას და დროგამოშვებით რაკელს  
აცილებდა. იგი მას ცხენით მიჰყვებოდა. ხანდისხან გაისმოდა ხმე-  
ბი: „გაუმარჯოს კეთილშობილ ალფონსოს!“, „გაუმარჯოს მზეთ-  
უნახავს!“

ხალხის სწორედ ასეთი შეძახილები აგრძნობინებდნენ, რომ  
იგი მეფის ბარავანა, მისი ხასა იყო. რაკელს არ სცხვენოდა ამისი.

ალფონსო სულ უფრო ეგუებოდა და ეჩვეოდა გალიანაში ცხოვ-  
რებას. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ იგი ღვთის განსაკუთრე-  
ბული წყალობით სარგებლობდა და ამიტომ არაპირდაპირი გზები,  
რომლებსაც განგების სურვილით მიჰყვება, ბოლოს მაინც კეშმარიტ  
მიზნამდე მიიყვანდა.

ახლა იგი ყოველგვარი რილის გარეშე ეწეოდა სახელმწიფოებ-  
რივ საქმიანობას გალიანაში და მისი გრანდების უმრავლესობა  
წყალობად თვლიდა, თუ მეფე მათ გალიანაში მოიხმობდა. ხშირად  
ისიც ხდებოდა, რომ რომელიმე მათგანი მტრული შეშფოთებით  
ჩერდებოდა მეზუზის წინ. მაშინ გაღიმებული ალფონსო უხსნი-  
და: — ეს სასარგებლო ავგაროზია. იგი მიფარავს ცუდი თვალისა-  
გან და მიცავს მოტყუებისაგან.

მაგრამ ზოგიერთი გრანდი უბადრუკ მიზეზს იგონებდა და გალი-  
ანაში არ ცხადდებოდა. ალფონსო მათ სახელებს იმახსოვრებდა.

დონა ლეონორი მეტად საქმიანი და თბილი ბარათით ატყობი-  
ნებდა მეფეს, დონ პედრომ მინახულა, ვიმედოვნებ ყველა წინააღ-  
მდეგობების მიუხედავად, არაგონთან ზავის დადება შესაძლებელია.  
და ურჯულოების წინააღმდეგ გალაშქრება ადვილად განსახორციე-  
ლებელი იქნებაო. მე თვითონ დიდი სიამოვნებით ჩავიდოდი ტო-  
ლედოში, რომ შენთან ერთად ავწონ-დავწონო; მაგრამ ინფანტ-  
ენრიკეს ავადმყოფობის გამო ბურგოსს ვერ დავტოვებო. ამიტომ  
იგი სთხოვდა ალფონსოს დაუყოვნებლივ ჩასულიყო ბურგოსში.

მეფე მიხვდა, რომ ახლა ველარ გაექცეოდა ლეონორთან შეხ-  
ვედრას. თუმც თავს იმშვიდებდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი-  
სახელმწიფოებრივი საქმეების გამო პირადი უთანხმოებანი თავიანთ

ქალას კარგავენ და ამიტომ ლეონორთან შეხვედრა არცთუ ისე მძიმე იქნებაო.

დონ იეჰუდას შეატყობინა, რომ ორი დღის შემდეგ ბურგოსში გავემგზავრებით.

ახლა ალფონსო ხშირად ხვდებოდა თავის ესკრივანოს. მეტად რთული ურთიერთდამოკიდებულება აკავშირებდა მათ. მეფეს ესაჭიროებოდა თავისი ებრაელის მოხერხებულობა და ეშმაკობა. მას სწყუროდა ომის დაწყება, მაგრამ არ უნდოდა, რაიმე შეგონებისათვის ყური ეგდო და მოუფიქრებელი ნაბიჯი გადაედგა, ამიტომ სიამოვნებით უგდებდა ყურს ებრაელის მოსაზრებებს. იეჰუდა მეფეს უკეთ იცნობდა, ვიდრე მეფე საკუთარ თავს. მას კარგად ესმოდა, რომ ალფონსოს ძალა არ შესწევდა გალიანადან დაეღწია თავი და იღუმალ უხაროდა, რომ იეჰუდა აყოვნებდა არაგონთან ზავსა და სამხედრო ლაშქრობას. მას შემდეგ კი, როცა იეჰუდამ შესძლო მეფისაგან ფრანკი დევნილებისათვის საზღვრის გაღების უფლება მოეპოვებინა, ესკრივანო აღარ ეჭვობდა ამ ბარბაროს მფლობელზე თავის ძალაუფლებას და ამაყობდა, რომ შეუძლია ალფონსოს ისევე შთაბეროს სიცოცხლე და გონების ძალა, ვით ღმერთმა შთაბერა ადამს.

იეჰუდას არც გაკვირვებია, როცა გაიგო ალფონსოს გამგზავრების შესახებ. თავისი ნათესავი დონ ზოხესაგან მან იცოდა დედოფლისა და არაგონის მოლაპარაკების ამბავი. ლეონორი გონიერი ქალი იყო, მაგრამ იეჰუდა თავს მასზე სულელად როდი თვლიდა და საწინააღმდეგო სვლებიც მოიფიქრა.

იეჰუდამ უპასუხა: — ძლიერ ვშიშობ, რომ დედოფალმა სურვილი შესაძლოდ წარმოიდგინოს და წინააღმდეგობანი, რომლებიც არაგონთან ზავის დადებას ელობება, უფრო იოლად არ მიიჩნიოს, ვიდრე ნამდვილად არის, მეფეც ბატონო. უმჯობესია, თუ კეთილინებებთ და ბურგოსში თან გვიახლებ კეთილშობილ დონ მანრიკეს და მე, რომ ჩვენი მცირე ძალებით შევძლოთ მხარი დავუჭიროთ დონა ლეონორის მისწრაფებებს.

ალფონსო დაიბნა, მისთვის სასურველი იყო რომ გაეცილებინათ, თუ იგი თავისი მრჩევლებით და მთელი ამალით ბურგოსში შევიდოდა, მაშინ დონა ლეონორთან შეხვედრა საბოლოოდ დაკარგავდა ცოლქმრული ახსნა-განმარტებების ხასიათს; გარდა ამისა, მას სურდა ლეონორის აზრი დაეპირისპირებინა თავისი მრჩევლების მოსაზრებებისათვის. მაგრამ, როგორ შეხვდებოდა ლეონორი იმას, რომ ალფონსო თან ჩამოიყვანდა თავისი საყვარლის მამას?

— განა შეიძლება დონა რაქელის მარტო დატოვება? — გაუბე-

დავად ჰკითხა ალფონსომ. ასეთმა ყურადღებამ იეჰუდა გაახარა და მეფე კიდევ უფრო ახლობელი გახადა მისთვის.—დონა რაკელს — უპასუხა იეჰუდამ გულწრფელი მოკრძალებით, — იბნ ეზრას კასტილიოში შეუძლია გაატაროს ეს დრო, მას ყოფნა მოუხდება ბრძენ მუსა იბნ დაუდის საზოგადოებაში და ღირსეული დონ როდრიგოც უარს არ იტყვის რაკელის ნახვაზე.

დონა ლეონორი ისე თბილად და თამამად შეხვდა მეფეს, თითქოს მხოლოდ გუშინ დასცილდნენ ერთმანეთსო. ალფონსომ ხელი მოხვია და ეამბორა მას ისე, როგორც მოითხოვდა თავაზიანობა. მამობრივი გულთბილობით მიესალმა ბავშვებს. თავზე ხელი გადაუსვა ფერმკრთალ პატარა ინფანტს, რომლის ავადმყოფობა მას არც ერთი წუთითაც არ დაუჭერებია. მხიარულად და ალერსიანად მიმართა კოპებშეკრულ პრინცესა ბერენგარიას, რომელმაც კარგად იცოდა გალიანაში ალფონსოს ცხოვრების ამბავი და კიცხავდა მამას. თავი ქედმაღლურად, მაგრამ მორიდებულად ექირა. დონ პედროს სტუმრობამ ბერენგარიას იმედები გაუცხოველა, თუმცა კარგად ესმოდა კასტილიის გვირგვინის უფლების გარეშე, არცთუ ისე სასურველი დედოფალი იყო არაგონისათვის.

დონა ლეონორმა აღარ დააყოვნა ბურგოსში დონ პედროს მოპატიება, მაგრამ ახალგაზრდა მეფე ვერ მოერია გულისწყრომას ალფონსოს მიმართ, თავის მაგიერ მინისტრი დონ ხოზე იბნ ეზრა გაგზავნა.

ორივე იბნ ეზრები ერთმანეთს შეხვდნენ სახელმწიფო თათბირზე, რომელიც დონა ლეონორთან უნდა შემდგარიყო. დონ ხოზეს მტრობა ამ მეტისმეტად თვითდაჯერებულ ნათესავისადმი უფრო გაიზარდა. ისედაც დამწუხრებული კიდევ უფრო აღმფოთდა, როცა დონ იეჰუდამ საკუთარი ქალიშვილი შესწირა იმას, რომ მეფე დაემორჩილებინა. თვით მან, ღვთისმოშიშმა და კეთილი გულის ადამიანმა, არაგონში ფრანკი ებრაელების მხოლოდ პატარა ნაწილის შემოშვების უფლება ძლივს მოიპოვა, მაგრამ მასიურად მათ დასახლებას სეფარდის მიწებზე, რაც დონ იეჰუდას სურდა, საეჭვოდ სთვლიდა იმავე მიზეზების გამო, რომელიც დონ ეფრაიმმა გამოთქვა. ხოლო ის, რომ იეჰუდამ მეფის კეთილგანწყობილება რაკელისადმი სახელმწიფოსა და ებრაელი ხალხის ბედ-იღბლის გადასაწყვეტად გამოიყენა, შებილწულ, თავხედ თამამად ეჩვენებოდა. საუბედუროდ, იეჰუდასთან ძველებურად ერთი რამ აკავშირებდა, ომისაგან დაეცვა ნახევარკუნძული და თავიანთ მეურვეო-

ბაში მყოფი ებრაელები. ამიტომაც გააფრთხილა ნათესავი დონა ლეონორის ოინების შესახებ და იჩქარა მასთან შეხვედრა-

— ნება მომეცი, დონ ხოზე, კიდეც ერთხელ მაძლობა გითხრა შენი ბარათისათვის, — წამოიწყო იეპულამ, — როგორც ბარათიდან შევიტყვე, თქვენ რალაცაზე შეთანხმებულხართ და შეკავშირებისა და ერთმმართველობისათვის გზები გიპოვიათ. — დიახ, — მშრალად უპასუხა დონ ხოზემ, — მუსლიმანებთან ომის საშიშროება ძლიერ მოგვიახლოვდა. შენმა დონა ლეონორმა საოცრად დიდი ენერჯია დახარჯა და ყოველგვარ ხერხს მიმართა, რომ ჩემი ჰაბუჯი მეფე შეერიგებინა. — მან მკაცრი მზერით გადახედა თავის თანამოსაუბრეს და მრავლისმეტყველად დაუმატა: — შენი დედოფალი დონ იეპულა, მარტო ომის წამოწყების სურვილმა როდი გახადა ასეთი ხელგაშლილი. — და მან იღუმალი ნიშნის მოგებით ამცნო იეპულას ამბავი, რაზედაც წერილში თავი შეიკავა: — დონა ლეონორს სურს გუტიერე დე კასტროს შენი ციხე-კოშკი დაუბრუნოს ძმის მოკვლის სანაცვლოდ.

იეპულამ თავი ვერ შეიკავა და გაფითრდა. გული ჩასწყდა მხოლოდ იმის გაფიქრებაზე, რომ კვლავ წინაპართა სახლის დატოვება მოუხდებდა, მაგრამ სიამაყემ იმ წუთშივე უკარნახა დამშვიდებულიყო, მან ტოლედოში ააგო თავისთვის სულ სხვაგვარი ციხე-სიმაგრე, თუმც უხილავი, მაგრამ ქვის ბრწყინვალე ნაგებობათა შორის ყველაზე მშვენიერი და მიუდგომელი. — შენთვის ცნობილი მიზეზების გამო, დონ ხოზე, მე გამიჭირდება ამ სახლის გარეშე ცხოვრება, — მშვიდად უპასუხა მან. — მაგრამ თუ ჩემი დედოფალი შეპირდა არაგონის მეფეს, არც ერთი სიტყვით არ წავალ წინააღმდეგი, რომ ამით ხელი არ შევეუშალო ზავის დადებას.

დონ ხოზე გაოცდა; ალბათ, იეპულას ექვიც არ ეპარებოდა, რომ არ წაართმევდნენ კასტილიოს, თორემ სხვა შემთხვევაში ასე გულგრილად არ ილაპარაკებდა. იეპულას მართლაც დაუბრუნდა ის ძველებური თვითდაჭერებულობა, სწორედ ის თავხედური რწმენა თავის ძალისა, რომელსაც ბოლო დღეებში გრძნობდა. სწორედ ამ საუბრისას დაებადა აზრი, როგორ ეჯობნა ჰკუთით დონა ლეონორისათვის. ჯერ იგი თავისი გეგმის ბუნდოვან მოხაზულობას ხედავდა, მაგრამ იეპულა დარწმუნებული იყო, საჭირო წუთებში მისი წამოწყება გარკვეულ, განსაზღვრულ ფორმას მიიღებდა.

ახლა ის ჩქარობდა ამ გეგმისათვის საფუძველი მოემზადებინა. — იმედია, თქვენ მიერ შემუშავებული პირობები გაუძლებს ისეთ მკაცრ გამომცდელებს, როგორიც ჩვენ ვართ: შენ და მე. — შეფიქრიანებულად, ისე, როგორც ეს შეეფერება საქმიან კაცს, წარმოთ-

ქვა მან. — გულახდილად რომ ვთქვა, მე კიდევ ეხედავ ზოგიერთ სიძნელეს, — და ჩამოთვალა მთელი რიგი სამეურნეო საკითხები, რომლის გამო არაგონი და კასტილია ათეული წლების მანძილზე ვერ შეთანხმდნენ. საქმე ეხებოდა სადაოდ მიჩნეულ ზოგიერთ ხარკ-დადებულ ქალაქებს, შემოსატან და გასატან საბაჟოებს და გასაღების ბაზრებს. — თუ იძულებული გავხდით და ყველა ეს პუნქტი დაგვითმე, დონ ხოზე, — ცბიერი მხიარულებით შენიშნა იეჰუდამ, — შენი არაგონი სულ მოკლე ხანში გაასწრებს კასტილიას.

დონ ხოზე მაშინვე მიხვდა, რაც სურდა იეჰუდას. სადაო სამეურნეო საკითხებს ბოლო არ ჰქონდა. მოხერხებულად შეიძლებოდა მათი გამოყენება ზავის დასასამარებლად. დონ ხოზემ, რომელსაც არ შეეძლო არ ელიარებინა იეჰუდას მოქნილობა, საქმიანი ტონით უპასუხა: — რაკი ჩემი მეფე თანახმაა დაივიწყოს თქვენ მიერ მიყენებული შეურაცხყოფა, არ იქნებოდა ურიგო, თქვენც დაგვთმოთ ზოგიერთი რამ სამეურნეო საკითხში. — ესე იგი შენ დაჟინებით მოითხოვ ყველა თქვენს მოთხოვნებს? — პირდაპირ ჰკითხა იეჰუდამ. — ეს ჩემი მოვალეობაა, — უპასუხა დონ ხოზემ და თან მოჩვენებითი სიმკაცრით დაუმატა: — ცხადია, ასეც მოვიქცევი. — დონ იეჰუდამ სერიოზულად და მწუხარებით შენიშნა: — ექვს გარეშეა, ჩემს მეფეს შენს მეფეზე უფრო გულწრფელად სწყურია ომის დაწყება მუსლიმანების წინააღმდეგ. მაგრამ თუ თქვენთან არ მოხდა შეთანხმება, ვშიშობ, არაფერი გამოვა.

— დიდად შევწუხდებოდი, თუ ჩვენ ვერ შევძლებდით ერთმანეთთან მოლაპარაკებას, — თქვა ხოზემ, და ორმა მინისტრმა ერთმანეთს ღიმილის გარეშე გადახედეს.

კურია, რომელზედაც უნდა განხილულიყო არაგონთან ზავის დადების საკითხი, მიმდინარეობდა ბურგოსის ციხე-სიმაგრის დიდ მისაღებ დარბაზში. დარბაზი მორთული იყო კასტილიისა და არაგონის დროშებით. შესასვლელთან მცველები იდგნენ. შემადლებულ ადგილას მომზადებული იყო სავარძელი დონ ალფონსოსა და დონალეონორისათვის. არქიეპისკოპოსს არ დაუყოვნებია ტოლედოდან ჩამოსვლა. კურიის წევრთაგან მხოლოდ დონ როდრიგო აკლდა.

თავის მძიმე ბრწყინვალე სადარბაზო სამოსში მეფურად მორთული და ამავე დროს მომხიბლავი ლეონორი შემადლებულ ადგილას იჯდა. როგორც დიდებულ ბანოვანს შეეფერება, წყალობის თვალით და აღუშფოთველად ათვალეობდა სამეფო კარისკაცთა წრეს. იგი გუნებაში ზეიმობდა. ყველა აქ მყოფს ერთი გადაწყვეტა-

ლება ამოქმედებდა: დონ ალფონსო მოშხამულ გალიანადან წმიდა ომის სუფთა ჰაერზე გამოეყვანა. ალფონსოსაც ასე სურდა. ერთადერთი მოწინააღმდეგე ებრაელი იყო. მისთვის ჩვეული თავხედობით აეკიდა მეფეს თანამგზავრად, მაგრამ ლეონორმა ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინა. ებრაელი ვერ გაუბედავს წინააღმდეგობის გაწევას.

მოხსენებას დონ მანრიკე აკეთებდა. მოლაპარაკების კეთილად დამთავრებას არაფერი აკლდა, წმიდა მამამაც იცოდა ამის შესახებ და თავისი ლეგატი კარდინალ გრეგორ სანტ ანჯელო გაგზავნა, რომ მოლაპარაკებისათვის ხელი შეეწყო და მეფეები შეერიგებინა. — ვინ შეატყობინა მოლაპარაკების შესახებ პაპს? — იკითხა გაბრაზებულმა დონ ალფონსომ. — დონ პედრომ? — მე შევატყობინე, — ალერსიანად უპასუხა დონა ლეონორმა.

დონ მანრიკემ მოახსენა მომავალი ხელშეკრულების პირობები. ორივე სასელმწიფოს არმია ერთ სარდლობას უნდა მორჩილებდეს. კასტილიელი რაინდები არაგონის შტაბში უნდა იქნენ შეყვანილნი, არაგონელებისა — კასტილიელთა შტაბში. დონ პედრო ვალდებული იქნება გულმოდგინედ უგდოს ყური დონ ალფონსოს რჩევადარიგებებს, როგორც ეს უმცროს რაინდს შეეფერება უფროსი რაინდის წინაშე. — ყური უგდოს? — შეეკითხა დონ ალფონსო. — დიახ ყური უგდოს, — დაუმოწმა დონ მანრიკემ. — უფრო ზუსტად განსაზღვრა ვერ მოძებნეთ? — ჰკითხა ალფონსომ. — ვერა, — უპასუხა დონა ლეონორმა.

ყველა სდუმდა. — კიდევ რა პირობებია გათვალისწინებული ხელშეკრულებაში? — იკითხა მეფემ. დონ მანრიკემ აუხსნა: არაგონი სამ მთავარ პირობას აყენებს: პირველი — კასტილიამ უარი უნდა თქვას არაგონის მიმართ სიუზერენულ უფლებაზე. თუმცა ალფონსომ უკვე იცოდა ეს პირობა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო უკმაყოფილო შეძახებისაგან თავის შეკავება. — მეორე, — განაგრძო მანრიკემ, — არაგონი მოითხოვს, დაკმაყოფილდეს მისი ვასალის გუტიერე დე კასტროს პრეტენზია. — აი, ამ მოთხოვნის შესახებ მეფისათვის არაფერი უთქვამთ. იგი ნახევრად წამოდგა და თავისი მზერა ახლა დონა ლეონორზე გადაიტანა. — ბარონ დე კასტროს ვირა უნდა გადაუხადო? — წყნარად, მაგრამ მუქარით თქვა მან. ვირას შესახებ ლაპარაკიც კი არ არის, — იჩქარა მანრიკემ მეფის დამშვიდება, — ეს სიტყვა არ არის ნახსენები. — ქარაფშუტა პედრომ იცის, როგორ ისარგებლოს ჩემი მძიმე მდგომარეობით, — გულნატკენად შენიშნა მეფემ. — მას უნდა დამამციროს და ამიტომ დე კასტროს ზურგს უკან მემალემა. რომი კი თავის კარდინალს მიგზავნის



ჩემი შერცხვენის მოწმე რომ გახდეს. — სულაც არაა შერცხვენა, — ალერსიანი წკრიალა ხმით უთხრა დონა ლეონორმა, — რომ წმიდა ომისათვის მსხვერპლი გაიღო. ნამდვილად სამარცხვინო ის იქნება, თუ კარდინალს ცარიელს გავაბრუნებთ უკან. მაშინ ქრისტიანულ სამყაროს სრული უფლება ექნებოდა შეერცხვინა დონ ალფონსო მისი უმოქმედობის გამო.

თათბირის მონაწილენი შიშისაგან გაუჩინდნენ. კასტილიისა და არაგონის დროშებმა თავი დახარეს. სიბრაზისაგან გაფითრებული ალფონსო დონა ლეონორს შესცქეროდა. ვიდრე ისინი მარტონი იყვნენ, არც ერთი სიტყვით არ გამოუთქვამს ლეონორს საყვედური გალიანას შესახებ; ცივი ანგარიშსწორებისათვის სამეფო საბჭოს მოწვევამდე თავი შეიკავა, რომ აქ მრჩეველების, მისი ახლო მეგობრებისა და დროშის წინაშე პირში ეთქვა დონ ალფონსოსათვის ის შეურაცხმყოფელი სიტყვები, რასაც მასზე ფიქრობდა. სწორედ ახლა, აქ იძია შური, როგორც შეეფერებოდა თავისი მძვინვარე დედის ღირსეულ ასულს.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ალფონსო ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან, ლეონორს არ დაუხრია თავისი ღიძრონი მწვანე თვალები, უფრო მეტიც, მის მეტად მშვიდ სახეს ოდნავი გაურკვეველი ღიმილიც არ მოსცილებია. ალფონსო თავს მოერია. ხომ არ შეეძლო ახლობლების თანდასწრებით ცოლთან უსიამოვნება გამოემჟღავნებინა, ამასთან ერთად იგი გრძნობდა, რომ ყველა, მათ შორის ებრაელიც, სთვლიდა, რომ ალფონსო მართალი არ იყო.

— როგორ ანაზღაურებას ითხოვს ჩემგან კასტრო? — ჩახლეჩილი ხმით იკითხა ალფონსომ. დონ მანრიკეს მაგიერად დონა ლეონორმა უპასუხა: — მისი მოთხოვნა მეტად მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. ჩვენ უნდა გადავუხადოთ კუენკელი ტყვეების გამოსასყიდი და ამავე დროს დავუბრუნოთ თავისი კასტილიო ტოლედოში. — კვლავ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ალფონსოს მძიმე სუნთქვა გაისმოდა მხოლოდ, თუმცა ზრდილობის წესებს არ შეეფერებოდა, მაგრამ ყველა დაურიდებლად, თითქმის ხარბად უყურებდა იეპულას.

არქიეპისკოპოსმა, რომელიც რაც შეიძლება შორს დაჯდა იეპულასაგან და არც კი მისალმებია, სიტყვა ითხოვა. მისი ხმა გრგვინავდა ვრცელ დარბაზში. — ეს შენს ღირსებას საგრძნობლად შეურაცხყოფს, მეფეც ბატონო, — თქვა მან, — მაგრამ წმიდა ომი ბევრ დამცირებას ჩამორეცხავს.

დონა ლეონორმა მოწყალეებით მიმართა იეპულას: — როგორი იქნება შენი რჩევა, სენიორ ესკრივანო? — ჩემის შეხედულებით, — უპასუხა იეპულამ, — ურჩი ბარონის თავხედური მოთხოვნა სამეფო

დიდებას ჩრდილს აყენებს, მაგრამ მე ნაკლებად ვერკვევი ღირსების საკითხებში, დიდად პატივცემული სენიორ არჩიეპისკოპოსი კი ამტკიცებს, რომ წმიდა ომის უდიდესი მიზანი ამართლებს ასეთ დამცირებას. რაც შემეხება მე, ჩემთვის ძნელია მამა-პაპის სახლის დათმობა, რომელიც არცთუ ისე პატარა თანხის ვალებით ღვთისა და ჩვენი მეფის წყალობით დავიბრუნე, და ჩემს გულს ნეტარებით ავსებს. მაგრამ რას წარმოადგენს ჩემი საკუთარი პატივმოყვარე სურვილები და ჩემი ღირსება ჩვენი მეფისა და მბრძანებლის დიდ მიზნებთან! და თუ ეს გზას გაუხსნის კავშირსა და ჯვაროსნულ ლაშქრობას, მზად ვარ სიამოვნებით გადმოგცე, მეფეც ბატონო, კასტილიო იბნ ეზრა, ყველაფერი, რაც მიმიშენებია და ამიგია, თანაც ჩემს მიერ შენს ხაზინაში შემოტანილი თანხის ნახევრად. იეჰუდამ წინასწარ მოამზადა სათქმელი, მაგრამ ოდნავ ჩიფჩიფებდა აღელვებისაგან.

არავინ ელოდა, რომ იეჰუდა ასე ადვილად დასთმობდა ესოდენ მდიდარ მამულს. ალფონსო გაოცებული შესცქეროდა თავის ესკრივანოს. დონა ლეონორსაც კი გაუჭირდა, დაეფარა თავისი აღშფოთება, რაც საერთოდ სჩვევიათ დიდგვაროვან ქალებს. რა ხრიკები იმალება მის მორჩილებაში?

ყველაზე ადრე ახალგაზრდა გარსენან დე ლარა, გამოერკვა. — ე. ი. ზეგ შეიძლება ლაშქრობის დაწყება! — მხიარულად თქვა მან.

— მაგრამ, კეთილშობილო დონ მანრიკე, თითქოს ამბობდი, არაგონმა რაღაც მესამე პირობა წამოაყენა? — მორიდებულად ჰკითხა იეჰუდამ. — დიახ, უპასუხა მანრიკემ, — მაგრამ მას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, არაგონი ახალ დათმობებს ითხოვს ძველ სადაო საკითხებზე. საბაჟოებსა, გასაღების ბაზრებსა, გირაოდ გაცემულ ქალაქებსა და სხვა წვრილმან საკითხებზე.

იეჰუდამ იღუმალი ზეიმით შენიშნა, თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ნათქვამმა კასტილიოს დატოვების შესახებ, აი, ისინი სხედან მის გარშემო, მტრები, რომლებიც ცდილობენ, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, წამოიწყონ თავიანთი ომი და ამით არაბობად აქციონ ყველაფერი, რაც მან ესოდენი კეთილგონიერებითა და ღვთის წყალობით შექმნა. მაგრამ ეს გონებაჩლუნგი რაინდები ვერ მიაღწევენ თავიანთ ომს, ის კი შეინარჩუნებს თავის კასტილიოს. მან მოასწრო თავისი გეგმის დაწვრილებით შემუშავება. დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რადგან ბედის წყალობა ეს მისი თანდაყოლილი თვისება იყო, რომელიც მას ღმერთმა უბოძა. იგი გრძნობდა თავის უპირატესობას და ახლა ცდილობდა ისინი როგორმე გაეღიზიანებინა, როგორც მონადირე აღიზიანებს ხოლმე მწიერებს.

— გაქვს სია დასათმობი მოთხოვნებისა, ღონ მანრიკე? — ჰკითხა მან. მანრიკემ ქალაღი გაუწოღა. იეპუღამ სწრაფად გაღაავლო თვალღ. — ეს ცხრამეტი პუნქტი არტოუ ისე უწყინარი პუნქტებღა, როგორც ერთღ შეხედვით ჩანს, — შენღშნა მან. — მაგალთისათვის, ჩვენ უარი უნღა განვაცხადოთ ქალაქ ლოგრონოს შემოსავალზე. ლოგრონო ღვინით ვაჭრობის ცენტრი გახღა. ღვინით ვაჭრობა რომ წაგვეხალისებინა, სამღ წღით გავანთავისუფღეთ ქალაქღ ლოგრონო ღა რიობის მიღამოები ბეგარისაგან. — თუ მე კარგად გავუგებებრავღს, — ზოზღით შენღშნა არქიეპისკოპოსმა, — იგღ იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ხაზინის შემოსავალღ შემციღრღება წმიღა ომის ღროს. შესაღღებღღა, ის ამღში მართალი იყოს. მაგრამ ვისაც სურვიღი აქვს ღაიპყროს აღთქმული ქვეყანა, მას არ ეკადრება უღაბნოში მიმღვალ უსასრულო გზის ეშინოღღეს ოხრავღღეს, ეგვიპტის მიწაში ჩაფღღული ხორციღთ სავსე ქვაბის გამო.

იეპუღღას არქიეპისკოპოსისათვის არ უბასუხნღა, მან მეფეს მიმართა: — უკანასკნელ წღებში, მეფევე ბატონო, შენღ მეურნეობა ისე აყვავღა, როგორც არაგონის მეურნეობა ჰყვავის. ბევრი საწარმოთაგანი, ჩვენს მიერ ამ ხნის განმავღობაში ღაარსებუღღი, სულ მალე არაგონს გაუსწრებს. მაგრამ უავგუსტესღ ღონ პეღროს მრჩევღღების მიერ მოგონიღღი მზაკვრული პირობები იქიღტენაა მიმართული, რომ ამ საწარმოების შემოსავღღით არაგონის სამეფომ ისარგებღღოს. საშიშ შეთანხმებას გთავაზობენ. მეფევე ბატონო. საკმარისღა ღღასთანხმღღე ამ ცხრამეტ პუნქტზე ღღა სულ რამღღენიმე წღღის შემღღეგ არაგონღ საგრძნობღად გაასწრებს კასტიღღას. მეფე პეღროს საკმაოღ გამჭრიახი ხაზინაღღარი ჰყავს. ჩვენ კიღღეღ ღღღღხანს ვერ ღღავეწეღით არაგონს, თუ შენ ამ პირობებზე ღღათანხმღღები.

ვერავინ პოუღღობღა შესაფერის პასუხს. — ჩვენ რა, ლოგრონოს ღვინით ვაჭრობისათვის ქრისტე გავეყიღღოთ? — წამოიბურტყუნა ღღონ მარტინმა. — ღღონ პეღრო როღღა ძუნწი, ისიც ფულში, — შეესიღტყვა ღღონა ლეონოღღი. — რაღღგან ჩვენ ღღავთანხმღღით ამ მოთხოვნებზე, რომღღებსაც მისთვის განსაკუთრებუღღი მნიშვნეღღობა ჰქონღღა, იგღ ჩვენ აღღარ ღღავეწეღებს ვაჭრობას წვრიღღმანი სარგებღღობის გამო. — მაპატიე, ღღეღოფაღღო, — მოწიწებით უთხრა ღღონ იეპუღღამ, — საქმე წვრიღღმან სარგებღღობას კი არ ეხება, არამეღ მთელ ნახევარკუნძულზე ბატონობას. განა ჩვენი ქვეყნები ათეული წღღების განმავღობაში მხოლოღ ღღავის მოყვარუღღობის გამო ეციღღებღღღენ ერთმანეთს ამ უფღღებას? ვშიშობ, რომ ღღღეს ღღა ხეღღ ვერ შეეღღღღებთ არაგონთან შეთანხმებას.

უმწეოღღ ისხღღენ თათბირის წევრები. საღღაო საკითხები, რომ-

ლის შესახებაც ლაპარაკობდნენ, უკიდურესობამდე ბურჟუაზიით იყო მოცული; იქნებ მართლაც სურდათ კასტილიისათვის წაერთმიათ მისი არსებითი უპირატესობა; მაგრამ უფრო საფიქრებელი იყო, რომ ორივე ებრაელი მინისტრი მზაკერულად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ კეთილისმყოფელი ომისათვის.

ალფონსო სხვებზე მეტად როდი იყო გაცბუნებული და შეძრწუნებული: მას ახარებდა, რომ ახლა საფუძვლიანი მიზნების გამო შეეძლო თავი დაედო საპარტახინო დამცირებისაგან, რომელიც შემზადეს დონა ლეონორმა და ქარაფშუტა პედრომ. იგი ბედნიერი იყო, რომ ჭერ კიდევ დიდხანს შეიძლებოდა, არ დაცილებოდა რაკელს. ალბათ, ებრაელი მართალია. თუ იგი, ალფონსო, დაუთმობს ქარაფშუტა პედროს ყველა რაღაც საბაჟოებს და ყოველგვარ სისულელებებს, ამით იგი გასწირავს ესპანეთის ბატონობას, თავისი ვაჟი შეილას კანონიერ მემკვიდრეობას. მაგრამ გულის კუნჭულში სხვების მსგავსად ისიც ეჭვობდა, რომ იეჰუდას სურდა ომში მონაწილეობის შესაძლებლობა წაერთმია მისთვის.

სიხარულისა და მოვალეობის გრძობები უცნაურად არეულიყო ერთმანეთში, განერვიულებულმა იეჰუდას დაუდრიალა. — რაო. შენის აზრით, თვეებისა და წლების მანძილზე უნდა ვაგრძელებდეს ჩვენს შორის მოლაპარაკება, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ და შენმა სახლიკაცმა ვერ გამოიხატეთ საერთო ენა? — და პირდაპირ შეეკითხა: — რას გვთავაზობ?

იეჰუდამ მოასწრო პასუხის მოფიქრება და უთხრა: — ეს მეტად რთული საქმეა, და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა ასე უბრალოდ არ მოხერხდება. რა იქნება ამ საქმის გადაწყვეტა პირუთვნელ, ყველასათვის ერთნაირად პატივცემულ სამედიატორო მოსამართლეს დაევალოთ? — არავინ იცოდა, სად უმიზნებდა ებრაელი. — ძალიან კარგი მიემართოთ წმიდა მამას, — წამოიყვირა მოულოდნელად ალფონსოვანებულმა არქივისკოპოსმა. — სწორედ დროულად მოემზავრება ჩვენთან კარდინალ-ლეგატი. — ასეთ მშვიდობიან საკითხებში შეიძლება უკეთ გაერკვიოს საქმის მცოდნე ერისკაცი, — თავმდაბლად შეედავა ებრაელი. — მონარქებს შეეძლოთ ჩვენი დედოფლის უავგუსტესი მამისათვის ეთხოვათ, მოელო მოწყალება და განაწიროს გამოეტანა. დავალება, რა თქმა უნდა, სათაკილოა, მაგრამ რადგანაც ამაზე დამოკიდებული წმიდა ომი და ღვთის დალოცვილი მშვიდობა, ინგლისის მეფე უარს არ იტყვის.

იეჰუდას წინადადება თითქოს სავსებით გონივრული იყო. მეფე პენრიხი ნათესაურ კავშირში იყო არაგონის დინასტიასთანაც და

კასტილიასთანაც. მან კარგად იცოდა საქმის ვითარება და უბრძნეს სახელმწიფო მოღვაწედ ითვლებოდა; მისგან, მართლაც, მოსალოდნელი იყო სამართლიანი განაჩენი. მაგრამ რადგან ეს აზრი იეპუდას ეკუთვნოდა, ყველამ გაამახვილა ყურადღება.

დონა ლეონორისათვის ერთი რამ იყო ნათელი: ის, რაც ებრაელმა წესთაგანა, ნაკლებად ჰგავდა იეპუდას ნამდვილ, მოხერხებულ მზაკვრულ ჩანაფიქრს. და ისე არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, როგორც ზღვის მღელვარე ზედაპირი ოდითგანვე წყნარ ზღვის ფსკერს. დონა ლეონორი ჩქარობდა გამოეცნო იეპუდას ნამდვილი ზრახვები. მამამისი, ჰენრიხი, თვით არ ჩქარობს მიიღოს მონაწილეობა ჯვაროსნულ ლაშქრობაში. რა თქმა უნდა, მას კარგად ესმის, რა დიდ სარგებელს მოუტანს ესპანეთს ნეიტრალიტეტის დაცვა. გარდა ამისა, ეპვი არ ეპარება, რომ თუ ესპანელი მონარქები ომს დაიწყებენ ურჯულოების წინააღმდეგ თავიანთ ნახევარკუნძულზე, არ დააყოვნებენ და მას სამხედრო დახმარებას მოსთხოვენ, ის კი როდი ეკუთვნის იმათ რიცხვს, ვინც სიამოვნებით გასცემს ხოლმე. მაშასადამე, მეფე ჰენრიხისათვის სრულიადაც არაა ხელსაყრელი დააჩქაროს კასტილიისა და არაგონის შერიგება. იგი დიდხანს, ძალიან დიდხანს მოანდომებს ამ საკითხზე ფიქრს და ბოლოს გამოიტანს ისეთ განაჩენს, რომელიც არავის არ დააკმაყოფილებს. ეს გახლდათ ებრაელის მიერ მოფიქრებული ბოროტი მზაკვრობა და ლეონორიც გამალებით ფიქრობდა, თუ როგორ ჩაეშალა იეპუდას გეგმები. ლეონორი უნდა ჩავიდეს სარაგოსაში და დონ პედროს შთააგონოს, რომ ადვილად არ აპყვეს თავისი ებრაელის ჩურჩულს. საიღუმლო ბარათით უნდა გაანდოს მამამისს თავისი გულისტკივილი და შეევედროს მას, რაც შეიძლება მალე გამოიტანოს განაჩენი. მაგრამ, ვაი რომ ინგლისის მონარქს თვითონაც რამდენჯერმე განუცდია ავხორკული ვნება და ამიტომაც ვინ ვინ და ჰენრიხი, ლეონორის მამა, რა თქმა უნდა, უთანაგრძნობს ალფონსოს გარყვნილ სიამოვნებას და საზრუნავს. მწუხარებით სავსე ლეონორი ხედავდა, რომ იგი ცბიერებაში ვერ გაუტოლდებოდა იბნ ეზრას.

ალფონსოს მახვილი გონება სწრაფად ჩასწვდა დონ იეპუდას ჩანაფიქრს. როგორც თავიდან ეპკობდა, ისე მოხდა: ებრაელს სურდა ხელი შეეშალა წმიდა ომისათვის, უპირველეს ყოვლისა, ლტოლვილების გამო, რომლებიც მან შემოუშვა კასტილიაში, მაგრამ იეპუდა ანგარიშში ცდებდა, ფიქრობდა გულში ალფონსო, რაღაც წვრილმანებისათვის დონ პედროსთან ვაჭრობას არ ვაპირებ. არც მამა ჰენრიხს მივმართავ, რომ მოწყალეობით თვალი ჩამიკრას: დე,

ბიჭი გაერთოს და ინეზიეროს ავხორცობის სარეცელზეო. არა, შე არ მივცემ ებრაელს ჩემი შოტყუების საშუალებას. მაჭანკლობის და ყალბი გარიგების ფასად არ დავიჯენ რაკელის სიყვარულს.

აი, რა გაიფიქრა, რა შეიგრძნო ებრაელის სიტყვების შემდეგ ჩამოვარდნილი მცირე ღუმლის დროს აღფონსომ.

და უცებ მოესმა თავისივე ნათქვამი სიტყვები, რომლებმაც შეაშინა. — როგორია შენი აზრი, დონა ლეონორ, და თქვენი, ბატონო მრჩეველებო? ჩემის აზრით, ჩვენმა ესკრივანომ კარგი გამოსავალი ჰპოვა. მართლაც, ასეთი დახლართული საქმის გასარკვევად მთელ ქრისტიანულ სამყაროში ვერ მონახავ უკეთეს მოსამართლეს, ვიდრე ჩვენი დედოფლის ბრძენი და უავგუსტესი მამაა. ვფიქრობ, ისე მოვიქცევით, როგორც შენ გვირჩევ, დონ იეჰუდა.

## თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ი

სწორად რომ ემოქმედა, იეჰუდამ საიდუმლო ბარათი გაუგზავნა ინგლისის მეფის პენრიხის მრჩეველს ფინანსურ საქმეებში — ლინკოლნელ აარონს; ამ უსტარით ამცნო ორ ესპანურ სახელმწიფოში არსებული დავის შესახებ და სთხოვა დახმარება.

ტოლედოში გამგზავრების წინ კი, როგორც ამას თავაზიანობა მოითხოვდა, დედოფალს საჩუქრები გაუგზავნა: ძვირფასი სურნელება, დიდი სპილოს ძვლის კოლოფი სავარცხლებით, თმებისათვის საჭირო ბალდითა და ფერუმარლით სავსე. ამასთან ერთად აახლა ხელით ნამუშევარი ძვირფასი ზარდახშა, რომელშიც ეწყო გულის ქინძისთავეები, თელიანი ბეჭდები, საკინძავეები ბუნებრივი ფერადი ქვებით და კიდევ ფეხსაცმელები, რომლებშიც ჩადგმული იყო სარკე, რომ ქალს ყოველთვის, როცა მოესურვებოდა, ჩაეხედა. დონა ლეონორი აღაშფოთა თავხედის უდიერმა ქცევამ, ამ ძვირფასი წვრილმანით რომ ფიქრობდა მის დამშვიდებას იმ დიდი დამარცხების შემდეგ, რომელიც მან წინასწარ მოუგზავნა; მას ძლიერ სურდა საჩუქრების უკან გაგზავნა, მაგრამ დღემდე თავი ისე ეჭირა, როგორც ეს ბანოვანს შეეფერებოდა და მომავალშიც ნამდვილ ბანოვანად დარჩება. გარდა ამისა, საჩუქრები ძლიერ მოეწონა. ლეონორმა საჩუქრები მიიღო და ებრაელს მადლობით სავსე ბარათი გაუგზავნა.

ამ დროისათვის კასტილიაში ჩამოვიდა დევნილი ფრანკი ებრაელების პირველი ჯგუფი. როგორც დონ ეფრაიმმა იწინასწარმეტყველა, მათი ჩამოსვლა არქიეპისკოპოსისათვის და მტრულად გან-

წყობილი გრანდებისათვის შუღლის განახლების სასურველი მიზეზი გახდა. ებრაელი სალადინის მეათედს ხარჯავს არა წმიდა ომის სამზადისისათვის, ამტკიცებდნენ ისინი, არამედ ურჯულოებისა და თალღითების ხროვის ჩვენს ქვეყანაში დასასახლებლად.

წამქეზებელნი მიზანს ვერ აღწევდნენ. ძლიერ აშკარა იყო ახალი მმართველობის დროს მოპოვებული მიღწევები. ქვეყანა მდიდრდებოდა, მასთან ერთად მდიდრდებოდა მისი მცხოვრებლებიც. საგრძნობლად მოზღვავდა ფული და დღემდის უნახავი საქონელი, გაჩნდა ახალი ნარგავები, სახელოსნოები და სავაჭროები. რასაც კი იეჭუდა ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი ყვაოდა.

იმ დროს მასთან გამოცხადდა ნავარიელი სწავლული ქ. ტუდელიდან, ვინმე რაბი ბენიამინი, დიდად პატივცემული კაცი. ტუდელელმა ბენიამინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა მეცნიერებას, დედამიწის შესწავლასა და მის აღწერას; იგი ახლახან დაბრუნდა თავისი მეორე დიდი საკვლევო მოგზაურობიდან, რომელიც აქედან, დასავლეთიდან, დაიწყო და აღმოსავლეთ უკიდურეს საზღვრებზე — ჩინეთსა და ტიბეტში დაამთავრა. უპირველეს ყოვლისა, მას სურდა გაეგო, როგორ ცხოვრობდნენ ებრაელები მსოფლიოში მათი დაქსაქსვის შემდეგ. მაგრამ ამასთან ერთად შეკრიბა მეტად სასარგებლო ცნობები. იგი ყველგან შეხვდა სახელმწიფო სათავეში მდგომ კაცებს, მათ შორის სულთან სალადინსა და რომის პაპსაც. ახლა გადაწყვეტილი ჰქონდა წიგნი დაეწერა თავისი მოგზაურობის შედეგების შესახებ, შორეულ მოგზაურობაში ყოფნის დროს. „ბენიამინის მოგზაურობანი“ — ასეთი სათაური უნდა ჰქონოდა წიგნს და ღონ როდრიგოს აკადემიის ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი დაჰპირდა წიგნის გადათარგმნას ლათინურ და არაბულ ენებზე.

სწორედ ეს ტუდელელი ბენიამინი ესტუმრა ჩვენს ბატონს და მასწავლებელს ღონ იეჭუდა იბნ ეზრას, რომ თავისი დიდი პატივისცემა გამოეხატა. იგი ცდილობდა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, გავცნო კაცი, რომელმაც მისი არყოფნის წლებში ასე სასიკეთოდ შეუცვალა სახე ნახევარკუნძულს. იეჭუდამ ცნობილი მეცნიერი დიდი პატივით მიიღო. უჩვენა ძვირფასი წიგნებისა და გრაგნილების ბიბლიოთეკა და სინაგოგა, რომელიც შენდებოდა. წაიყვანა მის მიერ დაარსებულ ქარხნებში. ყოვლისმცოდნე რაბი ბენიამინი ყურადღებით უსმენდა და ათვალერებდა.

სუფრასთან, მუსას თანდასწრებით, რაბი ბენიამინი საუბრობდა თავის მოგზაურობაზე. იეჭუდას თხოვნით იგი ჰყვებოდა აღმოსავლეთის ებრაელების ცხოვრების შესახებ. ბიზანტიის იმპერიაში და წმიდა მიწაზე ებრაელები უდიდეს უბედურებას განიცდიან ჯვაროს-

ნული ლაშქრობების გამო, მაგრამ ქაიროსა და ბაღდადში მშვიდად და მდიდრულად ცხოვრობენ. მან მოუთხრო აღმოსავლეთის იუდეველთა მეთაურის, რეშ-გალუტას—ექსილარხის შესახებ. რეზიდენცია მდებარეობდა ბაღდადში და ხალიფამ იგი ებრაელთა ბელადად აღიარა. რეშ-გალუტი უფლებამოსილია განაგოს თავისი ერთმორწმუნენი, „მოლტითა და ჯოხით“, კრიფოს ბეგარა, აწარმოოს სასამართლო და ყოველგვარი ძალაუფლება გამოიყენოს ბაბილონის, თურქეთის, იემენის, სომხეთის და ასევე კავკასიისა და შუამდინარეთის ებრაელებზე; ტიბეტისა და ინდოეთის საზღვრამდე ვრცელდება მისი ძალაუფლება. მის შემდეგ, რაც ხალიფამ ცად იყვანა რეშ-გალუტას ეხლანდელი მმართველის ჩვენი ბატონისა და მასწავლებლის დანიელ ბენ ხასდაის ღირსება და პატივი, მან მთელი ხალხის წინაშე ზმამალა განაცხადა: „მე მემკვიდრე ვარ წინასწარმეტყველი მუჰამედისა, ხოლო დანიელ ბენ ხასდაი ჩემი მეგობარია და მეფე დავითის მემკვიდრე“. რეშ-გალუტა სარგებლობს უდიდესი პატივით მუსლიმანთა შორის. როცა იგი გამოდის, მის წინ მიმორბიან მაცნეები და გაჰყვირიან: „გზა ჩვენს ბატონს, დავითის ძეს!“—და მთელი ხალხი პირქვე ემხოზა ისე, როგორც ხალიფის წინაშე.

ამ მხატვრულმა ნაამბობმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იეჰულაზე. — სხვათა შორის, რეშ-გალუტა შენზედაც ლაპარაკობდა, — განაგრძობდა ბენიამინი. — აღმოსავლეთიდან მოვიდა ამბავი, რომ შენ უარი თქვი დიდ თანამდებობაზე, რომელიც სევილიაში გეჭირა, გადმოსახლდი ტოლედოში, რომ აქედან შენს ძმებს დახმარებოდი. აი, მე უკვე ოცდაათი წელია ვმოგზაურობ ქვეყნის ირგვლოვ, მაგრამ ყველაზე შესანიშნავი და ყურადსაღები აქ ვნახე, ჩემს სამშობლოში. — დაამთავრა მან თხრობა. დონ იეჰულას ესიაშოვნა ამ დამოუკიდებელი კაცის, რაბი ბენიამინის, სიტყვები, რომელსაც მის წინაშე პირმოთნეობა სულაც არ ესაქიროებოდა. განსაკუთრებით გაახარა იმან, რომ ეს სიტყვები ნათქვამი იყო მისი მეგობრის მუსას თანდასწრებით.

იგი ახლა თავს ოკერ პარიმად თვლიდა — ისეთ კაცად, რომელსაც შეუძლია მთები დასძრას და არ შიშობს ყველგან გამოაჩინოს თავისი ძლიერება. რადგან მეფე ბურგოსში მეტხანს დაჩა, ვიდრე ფიქრობდნენ, იეჰულამ თვითნებურად მიიღო მეტად სახიფათო გადაწყვეტილება. მტრულად განწყობილი პრელატებისა და ბარონების ჯიბრზე მან ბევრ ფრანკ ლტოლვილს დაურიგა შემოსავლიანი თანამდებობები. ვინმე ნემურელ ნათანს, რომელიც ნამყოფი იყო წინათ კასტილიაში, სურითის მმართველობა უბოძა.

დადგა ფურიმის დღესასწაული, დღე, როცა ებრაელები მოიხსენ-



ნიებდნენ დედოფალ ესთერს, რომელმაც ისინი უბედურებისაგან იხსნა. ბოროტმოქმედა ამანმა, მეფე არტაქსერქსეს რჩეულმა, განიზრახა ყველა ებრაელის განადგურება ქალაქ სუზასა და სპარსეთის მთელ სამეფოში, რადგან ებრაელმა მარდოხაიმ შეურაცხყო მისი პატივმოყვარეობა, მაგრამ მარდოხაის დისშვილმა და გაზრდილმა ქალწულმა ჰადასამ, იგივე ესთერმა, მეფის თვალში წყალობა მოიპოვა და მეფემ იგი თავის დედოფლად გაიხადა. ბიძის ჩაგონებით ესთერმა გადაწყვიტა ამანის ჩანათიქრებისათვის ხელი შეეშალა. თუმც სიკვდილით დასჯის შიშით ვერავინ ბედავდა მბრძანებელთან გამოცხადებას, თუ მისი ნება-სურვილი არ იქნებოდა, ესთერი მაინც მივიდა არტაქსერქსთან და თავისი ხალხის შეწყალება სთხოვა. მისი სილამაზითა და სიბრძნით მოხიბლულმა მბრძანებელმა სამეფო კვერთხი დახარა მის წინაშე და ესთერი და მისი ხალხი შეიწყალა, ხოლო ბოროტმოქმედი ამანი ებრაელებს გადასცა. ებრაელებმა ამანი ჩამოჰკიდეს სწორედ იმ სახარხობელაზე, რომელიც მან მარდოხაის ჩამოსახარობად მოამზადა. არც ეს აკმარეს და მისი ათი ვაჟიშვილიც ჩამოახრჩვეს. შემდეგ ხელი მიჰყვეს და გაანადგურეს ყველა მათი მტრები ას ოცდაშვიდ სხვადასხვა ქვეყანაში, რომელიც არტაქსერქსეს მფლობელობაში იყო.

ებრაელთა დღესასწაულების კალენდარში აღნიშნულია არცთუ ისე ცოტა დღეები, რომლებიც დიდ ამბებს მოგვავაგონებენ, მაგრამ არც ერთს არ დღესასწაულობს მართლმორწმუნე ებრაელი ისეთი შმაგი სიხარულით, როგორც ამ სამახსოვრო დღეს. სადღესასწაულო ხორაგისაგან მაგიდები იმსხვერვეა, საჩუქრებს უგზავნიან ერთმანეთს, უხვ შენაწირს ურიგებენ ლატაკებს, აწყობენ წარმოდგენებს, თამაშობებსა და ცეკვებს. და, რაც მთავარია, მხიარული ხმაურით კითხულობენ წიგნს, რომელშიც მოთხრობილია ამ საოცარი გადარჩენის დღეზე — ესთერის წიგნს.

დღესასწაულების მოყვარული დონ იეჰუდაც დიდი სიამოვნებით პატივებდა თავის კასტილიოში სტუმრებს, რომ მათთან ერთად მოესმინა ესთერის წიგნის მხატვრული ამბებისათვის. იეჰუდას სურდა თავის სტუმრებთან ერთად ესვა და ექამა, თამაშებისათვის ეცქირა და ჰკვიანური და გიჟმაჟური ლაპარაკით დამტკბარიყო.

დღე, ის ზღაპრული ამბები, რომლის შესახებ ესთერის წიგნი მოგვითხრობს, სამყაროს გაჩენიდან დაახლოებით სამი ათას ოთხას წელს მომხდარიყო, ახლა ოთხი ათას ცხრაას ორმოცდამეათე წელია, მაგრამ წლიდან წლამდე ათი, ასი ათასობით ებრაელი მხიარულობდა და ზეიმობდა, როცა ამ მოთხრობას ისმენდა. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ცოტა ვინმეს თუ განუცდია იგი ესოდენ

ამაყი ზეიმით, როგორც ახლა დონ იეჰუდა განიცდიდა. მარდოხაის და ესთერის განსაცდელი და გამარჯვება მისი და რაკელის განსაცდელი და გამარჯვება იყო. ვის შეეძლო შინაგანად მასავით გაეგო ესთერის ვაჟკაცობა და სიკვდილის შიში, როცა იგი მეფესთან შედიოდა? ვის შეეძლო უკეთესად განცდა მარდოხაის ზეიმისა, როცა მისი მტერი ამანი აიძულეს მეფის ცხენით გაეყვანა მარდოხაი მოედანზე და გამოეცხადებინა: „ეს მოელის იმ ადამიანს, ვისი განდიდებაც მეფეს სურს“; ზოლო წიგნის დასასრულს, როცა მეფე მარდოხაის ბეჭდის მკველად ნიშნავს, იეჰუდამ ზეიმით შეიგრძნო საკუთარ გულზე საღერბო ბეჭედი და თვითკამყოფილებით გადახედა სამფრანკ ლტოლვილს, რომლებიც მოიწვია მან დღესასწაულზე თავის სახლში.

შემდეგ იეშევას მოწაფეებმა, იმ სკოლისა, სადაც ბიბლიასა და თალმუდს სწავლობდნენ, მათ შორის დონ ბენიამინ ბარ აბამაც, ამ საზეიმო დღის შესაფერისად, დაიწყეს თავიანთ მოძღვართა პაროდია და ერთმანეთს ოინბაზური შეკითხვებით არ ასვენებდნენ.

ახალგაზრდა დონ ბენიამინი ამტკიცებდა, რომ მარდოხაის და ესთერს, თავიანთი დიდი დამსახურების მიუხედავად, ბრალი მიუძღვით ორ ცოდვაში. ჯერ ერთი, მათ არ იცოდნენ შებრალება. — აღდგომის დღესასწაულზე, — თქვა მან, — სიხარულის თასიდან ათ წვეთ ღვინოს ვიღებთ ჩვენი მტრების ტანჯვის მოსაგონებლად. მარდოხაიმ და ესთერმა კი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩამოახრჩვეს ამანი და მისი ვაჟები და დიდი ზეიმით გაანადგურეს თავიანთი მტრები. — დანარჩენები გაცხოველებით შეეკამათნენ ბენიამინს. ამანი ეს ისეთი წყეული ბოროტმოქმედი იყო, რომ ყველაზე ღვთისმოსავი ადამიანიც გულით გაიხარებდა მისი და მისი ჯილაგის ძირფესვიანად აღმოფხვრის გამო. გადმოცემის მიხედვით, მარდოხაიმ ის ჯერ კიდევ აღრე გადაარჩინა სიკვდილს. ამანმა კი ეს სიკეთე საშინელი უმადურობით გადაუხადა. მისი ბოროტება იმდენად ჯოჯოხეთური იყო, რომ დედამიწის უცოდველი ხეები ღვთის ტახტის წინაშე ერთმანეთს ეცილებოდნენ, რომ პატივი რგებოდათ და ამანის სახარბოებლას საშენ მასალად ამოერჩიათ, მაგრამ არჩევანი შეხვდა იმ ხეს, რომლისგანაც გაკეთებული იქნა ნოეს კიდობანი; ეს ხე სამყაროს გაჩენის დღიდან ამისთვის იყო განკუთვნილი.

დონ იეჰუდა საკუთარ თავს ეკითხებოდა: იყო თუ არა იგი სასტიკი, დიახ, სასტიკი იყო და ამით ამაყობდა. სიამოვნებით შესწირავდა ყველა ოცდარორ გემს თავისი ფლოტილიიდან მხოლოდ იმი-სათვის, რომ ერთხელ თვალი მოეკრა, თუ როგორ იქანავებდა

მაღალი ხის ტოტზე ჩამოხრჩობილი არქიეპისკოპოსი. სიამოვნებით მისცემდა პროვანსსა და ფლანდრიაში არსებულ თავის წილ წარმოებას მხოლოდ იმისათვის, რომ დამტკბარიყო იმის ცქერით, თუ როგორ აწამებდნენ და ოთხში ამოიღებდნენ ბარონ დე კასტროს, რომელმაც მას ქუჭყიანი ძაღლი უწოდა. ასეც უნდა ფიქრობდეს, გრძნობდეს ადამიანი, თუ იგი არც წინასწარმეტყველია და არც მუხას მსგავსი ბრძენი. იეჰუდა არც ერთია და არც მეორე. არც სურს ასეთი იყოს.

ღონ ბენიამინმა ფიქრებიდან გამოიყვანა. იგი მარდოხაის მეორე ცოდვაზე ლაპარაკობდა. — ერთი შეხედეთ, რა ქედმაღლურად ზის იგი ცხენზე, რომელიც მიჰყავს ამანს სუზას ქუჩებში, — გაცხარებით წამოიყვირა ჰაბუკმა, — და რადგან მეფის ბრძანება ასეთი იყო, რატომ თვითონ არ დაემხო ამანის წინაშე? სახელმწიფოს კანონები თქვენი კანონებია, გვასწავლიან ბრძენნი და სწორედ მარდოხაის დაუმორჩილებლობის ამაყმა სურვილმა ებრაელებს თავს დაატეხა უბედურება. სწორედ ასეა ნათქვამი წიგნშიც. მარდოხაი კარგად იცნობდა ხალხს, იცნობდა ამანსაც. მას კარგად ესმოდა, მის დაუმორჩილებლობას რა მოჰყვებოდა, მაშ რატომ არ დასთმო სიამაყე და თავის ხალხს ამით არ ააცილა საშიშროება?

იეჰუდას ძლიერ გაუჭირდა აღშფოთება არ გამოხატოდა სახეზე. კარგად იცოდა, რომ მას ამპარტავნად თვლიდნენ. და განა სტუმრებთან ვინმეს გამოეპარებოდა ღონა რაკელის და მისი ბედის მსგავსება მარდოხაისა და ესთერის ბედთან. ექვს გარეშეა, მას მარდოხაის ამსგავსებდნენ. და მაშინ, როცა ღონ ბენიამინი მარდოხაის თავისი სიამაყის გამო კიცხავდა, იეჰუდას გულსატკენი ექვი აღუძრა. ის უზენაესის მიერ მოწოდებული იყო გაებედნიერებინა ტოლედოელი ებრაელები, მაგრამ იქნებ ისინიც რაბი ტობიას თვალე-ბით უცქერენ მას — სიძულვილითა და ზიზღით? მარდოხაის არავინ კიცხავდა იმის გამო, რომ მან თავისი შვილობილი სასახლეში ურჯულო მეფეს მიჰგვარა სარეცელზე, მაგრამ მარდოხაი უთვალავი საუკუნეების წინათ ცხოვრობდა შორეულ ქალაქ სუზაში. იეჰუდა კი ახლა ცხოვრობს, გალიანადან სულ რაღაც ორი მილის დაშორებით. ექვიანად შეჰყურებდა იგი სტუმრების გამომეტყველებას და ყველაზე მეტად ბენიამინს აკვირდებოდა. საერთოდ, არ უყვარდა ბენიამინი. ჰაბუკის ცივ ჩაფიქრებულ გამოხედვაში არ იყო ის მოკრძალები, რომელსაც მოითხოვდა იეჰუდა. იბნ ეზრა.

ო, არა, მის სტუმრებს არა ჰქონდათ არაკეთილმსურველი, მტრული აზრები. აი, როგორი სიცხარით უკუაგდეს ღონ ბენიამინის მოსაზრებები. ისინი მარდოხაის დაცვით იეჰუდას იცავდნენ. მან სია-

მოვნებით შენიშნა: ისინი არ ღვარძლიანობენ იეჰუდაზე, რომელიც მათი ბედნიერებისათვის ზრუნავდა.

და, მართლაც, მათ გამონახეს დამარწმუნებელი საბუთი მათი გულის რჩეულის — მარდოხაის გასამართლებლად. მარდოხაი ამაყი რომ ყოფილიყო, განა იგი დამალავდა, რომ დედოფალი — მისი დისშვილი და შვილობილია? და იგი, ამაყი კაცი, განა მათხოვაროვით, მშვიდად დაჭდებოდა მეფის კართან? მან ესთერიც თავმდაბლად გაზარდა. ესთერმა უდიდესი თავმდაბლობითა და არა მცდარი თვითკმაყოფილებით გამოიჩინა თავი, როცა მეფისაკენ მიმავალმა მძიმე გზა აიჩჩია. ეს გზა შეიძლებოდა მისთვის სიკვდილისაკენ მიმავალ გზად ქცეულიყო. ზეპირ თქმულებაში შემორჩენილია მისი ლოცვა: „შენ უწყი, უფალო, რომ მე მეფის სასახლის დიდმშვენიერება არასოდეს არ მხიბლავდა. ქეშმარიტად, არა. როგორც ეზიზღება ქალს ის ტანსაცმელი, რომელსაც უწმინდურობის დროს ატარებს, ასევე ზიზღსა მგერის სამეფო კაბები და ოქროს გვირგვინი. მას აქეთ, რაც მე აქა ვარ, შენს გარდა სხვა სიხარული არა მაქვს. ჰოი, უფალო ჩემო, დამონებულთა დამამშვიდებელო, დამეხმარე მწუხარებაში, დამეხმარე, რომ გულმოწყალე გავხადო წარმართთა მეფე, რომლის წინაშე ისე ვთრთი, ვით კრავი მგლის წინაშე“.

იეჰუდას უნდობლობა გაიფანტა. არა, ტოლედოელ ებრაელებს არ სურთ მისთვის ბოროტება. ისინი მასში მარდოხაის მსგავს კაცს ხედავენ, კაცს, რომელიც დიდია ებრაელთა შორის და განსხვავებულია თავის ძმათაგან, რომელსაც კეთილი სურს თავის ხალხისათვის და მთელი თავისი ტომის კეთილდღეობისათვის იღვწის.

— გული სიხარულით ხომ არ გევესება, ძვირფასო იეჰუდაე? — ჰკითხა მუსამ. — მარდოხაიდ ხომ არ წარმოიდგინე თავი? — ამას შენ ამბობ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად. — უპასუხა მას იეჰუდა.

ბედნიერი და დაღლილი წავიდა იგი დასაძინებლად.

მისი გონება სიზმარშიც არ ისვენებდა და როცა მეორე ღილით გაიღვიძა, წინა დღით მიღებული შთაბეჭდილებით და შეგრძნებით აღსავსეს, ამ გასაოცარ, მრავალმხრივ ადამიანს, მისი საქმისათვის მეტად სასარგებლო აზრი დაებადა.

ამანი წილისყრით ცდილობდა გაეგო, რომელ დღეს მოუხდენოდათ ებრაელებს ამოქლუტა, მაგრამ წილისყრამ უჩვენა დღე მათი გადარჩენისა და განდიდებისა — ფურამის დღე, რომელსაც ებრაელები ესთერის დღესასწაულს უწოდებდნენ. ხალხს უყვარს წილისყრა, ბედნიერების გამოწვევა, ჩადვენა, ვის წყალობს ღმერთი და ვის არა. რა იქნება, რომ იეჰუდამ გამოიყენოს ხალხის ეს მიდრეკი-

ლება? მეფის სახელით გამოაცხადებს დიდ თამაშს, დასდგამს ბილეთებით სავსე ბედნიერების უზარმაზარ ურნას და ყოველ მსურველს რაღაც უმნიშვნელო თანხის გაღებით უფლება ექნება სცადოს თავისი ბედი. რა თქმა უნდა, თვითეულის შეტანილი წვლილი დიდ თანხას ვერ შესძენს სამეფო ხაზინას, მაგრამ ასეთი დიდი ბრუნვა ვეებერთელა სარგებელს მოუტანს სახელმწიფოს.

იმავე დღეს იეჰუდა ჩაუჭდა კასტილიის ლატარიის გრანდიოზულ დაანგარიშებას.

მას შემდეგ, რაც სამეფო თათბირზე გამოიკრევა, რომ მოლაპარაკება არაგონთან რამდენიმე თვეს გაგრძელდებოდა, დონ ალფონსო ველარ ითმენდა, ტოლედოში დაბრუნებას ჩქარობდა. მაგრამ გრძნობდა, რომ დონა ლეონორი მიუხვდა ალფონსოს ბინძურ თამაშს. თუმცა დონა ლეონორს თავი ძველებურად ექირა, მაგრამ ალფონსოს კარგად ახსოვს და არასოდეს დაავიწყდება, როგორ მიიხალა დედოფალმა: მთელი საქრისტიანო სამყარო შეგარცხვენსო. მიუხედავად იმისა, რომ ალფონსო ლეონორის ნათელ შუბლზე გულახდილ ზიზღს ხედავდა, მაინც არა ჰქონდა სურვილი მას გაქცეოდა. და აი, ასე გაატარა გაწამებული დღეები ბურგოსში ალფონსომ. საშინლად ნაღვლობდა რაკელსა და გალიანაზე. მაგრამ წასვლას მაინც არ ჩქარობდა.

მესამე თვეს გადაწყვიტა, რომ მოვალეობას საკმაო მსხვერპლი შესწირა და გასამგზავრებლად მოემზადა.

მაგრამ მოულოდნელმა, მეტად სამწუხარო მდგომარეობამ შეაჩერა.

მართალი აღმოჩნდა, რასაც თავის დროზე დონა ლეონორი სწერდა: პატარა ინფანტი ენრიკე ავადმყოფობსო. შემდეგ ავადმყოფობა მოულოდნელად გაურთულდა, ექიმებმა თავიანთი უძლურება აღიარეს.

ალფონსო მწუხარებამ მოიცვა. ეს უბედურება ღმერთის მიერ მოვლენილ სასჯელად ჩათვალა, გაახსენდა — ერთხელ, როცა როდრიგოს გაღიზიანება მოინდომა, უთხრა: ღმერთი, ალბათ, კმაყოფილია ჩემით, რასაც არ უნდა მოვკიდო ხელი, ყველაფერი ღვთის წყალობით, კეთილად მთავრდებაო. როდრიგომ მაშინ უპასუხა: სასჯელი უფრო მძიმეა, როცა ცოდვილებს იმქვეყნად ეწევა და ღვთის წყალობად უნდა ჩაითვალოს, თუკი ღმერთი ცოდვიანს სიცოცხლეშივე სჯისო. თუ ეს წყალობაა, მეტისმეტად მკაცრი წყალობაა, თუმცა ალფონსომ დაიმსახურა ყოველგვარი სასჯელი. იგი პირმოთნობდა სამეფო თათბირებზე — სინამდვილედ აღიარა ებრაელის ეშმაკური, მცდარი საბუთები და ლაჩრულად აიცილია თავის

წმიდა მოვალეობა. რაკი ღმერთმა მისი მემკვიდრე გაიმეტა, ესე იგი, მან საშინელი ცოდვა ჩაიდინა.

ცრურწმენით შეპყრობილი დონა ლეონორიც საყვედურობდა თავის თავს. მაშინ ინფანტის შეუძლოდ ყოფნა ნამდვილ ავადმყოფობად ჩასთვალა მხოლოდ იმიტომ, რომ ალფონსო მოეშორებინა ებრაელისათვის და ბურგოსში ჩამოეყვანა, ახლა კი წინასწარ განკვეტილი შურისძიება მის ანგარებით შეთხზულ ტყუილს სიმართლედ აქცევს. უღონო მწუხარებით იჭდა იგი სიცხისაგან ცეცხლოდებულ, სუნთქვაშეკრულ ბავშვთან.

ბურგოსელ ექიმთა დასახმარებლად ტოლედოდან ჩამოვიდა ბრძენი მუსა იბნ დაუდი.

დონ იეპუდას შეეშინდა, როცა ბავშვის ავადმყოფობა შეიტყო. თუ რაიმე მოუვიდოდა ინფანტს, დონა ლეონორი უსათუოდ მიაღწევდა პრინცესა ბერენგარიას დონ პედროსთან შეუღლებას. მაშინ ვერავითარი ფანდიანი ჩანაფიქრი ვერ შეუშლიდა ხელს ხელშეკრულების დადებას, ესე იგი — ომს. დონ იეპუდამ უმალ შეუკვეთა ალჰამას პარაკლისი ინფანტის გასაჯანმრთელებლად; ტოლედოელი ებრაელები გულით ლოცულობდნენ, რადგან კარგად ესმოდათ, თუ რას ნიშნავდა ინფანტის გამოჯანმრთელება მათთვის. ამავე დროს იეპუდამ მუსას სთხოვა გამგზავრებულიყო ბურგოსში. მოხუცმა ექიმმა ჯერ უარი განაცხადა. უნდოდა დალოდებოდა, ვიდრე თვითონ შეფე არ უხმობდა, მაგრამ იეპუდამ აიძულა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო.

და აი, ისიც ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ალფონსოს ეჯავრებოდა მოხუცი კიორტა, მუსას დანახვებზე შევებით ამოისუნთქა. გახარებულმა შეატყობინა დონა ლეონორს მთელ ნახევარკუნძულზე საუკეთესო ექიმის მუსა იბნ დაუდი ეზრას ჩამოსვლა: ის უღაოდ გადაარჩენსო ბიჭს.

მაგრამ აჟამდის ნათელი, მშვიდი დონა ლეონორის სახე საშინლად მოიღრია და გულში ჩამარხულმა მძულვარებამ იფეთქა.

— შენ ებრაელთან ერთად განა ცოტა უბედურება ჩაიდინე? ახლა ჩემი შვილი დაგჭირდათ?—ეცა იგი ალფონსოს და მისი ჩვეულებრივი მელოდიური ხმა უცბად წივანა და უსიამოვნო ვახდა—იგი თავის მშობლიურ ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა. მამამისის საყვარელი ფიცი გაიხსენა.—გამჩენსა ვფიცავ, საკუთარი ხელებით მოვკლავ ამ კაცს, ვიდრე ჩემ შვილთან მივეშვებ!

ალფონსო შედრკა. ეს სულ სხვა ლეონორი იყო, ის კი არა, რომელსაც თხუთმეტი წლის განმავლობაში იცნობდა. არც ის, სამეფო თათბირზე მას რომ ესოდენ სასტიკი შეურაცხყოფა მიაყენა, მაშინ

ლეონორი შეეცადა თავი შეეკავებინა; ახლა პირველად აჰყვა იმ გრძნობებს, რომელიც მის მშობლებს ყველაზე საშინელი საქციელის ჩადენას უბიძგებდა. ყოველივე ამაში ალფონსო იყო დამნაშავე. კეთილშობილი ბანოვანი და დედოფალი შმაგ ბრაზიან ქალად აქცია.

ინფანტი ენრიკე საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

გაქვავებული დონა ლეონორი განმარტოვებით იჯდა. მაგრამ აუწყურელ უსაზღვრო მწუხარებაში გზას იკვლევდა ველური და მწარეში ნალესი სასიხარულო რწმენა, რომ სწორედ ამ დიდმა დანაჯარგმა მიიყვანა იგი მიზანთან. ინფანტის სიკვდილის შემდეგ კასტილიის ტახტის კანონიერი მემკვიდრე კვლავ ბერენგარია ხდებოდა, ბერენგარიას ქორწინება დონ პედროსთან მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე მოვალეობად იქცა. ახლა ვერავითარი ებრაელი და თვით სატანა ვერ შეუშლიდა ხელს ომს. დონ ალფონსო იძულებული გახდებოდა მიიღოს მონაწილეობა ლაშქრობაში და თავის ებრაელ ქალს დასცილდეს. მაგრამ იმ დროს, როცა ლეონორი მწარედ დასცინოდა თავის თავს და ანგარიშობდა სარგებელს, რომელიც ესოდენ საშინელ ფასად დაუჯდა, უცებ თვალწინ წარმოუდგა აბჯარასხმული. საომრად გამზადებული ალფონსო, რომელიც ცხენიდან ლეონორისკენ იხრება მხიარული, საკუთარ თავში რაინდულად დარწმუნებული. მთელი ამ თვეების განმავლობაში იგი არაფერს არ განიცდიდა. გარდა ერთისა — როგორმე დაესაჯა იგი, — ახლა კი მისდამი სიყვარულმა ძველებურად შეიპყრო ლეონორი.

ალფონსო თვითონაც შეძრწუნებული იყო. იგი იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. სახე გაფითრებოდა, თმები გაბურქნოდა. სასტიკი მონანიება ტანჯავდა. რისთვის ცბიერობდა საკუთარი თავის წინ და თავს ირწმუნებდა, რომ იგი შესძლებდა რაკელის გაქრისტიანებას? მან ხომ კარგად იცოდა თავიდანვე, რომ ეს შეუძლებელი იყო. ეს ქალი აედევნა მას, როგორც სნეულემა, ეს იცოდა მან, მაგრამ არ უნდოდა ამის გაგება. ყველაფერზე თვალებს ხუჭავდა და ხშირად თავს იბრმავებდა. ახლა ღმერთმა უღმობელი სინათლით თვალები აუხილა.

იმ ღამეს, როცა პატარა ინფანტი სასახლის კაპელაში ბაღდახინზე იწვა, ირგვლივ საკმეველი იკმეოდა, სანთლები იწვოდა და მღვდელმსახურების ლოცვები ზუზუნით გაისმოდა, ალფონსო და ლეონორი გულახდილად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ალფონსომ პირდაპირ ჰკითხა ლეონორს, რამდენი დრო დასჭირდებოდა ბერენგარიასა და დონ პედროს ჯვრისწერას. ლეონორმა უპასუხა, — ხელშეკრულებაზე რამდენიმე კვირის შემდეგ შეიძლება ხელის მოწე-

რაო. — ესე იგი ორი თვის შემდეგ შემიძლია ლაშქრობაში მონაწილეობა მივიღო, — თქვა ალფონსო. — ასეც სჯობია, — აღმოხდა მას.

მწუხარე, მორჩილი, ღირსებით სავსე იჭდა დონა ლეონორი. იგი იმაზე ფიქრობდა, თუ რაოდენ დიდი უბედურების ატანა მოუხდათ ორივეს, ვიდრე ალფონსო ამ წუმბედან ამოსვლას შეძლებდა. გონებაში გაუელვეს დედის სიტყვებმა, რომლებიც პატიმრობაში მყოფმა წმიდა მამას მისწერა: „ღმერთისაგან შერისხული ინგლისის დედოფალი“. ლეონორი ალფონსოსთან თუმც გულცივად, მაგრამ გონივრულად საუბრობდა, გულში მოსვენებას არ აძლევდა სიტყვები: „In ira dei regina Castiliae“.

ლეონორმა თავისი ჩვეულებრივი წკრიალა ხმით, ვითომდა სხვათაშორის, უთხრა ალფონსოს: ვიდრე ლაშქრობაში წახვალ, არ იქნებოდა ურიგო, რომ ყოველგვარი სისაძაგლისაგან განწმენდილიყავი. ალფონსო სწრაფად მიხვდა ყველაფერს. მას ახლა ცეცხლს უკიდებდა იმის მოგონება, თუ როგორ დაამცირა დონა ლეონორმა ალფონსო სხვების წინაშე, როგორ ვერ შეიკავა თავი ორი დღის წინათ დედოფალმა და ალფონსოსადმი მძულვარება ლანძღვა-გინებით, წყევლა-კრულვით გამოხატა. მაგრამ ახლა სახე დაწყნარებული ჰქონდა, ხმა მშვიდი და თითქოს თანაუგრძობდა ალფონსოს. მის წინაშე იყო არა მრისხანე, არა დამსჯელი, არამედ მოსიყვარულე ქალი.

— თავიდან მოვიშორებ იმ ქალს! — მგზნებარედ შეპირდა ალფონსო.

გალიანას კარებში რომ შევიდა და მასზე ამოკვეთილ მისალმებას კითხულობდა: „ალაფია — მშვიდობა მომსვლელს“, — თვალი რომ შეავლო მეზუზას, რომლის მინაც მან ჩაამსხვრია, მეფე ნიშნის-მოგებით, წინასწარ ტკბებოდა შთაბეჭდილებით, რომელსაც მისი სიტყვები მოახდენდა: „ომში მივდივარ, ჩვენ ვცილდებით, ასე ინება ღმერთმა“. ეტყვის თუ არა ამას რაკელს, იმ წუთშივე ტოლედოში დაბრუნდება.

მაგრამ აი, რაკელი წარსდგა მის წინაშე. მისი მონაცრისფროცისფერი თვალები ციმციმებდა. მთელი სახე უბრწყინავდა და ალფონსოს გადაწყვეტილებამ ძალა დაჰკარგა, მართალია, იგი ლამობდა დაპირება არ დაევიწყნა. იგი შეასრულებს კიდევ ამას, ალფონსო ეტყვის რაკელს, რომ უნდა დასცილდნენ ერთმანეთს. მაგრამ ახლა არა, დღეს არა.

ალფონსომ ქალს ხელი მოხვია, მასთან ერთად ისადილა, ილაყბა.



ბაღში გაისეირნეს. ეს ქალი სულ სხვა იყო, ვიდრე მას ჰყავდა წარმოდგენილი, ბევრად მშვენიერი და როგორ იფიქრა, რომ რაკელში რაღაც ეშმაკისეული იყო?

ბინდი ჩამოწვა, დავიწყებას მიეცა ინფანტის სიკვდილიც, წმიდა ომიც. დაღამდა და ეს იყო ნამდვილად ნეტარი დამე.

ღილით ერთად ისაუბრეს, როგორც ყოველთვის, მაგრამ საუბრისას ალფონსო დუმდა. იგი გრძნობდა, რომ საჭირო იყო ყველაფრის თქმა, რომ ყოველი წუთით დაყოვნება უაზროა და დანაშაული.

რაკელი თამამად ტიქტიკებდა, უყვებოდა ალფონსოს ამ ხნის განმავლობაში მომხდარ ამბებზე. ძია მუსა ერთთავად ბურგოსის ნაგებობათა აღწერითაა გართული. მუსამ თქვა მუსლიმანური ქალაქები და სახლები სასიამოვნოა, მაგრამ არ შემიძლია უარყვო ცათამდე აზიდული ქრისტიანული ციხე-კოშკებისა და ქალაქების თავისებური სისადავე. მათში, რა თქმა უნდა, სიდიადე იგრძნობაო.

ალფონსოს ისიც აღიზიანებდა, რაზედაც რაკელი საუბრობდა და ისიც, თუ როგორ ჰყვებოდა ამას რაკელი. თავისი თხრობით იგი ალფონსოს აგონებდა ბურგოსს, ბავშვის ავადმყოფობასა და დონა ლეონორის გაშმაგებულ აფეთქებას. ალფონსომ მათი პირველი საუბარი მოიგონა, როცა რაკელმა ცუდად მოიხსენია ბურგოსის სასახლე. და უეცრად, მსგავსად იმ წუთებისა, როცა გალიანას უახლოვდებოდა, ბოროტმა განწყობამ მოიცვა. — როგორც ჩანს, არცთუ ისე სულელია შენი ბიძა, — უხეშად უთხრა გაბრაზებულმა ალფონსომ. — მუსლიმანური ფუფუნება მალე ბეზრდება კაცს, მეც მომბეზრდა გალიანა. აი, რამდენიმე კვირის შემდეგ ლაშქრობას დავიწყებ. გალიანაში კი აღარასოდეს აღარ დაებრუნდები.

რაკელმა ალფონსოს ისე შეხედა, თითქოს ვერ გაიგო, რისი თქმა უნდოდა. შემდეგ კი გრძნობადაკარგული დაეცა. მოულოდნელობისაგან გაოგნებული ალფონსო ადგილზევე გაშეშდა. იგი მოემზადა უკუეგდო რაკელის ურვა და მკაცრი სიტყვებით დაერწმუნებინა, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ახლა იგი თავს რაინდად კი არა, უხეშ ადამიანად გრძნობდა. ალფონსოს ხშირად უნახავს, როგორ კვდებოდნენ მის თვალწინ მისი მეომრები და მათთვის „მამაო ჩვენოს“ წაითხვის შემდეგ მტერთან შებმას აგრძელებდა. ახლა კი ამ უგრძობლად მყოფი ქალის წინაშე დაბნეული იდგა. ხელში აიყვანა, ფაქიზად ჩაიხუტა მკერდში, შუბლი წყლით გაუვარიალა.

ასე ეგონა საუკუნემ გაიარაო, ვიდრე რაკელი თვარებს გაახელდა. ჭერ ვერ გამოერკვა, რა მოხდა მის თავს. შემდეგ გონს მოსულმა ალფონსოს უთხრა: — მამატიე ჩემი სისუსტე. მე ხომ ვიცოდი,

რომ ეს სამუდამო არ იყო. ვიცი, რაც მოხდა ბურგოსში, ყველაფერი გადია სააღმა მითხრა. ეს უნდა მცოდნოდა და შენთან ბურგოსის შესახებ არ უნდა დამეწყყო საუბარი. მაპატიე, მუხლი რომ მომეკვეთა, მაგრამ ახლა უფრო მგრძნობიარე გავხდი, რადგან ფეხმძიმედ ვარ.

ალფონსო რაკელს მიაშტერდა. დაბნეულობისაგან პირი დააღო. შემდეგ გადაიხარხარა მქუხარე, გამაბრუებელი, ბედნიერი სიცოლით. — ეს ხომ დიდებულია! — წამოიყვირა მან. — ჭეშმარიტად ბედნიერების შვილი ვარ. — ცეკვით მიმორბოდა ალფონსო ოთახში, შემდეგ რაკელს ხელი სტაცა, მკერდში ჩაიკრა. — კიდევ კარგი, საბრალოვ, რომ აბჯარი არ მაცვია, — თქვა მან, — თორემ შენ საცოდავ მკერდს ჭრილობებით დაგისერავდი.

გუნებაში კი გაიფიქრა: „ასეთ მომაჯადოებელ ქალს ვუყვიროდი, როგორც გაუთლელი ბრიყვი გლეხი, როცა ვამბობდი, ხომ ვიცოდი, რომ ვტყუოდი. განა შეიძლება ამ ქალის მიტოვება!“

თითქმის იგივე გაიმეორა ხმამაღლა, შემდეგ ისევ მკერდში ეკრავდა, არწმუნებდა და საუბრისას კასტილიურ და არაბულ ენებს ერთმანეთში ურევდა. თავს მხურვალედ იდანაშაულებდა და რაღაც გაუგებარ, მაგრამ სასიყვარულო სულელურ სიტყვებს ბურტყუნებდა.

ალფონსო ფიქრობდა: „ჭეშმარიტად ღმერთის უსაყვარლესი შვილი ვარ. იგი მეთამაშება, როგორც მამა თავის უმცროს ვაჟს. მაღიზიანებს მოჩვენებითი სიბრაზით, რომ შემდეგ გულუხვად დამასაჩუქროს. აი, თუნდაც მაშინ, თავს მომახვია სულელური ომი და გული გაუმაგრა ბიძას ალფონსო-რაიმუნდესს. მან წამართვა პატარა ენრიკე, ახლა კი ვაჟიშვილით მასაჩუქრებს ყველაზე საყვარელი ქალისაგან. მე ეს სასჯელად ჩავთვალე, ნამდვილად კი წყალობა ყოფილა“.

თავი ძლივს შეიკავა, რომ ეს რაკელისათვის არ ეთქვა. ასეთი სასიხარულო-საამაყო აზრები შეიძლება ჰქონდეს მეფეს, მაგრამ მათი ხმამაღლა გამოთქმის უფლება თვით მეფესაც არა აქვს.

ალფონსოს დონა ლეონორისადმი აღთქმული დანაპირი გაახსენდა, მას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. რაკელმა მას ვაჟიშვილი უნდა გაუჩინოს, ე. ი. ღმერთმა ალფონსოს ყველაფერი აპატია და უწონებს კიდევ საქციელს. იგი ფიქრობდა: „მეფე ვალდებულია ყურე უგდოს მხოლოდ და მხოლოდ თავის შინაგან ხმას. ღმერთს არ სურს, რომ მე ახლა ლაშქრობაში მივიღო მონაწილეობა. შინაგანი ხმა არ შატყუებს. არ მივიღებ მონაწილეობას ჯვაროსნულ ლაშქრობაში. დავიცდი განსაზღვრულ დრომდე, ვიდრე უფალი არ მიბრძანებს“.

ალფონსო ფიქრობდა: „ეს მივატოვო! უმჯობესია ათასი სიკვდილის ატანა!“ ალფონსო უსაზღვროდ ბედნიერი იყო და უსაზღვროდ ბედნიერი იყო რაკელი.

და გალიანაში ცხოვრება ძველებურად წარიმართა.

საგანგებო დესპანმა კარდინალმა გრეგორ სანტ ანჯელოელმა გადასცა მეფეს წმიდა მამის ხელით დაწერილი უსტარი. პაპი ჩქარობდა გაეხსენებინა თავისი საყვარელი შვილისათვის, კასტილიის მეფისათვის, ლატერანიის ტაძრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ქრისტიან მეფეებს ეკრძალებოდათ ებრაელთათვის ძალაუფლების მიცემა. იგი მამობრივი სიმკაცრით ითხოვდა, რომ ბოლოს და ბოლოს ალფონსომ თანამდებობიდან გადააყენოს ეს ყბადაღებული იბნ ეზრა, სატანა ებრაელი მინისტრების ოინებითა და გაიძვერობით რომ არ სარგებლობდეს, ასე სწერდა პაპი, მაშინ არ გაჩაღდებოდა უთანხმოება უაგვუსტესი ესპანელი მონარქებს შორის და ისინი დიდი ხნის წინათ იქნებოდნენ ერსულოვანნიო.

ალფონსოს ეკვი შეეპარა, რომ ბარათი დონა ლეონორის ან არქიეპისკოპოსის მეშვეობით იყო შედგენილი. ალფონსო იმდენად გრძობდა თავის დამოუკიდებლობასა და უპირატესობას, რომ არც გაბრაზებულა. მასში შინაგანი ხმა ხელმძღვანელობდა, რომელიც უბრძანებდა: „არ განდევნო ებრაელი, ყოველ შემთხვევაში ახლა არა, შემდეგ, როდისმე“.

ალფონსომ მოკრძალებითა და მოწიწებით უბასუხა კარდინალს, რომ მისთვის მეტად მძიმეა, ამდენი წლის განმავლობაში სარგებლობდეს იმ მრჩევლების მომსახურებით, რომელიც არ ეჭაშნიკება წმიდა მამას. მაგრამ იბნ ეზრას დახმარებით იგი შეძლებს მუსლიმანთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მომზადებას. როგორც კი გაიმარჯვებს და, მაშასადამე, აღარ იქნება საჭირო გამპკრიახი ებრაელის რჩევა-დარიგება, ალფონსო, როგორც ეს ერთგულ შვილს ეკადრება, აღარ დააყოვნებს წმიდა მამის სურვილის აღსრულებას.

საყოველთაოდ ცნობილმა ოქროპირმა, კარდინალმა გრეგორმა, ტაძარში იქადაგა. მრავალი საუკუნის წინათ, თქვა მან, სხვა ქრისტიანებზე დიდი ხნით ადრე იბერიის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებმა მახვილი აღმართეს მუსლიმანებზე. მაგრამ სატანამ დათესა უთანხმოება მონარქებს შორის ისე, რომ მათ მახვილი მთელი ქრისტიანობის მტრის წინააღმდეგ კი არა, ერთმანეთის წინააღმდეგ აღმართეს. ახლა კი ყოვლისშემძლემ მათი გულები აღაგზნო და მთელი ესპანეთი მზადაა ჩაუქრობელი ცეცხლით კვლავ გაიხსენოს ურჯუ-

ლოების საწინააღმდეგოდ ოდითგანვე დაწყებული ბრძოლა, ასეთია ღვთის ნება!

პატარა ინფანტის სიკვდილის შემდეგ კასტილიელები მხოლოდ იმაზე ოცნებობდნენ, რაც შეიძლება მალე დაწყებულიყო დიდი-ხნის ნანატრი ომი და ამიტომაც კარდინალის ქადაგებამ ძვალსა და რბილში გაუარა მათ. ყველგან მყოფი, სამქვეყნო ჭირ-ვარამზე მალლა მდგომი ეკლესია, ბავშვობიდანვე უნერგავდა მათ, რომ მიწიერი არსებობა წარმავალია; მარადიულ ნეტარებასთან სიახლოვის შეგრძნების გამო, ახლა აქაურმა სამყარომ დაკარგა ფასი მათთვის, რადგან ყველა, ვინც ომში მონაწილეობს, ცოდვებისაგან განიწმინდება; იგი შინ ან უბიწო ბავშვივით ბრუნდება, ხოლო თუ დატყვევება, ან სიკვდილი უწერია, მას ქეშმარიტი ჯილდო ელის ზეცაში. ისინიც, ვინც მოესწრო უკანასკნელი ბედნიერი წლების განმავლობაში დოვლათის და სიმშვიდის სიტკბო ეგემა, არ ნაღვლობდნენ დაეკარგათ ეს კეთილდღეობა, პირიქით, ცდილობდნენ, როგორმე შეელამაზებინათ გარდუვალი, ოცნებობდნენ დიდ სიხარულზე, რომელიც სამოთხეში ელოდათ.

მამაკაცები, რომლებსაც შეეძლოთ იარაღის ტარება, იჩქაროდნენ საკუთრების თავიდან მოშორებას; წვრილმანი მამულები, სახელოსნოები და ამის მსგავსი ქონების შექმნა ძლიერ ადვილი გახდა. სამაგიეროდ ფასმა აიწია ყველაფერზე, რაც ომისათვის იყო საჭირო: საჭურვლის ხელოსნები, ტყავითა და ავგაროზით მოვაჭრენი თავს ვერ ართმევდნენ მოზღვავებულ დაკვეთებს, მებაღე ბელარდომ დიდი ხნის შენახული პაპის კოლეტი და მუზარადი ამოიღო და ტყავს გულდაგულ წაუსვა ცხიმი.

არქიეპისკოპოსი დონ მარტინი გამოცოცხლდა, როცა იგრძნო, რომ ომი სინამდვილეში კარს იყო მომდგარი. ახლა სულიერ მამას სამოსის ქვემოდან თითქმის ყოველთვის მოუჩანდა მეომრის აბჯარი. ალფონსოსა და გალიანას მიმართ რისხვაც კი დაავიწყდა და აღიდებდა ღმერთს, რომელმაც თავისი ყოვლისშემძლე ხელით ცოდვილი რაინდი კეთილსაიმედო გზას დაუბრუნა.

დონ მარტინმა დაინახა, რომ მისი როდრიგო მაინცდამაინც არ ინაწილებდა ამ საერთო ალფრთოვანებას და ალერსიანად დაუწყო შეგონება. კანონიკი გამოუტყდა, რომ ღვთისმოსაურ ღინისძიებათაგან დაკავშირებული სიხარული მას ისე მიაჩნდა, როგორც ღვინის თასში გარეული ერთი წვეთი სისხლი; გონებიდან არ შორდებოდა ფიქრი იმ დიდ მსხვერპლზე, რომელსაც ომი მოითხოვდა ნახევარკუთხლისაგანაც. ღმერთმა იმისთვის გააჩინა ადამიანი, შეეპასუხა დონ მარტინი, რომ მონაწილეობა მიიღოს ხელჩართულ ბრძო-

ლასა და ომებში. — თუმცა ღმერთმა უწყალობა ადამიანს ცხოველებზე მეუფება, — დაასრულა მან, — მაგრამ უფლის ნებასურვილით ჯერ მათ უნდა მოეპოვებინათ ეს ძალაუფლება. ხომ არ გგონია, რომ გარეული ხარი ყოველგვარი ბრძოლის გარეშე შეებმება გუთანში? უდავოა, რომ გამჩენი წყალობს მხოლოდ იმ რაინდს, რომელიც ხარს ჯობნის. გულახდილად გამოგიტყდები, კეშმარიტებათა შორის, მაცხოვრის გამონათქვამებიდან, ჩემთვის ყველაზე ძვირფასია ის, რომელსაც მათე გადმოგცემს: „ნუ ჰგონებთ ვითარმედ მოვედ მე მოფენად მშვიდობისა ქუეყანასა ზედა, არა მოვედ მოფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“. — მან გაიმეორა ეს ლექსი დედნიდან. — *Allà màchairan!* — ზეიმით ამოიძახა და სახარების ბერძნული სიტყვები გაისმა ბევრად უფრო მკაფიოდ და გულადად, ვიდრე ჩვეული, ლათინური: *sed gladium*.

მახვილის ასე საჭაროდ გახსენებამ როდრიგოს გული გაუგმირა. იგი კიდევ უფრო დაამწუხრა იმ ამბავმა, რომ ესოდენ განსწავლულმა არქიეპისკოპოსმა ბერძნული დედნიდან მხოლოდ და მხოლოდ ეს სიტყვები დაიმახსოვრა. მისთვის ძნელი როდი იყო ბიბლიის ამ ერთადერთი გამოთქმისათვის, რომელიც ომს აღიღებდა, უამრავი სხვა სათნოებისა და მშვიდობის მადიდებელი სიტყვები დაეპირისპირებინა. მაგრამ ღმერთმა არქიეპისკოპოსის მკერდი რკინის ჯავშნით შემოსა. ასე რომ, იგი მხოლოდ იმას შეისმენდა, რისი გავონებაც უნდოდა. კანონიკი გულმოკლული დუმდა.

ღონ მარტინი კი განაგრძობდა: — როცა გაზაფხული დადგება, მეფეები ლაშქრობას იწყებენ. ასე წერია სამუილის მეორე წიგნში, იქ ასეა დაკანონებული. წაიკითხე ეს ადგილი, საყვარელო ძმაო! წაიკითხე აგრეთვე მბრძანებელთა ომების შესახებ მსაჯულთა და მეფეთა წიგნში. ნუ მიყურებ ასე საცოდავად. უმჯობესია წაიკითხო, ომი როგორ აერთიანებს ყველა მორწმუნე სახელმწიფოებს და როგორ ანადგურებს ურჯულოებს. ღვთისმომში იუდეველები, მამაცური შეძახილებით იჭრებოდნენ ბრძოლაში და ამარცხებდნენ მტერს. მათ ჰქონდათ საკუთარი საბრძოლო შეძახილი: ჰედად. მე იგი შენგან გავიგე. ჰედად — როგორ უღერს და რა კარგია! მაგრამ არც ჩვენი *deus vult* — ასე სურს უფალს — არის ცუდი, იგი გვეხმარება მტრის განადგურებაში. შენც შეუერთდი სხვებს, საყვარელო ძმაო! თავიდან მოიშორე სასოწარკვეთილება, მკმუნვარება და გულით გამხიარულობ!

რადგან კანონიკი ჯიუტად განაგრძობდა თავის მწუხარე დუმილს, არქიეპისკოპოსმა საიღუმლოდ დასძინა. — ნუ გავიწყდება, ომი ჩვენ სხვა სიკეთესაც მოგვითმის, — იგი საბოლოოდ შეწყვეტს

ჩენი გულითადი აღფონსოს მშვიდობიან უშინაარსო ცხოვრებას და ამოათრევს მას ამ მყარალი ქაობიდან.

მაგრამ როდრიგო როდი ხედავდა ყველაფერ ამას ნაირფერებში ისე, როგორც არქიეპისკოპოსი. სადღაც გულის სიღრმეში მოსვენებას არ აძლევდა ეჭვი, რომ ბავშვის სიკვდილს ნამდვილად არ გამოუღვიძებია აღფონსო ცოდვიანი ძილისაგან და მალული შიში ეპარებოდა, რომ იგი კვლავაც არ მოიშლიდა ცოდვასა და მოვალეობას შორის მერყეობას.

თავს მოერია და მკაცრად შეუდგა თავის სულიერი შვილის შეგონებას.—შენ, შვილო ჩემო და მეფეო, ლაშქრობაში მიემგზავრები, მაგრამ ერთი რამ გახსოვდეს, — გააფრთხილა მან, — საკმარისია როდია მარტო მახვილის ტრიალი, ცოდვების მოტევება ომშიაც შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გულწრფელად და არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმიანაც მოინანიებ. მომისმინე, შვილო ჩემო, აღფონსო, თავი ანებე ტყუილს, იკმარე, რაც აქამდის ატყუებდი საკუთარ თავს, მე და მთელ ხალხს. თვით კარგად იცი, ჩვენ არ გვიწერია ამ ქალის სულის ხსნა. შენი მოსიყვარულე ბაგეებით წარმოთქმული დიდი ხნის ლოცვა-ვედრებამ ვერ შეძლო მისი გულის აღელვება, უფრო მეტიც: არც ჩემს სიტყვებს მისცა გამჩენმა საკმაო დამაჯერებელი ძალა. შენ მაგ ქალთან ცხოვრების უფლება არა გაქვს. ამოიგლიჯე გულიდან ცოდვა, ცოდვილიანი ნუ წახვალ ომში. ღმერთმა შვილი მოგიკლა ისევე, როგორც ფარაონს, როცა მან უარი განაცხადა ცოდვებიდან განწმენდაზე. განშორდი ამ ქალს, ახლავე, დაუყოვნებლივ.

აღფონსო ყურს უგდებდა. იგი ისე მსუბუქად გრძნობდა თავს, თითქოს ცაში ფრენდა, ნავარდობდა, ბოროტ სიტყვებს აღარ შეეძლო მისი განსახიერება.—სათქმელი მაქვს შენთან, მამაო და ჩემო მეგობარო,—თითქმის მხიარულად უბასუხა აღფონსომ.—ეს ადრევეც უნდა მეთქვა შენთვის. რაკელი ფეხმძიმედაა. — აღფონსომ შეიცადა, სანამ კანონიკი შეიგრძნობდა მის მიერ ნათქვამ სიტყვებს, შემდეგ მხიარულად და მიმნდობლად განაგრძო: — დიახ, ღმერთმა ისევ დამლოცა. მართალია დღემდე ვერ შევძელი რაკელის სულის ხსნა, მაგრამ ეს კვლავ სასიკეთო ფანდი იყო, რომ შემოვლითი გზებით მიმეღწია მიზნისათვის. არა, მე არა მარტო ერთ სულს ვაჩუქებ ქრისტიანებს, — ზეიმიტ წამოიძახა აღფონსომ, — რაკელისაგან შვილი მეყოლება, შეგიძლია მენდო, რომ როცა ბავშვს მოვნათლავ, დედა არ დააყოვნებს საკუთარი თავის მონათვლას. დიდად ბედნიერი ვარ, მამაო და ჩემო მეგობარო დონ როდრიგო.

კანონიკს თავზარი დაეცა. იმ დროს, რაც იგი თავს ძალას ატანდა.

და მკაცრად ტუქსავდა თავის საყვარელ სულიერ შვილს, ალფონსოს უკვე უხილავს სინათლე. „ჩემი მოსაზრება თქვენთვის მიუწევდომელია, მიუწევდომელია ჩემი გზებიც“, — თქვა უფალმა; და ალფონსომ ეს სიტყვები დონ როდრიგოზე უკეთ გაიგო.

— შენ ახლა აღარ მომთხოვ მასთან განშორებას, — უთხრა სხვათაშორის, მეფემ. ალფონსო იცინოდა, მთელი სახე უბრწყინავდა. — დე, ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ვიდრე ლაშქრობაში არ წავალ, — შემპარავად სთხოვა მან. — ნუთუ შენ მოისურვებ, რომ მე ჩემი შვილის დედა დავითხოვო? ღმერთმა არა ერთი დანაშაული მაპატიო და რაკი მე ღვთის სახელით საომრად წავალ, იგი თვალს აარიდებს ამ ამბავს, რომ ადვილად არ გავიმეტე ეს მომხიბვლელი ქალი.

შემდეგ როდრიგო საყვედურობდა საკუთარ თავს თანხმობის მიცემის გამო, მაგრამ მას კარგად ესმოდა ალფონსოს მდგომარეობა! ალფონსოს რაკელი უყვარდა. წარმართთა შორის ყველაზე უფრო ღვთისმოსავი ქრისტიანობასთან ახლო მყოფი ვირგილიუსი, ტყუილ-უბრალოდ როდი უმღერდა სიყვარულის მაგიურ ძალას, იმას, თუ როგორ აჯადოებს და ხიბლავს სიყვარული გრძნობასა და სულს, როგორ ართმევს თავისუფლებას და არაადამიანური ძალით იმორჩილებს ადამიანს. დონა რაკელი ღირსია სიყვარულისა, იგი მშვენიერია; მართალია ხალხი, რომელმაც მას ფერმოზა შეარქვა. მისმა სილამაზემ როდრიგოც მოხიბლა და არა მარტო მოხიბლა, მასში უცნაური მოკრძალებული გრძნობები გააღვიძა. მას არც უფიქრია მეფის გამართლება თავისი საკუთარი თავის წინაშეც კი, მაგრამ, იქნებ, ღმერთმა თვით მოავლინა ეს ქალი ამ კაცის გზაზე, რათა უფრო ძლიერი ყოფილიყო ცთუნება და გასხივოსნებული ზეიმი.

როცა ალფონსო იგონებდა თავის საუბარს სულიერ მოძღვართან, სირცხვილსა და მონანიებას განიცდიდა. სწორედ იმ დროს, როცა მღვდელმსახური მამობრივი სიყვარულისა და დიდი მეგობრობის გამო ატყუებდა, ალფონსო შეეცადა ეჯობნა მისთვის ტყუილში. თავი ისე ექირა, თითქოს ომი კარს იყო მომდგარი და დარჩენილ სულ რაღაც უმნიშვნელო დროის განმავლობაში თავს ნება მისცა, ახალ ცოდვაში ჩაედგა ფეხი. სინამდვილეში კარგად იცოდა, ომი არცთუ ისე ჩქარა იყო მოსალოდნელი. თვითონაც აფერხებდა მის დაწყებას.

იგივე სამეურნეო სადავო საკითხები, რომლებიც ხელშეკრულების დადებას აყოვნებდა, ახლა ინფანტ ბერენგარიას მზითვევზე მოლაპარაკებასაც აფერხებდა. ამით, რა თქმა უნდა, ხელი

ეშლებოდა ხელშეკრულების დადებას. სარაგოსაში დონ ხოზე სულ ახალ-ახალ საკითხებს აყენებდა, ასევე ჰენრიხ ინგლისელიც. როგორც კი ერთი რომელიმე საკითხი გაირკვეოდა, მეორე სრულიად ბუნდოვანი რჩებოდა.

ალფონსოს კარგად ესმოდა, რომ ამ სიძნელეებს იეპულა ქმნიდა და თავი ისე ეკირა, თითქოს ბრაზობდა და მოუთმენლობას გამოხატავდა, მაგრამ სინამდვილეში უნდოდა, იეპულას რაც შეიძლება მეტი დაბრკოლება შეექმნა და აქეზებდა კიდევ. ისინი ერთმანეთს მოხარშულს იცნობდნენ. თვითველ მათგანს კარგად ესმოდა მეორის იდუმალი სურვილი, მაგრამ ამ სურვილს ერთმანეთს არ უმხელდნენ. ისინი დაუსრულებელი თამაშით იყვნენ გართულნი. მათ შორის უსიტყვო, მღუმარე შეთქმულება იყო და ამით მეფე და მისი ესკროვანო ძალაუნებურად ერთმანეთის თანამზრახველნი შეიქმნენ.

ამასთან ერთად, ალფონსო ებრაელზე ეჭვიანობდა, რადგან რაკელი მეტისმეტად იყო შეთვისებული მამასთან. იეპულა კი, პირუკუ, ძლიერ ეჭვიანობდა ალფონსოზე, რადგან რაკელს გულით უყვარდა ალფონსო და როცა იეპულა რაკელს დაჟინებით აშტერდებოდა, უხაროდა, საკუთარ თავთან აშკარა მსგავსებას რომ პოულობდა. ალფონსოს, პირიქით, რაკელის სახეში მამამისის სახის ნაკვეთების მსგავსება არ სიამოვნებდა. მაგრამ მეფეცა და იეპულაც გულმოდგინედ, ნიშნის მოგებით განაგრძობდნენ თავიანთ მოხერხებულ თამაშს, სხვების თვალში ორივეს თავი ისე ეკირა, თითქოსდა საქმიანად ისწრაფოდნენ, რომ არაგონთან კავშირი დაემყარებინათ, ხელშეკრულება დადებულიყო და ახალგაზრდები დანიშნულიყვნენ. მაგრამ ამავე დროს სწორედ იმას ანადგურებდნენ, რაზედაც ასე გულმოდგინედ ზრუნავდნენ.

როცა დონ მარტინისათვის ნათელი გახდა, რომ მეფე ძველებურად დროის მეტ ნაწილს გალიანაში ატარებდა და უღირსი თანდების საშუალებით წმიდა ომის დაწყებას აფერხებდა, არქიეპისკოპოსმა თავისი აღშფოთება აშკარად გამოხატა, ქადაგებებში თავს ესმოდა მეფეს, რომელიც მატყუარა ებრაელთა რჩევა-დარიგებებს ისმენდა და ქრისტიანებს წინადაცვეთილთა შეხედულებებსა და თვითნებობას უმორჩილებდა და სწორედ ამით ღვთის ეკლესიასაც ავიწროებდა და ეშმაკის სინაგოგას აბალისებდა. თავისი სიკეთით განთქმულმა ძველი დროის დიდმა მწერალმა ასე თქვა: „Sicut titulis primi luere, sic et vitiis“, პატივისცემაში პირველნი, მანკიერებაშიც პირველნი არიან“. სწორედ ასეთი ამბავი ხდებოდა ახლა ბედუკულმართ კასტილიაში. და დონ მარტინმა მოიხსენია მეფე სოლომონი, რომელიც გარყვნილმა ხასიებმა წარმართად აქციეს.



მთელი ქვეყნის მღვდელმსახურებმა მიჰბაძეს არქიეპისკოპოსს. ისინი აშკარად აცხადებდნენ, რომ ებრაელმა, ჯოჯოხეთის მოციქულმა სალადინის მეათედით ააგო ჯაღოქრული ციხე-კოშკი გალიანა, სადაც თავისი ქალიშვილი მოათავსა მეფის მოსაჯადოებლად, ხოლო რაქელს სატანის მოციქული შეარქვეს.

კასტილიელებმა იგრძნეს, რომ ისინი მოტყუებულნი არიან, საკუთარმა მეფემ წაართვა მათ წმიდა ომის სიკეთე. სტუდენტები დასცინოდნენ ღონ ალფონსოს სატირულ სიმღერებში. ისინი მას equitem ad fornacem, ნაცარქექია რაინდს უწოდებდნენ. კითხულობდნენ: როდის წარსდგებაო წინადასაცვეთად. მთელი ქვეყანა თავზარდაცემული და აღშფოთებული იყო.

მაგრამ ღვთისმოსავი გულისწყრომის მიუხედავად, ბევრი მაინც გახარებული იყო, რომ ამით ომს თავიდან იცდენდნენ. ხშირად იშველიებდნენ ანდაზას: „მშვიდობიანობის უამისას მოხარული კვერცხი უმჭობესია, ვიდრე ომისდროინდელი შემწვარი ხარით“. მაგრამ კასტილია ღვთისმოშიში ქვეყანაა და ხანგრძლივი მშვიდობა მაინცდამაინც არ იყო სასურველი ღვთისათვის და ისინიც კი, რომლებიც დღევანდელი მდგომარეობით უფრო კმაყოფილი იყვნენ, თავიანთ გულწრფელ გრძნობებს მხოლოდ გამოკეტილ ოთხკედელში იღუშალად გამოთქვამდნენ. ქუჩებსა და სამიკიტნოებში კი ძველებურად, ერთსულოვნად მოითხოვდნენ წმიდა ომს, იმედს გამოთქვამდნენ, რომ ღმერთი შეაგონებს გზაბნეულ ღონ ალფონსოს. მთელი ქვეყანა იღებდა მონაწილეობას მეფისა და მისი ებრაელის ფარისევლურ თამაშში.

ღონ როდიგოს რომელიღაც პატარა დაბიდან მღვდელი ეწვია რჩევისათვის. მისი მრევლის ერთ-ერთ წევრს, საბაგირო საქმის ხელოსანს, ღვთისნიერს და შრომისმოყვარე კაცს, უკითხია მღვდლისათვის: — უკანასკნელ წელს ღმერთმა ჩემი შრომა აკურთხა და შევძელი გადამენახა ორი ოქროს მარავედი. ახლა რატომ მგზავნის იგი ურჯულოების წინააღმდეგ საომრად და ღუპავს ჩემს საქმეს, როცა იგი ასე კარგადაა მოგვარებულიო?

კანონიკი სწრაფად მიუხვდა ალფონსოს თავის დაძვრენის სურვილს, მაგრამ აღშფოთებასთან ერთად გულში უხაროდა მშვიდობის შენარჩუნება; მაშასადამე, საბაგირო საქმის ხელოსანზე ნაკლებ როდი ცოდავდა კანონიკი. შეიგნო თუ არა ეს კანონიკმა, წონასწორობა დაჰკარგა და მღვდელს იმდენად მოუფიქრებელი პასუხი გასცა, რომ თვით მუსასაც შეშურდებოდა კანონიკის გულგრილი ენამახვილობა. მან სრულიად უბრალოდ მოიყვანა მაგალითი წმიდა ავგუსტინის ცხოვრებიდან. როგორღაც ჰკითხეს ერთხელ წმიდანს: „რას აკე--

თებდა ღმერთი, ვიდრე ცასა და დედამიწას შექმნიდა? ამაზე ავგუსტინმა უპასუხა: „შექმნა ჯოჯობითი, რათა გაეგზავნა ხალხი, რომელნიც მსგავსი შეკითხვებით შეაწუხებდნენ“.

რაკელის ფეხმძიმობის ამბავმა უფრო მეტად გაამძვინვარა მტრულად განწყობილი გრანდები და პრელატები. ხალხი კი ამ ახალ ამბავს თანაგრძნობით შეხვდა. მღაბიონი ეჩვეოდნენ აზრს, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო მშვიდობიანი ცხოვრება, კმაყოფილნი იყვნენ მეფის ხასისა. ომი, ყოველ შემთხვევაში, აცდენილია. ისინი იძულებულნი აღარ იქნებიან, დაანგრიონ თავიანთი მშვიდობიანი ცხოვრება. ალერსიანად საუბრობდნენ ფეხმძიმე რაკელზე და შემწყნარებელი დაცივნით გამოხატავდნენ თანაგრძნობას დონ ალფონსოს წმიდა ადამიანური სისუსტისადმი. ეკვს აღარ გამოთქვამდნენ — მათ რაინდ მეფეს ძე ეყოლებოდა მზეთუნახავი ებრაელისაგან. და თვით რაკელის ფეხმძიმობას ღვთის წყალობად მიიჩნევდნენ. განა ტყუილებრალოდ უბოძა სწორედ სამხედრო ლაშქრობის წინ თავის შირონცხებულს შვილი, მკვდარი ვაჟიშვილის სანაცვლოდ.

და განა მზეთუნახავი შექების ღირსი არაა ალბათ ავგაროზი, რომლის ჩამოკიდება გალიანას შესასვლელთან ბრძანა, ნამდვილად ჯადოქრული ძალისა იყო. ამის შემდეგ ბევრი ცდილობდა როგორღე ეშოვნა მსგავსი ავგაროზი — მეზუზა.

პრელატები და ბარონები ცოდვილიან გონებაჩლუნგობას განხეცებამდე მიჰყავდა. სადღაც ხმა გაეარდა ცუდის მომასწავებლობის შესახებ. ამბობდნენ, როცა რაკელი მეფესთან ერთად მდინარე ტახოში თევზს იჭერდა, მან ადამიანის თავის ქალა დაიჭირაო. ამის შესახებ თითქოსდა გალიანას მეზალე ბელარდო ჰყვებოდა.

მაგრამ ამ ჭორებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია კასტილიელებზე, რომლებიც თანაუგრძნობდნენ მეფე-რაინდისა და ფერმონას ღვთის მიერ ნაკურთხ სიყვარულს. პირიქით, არქიეპისკოპოსის ჯიბრზე, რაკელს მეტსახელად „ეშმაკის მოციქული“ რომ შეარქვა, მას ძველებურად მხოლოდ ფერმონას უწოდებდნენ.

## თ ა ვ ი მ ე ე მ ვ ს ე

თავსატეხი ამოცანა რომ - განეხორციელებინა — ერთდროულად ხელიც შეეწყო და კიდევ შეეშალა ზავის დადებისათვის — დონ ალფონსო იძულებული იყო, უფრო მეტი დრო ტოლედოში გაეტარებინა. დონა რაკელი ხშირად მარტო რჩებოდა. მაგრამ იგი გრძნობდა, რომ სასახლეში მყოფი ალფონსო იეჭუდასთან

ერთად აწყობდა დახლართულ გეგმებს რაკელის საკეთილდღეოდ. ამიტომ სიმარტოვე აღრინდელივით მწარე ნაღველით აღარ სტანჯავდა.

იგი იზნ ეზრას კასტილიოს ხშირი სტუმარი იყო. და როცა მოვიდოდა, ფიქრებში წასული, მუსას სამუშაო ოთახის კუთხეში განმარტოვდებოდა, თან თხოვდა, რომ მისთვის ყურადღება არ მიექცია. რაკელი თვალს ადევნებდა, როგორ დადიოდა ფიქრებით გართული მუსა ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, ან როგორ წერდა მაღალ საწერ მაგიდაზე და იქექებოდა წიგნებში.

კანონიკი ამ ბოლო ხანში გაურბოდა დონა რაკელთან შეიხვედრას, სამაგიეროდ ახალგაზრდა დონ ბენიამინი უფრო ხშირი სტუმარი გახდა. იგი ძლიერ იყო აღელვებული და საგონებელში ჩავარდნილი იმით, რომ მისთვის ძვირფასმა ქალმა, რომელიც შთამომავლობით იზნ ეზრას ეკუთვნოდა, უფრო მეტიც, დავითის სახლის პრინცესამ, ახლა კასტილიის მეფისათვის უნდა შობოს შვილი. წინასწარ წარმოდგენილი ჰქონდა, თუ როგორი ბრძოლა ატყდებოდა რაკელისა და მისი ბავშვის გარშემო და ამიტომ გულით სურდა მოსალოდნელ ბრძოლაში რაკელისათვის ძალა შეემატებინა.

მაგრამ ახლა, როცა იუდეველთა რწმენის დიდებაზე ლაპარაკობდა, თავს ძალას აღარ ატანდა ისე, როგორც მაშინ, კანონიკთან საუბრისას — როცა თავი გულგრილ მეცნიერად ეპირა; პირიქით, საკუთარი გრძნობებით ათბობდა სიტყვებს, რომლებითაც ებრაელი მეცნიერები და პოეტები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ იუდეველთა მსოფლმხედველობის უპირატესობა წარმართთა ფილოსოფიაზე და იმაზე, რასაც ქადაგებდა ნაზარეველი იესო. წარმართ არისტოტელეს მოძღვრება მხოლოდ გონებას ასაზრდოებს, მაშინ, როცა იუდეველთა სიბრძნე არა მარტო გონების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არამედ გრძნობასაც, იგი არა მარტო აზრებს აყენებს ჰემარიტების ფართო გზაზე, არამედ თვით ადამიანის მოქმედებასაც. და თუ ქრისტიანობის ფუძემდებელმა აუწყა, რომ ტანჯვა — უდიდესი მადლია და უწმინდესი დანიშნულებაა ადამიანისა, მაშინ ყველა ხალხზე მეტად ისრაელმა აქცია ეს მოძღვრება სინამდვილედ. კაცობრიობის სამაგალითოდ ებრაელი ხალხი მრავალი საუკუნეა, რაც ტანჯვათა კეთილშობილ გვირგვინს ატარებს.

დონ ბენიამინი გატაცებით უყვებოდა რაკელს ისრაელის უკანასკნელ დიდი წინასწარმეტყველ იეჰუდა ჰალევიზე, რომელმაც ნახევარი საუკუნეც არაა გასული მას შემდეგ, რაც მოძღვრება შესანიშნავ ლექსში გადაიტანა. მან დაწვრილებით მოუთხრო რაკელს იეჰუდას მიერ შეთხზული იუდეველობის აპოლოგია და წაუკითხა მისი.

ერთ-ერთი სიმღერა „სიონზე“: „ო, სიონო, მეფურო თავშესაფარო! ფრთაშესხმული რომ ვიყო, შენსკენ გამოვფრინდებოდი, მოკრძალებითა და ნეტარებით ვემთხვევოდი შენს მტვერს, რადგან შენი მტვერი ბალზამივით სურნელოვანია და განა შემიძლია სიცოცხლე, როცა ძაღლები გლეჯენ შენ მკვდარ ღომებს? ო, უფლისსხივმოსილო სამყოფელო, მდაბიონი და მონები როგორ უხამსად იქცევიან ახლა შენ ტახტზე!“ და სწორედ ამ იეპუდა ჰალევიმ, უძღურმა მოხუცმა, უდიდესი გაჭირვებით გამოიარა მთელი გზა წმიდა მიწამდე და წმიდა ქალაქის, იერუსალიმის კარებთან მუსლიმანმა რაინდმა მოკლა იგი.

ბენიამინის საკუთარი გრძნობების გამომჟღავნების შემდეგ რცხვენოდა თავისი აღტაცების, ახლა უკვე დამცინავი ოხუნჯობით ცდილობდა ჩვეულებრივ ტონზე გადასვლას, ან კიდევ რვეულს ზომარჯვებდა და რაკელს მისი დახატვის ნებართვას სთხოვდა. „რალეთის მორწმუნე ხარ და... როგორი ერთეიკოსი!“—ღიმილით ეუბნებოდა რაკელი. მან რაკელის სამი ჩანახატი გააკეთა. რაკელმა სთხოვა, მისთვის ეჩუქებინა ნახატები; რატომღაც ეშინოდა, ასე ეგონა ის, ვინც ფლობდა მის გამოსახულებას, ძალაუფლებასაც მოიპოვებდა მასზე.

როგორღაც ერთხელ, როცა განსაკუთრებით იგრძენეს სულიერი ურთიერთსიახლოვე, ბენიამინი რაკელს გამოუტყდა თავის უკანასკნელ საიდუმლო მრწამსში:—ჩვენ ვნაღვლობთ წმიდა მიწაზე, — ასე დაიწყო მან, — ჩვენ ვლოცულობთ მესიის მეორედ მოსვლაზე, მაგრამ, — და ისე ხმადაბლა თქვა, რომ რაკელმა ძლივს გაიგონა მისი სიტყვები, — სინამდვილეში ჩვენ სულაც არ გვინდა მესიის მოსვლა. იგი ხელს შეუშლიდა ჩვენს უშუალო ურთიერთობას ღმერთთან, იგი წაგვართმევდა ღვთაების რაღაც ნაწილს. სხვებს სახელმწიფოც აქვთ, სამშობლოც და ღმერთიც ჰყავთ. და ყოველივე ამას პატივს სცემენ, ყველაფერი ეს არეულია მათ გონებაში, და ღმერთი მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც ისინი პატივს სცემენ. ჩვენ კი, ებრაელებს, მხოლოდ ღმერთი გაგვაჩნია და ამიტომ ვფლობთ მას მთლიანად და სპეტაკად. ჩვენ არამც და არამც არა ვართ სულიერად დატკინი და არ გვჭირდება ჩვენსა და ღმერთს შორის შუამავალი — არც ქრისტე და არც მუჰამედი. ჩვენ ვებრძვით ღმერთის პატივისცემას შუამავლის გარეშე. სიონზე იმედის დამყარება უკეთესია. ეს ცხოვრებას უფრო მდიდარს ხდის, ვიდრე სიონის მფლობელობა. მესიის მეორედ მოსვლის ლოდინი გვაგულიანებს დედამიწა მისი საკადრისი გავხიდოთ. ეს ოცნებაა და არა სინამდვილე, მაგრამ დაე, ასე იყოს. ჩვენ არ გვჭირდება სიკეთის

უთაური და ზარმაცი მფლობელები ვიყოთ, უმჯობესია ვისწრაფოთ სიკეთისაჲც და ვიბრძოლოთ მისთვის.

თუმც რაკელი დიდ პატივსა სცემდა დონ ბენიაშინის გონებასა და სულს, მესიის შესახებ ნათქვამი სიტყვები არ მოეწონა. შეუძლებელია ერესში ასეთ უკიდურესობამდე მისვლა. მას არ სურდა და არც შეეძლო დაეჭვებინა, რომ მესია საერთოდ არ არსებობს, რომ იგი არცთუ ისე მალე ან საერთოდ, სულ არ მოვა.

ამის შესახებ რაკელმა უკეთ იცოდა.

უამრავი წინასწარმეტყველება არსებობდა მესიის მეორედ მოსვლის დროზე. ათასი წელი, ასე ამბობდნენ ისინი, გაგრძელდება ტანჯვაც და დევნაც მთელ ქვეყანაზე გაფანტულ ისრაელი ხალხისა. მაგრამ ათასმა წელმა რა ხანია განვლო. მტრებმა კვლავ გაილაშქრეს იერუსალიმზე და დადგა ეამი ისაია წინასწარმეტყველის სიტყვის მიხედვით, როცა ახალგაზრდა ქალი შობს ძეს და ის იქნება იმანუელი, მესია. ამიტომაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ებრაელის ფეხმძიმე ქალებს დიდი პატივით ეპყრობოდნენ; რადგან ბრძენთა თქმით, ყოველი მათგანი შეიძლებოდა ყოფილიყო რჩეული ქალი და იმანუელი ეშობა.

რაკელს საკუთარი არაჩვეულებრივი ბედი კარნახობდა აზრს, რომ სწორედ იგი ატარებს მუცლით მესიას. დავითის საგვარეულოდან უნდა იყოს მესია და განა რაკელი იბნ ეზრების ასული დავითის საგვარეულოს პრინცესა არ არის? და განა დიდი და საშიში ბედნიერება—იყო რჩეული და მეგობარი ქრისტიანი მეფისა, ერთხელ კიდევ არ მეტყველებს რაკელის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე? იგი ისინჯავდა მუცელს, ყურს უგდებდა, თუ რა ხდებოდა შიგ, ეღიმებოდა გუნებაში და მასში თანდათან მტკიცდებოდა რწმენა, რომ მუცლით ატარებდა მშვიდობის მეუფეს—მესიას. მაგრამ ამის შესახებ არავის ეუბნებოდა რამეს.

გადია საადი დიდ ზრუნვას იჩენდა რაკელისადმი, ურჩევდა რა უნდა ეკამა და რა არა, არიგებდა როდის უნდა დაესვენა, როდის უნდა ესეირნა. რაკელი ისე იქცეოდა, თითქოს ემორჩილებოდა, მაგრამ თითქმის სრულებით არ უსმენდა მას. პირმოთენ-მამამებელი ბელარდო დროდადრო ბოროტ მზერას არ აშორებდა, მაგრამ რაკელს არ ეშინოდა მისი ბოროტი თვალის. ბედნიერება იცავდა მას ყველაფრისაგან და სიმშვიდეს უნერგავდა. იგი წკრიალა ხმით კისკისებდა, როცა სივილიელი მეგობრის ლეილას სიტყვებს იგონებდა: „ჩემო საბრალოვ“.

რაკელი ფსალმუნს კითხულობდა, ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით ჩარჩა გულში. არ ესმოდა ამ დიდებულს, მაგრამ უკვე

დიდი ხნის წინათ მიმწყდარი სიტყვების მნიშვნელობა და თავისებურად განმარტავდა მას.

„ისმინე, ასულო, და იხილე, და მოჰყავ ყური შენი; და დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისაჲ; და გულმან უთქუას მეუფესა სიკეთისა შენისაჲ; რამეთუ იგი თავადი არს უფალი ღმერთი შენი. და თავყვანი სცე მას და ასულმანცა ტვიროსისმან ძღუნითა; პირსა შენსა ლიტანიობენ მდიდარნი ერისანი. ყოველი დიდებამა ასულისა მეუფისა შინაგან, ფესვედითა ოქროვანითა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირადად, მიერთუნენ მეუფესა ქალწულნი, შემდგომად მისსა, მოყუასნი მისნი მიგერთუნენ შენ. მიგერთუნენ შენ გალობითა და სიხარულითა და შეიყვანნენ იგინი ტაძარს მეუფისასა“.

და რაკელი მამამისზე ნაკლებ როდი ამაყობდა.

ალფონსო ხშირად, როცა რაკელს შესცქეროდა, განსაკუთრებით მგრძნობიარე ჩანდა. რაკელს სახე ჩამოუქცხა, ალფონსოს იგი უფრო ბავშვური და ამავე დროს გამოცდილი ეჩვენებოდა. მისი ყოველა მოძრაობა არაჩვეულებრივად ნარნარი გახდა; თავისუფალი სამოსი მომრგვალებულ მუცელს ლამაზად მალავდა. რაკელს არაფრის ეშინოდა. ხანდახან ალფონსოს ეჩვენებოდა, რომ იგი გაბრწყინებული იყო თავაწყვეტილი ბედნიერებით.

ალფონსო დიდად წუხდა, რომ საქმეების გამო იძულებული იყო რაკელს განშორებოდა. ერთხელ რაკელს უთხრა, ასე ხშირად მართო იმიტომ კი არ გტოვებ, რომ საკმარისად არ მიყვარხარ, პირიქითო.

სამეფო სასახლისაკენ მიმავალ გზაზე შეეცადა თავისთვის გაერკვია რას გულისხმობდა ამ სიტყვაში „პირიქით“. და მისთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ იგი ხელს უწყობდა თავის ცოდვებს და მალულად განუწყვეტლოვ ანგრევდა სწორედ იმ წმიდა საქმეს, რომლის გამო იბრძვის მთელი ქვეყნის წინაშე. მან ნათლად დაინახა, თუ რა საძაგელ მზაკვრობას ხლართავდა იეჰუდასთან ერთად. პაპი მართალია. იგი მართლაც დაუკავშირდა სატანას, რათა დაბრკოლებები შეუქმნას წმიდა ომს. ალფონსო გრძნობდა, თუ როგორ ღუპავდა საკუთარ სულს.

მაგრამ ისიც იცოდა, თუ როგორ გადაერჩინა თავი. საჭირო იყო რაკელის შემობრუნება ჰეშმარტი სარწმუნოებისაკენ. უნდა გაექრისტიანებინა იგი და თუ საჭირო გახდებოდა, ძალაც გამოეყენებინა. ახლავე, დაუყოვნებლივ, ვიდრე იშობიარებს, დე, რაკელმა ქრისტიანი შვილი აჩუქოს. ასე სურს მას.

მაგრამ როცა ვალიანაში დაბრუნდა, ალფონსომ დაინახა რა ნაზი გახდა იგი ფეხმძიმობისას. ისიც შენიშნა, რომ რაკელს მხოლოდ თავისი ბედნიერების რწმენა მატებს ძალას და ალფონსოს უნარი აღარ შესწევდა წამოეწყო საუბარი, რომელსაც შესაძლოა რაკელისათვის ევნო.

არაფერი უღონია, ისევ მიეცა ბედნიერებას.

ისევე, როგორც უწინ, ისინი მთელი დღის განმავლობაში არაფერს აკეთებდნენ და მთელი დღე მოუცლელნი იყვნენ. რაკელი კვლავ უამბობდა ალფონსოს ზღაპრებს, ალფონსოს უკვირდა, რა თავისუფლად მორაყრაკებდა მის ბაგეთაგან სიტყვები, როგორ გამომდინარეობდა ერთი ზღაპრიდან მეორე, როგორ თხზავდა მათ, თვითონ სჯეროდა თავისი გამონაგონის და ალფონსოსაც აიძულებდა დაეჭერა.

ღიახ, რაკელი ენაწყლიანი იყო, ყველაფრისთვის პოულობდა საჭირო გამოთქმებს.

არა, ყველაფრისთვის არა. მას არ შეეძლო ალფონსოსათვის ეთქვა, თუ როგორ უყვარდა იგი და არსადაც არ მოიპოვებოდა შესაფერისი სიტყვები, გარდა „დიდი წიგნის“ უძველესი ლექსებისა. და იი, რაკელი ალფონსოს უამბობდა ქებათა ქების მოზიმიე, ლამაზად მქლერ, ვნებიან ლექსებზე. ლამობდა თავის არაბულ და ალფონსოს ვულგარულ ლათინურ ენებზე ამ ორი ენის ნარევი, — მხოლოდ მათთვის გასაგებ ენაზე ეთარგმნა ისინი. მხოლოდ ასე შეეძლო გამოეთქვა, თუ როგორ თავდავიწყებით უყვარდა იგი. რაკელმა ალფონსოს წაუკითხა ფსალმუნის ის ბუნდოვანი ლექსებიც, სადაც მაღალფარდოვანი სიტყვებით განდიდებული იყო ბრწყინვალეობა და დიდება მეფისა და მისი საცოლის სილამაზე. ალფონსო გაოცებული იყო, რომ უძველესი იუდეველთა მეფენი ქრისტიან მეფე-რაინდებზე უფრო ამპარტავანნი ყოფილან.

მაგრამ ერთხელ, დილით, ანაზღეულად ძალა მოიკრიფა და რაკელს სთხოვა დაეძლია უკანასკნელი ზღუდე, რომელიც მათ ერთმანეთისაგან აშორებდა — გაქრისტიანებულიყო, რათა მისთვის ქრისტიანი ვაჟიშვილი ეშობა. რაკელმა ალფონსოს გაოცებული მხერა მიაპყრო, რომელშიც არც საყვედური იგრძნობოდა და არც გულისწყრომა. — ამას არ გავაკეთებ, ალფონსო, ამის შესახებ აღარასოდეს მითხრა რამე, — წყნარად, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით თქვა მან.

მეორე დღეს რაკელმა ალფონსოს დონ ბენიამინის მიერ შესრულებული სამი ჩანახატი უჩვენა. ალფონსო დიდხანს გულმოდგი-

ნედ უცქერდა მათ. რაკელი უამბობდა, რომ ღონ ბენიამინს დიდი მამაცობა დასჭირდა მის დასახატად; საერთოდ, ვინმეს გამოსახულების დახატვა აკრძალულია როგორც მოსეს, ისე მუჰამედის კანონის მიხედვით. ღონ ალფონსოს მაინცდამაინც არ მოეწონა, რომ რაკელი იცნობდა ამ ღონ ბენიამინს. ალბათ, ბენიამინი მხარს უჭერს რაკელს თავის ბოროტ სიჭიუტეში. — თუკი მას ხატვის უფლება არა აქვს, ნურც ხატავს, — გაბრაზებით წაიბურტყუნა მან, — საერთოდ ვერ ვიტან ერეტიკოსებს. ჩემი ქვეშევრდომნი ვალდებულნი არიან საკუთარ რელიგიას დაემორჩილონ. — რაკელი თავზარდაცემული იყო. მაშინ როგორ მოითხოვდა ალფონსო რაკელისაგან უმძიმეს მწვალებლობას — მამაპაატა სარწმუნოებისაგან განდგომას? ალფონსომ რაკელს შეცბუნება შენიშნა. — ქვეყნად უნდა იყენენ ხალხი, რომლებიც კანონებს აწესებენ, ესენია მეფეები და ღვთისმსახურნი, — განუმარტა რაკელს ალფონსომ, — დაბალ წოდებას არა აქვს უფლება კანონებზე იმსჯელოს, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მას.

მაგრამ როცა რაკელმა სურათების წაღება მოინდომა, ალფონსომ სთხოვა: — დამიტოვე, ჩემთან იყოს. — რაკელის წასვლის შემდეგ ალფონსო დიდხანს აცქერდებოდა სურათს და თავს იქნევდა. მის წინაშე მისი რაკელი იყო და მაინც სულ სხვა. იგი მასში პოულობდა ისეთ ნიშნებს, რაც არასდროს შეუმჩნევია; ამასთანავე ალფონსო მას ყველაზე უკეთ იცნობდა. რაკელის სილამაზე დაუშრეტელი იყო, ხოლო სული მრავალსახოვანი, ისე ვითარცა ზეცაში ღრუბლები და მდინარე ტახოზე მოლივილე ტალღები.

ტოლედოში მუსლიმანი მუსიკოსები ჩამოვიდნენ. გადაწყვიტეს ახლა, როცა ჯვაროსნული ომი მიმდინარეობს, არ შეეშვათ ისინი კასტილიაში, მაგრამ ალფონსომ ქარაფშუტულად განაცხადა, ნამდვილი ომის გაჩაღებამდე ურიგო არ იქნებოდა, მუსლიმანი მომღერლების ხელოვნებით დავმტკბარიყავითო. მუსიკოსები შემოუშვეს და ის ტოლედოელები, რომლებსაც განათლებასა და ნატიფ გემოვნებაზე ჰქონდათ პრეტენზია, სახლებში იწვევდნენ მათ, რომ ემღერათ და დაეკრათ.

ალფონსომ მიიწვია ისინი გალიანაში. ოთხნი იყვნენ — ორი მამაკაცი და ორი ქალიშვილი. მამაკაცები, როგორც მუსიკოსების უმრავლესობა, უსინათლონი იყვნენ, რადგან ქალებს სწყუროდათ მუსიკის ჰანგებით გაეფანტათ პარამხანის მოწყენილობა, ხოლო მამაკაცებს არ შეიძლებოდა შეეხედათ მათთვის. მუსიკოსებმა თან მოიტანეს გიტარა, ფლეიტა, ბარბითი და რალაც, კლავიკორდების მსგავსი კანუხი. ისინი უკრავდნენ და მღეროდნენ ნელს, მონოტურს, მაგრამ მაინც მეტად ამაღელვებელ მელოდიებს. დასაწყისში ეპიკუ-



არი სიმღერები შეასრულეს, — მათ შორის უძველესი სიმღერა სიდ კომპედორზე, რომელიც მუსლიმანურ ანდალუზიაში მცხოვრებმა ებრაელმა აბენ-ალფანკემ შეთხზა მტერი რაინდის სადიდებლად. შემდეგ ახალი სიმღერები იმღერეს, დიდი მოწიწებით რომ სარგებლობდნენ გრანადასა, კორდოვასა და სევილიაში. ისინი უმღეროდნენ ამ ქალაქების სილამაზეს, მათ ბალებს, წყალსაცავებს, მათ ქალიშვილებსა და რაინდებს. გადია საადი ცრემლებს ვერ იკავებდა და რაკელმაც იგრძნო იღუპალი სევდა სევილიაზე. მაგრამ ეს კაეშანი არ იყო მტანჯველი, იგი ვერ ჩრდილავდა გალიანას ბედნიერებას, მხოლოდ აღრმავებდა მას.

დაბოლოს, უსინათლოებმა იმღერეს რომანსები და ბალადები ახლო წარსულსა და აწმყოს შესახებ, მაგრამ მათ ზღაპრული ელფერი მიეღოთ; დროის ზღვარი არ არსებობდა, ეს ამბავი ხუთასი წლის წინათ ისე შეიძლებოდა მომხდარიყო, როგორც ახლა. სხვათა შორის იმღერეს რომანსი ურჯულო ქრისტიან მეფეზე; მან შეიყვარა ებრაელი ქალი და მრავალი დღეების, თვეებისა და წლების განმავლობაში ცხოვრობდა მასთან თავის სასახლეში. მეფე თავის ურჯულობაში ჩიუტობდა, ებრაელის ქალი კი თავისაში. ნუთუ ალაჰი ნებას მისცემს, რომ ეს ყველაფერი ბედნიერად დამთავრდეს? უსინათლოები გრძნობით მღეროდნენ. ერთ-ერთი ქალიშვილი ბარბითს უკრავდა, მეორე კანუნის კლავიშებს ეხებოდა. რაკელი უსმენდა და ეღიმიებოდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ალაჰი ბედნიერად დაასრულებს ყოველივეს. მეფეს გუნება გაუფუქდა, მაგრამ სიცილით შეეცადა განედევნა უსიამოვნო გრძნობა.

თითქმის ექვსი ათასი ფრანკი ებრაელი-ლტოლვილი დამკვიდრდა კასტილიაში და თანდათანობით ეჩვეოდა ქვეყნის ცხოვრებასა და მის საქმიანობას. საყოველთაო კეთილდღეობის მხიარული ხმაური ახშობდა პრელატებისა და ბარონების ბოროტ სიტყვებს.

ამ საზოგადო კეთილდღეობას ხელს უწყობდა იეჰუდას „ბედნიერი ქოთანი“, რომლის იდეაც მან ესთერის წიგნიდან აიღო. ლატარიათა ზღაპრული წარმატება ჰქონდა. რამდენიმე სოლდოთი ნაყიდი ბილეთით შესაძლებელი იყო ათი ოქროს მარავედის მოგება. თამაშობდა ყველა — გრანდები, მოქალაქეები და დამოუკიდებელი გლეხები. მათ უხაროდათ მოგება და ამას საკუთარ დამსახურებად სთვლიდნენ; თუ აგებდნენ — მთელი კვირის განმავლობაში შოლოდინით აღსავსენი, მაინც ბედნიერად ცხოვრობდნენ და ახლა შემდეგი თამაშის იმედი ჰქონდათ.

იეპუდას სავაჭრო საქმეები უცხო სახელმწიფოებთან ძლიერ კარგად მიმდინარეობდა, მისი სახელი საყოველთაოდ ცნობილი გახდა ლონდონიდან ბაღდადამდე.

თუმც იეპუდა ქვეყნისა და საკუთარი წარმოდგენითაც ოკერ პარიზი იყო — კაცი, რომელსაც შეუძლია მთები დასძრას, მაგრამ ხანდახან ღამით მაინც ეპარებოდა შიში: რამდენ ხანს გასტანს ჩემი ბედნიერება? მას არ დავიწყნია, თუ რა სასოწარკვეთილების უფსკრულისაკენ გააქანა ინფანტის სიკვდილის ცნობამ. მაშინ ექვიც არ ეპარებოდა, რომ ალფონსო ლაშქრობაში დაუყოვნებლივ მიიღებდა მონაწილეობას და რაკელისა და იეპუდას ბედნიერებას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ შემდეგ იმის მოწმეც გახდა, რაკელის ფეხმძიმობამ რა ძლიერად მიიზიდა მეფე და შერცხვა, რომ საკუთარი ბედნიერება ეექვეებოდა. მაინც ვერ ივიწყებდა გადატანილ სასოწარკვეთილ წუთებს და განსაკუთრებით საღამომობით, მგზნებარე ფანტაზია მის წინაშე საშინელ სურათებს ხატავდა. ადრე თუ გვიან, ყოველგვარი მისი ხრიკების მიუხედავად, დაიწყება მკაცრი, ხანგრძლივი ომი, რომელიც სავსე იქნება წარმატებებითა და წარუმატებლობით, და პირველსავე დამარცხებას მას, იეპუდასა და ტოლედოს ალჰამას მიაწერენ. მაშინ უდიდესი დევნა ელის კასტილიელ ებრაელებს, მთელი ედომის რისხვა თავს დაატყდება მამასა და მის ქალიშვილს.

სულ ახლო მომავალშიც არ იყო მტკიცედ დარწმუნებული. რა მოხდება, როცა რაკელი მოილოგინებს? დროგამოშვებით იეპუდას ისევ თავხედი, შმაგი ოცნებები ეუფლებოდა იმ ბრწყინვალეების შესახებ, რაც მის შვილიშვილს მოელოდა. ქრისტიანულ სამყაროშიც ბარაგანა, მეფის ხასა die Uxor in ferioris conditionis დიდი უფლებებით სარგებლობდა და მის მიერ გაჩენილი ბავშვი სამართალით კანონიერ ბავშვზე ოდნავ დაბლა იდგა. ესპანელი მეფეები თავიანთ ბასტრადებს დიდებულად აქცევდნენ. იეპუდა ოცნებობდა, რომ მისი შვილიშვილი კასტილიელი პრინცი გახდებოდა.

მაგრამ იეპუდას ფხიზელმა გონებამ როდი დააყოვნა უტიფარი ოცნებები განეფანტა და თვალნათლივ წარმოედგინა ის დიდი საშიშროება, რომელიც ელოდათ იეპუდასა და რაკელს ამ შვილიშვილის დაბადებით. რა თქმა უნდა, დონ ალფონსო მოისურვებს, მისი ვაჟიშვილი მონათლოს; სიგაყეა მოსთხოვოს კასტილიის მეფეს, საკუთარი ძე „ერესში“ გაზარდოს, და მიუხედავად ამისა, იეპუდამ მაინც უნდა მოსთხოვოს მას ეს სიგაყე.

ღმერთმა დასცინა მას. აღონაიმ აიგდო სასაცილოდ. ღმერთმა არ აპატია, რომ იგი ამდენი ხნის განმავლობაში მეშუმად აღჩებოდა. ღმერთმა მოინდომა მისი გამოცდა, მან კი ვერ გაუძლო და

ამიტომაც ვაეიშვილი ალაზარი დაკარგა. ახლა ღმერთი მეორეჯერ ცდის იეჭუდას.

არა მარტო გონებაზეზღუდული და შეუღრკეკელი რაბი ტობია, არამედ ამჟამად მყოფ ყველა ბრძენ ებრაელთა შორის ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე ბატონი და მასწავლებელი ჩვენი მოსე ბენ მაიმონიც, უსასტიკესად მოითხოვდა ებრაელებისაგან, რომ უკიდურეს გაჭირვებაშიც მტკიცედ დარჩენილიყვნენ, და არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ თავიანთი ბავშვების ესოდენ დაცემა, როგორცაა გაჭრისტიანება. მეათეჯერ კითხულობდა იეჭუდა „უსტარს სარწმუნოებისაგან განდგომილობის შესახებ“, ვინც სიკვდილის შიშით წინასწარმეტყველი მუჰამედის მიმდევრად გამოაცხადებს თავს, — ასე გვასწავლიდა ბენ მაიმონი თავის ამ წერილში, — იგი ჯერ კიდევ არ ჩაითვლება დაღუპულად. დაღუპულია ის, ვინც თავს შეუშვერს წყალკურთხევას, ვინაიდან მამა, ძე და სულიწმიდის აღიარება, არც მეტი და არც ნაკლები კერპთაყვანისმცემლობა, მეორე მცნების დარღვევაა და ბენ მაიმონს მოჰყავდა ლექსი წმიდა საღვთო წერილიდან: „რომელმან მისცეს ნათესავი თვისი მოლოქს, სიკუდილით მოკუდინ, ტომმან ქუეყნისამან ქვა დაჰკრიბონ მას. უკეთუ უგულებით უგულებელს ყონ თუალითა მკვიდრთა მათ ქუეყანისათა კაცისა მისთვის რომელმან მისცა ნათესავი თვისი მოლოქსა და არა მოკლან იგი. და დავამტკიცო პირი ჩემი კაცსა მას ზედა და ნათესავსა მისსა, და წარვწყმინდო იგი და ყოველივე მისთანა შეთქმულნი“.

იეჭუდა თავის მეგობარს მუსას მიენდო. მუსას კარგად ესმოდა, რომ იეჭუდას გაგონებაც კი არ უნდოდა თავისი შვილიშვილის მონათვლაზე. — მაგრამ როგორ შეგიძლია აუკრძალო ტოლედოსა და კასტილიის მეფეს, რომ მან არ გაზარდოს თავისი შვილი ქრისტიანად? — შეეკითხა მუსა. იეჭუდამ გაუბედავად შენიშნა, რომ იგი და რაკელი ბავშვის დაბადებამდე მოასწრებენ გაქცევას. მუსამ უარპყო ეს გეგმა. — შენ უნდა გესმოდეს ჩემი, — სარწმუნოებისადმი შენი გულგრილობის მიუხედავად, მაინც არ გსურს ისლამს ვანუღდე. კარგად იცი, რომ სისუსტე გამოვიჩინე, ვერ შევაჩერე ჩემი ვაეიშვილი ალაზარი, რომ მე მიმიძღვის ბრალი მის სულიერ დაცემაში და ვერ ავიტან, რომ მეფემ ჩემი შვილიშვილი თავისი კერპების ნაკურთხი წყლით განბანოს.

— შენ რატომღაც სულ ვაე შვილიშვილზე ლაპარაკობ, ოდნავი ღიმილით უპასუხა მუსამ, — თითქოს დარწმუნებული ხარ, რომ უეჭველად ბიჭი შეეძინება. ხომ შეიძლება გოგო დაიბადოს, და თუ აღფონსო ქრისტიანად გოგონას აღზრდის და არა ვაეიშვილს, ესეც

ცოდვა იქნება, რომელიც ნაღვლით აღავსებს შენს სულს? — ბავშვის არ მივცემ, — მრისხანედ წამოიყვირა იეპუდამ, — არავითარ შემთხვევაში არ მივცემ. — მაგრამ იღუმალ თავს გამოუტყდა, რომ არცთუ ისეთ დიდ ცოდვას ჩაიდენდა, თუ საკუთარ თავს არ გაწირავდა გოგონას სულის სახსნელად.

ახლა, როგორმე შინაგანი სულიერი მღელვარება რომ ჩაეხშო, მეფესთან სულ უფრო და უფრო უტიფარ თამაშს ეწეოდა. იღუმალი ნიშნის მოგებით გრძნობდა იგი თავის ძალას ალფონსოზე.

სინაგოგა, რომელიც მან ალჰამის საჩუქრად ააგო, უკვე მზად იყო. იეპუდამ გადაწყვიტა ზემოთ აღენიშნა მისი კურთხევა. დონ ეფრაიმი ცდილობდა იეპუდას ეს გადაწყვეტილება გადაეთქვა, რადგან თვლიდა, რომ ზემოთ შეიძლება გამოწვევად მიეღოთ. იეპუდა მაინც თავისას არ იშლიდა. — ნუ გეშინია, ჩემო ბატონო და მასწავლებელო ეფრაიმ, — უთხრა იეპუდამ და თან შეჰპირდა: — შევძლებ ენა ჩავაწყვეტინო ჩემს მტრებს, წყეულ ღვთისმგებობებს.

მეორე დღესვე შეუდგა იგი თავისი დანაპირის შესრულებას. იეპუდამ სთხოვა მეფეს ახალი სამლოცველოსათვის პატივი ეცა თავისი მობრძანებით. დონ ალფონსო თავზარდაცემული იყო იეპუდას თავხედობით. მთელი ნახევარკუნძული კიცხავდა ალფონსოს, რომ იგი აყოვნებდა წმიდა ომში მონაწილეობას: და თუ ახლა ებრაელთა ღმერთის სათაყვანო სალოცავს ეწვეოდა, ეპეგარეშეა, პრელატები მის საქციელს წინასწარ განზრახულ თავხედობად ჩასთვლიდნენ. იგი დიდხანს ფიქრობდა, რა უფრო აჯობებდა: ესკრივანოს თხოვნისათვის რისხვით სავსე უარით ეპასუხნა, თუ ამპარტავნული დაცინვით. იეპუდა მეფის წინაშე იდგა. თავი მშვიდად, თავხედობამდე შინაურულად ეკირა. — შენი წინაპარნი ღირსად თვლიდნენ წვეოდნენ თავიანთი ებრაელების ტაძრებს, — მოაგონა იეპუდამ. — მაგრამ არა იმ დროს, როცა ქრისტიანობა წმიდა ომს ეწევა, — შეეკამათა ალფონსო და, რადგან იეპუდა დუმდა, დაუმატა: — ეს უსათუოდ გამოიწვევს გაღიზიანებას. — შენ ისეთი ქვეშევრდომები გყავს, რომლებიც აძაგებენ და ჩირქსა სცხებენ ყველაფერს, რა სიკეთეც არ უნდა გააქეთოს თქვენმა უდიდებულესობამ, — უპასუხა იეპუდამ.

მეფე მოვიდა.

ხელოსანმა მეირ აბდელიმ, ცნობილი მუსლიმანი და ბერძენი არქიტექტორების მოწაფემ, შენობა ნატიფი პროპორციებით ააგო, ფაქიზი ოსტატობით მოახერხა სივრცის დანაწილება თაღედებსა და

აივნებს შორის ისე, რომ ბიზანტიური და შავრიტანული ოსტატების ხელოვნება ორგანულად შეერწყა ერთმანეთს. ყოველივე ეს ემსახურებოდა ერთ მიზანს: გულისყური მიეპყრო სახატესაკენ, რომლის დასაცავად და მოსაჩაჩხოებლად იყო აგებული ეს შენობა. დიახ, წმიდა სახატესაკენ, სადაც ინახებოდა თორას გრაგნილები. იგი იყო გამოჰყვდილი ვერცხლისაგან, რომელიც მქრქალი ფერით ბრწყინავდა, როცა მას ხსნიდნენ, მოჩანდა მძიმე ფარჩის ფარდა, ხოლო როცა ფარდას გადასწევდნენ, თვალს ჰკრიდა წმიდა გრაგნილები, თორის გრაგნილები ძვირფასეულობით. არცთუ ისე ბევრი გრაგნილი ინახებოდა სახატეში, მაგრამ მათ შორის იყო უძველესი ხელნაწერი ხუთწიგნეული, ცნობილი სეფერ ჰილალი, რაც შემონახულთა შორის უძველესად ითვლებოდა მთელს ქვეყანაზე. დიდებულ ქსოვილში გახვეული იდგა უძველესი პერგამენტის გრაგნილი. იგი მორთული იყო ძვირფასი ქვებით მოოჰვილი ოქროს ფირით. ხოლო ხის ტარს, რომელზედაც პერგამენტი იყო მიმაგრებული, ოქროს გვირგვინები ამშვენებდა.

სინაგოგის კედლებს მიჰყვებოდა ფრიზი. წარწერები გადახლართული იყო ორნამენტსა და არაბესკებში. ორნამენტში მეორდებოდა ფიქვის გირჩა — ემბლემა მარადიული ნაყოფიერებისა და უკვდავებისა, აგრეთვე სამკოშვიანი ფარი, კასტილიის გერბი ან ღონ იეჰუდას ბეჰედი. მაგრამ კედლებს უფრო მეტად ამშვენებდნენ ებრაული გამონათქვამები, რომლებიც აღიდებდნენ ღმერთს, ისრაელთა ხალხს, კასტილიას, მეფესა და იეჰუდა იბნ ეზრას; ახალგაზრდა მეცნიერებმა და პოეტებმა ფაქიზი გამომგონებლობით შეარჩიეს და გაანაწილეს ისინი. გართმული პროზა ისე იყო შერწყმული ბიბლიის ლექსებთან, რომ ზოგჯერ ძნელი იყო გაგება, თუ ვის ასხამდა ხოტბას გამონათქვამი — მეფესა თუ მის მინისტრს. მაგალითად, საუბარი შეეხებოდა ფარაონს, რომელმაც განადიდა იოსები და აქვე მოყვანილი იყო სიტყვები წმიდა საღეთო წერილიდან: „და ჰრქუა ფარაონ იოსებს: მე, ფარაონ, გეტყვი, თვინიერ შენსა არავინ აღყოს ხელი ქუეყანასა ეგვიპტისასა“.

და იეჰუდას მიერ თავისი ღმერთისა და საკუთარი სახელის საღიდებლად აშენებულ ამ სახლში მობრძანდა ღონ ალფონსო, — ტოლედოსა და კასტილიის მეფე.

შესასვლელთან მას თავმდაბლად მიესალმა პარნასი ეფრაიმი და ალჰამის უპატივცემულისა კაცები. მეფე ტაძარში მიიწვიეს, --- თავსაბურველიანი ებრაელი მამაკაცები მეფის დანახვისას წამოდგნენ და წარმოთქვეს ლოცვა, რომლის წარმოთქმა კანონით

სავალდებულო იყო მიწიერი მეუფის წინაშე. „დიდება შენდა, აღონაი, უფალო ჩვენო, აი სისხლი და ხორცი, რომელსაც შენ შენი დიდების ნაწილს აძლევდი“.

აღლევებით და სიამაყით მოისმინა დონ იეჰუდამ ეს სიტყვები-აღლევებით და თრთოლვით მოისმინა ისინი დონ ალფონსომ. აზრი არ ესმოდა, მაგრამ მათ ეღერადობას უკვე მიჩვეული იყო, განა მათ მსგავს ცოტას ისმენდა ალფონსო თავისი მშვენიერი სატრაფოს ბაგეებიდან.

მუსლიმანთა მოძღვრების მიხედვით დედის საშოში მზარდი ნაყოფი ადამიანის სახეს მხოლოდ ჩასახვიდან ასოცდამეთაღ დღეს იღებს. და, როცა ამ დრომ განვლო, რაკელმა მუსას ჰკითხა, გადაიქცა თუ არა ნაყოფი ნამდვილ ადამიანად. — ჩემ დიდ მასწავლებელს. ჰიპოკრატეს ჩვეულებად ჰქონდა მსგავსი შეკითხვებისათვის ასეთ პასუხი გაეცა: „ეს კემშარიტებაა ანდა ახლოსაა კემშარიტებასთან“, — უთხრა მუსამ.

მშობიარობის მოახლოებასთან დაკავშირებით ზრუნვა-ფუსფუსი და რჩევა-დარიგებები საგრძნობი გახდა იმათ მხრიდან, ვინც რაკელზე ზრუნავდა. ვადია საადი ითხოვდა, რომ ბოლო თვეში რაკელის საძინებელში საკმეველი ეკმიათ, რათა განეწმინდა იგი ბორბოტი სულეებისაგან და ძლიერ ნაწყენი იყო, როცა მუსა ამის წინააღმდეგი წავიდა. იეჰუდამ ბრძანა, ქალიშვილის საძილე ოთახში გადაეტანათ თორას გრაგნილები, ხოლო კედლებზე ჩამოეკიდათ სხვადასხვა ავეგაროზები, „უსტარი მელოგინესათვის“, რომლებსაც უნდა დაეცვათ სახლში შესასვლელი კუდიან და მაცდურ ლილიტასაგან — ადამის პირველი მეუღლისა და მისი მზაკვრული ამაღისაგან. დონ ალფონსოს ყოველივე ეს არ მოსწონდა. თავის მხრივ, ბელარდოს რჩევით, ბრძანა გალიანაში მოეტანათ სასწაულთმოქმედი ხატები და რელიკვიები. სძლია მცირე დარცხვენას და სამეფო სასახლის კაპელანს სთხოვა თავის ლოცვებში დონა რაკელი მოეხსენებინა. დონ იეჰუდამ კი იზრუნა, რომ ყოველდღიურად ელოცათ ათ მამაკაცს, რომ ქალიშვილს ბედნიერად მოელოგინებინა.

იეჰუდას ფეხი არ დაუდგამს გალიანაში მას შემდეგ, რაც რაკელი იქ გადავიდა საცხოვრებლად. და, ახლაც, გადამწყვეტ წუთებში, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ უნდოდა მასთან ყოფნა, ამ დიდ სურვილს მხოლოდ გულში იკლავდა. სამაგიეროდ მუსა გაგზავნა და ალფონსოც ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ რაკელზე მოხუცი ექიმი ზრუნავდა.

ტკივილები დიდხანს გაგრძელდა, მუსასა და გადიას შორის წარმოიშვა აზრთა სხვაობა, რა ზომები მიეღოთ. მაგრამ აი, ბავშვი მშვიდობით მოველინა ქვეყანას. გადია იმწუთშივე დაეპატრონა, მარჯვენა ყურში ჩასძახა მოწოდება ლოცვებისაკენ, ხოლო მარცხენაში — ტრადიციული ფორმულა: „არ არს ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამედია მოციქული მისი“ — და დაკმაყოფილდა, რომ ბავშვი ახლა ისლამს აღიარებდა.

იეჰუდამ ეს მძიმე საათები თავის კასტილიოში გაატარა და არ იცოდა, რა სურდა ან რისი ეშინოდა, იმისი ხომ არა, რომ ახლადდაბადებული ვაჟი იქნებოდა, ანდა იმისა, რომ იგი გოგონა აღმოჩნდებოდა. მასში კვლავ გაცოცხლდნენ ექვები: ხომ არ მოუწამლა სული მცდარი სარწმუნოების აღიარებამ დიდი ხნის განმავლობაში, ეყოფა თუ არა ძალა მოიქცეს ისე, როგორც ჰეშმარიტ იუდეველს შეეფერება, ან იქნებ სადღაც სულის კუნჭულის ნაკრძალში მეშუამადად დარჩა?

მოსე ბენ მაიმონმა იუდეველთა სარწმუნოების სიმბოლო ოცდაათ დებულებაში გადმოსცა. იეჰუდა საკუთარ თავს ცდიდა, მთელი თავისი არსებით და ჰეშმარიტად სწამდა თუ არა ეს დებულებები. იმ ტექსტში, რომელიც ახლა მის წინ იდო, სარწმუნოების სიმბოლოს ყველა ნაწილი იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „მწამს განუყოფელი რწმენით“. ნელა იძეორებდა იგი თავისთვის: „მწამს განუყოფელი რწმენით, უმწიკვლობაა, თაყვანი სცე შემოქმედს, კურთხეულ იყოს მისი სახელი, ბიწიერებაა თაყვანი სცე სხვას, ვინც არ უნდა იყოს იგი. მწამს განუყოფელი რწმენით, რომ ჩვენი მასწავლებლის მოსეს გამოცხადება, მშვიდობა მისცეს ღმერთმა, უცილობელი ჰეშმარიტებაა და რომ იგი მამა ყველა წინასწარმეტყველის, მის გამოჩენამდე და მომავალშიც“. დიახ, მას სწამდა ეს. იეჰუდამ კარგად იცოდა, რომ ეს ასეა და არც ქრისტესა და არც მუჰამედის მოძღვრებას არ შეეძლო მოსეს გამოცხადების დაჩრდილვა. გულმოდგინე ლოცვით წარზოთქვა იეჰუდამ რწმენის სიმბოლოს ბოლო სიტყვები. „იმედით ვსასოებ, აღონაი. შენი იმედით. აღონაი ვსასოებ შენი იმედით“. იგი ლოცულობდა, მას სწამდა და მზად იყო ამ რწმენისათვის, ზეშთავონებისათვის საკუთარი სიცოცხლე შეეწირა.

მაგრამ თავდავიწყების ყოველგვარი ცდის მიუხედავად, მოუსვენარ ფიქრებს იეჰუდა მაინც გალიანაში მიჰყავდა. იგი ელოდა, ყოყმანობდა, ეშინოდა და მაინც იმედოვნებდა.

აი, ჩამოვიდა მაცნე, როგორც ეს საერთოდ წესია, არც მისაღმებია იეჰუდას, ისე აუწყა სასიხარულო ამბავი: „ბიჭი მოველინა ქვეყანას, ლოცვა-კურთხევა მოველინა ქვეყანას“.

უსაზღვრო აღტაცებამ შეიპყრო იეჰუდა. ღმერთმა შეიწყალა, ღმერთმა მოუვლინა დასამშვიდებლად ალაზარის მაგიერი. ბიჭი გაჩნდა, ახალი იბნ ეზრა, — მეფე დავითისა და მისი შთამომავალი, იეჰუდას შვილიშვილი.

მაგრამ იმავე წუთს უცნაურმა შიშმა ზემო მოუშხამა. მეფე დავითის შთამომავალი — დიახ, მაგრამ ბურგუნდიელი ჰერცოგისა და კასტილიელი გრაფების შთამომავალიც დონ ალფონსოს ისეთივე უფლება ჰქონდა, როგორც იეჰუდას და მას თავისი უფლების დაცვა შეეძლო მთელი ქრისტიანობის მხარდაჭერით, იეჰუდა კი მარტოღოლი იყო. მაგრამ „მე მწამს განუყოფელი რწმენით“, — გაიფიქრა მან, „ასეთია ჩემი გარდუვალი ნება, — გაიმეორა მან. „არამცა და არამც არ აღსრულდება ნება ურწმუნო მეფისა, მე ჩემსას გავიტან ღმერთისა და საკუთარი გონების დახმარებით“, — დაასკვნა იეჰუდამ.

ამ დროს კი რაკელი გალიანაში ათვალიერებდა და სინჯავდა თავის ვაჟიშვილს. უხმოდ ეჩურჩულებოდა პატარას, ეალერსებოდა და მესიის სახელს — იმანუელს ეძახდა.

ალფონსომ კურტუაზიულობისა და საკუთარი გულის კარნახით ცალი მუხლი მოდრიკა დონა რაკელის წინაშე და მის დასუსტებულ უძლურ ხელს ეამბორა.

შიშით აღევნებდა თვალუურს გადია საადი ალფონსოს მოქმედებას. რაკელი ზომ უწმინდური გახდა, — მშობიარე დიდი ხნის განმავლობაში უწმინდურია და ეს კაცი, ეს ბრძოლი, ურჯულოთა შბრძანებელი, რაკელს ეხება და ამით ბავშვთან, რაკელთან და საკუთარ თავთან უყრის თავს ყველა ბოროტ სულს. გადიამ იჩქარა ბავშვის აკვანში ჩაწვენა, თმები შეაჭრა, რომ შესაწირად მიეტანა, ზოლო საწოლის ირგვლივ შაქარი დააწყო, ახლად დაბადებულმა ტკბილად რომ იცხოვროს, ოქრო დალაგა, მდიდრად გაატაროს თავის წუთისოფელით, პურიც დადო, დიდხანს იცოცხლოსო.

ალფონსო ბედნიერი იყო. ღმერთმა წინასწარ დააჯილდოვა იგი საომარი მიღწევებისათვის, ვაჟი უბოძა გარდაცვლილის მაგიერი. გადაწყვიტა ვაჟიშვილი მესამე დღეს მოენათლა და სანჩო ეწოდებინა, სანჩო, დიდხნის ნანატრი, — ასე ერქვა მის საკუთარ მამას. ამის შესახებ დააპირა რაკელისათვის ეთქვა, მაგრამ რაკელი სუსტად გრძნობდა თავს და ამიტომ ალფონსომ საუბარი შემდეგისათვის გადასდო.

ალფონსოს უნდოდა თავისი სიხარული ვინმესთვის გაენდო. იგი ტოლედოში გაემგზავრა. შეკრიბა თავისი მრჩეველები და ის



ბარონები, რომლებსაც მეგობრებად თვლიდა. იგი აღტაცებული იყო და უხვად დაარიგა ჯილდოები.

დონ იეჰუდაც იხმო სასახლეში და დაიტოვა, როცა სხვებმა ითხოვეს წასვლის უფლება. — ბიჭუნას სანჩოს შევარქმევ მაჰაჩემის პარტივსაემად, — მშვილად განაცხადა მან. — ნათლობა ხუთშაბათს შედგება. ვიცი, მაინცდამაინც არ გიყვარს ჩემი გალიანა, როგორმე სძლიე შენს თავს, მომანიჭე სიამოვნება: იმ დღეს ჩემი სტუმარი იყავი.

და ახლა, როცა გადამწყვეტი წუთი დადგა, იეჰუდას სიმშვიდე დაეუფლა. იგი ამჯობინებდა, ვიდრე დონ ალფონსოსთან ისაუბრებდა, რაკელი ენახა. რაკელს უყვარს ეს კაცი და გაუჭირდება ყოველთვის უკუთავდოს მისი უხეში დაუინებები. მაგრამ იეჰუდამ იცოდა, რომ რაკელი მტკიცე რწმენის იყო, ტყუილუბრალოდ ხომ არ არის მისი ქალიშვილი, მას შესწევს ძალა.

— ჩემი აზრით, მეფევე ბატონო, უმჯობესია თუ არ აჩქარდები, — მოწიწებით დაიწყო მან. — მე ვფიქრობ, ჩემი ქალიშვილი მოისურვებს, რომ მისი ვაჟი აღიზარდოს ისრაელთა კანონებითა და იბნებების ზნე-ჩვეულებებით.

მეფეს არასოდეს დაბადებია აზრი, რომ რაკელს ან მოხუცს შეეძლოთ მსგავსი რამის გაფიქრება. ახლაც არ სჯეროდა, რომ ებრაელი სერიოზულად ლაპარაკობდა, ეს მხოლოდ სულელურ, მეტისმეტად უადგილო ხუმრობად მიიჩნია. იგი იეჰუდას მიუახლოვდა და მის სამკერდე ფირს გაეთამაშა. — რას ემსგავსებოდა/ეს? — თქვა მან. — მუსლიმანებს ვებრძვი, ჩემს ვაჟს კი წინადაცვეთილად ვზრდი. — ალფონსომ გადაიხარხარა. — უმორჩილესად გთხოვთ, მეფეო, ნუ გეცინება, — წყნარად თქვა იეჰუდამ. — იქნებ უკვე მოელაპარაკე დონა რაკელს?

ალფონსომ მოუთმენლად მხრები შეიმშეშნა. ხუმრობამ სერიოზული ხასიათი მიიღო. მაგრამ არ უნდოდა ასეთ დღეს გუნება გაეფუჭებინა და ისევ ხმამაღლა გადაიხარხარა. — მორჩილად, მეორეჯერ გთხოვ, მეფეო, ნუ იცინი. — უთხრა იეჰუდამ. — და თუ დაგვცინებ, იქამდე მიხვალ, რომ დავტოვებ შენს სამეფოს. — ალფონსოს ნერვიულობა დაეტყო. — ჭკუიდან შეშლილხარ! — მოკლედ უთხრა იეჰუდას. იეჰუდა კი განაგრძობდა საუბარს რბილი, შემპარავი ხმით: — შენ კარგად იცი, რომ მე არ ვყოფილვარ გალიანაში და არ მისაუბრია ჩემ ქალიშვილთან, ალბათ, არც ამ დღეებში მექნება მასთან ამ თემაზე ლაპარაკი. მაგრამ მე გეუბნები: დღევანდელი მზის ჩასვლასავით ნათელია, რომ რაკელი უმალ დატოვებს გალიანასა და შენს სახელმწიფოს, ვიდრე თავის შვილს ნაეურთხ წყალში განზანს.

— ასევე წყნარად, მაგრამ მრისხანედ დაამთავრა საუბარი: — ბევრ ჩვენთაგანს საკუთარი შვილების სიცოცხლეც შეუწირავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ურჯულოთა ნაჟურთხი წყლით არ მოენათლათ ისინი. — იეპულა მღელვარებისაგან ჩიფჩიფებდა.

ალფონსო დიდხანს ეძებდა ამაყ, შეურაცხმყოფელ პასუხს. მაგრამ ოთახში თითქოს კვლავ გაისმოდა იეპულას მრისხანე, მაგრამ დაბალი ხმით წარმოთქმული სიტყვები. ოთახში იეპულას ნება-სურვილი სუფევდა, რომელიც მეფის ნება-სურვილზე ძლიერი იყო. ალფონსო მიხვდა: იეპულა მართალს ამბობდა. თუ შვილს მონათლავს, რაკელს დაკარგავს. მის წინაშე მწარე არჩევანი იყო: ვინ უნდა გაეწირა — რაკელი თუ ბავშვი?

უძლური სიბრაზით, მაგრამ გესლიანად ესროლა იეპულას: — შენი ალაზარი? — ცხედარივით გაფითრებულმა იეპულამ უპასუხა: — ბავშვი არ უნდა გაჰყვეს შენი საჭურველმტვირთველის, ალაზარის გზას.

მეფე ღუმდა. გონებას მოსვენებას არ აძლევდა ეს სიტყვები: „გველი უბეში, ნაკვერჩხალი სახელოში“. მას შეეშინდა, რომ თავს ვერ შეიმავრებდა და ებრაელი შემოაკვდებოდა. უმალ შემობრუნდა და ოთახიდან საჩქაროდ გავიდა.

იეპულა დიდხანს ელოდა. მეფე კი არ ბრუნდებოდა. დაბოლოს იეპულამ სასახლე დატოვა.

მეფეს აღარ გააჩნდა ფარული მიზეზი ჯვაროსნული ლაშქრობის დაყოვნებისა, მან გადაწყვიტა გამგზავრებულყო ბურგოსში და ხელშეკრულება დაედო, მაგრამ გამგზავრებამდე, ცხადია, ბავშვი უნდა მოენათლა. იგი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ერთი კვირის შემდეგ გამგზავრებულყო, ორი თუ სამი კვირის შემდეგ.

მაგრამ მოულოდნელად ცნობა მიიღო, რომელიმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო მის ყოყმანს. ინგლისის მეფე ჰენრიხი ორმოცდათექვსმეტი წლის ასაკში გარდაცვლილიყო შინონის ციხე-კოშკში.

ალფონსოს ცოცხლად დაუდგა თვალწინ დონა ლეონორის მამა: დაბალი, ტანმორჩილი, მსუქანი კაცი, თვალნათლივ ხედავდა მის ზარის კისერს, განიერ მხრებს, კავალერისტულ მრუდე ფეხებს, ხედავდა ძალ-ღონით საგსეს, შიშველ ხელზე მიმინოთი, რომელიც ბასრი ბრჭყალებით ჩასპიდებოდა ხორცს, ასეთი ახსოვს ალფონსოს იგი. რაც გულით ეწადა ქალები და ქვეყნები — ყველაფერს იტაცებდა თავისი შიშველი, წითური, ძლიერი ხელებით ჰენრიხი. „გამჩენსა ვფიცავ, შვილო, — სიცილით ეტყოდა ხოლმე ალფონსოს, — თავისა და მუშტის მქონე მეფისათვის მთელი ქვეყანაც კი პატარაა“. მას ჰქონდა თავიც და მუშტიც მეფეს ინგლისისას, ჰერცოგს ნორმანდი-

ისა, ჰერცოგს აქვიტანიისა, გრაფს ანჟუისა, გრაფს პუატისა, მბრძანებელს ტურისა და მბრძანებელს ბერიისას დასავლეთ ევროპის უძლიერეს მეფეთა შორის უძლიერეს მეფეს. ალფონსო გულითსწუხდა მისი გარდაცვალების გამო, როცა ხელთათმანს იხდიდა პირვერის გადასაწერად.

მაგრამ ხელთათმანის ჩაცმისას თავისი გამპკრიახი გონებით სწრაფად მოისაზრა, თუ რა ელოდა თვით მას, ან მის სახელმწიფოს ამ კაცის უეცარი სიკვდილის გამო. ალფონსო განსვენებულს უნდა უმადლოდეს, რომ დღემდე შესძლო ზავის დადების და სამხედრო ლაშქრობის დაყოვნება. რიჩარდი, ჰენრიხის ვაჟი და მემკვიდრე, არ იყო სახელმწიფო მოღვაწე, იგი რაინდი და ჭარისკაცი გახლდათ. მას სწყუროდა შებმოდა ყველა მოწინააღმდეგეს. იგი მამის მაგალითის მიხედვით არ დაიწყებს მიზეზების გამოძებნას, რომ მონაწილეობა არ მიიღოს ჭეაროსნულ ლაშქრობაში. ახლავე შეპკრებს ჭარს და დაიძვრება წმიდა მიწისაკენ. და ამას როდი იკმარებს, უსათუოდ მოითხოვს, რომ ესპანელმა მეფეებმა, მისმა ნათესავეებმა, თავი ანებონ ზოზინს და დაუყოვნებლივ გაანადგურონ ურჯულოები თავიანთ ნახევარკუნძულზე. ომი კარს იყო მომდგარი.

ალფონსოსაც ეს უნდოდა. იგი მხრებში გასწორდა, გაიღმა და შემდეგ გულიანად გაიციხა: — Ave, bellum, სალაში შენ, ომო! — მხიარულად და ხმაძალა წარმოთქვა ალფონსომ ცარიელ დარბაზში.

ალფონსომ უკარნახა დონა ლეონორისადმი გასაგზავნი ბარათი. სწერდა დიდ მწუხარებაზე, რომელიც განიცადა მამამისის გარდაცვალების გამო. ატყობინებდა, რომ იგი დაუყოვნებლივ ჩავაბურგოსში და შემდეგ თავხედურად, ვითომც სრულიად უწყინარად განაგრძობდა: ახლა, როცა მეფე ჰენრიხი ხელს აღარ შეუშლის, შეუფერხებლად შეიძლება ხელი მოვაწეროთ და ბეჭედი დავუსვათ ბერენგარიას და დონ პედროს საქორწინო და საზავო ხელშეკრულებასო.

მაგრამ ვიდრე გაემგზავრებოდა, საჭირო იყო ერთი საქმის მოგვარება. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ უფალი განსაკუთრებით უფრთხილდება მას, მაგრამ საჭიროდ თვლიდა სიცოცხლეშივე გაცა განკარგულება, რაც გულუხვად უზრუნველყოფდა დონა რაეელს, — ხოლო პატარა სანჩოს, თავის საყვარელ პატარა ბასტარდს, მის საკადრის ტიტულსა და წოდებას უწყალობებდა.

ალფონსომ სასახლეში იეპუდას უხმო. — ასე მოგიხდება, მეგობარო, — მხიარული დაცინვით უთხრა მან, — უკვე ბოლო მოეღო შენ ხრიკებსა და ოინებს. ახლა უკვე შემიძლია საომრად

წასვლა! — ტოლედოს ალჰამა ზეცას შესთხოვს მოგავლინოს ყოველგვარი ბედნიერება. იგი შეეცდება ისეთი ჭარი წარმოიდგინოს, რომლის გამო არ გაწითლდები ქრისტიანული სამყაროს წინაშე. — უთხრა იეჰუდამ. — არა უგვიანეს სამი დღისა ბურგოსში მივემგზავრები, — განუცხადა ალფონსომ. — იქ ძლიერ ცოტა დრო მექნება. დაბრუნებისას უფრო ნაკლები. განზრახული მაქვს ახლავე გავცუ სათანადო განკარგულება იმ შემთხვევისათვის, თუ მე, მიუხედავად თქვენი ლოცვებისა და თქვენი მეომრებისა, ღმერთი საბრძოლო მინდორზე ქრისტიან მიცვალებულად მიმიღებს. საჩქაროდ გაამზადე საჭირო საბუთები ისე, რომ მხოლოდ ხელის მოწერა დამჭირდეს და მეტი არაფერი. — მესმის, მეფეე ბატონო, — უთხრა იეჰუდამ. — მე მსურს, — წამოიწყო მეფემ, — რაკელის სახელზე დაწერო მამული, რომელიც მას წელიწადში არანაკლებ სამი ათას ოქროს მარაკედს მოუტანს. ჩვენ პატარა სანჩოს გადაცე ტიტული და ყველა უფლებები ახლად განთავისუფლებულ საგრაფოსა და ქალაქ ოლმედოზე.

იეჰუდამ ტუჩები მოკუმა, ცდილობდა მშვიდად ესუნთქა, ეს ნამდვილად მეფურად ხელგაშლილი და ამავე დროს მეტად თამამი ეესტი იყო. იეჰუდამ წარმოიდგინა, როგორ იზრდება მისი შვილიშვილი გრაფ ოლმედოელად, თუ როგორ წყალობს მას მეფე ახალ წოდებასა და მამულს, კასტილიის ინფანტის ტიტულს. და უცებ მის წინაშე გაცოცხლდა შმაგი, ზღაპრული ოცნება, რომ მისი შვილიშვილი, იბნ ეზრების საგვარეულოს უფლისწული კასტილიის მეფე გახდა.

ოცნება გაქრა. იეჰუდამ კარგად იცოდა, რომ იმ წუთიდან, როცა მეფემ პენრიხის სიკვდილის ამბავი შეიტყო, მას ელოდა ყველაზე სასტიკი ბრძოლა. — შენი დიდსულოვნება ქეშმარიტად მეფის საკადრისია, — უთხრა მან. — მაგრამ კანონი კრძალავს მოუნათლავი იყოს საგრაფოს მფლობელი. — ალფონსომ აღუშფოთველად უპასუხა: — ნუთუ გგონია, რომ მე არ მოვნათლავ ჩემს ვაჟიშვილს ომიდან დაბრუნებამდე? სანჩოს ნათლობას ხვალისათვის ვნიშნავ.

იეჰუდამ რაბი ტობიას ნაბრძანები გაიხსენა: „უმჯობესია თქვენ ყველა ერთად დაიხოცოთ, ვიდრე ერთს გასწირავდეთ“. მან გაიხსენა ლექსი საღვთო წერილიდან: „რომელმან მისცეს ნათესავი თვისი მოლოქს, სიკუდილით მოკუდინ, ტომმან მისვე ქვეყნისამან ქვა დაჰკრიბონ მას“. — ამის შესახებ ესაუბრე დონა რაკელს, მეფეე ბატონო? — ეფიქრობდი, დღეს მეთქვა, — უპასუხა ალფონსომ, — მაგრამ თუ გსურს, შენ თვითონ უთხარი. — იეჰუდა გულში ლოცულობდა: „შენი იმედით ვსასოებ მე, აღონაი. მე ვსასოებ, აღონაი,

„შენი იმედით“. ხმაძალა კი თქვა. — შენ დონ ალფონსო ბურგუნ-დელ პერცოგთა და გოთ მეფეთა შთამომავალი ხარ, მაგრამ დონა რაკელი იბნ ერზაა, დავით მეფის შთამომავალი. — ალფონსომ ფეხები დააბაკუნა. — შესწყვიტე ეს სულელური ლაუბობა! — წამოიყვირა მან. — ჩემზე ცუდად როდი გესმით, რომ ჩემი შვილი შეუძლებელია ებრაელი იყოს. — ქრისტეც ხომ ებრაელი იყო, მეფეც ბატონო, — წყნარად, მაგრამ გაბოროტებით უპასუხა იეჰუდამ.

ალფონსომ დუმილი ირჩია. განა ღირდა იეჰუდასთან სარწმუნოებაზე დავა? თვით ეტყვის რაკელს, გააგებინებს, რომ ბავშვის ნათლობა ხვალისათვის დაინიშნა. მაგრამ რაკელი თავს ძლიერ სუსტად გრძნობდა და თუმცა იეჰუდა რატომღაც გადაჭარბებულად ლაპარაკობდა რაკელის შინაგან წინააღმდეგობაზე, ბავშვის ნათლობის ამბავმა შესაძლებელია კიდევ უფრო ააღელვოს და ავნოს კიდევ მას. — შეამზადონ აქტები ჩემი მითითების მიხედვით, — უბრძანა მან იეჰუდას, — და იცოდე: ლაშქრობაში წასვლამდე ბავშვს მოვნათლავ. კარგს იზამ, თუ მთელ შენ გონებას გამოიყენებ და დონა რაკელს შეაგონებ ამ ამბავს.

იეჰუდამ სული მოითქვა. მეფე ახლა ბურგოსში მიემგზავრება, მაშასადამე, მის განკარგულებაში გარკვეული დრო იქნება, შეიძლება რამდენიმე კვირაც. ო, რა სატანჯველი იქნება ეს დრო! იეჰუდა მიხვდა, რაკი მეფე ომში ბავშვის მოუნათლავად არ მიდის, ამას მისთვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ასეა თუ ისე, დრო მაინც მოგებული აქვს და ღმერთი, რომელიც იეჰუდას წყალობას არ აკლბს, ამ შემთხვევაშიც უჩვენებს გამოსავალ გზას.

თითქოს ალფონსო მიუხვდაო იეჰუდას აზრებს და უთხრა: — მაგრამ იცოდე, არ გაბედო შავი მზაკვრობა, ვიდრე მე ბურგოსში ვიქნები, რაკელის შეწუხება არ მსურს, რადგან ჯერ ისევე უღონოდ გრძნობს თავს. მაგრამ არ გაბედო, რომ თავი მოაბეზრო შეგონებებით, დაშინებითა და დაპირებებით. დე, ჩემი ვაჟი ჩემ ჩამოსვლამდე იყოს ის, რაც არის, ჯერ კიდევ არაქრისტიანი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ებრაელი. — აღსრულდეს ნება შენი, მეფეც ბატონო, — უთხრა იეჰუდამ.

ისინი პირისპირ იდგნენ და უნდობი, მტრული მზერით ერთმანეთს ამოწმებდნენ. — შენი არ მჭერა, ჩემო იეჰუდა, — პირდაპირ განუცხადა ალფონსომ, — დაიფიცე. — მზად ვარ დავიფიცო, მეფეც ბატონო, — უთხრა იეჰუდამ. — მაგრამ ეს უნდა იყოს მკაცრი ფიცი, სხვა შემთხვევაში შენ არ შეგეშინდება მისი გატეხვის. — დაუმატა დონ ალფონსომ.

მას თავში ცბიერი აზრი მოუვიდა. გაახსენდა ის უძველესი

ფიცი, რომელსაც ბავშვობაში ებრაელებს იძულებით ატყვევებდნენ. ეს იყო მეტად მკაცრი, მაგრამ სულელური ფორმულა, რომელიც უხმობდა ყოველგვარ უბედურებას იმ შემთხვევაში, თუ სიტყვას გასტეხდნენ. უფრო გვიან, ებრაელების თხოვნით და მანრიკეს დაჟინებით, მან უკუაგლო ეს ფიცი. მას მისი აზუსტი აზრიც კი დაავიწყდა. ახსოვდა მხოლოდ, რომ ის საზიზღარი, შესაშინებელი და ამავე დროს მეტად სულელური ფიცი იყო, — ვიცი, არსებობს ასეთი მრისხანე ფიცი, რომლის წარმოთქმას ძველად ხშირად გაიძულებდნენ. — აუხსნა ალფონსომ იეჰუდას. — მართლაც, მეტისმეტად მოწყალე ვიყავ, როცა ებრაელები გაგანთავისუფლეთ ამ ფიცისაგან, მაგრამ შენ ვერ გაგანთავისუფლებ.

იეჰუდა გაფითრდა. მას გაგონილი ჰქონდა, რა მძიმე ბრძოლა გადაიტანა თავის დროზე ალჰამამ, რომ ამ დამამცირებელი ცერემონიისაგან თავი დაეღწია და დიდი თანხაც დაუჯდა. იეჰუდას გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, რომ იგი ასე უნდა დაამცირონ. — გამანთავისუფლე, მეფეე ბატონო, ამ ფიცისაგან, — სთხოვა მან.

ებრაელის წინააღმდეგობამ დაარწმუნა მეფე, რომ მან მიაგონა მდვილ საშუალებას, რითაც შეეძლო ხელ-ფეხი შეეკრა ამ ცბიერისათვის.

— შენ ისევ ფიქრობ თავი დაიძვრინო მზაკვრობით, — შეუყვირა ალფონსომ იეჰუდას. — ან ახლავე შემომფიცავ იმ ფიცით, ან დღესვე მოვნათლავ ბავშვს.

საიდანღაც ამოათრის ძველი ფიცი. არცთუ იოლი გახდა ისეთი ვინმეს პოვნა, რომელიც მიიღებდა ამ ფიცს იეჰუდასაგან, ეცოდინებოდა ებრაული ენა და თანაც საიმედო იქნებოდა, რომ არ ელაყებოდა. ალფონსომ სასახლის კაპელანს მიმართა, სწორედ იმ პატერს, რომელსაც ოდესღაც ჰკითხა: — მაინც რა არის ცოდვია?

ახალგაზრდა მღვდელმსახურმა, რომელიც ბედნიერი იყო მეფის ნდობით, მაგრამ ამავე დროს შეცბუნებულოც ამ სულელური და საძაგელი ცერემონიით, ალფონსოს თანდასწრებით მიიღო ფიცი მინისტრის ბავეთაგან.

დონ იეჰუდა იბნ ეზრას უნდა დაეფიცა, რომ მეფის დაბრუნებამდე დასტოვებდა თავისი ქალიშვილის, დონა რაქელის ბავშვს, დღევანდელ მდგომარეობაში — არც მორწმუნედ და არც ურწმუნოდ, არც ქრისტიანად და არც ებრაელად. იეჰუდას უნდა დაეფიცა ღმერთი, რომელმაც სჯულის ფიცარზე თითოთ დასწერა თავისი კანონები, რომლის ძალითაც ოდესღაც სოდომი და გომორი გაანადგურა, მიწას უბრძანა შთაენთქა კორეეველნი, დაახრჩო ფარაონი თავისი მეომრებით, ცხენებით და ეტლებით. მღვდელმსახურმა იეჰუდას ძველი

ფიცის შესატყვისად უბრძანა: „ახლა კი მოუხმე ღმერთს, თუ შენ ფიცს გასტეხ, მოგველინოს ყველა სასჯელი, რამაც ეგვიპტელები გაანადგურა. ყველა წყველა, რომლითაც უფალი სჯის მათ, ვინც პატივს არ სცემს მის სახელს და მის მცნებას“. — და როცა იეჰუდამ ხელი დაადო საღვთო წერილს, რომელიც გადაშლილი იყო მოსეს მეხუთე წიგნის ოცდამერვე თავზე, ქრისტიანმა მღვდელმსახურმა წაუკითხა მას წყველა-კრულვა. თანმიმდევრულად კითხულობდა იგი ყოველ წინადადებას ებრაულ ენაზე და იეჰუდაც ვალდებული იყო, ასევე გაემეორებინა ყოველი წინადადება. მეფე ავხორცული სიხარბით აღევნებდა თვალს ლათინურ ტექსტს.

და იეჰუდამ თავის თავზე მოუხმო ყველაზე უსაშინლეს წყველა-კრულვას. მეფემ და მღვდელმა წარმოთქვეს: ამინ.

## ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

მაშინ კი გრანდებმა გადაწყვიტეს ებრაელი ასულის მოკვდინება, გაემართნენ იქით, სადაც ცხოვრობდა იგი და მისი საგანის შემალლებულ ადგილას მოჰკლეს ებრაელი ასული და ასევე ვველა, ვინც კი იყო მის საახლოვეს.

ა ლ ფ ო ნ ს ო ბ რ ძ ე ნ ი  
Cronica General  
დაახლოებით 1270 წელი

მაშინ გრანდებმა გადაწყვიტეს, ბოლო მოეღოთ სიბილწისთვის, მეფის სახელს რომ აყივნებდა. გაემართნენ იმ ადგილისკენ, სადაც ცხოვრობდა ებრაელი, მათ შემალლებულ ფიცარნაგზე მოჰკლეს ასული და გაელიტეს ვველა, ვინც იყო მის მახლობლად.





ჩრდილოეთიდან პირინეისაკენ, თავის კუთვნილ ფრანკთა თვალ-უწვდენელი მიწა-წყლის გავლით, დიდი ამაღლის თანხლებით მიემგზავრებოდა მოხუცი დედოფალი ელეონორა.

როგორც კი ინგლისში ხმა გაერცელდა მისი მეუღლის, მეფე ჰენრიხის, გარდაცვალების შესახებ, დატყვევებული დედოფალი იმავე დღეს გავიდა სოლსბერიის კოშკიდან და ძველებური ძალაუფლებით, რაშიც ვერავინ გაუბედა წინააღმდეგობის გაწევა, საყვარელი შვილის, აწ გამეფებული რიჩარდის, მაგივრად ხელში აიღო მართვამგებობის სადავეები. რიჩარდმაც, თავგამოდებულმა მეომარმა, სიამოვნებით გადასცა სახელმწიფო საქმეები ჰეკვიანსა და ენერგიულ დედას, თვითონ კი მეფედ აკურთხეს თუ არა, გემზე დაჯდა და საომრად გასწია აღმოსავლეთისაკენ. დედოფალმა შემოიარა მთელი თავისი სამეფო, რომელიც ინგლისსა და ფრანკთა თვალუწვდენელ სამფლობელოს მოიცავდა. ჰირვეული ბარონები მოათვინიერა, ურჩ გრაფებს, პრელატებსა და ქალაქებს დიდძალი ხარკი გადაახდევინა. საოლქო და სასამართლო კრებები მოიწვია და განადგურებამდე მისული საქმეები მოაწესრიგა.

ელეონორამ ჰენრიხთან ქორწინების შედეგად მიღებული ჩრდილოეთის საგრაფოები და საპერცოგოები დასტოვა და თავის სამემკვიდრო მიწა-წყალზე — პუატეში, გიენსა და გასკონიაში წავიდა, ბავშვობიდან ნაცნობი პროვანსული ენის წკრიალა ხმები მოისმინა და სამშობლოს მსუბუქი ჰაერი ისუნთქა. ჩრდილოეთში მისდამა მონურ თაყვანისცემას შიშიც თან ერთვოდა; აქ კი გზის გასწვრივ ჩამწყკრივებული ხალხი გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა ძველ მონარქს. მათთვის იგი მარტო ჩრდილოეთის სახელგანთქმული დედოფალი და ქრისტიანული სამყაროს პირველი დიდგვაროვანი ქალი კი არა, ელეონორა აქტივანელი, მათი ქვეყნის ჰემმარტი დედოფალი და მისი გვირგვინის კანონიერი მემკვიდრე იყო.

უკვე სამოცდა მეცხრე წელში იყო გადამდგარი და უკანასკნელი

თხუთმეტი წელი პატიმრობაში გაატარა; მაგრამ გამართული იქდა უნაგირზე, ლამაზად ჩაცმულს, შესანიშნავი ხელოვნებით ჰქონდა სახეზე ფერუმარილი წასმული, თმები შედებილი და იშვიათი ოსტატობით დავარცხნილი. შესაძლებელია, მისთვის ადვილი არ იყო ასეთი დიდი, ხანგრძლივი და საშიში გზის, ჯერ კიდევ თოვლიანი მთებისა და გადასასვლელების ცხენით გავლა, მაგრამ მოხუც ქალს არ აშინებდა სიძნელე და ხიფათი. გრძნობდა, რომ თხუთმეტი წლის პატიმრობას ვერ მოეტეხა იგი, ხოლო შეგნება, რომ ჯერ კიდევ ახლახან სოლსბერიის კოშკში გამომწყვედუღსა და ამათ ბრახით დატანჯულს, შეეძლო ძლიერი და მოხერხებული ხელით კვლავ ემართა ცხენიცა და სახელმწიფოც, უფრო მეტ ძალას მატებდა მას. ნათლად შეჰყურებდა სამშობლოს მისი ცისფერი, ცივი თვალები. იგი წინ მიისწრაფოდა, ბრძანებას იძლეოდა შეუსვენებლივ ევლოთ და შებინდებისას კი, როცა ყველანი ქანცგაწყვეტილები იყვნენ, უარს აცხადებდა, რომ მისთვის ცხენი პორტუგეზით ან ტახტრევნით შეეცვალათ.

დედოფალი კასტილიისაკენ, ბურგოსში მიემგზავრებოდა, თავისი ქალიშვილი დონა ელეონორა რომ ენახა, შვილიშვილის ბერენგარას ქორწინებაში მონაწილეობა მიეღო და მეორე უმცროსი შვილიშვილი გაეთხოვებია.

რაც უფრო მიიწევდა დედოფალი სამხრეთისაკენ, მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა მისი ამალა. როცა პირინეის სიღრმეში შეიჭრნენ, იგი ხუთასი რაინდისაგან და ორასი მანდილოსნისა და ქალიშვილისაგან შედგებოდა, *preux chevaliers et dames choisies*, ბრწყინვალე რაინდებისა და პატივცემული მანდილოსნებისაგან, ყველა ქვეშევრდომ სამეფოთა პრელატებისა და ბარონებისაგან; ამასთან ერთად, მიჰყვებოდა მცველთა რაზმი ყველაზე საიმედო მეგზურებით, თავდადებული დაქირავებული ბარაბანტელებით, რომლებსაც თან კარგად გაწვრთნილი, ფხიზელი ძაღლების ხროვა ჰყავდათ. უკან აღალი მოსდევდათ — გზაზე საჭირო ნივთებით, პროდუქტებითა და მოსახლეობისათვის დასარიგებელი საჩუქრებით დატვირთული ათასზე მეტი ოთხთვალა. მეჯინიბეებსა და მეძაღლეებს დედოფლისა და მისი ახლობელი დიდებულების ცხენები და მონადირე ძაღლები მიჰყავდათ, ბაზიერთუხუცესებს — მათი საყვარელი შევარდნები. ჯერ კიდევ ალაგ-ალაგ თოვლით დაფარულ მთებში ეტლების ნელი და ქრელი მწყრივი მიიკლაკნებოდა.

მოხუც დედოფალს კასტილიის საზღვარზე ელოდებოდნენ ალფონსო და ლეონორი, დონ პედრო არაგონელი და ინფანტი ბერენგარია. ბურგოსის კართან შეეგებნენ დედოფალს ორივე მეფის

წარჩინებული პრელატები, კარისკაცები და სეფექალები. იგი ზარ-  
ზეიმით შევიდა ბურგოსში. ყველგან ღროშები ფრიალებდა, აივნე-  
ბიდან და ფანჯრებიდან გობელენები და ხალიჩები გადმოეფინათ.  
ეკლესიებით მდიდარ ქალაქში ყველა ზარი რეკდა. ქუჩები მოფენი-  
ლი იყო მწვანე რტოებითა და ყვავილებით, რომლებიც ცხენთა  
ფლოქვებქვეშ და ადამიანთა ფეხქვეშ საამო სურნელებას აფრქვევ-  
დნენ.

მთელი ათეული წლების განმავლობაში იგი, თავაწყვეტილი და  
ბრწყინვალე ელეონორა, იყო ის ქალი, რომელსაც ყველაზე მეტად  
აქებდნენ და ლანძღავდნენ მთელს ევროპაში, და აი, როცა იგი მთე-  
ლი თავისი გარდასული ბრწყინვალეობით შემოდინდა ქალაქში, ისევ  
გაცოცხლდნენ ურიცხვი ქორები მის თავგადასავლებზე ომში, სა-  
ხელმწიფოებრივ და სასიყვარულო სარბიელზე, იმის შესახებ, რომ  
იგი იყო მეორე ჯვაროსნული ომის შთამავგონებელი და სულისჩამ-  
დგმელი და ამაზონკების მეთაურის—პენტესილეს მსგავსად, ცხენზე  
ამხედრებული თვითონ მიუძღოდა წინ ჯვაროსნებს — მებრძოლი და  
ამაყი, რომ ანტიოქიის სახელოვან ქალაქში ახალგაზრდა ბიძა, მეფე  
რაიმონდი, აღეგზნო მის მიმართ უსაზღვრო სიყვარულით. მერე რო-  
გორ დაობდნენ რაიმონდი და მისი მეუღლე — ფრანკების მეფე ლუ-  
დოვიკო მეშვიდე, ბოლოს და ბოლოს როგორ წაართვა ძალით ლუ-  
დოვიკომ ელეონორა მეტოქეს და წაიყვანა ზღვის იქით, ელეონორამ  
ვერ აიტანა ასეთი ძალადობა და პაპს შეევედრა გაექორწინებინა.  
როგორ გამოცხადდა იმწუთშივე ახალგაზრდა ანჟეელი გრაფი,  
შემდგომში მეფე ჰენრიხ ინგლისელი, და ითხოვა მისი ხელი. რო-  
გორ შეჰქმნეს ერთად უძლეველი სახელმწიფო. როგორ იზიდავდა  
იგი თავის კარზე სწავლულებს, ყველა შვიდი მეცნიერებისა და ხე-  
ლოვნების დოქტორებსა და მაგისტრებს, აგრეთვე ურიცხვ ტრუბა-  
დურებს, ტრუვერებს და მთხრობელებს. როგორ ასაჩუქრებდა ამ  
მომღერალთაგან მრავალს თავისი კეთილგანწყობით, კერძოდ, ბერ-  
ნარ ვენტადორნს, თუმცა იგი მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლფარეშის  
ვაჟიშვილი იყო. როგორ დალატობდა დედოფალს, თავის მხრივ,  
მეფეც მრავალთან. განსაკუთრებით ერთთან და ელეონორამ რო-  
გორ მოაკვლევინა მისი საყვარელი, მშვენიერი როზამუნდი. ამის  
შემდეგ დაატყვევა ელეონორა ქმარმა, და აღსდგნენ ვაჟიშვი-  
ლები მამის წინააღმდეგ დედის დასაცავად. ისევ ახშიანდნენ ფრანკუ-  
ლი, პროვანსული და კატალონური სიმღერები, რომლებიც ადიდებ-  
დნენ დედოფლის სამეფო კარს, დახვეწილი ზნე-ჩვეულებისა და მა-  
ღალი პოეზიის თავშესაფარს. მღეროდა პოეტი ფილიპ ფონ ტაინი:

ახალგაზრდა დედოფალი  
ისე ზიბლავს კაცთა გულებს,  
ვით ლამაზი სირინოზი  
ქკვადამთხვეულ მებაღურებს.

მღეროდა ბენუა დე სანტ-მორიც:

დიდგვაროვანო, ზეიადო და შეუპოვარო,  
მთელ ქვეყანაზე დედოფალი სწორუპოვარო,  
დიდო მეუღლეე დიდი მეფის, აბა, საღ არის  
სხვა დედოფალი შენი სადარი?

და თვით ვილაც პირქუშმა გერმანელმაც კი შეთხზა შემდეგი ლექსი:

ჩემი რომ იყოს მთელი ხმელეთი  
ზღვით რაინამდე, ტყით და ველებით,  
მსხვერპლად გავწირავ დაუფიქრებლად,  
თუ ერთხელ მაინც მკლავზე შეწვება  
ბრიტთ დედოფალი, ჩემი იქნება.

თაყვანისმცემლების ასეთმა სიმღერებმა, ლეგენდებმა და რომანსებმა, მტრების გააფთრებულმა, წყევლა-კრულვით აღსაესე ლექსებმა და მოთხრობებმა ელეონორა აქვიტანელი უცხო და შორეული მსარის, ანდა უძველესი საუკუნეების ზღაპრულ ქმნილებად აქცია. ახლაც კი, როცა ხორციელი ელეონორა რაინდების, მანდილოსნების, მსახურების, ცხენების, მიმინოებისა და განძეულობის თანხლებით ზეიმით შემოდიოდა ქალაქ ბურგოსში, კასტილიისა და არაგონიის ბევრ დიდებულებს ეჩვენებოდათ, თითქოს იგი ოქროს ღრუბლით იყო დაბურული. რა უბადრუკად და საცოდავად წარმოედგინათ მათ დღევანდელი თავიანთი ცხოვრება ამ დიდებულ ქალში განხორციელებულ გუშინდელ დღესთან შედარებით. მის დანახვაზე მათ თვალწინ ნათლად ისახებოდა ყველაფერი ის, რაც გაეგონათ მეორე ჭვაროსნულ ომზე, რომელიც ნამდვილად დედოფალ ელეონორას ჭვაროსნული ომი იყო. ამ ღროს მეფეები და რაინდები განა კაცუნები იყვნენ და თავიანთ იმედებს ძალთა უპირატესობაზე ამყარებდნენ, ომის ღროს ეშმაკობა და გამოძალვა როდი ჰქონდათ. მხედველობაში, არა, მაშინ ყველა იცავდა ბრძოლის ზუსტსა და კეთილშობილურ წესებს და იბრძოდა შეტაკების ხელოვნების წმინდა სიყვარულის გამო. ბრძოლა იგივე ტურნირი იყო — კეთილშობილური თამაში სიკვდილ-სიცოცხლესთან.

ვასალი ვალდებული იყო ორმოცი დღე ემსახურა, ორმოცი დღე ებრძოლა სინიორისათვის და თუ მეორმოცე დღესაც ვერ მოახერხებდნენ ციხე-სიმაგრის აღებას, შინ მიდიოდა, თუნდაც სცოდნოდა, რომ ორმოცდამეერთე დღეს ციხე-სიმაგრეს ხელში ჩაიგდებდნენ.

მაშინ არ იყვნენ მოხეტიალე ჯარისკაცები, დაქირავებული მებრძოლები მდამიოთა ფენიდან, რომელთაც არა აქვთ ბრძოლის დახვეწილი ჩვევები და მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძვიან. მაშინ მტრის მიმართაც თავაზიანობას იჩენდნენ, თუნდაც იგი სხვა სარწმუნოების ყოფილიყო. ხალიფა, რომელსაც ალყა შემოეკრე ქრისტიანებისათვის, თავაზიანად უგზავნიდა თავის კარის ექიმს ალყაში მყოფ ქრისტიანების დედოფალს ურაკეს, ტკივილების შესამსუბუქებლად. ომობდნენ ორშაბათიდან ხუთშაბათამდე. პარასკევს, შაბათსა და კვირისათვის ზავი ცხადდებოდა, რათა ყველას, ებრაელს, მუსლიმანს და ქრისტიანს ხელშეუშლელად ეზეიმა თავისი დასვენების დღე.

ახლა კვლავ დადგება, ფიქრობდნენ არაგონელი და კასტილიელი დიდებულები, ისეთივე კარგი დრო. თავის დროზე კეთილშობილი მანდილოსნის ელეონორას შთაგონებით განხორციელდა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა. აქაც, ამ ნახევარკუნძულზეც, მისი შთაგონებით დაიწყება წმიდა ომი და მათ, ესპანელ თავადებს, საშუალება მიეცემათ, საქმით გამოიჩინონ თავი, როგორც მეფე არტურისა და კარლოს დიდის რაინდების ღირსეულმა მემკვიდრეებმა.

ახალგაზრდა მეფე დონ პედრო სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. რა მოწყალეა ღმერთი მის მიმართ, რომ ცოლად აძლევს ამ სახელოვან მონარქის შვილიშვილს ახლა კი შურის საძიებელი წყენისა და ბრახის ნაცვლად დონ ალფონსოზე გულმობრუნებული წავა სალაშქროდ, როგორც ქრისტიან რაინდს შეეფერება.

სახელგანთქმული მოხუცი დედოფლის თილისმით მოიხიბლა საკურველმტვირთველი ალაზარიც. ტოლედოში მას ხშირად უგრძვნია ზურგსუკან ბრახიანი მზერა და როცა მეფემ იგი ბურგოსში წაიყვანა, ეშინოდა, რომ დონა ლეონორი არ აპატიებდა მას ასეთ საძრახის ნათესაობას. მაგრამ დონა ლეონორი მის მიმართ კეთილად, თითქმის, ალერსიანადაც კი იყო განწყობილი, მეფე მას უმცროს ძმასავით ექცეოდა. დიდებული დედოფლის ელეონორას ყოფნის დროს უკანასკნელი ექვიც გაიფანტა. დიდებულმა მანდილოსნებმა იგი მეფე ალფონსოს საკურველმტვირთველობის ღირსად ჩათვალეს. ქრისტიანული რაინდობის სამყაროში იგი შინაურად იყო მიღებული.

მთელი ბურგოსი ზეიმობდა მოხუცი დედოფლის სტუმრობას. ათასობით ხალხი მოდიოდა ყოველი მხრიდან იმისათვის, რომ დღესასწაულზე მონაწილეობა მიეღოთ ან ამ უთვალავი ხალხისაგან რაიმე სარგებელი ენახათ. მიკიტნები პატარა სამიკიტნოებს ხსნიდნენ დროებით. ვაჭრები ძვირფას ღვინოებსა და სანელებლებს სთავაზობდნენ

ხალხს. ღია კამარები და თაღედები, რომელთა ქვეშ ვაჭრები თავიანთ საქონელს ალაგებდნენ, ფლანდრიის, ლევანტიისა და მუსლიმანური ქვეყნების სიმდიდრით ბრწყინავდა. ცხენით მოვაჭრენი და ჩარალის ხელოსნები ფულს ხვეტავდნენ. ბანკირები და ზარაფები იმის მოლოდინში იყვნენ, რომ შეეძინათ ან გირაოდ აეღოთ თმში მიმავალი რაინდების ადგილ-მამული. აქ იყვნენ ჯამბაზების, ავგაროზებით მოვაჭრეების, მეძავი ქალებისა და ჯიბგირების მთელი გროვა. ყველანი ყაყანებდნენ, ვაჭრობდნენ, დაყიალებდნენ, ყვარობდნენ, დარბობდნენ ეკლესიებსა და სამიკიტნოებში. თავი ეჭირათ ღვთისმოსავევით, თავხედურად, თავაზიანად, უხეშად, ნაირფერად მორთულები კოპწიაობდნენ, ჰყარდნენ, მეძაობდნენ, ფსალმუნს გალობდნენ და სამიკიტნოს სიმღერებს მღეროდნენ, სიცოცხლეს შექზაროდნენ, ხალიფასა და სულთანს სწყევლიდნენ და ხოტბას ასხამდნენ ელეონორას, სახელოვან დედოფალს.

სასახლის კამერჰერებსაც შიშვე ჯაფა ხვდათ წილად — ჯერონად მოეთავსებინათ დონ პედროსა და ინფანტის ქორწინებაზე დასასწრებად და მოხუცი დედოფლის პატივსაცემად კასტილიიდან და არაგონიდან ჩამოსული სტუმრები და პატივი ეცათ მათთვის. ბევრ პრელატს, თავადს და წარჩინებულს თან წამოეყვანათ მოსამსახურეები, მონადირეები და მეჭინიბეები. მათ მიემატნენ ასეთი დღესასწაულების აუცილებელი მონაწილენი, თავგადასავალთა მაძიებელნი, ღარიბი აზნაურები, რომლებიც იმედოვნებდნენ, ტურნირზე სახელსა და ფულს მოიპოვებდნენ. აქაურობას არც ტრუბადურები, ტრუვერები და მთხრობელები აკლდნენ; მათ იცოდნენ, რომ დონა ლეონორისათვის და დიდებული მანდილოსნის ელეონორასათვის ისინა ყოველთვის სასურველი სტუმრები იყვნენ.

მგზავრობით დაღლილმა მოხუცმა დედოფალმა ცოტა დაისვენა და მეორე დღესვე სამეფო სასახლის დიდ დარბაზში მოაწყო შეხვედრა. უამრავი სანთლით განათებული, წელში გამართული იჭდა იგი ამადლებულ სავარძელში, როგორც კეთილშობილ მანდილოსანს შეეფერება. მართალია, ოდნავ შეშუპებული იყო და ქოშინიც აწუხებდა ისე, რომ დროდადრო ძლივს იკავებდა ხველებას, ამასთანავე ფერუმარლის ქვეშ, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში თანდათან გადასცლოდა, მობერებული სახე მოჩანდა; მაგრამ ღია ცისფერი თვალები ცივად და ნათლად იხედებოდა და იგი საერთო საუბარში დაუღალავად ღებულობდა მონაწილეობას, შიგადაშიგ დამაჭერებელ, მოფიქრებულ, კეთილგონივრულ სიტყვებს ურთავდა.

მოხუცი არაგონელი გრაფი რამონ ბარბასტრო, დედოფალ ელეონორას ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე, ნაღვ-

ლიანად იგონებდა იმ ბრწყინვალე წლებს და ამ დროების უბადრუკობაზე ჩიოდა. ომმა თავისი კეთილშობილება დაკარგა. ახლა მას საბჭოზე ამზადებდნენ და უფრო კალმით აწარმოებდნენ, ვიდრე მახვილით. ომის შედეგს წყვეტს დაქირავებულთა რიცხვი და არა რაინდთა სიმამაცე.

— არც იმ დროს ყოფილა ომი ყოველთვის ბრწყინვალე და დიდებული თამაში, კეთილშობილო რამონ, როცა მე და თქვენ ახალგაზრდები ვიყავით. — უპასუხა ელეონორამ. — კარგად რომ დაუფიქრდები, — განაგრძობდა ელეონორა, — ნათელი ხდება, რომ გრანდიოზული, წარმატები ბრძოლები და ნადიმები იშვიათი იყო, როგორც წესი, წვრილმანი სიძნელეების გადატანა გვიხდებოდა: დაუსრულებელი, სახიფათო გადასასვლელები უგზო-უკვლო და უცნობ ადგილებში, დაკრილი ფეხები, აუტანელი სიცხე, სისხლი, საშინელი წყურვილი, რწყილის, ტილისა და შხამიანი მუშლისაგან გამოწვეული ქაეილის გამო უძილო ღამეები. ყველაზე უფრო საშინელია — ასეღია, აუტანელი სევდა, დაუსრულებელი საზღვაო მოგზაურობა, მრავალკვირიანი მარშები უცნობ მხარეში, მტანჯველი მოლოდინი მაშველი ჯარისა, რომელიც ხვალ ან ზეგ უნდა მოვიდეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგაც არსად ჩანს. — მან მსმენელთა სახეზე უკმაყოფილება შენიშნა და პირქუში სურათი მოხერხებულად შეასწორა ღიმილით. — რა თქმა უნდა, ასეთივე ძვირფასი იყო ჯილდო, — დასძინა მან. — ბრძოლის ველური თარეში, ზეიმი დაპყრობილ ქალაქში. მან დაიწყო თხრობა აღმოსავლეთში მოწყობილ ნადიმებზე, სადაც ქრისტიანული ბრწყინვალეობა მუსლიმანურთან იყო შეხამებული, ტრუბადურების სიმღერებს კი არაბი მოცეკვავეები ენაცვლებოდა. თავისუფლად მეტყველებდნენ ბაგენი, მაგრამ უფრო მეტყველი იყო მისი თვალები. მოხუცი გრაფი ღიმილით იგონებდა იმ ორ რაინდს, რომლებიც მაშინ ანტიოქიაში ერთმანეთს შეებრძოლნენ ელეონორას კეთილგანწყობის მოსაპოვებლად — ქრისტიან მეფე რაიმონდს და პრინც სალადინს, რომელიც სულთანის დისშვილი და ელჩი იყო. — მაგრამ ეს ნადიმები უფრო მხიარული იყო იმის გამო, რომ ჩვენ მათ ვმართავდით ბრძოლებს შორის, — დასძინა მოხუცმა დედოფალმა და წარსულზე სინანულით ამოიოხრა, — თითოეულ ჩვენთაგანს გუშინ სამართლიან სიკვდილს გადაჩენილს, ხვალ შეიძლება ბოლო მოგვეღოს.

არქიეპისკოპოსი დონ მარტინი მთელი გულით ტკბებოდა ბანოვან ელეონორას ცქერითა და ლაპარაკით. დიდი ხნის ლოდინის პერიოდში, თვეობით რომ გრძელდებოდა, იგი დაღვრემილი იყო და ჩუმად ბრაზობდა, ახლა კი, როცა ამ დებორამ, ამ იაილმა წაშალა



უკანასკნელი ზღუდე, რომელიც ღვთისსასურველ ომს წინ ეღობებოდა, ღვთისმოსავის აღფრთოვანებით უბრწყინავდა სახე, იგი ფრთაშესხმული დადიოდა; აბჯარი, რომელსაც ახლა გამუდმებით ატარებდა სამღვდლო ტანისამოსის ქვეშ, სრულებით არ აწუხებდა. მან სცადა საერთო კურტუზულ ტონს აპყლოდა და მოუხერხებელი პირფერობით თქვა: — წმიდა მიწამ უდიდესი საქმენი იხილა, როცა შენ, დიდებულო ბანოვანო, მიხვედი იქ წარმართთა დასათრგუნად. ახლაც მისთვის ბედნიერი უამი დგება, რაკი შენი სხივმოსილი ვაჟი-შვილი იქით მიემართება. მას წინ უძღვის შენ დიდებასთან შერწყმული შენი საყვარელი რიჩარდის დიდება და შიშის ზარს სცემს მუსლიმანებს. ჩემი მეგობარი ტირუსის ეპისკოპოსისგან სარწმუნო ცნობები მივიღე. არაბი დედები უკვე ემუქრებიან თავიანთ ურჩ შვილებს: „გაჩუმიდი, შე ონავარო, თორემ მეფე რიჩარდი — მელეკ რიკი — მოვა და წაგიყვანს“.

ელეონორამ ვერ დაფარა სიხარული თავისი საყვარელი რიჩარდის ქების გამო. — დიახ, იგი დიდებული მეომარია, — დაემოწმა ელეონორა, — ნამდვილი miles christianus. მაგრამ ძალიან გაუქირდება აღმოსავლეთში, — განაგრძობდა დედოფალი იმ გულახდილობით, რის ნებასაც მხოლოდ იგი აძლევდა თავისთავს. — მხედველობაში მტერი სულთანს კი არა მყავს, ჩემი რიჩარდის მოკავშირეზე ვლადარაკობ, ჩვენ პატივცემულ ნათესავზე — ფრანკების უქრისტიანეს მეფეზე. ომის ბრწყინვალეობა და ზეიმი მისი საქმე არ არის, ჩვენ უკეთილეს ფილიპ-ავგუსტს ომის მოგება უმციროსი დანაკარგით სურს. გულახდილად რომ ვთქვათ, იგი ცოტა ხელმოკერილია. ახლა ცდილობს ჭვაროსანთა ლაშქარს ქალთა საზოგადოება და ტრუბადურები ჩამოაცილოს. ჩემი რიჩარდისაგან იგი თანაგრძნობას ვერ მიიღებს. რიჩარდს მხიარულება და ხმაური უყვარს, ეს მან მამისაგან და, მგონი, დედისაგანც მიიღო მემკვიდრეობით. როგორი ჭვაროსნული ლაშქრობა იქნება მანდილოსნებისა და ტრუბადურების გარეშე? აქ თქვენ ნახევარკუნძულზე, ჩვენთან შედარებით, უპირატესობა გაქვთ, — მიმართა მან ალფონსოს და პედროს, — თქვენ არ გქირდებათ ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობით გამოწვეული მოწყენილობის ატანა, ვიდრე მტერს შეხვდებოდეთ, ასჯერ საქმის მოგვარება გაუტანელ ბერძნებთან და სხვა ქრისტიან ბრბოებთან შესათანხმებლად. თქვენ ხელით შეგიძლიათ მისწვდეთ მტერს და ნადავლს — ისინი აქვე არიან კორდოვაში, სევილიაში, გრანადაში.

დამსწრეთ მიზიდველად წარმოუდგათ თვალწინ ნშვენიერი ქალაქები და მდიდრული ნადავლი. არქიეპისკოპოს დონ მარტინს თავ-

ში საზეიმოდ აუქლერდა მუსლიმანური ქალაქების სახელები: კორდოვა, სევილია, გრანადა, საღეთო სჯულის სიტყვებთან შერწყმული: „შვიდობა კი არ მომაქვს თქვენთვის, არამედ მახვილი. „Allâ machairan“.

დონა ლეონორი ზეცას მადლს სწირავდა ელეონორას ჩამოსვლისათვის. იგი აღტაცებული იყო შაჰამისის სახელმწიფოებრივი ჭკუით, საომარი გენიით და ცოტათი შურდა კიდევ ის უღარდებობა, რითაც შაჰამისი თავის ვნებებს ელოლიავებოდა. დედამისით კი მარტო აღფრთოვანებული როდი იყო ლეონორი, მას იგი გულწრფელად უყვარდა და იტანჯებოდა იმაზე ფიქრით, რომ ეს სიცოცხლით სავსე, მოღვაწეობას მოწყურებული ქალი საპყრობილეში იყო გამოკეტილი. როცა აღფონსოს დამღუპველმა სიყვარულმა გონება დაუბნელა, მას ძალიან უნდოდა თავისი უბედურება ელეონორასათვის გაეზიარებინა, როგორც ქალიშვილს — დედისთვის, დედოფალს — დედოფლისათვის, ერთ შეურაცხყოფილ ცოლს — მეორე შეურაცხყოფილი ცოლისათვის, სურდა შეეჩივლა მისთვის და რჩევა ეთხოვა! მართალია აღფონსო დაუბრუნდა მას მომავალი ლაშქრობით აღფრთოვანებული და თითქოს სულ დაივიწყა ებრაელის ქალი. თუმცა ლეონორს გულით უნდოდა ეპატიებინა ქმრისთვის მოტყუება და ღალატი, მაგრამ არ სჯეროდა, რომ გაწყვეტილი კავშირი კვლავ აღსდგებოდა. ძალიან ღრმად ჩარჩა გულში მწარე გამოცდილება, შეურაცხყოფა და იმედგაცრუება, და მისთვის ბედნიერება იყო, რომ ახლა შეეძლო დედასთან ელაპარაკნა თავის იმედებსა და შიშზე.

როცა ელეონორა ცხენიდან ჩამოვიდა და ლეონორმა დედის ხელს აკოცა, როცა დედის მოხუცი ტუჩები მის ახალგაზრდა ტუჩებს შეეხო, მან მთელი არსებით იგრძნო სიახლოვე. მაშინვე თვალნათლივ წარმოუდგა დიდხნის წინ გარდასული მოვლენები, ადამიანებო და მის ბავშვობაში მომხდარი ამბები დონფრონში, ანდა დედამისის დიდებულ სასახლეში პუატეში, ან ფონტევროს მონასტერში, სადაც იგი ძალიან მზიარულად ცხოვრობდა და მაღალი წრისათვის შესაფერისი აღზრდაც მიიღო. მაგალითად, თავისი აღმზრდელი ქალი აგნესა დე ფრონზაკი გაახსენდა. ლეონორი შეუჩნდა, მიაბმე მამაჩემის ჰენრიხის შეყვარებულზეო, და ქალბატონი აგნესაც ბოლოს და ბოლოს დაჰყვა მის სურვილს; ამის შემდეგ ნორჩმა ლეონორმა მოითხოვა, რომ ქალბატონი აგნესა გაეგდოთ, რადგან მან ნაკლები მორიდება გამოიჩინა პრინცესა ლეონორის მიმართ. ყველაზე ნათლად ლეონორმა წარმოიდგინა წმიდა გიორგის ხის ქანდაკება დონფრონის სასახლეში. მზის ჩამავალ სხივებში წმიდა გიორგი ძალიან

მკაცრი ჩანდა და ლეონორს ზოგჯერ ეშინოდა, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერად უყვარდა იგი; სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ მფარველად ასეთი ძლიერი წმიდანი გყავს, განსაკუთრებით თუ მამა იშვი-ათად არის სახლში. მან ეს წმიდა გიორგი გააცოცხლა თავისთვის, ცოცხლად ატარებდა ხსოვნაში მთელი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლებში. აი, იგი დგას მის გვერდით და მას ალფონსო ჰქვია. ის უნდოდათ მისთვის გამოეტაცათ ებრაელებს თუ თვით სატანას, მაგრამ მან არ დასთმო. თუმც ლეონორი ჯერ კიდევ არ არის მთლად დამ-შვიდებული, მტრები კიდევ უწყობენ ხრიკებს, მაგრამ ალფონსო მაინც აქ არის, მის გვერდით, დედაც აქ ჰყავს, და მისი დახმარებით ლეონორი სამუდამოდ გათავისუფლდა ებრაელი ქალისაგან.

მაგრამ მან მაშინვე ვერ მოახერხა დედასთან საუბარი. საზეიმო მიღებისა და წარდგენების მოწყობის საზრუნავმა წაიღო პირველი ორი დღე. ბოლოს, როგორც იქნა, დედოფალმა ელეონორამ წვეულთა ხმაურში უცებ განაცხადა, რომ მარტო სურდა ქალიშვილ-თან დარჩენა, ყველა დანარჩენი უბოდიშოდ დაითხოვა.

როცა მარტონი დარჩნენ, დონა ლეონორს უბრძანა მის წინ, სი-ნათლევზე დამჯდარიყო, დაკვირვებით დააქებდა სახეზე და თავისი-ცისფერი, ცივი თვალების მშვიდი მზერა მიაპყრო ქალიშვილის მწვანე, მავედრებელ თვალებს. მზის სინათლევზე დონა ლეონორმა შე-ნიშნა, რომ დედა მოხუცებულიყო, ნაკვთები უფრო მკვეთრი, მაგ-რამ დიდებული გახდომოდა, იგი სამეფო დინასტიის ნამდვილი ფუძემდებელი იყო. ქალიშვილმა გუნებაში მოწიწებითა და სიყვარულით ქედი მოიხარა დედის წინაშე, გადაწყვიტა ბრმად დაჰყო-ლოდა მის რჩევას.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მოხუცმა მოწონებით უთხრა ახალ-გაზრდას: — კარგად შენახულხარ.

მერე მაშინვე დაიწყო ლაპარაკი სახელმწიფო და საოჯახო საჭ-მეებზე. იგი აქ მარტო ქალიშვილის სანახავად კი არ ჩამოსულა, უწინარეს ყოვლისა სურდა თავისი მეორე, კასტილიელი შვილიშვი-ლიც გაეთხოვებინა. — მდგომარეობა, რაც მე მას ავუარჩიე, გულს არ დაგწყვეტს, — თქვა მან. — ფილიპ-ავგუსტის მემკვიდრე კარგი ახალგაზრდაა, იგი, რაღაც ბედად, სულ არ ჰგავს მამამისს. გამოგიტ-ყდები, რომ ძალიან ძნელი იყო ფრანკთა მეფესთან საქორწინო ხელ-შეკრულების საკითხზე შეთანხმება. თავი უდიდეს მონარქად წარ-მოუდგენია. იმაზე ოცნებობს, რომ მეორე კარლოს დიდი გახდეს. მაგრამ იოტის ოდენა სიდიადე არ გააჩნია, მას მხოლოდ ხრიკების-მოწყობა შეუძლია, ასეთი გზით კი სახელმწიფოს ვერ შექმნი. მიუ-ხედავად ამისა, ბევრი სადავიდარაბო საქმე გამიჩინა, ებრაელივით-

ეშმაკი და მოქნილია. ბოლოს და ბოლოს იძულებული ვიყავი მისთვის დამეთმო ევრიოს საგრაფო და ვექსენი, ჩემი ნორმანდიის ყველაზე მსუყე ნაწილი, და კიდევ ოცდაათი ათასი ლუკატი. ყველაფერს საკუთარი ჯიბიდან გადავიხდი, შვილო. შენ არაფრის მიცეპა დაგჭირდება, მხოლოდ სარგებელს მიიღებ. შენ ფრანკთა მომავალი მეფის სიღვდარი გახდები, შენი ძმა რიჩარდი კი მბრძანებელია იმ ქვეყნების, შენ კუთვნილ ესპანეთსა და საფრანგეთს შორის რომ მდებარეობს. იმ საფრანგეთისა, რომელიც მომავალში შენ ქალიშვილს დაემორჩილება. დადგება დრო და თუ ისურვებ, შენ ხელთ იქნება ქვეყნის დიდი ნაწილი.

სულგანაბული უსმენდა ლეონორი დედას, რომელიც ჩვეულებრივი სიტყვებით უხსნიდა ასე დიდ გეგმებს, ესოდენ შორეულ მომავალს რომ ეხებოდა. დონა ლეონორისათვის ცხადი იყო, როცა დედამისი ნორმანდიის საგრაფოებს უთმობდა ფრანკთა მეფეს, ამით იგი პირველ რიგში თავისი სამფლობელოების უშიშროების საქმეს აგვარებდა ცბიერ ფილიპ-ავეუსტის ხელყოფისაგან იმ დრომდე, ვიდრე მისი საყვარელი რიჩარდი შორეულ, ზღვის გადაღმა ქვეყნებში აწარმოებდა ომებს. მაგრამ რა მიზნებიც არ უნდა ჰქონოდა ამ საქორწინო შეთანხმებას, ერთში დედა მართალი იყო: ლეონორს ეს ამბავი მხოლოდ სარგებელს უქადდა, რადგან ქალიშვილის ქორწინება მომხიბლავი ძალაუფლებისაკენ უხსნიდა გზას.

აქამდე დონა ლეონორს თავისი თავი ალფონსოზე უკეთეს სახელმწიფო მმართველად მიაჩნდა იმიტომ, რომ ყოველთვის მისწრაფოდა კასტილიისა და არაგონის გაერთიანებისაკენ. მაგრამ მის პატივმოყვარე ფიქრებს არასოდეს გადაუფრენიათ პირინეებს იქით. რა საბრალოდ და უბადრუკად მოეჩვენა მას თავისი მისწრაფებანი დედის დიდ, პოლიტიკურ თამაშთან შედარებით! ელეონორა ჭადრაკის პაიკივით ათამაშებდა მთელ ქვეყნებს, მსოფლიოს დასავლეთ კიდედან შორეულ აღმოსავლეთის — ირლანდიისა და შოტლანდიის, ნავარისა, სიცილიისა და იერუსალიმის სამეფოს ჩათვლით. მისთვის მთელი მსოფლიო ჭადრაკის დაფის მოვალეობას ასრულებდა.

— შენი ქალიშვილები შევათვალეირე, ჩემო საყვარელო, — ისევ დაიწყო ლაპარაკი ელეონორამ. — ლამაზები არიან, უფროსიც — მხოლოდ სახელი აქვს რაღაც უშნო — მგონი ურაკა, არა? — უმცროსიც. ჯერ არ გადამიწყვეტია, რომელზე შევაჩერო არჩევანი. ამ დღეებში ორივე უნდა წარმომიდგინო საზეიმო მიღებაზე. ამ შემთხვევისათვის ბოვესელი ეპისკოპოსიც უნდა მოვიპატიოთ — რაც არ უნდა იყოს, იგი ფილიპ-ავეუსტისა და მისი ვაჟის წარმომადგენელია; მაგრამ ეს წმიდა ფორმალობაა.

რასაც დედა ელაპარაკებოდა, ყველაფერი აღელვებდა ლეონორს, მაგრამ განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდა, თუ რას ეტყოდა დედა ალფონსოზე და მის ებრაელ ქალზე.

ბოლოს როგორც იქნა, თქვა: — ჩემთან, სოლსბერიის კოშკში მოაღწია ხმებმა, რაც შენ გადაიტანე შენი ალფონსოს გამო. ყველაფერი გაურკვეველი იყო, ერთი ნათქვამი მეორეს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ როგორღაც ყველაფერს თავისი ადგილი მოეუნახე. კარგად იცი, გამოუტყდელი არა ვარ ამ საქმეებში. — მან ლეონორის ხელი ორივე ხელით აიღო და ახლა პირველად გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი გრძნობები. — შენ კი შემოძლია გითხრა სიმართლე, — გაანდო ქალიშვილს მან, — რა თქმა უნდა, მოხარული ვარ, რომ ჩემი ჰენრიხი მშვიდად განისვენებს საფლავის ქვეშ, რომელსაც ბრწყინვალე წარწერა ამშვენებს. — და მან სიამოვნებით თქვა ეპიტაფია.

მე მეფე ჰენრი ინგლისისა ვიყავი წინათ,  
უზარმაზარი ქვეყნის მპყრობელი.  
ახლა კი, მგზავრო, როგორც ხედავ, ამ ლოდქვეშ მძინავს,  
რა პატარაა ბოლოს თურმე თვით იგი, ვინაც  
იყო დიდი, და რა ამაო — წუთისოფელი.

— სამი ადლი — საიმედო საწოლია. მაინც ვუსურვებ, რომ მსუბუქი იყოს მიწა მისთვის. მე იგი მებრალემა. ბევრჯერ აღმიმართავს ხელი მასზე. ერთხელ კინაღამ მოეუსწრაფე სიცოცხლე. მართალი იყო, როცა დამატყვევა. მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი. ძალიან მიყვარდა. ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელიც მიყვარდა. ერთის გარდა, არა—ორის. იგი ქრისტიანულ სამყაროში უშკვინანესი კაცი იყო. მას ესმოდა, რომ დროდადრო უნდა დააკმაყოფილო ვნება. სხვაგვარად ცხოვრება როგორ შეიძლება? — ბრძული შემწყნარებლობით წარმოთქვა მან. — სხვათა შორის, მართალია ჩემი მეგობარი აბატისა კონსტანცია: მისი. სიტყვებით, სიყვარული — ეკლიდან თავლის ალოკვაა.

ღონა ლეონორმა მოულოდნელად ჰკითხა: — დედა, რა ვუყო ებრაელის ქალს? — მოხუცი დედოფალი შეკრთა. — მოიცადე, ჩემო შვილო, ვიდრე დრო მომწიფდებოდეს მისი თავიდან მოსაშორებლად, — კეთილი ღიმილით ურჩია მან. — მე ძლიერ დავიტანჯე იმის გამო, რომ ლოდინი არ შემეძლო. შესაძლებელია, ომის დროს ისედაც დაივიწყოს ალფონსომ იგი.

— მას იმ ქალისგან ვაეიშვილი ჰყავს, — ხმადაბლა, უმწეოდ წარმოთქვა ლეონორმა.

— შენ ადგილზე რომ ვიყო, ბავშვის ხელს არ ვახლებდი, — საქმიანად გადაწყვიტა მოხუცმა დედოფალმა, — მამაკაცებს თავიანთი ბასტარდები უფრო უყვართ, ვიდრე მათი დედები. ავიღოთ თუნდაც ჩემი რიჩარდი დმერთმა იცის, როგორ ეპყრობა ქალებს, მაგრამ თავისი ბასტარდები უყვარს: ჰენრიხს ისინი, უნდა ვიგულისხმოთ, უამრავი ჰყავდა. ორს ვიცნობ, ვილიამს და ჯოფრის. ჯოფრი პატივმოყვარეა და გვირგვინზე თვალი უქირავს. რიჩარდის არყოფნის დროს ძლივს ვაკაეებ, მაგრამ სასიამოვნო და საქმიანი კაცია. იორკის ეპისკოპოსად დავნიშნე იგი.

— ძალიან დავიტანჯე, — თქვა ლეონორმა. — ვიმედოვნებ, მართალი აღმოჩნდება, ომი სამუდამოდ დაავიწყებს ალფონსოს ებრაელის ქალს. მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება? სულს მეფიცებოდა, რომ თავს დაანებებდა, მაგრამ როგორც კი ბურგოსიდან წავიდა, იმწუთშივე მასთან გაიქცა.

— არც ერთ მტერს ისე არ გაუმწარებია, როგორც მამაშენმა ჰენრიხმა გამამწარა, — თქვა ელეონორამ. — მაგრამ ჩვენ ხომ გვიყვარდა ერთმანეთი. თავისი ვაჟებიც უყვარდა მამაშენს, მათ კი სძულდათ, რადგან მამა უფრო მაღლა იდგა, იგი ათამამებდა შვილებს, მათ კი უფრო მეტად გაანაწყენეს, ვიდრე მამაშენმა მე გამანაწყენა და, რა თქმა უნდა, უფრო მეტად, ვიდრე შენ — შენმა ალფონსომ. იგი ყოველთვის აპატიებდა ხოლმე მათ, შვილები დასცილდნენ და ისევ ჩანდებოდნენ მის წინააღმდეგ. როცა ჩვენ ჯერ კიდევ ერთად ვცხოვრობდით, ბრძანა მანჩესტერში ჩვენი საწოლი დარბაზის სამი კედელი მოეხატათ ფრესკებით. მეოთხე კედელი ცარიელი დარჩა. როცა ახლა მანჩესტერში მივედი, მეოთხე კედელიც მოხატული აღმოჩნდა. მასზე გამოსახულია უშეულებელი ბებერი არწივი ოთხი მართეთი. ორი მათგანი ნისკარტით ფრთებს გლეჯენ, მესამე მკერდში ჩაფრენია, მეოთხე კისერზე აზის და თვალებს კორტნის.

მან დაახველა, ქალიშვილთან არ მალავდა ხველებას, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე აწუხებდა. თვალები დახუჭა და მამინე მოხუცდა. თვალდახუჭულმა, ჩაფიქრებულად, საოცრად მონოტონურად განაგრძო, თითქოს დავითნს კითხულობდა: — ლუდოვიკოსთან მხოლოდ ქალიშვილები მეყოლა, ამ ამბავს უბედურებად ვთვლიდი. ჰენრიხთან ვაჟიშვილებიც გავაჩინე, მაგრამ არ ვიცი ბედნიერება იყო ეს, თუ არა. ვაჟიშვილისგან, სულ ერთია, კარგი იქნება იგი თუ ცუდი, ბევრი წყენაა მოსალოდნელი. არც ერთ დედას არ სურს, თვინიერი ვაჟიშვილი ჰყავდეს, მე, მაგალითად, წმიდან ვაჟს არ ვისურვებდ. მაგრამ, როცა ისინი გმირებად იბადე-

ბიან, ირგვლივ ყველას ებრძვიან და სხვებსაც უნდათ მათი განგ-  
მირვა. ალბათ ასეა დაწესებული, რომ დედებმა უნდა დაკარგონ  
ისინი. პირველი ორი დავკარგე, ახლა ჩემ მესამე ბარტყზე, შენ  
ძმაზე, ვდარდობ. იგი მოსიყვარულე შვილია, მაგრამ თავშეკავება არ  
იცის, და შეშინებული მასზე ფიქრით ღამეებს თეთრად ვათენებ.

მას უცებ რაღაც გაახსენდა. — მოდი ახლოს, — უთხრა მან  
ქალიშვილს. — უფრო, უფრო ახლოს! — და უხეში, ცხოველური  
გულახდილობით ჩურჩულით უბრძანა: — არ გაბედო რამის გაკე-  
თება, ვიდრე ომი მთლიანად არ ჩაითრევეს ალფონსოს. როგორც კი  
ლაშქრობას დაიწყებს, მაშინვე შეუდექი გადაუდებელ საქმეებს.  
წადი ტოლედოში და რეგენტობა მიიღე. მუსლიმანები შეუპოვარი  
მოწინააღმდეგენი არიან, შენ ალფონსოს მხოლოდ გამარჯვებები  
როდი ელის. ყოველ უბედურებას ბედნიერი მხარეც ახლავს, ყველა  
დამარცხება ხელსაყრელ შესაძლებლობებს გამოაგლენს ხოლმე.  
მხედართმთავარი მინისტრს ადანაშაულებს, ეპისკოპოსი — მხედართ-  
მთავარს, ქრისტიანი — ებრაელს, ყველა ერთმანეთს თვლის მოღალა-  
ტედ. შენ ებრაელ ესკრივანოსაც ბევრი ჩათვლის მარცხის მიზეზად  
და მოღალატედ. შენ, გასაგებია, დაიცავ მას. ალფონსოსა და მთელი  
ქვეყნის წინაშე, ეკვს თავიდან ასაცილებლად იზრუნებ, შეეცდები  
ხალხის რისხვა დააოკო. მაგრამ ვინაა მისი თავდები? ამისთანა დროს  
ძალადობა აუცილებლად სძლევს კანონს და ექვემდებარები ილუპე-  
ბიან თავიანთ ახლობლებთან ერთად.

ღონა ლეონორი ხარბად უსმენდა ჩურჩულთ ნათქვამ ულმო-  
ბელ ყოველ სიტყვას. — ლოდინი, — ჩაიჩურჩულა მან, — ლოდი-  
ნი, — და გაურკვეველი იყო ამ სიტყვებით ჩიოდა, თუ უბრძანებდა  
თავისთავს. — დიახ, ლოდინი! — მკაცრად უთხრა მოხუცმა დედო-  
ფალმა. — წადი ტოლედოში! — უბრძანა მან. ეს დიდებული ქალა-  
ქია, იქ იციან, როგორ უნდა მოექცნენ მტრებს. ჭერ კიდევ ძველ-  
თაგანვე, ტოლედოელმა მფლობელებმა იცოდნენ შესაფერისი ღამის  
ლოდინი, როცა შეიძლებოდა არასასურველი თავების წაქლა. *Una noche toledana*, ტოლედოს ღამე — ტყუილად როდი ლაპარა-  
კობენ ასე ჩვენშიაც კი. ელოდე და, მოიშორე თავიდან ექვები.

მან დაახველა, ხმადაბალი და მკვეთრი ლაპარაკი უქირდა,  
გაიღმა და ტონი შეიცვალა, მოხუცი ფურიის. მძვინვარება კურ-  
ტუაზული მანდილოსნის დარბაისლობამ შეცვალა და თუ აქამდე  
პროვანსულად ლაპარაკობდა, ახლა ლათინურზე გადავიდა. — იქნებ  
შენს ალფონსოს სასიყვარულო თავგადასავალს ცოტა სხვანაირა-  
დაც შეხედო? — მოურიდებლად დაიწყო მან. — ჩემის აზრით ამ

საქმეს კარგი მხარეც აქვს. ეს შენი *Alfonsus rex Castiliae* — სახელოვანი რაინდია და ნამდვილი *miles christianus*, მაგრამ სიყვარულში, ჩემის აზრით, ცუდად ნუ ჩამოშორებ, და ნაკლებ მგრძობიარე უნდა იყოს. შენთვის უკეთესია, რომ ცოტა გამოაფხიზლონ, ვიდრე ნამდვილ ვაჟაკურ ხანაშია. ჩემდა სასიამოვნოდ შევნიშნე, რომ შენში ცეცხლი გიზგიზებს და ასე მგონია, რაც შენ გადაიტანე, იმას ფერფლი ვერ დაფარავს ასე მალე.

დონ ალფონსო თავისი წინაპრების სატახტო ქალაქში, ძველებურ პირქუშ სასახლეში, რომელსაც უამრავი ქუჩაბანდები და ტალანები ჰქონდა, თავს კარგად გრძობდა. მას დონა ლეონორთან კარგ დამოკიდებულებაში ყოფნა უხაროდა, მათ შორის ოდესღაც უსიამოვნება რომ იყო, აღარც კი ახსოვდა. ისევ ადრინდელ, თავიზიან, დიდსულოვან და ახალგაზრდა ალფონსოდ იქცა.

გალიანა ნისლით დაბურულ შორეთში მიიკარგა. თვითონაც ვერ გაეგო, როგორ ითმენდა ამდენხანს ფუფუნებასა და განცხრომაში, მომადუნებელ მშვიდობიან ცხოვრებას. სხვა არავითარი ფიქრი არ აწუხებდა ღვთისგან კურთხეული მომავალი ომის გარდა. როგორც სიცხისგან არაქათგამოლეულ მონადირეს მოსწყურდება ბანაობა, ისე ესწრაფოდა ამ ომს. იგი ომისთვისაა გაჩენილი, ომი მისი საქმეა. ახლა კი თავისი ცოლის ძმის, მეფე რიჩარდის, ცნობილი მეღვკ რიკის დიდებამ გაჰქენწლა ალფონსომ წერილმან ლაშქრობებშიც კი, რომლებშიც მას წილად ხვდა მონაწილეობის მიღება, თავი ისახელა; ამჟამად კი ნამდვილ დიდ ომში მისი დიდების ნორჩი ყლორტები გაიზრდება და უშველებელ ხედ გადაიქცევა.

არქიეპისკოპოსის წინაშე აღფრთოვანებით ადგენდა ომის გეგმებს. იგი და დონ მარტინი ისევ გულითადი მეგობრები გახდნენ. ნუთუ მათ შორის როდისმე უთანხმოება იყო? მან საბჭოზე მოიწვია სამხედრო საქმის კარგი მცოდნე ბარონები ვივარი და გომასი, ალფონსოს აღფრთოვანებამ ისინი უფრო გამჭირახად აქცია. შიკრიკები დაუღალავად მიმოდირდნენ მასსა და მის საუკეთესო მხედართმთავრის, კალატავრის დიდი მაგისტრის ნუნიო პერესს შორის.

მხოლოდ ის იყო საწყენი, რომ ალფონსოს შესაძლებლობა არ ჰქონდა, მთელი დრო დაეთმო საომარი სამზადისისათვის. იძულებული იყო საათობით ესმინა ყოველგვარი სისულელე მეურნეობის, სახელოსნოების, მოქალაქეების, გლეხების, გადასახადების, სესხების, ქალაქთა უფლებებისა და კრედიტების შესახებ. ორივე იბნ ეზრა



საუბედუროდ მართალნი აღმოჩნდნენ: კასტილიასა და არაგონს შორის საქმიანი ურთიერთობის საკითხში უიმედო არეულობა იყო გამეფებული. რა თქმა უნდა, ინფანტი ბერენგაროას მზითვის შესახებ მაშინვე მორიგდნენ და ქორწინება არ დაბრკოლებულა; მაგრამ შეთანხმება, რომელიც ერთმანეთთან კავშირის ხელშეკრულების დადებას უძღოდა წინ, სულ ახალ და ახალ სიძნელებებს აწყდებოდა.

ამიტომ ალფონსო ძლიერ გაახარა დედოფალ ელეონორას სტუმრობამ. იგი იმედოვნებდა, რომ სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოცდილი, პოლიტიკური სიბრძნით დაჯილდოებული და ენერგიული მონარქი ქალი სიძნელებებს დაუყოვნებლივ გადაჭრიდა.

მართალია, ზოგიერთი რამის გამო ელეონორას აქ ყოფნა არ იყო ალფონსოსათვის სასიამოვნო. ალფონსოს აღიზიანებდა ელეონორას ამაღლა — სასახლის ჯარისკაცებისა და სეფექალების მთელი ეს მოუსვენარი ბრბო. ქალების მანქიაობას იგი როგორღაც მაინც ამართლებდა, სამაგიეროდ მამაკაცები უსაზღვრო ზიზღს იწვევდნენ. მისთვის გაუგებარი იყო, როგორ შეეძლოთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიმავალ რაინდებს უკანასკნელ მოდას აპყოლოდნენ და იმის მიხედვით ჩაეცვათ. გარდა ამისა ეონგლოორებისა და ბაგირზე მოცეკვავეთა მსგავსად გაეპარათ პირი.

მაგრამ ალფონსო თმობდა ყველაფერს, რაც ელეონორაში არ მოსწონდა, იმ საზრიანობის გამო, რითაც იგი სპობდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც არაგონთან კავშირს ხელს უშლიდა, თავისი სახელმწიფოებრივი ჰკუთნებდა და წყვეტდა ყველა მთავარს და წერილმან საკითხს. ელეონორას უფლება ჰქონდა, რომ ღღესაც იჩემებდა ოჯახის უფროსობას.

ამიტომაც ალფონსოს დიდად არც გაკვირვებია, როცა ელეონორამ ყოველგვარი მორიდების გარეშე ჰკითხა: — აბა, ჩემო შვილრ, მიაბზე ერთი, რით მოგხიბლა შენმა ებრაელმა ქალმა? — რა თქმა უნდა, კასტილიის მეფეს თამამად შეეძლო ამ კეთილშობილი ბანოვანისათვის, ელეონორასთვისაც აღეკვეთა ასეთი ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ელეონორას ჰქონდა ასეთი შეკითხვის უფლებავინიდან გალიანა ალფონსოსათვის წარსულს ჩაბარდა, მას შეეძლო გულახდილად, მშვიდად და ყოველგვარი განცდების გარეშე მოეთხრო რაკელის შესახებ.

მაგრამ, როგორც კი დააპირა ლაპარაკი, მიხვდა, რომ რაკელი მისთვის შეუცნობელი დარჩა; ყველაფერი, რაც ალფონსომ იცოდა მის შესახებ, მონისლული და გაურკვეველი იყო და მთლიან სურათს არ იძლეოდა. მას, რომელიც ასე ამაყობდა კარგი მეხსიე-

რებით, ახლა მხოლოდ ძალზე ბუნდოვნად შეეძლო თავისი შეყვარებულის გახსენება.

— იგი მართლაც ძალიან ლამაზია, — როგორც იქნა წარმოთქვა მან. — და მლიქვნელობა როდია, ხალხი რომ მშვენიერს უწოდებს. იგი მომხიბვლელია და დიდხანსაც ვიყავი მისი მშვენიების ტყვე, — გამოტყდა იგი. — მაგრამ ეს ამბავი ახლა უკვე დამთავრებულია, — განაგრძობდა ალფონსო. — Abest, იგი ჩემთვის აღარ არსებობს, აღარ მალეღვებს, — დაასკვნა მან მტკიცედ.

— ვიმედოვნებდი, რომ უფრო დაწვრილებით ამიწვრდი მას, — აღერსით უთხრა ელეონორამ. — სასიყვარულო ამბები ყოველთვის მაინტერესებდა! მაგრამ შენ აშკარაა, არც ტრუბადურად და არც მთხრობელად ვარგისარ. წესიერად მიპასუხე თუნდაც მხოლოდ ერთ შეკითხვაზე: ვაფიშვილით კმაყოფილი ხარ? კარგი ბასტარდი შეგეძინა? — დიახ, მისი გაჩენისათვის რაკელსაც უნდა ვუმაღლოდე და ზეცასაც. ისეთი ვაჟი შემეძინა, რომ თქმა აღარ უნდა: ლამაზი, ჯანმრთელი, დიდი, თუმც თვითონ ნაზი და პატარაა. გარდა ამისა, ეტყობა, ბევრევი კვიანი: პირველსავე დღეს არაჩვეულებრივი ცოცხალი და აზრიანი თვალები ჰქონდა, — ამყად დასძინა ალფონსომ. — გასაკვირი არაფერია, — თქვა ელეონორამ, — დედა ხომ ებრაველი ჰყავს. მართლა, რა დაარქვი შენ ბასტარდს. — სანჩო, — უპასუხა დონ ალფონსომ, — და გადაწყვეტილი მაქვს ოლმედოს საგრაფო ვუბოძო. — ალფონსოს სრულებით დაავიწყდა, რომ შვილი ჯერ კიდევ არ ჰყავდა მონათლული. — შენ რას ფიქრობ, კეთილშობილო ბანოვანო და პატივცემულო დედა, კარგად ვიქცევი, საგრაფოს რომ ვაძლევ? — ჰკითხა მან. — ამ საგრაფოში მიწა თუა ბევრი? — იკითხა ელეონორამ. — თუ მხოლოდ ლამაზი სასახლე და რამდენიმე ასეული გლეხია? — რამდენადაც ვიცი, ძალიან მდიდარი საგრაფო უნდა იყოს, — უპასუხა ალფონსომ. — თორემ, ჩვენ დროში მრავალკომიანი სასახლე კი არა, შემოსავლიანი მამული აძლევს კაცს ძალას, — აუხსნა ელეონორამ. — ჩემი ბევრი სასახლე გაცეკალე კარგ მამულზე. იმ დროისათვის, როცა შენი ბასტარდი გაიზრდება, სასახლეები მთლად დაკარგავენ ღირებულებას, მამული კი უფრო ძვირი ეღირება. — ესე იგი შენ წინააღმდეგი არა ხარ, კეთილშობილო ბანოვანო და დედოფალი, რომ ჩემი ვაჟი-შვილი ოლმედოს გრაფი გახდოდო? — რაკი შენი ბასტარდი სანჩო ასე გიყვარს, კიდევაც უნდა უზრუნველყო როგორც საჭიროა, — მტკიცედ უპასუხა დედოფალმა ელეონორამ.

• ორი დღის შემდეგ მოხუც მონარქს საზეიმო მიღებაზე წარუდ-

გინეს ორივე პრინციესა, რომელთაგანაც ერთ-ერთი ფრანკების დედოფალი უნდა გამხდარიყო.

ბრწყინვალე საზოგადოება შეიკრიბა. მიღებას ესწრებოდნენ კასტილიისა და არაგონის გრანდები და პრელატები. გარდა ამისა დედოფალ ელეონორას ბარონები და ფრანკების მეფის ფილიპ-ავგუსტოს საგანგებო ელჩი, ბოვეს ეპისკოპოსი.

მარჯვე ხელები რამდენიმე კვირის განმავლობაში ქსოვდნენ, კერავდნენ და ქარგავდნენ კაბებს ორივე ინფანტისათვის, ამიტომ ისინი მკაცრი გემოვნების მქონე წარჩინებულთა შეკრებულობაზე დიდებული სანახავეები იყვნენ. ამ სანდომიან ქალიშვილებს თეთრი, ლაქლაქა, ფუნთუშა ბავშვური სახეები ჰქონდათ. თავდაპირველი და კარგად აღზრდილნი, დახვეწილად და თავისუფლად იქცეოდნენ, როგორც დიდგვაროვან ბანოვანს მოეთხოვება, რასაც მათ იოლად როდი მიაღწიეს. თავიანთი მდგომარეობის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ და შინაგანად ძალიან დარცხვენილები იყვნენ; არა მარტო მათი პირადი ბედი, არამედ ათიათასობით ქრისტიანის ბედიც ბევრ სახელმწიფოში, ამ შეხვედრაზე იყო დამოკიდებული.

ბერენგარია, კასტილიის ინფანტი და არაგონის დედოფალი, რომელსაც შემადლებულზე საპატიო ადგილი ეკავა, დებს შემწყნარებლურად ათვალიერებდა. ამრიგად, ერთ მათგანს ფრანკთა დედოფლობა მოელის. დიდი ამბავია თვითონ ბერენგარია როდისმე შეუერთებს კასტილიას თავის არაგონს. ალბათ, ალბათ კი არა, ნამდვილად ბედი გაუღიმებს და შემოიერთებს ლეონს, შესაძლებელია, ნავარსაც. ისიც შესაძლებელია, რომ მისი დონ პედრო, თუ იგი მის აღგზნებას შესძლებს, ურჯულოებს ანდალუზიის კარგად დიდ ნაწილს წაართმევს. ფრანკთა მეფეს კი არ შეუძლია თავისი ქვეყნის გაფართოება; მის სამეფოს ყოველი მხრიდან ესაზღვრება საბრძანებელი მისი სახელგანთქმული ბიძის რიჩარდის, რომელიც ინგლისთან ერთად ფრანკთა მიწების უფრო დიდ ნაწილს ფლობს, ვიდრე თვით ფრანკების ბელშავი მეფე. არა, მის დაიკოს, ფრანკების დედოფალს, არაფერი ექნება მასთან საყოყნო.

დონ ალფონსოს უხაროდა თავისი კარგი გოგონების ყორება. უმადლოდა მოხუც დედოფალს ელეონორას იმისათვის, რომ მან გამონახა შესაძლებლობა ფრანკთა დინასტიასთან დაენათესავებინა ალთონსო. დიდი ომის დროს ქრისტიან მონარქებთან კავშირის განმტკიცება სასარგებლოა. იგი ღიმილით უყურებდა თავისი უფროსი ქალიშვილის, თავისი ბერენგარიას ულამაზო, მაგრამ მეტყველ, კვიან სახეს, თან ეღიმიებოდა და ამაიღ დროს წოხნა ამ სახეზე დაუოკებელი სიამაყის გამომეტყველებას რომ ხედავდა. ქალი-

შვილს მასთან ახლა უფრო გულჩახვეულად ექირა თავი, ვიდრე წინათ. ბერენგარია ძრახავდა მამას — „განებვიერდით“. უცქველია, უკვე შევიდა არაგონის დედოფლის როლში და მამას იმ კაცად თვლიდა, რომელიც დანაშაულებრივად ცუდად მართავდა მის მომავალ საკუთრებას.

დონა ლეონორს სახიანი, წითელი, მძიმე ატლასის სამოსელი ეცვა, რომლის ვერცხლის არშიაზე ლომები იყო ამოქარგული; მან იცოდა, რომ ეს ტანისამოსი არ უხდებოდა, მაგრამ დღეს მთავარი იყო, არ დაეჩრდილა თავისი ქალიშვილები იგი ამაყობდა ქალიშვილებით, მით უმეტეს, ორ მათგანს ევროპაში თითქმის ყველაზე უდიდეს სამეფო ტახტებზე ასვლა მოელოდა. რომ გამოვაცლოთ ის ქვეყნები, სადაც მეფობენ თვითონ, მისი დედა, ძმა და ქალიშვილები, მსოფლიოსგან თითქმის აღარაფერი დარჩება.

მოხუცი დედოფალი შეჰყურებდა შვილიშვილებს ცივი ცისფერი თვალებით, არავითარი ნაკლი რომ არ გამოჩნებოდა შეუნიშნავი. თავის გუნებაში ახალ ჩანაფიქრს ელოლიაევებოდა. მეორე, რომელსაც იგი ფრანკთა მემკვიდრეს არ მიათხოვებს, შეიძლება პორტუგალიის ტახტზე დასვას; ინგლისი პორტუგალიის ნავსადგურებით იყო დაინტერესებული. მოხუცი დედოფალი წონიდა: რომელი ინფანტია პარიზისათვის შესაფერისი და რომელი ლისაბონისათვის? ორივე შვილიშვილს თავშეუქცევებლად, დეტალურად აკვირდებოდა უცერემონიო შეკითხვებს აძლედა. ახლოს მოსვლას უბრძანებდა, რომ მათ სიარულს დაჰკვირებოდა. უბრძანებდა ემღერათ რამე, ეკითხებოდა პროვანსალურ და ლათინურ ენებზე. — სასიამოვნო ქალიშვილებია, — როგორც იქნა, მიმართა მან დონა ლეონორს, მაგრამ ისე ხმამაღლა, რომ ყველას გაეგონა, — გული სიხარულით მევსება ასეთი პრინცესების ცქერით. ზოგიერთი რამ გამოჰყოლიათ მათ ალფონსოს კასტილიელი წინაპრებისაგან, ჩემ პუატუელ წინაპრებიდან ცოტა უფრო მეტი, ხოლო პლანტაგენეტებისგან თითქმის არაფერი. — შემდეგ იგი ისევე მიუბრუნდა ინფანტებს და უფროსს ჰკითხა: — რა გქვია, პრინცესა? — ურაკა, პატივცემულო ბებია და დედოფალო, — უპასუხა მან, მეორემ კი თქვა: — მე, პატივცემულო დედოფალო, დონა ბლანკა მქვია.

ცოტა მოგვიანებით ელეონორამ, ალფონსომ და ლეონორამ ცალკე ითათბირეს ფრანკთა მეფის საგანგებო ელჩის ბოვეს ეპისკოპოსის თანდასწრებით. — რომელი უფრო მოგეწონა, ღირსეულო მამაო? — ჰკითხა ელეონორამ ეპისკოპოსს. — ორივე ღირსია დედოფლობის, — თავაზიანად და ორჭოფულად უპასუხა პრელატმა. —

მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ელეონორამ, მაგრამ აი რა უნდა მივიღოთ მხედველობაში: ფრანკებისათვის გამოსათქმელად ძნელი იქნება სახელი ურაკა. ამის გამო ხალხს ნაკლებად ეყვარება ინფანტი. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება შენ სეფეწულს პრინც ლუდოვიკოს, ჩვენი დონა ბლანკა მივათხოვოთ.

ასეც გადაწყდა.

დღეც არ გავიდოდა, რომ ბურგოსის სასახლეში დედოფალი ელეონორას და ახალდაქორწინებულთა პატივსაცემად ზეიმი არ გადაეხადათ. მოხუცი დედოფალი გემოვნებით იცმევდა და გაცილებით უკეთ ეხერხებოდა სახის გალამაზება, ვიდრე იმ მანდილოსნებს, რომლებმაც უკანასკნელი წლები ტყვეობაში კი არ გაატარეს, არამედ იმ წრეში ტრიალებდნენ, სადაც სერიოზულად სწავლობდნენ და მსჯელობდნენ ქსოვილების, მორთულობებისა და საცხებლების ღირსებებზე. ახალგაზრდასავით ცეკვავდა თვითდარწმუნებით და გრაციოზულად. როგორც მცოდნეს სიამოვნებას ანიჭებდა კარგი საკმელ-სასმელი. მტკიცედ იჯდა უნაგირზე და არა ერთხელ გამოიჩინა თავი ნადირობაში და როცა ტრიბუნიდან ტურნიერს თვალს ადევნებდა, ორთაბრძოლის განსაკუთრებულ ცოდნას იჩენდა. თუ მანდილოსნები ტრუბადურებისა და ტრუვერების შემოქმედებაზე დაიწყებდნენ სჯა-ბაასს, მისი აზრი ყოველთვის გადამწყვეტი იყო.

რა დიდი ძალაც არ უნდა დაეხარჯა ნადირობაში, ცეკვაში, ნადიმებსა და სიმღერებში, მისი ენერჯია და ყურადღება კასტილიისა და პროვანსს შორის კავშირის შეკვრის მიმართ არ ნელდებოდა. იგი შეუურყველად მიდიოდა მიზნისაკენ. პირველ ყოვლისა დონ ალფონსოს და დონ პედროს მოუხდათ ბეჭდითა და ხელმოწერით დამტკიცებული საზეიმო დაპირების მიცემა, რომ ისინი ულაპარაკოდ დაემორჩილებიან ელეონორა ავტიტანელის განაჩენს; ასეთივე პასუხისმგებლობა მოსთხოვა დონა ლეონორსაც და სიფრთხილისათვის თვით ბერენგარიასაც. შემდეგ ორივე მეფის უწარჩინებულესი მრჩეველები იხმო. ჯერ ცალ-ცალკე ორივეს მისცა მთელი რიგი მოკლე და სხარტი შეკითხვები, შემდეგ პირისპირ შეახვედრა ის მინისტრები, რომელთა პასუხები და მსჯელობა ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ასეთი გზით მიიღო საჭირო ცნობები.

მხოლოდ ამის შემდეგ მოიწვია სახელმწიფო საბჭოზე არაგონისა და კასტილიის ყველა მინისტრი, საბჭოს არ ესწრებოდა მხოლოდ დონ იეჰუდა და დონ როდრიგო, სახელმწიფოებრივი საქმეები აჩერებდა მათ ტოლედოში.

— მე მინდა ჩემი გადაწყვეტილება გამოვაქვეყნო, — განაცხადა ელეონორამ. მან აიღო უქველესი მანუსკრიპტი, რომელიც არაგონზე კასტილიის სუვერენულ უფლებებს ადასტურებდა და გაშალა დამსკლარი, გაყვითლებული პერგამენტი, რომელზედაც ორი დიდი ბეჭედი ეკიდა; ყველამ მაშინვე იცნო ეს მნიშვნელოვანი საბუთი. — პირველ რიგში, წარმოთქვა დედოფალმა, — აქ დაწერილს გაუქმებულად ვაცხადებ. Non valet deletur, — და გაბედული მოძრაობით შუაზე გახია პერგამენტი. — Deletum est, — მტკიცედ დაადასტურა მან.

თავის დროზე, როცა იეჰუდამ სამედიცინო მოსამართლედ მეფე ჰენრიხი შესთავაზა, დონ ალფონსომ გულის ფანჯკალით სთხოვა მას გამოეტანა განაჩენი. სამაგიეროდ ელეონორა ღვთის მოვლენილ მოსამართლედ მიაჩნდა თავისი სადავო საქმეების გადასაქრელად. მაგრამ აი მან დინახა, როგორ ანადგურებენ ძვირფას პერგამენტს, რომელიც არაგონელ ქარაფშუტაზე ბატონობას ნებას აძლევდა, ხევენ ამ ცნობილ საბედისწერო საბუთს, რომლის გამოც იმდენი რაინდი და ცხენი დაიღუპა, მას მოეჩვენა, თითქოს მოხუცებული ხელები ცოცხლად გლეჯდა მის სხეულს ნაწილ-ნაწილად.

ამასობაში ელეონორა შეუდგა იმ ცხრამეტი სამეურნეო სადავო საკითხის განხილვას, რომელთა გადაწყვეტაზეც, იეჰუდას სიტყვებით, დამოკიდებული იყო, რომელი სახელმწიფო იქნებოდა ნახევარკუნძულის უზენაესი მფლობელი. უდიდესი სიზუსტით, უკანასკნელ სოღდომდე, ზღვარს უდებდა იგი კასტილიისა და არაგონის უფლებებსა და მოვალეობებს. კასტილია და არაგონი ხან კმაყოფილებით ისმენდა, ხან შეწუხებული.

ბოლოს მოხუცმა მონარქმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება გუტიერე დე კასტროს დაჩემების შესახებ. დონ ალფონსო ვალდებულია მას გადაუხადოს ორი ათასი ოქროს მარავედი, თავისი დანაშაულის გამოსასყიდად, — ელეონორამ უყოყმანოდ გამოაცხადა ეს მკაცრი სიტყვები, ციფრი გაუგონრად დიდი იყო, მსმენელებმა მღელვარება ძლივს დაფარეს. — მაგრამ, — აუშფოთველად განაგრძობდა მოხუცი დედოფალი, — ის კასტილიო ტოლედოში, რომელზედაც კასტრო თავის უფლებებს აცხადებს, დარჩება დონ ალფონსოს საკუთრებად ან იმ კაცისა, რომელმაც კანონიერი გზით შეიძინა. იგი კასტილიო იბნ ეზრად რჩება. — ძალიან ცდილობდა დონა ელეონორი თავი შეეკავებინა, მაგრამ მაინც გაფითრდა წყენისაგან. სამაგიეროდ ალფონსომ, რომელიც ვერც კი ბედავდა იმედი ჰქონოდა ასეთი გადაწყვეტილების, ახლა თავისუფლად ამო-

ისუნთქა; მისთვის ძალიან არასასიამოვნო ვალდებულება იქნებოდა სწორედ ახლა წაერთმია კასტილიო ებრაელისათვის.

— ვფიქრობ ამით დავამთავროთ, — თქვა მოხუცმა დედოფალმა, ვბრძანე ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გაამზადონ საბუთები. ამ საქმეში მონაწილე თანამდებობის პირთ გთხოვთ წარუდგინოთ თქვენს მეფეებს ისინი ხელმოსაწერად. მაგრამ ჩემს მიერ გადაწყვეტილ განაჩენს, როგორც სამედიატორო მოსამართლე, ამიერიდან ძალაში შეჰყავს ყველა ის კანონი, რომელიც მასშია დადგენილი.

მან მშვენივრად შენიშნა დონა ლეონორის ბრაზიანი გოცება და როცა მარტონი დარჩნენ, უთხრა:

— ბოლოს და ბოლოს როდის დაქვეიანდები, ჩემო შვილო? ექვიანობა ძველებურად გიბნელებს გონებას. წარმოიდგინე, რა გაუგონარი სისულელე იქნებოდა ჩვენი მხრიდან ებრაელისათვის ომის გამოცხადება. ნუთუ ბარონ დე კასტროს დამშვიდება გსურს, განა უკეთესი არ იქნება, რომ მომავალშიც ესწრაფოდეს იგი თავი წააცალოს ამ მეტიჩარას?

ელეონორამ შეიცადა, რომ მისი ნათქვამი ლეონორის შეგნებაჲდე დასულიყო. — წესად მიიღე, კასტილიის შვილო, — დამრიგებლურად უთხრა მან, — არასდროს არ მისცე მთხოვნელს სრულად, რასაც იგი მეძიებლობს. ეს სიბრძნე ჩემი პენრიხის დეიამ, განსვენებულმა მათილდამ ჩამაგონა. „ვისაც სურს თავისი მიმინო კარგად ემსახუროს, — ამბობდა იგი, — ნუ აქმევს მას, მხოლოდ გააღიზიანოს საქმლით“. ცუდი არ არის, დონა ლეონორ, ბარონ დე კასტროს გაღიზიანება კასტილიოთი.

ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო: — ნუ გეწყინება, რომ ხანდახან სასტიკად გექცევი და გიჭავრდები ხოლმე. ნუ ნაღვლობ, მე ყველაფერი ვიცი, რამდენი კარგი გააკეთე, რამდენი დაბრკოლება გაძალახე, რომ ქალიშვილის ქორწინებასა და არაგონთან კავშირისათვის მიგელწია. შენ პოლიტიკის ნიჭი გაქვს. შესაძლებელია უკანასკნელად ვხედავდეთ ერთმანეთს და მინდა შენში პოლიტიკისადმი სიყვარული გავადვივო. ძალაუფლების მოყვარულობა — ყველაზე საიმედო ვნებაა. — მან თვალები დახუჭა და განაგრძო მისთვის ყველაზე სანუკვარზე ლაპარაკი: — არ არსებობს იმაზე მიმზიდველი გასართობი, ვიდრე ის, რომ შენს ნებაზე ატარო ადამიანები, ქალაქები ააშენო, სახელმწიფოები გააერთიანო და მერე ისე დააქუცმაცო. შექმნა — სიხარულია და ნგრევა — სიხარულია; ნამდვილ გამარჯვებაში — დიდი სიხარულია, მაგრამ დამარცხებაზე უარს ვერ ვიტყვი. არავის უთხრა: თვით ეკლესიიდან განდევნაც კი გასართობი იყო ჩემთვის. როცა შეგაჩვენე ბიბლიით, სანთლებით, ზარების

რეკვით და მაშინვე ჩააქრობენ საკუროთხეველში სანთლებს, ჩამოაფარებენ ხატებს, შეაჩერებენ ზარების რეკვას, შმაგი სურვილი იღვიძებს შენში, ისევ ანთო სანთლები, რეკო ზარები, — დაუოკებელი სურვილი, რომელიც გონებას ამახვილებს. ყველა საშუალებას და გამოსავალს ვარაუდობ: შეინარჩუნო დღევანდელი პაპი და ეშმაკობით მოთაფლო იგი? თუ ტახტზე დასვა ანტიპაპი, რომელიც პირველს ჩაუქრობს სანთელს და შეუწყვეტს ზარების რეკვას?

ღონა ლეონორი სასოებით იჭერდა ჩურჩულით ნათქვამ ყველა სიტყვას. იგი მადლიერი იყო, რომ დედამ მას გული გაუხსნა და თავისთავს სიტყვას აძლევდა, გაემართლებინა ასეთი ნდობა.

ელეონორამ თვალი გაახილა და ქალიშვილს დაჟინებით დააკქერდა. — დიდ გულში ყოველთვის არის ბევრი თავისუფალი ადგილი და იქ იოლად შეიძლება ჩაბუდდეს მოწყენილობა, მელანქოლია, ცბიერი შტერი — ასეღია. ცოტა ტანჯვა როდია სპვირო, რომ ცარიელი ადგილები შეავსო. ლტოლვა ძალაუფლებისაკენ, უფრო მეტი ძალაუფლების მოპოვებისაკენ — ესაა უდიდესი, მაცოცხლებელი და ჩაუქრობელი ცეცხლი. დამიჯერე, შეილო, პოლიტიკა სიყვარულის ყველაზე უტბებს დამეზე ნაკლებ როდი ახურებს სისხლს.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ბურგოსის სასახლეში აღმოჩნდა კლირიკოსი გოდფრუა დე ლენიცი, რათა როგორც პრინცესა მარია დე ტრუას წარმომადგენელი დასწრებოდა ინფანტი ბერენგარიას ქორწინებას. გოდფრუა უახლოესი მეგობარი იყო იმხნად გარდაცვლილი საქვეყნოდ ცნობილი ტრუვერის, კრეტიენ დე ტრუასი, სადაც კი გოდფრუა გამოჩნდებოდა, რაინდები და ქალები საშველს არ აძლევდნენ და სთხოვდნენ, წაეკითხა მათთვის თავისი მეგობრის პოემები.

დიდმა პოეტმა კრეტიენ დე ტრუამ მრავალი მშვენიერი, უცნაური და ღრმააზროვანი რომანი დაწერა ლექსად: იგი მოუთხოვდა გვილიომ ინგლისელის რთულ, ზღაპრულად მომხიბლავ და ჭკუის სასწავლებელ ცხოვრებაზე, სიყვარულის ბედუქუდმართ და სანეტარო მომხიბვლელობაზე, რომელმაც მოაჯადოვა ტრისტანი და იზოლდა, რაინდ ივაენის არაჩვეულებრივ თავგადასავლებზე საიდუმლო ციხე-კოშკებში, გულით მართალი და გონებით ნათელი ყმაწვი-



ლის პარსიფალის ოცნებებსა და მოგზაურობებზე. მაგრამ ყველაზე სიამოვნებით მანდილოსნები და რაინდები ისმენდნენ ნაწყვეტს კრეტიენის მოთხრობიდან რაინდ ლანსელოტზე. ამოდ ირწმუნებოდა გოდფრუა, რომ კრეტიენს ეს პოემა არ მიაჩნდა კარგად და ამიტომ არც დაუმთავრებიაო; მაინც „ლანსელოტი“ ყველაზე საყვარელი იყო მის ნაწარმოებთა შორის. რაინდები და მანდილოსნები მოითხოვდნენ, რომ გოდფრუას წაეკითხა სწორედ „ლანსელოტი“.

აი, რა ხდება მოთხრობაში ლანსელოტზე: ქრისტიან რაინდთა შორის ყველაზე სახელოვან ლანსელოტს უყვარს დიდგვაროვანი მანდილოსანი ჭინევრა და როცა მას თავზე უბედურება დაატყდება, ლანსელოტი გაემგზავრება მის გასანთავისუფლებლად. იგი ცხენს კარგავს და იმედი აღარა აქვს ჭინევრას მომტაცებელს დაეწიოს. იქვე მოდის ურიკა, მყვლეფელის ურიკა. მისი პატრონი, საზოზლარი ჯუჟა, თავაზიანი, სასაცილო ღრეჭით მიიპატიჟებს ლანსელოტს ურიკაში ჩასაჯდომად, მაგრამ რაინდისათვის ამ ურიკით გამოჩენაზე უფრო მეტი სირცხვილი არ არსებობს. ლანსელოტი ჯერ ყოყმანობს, მაგრამ მერე ჯდება ურიკაში და გზას განავრძობს, მოქალაქენი დასცინიან მას, იგი ათავისუფლებს თავის სატრფოს. ქალი უფლებას არ აძლევს ლანსელოტს წარდგეს მის წინაშე და უბრძანებს უახლოეს ტურნირში დამალოს თავისი ძალა და დამარცხდეს. იგი ემორჩილება მის სურვილს და კიდევ ბევრ სირცხვილს ჭამს, იმიტომ რომ ასეთია მისი სატრფოს ნება, მაგრამ ქალს გული მაინც არ მოუღებება და ბოლოს თავის განრისხების მიზეზს ეტყვის: შენ არ იცი, რა არის ჭეშმარიტი სიყვარული — ვიდრე ურიკაში ჩაჯდებოდი, მთელი ორი წუთი ყოყმანობდიო.

ვინაიდან დედოფალი ელეონორა და დონა ლეონორი ყველასთან ერთად ხშირად უსმენდნენ ტრუბადურებსა და ტრუვეერებს, თავაზიანობა მოითხოვდა, დონ ალფონსოც ხანდახან მაინც გამოჩენილიყო ამ შეკრებილობაზე. და აი, ერთხელ იგი უსმენდა, როგორ კითხულობდა კლირიკოსი გოდფრუა „ლანსელოტს“.

ჩვეულებრივ რომანები ლექსად სწყინდებოდა ხოლმე ალფონსოს. გამოგონილ რაინდთა თავგადასავლები უაზროდ მიაჩნდა, მათი სასიყვარულო ღულუნნი და ვიშვიში — თვალთმაქცობად. მაგრამ ამ მოთხრობამ უნებურად გაიტაცა იგი. როგორი უგუნურიც არ უნდა ყოფილიყო ლანსელოტის საქციელი, იგი უშუალოდ გულში ხვდებოდა ალფონსოს და აწუხებდა, ძალას ატანდა თავისთავს, ჩაფიქრებულებოდა და რაღაც გაერკვია.

დამით ლოგინში ისევ იმაზე ფიქრობდა. მეტისმეტად დაღლილს

ფხიზლად ყოფნა არ შეეძლო, თვალდახუჭული იწვა, მაგრამ იმდენად აგზნებული, რომ ძილი არ ეკარებოდა და თვალწინ ურიკაში მჯდომი ლანსელოტი ედგა. მაგრამ უცებ ლანსელოტი ურიკაში კი არა, მის საწოლზე აღმოჩნდა.

„შენ აქ რა გინდა? — ჰკითხა გაბრაზებულმა ალფონსომ. — იქნებ გინდა მითხრა, რომ მე და შენ ერთი ჯურისანი ვართ? — ლანსელოტმა თანხმობით დაუქნია თავი. — არა, ამას თავი დაანებე, — დაუყვირა მას ალფონსომ. — მე შენი ძმა და ამხანაგი არა ვარ“. ლანსელოტი არაფერს პასუხობდა, მაგრამ დაჟინებით უყურებდა ალფონსოს და მასაც კარგად ესმოდა, ამ სიჩუმით რას ეუბნებოდა იგი. რა თქმა უნდა, შენ ჩემი ძმა და ამხანაგი ხარ, — ეუბნებოდა ლანსელოტი, — *eques ad fonacem*, რაინდი-ნაცარქექია. ალფონსო მოემზადა, რომ კარგი პასუხი გაეცა, უნდა დაესახელებინა მრავალი სამხედრო და პოლიტიკური მიზეზი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ხელს უშლიდა მას, ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიეღო მონაწილეობა. მაგრამ უცებ საშინელი სიცხადით იგრძნო, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა. ნამდვილი მიზეზი, რის გამო იგი საომრად არ მიდიოდა, მხოლოდ ერთი იყო, — მას უნდოდა რაკელთან ყოფილიყო. დიახ, იგი ლანსელოტის ნამდვილი ძმა და ამხანაგია, დიახ, მანაც ატარა სირცხვილის ტვირთი, დიახ, იგი მართლაც „განებვიერდა“.

ალფონსოს საშინლად შერცხვა.

მალე მან სანეტარო შიშით შეიგრძნო, როგორ შეცვალა სირცხვილის გრძნობა ძალიან ნაცნობმა, წყეულმა და სასურველმა აღმურმა; საიდანღაც გალიანას ბაღების სურნელებამ დაჰბერა, ძარღვებში სისხლი აჩქეფდა, მწველ დენად დაუარა. ტკბილ და საამო შხამად იღვრებოდა მის სისხლში რაკელი.

სცადა განთავისუფლებულიყო ამ გრძნობისაგან. მძიმედ სუნთქავდა და ბავშვივით გაბრაზებულმა შიშველი ფეხებით საბანი გადააგდო. მალე დაანებებს თავს ეს ლანსელოტი ალფონსოთი თავის შექცევას. დღე-დღეზე ომს დაეიწყებთ და როგორც ბრძოლის ველზე გავა, რაკელი მაშინვე ჩაბარდება შორეულ წარსულს. — *Absit! Absit!* — იმეორებდა იგი თავისთვის. სამუდამოდ უნდა დაშორდეს მას! ტოლედოში დაბრუნებისთანავე მონათლავს შვილს და მერე თავის სამეფოს სამხრეთ საზღვარზე კალატრავასა და ალარკოსში წავა, რაკელთან კი სამუდამოდ გაწყვეტს კავშირს.

„მაშინ შენთან არაფერი მექნება საერთო, შე საბრალო, ქალების

მაამებელი, — გაცხარებით განუცხადა მან ლანსელოტს, — საერთოდ სასაცილო ხარ შენი მონური სიყვარულით“. მაგრამ ლანსელოტი უკვე აღარ იყო.

დონ ალფონსო მაინცდამაინც არ წყალობდა ტრუბადურებსა და ტრუვერებს, მაგრამ მათ შორის მაინც მოსწონდა ერთი, ვინმე ბარონი ლიმუზენიდან, ბერტრან ღე ბორნი.

ეს ბარონი თავის თავს გრაფ ოტეფორას კი უწოდებდა, მაგრამ დიდი სენიორი როდი გახლდათ, მის ხელქვეით მხოლოდ რამდენიმე ასეული კაცი იყო. მაგრამ სახელი გაითქვა თავისი მგზნებარე ლექსებით. სიყმაწვილიდანვე ხიბლავდა ხალხს და ქარიშხალივით იჭრებოდა მათ ცხოვრებაში. ამბობდნენ, თავის დროზე გაფურჩქვნის პერიოდში მყოფი სრულიად ყრმა ბერტრანი დედოფალ ელეონორას კეთილგანწყობით სარგებლობდაო. მოგვიანებით, როგორც ორი ციხის მფლობელი, ლექსებითა და ხმლით მონაწილეობდა ყველა ბრძოლაში, არცკი ერკვეოდა კარგად, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველთვის ახერხებდა მომხრეების შეძენას. ბრაზიანი და ომის მოყვარული იყო. ძმასთან ვერ მორიგდა მამის დანატოვარ მემკვიდრეობის გაყოფაზე და დაიწყო მასთან ბრძოლა ლექსებითა და იარაღით, თუმცა ძმის მოთხოვნები სავსებით ზომიერი იყო. მათი სენიორი, მეფე ჰენრიხი, მის ძმას მიემხრო და დაეხმარა, რომ თავისი უფლებები შეენარჩუნებინა. მაშინ ბერტრანმა ლექსებით მანამდე აღიზიანა ჰენრიხი მამის წინააღმდეგ საბრძოლველად, ვიდრე ახალგაზრდა მეფე ბერტრანების ციხის კედელთან სასიკვდილოდ განგმირული არ დაეცა. მაგრამ ბერტრანი არ ცხრებოდა. ლიმუზენელ ბარონებს აქეზებდა თავიანთი მეფის, უფროსი ჰენრიხისა, და ერთმანეთის წინააღმდეგ საომრად; იგი ყველას წინააღმდეგ იყო ამხედრებული და ყველა მის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა მეფე რიჩარდმა ბერტრანის ციხეები გადასწვა, თვითონ ბერტრანი კი დაატყვევა. მაგრამ მალე ისევ შერიგდნენ და ახლა ბერტრანი სიცილიისაკენ მიდიოდა, რათა რიჩარდის ჭვაროსნულ ლაშქარს შეერთებოდა.

ბერტრან ღე ბორნის ქება პირინეებს გადასცდა. ესპანეთში პირველ რიგში მისი პოლიტიკური სიმღერები, სირვენტები გახდა ცნობილი. სადაც უთანხმოება და ომი წამოიწყებოდა, იქ ეღერდა. მისი მგზნებარე ლექსები. მისი დევიზი: „მშვიდობით გულებს ვერ ავაგზნებ, მხოლოდ ერთი სამართალი ვიცი — მახვილი“ — ყველასათვის „მამაო ჩვენოსავეთ“ ნაცნობი იყო.

ახლა ბერტრანი სამოც წელს იყო მიღწეული, მაგრამ რაინდობასა და კურტუაზიულობაში ტოლს მაინც ვერავენ დაუდებდა. დონ ალფონსოს ბერტრანი ნახვისთანავე მოეწონა და თუმც მუფეს პროვანსული ენა გაკვირვებით ესმოდა, იგრძნო, რომ ბერტრანის დაუოკებელ, კორდოვულ ფხასავით ფაქიზად ალესილ და მახვილ მებრძოლ ლექსებს არაფერი ჰქონდა საერთო ესპანელი მომღერლების უბადრუკ ვირშებთან.

დონ ალფონსო აშკარად უმელაგნებდა ბერტრანს თავის კეთილგანწყობას. ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდა და ყოველნაირად ახალისებდა, თავის ამაღასთან ერთად სანადიროდ მიჰყავდა, მეგობრულად ესაუბრებოდა.

ბერტრანს ნიჭი ჰქონდა, ისე ნათლად გამოეკვეთა ადამიანები და მოვლენები, რომ ისინი მსმენელთა თვალწინ ცოცხლდებოდნენ.

მაგალითად, როცა მოხუც მეფე ჰენრიხზე ჰყვებოდა, სიტყვით ხატავდა გარდაცვლილ მეფეს — ჩასისხლიანებული ნაცრისფერი თვალეები, გამოწეული ლაწვები, წვეტიანი უხეში ნიკაპი, უძღები პირი. რა თქმა უნდა, მეფე ჰენრიხი გმირი იყო, მაგრამ გმირი არა ბოლომდე. მას აკლდა ხელგაშლილობა, გულუხეობა, ცოტათი მოიძუნწებდა. ბოლოს ბერტრანი ტყვედ წარსდგა მეფის წინაშე, სიტყვის გარდა არავითარი იარაღი არ გააჩნდა, მაგრამ თავისი სიტყვით დაამარცხა დამმარცხებელი. მეფემ იგი გაათავისუფლა და ხელახლა აუშენა გადამწვარი სასახლე, მაგრამ აქაც სიძუნწე გამოიჩინა. რას იზამ, იგი არც ნამდვილი მეფე იყო, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა დიდ მეფედ მოეჩვენებინა თავი ხალხისათვის. იგი იპყრობდა არა დაპყრობის სიყვარულისათვის, არამედ იმისათვის, რომ მიეტაცნა და მიეთვისებინა. ხასიათისა და საქციელის პატარა შტრიხებით ამქლავებდა თავის სიძუნწესა და ხელმოკერილობას. მას ამხელდა თითები — ერთი წუთით რომ არ შეეძლო მშვიდად გაჩერება. ან ხარბად იშლებოდა და იღუნებოდა და ამით ამქლავებდა მის ყალბ სიდიადეს, ან რაღაცას ხაზავდა და ხატავდა. იგი ბევრ დაპირებებს იძლეოდა — და ასრულებდა კიდევ, ოღონდ ნახევრად. „ჰო და არა“ — ასე უწოდა ჰენრიხს ბერტრანმა და ეს მეტსახელი შერჩა მას.

ბერტრანის მონათხრობს როცა ყურს უგდებდა, დონ ალფონსოს თვალწინ თავისი სიმამრი წარმოუდგებოდა, უფრო ნათლად ხედავდა, ვიდრე მაშინ, როცა მას საკუთარი თვალით უყურებდა.

— ასეთი როდი იყო ჩემი ახალგაზრდა მეფე ჰენრიხი, — განაგრძობდა საუბარს ბერტრანი. — Rassa-ს ვეძახდი და იგი მართლაც Rassa იყო. მთელი სიცოცხლით ცხოვრობდა, არაფერს ზოგავდა,

რაც კი გააჩნდა, იქნებოდა ის შინონის საგანძურები, თავისი რაინდები, დაქირავებულები თუ თავისი თავი. იგი დიდებული იყო, ნამდვილი *Rassa*; და ამიტომაც მოხუცმა მეფემ ორმაგი უნაამუსობა ჩაიდინა, ასე რომ მოჰკლა. რად დასვა მეფედ, თუ მეფურად ცხოვრების ნებას არ დართავდა? დიახ, მართალია, მე მას ვამხედრებდი მამის წინააღმდეგ და როგორც კი შერიგდებოდნენ, ისევ ვაქეზებდი. ხალხი ამბობს, რომ სწორედ ამისათვის დაიღუპა იგი. არასდროს არ მეგონა, თუ ადამიანს შეეძლო ისეთი ჯოჯოხეთური ტყვილის ატანა, რაც მე განვიცადე ჩემი ახალგაზრდა მეფის გარდაცვალების გამო, შეიძლება, მართლაც ჩემდ ლექსების ბრალია მისი სიკვდილი და მაინც მე არაფერს არ ვნანობ. — იგი საუბარს განაგრძობდა ჩუმად და ავზნებულად. ალბათ უკვე თავისთავს მიმართავდა: — ბევრი ქალი მიყვარდა და ბევრი დამიკარგავს, ხშირად შევწუხებულვარ ერთის ან მეორის დაკარგვის გამო. მაგრამ ნამდვილად მხოლოდ ახალგაზრდა მეფეზე ვინაღვლე — და ბერტრანმა სიმღერით, თითქოს თავისთვის დაიწყო იმ ლექსების კითხვა, რომლებიც ახალგაზრდა მეფის გარდაცვალების გამო შეთხზა, ის ჩივილი, რომელზე მშვენიერიც არავის მიუძღვნია გმირისათვის მას შემდეგ, რაც დაეთმა იონათანი დაიტერა. — *Si tuit li dol e'lh plor e'lh marrimen*, — მღეროდა იგი.

რომ შეერთო მთელი ქვეყნის დარდი და სევდა,  
 ტრემლი, წუბილი, დანაკარგი და მწუხარება,  
 რაც კი ჩვენს დროში განუცდიათ ადამის ძეთა,  
 ვერ შეედრება ის ჩემს წუხილს, ჩემს დიდ წაბეძას  
 ბრითა ყრმა მეფის მიცვალებით გამოწვეულსა.

დონ ალფონსო უყურებდა, როგორი ვნებით ლაპარაკობდა ბერტრანი, თითქოს საკუთარ შინაგან ხმას უსმენსო. მისი თხელი, კეხიანი, ნამდვილად არწივისებური ცხვირის ზემოთ დიდი, მოუსვენარი ნაცრისფერი თვალები ბრწყინავდა. პოეტი ამ სამწუხარო ლექსებს ისეთი გულწრფელობით კითხულობდა, რომ დონ ალფონსოს ეგონა, თითქოს იგი ახლა თხზავდა და მეფეს გული აუჩუყდა, რომ ბერტრანმა თავის საიდუმლო გაანდო. ალფონსოს სურვილი დაებადა ნლობისათვის ნლობითვე ეპასუხა. ბერტრანი, ეს ნამდვილი რაინდი, დაჯილდოებულია იმ გამოუთქმელი და აუწერელი გრძნობების სიტყვით გადმოცემის ნიჭით, რომლებიც უთავბოლოდ ირევიან გულის სიღრმეში. ბერტრანის გარდა, ვინ გაუგებს ალფონსოს იმ გაურკვეველსა და უხილავს, რომელიც მას აწუხებს.

— შენ ამბობ, რომ ნამდვილი სიყვარულით არც ერთი ქალი არ გყვარებია? — მისთვის უჩვეულო მოკრძალებით ჰკითხა ალფონსომ.

ბერტრანმა გაოცებით შეხედა მეფეს. — ასე დაბეჯითებით არ დავიწყებდი მაგის მტკიცებას, — უპასუხა ბერტრანმა ღიმილით. — მაგრამ შენ ნათქვამში ცოტა სიმართლე მაინც არის. — მაგრამ შენ ხომ მშვენიერი ლექსებით უმღეროდი ქალებს? — შეეპასუხა ალფონსო. — არ უარყოფ, მამაკაცმა ქალს სასიამოვნო რაჰ უნდა უთხრას, ამას მოითხოვს კურტუაზულობა, ზოგჯერ გულიც. ქალისთვის ზეცის ლაქვარდიც კი შემიფიცია. მაგრამ ღამით მიცემული სიყვარულის ფიცი დილისთვის ძალას კარგავს. მათი გატეხვა — საპატიებელი ცოდვია, ამაში ჩემი სულიერი მამაც კი გამოტყდა. ბოლოს და ბოლოს განა ჩვენ ქალმა არ გვატყუა ვაშლით?

ალფონსოს გაეცინა, მაგრამ შეკითხვები მაინც განაგრძო: — ყოველთვის სძლევდი სიყვარულს ყველა ქალის მიმართ უკლებლივ? — მოხუცმა რაინდმა შენიშნა, როგორი დაძაბული ელოდა ალფონსო მის პასუხს. მიხვდა, რომ იგი ებრაელის ქალთან თავის სასიყვარულო კავშირზე ფიქრობდა და თითქმის მამობრივი სინაზე იგრძნო ახალგაზრდა მეფის მიმართ, რომელიც, ბევრჯერად გულუბრყვილო ეშმაკობას ამოფარებული, მისგან ნუგეშს ითხოვდა. — კი, მე ამას ვახერხებდი, — უპასუხა ბერტრანმა. — მაგრამ ქალი, — აგდებული უღარდულობით განაგრძო მან, თან მზიარულად და ალერსიანად შეხედა ალფონსოს, — როგორც არ უნდა აგვიმღვრიოს სისხლი, სულს არ ეკარება. ყური მიგდე, რას გეტყვი, ალფონსო: რაინდის ცხოვრება ნიაღვარივით შმაგია, რომელიც შლის და ფქვავს ყველაფერ არამტკიცეს, ყველაფერს, რაც სულს არ ეთვისება. ის ქალებიც კი, რომლებსაც ლექსები ვუძღვენი, დიდი ხანია წაიშალნენ ჩემ მეხსიერებაში, ცარიელ მოგონებად დარჩნენ, ბურუსით დაიფარნენ. სულ სხვა საქმეა ბრძოლები — მათი კვალი დიდხანს რჩება. მისი მოგონება გათბობს და ძალას გმატებს. სული ახალგაზრდა შემრჩა იმ ბრძოლების წყალობით, რომლებშიც მონაწილეობა მიმიღია. — მან ეშმაკურად და ლალად გაიცინა. — სხეულიც. ახლა თვითონ დაინახავ, რა მინდა ამით ვთქვა, — ხუმრობითა და იღუმალი გამომეტყველებით დაპირდა იგი.

მან თავის საკურველმტვირთველს პაპიოლს დაუძახა, რომელიც მასზე უმცროსი არც კი იქნებოდა, მაგრამ მასავით მხნედ გამოიყურებოდა, მზიარულად შეანათა მეფეს თავისი ცუცხლოვანი, ღრმად ჩამჭდარი თვალები და უბრძანა: — აბა, მეგობარო პაპიოლი გვიმღერე იმაზე, თუ ვინ არის ახალგაზრდა და ვინ მოხუცი!

პაპიოლმა პატარა არტა დაუკრა და უტიფარი და მკვირცხლი სიმღერა დაამღერა:

„Joves es om que lo seu be engatge“.

ახალგაზრდაა ის, ვინც ქონებას  
აგირავეებს და ტურნირზე მიდის,  
თუმც უფულოა თქვენ გეგონებათ  
გულუბნევი მეფე, მოწყალე დიდი.  
ახალგაზრდაა, დევნილი ვინაც  
მეველეთაგან კვლავ უზის კარტსა,  
ის, ვინც სიცოცხლეს მსხვერპლად სწირავს  
და სიყვარულშიც არ ზოგავს თავსა.  
ის კი, ვინც თავის პურსა და ღვინოს  
ბნელ სარდაფსა და ბელელში მალავს,  
არის ბებერი, მოხუცი, ვინაც  
შიშობს, ჳამით არ დაადგეს ძალა.  
ვინც მოსასხამში თავშერგულია,  
წვიმის მოშიშარს როგორც შეფერის,  
ბანქოს თამაშში ვერ მოხსნის ბანქსა —  
მოგების სიტკბოს არ სცნობს სრულიად,  
ის, რა თქმა უნდა, არის ბებერი.

ბობოქარმა ცხოვრებამ ასე თუ ისე მოტეხა ბერტრანი, თუმცა მას მხნედ და გამომწვევად ეჭირა თავი და თითქმის ყოველთვის აჯლარუნებდა საჭურველს, მაგრამ მისთვის ძალიან ძნელი იყო იმის დაფარვა, რომ ამ საჭურველს საკმაოდ უძლეური სხეული ატარებდა, ამიტომაც სიბერეში შესულ რაინდზე, მის მოხუც საჭურველ-მტვირთველსა და მათ ლექსებზე შესაძლებელია ზოგიერთებს გაღიმებოდა, მაგრამ ალფონსოს არ ეღიმებოდა. იგი ყურს უგდებდა და ლექსში ამჩნევდა ნორჩ, ძლიერ ალტკინებას, სწრაფმავალი დროის ორთაბრძოლაში გამოწვევას, სიცოცხლის მოუსვენარ სრბოლას. — მადლობელი ვარ, ბერტრან, — აღფრთოვანებით უთხრა მან, — ეს ნამდვილად რაინდულია, ეს ხელოვნება!

მოხუც ბერტრანს სიამოვნებდა ახალგაზრდა მეფის აღფრთოვანება. ვინმეს რომ გაეებდა და უბრალო გადახედვით ან მოძრაობით ეჭვი გამოეხატა მისი ძალის მიმართ, ბერტრანი თავხედს ორთაბრძოლაში გაიწვევდა. მაგრამ ალფონსოს ძმად და მეგობრად თვლიდა და მას გამოუტყდა. — ვაი, რომ ყველაზე ვაჟკაცური ლექსებიც კი ვერ დაიცავენ სხეულს დაუძლეურებისაგან. მეფეო, შემოძლია შენ გითხრა: ეს ჩემი უკანასკნელი ლაშქრობა იქნება. არ მინდა თავის მოტყუება: კიდევ ერთი წელი ან ორი და ძაბუნი სხეული უარს მეტყვის სამსახურზე, უძლეური რაინდი კი ბავშვების სამასხაროა. უკვე მოლაპარაკებული ვარ დალონის სავანის წინამძღვართან: თუ ომიდან ცოცხალი დავბრუნდები, მონასტერში წავალ.

მეფე ამბობდა, რომ ბერტრანი მას გულს უხსნიდა და გუნებაში გადაწყვიტა: „სულაც არაა საჭირო, რომ ამ დიდებულმა რაინდმა და პოეტმა თავისი უკანასკნელი საბრძოლო გამარჯვებები მეფე რიჩარდის მეთაურობით მოიპოვოს. ჩემ ცოლისძმას, რიჩარდს, ნებას არ მივცემ ესეც წამართვას. დე, ბერტრანმა ჩემ მხარდამხარ იბრძოლოს და ჩემ ბრძოლებს უმღეროს“.

ბურგოსში კანონიკი დონ როდრიგო ჩამოვიდა.

იგი სევდითა და შიშით იყო შეპყრობილი. დონ ალფონსოს, როგორც ჩანდა, არ უნდოდა თავისი ვაჟიშვილის მონათვლა და ქრისტიანულ თემში მიღება. ამით იგი მომაკვდინებელ ცოდვას იღებდა; უმიზეზოდ არ იყო, რომ ტოლედოდან წამოსვლის წინ მასთან საუბარს თავი აარიდა. მაშინ როდრიგო გაახარა ამ ამბავმა. იგი სამარცხვინო შიშს გრძნობდა განმარტების მოლოდინში და თავის მოვალეობას გაექცა. მხოლოდ ახლა, რამდენიმე კვირის შემდეგ, მოერია თავის თავს და მეფესთან გამოცხადდა.

მაგრამ, აქაც, ბურგოსში, ალფონსო აშკარად გაურბოდა მასთან საუბარს და იგი კვლავ შეურიგდა ამ ამბავს.

საზრუნავის, მონანიებისა და სირცხვილის დასავიწყებლად კანონიკი ბურგოსის სასახლის ორომტრიალში ჩაება. ცნობისმოყვარეობით აღევნებდა თვალს, თუ რამდენად დახვეწილი გახდა ჩრდილოეთელთა სასახლის ზნე-ჩვეულებანი. მანდილოსნები და მამაკაცები გულმოდგინედ სწავლობდნენ კურტუაზულად მოქცევის წესებს, დავობდნენ რაინდული სიყვარულის ახირებულ კანონებზე და როგორც საქმის კარგი მცოდნენი, მსჯელობდნენ პოეტების ხელოვნებაზე.

მაგრამ იგი მალე დარწმუნდა, რომ სასახლის გადაპრანქული წესები — მარტოოდენ ცარიელი, ცრუ თამაში იყო და სხვა არაფერი. სინამდვილეში მანდილოსნებსაც და მამაკაცებსაც მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა და იტაცებდა — კარს მომდგარი ომი. ავხორცი, თავდავიწყებული მოუთმენლობით ელოდნენ მას.

მკმუნვარედ აღევნებდა დონ როდრიგო ამას თვალს და კიცხავდა თავისთავს ასეთი წუხილისათვის, ომი, რომელიც მათ ასე სწყურიათ, ხომ საღვთო ომია, მათი აღფრთოვანება ღვთისმოსავურია; ყველას ვალია მასში მონაწილეობა და ცოდვაა მისი გაკიცხვა.

მაგრამ იგი ვერაფრით ვერ ახერხებდა ღვთისმოსავურ ზემის შეერთებოდა. მასში ცოცხლობდა ისაია წინასწარმეტყველისა და სახარებიდან ამოკითხული მშვიდობის სადიდებელი მშვენიერი



ქსიტყვები და მისი მოწაფის, მშვიდობის მგზნებარე დამცველის, დონ ბენიამინის საუბარი. მწუხარებითა და ძრწოლვით წარმოიდგენდა, რამდენ უბედურებას მოუტანდა ომი მთელ ნახევარკუნძულს. კანონიკი საშინელ სიმარტოვეს გრძნობდა ამ ხმაურსა და მხიარულ ფაციფუცში. ამ გასათუთებული განათლებული ადამიანების სისხლს მოწყურებული აღფრთოვანება ზიზღს გვრიდა მას და თავისი მეგობრის, მუსას, მსჯელობა აგონდებოდა ბოროტების დასაბამზე.

ყველაზე მეტად ეჭავრებოდა მას ეს კაცი, ბერტრან დე ბორნი, რომელსაც ღმერთმა წილად არგუნა ველური და უღმობელი სიხარულის გამომხატველი ყოფილიყო. ერთი შეხედვით იგი ბევრით არაფრით განირჩეოდა სხვა ხნიერი მამაკაცებისგან. მაგრამ დონ როდრიგო კარგად იცნობდა მის ლექსებს, საქმეებს და მისწრაფებებს. როცა ამ რაინდს სახეში შეხედავდით, მის სქელ წარბებს შეფარებული მოუსვენარი თვალები მაშინვე გაგრძნობინებდათ, რომ იგი ნამდვილად ომის განსახიერება იყო. თითქოს სასაცილოდ მოგეჩვენებოდათ, როცა იგი განსაკუთრებული ვაჟკაცური იერით მიაბიჯებდა, ცხენს მიაკენებდა ან საზოგადოების წინაშე გამოდიოდა; მაგრამ საშინელება, რომელიც ამ ადამიანში აშკარად ჩანდა, კანონიკს მის მიმართ ირონიის ხალისს უკარგავდა. არც არაფერია აქ სასაცილო. ეს იყო თვით საშინელი ღმერთი მარსი, მთელი თავისი მრისხანებით. ასეთებად წარუდგნენ, ალბათ, იოანე მახარობელს ცხენოსნები განკითხვის უამს.

ამასთანავე, თვით დონ როდრიგოც იხიბლებოდა ბერტრანის გააფთრებული ლექსებით და, როგორც მცოდნე, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მათი მძვინვარე ხასიათის მიუხედავად, ბერტრანის საბრძოლო სიმღერები დიდებული, მომაჯადოებელი და გრაციოზულია. როდრიგო შეწუხებული და გაბრაზებული ხედავდა, როგორი დიდი ხელოვნებით დაეჭილდოვებინა ღმერთს ეს თავაშვებული კაცი. როდრიგოს ბრაზი მით უფრო ძლიერდებოდა. რამდენადაც რწმუნდებოდა, რომ მისი საყვარელი ალფონსო მასთან, როდრიგოსთან, ლაპარაკს გაუბოლოდა და ამ ღვთისგან მოძულეულ, თავაწყვეტილ რაინდს არ იშორებდა. დაეკვივებული როდრიგო გულისტკივილით ადევნებდა თვალს ამ ორი ადამიანის შინაგან ნათესაობას და მეფის სათნოების გზაზე შემობრუნების იმედი დღითი დღე უქრებოდა.

თავის მწუხარებაში კანონიკს მხოლოდ ერთადერთი სიხარული დარჩა: კლირიკოს გოდფრუასთან ურთიერთობა. დონ როდრიგო დიდად აფასებდა კრეტიენ დე ტრუას რომანებს, გოდფრუას სახე

თითქოს იმ საოცარი, გულწრფელი ღვთისმოსაობის განსახიერება იყო, რითაც კრეტიენი თავის რომანებს სულს უდგამდა. ამიტომ კანონიკის საამებლად გოდფრუა კრეტიენის რომანებიდან არჩევდა პირველ რიგში ისეთ წიადსვლებსა და უწყინარ ჩანაფიქრებს, სადაც განსაკუთრებით ნათლად ჩანდა კრეტიენის არაჩვეულებრივი, განუმეორებელი ნიჭი — განდგომოდა მიწიერ უხამსობას.

ამრიგად, ერთხელ მან მრავალრიცხოვანი მსმენელების წინაშე წაიკითხა რაინდ ივანის თავგადასავალი *pauvres pucelles*, ლარიბ ქალწულებთან.

ერთხელ რაინდი ივანე მოხვდა *des pauvres pucelles* საცხოვრებელში და, აი, იგი ხედავს მათ, ამ ლარიბ ქალწულებს, ისინი კერავენ და მოსართავად აწნავენ ოქროს და აბრეშუმის ძაფებს; თვითონ შესახედავად ძალიან საწყლები არიან: კორსაჟი და კაბა დახეულ-დაკონკილი აქვთ, პერანგები ოფლიანი და ჭუჭყიანი, კისერი გაუხეშებული, სახე შიმშილისა და მწუხარებისაგან გაფითრებული. ხედავს ივანე მათ, ისინიც ხედავენ მას, მაგრამ სირცხვილისაგან თვალუბს ძირს ხრიან, ტირიან და ჩივილს იწყებენ:

ჩვენ ვქსოვთ აბრეშუმს, სტავრას და მაქმანს,  
თვით კი, შიმშლებმა, არ ვიცით, რა ვქნათ.  
რა შეუძლია ჟამაგირს ჩვენსას:  
ვერც ხორცს ვვიყიდის, ვერც ტანსაცმელსა,  
და ვინაწილებთ მონაგარს ოფლით,  
ლუკმა პურზეც კი რომ იღარ გვეოფნის;  
დილით ცოტას ვჭამთ, ღამითაც მცირეს,  
შიმშილით გავწყვდით და გავიწირეთ.  
ვინაც კვირაში ოც სუს იშოვის,  
მას ქალბატონი ჰგონია თავი,  
ბოლოს რწმუნდება, ვერ მოიშორა  
სიღატაკე და შიმშილი ავი.  
მაგრამ ჩვენს ნაცულად ხდება მდიდარი,  
ჩვენს ნაშრომის ქურდი ვინც არის.  
თვით ნადიმობენ და ჩვენ კი ღამის  
გაეწყდეთ, ოფლსა ვღვრით დღისით და ღამით.  
თუ ჩავიშხლეთ, დავსუსტდით ისე,  
პატრონის პანდურს შევიღებთ მყისვე.  
ყოჩობეთში ვართ, ექვნებით, ვიღვეით  
ჩვენ — საცოდავი ქალიშვილები.

ღონ როდრიგოსთვის სანუგეშო იყო მოსმენა, რომ რაინდებისა და ბანოვნების ბრწყინვალე შარავანდედმა პოეტ კრეტიენ დე ტრუ-

ას ვერ დაუჩრდილა სადღაც იქ, ქვევით, შრომისაგან წელში გაწვეტილი ადამიანების მწუხარება. მაგრამ დანარჩენი მსმენელები, ყველა ეს preux chevaliers და dames choisies, რომლებიც ატარებდნენ სწორედ იმ pauvres pucelles მიერ დამზადებულ მორთულობებს, გაოცებული და შეწუხებულნი იყვნენ. რა სულელური ახირება მოუვიდა აზრად განსვენებულ ტრუვერს? როგორ შეეძლო ადამიანს, რომელმაც ასე ტკბილად და კეთილშობილურად უმღერა რაინდულ სიყვარულს და საგმირო საქმეებს, ამ ზომამდე წაებილწა საკუთარი ბაგეები? როგორ თხზავდა ლექსებსა და რითმებს ამ საცოდავ მკერავ ქალებზე? ერთნი კერავენ მორთულობებს, მეორენი იცმევენ, ერთნი აწრთობენ მახვილებს, მეორენი ჰკლავენ ამ მახვილებით; ერთნი სასახლეებს აგებენ, მეორენი ცხოვრობენ ამ სასახლეებში — ასეა დაწესებული, ასე განსაჯა ღმერთმა თავისი სიბრძნის წყალობით. თუ ეს არაარობანი, pauvres pucelles, აღსდგებიან ასეთი წესის წინააღმდეგ, მაშინ უფალმა დაუფიქრებლად უნდა მოსტეხოს მათ ხელ-ფეხი.

ამჯერადაც საერთო აზრი ბერტრან დე ბორნმა გამოთქვა. ჩრდილოეთური კილო, რომელზედაც წერდა კრეტიენი, ბერტრანს ისედაც უთავბოლო ლულულად მიაჩნდა, ეს გარითმული ლაყბობა, რომლის მოსმენა მას ახლა მოუხდა, მისი აზრით, ნამდვილად აბდაუბდა იყო, მან კითხვის დროსაც ძლივს შეიკავა თავი სიცილისგან, და როცა გოდფრუამ დაამთავრა, ბერტრანმა პირდაპირ უთხრა: — საოცარია, თქვენ, ჩრდილოელები, როგორ ეტანებით მღაბიო ხალხს და მათ სიმყარეს. გინდა იცოდე, პატივცემულ გოდფრუა, ჩვენ აქ, სამხრეთში, რას ვფიქრობთ ამის შესახებ? — მანდილოსნებმა და კავალრებმა, რომლებიც წინასწარ ტკბებოდნენ მიცვალებული კრეტიენის ცრემლიან ლაყბობას თუ როგორ ვაყაყურად ვასცემდა პასუხს ბერტრანი, ერთხმად დაიყვირეს: — თქვი, კეთილშობილო ბერტრან! — და კიდევ: — ნუ დაგვტანჯე, თქვი! — აძალებდნენ ისინი და მაშინ: გვიმღერე სირვენტი ვილანის შესახებ, ჩემო პაპიოლ, — ბრაზიანი სიცილით უბრძანა თავის შვილმანს ბერტრანმა.

პაპიოლი ფიცხად და ვაუკაცურად წამოდგა წინ, პატარა არფის სიმებს ხელი შეახო და წამოიწყო სიმღერა ვილანზე, ახალგაზრდა, ფლიდ მოქალაქესა და გლახზე. იგი მღეროდა:

ჩარჩებისა და ტუტიების უხამსი ზროვა,  
ცხოვრების წუმბემ რომ წარმოშვა და დაავროვა,  
გაუმადლანი, ჩლუნგნი, ბილწი ზნე-ჩვეულების,

ზიზსა მგერაიან და გულს შირევენ ეგ წყეულები.  
როცა ამგვარი უმაქისი და ბილწი ღორი  
ფულს იგდებს ხელში, ვერ ჩერდება თვის ტოლთა შორის,  
ცხვირს იწევს მალა, აღარაფრის არა აქვს შიში.  
მაშ, დასცხეთ მაგრა, ამოწყვიტეთ მაგათი ჭიში,  
ცემეთ, მიბეგეთ, პერანგებიც შემოახიეთ!

წუწკი ვაჭარი და გაგრია, ძმებო, იცოდეთ,  
ფეხშიშველა თუ იწანწალებს, ნუ შეიცოდებთ.  
რომ არ მომრავლდეს მათი მოდგმა, გახსოვდეთ მტკიცედ.  
ამიერიდან ეს კანონი ჩვენ დაუამტკიცეთ,  
ჩარჩი, მეფახზე და თავხელად ქცეული ვლახი  
გამათრახეთ, დაუნდობლად გასრისეთ ფეხით,  
მათი მუღარა ნუ მოგიღობთ გულს ადვილად,  
არ დაინანოთ და გაწირეთ სასიკვდილოდა.  
ჩაპყარეთ წყალში, ხარობებში მყარალი ღორები,  
ველარ გაბედონ თავხედობა განმეორებით.  
ველარ შეიძლონ წამოყოფა თავის ამაყად,  
აღკვეთეთ მათი პარბაშობა, ძმებო, ჰკა მაგათ!

მსმენელები რაინდს აღფრთოვანებული შეძახილებით ესალმე-  
ბოდნენ. იქ, ქვევით ბრბო რაღაც ძალიან გათამამდა. ჭეაროსნულ  
ომში მიმავალ ბატონებს მოაგონდათ ვაჭრები და ბანკირები, რომ-  
ლებიც მამულში ნამდვილ ფასზე გაცილებით ნაკლებს სთავაზობდ-  
ნენ; ისინიც იძულებული იყვნენ დათანხმებოდნენ, რადგან საკ-  
მალ ვერ წაგლიჯეს საკუთარ გლეხებს. ყველა, ვინც სალანძღავი  
სიტყვით დადავდა ამ საზიზღრობას, მათ სანუკვარ გრძნობას გამო-  
ხატავდა.

ღონ როდრიგო ხედავდა, ბერტრანის ცოდვილმა, ქედმაღლურმა  
ლექსებმა როგორ გააღვივეს *preux chevaliers*-ში ბიწიერი აღფრ-  
თოვანება. ამ ოინბაზის მიერ ღვთის საგმობი გულზხვიადობით  
შესრულებულმა სიმღერამ მოკრძალებული კანონიკი საშინელი  
მწუხარებით აღავსო. მაგრამ მიუხედავად თავისი ღვთისმოსაური  
კმუნვისა, როგორც მეცნიერს, შეუმჩნეველი არ დარჩა, როგორი  
მლიქვნელობით ეწყობოდა მოლაპარაკის ენა ბოროტისაკენ მიღრე-  
კილებას და თანდათან საქმიანი, ქალაქისა და სოფლის მცხოვრები  
ვილანი, როგორ გარდაქმნა უსაქმურად და არამზადად.

ღონ აღფონსოს სიხარულით სახე უბრწყინავდა. ეს აღზნებუ-  
ლი ყოყორი და მყვირალა ლექსები შეესატყვისებოდა მის  
გრძნობებს. ამ ლექსებში გაისმოდა ნამდვილი რაინდის სიძულვილი  
ბანკირებისა და ვაჭრების ხროვის მიმართ, ის გააფთრებდა, რომე-  
ლიც თვით მას, აღფონსოს, არა ერთხელ განუცდია, როცა მას თავის

იქუდასთან უხდებოდა ვაქრობა და ძვირფასი სამეფო დროის უბრალოდ დაკარგვა. ბერტრანი მართლაც მისი ძმა იყო.

— მომისმინე, კეთილშობილო ბერტრან, — უთხრა მან, — არ გინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე ომში? ჩემ ხელთათმანს მოგცემ და ჩემი ნადავლის კარგ ნაწილს მიიღებ.—ბერტრანმა გადაიხარხარა მისთვის ჩვეული ბოროტი და მხიარული სიცილით. — შენ დიდსულოვნება გამოიჩინე, მეფეე ბატონო, როცა გულუხვად დამაჯილდოვე უბრალო ლეკების, თხზულებებისა და შენი დიდებისათვის.— უპასუხა მან. — განზრახული მქონდა შენთვის ნამდვილი სირვენტო მძღვნა. — ესე იგი, თანახმა ხარ ჩემთან წამოსვლაზე? — ჰკითხა მეფემ. — მეფე რიჩარდის ლენის მფლობელი ვარ და ვალდებულეზად ავიღე, მასთან შემსახურა. თუმცა, ვკითხავ კეთილშობილ ბანოვანს, ელეონორას.

ასეც მოიქცა. — ისევე დააპირე ბატონის გამოცვლა? — უთხრა ელეონორამ. მოხუცმა დედოფალმა და მოხუცმა რაინდმა ერთმანეთს მხიარულად შეხედეს. — ასე იყოს, დარჩი ალფონსოსთან. რიჩარდთან მე გიშუამდგომლებ, — შეპირდა დედოფალი.

ელეონორას არ უნდოდა ბურგოსიდან წასვლა, ვიდრე ზუსტ საომარ გეგმას შეიმუშაებდნენ და ორივე მეფის უფლებებსა და ვალდებულებებს არ განსაზღვრავდნენ.

ალფონსომ და პედრომ არა ერთხელ სთხოვეს ელეონორას მიეცა მათთვის თავისი გამოცდილი დაქირავებული ჯარის — ბრაბანტელების რამდენიმე ნაწილი. მაგრამ ელეონორას ამის გაგონებაც კი არ უნდოდა.—თქვენ საკუთარიც საკმარისად გყავთ, ჩემო შვილებო, — უარს ეუბნებოდა იგი, — განა ასე ძვირს გადავუხდიდი დაქირავებულებს, აუცილებლად რომ არ მქირდებოდეს, რათა შიშის ქვეშ მყავდეს ურჩი ბარონები? ხანდახან ძილი არ მეკარება იმის გამო, რომ აღარ ვიცი, როგორ გადავუხადო მათ ქირა. — მთელი ქრისტიანული სამყარო ლაპარაკობს: „ფული შინონში მოიპოვება?“—შეეპასუხა ალფონსო.—ეს სულელური ანდაზა ჩემი განსვენებული ჰენრიხის ებრაელებმა გაავრცელეს მისი კრედიტის გასადიდებლად, — მოუქრა ელეონორამ.—მე, ყოველ შემთხვევაში, შინონში ვერაერთარი ფული ვერ ვნახე. ჩემი ჰენრიხის დასამარხი ანგარიშის გადახდაც კი გამიჭირდა. რაც არ უნდა იყოს, ჩემო კარგებო, ერთი მუჭა ჯარისკაცები უნდა დაუტოვოთ მოხუცებულს, რომ მან თავისი ტყავის დაცვა შესძლოს.

საომარი გეგმა იმ ანგარიშით დგებოდა, რომ ხალიფა იაკუბ

აღმანსური არ მიიღებდა მონაწილეობას ომში. მისი სამფლობელოს აღმოსავლეთ საზღვარზე ძლიერი ტომების ბელადები აჯანყდნენ: გარდა ამისა, ხმა დადიოდა, რომ ჭანმრთელობაც არ ჰქონდა საიპედო. მოსალოდნელიც იყო, რომ ისარგებლებდა ყოველგვარი მცირეოდენი მიზეზით და თავის ანდალუზიელ ემირებს ბედის ანაბარა მიატოვებდა. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად იყო: ხალიფა, სულთან სალადინის მსგავსად, არაერთარ შემთხვევაში არ ურიგდებოდა ხელშეკრულების დარღვევას. დონ ალფონსოსა და სევილიას შორის დადებული ბედუქუდმართი მშვიდობიანობის ხელშეკრულების ვადა ჯერ კიდევ არ გასულა, მაშასადამე, კასტილია პირველ ხანებში იძულებული იყო ნეიტრალიტეტი დაეცვა. სამაგიეროდ, ხელშეკრულებებისგან თავისუფალი არაგონი უახლოეს ხანებში უნდა შექრილიყო მუსლიმანთა ვალენსიაში და მალე ეთხოვა კასტილიისათვის სამხედრო დახმარება. ამის შემდეგ კი ომის ხანძარი კორდოვასა და სევილიასაც რომ მოედოს, შესაძლებელი იქნება ხალიფას დარწმუნება, რომ სამშვიდობო ზავი ავი განზრახვით არ დაურღვევიათ.

ალფონსო ბუზღუნებდა, რომ პირველი შეტევის პატივი ლაწირაკ დონ პედროს დარჩება, მაგრამ მოხუცი დედოფლის ჰკვიანურ მოსაზრებებს დაუთმო და პირობა დადო, არავითარ შემთხვევაში არ გავილაშქრებ კორდოვასა და სევილიის წინააღმდეგ, ვიდრე არაგონი სამხედრო დახმარებას არ მთხოვს. დონ პედრომ თავისი მხრიდან ვალდებულებად აიღო, დახმარებისათვის მიემართა არა უადრეს ნახევარი წლისა, ხოლო შემდეგ თავისი სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი ალფონსოსათვის გადაეცა.

დედოფალი ამით არ დამშვიდდა. მას ეშინოდა, რომ შური ან მცდარად გაგებული რაინდული მოვალეობა უბიძგებდა ალფონსოს ან პედროს, ხელშეკრულება არაფრად ჩაეგდოთ. ეს ხელშეკრულება მხეცის ტყავზე მელნის ნიშნები იყო მხოლოდ. სისხლს, რომელიც ადამიანის გულს ბანს, გაცილებით მეტი ძალა აქვს. ამის გამო მოხუცმა დედოფალმა ორივე მეფე ცოლებიანად დაიბარა, საფუძვლიანად გამომუშაებულ სამხედრო ოპერაციების გეგმას დაეყრდნო და მოკლედ, მაგრამ შთამაგონებლად მიუთითა, რა უნდა გაეკეთებინათ ალფონსოსა და პედროს და რისი გაკეთების უფლება არა ჰქონდათ მათ. შემდეგ საზეიმო ტონი გულკეთილი ტონით შეცვალა, მუქარით დაიქნია თითი და ეშმაკურად აღნიშნა: — ვერ მომატყუებთ, კარგად ვიცი, ჯერ ერთმანეთს თავს ახვევთ ყოველგვარ დანაშაულს. მაგრამ ასეთი დიდი და მძიმე ომის დროს ყველა ეს სისულელეები უნდა დათმოთ. როცა ომი დამთავრდება, მერე

რამდენიც გინდათ, იმდენი აბეზრეთ თავი ერთმანეთს. ჭერ კი არ გაწყენთ, რომ ურჯულოებს გაუწყვიტოთ ილაჯი.—და მეფუერი სილია-ლით დაასკვნა: — გემუდარებით, გულიდან ძირფესვიანად ამოიღეთ ყოველგვარი წყენა, ისე როგორც ხარი თხრის ბალახს ძირფესვიანად.

ალფონსო დარცხვენილი და მოღუშული იდგა, დონ პედროც უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ უცებ სიჩუმე დაარღვია ბერენ-გარიას ბავშვურად უკმეხმა ხმამ: — ჩვენ გვესმის თქვენი, დიდად პატივცემულო ბებია და დედოფალო. ან ორივე მონარქი, მამაჩენი და ჩემი მეუღლე, ერთსულოვანნი იქნებიან, ან წარმართები დაამარცხებენ მათ. *Tertium non datur*, მესამე გამოსავალი არ არსებობს.

— დიახ, შენ სწორედ გამიგე, ჩემო პატარა შვილიშვილო, — უთხრა ელეონორამ. — ახლა კი,—მიუბრუნდა იგი ორივე მეფეს,—სამი ქალის წინაშე, ძმურად აკოცეთ ერთმანეთს და დაიფიცეთ სახარებაზე, რომ არ უარყოფთ მას, რასაც ხელი მოაწერეთ და ბექ-ლის დასმით დაამტკიცეთ.

წინა დღით, როცა შეკრებილები უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს და ყველანი თავისი გზით წასულიყვნენ, ბურგოსის სასახლეში გამოსათხოვარი ზეიმი გამართეს.

და სწორედ ამ დღეს დე ბორნმა შეასრულა ის თხოვნა, რასაც ყოველთვის შეგნებულად წაუყრუებდა ხოლმე ყურს. თვითონვე იმღერა ომის საღიღებელი საკუთარი სიმღერა, ბრძოლის ველზე სიკვდილის სიმღერა, ცნობილი სიმღერა „*Bém platz lo gais temps de Pascor*“.

იგი მღეროდა:

მიყვარს ტურფა გაზაფხული,  
ყვავილებით მოკაზმული,  
ტყეში ჩიტთა მხიარული  
ელურტული და ჟრიაშული.  
მაგრამ მხიბლავს უფრო მეტად  
თეთრ კარავთა ვრძელი წყება,  
როცა ველად ირგვლივ ყველა  
ბრძოლისათვის ემზადება;  
იერიშის მოლოდინში  
ცხენ-მხედრები დგანან რიგში.  
ჰა, იწყება ომი მკაცრი,  
სროლა, ბრძოლა ყველას ზარავს:

გარბის ქალი, გარბის კაცი,  
გარბის ჟოგი, გარბის ფარა.

მობხუცი დედოფალი ელეონორა, რომელიც თავის დროზე ახლოს იყო ბერტრანთან, მხიარულად და აღელვებულად უსმენდა, როგორ მღეროდა მობხუცი რაინდი თავის დაუდგრომელ, უხეშა და მხიარულ ლექსებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი თავგანწირვით ცდილობდა მისგან საპასუხო სიყვარული მიეღო, იგი თითქმის ერთნაირად ართობდა და აღელვებდა ელეონორას. იგი უცვლელი დარჩა, ეს შეუდარებელი ბერტრანი, რომელშიც გამბედაობა, კადნიერება და პოეტური ნიჭი ერთად იყო თავმოყრილი. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მან არ იცოდა, რა იყო დამარცხება და ახლაც აღსაესვია სურვილით ებრძოლა, ემღერა, ქედი არ მოეხარა, ვიდრე სიკვდილი არ შეახებდა ხელს. ასევე არ ფიქრობს ქედის მოხრას თვითონ დედოფალი ელეონორაც.

ბერტრანი მღეროდა:

დიდებული სურათია:

აი, ციხის ზღულე ტყდება,  
ირღვევიან კედლები და  
სვეტებს ცეცხლი აკიდება.  
მიხარია, როცა ველად  
გრიგალივით მიჰქრის ქარი,  
ირგვლივ ბრძოლის ცეცხლი ელავს,  
ირგვლივ დელავს სისხლის ღვარი.  
და ცხენები აქეთ-იქით  
აწყდებიან უმხედრებოდ —  
დაცემულან, ამგვარ სიკვდილს  
გლოვა როდი მართებს, ძმებო!  
შემდრკალსა და შეშინებულს  
ცოცხლად ყოფნას ვიჯობს ასჯერ,  
ძირს დაეცე მტრის მახვილით,  
სახელი კი ქვეყნად დაგრჩეს.

არქიებისკოპოსს დონ მარტინს ისედაც მწითური სახე მთლად გაუწითლდა. იგი ქშინადა და ტუჩების ცმაცუნით ბერტრანთან ერთად ჩურჩულით იმეორებდა ლექსს. ნორჩი ალაზარი აღფრთოვანებული უყურებდა მომღერალსა და მის ყოველ სიტყვას იქერდა. აქამდე ალაზარი მხოლოდ ოცნებობდა ომის საოცრებაზე; ახლა კი ხედავდა, ესმოდა და მთელი არსებით გრძნობდა მას. რაინდი ბერტრანი გამოთქვამდა იმას, რაც ალაზარის სულში ბობოქრობდა კასტილიაში ჩამოსვლის შემდეგ. ამ კაცის სიტყვებში მახვილების



ჩხარაჩხური ისმოდა. ბერტრანი უმღეროდა იმას, რისთვისაც ალაზარი ცოცხლობდა.

ბერტრანი მღეროდა:

არ მალეღებს მე არც ლხინი  
და არც ქალის სიყვარული.  
A lor! A lor! აჟეი ჩეხეი —  
აი, ჩემი სიხარული.  
როცა ველზე ეცემიან  
მდაბიონიცი, რაინდებიცი,  
შენც გიღვივის ბრძოლის ტინი,  
ომის ცეცხლით აინთები.  
„აქეთი აქეთ! მომეშველეთ!“  
შეელას ითხოვს წაქცეული.  
მწვანე ბალახს წითლად ღებავს  
სისხლი ველად დაქცეული.  
ისმის ცხენთა ყრუ ჰიხენი  
(კვლავ გრძელდება იერიში),  
გამარჯვების ყივინა და  
მომაკვდავთა ვაი-ვიში.  
ზოგს რომ ფარი ჩაებლუჯა  
თავის მხსნელად და იმედად,  
გდია შუბით განგმირული,  
ჩანს, სიცოცხლემ გაიმეტა.

მსმენელებს ალტაცებისაგან სული ეგუბებოდათ.

A lor Aidatzi ჩეხე, აქეთი მიშველეთი მთელი ძველი სასახლე გუგუნებდა რაინდ ბერტრანის სისხლმორწყურებული აღმაფრენით, მკვლევლობის ავხორცობით.

კანონიკ დონ როდრიგოს სხვებზე უკეთ შეეძლო შეეფასებინა მღერადი პროვანსული ლექსების შთამაგონებელი ძალა. მაგრამ ალტაცებას კი არა, საშინელ გრძნობას უღვივებდა ეს ლექსები. შეძრწუნებული შეჰყურებდა შვილივით საყვარელ მეფის სახეს. დიახ, vultu vivax ეს იყო დონ ალფონსო. როდრიგომ ზუსტად მონახა შესაფერისი სიტყვები. ალფონსოს სახეზე შემაშფოთებელი სიცხადით ისახებოდა მისი სულის მოძრაობა და ახლაც მკვლევლობების და ნგრევის დაუფარავ წყურვილს გამოხატავდა, იმ ბოროტ საწყისს, რომელზედაც გამუდმებით ესაუბრებოდა დონ როდრიგოს მუსა.

დონ როდრიგომ თვალეზი დახუჭა, რომ აღარ ეყურებინა ამ ბანოვნებისა და რაინდების სახისათვის. უცებ მან საოცარი რამ შეიგნო, რომ მისი სულიერი შვილისათვის, ალფონსოსათვის, უმჯობესი იქნებოდა კიდევ თვეებისა და წლების მანძილზე ჰქონოდა

ცოდვილი კავშირი ცთომილებაში შეუდრეკელ ებრაელ ქალთან, ვიდრე ღეთისმოსავ სისხლით გაუმადლარ საღვთო მხედრობასთან ერთად ყოფილიყო.

კანონიკს უნდოდა, ტოლედოში სამეფო ამალასთან ერთად დაბრუნებულიყო. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი შეესრულებინა თავისი ვალი, დაენამუსებინა მეფე. ახლა მან უარყო თავისი გადაწყვეტილება.

იმავე დამეს სასწრაფოდ მოემზადა სამგზავროდ და გაეშურა ტოლედოსკენ, უფრო შეწუხებული, ვიდრე იქიდან მოვიდა, დანაშაულებრივად infectis rebus, მოვალეობის შეუსრულებლად.

## თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

როგორც კი დონ იეჰუდა იბნ ეზრამ ცნობა მიიღო მეფე ჰენრიხი გარდაიცვალაო, მისთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ უახლოეს კვირებში ან უახლოეს დღეებშიც კი ატყდება ის საშინელი ომი მუსლიმანებთან, რომლის თავიდან ასაცილებლად მიატოვა მან სევილია და თავისი ადრინდელი ცხოვრება. ახლა ამოძრავდა საშინელი ჩარხი და არაფერს შეუძლია შეაჩეროს მისი ბრუნვა. ხალიფა თავისი ურდოებს ანდალუზიას შემოუსევს, დონ ალფონსოს დამარცხება არ ასცდება. ამაში ბრალს ტოლედოს მცხოვრებნი მეფეს კი არა, იეჰუდას და დანარჩენ ებრაელებს დასდებენ. ის, რისი მოწმეც გახდა იგი ბავშვობისას სევილიაში, გამეორდება აქ. ედომის მთელი რისხვა თავს დაატყდება იმ ექვსი ათას ფრანკ ლტოლვილს, რომლებიც მან შემოიშვა კასტილიაში. როგორ ზეიმობდა იგი, როცა ეშმაკურად შესძლო ამის მიღწევა; თავისი თავი ოკერ ჰარიმად წარმოედგინა. იმ აღამიანად, რომელიც მთებს დასძრავს. ახლა კი ჩამოსახლებულებს ისეთი ტანჯვა მოელით, როგორსაც ალბათ გერმანიაშიც ვერ ნახავდნენ. ეჩვენებოდა, რომ მას ზიზლით მისჩერებოდა რაბი ტობიას ფანტასტიკური ცეცხლით აგზნებული თვალები.

ინგლისიდან მოსული ცნობებიც აორკეცებდა მის შიშს. რიჩარდის მეფედ კურთხევასთან დაკავშირებით ებრაელების დელეგაციამ, რომელსაც აარონ ლინკოლნელი და ბარუხ იორკელი მეთაურობდნენ, სხვებთან ერთად გადაწყვიტა მეფისთვის ძღვენი მიერთ-

მიათ ვესტმინსტერის სააბატოში და ეთხოვა, რომ დაემტკიცებინა მათი აღრინდელი პრივილეგიები, მაგრამ ებრაელები ტაძარში არ შეუშვეს და საიდანღაც ხმა გავრცელდა, რომ მეფე მათ სიცოცხლესა და ქონებაზე უფლებას აძლევდა ლონდონის სახელოვან მოქალაქეებს. მდამითა ხროვამ ჯვაროსანთა მეთაურობით დაარბია ებრაელთა საცხოვრებლები, ებრაელებს სცემეს, ზოგნი ეკლესიაში ძალით წაათრიეს მოსანათლად, ვინც წინააღმდეგობა გაუწია, დახოცეს. ასეთივე ამბავი მოხდა ნორვიჩში, ლინსა და სტამფორდში, ლინკოლნსა და იორკში. აარონ ლინკოლნელი მშვიდობიანად წავიდა ლონდონიდან, მაგრამ მალე დაიღუპა ლინკოლნში ხოცვა-ელეტის დროს. ბარუხ იორკელი ნათლობაზე დათანხმდა. მეორე დღეს მეფე რიჩარდმა ჰკითხა მას, გულითაც ქრისტიანი გახდა თუ არა იგი. ამაზე ბარუხმა უპასუხა, სიცოცხლის შესანარჩუნებლად დავენბდი ნათლობაზე, თორემ გულით ისევ ებრაელი ვარო. — როგორ მოვექცეთ ამ კაცს? — ჰკითხა რიჩარდმა კენტერბერის ეპისკოპოსს. — რაკი მას არ სურს ღმერთის მსახური იყოს, — ბუზღუნით უპასუხა პრელატმა, — ასე იყოს, დე, დარჩეს ეშმაკის მსახურად. — და ბარუხი ებრაელად დაბრუნდა იორკში, მაგრამ აქ ისიც და მთელი მისი ოჯახი სიცოცხლეს გამოასალმეს.

„თუ ამის მაგვარი რამ მოხდა გონიერ ინგლისში, — გაიფიქრა იეჰუდამ, — რა იქნება აქ, კასტილიაში, როცა დამარცხების შემდეგ შეეცდებიან ხალხი აამხედრონ ებრაელების წინააღმდეგ?“ იეჰუდასთან დონ ეფრაიმი გამოცხადდა. შეატყობინა, რომ გრაფ დე ალკალამ მას სესხი თხოვა, რომლისთვისაც გირაოდ საგრაფო მამულს იძლეოდა. მაგრამ მე ცივი უარით გავისტუმრეო. — გრაფი ვალებშია ჩაფლული, — აუხსნა ეფრაიმმა, მაგრამ ფლანგვას თავს არ ანებებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ომი საბოლოოდ გააქოტრებს და მისი მამული სულ იაფად დარჩება კრედიტორს. მიუხედავად ამისა, მე არ დავთანხმდი მიმეცა გრაფისთვის სესხი, რადგან ებრაელი, რომელიც ჯვაროსნის გაჭირვებით სარგებლობს, მეტ მტერს უჩენს თავის თავსაც და მთელ ებრაელობასაც. ცხადია, გრაფი ახლა შენ მოგმართავს. — მადლობელი ვარ წინასწარ შეტყობინებისა და რჩევისათვის. — გაურკვეველად უპასუხა იეჰუდამ.

მაგრამ დონ ეფრაიმს ერთი, კიდევ უფრო საყურადღებო ახალი ამბავი ჰქონდა სათქმელი. ალჰამამ გადაწყვიტა მეფისთვის მიეცა დამხმარე რაზმი, სამი ათასი კაცის შემადგენლობით.

იეჰუდას გული ეტკინა. იგი უკვე იმდენად ღატაკი და უმწეოა, რომ ალჰამამ ასეთ მძიმე წუთებში არ ჰკითხა მას რჩევა და გადაწყვეტილება მიიღო. — გგონია, რომ ეს გიხსნით? — დაცინვით

ჰკითხა მან. — გაიხსენე, რა მოხდა ინგლისში. — გვახსოვს და ვწუხვართ, — უბასუხა დონ ეფრაიმი. — სწორედ ამიტომ გვინდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია, რათა ხელი შევუწყუოთ მეფე ალფონსოს გამარჯვებას, ღმერთი ჰფარავდეს მას. თუმცა ჩვენ ყოველთვის ვფიქრობდით და შენ თვითონ დაპირდი მეფეს, რომ მაშველ რაზმს გამოვიყვანდით. — თქვენ ადგილზე რომ ვიყო, — შეეპასუხა იეჰუდა, — ფულს გადავიხდიდი დაქირავებულთა მისაცემად. იმისთვის, რომ ერთგულება გეჩვენებინათ, შეიძლებოდა, ორასი-სამასი კაცი გამოგეყვანათ საზოგადოებიდან. მაგრამ იარაღის ხმარება რომ შეუძლია, ისეთ მამაკაცთა უმრავლესობას ჩემთვის დავიტოვებდი. ვშიშობ, რომ ისინი ალჰამას დასჭირდება, — მწარედ დაამთავრა მან.

— მესმის რატომ მსჯელობ ასე, — მშვიდად შეეპასუხა ეფრაიმი. — მაგრამ შენი მდგომარეობა სხვანაირია იეჰუდა, ვიდრე ჩვენი, და თვით ისეთ ჰკვიან კაცსაც კი, როგორც შენა ხარ, შენს პირობებში გაუჭირდება მიუკერძოებლად ურჩიოს მეორეს. — რაკი შენიშნა, რომ მისმა სიტყვებმა მწარედ ატკინა გული იეჰუდას, მან უფრო თბილად განაგრძო: — შენი მტერი არა ვარ, დონ იეჰუდა, ყველაფერი მახსოვს, შენი სულგრძელობით რამდენი რამ გააკეთე ჩვენთვის. თუ დადგება ისეთი დღე, რომ ჩვენი დახმარება დაგჭირდება, მერწმუნე, ყოველთვის მზად ვიქნებით ამისათვის. — მადლობელი ვარ, — ცივად უთხრა მოღუშულმა იეჰუდამ.

ეფრაიმის წასვლის შემდეგ სახლში დაიწყო ხეტიალი. ცნობის-მოყვარეობითა და დაჟინებით უყურებდა ძვირფას ნივთებს, წიგნებს, ხელნაწერებს — ალაღბედზე იღებდა ხელში ერთს, მეორეს, ავიცენას ცხოვრების აღწერილობის დედანს შეახო ხელი. შევიდა შენობაში, სადაც გადამწერლები შრომობდნენ. გადაიკითხა ზოგიერთი წერილი. პატივისცემით სთავაზობდნენ სავაქრო ხელშეკრულებებს, სთხოვდნენ რჩევას: ცხადი იყო, მას ჭერ კიდევ ყველაზე ძლიერ კაცად თვლიდნენ მთელ ნახევარკუნძულზე. გადახედა თავის რეპოზიტარების ანგარიშებს, რომ განესაზღვრა რამდენად დიდი იყო მისი ქონება. სამხედრო სამზადისის, ყიდვა-გაყიდვისა და სესხების წყალობით, აგრეთვე ახალი ფულის გამოშვებით მიღებულმა შემოსავალმა გაზარდა მისი სიმდიდრე. იგი ანგარიშობდა, ამოწმებდა, ისევ ანგარიშობდა. სულ დაახლოებით სამას ორმოცდაათი ათასი ოქროს მარავედი ჰქონდა. ხმადაბლა, დინჯად, თითქოს თავს არ უჯერებსო, არაბულად გამოთქვა საოცარი ციფრი. განძეულობის დიდი ყუთიდან ფამილიარის სამკერდე ფირი ამოიღო და ხელი შეახო. ღიმილით გაიქნია თავი. დგას იგი სიმდიდრით, პატივითა და

ძლიერებით გარემოცული. — ყოველივე ეს მხოლოდ მორთულობა იყო კუბოსი.

ხელები აიქნია, თითქოს შავბნელი ფიქრები მოიშორაო. არა, დონ ეფრაიმი ვერ შეაშინებს მას.

მან გრაფ ალკალას სესხი მისცა და მისი მამული დაიგირავა.

მაგრამ პარნასის სიტყვები გულში ჩარჩა. დონ ეფრაიმმა ფხიზლად შეათვასა მდგომარეობა: მას, იეჰუდას, უფრო გაუჭირდება, ვიდრე ვინმე სხვას. გონიერება მოითხოვდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა აქაურობას, ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად გაქცეულიყო მუსლიმანურ აღმოსავლეთში, ებრაელებისადმი კეთილად განწყობილ სულთან სალადინის სამფლობელოში.

რაკელი წინააღმდეგობას გამიწევს, ალფონსოსთან დარჩენას ისურვებს. კიდევაც რომ შესძლოს იეჰუდამ მისი დაყოლიება, ალფონსო მდევრებს დაადევნებს, და განა მოახერხებენ ასეთი გამოჩენილი ლტოლვილები აღმოსავლეთში გადასვლას მტრულად განწყობილი მთელი ქრისტიანული სამყაროს გავლით?

და თანაც, განა აქვს იმის უფლება, რომ ცადოს იხსნას თავისი თავი და ოჯახი? უფლება აქვს საფრთხის პირისპირ დატოვოს ფრანკი უმწეო გადმოსახლებულები? მართალია, მას არ შეუძლია მათი წსნა, პირიქით, მისი აქ ყოფნა უფრო მეტ საფრთხეს უქადის მათ და მთელ ებრაელობას, მაგრამ ლტოლვილნი ამას ვერ გაიგებენ. რომ გაიქცეს, მის სახელს შეურაცხყოფენ. დიად საქმეთათვის მოვლენილი, ისრაელების მწყალობელი იეჰუდა იბნ ეზრა, — დასცინებენ ისინი, — გაიქცა სწორედ მაშინ, როცა დრო დადგა დაეცვა თავისი სიტყვა და საქმე. და თაობიდან თაობას მისი სახელი გადაეცემა, როგორც მშიშარა და მოღალატე.

მას გაახსენდა მოსე ბენ მაიმონის თქმული: ყველა ებრაელში არის რაღაც წინასწარმეტყველისა და ყველას ვალია წააქეზოს თავის სულში ეს წინასწარმეტყველური საწყისი. მას კარგად დაამახსოვრდა ეფრაიმის მიერ პირფერობით ნათქვამი სიტყვა, თუ თავისი სულგრძელობით რამდენი რამ გააკეთა იეჰუდამ ებრაელებისათვის: არა, იეჰუდა არ ჩაახშობს თავის სულში წინასწარმეტყველურ საწყისს, იგი არ გაექცევა თავის დანიშნულებას. იგი დარჩება ტოლედოში.

იეჰუდა შეეცადა თავის თავისათვის მიეცა გულწრფელი პასუხი, რა არის ის, რაც გონების გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება და აკავებს მას აქ, ტოლედოში, სადაც უბედურება ელის. გზასთან დაკავშირებული საფრთხის წინაშე შიში? ან ქალიშვილის სიყვარული, რომელიც ალფონსოსთან დაშორებას ვერ გადაიტანს? თუ

პატივმოყვარეობა და სიამაყე, რომელიც ნებას არ აძლევს იზნეზრას სახელი შეურაცხყოს? ან თავისი დიდი დანიშნულებისადმი ერთგულება? მალე ყველაფერი ეს მასში ერთმანეთს ისე გადაეხლართა, რომ არ შეეძლო ერთიმეორისათვის ჩამოეცილებინა.

მერყეობასა და ზრუნვაში გადაწყვეტილება წარმოიშვა. იგი ვერაფრით უშველის ვერც თავის თავს, ვერც ქალიშვილს, მაგრამ შვილიშვილის ხსნა კი შეუძლია.

მან ფიცი დასდო შვილიშვილი არ მოენათლა ებრაელად. და ის შეასრულებს ამ საოცარ, საზიზღარ ფიცს. მაგრამ არაერთი აღთქმა არ აიძულებს მას, დატოვოს ბავშვი, აქ, ტოლედოში. ლაშქრობაში წასვლამდე ალფონსო აუცილებლად მოითხოვს ბიკის მონათვლას, აღარ მოერიდება რაკელის წყენას. ესე იგი, იეპუდამ ბავშვი უნდა წაიყვანოს მანამდე, ვიდრე მეფე ტოლედოში დაბრუნდებოდეს.

რაკელი თითქმის მთელ ღროს გალიანაში ატარებდა.

მან იცოდა, რომ მრისხანე და უღმრთო ომი ატყდებოდა უახლოეს კვირებში, მაგრამ არ ეშინოდა. რაც მას ღმერთმა ბედნიერება, თავისი იმანუელი აჩუქა, იგი თავს საოცრად მშვიდად, თბილად და ყოველგვარი საფრთხისაგან დაცულად გრძნობდა, ალონაის ხელში, ან კიდევ, როგორც ძია მუსა ამბობდა, ბედის საფარველქვეშ.

რაკელი ალფონსოზე ნაღვლობდა, მაგრამ არა ადრინდელივით აღგზნებულად, რომელიც ალტაცებიდან სასოწარკვეთილებამდე მისულ სევდაში გადადიოდა. ახლა რაკელს ღრმად სწამდა, რომ ალფონსო კვლავ მას დაუბრუნდებოდა თავისი რაინდული სამყაროდან. ახლა ალფონსოს იზიდავდა არა უსაზღვრო სიამოვნება, რითაც ისინი ერთმანეთს ასაჩუქრებდნენ, არამედ სულ სხვა რამ, სიყვარული თავისი ვაჟიშვილის დედისა; სანჩო მისთვისაც იმანუელი ხდება, რადგან ისინი, რაკელი და ალფონსო, შეუსისხლხორცდნენ ერთმანეთს სულიერად.

ხშირად, დიდხანს, თვალმოუცილებლად, სანეტარო თავდავიწყებით უყურებდა რაკელი თავისი ვაჟის, თავისი იმანუელის, მხსნელის, ნაზ, მოგრიო პატარა სახეს. ძალიან გაურკვეველი წარმოდგენა ჰქონდა მხსნელზე, მას იგი ბუნდოვნად ესახებოდა, როგორც რაღაც ნათელი და დიადი, მაგრამ რა გზით მოუტანდა ეს მისი პატარა ვაჟი ქვეყანას ხსნას, ვერც კი წარმოედგინა; იმაში კი დარწმუნებული იყო, რომ მისი შვილი აუცილებლად მოუტანდა ქვეყანას ხსნას. მაგრამ რწმენას გულში საიდუმლოდ ინახავდა. ამაზე

ლაპარაკი შებღალვად მიაჩნდა. დონ ბენიამინსაც კი არაფერი უთხრა ამის შესახებ, თუმცა მათი მეგობრობა. თანდათან უფრო ღრმა ფესვებს იღვამდა. მაგრამ ეს იყო სიტყვაძქუნწი მეგობრობა. ბენიამინი რამეს უკითხავდა მას, ან მღუმარედ დადიოდნენ ბალის ბილიკებზე.

შაბათ დღეს რაკელი ძველებურად მამასთან ატარებდა კასტილიოში.

ერთხელ შაბათის დასასრულს, როცა პაერში კიდევ ტრიალებდა სანელებლებისა და ღვინით ჩამქრალი სანთლების სუნი, იეჰუდამ ქალიშვილს ჰკითხა: — როგორაა შენი ვაჟი, და ჩემი შვილიშვილიო? — მას არც ერთხელ არ უნახავს შვილიშვილი და ფეხი არ შეუღვამს გალიანაში. რაკელმა იცოდა, როგორ უნდოდა მას ბიჭის ნახვა, მაგრამ ეშინოდა გადმოეყვანა იმანუელი გალიანადან. მართალია, ბავშვი რაკელს ეკუთვნოდა, მაგრამ რაკელი გააბრაზებდა ალფონსოს, თუ იგი თუნდაც ერთი საათით წაიყვანდა ბავშვს მისი ნებართვის გარეშე.

— იმანუელი ჯანმრთელადაა და ღვთის წყალობით მშვენივრად იზრდება. — უპასუხა რაკელმა წყნარად, შორჩილად, მაგრამ სიამაყითა და კმაყოფილებით, რადგან სურდა, რომ მამას ეკითხა მისი იღუმალი რწმენის შესახებ და თანაც ეშინოდა. იეჰუდამ ძალა მოიკრიბა. მოსალოდნელი მძიმე საუბრისათვის და ძლივს წარმოთქვა: — სულ მალე შენ ვაჟს და ჩემ შვილიშვილს მართლა დასჭირდება ღვთის წყალობა. — და რადგან რაკელმა გაცემით ასწია წარბები, იეჰუდამ აუხსნა: — იგი რომ მარტო ალფონსოს შვილი იყოს, საშიში არ იქნებოდა, ისევე როგორც არც მაშინ, მხოლოდ შენი შვილი რომ ყოფილიყო. მაგრამ, რაკი შენი და ალფონსოს შვილია, საფრთხე მოელის. როგორც ალფონსოს შვილს, მას დიდი ნომავალი აქვს. ეს ყველამ იცის და ურიგდება კიდევ ამას, მაგრამ ბევრს არ მოსწონს, რომ შენ შვილს კარგი ხვედრი ელის. ბურგოსის სასახლეში ახლა თავი მოიყარა ისეთებმა, რომლებსაც არ მოსწონთ ეს. ჩვენ არაფრით შეგვიძლია გავუმკლავდეთ ძლიერთა ამა ქვეყნისა, გარდა იმისა, რომ ღვთის ნებას მივინდოთ.

რაკელმა ვერაფერი გაიგო მამის ნათქვამიდან. მართალია, მამა რადაცას ეუბნებოდა იმაზე, რომ ალფონსოს ბავშვის მონათვლა უნდა და შენს წყენას ანგარიშს არ გაუწევს, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ბავშვი დაიცვას მტრის ხრიკებისაგან. ერთი წუთით რაკელმა კიდევ ისურვა ეს, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რა დიდი ცოდვა იყო ასეთი სურვილი; წარმოუდგენელია, რომ იმანუელი წაბილწონ კერპთაყვანისმცემელთა ნათლობის წყლით; მამა არ

იცნობს მის ალფონსოს. ალფონსოს უყვარს რაკელი, ალფონსო სულოერად შეთვისებულა მასთან და არასოდეს არ მიაყენებს რაკელს ესოდენ დიდ წყენას: — ალფონსომ მხოლოდ ერთხელ ჰითხრა, რომ ჩვენი იმანუელის მონათულა უნდოდა, — საცოდავად თქვა მან, — მერე აღარც უხსენებია ეს ამბავი. დარწმუნებული ვარ, რომ გადაიფიქრა. — იეჰუდას არ უნდოდა მისთვის სასოება წარუკვეთა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა: — დონ ალფონსომ ბრძანა, რომ გაემზადებინათ საბუთები, რომლის ძალითაც შენი ვაჟი ოლმედოს გრაფი გახდება. საექვოა, რომ ქალი, რომელმაც მხოლოდ ქალიშვილები გაუჩინა მეფეს, ადვილად შეეგუოს ამ ამბავს. დონ ალფონსო გაბედული კაცია. მისთვის უცხოა უნდობლობა და წინდახედულობა. მას აზრადაც არ მოუვა, რომ ასეთი დიდი და მისთვის ახლობელი ქალი ბოროტმოქმედებას ჩაიდენს. ვშიშობ, რომ იგი ცდება.

რაკელი გაფითრდა. მას გაახსენდა ყველა ნამბობი ბოროტი და ექვიანი ცოლების შესახებ, რომლებიც აწამებდნენ და ჰკლავდნენ თავიანთი ქმრების საყვარელ მონა ქალებს. განა ასევე არ მოიქცა თვით მისი წინაპარი სარა, ღვთისმოსავი წმიდანი ქალი, რომელმაც შურისა და ექვის გამო უდაბნოში გააძევა მოსამსახურე ავარი თოთო ბავშვით, ისმაილით ხელში, წყურვილისაგან რომ დახოცილიყვნენ. რაკელი დიდხანს დუმდა: — რას მიჩივებ, მამა? — ჰკითხა შემდეგ. — შეგვეძლო ბავშვიანად გაქცევა გვეცადა, — უპასუხა მან, — მაგრამ ეს საშიშია. ჩვენ ყველა მოგვაქცევს ყურადღებას, შეუმჩნევლად წასვლა გაგვიჭირდება. ხალხი აღელვებულია, იგი ომზე ფიქრობს და ყველა უცხოელში მტერს ხედავს.

— ალფონსოს გავექცე? — გაფითრებული ტუჩებით წარმოთქვა რაკელმა.

— არა, — დააწყნარა იგი იეჰუდამ, — ხომ გითხარი, რომ ეს საშიშია. უკეთესი იქნება ბავშვი გადავმალოთ საიმედო ადგილას. რაკელმა მთელი არსებით გაუწია წინააღმდეგობა. — ალფონსოს ბავშვი უნდა დაეუშალო? — შეეკითხა იგი. — შენს ალფონსოს თვითონ არ ესმის, რომ ბავშვის დაცვა მის ხელთ არ არის, — ფრთხილად, შემრიგებლურად უპასუხა იეჰუდამ. — ბავშვს საფრთხე არ ელის მხოლოდ მაშინ, როცა ალფონსო აქ არის, მაგრამ იგი ომში მიდის და ბავშვის წაყვანა თან არ შეუძლია. აქ, კასტილიაში, არავინ დაიფარავს მას. შენ შეუნარჩუნებ სიცოცხლეს ჩვენს იმანუელს, თუ ომის პერიოდში დაშორდები მას. — რადგან რაკელი გაჩუმებული იყო, იეჰუდამ განაგრძო: — შემეძლო შენ დაუკითხავად მომეწყო ეს საქმე და ბავშვი წაეყვანათ, მერე აგიხსნიდი, რატომ



იყო საჭირო ამის გაკეთება და ვიცი, რომ გამიგებდი და მაპატიებდი. მაგრამ შენ იხნ ეზრების გვარისა ხარ. არაფერი მინდა დაგიმალო, არ მინდა პასუხისმგებლობა ჩამოგართვა. გთხოვთ, ყველაფერი მოიფიქრო, როგორც საჭიროა და მითხრა: ასე იყოს თუ არა.

— კასტილიიდან უნდა წაიყვანო ბავშვი? — აუწერელი ტანჯვით ჰკითხა რაკელმა. — გინდა იმანუელი კასტილიიდან წაიყვანო? — გაიმეორა მან. — იეჰუდა ხედავდა მის ტანჯვას და სიბრაღულმა გული შეუკუმშა. — ნუ გეშინია, რაკელ, ჩემო გოგონა, — ნახად და აღლევებისაგან ჩურჩულით უთხრა მან, — მენდე. ბავშვის წაყვანას დავაუალებ მოხერხებულ და საიმედო კაცს, ყველაზე ერთგულს ჩემ ნაცნობებს შორის. ამ საიმედო კაცის გარდა არავინ არ უნდა იცოდეს, სად იქნება იმანუელი, ტოლედოში ისეთი არავინ უნდა იყოს, ვისაც შეეძლება მეფეს უთხრას ბავშვის ადგილ-სამყოფელი. როგორც არ უნდა დაგემუქროს მეფე, რომ პასუხი გასცე, შენ მხოლოდ ამას იტყვი: „არ ვიცი“, და ეს უნდა იყოს მართალი. — რაკელი უმწეო და ჩამქრალი იქდა. იეჰუდამ დაძძინა: — ამგვარად, არც ბავშვი და არც შენ საფრთხის წინაშე არ იქნებით. საფრთხეში მხოლოდ მე ვიქნები. მე ხომ ამ თოთო ბავშვის გადარჩენა მინდა, შენი შვილისა და ჩემი შვილიშვილის. როცა ომი დამთავრდება, სახელმწიფო დამშვიდდება და ალფონსოც დაწყნარდება, მაშინ ჩამოვიყვანო იმანუელს. — პასუხს დიდხანს უცდიდა. შემდეგ უთხრა: — არ მინდა, ჩემო გოგონა, რომ ამ საქმეში რაიმე, თუნდაც სულ მცირე მონაწილეობა მიიღო. შენ არც კი უნდა იცოდე, როგორ მოხდება ეს. ერთს გთხოვ: უარი არ მითხრა. დანარჩენი ყველაფერი ჩემ თავზე გადაივლის.

ერთი წუთით რაკელმა წარმოიდგინა, რა სასტიკი რამ უნდა იყოს ის, რისი გულისთვისაც მამა მზადაა ალფონსო განარისხოს. მან იცოდა, რა საშიში იყო გაბრაზებული ალფონსო. შეიძლება გააფთრების დროს მოკლას კიდევ იეჰუდა. და მამა ყველაფერზე მიდის, ოღონდ იმანუელი გადაარჩინოს. ამასთანავე, რაღაც საიდუმლო მოსაზრებით იგი უარს აცხადებს სიხარულზე — ერთხელ მაინც შეხედოს ბიჭს. მამაცი კაცია. თავის გრძნობებს ყოველთვის უმორჩილებს დიდ ჭკუას, რომლითაც ღმერთმა დააჯილდოვა. რაკელს კი არა აქვს ამის უნარი. იგი თავის გრძნობებსაც ვერ ენდობა. სულ ნახევარი საათის წინ ხომ სრულიად დარწმუნებული იყო თავის ბედნიერებაში. ბედის კალთას ამოფარებული და ყველაფრისაგან დაცული. ახლა კი შიშობს შვილზე და საყვარელ ადამიანზე. თუ იმანუელს არ გაატანს, შეიძლება ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში ჩაადგოს, თუ გაატანს, შეიძლება ალფონსოს სიყვარული დაკარ-

გოს. უცებ ხმაძალდა თითქოს აქ ყოფილიყო, გაისმა მისი ამხანაგის ლეილას სიტყვები: „შე საცოდავო“.

სცადა მოეგროვებინა ახლახან დაკარგული სანეტარო სიმშვიდის ნამსხვრევები. იმანუელთან დაშორება ხანმოკლე იქნება. ალფონსო მას გაუგებს, ალფონსო სულიერად შეეზარდა მას.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ თქვა: „ღე მოხდეს ისე, როგორც შენ მიგაჩნია საჭიროდ, მამა“.

და იქვე დაეცა უგრძნობლად. როცა მას ასულიერებდა, მამა ფიქრობდა: „მამინ, როცა ვურჩევდი წასულიყო ქრისტიან მეფესთან, სწორედ ასევე უგრძნობლად დაეცა“. იეჰუდას გამოუთქმელად ეცოდებოდა გულწასული ქალიშვილი და შურდა კიდევ მისი. მას უფლება არ ჰქონდა, გრძნობის დაკარგვით ეშველა თავის თავისათვის. იგი ვალდებული იყო, სრულიად საღ გონებაზე მყოფს ბოლომდე განეცადა თავისი უბედურება.

ალფონსო ბურგოსიდან ტოლედოში მიემგზავრებოდა. სხვებთან ერთად მას ახლდა არქივისკომოსი ღონ მარტინი, რაინდი ბერტრან დე ბორნი და საჭურველმტვირთველი ალაზარი.

გზად მიმავალნი ხედავდნენ, რომ მთელი ქვეყანა სალაშქროდ ემზადებოდა. ახალგაზრდებიც თავიანთი სენიორების ციხე-კოშკებისაკენ მიისწრაფოდნენ. ყოველი მხრიდან სამხრეთისაკენ მიემართებოდა შეიარაღებულ ხალხის ჯგუფები. ალფონსო და მისი თანამგზავრები მათ გამოცდილი თვალთ ათვალთვალდნენ, მამაცური შეძახილებითა და ოხუნჯობებით ეხმაურებოდნენ თავიანთ მომავალ ჯარისკაცებს.

მეფე სიხარულისაგან კვიცივით ხტოდა, მხიარული იყო, უხაროდა ომი, უხაროდა, რომ მალე ნახავდა თავის ვაჟს, საყვარელ ბასტარდს სანჩოს, ოლმედოს პატარა გრაფს. მას შვილი მამობრივი, ძლიერი სიყვარულით უყვარდა, და ეს უნდოდა საქმით დაემტკიცებინა. თვითონ უმამოდ გაიზარდა, სამი წლის ბავშვი მეფე გახდა. ვერავინ ბედავდა ქკუა ესწავლებინა ბიკისათვის, რომელიც მეფედ ითვლებოდა. იგი არ დაუშვებს, რომ მისი ბიჭი დედის ნებერად გაიზარდოს. დე, მამის ხელი იგრძნოს. დაბრუნებისთანავე ვაჟიშვილის აღზრდას თვითონ მოჰკიდებს ხელს, პირველსავე დღეს ბრძანებს სანჩოს მონათვლას. რაკელი წინააღმდეგობას არ გაუწევს. იგი მასაც აზიარებს მადლს, თუ საჭირო იქნება, სიმკაცრესაც გამოიჩინს და რაკელი მადლობელი იქნება მისი.

ტოლედოში მისვლისთანავე დაიბანა, ტანისამოსი გამოიცვალა

და რაკელისკენ გაქანდა. „ალაფია, მშვიდობა მომსელებს!“ — ესალმებოდა მას მამულში შესასვლელი კარის წარწერა. სახლის შესასვლელთან რაკელი იღვავდა. გზნებით, სიამაყითა და ნაზად ჩაიკრა გულში საყვარელი არსება. რაკელი არაფერს გრძნობდა გარდა მოზღვავებული ბედნიერებისა, მისი ალფონსო კვლავაც მასთან იყო. ალფონსომ მხარზე გადახვია ხელი და სახლში შევიდნენ. აქ მან ხელი გაუშვა რაკელს, წინ დააყენა, შეათვალიერა თავიდან ფეხებამდე და თან ბედნიერებისაგან იცინოდა.

მერე უთხრა: — ახლა კი სანჩოსთან წავიდეთ.

რაკელმა უპასუხა: — იგი აქ არ არის.

ალფონსომ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მას ვერაფერი გაეგო და მოულოდნელობისაგან სახტად დარჩენილი დაეინებით დააუქმრდა რაკელს. მერე ჰკითხა: — სად არის? — არასასიამოვნო ექვმა გაჰკრა გულში. ნუთუ ბიჭი კასტილიოშია?

რაკელმა მთელი სიმამაცე მოიკრიბა და გაბედულად უთხრა სიმართლე: — არ ვიცი.

ალფონსოს თვალები აენტო რაკელისათვის კარგად ნაცნობი ბრაზით. — არ იცი, სად არის ჩემი ბავშვი? — დაიღმუვლა მან ხმა-დბლა და გააფთრებით. — უშიშარ ადგილას. — უპასუხა რაკელმა, — ჩვენი შვილი უშიშარ ადგილასაა, სულ ესაა, რაც მე ვიცი. მამა-ჩემმა იგი უშიშარ ადგილას გაგზავნა.

ალფონსომ ისეთი ძალით სტაცა მას ხელი, რომ რაკელმა უნებურად დაიწვილა. მერე მხრებში ჩაავლო ხელი და ნჯღრევა დაუწყო. სახე სახესთან მიუტანა და მრისხანე შეეკითხებებს აძლე-და: — ჩემი ბიჭი, ჩემი, ჩემი სანჩო მამაშენს მიეცი? მან კი, ბებერ-მა ძალღმა ფიცი გატეხა, და ეს შენ მოითმინე? ალბათ, ეხმარებოდი მას, არა?

რაკელმა ტანჯვით უპასუხა: — არც დავხმარებდივარ და არც მიმი-ცია ბავშვი მამაჩემისათვის. მაგრამ მე ვიცი და შენც გეუბნები: რომ მამა სწორად მოიქცა.

ალფონსოს თავში უტრიალებდა ებრაელების წინააღმდეგ მი-მართული საგინებელი სიტყვები პაპის უნციკლიკიდან, სამღვდე-ლოების წამქეზებლური ქადაგებებიდან: ჯოჯოხეთის ნაშვიერები, სატანის მახარობლები. ხელები თავისთავად შეიკრა მუშტად და აიწია დასარტყმელად.

მხოლოდ ახლა დაინახა მან რაკელი.

მას მკერდი და თავი უკან გადაეწია, ერთი ხელი თავის დასაცა-ვად წინ ჰქონდა გაწვდილი, მაგრამ ყოველგვარი შიშის გარეშე. გაფითრებული შავგვრემანი სახიდან ალფონსოს შემოსცქეროდა

ჩვეულებრივზე უფრო გაფართოებული მონაცრისფრო-ცისფერი დიდი თვალები. ამ თვალებში გაცემა, შიში, იმედგაცრუება, დაბნეულობა, ბრაზი, მწუხარება და სიყვარული იგრძნობოდა. ყველაფერი, რასაც არ ამბობდა, ან რისი გამოთქმაც არ შეეძლო ბაგეებს, ისეთი ძალით გამოხატავდა თვალები და პოზა, რომ ალფონსომ, რომელსაც ერთი შეხედვით შეეძლო ადამიანის შინაგანი სამყაროს შეცნობა, უცებ თავისდა უნებურად, ყველაფერი იგრძნო და ყველაფერს მიხვდა.

მან ზიზლითა და ბრაზით ჩაიბუტბუტა და ხელი გაუშვა რაკელს. — მაშ ასე, თქვენ, ებრაელებმა, შვილი მომპარეთ, — თქვა მან, — ამის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი კიდევ, — მისი მკვეთრი, გულამომჭლარი, არასასიამოვნო სიცილი რაკელს ტვინში დანასავით ჩაესო.

შემდეგ უცებ მოტრიალდა, გავიდა და ტოლედოსკენ გააქროლა ცხენი.

იეპულა სასახლეში დაიბარა. — ამრიგად, შენ ფიცი გასტეხე, — საქმიანი ტონით აღნიშნავდა იგი. — არა, მეფეო, არ გამიტეხია ფიცი, — შეეპასუხა იეპულა, — ჩემთვის ადვილი არ იყო მძიმე ფიცის შესრულება, მაგრამ შევასრულე. ჩემი შვილიშვილი ებრაელად არ მომინათლავს, დე, უფალმა შემინდოს ეს ცოდვა.

ალფონსო გააფთორდა.

— შვილი მომპარე, ძაღლო მძევლად წაიყვანე. არ გინდა ომში წავიდე და შენი მუსლიმანები გავკლიტო. ძაღლო მოღალატე! ეუბრძანებ, რომ ჩამოგახრჩონ!

— არავის არ ჰყავს შენი შვილი მძევლად, მეფეე ბატონო, — წყნარად უთხრა იეპულამ. — ბავშვი საიმედოდაა დაცული ომისგან, ქრისტიანებისგანაც და მუსლიმანებისგანაც. ეს არის და ეს. აჰ, ტოლედოში, თქვენი უდიდებულესობის გარეშე მას საფრთხე მოეღოს. დამშვიდებულად იფიქრე, მეფეე ბატონო, და აუცილებლად დამეთანხმები. ახლა ბავშვი ერთგული ადამიანის ხელშია. რაკელმა არ იცის, სად არის იგი. მისთვის ეს ადვილი როდია. მეც არ ვიცი ნამდვილად, სად არის ბიჭი, და ეს ჩემთვისაც ძალიან ძნელია, — თავისი უპირატესობის აღრიზნელი შეგნებითა და თავმდაბალი გამბედაობით დასძინა მან: — მესმის, რომ ჩემი ჩამოხრჩობა გინდა. მაგრამ ამით საბოლოოდ დამუწქდება ბაგეები, რომელსაც შეუძლია, როცა დრო დადგება, გაამბოს შენი ვაჟიშვილის შესახებ, — და მოკრძალებული ფამილიარობით დაასკვნა: — როცა ომი დამთავრდება და საფრთხე თავიდან იქნება აცილებული, ბავშვს ჩამოვიყვან. ამაში შეგიძლია დარწმუნებული იყო, მეფეე ბატონო. არასოდეს არ

მინახავს ჩემი შვილიშვილი. სიკვდილის წინ მინდა მისი ნახვა. ვერც რაკელი აიტანს შვილის დაკარგვას.

საკუთარი უმწეობის შეგნებამ გული შეუკუმშა დონ ალფონსოს. უწყვეტი ძაფები აკავშირებდა მას ებრაელთან. ებრაელს მაგრად ჰყავდა იგი ხელში ჩაქერილი.

ჩუმად, მბრძანებლური ეესტით წასვლა უბრძანა იეჰუდას.

როცა ცოტათი დაწყნარდა, იძულებული იყო ელიარებინა, რომ იეჰუდამ ბავშვი მხოლოდ ჭაერის ამოსაყრელად კი არ მოპარა. რაკელს არ მოუტყუებია: ცხადია, მან მართლაც არ იცოდა, სად დამალეს ბავშვი, და, ეჭვი არ არის, გულდამშვიდებულად არ მიუცია ბავშვი იეჰუდასათვის.

მას თვალწინ ედგა რაკელის სახე — სახე ბრაზის, მწუხარების, ჩივილისა და სიყვარულის უხმოდ, მაგრამ მრავლისმეტყველად გამომხატველი. იგი ცდილობდა ბავშვური ჰირვეულობით მოეშორებინა თავიდან ეს ჩვენება. რამდენადაც შეიძლებოდა ზუსტად, გესლიანი ტკობით წარმოიდგენდა რაკელის სიტყვებსა და მოქმედებას, რომლებიც როდისმე არ მოსწონებია მას. როგორ შეეშინდა, როცა ალფონსომ იგი წინ დაისვა უნაგირზე და ცხენი გააქენა. მის ძაღლებსა და შევარდნებს ათვალწუნებით ექცეოდა. ტყუილად ხომ არ ამბობენ: „არ არს სიამე მისთვის, ვისაც ცხოველი არ უყვარს და ვინც ცხოველს არ უყვარს“. რაკელი ყრუ და ბრმა იყო ალფონსოს რაინდული სათნოებისა და მეფური ქველობის მიმართ, და პირიქით, აღმატერადაც კი უყურებდა მათ. მას ომი ეჭაერებოდა. რაკელი იყო სულიერად სუსტი, იმ მშინშარა ადამიანთაგანი, რომლებიც გულადებს ხელს უშლიან იარონ ღვთის მიერ დასახულ გზაზე. მთელი თავისი არსით ვილანებს ეკუთვნოდა, სულით ხორცამდე ებრაელი იყო. არ მონათვლინა ბავშვი, დაუქარგა მას ღვთის წყალობა, სულის ხსნა.

ალფონსო საქმეებში გაერთო. მოაწყო მეომართა დათვლიერება, მოლაპარაკება დაიწყო ბარონებთან, მხედართმთავრებთან. ჰამდა და ჰვამდა არქიეპისკოპოსთან და ბერტრანთან ერთად.

საღამოს ბინდი ჩამოწვა. დაღამდა. იგი რაკელზე დარღობდა, მაგრამ მისი ხვევნა-ალერსი კი არა სურდა, მასთან საუბარი სწყუროდა. უნდოდა მის სუფთა, უცოდველ, ცბიერ სახეში პირდაპირ მიეხალა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა მის შესახებ, ვინც იყო იგი. მაგრამ, ტანჯვისაგან გულგადაღლეული, ბავშვური სიჯიუტის გამო თავის სასახლეში ფეხმოუცვლელად იჯდა.

ასე გავიდა მეორე ღღეც. მაგრამ როგორც კი დაღამდა, მაშინვე გაქანდა გალიანასკენ. აღვირი მეჯინიბეს მიუგლო, არაფრის თქმა არ უბრძანებია, ისე შევიდა სახლში ბალის გავლით. შეაქო თავისი

საქციელი, რაბი ხახანას ცისტერნები რომ ამოავსებინა. ღვარძლიანად შენიშნა, რომ მეზუზას ჩამტვრეული ჰქონდა შუშები.

რაკელის ოთახში შევიდა. ქალს სახე გაუბრწყინდა. ალფონსომ წინასწარ მოამზადა მრისხანე სიტყვები ლათინურად და ნაწილობრივ არაბულად, რომ რაკელს ნამდვილად გაეგო მისი ნათქვამი. მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიჟმებულნი და მოლუმული იყო.

მოგვიანებით, ლოგინში ალფონსო გააფთრებული ავხორცი გულისთქმით მივარდა რაკელს. მასში არეულიყო სიძულელი, სიყვარული, ავხორციობა. მას უნდოდა, რაკელს ეს ეგრძნო. რაკელმა იგრძნო ეს და ალფონსოს ესიამოვნა.

ტოლედოში მუსლიმანების ელჩები მოვიდნენ, რათა კასტილიის მეფისათვის ხალიფას უსტარი გადაეცათ. ხმები დადიოდა, ელჩები ჩამოვიდნენ, რომ მეფისათვის სევილიასთან დადებული ხელშეკრულება გაეხსენებინათ, ესე იგი, ბურგოსში ნათქვამი ვარაუდი სწორი გამოდგა: ხალიფას განზრახულა არა აქვს ჩაერიოს ომში, თუ ალფონსო აშკარად არ დაარღვევს სევილიასთან დადებულ ხელშეკრულებას.

დონ მანრიკე დე ლარას და მეფის თითქმის ყველა მრჩეველს უხაროდათ, რომ კასტილიას და არაგონს ძალის გასინჯვა არ მოუწევთ ხალიფას ურდოებთან. დონ როდრიგოს ნაღვლიან სულში ელჩების ჩამოსვლამ იმედის ნაპერწკალი გააღვივა. ოღონდ დონ ალფონსოს აღვირი ამოედო თავისი ხასიათისათვის და თავაზიანად მოპყრობოდა ელჩებს, მაშინ ომი მხოლოდ კორდოვას და სევილიის ემირებთან შეტაკებითა და შეხლა-შემოხლით შემოისაზღვრება, ნაცვლად იმისა, რომ სისხლსა და ცრემლში ჩაახშონ მთელი ნახევარკუნძული. მეფისთვის ელჩების მოსვლა სულაც არ იყო სასურველი. განრისხებულსა და თმენადაკარგულს სურდა ტოლედო და მშვიდობაც შორს ჩამოეტოვებინა. უნდოდა გასცლოდა გალიანას და დიდი ხნის ნანატრი ომი დაეწყო. ამ დროს მოდიან აქ ეს წინადაცვეთილები, რათა ისევ გააბან ლაყობა და მოლაპარაკება. მაგრამ ალფონსო საკმაო დათმობაზე წავიდა ბურგოსში და აღარ სურს დამამცირებელი რწმუნებებით იაკუბ ალმანსურიც დააკმაყოფილოს. ფიქრობდა, ელჩებს სასტიკად მოქცეოდა, ან სულაც არ მიეღო ისინი.

არქიეპისკოპოსი და ბერტრანი მის მრისხანებას უფრო აცხოველებდნენ. სამაგიეროდ დონ მანრიკე და კანონიკი ცდილობდნენ იჩვენებინათ, რა ნათელ შესაძლებლობებს აძლევდა ქვეყანას ხალი-

ფას ელჩების ჩამოსვლა და მთელი ძალღონით არწმუნებდნენ დონ ალფონსოს, რომ სახელმწიფოსა და მთელი საქრისტიანოს საკეთილდღეოდ ანგარიში გაეწია ხალიფას სურვილებისათვის და მის გაფრთხილებაზე მტკიცე დაპირებით ეპასუხა. თუ იგი გაჯიუტდება, იაკუბ ალმანსურს ორთაბრძოლაში გამოიწვევს და დაშოშმინების მაგივრად შეურაცხყოფს მას, მაშინ ხალიფა ანდალუზიას შეუსევს მთელი დასავლეთის ისლამის სამხედრო ძალებს, გააუქმებს სამხედრო გემებს და ხელშეკრულებას, რომლის დაცვის შესასრულებლად საზეიმო ფიცი დასდო ბურგოსში. ალფონსო დიდხანს ურჩობდა, ჯიუტობდა და ბოლოს დონ მანრიკეს დაეინებულები რჩევის შემდეგ გულგრილად დანიშნა ელჩების მიღების დრო.

ბრწყინვალედ შეხვდნენ მუსლიმან დიდებულებს, რომელთაც ხალიფას ნათესავი აბულ ასბაგი მეთაურობდა თავისი გრანდებითა და პრჩევლებით გარშემორტყმულმა ალფონსომ ხალიჩებითა და დროშებით მოფენილ დიდ სააუდიენციო დარბაზში მიიღო ისინი.

ცერემონიალის წესისამებრ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ორივე მხრივ საფუძვლიანი შესავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული. შემადლებულზე მკდომი ალფონსო, მეფური დაუდევრობით უსმენდა მთელ ამ მაღალფარდოვან, ოფიციალურ ლაყბობას. იგი ხედავდა არქიებისკოპოსის მოღუშულ, ბერტრანის დამცინავ და დონ როდრიგოს შეშფოთებულ სახეებს. ხშირად გადახედავდა იეჰუდას, რომელიც მორიდებულად იდგა უკანა რიგში. უბრაელია დამნაშავე იმაში, რომ ალფონსო წინათ ქრისტიანული სამყაროს პირველი რაინდი, სავალალოდ ჩამორჩა რიჩარდ ინგლისელს. რიჩარდის, შელექ რიკის სახელით მუსლიმანი დედები ბავშვებს აშინებენ; მასთან კი, ალფონსოსთან, ალბათ ამ იეჰუდას ხრიკების წყალობით მუსლიმანები ელჩებს გზავნიან, რომ დააშინონ იგი. მისი პრჩევლები გონების უსუსური დასკვნებით ხელმძღვანელობდნენ და ურჩევდნენ ეთმინა წინადაცვეთილის ყბედობა. მაგრამ დე, ყველა მათ, ებრაელსაც და ფრთხილ, მოხუც პრჩევლებსაც მაინცდამაინც ნუ აქვთ დიდი იმედი. ისინი ვერ შესძლებენ ჩაახშონ ალფონსოს შინაგანი ხმა. და სწორედ მხოლოდ ამ შინაგან ხმას უნდა უსმინოს ალფონსომ.

ელჩების მეთაური პრინცი აბულ ასბაგი წინ წამოდგა და თავის მდაბლად დაკვრით დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რაც დავალებული ჰქონდა. პრინცი განებივრებული, ხანშიშესული დიდებული იყო. ძალიან უხვდებოდა ლურჯი საელჩო მანტია და არაბული სიტყვებიც ნარნარად და ხმიერად მოედინებოდნენ მის ბაგეთაგან.

დასავლეთის მართლმორწმუნეთა მბრძანებელი, — ასე ამბობ-

და იგი, — ძალიან შეშფოთდა, როცა გაიგო მისი უდიდებულესობის, კასტილიის მეფის დიდი სამხედრო მზადებების შესახებ. ხალიფა გულისხმობს, რომ ეს სამზადისი არ შეიძლება მისი ვასალის, სევილიის ემირის წინააღმდეგ იყოს მიმართული, რადგან მას საზავო ხელშეკრულება იცავს. მაგრამ ამ ბოლო ხანებში ქრისტიანულ ქვეყნებში ბიწიერი და უგუნური მოძღვრება ვრცელდება, თითქოს ხელშეკრულება, რომელიც ქრისტიანული მღვდელმსახურების მიზნებს ეწინააღმდეგება, ქრისტიანებისათვის სავალდებულო არ არის. აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანმა მეფეებმა უსირცხვილოდ ისარგებლეს ამ მონაგონით, და სულთანი სალადინი იძულებული იყო წმიდა ომი გამოეცხადებინა. ალაჰმა დაავიკრავინა მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ალაღმართალი შრომა აღმოსავლეთში იმით, რომ მის ძალაუფლებას დაუბრუნა იერუსალიმი, ხოლო ქრისტიანმა მეფეებმა ფიცის გატეხვისათვის ძალაუფლება და სიცოცხლე დაკარგეს.

ღონ აღფონსო დაუდევრად, მაგრამ მაინც მეფური სიდიადით იჯდა და ელჩის თავშეკავებულ მკაცრ სიტყვას უსმენდა. მისი გამხდარი, თითქოს ხისგან გამოკვეთილი სახე ისეთი მშვიდი იყო, შეიძლებოდა ეკვი შეგპარვოდათ, ესმოდა თუ არა ამ კაცს არაბული სიტყვების აზრი. თითქოს, სულ ოდნავ ებრიცებოდა თხელი, მოგრძო პირი, რომელსაც მომწითურო მოკლე წვერები შემორკალოდა. შუბლის ნაოჭები უფრო გაღრმავებოდა. მაგრამ ღია ფერის თვალების შზერას ხან მოლაპარაკე ულჩს, ხან კი კრებას მიაპყრობდა და გამუდმებით ეძებდა ღონ როდრიგოსა და იეჰუდას.

„იყბდე შენთვის, ღმერთმა შეგარგოს, წინადაცვეთილო, ილაპარაკე რაც სათქმელი გაქვს, — ფიქრობდა იგი. იყეფე, ძაღლო, იყეფე რამდენიც გსურს, სულ ერთია, თქვენ მბრძანებელთან ერთად კბენას ვერ გაბედავთ, თქვენ ადგილას იჯდებით ზღვის გაღმა, აფრიკაში. პირობა დავდე, მოთმინება ვიქონიო და არ გავბრაზდე, სილა არ გაგაწნა, თუმცა შენი მედიდური სახე მოითხოვს ამას. მაგრამ შემდეგ, როცა შინ დაბრუნდები, თავს დავესხმი კორდოვასა და სევილიას და მაშინ რამდენიც გინდა იყეფე, ძვალი მე დამრჩება“.

ელჩი ლაპარაკს განაგრძობდა. დასავლეთის მართლმორწმუნეთა მბრძანებელი, — განაცხადა მან, — საჭიროდ თელის მხოლოდ შეახსენოს მის უდიდებულესობას, კასტილიის მეფეს, რომელიც ცნობილია თავისი ჭკუით, რომ მას, ხალიფას, ბევრი რამის პატიება შეუძლია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ხელშეკრულების დარღვევისა. მისმა უდიდებულესობამ კასტილიის მეფემ საკმაოდ მწარე გამოცდილება მიიღო სევილიის მხოლოდ ერთ არმიასთან



შეტაკებისას; თუ იგი ხელმეორედ დაესხმება თავს სევილიას, მაშინ მას საქმე ექნება ხალიფას მთელ სამხედრო ძალებთან. კასტილიას, თუ ის ცეცხლს დაანთებს, ბევრი ცრემლის დაღვრა დასჭირდება მის ჩასაქრობად.

კვლავინდებურად ყურადღებით უსმენდა დონ ალფონსო ყოველ სიტყვას და ამავე დროს ყველაფერს ამჩნევდა, რაც ხდებოდა დარბაზში. იგი ხედავდა, რომ ისინი, ორივენი როდრიგო და იეპუდა შემოთვთებულები, თითქმის მუდარით შესცქეროდნენ მას. ალფონსო იეპუდას სამკერდე ნიშანს უცქერდა. ფირს, რომელზედაც სამი კოშკი იყო გამოსახული და ამავე დროს თვითონვე უკვირდა, რომ ურჯულოს მიერ ნათქვამი ნატიფი არაბული უნის ყველა სიტყვა ესმოდა, ახსენდებოდა ოქროს ფულები, რომლებიც იეპუდამ მის საამებლად მოაქრევიანა და ალფონსოს სახე ხალიფას ყველაზე შორეულ სამფლობელოებში შეიტანეს. პირველ შეხვედრიდანვე იგი დაკავშირებული იყო ებრაელთან ხან სასიხარულოდ, ხან კი საუბედუროდ. მაგრამ ახლა ეს გზები მას მობეზრებული ჰქონდა, მოთმინება არ ყოფნიდა თავიდან მოეშორებინა იგი. ალფონსო ხედავდა იეპუდას მეტყველ, მავედრებელ თვალებს, ისინი რაკელის თვალებს აგონებდა. „სულ ერთია, ეს შენ არ გიშველის, — ფიქრობდა ალფონსო, — უკვე ვეღარ დამაბამ. შენ პრინცს, აბულ ასბაგს ნებას არ მივცემ, რომ დამცინოს, ავიწყვეტ საბელიდან“.

პრინცმა ლაპარაკი დაამთავრა. სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ბერტრან დე ბორნის მკვექარე ხმა. — თავხედობა ხომ არ გაუბედავს? — იკითხა მან ლათინურად.

კასტილიელი მდივანი მოწიწებით მიუახლოვდა ტახტს, რომ სიტყვები ეთარგმნა, მაგრამ ალფონსომ იგი ხელის აქნევით გააჩერა. — გადათარგმნა არ არის საჭირო, — თქვა მან, — ყველაფერი გავიგე და ბატონ ელჩს ისე ვუპასუხებ, რომ მანაც ყველაფერი გაიგოს. — ღვარძლიანი დაციხვით წარმოიდგინა, როგორ გაოცდება დონ როდრიგო, რომ გალიანაში ყოფნისას ასე კარგად დაეუფლა არაბულს, და არაბული სიტყვების დინჯი გამოთქმით დაიწყო: — გადაეცი შენს მბრძანებელს, ხალიფას, შემდეგი: ჩემი სწავლული მრჩეველების დასკვნით, ჩემი ხელშეკრულება სევილიასთან დაირღვა მას შემდეგ, როცა სულთანმა შეურაცხყო ჩვენი მხსნელის საფლავი და წმიდა მამა იძულებული გახადა წმიდა ომი გამოეცხადებინა. მიუხედავად ამისა, მე ხელშეკრულებას ვიცავდი, დღეიდან კი შენი მბრძანებლის თავხედურმა სიტყვებმა საბოლოოდ დაამსხვრიეს ხელშეკრულების გამამტკიცებელი ბუქელი.

იგი წამოდგა, წელში გაიმართა, ახალგაზრდა, დიდებითა და

შემართებით აღსავსე, და წკრიალა, ლალი ხმით განაგრძო. — გადაეცი ხალიფას, სცადოს და გადმოვიდეს თავისი გემებითა და ჯარისკაცებით ანდალუზიაში! ჩვენ ნახევარკუნძულზე მას ბრძოლა მოუხდება არა მემამბოხეთა ველურ ურდოებთან, როგორც იქ, თავის აღმოსავლეთის საზღვრებზე. ხალხი, რომელიც მას აქ წინააღმდეგობას გაუწევს, ყოვლისშემძლე ღმერთის გამობრძამებული მებრძოლებია Deus vult! — წამოიძახა მან და არქიეპისკოპოსი სხვებთან ერთად ომახიანად აპყვა მის შეძახილს.

ახლა ალფონსოს ღია ნაცრისფერი თვალები ელავდა, ჩვეულებრივ ბევრს შიშს რომ ჰგვრიდა, მაგრამ ასეთი ალფონსო ხიბლავდა დონა ლეონორს. — დაიკარგე აქედან! — დაუყვირა მან პრინც აბულ ასბაგს ხმამაღლა. — საელჩო უფლებები ორი დღე დაგიფარავს. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერ გადაასწარი ჩემი საზღვრებიდან, შერე შენ თავს დააბრალებ. და ღმერთს უმადლოდე, რომ შენი თავხედური სიტყვების გამო არ ვბრძანე და ენა არ ამოგვლიჯეს.

ელჩი გაფითრდა, მაგრამ მალე მოეგო გონს. თავშეკავებული ღირსეული გამოთქმით თხოვა, რომ მის უდიდებულესობას ენება და წერილობითი პასუხი გაეტანებინა მისთვის. თორემ მართლმორწმუნეთა მბრძანებელს ეგონება, რომ ალაჰმა ელჩს გონება დაუბნელა. — ამ დახმარებას გაიწვევ, — ახლაგაზრდული ღიმილით უთხრა ალფონსომ. როცა შეკრებილები იშლებოდნენ, დონ იეპუდა გააჩერა და უბრძანა: — წერილს შენ დაწერ წმიდა არაბულ ენაზე. მხოლოდ იცოდე, არაფერი შეარბილო. სულ ერთია დანაშაულზე დაგიქერ. ალბათ, შენიშნე, რომ არც ახლა ვლაპარაკობ ცუდად არაბულ ენაზე. ჩემი ბეჭდის გვერდით კი შენი ბეჭედიც იყოს.

დონ როდრიგო თავის ხმელ საწოლზე იწვა სევდა და მწუხარება სხეულიდან უკანასკნელ ძალ-ღონეს წოვდნენ. მისი დანაშაული იმაშია, რომ ალფონსომ აცელქებული ბავშვივით ნამსხვრევებად აქცია ყველაფერი, რასაც ბურგოსში დიდი გაჭირვებით მიაღწიეს. თუ ახლა ხალიფა მთელი თავისი უზომო საომარი ძალით თავს დაესხმის ესპანეთს, როდრიგო იქნება ამაში დამნაშავე. მანრიკეს იმედით არ უნდა ყოფილიყო, საჭირო წუთებში თვითონ უნდა დაეძაბა ძალა და მეფისთვის ჩაეგონებინა კეთილგონიერი საქციელი.

ნებისყოფის სისუსტემ და სიმხდალემ შეუშალა ხელი მას. ალფონსოსა და რაკელის სასიყვარულო კავშირის პირველ ხანებში ეპისკოპოსი ხშირად საყვედურობდა როდრიგოს — შენთვის უცხოა

ის გააფთრებული გულისწყრომა, რაც ასე ხშირად ედერს წინასწარმეტყველებისა და ეკლესიათა მამების სიტყვებშიო. დონ მარტინი სამართლიანად ჰკიცხავდა მას. როდრიგოზე ძალიან მოქმედებდა ალფონსოს რაინდული, ყმაწვილური, მეფური მომხიბლაობა; იგი დამთმობი იყო იქ, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა დათმობას და პატიებას. უკანასკნელ დღეებში უფრო დიდი დანაშაულის ტვირთი აიკიდა. გულის კუნჭულში უხაროდა, მეფემ გალიანაში ცოდვილი ცხოვრება რომ განაახლა, რადგან იმედოვნებდა, ეს ამბავი ომის დაწყებას შეაფერხებდეს.

მხურვალე გულმოდგინებით ლოცულობდა, რომ ზეციერს ღვთიური ექსტაზი ეწყალობებინა, ოდესღაც მისთვის ყველაზე კარგი თავშესაფარი. მარხულობდა, აიკრძალა იბნ ეზრას კასტილიოში სიარული. უარს ამბობდა თავის ბრძენ მეგობართან, მუსასთან საუბარზე. მაგრამ ღმერთმა არ აღირსა პატიება. მადლი არ ეფინებოდა მას. უკანასკნელი სიხარული დაჰკარგა.

ახლა კი მან თავისი სისუსტიით ნება მისცა სახელმწიფოში უაზრო სისხლისღვრა ატეხილიყო, რადგან მხოლოდ შიშის გამო არ შეეცადა, რომ მეფეს გონიერი პასუხი გაეცა ხალიფასთვის. საუბარში მას ლაპარაკი უნდა ჩამოეგდო იმის შესახებაც, რომ ბოლო მოღებოდა რაკელის ცოდვილ სიყვარულს. ამისათვის მას ვაჟკაცობა არ ყოფნიდა.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დანაშაულის გრძნობას კანონიკი ასე არასდროს დაუტანჯია. გუნებაში აბელარის სიტყვები უტრიალებდა: „ეს იყო დღეები, როცა მე შევიგნე, რას ნიშნავს ტანჯვა, რას ნიშნავს სირცხვილი, რას ნიშნავს სასოწარკვეთა“.

იგი ნაცემივით წამოდგა. აიღო თავისი მატინანე და მუშაობა სცადა. ეს იყო დაწერილი პერგამენტის მთელი გროვა. კითხულობდა ალალებდზე ხელში მოხვედრილ გვერდებს, ერთს, მეორეს. ყველაფერი, რაც აქ ასე დიდი სიყვარულით და გულმოდგინებით აღენიშნა, ფუჭად და უვარგისად ეჩვენებოდა; არავითარ აზრს არ ხედავდა იმ ამბებში, რომლებიც დიდი გაჭირვებით ჩასვა თავთავის ადგილზე. ძირფესვიანად ყალბი იყო მის მიერ დონ ალფონსოს აღწერა და როგორ ბედავს ადამიანი, რომელსაც უნარი არა აქვს შეიგნოს ის, რაც მასთან ახლოსაა, უდიდეს ისტორიულ მოვლენებში ღვთის განაჩენი დაინახოს!

გადმოიღო წიგნი, რომელიც ახლახან გამოუგზავნეს საფრანგეთიდან და რომელმაც იქ დიდი კამათი გამოიწვია. ამ წიგნს „ბრძოლათა ხე“ ეწოდებოდა. წიგნი შეთხზა ონორე ბონემ, სელონის მონასტრის წინამძღვარმა. აქ ლაპარაკი იყო ომის არსზე, მის კანონებსა და ჩვეულებებზე.

როდრიგო კითხულობდა. დიახ, სელონელი წინამძღვარი პატიოსანი, კეთილგონიერი კაცი იყო, ნამდვილი მორწმუნე. საღვთო წერილზე დაყრდნობით იგი დაწვრილებით იხილავდა და გადაჭრით ამტკიცებდა, დასაშვებია თუ არა ბრძოლა პარასკევობით. რა შემთხვევაშია საჭირო მტრის მოკვლა და როდის შეიძლება მისი დატყვევებით დაკმაყოფილდე. აგრეთვე რა გამოსასყიდა არაა სამარცხვინო ქრისტიანისათვის, რომ მეორე ქრისტიანს მოსთხოვოს.

პრიორი ბონე ყველაფერზე იძლეოდა პასუხს. იგი გაბედულად ართმევდა თავს ყველაზე თავსატეხ ამოცანებს და ხსნიდა მათ უბრალოდ, სწორხაზოვნად და ფხიზლად.

აი, მაგალითად, რას პასუხობს იგი მათ, ვინც ექვობს საღვთო წერილით დაკანონებული ხომ არ არის ომის სამუდამოდ აკრძალვაო. „ბევრი უბრალო ადამიანი, — წერს სელონელი წინამძღვარი, — ომს ცუდ საქმედ თვლის, იმიტომ, რომ ომის დროს ბევრი ბოროტება ხდება, ღმერთი კი გვიკრძალავს ბოროტების ჩადენას. მე ვამბობ რომ ეს უაზრობაა. ომი ბოროტება კი არა, კეთილი და უმწიკვლო საქმეა, რადგან ომი ესწრაფვის უსამართლობა სამართლიანობად აქციოს და დაუზავებელი დააზავოს. ხომ ამას გვიქადაგებდა საღვთო წერილიც. თუ ომის დროს ბევრი ბოროტება ხდება, ეს გამომდინარეობს არა ომის არსიდან, არამედ შედეგია ერთეულების მიერ მისი ყალბი წარმართვისა, როცა, მაგალითად, მეომარი ძალას ხმარობს ქალზე, ან ეკლესიას სწვავს. ეს ომის არსიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ერთეულების მიერ მისი ყალბი წარმართვის შედეგია. მსგავს მოვლენას ადგილი აქვს მართლმსაჯულებაშიც, რომლის არსის მიხედვით მოსამართლემ სასამართლო გონივრულად უნდა წარმართოს, თავისი გაგების უნარის მიხედვით. თუ მოსამართლე არასწორ განაჩენს გამოიტანს, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ეთქვათ: მართლმსაჯულება თავისთავად ბოროტებაა? რა თქმა უნდა, არა. ბოროტება გამომდინარეობს არა თვითონ მართლმსაჯულების არსიდან, არამედ მისი არასწორად გამოყენებისაგან. ცუდი განმარტებისაგან, ცუდი მოსამართლისაგან“.

კანონიკმა ამოიოხრა, მან, წინამძღვარმა ბონემ, იოლად გადაწყვიტა ამოცანა. მაგრამ როდრიგომ, როგორც მეცნიერმა, კარგად იცოდა, რომ ყველამ ვერ გადაწყვიტა ეს პრობლემა ასე ადვილად. მაგალითად, ქრისტიანობის აღრეულ პერიოდში მონტანისტების სექტამ გამოაცხადა, რომ სამხედრო სამსახურის შეთავსება ქრისტიანულ მოძღვრებასთან შეუძლებელიაო. კანონიკმა მონტანისტ ტერტულიანის თხზულება გადაშალა: „ქრისტიანი ჯარისკაცი არ უნდა გახდეს, — ასე იყო ნათქვამი იქ, — თუ ჯარისკაცი გაქრის-

ტიანდება, მან სამხედრო სამსახურს თავი უნდა დაანებოს“. ასეთი მაგალითი ბევრი იყო. როცა ყრმა მაქსიმილიანე ჯარში უნდა წაეყვანათ, მან პროკონსულს გამოუცხადა: „არ შემიძლია ვიმსახურო, არ შემიძლია ბოროტება ჩავიდინო, მე ქრისტიანი ვარ“. გამბედავმა, ბევრ ბრძოლებში გამოცდილმა მეზრძოლმა ტიპასიუსმა გაქრისტიანების მერე აღარ ისურვა სამხედრო სამსახური. მან თავის ცენტურიოს უთხრა: „ქრისტიანი ვარ, დღეიდან აღარ შემიძლია შენი ბრძანებით ვიბრძოლო“. აქაც, ესაანეთში, ცენტურიონმა მარცელიუსმა თავისი ლეგიონის ნიშნების წინ ხმალი დააგდო შემდეგი სიტყვებით: „აღარ ვემსახურები იმპერატორს. დღეიდან იესო ქრისტეს ვემსახურები, მარადიულ მეფეს“. ეკლესიამ მაქსიმილიანე და მარცელიუსი წმიდანად შერაცხა.

მართალია, შემდეგში იმპერატორ კონსტანტინეს დროს, არლის კრებამ ეკლესიიდან მოკვეთა ისინი, ვინც სამხედრო სამსახურზე უარს ამბობდა.

ხერხიანი, ხიფათების მოყვარული აბელარი თავის „ზო თუ არა“-ში ერთმანეთს უპირისპირებს ყველაფერს, რაც ნათქვამია საღვთო წერილში ომის სასარგებლოდ და ომის საწინააღმდეგოდ. დასკვნების გამოტანას მკითხველს სთავაზობს. მაგრამ ვის ეყოფა სიბრძნე გაერკვიოს ამდენ წინააღმდეგობებში? როგორ შეიძლება მისდით ზერელე ქადაგების ანდერძს, როგორ შეიძლება ბოროტების წინააღმდეგი იყო და მიუხედავად ამისა, საომრად წახვიდე? როგორ შეიძლება შეიყვარო მტერი და მოკლა იგი? როგორ ეთანხმება ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაწვევა მაცხოვრის მოძღვრებას: „ვინც მახვილს აღმართავს, მახვილი განგმირავს?“. როდრიგოს გონება აერია, წიგნის გვერდები, რომელსაც ის კითხულობდა, თანდათან იზრდებოდა, ასოები ბუნდოვანი ხდებოდა. ისინი დონ ალფონსოს სახედ იქცნენ. დიახ, სწორია, — *vultu vivax*. როგორც კი მუსლიმანმა პრინცმა ლაპარაკი დაიწყო, როდრიგომ დაინახა, როგორ აელვარდა ალფონსოს დიდებულ გულცივ ნიღაბს იქით მძვინვარე ალი, ნაპერწკალი ცვიოდა ნიღაბიდან, ბოლოს როგორ გამოვარდა ალი გარეთ, მისი სახე დაუოკებელი უფლებსმოყვარე მხეცის სახეს დაამსგავსა, რომელსაც სხვისი განაწყენება, მსხვრევა და ნგრევა სწყურია. ამ სახის გახსენებაც კი შემაძრწუნებელი იყო კანონიკისთვის.

მაგრამ ამ საშინელებამ კანონიკს თავის მართლების საშუალებაც მისცა. ყოველ გადაწყვეტ მომენტში, ამ კაცში ყოველთვის დაუოკებლობა იმარჯვებს. არავის შეუძლია მისი დაძლევა. ღმერთმა როდრიგოს ძნელი ამოცანა დააკისრა, როცა უბრძანა ქეშმარიტების გზაზე დაეყენებინა ეს მეფე.

მაგრამ მას უფლება არა აქვს თავისი სისუსტე და დანაშაული ჰსგავსი სოფიზმებით შეალამაზოს. უფლება არა აქვს, დაარწმუნოს თავისი თავი, თუნდაც ახლა, როცა ყველაფერი დაკარგულია. მას ნაბრძანები აქვს დაარბიოს ალფონსო, დანარჩენი ლეთის ნებაა — გაიმარჯვებს თუ არა იგი ამ სარბიულზე. მან დღესვე უნდა ნახოს ალფონსო, ახლავე, თორემ ბრძოლაში ხალიფას ასეთი გამოწვევის შემდეგ, მეფე უეჭველად, დაუყოვნებლივ დაიძვრება სამხრეთისაკენ. დონ როდრიგო სასახლეში წავიდა.

კანონიკს ალფონსო მზიარულ, კარგ განწყობაზე დახვდა. მას შემდეგ, როცა ასეთი მეფური ექსტით გააგდო მუსლიმანთა პრინცი, ალფონსო არაჩვეულებრივ სიმსუბუქესა და თავისუფლებას გრძნობდა. შინაგან ხმას დაემორჩილა, საქმის ვაკუანურებას ბოლო მოეღო, ოში კარზეა მომდგარი; იგი მეფური სასიხარულო რწმენით იყო აღსავსე.

მართალია, თავისი მრჩევლების შემფოთებული შესახედობა ოდნავ აფიქრებდა: ასეთი გარეგნობა ჰქონდათ მის აღმზრდელებს, როცა ისინი პატარა ალფონსოს საქციელს ჰკიცხავდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ შენიშვნა მიეცათ. აი, მოვიდა მეგობარი როდრიგო, ნამდვილად განაწყენებული ხალიფას რომ ისეთი ჰასუბი გასცეს.

იქნებ კარგიც იყოს, რომ როდრიგო სწორედ ახლა მოვიდა. საუბრისთვის თავის არიდება შეუძლებელია; იმაზედაც, რაც გალიანაში მოხდა, ალფონსოს კარგა ხანია უნდა ეთქვა მეგობრისთვის, რომელიც მამის მაგივრობას უწყევდა. უკეთეს დროს, ვიდრე ახლა, როცა ასეთ კარგ განწყობილებაზე იყო, ვერ მონახავდა, რომ ყველაფერი აეხსნა და თავიც ემართლებინა.

სწრაფად გადაწყვიტა და გრძელი შესაველისა და შელამაზების გარეშე მოუყვა, რაც მოხდა მასსა, დონა რაკელსა და იეჰუდას შორის. სახელდობრ ის, რომ ებრაელმა ბავშვი მოუნათლავად წააყვანა. — ამაში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე, ჩემო მამაო და მეგობარო, — თქვა მან, — მაგრამ გულახდილად გამოგიტყდები, ეს ამბავი არ მაწუხებს. ხვალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მივდივარ, მალე დავბრუნდები ცოდვებისგან გაწმენდილი. მაშინ ებრძანებ არა მარტო ვაჟიშვილის მონათვლას, არამედ თვითონ რაკელსაც მოვაქცევ კურთხეულ გზაზე: გამარჯვების შემდეგ ძალა მეყოფა ამისათვის.

როდრიგოს ეშინოდა, რომ ბავშვი გალიანაში იყო მამასთან ახლოს, რომელიც ჯერ კიდევ უსპობდა ბავშვს ნათლობის მადლს. რაკი გაიგო, ეს ასე არ იყო, კანონიკმა შვებით ამოისუნთქა. აღსანიშნავია, რომ მეფე არც კი გრძნობდა თავისი დანაშაულის სიმძიმეს. როდრიგომ გაიხსენა აბელარის ბრძნული და მომხიბლავი

სიტყვები: „Non est peccatum nisi contra conscientiam, ცოდვილია მხოლოდ ის, ვინც გრძნობს თავის ცოდვას“. ისევ თავისი სურვილის გარეშე შევიდა იგი მეფის მღვდმარყობაში და გაამართლა ის.

მაგრამ თუ აღფონსოს მონათხრობმა გალიანაში ჩადენილი ცოდვის გამო კანონიკს წუხილი ოდნავ შეუძსუბუქა, მით უფრო გააბრაზა იგი მისმა თავქარიანმა საუბარმა მოსალოდნელი ომის შესახებ. ღმერთმა ეს მეფე ნათელი გონებით დააჭილდოვა; თავს კი განგებ იბრძავებს, ისე იქცევა, თითქოს ექვიც არ ეპარება, რომ სულ მალე, უეკველად გაიმარჯვებს, არ სურს გამოტყდეს, რა საშინელ საფრთხეს უმზადებს ქვეყანას. კანონიკმა მისთვის უჩვეულო უხეშობით და სიმკაცრით შეაწყვეტინა ლაპარაკი: — შენ თავს იტყუებ, მეფე აღფონსო. ასეთი ომი შენ ვერ გაგწმენდს ცოდვისაგან. ეს არ არის წმიდა ომი. შენ თავიდანვე ჩირქი მოსცხებ მას გულფიცხობითა და ქედმაღლობით.

აღფონსომ შეხედა მღვდელმსახურის სუსტ სხეულს; მის თეთრ, ქალურ ხელებს, რომლებსაც არასოდეს არ ამოუღიათ ხმალი ქარქაშიდან და არ დაუჭიმავეთ მშვილდის ლარი, მაგრამ, თავის თავში თვითრწმენის მტკიცე ჯავშნით იყო შემოსილი, იგი აღელვებულო როდრიგოს მოსმენამ უფრო გააოცა, ვიდრე გააბრაზა. — სამხედრო და რაინდული საქმენი შენგან შორს არის, ჩემო მამაო, — მეგობრულად უპასუხა მან და დამრიგებლური, კეთილი უპირატესობით დაძინა: — ხომ ხედავ, ვერ დაუშვებდი, რომ ამ წინადაცვეთილს აბუჩად ავეგდე ჩემს საკუთარ სასახლეში. შინაგანმა ხმამ მიკარნახა, მისთვის თავისი ადგილი მიმეჩინა.

— შინაგანმა ხმამ! — ხმადაბლა, მაგრამ აღშფოთებით შეეპასუხა კანონიკი; მეფის თავხედურმა თვითრწმენამ ბოლოს და ბოლოს მასში გააფთრებული გულისწყრომა ალაგზნო, რაც მას არ ახასიათებდა და დონ მარტინი ამის გამო ხშირად საყვედურობდა. — შინაგანმა ხმამ! ყოველთვის, როცა შენ თავისუფლებას აძლევ დანაშაულებრივ ქედმაღლობას, შინაგან ხმას იმოწმებ! გაახილე თვალი და ნახე რა ჩაიდინე. ხალიფამ თვითონ გაგრძნობინა, რომ არ აპირებს ომში ჩარევას. მან ხელი გამოგიწოდა, შენ კი დაათურთხე ხელზე. მხოლოდ პატივმოყვარეობისა და თავისთავზე დიდი წარმოდგენის გამო შენ ქვეყანაში ზღვის ქვიშასავით ურიცხვ აფრიკელთა ურდოებს მოუყარე თავი. შენ ქვეყანაში მოიწვიე აპოკალიფსის ოთხი ცხენოსანი. ისე მოიქეცი, თითქოს ჯვაროსნული ომი რაინდთა შეჭობრი და ასპარეზობა იყოს. არაგონთან ხელშეკრულების დადებისთანავე დაარღვიე იგი. უფსკრულის პირას დააყენე

მთელი ესპანეთი. — გამხდარი, ღონემიხდილი კანონიკი იდგა წელში გამართული, მრისხანე, მისი თვინიერი თვალები გააფთრებული და მუდარით აღსაყენი უყურებდა ალფონსოს.

კანონიკის წმიდა გულისწყრომამ მეფე შეაცბუნა. მაგრამ ერთი წუთიც და იგი თავისი თვითრწმენის საფარველს ამოეთარა. მისი ნათელი თვალები უშფოთველად შეხვდა კანონიკის მრისხანე მზერას. გაიღიმა, შემდეგ არასასიამოვნოდ ხმამაღლა გაიციხა. — სად გაჰქრა შენი ღმერთის იმედი, ღვთის მსახურო? — დაცინვით ჰკითხა მან. — საუკუნეთა მანძილზე ძალთა უპირატესობა ურჯულოებს ჰქონდათ, და მიუხედავად ამისა, ღმერთი სულ უფრო და უფრო მეტ მიწას გვიბრუნებდა უკანვე. შენ რომ ყური გიგდო, ჩვენ ცხვრების ფარა ვყოფილვართ. ამავე დროს მე სამხრეთში კარგი ციხე-სიმაგრეები მაქვს. მყავს ჩემი ერთგული კალატრავის ორდენის რაინდები. არაგონის გარეშე ორმოცამდე ათასი რაინდი მყავს. შენ მოითხოვ, რომ გამარჯვებებში ჩემ წინაბრებს ჩამოვრჩე? შენ მოითხოვ ეშმაკობით და ხრიკებით ვიძალებოდე და ჩემი ერთგული ხმლის იმედი არ მქონდეს?

კადნიერი, დაუოკებელი, რაინდული იდგა იგი კანონიკის წინ, და როდრიგოს ეჩვენებოდა, რომ მისი სახიდან გამოიყურებოდა ბერტრანის სახე, რომელიც თავის შმაგ სიმღერებს მღეროდა. — ნუ მკრეხელობი — გააწყვეტინა სიტყვა კანონიკმა. — შენ არა ხარ თავგადასავლების მაძიებელი რაინდი, კასტილიის მეფე ბრძანდები. რა ფასი აქვს შენ ციხე-სიმაგრეებს! იქნებ გგონია, ისინი ხალიფას საალყო მანქანებს გაუძლებენ? შენი ორმოცი ათასი რაინდი ჩემი სიტყვა დაიხსომე, მათ უმრავლესობას ურჯულოთა ურდოები გაანადგურებს. ხანძარი და ხოცვა-ჟლეტა დააცარიელებს შენს ქვეყანას. უდიდესი უბედურება დაატყდება მას თავზე და დამნაშავე შენ იქნები. ღმერთს მაღლობა შესწირე, თუ იგი ტოლედოს შეგიწინარჩუნებს.

ღვთის მსახურის წინასწარმეტყველურმა სიშმაგემ შეაცბუნა ალფონსო. იგი გაჩუმდა. როდრიგო კი განაგრძობდა: — შენი კარგი ხმალი არ დაგავიწყდეს, რომ მეფეებს მახვილს ღმერთი აბარებს. შენ ისე იქცევი, თითქოს ომისა და მშვიდობის მეუფე იყო, არ დაგავიწყდეს, რომ ეს ომი გამოცხადებულია და ნებადართული მხოლოდ, როგორც საღვთო ომი და შენ ამ ომში იგივე ხარ, რაც შენი ყველაზე უკანასკნელი მეჭინბე: ღვთის მონა.

ალფონსომ მოასწრო შიშის გრძნობის დაძლევა. აღრინდელი, ცივი და უზრუნველი ქედმაღლობით უპასუხა: — შენც ნუ დაივიწყებ,



მღვდელი, რომ ღმერთმა კასტილია და ტოლედო ლენად მომცა. ღმერთი — ჩემი სიუზერენია. და მე მისი მონა კი არა, ვასალი ვარ.

მეფე ველარ იცდიდა ტოლედოში. დაახლოებული დიდებულების შეწუხებული სახეები და ღონ როდრიგოს განრისხებული ღვთისმოსაური ყბედობა ხალისს უქარგავდა რაინდულ მოქმედებას ხალიფას ელჩის მიმართ. მან გადაწყვიტა მეორე დღესვე დაძრულიყო სამხრეთისაკენ.

კალატრავასა და ალარკოსის სიმაგრეებში მყოფი ორდენის რაინდები მალე გაუგებენ და მოიწონებენ მის საქციელს.

წასვლის წინა დამე გალიანაში გაატარა. ძალიან მხიარული და მოწყალე იყო. არაფერს საყვედურობდა რაკელს. ამაყად დადიოდა მის წინ და თავს იწონებდა პასუხით, რომელიც ხალიფას გასცა.

— დიდხანს ვიყავი უსაქმოდ, მაგრამ ობი არ მომკიდებია, ო, არა! — ზმორებითა და მუშტის ქნევით განაცხადა მან. — ახლა კი ნახავ, როგორია შენი ალფონსო. ლაშქრობა ხანმოკლე იქნება და გამარჯვების მომტანი, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ოღონდ ნუ წახვალ ტოლედოში, ჩემო რაკელ. გალიანაში დარჩი, პირობა მომეცი, რომ დარჩები. დიდხანს არ მოგიწევს ჩემი ლოდინი.

ბალიშებზე ნახევრად მიწოლილი რაკელი ხელებზე დაყრდნობილი უყურებდა და უსმენდა, როგორ დარბოდა ოთახში მის წინ ალფონსო, რამდენს ლაპარაკობდა თავის მომავალ საქმიანობაზე.

— თუმცა, ალბათ, გთხოვ და დაბრუნებამდე ჩამოხვალ ჩემთან სევილიაში, — ამბობდა იგი, — დამათვალე რებინებ შენ მშობლიურ ქალაქს და ჩემი ნადავლიდან აირჩევ ყველაფერს, რაც მოგეწონება.

რაკელს ხელი ჩამოუვარდა, რომელზედაც ეყრდნობოდა და წამოიწია, ალფონსოს საუბარმა გული ატკინა. სრულიად შეუგნებლად უხატავდა ალფონსო რაკელს თავის მიერ გამამწვარი და გათელილი მშობლიური ქალაქის სურათს და მის ნანგრევებზე სეირნობას სთავაზობდა.

— ბარემ ჩემი გამარჯვება გაჩვენებს, ვისი ღმერთია ნამდვილი, — მხიარულად განაგრძობდა იგი. — მხოლოდ, თუ შეიძლება, არაფერი მიპასუხო, დღეს ნუ შემედავები. ეს საზეიმო დღეა, ეს დღე ჩვენ ერთად უნდა გავატაროთ, რომ შენც გაიზიარო ჩემი სიხარული.

ახლა იგი პირდაპირ უყურებდა ალფონსოს თავისი დიდი მონაცრისფრო-ცისფერი თვალებით; მისი მოძრავი სახე და მთელი პოზა ჯაოცებას, წინააღმდეგობას, განდგომას გამოხატავდა.

აღფონსო შეჩერდა. იგრძნო, რომ რაღაც ჩადგა მათ შორის. რაკელის სიჩუმეში შორიდან მოესმა კანონიკის დამადანაშაულებელი სიტყვები. უმოწყალოდ მელეტელი სარდალი უცებ დიდსულოვან შემწყალებლად გადაიქცა. — მხოლოდ არ იფიქრო, — რაკელის დამშვიდებას შეუდგა იგი, — რომ შენი აღფონსო სასტიკი იქნება დამარცხებულთა მიმართ. ჩემი ახალი ქვეშევრდომები მოწყალებრძანებელს შეიძენენ. მე მათ არ აუუკრძალავ, რომ ილოცონ თავიანთი ალაჰი და თავიანთი მუჰამედი. — ახალმა დიდსულოვანმა ფიქრმა გონება გაუნათა. — ტყვეთაგან ათას მუსლიმან რაინდს გავუშვებ გამოსასყიდის გარეშე. ალაზარს მივიანდობ მათ გადარჩევას, ეს მისთვის სასიამოვნო იქნება. და მათ დიდი პატივისცემით მოვიწვევ გამარჯვების აღსანიშნავად ჩემს მიერ მოწყობილ გრანდიოზულ ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად.

რაკელი თავისდა უნებურად მთექცა მისი თავმომწონეობის გავლენის ქვეშ. ასეთი იყო აღფონსო — განუხჯელად გამბედავი, მხოლოდ გამარჯვებაზე რომ ფიქრობს და ხიფათი ვერ წარმოუდგენია, სრულად ახალგაზრდა, თავით ფეხებამდე რაინდი, მეომარი და მეფე. რაკელს უყვარს იგი, მაღლობელია მისი, რომ ლაშქრობის წინა ღამეს მასთან ატარებს.

ყველაფერი ძველებურად იყო. მხიარულად ივანშემეს. აღფონსო, საერთოდ თავშეკავებული იყო სმაჰამაში, ახლა კი ჩვეულებრივზე მეტს სვამდა და მღეროდა, რის ნებასაც თავს მხოლოდ მარტოობის დროს აძლევდა. მღეროდა საბრძოლო სიმღერებს და სხვათა შორის, ბერტრანის ცნობილ სიმღერას: „თვალწარმტაცია ცეცხლის ალში გახვეულ ცახე-სიმაგრეთა ცქერა“. — სამწუხაროა, რომ ჩემი მეგობრის ბერტრანის ნახვა არ ისურვე, — შენიშნა მან, — იგი დიდებული რაინდია, ყველაზე კარგი ჩემ ნაცნობთა შორის.

ვახშმის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, რაკელი გავიდა. როგორც ყოველთვის, მას არ უნდოდა აღფონსოს წინაშე გახდა. მერე აღფონსო შევიდა მასთან და ყველაფერი ისე იყო, როგორც პირველ ხანებში — ვნებიანი ლტოლვა, შეერთება, ნეტარება.

მოგვიანებით დალილები და ბედნიერები ისევ შეუდგნენ საუზარს. აღფონსომ, ამჟერად ბრძანებით კი არა, თხოვნით გაუმეორა: — ჩემი არყოფნის დროს დარჩი გალიანაში. მამაშენი ინახულე, როცა გასურდეს, მაგრამ საცხოვრებლად კასტილიოში არ გადახვიდე. აჟ იცხოვრე. აჟაა შენი სახლი, ჩვენი სახლი. *Hodie et cras et in saecula saeculorum*, — მკრეხელურად დასძინა მან.

ნახევრადმძინარე რაკელმა ღიმილით გაიმეორა:

— აჟაა ჩემი სახლი, ჩვენი სახლი. — *In saecula saeculorum*. —

და ამ დროს ფიქრობდა: „თუ დავიძინე, იგი წავა. სამწუხაროა, რომ ასეთი წესი შემოვიღე, მაგრამ დილით ერთად ვისაუზმებთ, შემდეგ კი თავის ობში გააქროლებს ცხენს. ცხენზე მჯდომი ერთხელ კიდევ გადმოიხრება ჩემსკენ, და გზის მოსახვევთან ერთხელ კიდევ შემომხედავს“. იგი თვალდახუჭული იწვა და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა — ჩაეძინა.

როცა შეამჩნია რაკელს ძინავსო, აღფონსო ცოტა ხანს კიდე იწვა, მერე ადგა, გაიზმორა, დაამთქნარა. ხალათი წამოისხა. შეხედა მძინარე თვალდახუჭულ რაკელს, ოდნავი ღიმილი რომ შემორჩენოდა ტურის კუთხეებში. დააკვირდა მას როგორც უცხოს, ხეს ან ცხოველს. გაოცებულმა თავი გაიქნია. განა, რამდენიმე წუთის წინ ეს ქალი მას არ ატკობდა ისეთი ბედნიერებით, რაც არც ერთ ქალთან არ განუცდია. ახლა კი მხოლოდ უხერხულობის, თითქმის სირცხვილის გრძნობა შერჩა მას იმის გამო, რომ იგი ქალის ოთახშია და უყურებს მას, შიშველს. მთელი ფიქრებით უკვე კალატრავაში იყო, თავის რაინდებთან.

ვიდრე რაკელთან გაატარებდა ამ დამეს, აღფონსოს განზრახული ჰქონდა, განთიადისას გამგზავრებულიყო ტოლედოსაკენ, ჩაეცვა ნამდვილი საბრძოლო საჭურველი, აბჯარასხმული, თავისი კეთილი ხმლით Fulmen Dei-ა, შეიარაღებული დაბრუნებულიყო გალიანაში, უკანასკნელად გამოთხოვებოდა რაკელს. ახლა გადაიფიქრა.

მეორე დილით რაკელი ელოდა, რომ აღფონსო გამოსამშვიდობებლად მოვიდოდა. დარწმუნებული რომ ყველაფერი თავის რიგზე იქნებოდა, მზიარულ გუნებაზე იყო.

რაკელს თვალწინ ესახებოდა, როგორ ჩაივლიდა ეს დილა. ხალათში ჩაცმული აღფონსო მასთან ერთად ისაუზმებს. მერე ჩაიცმევს საჭურველს, შემდეგ ცხენს გააქროლებს და რაკელი იგრძნობს ამ დიად, ნეტარ, გულის ამაჩქროლებელ წუთებს, რომლებზედაც სიმღერებშია ნათქვამი: სალაშქროდ მიმავალი სატრფო გადმოიხრება ცხენიდან, აკოცებს და თავს დაუქნევს მას.

რაკელი ელოდა: ჯერ მზიარულად, მერე ცოტა შეშფოთებული, შემდეგ თანდათან უფრო აღელვებული.

ბოლოს იკითხა, სად არისო აღფონსო. — მეფე, ჩვენი მბრძანებელი დიდი ხანია წავიდა, — უპასუხა მებაღე ბელარდომ.

## თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ი

ხალიფა იაკუბ აღმანსური ახალგაზრდა აღარ იყო, ივადმყოფობდა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებს სიამოვნებით ვსა

გაატარებდა მშვიდობიანობაში; ამავე დროს, იგი თავს ვალდებულად თვლიდა კასტილიის მეფისთვის ხელშეკრულების შესახებ შეეხსენებინა. თუმცა კარგად იცოდა მეფის ბუნება და თავიდანვე არ ჰქონდა იმედი, რომ ელჩი რამეს მიაღწევდა. მაგრამ ასეთ სულელურ და თავხედურ პასუხს შაინც არ მოელოდა. წინადაუცვეთაგის თავხედობაში მან, ღრმად მორწმუნე აღამიანმა, ალაჰის სურვილი დაანახა — სიკვდილამდე ერთხელ კიდევ ეშიშვლებინა ხმალი, ურჯულოები დაუსაჯა და ისლამი გაეგრცელებინა.

მან ბრძანა მეფე ალფონსოს წერილიდან ათი ათასი ასლი გადაეღო და მთელ მის დიდ სახელმწიფოში გაეგრცელებინათ. მოადებს, არაბებს, კაბილებს — მის ხელქვეით მყოფ ყველა ხალხს უნდა გაეგო, რა უხეშად შეურაცხყო ქრისტიანმა მეფემ მართლმორწმუნეთა მბრძანებელი. ხამაღლა კითხულობდნენ წერილს ბაზრებში და მას ყურანიდან ამოღებული სიტყვებით ამთავრებდნენ: „ასე ამბობს ყოვლისშემძლე ალაჰი: მე აღვსდგები მათ წინააღმდეგ, და ჩემი შეიარაღებული მხედრობა, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავთ, ნაცარტუტად აქცევს. უფსკრულში გადავჩეხავ მათ და გაეანადგურებ“.

ისლამის ყველა დასავლეთის ქვეყანაში გავივდა რელიგიური ფანატიზმი. ტრიპოლიტანიის თვით ურჩმა ტომებმაც კი დაივიწყეს ხალიფასთან უთანხმოება, რათა მონაწილეობა მიეღოთ წმიდა ომში.

ხალიფას დახმარებაში დარწმუნებული მუსლიმანური ანდალუზია უკვე ზეიმობდა. ამასთანავე მთელი მუსლიმანური ჯარის მხედართმთავრად დანიშნული იყო ბრძოლებში გამოწვრთობილი ანდალუზიელი მთავარსარდალი აბდულა ბენ სენანიდი.

წინასწარმეტყველის გაქცევიდან 591 წლის მეცხრამეტე კვირას იაკუბ ალმანსური დაიძრა ფეცეში გამართულ თავისი ბანაკიდან და სრუტის სამხრეთ სანაპიროებზე განლაგებულ ჯარებს შეუერთდა. ახლდნენ ტახტის მემკვიდრე სიდ მუჰამედი და ორი დანარჩენი დიდი ვეზირი და ოთხი საილუმლო მრჩეველი. გარდა ამისა, სასახლის ორი მკურნალი და შემატიანე იბნ იხა.

რედშედის თვის მეოცე დღეს ხალიფამ სრუტეზე გადასვლა დაიწყო. სრუტე პირველად არაბებმა გადასურეს. მათ მიყენენ სებეტები, მასამულები, გომარები, კაბილები, მათ შემდეგ გადავიდნენ მშვილდოსნები — მოადები: არიერგარდს ხალიფას პირადი დაცვის პოლკი წარმოადგენდა. ალაჰის წყალობით სრუტეზე გადასვლა სამ დღეში დამთავრდა. ურიცხვი ლაშქარი კადისიდან ტარაფამდე, მთელ ალხანდრაში თვალუწვდენელ ბანაკად განლაგდა.

და აი, ახლა, როცა ხალიფა ანდალუზიის მიწა-წყალზე იყო,

ჯარი არნახული სანახაობის მოწმე გახდა. უხსოვარი დროიდან სრუტის დასავლეთ ნაწილში, კადისის პირდაპირ წყლიდან ამართულ ბუმბერაზ სვეტს, ოქროს უშველებელი ქანდაკება ამშვენებდა. იგი ზღვის სანაპიროდან რამდენიმე მილის მანძილზე ბრწყინავდა. ეს იყო კაცის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელი სრუტისკენ ჰქონდა გაწვდილი და გასაღები ეჭირა. რომაელებმა და გოთებმა ამ ნაგებობას „პერკულესის სვეტი“ დაარქვეს. მუსლიმანებმა — „კადისის კერპი“, ერთნიც და მეორენიც ათასეული წლების მანძილზე უფრთხოდნენ მას და ხელს არ ახლებდნენ — მრისხანესა და მოკაშკაშეს. ახლა კი ხალიფამ ბრძანა ჩამოეგდოთ ეს კერპი. მორჩილად სუნთქვაშეკრული, უთვალთვალებდა ათიათასობით ხალხი პირველ დარტყმას. და რა მოხდა? მრისხანე ოქროს კერპს წინააღმდეგობა არ გაუწევია. იგი დაეცა, და ხალხის გროვამ თავშეუკავებელი სიხარულით იყვირა: „დიდი ალაჰი და მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი!“

ხალიფა სევილიაში გაემგზავრა, რათა სათანადოდ ეცა პატივი ქალაქისათვის, რომელსაც, მიუხედავად საზავო ხელშეკრულებისა, ურჯულოთა უსირცხვილო მეფე ემუქრებოდა. იაკუბ ალმანსურმა გადაწყვიტა მთავარი მეჩეთისათვის მინარეთი აეშენებინა. პროექტი სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარს ჯაბირს დაევალა. მინარეთს ალგორიულად უნდა აესახა ისლამის გამარჯვება ცრუ რწმენაზე. ხალიფამ ბრძანა კოშკში ჩაეშენებინათ ყველა ქანდაკება და ბარელიეფი, რომლებიც კიდევ იყო შემონახული რომაული და გოთური დროიდან. კადისელი დამნობილი კერპის ოქრო და აგრეთვე ეკლესიის ოქროსი და ვერცხლის ნივთები, რომელსაც ამ ომში გაიტაცებენ, ხალიფამ მინარეთისთვის განაქუთვნა.

თვით მან იაკუბ ალმანსურმა საკუთარი ხელით ჩაყარა საძირკველი და როგორც მამინ, ოქროს კაცის დაცემის დროს, ზეიმობდა უთვალავი ადამიანი, ასევე ახლაც, როცა საძირკველი ჩაუყარეს კოშკს, რომელიც ალაჰის სადიდებლად ზეცამდე უნდა აღმართულიყო, დღემდე უხილავი სიმაღლისა და სილამაზისა — ახლაც ასევე ზეიმობდნენ უამრავი ათასები.

კალატრავაში ღონ ალფონსო ბედნიერად გრძნობდა თავს. აქ ყველა ზეიმობდა, რომ მეფემ თავხედ ხალიფას აჯობა და თავაწყვეტილად უხაროდათ ომი. ორდენის რაინდულმა საწყისმა აჯობა მის სულეერ საწყისს. რაინდები ბერტრან დე ბორნს ადიდებდნენ, თავიანთ დიდებულ ძმას და ამხანაგს. „A lor! A lor! წინ საბრძოლველად!“ — ხმამალა ეღერდა მათ ოცნებაში.

ღონ ალფონსოსა და არქიეპისკოპოსს შორის ძველებური მხია-

რული მეგობრობა აღსდგა. მამაც მღვდელმსახურს სწყინდა, რომ აქამდე მას არ შეეძლო დონ ალფონსოსთვის თავისი სამართლიანი, ქრისტიანული, რაინდული შეხედულება ეთქვა ებრაელის ქალთან მისი მრუშობის შესახებ, ახლა კი განუცხადა ძველებური გულახდილობით: — შენი სიმამრი, ინგლისის მეფე სწორედ დროზე მოკვდა. იმიტომ, რომ, უნდა გითხრა, ჩემო საყვარელო შვილო და მეგობარო, მე პარადად აღარ შემეძლო ამეტანა შენი გარყვნილება გალიანაში. ეთხოვიდი წმიდა მამას ამოეკეთე ეკლესიიდან. თუნდაც ამის გამო დარდს მოვეკალი. უკვე ვადგენდი მასთან გასაგზავნ წერილს. ახლა კი ეს ამბავი ისევე შორსაა ჩვენგან, როგორც ჩვენი წინაპრების წარმართული წარსული. თვალნათლივ შეიმჩნევა, როგორ დევნის ომი შენი გულიდან სიყვარულის ბანგის ნარჩენებს. — მან ხმამაღლა გადაიხარხარა; ალფონსოც კეერს უკრავდა მას, ხმამაღლა, ახალგაზრდულად, გულითადად. —

მზვერავებმა მუსლიმანთა ჯარის რაოდენობის ამბავი მოიტანეს. მათი სიტყვით იქ იყო ხუთასჯერ ათასი მეომარი. გარდა ამისა ხმები დადიოდა საშინელ ახალ იარაღზე. რომელიც თითქოს ხალიფამ მოიტანა, უშველებელ საიერიშო კოშკებზე, იარაღზე, რომელიც უშველებელ ქვის ლოდებს ისროდა, გამანადგურებელ ბერძნულ ცეცხლზე. რაინდების რწმენა არ შერყეულა. მათ თავიანთი მიუდგომელი ციხე-სიმაგრეების იმედი ჰქონდათ, თავიანთი სანტიაგოსი და თავიანთი მეფისა.

ალფონსომ გაბედული გეგმა მოიფიქრა. ყველა თავისთავად ცხადად მიიჩნევდა, რომ ხალიფას ძალების უპირატესობის გამო ციხე-სიმაგრეთა დაცვით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. მაგრამ მართლა ასე უნდა მოქცეულიყვნენ? რატომ არ უნდა შებრძოლებოდნენ მტერს გაშლილ ველზე? ასეთი განზრახვა ერთი შეხედვით უგუნური სითამამე იყო, მაგრამ სწორედ ამიტომ შეიძლებოდა, რომ იგი კეთილად დამთავრებულიყო. და განა აღარკოსის სამხრეთით არ არის ის აღგილი, არაიოსის ველი, რომლის ნაკლიც და უპირატესობაც მან უკეთ იცაზ, ვიდრე სხვამ. რატომ არ უნდა მოიგოს მან მეორე შეტაკება აღარკოსთან?

ალფონსომ თავისი გეგმა ბერტრანს და არქიეპისკოპოსს გაახდლო. დონ მარტინმა, რომელიც საერთოდ არ დაფიქრდებოდა ხოლმე პასუხის გაცემისას, ჯერ გაოცებისაგან პირი დაალო, შემდეგ კი აღტაცებაში მოვიდა. — ძველი ისრაელი, — თქვა მან, — პატარა გროვა იყო ხანაანეების, მადიანიტელების, ფილისტიმლელების უთვალავ ურდოსთან შედარებით, მაგრამ მაინც დაამარცხა და გაანადგურა ისანი. ცხადია, ღმერთმა მიუთითა მას ისეთი ხელსაყ-

რელი ბრძოლის ადგილი, როგორც შენი აროიოსის ველია.—ბერტ-რანმა თავის მხრივ, როგორც საქმის მცოდნემ მხიარულად თქვა: — ამ ბრძოლაში ბევრ ადამიანს დაკარგავ, მეფეც ბატონო, მაგრამ ურჯულონი უფრო მეტს დაკარგავენ.

როცა ალფონსომ მათ გაუზიარა თავისი ჩანაფიქრი, ახალგაზრდა რაინდები ჯერ გაოცდნენ, შეფიქრიანდნენ, შემდეგ კი მისმა გეგმამ გაამხნევა ისინი. უფრო ხანშიშესულ მხედართმთავრებს თავისი გეგმა არ გაანდო.

დონა ლეონორმა ბურგოსში უფრო მეტ ხანს დაპყო, ვიდრე განზრახული ჰქონდა. აქედან უფრო ადვილი იყო ჩრდილოეთ კასტილიის გრანდებსა და არაგონის მეფის მრჩევლებზე ზემოქმედება, რომ დონ ალფონსოსათვის დამხმარე ჯარი დროულად მიეშველებინათ. მას მოთმინება არ ჰყოფნიდა, უნდოდა ალფონსოს მალე დაეწყო ლაშქრობა. იმ წუთებიდან, როცა იგი მიხვდა, თუ რა ძლიერ შეიპყრო ალფონსო სიყვარულის ციებ-ცხელებამ — ებრაელის ქალისადმი ვნება, ექვიანობა მოსვენებას არ აძლევდა ლეონორს. მხოლოდ ომი განკურნავს დონ ალფონსოს ჯოჯობეთიდან მოვლენილი სენისაგან.

შემდეგ მან ცნობა მიიღო, გახარებულმა ალფონსომ თვითონ შეატყობინა ამის შესახებ, — რა გაბედულად დაუბრუნა ხალიფას მუსლიმანების თავხედი პრინცი. პირველი გრძნობა უზომო სიხარული იყო. ახლა ომი გარდუვალი ჩანდა. შემდეგ ლეონორმა შეიგნო საშიშროება, რაც დონ ალფონსოს გამბედაობას მოყვებოდა. „დამარცხება. — გაიფიქრა მან, — დიახ, ეს დამარცხება იქნება. შესაძლოა, არა ის დამარცხება, მაგრამ მაინც დამარცხება“. ამ ამბავმა მას, მიუხედავად ბრაზისა და საზრუნავისა, უღიმღამო სიხარული მოუტანა. მის გონებაში ღრმად ჩარჩა დედის სიტყვები დამარცხებათა კეთილი შედეგებს შესახებ. დამარცხება ძალას აორკეცებს, ენერგიას აცხოველებს, დამარცხება ასობით ახალ შესაძლებლობებს გამოაჩენს; დამარცხებაზე ფიქრისგან როგორღაც უცნაურად უცემდა გული.

იგი მაშინვე გაემართა ტოლედოსაკენ. „წადი ტოლედოში“, — უბრძანა მას დედამ. დანაშაულებრივმა თავქარიანობამ, რითაც ალფონსომ ბრძოლაში გაიწვია მუსლიმანთა ელჩი, მხოლოდ გაადვივა დონა ლეონორის სიყვარული. მწველ სევდას ალფონსოს გამოყოველთვის ერთვოდა ბუნდოვანი, შავბნელი ღვარძლიანობა: ახლა კი დადგება დამარცხების დრო, ახლა კი, იმ მეორესთან ყველაფერი დამთავრდება. Actum est de ea ახლა კი, დადგა მისი აღსასრული.

ლეონორმა მეფეს ტოლედოში რომ ვეღარ მოუსწრო, რაღაც მოიმიზეზა და სამხრეთისაკენ დაედევნა მას. დონ პედრო, როგორც გათვალისწინებული ჰქონდათ, ვალენსიის სამფლობელოში შეიპრა და რადგან არ უნდოდა უარი ეთქვა ვალენსიის დედაქალაქის შეტევაზე, არ ჩქარობდა დონ ალფონსოსათვის დამხმარე ჯარი დათქმულ ვადაზე ადრე გაეგზავნა. მაგრამ დონა ლეონორმა მოახერხა დონ პედროსთან დაკავშირება და პირობა ჩამოართვა, რომ არა უგვიანეს თვენახევრისა მიაშველებდა ათი ათას კაცს, ხოლო თავისი მზადყოფნის დასამტკიცებლად რვაას ჯარისკაცს ახლავე მისცემდა. დონა ლეონორი კალატრავაში გაემგზავრა, რომ ეს სასიხარულო ამბავი თვითონ პირადად ეცნობებინა მეფისთვის.

დონ ალფონსო შემოეგება მას. დონა ლეონორი ვერ ფარავდა მეფის ნახვით გამოწვეულ სიხარულს. აქ, თავის რაინდებს შორის, ციხე-სიმაგრე კალატრავას პირქუშ ატმოსფეროში, ალფონსო სწორედ ისეთი იყო, როგორიც მას უყვარდა. გაბრწყინებული უყვებოდა იგი დონ ალფონსოს, როგორ აიძულა ჭირვეული დონ პედრო, რომ უახლოეს კვირებში დამხმარე ჯარი გამოეგზავნა. ალფონსომ გულითადი მადლობა გადაუხადა დონა ლეონორს, მაგრამ არ გაუმხილა, რომ ეს ამბავი მას სულაც არ მოსწონდა. ხალიფასთან გაშლილ ველზე შებრძოლების განზრახვა თანდათან განმტკიცდა მასში. თუ ახლა გაიგებენ, რომ არაგონიდან დამხმარე ჯარი მალე მოვა, მისი მრჩევლები და სარდლები უფრო გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწყვენ მის ჩანაფიქრს.

უკვე ხანშიშესული დიდი მაგისტრი ნუნიო პერესი და დონ მანრიკე დე ლარა მოვიდნენ დედოფალთან. მეფეს ხმა არ ამოუღია, მაგრამ მისი გეგმები გამოაშკარავდა. და მეფის წინდახედული შეგობრები შეშფოთდნენ. ორივე ხანშიშესულმა რაინდმა დედოფალს აუხსნა, თუ რა სახიფათოა მეფის ჩანაფიქრი და რამდენად მნიშვნელოვანია არაგონიდან დამხმარეთა მოსვლა. მათ სთხოვეს დედოფალს, რომ დონ ალფონსოსათვის გადაეთქმევინებინა მიღებული გადაწყვეტილება.

დონა ლეონორი შეშინდა. მას არაფერი გაეგებოდა სტრატეგიის და არც ირაფრის გაგონება სურდა. დონა ლეონორსა და ალფონსოს შორის უხმო თანხმობა დამყარდა. ლეონორი სახელმწიფოებრივ საქმეებში ღებულობს მონაწილეობას, მაგრამ არ ერევა საომარ საქმეებში. ხოლო ამჟამად — ლეონორი მიხვდა — საფრთხეში იყო კასტილიის სამეფოს არსებობა. დონა ლეონორს ახსოვდა, როგორ დაესხა მაშინ დონ ალფონსო თავს სევილიას მრჩევლების გაფრთხილებისა და წინააღმდეგობის მიუხედავად. დონა ლეონორი გრძნობ-



და, თუ რა ძვირფასი იყო ალფონსოსათვის ახლანდელი, უგუნურებამდე გაბედული ჩანაფიქრი. გონება უკარნახებდა დონა ლეონორს, რომ აუცილებელი იყო ალფონსოსთან ერთად განესაჯა ყველაფერი. მაგრამ სწორედ ახლა არ უნდოდა მისი გაღიზიანება, არ უნდოდა შესჩენოდა არასასურველი რჩევით. გარდა ამისა, სადღაც, გულის სიღრმიდან ღვარძლიანი ხმა ეჩურჩულებოდა მას: დამარცხება!

თავაზიანად, მაგრამ მეფური ღირსებით უპასუხა დონა ლეონორმა შეშფოთებულ დიდებულებს: არაფერი მესმის სტრატეგიის საქმეებში, მთელი ამ წლების მანძილზე, არასოდეს მილაპარაკია დონ ალფონსოსთან მსგავს საკითხებზეო. აღფრთოვანებული ვარ მისი სამხედრო გენიით, კასტილიის დედოფალს არ ეკადრება მფრთხალი ექვებით შეაცბუნოს თავისი მეუღლისა და მეფის ამაყი შემართება და თავისი ძალების ღვთისმოსავი რწმენაო.

ორი დღე-ღამე გაატარა დონა ლეონორმა ციხე-სიმაგრეში. მისთვის სახელდახელოდ მოამზადეს მდიდრული ნაგებობა, რადგან მას არ შეშვენოდა ალფონსოსთან ერთ სახლში დაძინება. წესის მიხედვით ჯვაროსნებს ქალებთან ურთიერთობისაგან თავი უნდა შეეკავებინათ. მაგრამ თითქმის არც ერთი რაინდი არ იცავდა ამ აკრძალვას, დონა ლეონორი ფიქრობდა, რომ ვახშმის შემდეგ ალფონსო მასთან დარჩებოდა. მაგრამ ალფონსო ალერსიანად გამოემშვიდობა მას, შუბლზე აკოცა და წავიდა. იგივე გამეორდა მეორე საღამოსაც.

როცა დონა ლეონორი ცხენით დაბრუნდა უკან, ალფონსო მთელი ერთი საათი მიჰყევებოდა მას.

ალფონსოსთან გამომშვიდობების შემდეგ ლეონორი ფიქრობდა ჩაიძირა და ამაღის საუბარს მოკლე პასუხებით ეხმაურებოდა. მალე მან ტახტრევანი მოითხოვა, მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო ცხენოანი იყო.

თვალდაზუტული იჭდა ტახტრევანში. ალფონსო ომითაა შეპყრობილი, თანაც იგი არ არის ნაუცბადევი ტრფობის მოყვარული კაცი. არაა საჭირო იმის ფიქრი, რომ ალფონსო უყურადღებოდ მოექცა მას. რა თქმა უნდა, ებრაელის მოგონებას არ შეუკავებია იგი.

ტოლედოში დონა ლეონორი მხოლოდ ებრაელის ქალზე ფიქრობდა. იქ ებრაელი ქალი ძალიან ახლოს იყო, არ შეიძლებოდა არ ეფიქრა მასზე. რა სულელური გამბედაობაა აქვე, მის გვერდით ცხოვრება, სადაც იგი, ისევე როგორც მთელი ქალაქი და ირგვლივ ყველაფერი ლეონორის ხელთაა. საკმარისია ლეონორმა ერთი ხელი აღმართოს... წინათ ეს მხოლოდ შეგარძნება იყო, ვიდრე შეგნებულ ფიქრი, ახლა კი ტახტრევანში ტოლედოსკენ მიმავალმა შეიგნო ეს.

ახლა, ტახტრევანში თავისდა უნებურად ცდილობდა გაეხსენებინა ებრაელის ქალი; მისი სახე, მოძრაობები, მთელი გარეგნობა. გუნებაში შიშველი რაკელი წარმოიდგინა. ადარებდა თავის თავს. იგი, ლეონორი, კარგადაა შენახული; ეს თვით კეთილშობილმა ბანოვანმა ელეონორამაც აღიარა, მკაცრმა და მომთხროვნმა მსაჯულმა. რა თქმა უნდა, იმიტო კი არ მიიზიდა ებრაელას ქალმა ალფონსო, რომ იგი ლეონორზე ათი ან თორმეტი წლით გვიან გამოძვრა ქვეყანაზე დედის მუცლიდან. ალფონსო მოჯადოებულია, ციებ-ცხელებითაა შეპყრობილი, ავი თვალი აქვს ნაკრავი, და როცა ალფონსო ისევ ნამდვილ ძველ ალფონსოდ გადაიქცევა, თავისი ჩანაფიქრი დიდი ბრძოლის შემდეგ — სულ ერთია გამარჯვებას მოიტანს იგი თუ დამარცხებას — დაივიწყებს ებრაელის ქალს. ლეონორი რომ დამორჩილებოდა ორი მოხუცი გრანდის ჩაგონებას და ცდილიყო ალფონსოსთვის ბრძოლა გადაეფიქრებინა, მაშინ იგი სულელი იქნებოდა.

მაგრამ იგი სულელი არ არის. არა, ჭკვიანი, ახალგაზრდა და ლამაზია, იგი დარწმუნებულია თავის თავში.

მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ მუსლიმანთა ჯარი სამ კოლონად მოემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით. ალფონსოს მეტი ცდა აღარ შეეძლო, თავისი გეგმა სარდლებისთვის და მრჩეველებისთვის უნდა გაეცნო.

სამხედრო საბჭო მოიწვია. ენთუზიანებით გააცნო თავისი გეგმა. მას სურს ურჯულოებს მთის ნიაღვრის დამშრალი კალაპოტებით დასერილ არაოოსის ველზე შეხვდეს. იქ გადაიხადა მან ბრძოლა, რომელმაც პირველი დიდი გამარჯვება მოუტანა და ალარკოსის ციხე-სიმაგრე აჩუქა. მთელ ესპანეთში არავინ არ იცნობს ამ ადგილებს ალფონსოზე კარგად. გაბედულად და დამაჯერებლად ხსნიდა იგი, როგორ აეძულებინათ ხალიფა, რომ დამრეცად ჩამავალი ველის ქვედა ნაწილი დაეკავებინა და როგორ მოემწყვდიათ და შეერეკათ ტყეში მტრის ძალების დიდი ნაწილები. ალფონსოს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. მაშინ მათ თვალწინ მთელი სამხრეთ ანდალუზია იქნება გადაშლილი: კორდოვა, სევილია, გრანადა — და ომი დაწყებისთანავე დამთავრდება.

აღფრთოვანებულმა ახალგაზრდა გრანდებმა მოიწონეს გეგმა. მოხუცი დონ მანრიკე მოკრძალებით, მაგრამ დაჟინებით აფრთხილებდა მეფეს. შენზე ძლიერ მტერთან გაშლილ ველზე შეხვედრა რისკზე მეტია. თუ გადაწყვეტი გამარჯვება არ იქნა მოპოვე-

ბული, ტოლედო დაკარგულია. სამხედრო საქმეში განსწავლულმა ბარონმა ვივარმა მხარი დაუჭირა დონ მანრიკეს. — შენ, მეფეო, — უთხრა მან, — ბევრი იშრომე იმისათვის, რომ ციხე-სიმაგრეები კალატრავა და ალარკოსი ყველაზე საიმედო ყოფილიყო ნახევარკუნძულზე. მათ კედლებში შეფარებულებს მშვიდად შეგვიძლია, ველოდოთ მოკავშირეებს. მუსლიმანთა ლაშქარი მრავალრიცხოვანია და მათი კვება ძალიან ძნელია. გარემოცვის პერიოდში იგი საგრძნობლად შეთხელდება. ამასობაში არაგონელებიც მოვლენ, და მაშინ ხალიფას ძალები ბევრით არ იქნება ჩვენზე დიდი. სწორედ მაშინ, მეფეო, თუ ღვთის ნება იქნება, შეუტეე მტერს.

დონ ალფონსოს დაღარული შუბლი კიდევ უფრო ღრმად დაიღარა. გონებით მას ესმოდა: მანრიკეს და ვივარის მტკიცებანი საფუძვლიანი იყო. მაგრამ ციხე-სიმაგრის კედლებში უმოქმედობით გულის გაწვრილება და ლოდინი, სანამ მოსაშველებლად მოვა ეს ლაწირაკი, და ქარაფშუტა, აუტანელია. ალფონსოს არ უნდა გამარჯვებაში ვინმე შეეზიაროს. — ჩემთვის გაუგებარი როდია, — უპასუხა მან, — ფრთხილი სარდალი არჩევს, არ ჩაებას ბრძოლაში მოწინააღმდეგესთან, რომლის ძალები სამ, ოთხჯერ აღემატება მისას. მაგრამ მე დამშვიდებით არ შემოძლია ვუყურო, როგორ იპყრობს მტერი ქვეყანას. სისხლი მიდღუს: ნამდვილი ომი ჰადრაკის თამაში როდია, ომი — ასპარეზობაა და გადამწყვეტ შეტევას კეთილგონიერება კი არ წყვეტს, არამედ გაბედული ღვთისმოსავი გული. ნამდვილი სარდალი ალღოთი გრძნობს, სად უნდა მოხდეს ბრძოლა. ვიბრძოლებ აროიოსის ველზე.

რაინდებმა აღფრთოვანება ვერ დაფარეს.

ახლა თვით ორდენის მაგისტრმა, დარბაისელმა ნუნიო პერესმა სცადა მეფის შეჩერება: — თუ ურჯულოთა ლაშქარი ასე მრავალრიცხოვანია, როგორსაც მწვერავეები ამბობენ, მაშინ კასტილიელები მოკავშირეთა დახმარების გარეშე ვერ გაუმკლავდებიან მას. დაიცადე, სანამ არაგონელები მოვლენ, მეფეც ბატონო!

ალფონსოს მობეზრდა თავისი შოხუცი სარდლების კჳუს სწავლებმა. ისინი როდრიგოზე მშვირები იყვნენ. — არ შემოძლია ლოდინი, დონ ნუნიო, — განაცხადა მან. — გამიგეთ! ვერ მოვითმენ, რომ წინადაცვეთილებმა ალარკოსს ალყა შემოარტყან, ციხე-სიმაგრეს, რომელიც მე შემოვუერთე ჩემ სახელმწიფოს. მე გავუმკლავდები მათ არაგონის გარეშეც.

მაგრამ დონ მანრიკე არ ნებდებოდა. — შიკრიკი მაინც გაგზავნე დონ პედროსთან! — დაჟინებით სთხოვდა იგი. — თუ ხელშეკრულებას სიტყვა-სიტყვით დავიცავთ, ვალდებული ხარ დაელოდო.

— ასოკირკიტობა ჩემ ბუნებას არ ეგუება, — გაცხარდა დონ ალფონსო, — და არც არაგონის მეფის ბუნებაშია. იგი ქრისტიანი რაინდია. არ ვთელი საპიროდ, რომ ნებართვა ეთხოვა, — და უკვე დამშვიდებულმა, დასძინა: — პატივს ვცემ თქვენს სიფრთხილეს, მაგრამ ამან უხერხულობაში არ უნდა ჩამაყენოს. დე, ხალიფას ჰყავდეს სამჯერ, ოთხჯერ მეტი ხალხი, სიმაართლე და ყოვლისშემძლე ღმერთი ჩვენ მხარეზეა. ჩვენ ვიბრძოლებთ არაოთოსის ველზე!

ახლა, როცა მეფემ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, ყველა, ვინც კი ადრე ყოყმანობდა, გულმოდგინედ და ფიცხლად შეუდგა სამზადისს, დაბანაკდნენ ალფონსოს მიერ შერჩეულ ადგილზე. კარვები დადგეს ფერდობზე, რომელსაც ზურგიდან ციცაბოდ აღმართული მწვეკრავალი იცავდა, ფლანგებიდან კი არაოთოსები, რომელთა სახელი ეწოდა მთელ ამ ადგილს — მთის მშფოთვარე ნიაღვრებისგან წარმოქმნილი ღრმა ხრამები, რომლებიც, წლის ამ დროს ამომშრალი, თავიდან ბოლომდე თეთრი და წითელი ოლქანდრებით იყო დაფარული.

ამასობაში მუსლიმანთა ლაშქარი სრული წესრიგით, მოკლე, თანაბარი მარშით ახლოვდებოდა. როცა იგი ორი დღის სავალზე მოახლოვდა, ძნელი არ იყო იმისი გამოთვლა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა თორმეტ ივლისს მოხდებოდა. მუსლიმანური გამოანგარიშებით ცხრა შავანს.

ცხრა შავანი კი შაბათს ხვდებოდა.

ამ ამბავმა მეტისმეტად დაანაღვლიანა დონ ალფონსოს ებრაელი ჯარისკაცები. სანდისის ქენჯნით დადგა სამი ათასი ებრაელი მისი დროშების ქვეშ. მათ იცოდნენ, რომ სამხედრო სამსახურში იძულებული იქნებოდნენ აკრძალული საქმელი ეჭამათ და შაბათ დღეს აკრძალული სამუშაოს შესრულება მოუწყევდათ; გმირულ, შორეულ წარსულში იუდეველთა ჯარისკაცებს ბერძნებისა და რომაელების ხელით სიკვდილი ერჩივნათ შაბათს ბრძოლას. მართალია, რამდენიმე ასეული წლების წინათ სინედრიონმა დაადგინა საზეიმო ფორმულა მუტარ ლახი — „ნება დაგერთოს“, რომლის ძალითაც ალჰამის მასწავლებელი იუდეველ მოხალისეებს ათავისუფლებდა იმ კანონის დაცვისაგან, რომელიც შაბათს მუშაობასა და აკრძალული საქმლის ჭამის ნებას არ აძლევდა. მაგრამ გათავისუფლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყო შესაძლებელი. სწორედ ასეთი შემთხვევა თუ იყო ახლა? მართლა იძულებულია მეფე, რომ აუცილებლად შაბათს იბრძოლოს?

ებრაელებმა დონ ალფონსოსთან ხალხი გაგზავნეს ფტრაიმის ნათესავის, დონ სიმეონ ბარ აბას მეთაურობით. — თუ იუდეველი

ჯარისკაცები, — აუხსნა მან მეფეს, — წმიდა აკრძალვას დაარღვევენ ისე, რომ ის არ იქნება გამოწვეული უკიდურესი გაჭირვებით, ღმერთი გაურისხდებათ მათ და დამარცხების საფრთხეში ჩაიგდებიან არა მარტო თავიანთ თავს, არამედ თავიანთ ქრისტიან თანამებრძოლებსაც. — ებრაელთა გამოგზავნილებმა მოწიწებით ჰკითხეს მეფეს: — განა არ შეიძლება ბრძოლისათვის სხვა დღის შერჩევა?

ალფონსომ დონ სიმეონს მხარზე ხელი დაარტყა და მხიარულად უთხრა: — მე ვიცი, რომ თქვენ, ებრაელები, გულადი მეომრები ხართ და სიამოვნებით დავაკმაყოფილებდი თქვენს სურვილს. მაგრამ, ხომ ხედავთ, ბრძოლის გადადება ერთ დღეზე მეტი არ შემიძლია. მაშინ ბრძოლა მომიხდება კვირას. ეს თქვენი ქრისტიანი თანამებრძოლების უკმაყოფილებას გამოიწვევს, ისინი კი გაცილებით ბევრნი არიან. იძულებული ვართ შაბათზე შევჩერდეთ, სამაგიეროდ ჩვენ ყველანი ვილოცებთ, რომ თქვენმა ღმერთმა მოგიტევოს ცოდვა.

ებრაელების ღვთისმოსაობამ მეფე ჩააფიქრა. გადაწყდა დონ მარტინთან მოეთათბირა, რა გაეკეთებინა, რომ თავისთვის და თავისი ჯარისთვის უზენაესი წყალობა მიეღო. არქიეპისკოპოსს წაკითხული ჰქონდა პრიორ ბონეს „ბრძოლების ხე“, რომელიც მეომრებს ურჩევდა ბრძოლის დროს საჭმლისგან თავი შეეკავებინათ, რადგან სახელგანთქმული რაინდი მეფე საუელი, ბრძოლის დაწყებამდე იმუქრებოდა, რომ სიკვდილით დასჯიდა ყველას, ვინც მზის ჩასვლამდე მიმშლილ ან წყურვილს დაიკმაყოფილებდა. არქიეპისკოპოსმა ურჩია ქრისტიან ჯარისკაცებს ბრძოლის დღეს თავი შეეკავებინათ საჭმლისაგან, ხოლო რომ არ დასუსტებულიყვნენ, მეფეს წინა საღამოს უხვი ნადიმი უნდა გაემართა. დონ ალფონსომ სწორედ ასეთი ბრძანება გასცა.

თავის მხრივ დონ მარტინმა შიკრიკები დააგზავნა, რომ ბრძოლის დღეს, დილით ზარების რეკვა ყოფილიყო ყველგან ალარკოსიდან ტოლედომდე და თვით ტოლედოშიც.

საღამოს თვრამეტ ივლისს მეფე იდგა მადლობზე, საიდანაც მეორე დღეს ბრძოლისათვის უნდა ეხელმძღვანელა და თავის და მტრის ბანაკს გადასცქეროდა. დაბლობზე გაშლილი იყო ხალიფას ჯარის ბანაკი. რაუსრულებელ მწყირვად, მიჯრით იდგნენ კარგები. ალფონსომ და მისმა სარდლებმა, თუმცა ტყე უშლიდათ ხელს და ვერ ხედავდნენ, იცოდნენ: რომ მტრის ბანაკი უხვევდა და შორს დასავლეთისკენ იყო გაჭიმული. მეფემ თვალები ხელით მოიჩრდილა და დიდხანს უყურებდა, როგორ ეშვებოდა ბინდი ხალიფას ბანაკში.

რაინდები ბანაკისაკენ გაბრუნდნენ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გულუხვი ვახშმობით ნასიამოვნები ჯარისკაცები აღფრთოვანებულნი, მოკრძალებული ყვირილით ეგებებოდნენ მათ.

შემდეგ რაინდები მაგიდას შემოუსხდნენ მეფის სალაშქრო კარავში, რომელიც ალმების ოქროს და მეწამული ფერით იყო აელვარებული. მეფეებისა და რაინდების უკეთილშობილესი საქმის, ომის პატივსაცემად კარავი შიგნიდანაც მდიდრულად, ხალიჩებითა და ნოხებით იყო მოფარდაგებული. ხალისიან განწყობაზე იყვნენ, ყველანი ჰამდნენ და სვამდნენ, რამდენიც სურდათ; ბერტრანი საბრძოლო სიმღერებს მღეროდა.

აღრე დაიშალნენ, გამოძინებულნი და მოლონიერებულნი უნდა შეხვედროდნენ მომავალ დღეს.

მეფეს ძილში სასიამოვნო სახეები და ფიქრები არ სცილდებოდა. იგი ხედავდა რაკელს და დაწვრილებით აცნობდა თავის საბრძოლო გეგმას. უმტკიცებდა, რომ შევძლებ პოლკების ისე განლაგებას, რომ ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მტერს აუცილებლად დავამარცხებო. უხსნიდა, როგორ ჰქონდა მას წარმოდგენილი ომის შემდგომი მსვლელობა. ხალიფას ჯარს დაამარცხებს და ზღვამდე მივა. მაშინ ზავს დასდებს. სანაპიროს და გრანდას დაუტოვებს ხალიფას, მაგრამ წინადაცვეთილი იძულებული იქნება, კორდოვა და სევილია მას მისცეს. სევილიას საგრაფოდ გადააქცევს, ყველაზე უდიდეს საგრაფოდ კასტილიაში, სევილიის გრაფის ტიტულს თავის საყვარელ ვაჟიშვილს, ბასტარდ სანჩოს უბოძებს.

ძილში ესმოდა გუშაგების ხმადაბალი შეძახილები. შინაგანი ხმა ჩასჩურჩულებდა: ხვალინდელი დღე, 19 ივლისი, უდიდესი დღე იქნება — ცდილობდა გაეხსენებინა, რომელი წელი იყო, მაგრამ ესპანური წელთაღრიცხვა აერია სხვა ქრისტიანთა ქვეყნების წელთაღრიცხვაში, ვერ ეხსენებდა წელს და ბრაზობდა, რომ დონ როდრიგოს მხარე დაიჭირა და არა თავისი ძვირფასი მეგობრის დონ მარტინის. ამ დროს მის თვლემაში შემოიჭრა ზარების რეკვა და საზეიმო, მხიარული სიმღერა, ზარები მღეროდნენ tedeum-ს, ადიდებდნენ მის გამარჯვებას და გამარჯვების რეკვის ხმაზე ღრმა ძილით დაიძინა.

იგი ზარების რეკვამ გამოადვიდა. როგორც არქიეპისკოპოსმა ბრძანა, მზის ამოსვლამდე მთელ ქვეყანაში — ალარკოსიდან ტოლედომდე ზარების რეკვა ატყდა.

როგორც კი მზე ამოვიდა, ჯარისკაცებისათვის მესა გადაიხადეს. ბევრმა მიიღო წმიდათა საიდუმლო ზიარება, შემდეგ პოლკებს

საზეიმო ვითარებაში გადაეცა რელიკვიები, რომლებიც ბრძოლებში თან უნდა ჰქონოდათ. ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საიმედო რელიკვია კალატრავის რაინდებს ეკუთვნოდათ. — კრუს დე ლოს ანგელეს — ჯვარი, რომელიც ჰაიდუმლოდ მოეტანათ აღფონსო მესამისათვის ორ ზემოწიერ პილიგრიმს. ყველა პოლკში რაინდები და ჯარისკაცები მუხლს იყრიდნენ და კოცნიდნენ თავიანთ რელიკვიებს.

მუსლიმანების ბანაკშიც აღავლენდნენ ლოცვას. იქ ღვთის მსახურნი და მხედართმთავრები ჯარისკაცებს ამხნევებდნენ ყურანის სიტყვებით: „გაიმაგრეთ გული, მორწმუნენო გამხიარულდით სულიერად! ნურავისი გეშინიათ, ალაჰის გარდა! ისაა თქვენი დასაყრდენი. იგი მისცემს ძალას თქვენ ფეხებს, დე იღვნენ ისინი მაგრაღ. ის მოგიტანთ გამარჯვებას“. მუსლიმანი ჯარისკაცები ეცემოდნენ ძირს, ასიათასობით მუსლიმანი ჯარისკაცი მექისაკენ შებრუნებულნი, ხმამაღლა კითხულობდნენ ყურანის პირველი სურის შვიდ ლოცვას: „გულმოწყალე ალაჰისათვის, დიდება ალაჰს, ქვეყნის მეუფესა, მოწყალესა, შემწყნარებელსა; უფალსა განკითხვის დღისა. შენ თაყვანსა გცემთ, შენ გევედრებით შეწევასა. დაგვადგინე სიმართლის გზასა, გზასა მათსა, რომელნიც აღსაესება შენის სიკეთითა, არა მათსა, რომელთაც მოიწიეს შენი რისხვა, არცა მათსა, რომელნიც ჰსცდებიან“.

ბრძოლა დაიწყო.

კალატრავის რაინდებს ნაბრძანები ჰქონდათ, პირველად დასხმოდნენ თავს და გაერღვიათ მტრის ცენტრი. საბრძოლო წესით დამწკრივდნენ ისინი. რჩეულ ცხენებზე ამხედრებული რვა ათასი რაინდის საკუთრველი ბრწყინავდა. ხმამაღლა მღეროდნენ ბრძოლის წინ თავიანთ ლოცვას, დავითის ორმოცდა მეცხრამეტე ფსალმუნს: „ვინ შემოიყვარებს გამაგრებულ ქალაქში? ვინ მიმიყვანს ედომამდე? ღვთის წყალობით გამოვიჩნეთ ძალას: ის დაამხობს ჩვენ მტრებს“.

მტრის ცენტრს ეკვეთნენ.

„წყეულები ისეთი გააფთრებით შეიჭრნენ ბრძოლაში, — გვიამბობს მემართიანე იბნ იახია, — მათი ცხენები მუსლიმანთა შუბებს ეძვრნენ, ურჯულონი უკუგდებულ იქნენ, მაგრამ ისევ გამოიჭრნენ წინ. კვლავ უკუაგდეს. მესამეჯერ გაჭროლდნენ, საშინელ, გიჟურ შეტევაზე გადავიდნენ. „გამაგრდით, მეგობრებო! — შეჰყვირა სარდალმა აბუ ჰაფასმა, რომელიც ცენტრს შეთაურობდა. — გული გაიმაგრეთ, მართლმორწმუნენო უზენაეს ტახტზე მჯდომი ალაჰი თქვენი შემწეა“. მაგრამ წყეულები ახლა ისეთი გააფთრებით ესხმოდნენ თავს, რომ გამბედავი მუსლიმანების რიგები შეიარხა

თვით სარდალი აბუ ჰაფასი ლომივით იბრძოდა, ბრძოლაში დაეცა და წამებულის გვირგვინი დაიმკვიდრა. ცენტრში შეპირილმა ურჩულოებმა საშინელი სასაკლავო მოაწყვეს; იქ მებრძოლი ყველა მუსლიმანი მეომარი ალაპის მიერ რჩეული იყო წამებულთა გვირგვინისათვის და ამ წლის ცხრა შავანს სამოთხის ათი ათასი სიხარული იგემეს“.

ალფონსო თავისი შემადლებული ადგილიდან თვალს ადევნებდა ბრძოლის მსვლელობას. იგი ხედავდა, როგორ გადავიდნენ შეტევაზე კალატრავის რაინდები, როგორ იქნენ უკუგდებული, მეორედ შეუტიეს და კვლავ უკან დაიხიეს და ამის შემდეგ, როგორ დაძლიეს მტერი. აი, ახლა, ისინი წინ მიჰქრიან, მისი კალატრაველი რაინდები თავაწყვეტილად გაიქრნენ წინ, მალე მიაღწევენ ხალიფას საბრძოლო წითელ კარავს და გამარჯვების მაცნეს გამოგზავნიან; მაშინ ალფონსოც ჩაებმება ბრძოლაში და საბოლოოდ გაანადგურებს მტერს.

უცქერდნენ მეფე და მისი ახლობლები, ელოდნენ და ტკებოდნენ სანახაობით. ქვევით, არიოსის ველზე, მომღერალ ბერტრან დე ბორნის ოცნება ხორცს ისხამდა; აი ისინი, თავდამსხმელები, დამმარცხებლები და დამარცხებულები, აი მეომრული ყიჟინა „A lor! A lor!“ და მასში შერეული ყვირილი „ალაპ!“ და „მუჰამელი!“ და პატრონდაკარგული, სასიკვდილოდ დაჭრილი ცხენების ქიხინი. ალაზარს სიხარულისაგან გული საგულეს აღარ ჰქონდა, მთელი მისი არსება თითქოს იეღინთებოდა სიკვდილით, დიდებით, გამარჯვებით და სასწაულებრივი ხლართით დაწნული წამებულის გვირგვინით. მხოლოდ იმას ნანობდა, რომ მტერის კორიანტელი ბრძოლის ველს ფარავდა. ირგვლივ ხედავდა მეფის და მისი რაინდების გაგიჟებულ, აღზნებულ, მოზეიმე სახეებს, მის სახეზეც ზეიმი აღბეჭდილიყო, იგი აცრემლებულ თვალებს იწმენდა. აცემინებდა მტერისაგან, რომელიც ცხვირში უღიტინებდა და იცინოდა.

უცებ რაღაც მოულოდნელი მოხდა. მტერის კორიანტელმა დაფარა ბრძოლის ველი; შეუძლებელი გახდა რამის დანახვა. მაგრამ ერთი ცხადი იყო: ბრძოლა უახლოვდებოდა შემადლებულს, სადაც ისინი იდგნენ, ესე იგი, ბრძოლა მიმდინარეობდა კალატრავის ორდენის რაინდების ზურგში. დოლბანდიანი ცხენოსნები ხან აქ გამოჩნდებოდნენ მოულოდნელად და ხან იქ, კასტილიელების ბანაკთან ახლოს. ისინი თავს დაესხნენ ბანაკის დასაცავად გამოყოფილ ებრაელთა ნაწილებს. ებრაელები გულადად იბრძვიან, გარკვევით ისმის იუდეველთა უძველესი საბრძოლო ყიჟინა „ჰედად, ჰედად!“ ისინი ადგილიდან ფეხს არ იცვლიან, კარგად უმაგრდებიან.



მაგრამ მათი რაზმი მხოლოდ სამი ათასი მეომრისაგან შედგება, მტრის ძალები კი ვაცილებით მეტია. და ერთი წუთით დონ ალფონსოს ტყინში ბუნდოვნად გაიელვა დონ სიმეონის წინასწარმეტყველებამ: შაბათ დღეს ბრძოლა უბედურებას დაგვატეხს თავს.

მაგრამ, როგორ მოხდა, რომ მუსლიმანი ცხენოსნები ამ სიშორეზე შენაოკონენ? და ასეთი რაოდენობით? სად არიან კალატრავის რაინდები?

მეფე ხეუბოდა, თუ რა მოხდა, მაგრამ ამ ფიქრს თავს არიდებდა. ხალიფას ჯარი ხუთასჯერ ათასი მეომრისაგან შედგებოდა, ამბავი მოქჷნდათ მზვერავებს, მაგრამ ალფონსო იცინოდა. და, აი, იგი ახლოვდება და ბოლო არ უჩანს. მტერის საფარველიდან სულ ახალი და ახალი დოლბანდიანი ცხენოსნები და ფეხოსნები ჩნდებიან. ახლა ალფონსო აღარ იცინოდა.

აი, რა მოხდა. გამარჯვებით თავბრუდახვეული კალატრავის რაინდები ბრძოლის შუაგულში შეიჭრნენ. ისინი ვერ ამჩნევდნენ სიცხესა და მტერს, რისგანაც სუნთქვა ეკვროდათ. ბრძოლის ხმაურში მხოლოდ საკუთარი და მათ მიერ მოკლულთა ყვირილი ესმოდათ. ბანგდალუულივით, ბრძოლის წყურვილით გამხეცებულები გააფთრებით ჩებდნენ მარცხნივ და მარჯვნივ და წინ მიიწევდნენ მტერის კორიანტელში, მზესაც რომ აბნელებდა.

მუსლიმანების ანდალუზიელმა მხედართმთავარმა საომარ საქმეში განსწავლულმა აბდულა ბენ სენანიდმა წინასწარ განსაზღვრა, რომ ეს ასე მოხდებოდა. იგი ელოდა, რომ რაინდები ღრმად შეჭრილიყვნენ და მათ სუსტ წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ მოულოდნელად ორივე ფლანგიდან დასძრა მოადელთა პოლკები და გაამზადა საშინელი, შორსმსროლელი სატყორცნი იარაღი. თავანთი სიზუსტით სახელგანთქმული მოადელი მშვილდოსნები შეუმჩნევლად შეუერთდნენ ერთმანეთს კალატრავის რაინდების ზურგში და მთავარ ძალასა და ქრისტიანების ბანაკს მოწყვიტეს ისინი. და ახლა, აღარკოსთან განმეორდა იგივე, რაც ალ-ჰატიინთან ბრძოლის დროს მოხდა. მუსლიმანმა მშვილდოსნებმა ისრები დაუშინეს ქრისტიან რაინდთა ცხენებს, და როგორც კი ცხენი ეცემოდა, მხედარი მცირე აბჯარში უძლური ხდებოდა. ახლა მოქმედება დაიწყო ხალიფას სატყორცნმა იარაღმა და ქრისტიანთა მჭიდრო რიგებისაკენ მოჰქროდა უშველებელი ქვები. „საშინელი ხოცვა-ჟლეტა ატყდა, — გვიამბობს მემატრიანე იბნ იახია — ყველა ურჯულო და მათი ცხენებიც რკინის აბჯრით იყო შემოსილი, ისინი იყვნენ აღარკოსის ჯარის მშვენება, მაგრამ ეს მათ არ შველოდათ. ბრძოლის წინ ისინი თავიანთ სამ ღმერთზე ლოცულობდნენ და ფიცს სდებდნენ თავი-

ანთი ჯგერის წინაშე, რომ უკან არ დაიხევდნენ, ვიდრე, თუნდაც ერთი მათგანი ცოცხალი დარჩებოდა და მართლმორწმუნეთა საყვთილდღეოდ ალაჰმა ინება, რომ მათი ფიცი ზუსტად შესრულებულიყო“.

მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად მუსლიმანთა მხედართმთავარმა ისარგებლა თავისი პოლკების დიდი რიცხვობრივი უპირატესობით და ქრისტიანების ბანაკს ეკვეთა საკუთარი ანდალუზიური რჩეული ცხენოსნებით, რომლებიც ბრძოლაში გართული რაინდების ზურგში მოექცნენ.

სწორედ ეს შეტევა დაინახა შემადღებულის დონ ალფონსომ. — ჩვენი ჯერიც დადგა, — განაცხადა მან პირქვეში სიხარულით. მთელი ძალით გაქანდნენ ისინი ბანაკისაკენ. ბევრნი იყვნენ, მაგრამ მანაც არასაკმარისი. მუსლიმანების მოხეტიაელმა ნიაღვარმა ჩანთქა ისინი, ბანაკს ვერ მიაღწიეს და იძულებული გახდნენ მთისკენ შემოტრიალებულიყვნენ. მაგრამ ისინი მტკიცედ შეკრულნი იხევდნენ და მუსლიმანებს ფლანგებიდან შემოვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ზედიზედ უხდებოდათ მათ თავიანთ ირგვლივ ვიწრო სივრცის გაკაფვა და სულის მოთქმა.

დონ ალფონსო შუაგულში იბრძოდა. იგი უკვე ბრძოლის მსვლელობაზე კი არ ფიქრობდა, არამედ იმაზე, თუ რა ხდებოდა მის ახლოს. ალფონსოს მტრისა და სიცხისაგან სუნთქვა ეკვროდა. ოდნავ მოციალე ბურუსისაგან თვალი უჭრელდებოდა: მას ესმოდა ბუკის მკვეთრი ხმა, დოლის ბრაზუნი. მუსლიმანების ველური შეყვირება და მეგობრების შეძახილები: „ჩხეხე! მიშველეთ! აქეთ!“ და ყველაფერს ფარავდა განუწყვეტელი, საერთო გრუხუნში შერწყმული ბრძოლის გუგუნი. დონ ალფონსოს ყრუ და ამავე დროს სანეტარო სიშმაგით უდღუდა გული. უხაროდა, როცა ვინმეს კვებდა მისი კეთილი ხმალი Fulmen Dei. უხაროდა მტრის წაქცევა, და როცა მეგობარი ვარდებოდა, მაშინაც კი, რაღაც სიხარულს გრძნობდა.

თანდათანობით მუსლიმანებმა კასტილიელები მთის შუაგულისაკენ მიიმწყვდიეს. მეფემ ისევ ბრძანა შეტევაზე გადასვლა. გადაჩენილები — ისინი რვაასს აღარ აღემატებოდნენ — მტრის ფეხოსნებში შეიჭრნენ. იქვე ახლო მყოფმა მუსლიმანმა ჯარისკაცმა მეფეს შუბი დაუმიზნა, მაგრამ ალაზარმა მას შუბის სროლა აღარ დააცალა, მოკლა იგი. ყმაწვილმა ხმამალა გაიცილა. — არ გაუმართლდა, მეფეო, — დაიყვირა და მისი ხმა ბრძოლის გრაალმა შთანთქა. მაგრამ წუთიც არ იყო გასული, რომ დაჭრილი ალაზარი ცხენიდან გადმოვარდა, უზანგში ფეხი გაეხლართა და ცხენმა რამდენიმე ნაბიჯზე ათრია.

დანარჩენები წინ გაიჭრნენ, ისინი დაღმართზე მისდევდნენ შტრის ფეხოსნებს. მეფისა და მათ გარშემო, ვინც მის მხარდამხარ იბრძოდა, ადგილი საკმაოდ დაცარიელდა.

ბრძოლის სიფიცხით ჯერ კიდევ დაბრმავებული დონ ალფონსო ბანგდალეულივით ჩამოვიდა ცხენიდან. ალაზარისკენ დაიხარა. თვითონ არ იცოდა რატომ, ზარადი აიღო, ბიჭს მუზარადი მოხადა, ისიც არ იცოდა რატომ, არც ის იცოდა, ალაზარი ხელავედა თუ არა მას. შეწუხებულმა გაიფიქრა, რომ ალაზარს უნდა შეერჩია ათასი რაინდი, რომელთა გათავისუფლებაც ალფონსოს უნდოდა გამოსასყიდის გარეშე. ბიჭი მძიმედ სუნთქავდა, მისი ჩვეულებრივად შავგვრემანი, ფერმკრთალი სახე გაწითლდა და გასივდა, და აჟ, ამ სიციხესა, ტალახსა და სისხლში, საშინელი ტკივილისგან დამახინჯების მიუხედავად, ალაზარი სრულიად ნორჩი ჩანდა. ალფონსო უფრო დაიხარა მისკენ, უყურებდა და ვერ ხელავედა მას, ისევე განაგრძობდა ცქერას, მერე ყვირილისაგან ჩახლეჩილი ხმით უთხრა: — ალაზარ, ჩემო ბიჭო, ჩემო ერთგულო მეგობარო! — ალაზარმა გაჭირვებით ასწია ხელი, ალფონსო ვერ მიხვდა რისთვის; შემდეგ როგორც იქნა მოიაზრა, რომ მას ხელთათმანის დაბრუნება უნდოდა და გული დაწყდა, მაშინვე რომ ვერ მიუხვდა ამას. ალაზარმა ტუჩები ააცმატუნა. ალფონსო არ იყო დარწმუნებული, რომ იგი ლაპარაკობდა: მას მოესმა, თითქოს ბიჭმა თქვა: „მამაჩემს გადაეცი...“, მაგრამ კარგა ხნის შემდეგ გაახსენდა, რომ თითქოს გაიგონა ეს სიტყვები; მას იმის თქმაც არ შეეძლო, რომელ ენაზე იყო ეს ნათქვამი.

მაგრამ ვიდრე იგი ალაზარისაკენ დახრილი იდგა, მთელი დღის განმავლობაში ომის ღრიანცელსა და გუგუნში პირველად ამოტივტივდა მის გონებაში ფიქრი ერთდროულად რაკელზე, დონ მანრიკესა და მაგისტრ ნუნიო პერესზე, რომლებიც მას არწმუნებდნენ, რომ თავი შეეფარებინა ციხე-სიმაგრის კედლებისათვის, და განარისხებულ დონ როდრიგოზე. მაგრამ იგი ამ ფიქრებზე არ შეჩერებულა, დრო აღარ იყო. აღარც იმის დრო რჩებოდა, რომ ალაზარისთვის მიეხედა; მან მხოლოდღა ის მოასწრო, პირჯვარი გადაესახა მისთვის.

მტერის კორიანტელს ახალი ურდოები მოჰყვებოდა და მათ მთაში ერეკებოდა. გამოშტერებული, პირქუში გააფთრებით უყურებდა დონ ალფონსო მოზღვავებულ ურდოებს. როდის იქნება დასასრული? ხუთასჯერ ათასი, — ამბავი მოიტანეს მზვერავებმა. და მათ ტყუილი არ უთქვამთ. — აქამდე საქმე ავანგარდთან გვქონდა, ახლა მთავარი ძალები ჰოდიან, — პირქუშად ჩაიცინა არქიეპისკოპოსმა.

— ძალიან კარგი, — გამოუხმაურა ბერტრანი, — რამდენად მეტ-ნი არიან, იმდენად ბევრი დედები და ცოლები დაღვრიან მათზე ცრემლებს. — რაინდები შეჭგუფდნენ. — დინჯად, ბრძოლით დავიხიოთ უკან!

ბერტრანმა ერთი თავისი სიმღერა წამოიწყო:

თბილ სარეცელზე

არ გარდაცვილიან მამა-პაპანი.

ჩვენც მტრის მახვილით დავეცეთ ველზე,

არა, არ გვინდა ბედო სხვაგვარი!

მცქმუტავ ცხენებს ძლივს აკავებდნენ, სახით მტრისკენ მობრუნებულნი ასე ნელ-ნელა იხევდნენ მთისკენ.

საითაც გაიხედავდი, ყველგან ბრძოლის ცეცხლი იყო გაჩაღებული, მაგრამ როცა უკანასკნელ ზღუდეს, ცად აწვილ ციცაბოს მიაღწივს, დროებით მტრის თვალს მოეფარნენ, აქ არაფის შეეძლო მათი ზურგიდან შემოვლა, სული მოითქვეს, შიშობიხედეს, მეგობრები მოიკითხეს და დანაკარგი დათვალეს. გადარჩენილთა რიცხვი ორას კაცს არ აღემატებოდა. — სადაა დონ მარტინი? — იკითხა ალფონსომ. — დაჭრილია, — უპასუხა გარსერანმა, — როგორც ჩანს, მძიმედ. მისი გადაყვანა უნდათ მთის გადაღმა, მუხის წარაფში. ახლა ხრამზე გადაჰყავთ. შენც წასულიყავი, მეფეე ბატონო, ვიდრე ურჯულობებმა ჭერ კიდეე არ იციან ხრამზე გადასასვლელი გზა, — დაქონებით სთხოვა მან მეფეს. საქმე ისაა, რომ მთის მეორე მხარეს ფარული ბილიკი იყო, რომელიც მუხის ტყისკენ და გადასასვლელისაკენ მიემართებოდა, ხრამის ჩრდილოეთ ნაწილზე გავლით. — მომდევნო შეტევის შემდეგ, — უთხრა დონ ალფონსომ, რადგან უკვე ძალიან მოახლოებული მტერი თავდასხმისათვის ემზადებოდა. მეფე ბერტრანს მიუბრუნდა და ჰკითხა: — რა მოგივიდა, ბატონო ბერტრან? დაჭრილი ხარ? — ისე, ყველა თითი არა მაქვს მთელი, — უპასუხა ბერტრანმა, — თან ცდილობდა ბუნებრივი ტონი შეენარჩუნებინა. — ალბათ ხელთათმანის ნაწილს დაგიბრუნებ მხოლოდ, — იხუმრა მან. და ისევე შემოუტეის მტრებმა.

აქ უკანასკნელი სიმაღლის ძირში ბრძოლა გააფთრებულ ორთაბრძოლაში გადაიზარდა. ყველა თავისთვის იბრძოდა, გონება-დაკარგული, გააფთრებული, აღარ იგრძნობოდა ერთმანეთის მხარდაჭერა. „და შეჩვენებულმა ალფონსომ, — მოგვიტხოვს მემატინანე იბნ იახია, — თვალი აარიდა ხოცვა-ჟლეტას და მართლმორწმუნეთა მბრძანებლის თეთრი ალაში დაინახა — ალაში იყოს მისი მფარველი — სრულიად ახლოს და მასზე ოქროსფერი წარწე-

რა შენიშნა: „არ არს სხვა ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედია წინასწარმეტყველი მისი“. მაშინ შეჩვენებული შიშმა შეიპყრო, გული შეუქანდა და გაიქცა. გარბოდა ყველა, ვინც მას ახლდა და მუსლიმანები მისდევდნენ მათ. თვითონ შეჩვენებული მთაზე გადავიდა, მაგრამ მუსლიმანებმა მისი ხალხის დიდი უმრავლესობა გაულიტეს. შუბი არ აუცილებიათ მორბენალთა ბარძაყებისათვის და მახვილა მათი კისრისათვის. ვიდრე თავიანთი იარაღი ურჯულთა სისხლით არ შეღებეს და არ აიძულეს ისინი სიკვდილის ფილა ბოლომდე დაეცალათ“.

მთის მწვერვალს რომ მიადწიეს, ალფონსო ერთი წუთით მობრუნდა არიოსის ველისაკენ, მის მიერ არჩეული ბრძოლის ველისკენ. მტერის კორიანტელი ფარავდა ველს, მტერით იყო დასვრილი თვითონ და მისი მხლებლებიც. მტვერს დაეფარა ჩაფხუტი და საჭურველი. ისეთი სქელი მტერის საფარველი გადაფარებოდა ბრძოლის ველს, რომ შეტაკების გააფთრებულ ხმაურს ფარავდა — ხმლების წყრიალს, მებრძოლების ყვირილს, ცხენების ჰიხვინს, ფეხის ხმას და ბუკების ღრიალს. ამ ცხელ, მზოლავ, ამტვერებულ შირაჟში, თვით კასტალიის მეფის გამჰკრიახმა თვალმაც ვერ გააჩნია, რა ხდებოდა. მაგრამ ალფონსომ იცოდა: აჰ, ამ მტვერსა და ღრიალში იღუპება მისი დიდება, იღუპება კასტილია, მაგრამ ვიდრე იგი ამ ფიქრს სიტყვებში ჩამოაყალიბებდა, ანდა ნამდვილად შეიგრძნობდა, მისმა რაინდებმა სწრაფად გაიტაცეს.

ამასობაში მუსლიმანები კასტილიის ბანაკს არბევდნენ. ხელთ იგდეს იარაღი განძეულობა, საჭურველი, ყოველგვარი სანოვაგე, ასობით საუკეთესო მონადირე შევარდნები და საეკლესიო ჭურჭელი, გარდა ამისა, სადღესასწაულო ტანისამოსები, რომლითაც კალატრაველი რაინდები უნდა შემოსილიყვნენ გამარჯვების დღეს. „ვერ დავასახელებ მართლმორწმუნეთა ხელით დაღუპულ ქრისტიანთა რაცხვს, — მოგვითხრობს მემეტიანე, — ისე ბევრი ქრისტიანი იყო დახოცილი, რომ მხოლოდ ალაჰმა, რომელმაც შექმნა ქრისტიანებიც, იცის მათი რიცხვი“.

ამ ას თორმეტი წლის წინ სალაკთან ბრძოლის შემდეგ, მუსლიმანებს ნახევარკუნძულზე ასეთი გამარჯვება არ უნახავთ. ისე ძლიერ შეშინდნენ ქრისტიანები, რომ ალარკოსის დამცველნიც შეშფოთდნენ. ხანმოკლე გარემოცვის შემდეგ ჩააბარეს კასტილიის ყველაზე ძლიერი ციხე-სიმაგრე. გამარჯვებულნი შიშის ზარს სცემდნენ ირგვლივ ყველას. თავიანთი საბრძოლო მანქანებით დაანგრეს ქალაქის კედლები და სახლები, მიწასთან გაასწორეს ალარკოსის ციხე-სიმაგრე და მარილი მოაყარეს მიწას.

რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ალაკოსთან ბრძოლა დაიწყებოდა, ტოლედოში მოვიდა დონ პედროს მიერ კასტილიელებისათვის დასახმარებლად შეპირებული არაგონელთა არმიის პირველი რეაზისი აბჯროსანი. მათმა მეთაურმა ბრძანა მისი მოსვლა მოეხსენებინათ დედოფლისათვის. ეს იყო გუტიერე დე კასტრო.

ღიახ, დე კასტრო დაჟინებით თხოულობდა, რომ იგი პირველი გაეშვათ ტოლედოში. ბარონ დე კასტრო თავის თხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ დე კასტროებმა ტოლედოს აღებაში თავი გამოიჩინეს, რასაც ამოწმებს ჩვენ კასტილიო ამ ქალაქში და მინდა კორდოვასა და სევილიის აღებაშიც მივიღო მონაწილეობაო. გაუბედავ დონ პედროს არ შეეძლო თავისი ძლიერი ვასალისათვის უარი ეთქვა ასეთ დაჟინებულ თხოვნაზე. ამრიგად, დე კასტრო ტოლედოში ჩამოვიდა რეაზისი შერჩეული აბჯროსანით და დონა ლეონორთან გამოცხადდა.

დონა ლეონორი ძლიერ გოაცებული და გახარებული იყო. რაღაც ცრუმორწმუნეობრივი აღფრთოვანებით ფიქრობდა იგი თავის ბრძენ დედაზე, რომელმაც არ მისცა კასტილიო დე კასტროს, რითაც გაადიზიანა და მოიტყუა იგი. დონა ლეონორმა გუტიერე დე კასტრო აღერსიანი ღიმილით გაბრწყინებულმა მიიღო. — მოხარული ვარ, რომ ჩვენ არაგონელ მეგობართაგან პირველი შენ ჩამოხვედი ტოლედოში, დონ გუტიერე.

აბჯროსანი დონ გუტიერე მის წინ იდგა ჩვეულებით ნაკურთხ პოზაში, — ფეხები განზე გაედგა და ორივე ხელი ხმლის ვადაზე ედო. ჯმუხი ბარონი ამყობდა იმით, რომ გოთების იმ თავადიშვილების შთამომავალი იყო, რომლებიც მუსლიმანების მიერ მთელი ნახევარკუნძულის დაპყრობის შემდეგ ასტურიისა და კანტაბრიის მთებში წავიდნენ და დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. და მართლაც: მას, როგორც ამ ადგილებში მცხოვრებ ბევრ მთიელს, განიერი მხრება, მრგვალი თავი, კეხიანი ცხვირი და ღრმად ჩამჭდარი თვალები ჰქონდა. იგი მჯდომარე დედოფლის წინ იდგა, ზევიდან თამამად ჩასცქეროდა მას სახეში და ფიქრობდა, რას უნდა ნიშნავდეს დონა ლეონორის სიტყვებიო.

— ვიმედოვნებ, — განაგრძობდა დონა ლეონორი, — რომ კმაყოფილი ხარ კასტილიასა და შენ შორის დავასთან დაკავშირებით შედეგების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. — დონა ლეონორმა მას ახედა, დაკვირვებით უცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში,

თითქმის შეუფერებლად დიდხანს. ბოლოს დონ გუტიერემ, რომელიც ყველა სიტყვას წონიდა, თავისი წრიბინა ხმით თქვა: — ჩემი ძმა ფერნან დე კასტრო დიდებული რაინდი და გმირი იყო, მთელი გულით მიყვარდა იგი. ვერაფერი ამინაზღაურებს მის დაკარგვას, და, რა თქმა უნდა, არ ამინაზღაურებს ის ვირა, რომელიც გადამინახდეს. როცა ჯვარი ავიღე, დავიფიცე, რომ გულიდან ამომეღო სიძულვილი, შევასრულებ ჩემ ფიცს და კასტილიის მეფის გამგონე ვიქნები, როგორც ჩემმა არაგონელმა სიუზერენმა მიბრძანა. მაგრამ გულახდილად გეტყვი, დედოფალო, ეს ჩემთვის ადვილი როდია. მწყინს, რომ დონ ალფონსოს უახლოეს მსახურთა შორის არის კაცი, რომლისთვისაც მინდოდა მიმეფურთხებინა და ღირსიც არ არის ჩემი ფურთხისა, მას თავი მოაქვს, რომ ჩემს საგვარეულო სასახლეში ცხოვრობს.

დონა ლეონორმა, რომელიც არ ამორებდა მას თავის მწვანე თვალებს, ნაზი შემპარავი ხმით უთხრა: — მხოლოდ საღი მოფიქრების შედეგად გადაწყვიტეს მეფეებმა დაეტოვებინათ მისთვის კასტილიო. — და აუხსნა: — ახლა, კეთილშობილო დონ გუტიერე, ისე არ შეიძლება ომის წარმოება, როგორც ჩვენი მამების დროს ხდებოდა. ომისთვის ბევრი ფულია საჭირო, ფულის მოსაპოვებლად კი ეშმაკობა, ზოგჯერ თითქმის ცბიერებაც. მას კი, ვისზედაც შენ ლაპარაკობ, ორივე შეუძლია. დამიჯერე ჩემო ძვირფასო, კეთილშობილო დონ გუტიერე, ვიზიარებ შენ გრძნობას. კარგად მესმის, როგორ გწყინს, რომ ის კაცი შენ სასახლეში ცხოვრობს. — ლეონორი ხედავდა, როგორი ყურადღებით, რაღაცის მოლოდინით საცხე თვალებით უყურებდა დონ გუტიერე მას. „ახლა შევარდენს ნადავლით მოვიტყუებ“, — გაიფიქრა ლეონორმა და დინჯად დაასრულა. — როცა ომი გაჩაღდება, არც ეს კაცი და არც მისი ცბიერება აღარ იქნება საჭირო.

დონ გუტიერემ ჰკითხა, რას უბრძანებდა ლეონორი.

— ჭერჯერობით კარგი იქნებოდა შენი ხალხიანად აქ, ტოლედოში, დარჩენილიყავი. მეფეს შევატყობინებ შენი მოსვლის ამბავს და მისგან მივიღებ მითითებას. ჩემი ნება რომ იყოს, აქ დაგტოვებდით. ჯარი გაყვანილია ქალაქიდან და უფრო მშვიდად ვიქნებოდით, როცა მეცოდინებოდა, რომ ტოლედოში კარგი მეომრები არიან, რომელთაც ვენდობი. — დონ გუტიერე ჩვეულებრივზე მეტად დაიხარა და თავი დაუქრა ლეონორს. — მადლობელი ვარ ალერსიანი სიტყვებისათვის, კეთილშობილო მანდილოსანო, — უთხრა მან.

მოკრძალებითა და გამბედაობით აღსავსე გამოემშვიდობა. დონა ლეონორი ნამდვილად დიდი დედოფალია.

გახარებული მიდიოდა დონ გუტიერე ტოლედოს ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში. იგი გმირი და პატივცემული სტუმარია ქალაქში, საიდანაც გააძევეს. ამ ზაფხულის ცხელ დღეებში არა ერთხელ ჩაუარა კასტილიო დე კასტროს, რომელსაც სიძულვილით და იმედით შესცქეროდა.

დადგა დღე, როცა განთიადამდე ზარების რეკვა ატყდა ტოლედოში, დიდი ბრძოლის დღე. დადგა ღამეც და ღამით გავრცელდა შავბნელი, ბუნდოვანი ხმა, რომ ბრძოლა წაგებულია. ისევ გათენდა და დილას სამხრეთიდან გამოჩნდნენ შეშინებული ლტოლვილები. მათი რიცხვი თანდათან მატულობდა და ტოლედოს გალავანს გარეთ მცხოვრებნიც გროვად მოდიოდნენ ისედაც ხალხმრავალ ქალაქში. საშინელი ამბები კი თანდათან მრავლდებოდა — კალატრაის ორდენის დიდი მაგისტრი მოკლულია, არქიეპისკოპოსი მძიმედ დაჭრილი, კალატრაის ორდენის რვა ათასი რაინდი ბრძოლის ველზე დაეცა, დახოცილია ათი ათასზე მეტი სხვა რაინდი და ურიცხვი რაოდენობის ფეხოსანი ჯარისკაცი.

დონა ლეონორი მშვიდად იყო. ტყუილი ხმებია. არ შეიძლება, არ უნდა მოხდეს ასე. ასეთი დამარცხება მას ვერ წარმოუდგენია. საშეფოს ერთადერთი მრჩეველი, რომელიც ტოლედოში დარჩა, დონ როდრიგო მოვიდა ლეონორთან, მისი გამხდარი სახე ტანჯვისა და ბრაზისგან დამახინჯებულიყო. ლეონორმა სიმშვიდის შენარჩუნება სცადა. — მატყობინებენ, — თქვა ლეონორმა, — მეფემ, ჩვენმა ხელმწიფემ, დიდი დანაკარგი განიცადა ალარკოსის ციხესიმაგრის დატოვების დროს. უფრო სარწმუნო ამბავი ხომ არ მოგიტანია, პატივცემულო მამაო? — გაიღვიძე, დედოფალო! — ბრაზით შესძახა დონ როდრიგომ, — დონ ალფონსომ უდიდესი დამარცხება განიცადა. ომი დაწყებისთანავე დამარცხებით დამთავრდა. კასტილიის რაინდების საუკეთესო ნაწილი დაიღუპა. კალატრაის ორდენის დიდი მაგისტრი მოკლეს. ტოლედოელი არქიეპისკოპოსი მძიმედ დაჭრილი. ბარონებისა და რაინდების უმრავლესობა დაეცა არაოიოსის ველზე. რაც საუკუნეების განმავლობაში ზღვა ოფლითა და სისხლით მოიპოვეს ჩვენი ნახევარკუნძულის ქრისტიანმა მეფეებმა, ნაცარტუტად იქცა ერთ დღეში, რაინდული კირვეულობის დასაკმაყოფილებლად.

დედოფალი გაფითრდა. მისთვის უცებ ნათელი გახდა, რომ ეს მართალია. მაგრამ დონ როდრიგოს წინაშე არ უნდოდა გამომტყდარიყო; იგი ისევ ზვიადი დედოფალია და კანონიკს ცივად მიუჩინა თავისი აღვილი. — თავს გაგდის, დონ როდრიგო; — უთხრა მან, — მაგრამ მესმის შენი მწუხარება და ამიტომაც არ მსურს



შეგედავო. ამას სჯობია მითხრა, რა უნდა გავაკეთო, რის გაკეთება შემიძლია?

როდრიგომ ასე უპასუხა: — საომარ საქმეში გამოცდილი ხალხი ვარაუდობს, რომ დონ ალფონსო შესძლებს რამდენიმე ხანს კალატრავა შეინარჩუნოს. იზრუნე, დედოფალო, რომ ამ ხნის განმავლობაში ტოლედო თავდაცვისათვის შეამზადონ. ჰკვიანი და სახელმწიფოებრავ საქმეებში გამოცდილი ხარ. ქალაქში სიმშვიდე დაიცავი. იგი სავსეა ლტოლვილებითა და სასოწარკვეთილი ხალხით, რომელიც ნგრევისა და ხოცვის წყურვილს შეუპყრია. მონათლულ არაბებს ემუქრებიან, ემუქრებიან ებრაელებს.

გულის სიღრმეში დონა ლეონორი ელოდა, რომ ამის მსგავს სიტყვებს გაიგონებდა: იქნებ, მას კიდევ უნდოდა ამის გაგონება. ლეონორმა უპასუხა: — გავაკეთებ ყველაფერს, რაც შემიძლია, რომ ტოლედოში სიმშვიდე დავიცვა.

ალჰამის პარნასს, დონ ეფრაიმს მწარე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. ალარკოსას აღება ხალიფას ტოლედოსაკენ უხსნიდა გზას. ქალაქი შეიძლებოდა ნადავლი გამხდარიყო მუსლიმანებისა, რომლებმაც კორდოვადან და სევილიიდან განდევნეს ებრაელები. გოთების მეფეების შემდეგ სეფარდელ ებრაელებზე ასეთი თავდასხმა არ ყოფილა.

რას მოიტანს უახლოესი მომავალი? ტოლედოში საშინელი ხმები დადიოდა. ვერასოდეს ვერ დაამარცხებდნენ ურჯულოები ქრისტიანთა საუკეთესო მხედრობას, ლალატსა და მზაკვრობას რომ არ ჰქონოდა ადგილი. სევილიის ეპირის მეგობარმა ებრაელმა პირი შეკრა მუსლიმანებთან, გაუხშილა მათ ქრისტიანების სამხედრო გეგმები, ცალკეული რაზმების რაოდენობა და მათი განლაგება. მეფე ჭერ კიდევ არ გათავისუფლებულა ეშმაკის მოგზავნილი ებრაელი ქალის მახისგან და აი, ღმერთმა დასაჯა ის და მთელი მისი ქვეყანაო.

იუდერააში ხალხი ადრინდელზე უფრო მჭიდროდ ეტმასნებოდა ერთმანეთს. ებრაელები, რომლებიც მაგარი გალაუნის გარეთ ცხოვრობდნენ, თავს აფარებდნენ მას. ალჰამა შიშის გრძნობამ მოიცვა.

დონ ეფრაიმმა დედოფალს მოკრძალებით სთხოვა მიღება. ქალაქელებს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ქალაქის დასაცავად იწვევდნენ. დონ ეფრაიმი ითხოვდა, ნება დაერთოთ იუდერიის დასაცავად ალჰამისათვის დაეტოვებინათ ათასი ხუთასი ბრძოლისუნარიანი მამაკაცი, რომელიც ჭერ კიდევ იყო მის განკარგულებაში.

იგი ამბობდა, რომ აღარკოსთან ბრძოლაში დაღუპულ ებრაელ ჯარისკაცთა დიდი რაოდენობა მოწმობდა იმას, რომ ტოლედოელი ებრაელები მზად არიან სიცოცხლე გასწირონ მეფისათვის. მაგრამ ახლა ებრაელებს უაზრო ხმებით გალიზიანებული ხალხი ემუქრება და ალჰამას ძალიან სჭირდება თავისი მეომრები და იარაღი.

დონა ლეონორს სწრაფად გაუელვა ფიქრმა. აი, იგი ერთადერთი სასურველი დღე; ახლა სიფრთხილეა საჭირო, ნართაულად უნდა თქვა, საკუთარი თავი კი არ უნდა გასცე.

ტოლედოელი ხალხი, — უპასუხა ლეონორმა, — ბრძოლის სამწუხარო დასასრულში ღვთის სასჯელს ზედავს და დამნაშავეს ეძებს. ევრაეინ დაადანაშაულებს ალჰამის ებრაელებს, რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც მეფის ერთგული მსახურნი. მაგრამ, აი უცხოელებზე, იმ ფრანკ ებრაელებზე, რომლებსაც მეფემ, ჩვენმა ხელმწიფემ, თავისი უსაზღვრო გულმონჯალოების გამო ნება დართო აქ დასახლებულიყვნენ, არაფერი ვიცით და ცუდი თვალით უყურებს ხალხი იმას, ვინც მეფეს ასეთი ცუდი რჩევა მისცა, — ესკრივანო დონ იეპუდა იბნ ეზრას. გარდა ამისა, დონ იეპუდა მთელი თავისი დამსახურების მიუხედავად, ამაყია, თუ არ ვიტყვით, რომ გულზევიადია, და ფუფუნება, რომელშიც იგი ცხოვრობს წმიდა ომის დროს, მრავალ უბრალო მოქალაქეს აბრაზებს. ისეთი ჭკვიანი კაცი, როგორიც ალჰამის უხუცესია, უნდა მიხედეს ამას.

პარნასი აღაშფოთა იმ ამბავმა, რომ დედოფალი იმეტებდა თავის მიერვე მოწვეულ კაცს. რომელმაც ქვეყანას ასეთი კეთილდღეობა მოუტანა. — შენ გვიჩვენებ დედოფალს, — ფრთხილად ჰკითხა დონ ეფრაიმმა. — უარი ვთქვათ დონ იეპუდა იბნ ეზრაზე? — არა, — სწრაფად უპასუხა დონა ლეონორმა, — მე მხოლოდ მინდა გავიგო, რომელი ებრაელი მიპართაა ხალხი უკმაყოფილო. — მაპატიე, დედოფალს, რომ თავს გაწყენთ შეკითხვებით, — დაჟინებით ეუბნებოდა დონ ეფრაიმს. — მაგრამ არ მინდა ასეთ მნიშვნელოვან საკითხში თქვენს უდიდებულესობას ცუდად გავუგო. შენ ფიქრობ, რომ დონ იეპუდას უნდა ჩამოვშორდეთ? — დედოფალმა ცივად და კუშტად უპასუხა: — მე ვფიქრობ, თქვენ არავითარი სერიოზული საფრთხე არ გემუქრებათ, მაგრამ დონ იეპუდა რომ არ ყოფილიყო, საფრთხის ნიშანწყალიც არ იქნებოდა, — და გულისგამაწვერილებელი დუმბილის შემდეგ გაბრაზებით დაამთავრა: — ასეა თუ ისე, დონ ეფრაიმ, შენი ბრძოლისუნარიანი მამაკაცები გინდა იუდეიის დასაცავად დააყენე, გინდა — ტოლედოსი, არჩევანი შენზე იყოს. — ეფრაიმმა თავი მდაბლად დაუქრა და გავიდა.

იგი იეპუდასთან წავიდა.

— ვწუხვარ, დონ იეჰუდა, — დაიწყო მან, — რომ შენ ჯერ კიდევ აქ ხარ, კასტილიო იბნ ეზრაში. ახლა ძალიან ძნელია ამაზე არასაიმედო ადგილის მოძებნა შენთვის. „აქაურობა უნდათ რომ დაეტროვო, — მწარედ გაიფიქრა იეჰუდამ, — ჩემი თავიდან მოშორება სურთ“. და დამცინავი ზრდილობიანობით უთხრა: — შენი პირველი მზრუნველი გაფრთხილების შემდეგ არა ერთხელ ვიფიქრე, ჩემ ქალიშვილთან და ჩემ ერთგულ მეგობარ მუსასთან ერთად დამეტოვებინა ეს მხარე, მაგრამ მეფე, ჩვენი ხელმწიფე მდევარს დამადევნებდა. მითხარი, განა შენც ამაზე არ ფიქრობ, დონ ეფრაიმ? ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომ ქრისტიანთა უშველებელი მიწა-წყალი გადავიარო და უვნებლად მივადწიო სულთანის საზღვრამდე. იძულებული ხართ, შენ და ალჰამა შეურიგდეთ ჩემ ყოფნას ტოლედოში.

ეფრაიმმა უპასუხა: — იუდერიას მტკიცე გალავანი და ათას ხუთასი ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდა კაცი იცავს. მე მგონია, დონ იეჰუდა, დღეს იუდერია, შენთვის ყველაზე შესაფერი ადგილია.

იეჰუდამ თავისა გაოცება არ დამალა, მაშინვე გაიგო ამ წინადადების დიდსულოვნება. — მაპატიე სულელური დაცინვა, — თქვა მან უჩვეულო სითბოთი. — ჩემი სიცოცხლის მანძილზე ბევრი მეგობარი არ შემიძენია, ასეთ კარგო მოყვარეობას არ მოველოდი. — და მან, რომელიც ყოველთვის კარგად ფლობდა თავის თავს, აღელვებულმა ოთახში სიარული დაიწყო, შემდეგ ეფრაიმის წინ გაჩერდა და დაელაპარაკა, ამჯერად ებრაულად: — მაგრამ, ჩემო ბატონო და მასწავლებლო, დონ ეფრაიმ, იფიქრეთ თუ რამდენად არასაიმედო გახდება იუდერია, მე რომ თავშესაფარი მომცეს? — ეფრაიმმა უპასუხა: — ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ უბედურების უამს კარები გამოვუხუროთ კაცს, რომელმაც ამდენი სიკეთე მოგვიტანა.

საწინააღმდეგო გრძნობებით შეჭირვებულმა იეჰუდამ იკითხა: — შენი მიპატიება დონა რაკელსაც ეხება? — ეფრაიმმა წუთიერი ყოყმანის შემდეგ უპასუხა: — შენს ქალიშვილსაც ეხება, — იგი დაუინებოთ თხოვდა: — საქმე შენ სიცოცხლეს ეხება, დონ იეჰუდა: ჰკვიანი ხარ და ეს ჩემზე უკეთ იცი. იქნებ, ჩვენ სისხლით გვაზღვევინონ შენი ხსნა: შენ ეს თქვი და მეც არ გედავები. მაგრამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მსხვერპლი დამერთისთვის სასურველი იქნება. შენ შენივე სურვილით დაუბრუნდი ჩვენ სარწმუნოებას და თავი საფრთხეში ჩაიგდე. გემუდარები, დაივიწყე შენი სიამაყე-საშუალება მოგვეცი სიკეთე სიკეთით გადაგიხადოთ.

იეპუდამ უპასუხა: — თქვენ მზად ხართ თავი გასწიროთ, ჩემშიც დიდია ცთუნება მივიღო თქვენი წინადადება, რადგან შიში მზარავს, ამას მე არ უარეყოფ. მაგრამ რალაც შინაგანი მაკაეებს. შემეძლო მომეტყუებინა ჩემი თავიც და შენც, არ მინდა თქვენი საფრთხეში ჩაგდება-მეთქი; მაგრამ მიზეზი ეს არაა, არც ჩემი სიამაყე, გთხოვ დამერწმუნო. ეს უფრო რთული ამბავია. მოგეხსენება, ახლახან მეფემ მაიძულა ხალიფასათვის გაგზავნილ თავხედურ პასუხზე მისი ბეჭდის გვერდით ჩემი ბეჭედიც დამესვა. მაშინ მე ისევე მივხვდი: ჩემი ბედი საუკუნოდ დაკავშირებულია ედომის მეფესთან. დიდ თამაშში ვიყავი ჩაბმული — წავაგე და განკითხვის დღეს გაქცევა არ მინდა.

— მოიფიქრე ერთხელ კიდევ, — აფიცებდა მას ეფრაიმი, — დაიმალო ხალხში, რომელთა რწმენაც შენ მიიღე, მიუხედავად შენ მიერ მსხვერპლის გაღებისა, სულაც არ ნიშნავს აღონაისგან განდგომას. დრო არ ითმენს, დონ იეპუდა. იქნებ, ხვალ უკვე ველარ მოასწრო ამ სახლიდან წასვლა. წამოდი ჩემთან ერთად. წამოიყვანე ქალიშვილი და წამოდი ჩემთან.

— შენ მამაცი და კეთილი ხარ, დონ ეფრაიმ, — უთხრა იეპუდამ, — მადლობელი ვარ შენი. დმერთმა ძალა შეგმატოს. მაგრამ ახლა ვერ გადავწყვეტ. ვიცი, რომ დრო აღარ ითმენს, მაგრამ მე მხოლოდ ჩემს გულს უნდა ვუსმინო, არ შემიძლია ახლა შენთან წამოსვლა.

ეფრაიმი ძლიერ შეწუხდა. — მერე კიდევ გამოგიგზავნი მოციქულს, — უთხრა მან, — იმედი მაქვს, გადაიფიქრებ და ჩვენთან მოხვალთ, შენ და შენი ქალიშვილი. დე, ყოვლისშემძლემ შენ გულს სწორი გადაწყვეტილება მიაღებინოს.

იეპუდამ თავს ძალა დაატანა და უთხრა პარნასს: — ვიდრე წასულხარ, ჩემო ბატონო და მასწავლებლო დონ ეფრაიმ, ნება მომეცი ერთი რამ გთხოვო. ჩემი შვილიშვილი საიმედო თავშესაფარშია, მაგრამ არ ვიცი დიდხანს იქნება ის საიმედო, თუ არა. დანამდვილებით არც კი ვიცი, სად არის ახლა ბავშვი. ერთადერთი აღამიანი, გინც ეს ამბავი იცის, ჩემი იბნ ომარია, შენ იცნობ მას, როცა ვნებანი დაცხრებიან, მოძებნე იგი. იბნ ომარი ჰკვიანი კაცია, მან იცის ჩემი ზრახვანი და სურვილები, ის გეტყვის ყველაფერს. ედომის მეფეს სურს მისი შვილი და ჩემი შვილიშვილი ოლმედოელი გრაფი იყო. თვალყური ადევნე, რომ მეფემ ბიჭი არ მონახოს. თვალყური ადევნე, რომ მან ბავშვი მეშუმადად არ აქციოს. ბიჭი წუ გაიგებს, ვინაა მისი მამა. დაიფარე იგი ედომისაგან და ედომის რწმენისაგან.

— შევასრულებ, — დაპირდა დონ ეფრაიმი, — როცა დრო დადგება, ბიქს ვეტყვი, რომ იგი იბნ ეზრაა, — დონ ეფრაიმი წასასვლელად შებრუნდა. — ღმერთი გფარვიდეს, იეპულა, — თქვა მან, — მე შენი ერთგული მეგობარი ვარ. თუ კიდევ მოგვიწევს ერთმანეთთან დავა, გაიხსენე ეს წუთები და მეც გავიხსენებ. თუ ერთმანეთის ნახვა აღარ გვიწერია, იცოდე, რომ შენი ხალხიდან მრავალი ათასი ლოცავს შენს ხსოვნას. მშვიდობა შენდა, იეპულა.

— მშვიდობა შენდა, ეფრაიმ, — უპასუხა იეპულამ.

ეფრაიმის წასვლის შემდეგ დიდხანს იჯდა იეპულა თითქოს სულიერად დაცარიელებული. არ ნანობდა, რომ წინადადებაზე უარი უთხრა. იგი მამაცი კაცი იყო. მაგრამ მას ბევრჯერ უნახავს, როგორ კვდებიან და კარგადაც იცოდა, რა მოელოდა. მან იცოდა: არაბული სიტყვა, რომელიც სიკვდილს ყველა არსების დამღუპველს ეძახის, ცარიელი სიტყვა როდია. და მას არ რცხვენოდა, რომ კანკალებდა შავი უფსკრულის გახსენებაზე, მას რომ ელოდა.

მდგომარეობას ის ამსუბუქებდა, რომ ეფრაიმმა მისი უარი არ ჩათვალა საბოლოო პასუხად. საშინელი ფიქრები იპყრობდა. იგი ხომ ქალიშვილსაც წირავს დასაღუბად. უნდა ჰკითხოს მას, ვიდრე საბოლოოდ გადაწყვეტდეს. იგი დაემორჩილება შვილის არჩევანს.

არაფერი გაუადვილებია, ისე უამბო მან რაკელს, რომ აქ, ტოლედოში, ყოველ ფენის ნაბიჯზე სიკვდილი ელით, და, რომ დონ ეფრაიმმა მათ თავშესაფარი შესთავაზა იუდეურიაში.

რაკელმა იცოდა ალფონსოს დამარცხების ამბავი, მაგრამ ახლა, მამის სიტყვების შემდეგ, მიხვდა, რამდენად დიდი იყო ეს უბედურება. საშინელ ძრწოლვას განიცდიდა თავის და მამის გამო, მაგრამ მასში უფრო დიდი იყო ალფონსოს სიბრალული. როგორ აიტანს დამარცხებას ეს რაინდი, ეს მეფე — გამარჯვების სხივმოხილი განსახიერება? იგი ალერსიანი ღიმილით ფიქრობდა: „იმ საწყალ ბედუქუღმართს აღარ მოუხდება ჩემთვის ჩემი სვეილიის ჩვენება“. და მის ფიქრში ალფონსოს სახე ამოტივტივდა — ჭიუტი, გაბრაზებული, მწუხარებით სავსე. ამავე დროს რაკელის მთელი არსება ზეიმობდა: „ახლა ალფონსო მალე, ძალიან მალე დაბრუნდება გალიანაში. იგი დამპირდა. და აღარ ეცმევა ჯაჭვის პერანგი, ჩემი სიტყვები კი გულში ჩაწვდება“.

მაშინვე, როგორც კი იეპულამ ლაპარაკი დაასრულა, რაკელმა უყოყმანოდ უპასუხა: — ჩემი წასვლა იუდეურიაში არ შეიძლება, მამა, დონ ალფონსომ მიბრძანა გალიანაში დამელოდეო.

იეპუდას ეწყინა, - რომ რაკელი არაფერზე ფიქრობდა, გარდა ღონ ალფონსოს სურვილისა. მან უთხრა: — რაკი ასეთია ნება შენი, შვილო, მეც არ წავალ იუდეურიაში.— მაგრამ ეს სიტყვები ძველებური სიმტკიცით როდი თქვა და ამ ღროს იგი გამომცდელი თვალებით შეჰყურებდა რაკელის მორჩილ სახეს. იეპუდას გულში კიდევ ბუტავდა იმედი, რომ რაკელი უარს იტყვოდა: „არა, მამა, არ მინდა შენი სიკვდილი. შენი სიცოცხლე მინდა. შენს გადაწყვეტილებას დავემორჩილები“. მაგრამ რაკელმა არაფერი უთხრა. იეპუდა მწარედ ფიქრობდა: „მე მივეცი იგი ამ კაცს. მე ვუბიძგე რაკელს ამ კაცს გულში ჩაკვროდა. უფლება არ მაქვს საყვედური ვთქვა, რომ ახლა ალფონსოს სურვილს წინ არ აღუდგა, თუნდაც ეს სიკვდილით მემუქრებოდეს“.

და უცებ მთლად გაბრწყინებულმა რაკელმა სთხოვა: — შენ წამოდი ჩემთან, მამა, წამოდი ჩემთან გალიანაში საცხოვრებლად! — იეპუდა ხვდებოდა, რა ტრიალებდა მისი ასულის გულში. ყველაფერი იხატებოდა მის მოძრავ სახეზე. რაკელი გრძნობდა, რა საფრთხე ელოდა ორივეს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, გალიანას საიძედო თავშესაფრად თვლიდა; ასე რომ არ იყო, ალფონსო მას არ უბრძანებდა იქ დაცდას. იეპუდამ იცოდა: ეს ტყუილი ოცნება და შეცდომა იყო, მან იცოდა, რაკელი მას აგდებდა საფრთხეში, ის კი რაკელს. რაკელი უძღურია დაეხმაროს მას, არც მას ძალუძს რაკელს უშველოს, მაგრამ ნუგეშის მომგვრელი იყო იმის წარმოდგენა, რომ სიკვდილის ქამს ერთად იქნებოდნენ და მან რაკელის ოცნება არ დაამსხვრია.

დაეთანხმა დღესვე, როგორც კი დაბნელებოდა, წასულიყო მასთან გალიანაში.

იეპუდამ მუსასაც შესთავაზა მასთან ერთად წასვლა, მუსამ ბუნებრივად ჩათვალა, რომ რაკელს გალიანაში უნდოდა დარჩენა და იეპუდას კი თავის ქალიშვილთან ყოფნა. მაგრამ პირადად ჩემთვისო, თქვა მან, არავითარი აზრი არა აქვს არსებულ პირობებში ადგილი შევიცვალო. — აქ დამტოვე, წიგნებთან, — სთხოვა იეპუდას, — არ ვარგა მათი დატოვება უმეთვალყუროდ. — მართლაც, კარგი იქნებოდა, — დაფიქრებით თქვა მან და სახე გაუნათდა, — ორი-სამი ძვირფასი ხელნაწერი იუდეურიაში გაგვეგზავნა. რა კარგია, რომ სეფერ ჰილალი უკვე იქ არის.

ადრე ივახშმეს, მუსა და იეპუდა ერთად დასხდნენ, სვამდნენ და საუბრობდნენ. ერთად გატარებული მრავალი წლის სურნელებით ტკბებოდნენ. თავიანთ უბედურ მღგომარეობაზე საქმიანად საუბრობდნენ, როგორც გამოცდილი ხალხი. სიკვდილზე ოდნავ დამცინავი მოწიწებით ლაპარაკობდნენ.

მუსა თავის საწერ მაგიდასთან იდგა, წრეებსა და არაბესკებს ხაზავდა და ლაპარაკობდა.

— ასეთ სამწუხარო მდგომარეობამდე ალფონსოს ვარსკვლავებმა კი არ მიიყვანა იგი და ჩვენ, არამედ მისმა ბუნებამ, მისმა რაინდობამ. რაინდობა და შავი ჭირი — ყველაზე საშინელი უბედურებაა, რომლითაც ღმერთი სჯის თავის ქმნილებებს.

იეჰუდამ თავი ვერ შეიკავა, მას მეგობრისათვის უნდა ეთქვა, როგორი თბილი სიტყვებით ლაპარაკობდა ღონ ფერაიმი იეჰუდას დამსახურებებზე. — როგორც იქნა მიხვდნენ ებრაელები, — თქვა მან თავშეკავებული სიამაყით, — რომ მათ ჩემი სახელის, სიმდიდრისა და პატივისთვის როდი ვემსახურებოდი. — მუსამ გულთბილად დასძინა:

— მე ამას ყველაფერს ვხედავდი და ვიცი, რომ შენ ხშირად მარტო პატივმოყვარეობისათვის კი არა, კეთილი გულის კარნახითაც მოქმედებდი. — და მან აუხსნა მისთვის დამახასიათებელი ალერსიანი დამრიგებლობით: — ჰიპოკრატე ამბობს, რომ ადამიანთა მოქმედებანი, ისევე როგორც მათი ავადმყოფობა, იშვიათად გამომდინარეობს ერთი მიზეზიდან, უფრო მეტიც — ყოველ ცალკეულ მოქმედებას მრავალი საფუძველი აქვს. — იეჰუდამ ღიმილით უპასუხა: — შექება არ გიყვარს, ჩემო მეგობარო მუსა.

საუბრის გაბმას ვერ ახერხებდნენ. საერთოდ ენაწყლიანები, ახლა, რაც უფრო მეტად ახლოვდებოდა დაშორების წუთები, თანდათან სიტყვაძვირი გახდნენ. როცა იეჰუდა აღგა, მეგობრებმა სულ ვეღარ ამოიღეს ხმა, მხოლოდ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

შემდეგ მუსა თავისდა უნებურად უხერხულად გადაეხვია იეჰუდას; წინათ არასოდეს არ გაუკეთებია ეს. როცა იეჰუდა წავიდა. დიდხანს იდგა გაქცევებულივით იმავე ადგილას ხელებჩამოყრილი და დაუინებით ჩასჩერებოდა მიწას.

როცა იეჰუდამ მეორე დილით გალიანაში გაიღვიძა, პირველ წუთებში ვერაფერს მიხვდა. შემდეგ მოისაზრა, სადაც იყო და რა საფრთხე ემუქრებოდა ამ სახლს, მაგრამ ახლა შიშს უკვე აღარ გრძნობდა, მისი სული უდიდესმა სიმშვიდემ მოიცვა. იგი გრძნობდა ბედისადმი იმ მორჩილებას, რომელსაც ხშირად აღიღებდა მუსა.

იეჰუდამ თვალეები დახუჭა და კიდევ ცოტა ხანს იწვა სრულიად მშვიდად. პატიოდან ჩიტების ელურტული მოისმოდა, დარაბიდან ორი წვრილი სხივი შემოიჭრა და მის სახეზე აციმციმდა. იწვა და სიჩუმით ტკბებოდა. დღევანდლამდე იგი ყოველთვის ფიქრობდა,

რომ თავის და სხვის მაგივრად უნდა ეანგარიშა, ყველაფერი აეწონ-დაეწონა და აი, როგორც იქნა, იგი ისვენებდა და გრძნობდა, რა იყო სიმშვიდე, გრძნობდა მთელი თავისი არსებით და ამით ნეტარებას ეძლეოდა.

იგი აღგა, იბანავა და ჩაცმა დაიწყო, დინჯად, გულმოდგინედ. ჩუმად შემოიარა სახლი და ბაღი. კედლებზე ებრაული და არაბული წარწერები დინახა. შენიშნა, რომ მებუზუნას შუშა ვილაცას ჩაემტვრია, რაბი ხანანას ცისტერნა ამოვესოთ. ერთი წუთით მასში საშინელმა, ბრაზიანმა ექვმა იფეთქა. მაგრამ მაშინვე თავი გაიქნია, გაკიცხა თავის თავი და მისი უკმაყოფილება ბრძნულ სიხარულში გადაიზარდა, რომ ეს უკანასკნელი დღეები რაკელი მას ეკუთვნის და არა იმას, სხვას.

იგი გუბურის ნაპირზე ნახევრად მიწოლილიყო, ისევე როგორც მაშინ, შადრევნის კიბეებზე. სიამოვნებდა, რომ მომავალზე ფიქრი და გადაწყვეტილების მიღება აღარ სჭირდებოდა. წონიდა განცდილსა და გადატანილს და მოგონებისას ყველაფერი, სიხარულიცა და მწუხარებაც კარგი ეჩვენებოდა. მან რაბი ტობიას ღვთისმომშიში, ფანატიკური, ზიზლით სავსე გამოხედვა გაიხსენა და არც გაბრაზებულა და არც სირცხვილი უგრძვნია.

თავის ვაჟზე — ალაზარზეც ფიქრობდა. აქამდე მთელი ნებისყოფით უკრძალავდა თავის თავს შვილის მოგონებას. მისი სახის ერთი კუნთიც არ შერხებულა, როცა გაიგო მეფის საჭურველმტვირთველი ალარკოსთან ბრძოლაში მოკლესო, მას არ გამოუკითხავს ამბავი, მისთვის ვაჟიშვილი დიდიხანია მოკვდა. ახლა გუბურის ნაპირას მჯდომი შვილზე მწუხარებით ფიქრობდა და არა სიძულვილით.

მსახურმა ქალიშვილთან იხმო. საუზმის დროს სასიამოვნო, დინჯ საუბარში გაერთნენ. არც ერთი სიტყვით არ უხსენებიათ საფრთხე. აქ, გალიანაში, ვერ აღწევდა ძრწოლა, რასაც ტოლედო შეეპყრო. აქ მშვიდობა და სიწყნარე გამეფებულიყო. სახლში და ბაღში წესრიგი სუფევდა. მათთვის ნაირნაირი საკმელი იყო გამზადებული და მღუმარე მსახურნი მხოლოდ ბრძანებებს ელოდნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს აქ რამდენიმე კვირა გაეტარებინოთ ერთად. ან ბაღში დასეირნობდნენ, ან პალატების სივრცლით ტყებობდნენ. ერთმანეთთან შეხვედრას ესწრაფოდნენ და ისევე შორდებოდნენ.

კიდევ ჰქონდათ სამი დღის სიცოცხლე, მაგრამ მათ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. ისინი ხედავდნენ, მზის საათი როგორ ითვლიდა წუთებს, როგორ შორდებოდა ჩრდილი ისარს და გულის სიღრმეში იეპუდამ იცოდა: ითვლებოდა მათი უკანასკნელი წუთე-



ბი: მაგრამ იგი არ უშვებდა, რომ ამის შეგნებას მათი ბრძნული სიმშვიდე დაერღვია.

თავის მხრივ რაკელიც გამუდმებით ფიქრობდა მამასთან საუბარზე და იცოდა, რა საფრთხეც ელოდათ, მაგრამ არ უნდოდა ამის დაჭერება. ალფონსომ უთხრა: მელოდეო. ალფონსო მოვა. ყოვლად შეუძლებელია, რომ ყოვლის მსახვრალმა სიკვდილმა მას ხელი შეახოს ალფონსოს მოსვლამდე. ხშირად ადიოდა კოშკზე, საიდანაც ტოლედოდან მომავალი გზა მოჩანდა. იგი მხურვალე რწმენით ელოდა.

მეორე დღეს, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას არ მოერიდა და მათთან მოციქულად მოვიდა დონ ეფრაიმისგან გამოგზავნილი დონ ბენიამინი. იგი მხურვალედ აფიცებდა იეჰუდასა და რაკელს იუდე-რიის საიმედო კედლებისთვის შეეფარებინათ თავი. ამ უკანასკნელი ცოუნებისაგან იეჰუდა მტანჯველ სიხარულს განიცდიდა. მაგრამ რაკელმა მორჩილად და მტკიცედ თქვა: — დონ ალფონსომ აქ დარჩენა მიბრძანა. მე ვრჩები. შენ გამიგებ, ჩემო მეგობარო დონ ბენიამინ.

თუმცა რაკელის სიტყვებმა გულში ლახვარი ჩასცა ბენიამინს, მაგრამ მან გაუგო რაკელს. რაკელი მთელი სულით შეეთვისა ამ რაინდს, ელომის მეფეს, ბუნებით მებრძოლ ვაჟკაცს. მისი ბრწყინვალეობა არ დაჩრდილულა რაკელის თვალში მიუხედავად უბედურებისა, რაშიც მისმა ცოდვილმა, უქმად დახარჯულმა გმირობამ ჩააგდო ნახევარკუნძული. რაკელს ძველებურად უყვარდა ალფონსო. ისევ ისე სჭეროდა მისი, იუდერიისაგან შემოთავაზებულ თავშესაფარზე უარი თქვა იმიტომ, რომ ალფონსომ მბრძანებლურად უთხრა რამდენიმე ალერსიანი სიტყვა. კიდევ მეტიც: ბენიამინს ვერც წარმოედგინა იუდერიის მცხოვრებთა შორის დონა რაკელი, ეს უწყინარი და ამაყი რაკელი, რომელიც ახლა მის წინ იდგა. რაკელს გასაქანს არ მისცემენ შურიტა და მტრობით, არაკეთილგანწყობილი აღფრთოვანებით, ავსიტყვაობითა და ცნობისმოყვარეობით. არა, შეუძლებელია მისი წარმოდგენა ამ წვრილმან გულღვარძლიანობაში.

მან თქვა: — თავს აღარ შეგაწყენ დარწმუნებით, დონა რაკელ და შენც დონ იეჰუდა, მაგრამ ნება მომეცით ღამემდე დავრჩე თქვენთან და მერე დავბრუნდები იუდეერიაში უთქვენოდ.

იგი დარჩა. თავაზიანი და მორიდებული სტუმარი იყო. ხვდებოდა, როდის უნდოდა იეჰუდას თავის ქალიშვილთან მარტო დარჩენა, ან კიდევ, სწორედ საკირო დროს გამოჩნდებოდა. ისინი ხან სამივე ერთად ისხდნენ, ხან კი იეჰუდა ქალიშვილთან ერთად მიდიოდა

თავის პალატში, ხან ბენიამინი სეირნობდა რაკელთან ბაღში, ხრეშით მოფენილ ბილიკზე.

რაკელი დუმდა, მაგრამ მისი დუმილი ბენიამინს უფრო მრავლისმეტყველად მიაჩნდა. მან სცადა დაეხატა რაკელი. მერე ისევ უარყო ამაზე ფიქრი. ღმერთს შეეჯიბრო ასეთი სრულყოფილის შექმნაში, მეტისმეტად თავდაჯერებულობა იქნება. ვინ გაბედდა გუნებაში გაევიღო, დონა რაკელის შინაგანი ჰარმონია, მისი სხეულის, სახისა და მოძრაობის ღრმა თანხმეირება გადმოეხატა, თუნდაც იგი უადრესად დახელოვნებული ოსტატიც ყოფილიყო? მასში მელანდებოდა პლატონის მოძღვრება: „მშვენიერება სხვა იდეებზე მალლა არ დგას, მაგრამ იგი თვალებიდან გამოკრთის, ჩვენი გრძობების ყველაზე ნათელი ორგანოდან, რომელიც უფრო ნათელია, სხეულის ყველა დანარჩენი გარსიდან გამომდინარე იდეებზე“. რაკელი — სიმბოლოა, ის სიმბოლო, რომელიც ამაღლებს და აბედნიერებს ადამიანს. ყველა, ვისაც კი იგი გვერდით ჩაუვლის, უკეთესი უნდა გახდეს. ერთადერთი ეს უხეში რაინდი, მეფე არ გახდა უკეთესი და ამიტომაც მხოლოდ იგი ეჭავრებოდა დღეს ბენიამინს. გულისტკივილით გრძობდა, რომ რაკელს კიდევ ჰქონდა იმედი ადამიანად ექცია ეს არაადამიანი. და მისი ასეთი ბავშვური, შეურყენელი რწმენის გამო ბენიამინს კიდევ უფრო ძლიერად უყვარდა რაკელი.

დღისით იეპუდა და ბენიამინი გუბურის პირას ისხდნენ. ძალიან ცხელოდა, მაგრამ სიცხე აქ თითქოს უფრო ნაკლებ შემაწუხებელი იყო; ფეხები წყალში ჰქონდათ ჩაყრილი და სიგრილით სიამოვნებდნენ. ეს იყო იეპუდას სიკვდილის წინაღობა.

იეპუდამ სთხოვა ბენიამინს: — მითხარი, ჩემო ახალგაზრდა, საღვთო წერილსა და მეცნიერებებს გაცნობილო ბენიამინ, როგორ ფიქრობენ შენი მასწავლებლები და როგორ ფიქრობ შენ თვითონ, არსებობს საიქიო ცხოვრება თუ არა?

დონ ბენიამინი თვალს ადევნებდა წყლის ზედაპირზე კოლოების თამაშს, ნახა, როგორ ჩავარდა წყალში ფოთოლი, გაკურდა და დაბზრიალდა. მან პასუხი მოითქვა და უთხრა: — ჩვენი უფალი და მასწავლებელი მოსე ბენ მაიმონი გვასწავლის: უკვდავება ენიჭება ადამიანის მხოლოდ „შემმეცნებელ ნაწილს“. მხოლოდ „შენაძენი გონება“ ცოცხლობს სხეულის შემდეგ, ადამიანთა სულის მხოლოდ ეს უკეთილშობილესი ნაწილი, რომელიც სინდისიერად და წარმატებით იღვწოდა ქეშმარიტების შესაცნობად. ასე გვასწავლის მოსე ბენ მაიმონი.

კოტა ხნის შემდეგ დასძინა: — თალმუდში კი ნათქვამია: „მშვიდობისათვის ქეშმარიტების გაწირვაც კი შეიძლება“.

შესალამოვდა. ბენიამინი წასვლას აყოვნებდა. მაგრამ აი, მკრთალი ნამგალა მთვარე ნათლად გამოჩნდა, წასვლის დროა!

იეჰუდამ და რაკელმა იგი ჭიშკარამდე მიაცილეს. — მშვიდობით იყავით, — თქვა მან. მთისკენ დამრეცად მიმავალი გზის მოსახვევთან იგი შემობრუნდა. მკრთალ სინათლეზე ციალებდა წარწერა: „ალაფია—მშვიდობა მომსვლელს!“. იეჰუდა და რაკელი ჭიშკართან იდარ იყვნენ.

თანდათან უფრო ცხოველდებოდა უინი ტოლედოელი ხალხისა, რომელთაც სწყუროდათ დაესაჯა ყველა ის, ვინც დამნაშავე იყო ალარკოსთან დამარცხებაში. მხოლოდ მცირე ნაწილი არ ემხრობოდა ფანატიზმის ველურ აფეთქებას, რითაც გაუღენთილი იყო ჰაერი. როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ ებრაელს იუდეიის გარეთ, სცემდნენ, რამდენიმე კაცი მოკლეს კიდევ. დაზარალებულნი მონათლული არაბებიც. მოსახლეობის დასაცავად სასტიკ ზომებს ღებულობდნენ.

დედოფალმა დონ გუტიერე დე კასტრო იხმო.

ვეკვობო, თქვა მან შემპარავი ხმით, — შეიძლება თუ არა მოსახლეობის დაცვა, რომელსაც საფრთხე მოელის, ისევ კასტილიელ ჯარისკაცებს დაევალოთ. ისინი გამწარებულნი არიან, რადგან ძმები და შვილები დაკარგეს, და არ სურთ მათი დაცვა, ვისაც ხალხი, რა თქმა უნდა, უსამართლოდ, უბედურებაში დამნაშავედ თვლის. ამიტომ არაგონელი უფრო დაამყარებს ქალაქში წესრიგს. — გამიწიე ეს სამსახური, დონ გუტიერე! — თხოვა მან. ლეონორი მას პირდაპირ თვალეში შეჰყურებდა თავისი მწვანე თვალებით და თან ხელთათმანს ათამაშებდა. — მე ვიცი, — განაგრძობდა იგი, — ეს დავალება იოლი არ არის და მოსალოდნელია შეუძლებელიც გახდეს მრავალათასთა შორის დაიცვა ერთი ებრაელი. წარმოდგენილი მაქვს, რომ შეიძლება იყოს შემთხვევა, როცა უმჯობესი იქნება ერთის გაწირვა მრავალთა გადასარჩენად.

ბარონ დე კასტრო ჩაფიქრდა. შემდეგ მისთვის ჩვეული სიზანტით უპასუხა: — მგონი მიგიხვდი, დედოფალო, ვეცდები ყველაფერი გავაკეთო და შენი ნდობა გავამართლო. — მან მდებლად და პატივისცემით დაუკრა თავი და თითქმის ნაზად გამოართვა ხელთათმანი.

ის იყო ბარონ დე კასტრო წავიდა, რომ დედოფალს კანონიკის მოსვლა მოახსენეს. დონ როდრიგო ისევ იმ დაუოკებელი აღშფოთების გავლენის ქვეშ იყო, რამაც ერთხელ უკვე მოიყვანა დედოფალთან. ბრაზითა და გულისტკივილით რწმუნდებოდა თავის უძლე-

რებაში იმ ბნელი უგუნურების წინაშე, რომელმაც ქალაქში იფეთქა. იგი მოვიდა, ისევე შეეგონებინა დედოფლისათვის რომ ზომები მიეღო.

კანონიკი დაჟინებით მოითხოვდა, რომ დედოფალს დაეფარა უღანაშაულონი. ლეონორმა მას შეფური თავაზიანი საყვედურით უპასუხა.

— ნუთუ, დიდად პატივცემულო მამა და მეგობარო, მართლა ფიქრობ, რომ ღმერთმა კასტილიის ტახტზე დასვა ისეთი უნიკო დედოფალი, რომელსაც ასეთი მითითება სჭირდება? რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, გაკეთებულა. ქალაქის დასაცავად ალჰამიდან არც ერთი კაცი არ მომითხოვია; ასე რომ ებრაელებს შეიარაღებული ხალხი შეუძლიათ თავის დასაცავად გამოიყენონ, გარდა ამისა, გონივრული წინდახედულობის გამო, ვისაც საფრთხე მოელის, ყველას დაცვა დაევალება არაგონელებს; რადგან ვშიშობ, რომ ზოგიერთი კასტილიელი რაინდი არ ისურვებს სასწრაფოდ მიიღოს ზომები წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. კმაყოფილი ხარ, დონ როდრიგო?

კანონიკმა იცოდა, რომ ტოლედოს მოსახლეობის რისხვა პირველ რიგში დონ იეპუდას ემუქრებოდა და სიამოვნებით ჰკითხავდა მის შესახებაც. ყველაზე უფრო მას კასტილიოში უნდოდა წასვლა და არა მარტო იეპუდას მიმართ მეგობრული განწყობის გამო; მასში თანდათან იზრდებოდა სურვილი ბრძენ მუსასთან ერთად ემსჯელა იმ საშინელებაზე, რომელიც ირგვლივ ხდებოდა. მაგრამ განა მან ეპიტომია არ დაადო თავის თავს იმ კაცთმოყვარეობისათვის, რაც ეხლანდელ დროში აკრძალული იყო მისთვის და არ დადო პირობა, რომ აღარ ევლო კასტილიოში? და ისიც, რომ იგი ახლა იეპუდასთვის წუხს, იქნებ მხოლოდ მიზეზია, რომ კასტილიოში წავიდეს? სჯვისი არ ვიცი და გამოცდილი იეპუდა მაინც დაიცავს თავს. გარდა ამისა, ყოვლად წარმოუდგენელია, რომელიმე კასტილიელმა შეძლოს მოსაკლავად ხელი აღმართოს სამეფო საბჭოს წევრზე. დონ ლეონორთან ყოფნისას, რომელიც მას ქედმაღლურად, ოდნავ დამცინავი გამოხედვით უყურებდა, განსაკუთრებულად უაზროდ ეჩვენა თავისი შიში ესკრივანოს გამო. მან მადლობა უთხრა დედოფალს წინდახედულობისთვის და წავიდა.

დონ გუტიერე დე კასტრომ, რომელიც ფხიზლად და გულპოდგინედ ასრულებდა მისთვის მიცემულ დავალებას, პირველ ყოვლისა, შეამოწმა, როგორ იყო მონათლული არაბების საქმე. ისინი თავიან-

თი სამი ეკლესიის გარშემო განლაგებულ, განცალკევებულ კვირტალებში ცხოვრობდნენ. უმრავლესობას მდაბიო ხალხი შეადგენდა. საეპკო იყო, რომ ბრბოსთვის რაიმე ინტერესს წარმოადგენდა მათთან დავიდარება და მალე დაანებეს თავი. მაინც რადგან მათი კვირტალების გალავანი და კარები არ იყო საკმაოდ მაგარი, ბარონ დე კასტრომ ორი მცირე რაზმი მისცა. შემდეგ დე კასტრომ იუდერიის გალავანი და კარები შეამოწმა, ერთიც და მეორეც მტკიცე იყო. უწესო ბრბო ვერ შეაღწევდა მის კარიბჭეში. დე კასტრომ მაინც ჰკითხა პარნასს: ხომ არ მოგცე შეიარაღებული ხალხიო, დონ ეფრაიმმა თავაზიანად გადაუხადა მადლობა და უარი უთხრა.

იუდერიის გალავანს გარეთ მოთავსებული ებრაელთა კვირტალები დაცარიელებული იყო, მხოლოდ რამდენიმე მოხუცებული და ბავშვები დარჩენილიყვნენ. ბევრ დაცლილ სახლში ლტოლვილი ქრისტიანები ჩასახლებულიყვნენ. ისეთი სახლები, სადაც კი რაიმე შოიპოვებოდა, გაეძარცვათ. სინაგოგა მთლად დაემსხვრიათ. აღმემორაზე, შემადლებულ ადგილას, საიდანაც შაბათობით თორა იკითხებოდა, ვიღაც ხუმარას აღემართა თოჯინა, მოხუცი ებრაელის ფიტული; დე კასტრომ გულიანად გადაიხარხარა.

აქ მას ცოტა საზრუნავი ჰქონდა, სამაგიეროდ თავის თავზე აღებული დავალება გაცილებით ძნელად ეჩვენებოდა, როცა იგი კასტილიოს წინ იდგა.

დე კასტრო ხშირად იდგა იქ. ბევრნი იდგნენ იქ ხშირად. რადგან იუდერიაში ისინი ვერ შევიდნენ, ხოლო რაც მის გარეთ დარჩა, იმ საცოდავ, საეპკო საზიზღრობაში ხელის დასვრა არ ღირდა, ამიტომ ტოლედოს მცხოვრებლებს სულ უფრო და უფრო ძლიერ იპყრობდათ სურვილი თავიანთ წმიდა კასტილიური მრისხანება ებრაელის ზღაპრული სიმდიდრით სავსე სახლზე დაეტეხათ. სურდათ თავხედურად გამომწვევი საუცხოო კასტილიო გაენადგურებინათ და შიგ ჩასაფრებული მატყუარა და გამცემი შხამიანი ობობა თავის ჯადოქარ ქალიშვილთან ერთად, რომელმაც მეფე მოაჯადოვა, დაეპატიმრებინათ და გაესრისათ. ეს ღვთისათვის სასურველ საქმედ მიიჩნდათ. სულისა და გულის ნამდვილ დატკობად დღევანდელ ჟამთა სიავეში. ამრიგად, როცა არ უნდა გაევილო ბარონ დე კასტროს იეჰუდას სახლთან, ყოველთვის იდგა ხალხის გროვა, შურითა და ნატვრით რომ შესცქეროდნენ იბნ ეზრას კასტილიოს გალავანს.

დინჯად და მოუხერხებლად უტრიალებდა ფიქრები ბარონ დე კასტროს. ნუთუ ებრაელს ჰყოფნის თავხედობა. რომ ახლა აქ, ამ სახლში, იცხოვროს? ებრაელი, რა თქმა უნდა, მშიშარაა; მაგრამ დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე და ამპარტავანია. ადვილი მოსა-

ლოდნელია, რომ იგი ჭერ კიდევ აქ იყოს, სახლი მას, გუტიერე დე კასტროს, ეკუთვნის, ეს კასტილიო დე კასტროა. მისმა წინაპრებმა გამოსტაცეს იგი მუსლიმანებს ასი წლის წინათ. ეს სახლი ისევ მისია, გუტიერე დე კასტროსი, ასე თქვა დონა ლეონორმაც. როცა ომი გაჩაღდება,—თქვა მან,—ებრაელს კარში გაადგებენ. ომის ამაზე მეტად გაჩაღება არ შეიძლება, ბრძოლა რომ წაგებულა, ამაში, რა თქმა უნდა, ვერაგი ებრაელია დამნაშავე და აუტანელია, რომ იგი ჭერ კიდევ თავხედურად დაფარავშებს კასტილიოში. ყველა დანარჩენ ებრაელს საფრთხე მოელის ამ ერთი ავაზაკისა და არქიმოლატის გამო. ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს გუტიერე დე კასტროს ეცოდება ისინი, მაგრამ მან იკისრა მათი დაცვა და დონა ლეონორმა დაეინებით უბრძანა ათასების საფრთხეში ჩაგდებას, ერთის გაწირვა ჯობიაო.

როცა სახლთან ახლოს გაივლიდა, სხვების მსგავსად ბარონ დე კასტროც ჩერდებოდა და იცდიდა. ყველა იცდიდა, მუქარით იცდიდა. არავის არ უნდოდა პირველობა, არავის უნდოდა პირველს აღემართა ხელი ყოვლისშემძლე ესკრივანოს სახლზე.

თანდათან მოუხშირა ბარონ დე კასტრომ სახლთან ახლოს სიარულს. სახლი იზიდავდა მას. ყოველთვის ერთსა და იმავე სურათს ხედავდა: ხალხი იდგა სახლის წინ, ყრუდ დრტივინავდა, იცდიდა.

ერთხელ მას ჭერ კიდევ შორიდან მოესმა ყვირილი და ღრიანცელი. ნაბიჯს აუჩქარა და რას ხედავს? თავზეხელაღებულია ხროვა აბრაახუნებდა უზარმაზარ კარებზე. რკინაზე კეტებს ურტყამდნენ და ეს მკვეთრი ხმა მკაფიოდ გაისმოდა ყვირილში. მაგრამ მეკარე არ ჩანდა. ბოლოს ვიღაცა ვიღაცის მხრებზე შედგა და გალაყანზე აცოცდა. სულ მალე, მოზეიმე ხმაურში, ზევით აღმოჩნდა, მერე კედელს მიეფარა და მაშინვე გაიღო შესასვლელი კარები, საიდანაც მოხარხარე, მოზეიმე დაუპატიჟებელი სტუმარი გამოჩნდა, და თავაზიანი მანქიობით შეიპატიჟა დანარჩენები.

დე კასტრო იღგა და ფიქრობდა. მას რამდენიმე თავისი ჯარისკაცი ახლდა, თავისუფლად შეეძლო დაეცვა კარები და შეეკავებინა ბრბო, ვიდრე დამხმარე მოვიდოდა. მაგრამ მას ხომ ნაბრძანები ჰქონდა გაეწირა ერთი სხვების დასახსნელად? იგი უყურებდა და არავითარ ზომებს არ ლებულობდა, თანდათან უამრავი ხალხი შედიოდა ვიწრო კარებში.

ბოლოს თვითონაც შეჰყვა სხვებს. მყვირალები, როგორც კი ეზოში აღმოჩნდნენ, ხმას აღარ იღებდნენ. იქაურ მკვიდრთაგან არავინ ჩანდა, არც მრავალრიცხოვან შინამსახურთაგან იყო ვინმე, არც გადამწერლები, არც სხვა მოსამსახურენი. ხალხი დარცხვენლიად

გაქცვა კედელს და მეორე კარებში შევიდა, რომლითაც შიგნითა პალატებში შეიძლებოდა შესვლა. ისინი გაოგნებულები შეჩერდნენ. გაოცებული შეჰყურებდნენ უხმო მშვენიერებას და სულელურად იღიმებოდნენ. ახლა სხვაგან შევიდნენ, შემთხვევით წააქციეს ლარნაკი, მერე მეორე, ორივე დაიმსხვრა. ვიღაცამ ნიშიდან ძვირფასი სირჩა გადმოიღო და იატაკზე დაანარცხა, მაგრამ რბილ ხალიჩაზე არ გატყდა. გაბოროტებულმა კაცმა ხალიჩა ააძრო, ქვის იატაკი დინახა და ზედ დაახალა სირჩა, შუშა წკრიალით დაიმსხვრა.

შეშინებული მუსლიმანი მსახური გამოჩნდა: მას რალაცის თქმა სურდა, ხროვის დაწყნარება, დამშვიდება უნდოდა, იქნებ უნდოდა ეთქვა, რომ სახლის პატრონი შინ არ არისო, მისი ხმა ვერ გაიგეს საერთო გნიასში, არ უნდოდათ მოსმენა, სახეში გაართყეს, ხელი ჰკრეს — ჯერ მორიდებულად, მერე გულმოსულად. და თვალისდახამხამებაში იგი უკვე იატაკზე ეგდო სისხლში ამოსვრილი და სულშეხუთული. ბრბო ზეიმობდა. იგი მძვინვარებდა. ნაკუწ-ნაკუწად აქცევდნენ, ამტვრევდნენ, ლეწავდნენ ყველაფერს, რისი დამსხვრევა და დამტვრევეაც შეიძლებოდა.

ღე კასტრო თითქოს გაშტერდა. ეს მისი სახლია. ომი მძვინვარებს და დონა ლეონორმა უთხრა, რომ ეს მისი სახლია. აქ მოკალათებული ებრაელი, როგორც ჩანს, აღარ არის, ან იქნებ სადმე წყნარ იდგილსაა შეფარებული. მერე ვნახოთ! ბოლოს და ბოლოს ეს მისი, ბარონ ღე კასტროს, სახლია. ძალიან მდიდრული სახლი, ეს შებილწული, წარმართული სახლი. როგორ გათავხედებულა ებრაელი! როგორ გაუფუჭებია მისი კარგი, რაინდული, ქრისტიანული კოსტილი!

ბარონ ღე კასტრომ დინჯად, მძიმე ნაბიჯებით, იარალის ქლარუნით გაიარა მთელი დარბაზი. პატარა შემადლებულზე ავიდა, გაჩერდა ბალუსტრადის ღია კარებში, რომელიც შემადლებულს დარბაზის დანარჩენი ნაწილიდან ჰყოფდა. მხარბეჭიანი და ჯმუხი იდგა იგი იქ თავის ტრადიციულ პოზაში: განზე ფეხებგადგმული, ორივე ხელით ხმალზე მაგრად დაბჯენილი, ღრმად ჩაცვივნილი თვალებით სიამოვნებით უყურებდა ადამიანებს, რომლებიც მის სახლს ასუფთავებდნენ იმ სისაძაგლისაგან, რითაც ებრაელმა გასვარა იგი.

ამასობაში გალავანში ხალხის ახალ-ახალი ხროვა შედიოდა. ახლა კარები ფართოდ იყო გაღებული. დიდი, წყნარი სახლი მისი დარბაზები და მომცრო პალატები, მისი ეზოები და საძინებელი ოთახები უცებ გაივსო მორღიალე, გამხეცებული ხალხით. ზოგიერთები ჩიბეში იყრიდნენ, რაც ძვირფასად ეჩვენებოდათ, მაგრამ უმრავლესობას ამისთვის არ სცხელოდა: მათ ნგრევისა და მტვრევის სურვილი

ცოფებდა. ისინი ეძებდნენ ებრაელს, მაგრამ იგი არ ჩანდა, მში-  
შარა გაიპარა. მხოლოდ ორი შეშინებული მსახური ნახეს, რომლებ-  
ზედაც შეიძლებოდა ჯავრის ამოყრა. სამაგიეროდ სახლში დარჩა ებ-  
რაელის ავლადილება. ძვირფასი, ღვთისგან წყეული განძეულობა,  
რისთვისაც ებრაელმა გაძარცვა და გაყიდა ქვეყანა. თავიანთა  
მძვინვარება ამ ნივთებზე გადაიტანეს. კუწავდნენ, ამსხვრევდნენ,  
ამტვრევდნენ, ურტყამდნენ გააფთრებით, გაშმაგებით, თავდავიწყე-  
ბით, ზეიმით.

მათი სიშმაგე ბარონ დე კასტროსაც გადაედო. მასშიც ყველა-  
ფერი ბობოქრობდა: „ქვა ქვაზე არ უნდა დაეტოვოთ, გავანადგუ-  
როთ ყველაფერი! ნაცარტუტად ვაქციოთ ყოველივე, ეს ფაქიზი, ღი-  
ლებული, ებრაული, ქალური, წარმართული!“ ხმლის ვადით დაიწყო  
შომხიბლავი ნაზი ნივთების მტვრევა და ყვირილით „A lor! A lor!“  
კედელზე გამოყვანილ გამონათქვამებს მივარდა და ქრელი, სათუთი  
შორენკეცები დაამსხვრია.

მასთან დინჯად მივიდა მღვდელმსახურის ტანისამოსში შემოსა-  
ლი გამხდარი კაცი, ნიდაყვზე შეახო ხელი; ეს დონ როდრიგო იყო.

საერთოდ კანონიკს ერჩია სხვა გზით მოეელო, ოღონდ კასტილი-  
ოსთან არ გაველო: მას ცოუნების ეშინოდა. მაგრამ დღეს ყვირილი,  
შხეცური ღრიანცელი მოესმა და შიშმა მოიყვანა აქ. ფართოდ გაღე-  
ბული კარები დაინახა, დაინახა, როგორი გააფთრებული ყვირილით  
შეცვივდა შინ ბრბო. ისიც მათ შეჰყვა. ხალხმა გზა მისცა მღვდელ-  
მსახურს და ახლა მან ხელი სტაცა კარგად შეიარაღებულ კაცს, რო-  
მელიც თუმცა ნამდვილად რაინდი იყო, მაგრამ მონაწილეობას ღე-  
ბულობდა რბევაში.

როცა რაინდი შემობრუნდა და კანონიკმა მისი ბრაზიანი, გაბე-  
ლებული სახე დაინახა, უთხრა: — მე დონ როდრიგო ვარ, სამეფო  
საბჭოს წევრი. — ბარონ დე კასტრომ გამომწვევად გაიცინა. — მე  
კი, ღირსეულო მამო, დონ გუტიერე დე კასტრო ვარ, იმ გვარის  
უფროსი, ვისი სახელიც ეწოდება ამ სახლს. — დონ როდრიგოს გაახ-  
სენდა დედოფლის მიერ მიღებული თავდაცვითი ზომები. ბუნდო-  
ვანმა ექვემა გაიღვიძა მის სულში. — შენ აძლევ მათ რბევისა და  
მსხვრევის უფლებას? — ჰკითხა მან. — ნუთუ, კეთილი კასტილი-  
ელები უნდა ეცერემონიონ, როცა მოლაღატეს ეძებენ? — კითხვით-  
ვე უპასუხა დე კასტრომ. — ქრისტიანული რაინდობის საუკეთესო  
ნაწილი დაიღუპა, რა საჭიროა ებრაელის რაღაც ხალიჩებზე და პერ-  
გამენტის გრაგნილებზე დარდი! — როდრიგომ ჰკითხა: — განა შენ  
არა გაქვს ნაბრძანები, დაიცვა ხალხი, ვისაც საფრთხე ელის? —  
გუტიერემ მშვიდად შეხედა სახეში კანონიკს. — დიას, — უპასუხა



მან, — და მე წმიდა სინდისით შემძლია ხელთათმანი დავუბრუნო დედოფალს. ზუსტად შევასრულე მისი ბრძანება: ხალხს საშუალება მივეცი, ჯავრი ეყარათ ერთზე, დამნაშავეზე და ვიხსენი უამრავი, რომლებსაც უდანაშაულოდ სდებენ ბრალს. — როდრიგო შეძრწუნებული იყო, საკუთარ ყურებს არ უჭერებდა: — შენ ამბობ, რომ ასეთი დაელება მიიღე? — ასე მიბრძანა დედოფალმა. — უპასუხა გუტიერე დე კასტრომ.

— რა დემართა დონ იეჰუდას? ესკრივანოს ხომ არაფერი შეეშთხვა? — იკითხა უეცარი შიშით შეპყრობილმა როდრიგომ.

ბარონ დე კასტრომ ზიზლით აიჩეჩა მხრები. — ყოველ შემთხვევაში, აქ არაა, — უპასუხა მან. — წინადაცვეთილი ძაღლი, ეტყობა, გაიქცა. — როდრიგოს გულზე მოეშვა. როგორც ფიქრობდა, ისეც მოხდა, დონ იეჰუდამ თავი შეაფარა საიმედო ადგილს.

მან ძალა მოიკრიბა. — შენ ჯვაროსანი ხარ, — უთხრა მან. — ეკლესიის სახელით გიბრძანებ, ბოლო მოუღო სამარცხვინო თარეშს, — ბარონ დე კასტრომ მიმოიხედა და ნახა, რომ დასამტკრევი არაფერი დარჩენილიყო. — მღვდელმსახურს გულმოწყალება შეშვენის, — უთხრა მან თავაზიანი დაცინვით და თავის ხალხს უბრძანა დაუპატიუებელი სტუმრები სახლიდან გაეყარათ. ბრძანება შეასრულეს.

დონ გუტიერე ზრდილობიანად დაემშვიდობა კანონიკს, ერთხელ კიდევ შეხედა ნამოქმედარს და წავიდა იმედიანი სიხარულით აღვსილი, რომ ამ წარმართული სიმდიდრის ადგილს ისევ აქცევდა კასტილიო დე კასტროდ.

როდრიგო დარბეულ სახლში დარჩა. მას ესმოდა, როგორ წავიდნენ უკანასკნელნი და ყრუ ხმაურით დაიკეტა ეზოს კარები. უცებ ჩამოვარდნილმა სიჩუმემ გული შეუწუნა მას. ავადმყოფური, საშინელი სისუსტე იგრძნო და იქვე ნამსხვრევებს შორის იატაკზე დაჯდა. დიდხანს იჯდა. ადგა; ფეხებს ძლივს ითრევდა, ისე შემოიარა ნაცნობი პალატები. ყოველი მხრიდან შემოსცქეროდა მას ხვრელები. ბზარები და ნამტკრევები, დაცარიელებული სახლი შემოიარა; თვითონაც არ იცოდა, რატომ დადიოდა ასე ჩუმად. იატაკიდან იღებდა ნამსხვრევებს, ავეჯის ნამტკრევებს, ქსოვილის ნახევებს, ატქერდებოდა მათ და თავს იქნევდა. იატაკზე დაგლეჯილი, გაკუჭყიანებული წიგნი ეგდო. აიღო, სცადა ფურცლები გაესწორებინა და ამოხეული გვერდები დაეღაგებინა. მექანიკურად წაიკითხა წარწერა — ეს იყო არისტოტელეს „ეთიკა“.

იგი ნახევრად მრგვალ დარბაზში შევიდა, სადაც ბალიშებზე.

მიწოლილი მისი მეგობარი მუსა, ხშირად ესაუბრებოდა მას. რა მოუვიდა ნეტავ მუსას? აქ იყო მაღალი საწერი მაგიდა, რომელთანაც მდგომი მუსა სიამოვნებით გადმოულაპარაკებდა ხოლმე ბრძნულ, უწყინარ, დამცინავ სიტყვებს. საწერი მაგიდა დაეჩეხათ, ვიდაცას უცდია ცულით დაეჩეხა მაგარი კეთილშობილი ხე. გამონათქვამების ბევრი ფერადი ასო გატეხილი იყო და იატაკზე ეყარა. მექანიკურად წაიკითხა სიტყვები — „ადამიანი საქონელზე უკეთესი როდია“. შენიშნა, რომ სიტყვიდან „ჰაბაჰემაჰ“ — „საქონელი“ ამოვარდნილი იყო ასოები ბანი და მანი, სამი ასო ჰაე, რაღაც საოცრებით გადარჩენილა.

როდრიგო ისევ ჩაქდა იატაკზე და თვალები დახუჭა. ეზოდან შადრევენის მონოტონური ჩუხჩუხი ისმოდა.

მოეჩვენა თუ მართლა გაისმა ბაღში ჩუმი, ქურდული ნაბიჯის ხმა? იგი არ შემცდარა. უცებ დაინახა საყვარელი, მახინჯი, ჰკვიანი, კარგად ნაცნობი, მიუხედავად ამდენი უბედურებისა, მაინც ოდნავ დამცინავი სახე და მუსას დინჯი, მონოტონური ხმა გაისმა: — რა კარგია, რომ ამდენი მყვირალა სტუმრების შემდეგ მხოლოდ შენ დარჩი, ჩემო წყნარო, ღირსეულო მეგობარო. — ბედნიერი როდრიგო მღელვარებისაგან ხმას ვერ იღებდა: მეგობრის ხელი აიღო და მოეფერა. — ძლიერ დაეგვიანე, — თქვა მან, როგორც იქნა. — ალბათ ვერც შევძლებდი შფოთისთავების დაწყნარებას. მაგრამ, შენ ცოცხალი ხარ! — თქვა მან. მუსა ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა დონ როდრიგოს ასეთი თბილი ხმა ჰქონოდა. როდრიგოს ისევ ეჭირა მუსას ხელი, ერთმანეთს უცქეროდნენ, ილიმებოდნენ, იცინოდნენ.

მერე კანონიკმა იეპუდას ამბავი იკითხა, როცა მუსამ უთხრა, გალიანაშია, ქალიშვილთანო, როდრიგომ შევებით ამოისუნთქა. — მეფის სახლში საშიშროება არ მოელის, — თქვა მან, — მაგრამ მაინც, სიფრთხილისათვის, დღესვე წავალ დონა ლეონორთან და მოვთხოვ, რომ გალიანაში საიმედო გუშაგები გაგზავნონ. ახლა კი, ჩემო მუსა, — მისთვის უჩვეულო მბრძანებლური ტონით წარმოთქვა როდრიგომ. — ჩემთან წამოხვალ, სანამ ქალაქში წესრიგი არ დამყარდება, ჩემ სახლში იცხოვრებ. — აქამდეც უნდა მოვსულიყავი შენთან, — უპასუხა მუსამ, — მაგრამ ვფიქრობდი, რომ ამისთანა დროში მოხუცი ერეტიკოსი-მუსლიმანი, უხერხული სტუმარი ვიქნებოდი. — მაპატიე, ჩემო ბრძნელო მეგობარო, — შეედავა როდრიგო, — პირველად მესმის შენგან ასეთი უგუნური სიტყვებო, წავიდეთ, — შესთავაზა მან მუსას.

მაგრამ მუსამ თხოვა ცოტა ხანს მალროვეო. — ჩემი მატინანს

და რამდენიმე წიგნის წამოღება მინდა, — აუხსნა მან. და ეშმაკური ღიმილით უთხრა მეგობარს. რომ მან ორი ყველაზე ძვირფასი ხელნაწერი — ავიცენას „ცხოვრების აღწერა“ და პლატონის „რესპუბლიკის“ ათინური ხელნაწერი იუდერიაში გაგზავნა. შემდეგ სარდაფში შევარდა და მხიარული ღიმილით სახეგაბადრული დაბრუნდა. იღლიაში თავის ისტორიული ქრონიკის ხელნაწერი ჰქონდა ამოხრილი.

ისინი, ვინც კასტილიო უდაბნოდ აქციეს, არ იშლებოდნენ. იმედი გაუტრუვედათ, რომ ვერ მოსპეს მოლაღატე და ჯადოქარი. იუდერიისაკენ გაემართნენ და მოითხოვეს იეჰუდა და რაკელი ჩაგვაბარეთო, მაგრამ ხალხმა, რომელთაც დაეჭერებოდა, უთხრეს, რომ არც ერთი არ იმყოფებოდა იუდერიაშიო.

უფრო მეტად ბრაზობდნენ, რომ მამა და შვილი ხელიდან გაუსხლტათ. ვიღრე ისინი სუნთქავენ, კასტილიის ჰაერი იწამლება და უბედურება არ აგვცდებოა. ყველა ნამდვილი ქრისტიანისა და კასტილიელის ვალია მათი საიქიოს გასტუმრება. ღმერთმა უკვე ორივეს ამცნო მათი სასჯელი. განა ვაჟიშვილი, რომელიც ებრაელის ქალმა გაუჩინა მეფეს, ჩვენ ხელმწიფეს, საიდუმლოდ არ გაქრა? — ამის შესახებ გალიანას მებაღე ბელარდოს გადმოცემით იცოდნენ. ცხადია, ღმერთმა მომაკვლინებელი ცოდვის გამო დასაჯა და მიიბარა მისი სულიო. გარდა ამისა, ამბობენ, თითქოს ებრაელის ქალმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ თავის ქალა დაიჭირა ანკესით ტახოშიო.

ვილაცას გაახსენდა, რომ იგივე მებაღე ბელარდო ჰყვებოდა, თითქოს ჯადოქარი ძველებურად ცხოვრობს გალიანაში, ვითომც აქ არაფერიაო; მეტიც, მამაც თავისთან მიიყვანაო. ბევრს არ უნდოდა დაეჭვებინა ასეთი სატანური თავხედობა. რა მოხდება, რომ წავიდეთ და ვნახოთ, წინადადება წამოაყენა ერთმა. ეს ძალიან მიმზიდველიც იყო და საშინელიც. ბრბო ყოყმანობდა. კასტილიო ებრაელს ეკუთვნოდა, გალიანა კი მეფეს. კაცმა რომ თქვას, გალიანაში წასვლა შეიძლება, ამბობდა ზოგიერთი, იქ კი ვნახოთ, რა იქნება. წინადადება მოეწონათ.

მოწინავენი უკვე ხილთან ჩადიოდნენ. ისინი არ ჩქარობდნენ, მათ თანდათან ემატებოდნენ, უკვე რამდენიმე ასეული გახდნენ, იქნებ ათასიც.

სიცხისაგან გაოფლიანებულებმა ნელა გადაიარეს მთავარი მოედანი, სოკოდოვერი. ეკითხებოდნენ, საით მიდიხართო, ისინი პასუხობდნენ, იცინოდნენ, ოხუნჯობდნენ. ქალაქის მთავარ კარებთან

გუშაგებმა ჰკითხეს: — სად მიდიხართ? — მათ უპასუხეს: — მივდივართ ვნახოთ სად არიან, თვითონაც იცით ვინ. — გუშაგებმა ც. გაიციინეს: დიდი ხილის კოშკებიდან ჯარისკაცებმა ჰკითხეს, საით მიდიოდნენ, როცა მათ აუხსნეს, იმათაც გაიციინეს.

ამრიგად, ათასამდე აღამიანის გროვა პაპანაქება სიცხეში მთიდან ჩამოვიდა. მათ თანდათან მეტი და მეტი ხალხი ემატებოდათ. ახლაც კი მათი რიცხვი, ალბათ, ორი ათასამდე აღწევდა.

გუტიერე დე კასტრომ გაიგო, რაც ხდებოდა. რამდენიმე კაცთან ერთად ცხენით დაედევნა ბრბოს და გაუსწრო, მერე ისევ ჩამორჩა, მერე ისევ გაუსწრო და ისევ ჩამორჩა. ბუნდოვანი აზრები ფათურობდა მის ტვინში. „მე უნდა დავიცვა სამეფო ქონება, — ფიქრობდა იგი, — მაგრამ თუ ღვთის სასჯელი აღსასრულდება, ქრისტიანმა რაინდმა ხელი არ უნდა შეუშალოს ამ საქმეს“. გარდა ამისა: „ვიმოქმედებ ისე, როგორც ნაბრძანები მაქვს. არ დავიცავ მოლალატეს და ჯადოქარს, რომელთა გამო საფრთხეშია ასიათასობით ტოლედოელი ებრაელი, მაგრამ მეფის ქონებას დავიცავ, — გადაწყვიტა მან, — ეს ჩემი ვალია“.

ღონ ბენიამინის წასვლის შემდეგ იეჰუდა და რაკელი განაგრძობდნენ საზეიმო მზიარულ ცხოვრებას. გულმოდგინედ იცმევდნენ, დიდხანს უსხდნენ მაგიდას, მზის ჩასვლის შემდეგ ბაღში სეირნობდნენ, დინჯად საუბრობდნენ.

შიშისაგან სახეშეცვლილმა ვადია საადმა მოიტანა ამბავი, რომ ურჯულოები მოდიანო, — დე, ალაჰმა დასაჯოს ისინი, — რა ექნათ ახლაც? იეჰუდამ თქვა: — გავჩუმდეთ და ბედს დავემორჩილოთ.

ისინი შიდა დარბაზებში შევიდნენ, რაკელის პატარა ოთახში, სადაც შემადლებული ადგილი იყო, როგორც დიდგვაროვანი ქალბატონის სამყოფელს შეეფერებოდა. იეჰუდამ თავისი სამკერდე ფირი ჩამოიკიდა — თავისი თანამდებობის აღსანიშნავი ნიშანი. ოთახში ბინდი იდგა. კედლებზე გაკრული ნოტიო ქეჩა ოთახს აგრილებდა. ისინი აქ ისხდნენ და ელოდნენ სახლისკენ მომავლებს.

ბრბო მიადგა თეთრ გალავანს, რომელიც მამულს ერტყა. ჰიმკრიდან მეკარემ გამოიხედა, მას ჯიბეზე სამეფო გერბი — სამი კოშკი ჰქონდა ამოქარგული. ბრბო შეუყოყმანდა, არ იცოდა, რა ექნა, ყველანი ბარონ დე კასტროს შესტკეროდნენ. იგი თავისი დიდი, მძიმე ნაბიჯებით წინ გამოვიდა და უთხრა: — ჩვენ გვინდა ვნახოთ. მხოლოდ ეს გვინდა მეტი არაფერი, არ დავაზიანებთ იმას, რაც მეფეს

ეკუთენის. თან ჩემი გუშაგები მახლავს და არავის მივცემ ნებას, რომ მისი მეფური უდიდებულესობის ქონება დააზარალოს, იმის ნებასაც არავის მივცემ, რომ ბაღში ყვავილნარი გათელოს.—მეკარე ყოყმანობდა. ამასობაში ვილაც გადაძვრა გალავანზე; მეკარისთვის არაფერი დაუშაგებიათ, ისე მოაშორეს კარს. დე კასტრო კარებში შევიდა. მას გუშაგები მიყუენენ, შემდეგ კი მთელი ბრბო.

ხალხი ფრთხილად მიდიოდა, გოაცებით უყურებდა ბაღს, ხრე-შით მოფენილ ბილიკებს, სასახლეს. და უცებ ბელარდო თითქოს მიწიდან ამოძვრაო. მას ტყავის კოლეტი, ტყავის მუზარადი ეხურა და ხელში პაპისეული ალებარდა ეჭირა. — კეთილშობილი რაინდი ინებებს დონა რაკელს ესაუბროს?—თავაზიანად ჰკითხა მან.—ჩენი ქალბატონი თავის პალატშია, შემადლებულზე. თქვენ შესახებ. კეთილშობილო რაინდო, უკვე მოახსენეს? მიბრძანებთ, რომ მოვახსენო? — არ ცხრებოდა იგი. — მიგვიყვანე მასთან, — უთხრა დე კასტრომ.

ისინი ბელარდოს შეჰყუენენ სახლში — დე კასტრო, მისი ჯარისკაცები და რამდენიმე მომხდური რაკელის ოთახში შევიდნენ. და უცებ იგრძნეს, რომ ბაღი, თვალისმომკრელად თეთრი გალავანი, მტვრიანი გზა, რომლითაც ისინი მოვიდნენ, ოფლი და ყვირილი სადღაც შორს დარჩა, — უცხოურ გემოვნებაზე მორთულ პალატში ბინდი, სიჩუმე და სიგრილე იყო. შემოსულები გამოფხიზლდნენ და კარებში აიწურნენ.

შემადლებული, რომელზედაც იეჰუდა და რაკელი ისხდნენ, სხვა პალატებიდან გამოყოფილი იყო დაბალი ბალუსტრადით, რომელსაც შუაში ფართო გასასვლელი ჰქონდა. როცა შემოვიდნენ, იეჰუდა ნელა ადგა; იგი ბალუსტრადაზე ცალი ხელით ოდნავ დაყარდნობილი იდგა და დაუპატიჟებელ სტუმრებს — როგორც დე კასტროს მოეჩვენა — გულგრილად, თითქმის დაცინვით შესცქეროდა. რაკელი არ ამდგარა, პირბადე ნახევრად უფარავდა შუბლს, იჭდა თავის სავარძელზე და მშვიდად შესცქეროდა დე კასტროს და მის მხლებლებს. ისმოდა შადრევნის შხაპუნი, შორს ქუჩიდან ბრბოს ყრუ ხმაური. გარეთ დარჩენილები განუწყვეტლივ იმეორებდნენ ერთსა და იმავეს, მაგრამ მათი სიტყვების გარკვევა შეუძლებელი იყო. დე კასტრო მიხვდა, მან იცოდა — ისინი ყვიროდნენ: „ ასე სურს ღმერთს“ და „Matad, matad! მოჰკალი ისინი!“

იეჰუდა ხედავდა ჯარისკაცების და მათი მეთაურის უხეშ სახეებს, იგი ხედავდა ეშმაკ, მშინშარა, მლიქვნელ, სულელ მეზაღე ბელარდოს და მკვლელობის იმ წყურვილსაც, რაც მას სახეზე ეწერა, იგი ხვდებოდა, რას ნიშნავდა, გარეთ რომ ყვიროდნენ, მან იცოდა, რამდენი-

მე წუთის სიციცხლე ჰქონდა დარჩენილი. შიში ახრჩობდა. მან სცა-  
და აზრით განედევნა იგი. ყველას მიადგება ყოვლის მსახერალი,  
თვით ისურვა, რომ სიკვდილი მასთან აქ და ახლა მოსულიყო. მან  
ცხოვრებასთან რამდენიმე დღის წინ გაასწორა ანგარიში. ბევრი რამ  
ფუჭი იყო, რაც მან ვააკეთა, ზოგი რამ კარგი მხოლოდ იმიტომ ჩაი-  
დინა, რომ სურდა სხვებზე მეტი ყოფილიყო, მაგრამ მას ამის ნება  
ჰქონდა. იგი სხვებზე მაღლა იდგა. იეჭუდა ხედავდა კედლებზე წარ-  
წერებს, ისინი ხოტბას ასხამდნენ მშვიდობას. იგი წლების მანძილზე  
ნახევარკუნძულის მშვიდობას და აყვავებას ემსახურებოდა. და მისი  
სიკვდილიც კი მრავალთა ხსნა იქნება. საცოდავი მკვლელები მალე  
ინანებენ თავიანთ ნამოქმედარს; ისინი ვერ გაბედდებიან სხვების და-  
ლუპვას. იგი ფრანკი ლტოლვილების სანაცვლოდ მოკვდება. გამყი-  
ნავმა შიშმა ისევ ჩაახშო მასში ფიქრები. მაგრამ მისი სახე უცვლელი  
იყო — დინჯი, ოდნავ დამცინიანი ნიღაბი.

დონა რაკელის სახეც არ გამოხატავდა მღელვარებას. მას ალფონ-  
სომ უბრძანა გალიანაში დარჩენილიყო, აქ ალფონსოა მბრძანებელი,  
რა შეუძლია მას უქნას ამ უცხო კაცმა? იგი თავის თავს უბრძანებ-  
და, არ შეშინებოდა, ყოფილიყო ალფონსოს ღირსეული; ალფონსოს  
სურდა, რომ ქალი, რომელიც მას უყვარდა, უშიშარი ყოფილიყო.  
იგი დაპირდა რაკელს მოსვლას. რაკელი არ იძვროდა. მაგრამ სხეუ-  
ლი გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს და შიშით გული ეკუმ-  
შებოდა.

შემოსულები ისევ კედელთან იწურებოდნენ და არ იცოდნენ, რა  
ექნათ. ნახევარი წუთი — მთელი საუკუნე — პირი არავის გაუღია.

და უცებ ბელარდომ წამოიყრანტალა: — კეთილშობილმა რაინ-  
დმა არ ისურვა მომეხსენებინა მის შესახებ, ქალბატონო. — ახლა  
კი დე კასტრომ ამოიღო ხმა. — რატომ არ დგები ებრაელის ქალო,  
როცა შენს წინ რაინდი დგას? — თქვა მან თავისი მკვეთრი წრიპინა  
ხმით. — რაკელმა არ უპასუხა. დე კასტროს უცებ ეპკვი შეეპარა. —  
ან, იქნებ, შენ ქრისტიანი ხარ? — ჰკითხა მან. — თუ ასეა მას უფლება  
არ ჰქონდა აქ შემოჭრილიყო, მაგრამ ბელარდომ იგი დაამშვიდა. —  
ჩვენი ქალბატონი, დონა რაკელი, ქრისტიანი არ არის, — თქვა მან.

დე კასტრო გაწითლდა. იგი ბრაზობდა, რომ რაკელის დიდებულ  
ქალბატონად თავდაპირველად ანკესზე წამოაგო. რაკელმა შენიშნა, დე  
კასტრო გააფთრდა და უცებ მოეჩვენა, რომ მის წინ განარჩხებული  
ალფონსო იდგა, — კი, ეს ალფონსოს სახე იყო, საშინელი ბრაზი-  
საგან დამახინჯებული. მაგრამ ეს ჩვენება მაშინვე გაიფანტა და რა-  
კელმა დაინახა ის ალფონსო, რომელიც ხარს ებრძოდა, მისი გასხი-  
ვოსნებული, მშვენიერი სახე. არა, იგი არ შეარცხვენს ალფონსოს

თავის უკანასკნელ წუთებში. როცა ალფონსოს უამბობენ, როგორ დაესხა რაკელს თავს ეს გაშმაგებული ავაზაკი, ისინი იძულებული იქნებიან, ესეც უთხრან: მაგრამ რაკელს არ შეშინებია.

რაკელი ნელა ადგა, რალაც ბავშვური და ამავე დროს დიადი მოძრაობით.

მაგრამ იგი ადგა არა ამ გაშმაგებული რაინდის წინაშე, არამედ სიკვდილის წინაშე.

აი, დგახარ შენ, დონა რაკელ იბნ ეზრა მშვენიერი — ფერმოზა. ეშმაკის მოციქული, ალფონსო კასტილიელის ხასა: დავითის მოდგმა და იმანუელის დედა. შენ მომხიბლავ სახეს წინანდელზე უფრო მეტად აზის სიბრძნის ბექელი და თუ მასზე შიშისაგან ფერი გაკრთა, ეს მაინც არ ჩანს შენი შავგვრემანობის გამო. შენი ჩვეულებრივზე უფრო გაფართოებული მონაცრისფრო-ციისფერი თვალეები შორს იტყირებიან, ვინ იცის, იქნებ საშინელ სიცარიელეს ხედავენ ისინი, ან იქნებ, ნათელ ამალღებულ, სასურველ მომავალს.

დე კასტრო დაძაბულად ფიქრობდა. ყველაფერი სულ სხვაგვარად აღმოჩნდა, ვიდრე მას წარმოედგინა. ეს სახლი მეფისა იყო, ქალიც, მართალია ებრაელია, მაგრამ მეფის ხასა იყო და მას ბასტიარდი გაუჩინა.

მაგრამ, ამ დროს იეჰუდამ ხმა ამოიღო, მან ლათინურ ენაზე დინჯად იკითხა: — ვინა ხარ შენ და რა გინდა?

დე კასტრო უყურებდა ებრაელს, იმას, ვინც მას სახლი წაართვა და თვითონ ჩასახლდა შიგ, მას, ვინც მისი ძმის სიკვდილში იყო დამნაშავე, ვინც მკერდზე ატარებდა ფირს, რომელზედაც კასტილიის გერბი იყო გამოსახული და ვინც ახლა ბედავს მასთან თავაზიანად, ქედმაღლურად და ლათინურ ენაზე ლაპარაკს, როგორც რაინდი რაინდთან. მან ამაყად ასწია თავი და უპასუხა, თან არაგონულსა და კასტილიურ კილოს ურევდა ერთმანეთში. — მე გუტიერე დე კასტრო ვარ და ამით ყველაფერი ნათქვამია, ებრაელო.—იეჰუდამ შეხედა მას ოდნავ შესამჩნევი დამკინავი ღიმილით, როგორც შეხედავდა ხოლმე თავის დიდებისა და ბრწყინვალების ქამს და თავაზიანად უთხრა: — სწორედ ასეთი მყავდი წარმოდგენილი.

შემდეგ ბარონ დე კასტროს ზურგი შეაქცია და მაშინვე დაავიწყდა იგი. იეჰუდა თავის ქალიშვილს უყურებდა, ტკბებოდა მისი ცქერით, ფიქრობდა შვილიშვილზე, პატარა იმანუელზე. ალაზარი დაჰკარგა მან, რამდენიმე წუთიც და თავის საყვარელ ქალიშვილსაც დაჰკარგავს, კიდევ რამდენიმე წუთი და — ისიც მოკვდება. მაგრამ ბიჭი, იმანუელი იბნ ეზრა ცოცხალია და მტრებისათვის მიუწვდომელი.

რაკელიც შვილზე ფიქრობდა. მან ვერ შესძლო დონ ალფონსოს გარდაქმნა, მაგრამ ის რაც კარგი იყო მასში, განაგრძობდა სიცოცხლეს. ისევ ბუნდოვნად, სიტყვების გარეშე ამოტივტივდა მის თვალწინ მესიას წარმოდგენა, რომელიც დამარცხებებს მხეცს, ხარს და მშვიდობას მოუტანს ქვეყანას. მან მამის გამოხედვა დაიჭირა, ასეთივე მზერით უბასუხა მას და უთხრა: — კარგად მოიქეცი, მამა, რომ იმანუელი გადაარჩინე. ჩვენი იმანუელი იცოცხლებს. სულითა და გულით მადლობელი ვარ შენი.—სინაზე, კმაყოფილება და სიამაყე მოზღვავედა იეჰუდაში, მაგრამ მაშინვე გაქრა. მაშინვე გამყინავმა შიშმა შეიპყრო. მან კიდევ შეძლო შემოეკრიბა ძალა, რომ აღმოსავლეთისაკენ შემობრუნებულყო. მერე თავი ჩაჰკიდა, წინააღმდეგობას არ უწევდა, დარტყმას ელოდა: იტანჯებოდა და იცდიდა.

დონა რაკელის ებრაული სიტყვები დე კასტრომ ვერ გაიგო, მაგრამ იგრძნო: მათ მისი არ ეშინოდათ, ისინი აბუჩად იგდებენ მას. და გააფთრებამ სძლია უკანასკნელ ექვსს.—არავის სურს ვიგინდარას მოკვლა? — დაიყვირა მან.—განა ჩვენ იმისათვის მოვედით, რომ მათთან ვიმსჯელოთ? — მან ხმალი ამოიღო ქარქაშიდან, მაგრამ მაშინვე ჩააგო უკან. — არ მინდა ჩემი ხმალი ძაღლის სისხლით გავსვარო,— თქვა მან საშინელი ზიზლით. მოიმარჯვა და სიბრტყით დაარტყა თავზე ქარქაშიანი ხმალი მისკენ ზურგშებრუნებულ იეჰუდას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში რაკელმა იცოდა, რომ მამა და ის ორივე უნდა მომკვდარიყვნენ; ეს მან იცოდა გონებით, გრძნობდა სხეულით. მისმა მდიდარმა ფანტაზიამ ასობით ზღაპრიდან მოაგროვა სიკვდილის უამრავი სურათი და ერთ მთელად გააერთიანა. მაგრამ სულის სიღრმეში არ სჯეროდა, რომ მოკვდებოდა. მაშინაც, როცა დე კასტრო მის წინ იდგა, არ სჯეროდა ეს. მხოლოდ ახლა შეიგრძნო რაკელმა მთელი თავისი არსებით, რომ ალფონსო მის დასახსნელად აღარ მოვიდოდა და, რომ კიდევ ერთი წუთი — და იგი მოკვდებოდა და უსაშინელესმა ძრწოლამ შეიპყრო. მასში სიცოცხლე ჩაქრა. მხოლოდ გარსიდა დარჩა, რაშიც შიშის მეტი აღარაფერი იყო. მან პირი გააღო, მაგრამ გაქყლებილი მკერდიდან ყვირილი არ აღმოხდენია.

ყველაფერი, რაც პალატში შემადლებულზე მოხდა, მოხდა უხმოდ, ბინდ-ბუნდად და საოცრად ყრუდ. დე კასტროს პირქუშმა თანამგზავრებმა, როცა იგი ებრაელს მიაღწა, უკან დაიხიეს და კედელს აეკვრნენ. იეჰუდა უხმოდ კვდებოდა, ისმოდა მოსულთა მიიმე სუნთქვა და შადრევნის შხაპუნი, და თეთრ გალავანთან დარჩენილი ბრბოს შორეული გუგუნი.

უცებ გაღია სააღმა საშინელი ცივი ხმით იკვილა. ამ დროს მებადე ბელარდომ მოულოდნელად ხელები ასწია და გაშმაგებულმა,



თავდავიწყებულმა, პაპისეული, ნაკურთხი ალებარდა დაარტყა რაკელს. მას მიჰყვენენ ძხვებიც. ისინი სცემდნენ, ურტყამდნენ რაკელს, გადიას, იეპუდას. სცემდნენ სუნთქვაშეკრულები, ფეხებით თელავდნენ მათ, თუმცა ისინი კარგა ხანია გაუნძრევლად იწვნენ.

— გეყოფათ! — უცებ ბრძანა ღე კასტრომ. ისინი ოთახიდან უკანმოუხედავად გამოვიდნენ. მთვრალეებივით, ბარბაციითა და სულელური სიცილით დასტოვეს სახლი. ბარონ ღე კასტროს ერთ-ერთმა ჯარისკაცმა წვალებით ჩამოხსნა კარს ზემოთ ჩამოკიდებული მეზუზა, მან არც კი იცოდა, როგორ აჯობებდა — ფეხით გაეთელა ავგაროზი, თუ თან წაეღო თავის დასაცავად. მეფის სასახლეში კიდევ რამისთვის ხელის ხლება ვერაფერს გაბედა.

გარეთ დარჩენილები პაპანაქება სიცხეში იცდიდნენ. და აი, ღე კასტრომ გამოაცხადა: — გათავებულია, მკვდრებია. კუდიანი და შოღალატე დავხოცეთ. რა თქმა უნდა, მას სიამოვნებით მოუსმინეს. მაგრამ კმაყოფილება არ გამოუხატავთ, არ ყვიროდნენ, არ ზეიმობდნენ. მათაც დამძიმებული ჰქონდათ გული. — ასე, — ბუტბუტებდნენ ისინი, — ახლა, ესე იგი, ფერმოზა მოკლულია.

როცა ისინი მზით გახურებული, მტვრიანი გზით ტოლედოში მიდიოდნენ, სიხარულიცა და ბრმა გულისწყრომაც საბოლოოდ გაქრა. ქალაქის კართან გუშაგებმა იკითხეს: — აბა, როგორაა საქმე, ნახეთ? იქ არიან? იპოვეთ? — მათ უპასუხეს: — დიახ, ვიპოვეთ, საიქიოში გავამგზავრეთ.

— კარგად მოქცეულხართ, — უთხრეს მათ გუშაგებმა.

მაგრამ მათი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, ბრმა სიშმაგე მათაც მალე გაუქარვდათ. დაფიქრებულად და პირქუშად გამოიყურებოდნენ.

ახლა უკვე აღარავინ ფიქრობდა, ეწყენინებინათ ებრაელთათვის. გულთბილად დასცინოდა ხალხი იუდეურიაში ჩაკეტილებს. — რას ჩაგიკეტიათ ყველა კარები? ჩვენნი გუშინიათ? ხომ ყველამ იცის, რა კარგად იბრძოლეს თქვენებმა აღარკოსთან. ჩვენ და თქვენ საერთო უბედურებამ დაგვაკავშირა.

## თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

რომ არ ელოდნენ, ისე დიდხანს გამაგრდა ღონ ალფონსო ციხე-სიმაგრე კალატრავაში. იგი მხარში იყო დაჭრილი. ჰრილობა ნაკლებ საშიში, მაგრამ მეტისმეტად მტკივნეული იყო და ხშირად იწვევდა

ციებ-ცხელებას. მიუხედავად ამისა, მაინც ყოველთვის ხან ცხენითა და ხან ფეხით თვითონვე შემოუვლიდა საგუშაგოებს. შეიარაღებული დაძვრებოდა კედლის ციცაბო კიბეებზე. თავდაცვის ყოველ წერილმანს თვითონ ამოწმებდა. რაინდები აფიცებდნენ, დედაქალაქისკენ გზის გაკაფვა ეცადათ. მუსლიმანები შორს, ჩრდილოეთში, შეიჭრნენ, ტოლედოსაკენ მიმავალი გზები გადაჭრილი იყო. მაგრამ, მხოლოდ უკანასკნელ წუთებში, როცა ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა, დატოვა ციხე-სიმაგრე, რათა გარნიზონის უმეტესი ნაწილით ალყა გაერღვია და ტოლედოსაკენ გაჭრილიყო.

ასეთი ღონისძიებისათვის წინდახედულება და ვაეკაცობა იყო საჭირო. უახლოეს მეგობართაგან მასთან მხოლოდ ესტებან ილანი იყო. არქიეპისკოპოსი დონ მარტინი და ბერტრან დე ბორნი დაიჭრნენ და ტოლედოში გაგზავნეს. ალფონსო არ იმჩნევდა, როგორ მტკივნეულად განიცდიდა დამარცხებას; იგი სწრაფად, საზრიანად და გაბედულად მოქმედებდა. მაგრამ ღამით, როცა ესტებანთან მართო რჩებოდა, ბობოქრობდა და თავის სასოწარკვეთილებას აშკარად ამჟღავნებდა. — ხედავ, როგორ დაანგრავს ყველაფერი? ახლა ვგრძნობ, რომ მე თვითონ მიმცეს ცეცხლსა და მახვილს. ეს ხომ ჩემი სხეულის ნაწილია, ისევე როგორც ჩემი ფეხი ან ხელი.

ალფონსომ წარმოიდგინა, რა იქნება, როცა ტოლედოში დაბრუნდება. იგი ფიქრობდა დონა ლეონორის მშვიდ, მედიდურ სახეზე. რაოდენი ზიზღი და უემპათილება იქნება დაფარული მის ნათელ შუბლში, როცა იგი ტოლედოდან ამაყად ამხედრებულნი, ახლა მის წინაშე დამწუხრებული და სირცხვილნაჭამი წარსდგება. უმწეო ბრაზით ფიქრობდა იეჰუდას ჩუმ, მოკრძალებულ დამცინავ ღმილზე; იგონებდა რაკელის მეტყველ სახეს, განა რაკელს არ დაპირდა სევილიას გაჩუქებო. სადღა სევილია? რაკელი არ კითხავს; იგი მას ნაზი მორჩილებით შეხვდება, ერთი სიტყვითაც არ უსაყვედურებს, მაგრამ კედლებიდან დამცინავი ციმციმით გადმოხედავენ რაკელის საყვარელი გამონათქვამები მშვიდობის შესახებ.

მოულოდნელად მას უაზრო ბრაზი დაეუფლა. დონ მარტინი მართალი იყო, რაკელი ნამდვილად ჯადოქარია, მან დაითანხმა ალფონსო, გადაედოთ შვილის მონათვლა, მან გადააქცია სიცრუედ ალფონსოს შინაგანი ხმა, მაგრამ ალფონსო აღარ დაემორჩილა მის გრძნეულებას, დაე, უხმოდ ელაქუცოს, იწრიალოს, ხელები იმტვრიოს — ალფონსო აიძულეხს იეჰუდას, რომ შვილი დაუბრუნოს, იგი მონათლავს ბიჭს, თუ რაკელი გალიანაში დარჩენას აღარ ისურვებს — კარები დიაა, ალაფია — მშვიდობა მომსვლელს!

იმ დროს, როცა ასე უსწორდებოდა ფიქრებში ალფონსო რაკელს,

დონ როდრიგო უკვე გზაში იყო, რომ ალფონსოსთვის უბედური ამბავი ეცნობებინა.

იეჰუდასა და დონა რაკელის დაღუპვის შემდეგ როდრიგო უცნაურად მოღუწდა. ყველაფერი განადგურებულია, რაც მას ამ სამყაროსთან აკავშირებდა. ქასტილიის სამეფო დაინგრა, საყვარელი მეგობრები მხეტურად მოკლეს და ამაში დამნაშავე თვით როდრიგოც იყო, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ვერ შესძლო და ვერ დააყენა მეფე ქეშმარიტების გზაზე. საკუთარი არარაობისა და უილაჯობის გრძნობა ტანჯავდა როდრიგოს.

გუნებაში სასტიკად კიცხავდა დონ ალფონსოს, რომლის თავქარიანობამ უბედურება დაატეხა მთელ ქვეყანას და ყველა მის ახლობელს. მისი დანახვა არ უნდოდა, არც ის, რომ მასთან რამე საქმე ჰქონოდა. მაგრამ მაინც უყვარდა ეს ბედუქულმართი. მოვალეობასა და სიბრალულს მიჰყავდა იგი დონ ალფონსოსთან საშინელი ამბის სათხრობლად. იქნებ, ასეთმა დიდმა უბედურებამ შეაგნებინოს მას, რა არის სინანული, როდრიგოს არ უნდოდა მარტო მიეტოვებინა იგი სასოწარკვეთილების წუთებში.

დონ როდრიგოს ალფონსო გამხდარი და ავადმყოფი დახვდა. მთუთმენლად გააწყვეტინა ლაპარაკი, როცა კრილობის ამბავი იკითხა, ალფონსო იღდა მის წინაშე გაბრაზებული, მოღუწული, დამცინავი და გამომწვევი. — შენ მართალი იყავი, ჩემო ბრძენო მამავ და მეგობარო, — უთხრა მან, — ჩემი არმია განადგურებულია, სამეფო დანგრეული. დიახ, მე მოვიწვიე ჩემ ქვეყანაში აპოკალიფსის ოთხი მხედარი, ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც შენ მიწინასწარმეტყველე. ამის გაგება გინდოდა? რას ვიზამ, ვაღიარებ, რომ მართალი იყავი. კმაყოფილი ხარ?

როდრიგომ თავისდა უნებურად მის წინაშე მდგომი ავადმყოფი, ნერვებაშლილი, სულეირად და ხორციელად გატანჯული კაცის მიმართ მწვავე სიბრალული იგრძნო. მაგრამ მას არა ჰქონდა უფლება სისუსტე გამოეჩინა, ვიდრე არ შეარხევს კირვეული, ღმერთის ურჩი ვასალის დონ ალფონსოს სულს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რა არის მონანიება. როდრიგომ უთხრა: — ტოლედოში ბოროტება მოხდა. შენმა ხალხმა შენ დამარცხებაში ბრალი დასდო უდანაშაულოებს და არავინ იყო, რომ ისინი დაეცვა. — და რადგან მეფე ვერაფერს მიხვდა და გაკვირებული შეჰყურებდა, როდრიგომ პირდაპირ უთხრა: — დონა რაკელი და დონ იეჰუდა მოჰკლეს.

რისი გაკეთებაც ვერ შესძლო უბედურებამ და ლალატმა, ვერც სასტიკმა დამარცხებამ, ის გააკეთა ამ ამბის შეტყობამ: დონ ალფონსომ წამოიყვირა მკახედ, საშინლად და გრძნობადაკარგული დაეცა.

მეგობრისადმი უდიდესი სიყვარულის ტალღამ წარხოცა დონ როდრიგოს ყველა სხვა მოსაზრებები, ალფონსო მას ახლა ისე უყვარდა, როგორც არასოდეს. შეშინებული კანონიკი წრიალებდა მეფესთან, კაცი გაგზავნა ექიმთან.

რამდენიმე ხანში ალფონსო გონს მოვიდა. მიმოიხედა, თავს ძალა დაატანა და თქვა: — არაფერია, ყველაფერი ამ სულელური კრილოზის ბრალია. — მეფეს დილიდანვე არაფერი ეჭამა, სწრაფად დალია ბულიონი და აჩქარებდა ექიმს, რომელიც კრილობაზე ნახვევს უცვლიდა. მერე ყველა დაითხოვა, მხოლოდ როდრიგო დაიტოვა.

— მაპატიე, მამავ და მეგობარო, — უთხრა მან როდრიგოს, — მრცხვენია, რომ სისუსტემ დამძლია. — მერე ბრაზიანად განაგარძო: — მას შემდეგ, რაც სამეფო გავანიავე, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩემთვის კიდეც ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის სიკვდილს? სულ ერთია, ორივეს ჩამოვშორდებოდი. — თქვა მან მოლუშულად. მაგრამ მაშინვე უარყო თავისი სიტყვები: — არასოდეს, არასოდეს არ დავშორდებოდი ჩემს რაკელს და სულაც არ მრცხვენია! — იგი გმინავდა, თავს კედელს ახლიდა, კბილებს აკრაკუნებდა: — რა აუტანელი წამებაა! ჩემო როდრიგო, შემიძლია შენ გითხრა: მე იგი მიყვარდა. შენ არ შეგიძლია ამის გაგება. შენ არ იცი, რა არის ეს და არც არავინ იცის. არც მე ვიცი, ვიღრე მას შევხვდებოდი. მე იგი ლეონორზე მეტად მიყვარდა, შვილებზე მეტად, უფრო მეტად ვიდრე ჩემი სამეფო, ქრისტეზე მეტად, ყველაფერზე მეტად ამ ქვეყანაზე. დაივიწყე, მოძღვარო, რასაც გეტყვი, დაივიწყე ახლავე, მაგრამ მე ეს უნდა ვთქვა: მე იგი ჩემ უკვლავ სულზე მეტად მიყვარდა.

ალფონსომ კბილები ერთმანეთს დააჭირა, რომ არ ეთქვა გააფთრებული სიტყვები, რომელიც გულიდან ამოხეთქვას აპირებდა. მერე ძირს დაეშვა ძალაგამოლეული. დონ როდრიგო გაოცდა, როგორ შესცვლოდა სახე: გამხდარი, ლოყებჩაცვენილი, დაბნეული ღიმილი, მოდუნებული კუნთები, ტუჩების მაგივრად ორი ვიწრო ზოლი. თვალები უფრო წვრილი უჩანდა და მოუსვენრად უციმციმებდა.

ბოლოს ალფონსომ სცადა შუბლი გაეხსნა. დონ როდრიგოს სთხოვა ეამბნა, რაც იცოდა. როდრიგომ ძალიან ცოტა რამ იცოდა. ბრბო, რომელიც იეპუდას ამაოდ ეძებდა კასტილიო იბნ ეზრაში, გალიანასაკენ გაემართა. დონა რაკელი ვინ მოჰკლა არავინ იცის, დონ იეპუდას საკუთარი ხელით სასიკვდილოდ დაარტყა დე კასტრომ.

— დე კასტრომ? — ენის ბორძიკით ჰკითხა მეფემ. — დე კას-

ტრომ, — უბასუხა დონ როდრიგომ. — მას ნაბრძანები ჰქონდა დაეცვა ისინი, ვისაც საფრთხე ელოდა. რადგან ხალხი გახელდა და შეიძლებოდა ბევრი დაზარალებულიყო, მას ნაბრძანები ჰქონდა — ერთის გამეტება სჯობია, ბევრის საფრთხეში ჩაგდებასო. — მეფე ხანგრძლივ, მტანჯველ ფიქრებში ჩაიძირა. — ვინ მისცა დე კასტროს ასეთი ბრძანება? — იკითხა მან ჩახლეჩილი ხმით. დონ როდრიგომ დინჯად და გარკვევით უთხრა: — დონა ლეონორმა.

ალფონსომ დაჭრილი მხეცივით დაიღრიალა. — ძაღლები და ძე-რები შემომესიენ, თითქოს ლეში ვიყო, — დაიკვნესა მან. დონ როდრიგომ საქმიანად, სინდისიერად, ოდნავ შესამჩნევი ირონიით უთხრა: — ზომების მიღება იყო საჭირო. დახოცეს ბევრი მონათლული არაბი და ებრაელიც, ვინც იუდეურიაში არ ცხოვრობდა. ამბობენ, ასამდე კაცია მკვდარიო.

— ნუ იცავ ლეონორს! — იფეთქა გამძვინვარებულმა, გონებადაკარგულმა ალფონსომ. — ნუ იცავ მას. ნუ იცავ ნურავის და ნურც შენ თავს! შენც დამნაშავე ხარ, ყველანი დამნაშავენი ხართ, იქნებ ისეთი დიდი დანაშაული არა გაქვთ, რამდენიც მე, მაგრამ მაინც დამნაშავენი ხართ. დაგსჯით, სასჯელს დაგადებთ. თქვენ გგონიათ, რაკი ბრძოლა წავაგე, უძლური ვარ? არა, ჯერ კიდევ მეფე ვარ, გავერკვევი, სასამართლოს მოვაწყობ, საშინელ ანგარიშსწორებას მოვაწყობ. — იგი უცებ გაიშრდა, კენესა დაიწყო. მოიკუნტა და ხელით ანიშნა როდრიგოს მარტო დაეტოვებინა.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ შეტევაზე გადასვლა ბრძანა. აქაც, გზის უკანასკნელ მონაკვეთზე ყველაფერს თვითონ ხელმძღვანელობდა დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით. მხოლოდ მაშინ შევიდა ტოლედოში, როცა მთელი მისი ლაშქარი უკვე ქალაქის გალავანში იყო შესული.

მთაზე გაშენებულ ციხე-კოშკში ავიდა. მსახურები, მოახლენი მიცვიდნენ, მისმა გამომეტყველებამ შეაშინა ისინი. ეკითხებოდნენ, ხომ არ ინებებდა ტანისამოსის გამოცვლას, დაბანას ან ექიმის დაძახებას. ყველანი თავიდან მოიშორა, მკაცრი ბრძანება გასცა, არავინ შეეშვათ მასთან, დედოფალიც კი.

სამგზავრო საწოლზე უხერხულად ჩამოჯდა საჭურველის გაუხდელად ოფლიანი, ჭუჭყიანი, ავადმყოფი, სრულიად მარტო. დაღვრემილი ფიქრობდა. ვერ გაეგო, როგორ მოხდა ყველაფერი. მიუხედავად თავისი ეშმაკობისა, როგორ აღმოჩნდა იეჰუდა გალიანაში, კაცი, რომელიც შორიდანვე გრძნობდა საფრთხეს? და რატომ არ

შეათარეს თავი იუდეიის მტკიცე ვალავანს? რაკი ისინი ასე ფანატრიკურად იცავდნენ თავიანთ იუდეველობას?

ღიახ, მოკვდნენ, დახოცეს. მათი მკვლელები ლეონორი და ჯეკასტრო იყვნენ. ლეონორი თავის ენით და ღეკასტრო თავისი ხელით. ალფონსო კი არც გამომშვიდობებია რაკელს; წავიდა, როგორც უცხო, დაბრმავებული და გაბრაზებული. ლეონორმა მოჰკლა იგი და მისი ვაჟიც, მისი სანჩოც მოჰპარა, ახლა ხომ ველარასოდეს გაიგებს, რა დაემართა ბავშვს.

ბრმა მრისხანებამ შეიპყრო იგი. ლეონორმა შეიჯავრა ალფონსო იმ წუთიდანვე, როგორც კი ღმერთმა მას რაკელი მისცა. ლეონორმა შეგაგულიანა იგი საომრად, რომ თავისუფლად ემოქმედა, რაკელი მოეკლა. ყველა აფრთხილებდა ალფონსოს, რომ ბრძოლა არ გაემართა გაშლილ ველზე, ლეონორი კი, საერთოდ ძალიან ფრთხილი, დუმდა. იცოდა, რომ მას დაამარცხებდნენ და არ შეაჩერა, მხოლოდ იმის გამო, რომ მოქიშპე დაელუბა. რაკელი კი არა, ლეონორია აღქაჯი. იგი ნამდვილი დედამისის შვილია, იმ დიდების შვილიშვილი, რომელიც ეშმაკმა ეკლესიიდან პირდაპირ ჯოჯოხეთში წაათრია.

მას უხაროდა თავისი მრისხანება, უხაროდა, რომ ჰკრილობა სტკიოდა. მან დერეფნები სირბილით შემოიარა. ლეონორის სამყოფელისკენ გაემართა, ისევე როგორც იყო, მტერიანი აბჯრით, დაუბანელი და ჰკრილობაზე ნახვევგამოუცვლელი. დამფრთხალი. სეფექალები აირიდა და ლეონორის ოთახში შევიარდა.

ლეონორი შემადლებულზე იჯდა დაბანილი და კობტად ჩაცმული, ნამდვილი დიდგვაროვანი ბანოვანი. იგი ადგა, ღიმილით გადმოდგა ალფონსოსაკენ რამდენიმე ნაბიჯი, არც ძალიან სწრაფად და არც ძალიან ნელა. ალფონსომ ხელი ასწია, რომ შეეჩერებინა, მისალმებაც არ აცალა, ჩუმად და მძვინვარედ უთხრა: — მეც აქ ვარ. ჩემი გარეგნობით ვერ მოგხიბლავ. არც ძალიან სასიამოვნო სუნი მდის. ომის, გაჰირვების და დამარცხების სუნით ვყარვარ. ვერაფრით ვაჰმაყოფილებ კურტუაზიულ კანონებს, მაგრამ შენც, რამდენადაც ვიცო, არ იქცეოდი კურტუაზიული წესების მიხედვით, ღონა ლეონორ, ჩემო დედოფალო, ჩემო საყვარელო. — და უცებ გიყურო მძვინვარებით დაიყვირა. — შენ დამინგრეე ცხოვრება, შენ, წყულო! შენ ვერ გამიჩინე ვაჟიშვილი, ის კი, რომელიც გააჩინე, ავადმყოფი იყო და შენსავე მუცელში სასიკვდილოდ განწირული. იმ ჰალმა, ვინც მიყვარდა, ვაჟიშვილი გამიჩინა. შენ ის მოჰკალი. მამამისი, ჩემი ყველაზე ჰკვიანი, ყველაზე ერთგული მრჩეველი, კეთილი, გონივრული სიტყვებით მარწმუნებდა მომეცადა, ჰერ არ დამეწყო ომი, შენ კი ყოველთვის მაგულიანებდი, პირში მკიცხავდი

და შენი დაცინვით ომში მითრევედი. შემდეგ კი, საერთოდ მკვერ-  
მეტყველი, ხმას არ იღებდი, არ ეწინააღმდეგებოდი ჩემს უგუნურ  
გეგმას, ხელი არ ამაღლებინე ბრძოლაზე, რომელიც დამარცხებისა-  
თვის იყო განწირული, და ყველაფერი ეს გააკეთე იმისათვის, რომ  
მოგეკლა ჩემთვის ღვთისგან მოვლენილი, საყვარელი ქალი. შენ  
დამლუპე მე და ჩემთან ერთად კასტილიაც. ახლა დგახარ ჩემ წინა-  
შე გარეგნულად სუფთა, ალერსიანი, მეფური. შენს შიგნით კი —  
სიბნელე და სიყალბე იმალება. შენ, დედაშენივით ბრაზი გლრდნის,  
ქვეყნის დამლუპველო!

დონა ლეონორი ალფონსოს რისხვისათვის შემზადებული იყო,  
მაგრამ თუ ალფონსო ასე გაშმაგდებოდა და უაზროდ გამოვიდოდა  
მოთმინებიდან, ამას არ მოელოდა. მას შეუძლია თავისი უხელათ-  
მანო, კუჭყიანი ხელით ყელში სწვდეს და დაახრჩოს. მაგრამ სწო-  
რედ იმან, რომ იგი ასე უხეშად, ასე მძინეარედ იმუქრებოდა და  
იგინებოდა — ნამდვილი ვილანი! — სისხლი აუჩქეფა დონა ლეო-  
ნორს. ალფონსო საშიში იყო და ლეონორს სწორედ ასეთი უყვარ-  
და იგი.

დონა ლეონორი მსუბუქი ნაბიჯებით გაშორდა ალფონსოს, შე-  
მალღებულზე ავიდა, დაჭდა, რომ ალფონსოსთვის არ მოეშორებინა  
თავისი გამომცდელი, დიდი მწვანე თვალები და მშვიდად უთხრა: —  
ნება მომეცი გაგახსენო, რომ ჩვენ, მე და დედაჩემმა ბურგოსში  
შემოგთავაზეთ ხელშეკრულება, შენ სიძესთან დონ პედროსთან. ამ  
შეთანხმების თანახმად ომი არ უნდა დაგეწყო, ვიდრე არაგონის  
ჯარი არ მოვიდოდა. ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შეგვე-  
კავებინე აჩქარებულ საგმირო საქმეთაგან. დედაჩემი ჯიუტი ბავ-  
შვივით გარიგებდა, არავის წაუქეზებინარ შენივე თავის მეტს. გით-  
ხრა, ვინ არის მომხდარ ამბებში დამნაშავე? შენ გინდოდა თავი  
მოგეწონებინა ჩემთვის, შენი მეგობრებისათვის და განსაკუთრებით  
ებრაელი ქალისათვის! ამიტომ შეუთვალე ხალიფას ჩვენი შეთანხ-  
მების, საღი გონებისა და კეკუს წინააღმდეგ ისეთი თავხედური  
პასუხი. ამიტომ წახვედი უგვანოდ გაბედულ ბრძოლაში. ამი-  
ტომ გადააგდე უფსკრულში ჩვენი ქვეყანა და მთელი ქრისტიანული  
ესპანეთი!

დონ ალფონსო მის წინ, შემალღებულთან, იდგა. შეჰყურებდა  
ლეონორის თეთრ სახეს, მაღალ, ნათელ შუბლს, უყურებდა მის ქე-  
რა, ხშირ თმას და სასტიკად ეჯავრებოდა იმ ღვარძლიანი, გონივ-  
რული აზრებისათვის, რომლებიც ამ შუბლს იქით იმალებოდა. —  
ახლა მესმის, — კბილების კრაკუნით, ხმადაბლა და მწარედ თქვა  
ალფონსომ, — რატომ დაამწყვდია პენრიხმა დედაშენი და არ ათა-

ვისუფლებდა, პაპის შეგონების მიუხედავად. არ გეგონოს რომ მე ჰენრიხზე სუსტი ვარ. ვერ მოგკლავ, იმიტომ, რომ ქალი ხარ. მაგრამ დაუსჯელად ვერ გადამიჩივები, ჩემი საყვარელი ქალის მოკვლისათვის. გაგასამართლებ, დაკითხვას დაკითხვაზე მოგიწყობ. გამოვააშკარავენ შენს ეშმაკურ, გამპკრიახ ნაბრძანებს და მის მიღმა დაფარულ ავაზაკურ ზრახვებს. მთელ ქრისტიანულ სამყაროში თითოთი საჩვენებელი უნდა გახდეს, როგორც მკვლელი. შენი სისხლიანი დამქაშები დე კასტრო და დანარჩენებიც დაუსჯელად არ გადამიჩივებიან. შენ ნახავ, ჩემო საყვარელო, როგორ გავუსწორდები მათ. ისინი სოკოლოდოვერისკენ წავლენ სამარცხვინო ოთხთვალათი. შენ კი, ჩემო დედოფალო, ტრიბუნაზე იჯდები ჩემს გვერდით და დატკბები იმის ცქერით, თუ როგორ იკონწიალებენ თოკზე შენი ერთგული რაინდები, შენი ლანსელოტები.

ლეონორი უტეხად უყურებდა ქმარს. ალფონსოს შუბლზე ოფლი დაასხა. სახე მოედრიცა, მოკლე, მწითული წვერები ერთმანეთს მიჰკვროდა, ალფონსოში აღარაფერი იყო ახალგაზრდული, შუქმფინარი, ახლა უკვე ვეღარ შეადარებდით დონფრონის წმიდა გიორგის. მაგრამ კარგია, რომ, როგორც იქნა, იფეთქა იმ ბობოქარმა ენერგიამ, რაც მასში ბუდობდა; ახლა ველარავინ, ლეონორის დედაც კი ვერ იტყვის, რომ ალფონსოში ცოტაა ცეცხლი.

ლეონორმა უთხრა: — უაზროდ ისერი სიტყვებს, დონ ალფონსო, იმიტომ რომ შენი ხასა მოკვდა. გალიანაში ფეხიც არ დამიდგამს. და ვერც ერთი მოსამართლე ვერ დამადანაშაულებს, ყველა წერილმანში რომ გაერკვეს კიდევ — იმაში, რაც გავაყეთე და რაც არ გამიკეთებია.

მაგრამ მას უცებ მობეზრდა დიდებულად თავის დაქერა და ღირსეული ტონი, იგი შემადლებულიდან ჩამოვიდა, სულ ახლოს მიიჭრა ალფონსოსთან, შეისუნთქა მისი მწკლარტე სუნი და პირდაპირ უთხრა: — მაგრამ შენ გეტყვი, გეტყვი ახლა და აღარასოდეს აღარ გავიმეორებ: დიახ, ეს მე ჩავიდინე, მე მივანიჭე ჩემს თავს ეს სიამოვნება, ჩემი noche toledana. დე კასტროს გონებაში ამოვიკითხე სისხლიანი ზრახვანი, მაგრამ ხელი არ შევეშალე მას, მე იგი კასტილიოთი მოვიზიდე. და ღმერთმაც ხელი შემიწყაო. ღმერთს სურდა მათი დაღუპვა. შენმა ხასამ და მამამისმა რატომ არ შეაფარეს თავა იუდერიას სხვა ებრაელებივით? ღმერთმა დააბრმავა ისინი. პირში გეუბნები, შენ გაშმაგებულ, სისხლმოწყურებულ პირში: ჩემი გული სიხარულით აივსო, როცა იგი მოკვდა.

ალფონსომ დაიკენესა, ლეონორს ზურგი შეაქცია, ერთი ნაბიჯით გაშორდა; ახლა მის სახეზე უფრო მეტად ტანჯვა იხატებოდა, ვიდრე სიშმაგე.



ლეონორი ბოლომდე დატკბა თავისი გამარჯვების ზეიმით. მან დონ ალფონსოსადმი სიბრალული იგრძნო. ისეე მივიდა მასთან, სულ ახლოს. — ნულარ ვიჩხუბებთ, დონ ალფონსო, — უთხრა მან, მისი ხმა არაჩვეულებრივად რბილად ეღერდა. — შენ დაქრილი და გატანჯული ხარ. ნება მომეცი მოგიარო, ჩემ რენიეროს გამოგინჯავნი, იგი შენ ექიმზე მცოდნეა. ნება მომეცი კიდევ ერთი რამ გითხრა: ეს მე ჩემთვის ჩავიღინე, მაგრამ, იმავე დროს შენთვისაც. მიყვარხარ, ალფონსო, შენ ეს კარგად იცი. ამ წლების განმავლობაში შენი ციხე-სიმაგრეების გალავანზე უფრო ერთგული ვიყავი. შენი ერთგული ვიყავი მაშინაც, როცა იგი გზიდან ჩამოგაცილე. აღარ შემძლო კიდევ მეყურებინა, როგორ იბრჩობოდა ტალახში კასტილიის მეფე, ჩემი შვილების მამა. შეგიძლია შემარცხვინო მთელი ქვეყნის წინაშე, შეგიძლია მომკლა, მაგრამ ეს ასე იყო.

ალფონსომ იცოდა, — ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ თავს ძალა დაატანა არ დაეჭვებინა. მას შეეძლო გაეგო დონა ლეონორისათვის, მაგრამ მხოლოდ გონებით. მთელი მისი შინაგანი არსება ლეონორის წინააღმდეგ იყო ამხედრებული. ალფონსოს არ უნდოდა მისი სიყვარული, მკვლელის სიყვარული მისთვის საძულველი იყო.

მან ლეონორს ზურგი შეაქცია და ოთახიდან გავარდა.

ალფონსო საუბრისგან საშინლად დაღლილი იყო. ჭრილობაც აღრინდელზე უფრო სტკიოდა. მან ნება დართო დაეხანათ. ჭრილობა შეეხვიათ და ლოგინში ჩაეწვინათ. დიდხანს, ღრმად და სიზმრის გარეშე ეძინა.

შემდეგ გალიანაში წავიდა.

ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული გზებით, ქვევით, ტახოსკენ მიდიოდა. ამაღა არ ახლდა. მცხოვრებნი სცნობდნენ მას, გზას უთმობდნენ, შეშინებული შესტკეროდნენ მის გამხდარ, გაქვავებულ სახეს, ქუდს იხდიდნენ და მდაბლად უკრავდნენ თავს, ბევრნი მუხლებზე ეცემოდნენ. იგი ვერც ხედავდა რამეს და არც არაფერი ესმოდა. ნელა მიჰყავდა ცხენი და მიწას ჩასჩერებოდა; მიუხედავად ამისა, მექანიკურად აძლევდა პასუხს სალამზე.

ალფონსო თეთრ გალავანს მიუახლოვდა. პაპანაქება იყო. გალიანას თავზე მძიმე, მზეზე მოცახცახე მირაჟი იდგა. ყველგან მოჭადროებული სიჩუმე სუფევდა.

მეზადე ბელარდო ფრთხილად მიუახლოვდა მეფეს, მორიდებით ეამბორა ხელზე. — ძალიან უბედური ვარ, მეფეო, — უთხრა მან, — ვერ გამოვექმნაგე ქალბატონს. ბევრნი იყვნენ, ალბათ ორი ათასზე მეტი და მათი წინამძღოლიც დიდგვაროვანი რაინდი იყო, მე კი

მხოლოდ პაპისეული ნაკურთხი აღებარდა მქონდა. რას გავხდებოდი ამდენი ხალხის წინაშე? ისინი ყვიროდნენ: „ასეთია ღვთის ნება!“ — მაშინ აღსრულდა. მაგრამ მათ მეტი არაფერი გაუფუჭებიათ. ყველაფერი რიგზეა, მეფეც ბატონო, სახლშიც და ბაღშიც.

ალფონსომ ჰკითხა: — თქვენ იგი აქ დაასაფლავეთ გალიანაში? წამიყვანე საფლავზე.

საფლავი არაფრით არ იყო აღნიშნული. რაბი ხახანას ცისტერანის გვერდით შიშველ ადგილზე დაბარული კორდი იყო. — არ ვიცოდით; რა გვექნა, — თავს იმართლებდა ბელარდო. ჩვენი ქალბატონი, დონა რაკელი ხომ მოუხნათლავი იყო, ჭვარის დასმა ვერ გავბედე. მეფემ ხელის დაქნევით ანიშნა წადიო.

მძიმედ დაეშვა მიწაზე, ცხელი, სულის შემხუთავი, დაბურული ზმანებით ერთიანად დატყვევებული. ბელტები უგულოდ იყო დადებული, საფლავი უპატრონოდ მიტოვებულს ჰგავდა, იგი ძაღლსაც კი არ დამარხავდა ასე.

ალფონსო ცდილობდა გაეხსენებინა, როგორ დასეირნობდა აქ რაკელთან ერთად. როგორ ისხდნენ ტბორის ნაპირას შიშველები, ცდილობდა გაეხსენებინა მისი სახე, სიარული, ხმა, სხეული. მაგრამ მხოლოდ ცალკეული ნაწილები აგონდებოდა: ის კი, რაკელი, შორეული, მიუკარებელი, რალაც გაურკვეველად მოციმციმე ზმანებად რჩებოდა. თუ მისი სული სადმე დაბორიანობს, მაშინ სწორედ აქ იქნება, მაგრამ ალფონსოს არ შეუძლია მისი მოხმობა. სულები მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როცა მათ სურთ. იქნებ ბერტრანი მართალია: ქალი კაცს სისხლს უღელვებს, სულს კი ვერა.

აქ, მის ქვემოთ, წევს იგი, ვინც მას უსაზღვრო ბედნიერებას და ვნებიან მღელვარებას ანიჭებდა. ახლა კი ხრწნილი და მატლების საკმელია. მაგრამ, საკვირველია, ეს ამბავი გულგრილს ხდიდა მას. რას ეძებდა იგი აქ, ამ საცოდავ, მოუვლელ საფლავზე? იგი არაფრით არის დამნაშავე მათ წინაშე, ვინც აქ წვანან. ისინი არიან დამნაშავენი მის წინაშე. დამნაშავენი არიან შეილის გამო, ახლა ველარასოდეს გაიგებს, რა დაემართა მის სანჩოს. ახლა სულ ერთია, თუნდაც ბავშვიც მათთან ყოფილა დამარხული, თუნდაც მისი, ალფონსოს, მომავალი იყოს დამარხული და იხრწნებოდეს მიწაში. არ უნდა მოსულიყო იგი აქ. პირში ცუდი გემო ჰქონდა, ტუჩებზე უშრებოდა.

გაპირვებით გადავიდა იქვე, ხის ჩრდილში. მის ქვეშ გაიშხლართა. იწვა იქ თვალდახუჭული, მზის ათინათი დასთამაშებდა სახეზე. იგი ისევ ცდილობდა გაეხსენებინა რაკელი; მაგრამ ისევ მის სამოსს ხედავდა, თვითონ რაკელი კი ბუნდოვანი რჩებოდა. მან იგი პერან-

გის მსგავს გრძელ სამოსელში ნახა, ისეთში, როგორსაც იგი იცემე-  
და ხოლმე, როცა საძინებელ ოთახში ელოდა მას. ხედავდა იმ მწვანე  
კაბაში, რომლითაც პირველად წარუდგა მას ბურგოსში, როცა მის  
მამა-პაპათა სასახლეს დასცინა. ჯადოქრობას და შავ მაგიას მიმართა  
რაკელმა მაშინ და ალფონსოს გადააწყვეტინა მისთვის გალიანა  
აეშენებინა, თუმცა თვითონ იმ დროს არც გამოჩენილა. და ახლაც,  
აქეთკენ, გალიანაში, იზიდავს იგი ალფონსოს, რომელსაც სამხედრო  
და სახელმწიფოებრივი საქმეები უცდის.

მართლა, მას ერთი საქმე აქვს, რომლის შესრულებაც მხოლოდ  
აქ შეუძლია: ვაიიშვილის დანაბარები უნდა გადასცეს იეჰუდას.  
ალფონსომ შუბლი შეიკრა, ცდილობდა გაეხსენებინა, რა თქვა  
სიკვდილის წინ ალაზარმა. მას გარკვევით ესმოდა: „უთხარი მა-  
მას...“ — მაგრამ რაც უნდა ეთქვა, ის ვერაფრით ვერ გაიხსენა  
ალფონსომ.

მას ჩაეძინა. ირგვლივ ყველაფერი ნისლში იყო გახვეული, ყვე-  
ლაფერი იშლებოდა, არაფერი იყო ხელჩასაჭიდი. და უცებ მის  
წინ რაკელი გამოჩნდა. ნისლიდან გამოვიდა ცოცხალივით —  
ეს მისი შავგვრემანი, ფერმკრთალი სახეა, მისი მონაცრისფრო-  
ცისფერი, მტრედის ფრთისფერი თვალებია — და წინ დაუდგა. რაკე-  
ლი სწორედ ასე შეჰყურებდა, უხმოდ, მაგრამ ძალიან მკვევრმეტ-  
ყველურად, როცა არ სურდა ალფონსო, და იგი ძალით დაეუფლა  
მას, ასევე უყურებდა მაშინაც, როცა ალფონსო უყვიროდა,  
ვაიიშვილი მომპარეო და მისი ღუმელი ყველა საყვედურზე უფრო  
ძლიერი იყო.

ალფონსო იწვა თვალდახუჭული. მან იცოდა, რომ ეს იყო ესპე-  
ხისმო—ცთუნება, ციებ-ცხელების ბოდეა; იცოდა, რომ რაკელი  
მოკვდა, მაგრამ მიცვალებულ რაკელში უფრო მეტი იყო მხურვალე-  
სიცოცხლე, ვიდრე ცოცხალში. და სანამ რაკელი მას თვალმო-  
უშორებლად უყურებდა, უცებ მისთვის ნათელი გახდა: სულის  
სიღრმეში ალფონსოს ყოველთვის კარგად ესმოდა მისი უხმო მკვევრ-  
მეტყველება. იგი მხოლოდ განგებ იმკაცრებდა თავს, იკეტებოდა  
თავისთავში და არ უნდოდა გაეგო რაკელის დაჟინებული სიტყვები,  
მისი სიმართლე.

ახლა მის სიმართლეს გული გაუხსნა ალფონსომ. ახლა იგი მიხვ-  
და იმას, რასაც რაკელი ამოდ უხსნიდა: მიხვდა, რა არის მოვალე-  
ობა, რა არის დანაშაული. მის ხელში იყო ძალაუფლება და ბორო-  
ტად გამოიყენა; იგი ბავშვივით, უღმერთოდ, უდარდელად თამა-  
შობდა ძალაუფლებით. მან თავისი ღვინო ძმრად გადააქცია.

რაკელის ხატება ნისლით შეიბურა. — ნუ წახვალ, ჯერ ნუ წა-

ხვალს — ევედრებოდა ალფონსო, მაგრამ მისი გაჩერება ვერ შესძლო, ზმანება გაჰქრა.

ალფონსოს ძალ-ღონე აღარ ჰქონდა და უცებ შიმშილი იგრძნო, ძლივს ადგა და სახლში შევიდა. საკმლის მოტანა ბრძანა. იჭდა იმ მაგიდასთან, სადაც რაკელთან ერთად საუზმობდა. იჭდა და ჰამდა მექანიკურად, ხარბად, მგელივით, არაფერზე არ ფიქრობდა საკმლის გარდა.

ძალა დაუბრუნდა. ადგა. გადია საადის მოყვანა ბრძანა; მას უნდოდა გადიას მისთვის ეჩვენებინა რაკელის ნივთები. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, მერე, როგორც იქნა, უთხრეს, საადიც მოკლესო. მან ამოიოხრა. დაწვრილებით ისურვა ამბის გაგება.

გადია საშინლად ყვიროდა, — უთხრა ბელარდომ, — ჩვენ ქალბატონ დონა რაკელს კი არ შეშინებია. მშვიდად იდგა, როგორც ნამდვილი დიდგვაროვანი ქალბატონი.

ალფონსომ სასახლე მოიარა, შეჩერდა იმ ძველი არაბული ასოებით დაწერილ გამონათქვამთან, რომლის წაკითხვა ალფონსოს არ შეეძლო და რაკელი უთარგმნინდა: „უნცია მშვილობა უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ტონა გამარჯვება“. ალფონსომ გზა განაგრძო, იგი აღებდა კარადებს, სკივრებს, ეხებოდა კაბებს. აი, ეს ღია ფერის კაბა ეცვა მას, როცა ისინი ჭადრაკს თამაშობდნენ. ამ სრულიად ნაზი ქსოვილით, რომელიც თითქოს სადაცაა გაიხევა ალფონსოს ხელის მიკარებით, რაკელი მორთული იყო მაშინ, როცა მის ირგვლივ ძაღლები ხტუნავდნენ. სკივრიდან რაკელის ტანისამოსების სურნელება ამოვიდა, რაკელის სურნელება. მან სკივრი დაკეტა. არა, ალფონსო ლანსელოტი არ არის.

ალფონსომ იპოვნა მის სახელზე დაწერილი წერილები. რაკელს დაეწერა, მაგრამ აღარ გაეგზავნა: „შენ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებ სიგიჟისათვის, იმიტომ, რომ ასე უნდა მოიქცეს რაინდი, ეს უგუნურებაცაა და მომხიბლავიც, ამისათვის მიყვარხარ“. იპოვა ბენიამინის ნახატები. იგი ყურადღებით ათვალიერებდა მათ, შენიშნა ნაკვთები, რომლებიც ცოცხალი რაკელისათვის არ შეუძინებია. მაგრამ ბენიამინმა მთლიანად ვერ აღიქვა რაკელი, ნამდვილ რაკელს მხოლოდ ალფონსო ხედავდა, და მხოლოდ ახლა, როცა რაკელი აღარ იყო ამქვეყნად.

მაგრამ რაკელი არ წასულა ამ სამყაროდან. მასში, ალფონსოში, განაგრძობდა სიცოცხლეს ის ღრმა ცოდნა, რომელიც რაკელის უტყუმა სახემ ახლა გაუმელავენა მას. ღონ როდრიგოს სიტყვებმა ამცნეს, რა იყო დანაშაული და რა მონანიება, მაგრამ გულამდე ვერ ჩაწვდა. საკუთარი შინაგანი ხმაც მხოლოდ ეუბნებოდა. მარტოდ-

მარტო რაკელის უტყვემა სახემ ამოუქრა მას გულში, რას ნიშნავდა სიტყვები: მოვალეობა, დანაშაული, მონანიება.

აღფონსომ ძალა მოიკრიბა. ლოცვა წაიკითხა, მკრეხელური ლოცვა. იგი მიცვალებულზე ლოცულობდა, ევედრებოდა, მოვლინებოდა გადამწყვეტ წუთებში, რადგან მისი ღუმელი ეუბნებოდა მას, რა გაეკეთებინა, როგორ მოქცეულიყო.

გუტიერე დე კასტრო იდგა მეფის წინაშე, ტრადიციულ პოზაში ფეხები განზე გაედგა, ხელებით ხმლის ვადას დაყრდნობოდა.

— რას ინებებთ, მეფეე ბატონო, — ჰკითხა მან წრიბინა ხმით. აღფონსო გუტიერეს ფართო, უხეშ სახეს მისჩერებოდა. დე კასტრო მშვიდად უძლებდა მის დაჟინებულ ცქერას. მას არ ეშინოდა, ეს ცხადი იყო. მეფის მძვინვარება გაქრა, თვითონაც არ ესმოდა, რატომ ოცნებობდა პირქუში სიამოვნებით, ენახა, როგორ იქანავენდა სახარობელაზე დე კასტრო. მან უთხრა: — შენ დაგავალეს დაგეცვა ჩემი დედაქალაქის ტოლედოს მოსახლეობა, რატომ არ შეასრულე დავალება? — დე კასტრომ გულცივი თავხედობით უპასუხა: — შენ მიერ წაგებული ბრძოლის გამო ხალხი აღელვებული იყო, დონ აღფონსო, ისინი ნგრევისა და სისხლის წყურვილმა შეიპყრო. მათ დამნაშავეს მოკვლა სურდათ, დამნაშავედ კი ბევრს თვლიდნენ, მაგრამ მხოლოდ ცოტანი დაზარალდნენ, ასი კაციც არ იქნება. შემეძლო სუფთა სინდისით დამებრუნებინა დედოფლისათვის ხელათმანი. დარწმუნებული ვარ, ვასიამოვნე და მისი მადლობა დავიმსახურე.

დონ აღფონსომ უთხრა: — შენ გაპყვევი გალიანაში მდაბითთა ბრბოს და მოჰკალი ჩემი ესკრივანო და ჩემი შვილის დედა. — იგი მტკიცედ და გარკვევით ლაპარაკობდა, ამავე დროს ძალიან მშვიდად. დე კასტრომ უპასუხა: — ხალხი მოღალატის დასჯას მოითხოვდა, ამასვე მოითხოვდა ეკლესია. ჩემი ვალი უდანაშაულოთა დაცვა იყო. ის კი დამნაშავე იყო. — მეფე ელოდა, რომ დე კასტრო დედოფლის ეშმაკურსა და სისხლიან ბრძანებას მოიმჩიზებოდა და მას დააბრალებდა მთელს დანაშაულს. დე კასტრო ასე არ მოიქცა. უფრო მეტიც, იგი განაგრძობდა: — გულახდილად გეტყვი: მოვსპობდი მას, მოღალატეც რომ არ ყოფილიყო. მე — გუტიერე დე კასტრო ვარ და უკვე რამდენიმე წელია ჩემ თავსა და მთელი ესპანეთის რაინდობას სიტყვა მივეცი, დამესაჯა ჩემი კასტილიოს წამბილწველი ძაღლი. — მეფემ უთხრა: — შენსა და კასტილიოს სახელმწიფოს შორის დავა მოგვარებული იყო, შენი ძმის გამო ვირა გადავიხადეთ. ხელშეკრულება ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია, შენი

მოთხოვნები დავაკმაყოფილეთ.—შენთან დავა არ მინდა, კასტილიის მეფევე, — უპასუხა დე კასტრომ. — თუ ფიქრობ, რომ მიჩივლო, იჩივლე ჩემ სინიორთან, არაგონის მეფესთან, დე მან, ჩემმა სწორმა, მოიწვიოს თანასწორთა სასამართლო. მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრა, როგორც რაინდმა რაინდს. შენ გამო დაიღუპა ჩემი ძმა, საბრძოლო სიმაძაციოთა და ასპარეზებში გამარჯვებებით სახელგანთქმული, შენ ეს კარგად იცი, ვირა გადამიხადე და დავა არ დამიწყია, იმიტომ, რომ ამჟამად წმიდა ომია. ახლა მოხდა, რომ მე მოვეკალი კაცი, რომელმაც შეურაცხყო. ვინ არის ეს კაცი? შენი ხაზინადარი და მოხუცი ებრაელი — და მეტი არაფერი. მგონი ჭკუას არ წააგებ, თუ ამით გავასწორებთ ჩვენს ანგარიშს.

მეფე არ დაეთანხმა. მან უბრძანა: — მომიყვი, როგორ იყო. — დე კასტრომ უპასუხა: — ჩემი ხმალი არ წაგზებლწე მისი საზიზღარი სისხლით, ქარქაშით მოვეკალი. — ალფონსომ დიდი გაჭირვებით, სიტყვებშორის შესვენებით ჰკითხა: — როგორ დაიღუპა ქალი? — ამას ვერ გეტყვი, — უპასუხა დე კასტრომ, — ჩემი შუერა ებრაელისკენ იყო მიპყრობილი, როცა მას ბოლოს უღებდნენ.—გუტიერე დინჯად ლაპარაკობდა, მის სიტყვებში, სიმართლე ეღერდა და მან უხეშად, გულახდილად, თითქმის გულგრილად დასძინა: — ახლა წმიდა ომია და ამიტომაც ჩაიხსნე ჩემი გულისწყრომა და მოვედი, რომ შენი მეთაურობით ვიბრძოლო. შეურიგდი მომხდარ ამბავს, ხელმწიფევე, ჩვენ კიდევ ბევრი მძიმე სამუშაო მოგველის. არ შეფერის რაინდს სიტყვები ხარჯოს აღმოფხვრილი ღვარძლის გამო. იზრუნე შენ ქალაქზე და მის გალავანზე.

ალფონსომ გაკვირვებით შენიშნა, რომ ბარონ დე კასტროს თავხედობამ არ გააბრაზა იგი. დე კასტროს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია დონა ლეონორის მიერ მიცემული ორაზროვანი დავალება, დანაშაულს ქალს არ ახვევდა თავზე, თვითონ კისრულობდა პასუხისმგებლობას მომხდარ ამბავზე. „დახე, გუტიერე, როგორც ჩანს, რაინდი ყოფილა“. — გაიფიქრა ალფონსომ.

საერთოდ დაუღალავი, საქმიანი კანონიკი დონ როდრიგო ახლა უხალისოდ ასრულებდა თავის მოვალეობებს, იშვიათად წერდა და კითხულობდა. ნაღვლიანად, ობოლივით იჯდა სადმე კუთხეში.

მუსა იშვიათად საუბრობდა მასთან. ტოლედოში ბევრი დაჭრილი და ავადმყოფი იყო, მუსას მშვიდი გაბედულება ნდობას იმსახურებდა და მუსლიმანების წინააღმდეგ გულისწყრომის მიუხედავად, ბევრნი მიმართავდნენ მის განთქმულ ხელოვნებას.

როდრიგოს შურდა მეგობრის მდგომარეობა, რომელსაც განუ-

წყვეტილი საქმიანობა დარდს უქარავებდა. მას კი თანდათან უფრო მეტად იმორჩილებდა მწუხარე ფიქრები ყველა არსების წარმავლობაზე, იგი შინაგანად შებოჭილი იყო.

მას იტალიიდან ხელნაწერი გამოუგზავნეს, რომელიც მის საკუთარ სასოწარკვეთილებას სიტყვებით გამოხატავდა. ხელნაწერი ახალგაზრდა პრელატის ლოტარიო კონტის მიერ იყო დაწერილი და ასე ეწოდებოდა: „ადამიანის თვისებების შესახებ“. ერთმა ადგილმა კანონიკზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: „რა არაარობა ხარ შენ, ოჰ, ადამიანო! რა საზიზღარია შენი სხეული. შეხედე მცენარეებს და ხეებს. ისინი ყვავილს, ფოთლებს და ნაყოფს ისხამენ. ვაი შენ, შენ გიჩნდება ტილები, მატლები და სხვა მათე. ისინი გამოჰყოფენ ზეთს, ღვინოს, ბალზამს; შენ კი გამოჰყოფ შარდს, ნახველს, განაევალს. ისინი კეთილსურნელებას გამოსცემენ, შენ ყარხარ“. როდრიგო ამ სიტყვებს ვერ იშორებდა, ისინი ძილშიც კი არ ასვენებდნენ მას.

მას აღარ სწყუროდა ის გრძნობამორეული ექსტაზი, რომელშიც წინათ თავშესაფარს პოულობდა. ის თავგამოდებული, ურყევი რწმენა ახლა მას მაღლად კი არა, იაფფასიან თვითდათრობად და სინამდვილისგან ლაჩრულ გაქცევად ეჩვენებოდა.

მისთვის სიხარული მხოლოდ დონ ბენიამინის იშვიათ სტუმრობას მოჰქონდა. ყმაწვილი საკუთარი და ირგვლივ მყოფთა უბედურების მიუხედავად, დაჟინებით და მოთმინებით განაგრძობდა მუშაობას აკადემიაში. კანონიკს ბენიამინის ნებისყოფა აოცებდა. მისი მოსვლა მწვავე სევდას უქარავებდა.

ერთხელ მან თავის მოწაფეს სთხოვა: — თუ ეს ჰკრილობას არ ვაგვიღიზიანებს, მიაგებე, რას აკეთებდით და რაზე ლაპარაკობდით, როცა უკანასკნელად იყავი გალიანაში.

ბენიამინი დუმდა, დიდხანს ხმას არ იღებდა. დონ როდრიგოს ეგონა, რომ იგი არ უპასუხებდა. მაგრამ მერე ყმაწვილმა მხურვალე სიტყვებით დაიწყო დონა რაკელზე აღფრთოვანებული ლაპარაკი. უამბო, რა მშვენიერი იყო იგი ამ უკანასკნელ დღეს. და გულახდილად უთხრა, რაკელმა მხოლოდ იმიტომ არ ისურვა იუდეიისათვის თავის შეფარება, რომ მეფემ უბრძანა გალიანაში დაეცადა მისთვის. ბენიამინის სიტყვაში უკმაყოფილება ჟღერდა იმის გამო, რომ რაკელს ასე თავგამოდებული ერთგულებით სჯეროდა თავისი რაინდისა და მიჯნურის.

კანონიკი შეძრწუნდა. „შენ არ იცი, რა არის სიყვარული“, — უთხრა მას მეფემ. მაგრამ თვითონ მეფემაც არ იცოდა ეს. ალფონსოს „უყვარდა“ რაკელი მძაფრად, ძლიერად, გაშმაგებით, მაგრამ

იგი თავის თავში ჩაკეტილი დარჩა, რაკელთან შეწყობილად არ განიცდიდა გრძნობას. და აი, ამ ბელუქულმართმა კაცმა, ამ სულით ხორცამდე რაინდმა მოუფიქრებლად წამოისროლა სიტყვა, რომელიც ნამდვილად თქმისთანავე დაავიწყდა და ამ შემთხვევითმა სიტყვამ უბიძგა სიკვდილისაკენ დონა რაკელს. მისი დაუფიქრებელი შემართება ყოველთვის უბედურების მომასწავებელია.

ორი-სამი დღის შემდეგ რამდენადმე დარცხვენილმა ბენიამინმა კანონიკს ნახატი აჩვენა. მას ახლოს ენახა მეფე, მასში მომხდარი ცვლილებებით გაოცებული იყო. ამ ცვლილებას რომ ჩასწედომოდა, მან დახატა მეფე და ახლა მორიდებულად აჩვენა პორტრეტი კანონიკს, მოუთმენლად ელოდა, რას ეტყოდა იგი.

ღონ როდრიგო დიდხანს ათვალეირებდა სურათს. მის თვალწინ იყო სახე ადამიანისა, რომელმაც ბევრი გადაიტანა და ძალიან გაიტანჯა, მაგრამ ეს მაინც რაინდის სახე იყო, სახე დაუოკებელი, უფრო მეტიც, მტკიცე და მკაცრი ადამიანის სახე. კანონიკმა გაიფიქრა მეფის პორტრეტზე, რომელიც მან სიტყვებით შექმნა თავის მატიაწეში, გაიფიქრა იეჰუდას მიერ მოქრილ ფულზე გამოხატულ ალფონსოს გამოსახულებაზე. პორტრეტი ისევ აიღო და თვალეირება დაუწყო. და უჩვეულოდ აღელვებულმა თქვა: — აი, როგორია მეფე ალფონსო კასტილიელი!

ბენიამინი გაოცებული იყო იმ ზემოქმედებით, რაც მისმა სურათმა მოახდინა. — მე არ ვიცი, ასეთია თუ არა ალფონსო. ჩემს წარმოდგენაში იგი ასეთია, — და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დასძინა: — ახლა მე ვფიქრობ, ქვეყანა უკეთესი იქნებოდა, ბრძენები რომ მართავდნენ და არა მეომრები.

კანონიკმა სთხოვა დაეტოვებინა მისთვის ნახატი და ბენიამინს წასვლის შემდეგ დიდხანს ათვალეირებდა მას.

ღონ როდრიგოს მეგობრობა ბენიამინთან თანდათან მტკიცდებოდა. იგი ისე დაუახლოვდა ბენიამინს, რომ არ უშალავდა თავის სულმოკლეობას. — მიუხედავად ახალგაზრდობისა, — უთხრა მან, — შენ რამდენჯერმე გახდი იმისი მოწამე, სისულელე და დაუოკებელი გულისწყრომა ჟამითი ჟამად თუ როგორ ანადგურებს იმას, რასაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ცოდნა და შრომა. შენ კიდევ გგონია, რომ ღირს იშრომო? ვის რაში სჭირდება შენი შრომა?

ბენიამინის სახე ბრწყინდებოდა იმ მხიარული სიციბიერით, რაც მას წინათ ძალიან ახალგაზრდასა და მომხიბლავს ხდიდა. — გინდა გამომცადო, ღირსეულო მამაო, — უთხრა მან, — მაგრამ შენ წინასწარ იცი ჩემი პასუხი. პო, რასაკვირველია, სიბნელე ჩვეულებრივია მოვლენა, სინათლე კი — გამონაკლისი. მაგრამ სწორედ ამ სიბ-



ნელეში განსაკუთრებულად სასიხარულოა სინათლის სხივი. მე პატარა კაცი ვარ, მაგრამ კაცი არ ვიქნებოდი, ამ სიხარულის განცდა რომ არ შემეძლოს. მე მტკიცედ მწამს, რომ სინათლე არ ჩაქრება, უფრო აინთება და ჩემი ვალია, ხელი შევეწყყო ამას ჩემი პატარა წვლილით.

კანონიკი ბენიამინის მტკიცე რწმენით დარცხვენილი იყო. მან თავისი მატთანე აიღო, თავს ძალა დაატანა, გულისყური მიეპყრო მისთვის, სცადა ემუშავა. მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ ამაოდ ატანდა თავს ძალას. მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ყველაფერში ღვთის განგება ვლინდება. იგი გულმოდგინედ და მიამიტად გამოხატავდა უაზროს ისე, თითქოს მასში აზრი ყოფილიყოს. მაგრამ მხოლოდ მოიფიქრებდა და ვადმოსცემდა მოვლენებს, ახსნით კი არ ხსნიდა.

როგორ შურდა დონ როდრიგოს მუსას მდგომარეობა. მუსასათვის ადვილია თავის მატთანეზე მუშაობა. მან მონახა ძირითადი დებულება, რომლის მიხედვით აფასებს ყველა მოვლენას, დებულება ხალხთა შექმნის და კვდომის, მათი ახალგაზრდობისა და სიბერის პერიოდის შესახებ და მუსას ალაპი და წინასწარმეტყველი ადასტურებენ ამ დებულებას. ყურანში ნათქვამია: „ყველა ხალხს თავისი დრო აქვს და როცა ეს დრო დადგება, არავის ძალუძს მისი თუნდაც ერთი საათით შეჩერება ან დაჩქარება“.

როდრიგოს ბედმა არ გაუღიმა აზრი და წესი მოვლენებში ეპოვნა. ეგონა, რომ ქეშმარიტი რწმენა კრძალავს კიდევაც მის ძიებას. განა პავლე მოციქული წერილში კორინთელთათვის არა სწერს: „ღვთის უგუნურება ადამიანებზე გონიერულია — Quod stultum est dei, sapientius est hominibus“? და განა ტერტულიანი არ გვასწავლის, რომ ისტორიის უდიდესი მოვლენა — ღვთის შვილის სიკვდილი მოითხოვს რწმენას, რადგან იგი გონებას ეწინააღმდეგება? და თუ ღვთის გზები შეუცნობელია, თუ ადამიანის თვალითა და გონებით დანახული ეს გზები სულელური ჩანს, განა თვით მისწრაფებაც კი, ილაპარაკო ადამიანური სიტყვებით ღვთის განგებაზე, ცოცხალი არაა?

მთელი ასი წლის განმავლობაში იბრძოდა ქრისტიანული სამყარო წმიდა მიწისათვის, ასიათასობით რაინდი გამოესალმა სიცოცხლეს ჭეაროსნულ ლაშქრობაში და ამდენი ბრძოლით თითქმის არაფერია მოპოვებული. რისთვისაც ამდენი სისხლი დაიდვარა, სამი ელჩი საქმიანი მოლაპარაკებით ერთი კვირის განმავლობაში მიაღწევდა. ამის გაგებაზე უარს ამბობდა ადამიანის გონება და პავლე მოციქულის სიტყვები „ღვთის უგუნურება ადამიანზე გონიერულია“, ირონიულ მნიშვნელობას ღებულობდა.

თავის მატრიანეზე დახრილმა როდრიგომ ჩუმად ჩაილაპარაკა. — ყველაფერი ამოებათა ამოებაა, ყველაფერი უაზროა, რაც ხდება, არ არსებობს ღვთის განგება.

მას საკუთარი სიტყვების შეეშინდა. — Absit! Absit! განვედ ჩემგან! ჩემგან შორს იყოს! — უბრძანებდა თავის თავს.

მაგრამ თუ ჩემი ეპვი ღვთის განგების მიმართ — ერესია, საკუთარი შრომის ამოების აღიარებაში მართალი ვარ. ასე იდგა იგი მაღალ საწერ მაგიდასთან და მთელი ღღეების განმავლობაში, ზოგჯერ ღამითაც რაღაცას წერდა და ჭლაბნიდა. უნდოდა ღვთის ნება ენახა იმ მოვლენებში, რომელთა აზრი დაუსაბუთებელი რჩებოდა. მან გაბედა გაეცოცხლებინა ნახევარკუნძულის დიდი ადამიანები. წმიდა ილდეფონსო და წმიდა იულიანე, გოთების მეფეები და მუსლიმანთა ხალიფები, ასტურიისა და კასტილიის გრაფები, იმპერატორი ალფონსო და სიდი კომპეიდორი, მან თავი წარმოიდგინა მეორე წინასწარმეტყველ იეზეკიელად, ღვთის რჩეულად, რომლის სიტყვითაც ისინი მკვდრეთით აღსდგებიან.

„მე თქვენ ძარღვებს გიბოძებთ, ხორცს შეგასხამთ, კანით დაგფარავთ და სულს შთაგებრავთ, რომ მკვდრეთით აღსდგეთ“. მაგრამ ნეშტნი, რომელთაც მან შეულოცა, არ შეერთდნენ ერთ სხეულად. მისი მატრიანეს ადამიანები არ გაეცოცხლდნენ. ესენი ადამიანები კი არა, ჩონჩხები იყვნენ, რომლებიც ძვლების ჩხარუნით მიცვალებულთა ცეკვას ცეკვავენ.

„ნუ დაუბნევ გზას უსინათლოს“, — გვასწავლის საღვთო წერილი. მან კი სწორედ ეს გააკეთა. მის მატრიანეს უფრო ბნელ წყვილადში შეჰყავს უსინათლონი.

იგი ხმამაღალი კენესით ადგა. მოიტანა შეშის ღეროები, კერაში შეაწყო და მოუკიდა. მოაგროვა მატრიანესა და ჩანაწერების უთვალავი ფურცლები. ტუჩები მაგრა მოკუმა და უხმოდ შეყარა ცეცხლში. უყურებდა, როგორ იწვოდა ფურცლები სათითაოდ. ურევდა დანახშირებულ ქაღალდებს და პერგამენტებს, ვიდრე ფერფლად არ იქცა ყველაფერი ისე, რომ აღარაფრის წაკითხვა აღარ შეიძლებოდა.

ბერტრან დე ბორნი, რომელიც კრილობის გამო ბრძოლაში მონაწილეობას ვერ ღებულობდა, ტოლედოდან სამშობლოსკენ მიისწრაფოდა. მას უნდოდა ბერად აღკვეცილიყო და სიცოცხლის უკანასკნელი ღღენი დალონის საეპანეში დაესრულებინა.

მაგრამ გაჩეხილი ხელის მტევანი და მკლავი გაუსივდა. ასეთ მდგომარეობაში ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, გაეღწია ჩრდილოეთ

მხრეში ღრმად შეჭრილ მუსლიმანთა ურდოებში, რომლებმაც ყველა გზები დაიკავეს.

ქრილობა ეწვოდა, მტანჯველად წიწკნიდა. მეფემ სთხოვა მუსასათვის ეკითხა რჩევა. მუსამ თქვა, ისლა დაგვრჩენია, ხელი მოვკვეთათო. ბერტრანს არ უნდოდა. ცდილობდა ხუმრობით მოეზორებინა მუსა თავიდან. — მუსლიმანებმა ბრძოლაში ვერ შესძელით ჩემთვის ხელის მოკვეთა, ახლა ეშმაკობასა და მეცნიერებას იშველიებთ.—ნუ დამანებებ ხელს, ბატონო ბერტრან,—გულგრილად უპასუხა მუსამ, — მაგრამ ერთი კვირის შემდეგ შენგან აღარაფერი დარჩება გარდა შენი ლექსებისა.—სიცოცხლითა და ლანძღვით დაემორჩილა ბერტრანი.

იგი მაგრად დააკრეს ტახტზე. დავალების ხელთათმანი, რომელიც დონ ალფონსომ მისცა მას, პატარა მაგიდაზე ისე იდო, რომ ბერტრანს დაენახა. მაგიდის გვერდით იდგა ბერტრანის მოხუცი საკურველმტვირთველი და მომღერალი პაპიოლი. მუსამ და ექიმმა რეინერომ ბერტრანს ტკივილის გამაყუჩებელი ძლიერი წამალი დააღვინეს, რკინითა და ცეცხლით შეიარაღდნენ და ოპერაციას შეუდგნენ. ბერტრანი კი, ვიდრე მას თავს დასტრიალებდნენ, პაპიოლს კარნახობდა ლექსს დონ ალფონსოსადმი — „სირვენტი ხელთათმანზე“.

მოხუც მუსას თავის სიცოცხლეში ბევრი რამ უნახავს, მაგრამ საეჭვოა, რომ ასეთი საშინელი და დიდებული სანახაობის მოწმე ყოფილიყო ოდესმე. ოთახში დამწვარი ხორცისაგან მყრალი სუნი იდგა, ტახტზე მაგრა დაკრული მოხუცი რაინდი იწვა, რომელიც ხან კარგავდა გრძნობას, ხან კი ისევ მოეგებოდა ხოლმე გონს. ტკივილისაგან კბილებს აღრქიალებდა, ყვირილისაგან თავს იკავებდა, ისევ ბურანში გაეხვეოდა, კვლავ გონს მოდიოდა და ისე კარნახობდა თავის სამწუხარო-სამზიარულო ლექსებს, რომელთაგან ზოგი გამოსდიოდა, ზოგიც არა. — გაიმეორე ჩემს შემდეგ, პაპიოლ, სულელო გოგრავე! — ბრძანებას აძლევდა ბერტრანი. — გაიგე? დაიხსომებ? მელოდია გესმით? — ეკითხებოდა იგი. მოხუცი პაპიოლი ხედავდა, მისი ბატონი როგორ ხარბად ელოდა, გაეგო რა ზემოქმედებას მოახდენდა მისი ლექსი და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ნათლად გამოეხატა ბოზოქარი აღტაცება. იგი, აღფრთოვანებით იმეორებდა ლექსებს, ცრემლნარევი სიცოცხლით იცინოდა: თავს ვერ იკავებდა და ეს სიცოცხლი ტირილსა და ქვითინში გადადიოდა.

ერთი დღის შემდეგ ალფონსო ბერტრანის სანახავად მოვიდა. ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა. ბერტრანს ხელის ჩაქნევა უნდოდა, მაგრამ მტევანი აღარ ჰქონდა. — დამაფიწყდა კიდევც... სიცოცხლით

თქვა მან: — ექიმი ფიქრობს, რომ ორი კვირის შემდეგ იმდენად მოვიკეთებ, ცხენზე ჯდომა და წასვლა შევიძლო. მარტო დაგტოვებ, მგფევ ბატონო, და წავალ დალონის სავანეში. ჩემს ერთგულ პაპი-ოლსაც ძალა აღარ შესწევს ომის სიმძიმე აიტანოს. იგი დაუინებით ნოითხოვს, გავშორდეთ ამქვეყნიურ ამოებას.

ალფონსო აქებდა და აღიდებდა „სირვენტს ხელთათმანზე“ და შეპირდა მონასტრისათვის დიდი შესაწირავე გაეგზავნა.—ერთ რამეს მაინც გთხოვ, პატივი დამდე და შენ თვითონ მიმღერე „სირვენტი ზელთათმანზე“. და ბერტრანმა იმღერა:

აჰა, გიბრუნებ ხელთათმანს,  
მე აღვასრულე ვალი.  
დავმარცხდი, მაგრამ არ ეღარღობ,  
არ შეცოდება თავი.  
ღმერთს არ ვემღერი, რომ შენთვის  
ომში დავკარგე ხელი.  
შენა ხარ ჩემი მფარველი  
და ჩემი მბრძანებელი.  
ნუ დაიდარდებ, მეფეო,  
ნუ დამწუხრდები ფრიად,  
რომ მტერმა ხელი დაგვრია,  
რომ მტერმა ახლა გვძლია.  
მალე დადგება სულ სხვა დღე —  
ბედნიერი დღე ჩვენი,  
და თუ შენ მიწა დაკარგე,  
მე კი — მარჯვენა ხელი,  
დარეკავს სულ სხვა საათი  
შურისძიების მწველის.  
მე აღარ ვნანობ მარჯვენას,  
დასტურ, ეიბრძოლე მარჯვედ  
და მრავალ ფიცხელ ბრძოლაში  
მარჯვენით გავიმარჯვე.  
ამ ხელით, ხელთათმანიანთ,  
ბევრ მტერს მოვუღე ბოლო.  
ახლა კი მსურს აღვისრულო  
მე ერთი ნატერა მხოლოდ:  
დავეო, რაც დამრჩა სიციხულე,  
მონასტრის კედლებს შორის,  
ვილოცო და თან ვადიდო  
დღენი გარდასულ ბრძოლის.  
რომ თვითონ ქრისტეს ლაშქარმა  
ისმინოს, გაიხაროს,  
მტერს კი მგრგვინაემა ძახილმა  
სამარე გაუთხაროს:

ალფონსო ყურადღებით უსმენდა; იგი გრძობდა ლექსების შთა-  
მაგონებელ ძალას, სისხლი რომ აუფორიაქა მას, მაგრამ ვერ ახშობ-  
და გონების ხმას, რომელიც ეუბნებოდა, რომ მოხუცმა რაინდმა  
მოსკამა თავისი დრო და ოდნავ სასაცილოა.

ყველგან, ტოლედოს ირგვლივ დაძრწოდნენ მუსლიმანთა რაზ-  
მები, მათ ყველა გზა მოსჭრეს. მაგრამ შორსმჭვრეტელი ხალიფა არ  
ჩქარობდა, იგი დიდი და სერიოზული ალყისათვის ემზადებოდა. ამ  
მიზნით შორს შეიჭრა ჩრდილოეთში და დაიმორჩილა კასტილიის  
დიდი ნაწილი. დაიპყრო ტალავერი, მაკედი, ესკალონი, სანტა-კრუსი,  
ტრუხილიო და მადრიდი. კასტილიელები მტკიცედ იდგნენ. ვაჟკა-  
ცურად იცავდნენ თავს სასულიერო თავადები, ბრძოლებში დაი-  
ლუპნენ ავილის, სეგოვიის, სიგუენცის ეპისკოპოსები. მაგრამ ყო-  
ველგვარი წინააღმდეგობა მრავალრიცხოვანი მტრის ძალებთან  
შეტაკებისას იმსხვრეოდა. ვაჟკაცური თავდაცვა მხოლოდ აღიზი-  
ნებდა მუსლიმანთა სიშმაგეს. ქვეყანა აათხრეს, ნათესები გადათე-  
ლეს, ვაზი გააჩანაგეს, საქონელი გარეკეს.

მუსლიმანებმა ლეონის სამეფოს დიდი ნაწილი დაიპყრეს. მდი-  
ნარე ღუერომდე მოვიდნენ. გაანადგურეს ძველი, დიდებული სატახ-  
ტო ქალაქი სალამანკა. პორტუგალიის დიდძალი მიწა დაიკავეს. და-  
იპყრეს წმიდა, საყოველთაოდ ცნობილი — ალკობასიის მონასტერი.  
გაძარცვეს იგი, ამოჰღიტეს თითქმის ყველა ბერი, ქრისტიანულ ესპა-  
ნეთში შიმშილობა, უამიანობა და სილატაკე გამეფდა. მას შემდეგ,  
რაც დაიწყო მუსლიმანებისაგან დაპყრობილი ქვეყნის ბრძოლით უკან  
დაბრუნება, ესპანეთს ჯერ არ მოსწრებია ისეთი უბედურება, რო-  
გორიც ალარკოსთან დამარცხებას მოჰყვა.

ქრისტიანი მეფეები ყველაფერში ალფონსოს აღანაშაულებდნენ.  
ლეონმა და ნავარამ მუსლიმანებთან მოლაპარაკება დაიწყეს. ნავა-  
რის მეფე იქამდისაც კი მივიდა, რომ ხალიფას კავშირი შესთავაზა  
სხვა ქრისტიანი მეფეების წინააღმდეგ ბრძოლაში. სავარაუდებელი  
იყო, რომ ნავარის ტახტის მემკვიდრე იაკუბ ალმანსურის ქალი-  
შვილს შეირთავდა, თვითონ მეფე თანახმა იყო ხალიფა სიუზერე-  
ნად ეღიარებინა და როგორც მის ვასალს ებატონა მიწებზე, მუსლი-  
მანებმა ქრისტიანებს რომ წაართვეს.

და ახლა, როცა ხალიფამ ჩრდილოეთით საქმე მოიგვარა, ტოლედოს შემოარტყა ალყა. თავისი ციხე-კოშკის გალავნიდან ალფონსო ხედავდა როგორ ნელა, თანდათან მრისხანედ მოიწვედნენ წინ კედლის სანგრევი მანქანები და სააღყო კოშკები.

ღე კასტრომ მოითხვა, რომ იგი თავისი საკუთარი მამულის აღბარასინის სამარკვრათოს დასაცავად გაეშვათ. ალფონსოს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. — მადლობის საქმე როგორ არის, მეფე ბატონო? — ჰკითხა ღე კასტრომ. — რისთვის? — ჰკითხა თავის მხრივ ალფონსომ.

ღონა ლეონორი ამ ხნის განმავლობაში ტოლედოდან არ წასულა. იგი ფიქრობდა, რომ ღონ ალფონსომ იმ საშინელი გაფიცების დროს დაანთხია ბრაზი და ახლა, როცა მთელი მისი გონება საომარო საქმეებითაა დაკავებული, ებრაელის ქალის ხსოვნა წაეშლებაო. მართალია, ალფონსო გაურბოდა მასთან საუბარს და მხოლოდ გულცივი თავაზიანობით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ლეონორი დარწმუნებული იყო, რომ ალფონსოს დაიბრუნებდა, ოღონდ ლოდინია საჭირო. მაგრამ ახლა, როცა მტერმა ალყა შემოარტყა ტოლედოს, ლოდინის დრო აღარ რჩება. ტოლედოში მისი ყოფნა ხელის შემშლელი იყო, ბურგოსში კი ფრიად საჭირო.

გულში იმედოვნებდა, რომ ალფონსო დარჩენას სთხოვდა.

ღონა ლეონორი ალფონსოსთან მივიდა. ძალა მოიკრიბა და არაფერი დაუზოგავს, რომ ახალგაზრდა და ლამაზი ყოფილიყო. მან იცოდა — მთელი მისი მომავალი ცხოვრება ამ შეხვედრაზე იყო დამოკიდებული.

ალფონსომ, როგორც ამას კურტუაზიულობა მოითხოვდა, სავარძელთან მიიყვანა იგი, თვითონ მის პირდაპირ დაჯდა, მოკრძალებულად და მოლოდინით შესცქეროდა მის თეთრ, ლამაზ სახეს. ღონა ლეონორი წყნარი, მწვანე თვალებით გამომცდელად შეჰყურებდა ალფონსოს. მასში აღარაფერი დარჩენილიყო ჰაბუკუკრი სილადის, რაც ასე იტაცებდა ლეონორს. ახლა მის წინ იდგა მომწიფებელი ვაჟკაცი მკაცრი სახით, მკვეთრი ნაკვებით, შუბლზე ღრმა ნაოკებით, სახე იმ ვაჟკაცისა, რომელსაც დიდი მწუხარება გადაუტანია და ნაკლებად შეუშინდება სხვას სიმწუხარე აგემოს. მაგრამ ამგვარი ალფონსოც მთელი არსებით იტაცებდა ლეონორს.

ლეონორმა დაიწყო, რომ აქ, ტოლედოში, იგი საჭირო აღარ იყო, რომ მისთვის — უკეთესია, ვიდრე შესაძლებელია, დაბრუნდეს ბურგოსში, სადაც ქალიშვილებზე იზრუნებს და ომის დამთავრებას დაელოდება. გარდა ამისა, იქიდან უფრო მოახერხებს ლეონისა და ნავარის მერყევ მფეებთან მოლაპარაკებას.

აღფონსომ ბევრი რამ ისწავლა. იგი ლეონორის გულში იხედებოდა, მისი შინაგანი სამყარო აღფონსოს წინაშე გადაშლილი იყო ველივით, რომელზედაც მას ბრძოლა მოელოდა. შეეძლო ლეონორისათვის მისივე სიტყვებით ეთქვა, რას ფიქრობდა და რისი იმედი ჰქონდა. ლეონორი უქველად ფიქრობდა, რომ სრული უფლებით ჩამოიშორა გზიდან მოქიშვე, აღფონსოსა და სახელმწიფოს სასარგებლოდ. აღფონსომ ეს უნდა გაიგოს და მას უმადლოდეს. ლეონორი ახალგაზრდა და ლამაზია, აღფონსო ისევ გაუზიარებს მას სარეცელს, ღმერთი შეიწყნარებს და კიდევ გაუჩენს აღფონსოს მემკვიდრეს. რა თქმა უნდა, ლეონორი ასე ფიქრობს და ელის, რომ აღფონსო სთხოვს — დარჩეს. მაგრამ იგი ანგარიშში შეეცდა. აღფონსო მაინც არასოდეს გაეკარება მისი რაკელის მკვლელს, თუნდაც დღესათვის ნათელი იყოს, რომ იგი მას მემკვიდრეს გაუჩენს.

ლეონორი იჭდა გამართული და ამაყი, მაგრამ მაინც მიმზიდველი და დამყოლი. იგი ელოდა.

— მახარებს შენი გადაწყვეტილება, დონა ლეონორ, — უპასუხა მან და თხელ ტუჩებზე თავაზიანი ღიმილი აღებეჭდა. — მე და მთელ ქრისტიანულ სამყაროს დიდ სამსახურს გაგვიწვევ, თუ წახვალ ბურგოსში და შენთვის ჩვეული და მრავალნაცადი ჭკუით მოელაპარაკები სიტყვის გამტებ, მშიშარა მეფეებს. გარდა ამისა, მოხარული ვარ, ჩვენი ქალიშვილები შენი მეთვალყურეობის ქვეშ რომ იქნებიან. სიამოვნებით მოგცემ მცველთა კარგ რაზმს.

ლეონორმა მოუსმინა, აწონ-დაწონა აღფონსოს სიტყვები. ებრავლისადმი ვნება თითქოს განელებულა და თუ ლეონორს მაინც გულცივად და დამცინავად ელაპარაკება, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მიცვალებულისადმი თავის რაინდულ მოვალეობად თვლის. ლეონორს თავი საკმაოდ ძლიერად მიაჩნდა, რომ აღფონსოსათვის მიცვალებულ რაკელს შებრძოლებოდა.

ლეონორმა უთხრა: — გადმომცეს, რომ ბარონ დე კასტროს გაჩერება არ გიციდია. — საზიფათოდ გაიელვა აღფონსოს თვალებმა. როგორ გაბედა! კარგის მომასწავებელი როდი იყო ლეონორის ეს საუბარი, მაგრამ აღფონსომ თავი შეიკავა. — სწორედ გადმოუცივით, — უპასუხა აღფონსომ, — არც მიფიქრია იმ კაცის შეგონება, რომელიც გამირბის საშიშროების დროს. — ლეონორმა გულგრილად უპასუხა: — მე ფიქრობ, ძალიან ჰკაცრი ხარ მის მიმართ, დონა აღფონსო. მის სამარკგრაფოს მართლაც ემუქრება ვალენსიის ემირი. მე მას დავპირდი, შენ კი დიდხანს ალოდინე. იგი სწორი იყო, რადგან მას დანაპირები არ მისცეს.

აღფონსოს მკვდრის ფერი დაედო. გამხდარ სახეზე მკვეთრად

გამოჩნდა ლაწეები. მაგრამ შესძლო ზრდილობის ნიღაბი შეენარჩუნებინა. — ლეთის წყალობით, — თქვა მან, — დე კასტროს გარეშეც დავიცავ ტოლედოს. — შენც კარგად იცი, რომ საქმე მარტო ეს არაა, — უპასუხა ლეონორმა. — იგი უნდა შევინარჩუნოთ, რომ ისევე არ მოიქცეს, როგორც ჩვენი ძმები — ლეონისა და ნავარის შეფეები და მუსლიმანებთან არ შეკრას პირი. ან უბრალოდ არ მიემხროს მათ, როგორც სიდ კომპედორმა გააკეთა, როცა შენმა წინაპარმა საქმაოდ არ დაასაჩუქრა იგი. ჩვენ მის თავმოყვარეობას პირველად როდი ვლახავთ, ის კი ძალიან გულფიცხია. მე მგონია, არ არის ჩვენთვის სასარგებლო, მას მუსლიმანებისაკენ რომ ვუბიძგოთ. არ აპირებ, რომ კასტილიო მისცე მას, დონ ალფონსო?

დონ ალფონსო ისევე მიხვდა, რა ხდებოდა ლეონორის გულში და ამჯერად ღვარძლიანი სიხარული იგრძნო. რაკელი მოკვდა, ეს, ლეონორი, კი ცოცხალია და დგას მის წინაშე ცივი, მეფუერი და მაინც მაცთუნებელი. მას უნდა, ალფონსომ უარყოს მიცვალებულები და მაშინ ყველაფერი ძველებურად იქნება. მაგრამ იგი კეთილშობილი მანდილოსნის, ელეონორას ასული ცდება, რაკელი ცოცხალია. — არა მგონია, სერიოზულად ფიქრობდე, დონა ლეონორ, — უთხრა ალფონსომ, — რომ მე დავაჯილდოვებ კიდევ მოღალატეს, რომელიც გაჭირვების დროს მტოვებს. მე აბჯროსნებს ვყიდულობ, მაგრამ რაინდებს არა. გარდა ამისა, ვფიქრობ ამისთანა მძიმე დროში ტოლედოელი ებრაელების გაღიზიანება უქკუობაა; ხოლო თუ შე ასეთ პატივს დავდებ მათში ყველაზე უკეთესის მკვლელს, მათ უკმაყოფილებას გამოვიწვევ. დარწმუნებული ვარ, ჩემი, სახელმწიფო ჭკუის მქონე ლეონორი ამას მიხვდება.

ალფონსოს წკრიალა ხმაში ოდნაეი დაცინვა გაისმოდა. ამ ოდნაემა დაცინვამ დააკარგვინა დონა ლეონორს გონება. — მე მას კასტილიო დავპირდი, — მკვახედ თქვა მან, — გინდა, რომ მატყუარა გამოვიდე? გინდა დედოფალი სასაცილოდ გახადო იმისათვის, რომ ებრაელების გული მოიგო?

ალფონსო გულში ზეიმობდა: „გესმის, რაკელ, როგორ ჰყრის ცოფებს, მაგრამ ჩემი ბეჭდით არ დავამტკიცებ მის მიერ ჩადენილ საქმეს, არ გავამართლებ მის მიერ ჩადენილ მკვლელობას. არ მივცემ სახლს შენ მკვლელს“. ლეონორს კი უთხრა: — შენ ადგილზე, ლეონორ, მაგ შეპირებაზე ხმას არ ამოვიღებდი.

მხოლოდ ახლა გამოუტყდა ლეონორი თავის თავს, რომ არაფრისთვის მიულწევია რაკელის თავიდან მოშორებით. დედამისის მსგავსად, რომელმაც იმ ქალის, ჰენრიხის საყვარლის მოკვლით მხოლოდ საკუთარი ცხოვრება დაინგრა, იგიც საბოლოოდ დამარც-



ხებულის მიცვალებული ებრაელი ქალის მიერ. შემადრწუნებელმა შიშმა შეიპყრო იმის გაფიქრებაზე, რომ ამიერიდან განწირულია უნაყოფო, მარტოხელა, უბადრუკი სიცოცხლისათვის. ლეონორის წინ იშლებოდა რუხი უდაბნო, რომლის შესახებაც დედა ელაპარაკებოდა, გულის შემაწუნებელი სევდა, დაუსრულებელი, აღუესებელი დრო.

ვერ ბედავდა, დაეჭვებინა ასეთი საშინელი პერსპექტივა. იგონდონ ალფონსოს შეპყურება: მას უყვარს ალფონსო, ლეონორს არავინ ჰყავს მის გარდა. მან უნდა შეინარჩუნოს იგი. — მე თავს ვიმცირებ ისე, როგორც ჩემი საგვარეულოს არც ერთ ქალს არ დაუმცირებია, — თქვა მან მუდარით, სასოწარკვეთილი მუდარით. — ტოლედოში დარჩენის ნება მომეცი, ალფონსო! ნუღარ ვილაპარაკებთ ბარონ დე კასტროზე, ოღონდ შენთან დარჩენის ნება მომეცი! ნება მომეცი ასეთ მძიმე დროს შენთან ერთად ვიყო!

ალფონსომ უბასუხა და თითოეული სიტყვა გარკვეულად და ცივად ისმოდა მის ბაგეთაგან.

— ამას არავითარი აზრი არ ექნება, ლეონორ. მე გეუბნები იმას, რაც არის: ჩემი გული გაქვავდა იმის შემდეგ, რაც შენ იგი მოჰკალი.

ძველი, ნაღვლიანი ლათინური ლექსი გახშირდა ლეონორის გულში, იგი ერთ ბერძენ პოეტ ქალს ეკუთვნოდა:

აღმოსხა მთვარე, ვარსკვლავთა ხომლიც და გაანათეს წყვილიაი ბნელი,  
შუალამეა, დრო მიჰქრის, მაგრამ ისევ მარტო ვარ, დუმს სარეცელი.

ლეონორმა ძალა მოიკრიფა, გასწორდა და თქვა: — შენ ლაპარაკობ და შენი სიტყვებისგან ვქვავდები. და მაინც სწორედ მოვიქეცი, შენი გულისათვის გავაკეთე ეს და კვლავ ასე მოვიქეცეოდი.

მეორე დღეს იგი ბურგოსში გაემგზავრა.

## თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

მუსამ მორიდებულად უსაყვედურა კანონიკს, როცა გაიგო, რომ მან თავისი მატრიანე დასწვა. იგი ამბობდა, რომ მატრიანეში აღნიშნული მსოფლიოს ისტორია—კაცობრიობის ხსოვნაა. ძველი სამყაროს დიდი ადამიანები თავყვანს სცემდნენ ისტორიის ქალღმერთს. იუდეველები, ქრისტიანები და მუსლიმანები მემატრიანის შრომას სამართლიანად თვლიან ღვთის სასურველ საქმედ.

— ჩემი შრომა ღმერთისათვის არ იყო სასურველი, — პირქუშად შეედავა კანონიკი. — ჩემს გონებას არ ეწერა, რომ ისტორიულ ამბებში ღვთის ნება ენახა. მე ვერ გავიგე მოვლენები; ყველაფერა, რაც ჩემ მატრიანეში აღებუქვე — სიცრუეა. უფლება არ მქონდა გამეგრძელებინა შრომა, არ მქონდა მისი შენახვის უფლება. თვით უსინათლოს უფლება არ მაქვს უსინათლოებს გზა ავუბნო. შენთვის აღვილია, ჩემო მუსა, — მწარედ, ნაღვლიანად განაგრძობდა იგი. — შენ გაქვს გზის მანათლებელი ძაფები და ჯერ კიდევ არ შეგიძინე, რომ ის მცდარია და შეგიძლია დამშვიდებული სინდისით განაგრძო შენი შრომა. — მუსამ მისი დამშვიდება სცადა: — შენც იპოვი ახალ პრინციპს, ჩემო ღრმად პატივცემულო და ღირსეულო მეგობარო, რომელიც წლების მანძილზე სწორად მოგეჩვენება.

მოხუცი მეცნიერი მთელი ღღეების განმავლობაში შინ არ იყო. ალყაშემორტყმულ ქალაქში შიმშილი და შავი ჭირი მძვინვარებდა; მის ხელოვნებას და დახმარებას უფრო და უფრო მეტი ავადმყოფი მიმართავდა.

თვითონ იგი კარგად გრძნობდა, რაოდენ შეზღუდული იყო მისი ცოდნა. მუსლიმანთა საექიმო მეცნიერება, — უხსნიდა იგი კანონიკს, — უკვე დიდი ხანია ერთ ადგილზე იტკეპნება. მას შემდეგ, რაც შეუწყნარებელმა ალპაცალიმ გამოაცხადა, ყოველი მეცნიერება, რომელიც ყურანიდან არ არის ამოღებული, ერესიაო, მუსლიმანების საექიმო ხელოვნება უკან-უკან წავიდა. ახლა მედიცინაში პირველი ადგილი საბოლოოდ დაიკავეს ებრაელებმა. — სულთანს სწორად მოიქცა, — თქვა მან, — როცა პირად მკურნალად ებრაელი მოსე ბენ მაიმონი აიყვანა. მუსლიმანებს არაფერს გვეყვას მისი ბადალი. ჩვენი კულტურის აყვავება დამთავრდა. სხვათა შორის, — დაასკვნა მან, — საექიმო ხელოვნებას თვით ბუნებამ დაუღო ზღვარი და თვით ყველაზე მცოდნე ექიმსაც არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მართალი თქვა ჰიპოკრატემ: „მედიცინა ხშირად ამშვიდებს, ხანდახან ამსუბუქებს, იშვიათად კურნავს“.

არქიეპისკოპოს ღონ მარტინს, ყოველ შემთხვევაში, ვერც ერთმა ექიმმა ვერ უშველა; მისი ჭრილობა სასიკვდილო იყო. ყველამ იცოდა ეს და თვითონაც გრძნობდა ამას. მაგრამ ირგვლივ გამეფებულ სიკვდილის თარეშში სიცოცხლეს ჯიუტად ებღაუპებოდა. მუშაობას ცდილობდა, მოითხოვდა, რომ ღონ როდრიგოს ყოველდღე ენახა იგი და სცოდნოდა საქმის ვითარება.

მაგრამ არქიეპისკოპოსს ჰქონდა სხვა უფრო დიდი მიზეზი, რის გამოც დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისი მდივანი მასთან ყოფილიყო. მას უნდოდა სიცოცხლის დარჩენილი დრო მონანიებისათვის

გამოეყენებინა და ეპიტიმია დაიკისრა — ეთმინა ხშირი სტუმრობა დონ როდრიგოსი, რომელიც თავისი სიმშვიდით აღიზიანებდა არქიეპისკოპოსს. დონ მარტინი იწვა, ლიმონს ენოსავდა, კენესოდა და საკამათოდ იწვევდა თავის თანამოსაუბრეს. მაგალითად, კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ებრაელი იბნ ეზრა და მისი ქალიშვილი ავაზაკური სიკვდილით დაიღუპნენ, რადგან მათ დაიმსახურეს. როგორც დონ მარტინი მოელოდა, კანონიკი მიუთითებდა, რომ ასეთი სიხარული ქრისტიანობის სულისკვებებას ეწინააღმდეგებოდა. ეს აძლევდა საბაბს დონ მარტინს დონ როდრიგოსათვის ესაყვედურა წმიდა ომის დროისათვის შეუფერებელი გულმოწყალებობა.

ზოგჯერ მარტინი წარმოთქვამდა მგზნებარე სტრიქონებს მოსეს მეომრული საგალობლიდან: „Dominus vir pugnatur, უფალი — ომების ღმერთია“ — და ალერსიანი ეშმაკობით თხოვდა: — მითხარი, როგორ ეღერს ეს ებრაულად, ჩემო ძვირფასო, განსწავლულო ძმაო. — და როცა კანონიკი ვერ იხსენებდა, როგორ ეღერდა ეს ებრაულად, იგი მშვიდად საყვედურობდა მას: ასეთი სიტყვები, ჩემო გულჩვილო მეგობარო, შენ, რა თქმა უნდა, არ გაგახსენდება. ეს სიტყვები ხომ დიდებულად ეღერს ლათინურადაც, — განა ასე არ არის? — და: — Dominus vir pugnatur, — გემრიელად იმეორებდა რამდენჯერმე და ელოდებოდა, რომ შეკამათებოდა კანონიკი. მაგრამ კანონიკს გამბედაობა არ ჰყოფნიდა შედაევბოდა თავის დაუცხრომელ, მომაკვდავ მეგობარს და მის საწინააღმდეგოდ მოეტანა მშვიდობის მადიდებელი ლექსები საღვთო წერილიდან. იგი ღუმდა.

დონ მარტინს ყველაზე მეტად ის აწუხებდა, ვის დანიშნავდა მეფე მის ნაცვლად. საქმე ისაა, რომ ტოლედოს არქიეპისკოპოსი, ესპანეთის პრიმასი, მეფის შემდეგ, მთელ კასტილიაში ყველაზე ძლიერი კაცი იყო. მისი შემოსავალი სამეფოს შემოსავალს აღემატებოდა, გავლენა უდიდესი ჰქონდა. და დონ მარტინი დაჟინებით მოითხოვდა მეფისაგან, მისთვის კარგი შემცვლელის შერჩევას. — შეისმინე რომაეკდავის სიტყვები, შვილო ჩემო, — აფიცებდა იგი. — ჩვენთვის საყვარელი დონ როდრიგო მეცნიერი და ღვთისმოშიში კაცია, შეიძლება ითქვას, წმიდანი. შენს ღვთიურ საქმეში უკეთეს მრჩეველს ვერ იპოვი, მაგრამ მიწიერი საქმისათვის, საბრძოლო საქმისათვის იგი არ ვარგა და თუ მას ტოლედოს არქიეპისკოპოსად აკურთხებ, ლაშქრისთვის ფულს არ მოგცემს, ან თუ მოგცემს, ძალიან ცოტას. ამას გთხოვ, საყვარელო შვილო და მეფეც, წმიდა ილდეფონსოს ტახტზე არ დასვა დონდლო ადამიანი, ნამდვილი ქრისტიანი რაინდო

დასვი. თავმდაბლობის გარეშე გეტყვი: ისეთი, როგორიც მე ვიყავი, ჩემი ყველა ნაკლის მიუხედავად.

დონ მარტინმა იმავე დღეს ინანა, რომ კანონიკს ზურგში ლახვარი ჩასცა. მისი მოყვანა ითხოვა. მოინანია, წუხილი დაიწყო: — ოჰ, რატომ გამაჩინა უფალმა მოძღვრად და არა სარდლად! — დონ როდრიგოს ბევრი ჭაფა დაადგა, რომ ენუგეშებინა.

მოულოდნელად მომაკვდავს წილად ხედა მწუხარე სიხარული: ტოლედოში გზის შემოვლით, ყველგან მოთარეშე მუსლიმანებისაგან ფარულად, რამდენიმე კვირის დაგვიანებით მოაღწია პაპის შიკრიკმა. პაპი უსასტიკესად უბრძანებდა მეფეს ჩამოშორებოდა თავის ებრაელ ესკრივანოს, მუხანათ იბნ ეზრას. როგორ შეუძლია ალფონსოს წმიდა ომი სასიკეთოდ დაამთავროს, როცა უახლოეს მრჩეველად ურჯულო ჰყავს? — ახლა ხომ ხედავ, ჩემო საყვარელო, ღირსეულო ძმაო ჩემო, — ნიშნს უგებდა დონ მარტინი კანონიკს. — ჩვენი მორწმუნე და გულადი კასტილიელები ებრაელის დასჯის დროს, ქრისტეს სახელით მოქმედებდნენ. ახლა აღარ იტყვი, რომ მხოლოდ ჩემი სიმკაცრის გამო მომგვარა ამ ამბავმა სიამე!

სასიხარულო მღელვარებამ საბოლოოდ მიხადა დონე არჩიეპისკოპოსს. ხანგრძლივი და მტანჯველი აგონია დაეწყო. სულეერად დონ მარტინი ბრძოლის ველზე იყო, გაკირვებით ლულულელებდა იგი: „A lor! A lor!“ ხროტინებდა, ბორგავდა, იტანჯებოდა.

მუსა საქიროდ თვლიდა, კაცთმოყვარეობის გამო გამაბრუებელი წამალი მიეცათ ადამიანისათვის, რომელიც იტანჯებოდა. — სიცოცხლის მოსწრაფება — არაკაცთმოყვარული საქციელია, — უარი განაცხადა მის წინადადებაზე კანონიკმა და არჩიეპისკოპოსმა კიდევ ორი საათი იწვალა.

ტრიპოლის სანახებში ისევ წამოყვეს თავი მეამბოხე ტომებმა და ხალიფა იძულებული გახდა ესპანეთიდან გაეყვანა ლაშქრის ნაწილი, რომ თავის აღმოსავლეთ საზღვარზე, აფრიკაში წესრიგი აღედგინა. მან ხელი აიღო ნახევარკუნძულის ჩრდილოეთის დაპყრობაზე, გამარჯვება ბოლომდე არ მიიყვანა და უკან დაიხია.

დონ ალფონსომ შევებით ამოისუნთქა. დღითი დღე უბრუნდებოდა თავისი ძველებური რაინდული და მეფური სახე. კანონიკთან მეფე თავს ნებას აძლევდა აღფრთოვანება გამოეხატა. ახლა იგი ალარკოსის სირცხვილს გამოისყიდის. დარჩენილ ლაშქარს მოაგროვებს. მტერს განდევნის, სამხრეთისაკენ დაიძვრება, კორდოვას და სევილიას დაიპყრობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს!

კანონიკი შეძრწუნებული იყო. მეფის სიტყვები დანაშაულებრივ უგუნურებად მიაჩნდა. მის შემდეგ, რაც ალფონსომ რაკელის მკვლელობის ამბის გაგებისას გრძნობა დაკარგა, თითქმის სასოწარკვეთილ დონ როდრიგოს იმედი ჩაესახა: ასეთი მძიმე დარტყმის შემდეგ ალფონსო თავაშვებულ ფიცს რაინდულ ხასიათს დაიოკებსო. დიახ, კანონიკს გულთან ძალიან ახლოს მიჰქონდა მეფის ასეთი თვითმთვინიერება. თუ ასეთი მძიმე სასჯელის შემდეგ ალფონსო სხვა ადამიანად იქცევა, მაშასადამე, საბოლოო ანგარიშში, ის ბოროტება და უკეთურობა, რომელიც მოხდა, მაინც უმიზნო არ ყოფილაო. მაგრამ, აი, პირველი გამოცდა და ალფონსომ მას ვერ გაუძლო.

როდრიგოს უბრძოლველად არ უნდოდა ფარ-ხმალის დაყრა. მთელი მუსლიმანური სამხრეთი — თვლიდა იგი მეფის შეხედულეების საწინააღმდეგოდ — ძლიერია და აყვავების ხანაშია. ხალიფას ლაშქარი ხომ ბევრად უფრო ძლიერია ქრისტიანების ლაშქარზე! თუ ძალ-ღონით სავსე კასტილიამ ასეთი მძიმე დამარცხება იგემა, როგორ იქნება ახლა, როცა იგი სისხლისაგან დაცლილია. განა შეუძლია ალფონსოს კარგი დასასრულის იმედი ჰქონდეს? — არ წამოიწყო მეორე ბრძოლა ალარკოსთან! — აფრთხილებდა იგი. — მორჩილად შესწირე მადლობა უფალს ხსნისათვის. დარწმუნებული ვარ, ხალიფა მზად არის მოლაპარაკება დაიწყოს. დადევი ზავი, თუ პირობები ოდნავ მაინც მისაღები იქნება!

გულის სიდრმეში ალფონსომ თავიდანვე იცოდა, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. მაგრამ, როცა როდრიგომ ალარკოსი ახსენა, მასში ისევ ძველმა მეფურმა სიამაყემ იფეთქა. ნუთუ მან ახლა უნდა ჩამოჰყაროს ფრთები, ახლა, როცა ღმერთი ასე მოულოდნელად უგზავნის ზურგის ქარს! ნუთუ თავისი შინაგანი ხმა უნდა გააჩუმოს, რომელიც აქეზებს: მოჰკიდე, მოჰკიდე ხელი იარაღს!

მხიარულად, ძველებური სილაღით, ალერსიანად, მაგრამ თავისი უპირატესობის გრძნობით უპასუხა: — შენი პირით, ჩემო მამავ და მეგობარო, ახლა სულიერი მოძღვარი და წმიდანი ლაპარაკობს, რომლის რჩევების მიმართ მაფრთხილებდა დონ მარტინი. შენ გამახსენე ალარკოსი. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვანაირად ეწყობა. ხალიფა მიდის, მთავარსარდლების ძველი, კარგი წესი კი ამბობს, რომ უკანდახეულ მტერს უნდა მისდიო. გეთანხმები, რომ მუსლიმანები ისევ ჩვენზე ძლიერნი არიან და მათ რომ თავს დაესხა, გამბედაობაა საჭირო. ნუთუ დამიშლი, რომ გაბედული ვიყო!

Vultu vivax. აღშფოთებითა და გულისტკივილით ხედავდა როდრიგო, ალფონსოს სახეზე როგორ გამოჩნდა დაუოკებელი ბერტრანის ნაკვთები. — ნუთუ ბრმა ხარ? — შეჰყვირა მან. — ნუთუ კიდევ ვერ

ჩასწვდი ღვთის სასწაულს? ნუთუ მეორედ გინდა გამოსცადო მისი ესოდენ დიდი მოთმინება?

აღფონსომ ისეთივე თვითდარწმუნებული ღიმილით უპასუხა:—  
ძალაუნებურად უნდა შეეურიგდე იმ აზრს, რომ კასტილიის მეფე ციურ სასწაულებს შენსავით არ ხსნის. საკუთარი თავის იმედი მქონდა, როცა დავიწყე ბრძოლა ალარკოსთან. გეთანხმები, რომ სასჯელი დავიმსახურე და ღმერთმა დამსაჯა კიდევც. მან საშინელი დამარცხება დამატეხა თავს, მომივლინა აპოკალიფსის ოთხი მხედარი, ეს სასჯელი სამართლიანი იყო და მორჩილად მივიღე იგი. მაგრამ შემდეგ მან ჩემი რაკელი მომიკლა და შენ მიმტკიცებ, რომ მისი სიკვდილიც ალარკოსისა და ჩემი გამბედაობისათვის მომისაჯა? არა, ღმერთმა ასე სასტიკად იმიტომ გამწირა, რომ სხვაზე მეტად ვუყვარავარ, ხოლო დასჯის შემდეგ ისურვა, რომ მოწყალება მოეღო ჩემს მიმართ და ამიტომაც წავიდა ხალიფა და სწორედ ამიტომაც გავიმარჯვებ.

ღონ როდრიგო საშინლად განრისხდა. ეს გამოუსწორებელი რაინდი თვალს ხუჭავს და თავს განგებ იბრძავებს. მაგრამ როდრიგო აუხელს მას თვალებს. როდრიგო ვალდებულია სასტიკი იყოს; მის სისასტიკეში — ღმობიერებაა. გაიხსენა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ბენიამინის ნაამბობმა ოვითონ მასზე და მკაცრი ნიშნის მოგებით უთხრა აღფონსოს: — რაკელის სიკვდილიც შენ სასჯელად არის მოვლენილი. შენი სიამაყით სიმართლეს ეკამათები. რაკელი წენი რაინდული დაუფიქრებლობის გამო მოკვდა. — და მან უამბო აღფონსოს ბენიამინისაგან მოსმენილი: რაკელმა და მამამისმა იუდე-რიისათვის თავის შეფარებაზე უარდ მხოლოდ იმიტომ თქვეს, რომ აღფონსომ უბრძანა რაკელს, გალიანაში მქლოდეთ.

თითქოს უშველებელმა ტალღამ შემოჰკრაო აღფონსოს, მაშინვე გაახსენდა და მიხვდა. მოძღვარის რისხვა სამართლიანი იყო: ეს მისი დანაშაულია. „რატომ არ შეაფარეს თავი იუდერიას?“ — დაცინვით ჰკითხა მას ლეონორმა. ასეთივე შეკითხვას აძლევდა იგი თავის თავსაც. მაშინ მას არ ახსოვდა, რომ რაკელი ასე დაარიგა, დაავიწყდა. სულ დაავიწყდა. ახლა კი გაახსენდა, ნათლად და გარკვევით. ორჯერ წამოსცდა ამის შესახებ. ისე, უნებლიეთ წამოროშა. იმ უკანასკნელ საღამოს იგი ბევრს ლაპარაკობდა, ტრაბახობდა, რაკელმა კი სერიოზულად მიიღო მისი ლაყობა და კვეხნა. ლაპარაკში შემთხვევით წამონასროლი სიტყვა გულში ჩაიდო. და ამის გამო დაიღუპა იგი. ის კი არც გამომშვიდობებია მას, გაქუსლა თავისი უთავეამო სიმამაცით აღგზნებულმა, რაკელი დაავიწყდა და წინდაუხედავად შეიქრა უაზრო ბრძოლაში. და რა გამოვიდა — ბრძოლის ველზე დაეცნენ მისი კალატრაველი რაინდები, მოჰკლეს რაკელის ძმა ალაზა-

რიც, ალფონსომ თავისი სამეფოს ნახევარი დაკარგა და დაიღუპნენ რაკელი და მისი მამა.

და აი, იგი ისევ მზადაა კვლავ წავიდეს უგუნურ ბრძოლაში!

უაზროდ იხედებოდა სივრცეში, მაგრამ ხედავდა. ხედავდა იმ სახეს, რომელიც წარმოუდგა უპატრონო საფლავზე, გალიანაში, რაკელის მღუმარე, მჭევრმეტყველურ სახეს.

ღონ როდრიგოს ხმამ გამოიყვანა იგი გარინდებიდან. — ნუ გადიდგულდები, ღონ ალფონსო, ნუ წარმოიდგენ, თითქოს უფაღმერთს შენ უყვარხარ სხვებზე მეტად. შენი გულისთვის არ მოუცილებია მას ესპანეთისათვის ხალიფას ლაშქარი. შენ მხოლოდ უფალი ღმერთის იარაღი ხარ. ნუ გაქვს შენ თავზე ისეთი წარმოდგენა. თითქოს შენ იყო სამყაროს ცენტრი. ღონ ალფონსო, შენ არა ხარ მთელი კასტილია. შენ ერთ-ერთი ხარ კასტილიის მრავალათასიან ნცხოვრებთა შორის. ისწავლე თავმდაბლობა.

ალფონსო გაოგნებული მისჩერებოდა სივრცეს, მაგრამ მას ესმოდა. მან უპასუხა: — დაუფიქრდები შენ სიტყვებს, მეგობარო როდრიგო. შენი ნათქვამის მიხედვით მოვიქცევი.

ალფონსომ შეატყობინა ხალიფას, რომ თანახმაა მშვიდობიანად მოლაპარაკება დაიწყოს. მაგრამ ხალიფა გამარჯვებული იყო და მოლაპარაკებამდე მრავალ პირობას უყენებდა. სხვათა შორის, იგი მოითხოვდა, რომ ალფონსოს ელჩი გაეგზავნა სევილიაში; მთელ ქვეყანას უნდა გაეგო, რომ ალფონსო, სევილიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დამრღვევი და ომის წამომწყები, ახლა დამარცხებულია და ზავს სთხოვს მას, ვისაც თვითონ დაესხა თავს პირველად. ალფონსო დიდხანს ჭიუტობდა და არ ეთანხმებოდა. ხალიფა თავის ნათქვამს არ გადადიოდა. ალფონსო დაემორჩილა.

მაგრამ ვინ უნდა გაეგზავნა მოსალაპარაკებლად სევილიაში? ვინ იყო გონებადამჯდარი, სწრაფი მოსაზრების, მოქნილი და ეშმაკური ჰკუის პატრონი, რომელიც შესძლებდა შინაგანი და გარეგანი ღირსების შენარჩუნებას ასეთი საჩოთირო და დამამცირებელ საქმეში? მანრიკე ძალზე მოხუცი იყო. ურჯულოებთან მღვდელმსახურ როდრიგოს გაგზავნა არ ივარგებდა.

როდრიგომ ურჩია მოლაპარაკება ღონ ეფრაიმ ბარ აბასთვის, ალჰამის უხუცესისათვის მიენდოთ.

ალფონსო თვითონაც ფიქრობდა ამაზე. ეფრაიმს ბევრჯერ გამოუჩენია რთულ საქმეებში თავისი ჰკუა, გარდა ამისა, იგი ებრაელი იყო. მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა კასტილიის მოციქულ-

თათვის სევილიაში მოსალოდნელი დამცირების ატანა, ვიდრე გრანდებისა და რაინდებისათვის. მაგრამ ალფონსოს გული არ მიდიოდა ეფრაიმზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაუბრბოდა მასთან შეხვედრას, თუმცა ზოგიერთი საქმე ერთად უნდა განეხილათ. იმ სამი თასი აბჯროსნისაგან, რომლებიც ალჰამამ გამოიყვანა, უმრავლესობა დახოცეს. განა ებრაელები გაბოროტებული არ იქნებიან მასზე ამის გამო? განა ისინი გაბოროტებული არ იქნებიან მასზე იმ ეზრების სიკვდილის გამო?

როცა როდრიგომ მოციქულად ეფრაიმის გაგზავნა ურჩია, მეფეს მისთვის არ დაუფარია თავისი გრძნობები. ნელა აღვივებდა იგი თავის გულში რისხვას და ახლა ხმამაღლა გამოთქვა თავისი საიდუმლო ზრახვები.

— ისინი ყველანი, ეს ებრაელები, ერთსულოვნანი არიან, — ჩიბუზლუნა მან, — რა თქმა უნდა, იეჰუდამ პირი შეკრა ეფრაიმთან. დარწმუნებული ვარ, რომ მათ იციან, სად არის ჩემი ვაჟი, ჩემი საყვარელი სანჩო. თუ ისინი ნებით არ მომცემენ მას, ძალით წავართმევ, ბოლოს და ბოლოს მე მეფე ვარ და ებრაელები — ჩემი საკუთრებაა. შემიძლია როგორც მიინდა, ისე მოვექცე მათ. ეს თვითონ იეჰუდამ მითხრა. ვერ მოვითმენ, რომ ჩემ ვაჟზე იძიონ შურა.

ამ გაფიცებით შეშინებული როდრიგო ძალას აღარ ატანდა ეფრაიმის დანიშვნაზე.

ამასობაში ალფონსოს თანდათან ემატებოდა ეფრაიმის ნახვისა და მასთან საუბრის სურვილი. მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რას მოსთხოვდა: ვაჟიშვილის დაბრუნებას თუ სევილიაში ელჩად წასვლას. ალფონსომ დონ ეფრაიმი იხმო.

— რა თქმა უნდა, გაიგებდი, დონ ეფრაიმ, — დაიწყო მან საუბარი, — ხალიფას ზავზე მოლაპარაკების დაწყება უნდა.—და როცა ეფრაიმმა უხმოდ დახარა თავი, მან გამომწვევად განაგრძო: — ალბათ ჩემზე მეტი იცი, და ისიც იცი, რა მოთხოვნებს აყენებს იგი.

გამხდარი, მოხუცებული, უძლური დონ ეფრაიმი იდგა მის წინ. მას აწუხებდა ის ამბავი, რომ ალარკოსთან დამარცხებისა და იეჰუდას მკვლევლობის შემდეგ დონ ალფონსოს არც ერთხელ არ დაუბარებია იგი; შესაძლებელი იყო, მეფეს, რომელიც გრძნობდა თავის დანაშაულს, ებრაელებზე ეყარა ჯავრი. ეფრაიმმა იცოდა, რომ სიფრთხილე იყო საჭირო.

— ჩვენ სამადლობელი ლოცვა აღვაღვლინეთ, როცა მტერმა ტოლედოს ალყა მოხსნა და ღმერთს შევეთხოვეთ, მომავალშიც არ მოგაკლოს თავისი წყალობა.

დონ ალფონსო ისევ გესლიანად განაგრძობდა: — უსამართლო-



ბად არ მიგაჩნია, რომ ღმერთი თავის წყალობას არ მაკლებს? თქვენ, რა თქმა უნდა, მე მომაწერთ თქვენი მეომრების დაღუპვასა და იბრეზების მკვლელობას.

— ჩვენ ვწუხნით და ვლოცულობდით, — უპასუხა დონ ეფრაიმმა.

ალფონსომ პირდაპირ კვითხა: — მითხარი, რა იცი საზავო პირობების შესახებ? — ნამდვილად ჩვენც ისევე ცოტა რამ ვიცით, როგორც შენ, — უპასუხა ეფრაიმმა, — ჩვენ გვგონია, რომ ხალიფა მოისურვებს გვადიანის სამხრეთით მდებარე მხარე თავისთვის დაიტოვოს. იგი აუცილებლად მოითხოვს, რომ ყოველწლიურად მოზრდილი თანხა შეიტანო მის ხაზინაში და დიდი კონტრიბუცია გადაუხადო სევილიის ემირს. გარდა ამისა, ნამდვილად მოითხოვს, რომ ახალი საზავო ხელშეკრულება ძალიან დიდი ხნით დაიდოს.

ალფონსომ პირქუშად თქვა: — იქნებ უმჯობესია, არ დავეთანხმო ასეთ პირობებს და ომი განვაგრძო? თუ თქვენ ამ მოთხოვნებს მართებულად თვლით? — შეეკითხა იგი ცბიერად.

ეფრაიმი პასუხს აგვიანებდა. შესაძლებელია, თუ იგი ხელშეკრულებისა და ზავის სასარგებლოდ იტყვის რამეს, მეფე თავის უმწეო ბრახს ალჰამაზე და თვით ეფრაიმზე გადმოანთხევს. დიდი იყო ცთუნება, რომ თავი აერიდებინა პირდაპირი პასუხისათვის და არაფრის მთქმელი, თავაზიანი ფრაზით დაკმაყოფილებულიყო. მაგრამ ალფონსო ამას თანხმობად ჩათვლის, ის ხომ მხოლოდ იმას ელის, რომ მოუწონონ საქციელი და ოდნავი მხარდაჭერაც კი საკმარისია, რომ განაგრძოს თავისი უაზრო ომი. მაგრამ ღმერთი არ მოახდენს მეორე სასწაულს. ტოლედო დაიღუპება და მასთან ერთად ალჰამაც. განსვენებული იეჰუდა, როცა მის წინაშე მსგავსი ექვეები და სიძნელები წამოიჭრებოდა, ხშირად ურჩევდა ამ ქრისტიან მეფეს წინდახედულად მოქცეულიყო და არ დაერღვია მშვიდობა. მთელი საუკუნის მანძილზე ებრაელი მრჩევლები შთააგონებდნენ თავიანთ ქრისტიან მონარქებს, გონებადამჯდარნი ყოფილიყვნენ.

— ხელმწიფევე, თუ გსურს მოხუცი კაცის გულახდილი აზრი მოისმინო, — თქვა მან როგორც იქნა, სუსტი ხმით, — მაშინ ჩემი რჩევა იქნება: დადო ზავი. ეს ომი წააგე. თუ ომს გააგრძელებ, რუსლიმანები უფრო ადრე მივლენ პირინეებამდე, ვიდრე შენ სამხრეთის ზღვამდე. როგორი მოთხოვნილებაც არ უნდა წამოგვიყენოს ხალიფამ, თუ იგი ტოლედოდან სამხრეთით საზღვრის დადებით დაკმაყოფილდება, დადევნი ზავი.

ალფონსო ოთახში ბოლთას სცემდა, თვალებს სახიფათოდ აეღვებდა, შუბლზე ღრმა ნაოჭი აღებუქდა, ებრაელი თავხედურ სიტყვას ეუბნებოდა. ალფონსო ბრძანებს, რომ დაიჭირონ და ციხე-სიმაგრის

ყველაზე ღრმა მიწისქვეშეთში ამყოფონ, ვიდრე მოხუცი არ ისწავლის მორჩილებას და სანჩოს არ დაუბრუნებს ალფონსოს. თვითონ კი შეკრებს. ცოცხლად გადაარჩენილ ყველა მებრძოლს და ცხენებს, მოულოდნელად თავს დაესხმება მუსლიმანებს და გაარღვევს მათ რიგებს. მან იცოდა, რომ ეს უნიადაგო ოცნება იყო, მისთვის აუცილებელია სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოება და შუამავალი სწორედ ეს ეფრაიმი უნდა იყოს. მაგრამ, არა, არა, ოღონდ მშვიდობა არა! იგი აჩვენებს როდრიგოსაც და ამ ებრაელსაც, რომ ალფონსო ჯერ კიდევ ცოცხალია მაგრამ იგი—დამარცხებული ალფონსოა, ებრაელიც მართალია, არც ალფონსოა სულელი და ბოროტმოქმედი. სევილიაში ელჩებს გაგზავნის და ილოცებს მშვიდობისათვის. მეფე მოუთმენლად ბორგავდა ოთახში. და ამ ცოტა ხანში, ამ დაუსრულებლად ხანგრძლივი წუთის განმავლობაში სამ-ჯერ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება.

ღონ ეფრაიმი უხმოდ იდგა, მოკრძალებულად, სახეზე შიში არ ეტყობოდა, მაგრამ გული შიშისაგან ეკუმშებოდა. იგი მეფეს თვალს ადევნებდა. ხედავდა საშინელ ბრძოლას, რომელიც მის სახეზე აღბეჭდილიყო.

უცებ ალფონსო მასთან სულ ახლოს მივიდა, გაჩერდა და ბრაზიანად, გამომწვევად უთხრა: — გამიგონე! რადგან ასე თავგამოდებით იბრძვი მშვიდობისათვის, იქნებ დათანხმდე და სევილიაში ჩემ შუამავლად წახვიდე?

ეფრაიმი ყველაფერს მოელოდა ამ უცნაური კაცისგან, ელოდა კარგსაც და ავსაც, მაგრამ ამას კი არა, რაც ახლა შესთავაზა. გაცემა არ დაუფარავს, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, რაც სამეფო კარის ყოველგვარ ეტიკეტს ეწინააღმდეგებოდა, თითქოს თავის დასაცავად, დამპყნარი, აცახცახებული ხელი ზეასწია. მაგრამ ვიდრე სიტყვის თქმას მოახერხებდა, ალფონსომ მოულოდნელად შერბილებული ტონით სთხოვა. — თუ შეიძლება, უცებ ნუ იტყვი „არას“. დაჯექი და მოიფიქრე!

ისინი ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ. ეფრაიმი ერთი ხელის თითებს მეორე ხელის გულზე უსვამდა. მთელი თავისი სიცოცხლე ცდილობდა ხალხს თვალში არ მოხვედროდა. რა არ გააკეთა იმისათვის, რომ იეჰუდას უარი ეთქვა ბრწყინვალე თანამდებობაზე -- და უცებ თვითონ უნდა მიიღოს ეს შისია, რომლისკენაც მიპყრობილი იქნება ყველას თვალი. რაც არ უნდა გააკეთოს, სულელი, უმადური ტოლედოელები მაინც დალატზე იღრიალებენ, და თუ მეფე მას ელჩად დანიშნავს, ათასი მოშურნე გამოჩნდება. მეორე მხრივ, თუ მოახერხებს და მოაგვარებს ხანგრძლივ მშვიდობიანობის საქმეს.

ქვეყანას და ებრაელ ხალხს ისეთ სამსახურს გაუწევს, როგორც ძნელად თუ ვინმეს გაუწევია აქამდე. საერთოდ გულგრილი და ანგარიშვანი ეფრაიმი აფორიაქდა, აღელდა. „არას“ თქმა მეტად სახარბიელო იყო, მაგრამ იეჰუდა გაიხსენა და მიხვდა, რომ მისი ვალია „ჰოს“ თქმა.

— ხალიფა ებრაელებს არ წყალობს, — აღნიშნა მან როგორც იქნა. — მას არც ქრისტიანები ახატია გულზე, — უპასუხა ალფონსომ.

— მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდება, მე კი მოხუცი ვარ და უძლური.

მეფემ თავს ძალა დაატანა და უთხრა: — იმისათვის არ მეუბნები „არას“, რომ მოხუცი და უძლური ხარ, არა, გეშინია, რომ მე ვარ ჭიუტი და ამაყი. მაგრამ ეს ასე არ არის. მე მივხვდი, რომ ადამიანს, რომელსაც ბედმა ასეთი თავზარი დასცა, არ შეუძლია ლოდინი და ვაქრობა. არ დაგაბრკოლებ, დიდ უფლებებს მოგცემ. მზად ვარ სევილიის ემირს დიდი კონტრიბუცია გადავუხადო და ხალიფასაც უოველწლიურად ვაძლიო ფული. ხაკი გადავუხადო, — პირქუშად დაასრულა მან.

— ვფიქრობ, რომ შენ შუამავალს შეუძლია ამ საკითხებზე მიადწიოს შეთანხმებას, — ფრთხილად, ნიადაგის მოსინჯვით უპასუხა ეფრაიმმა. — მაგრამ ნება მომეცი გავიგო, ხელმწიფეო, რას ფიქრობ სხვა, ფრიად მნიშვნელოვან პუნქტზე: ზავის ვადაზე. არა მგონია ხალიფა დათანხმდეს, რომ სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდოს თორმეტ წელზე ნაკლები ვადით. ხელს მოაწერ ასეთ ხელშეკრულებას? თანახმა ხარ დაიცვა იგი?

ალფონსო კინაღამ ისევ გაფიცდა. ებრაელმა თავი მეფის სულიერ მამად ხომ არ წარმოიდგინა! მეფემ გონებით დაიოკა ბრაზი. მაშინ როცა სევილიის ხელშეკრულებაში მიიღო პირობა „in octo annos, რვა წლით“ ეს პირობა მისთვის თავიდანვე მხოლოდ პერგამენტზე დაწერილი ცარიელი სიტყვები იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ამ სამმა სიტყვამ შემოუსია ქვეყანას ხალიფას ურდო, მათ დაზოცეს მისი კალატრაველი რაინდები. დონ ეფრაიმი მართალი იყო, რომ შეახსენა, ახლა რაკი დონ ალფონსო დათანხმდება თორმეტი წლით ხელშეკრულების დადებაზე, ვალდებულიც იქნება დაიცვას ეს ხელშეკრულება მთელი თორმეტი დაუსრულებელი წლის მანძილზე.

— ვხედავ, — თქვა მან ხმადაბლა და მწარედ, — კარგად ჩაპკირებინარ ხალიფას ინტერესებს. — ეფრაიმს ეშინოდა, რომ ალფონსო უფრო მეტად გაფიცდებოდა. მან შვებით ამოისუნთქა

და ალფონსოს უპასუხა: — ასე მოიქცეოდა ყველა, ვისაც საერთო საქმე გულთან ახლოს მიაქვს.

ალფონსო ხმას არ იღებდა, ფიქრობდა. — ხანგრძლივი მშვიდობა შენ უფრო გკირდება, ვიდრე მუსლიმანებს, — არწმუნებდა მას ეფრაიმი. — გულითაც რომ გინდოდეს, მალე ველარ შესძლებ ომის დაწყებას. დრო გკირდება. სასტიკად აოხრებულ მთელ ქრისტიანულ ესპანეთს სკირდება დრო, წელში რომ გაიმართოს.

ალფონსომ უთხრა: — თორმეტი წელი? ბევრს თხოულობ, მოხუცო.

ეფრაიმმა ნაწყენად, მკვახედაც კი უპასუხა: — გთხოვთ, მეფეებ ბატონო, ნუ გამგზავნი სევილიაში.

ალფონსომ უთხრა: — თანახმა ვარ, იყოს თორმეტი წელი.

იგი აღგა და ისევ დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა. — მე მსურს, რაც შეიძლება მალე გამგზავრო სევილიაში. მითხარი, რა უფლებები გკირდება და გამყოლები შეარჩიე. — რაკი შენი ნება ასეთია, მონაწილეობას მივიღებ საელჩოში, — უთხრა ეფრაიმმა, — მაგრამ მხოლოდ როგორც საფინანსო მრჩეველი ან მდივანი. კეთილი ინებე საელჩოს უფროსად დანიშნე ერთ-ერთი შენი გრანდი. სხვაგვარად თავიდანვე გამოიწვევ მუსლიმანების უკმაყოფილებას. — ალფონსომ უპასუხა: — საელჩოში შევიყვან ჩემ ორ ბარონს, ან შეიძლება სამსაც. მაგრამ ყველა უფლებებს მხოლოდ შენ მოგანიჭებ. — ეფრაიმმა მეფის წინაშე თავი მდაბლად დახარა. — ღეთის შეწყვენით ვეცდები ძალიან მძიმე საზავო ხელშეკრულება არ მოგიტანო, — თქვა მან და წასვლა დააპირა.

მაგრამ დონ ალფონსომ არ გაუშვა იგი. გაუბედავად უთხრა: — კიდევ მაქვს ერთი საქმე, დონ ეფრაიმ, და რჩევა მინდა გკითხო ჩემმა მიცვალებულმა მეგობარმა და ესკრივანომ დონ იეპულამ, ალბათ, ძალიან მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა. არა მგონია, რომ მას ჰყავდეს ისეთი ნათესავები, რომლებსაც კანონით შეეძლებათ პრეტენზიის განცხადება ამ მემკვიდრეობაზე. იქნებ შენ იცი მისი ასეთი ნათესავი? — დონ ეფრაიმმა ისევ გაამახვილა სმენა. — სარაგოსაში ცხოვრობს დონ ხოზე იბნ ეზრა, — თქვა მან, — დონ იეპულას ნათესავი, — კურთხეულ იყოს წმიდანის ხსოვნა! ჩვენი კანონების მიხედვით მას უფლება აქვს მემკვიდრეობის მეთაურობაზე. ჩემი რჩევა იქნება, მეფეო, მისცე დონ ხოზეს მისი წილი. მას შეუძლია რთულ საქმეებში დიდი სამსახური გაგიწიოს — დაგენმაროს ანგარიშის გასწორებაში მოვალეებთან, რომლებიც იეპულას მთელ ქვეყანაზე ჰყავდა. ალფონსომ უპასუხა: — იყოს ისე, როგორც შენ თქვი. ვფიქრობდი, მემკვიდრეობის ნაწილი ტოლედოს ალჰამისთვისაც

მიმეცა. — ძალიან გულუხვი ხარ, — უთხრა დონ ეფრაიმმა, იცი თუ არა, რომ საქმე დიდძალ თანხას ეხება? ტოლედოელი არქიეპისკოპოსი და იეპუდა შენი ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანები იყვნენ.

მეფე რამდენადმე დარცხვენილად განაგრძობდა: — დანარჩენ ქონებას ჩემი ხაზინადრები განაგებენ, ვიდრე პირდაპირი მემკვიდრე არ გამოჩნდება — დონა რაკელის ვაჟი. სხვათა შორის, სიგელები უკვე დამზადებულია. — თქვა მან, ზემოთ ნათქვამთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, — რომელთა თანახმადაც დონა რაკელის ვაჟს ნაბოძები აქვს ყველა უფლება ოლმედოელი გრაფის ტიტულზე. ისინი დამზადებულია ჯერ კიდევ დონ იეპუდას სიცოცხლეში, მასთან შეთანხმებით. — ეფრაიმმა ცივად უპასუხა: — სრული უფლება გაქვს, მეფეც ბატონო, დონ იეპუდას დარჩენილი მემკვიდრეობიდან ყველაფერი გადასცეთ ხაზინას, რაც მოგესურვებათ, არავის შეუძლია ამის გამო დაგძრახოს.

ალფონსომ დაჟინებით, ოღნავ ხრიწიანი ხმით თქვა: — ჩემი გარდაცვლილი მეგობარი იეპუდა ხშირად დადიოდა შენთან: ალბათ შენ ბევრი რამ იცი. არ მინდა გაიძულო და გამოგკითხო მოხუცო, სახელდობრ, რა იცი. მაგრამ ფიქრი მტანჯავს, რომ ჩემი ვაჟი თქვენ შორის ცხოვრობს და მე მას არ ვიცნობ. შენთვის ეს გასაგებო უნდა იყოს. ნუთუ არ დამეხმარები?

მისი ხმის მავედრებელი, ალერსიანი ტონი საამოც იყო ეფრაიმისათვის და საშიშიც. სახიფათო ამოცანა დააკისრა მას მისმა გარდაცვლილმა მტერ-მოყვარემ. ეფრაიმმა უთხრა: — არავინ იცის, ხელმწიფეო, და ვერც ველარავინ გაიგებს, მონაწილეობდა თუ არა დონ იეპუდა იბნ ეზრა თავისი შვილიშვილის გადაკარგვაში და თუ მონაწილეობდა, რა თქმა უნდა, ასეთ საჩოთირო საქმეში ერთის მეტი დამხმარე არ ეყოლებოდა და ასეთ დამხმარედ საიმედო კაცს შეარჩევდა, ისეთს, ვინც კარგად იცის საიდუმლოს შენახვა.

ალფონსო თავს დამცირებულად, განადგურებულად გრძნობდა. მაგრამ თავისდა უნებურად მაინც განაგრძობდა ლაპარაკს: — კიდევ მჯერა და არ მჯერა შენი. ვშიშობ, რომც იცოდე რაიმე, მაინც არ მეტყვი. გამოგიტყდები, მტანჯავს იმის ფიქრი, რომ იგი თქვენ შორის გაიზრდება. თქვენი ზნე-ჩვეულების მიხედვით. ამის გამო უნდა მეჭავრებოდეთ თქვენ, ხანდახან მეჭავრებით კიდევც.

ეფრაიმმა უპასუხა: — ერთხელ კიდევ გეკითხები, მეფეც ბატონო, გინდა თუ არა რომ იმ კაცმა, რომელზედაც შენ ასე ფიქრობ, მოაგვაროს შენი და შენი სახელმწიფოს საქმეები სევილიაში?

მეფემ უბახუხა: — ხანდახან დონ იეჰუდაზედაც ვიყავი გაბრაზებული ხოლმე, მაგრამ მაინც ვიცოდი, რომ იგი ჩემი მეგობარი იყო. შენ გამოცდილი მოხუცი ხარ. ადამიანებს იცნობ და საქმეც იცი. მე მინდა შენ გამეგზავნო სევილიაში ჩემ წარმომადგენლად. ვიცი, რომ შენზე უკეთესს ვერავის ვერ ვნახავ.

ეფრაიმიმა კმაყოფილებასთან ერთად სიბრალულიც იგრძნო ალფონსოს მიმართ და უთხრა: — იქნებ, დადგეს დრო, ვინმე გაცნობდეს და თავი შენ დაქარგულ შვილად გამოაცხადოს. გირჩევ, მეფევე ბატონო, ტყუილად ნუ გაისჯები. იგი ნამდვილად თვითმარქვი რქნება. ჩვენ მოგვანდე სიმართლის გაგება და ყველა შენ საზრუნავს ამასაც ნუ მიუმატებ. დამშვიდდი, ალფონსო, კარგი ქალიშვილები გვყავს, კეთილშობილი ინფანტები, რომლებიც თავის დროზე დიდა მონარქები გახდებიან. შენი შვილიშვილები დაჯდებიან ესპანეთის ტახტზე და ღვთის შეწევნით, ჩვენი ნახევარკუთხედის სახელმწიფოებს გააერთიანებენ. — და მან თავისი საუბარი გაურკვეველი სიტყვებით დაამთავრა, მაგრამ ალფონსო მიუხვდა მას: — დონ იეჰუდა იბნ ეზრა გარდაიცვალა, მისი ვაჟი და ქალიშვილიც გარდაიცვალნენ. თუ ვინმე გადაჩა მათი საგვარეულოდან — ეს მისი შვილიშვილია. დონ იეჰუდა განუდგა ისლამს და იუდეველობას დაუბრუნდა, თავის წინაპართა რწმენას, და ესაა მისი ანდერძი.

დონ ალფონსოს კარგად ესმოდა, თუ რას ნიშნავდა, რომ მან წაგებული ომის შედეგების მოგვარება ეფრაიმს — ებრაელსა და ვაჟარს მიანდო. მან უარი თქვა დაუფიქრებელ რაინდულ გმირობაზე, დაშორდა ბერტრანს, გამოემშვიდობა თავის წარსულს, თავის სიყრმეს. იგი არ ნანობდა, მაგრამ თითქმის ფიზიკურად გრძნობდა შინაგან სიციარიელეს.

გზა, რომელსაც იგი ახლა დაადგა, არ უხმობდა საადუმლო ბილიკისაკენ გადასახვევად, არ მიდიოდა ცისფერ ბურუსში მოციქულზე შორეთისაკენ; ფხიზელი და პირდაპირი, ურყევად მიემართებოდა პატიოსანი და ნათელი მიზნებისაკენ. მაგრამ რაკი ალფონსო ამ გზას დაადგა, ბოლომდე გაივლის მას. თვითვე დაიბორკავს თავს; მისთვის სასიამოვნო გმირული თავგადასავლებების გამო საფრთხეში არ ჩააგდებს მწარე მშვიდობიანობას, რომელიც იტვირთა.

მთელი ღამე არ ეძინა. მოიფიქრებდა, ისევ გადაიფიქრებდა, ისევ ფიქრობდა, გადაწყვეტდა და მერე ისევ უარს ამბობდა.

გადაწყვიტა.

ოღნავ შესამჩნევი ღიმღლით უთხრა დონ როდრიგოს, რომ საე-

პისკოპოსობის აღდგენა უნდა ავილაში, სეგოვიასა და სიგუნენცში და სურს სიგუნენცის ეპისკოპოსობა კერძოდ დონ როდრიგოს დაავალოს.

უსიამოვნოდ გაცეხულმა როდრიგომ ჰკითხა: — თავიდან გინდა მოიშორო თავმომაბეზრებელი მოძღვარი? — ალფონსომ გაიღიმა და მის სახეზე გაიელვა ადრინდელმა ყმაწვილურმა მომხიბლავმა, ცბიერმა გამომეტყველებამ. — ამჯერად უსამართლოდ მოიტანე ჩემზე ექვი, ღრმად პატივცემულო მამაო, — უთხრა მან, — შენი მოშორება კი არა, დაახლოება მინდა. მაგრამ, თუ არ ვცდები, საეკლესიო კანონების მიხედვით არ შეიძლება, რომ კანონიკი უშუალოდ, გარკვეული საფეხურის გავლის გარეშე, ავიდეს ტოლედოს არქი-ეპისკოპოსის ტახტზე.

ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრებმა მოიცვა კანონიკი. ალფონსოს სურს ესპანეთის პრიმასად აკურთხოს იგი. მართალია, მას შეუძლია კეთილი რჩევა მისცეს, მაგრამ ასეთ განდიდებაზე არასოდეს უოცნებია ამ მორიდებულ კაცს. იგი მაშინ გააოცა დონ მარტინის შიშმა ამის თაობაზე. ესე იგი ამიერიდან მან მარტო კი არ უნდა ურჩიოს ან გამოთქვას თავისი აზრი, არამედ ვალდებული იქნება განაგოს ყველაზე მსხვილი ფულადი შემონატანი, ვალდებული იქნება თქვას თავისი საფუძვლიანი სიტყვა, როცა საქმე ომს ან მშვიდობას შეეხება. კანონიკი გაოგნებული იყო. მას ზეგარდმოველინა სიკეთე და მოწყალება, მაგრამ ამავე დროს მძიმე ტვირთი.

ალფონსო უტკებროდა როდრიგოს აღელვებულ სახეს და ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად უთხრა: — რამდენიმე თვით სიგუნენცში მოგიწივს წასვლა და ველარ განახავ. წმიდა მამას ვაჭრობა უყვარს. ვერც ისე მალე მოვახერხებ, რომ მან ეპისკოპოსის კვერთხი მოგცეს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ და ბოლოს და ბოლოს ჩემსას გავიტან. მინდა, რომ ჩემს სამეფოში შენ მეორე კაცი იყო. — განაგრძობდა იგი ბავშვური სიჩიუტით. — შენ მაიძულე ესპანეთის წელთაღრიცხვა შემეცვალა, მაგრამ მაინც მინდა, რომ ესპანეთის პრიმასი შენ იყო.

მუსას თავზარი დასცა ახალმა ამბავმა. როდრიგო წავა სიგუნენცში! როგორ იცხოვრებს იგი, მუსლიმანი, მტრულად განწყობილ ტოლედოში თუ კანონიკი მფარველობას არ გაუწივს? ისევე უსახლკარო, მარტოხელა, ყარიბი უნდა გახდეს. უღიმღამო, პირქუში ჩანდა მისი ცხოვრების გზის დასასრული.

მაგრამ საკუთარმა წუხილმა ხელი ვერ შეუშალა ადამიანების

კარგად მცოდნე ბრძენ მუსას, დაენახა ის კარგი მხარე, რაც ამ ცვლილებას უნდა მოეტანა კანონიკისათვის და მან იპოვა თბილი, თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვები. — ახალი თანამდებობით დაკისრებული უთვალავი ვალდებულება მალე მოუღებს ბოლოს შენს ასედიას, უკანასკნელი თვეების პირაქუმ ფიქრებს, — უთხრა მან როდრიგოს, — შენ გადაწყვეტ და განაგებ საქმეებს, რომლებზედაც დამოკიდებული იქნება მრავალთა ბედ-იღბალი. ეს სამუშაო, — განაგრძობდა იგი აღელვებით, — ვიმედოვნებ, სურვილს აღგიძრავს ისევ მოკიდო ხელი შენს მატთანეს. დიახ, ჩემო ღირსეულო მეგობარო, — ჩაფიქრებული ღიმილით დაამთავრა მან, — ის ვინც ქმნის ისტორიას, შეეცდება აღწეროს კიდევ.

და მართლაც, როგორც კი შეფემ წინადადება მისცა დონ როდრიგოს არქიებისკომოსად უნდა გაკურთხოო, კანონიკის სულში ასეთმა ცთუნებამ გაიღვიძა. ჭერ აღფონსო დათანხმდა მძიმე ტვირთზე — ფრთხილ მრჩეველ ეფრაიმზე, ახლა კი თავისივე სურვილით როდრიგოსაგან, ბრძოლის მოძულე, მშვიდობისმოყვარე კაცისგან, დამოკიდებულს იხდის თავის თავს. მხოლოდ სულიერად გარდაქმნილ აღფონსოს შეეძლო ასეთი ორმაგი ტვირთი მოეხვია თავზე. ამის შეგნებამ დონ როდრიგოს გულში ახალი იმედის მორჩი ლამის ნეტარი წინათგრძნობა აღმოაცენა, რომ როდრიგოს ნაღვლით სავსე გულგატეხილობა უსაფუძვლო იყო და იმ საშინელ საქმეს, ამ წლის განმავლობაში რომ მოხდა, თავისი აზრი ჰქონდა. მაგრამ კანონიკი თავს ნებას არ აძლევდა, მისი ფიქრები ნათელ აზრებად დალაგებულიყო, მას აღარ უნდოდა ახალი გულგატეხილობა განეცადა.

— ფიქრადაც არ მომდის მატთანეს ხელახლა წამოწყება, — გაცხარებით უპასუხა მან მუსას, — ჩემ მიერ მოგროვილი ყველა მასალა გავანადგურე, შენ ეს კარგად იცი. — აკადემია მოკლე დროში მოგიგროვებს ყველა საჭირო მასალას, — მშვიდად უპასუხა მუსამ. — ჩემი მასალებიდანაც ბევრი გამოგადგება. სიამოვნებით შევარჩევ მათ შენთვის. მართალია, შენთან კავშირის შენარჩუნება ადვილი აღარ იქნება, — განაგრძობდა იგი ჩაფერფლილი სახით, — ვინ იცის, დედამიწის რომელ კუთხეში მომიხდება თავშესაფრის ძებნა, როცა შენი მფარველობა მომესპობა.

პირველად როდრიგო ვერ მიხვდა. შემდეგ კი ეცადა დაემშვიდებინა მეგობარი. — ეს რა გიფიქრია? თავისთავად ცხადია, შენც ჩემთან ერთად წამოხვალ სიგუენცში.

მუსას სახე გაუბრწყინდა. მაგრამ მუსლიმანური კანონები მას უკარნახებდა. არ დათანხმებულიყო უცებ.



სიგუენცის საეპისკოპოსო სასახლეში ჩემ ყოფნას განა ზედმეტად არ ჩათვლიან? წინადაცვეთილი ოჯახის წევრი გაოცებას გამოიწვევს შენს სამრევლოში. — რაც უნდათ ის თქვან, — მოკლედ და პირქუშად უპასუხა როდრიგომ.

გულღია, ბედნიერი ღიმილი უნათებდა ულამაზო სახეს მუსას, რომელიც ლაპარაკს განაგრძობდა. — ნება მომეცი შენი ყურადღება მივაქციო კიდევ იმას, რომ ახლა განსაკუთრებით გაგიჭირდება ჩემთან ყოფნა. მე ხომ გასაქანს არ მოგცემ, ვიდრე ისევ არ მიუჭდება შენ მატთანეს.

უკვე ახლავე, ტოლედოში, მუსა ამხნევებდა მეგობარს და ყოველთვის ითრევდა მას ხანგრძლივ ისტორიულ-ფილოსოფიურ დავაში. იგი საწერი მაგიდის წინ იდგა, რალაცას ბლაჯნიდა და მხარიღლივ სიტყუებს ისროდა: — შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ, მუსლიმანები, იძულებული გავხდით უარი გვეთქვა ტოლედოზე, როცა ქალაქი, შეიძლება ითქვას, უკვე ჩვენ ხელთ იყო. ჩვენი დრო, ჩვენი ძლიერების ოქროს ხანა, სამწუხაროდ, წავიდა და შინაური განხეთქილებანიც, რომელმაც აიძულა ხალიფა უკან გაბრუნებულიყო სრული გამარჯვების წინაღლით, კიდევ ბევრჯერ გამეორდება. ეს ისევე გარდაუვალია, როგორც ალხარეზმის მათემატიკური კანონი. მუსლიმანთა მსოფლიო ბატონობა, თავისი გარეგნული სიმძლავრის მიუხედავად, უძლურდება. მყარი აღარაა.

როგორც მუსა მოელოდა, როდრიგო ამ სატყუარით გამოიწვია. — შენ ბედავ და ამბობ, რომ თქვენი დრო წავიდა! — შეეკამათა იგი, — მაგრამ თქვენ ხომ გაიმარჯვეთ! ჩვენი არმია განადგურებულია, თქვენმა საზღვარმა თვით ტოლედომდე მიაღწია, ჩვენი ამაყი დონ ალფონსო თქვენ ხარკს გიხდით. — იგი გაბრაზდა: — მუსლიმანთა ბატონობა სუსტდება! მუსლიმანთა ოქროს ხანა წავიდა! ამ უკანასკნელი საუკუნის მანძილზე სამჯერ გავილაშქრეთ თქვენს წინააღმდეგ ისეთი არმიით, რომლის მსგავსი ჯერ არც ერთ ქვეყანას არ უნახავს. ხუთასი ათასი ქრისტიანი რაინდი დაიღუპა ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში და ათასეული ათასობით სხვა ქრისტიანი ხალხი, რომ არაფერი ვთქვათ ქრისტიანთა სამშობლოში მძვინვარე შავ ჰირზე, ავადმყოფობასა და სიღატაკეზე. ხოლო წმიდა ქალაქი ახლაც თქვენ ხელშია, როგორც ასი წლის წინათ იყო. შენ კი ჩივიხარ, რომ თქვენი სამეფო დაცემის გზაზეა!

მუსა თავაზიანად შეედავა: — თავს ნაკლებ ბრძენად გვიჩვენებ, ვიდრე სინამდვილეში ხარ, ჩემო ღრმად პატივცემულო მეგობარო. ისტორიას რამდენიმე ათწლეულის, ანდა ერთი საუკუნის ვიწრო ჩარჩოში აქცევ და ისე მსჯელობ, თითქოს მართო ეს დამთავრებული

პერიოდი იყოს. ჩვენ ხომ, მე და შენ, მარტო დღევანდელი და გუშინ-  
დელი დღის აღწერას არ ვაპირებთ, ჩვენ ხომ ვისწრაფებით მოვლენათა  
დედაარსი დავადგინოთ, ჩვენ გვსურს ამოვხსნათ იმის მიმართულება,  
რაც ხდებოდა და, როგორც ღვთის ნამდვილმა მოციქულებმა, მომა-  
ვალი ვიწინასწარმეტყველოთ. სამწუხაროდ, ირაკვევა, რომ თქვენი  
ჯვაროსნული ლაშქრობები უიღბლო არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ის  
მიწები, რომლებიც თქვენ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში  
დაიპყართ, არ ღირდა ამდენ მსხვერპლად. მაგრამ, სამაგიეროდ, ჩემ-  
ზე უკეთ იცი, რომ თქვენ სავსებით დაუფლეთ სამეურნეო გამოც-  
დილებებს და ფასდაუდებელ პოლიტიკურ და მეცნიერულ ცოდნას.  
ჩვენ სიამოვნებით გატარებდით ჩვენს ფაბრიკებში, გაჩვენებდით,  
როგორ ვზრდით ჩვენს ახალგაზრდობას, როგორ ვმართავთ ქალაქებს  
და ვაწყობთ სასამართლოებს. თქვენ ბეჭითი მოწაფეები იყავით და  
ყველაფერი გადაიღეთ, რაც ჩვენ კარგი გეჭონდა. თქვენ ღიხვდით,  
რომ ჩვენ საუკუნეში უფრო საჭიროა არა რაინდები, არამედ  
მეცნიერები და მცოდნე ხალხი. ხუროთმოძღვრები და იარაღის  
მკედლები, ინჟინრები, სხვადასხვა ხელობაში დახელოვნებული ოს-  
ტატები და გამოცდილი სასოფლო მეურნენი. თქვენ ახალგაზრდები  
ხართ, იზრდებით, მალე დაგვეწვევით და გაგვისწრებთ კიდევ. ხუთა-  
სი ათასი რაინდი დაკარგეთ. მაგრამ დამარცხებულები მაინც  
არა ხართ.

მისი სუსტი ხმა ძლიერად ეღერდა. თვინიერი, კვიანური, ოდნავ  
დამცინავი თვალებით შეჰყურებდა იგი მეგობარს. როდრიგო ღუმ-  
და, კმაყოფილებას გრძნობდა, რომ დამარცხებული იყო.

არა ერთხელ ჰქონიათ ასეთი საუბარი. საუბარი და კამათი, რომ-  
ლის დროსაც როდრიგო, თავისდა გასაკვირად. ამტკიცებდა, რომ  
გაიმარჯვეს ურჯულოებმა. მუსას კი მუსლიმანთა საბოლოო გამარჯ-  
ვებაზე ეპვი ეპარებოდა.

მაგრამ რამდენადაც მეტს ფიქრობდა როდრიგო მეგობრის მო-  
საზრებებზე, იმდენად უფრო დამაჯერებლად ეჩვენებოდა იგი და  
უფრო მეტად შთაავგონებდა თავისი ძალებისადმი რწმენას. კანონიკი  
თავს ახალგაზრდად და გადახალისებულად გრძნობდა. მას უკვე  
აღარ აწვალებდა კორინთელთა მიმართ წმიდისა მოციქულისა პავ-  
ლეს ეპისტოლე, რომელშიც მოციქული ერთმანეთს უპირისპირებს  
ღვთის უმეცრებას და ბრძენთა უბრძენსობას. ამათ ნაცვლად მასში  
სასიხარულოდ ეღერდა მოციქულის სხვა სიტყვები: „ძველმა განვ-  
ლო, ყველაფერი გადახალისდა“. ნეტარი ექსტაზით მიღწეულ ბრძა-  
რწმენის ნაცვლად ახლა მასში ცოცხლობდა ბუნდოვანი თვითრწმენა,  
შეგრძნება, რომელიც ყოველდღიურად უმტკიცდებოდა: რაც არ

უნდა იყოს, ქვეყანაზე ყოველ მოვლენას თავისი აზრი აქვს. მან ჯერ კიდევ ვერ შესძლო ეს შეგრძნება ლოგიკურად თანმიმდევრულ ფრაზებში ჩამოეყალიბებინა. იგი არც ისწრაფოდა გარკვეულობისაკენ. მისთვის საკმარისი იყო ისტორიის არსზე იმდენი ცოდნოდა, რამდენიც წმიდა ავგუსტინმა იცოდა ამბავთა არსის შესახებ: „როცა არ შეკითხები, ვიცი; როცა შეკითხები, არ ვიცი“.

ამასობაში მუსას სიტყვები თანდათან ფეხს იკიდებდა დონ როდრიგოს ცნობიერებაში და თანდათან უფრო მხურვალედ გრძნობდა სურვილს ღვთის ნამდვილი მოციქული ყოფილიყო და მომხდარ ამბავში გონივრული გზა ეპოვნა.

და მაინც ვერ გადაეწყვიტა თავისი მატრიანესათვის ისევ ხელის მოკიდება. მას ახალი იქვენულობა დაეუფლა. — ვშიშობ, — განუცხადა მან მეგობარს, — რომ ჩემი შრომისაკენ იმდენად ღვთის მსახურება როდი მიბიძგებს; რამდენადაც მწერლის პატივმოყვარეობა.

მუსამ ცბიერად შეხედა მას. მოიტანა „ნეტარი ავგუსტინეს ცხოვრება“ — დიდტანიანი წიგნი და კანონიკს წაუკითხა, თუ რა დაწერა წმიდანის ცხოვრების უკანასკნელ დღეებზე მისმა მოწაფემ პოსიდიუსმა. ავგუსტინე იმ დროს არქიეპისკოპოსად იყო ვანდალების მიერ გარემოებულ ქალაქ ჰიპოში. მისი სასახლის ფანჯრიდან ჩანდა, როგორ იწვოდა კართაგენი. ავგუსტინე სამოცდაათექვსმეტი წლის, უძლური მოხუცი იყო და იცოდა, რომ მალე მოკვდებოდა. მას ალყაშემორტყმული ქალაქისა და მტრისაგან დაპყრობილი მთელი პროვინციის ბედი აწუხებდა. მაგრამ იგი მაინც ერთხელ კიდევ კითხულობდა ყველა თავის მრავალრიცხოვან ნაწერებს, ასწორებდა და სცვლიდა, სურდა, რომ ჰიპოს ბიბლიოთეკაში დარჩენილიყო მთელი მისი შემოქმედების უშეცდომო ეგზემპლარები. გარდა ამისა, იგი ისწრაფოდა კიდევ ერთი წიგნის დამთავრებას, რომლის დანიშნულება იყო იულიანე განდგომილის ნაწერების უარყოფა. „ავგუსტინე, ყველა ეპისკოპოსთა შორის უწმინდესი, — მოგვეთხრობს პოსიდიუსი, — გარდაიცვალა სექტემბრის თვის მეხუთე დღეს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე ყოველ ძალას ხმარობდა, რომ ვანდალების იერიში მოეგერიებინათ და მუშაობდა თავის დიდ პოლემიკურ ნაშრომზე, რომელიც იულიანე განდგომილის წინააღმდეგ იყო მიმართული“.

მუსამ თავი დაანება წიგნის კითხვას და ცბიერად ჰკითხა: — ხო? არ გინდა წმიდა ავგუსტინეზე უფრო წმიდა იყო, ჩემო ღირსეულო ზეგობარო? საკუთარ გულისხმას მიუგდე ყური და იფიქრე — იქნებ შენი იქვენულობა მხოლოდ ღვთისმოსაური ქედმაღლობაა?

იმავე საღამოს როდრიგომ ერთი დასტა თეთრი, ძვირფასი ქა-

ღალდი მოამზადა და დინჯად, სიამოვნებით დაწერა: „იწყება ესპანეთის ისტორია. Incipit chronicon rerum Hispanarum“.

მუსამ კი ღიმილით შენიშნა: — არც ერთი მანკი არ იღვამს ისეთ ღრმა ფესვებს, როგორც მთხზველობის მანკი.

ეფრაიმის მიერ მოტანილი ზავი მოსალოდნელზე უკეთესი იყო. მაგრამ ეფრაიმმა ვერ მიაღწია — ალბათ, ძალიან არც ცდილა, — რომ ზავი თორმეტ წელზე ნაკლები დროით ყოფილიყო დადებული.

როცა მისგან დაწერილებით პასუხი მოისმინა, ალფონსომ თქვა: — კარგად მესმის, რომ შენი მადლობელი უნდა ვიყო, მადლობელიც ვარ. ჩემ გრანდებს მოვიწვევ, რომ მათი თანდასწრებით დამიბრუნო ხელთათმანი — შენთვის დაკისრებული დავალების ნიშანი. — ასეთი ფუფუნება სულ არ შემშვენის, — უარი თქვა თითქმის შეშინებულმა ეფრაიმმა, — და ალჰამაშიც ამის გამო მეგობრები კი არა, მეშურნეები მომემატებიან.

თვალები მოქუტა ალფონსომ და ჰკითხა, მართლა ფიქრობს თუ არა ეფრაიმი, რომ მეურნეობის აღდგენას თორმეტი წელიწადი დასჭირდება.

გუნებაში ეფრაიმი აღშფოთდა. თავის დროზე იგი დაყინებით არწმუნებდა ამ კაცს ქედი მოეხარა და შემზადებულიყო ხანგრძლივი ზავისათვის. მხოლოდ ამ პირობით მიიღო ეფრაიმმა ასეთი მძიმე დავალება, დონ ალფონსო კი, ხელშეკრულების დადებისთანავე იმაზე ფიქრობს, როგორ დაარღვიოს იგი. — შენი სამეფო, მეფეც ბატონო. ისეთ მდგომარეობაშია, რომ მგონი თორმეტ წელზე მეტხანს მოგიწევს მოთმენა, — ცივად უპასუხა მან. — მე ვერ ვიცოცხლებ შენ მეორე ლაშქრობამდე და არც შენ იქნები იმ დროისათვის ახალგაზრდა.

რადგან ალფონსო გულდაწყვეტილი იჯდა და ხმას არ იღებდა, ეფრაიმმა დაამშვიდა: — შეურიგდი ამ ამბავს, მეფეც ბატონო. დონ იუპუდამ ბევრი იშრომა შენ სასარგებლოდ. მან დაამყარა საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ქვეყანაზე თავსდატეხილ უბედურების შემდეგაც გრძელდება. იუპუდამ მთელ მსოფლიოს დაანახა, რა სიმდიდრე იმალება კასტილიაში. მან განამტკიცა შენი კრედიტი. მაგრამ იუპუდას მიერ მოგვარებული საქმეებით რომ ისარგებლო, მის მიერ დასახული გეგმით უნდა იხელმძღვანელო, იგი მშვიდობიანობისათვის შრომობდა. უახლოეს წლებში ნუ იფიქრებ რაინდებსა და ბარონებზე, რომლებიც მხოლოდ აკოტრებენ ქვეყანას, იფიქრე შენს ხელოსნებზე, მხენელ-მთესველებსა და ქალაქებზე. შელავათები მიე-

ცი მათ, მიეცი ფუეროსი, გააძლიერე ისინი, რომ შესძლონ შენს გრანდებს დაუპირისპირდნენ.

ღონ ალფონსო შინაგანად არ ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც ყურადღებით უსმენდა. რას იზამ, ერთხელ და სამუდამოდ მისთვის ყველაზე მახლობელი რაინდთა სამყაროა. სამართალი მეფისა სხვაა, ვიდრე სამართალი მოხუცი ებრაელისა და ბანკირისა. ალფონსოს ფილოსოფია ბერტრანის სიმღერებშია გადმოცემული. მაგრამ, ეს ეფრაიმიც, როგორც ჩანს, მართალია, და თუ ალფონსოს თორმეტაწლის მერე სურს წარმატებით აწარმოოს ომი, იგი ჯერ უმდაბლესებს უნდა მოეფეროს. მოქალაქეებს და მხვინულ-მთესველთ, ვილანებს, უნდა მისცეს ადგილი თავის საბჭოში და უნდა დასაჯოს რაინდი, როცა იგი სცემს თავის გლეხს ან მოქალაქეს ძალით წაართმევს ფულის ქისას. ეს იქნება მივარდნილი, მოსაწყენი ქვეყანა, ნაღვლიანი კასტილია და ამ კასტილიის მეფობა მოუწევს ალფონსოს.

ღონ ეფრაიმი ახლა შეეხო ქვეყნის მეურნეობის სამწუხარო მდგომარეობას. მაღაროების დამუშავება სრულიად ჩამორჩენილია, მაუდის მანუფაქტურები, რომლებიც იეპტუდას მზრუნველობით აყვავდა, დანგრეულია ან გაფუჭებული, ჯოგები გარეკილია, მეცხვარეობა, ომამდე შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული, კასტილიური მარავედი გაუფასურებულია; ერთ არაგონულ მარავედზე ექვს კასტილიურ მარავედს მოითხოვენ. მიწათმოქმედება და ხელოსნობა საბოლოო განადგურებიდან რომ იხსნან, უნდა შემციირდეს მძიმე გადასახადები და ბევრი ახალი შეღავათი უნდა უბოძონ მათ. ეფრაიმი წვრილმანებზე გადავიდა. ზუსტად მიუთითა, რომელი გადასახადი და ბაჟი იყო შესამცირებელი, რომელი სრულიად გასაუქმებელი. მოჰყავდა ციფრები, დაუსრულებელი ციფრები.

როცა ღონ იეპტუდა ასეთ საუბრებს იწყებდა, იგი აღწევდა იმას, რომ ცოტა ხნით მაინც გაიტაცებდა ალფონსოს, მაგრამ შემდგომ კი მეფის გულში წყენა იფეთქებდა ასეთი მშრალი, მეფის ღირსებისათვის შეუფერებელი საქმეების გამო და ისე ხდებოდა ხოლმე, რომ უხეშად შეაწყვეტინებდა საუბარს. ახლა კი, თუმცა ეფრაიმი სრულიადაც არ ფლობდა იეპტუდას ბრწყინვალე მკვერმეტყველებას, ღონ ალფონსო თანდათან ყურადღებით უკვირდებოდა ერთმანეთისაგან გამომდინარე ციფრებს, ძალიან ზუსტად და შთამაგონებლად იცოდა თვლა ამ მოხუცმა ებრაელმა. ალფონსოს არ სურდა თავის თავსაც გამოსტეხოდა, რომ მოსწონდა კიდევ ეს ამბავი. რაკი ასეთი უსიხარულო დრო დგება, არ უნდა აარიდო თვალი, პირიქით, უკეთესია როგორმე შეეგუო მას. ალფონსოზე ადრე ასეთივე ხვედრი

ზედომიათ წილად სხვა უდიდეს და ძლიერ მონარქებს, მაგალითად, მეფე ჰენრიხს, ალფონსოს კი, ისედაც ძვირად დაუჯდა თავისი სიბრძავე.

— შენი ბედი, მეფევ ბატონო, რომ თავის დროზე იეჭუდას ნება მიეცი შენს სამეფოში ექვსი ათასი ფრანკი ლტოლვილი დაესახლებინა, — მსჯელობდა ეფრაიმი, — ამ უნარიან ადამიანებში აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც შეცვლიან ბრძოლაში დაღუპულ ან დაკარგულ თავის საქმის კარგ მცოდნეებს. უნდა მიეზლოს საკადრისი დონ იეჭუდას — კურთხეული იყოს წმიდანის ხსოვნა, — მან კი...

აქ მეფემ შეაწყვეტინა ეფრაიმს. — ერთხელ უკვე შემოგთავაზე ჩემი ხაზინის მართვა, — დაიწყო მან, — შენ უარი მითხარი, როგორც ჩანს, ჰკვიანად მოიქეცი; იმ დროს იქ სამართავიც თითქმის არაფერი იყო და ჩემ მრჩეველებს ცუდი დღე დაადგათ. ხაზინა, მგონი, ახლა უფრო მცირეა. სამაგიეროდ, მე მოვჰკვიანდი, რაც, უნდა ვიგულისხმობთ, შენც შენიშნე. მეორედ გთხოვ: იყავი ჩემი ალჰაქიმი ანდა — უფრო კარგია — ალჰაქიმი მაიორი.

ეფრაიმი ელოდა ამ წინადადებას და ეშინოდა, მთელი სულითა და გულით წინააღმდეგი იყო ამის. სახელმწიფოებრივი თანამდებობები ყოველთვის აშინებდა მას, ახლა კი იგი მოხუცი იყო, უნდოდა უკანასკნელი დღეები საკუთარი ოჯახის კერასთან გაეტარებინა, ახლობლების მზრუნველობაში და მშვიდად წასულიყო ამ ქვეყნიდან. მასში უცებ იფეთქა მთელმა სიძულელიმა დონ ალფონსოსადმი. უაზრო რაინდული სილაღისათვის ამ კაცმა სასიკვდილოდ გარეკა ის სამი ათასი მებრძოლი, რომელიც ალჰამამ მისცა მას. თავის ერთგულ მსახურს იბნ ეზრას წაართვა ქალიშვილიცა და ვაჟიშვილიც, თვითონ ისიც არ დაიცვა უბედურებისაგან. ახლა კი ამ კაცს უნდა ეფრაიმი შეებას თავის ტვირთსაზიდარში, რათა მოეხმაროს მის წინ მდებარე დაკლაკნილსა და მძიმე გზის დაძლევაში.

— დიდ პატივს მანიჭებ, — უპასუხა მან. — მაგრამ მოლაპარაკება სევილიაში ძალიან დამქანცველი იყო. ახლა კი ალჰამის საქმეები მელის. ძალიან მოხუცი ვარ, გამათავისუფლე ამისგან, მეფევ ბატონო.

ბავშვივით ჭიუტად შეედავა ალფონსო. — მე კი მინდა, რომ ალჰაქიმად ებრაელი მყავდეს. — სიტყვებს დაულაგებლად და შეიძლება შეუსაბამოდაც ამბობდა, მაგრამ ამაში იყო ადრინდელი ალფონსოს გულთბილობა. ეფრაიმმა თითქოს მის გულში ჩაიხედაო. თგი მიხვდა, რომ ალფონსოს უნდოდა მიცვალებული ესკრივანოს წინაშე გამოესყიდა თავისი დანაშაული, გარდატეხა მოეხდინა თავის თავში და წასულიყო იეჭუდას მიერ შერჩეული გზით. მაგრამ იგი ოდნავ

შეშინებულია და ეძებს ახალ დასაყრდენს, თუ ეფრაიმი მიიღებს ამ თანამდებობას და იეჰუდას წამოწყებულ საქმეს გააგრძელებს, უეკველად მოისწრაფებს სიცოცხლეს. მაგრამ მას თვალწინ წარმოუდგა იეჰუდას გაბრწყინებული, დამცინავი თვალების დაყინებული მზერა, ჩაესმა მისი რბილი სასიამოვნო ხმა. გაახსენდა მასთან უკანასკნელი შეხვედრა. ვილაცამ ხომ უნდა გაუწოდოს ხელი ამ ქრისტიანი მეფის გამოწვდილ უხეშ, კუჭკუიან ხელს და გაქირავებით ათრიოს იგი ამ ქვეყნის ვიწრო, ძნელად სავალ ბილიკზე.

თბილი ტანისამოსის მიუხედავად, ეფრაიმს სციოდა და ნამღვილად ძალიან მოხუცი და უძლური ჩანდა. ყველა სიტყვას ძალდატანებით გამოთქვამდა: — რაკი მიბრძანებ, შევეცდები შენი ქვეყნის მეურნეობა მოვაწესრიგო.

— მაღლობელი ვარ, — უთხრა ალფონსომ და ენის ბორძიკით დასძინა: — მე მინდა კიდევ ზოგიერთი საკითხი განვიხილო შენთან ერთად, ღონ ეფრაიმ ბარ აბა. ყოველთვის ვერ ვიჩენდი ჩემი მიცვალებული ესკრივანოსადმი ისეთ მაღლიერებას, რისი ღირსიც იყო და როგორც ჩემი პაპა აჯილდოვებდა თავის იბნ ეზრას. მტანჯავს ის, რომ მიცვალებულები დამარხვითაც, უცებ, ლატაკებზეთ დამარხეს. ხშირად მიფიქრია, ჩემს ყაიდაზე დამესაფლავებინა, როგორც მათ მაღალ წოდებას შეეფერებოდა. მაგრამ საღი გონებით რომ განვსაჯე, გადავწყვიტე, რომ უკეთესი იქნება, თქვენი წესითა და თქვენებური პატივით დასაფლავოთ ჩემი მიცვალებული ესკრივანო და ღონა რაკელი, მისი ქალიშვილი, რომელიც ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო. სულ იერად ისინი თქვენთან დარჩნენ, თქვენთან დარჩნენ უკანასკნელ წუთამდე. ძალიან დაგიმადლებ, თუ მათ ისე დასაფლავებ, როგორც თვითონ ისურვებდნენ.

— შენ დამასწარი ჩემი თხოვნა, მეფევე ბატონო, — უპასუხა ღონ ეფრაიმმა, — ყველაფერზე ვიზრუნებ. მაგრამ მეცი პატივი და დასაფლავება ცოტა ხნით შევაჩეროთ, ვიღრე ამას არ ვაცნობებთ ყველას, ვინც ისურვებს, უკანასკნელი პატივი სცენ ღონ იეჰუდა იბნ ეზრას.

ზავის დადების შემდეგ, მალე ღონა ბერენგარიას ვაჟიშვილი შეეძინა. არაგონისა და კასტილიის მომავალ მეფეს ფერნანი დაარქვეს. ნათლობა დიდი ამბით იზემეს. ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად სარაგოსაში ჩამოვიდა ნახევარკუჩქის ხუთივე მონარქი.

საზეიმო მაგიდასთან გვერდით-გვერდ ალფონსო და ლეონორი ისხდნენ, შემადლებულზე. ღონა ლეონორი ძველებურად კარგად

გამოიყურებოდა, მწყალობელი და ქედმაღალი, როგორც ბანოვანს შეეფერება, კურტუაზიული წესის მიხედვით ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ბევრ თავაზიან სიტყვებს ეუბნებოდნენ.

ამ დღეს ალფონსოს სრული უფლება ჰქონდა მეფეთა მეფედ ეგრძნო თავი და შეგნებულოც ჰქონოდა თავისი დამსახურება და ღირსება. სულ ერთი წლის წინ ქვეყანა მტრის მიერ იყო დაპყრობილი, ალფონსო კი თავის სატახტო ქალაქში ალყაშემორტყმული იჯდა. რა მწარედ იტანჯებოდა სირცხვილისაგან იმ დროს, როცა იგონებდა რიჩარდ ინგლისელს, რომელმაც საქმით აჩვენა ქვეყანას, რომ იგი miles christianus, მუსლიმანთა რისხვა, მელეკ რიკია. რიჩარდმა შტურმით აიღო მიუღღგომელი სიმაგრე აკო და ღია ბრძოლაში ბრწყინვალედ გაიმარჯვა სულთან სალადინის ლაშქარზე. ახლა კი როგორ შეიცვალა ყველაფერი! ჯვაროსნული მხედრობის უდიდესმა დანაქარგმა თითქმის ფუჭად ჩაიარა. არასახარბიელო ზავის დადების შემდეგ წმიდა ქალაქი ურწმუნოთა ხელში დარჩა, თვითონ რიჩარდი კი თავის მოკავშირეებს წაეკიდა, ავსტრიის დილეგში ჩასვეს და იქ იტანჯებოდა უმწეოდ. ის კი, ალფონსო, ზის აქ და ისევ, ძველებურად ძლევამოსილ მეფედ ითვლება ნახევარკუნძულზე. მისი შვილიშვილი ღონიერი ბოქუნა ფერნანი, რომელიც ახლა ამოიყვანეს ემბაზიდან, ნამდვილად გააერთიანებს არაგონსა და კასტილიას, შეიძლება თავისი დიდი პაპას, ალფონსო მეშვიდეს მსგავსად, იმპერატორის გვირგვინიც დაიდგას თავზე.

მაგრამ ამ ბრწყინვალეობასა და აყვავებაში ალფონსო მხოლოდ უფრო მწვავედ განიცდიდა შინაგან გაპარტახებას. უცქეროდა დონა ლეონორას და გრძნობდა მის სიცარიელესაც. უყურებდა თავის ქალიშვილს ბერენგარიას და მის თვალებში, დედისეულ დიდ მწვანე თვალებში დაუოკებელ სიამაყეს, ძალაუფლებისა და პატივის უფრო მეტ წყურვილს ხედავდა. ალფონსო დარწმუნებული იყო, რომ ბერენგარია ქმარს სისუსტეს საყვედურობდა იმისათვის, რომ ალფონსოს დამარცხების შემდეგ მან არ მიითვისა მეთაურობა მთელ ნახევარკუნძულზე. ალფონსოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამიერიდან მთელი ფიქრები შვილისაკენ, მომავალ იმპერატორ ფერნანისკენ ჰქონდა მიპყრობილი ბერენგარიას, რომ მამისადმი მას გულში არაფერი აქვს გარდა მტრობისა და გულგრილი უგულუბელყოფისა. ალფონსო მის ვაჟსა და მის ძალაუფლებისმოყვარულობას გზას უღობავს. მან თავისი ავხორცული სიამოვნების გამო დაივიწყა სამეფო ვალი, ერთხელ უკვე კინაღამ დაღუპა სახელმწიფო, რომელიც მას და მის ვაჟიშვილს ეკუთვნის და იქნებ მთლად დაღუპოს ის, ვიდრე მისი შვილი ფერნანი იმპერატორის გვირგვინს დაიდგამდეს.



პაეები, რომლებსაც მეფისათვის საქმელი, ღვინო და პირსახოცი მოჰქონდათ, უმწეოდ იდგნენ და იცდიდნენ. ალფონსო მათ ვერ ამჩნევდა. მისთვის უცებ ნათელი გახდა, რომ ის მარტოდმარტო თავის ხუთ მილიონ კასტილიელს შორის, მთელი მათი თავყანისცემის მიუხედავად. უსასრულოდ ეული, თვალგაშტერებული იყურებოდა ალფონსო ცარიელ სამყაროში.

ღონ როდრიგომ ნაღვლიანად შენიშნა, რომ თავისი კეთილგანწყობილი მეფური ნიღაბის ქვეშ ალფონსო ღრმა და ამაყ ფიქრებში გაირინდა. კანონიკი საშინელო სიბრალულით და მასთან ერთად ჟამთაღმწერელის ფანტიკური ცოდნისმოყვარეობით შეპყრობილი, სწავლულის გულმოდგინეობით ადევნებდა თვალს ალფონსოს. ნამდვილია, რომ ღონ ალფონსო memoria tenax, intellectu capax, vultu vivax. იგი გონებაში მტკიცედ ინახავს ყველა ამბავს, თავისი ფხიზელი გონებით უცებ აღიქვამს მათ, იხსომებს და მის სახეზე აღიბეჭდება. დიახ, ღონ ალფონსოს სახეზე აღიბეჭდა მის მიერ გადატანილი ამბები, აღვირახსნილი ვნებანი, ძნელი, სწრაფი გამარჯვებები, მწარე დამარცხებანი, თავის თავთან ბრძოლა და შეცნობა. შუბლი და ლოყები ღრმა ნაოკებს დაუღარავს. ალფონსოს სახე მისი ცხოვრების მატრიანე გახდა. უკვე, ახლავე, ორმოცი წლის მამაკაცის გარეგნობაში მოხუცის ნაკვთები გამოკრთის, როგორც იქნება იგი ღროთა განმავლობაში.

სამეფოს ჩრდილოეთით, ნავარის საზღვრის ახლოს, ბარონების დე აროს სამფლობელოში ცხოვრობდა განდეგილი, რომელსაც თავის თავისთვის მძიმე ეპითიმიები ჰქონდა დადებული. იგი სიერა დე ნეილის ფლატეებიანი ხრამის ზევით, გამოქვაბულში ცხოვრობდა. მხოლოდ სასწაულით თუ შეიძლებოდა იქ არსებობა, რადგან იგი უსინათლო იყო და მხოლოდ განგება თუ იფარავდა მას, რომ ფეხი არ ასცდენოდა, ხრამში არ გადაჩეხილიყო და ნადირს არ დაეგლიჯა. ხმები დადიოდა, რომ მგლები დაბობლავდნენ მის წინაშე და ზელებს ულოკავდნენ.

ცოდვილები აღიოდნენ მასთან შესაწირავით, რომლითაც იგი თავის მცირე მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა. მომსვლელნი თხოვდნენ, რომ ის ხელით შეხებოდა, ვინაიდან მისი ხელიდან მადლი გამოდიოდა. ცოდვილის შუბლზე ერთი ხელის შეხებით შეეძლო თქმა, მთლიანად მოინანია თუ არა მან თავისი ცოდვა. ხმები მწირისა და მის მიერ მოხდენილი სასწაულის შესახებ მთელ ნახევარკუნძულს მოედო.

ეს მეუღაბნოე სწორედ ის დიეგო იყო, რომელსაც ალფონსოს ბრძანებით, ალარკოსთან თავისი პირველი ძღვეამოსილი ბრძოლის დროს, თვალები დათხარეს საგუშავგოზე დაძინების გამო.

დიეგოს სენიორები, ბარონები დე არო, მეფის ურჩი, კირვეული ვასალები იყვნენ. მათ გამოაცხადეს, რომ უკანასკნელი წლების თავ-ქარიანობისა და გარყვნილების გამო ქალაქი ტოლედო ცოდვებში ჩაეფლო. დიეგოს მოთხოვეს ქალაქს გამგზავრებულყო — წმიდანის მისვლა ტოლედოლებს სინდისში ჩაახედებსო. ნამდვილად კი ბარონები დე არო იმედოვნებდნენ, რომ დიეგოს მოსვლა მეფეს უსიამოვნებას მიაყენებდა.

ტოლედოს მცხოვრებნი ჯგუფ-ჯგუფად მობრძნენ დეთის კაცის სანახავად და თავყანის საცემად. და თანდათან უფრო აშკარად მოითხოვდნენ, რომ მეფესაც თავის მხრივ ესარგებლა სასწაულთმოქმედის აქ ყოფნით. წინათ, როცა სახეგაბრწყინებელი დონ ალფონსო ფერმოზას ტახტრევეანს მიჰყვებოდა გვერდით, მათაც უხაროდათ მეფისათვის შეუფერებელი მხიარულება, რომელიც მათ გულს სიამეს ფენდა, ესალმებოდნენ ალფონსოს და იმ დღეს, როცა ისინი მას ხედებოდნენ, საზეიმო დღედ თვლიდნენ. ახლა კი ისინი მოკრძალებულ სიბრალულს, მორიდებასა და ჩუმ ძრწოლას განიცდიდნენ, როცა ხედავდნენ კაცს, რომელიც ბედისწერას დაესაჯა. ცოდვისაგან სრულიად განწმენდას უსურვებდნენ და თვლიდნენ, რომ წმიდანი დაეხმარებოდა ამ საქმეში.

დიეგოს ირგვლივ შექმნილ ფაციფუცში როდრიგო მხოლოდ გარყვნილებასა და ცრუმორწმუნეობას ხედავდა, ბარონების დე აროს ბოროტ განზრახვას გრძნობდა და ამიტომაც ურჩია მეფეს, დიეგოსთვის ყურადღება არ მიექცია.

თვითონ ალფონსოსათვის მძიმე იყო მწირის გამოჩენა. მას დავვიანებული სირცხვილი სწევდა, როცა ფიქრობდა, როგორი ტრახახით უყვებოდა რაკელს უბედური გუშავის დაბრმავების ამბავს და ამ შემთხვევის გამო თავის გამონათქვამს მათ მიმართ, ვინც მოვალეობის შესრულებას ივიწყებს. მას გაახსენდა, უცებ, როგორ დაინისლა რაკელის მხიარული სახე, ახლა კი იცოდა ალფონსომ, რატომ შეიცვალა რაკელი ასე.

მაგრამ ალფონსომ შენიშნა, რომ ადამიანები შეშინებულები უყურებდნენ, კარგადაც ესმოდა მათი, ესმოდა, თუ რისთვის უნდოდათ მისი შეხვედრა სასწაულთმოქმედთან. გარდა ამისა, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, უნდოდა ერთხელ მაინც ენახა, როგორი გახდა ყბადაღებული დიეგო. ნუთუ მან, ალფონსომ, მისდა უნებურად გადააქცია იგი წმიდანად?

როცა უსინათლო დაინახა, ნათლად წარმოუდგა თვალწინ წინანდელი დიეგო. ის იყო უხეში შესახედობის, მტკიცე ხასიათის, თვითკმაყოფილი ახალგაზრდა, ცოტათი ჰგავდა გუტიერე დე კასტროს; ნუთუ მის წინ ის დიეგოა, რომელსაც მისი ბრძანებით თვალები დათხარეს? დონ ალფონსომ უხერხულობა იგრძნო და ინანა უსინათლო რომ მოაყვანინა. აღარ იცოდა, რა ეთქვა მისთვის. ისიც დუმდა.

ბოლოს მეფემ ნაწილობრივ თავისი სურვილის წინააღმდეგ იხუმრა. — როგორც ჩანს, ჰეშმარიტება, რომელიც მე ძალით ჩაგავონე, სასარგებლო გამხდარა შენთვის. — ვინ არის ეს — მე? — იკითხა დიეგომ. მეფის წყენა და გაკვირვება თანდათან მატულობდა. ნუთუ უსინათლოს არ უთხარეს, ვისთან მიჰყავდათ? მან არც კი იკითხა? — მეფე ვარ, — უპასუხა ალფონსომ. — ვერ ვიცანი შენი ხმა, — გაკვირვებისა და უხერხულობის გარეშე უპასუხა უსინათლომ, შენსას არაფერს ვგრძნობ ისეთს, რომ ცნობა შემძლებოდა. — უსამართლოდ მოგექეცი მაშინ დიეგო? — ჰკითხა მეფემ. — ღმერთმა გიბრძანა გაგეკეთებინა ის, რაც გააკეთე, — მშვიდად უთხრა უსინათლომ. — მაგრამ ძილიც, მე რომ მაშინ მომერიო, ღვთისაგან იყო ზეგარდმოვლენილი. აღარკოსი მკაცრი გამოცდა იყო და უფრო მეტად შენთვის, ვიდრე ჩემთვის. აღარკოსთან მაშინდელმა გამარჯვებამ გაცთუნა თამამად გაგებდა მეორე ბრძოლის დაწყება. მე ტანჯვამ ბოლოს ლოცვა-კურთხევამდე მიმიყვანა. სიმშვიდე მოვიპოვე. — და ზემოთ ნათქვამთან გარეგნული კავშირის გარეშე დასძინა, — გავიგე, აღარკოსი უკვე აღარ არსებობს.

ალფონსომ პირველად იფიქრა, რომ წმიდანობას ამოფარებული უსინათლო დასცინის მას, მაგრამ ეს სიტყვები ისეთი საოცარი გულცივობით იყო ნათქვამი, თითქოს იგი მათმა შემყურე შესამე პირმა მიუწვდომელი სიმაღლიდან თქვაო. ამ სიტყვებს ალფონსოს გულის ტკენა არ ჰქონდა მიზნად.

— ღმერთს ვევედრებოდი, — თქვა დიეგომ, — რომ უბედურება შენც სასიკეთოდ გადააქცეოდა, მეფე ბატონო. ნება მომეცი შეგხედო, — მოითხოვა მან და ხელები გაუწოდა. ალფონსო მიხედა, რაც უნდოდა მას, მიუახლოვდა და უსინათლომ ხელები მოუფათურა სახეზე. მეფეს არ ესიამოვნა გაძვალტყავებულ თითების შეხება შუბლზე და ლოყაზე. ამ ადამიანში ყველაფერი აუტანელი იყო მისთვის: გარეგნობა, საუბარი, სუნი. იგი ნამდვილად თავისი სურვილით იტანჯავდა თავს. იქნებ, ეს მხოლოდ მუშაითი, ბაზრის მეფოკუსია?

— დამშვიდდი, — უთხრა დიეგომ, — ღმერთმა მშვიდად ლოდინის ძალით დაგაჯილდოვა. *Quien no cae, se no llevanta*, ვინც

არ ეცემა, ვერც წამოდგება. შესაძლოა დიდხანს მოვიხდეს ლოდინი, მაგრამ ამისთვის ძალა გეყოფა.

აღფონსომ უსინათლო გააცილა კარებამდე და ვინც მოიყვანა, მათ ჩააბარა.

დადგა დღე, როცა იეპულა იბნ ეზრასა და მისი ქალიშვილის ჯვამები ამოთხარეს, რომ იუდეერიის სასაფლაოზე გადაესვენებინათ. ეს იყო აღრეული შემოდგომის თბილი, მოღრუბლული ამინდი: კლდეს, რომელზედაც ტოლედო მდებარეობდა, სქლად შემოხვეოდა მოშავო-მწვანე ბურუსი.

იეპულა და რაკელი თეთრ სუდარაში გაახვიეს და წესისამებრ უბრალო ფიცრის კუბოში ჩაასვენეს. კუბოში კი შავი, ფხვიერი ღიონის მიწა ჩაყარეს. სიონის მიწაზე ესვენა ახლა იეპულას თავი, რომელიც თავისი ხალხის განსადიდებლად იღვწოდა, და რაკელის თავიც, რომელიც მესიაზე ოცნებობდა.

ებრაელთა თემებმა ესპანეთიდან გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები. ბევრნი ჩამოვიდნენ პროვანსიდან და საფრანგეთიდან, ზოგიერთები გერმანიიდანაც კი.

ტოლედოს ალჰამის რვა საპატოო მამაკაცმა ასწია კუბოები და ზეებსა და ყვავილებს შორის, გალიანას ხრეშით მოყრილ გზაზე, წაასვენეს გასასვლელი კარებისაკენ, იქითკენ, სადაც შემომსვლელებს ესალმებოდა წარწერა: „ალაფია“. იქ მათ ელოდნენ შემცვლელები, რომლებმაც მოკლე მანძილის გავლას შემდეგ კუბოები სხვა მომლოდინე ხალხს გადასცეს, რადგან უთვალავი იყო მსურველი. შეესრულებინათ საპატოო მოვალეობა და მიცვალებულნი საფლავამდე მიესვენებინათ.

ასე, მხრებიდან მხრებზე, წინ მიიწევედა კუბოები ალკანტარის მცხუნეარე გზაზე, მდინარე ტახოზე გადებულ ხიდისაკენ.

ახალგაზრდა დონ ბენიამინსაც მიჰქონდა მოკლე მანძილზე ერთ-ერთი კუბო — დონა რაკელის. მსუბუქი იყო, მაგრამ მწუხარების მძიმე ტვირთისგან დაბეჩავებული ახალგაზრდა ძლივს მიათრევდა ფეხებს.

ცდილობდა ფიქრებით შეემსუბუქებინა მწარე ნაღველი. ფიქრობდა იმაზე, რომ საფრანგეთიდან გამოქცეული ის ექვსი ათასი ლტოლვილი, რომლებიც იეპულამ, მიუხედავად მწვავე წინააღმდეგობისა, მაინც შემოუშვა სახელმწიფოში, სასურველი თანამოქალაქეები გახდნენ. ყველაფერი სხვანაირად გამოვიდა, უკეთესად, ვიდრე ბენიამინი ელოდა. საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, თუ როგორ

წავიდა ელჩად ბიძამისი ეფრაიმი სევილიაში, როგორ მიადწია მშვიდობას და ახლა ყოველმხრივ ცდილობდა გაემტკიცებია და შეენარჩუნებინა ეს მშვიდობა. იეპუდას საქმე არ დალუპულა, ის წინ მიდის, მეფე კი არამც თუ ითმენს, არამედ ხელსაც კი უწყობს ყოველივე ამას. მაგრამ რამდენი მსხვერპლი და მწუხარება დასჭირდათ, ვიდრე ეს რაინდი გონს მოვიდოდა. და დიდხანს კი იქნება ამ ჰკუაზე?

უფლება არა აქვს მეფისადმი პირადი მტრობის გამო, უკანონოდ მსჯელობდეს მასზე. მეფე ნამდვილად გამოიცვალა. რაკელმა მიადწია თავისას. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც იმ ზღაპრებში იყო, რომლებიც ასე უყვარდა რაკელს. ჯადოქარმა სული შთაბერა თიხას და გააცოცხლა იგი, მაგრამ ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ნელა მიიბიჯებდა დონ ბენიამინი მსუბუქი ტვირთით, მხრებზე რაკელის ცხედრით, ღრმად ჩაფიქრებულს ფეხი ეშლებოდა და სხვებსაც უშლიდა კუბოს წაღებას.

ექვსი ათას ჩამოსახლებულს შეუძლიათ იცხოვრონ სასარგებლო ცხოვრებით. ეს უმნიშვნელოა ათი წლის განმავლობაში წარმოებულ ომებში მომხდარ ათასობით უსარგებლო სიკვდილთან შედარებით და ყველა მონაპოვარიც უმნიშვნელოა: ნამცეცი მშვიდობისა, რომელიც ეფრაიმმა ჩამოიტანა, ნამცეცი გონიერებისა, რომელიც მეფეს ჩაესახა. ყოველივე ეს მხოლოდ პატარა ნაპერწყალია უკუნეთ სიბნელეში. მაგრამ ეს ახალი სინათლის ნაპერწყალი ანათებს და, თუ ბენიამინს შიში მოიცავს, ნაპერწყალი თავისი სხივით განდევნის შიშს.

ამ დროს მას და ვინც მასთან ერთად მიდიოდა, კუბო უნდა გადაეცათ სხვებისთვის, რომლებიც თავიანთ რიგს ელოდნენ, ახლა, როცა ტვირთისაგან გათავისუფლდა და სხვებისთვის ფეხის შეწყობა აღარ იყო საჭირო, ფეხები საშინლად დაუმძიმდა. ძალა მოიკრიბა, გასწორდა და ფიქრი განაგრძო. მწარე, დაეინებული, თავიდან მოუშორებელი ფიქრი: ჩვენ ვალად გვაძევს საქმე ვაკეთოთ, მაგრამ მისი დაგვირგვინება არ გვიწერია.

სამგლოვიარო პროცესიამ ქალაქის საზღვარს მიადწია — ტახოზე გადებულ ხიდს. მიცვალებულთა შესასვენებლად ფართოდ გაიღო უზარმაზარი ალაყაფის კარი.

დონ ალფონსომ ბრძანა, რომ მისი მინისტრისათვის, რომელსაც ასე ცუდად გადაუხადეს ტოლედოელებმა სამაგიერო, უდიდესი პატივი ეცათ. ტოლედოს მცხოვრებნი სიამოვნებით დაემორჩილნენ ბრძანებას, ყველა სახლზე ეკიდა შავი ნაჭრები, მჭიდრო მუქ რიგებად იდგა ხალხი, ჩვეულებრივ ესოდენ ნაირფეროვანი ქუჩების გას-

წვრივ; ხმამაღალი ყრიაშულის ნაცვლად — მწუხარე, ყრუ გუგუნო-  
ისმოდა. გზებზე, ყველგან მეფის ჭარისკაცები იყვნენ გამწკრივებუ-  
ლი და როცა მათ წინ კუბოებს ჩაატარებდნენ, კასტილიის გერბი-  
ან დროშებს ხრიდნენ. ხალხი ქედს იხრიდა, ზოგნი მუხლებზე-  
ეცემოდნენ, ქალები და ქალიშვილები ხმამაღლა დასტიროდნენ  
ფერმოზას ბედს.

კუბოები მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ზევით, ქალაქის შიდა-  
ნაწილისაკენ მიჰქონდათ, გზაც ყველაზე მოკლე როდი აირჩიეს, პრო-  
ცესიამ ბაზრის მოედნისაკენ, სოკოდოვერისკენ გადაუხვია, რომ რაც  
შეიძლება მეტ ხალხს ეცა თაყვანი მიცვალებულთათვის.

სამეფო ციხე-კოშკის ყველაზე ზემო ფანჯარასთან სრულიად-  
მარტო იდგა ალფონსო, რომ უფრო დიდხანს ედევნებინა თვალ-  
პროცესიისათვის.

იგი ფიქრობდა:

„მე არც კი ვწუხვარ. დავმშვიდდი. ახლა ჩემთვის უცხოა ბობო-  
ქარი ვნებანი. უკეთესი მეფე გავხდი: უნდა მიხაროდეს, მაგრამ არა  
მიხარია.“

კიდევ მოვესწრები ჩემს ძღვევამოსილ ლაშქრობას და ამას აღვას-  
რულებ მაშინ, როცა გაერთიანებული ესპანეთის სათავეში ვიქნები.  
მაგრამ მაშინაც კი, როცა გამარჯვებას მოვიპოვებ, დიდი სიხარულის  
ნაცვლად, მხოლოდ იმას ვიგრძნობ, რომ როგორც იქნა, მოვიხადე  
ვალი; უკიდურეს შემთხვევაში, შევბას ვიგრძნობ და არა ბედნიე-  
რებას. ყველა ბედნიერება, რაც ჩემთვის იყო განკუთვნილი,  
განვლილია. მე ვფლობდი მას, მკერდში მყავდა ჩაკრული, ისიც  
ჩემსკენ მოილტვოდა, მეტად ნაზი და დამათრობელად სანეტარო,  
მაგრამ ჩემი უგუნურობის გამო ხელი ვკარი. ახლა კი იქ, ქვემოთ-  
ჩემ თვალწინ მიაქვთ ის ბედნიერება, რომელიც ჩემთვის იყო მონი-  
ჭებული.

თორმეტი წელი უნდა ველოდო ჩემს ლაშქრობას, არასდროს არ  
შემეძლო ლოდინი; ჩემი ცხოვრება თავაწყვეტილი ცხენივით მიჰქ-  
როდა, ახლა კი ლოკოკინასავით მიცოცავს. დაუსრულებლად გრძელ-  
დება წელიც, დღეც და მე ვიტან. მოთმინებას არ ვკარგავ და ყვე-  
ლაზე საშინელება ისაა, რომ შემიძლია ასე ლოდინი.

ჩემს ლაშქრობაში ვეცდები საზრიანი ვიყო. აღარაფერი იქნება-  
მასში ძველებური, ბობოქარი, სანეტარო შემართებისა. ირგვლივ  
ყველა იყვირებს: „A lor, a lor!“ — და მე კი არ ავიტაცებ მათ-  
შეძახილს“.

შევეცადა ეფიქრა იმაზე, ვისთვისაც წავიდოდა საომრად. პატარა  
ფერნანზე; მაგრამ შვილიშვილის სახე ბუნდოვანი იყო, სითბო არ

აგრძნობოდა მისგან. ახლა ალფონსოს ირგვლივ ყველაფერი საოცრად გაურკვეველი, ბუნდოვანი და არარეალური იყო.

იგი ფიქრობდა:

„მხოლოდ ორმოცი წლის ვარ, მაგრამ ჩემი ცხოვრების გზა განვლილია. სინამდვილეში ჩემთვის მხოლოდ წარსულია ცოცხალი. ჩემი აწმყო კი ბრძოლის ველივით ბუდითა და მტვრითაა დაფარული. თუ ოდესმე გავიმარჯვებ, არაფერი დამრჩება ამისგან გარდა ბურანისა და ნალექისა. ჩემი შვილისთვის, ჩემი სანჩოსთვის, ჩემი საყვარელი ბასტარდისათვის რომ შემეძლოს გამარჯვება! მაგრამ ვინ იცის, სად იქნება იმ დროს ჩემი სანჩო? ალბათ მათ შორის, ვისთვისაც მშვიდობა, თვით გამარჯვებაზე უფრო ძვირფასია“.

ამასობაში სამგლოვიარო პროცესიამ დანიშნულ ადგილს მიაღწია.

ტოლედოელ ებრაელებს სამი სასაფლაო ჰქონდათ — ორი ქალაქის გალავანს გარეთ და ერთი თვით იუდეურიაში. ამ პატარა, უძველეს სასაფლაოზე ყველაზე დიდგვაროვანთა აკლდამები იყო, მათ შორის იბნ ეზრებისაც. მიცვალებულ იბნ ეზრათა შორის აქ განისვენებდნენ ისეთები, რომელთა საგვარეულო მოდიოდა მეფე დაეთის შთამომავლიდან, რომელიც იბერიის ნახევარკუნძულზე მეფე სოლომონის ბეგარის ამკრეფ აღონირამთან ერთად მოვიდა, რაზედაც მერტყველებდნენ საფლავის ქვების წარწერები. გარდაცვლილი იბნ ეზრათა შორის აქ განისვენებდნენ ისინიც, რომლებიც რომაელების დროს ვაჭრობას ეწეოდნენ, ბანკირები, გადასახადების ამკრეფნი, და კიდევ ისინი, რომლებიც გოთების მეფობის დროს ტოლედოში ცხოვრობდნენ და დევნა და აწიოკება განუცდიათ. აგრეთვე მუსლიმანების დროის ვეზირები, ცნობილი ექიმები და პოეტები. აქ განისვენებდა ის იბნ ეზრაც, კასტილიო რომ ააშენა, რომელიც მათ სახელს ატარებდა, და ისიც, რომელმაც იმპერატორ ალფონსოს კალატრავა შეუნარჩუნა, — იეპუდას ბიძა.

სწორედ ამ სასაფლაოზე მოასვენეს მიცვალებულები.

დამწუხრებული გამცილებლები მკიდროდ იყვნენ შეჩაფუფებულნი; ისე მკიდროდ, ამბობს მემატთანე, რომ მათ მხრებზე ადამიანს თავისუფლად შეეძლო გავლა.

იბნ ეზრებისთვის ორი ახალი საფლავი იყო გათხრილი, ამ საფლავებში ჩააწვინეს იეპუდა იბნ ეზრა და მისი ქალიშვილი რაკელი, რომ განესვენათ თავიანთი წინაპრების გვერდით.

შემდეგ ხელები დაიბანეს და ლოცვა წარმოთქვეს.

და დონ ხოზე იბნ ეზრამ, როგორც უახლოესმა ნათესავმა, განსავენებელი ლოცვა წაიკითხა, რომელიც ასე იწყება: „ისხენიებოდეს მისი დიდი სახელის სიძლიერე და სიმშვიდე...“ — და მთავრდება

შემდეგი სიტყვებით: „ვინც თავისი სიძლიერით მშვიდობიანად ზოქმედობს, მოგვიპოვოს მან მშვიდობა ჩვენ და ყველა ისრაელს. თქვით: ამინ!“

ოცდაათი დღის განმავლობაში ნახევარკუნძულის, პროვანსისა და საფრანგეთის ებრაელთა ყველა თემში ასრულებდნენ ამ ლოცვას ჩვენი ბატონისა და მასწავლებლის, დონ იეჰუდა იბნ ეზრასა და დონა რაკელის მოსახსენებლად.

კასტილიაში კი ყველგან, სადაც თავს მოიყრიდა ხალხი, ბაზარზე თუ სასაუზმეში, ქონგლორები და მოხეტიალე მომღერლები ბალადებს მღეროდნენ მეფე ალფონსოსა და მის მხურვალე, ბედუქულ-მართ სიყვარულზე ებრაელის ქალ ფერმოზასადმი. ხალხში ღრმად შეიჭრა ეს სიმღერები და დღესასწაულზე თუ ჩვეულებრივ დღეებში, ქამის დროს, თუ მუშაობისას, თვით ძილშიც კი კასტილიაში მღეროდნენ და ღიღინებდნენ:

ასე გვაბრძალებს სიყვარული  
და მეფეც ერთი ებრაელი  
ასულის ხილვით მოხიბლა;  
ფერმოზა ერქვა მას სახელად,  
დაიბ ფერმოზა, „მშვენიერი“,  
არცთუ ტყუილად ერქვა ასე.  
და დაივიწყა მეფემ თავისი  
დედოფალი.

თვითონ დონ ალფონსო მას შემდეგ უერთა-დელ-რეის მხარეს არ გაჰკარებია.

ნელ-ნელა ველურდებოდა ბაღები და ინგრეოდა გალიანა. დაიფ-შენა თეთრი გალაფანიც, რომელიც ვრცელ მამულს გარს ერტყა. ყველაზე დიდხანს შემორჩა მთავარი კარი, რომელშიც რაკელისა და მისი მამის მოსაკლავად შეიჭრნენ გუტიერე დე კასტრო და მისი თანამზრახველები.

მე თვითონ ვიდექი ამ კარების წინ და ვკითხულობდი ნახევრად გადაშლილ არაბულ წარწერას, რომლითაც გალიანა სტუმარს ეგებებოდა: „ალაფია — მშვიდობა მომსვლელს!“



## ლიონ ფოისტვანგერის „ესპანური ბალადა“

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული ლიტერატურის სახელმოსხვევილ წარმომადგენელთა შორის ლიონ ფოისტვანგერს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამ მრავალმხრივი და უაღრესად ნაყოფიერი მწერლის ლიტერატურული შემეყიდრობა შეიცავს ორ ათეულამდე პიესას და მრავალ მოთხრობას, ლირიკულ ლექსს, ავტობიოგრაფიული და შემუარული ხასიათის ნაწარმოებს, ნარკვევას და კრიტიკულ წერილს. მაგრამ ფოისტვანგერის შემოქმედების გვირგვინს ებიკური ნაწარმოებები შეადგენს, სახელი და დიდება რომ მოუხვეჭა მას სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. სწორედ ფოისტვანგერის ებიკური ნაწარმოებები ჰქონდა მხედველობაში თომას მანს, მეოცე საუკუნის გერმანიის უდიდეს შემოქმედს და ფოისტვანგერის ასლო მკვობარს, როცა მწერლის 70 წლისთავთან დაკავშირებით წერდა: „იმ დროს (იგულისხმება 30-იანი წლები) ფოისტვანგერი დიდების კვარცხლბეკზე იდგა. „ებრაელი ზიუსიყ“ დაწერილი იყო უკვე და „უსასური ჰერცოგის ქალიც“ — ეს ებიკური ნაწარმოებები, რომლებშიც ლიონი ისეთია, როგორც დარჩა შემდგომ: სოლიდური და ამასთანავე გამართობი, სერიოზული და ამასთანავე, როგორც ინგლისელები იტყვიან ხოლმე, readable, ე. ი. იოლი, დამაინტერესებელი, მიმზიდველი და, მიუხედავად მისი რომანების ისტორიული ფუნდამენტის სრული საფუძვლიანობისა, სრულიადაც არამძიმე, არაძნელად წასაკითხი“. ფოისტვანგერის ებიკური შემოქმედების ამ თავისებური, ღირსშესანიშნავი თვისებებით აიხსნება ისიც, რომ, იმავე თომას მანის სიტყვებით, მწერლის შემოქმედებას „უკვე მაშინ მეტისმეტად მალა აფასებდნენ, თუ ამერიკაში არა, ყოველ შემთხვევაში ინგლისში მაინც“.

საინტერესოა, რომ ისევე როგორც გენიალური ლოპე დე ვეგას შემოქმედებით აღფრთოვანებული ესპანელები, ყოველივე საუკეთესოს ეტალონად თავიანთი დიდი მწერლის ნაწარმოებებს მიიჩნევდნენ და როცა რაიმე ნივთის თუ საგნის რეკლამირება სურდათ, ამბობდნენ: „ამაზე უკეთ თვის ლოპე ვერ გააკეთებდაო“, ანდა ისევე როგორც ფრანგები ყოველივე მშვენიერის უმაღლეს ნიმუშად XVII საუკუნის საფრანგეთის ლიტერატურის დიდების — პიერ კორნეილს „სიდს“ აღიარებდნენ და რაიმე მოვლენით თუ საგნით გამოწვეულ აღტაცების გამოსახატავად იტყოდნენ ხოლმე: „მშვენიერია, როგორც სიდიო“. სწორედ ასევე ინგლისელებიც ყოველივე იმის საზომად, რაც უცხოეთიდან მოდიოდა, გერმანული მწერლის ლიონ ფოისტვანგერის შემოქმედებას თვლიდნენ და თავიანთ მოწონებას შემდგომ სიტყვებით გამოთქვამდნენ: „It is nearly like Feuchtwanger“ („ეს დაახლოებით ფოისტვანგერისებურია“), რაც თომას მანის შეხედულებისამებრ მწერლის შემოქმედების საუკეთესო შეფასებად უნდა ჩაითვალოს.

ფოისტვანგერის ებიკური ნაწარმოებთა შორის ისტორიულ რომანებს უჭირავთ უპირატესი ადგილი, მაგრამ მას, როგორც მართებულად აღნიშნავს ბ. სუჩკოვი, „წარსული იზიდავს არა ენებადაცლილი მკვლრული სიმშვიდის გამო, არა იმიტომ, რომ განზე დადგეს ჩვენი დღეების საზოგადოებრივი ინტერესებისაგან, არამედ იმიტომ, რომ ისტორიაში

ზედავს იდეათა ცოცხალ ბრძოლას, რევრესისა და პროგრესის ძალთა ჭიდილს, რომლის შედეგები უღრმეს კვალს ატოვებს თანამედროვე საზოგადოების სოციალურ ბრძოლაზე". ფიოსტვანგერს თავად აღუნიშნავს არა ერთგზის, რომ ისტორიულ რომანებს მუდამ „გონების სისარგებლოდ“, ანუ თანამედროვეობაში მომძლავრებული „სისულელისა და ძალმომრეობის“ საწინააღმდეგოდ წერდა. მაგალითად, 1935 წელს პარიზში კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში „აზრი და უაზრობა. ისტორიული რომანისა“, იგი საზგამომად ამბობდა: „გერ წარმომიდგინა, ისტორიულ მასალაზე მომუშავე სერიოზულმა რომანისტმა ისტორიულ ფაქტებში სხვა რამ დაინახოს გარდა საშუალების... რომ, რაც შეიძლება სწორად ასახოს თავისი თავი; თავისი საკუთარი ცხოვრებისეული შეგრძნებები, თავისი დრო, თავისი სამყარო“. „ტოლსტოი, — აღნიშნავდა იგი იმავე სიტყვაში, — ომსა და შვიდიობას“ რომ წერდა, ცხადია, ნაპოლეონის ლაშქრობათა ისტორიის აღწერას კი არ ფიქრობდა, არამედ თავისი (თანადროული) იდეების გამოთქმას ლამობდა ომსა და შვიდიობაზე“.

ფიოსტვანგერს არ სწამს „უნიამოვნო ასოციაციების გამოწვევი“ ისეთი ისტორიული რომანები, სადაც წარმოდგენილია „თავდადასაკლები, ინტროვეტი, კოსტუმები, მკვეთრი, ჭრული ხალვაბები, პათეტური სიტყვები“, სადაც „აღრულთა სიყვარული და პოლიტიკა“, და „დიდი მოვლენები ხელოვნურადაა დაყვანილი წერილმან პირადულ შენთხვევებზე“. მწერლის შეხედულებისამებრ, „ისტორიული რომანის ავტორი ფილოსოფოსთან ერთად თავის ამოცანას იმაში ხედავს, რომ უჩვენოს ბუნებრივი, ნათელი დამოკიდებულება ცხოვრებასა და ისტორიას შორის და წარსულს ნაყოფი მოატანოს აწმყოსა და მომავლისათვის“. ამიტომაც, ფიოსტვანგერის აზრით, ისტორიულ თემაზე მომუშავე ყველა დიდ ხელოვანს მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ თანადროულთა გამოეხატა და ისტორიულ წარსულს „მხოლოდ უკეთესი პერსპექტივისათვის“ მიმართავდა, მხოლოდ იმიტომ, რომ „მთების კონტურები მორიდან უფრო გამოკვეთილად ჩანს“. თავის ისტორიული რომანების შესახებ კი ფიოსტვანგერმა იმავე კონგრესზე განაცხადა: „უბედავ ვთქვა, რომ ჩემს ისტორიულ რომანებში ყოველთვის ვცდილობდი მომეცა იგივე შინაარსი, რასაც თანადროულ რომანებში ვიძლევი. არასოდეს განმიზრახავს მეწერა ისტორია ისტორიისათვის. კოსტუმებში, ისტორიულ სამოსში მე მხოლოდ უბრალო სტილისტურ საშუალებას ვხედავდი, საშუალებას შემეკმენა რეალურობის ილუზია“.

ასე დაწვრილებით იმიტომ გადმოვეცით კულტურის დაცვის კონგრესზე გამოთქმული ფიოსტვანგერისეული შეხედულებები ისტორიულ რომანზე, რომ არსი ამ კონცეფციისა რომელიც, ავტორისავე აღიარებით, ფრიდრიხ ნიცშეს, ბუნებდრო კორჩესა და თეოდორ ლენინისა გავლენით იქნა ჩამოყალიბებული, უცვლელი დარჩა, თუმცა ომისშემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში მწერალი მნიშვნელოვნად სძლევეს დასახელებულ ბურჟუაზიულ შოაზროვნეთა ზეგავლენით შემუშავებულ თავის ისტორიის ფილოსოფიას.

ცხადია, როგორც მართებულად აღნიშნავს „ესპანური ბალადის“ ანუ „ტოლედოელი ებრაელი ქალის“ (ასე დაასათურა ავტორმა ეს ნაწარმოები შემდგომ გამოცემებში), რუსული თარგმანის ბოლოსიტყვის ავტორი ლ. ჩერნაია, ფიოსტვანგერის გამონათქვამები ისტორიულ რომანზე არ შეიძლება გაიგოთ პირდაპირ, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით: რა თქმა უნდა, „ფიოსტვანგერის ისტორიული გმირები სრულიად არ არიან უბრალოდ ისტორიულ ტანსაცმელში გამოწყობილი მისი თანამედროვენი, ხოლო ავტორის მიერ აღწერილი წარსულის მოვლენები არასოდეს არ ყოფილა მხოლოდ ტრამპლინი აწმყოსი გადმოსახტომად. ისტორიულ ნაწარმოებებს რომ ქმნიდა, ფიოსტვანგერი დაწვრილებით და ღრმად სწავლობდა ეპოქას, რათა რაც შეიძლება მეტი სიმართლით აეხასა იგი თავის წიგნში“.

თავად ფიოსტვანგერი „ტოლედოელი ებრაელი ქალის“ ერთ-ერთი გამოცემის ბოლო-სიტყვაში ამ სიუჟეტზე შექმნილ ნაწარმოებთა ავტორებს სწორედ იმას უსაყვედურებს,

რომ ისინი გვერდს უვლიდნენ ქვეყნის ისტორიას. „რამდენადაც შემეძლო თვალი გადა-  
მევლო, — წერს იგი აღნიშნულ ბოლოსიტყვაში, — ამ სიუჟეტზე შექმნილ მრავალ-  
ცხოვან ნაწარმოებთან არც ერთი არ ეხება ისტორიას ქვეყნისა, სადაც ვითარდება  
მოქმედება. ამასთანავე შეყვარებულთა ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათა  
ქვეყნის ისტორიულ ვითარებასთან და რაც უფრო ზედმიწევნით შეისწავლის დამკვირვ-  
ბელი ესპანეთის ისტორიას, მით უფრო ღრმა აზრს დაინახავს ესთერ-რაკელისა და მეუღის  
ამბავში“.

ცოტირებული წინადადება, ფოიხტვანგერის დამოკიდებულებას რომ გვიჩვენებს ისტო-  
რიულ სინამდვილესთან, როგორც გმირთა ხასიათისა და მოქმედების აზრის განმსაზღვრე  
ფაქტორთან, იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ ავტორი აქ რაკელს — ნაწარმოების ერთ-  
ერთ მთავარ გმირს — ათვინებს ესთერთან.

როგორც ზემოთ დასახელებულ ბოლოსიტყვიდან ჩანს, ფოიხტვანგერი ოდითანგუ  
ყოფილა გატაცებული ბიბლიური „ესთერის წიგნით“, რომელსაც ბევრი სხვაე აუღელ-  
ვებია და რომლის შინაარსიც ბევრს უცდია „გადმოცეა თავისი ეპოქის მოვლენათა შესა-  
ტყვისად“. მწერალი მოხიბლულა გმირობით ებრაელი ქალწულისა, რომელსაც თავი  
უდიდეს საფრთხეში ჩაუგდია — თუმცა სიკვდილით დასჯის შიშით ვერაინ ბედავდა  
სპარსეთის მრისხანე მბრძანებელთან გამოცხადებას, თუ მისი ნება-სურვილი არ იქნებო-  
და, მაინც მისულა არტაქსერქსესთან, სილამაზითა და სიბრძნით გაუტაცებია ტირანი,  
სამეფო კვერთხი დაუსრულებია და თავისი ხალხი განადგურებას გადაურჩენია. მაგრამ  
ფოიხტვანგერისავე სიტყვებით „ძველ სიუჟეტს (სიუჟეტს ესთერზე — დ. ლ.) ერთი დიდი  
ნაკლი აქვს. რომანს არა ჰყავს გმირი. ესთერი თოჯინაა თავისი მწერვის სეულში, მას გარე-  
განი ძალები ამოქმედებენ, იგი სრულიად პასიურია, მოვლენის ერთი უბრალო ბორბალი  
მხოლოდ და მეტი არაფერი. სიუჟეტის ცენტრში არსებულმა ამ ვაკუუმმა გააპირობა ის,  
რომ დიდი მწერლები, რომლებიც ერთგულად მიჰყვებოდნენ მოვლენებს, მარცხდებოდნენ.  
რახინმა გმირის ღვთისმოსავლობაში კპოვა თავშესაფარი, გრილპარცერმა კი ვერ დაამთავრა  
ნაწარმოები“. ამიტომაც ათეული წლების განმავლობაში ეძებდა ფოიხტვანგერი გმირს,  
რათა შეექმნა ნაწარმოები ესთერის სიუჟეტზე. იგი ყურადღებას აქცევდა სხვა ებრაელ  
ქალებს, რომლებიც წარმატებით იღებდნენ მონაწილეობას თავიანთი ხალხის ისტორიაში.  
ერთ-ერთი მათგანი იყო რაკელი, ფერმოსა, მეფე ალფონსის მეგობარი, ესთერიცხოვ-  
ბრძენი და მოხიბლავი და თანაც შინაგანი რწმენით აღსავსე, დამოუკიდებელი და აქტი-  
ურად მოქმედი. ამასთანავე ჯვაროსნული ომების პერიოდის ესპანეთი უფრო მეტ საუე-  
ალებას აძლევდა ავტორს, რომელსაც, როგორც ითქვა, ისტორია მხოლოდ იმდენად  
ინტერესებდა, რამდენადაც იგი თანადროულობას ესმინებოდა, სიუჟეტი ისეთ ვითა-  
რებაში გაეშალა, „რომელიც მოვლენებსა და ადამიანთა საქმიანობას სარწმუნოს გახდოდა  
და გარდა ამისა, ისეთ პერსპექტივას მოგვცემდა წარსულსა და აწმყოზე, რომ ესთერის  
ირგვლივ მომხდარი ამბები გააშუქებდნენ დღევანდელი დღის (თანადროულობის) მოვ-  
ლენებს“.

გერმანელი მწერალი, რომელმაც მწვავედ განიყადა ფაშიზმის შუუზღუდავი თარემი-  
კაცობრიობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ კულტურას განადგურებით რომ/  
ემუქრებოდა, დიდი ჰუმანისტი, რომელსაც საკუთარი თვალთ უნახავს ომის საშინელებანი-  
დანგრეული, გაპარტახებული, მიწასთან გასწორებული ოდესდაც აყვავებული ქალაქები და  
სოფლები, ათასობით გაწამებული ადამიანები, ხეობარდქცეული ვაჟაკები და ობლაღმთე-  
ნილი უმწუთ ბავშვები, დღევანდელი დღის (თანადროულობის) უდიდეს და უმნიშვნელოვ-  
ნეს პრობლემად მიიჩნევს ომისა და მშვიდობის საკითხს. სწორედ ომისა და მშვიდობის პრობ-  
ლემას ეხება „ესპანური ბალადა“, რომელშიც დიდოსტატურადაა ნაჩვენები მშვიდობისა-  
თვის მებრძოლთა ბანაკის დადებითი შემოქმედებითი საქმიანობა, კერძოდ, მათი მისწ-  
რაფებები, ვინც ისტყვიას და საქმით ეწინააღმდეგება ომს და თუმცა მხოლოდ სულიერა

სიმაშავეთ არიან აღჭურვილნი, შინს თავედადებით იბრძვიან რაინდთა შეიარაღებული . შემოტყვის წინააღმდეგ, რათა ძალმომრეთა ველურ ყოფას წესრიგი და კანონი დაუპირისპირონ; მეორე მხრივ, ასევე შთამაგონებლად ამხელს მწერალი მშვიდობის წინააღმდეგ მებრძოლთა მოქმედებას, გვიჩვენებს ბუნებას რაინდული ციცილიზაციისა, რომელიც მთელი თავისი ნატიფი კურტუაზიულობის მიუხედავად, არსებითად ბარბაროსულია და ქმნის სასიყვედურობით მრისხანებით აღსავსე, აუღმყოფურად ამაყო რაინდობას, რომლებიც სინდისის ყოველგვარი ქნაზის გარეშე აცამტკეპებდნენ სხვათა მიერ გამოხატულ დიდებულ ქალაქებსა და ქვეყნებს.

ფოთისტანგერს ღრმად სწამს, რომ შუასაუკუნეებში შექმნილი ქრისტიანული რაინდის მიმზიდველი სურათი სულაც არ გაცრეცილა, რომ „დიდმა მწერალმა სერვანტესმა უდიდესი სინატიფით გამოხატა რაინდობის სასაცილო მხარე“, რითაც ქვეყანა ახარხარა, მაგრამ ურავინ დააწმენდა, რამდენადაც დონკიხოტოსის ნაწილი ყოველ რაინდში იყო იმთავითვე, რისი დანახავაც არავის არ სურდა, ვინაიდან მხოლოდ მისი ბრწყინვალეობის ხილვა უჩრჩინა. „რადგან შუასაუკუნეობრივი რაინდობის მიმზიდველობა ჯერ კიდევ ცოცხლობს, — განაგრძობს ფოთისტანგერი, — ამიტომ ვფიქრობ, რომ ამბავი აღფონსოსი და რაკელისა ჩვენ შვევება“ და იქვე დაასკვნის: „ჩემთვის მითქვამს, ვინც ამ ადამიანების ამბავს ხელახლა აღწერს, ის მარტო ისტორიას კი არ წერს, ჩვენი დროის პრობლემებსაც აძლევს სინათლეს და აზრს“.

„ესპანური ბალადის“ ცენტრში დგას მონუმენტური ფიგურა იუპუდა იბნ ეზრასი, რომელიც ერთგულად და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ნაწარმოებში მოკლედ არის გადმოცემული იუპუდას წარსული. მუცამეტე წელში იყო გადამდგარი იგი, როცა ანდლუსიაში შექრელი მავრების მიერ დაწყებული ებრაულთა სასტიკი დევნის გამო, სველიის სამეფოს სხვა ებრაელებთან ერთად, ნახევარკუნძულის იუდეველთა შორის ყველაზე ამაყი იბნ ეზრასი ოჯახიც გაიქცა ქრისტიანულ ჩრდილოეთ ესპანეთში. იმ მოსაზრებით, იქნებ სიმდიდრის ნაწილი მაინც გადავარჩინოთო, შობილებმა გადაწყვიტეს სველიაში დაეტოვებინათ შვირწლოვანი იუპუდა, რომელიც ეპირის ვაჟს აბდულას მეგობრობდა. იუპუდა დამორჩილდა ოჯახის ნება-სურვილს, სველიაში დარჩა, მაჰმადის კანონი მიიღო და სახელიც შეიცვალა — იუპუდას ნაცვლად იბრაჰიმი დაიწერა. როცა აბდულა სამეფო ტახტზე ავიდა, მან ბავშვობის მეგობრას ქონება დაუბრუნა. იბრაჰიმიმ სახელი და დიდება მოისვენა. გემებისა და ადგილ-მამულის მფლობელ დიდვაჰარს მრავალ ისლამურ ქალაქში, იტალიასა და ფლანდრიის სავაჭრო ცენტრებშიც ქონდა კრედიტი. ამაყი სველიის დიდი ფინანსისტი, შორს გამჭვრეტი დიპლომატი და ბრძენი პოლიტიკოსი, ეპირის კარზე დიდად დაფასებული კაცი და მისი უახლოესი მრჩეველი იყო. სწორედ ამ დროს მოიწვია იგი და მინისტრობა შესთავაზა ალფონსომ, კასტილიის მეფემ, რომელიც თხოვთებითვე თვის წინ სველიის წინააღმდეგ დაწყებულ უკუნურ ლაშქრობაში დამარცხდა.

დიდი ყოყმანის შემდეგ „დემონივით ქვეყანი იბრაჰიმი“, — ასე ახასიათებს მას ალფონსო, — მეფის წინადადებას დათანხმდა. მართალია, სველია სიმწიფისა და დიდების ზენიტში ბრწყინავდა, მაგრამ, როგორც იუპუდას მეტობარი მუსა ამბობდა, ეს უკვე გადაწვიფების ხანა იყო, დასავლეთის ისლამის მზე ესვენებოდა; ქრისტიანულ ესპანეთში, კასტილიაში კი „მზე ახლა ამოდიოდა“ და თუმცა ომისაგან ყველაფერი დაზარალებული და გაპარტახებული იყო, სოფლის მეურნეობა დაკნინებული, სახელმწიფო კი გაუკაცრიელებული, მაგრამ „ღმერთმა უთვალავი სიმდიდრითა და აურაცხელი შესაძლებლობით სავსე კალთა დააბურტყა კასტილიის მშვენიერ მიწას“ და თავის ძალაში დარწმუნებულ იბრაჰიმსაც.

საჭრად, რომ შემოიკრებს ხალხს, რომელმაც იცის მიწაში უქმად გაბნეული სიმდიდრის მოპოვება და არა მარტო ეკონომიურად აღორძინებს ქვეყანას, კულტურულადაც აყვავებს მას, ხელს შეუწყობს მეცნიერების, ფილოსოფიისა და პოეზიის განვითარებას. მან ისიც კარგად იცის, რომ „დაცემული და განადგურებული კასტილიისათვის სულის ჩადგმა და გააცოცხლება არც ისე ადვილი იქნება“, მაგრამ ეს კიდევ მეტ ინტერესს იწვევს ამ ძლიერი ნებისყოფის პატივმოყვარე კაცში.

განსაკუთრებით კი იმიტომ დათანხმდა ნატიფი სველიის კარზე დიდი პატივით შილებული იბრაჰიმი უხუცეს კასტილიაში გადასვლას, რომ თუმცა მუსლიმანურ სველიაში „პირველი სამხიელი შეურაცხყოფის შემდეგ არასოდეს უწყენინებიათ მისთვის“ და ისე ცაზად ეპყრობოდნენ, „როგორც ვარდის თბილი წყალი ელამუნება სსეულს“, თუმცა მათი სწორების წესები შეისისხსორცა და „ბევრი მათი ადათი მეთრე კანიეთა შეეზარდა მის სსეულს“, მაგრამ იქუდა თავისი ძველი სარწმუნოების ერთგული დარჩა. ეს კარგად იცოდა ემირმა და სხვებმაც და თუ აქამდე ამას თითქოს ვერაგინ ამჩნევდა, ახლა, კარზე ნომდგარი ჯვაროსნული ომის დროს, კვლავ დაიწყებოდა ებრაელთა სასტიკი დევნა და ემირი აბდულა ვედარ დაიწყებდა ერეტკოსს. ამიტომაც იბრაჰიმმა უნდა იბრძოლოს ომის წინააღმდეგ, მშვიდობის შესანარჩუნებლად, სოლო საამისოდ კასტილიაში მეტი წარმატებით შეიძლებოდა მოღვაწეობა.

იბრაჰიმი ამაყობს იმით, რომ მისი რჩევით ემირი შრავალ დათმობაზე წავიდა და რვაწლიანი ზავი მიადღებინა ალფონსოს. ამასთანავე მან ისიც კარგად იცის, რომ „ქირ-ვეულ დონ ალფონსოს სველიასთან ზავის დარღვევის ცთუნება არ მოასვენებს, მაგრამ იბრაჰიმი აქ იქნება და შეეცდება ეშმაკობით, დაშინებითა და გონივრული რჩევით სელი ააღებინოს თავის გადაწყვეტილებაზე და თუ ვერ დაიყოლია, ცოტა ხნით მაინც შეუნარჩუნებს ხალხს მშვიდობას“. ორმოცი წლის განმავლობაში მამამდის იძულებით თაყვანისმცემელი ოცნებობს, რომ „დარიბ-დატაკ კასტილიას სიყოცხლეს დაუბრუნებს, მშვიდობას შეუნარჩუნებს და დევნილ ისრაელს თავშესაფარს მისცემს“.

კასტილიაში გადმოსახლებისთანავე იბრაჰიმი უბრუნდება იუდეველთა ხარწმუნობა და კვლავ ირქმევს თავის პირველ სახელს — იეჰუდა იბნ ეურახ.

გამჭირაბი გონებისა და გააზრებულის პრაქტიკულად განხორციელების უნარით აღჭურვილმა იეჰუდამ, რომლის პიროვნებაშიც სინთეზურადაა შერწყმული „მჭვრეტელობა და პრაქტიკა“, კარგად იცის რა სურს და რა და როგორ უნდა გააკეთოს. იეჰუდას სწამს, რომ ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აყვავების პირობა მშვიდობაა, რომ მხოლოდ მშვიდობიანობის დროს, დაძაბული შემოჭმედებითი შრომით შეიძლება მთების წიაღში, უხე მიწებსა და მდინარეებში ჩაფლული აურაცხელი სიმდიდრის მოპოვება და სახელმწიფოს განსამტკიცებლად, ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენება. მაგრამ იგი იმაშიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ გრანდებს სულაც არ აინტერესებთ სახელმწიფოს გაძლიერება, არაღან ქვეყნის სიძლიერე მათი უფლების შეზღუდვის მომასწავებელია; ამიტომაც მეფეს რომ მიმართავს, „შენი ძლიერების წყარო ისაა, რომ გლეხები შრომისმოყვარენი იყვნენ და ქილაქის მგვილიანი ხელოსნობას და ვაჭრობას მისდევდნენ; მეფეე ბატონო, მიეცი მათ მეტი უფლება და შენი ჭირვეული გრანდების ძალა შესუსტდება“, — იგი თანმიმდევრულად და ბეჯითად, შეუხრელად ატარებს კიდევ ამ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ აუხედრდნენ იეჰუდას კასტილიელი დიდებულები, რომლებმაც იეჰუდას წინამორბედის, იბნ შოშანის გარდაცვალების შემდეგ პრივილეგიები გაიძლიერეს, სოლო ალფონსოს დამარცხების შერე ახალი უფლებები და უპირატესობანი მიითვისეს; მათ ეს აცოფებთ, რომ „კვლავ გა-შორდა წინანდელზე უფრო ცმიერი და გაუმაძლარი ებრაელი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს წაართვას მათ ყველაფერი, რაც ბრძოლით მოიპოვეს“.

გაუმაძლრობაში ალფონსოც სდებს ბრალს იეჰუდას, მაგრამ მეფის შენიშვნას „გაუ-მაძლარი კაცი ყოფილხარ, სველიელი იბრაჰიმი“, იეჰუდა გაბედულად და ამაყად უპასუ-

ნებს: „ჩემი გაძღობა ძალიან ძნელია, მეფეც, იმიტომ, რომ შენ უნდა გაგაძლო, შენ კი დამშეული ხარ“. და იქუდაც შეძლო დამშეული მეფის გაძღობა: მან ააყვავა კასტილიაში მრეწველობა, ხელი შეუწყო ხელოსნობის განვითარებას, მოაწესრიგა სოფლის მეურნეობა და სამთო საქმე, გააუმჯობესა საგზაო ქსელი და გამოასწორა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა.

თავისი რთული და ძნელი ამოცანის შესასრულებლად იქუდას მრავალი დაბრკოლების გადალახვა უსდებია. მას წინააღმდეგობას უწევდა, ამჟამად მტრობენ, ფარულად ებრძვიან და ხელს უშლიან არა მარტო რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი რაინდები და დიდებულები, არამედ ისინიც, ვის საკეთილდღეოდაც იღვწის ეს ჭინჩახული, გამოცდილი და გაბედული კაცი. რამდენი შეურაცხყოფის ატანა სჭირდება იქუდას, რომ დაიწყოლიოს ალფონსო და გააკეთოს ქვეყნის სასარგებლო საქმე მაშინაც კი, როცა მეფე ამჟამად ხედავს და შინაგანდაც დარწმუნებულია თავისი ესკრივანო მაიორის მიერ წამოყენებულ მოსაზრების თუ წინადადების მართებულობაში! რას არ აკეთებს იქუდა იმისათვის, რომ თავშესაფარი მისცეს ექვსი ათას ლტოლვილ ფრანკ ებრაელს და რამდენ წინააღმდეგობას უწევს მას ამ საქმეში დონ ეფრაიმე, ტოლედოს ალკამის მმართველი! როგორ მტრულად არის მისდამი განწყობილი ლტოლვილ ფრანკ ებრაელთა თავკაცი ფანატისო რაბი ტობია! მიუხედავად ამისა, ბრძენი იქუდა, რომლის ნიჭი და უნარი ზოგმი შიში იწვევს, ზოგმი კი შიზღს, მაგრამ ყველას აიძულებს ანგარიში გაუწიონ და პატივი სცენ მას, გულდაგულ მიჰყვება თავის გზას. ფიცხი ალფონსოს წინაშე იგი თავაზიანი მორჩილების ნიღაბს იფარებს, თუმცა ხმის დამორჩილება უჭირს, მღელვარების დროს ენა ებმის და ჩიფჩიფებს, დონ ეფრაიმეზე თავისი გულახდილი პირდაპირობით მოქმედებს, ხოლო სხვებს დამინებით თუ გონიერული ჩრევით აიძულებს ხელი არ შეუშალონ დიდ საქმეს, როგორცაე იგი ემსახურება.

მშვიდობის დიდ ქომაგს ყოველთვის ზიზღს ჰგერიდა რაინდული ომები, მაგრამ ლ. ჩერნაიას მართებული შენიშვნისამებრ, თუ რომანის დასაწყისში იქუდას უმოთხრობდა ამ მოძრაობებმა, რომ „ომი გააქარწყლებდა მის გავლენას სამეფო კარზე და გააძლიერებდა მისი ერთმორწმუნეების — ებრაელების დევნას“, შემდგომ, რაც უფრო მეტად აკავშირებდა იგი თავის ბუღს ალფონსოს ბედთან, მით უფრო უთმობდა მისი პირადი ანგარიშები ადგილს კასტილიის სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას და „იგი ებრძოდა კასტილიის დიდებულთა ავანტიურულ სამხედრო გეგმებს იმიტომ, რომ ეს გეგმები სახელმწიფოს კატასტროფით ემუქრებოდა“. როცა მიაღწია და ექვსი ათასი ლტოლვილი ფრანკი ებრაელის კასტილიაში შემოსვლის ნება მიიღო, იქუდას მთელი არსება საზეიმო განწყობამ მოიკვია. იგი ზეიმობდა იმიტომ, რომ ამაში ხედავდა მშვიდობისათვის ბრძოლაში წარმატებას, ზეიმობდა იმიტომაც, რომ ექვსი ათასი საზრიანი თავი და მარჯვე ხელი ქვეყნის კეთილდღეობას გააძლიერებდა. ფონსტანკერის შენიშვნისამებრ, „ქვემარბე წმინდა ომს, ღვთის ომს თვით იქუდა აწარმოებდა. ვიდრე ისინი (კვაროსნული ომის მომხრენი — დ. ლ.) დღეამიწის ზურგზე სიკვდილს, გატალღებას, გაპარებას სთესავენ, იქუდა მშვიდობიანად აბინავებს ექვსი ათას ლტოლვილს. იგი წინასწარ ხედავდა, თუ როგორ შრომობდნენ მათი საზრიანი თავები და მარჯვე ხელები, თუ როგორ აწყობდნენ საწარმოებს, ამუშავებდნენ ვენახებს, ქმნიდნენ და ცვლიდნენ მათთვის საჭირო საგნებს“.

ფონსტანკერი თავის დადებით გმირს სულაც არ წარმოგვიდგენს მხოლოდ ნათელ ფერებში, როგორც ყოველგვარ მანქანაგან თავისუფალ, სრულყოფილ არსებას. იქუდა ბოლომდე რჩება ქედმაღალ და პატივმოყვარე ადამიანად და თუ ალკამას თავკაცი, მცოდნა, გამხდარი დონ ეფრაიმე, რომელსაც თავისი ჩრდილისაც კი ეშინია, იმაზე ზრუნავს, რომ „არც თვითონ და არც ალკამმა არ მიიპყროს ყურადღება“ და ამიტომ ყველაფერს აკეთებს, რომ არავინ შეამჩნიოს და ჩრდილში დარჩეს, პირიქით, გამბედავ, ამაყ იქუდას სწორედ თავის გამოჩენა და დიდება ხიბლავს. მაგრამ იქუდა თავისი ხასიათის ამ თვისე-

ბათა გამო ობიექტურად ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს აკეთებს. ამ მხრივ საყურადღებოა იეჟუდასა და მუსას საუბარი: როცა აღფონსოსაგან დაუმსახურებლად შეურაცხყოფილ და გულნატკენ იეჟუდას, რომელსაც ესმის, რა ცეცხლსაც ეთამაშება, მაგრამ თავისი საქმიანობის მართებულებაში ღარწმუნებულს არ სურს რაიმე დაუთმოს შეფეს, მუსა ეკითხება: „ჩემო იეჟუდა, დათმობაზე იმიტომ არ მიდიხარ, რომ შვიდობა შეინარჩუნოთ თუ ქედმაღლობის გამოო“, იეჟუდა უპასუხებს: „მართალია, ამაყი ვარ, მაგრამ ამჯერად, მე ვფიქრობ, ჩემი ქედმაღლობა მხოლოდ სიყვითესა და კეთილ საქმეს ემსახურება“. და იეჟუდას ეს სიტყვები არ წარმოადგენს უხანგო განცხადებას. ამას ამტკიცებს იეჟუდას მთელი საქმიანობა, მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა, რომელსაც ბრწყინვალედ აანალიზებს თვით იეჟუდა, როცა იმის შიშით შეკარობილი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ სიცოცხლეს უსადა გამოეცხადოს, დინჯი, ოდნავ დამბინავი ნიღაბით დგას გაბოროტებულ მკვლელთა წინაშე და გონების თვლით გააყურებს თავისი ცხოვრების განვლილ გზას. „მან იცოდა, — წერს ფონტანგერი, — რამდენიმე წუთისლა სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. შიში ახრჩობდა. სცადა ახრით განედევნა იგი. ყველას მიადგება ყოვლის მსახურალი, თვით ისურვა, რომ სიკვდილი მასთან აქ და ასლა მოსულიყო. მან ცხოვრებასთან რამდენიმე დღის წინ გაასწორა ანგარიში. ბევრი რამ, რაც მან გააკეთა, ფუჭი იყო, ზოგი რამ კარგი მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ სურდა სხვებზე მეტი ყოფილიყო, მაგრამ მას ამის ნება ჰქონდა. იგი სხვებზე მაღლა იდგა. იეჟუდა ხედავდა კედლებზე წარწერებს. ისინი ზოტბას ასხამდნენ მშვიდობას. იგი წლების მანძილზე ნახუვარკუნძულის მშვიდობას და აცვალებას ემსახურებოდა და მისი სიკვდილიც კი მრავალთა ხსნა იქნება. საცოდავი მკვლელები მალე ინანებენ თავიანთ ნაშოქმედარს; ისინი ვერ გაბედავენ სხვების დაღუპვას. იგი ფრანკი ლტოლვილების სანაცვლოდ მოკვდება. გამყინავმა შიშმა ისევ ჩაახშო მისში ფიქრები, მაგრამ მისი ხახე უცვლელი იყო“.

მშვიდობის მებაიარატრე იეჟუდა სინდისის თავისუფლების შედაგებელია, რჯულ-შემწყნარებლობისა და ინტერნაციონალიზმისათვის იბრძვის. მართალია, იეჟუდა გულით ყოველთვის იუდეველთა სარწმუნოების მიმდევარი იყო და სვეილიაში თავისი სარდაფის პალატებში სინაგოგა მოაწყო, სადაც ფარულად ემსახურებოდა ისრაელთა მოსხანე ღმერთს, მან მეტისმეტად მტკივნეულად და ტრაგიკულად განიცადა, როცა აღაზარბა ქრისტიანობა მიიღო და გულიდან ამოირეცხა თავისი ერთადერთი ვარი; უფრო მეტიც, იგი არ შეუშინდა აღფონსოს რისხვას და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავისი შვილიშვილი, აღფონსოსა და რაკელის ვაჟი, არ მოენათლათ, ქრისტიანული წესით არ აღეზარდათ. მაგრამ იბნ ეზრების ღირსეული შთაშობაგალი სულაც არაა ფანატისმი. იგი ყველა სარწმუნოებას ლოიალურად შესცქერის და არა მარტო სიტყვით აღიარებს სინდისის სრულ თავისუფლებას, არამედ საქმიანაც ამორციელებს მას. საყურადღებოა, რომ როცა იეჟუდამ საიდუმლოდ გაანდო რაკელს — თუმცა მუსლიმანური რწმენით იზრდებოდა, მაგრამ იუდეველიცა ხარო, და ებრაელთა სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებაზე ესაუბრა, მცირეწლოვანი რაკელის გულუბრყვილო კითხვას, რომელი ვირწმუნო და როგორ მოვიქცეო, იეჟუდა ასე პასუხობს: „მე არ შემიძლია იძულებით მოგავიო თავს რომელიმე სარწმუნოება; როცა გაიზრდები, შენ თვითონ გადაწყვიტე, იკისრებ თუ არა ამ სამშობლო ნაბიჯის გადადგმას, რომ ფარულად აღიარო იუდეველთა სარწმუნოება“; ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ ამას ეუბნება უკვე ასაკში შესულ თავის ასულს: „ბავშვობისას, ჩემო შვილო, თუ გახსოვს, გითხარი, რომ დადგება დღე, როცა შენი ბედი შენვე უნდა გადაწყვიტო-მეთქი. აი, ეს დღეე დადგა. არ გავალდებულებ, ჩემს გზას მიტყვე, არც უარს გეუბნები“.

მშვიდობისა და რჯულმშემწყნარებლობისათვის ბრძოლაში იეჟუდას გვერდში უდგას ღრმად განსწავლული და ბრძენი მუსა იბნ დაუდი, რომელიც „მუსლიმანი იყო და ყველა

მსლიმანურ წესს კარგად იცავდა, მაგრამ სარწმუნოებაში შერყობდა და არც მალავდა, რომ ეპევებოდა ყველაფერი, გარდა მყენიერებისა“.

რელიგიური და რასობრივი ცრურწმენისაგან თავისუფალი სახელგანთქმული კვიში და მოაზროვნე განსაკუთრებულ სხვაობას ვერ სედავს „სამ სარწმუნოებას შორის“ და ერთნაირად სცემს პატივს „მოსეს, ქრისტესა და მუჰამედს“, ხოლო ისინა წინასწარმეტყველს იმიტომ ადიდებს, რომ ეს უკანასკნელი „უდიდესი პოეტი იყო, შესაძლოა მუჰამედ წინასწარმეტყველზე და ქრისტიანთა წინასწარმეტყველზე უფრო დიდი“ (ხაზგასმა ჩემია — დ. ლ.); თავის უმცროს მგობრს რაკელს გულახდილად ეუბნება იგი: „მე სამივე რელიგიას ვადიარებდი. ყოველ მათგანში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ გარდა ჭეშმარიტებისა, თითოეულ მათგანში ისეთი რამაა, რომლის რწმენა გონებას ეწინააღმდეგება“.

სიტყვაძვირი კაცი, „რომლის ყოველ ნათქვამში დიდი ცოდნა, მდიდარი გამოცდილება, აზრის სიღრმე იგრძნობოდა“, თვითონვე უწოდებდა თავის თავს „მოსუხ ერეტიკოსს“. ღმერთს იმდენად სცემდა თავიანთ, რამდენადაც „ყველა შემთხვევითობათა ჯამად“, ებრაელთა „დიდი წიგნისა“ და „ყურანის ცოდნის ჯამად“ მიიჩნედა და ბედისწერის სახით წარმოიდგენდა, ხოლო ცოდნის წინაშე ჭეშმარიტად იხრიდა ქედს, რადგან, მისივე სიტყვებით, ცოდნა „საოცრად ეხმარება ადამიანს, არსებული მდგომარეობის ორასროვნება და მისი შინაგანი წინააღმდეგობა რომ გაიგოს“. მაგრამ მუსას არსებული მდგომარეობის ორასროვნებასა და მის წინააღმდეგობებში გარკვევა სულაც არ აინტერესებს ეპოტანდონი დასკვნების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების თვალსაზრისით. პირიქით, იგი ყოველგვარ, აქტიურ პრაქტიკულ მოქმედებას ამოებათა ამოებად მიიჩნევს. თავის მგობარ იეპუდას, პრაქტიკული მოქმედების კაცს, თუმიე უწყინარი, მაგრამ მაინც დამცინავი, სიბრაელულის თვალთ უყურებს და დარწმუნებულა, რომ იეპუდას „ფუფუსი“, — ასე უწოდებს მუსა მგობრის საქმიანობას, — აუცილებლობით კი არაა გამოწვეული, არამედ იეპუდას ბუნებით, რომელიც „თავს ცუდად გრძნობს, თუ ვერ ახერხებს ადამიანთა საქმეში ჩაბმას“, იმიტ, რომ იგი „საკუთარ თავს გაურბის“. მუსა მთელი თავისი სიცოცხლე უმტკივნედა იეპუდას: „დაწყნარდი, ზედმეტად ნუ ფუხვსებ, მოიფიტე, ბედს მიიღდე, რადგან მის წინაშე ყოველივე ამაა“. იგი არწმუნება მგობრს: „ჩვენ კი არ ვყოცნობთ, გეაცოცხლებენო“, და ისტორიის ბედ-იბბლოს წარმართავში ადამიანის როლს ასე გამოხატავდა: „მე არ ვარ ხელი, რომელიც კამათელს აგორებს, მე მხოლოდ კამათელი ვარო“.

მუსას უმოქმედობა, სინამდვილისადმი პასიური, მჭურეტლობითი დამოკიდებულება პირობადებულა ისტორიის განვითარების მიხი გაგებით. მაქმადიან ფილოსოფოსს ღრმად სწამს, რომ „ყოველ ხალხს თვით ბედის მიერ უწყნია ეამი აყვავებისა და ეამი დაქნობისა“, რომ „სახელმწიფობებს, ხალხებს, კულტურებს, როგორც ყველა სულდგმულს, ბუნებისაგან მიკუთვნებულ აქვს სიცოცხლის გარკვეული ვედა; როგორც ცალკეული ქმნილობანი, ისინი ხუთ ასაკს გაივლიან: წარმოშობის, აღმავლობის, აყვავების, დასარულისა და განადგურების ხანებს“. ცივილიზაცია აუცილებლად გადადის ნებირობაში, თავისუფლება — სკეპტიციზმში და სახელმწიფოებში, ხალხებში, კულტურებში ცვლიან ერთმანეთს მკაცრი, საუკუნო, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონების თანახმად“ (ხაზგასმა ჩემია — დ. ლ.), ამიტომაც ამაო ყოველგვარი აქტიური მოქმედება, რადგან არავის ძალუძს შეცვალოს ეს „მკაცრი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი“ კანონი. ეს შეხედულება შეესაბამება ისტორიის ფილოსოფიის ფონისტანგერისეულ ძველ, ომადელ გაგებას. მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფონისტანგერმა ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად დასძლია იგი და თუ, მაგალითად, 1925 წელს დაწერილი მისი ცნობილი რომანი „ებრაელი ზიუსი“, ნ. კაკაბაძის შენიშვნისამებრ, იმ იდეათა გამსჭვალული, რომ „უაზრა და ამაო ყოველგვარი აქტივობა, არაა საჭირო მოქმედება, რაც უფრო მოქმედი და აქტიურია ადამიანი, მით უფრო ტრაგიკულია მისი ბედი“, ომისშემდგომი პერიოდის ნაწარმო-



უბებში, მათ შორის „ესპანურ ბალადაშიც“ მან „ადამიანში უდიდეს მიღწევად აღიარა „სულისა“ და „საქმის“, მოქმედებისა და აზრის სინთეზი“, მაგრამ „მანინე მისი ფარული, შესაძლოა გაუცნობიერებელი სიმპათია „სულის“ ადამიანების, მკვრეტელების, უმოქმედო მოაზროვნეების მხარეზე დარჩა“. სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებული, საგანგებო სიტუთა და სიყვარული, რომელსაც იჩენს ავტორი მუსას მიმართ და ისიც, რომ ნაწარმოების დადებით გმირთა შორის „მოხუცი ერეტიკოსი“ გამოირჩევა როგორც მაღალგონიერულით, ისე ზეგობრივი სიფაქიზითა და დახვეწილი გრძნობებით.

მშვიდობის დაცვის საქმეში იქედან და მუსას ღირსეული თანამებრძოლია მეფის მოძღვარი და ტოლღვას არქიეპისკოპოსის მდივანი დონ როდრიგო, რომლის რთულ პოზიციას განასაზღვრავს წინააღმდეგობა მის სურვილსა, მისწრაფებას, შინაგან რწმენასა და თანამედრობით, სოციალური მდგომარეობით მასზე დაკისრებულ მოვალეობას შორის.

არქიეპისკოპოსის მდივანი და მეფის კანონიკი ვალდებულია მხარი დაუჭიროს თავის თანამომხებებს, — სასულიერო და საერო რაინდებს, — ავსორცი, თავდავიწყებული მოუთმენლობით რომ ელოდნენ ომს, რადგან ომი, ასე რომ სწყუროდათ, „სალეთ ომად“ იყო გამოცხადებული; რომის პაპიც, — ქრისტეს მიწიერი ნაცვალი, — „წმიდა ომისაგან“ მოუწოდებდა მართლმორწმუნეებს და ამიტომ, წესით, დონ როდრიგოს ხელიც კი უნდა შეეწყო ამ „ღვთისმოსაური“ აღფრთოვანების გაღვივებისათვის. მაგრამ სწავლული, პუმანური როდრიგო მთელი თავისი არსებით წინააღმდეგაა გაუმართლებელი სოციალურეტიკისა, ზიზღით უცქერის ომს, უდიდეს უბედურებად რომ ატყდება თავს ქვეყნებს, მუსას რომ ავლნებს ადამიანებს, მიწასთან რომ ასწორებს მილიონების თავდადებული და ხანგრძლივი შრომის ნაყოფს და გულით თანაუგრძნობს მშვიდობას.

კათოლიკური ეკლესიის მხახური ვალდებულება ცეცხლითა და მახვილით სდევნიდეს ყოველივე არაქრისტიანულს, უდიდეს ცოდვად მიიჩნევდეს, განსაკუთრებით ასლა, ყვაროსნული ომის დროს, ურჯულოებთან მეგობრობას; ამიტომ აიძულებს დონ როდრიგო თავისთავს შორს დადგეს იქედან და მუსასაგან. მაგრამ „ფართო გულის“ მეცნიერი სათავეში უდგას აკადემიას, რომლის საშუალებით „დასავლეთი ეცნობა არაბულსა და წარმართთა სიბრძნეს“, ლათინურად ათარგმნინებს ურანს და ამყოფს იმით, რომ მასთან „აკადემიაში ურჯულონი სწავლობენ — ებრაელები და მუსილმანები“. მას უყვარს მუსა, თავს ბედნიერად გრძნობს და სულიერად ისვენებს მის საზოგადოებაში; იგი პატივს სცემს იქედან, და თუმცა ეპითეზმა დაადო თავის თავს „იმ კაცთმოყვარეობისათვის, რაც ახლანდელ დროში აკრძალული იყო მისთვის და პირობა დადო აღარ ევლო იმ ეზრას კასტილიაში, მანინე გულით სურდა ბრძენ მუსასთან ემსჯელა იმ საშინელებაზე, რომელიც ირგვლივ ხდებოდა“, და იქედანც მოენახულებინა.

ალფონსოს სულიერი მამა ჰეიკსაჟს მეფეს ებრაელი ქალისადმი უკანონო ტრფობის გამო, ეზმიდან გამა ახას მიიჩნებს ქვეყნის უბედურების მთავარ მიზეზად და გულწრფულად სწამს, რომ რაკელი ჯადოქარია, რომელიც ჯოჯოხეთის გენეიას უზზადებს ესპანეთის მბრძანებელს, მაგრამ დონ როდრიგო მანინე უდიდესი მოკრძალებით ეპყრობა დონა რაკელს და, არცთუ იმეოათად, თანაუგრძნობს სულიერი შეილის თავდავიწყებულ გატაცებას

მიუხედავად ამ შინაგანი ჭიდილისა და წინააღმდეგობისა, მშვიდი სასიათისა და „სუსტი სხეულის“ მქონე დონ როდრიგო, რომლის „ქალურ ხელებს არასოდეს ამოუღიათ ხმალი ქარქაშიდან და არ დაუქიმავეთ მშვილდის ლარი“, პოულობს ძალას ამკარად დადგეს მუსას, იქედან და ყველა კეთილგონიერი ადამიანის პოზიციასზე, გაილაშქროს ომის მომხრეთა ძლიერი ბანაკის წინააღმდეგ. უმკაცრესი სიტყვებით, გააფთრებული გულისწყრომით მიმართავს ალფონსოს, რათა მან თავი შეიკავოს ომისაგან და აფრთხილებს მას, „ქვეყანაში არ მოიწვიოს „აპოკალიფსის ოთხი ცხენოსანი“, დამარცხების შემდეგ მოურიდებლად მიხსლის მეფეს მწარე სიმართლეს და ურყევად იცავს მშვიდობის მებაირახტრეთა გზას. და თუმცა მწარე განსაცდელის გამს სასოწარკვეთილებში ჩაყარდნილი და სულ-

ზრად აფორიაქებული როდრიგო თავისი აზრების გამოხატველად მიიჩნევს იტალიიდან გამოგზავნილი ასალგაზრდა პრელატის ლოტარი კონტის ასეკტურ, კაცთმოძულე სულის-კვეთებით გამსჭვალულ ხელნაწერს, რომელიც ბუნების უმაღლეს ქმნილებას და მის მეუღეს — ადამიანს — უმდაბლეს და უსაზიზღრეს არსებად წარმოადგენს, მაგრამ დონ როდრიგოს ასეთი განრისხება მხოლოდ დროებითი გაელვება და ადამიანის ბუნებრივებისა და მშველდობისათვის მებრძოლი კანონიკი საბოლოოდ თავისი გულისხმის, მისწრაფების, რწმენის ერთგული რჩება. ნაწარმოების დასასრულს ტოლედოს არქიეპისკოპოსად და ესპანეთის პრიმასად დანიშნულ დონ როდრიგოს გადაწყვეტილი აქვს თან იყოლიოს ბრძენი მუსა იბნ-დაუდი — კაცთმოყვარეობის, რჯულმემწყნარებლობის და ერებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის დაუღალავი შქადაცემელი.

მშვიდობის საქმეს ემსახურება ასალგაზრდა დონ ბენიამინიც, ალჰამის პარნასის დონ ეფრაიმის ღარიბი ნათესავი, რომელიც დონ როდრიგოს აკადემიის მსმენელთაგან გამოირჩევა მახვილი გონებითა და ღრმა ცოდნით. ბენიამინისათვის უცხოა რელიგიური ფანატიზმი და იგი მხოლოდ ეფრაიმის სასიამოვნოდ ასრულებს ეპრაკლთა წეს-ჩვეულებას. თავად არაბული სიბრძნითა და განსაკუთრებით ბერძნული ფილოსოფიით გატაცებული ბენიამინი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ამ წესებს, ბერძენთა უდიდეს ფილოსოფოს არისტოტელეს ებრაელთა წინაწარმეტყველის—მოსეს თანაბრად თვლის და თუ მაინც თავგამოდებით იცავს იუდეველთა ხარწმუნობას, მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან შედარებით ვერავითარ უპირატესობას ვერ ხედავს ქრისტესა და მამადის მოძღვრებაში. მუსაყ სომ მხოლოდ იმდენად აღიარებს მუსლიმანურ სარწმუნოებას, რამდენადაც იგი ვერ დარწმუნებულა სხვა რჯულთა უპირატესობაში.

არაბულ და ბერძნულ სიბრძნეს დაწაფებული ასალგაზრდა მეცნიერი, მუსასაგან განსხვავებით, სულაც არაა პასიური კერეტისა და უმოქმედობის მიმდევარი, პირიქით, როცა სასოწარკვეთილების ფაშს დონ როდრიგო, რომლის მეგობრობა ბენიამინთან სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა, არ მალაფს თავის სულმოკლეობას და ცუთხება მას „შენ რამდენჯერმე გახდი იმის მოწამე, სისულელე და დაუკებელი გულისწყრომა ვაშით ვაჟამდე თუ როგორ ანადგურებს იმას, რასაც საკუნეების მანძილზე ჰქმნიდა ცოდნა და შრომა. შენ კიდევ გგონია, რომ ღრის იმრომო? ვის რაში სჭირდება შენი შრომა?“ — ბენიამინი უყოყმანოდ უპასუხებს: „იო, რასაკვირველია, სიბნელე ჩვეულებრივ მოვლენაა, სინათლე კი — გამოჩაყლისი. მაგრამ სწორედ ამ სიბნელეში განსაკუთრებულად სასიხარულოა სინათლის სხივი. მე პატარა კაცი ვარ, მაგრამ კაცი არ ვიქნებოდი, ამ სიხარულის ვაწყდა რომ არ შემეძლოს. მე მტკიცედ მწამს, რომ სინათლე არ ჩაქრება, უფრო აინთება და ჩემი გალია, სელი შეეუწოთ ამას ჩემი პატარა წელილით“. სწორედ ეს რწმენა, რომ სინათლის სხივი არ ჩაქრება და საჭიროა თვითუელმა თავისი შრომით შეიტანოს შიერი წველილი, რომ ეს სხივი უფრო აინთოს, წარმოადგენს „ესპანური ბალადის“ წამყვან პროგრესულ ტენდენციას.

სამაგიეროდ, იმავე მუსასა და დონ როდრიგოს მხავებად და იქაუდასაგან განსხვავებით, ბენიამინისათვის უცხოა ქედმაღლობა და ამპარტაუნობა. მიბოლური ესთერის შიძის მარდონაის ორ ცოდვაში — სისასტიკესა და ამპარტაუნებაში რომ სდებს ბრალს, ამით იგი მარტო იქაუდას კი არ აკრიტიკებს, არამედ ყველას უსწორებს ანგარიშს, ვისაც თავისი სიამაყითა და უკიდურესი ინდივიდუალიზმით ზიანი მოაქვს საერთო საქმისათვის.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი თვისება ბენიამინისა: როგორც არ უნდა იყოს მისი პირადი, სუბიექტური დამოკიდებულება და განწყობა ადამიანისადმი, იგი ყოველთვის ინარჩუნებს ობიექტური განსჯის უნარს, რაც მეტად საჭირო, მაგრამ არცთუ ისე შშირი მოვლენაა. ბენიამინი მტრულად არის განწყობილი ალფონსოსადმი, მას სძავს კასტილის მებრძანებელი, მაგრამ სწამს, რომ „უფლება არა აქვს მეფისადმი პირადი მტრობის გაპოუკანონოდ მსჯელობდეს მასზე“ და ფიქრებში წასული აღიარებს: „მეფე ნამდვილად

გამოიცვალა, რაკელმა მიადწია თავისას, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც იმ ზღაპრებში იყო, რომლებიც ასე უყვარდა რაკელს. ჯადოქარმა სული შთაბერა თიხას და გააცოცხლა იგი, მაგრამ ეს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაუჯდა“.

ბენიამინს დიდი, ღრმა, წმინდა, ნამდვილი სიყვარულით უყვარს რაკელი — იეჰუდა იბნ ეზრას ღირსეული ასული, „გაბედული, ჰკვიანი, ყოველივე ახლის მზარდამგერი“, გულღია და მდიდარი ფანტაზიის მქონე ფერმოსა, რომლის სულიერი სილამაზე კარმონულად იყო შერწყმული მის ფიზიკურ მშვენიებასთან და რომლის გარშემო ასე თუ ისე ძაღვს იყრის მშვიდობის ყველა მოყვარე.

ეს შავგერემანი, ფერმერთალი, მტრედის ფრთისფერთვალა გოგონა, რომელიც გასაოცარი უნარითაა დაჯილდოებული, — ცხოველი ფატანაზიით ზღაპრულ სამყაროშიც ინავარდოს და გამჭირავსი გონებით პრაქტიკული ცხოვრების ყველა ნიუანსშიც გაერკვეს, ყოველ ბილწსა და უმსგავსს არა მარტო განერიდოს, არამედ სხვაგვანაირად განარიდოს, მანკი-ჟიბამდე არ დადევას, თავსადაც ამაღლდეს და გარშემო მყოფნიც ამაღლოს, თეთი უკიდურეს განსაცდელში წონასწორობა არ დაკარგოს, და თავისი ღირსების შესაფერისად იმოქმედოს, — სიცოცხლეს უდიდეს ნეტარებად მიიჩნევს, ადამიანთა ჰუმანიტეტ ბედნიერებას ეტრფის და ამიტომ სასტიკი ორთა ბრძოლაში იწვევს ყოველად გაუმართლებელი ომის მომხრეებს. რაკელი ერთიანად იმის შგენებითაა გამსჭვალული, რომ „მშვიდობის ფიქტი უფრო ძვირფასია, ვიდრე გამარჯვების რკინის ტვირთი“, ანუ, როგორც ალფონსოს უთარგმნის ამ აზრს, „მშვიდობის უწყია ტონა გამარჯვებაზე ძვირფასია“ და ყოველნაირად ცდილობს შთაგონოს ეს მეფეს, ყველაფერს სჩადის, რათა შეუნარჩუნოს ხალხს მშვიდობა. სწორედ ამიტომ უყვარს იგი ხალხს და მამინ, როცა სასულიერო და საერო რაინდები, კასტილიის გრანდები და მარონები რაკელს ჭოჭოხეთის მოციქულად მიიჩნევენ, კასტილიის მღაბთის სიმღერებს სთხზავენ ფერმოსაზე, ლოცავენ რაკელისა და ალფონსოს ტრფობას, რომელმაც რამდენიმე წლით მაინც შეუნარჩუნა ჰეყვანას მშვიდობა.

თუ მშვიდობის მომხრეთა ბანაკს ძალას მატებს იეჰუდა იბნ ეზრას მშვენიერი ასული, ომის გამჩალებელთა სულისჩამდგმელია ალფონსოს მეუღლე, კასტილიის დედოფალი დონა ლეონორი — ინგლისის მეფის ჰენრი II და ინტრიგებში გამოწრთობილი დედოფალ გლონორას ღირსეული შემკვიდრე. აქვიტანიის საჰერცოგოში დაბადებული, იეჰური „სამეფო კარის დახვეწილ მისრა-მონრას ჩველი... დონა ლეონორი ყოველთვის ცდილობდა მარტო დედოფალი კი არა, მომხიბლაკი ქალიც ყოფილიყო“. თითქმის სულ ბავშვმა, ის-ის იყო მეთხუთმეტე წელში გადადგა, დატოვა ინგლისის სასახლე და გახდა ალფონსოს საცოლე; „მაგრამ იმ წლების მანძილზე, რაც ლეონორმა მის ღარიბ-ღატაკ, პირქუშ კასტილიაში გაატარა, სადაც გამუდმებული ომების გამო კურტუაზული ხრიკების თავი აღარ ჰქონდათ, იგი თავის სამშობლოს სულისკვეთების ერთგული დარჩა — თავაზიანი, ნატიფი მანერების მოყვარული“. გონიერმა, შორსგამჭვრეტმა და სახელმწიფოებრივი ჰკუნის პატრონმა, მან კარგად იცის, რომ ომებისაგან დანერგულ კასტილიას ეკონომიური აღორძინება ესაჭიროება. „მთელი საუკუნის განმავლობაში იძულებული ვიყავით გვეყვება და დაგვეპყრო, მეურნეობისათვის არ გვეცალა, მუსლიმანებს კი ამისათვის საგმარ დრა ჰქონდათ. თუ გვინდა მათ გავუტოლდეთ, ჩვენთვის აუცილებელია ებრაელთა მოხერხებულება, მჭევრმეტყველება და მათი საზრიანი ურთიერთობის უნარი“, — არწმუნებს იგი ალფონსოს და აიძულებს მოიწვიოს იეჰუდა. მაგრამ ჰედმაღალ დედოფალს ყოველივე ამის მიღწევა ისე სურს, რომ რაინდული ბრწყინვალეობა და ღირსება არ შეიბღალოს, რის შედეგად იგი საბოლოოდ რაინდობის სახელსა და დიდებას მაინც სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა აყენებს. ამიტომაც თუმცა თავის შორეული მიზნებისათვის მას სულაც არ სურს ომი არაგონთან, ბირიკით, ყოველნაირად ცდილობს ალერსითა და თავაზი-

ანი მოპყრობით მიიგოს არაგონის ასალგაზრდა მეფის — 17 წლის პედროს გული, მია-  
თხოვოს მას თავისი ქალიშვილი და ამ გზით ურთი სკიპტრის ქვეშ გააერთიანოს კასტილია  
და არაგონი, მაგრამ როცა ალფონსოს ქცევით შეურაცხყოფილი დონ პედრო აღელვებულ  
ტოვებს კასტილიას, და გამწვავებული ურთიერთობის მოსაგვარებლად იქაუდა შესთავა-  
ზებს დედოფალს, ხელი ააღებინოს კასტილიას ბარონ დე კასტროების მიმართ სიუხერე-  
ნულ უფლებებზე, ეს დააკმაყოფილებს არაგონის მეფესო, დედოფალი ცივად უპასუხებს:  
„კასტილიის სიუხერენული უფლებები უდავოა, ამას ომი სჯობიაო“, და იქუდას ისეთ  
ზინლით შეხედავს, რომ თუ მიხედვება: დედოფალი არავითარ შემთხვევაში უარს არ იტყვის  
ცარიელ რაინდულ ტიტულსა და სასაცილო დამეშობაზე დედოფალსაც ჩარჩობად მიაჩნია  
მთელი ამ ვითარების გონიერულად აწონ-დაწონვა.

მაგრამ, როცა ლეონორი დარწმუნდა, რომ ალფონსოს დამოკიდებულება რაკელი-  
სადმი შემთხვევითი, მხოლოდ ავსორცული და წამიერი გატაცება კი არ იყო მეფისა, არა-  
მედ ძლევამოსილი ტრფობა მაღალი, შურისძიების გრძნობით შეპყრობილი ამპარტავანი  
ბანოვანი ხისხლისმსებელ ფურად იქცა. პირმოთხოვნის ნიღბით, თითქოს კასტილიის  
დიდებისა და ღირსებისათვის მზრუნველი დედოფალი მთელ თავის ნიქსა და გავლენას  
გამოიყენებს, რომ დაითანხმოს მეფე და სამეფო საბჭო ხელი აიღოს „კასტილიის უდავო  
უფლებებზე“, დააკმაყოფილოს არაგონის მოთხოვნები, რათა ამით დაჩქარონ საქმე და  
დაუყოვნებლივ ჩაებან წმიდა ომში და ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ამღერულ წყალში  
იოლად დაეკირა თეწი, ფიზიკურად გახწორებინა ანგარიში თქუდასა და რაკელთან,  
თანაც ისე, რომ თავად ფეხიც არ დაესვლებინა და თავისი სახელისათვის ჩრდილი არ მოე-  
ყენებინა. დიხაყ ამიტომ, როცა ალფონსომ კასტილიისა და თავისი ერდგული მეგობრების  
რჩევა უარყო და სახიფათო გადაწყვეტილება მიიღო, სევილიასთან დადებული სამშვი-  
დობო ხელშეკრულება დაერღვია და წმიდა ომში ჩაბმულიყო, დედოფალმა კარგად იცოდჱ,  
რომ მეფის ასეთი აჩქარება სასიკეთოს არას მოუტანდა ქვეყანას. „გონება უკარნასებდა  
დონა ლეონორს, რომ აუცილებელი იყო ალფონსოსთან ერთად განესაჯათ უკუაფერი,  
მაგრამ სწორედ ახლა არ უნდოდა მისი გაღოზიანება. გარდა ამისა, სალდე გულის  
სიღრმიდან ღვარძლიანი ხმა ეჭურჩულებოდა მას: „დამარცხება“. და, მართლაც, მოხუცი  
დედოფლის ინტრიგებში გაწაფული შორსგამჭერტი დიპლომატისა და არცთუ მაღალი  
ზნეობის ელორორას სისხლმა და ზორცმა სწრაფად ათიუხა დედის დევიზი: „ვისაც  
სურს თავისი მიმინო კარგად იმსახუროს, ნუ აკმევე მას, მხოლოდ გააღიზიანოსო“ და  
შეგონება: „წესად მიიღე, არასდროს მისცე მოხოვნელს სრულად, რასაც შეძიებლობსო“.  
ზუღმიწვევით გამოიყენა ბარონ დე კასტროს დაუკმაყოფილებელი შეძიებლობა და  
მტრობა იქუდასადმი, აგრეთვე ცრურწმენა მეფის დამარცხებით გაავებული ფანა-  
ტროსებისა, კასტილიის უბედურების მიზუნად ებრაელებსა და რაკელისადმი  
ალფონსოს უკანონო ტრფობას რომ მიიჩნევდნენ, და იმ თავისთავად სწორი, მაგრამ ნაწარ-  
მოებში მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში ბოროტი განზრახვით გამოყენებული მოტივით,  
რომ „ერთის განწირვით ათასები გადავარჩინოთ“, ნება დართო, უფრო მეტიც, ფაქტი-  
ურად უბრძანა დე კასტროს მოგვლა იქუდაც და რაკელიც, რაც ბარონმა კიდევაც შეას-  
რულა.

ლეონორის სახელშეწოდებრივ ქვეყანაში ყოველთვის დარწმუნებული და მისი რჩევის  
ყურადღებო ალფონსო დამარცხებისა და ჩადენილი საზიზღარი მეკლეობის შემდეგ  
ჩაწვდა დედოფლის ცბიერებას. მრისხანებით შეპყრობილი, მწვავე სულიერი და ფიზიკური  
ტკივილებით გამზავებული მეფე ხედაბა მეუღლის მზაკრობას და მკაცრ ბრალდებას  
წაუყენებს მას: „მამამისი (რაკელის მამა — იქუდა — დ. ლ.) ჩემი ყველაზე ჰკვიანო,  
ჯველაზე ერთგული მრჩეველი, კეთილი, გონიერული სიტყვებით მარწმუნებდა მომეცადა,  
ჯერ არ დამეწყო ომი, შენ კი ყოველთვის მეკლეობიანებდი, პირში მცივსავლი და შენი და-  
ცინვით ომში მითრფდი. შემდეგ კი, საერთოდ მჭევრმეტყველი, ხმას არ იღებდი, არ ეწი-

ნაამდგებობი ჩემს უკუნურ გეგმას, ხელი არ ამალეზინე ბრძოლაზე, რომელიც დამარცხებისათვის იყო განწირული, და ყველაფერი ეს გააკეთე იმისათვის, რომ მოგველა ჩემთვის ღვთისაგან მოვლენილი, საყვარელი ქალი. შენ დამღუბე მე და ჩემთან ერთად კასტილიაც. ახლა დგასარ ჩემ წინაშე გარგენულად სუფთა, ალერსიანი, მეფერი, შენს შიგნით კი სიბნელე და სიყალბე იმალება. შენ დედამენივით ღვარძლი გღრღნის, ქვეყნის დამღუბვლო“. მაგრამ ლეონორის უნარი ინტრიგების დახლართვისა, მისი მზაკვრობა და ცბიერება სწორედ ისაა, რომ „გარგენულად სუფთაა“. ამიტომ იგი მშვიდად ხედება მეფეს პრისხანებებს და გამოძვევეი თავმედობით აგონებს მეფეს, რომ ვერ შეძლებს მექარის განხორციელებას, რადგან არ არსებობს ბრალდების დამადასტურებელი ნივთიერი საბუთი, რომ დე კასტროს მან მხოლოდ ეს უბრძანა, საჭიროების შემთხვევაში ერთის განწირვით ათასები გადაერჩინა. მეტიც, ლეონორი თვითონ გამოდის ალფონსოს ბრალდებულად უკუნური ომის დაწყების გამო და იგი გარგენულად აქვს „სუფთა“, მაგრამ მის შიგნით აქვს „სიბნელე და სიყალბე“ იმალება. რამდენი ცინიზმი ლეონორის სიტყვებში: „შენ გინდოდა თავი მოგწონებინა ჩემთვის, შენი შეგობრებისათვის და განსაკუთრებით ებრაელი ქალისათვის! ამიტომ წახვედი უგონოდ გაბედულ ბრძოლაში, ამიტომ გადაადგე უფსკრულში ჩვენი ქვეყანა და მივლი ქრისტიანული ესპანეთი“. გარგენულად ლეონორს მართლაც აქვს ამ ბრალდების წაყენების უფლება და იგი შინაგანად ზეიმობს თავის გამარჯვებას, მით უმეტეს რომ დარწმუნებულია: ფიცს ალფონსოს მალე გაუულის ბრახი და წყენა. მაგრამ შეედა პატივმოყვარე დედოფალი, ალფონსოს დამარცხებამ, იეპუდასა და რაკელის განწირვამ ვერ მოუტანა მას ბედნიერება, ვერ დაუბრუნა, პირიქით, სულად დაამორა ალფონსო. სწორედ ამ დამარცხების შემდეგ შეიგნო კასტილიის მეფემ ოდესღაც ლეონორის მიერ მისდამი ნათქვამი სიტყვები: „საკუთარ თავზე გამარჯვებისათვის მეტი ვაყვაცობაა საჭირო, ვიდრე ყველაზე გაბედული სამხედრო ოპერაციისათვისო“. დამარცხების შემდეგ მოიპოვა ალფონსომ ეს ვაყვაცობა საკუთარ თავზე გამარჯვებისა, რაც ლეონორისა და მისი მომხრეების ნამდვილ დამარცხებას მოასწავებდა.

ღონა ლეონორის ერთგული თანამემეწე და ომის დაუცსრომელი მქადაგებელია ესპანეთის პრამასი ღონ მარტინი, „წითელლოყება, მრგვალი სახის, შექალარაგებული, უხეში, მაგრამ მხიარული არქივისკოპოსი“, რომელიც საერო რაინდს უფრო ჰგავს, ვიდრე სულიერ მოძღვარს. ქრისტიანული თვლელმსახური, რომლის წოდების აღმნიშვნელი ტანისამოსი ვერ ფარავდა აბჯარს, თავადაც გრძნობდა, რომ მისი შემორული ტემპერამენტი შეუფერებელი იყო წმიდა ვვენეიუსისა და ილდეფონსოს მემკვიდრისათვის, მაგრამ ისიც, უწყოდა, რომ „ტოლედოს არქივისკოპოსი, ესპანეთის პრამასი, მეფის შემდეგ მთელ კასტილიაში ყველაზე ძლიერი კაცი იყო. მისი შემოსავალი სამეფოს შემოსავალს აღემატებოდა, გაკლენა უდრდესი ჰქონდა“ და ამიტომ „ურკულთა“ მიმართ აუწერელი ზიზლით გამსჭვალული, რელიგიური და რასობრივი ფანატიზმით მოწამლული სულიერი მამა, ომში მიღებულ კრილობათაგან აგონიაში მყოფიც კი თავს ბრძოლის ველზე რომ წარმოიხდგენს და გატირვებით თლულულებს „A Sorl A Sorl“ უკანასკნელად მეფეს ამას სთხოვს დღეინებით: კარგი შემცველი შეარჩიე ჩემს ადგილზე, ღონ როდრიგო არ დანიშნო, რადგან ეს მეცნიერი და ჰუმანური ადამიანი „მიწიერი საქმისათვის, საბრძოლო საქმისათვის არ ვარგაო“ და ცდილობს შთაგონოს მას: „წმიდა ილდეფონსოს ტახტზე არ დასვა ღონდლო ადამიანი, ნამდვილი ქრისტიანული რაინდი დასვი, თავმდაბლობის გარეშე გეტყვი, ისეთი როგორც მე ვიყავი, ჩემი ყველა ნაკლის მიუხედავადო“.

ომის მომხრეთა მანაქვია გაბატონებული წრეების პოლისკვეთების, რაინდული ფაფრაკების და ომების მხსობაზე, ცნობილი ტრუბადური, სეროვანსული ლირიკის გამოჩენილი წარმომადგენელი ბერტრან დე ბორნი, რომლის შემოქმედება ფეოდალურ-რაინდული იდეოლოგიის ბრწყინვალე გამოსატყულებაა. მოუსვენარი, თავდადასავლების მაძიებელი პოეტი, რომელსაც უმთავრესი საზრუნავი ის ჰქონდა, რომ სახსრების უკონლობის გამო

დამოუკიდებელ ომებს ვერ აწარმოებდა, თავისი ცეცხლოვანი სირვენტებით ბრძოლის ენის აღძრავდა მკითხველსა თუ მსმენელში. მისი პოეზიის სწორედ ამ მხარეს მიუძღვნა ლექსი ჰაინრიხ ჰაინემ; ამ ბრძოლით აღსავსე პათოსის გამო მოიგონა მგზნებარე ლირიკოსი 13-11 წელს ნაიცისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში ლუი არაგონმა, როცა იგი ფაშისტების წინააღმდეგ ამხედრებდა ახალგაზრდობას, მაგრამ ლონ ფოიბტვანგერამდე შეამბოხე ტრუბადურის ყველაზე უფრო დაუყოვნებელი სახე შექმნა დიდმა ფლორენციელმა გენიოსმა — დანტე ალიგიერომ.

„შუა საუკუნეების უკანასკნელი კაცი“, რომელმაც ტრაქტატი „ხალხური ენის შესახებ“, მალაღობი შეფასება მისცა პროვანსელი ტრუბადურის პოეზიას, იძულებულია ბერტრან და ბორნი ჯოჯოხეთის მერვე გარსის მეცხრე კურდღელში მოათავსოს, „სადაც ვსლევბათ განხეთქილების დამთხვეულთა სანაცვლო დასაქა“, და, რადგან მან ამხედრა „მამა ძნესა თვისის წინააღმდეგ, არც ანეტოფელს უთქვია ამდენი შური, როს აბესალომს ანხედრებდა დაუითის მიმართ“, ამიტომ, ვითარცა გამთიშველმა, „თავი და ტანი გათიშულად“ უნდა ატაროს. მაგრამ „ახალი დროის პირველი ადამიანი“ ისეთი თანაგრძობითაა უანმსკვეპალური მისაღობი, ვისაც „ხელში თავი კვლავ ეჭირა ზე აღმართული, ხიტყვები მისი რომ იოლად ჩვენ მოგვწოდებოდა“, რომ „იმ წუთში“ მისი „ყურადღება მთლიანად“ ბერტრანმა დაიპყრო, იმავე კურდღელში მყოფი თავისი ნათესავიც კი ვერ შეაწინაა და ვირგოლიუისი შენიშვნას: „არქარდი, კიდევ ბევრი რამ გაქვს აქ სახილავო“ და მის შვიკოთხვას: „რატომ გახვედი, ან რად ანტერებ მაგ საყოდავად მოწყყენილ შუერას, სხვა კურდღელმუღებში ეს ჯერ შენაც არ დაგმართია“, დანტე უპასუხებს: „შენ რომ გაგვეო... თუ რად ვიყავ ასე შუერად გადაქცეული, ვინ იცის, ვებ დაყოვნების დავგერთ ნებაო“. უნდა ვიგულისხმობთ, რომ თეთრ და შავ გველთა შორის არსებული მუღისა და განხეთქილუბის შედეგად სამშობლოდან გაძევებულ დანტეს ამ კურდღელმა ფლორენციამ მოაგონა და თავისი ბედი ბერტრან და ბორნის ბედთან შეადარებინა.

დანტეს მსგავსად, ფოიბტვანგერიც მალაღობი შეფასება აძლევს ბერტრან და ბორნის დიდ პოეტურ ნიჭს, მაგრამ იგი სულაც არაა აღფრთოვანებული და ბორნის მომზადობული პოეზიით, რომლის ძირითადი თემა ომიცაა, რომელიც ომს მიიჩნევს რაინდული ღირსების გამოსატვისა და რაინდთა გამდიდრების ერთადერთ წყაროდ. სწორედ ბერტრან და ბორნის მატარებელი იმ თავშეუკაცუებელი აღვირახსნილი მეომრული ექსტაზისა, რომელიც წარღვნით ემუქრება საზოგადოების კეთილ საწყისებს, და მწვიდობის საქმისათვის თავდადებულ დონ როდრიგოს, რომელიც ამ შემთხვევაში ავტორის აზრს გამოსატავს, ყველაზე მტკბარე ბერტრან და ბორნი იმიტომ ეჯავრება, რომ „მას ღმერთმა წილად არგუნა“, ისე უფოფილიყო „ველური და უღმრთო სისხარულის გამომზატველი“, ვითარცა „თეთრ ხაშინელი დღემთი მარსა, შიოლი თავისი მრისხანებით“. მაგრამ საყურადღებოა, რომ „თეთრ დონ როდრიგოც იხიბლებოდა ბერტრანის გააფთრებულა ლექსებით“ და, როგორც მეოღნი, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „მათი მძვინვარე ხასიათის მიუხედავად, ბერტრანის საბრძოლო ხიმღერები დიდებული, მომზადობული და გრაციოზულიაო“. სწორედ ამიტომ იყო ბერტრანი მწვიდობის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ყველაზე სამიმი.

ღიას, ბერტრან და ბორნი, ომისა და ნგრევის ნიჭიერი მომღერალი, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა მწვიდობისათვის და რაც უფრო მიმზიდველი, მომზადობული და შთამბოღნებელია მისი ხარვეტები, მით უფრო დამლუპველი იყო მათი ზემოქმედების ძალა. ამ ზემოქმედების ძალით და ბორნისა და დონ მარტინების რასობრივ-რელიგიური ფეანტიზმი და კაცთმოძულეობა ფეხს იკიდებდა და ფრთებს მლიდა არა მარტო რაინდებსა და მალაღობ საზოგადოებაში, ვისაც ისინი ემსახურებოდნენ, არამედ ხალხის უბირ ნაწილშიც, რომლის წარმომადგენელია „მოთაღლითო, მრგვალი, პრილა სახის“ მებაღე ბელარდო, მშინარა, გულმარხიანი, შეწლული და მლიქნელი კაცი. ბელარდოს მართლაც სწამს, რომ რაკელთან კავშირი აღფონისას ჯოჯოხეთის გენიას უზადებს, მაგრამ მას

განსაკუთრებით იმისათვის სძულს ებრაელი ქალი, რომ იგი უშლის ხელს მეფეს დაუყოვნებლივ მიიღოს მონაწილეობა ჯვაროსნულ ომში. სილო ჯვაროსნულ ომს ბელარდო დე ბორნებისა და დონ მარტინების ზეგავლენით მიიჩნევს გამდიდრების, ნეტარებისა და სულის ცხოვნების ერთადერთ მადლიან გზად.

ბელარდოს სულიერი სწრაფვა, მთელი მისი შინაგანი სამყაროს ტაობა ჩანს ალფონსოსთან საუბარში, როცა მეზაღე უყვება მეფეს, თუ როგორ გაემგზავრა პაპამისი ჯვაროსნულ ომში. გულუბრყვილო გამომეტყველებით იგონებს ბელარდო ბიზანტიის იმპერატორის წერილს: „მიუხედავად იმისა, რომ ეს წმიდა ომია, წარმართებს შეიძლება უამრავი ოქრო და ძვირფასეულობა გამოვრჩეთ, ქალებიც ხომ აღმოსავლეთში უფრო მომხიბვლელია, ვიდრე დასავლეთში“. „ცხოვნებულმა ბაბუაჩემმა, — განაგებობს ბელარდო, — დაიკვრა გულზე ჯვარი, საჩქაროდ შეიძინა ნახშირი ტყავის კოლეტი, ტყავისივე ჩაფსუტი... და გაუდგა შორეულ გზას... მაგრამ ვიდრე აღნიშნულ ადგილს მიაღწევდა, სხვებს მოესწროთ ნადავლის დატაცება — ოქროსა და ლამაზ ქალებს კი, რა თქმა უნდა, ბევრი შეეწირა“; და სულელური, ოცნებით გატაცებული სახით დაასვენის: „უბ, კარგი იქნებოდა, რომ ჩვენც გვღირსებოდა მსგავსი ღვთის სამადლო თავშესაქცევი... ხომ არ იქნება ცუდი, რომ ომი დაიწყოთ ამ წყველ მამადიანებთან? თუ გაგვიმართლდა, ხელთ ვიგდებთ ქალებსა და უამრავ ფულს და თუ ბედმა გვიმტყუნა, მაშინ პირდაპირ სამოთხეში ამოვყოფთ თავს“.

ალფონსოს დამარცხების შემდეგ, როცა ოღის მომხრე ფანატიკოსთაგან დარწმუნებული ბრბო ქვეყნის თავზე დამტყდარი უბედურების მიზეზად ებრაელ მინისტრსა და მის ასულს მიიჩნევს და ლეონორისაგან შთაგონებული გუტერიე დე კასტროს მეთაურობით გალიანაში ნეიჭრება, ბელარდო წინ წაუძღვება შურისსაძიებლად მოსულთ. იგი აქვზებს წამიერად შეუყოყნებულ დე კასტროს — „ჩვენი ქალბატონი, დონა რაკელი, ქრისტიანი არ არისო“, ურჯულთა დასოცვის სურვილით ატანილი პირველი აღმართავს ხელს და გაშმაგებული დეკლარაციის რაკელს პაპისეულ ნაქურთხ ალემარდს, მაგრამ ალფონსოსთან შეხვედრისას მსდლი, პირმოთნე, მლოკველი უსინდისოდ ცრუობს და თავს იმართლებს მეფის წინაშე: „ძალიან უბედური ვარ, მეფეო, — ვერ გამოვექომავე ქალბატონს. ბევრი იყენენ, ალბათ ორი ათასზე მეტი და მათი წინამძღოლიც დიდგვაროვანი რაინდი იყო, მე კი მხოლოდ პაპისეული ალემარდა მქონდა“.

ბერტრან დე ბორნის ანტიხალხური ტენდენცია აშკარად ჩანს პროვანსელი ტრუბადურის დამოკიდებულებიდან ფრანგული კლასიკური რაინდული რომანის ფუძემდებლის კრეტინ დე ტრუას შემოქმედებისადმი. ივეინისა და ერეკის, ლანსელოტისა და პერსევალის სახელგანთქმული მებოტბე რაინდულ ფათერაკის მიღმა არ ივიწყებს ადამიანს და, რაც მოაჯარია, „რაინდებისა და ბარონების ბრწყინვალე შარაჯანდემმა“ პოეტ კრეტინ დე ტრუას ვერ დაუბრუნებია სადღაც იქ, ქვევით, შრომისაგან წელში გაწვეტილი ადამიანების წწუსარება.

„ივეინში“ კრეტინ დე ტრუა აღწერს, როგორ შეხვდა რაინდი ივეინი ლარბ ქალწულს, რომლებიც, თავად დახველ-დაკონცილნი, სხვებისათვის მდიდრულ ტანსაცმელს კვრავენ და მოსართავად ოქროსა და აბრეშუმის ძაფებს აწნავენ. შრომისაგან დაქანცულნი, ზომილისაგან და მწუსარებისაგან გაფთობებულნი შესჩივიან ქალწულები ივეინს და ეს ჩივილი მკაცრ ბრალდებად გაისმის საზოგადოების მიმართ, სადაც მრავალთა სიღუბნით ერთეულების სიმდიდრისა და ფუფუნების წყაროა. მართალია, მქსოველ ქალთა ეს ჩივილი მხოლოდ ყრუ პროტესტია უსამართლობის წინააღმდეგ. იგი არ ჰგავს ჰაინეს ფეიქრების მრისხანე მუქარას, მაგრამ კრეტინ დე ტრუას ლარბ ქალწულთა მდგომარეობა და განცდა ჰაინეს ფეიქრების იდენტურია.

სიტყვილიისაგან თავდახრილი, ცრემლიანი ხმით უყვებიან ქალწულები ივეინს:

ჩვენ ვქსოვთ აბრეშუმს, სტაერას და მაქმანს,  
თვით კი, შიშვლებმა, არ ვიცით, რა ვქნათ.

რა შეუძლია ქაშაგირს ჩვენსას:  
ვერც ხორცს გვიყიდის, ვერც ტანსაცმელსა  
და ვინაწილებთ მონაგარს ოფლით,  
ლუკმა პურზეც კი რომ აღარ გვეყოფნის:  
დღილით ცოტას ვკვამთ, ღამითაც მცირეს,  
შიშშილით გავწყვდით და გავიწირეთ.  
ვინაც კვირაში ოც სუს იშოვის,  
მას ქალბატონი ჰგონია თავი,  
ბოლოს რწმუნდება, ვერ მოიშორა  
სიღატაკე და შიშშილი აუი.  
მაგრამ ჩვენს ნაცვლად ხდება მდიდარი  
ჩვენი ნაშრომის ქურდი ვინც არის,  
თვით ნადიმობენ და ჩვენ კი ღამის  
გავწყვდეთ, ოფლსა ვღვრით დღისით და ღამით.  
თუ ჩავიშუხლეთ, დავსუსტდით ისე,  
პატრონის ბანდურს მივიღებთ მყისვე,  
ჭოჭობეთში ვართ, გვიკნებით, ვიღუვეთ  
ჩვენ — საცოდავი ქალიშვილები.

სამეფო კარზე შეკრებილ რაინდებსა და ბანოვანებში კრტიენ დე ტრუას „ივეინი-დან“ წაკითხული ეს ნაწყვეტი აღმფოთებას იწყებს: „როგორ შეძლო ადამიანს, რომელ-ნაც ასე ტკბილად და კეთილშობილურად უმღერა რაინდულ საყვარულს და საგმირო საქმეებს, ამ ზომამდე წაებილწა საკუთარი ბავშვები?“ შათ სრულიად ბუნებრივად მიანინიათ, რომ „ერთნი კერავენ მორთულობებს, მეორენი იცევენ, ერთნი აწრთობენ მახვილებს, მეორენი კვლავენ ამ მახვილებით; ერთნი სასახლეებს აგებენ, მეორენი ცხოვრობენ ამ სასახლეებში — ასეა წესი, ასე განსაჯა ღმერთმა თავისი სიბრძნის წყალობით და თუ ეს არსებანი — *pauvres pucelles* — აღდგებიან ასეთი წესის წინააღმდეგ, მაშინ უჭაღმა დაუფიქრებლად უნდა მოსტეხოს მათ ხელ-ფეხი“.

ასეთია წარჩინებულთა საერთო აზრი და ამ აზრს გამოთქვამს მდამიო ხალხისა და მათი სიმყარლისადმი“ ზიზლით გამსჭვალული ბერტრან დე ბორნი. იგი კრტიენ დე ტრუას ღარიბ ქალწულებს უპირისპირებს სიმღერას ვილენზე, ახალგაზრდა ფილი მოქა-ლაქებსა და გლეხზე:

ჩარჩებისა და ტეტების უხამსი ზროვა,  
ცხოვრების წუმბემ რომ წარმოშვა და დაგროვა,  
გაუმადლარნი, ჩლუნგნი, ბილწი ზნე-ჩვეულების,  
ზიზლსა მგვრიან და გულს შირვეენ ეგ წყეულები.  
როცა ამგვარი უმაქნისი და ბილწი ღორი  
ფულს იგდებს ხელში, ვერ ჩერდება თვის ტოლთა შორის,  
ცხვირს იწეეს მალა, არაფერის არა აქვს შიში,  
მამ, დასცხეთ მაგრა, ამოწყვეტეთ მაგათი ჭიში,  
ეგმეთ, მიბეგვეთ, პერანგებიც შემოახიეთ!

წუწკი ვაჟარი და გაგრია, მებო, იცოდეთ,  
ფეხშიშველა თუ იწანწალებს, ნუ შეიცოდებთ.  
რომ არ მომრავლდეს მათი მოდგმა, გახსოვდეთ მტკიცედ,  
ამიერიდან ეს კანონი ჩვენ დავამტკიცეთ,  
ჩარჩი, შეეახშე და თავხედად ქცეული გლეხი  
გაამათრახეთ, დაუნდობლად გასრისეთ ფეხით,



მათი მუდარა ნუ მოგილობთ გულს თქვენ ადვილად,  
არ დინანოთ და გაწირეთ სასიკვდილოდა.  
ჩააპყარეთ წყალში, ხარობებში მყრალი ღორები,  
ველარ გაბედონ თავხედობა გ-ნმეორებით,  
ველარ შეიძლონ წამოყოფა თავის ამაყად,  
აღკვეთეთ მათი პარპაშობა, ძმებო, ჰკა მაგათ!

და მსმენელებიც აღფრთხილებით უსმენენ მდაბიო ადამიანებისადმი სიძულვილით გამს-  
ჭვალულ, აშკარად ანტიხალხური ტენდენციის მატარებელ ამ სიმღერას.

სწორედ ამ ანტიხალხური ბუნების, ქედმაღლობის, ნგრევისა და სოცია-ფლექტის  
ველური სურვილის გამოა ბრძენი მუსა რომ ამბობს, „რაინდობა და შავი ჭირი ყველაზე  
საშინელი უბედურებაა, რომლითაც ღმერთი სჯის თავის ქმნილებებსო“. ეს თვისებები  
ანათესავენს, ზოგჯერ გარეგნულადვე კი ამსგავსებს სხვა მხრივ, — ასაკით, ხასიათითა და  
შეხედულებით, — ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებს. აი, რაკელის წინა-  
ზე დგას ბრანისაგან გაწითლებული გუტერიე დე კასტრო; მაგრამ რაინდი უცებ ფითრდება  
და ქალხ ეჩვენება, რომ მის წინაშე უკვე განრისხებული ალფონსო დგას: „კი, ეს ალფონ-  
სოს სახე იყო, საშინელი ბრანისაგან დამახინჯებული, მაგრამ ეს ჩვენება მაშინვე გაი-  
ფანტა და რაკელმა დაინახა ის ალფონსო, რომელიც ხარს ებრძოდა, მისი განსხვივის-  
ნე-ლი, მშვენიერი სახე“ ან კიდევ დონ როდრიგო არწმუნებს მეფეს, მუსლიმანების წინა-  
აღმდეგ ამგვარ ომი უგუნურებააო, ალფონსო კი „კადნიერი, დაუოკებელი, რაინდული,  
იღბა მის წინ და როდრიგოს ეჩვენებოდა, რომ მის (ალფონსოს — დ. ლ.) სახიდან გამო-  
იყურებოდა ბერტრანის სახე, რომელიც თავის შმაგ სიმღერებს მღეროდა“.

რა თქმა უნდა, მშვიდობის ბანაკის არც ერთ წარმომადგენელს, არც მუსასა და დონ  
როდრიგოს, არც იუქუდას და ბენიამინს, მეტადრე რაკელს, არაფერი აქვთ საწინააღმდეგო  
იმ კოდექსისა, რომლის მიხედვით „რაინდი უნდა იყოს მამაცი, გულკეთილი და თავაზი-  
ანი, უნდა ჰქონდეს პოეტური ნიჭი, იყოს მჭევრმეტყველო, ფიზიკურად ჯანმრთელი და  
ძლიერი, კარგი ცნობისანი, მოფარკავე და არბალეტის მსროლელი“, ერთი სიტყვით,  
ყოველმხრივი, ქარზონიულად განვითარებული ადამიანი. ბირჩიით, გადიასთან საუბარში რა-  
კელი „აისივით მშვენიერ“ მეფეს იმას უსაყვედურებს, რომ „ალფონსო გმირია, მაგრამ ნამდ-  
ვილი რაინდი მაინც არაა. რაინდული სიკვლევე აკლია. არაა მჭევრმეტყველი და არ ესმის  
პოუზიაო“ და ქრისტინ რაინდებს საერთოდ იმას უწუნებს, რომ გარეგნული პეწისა და  
ბრწყინვალეების მიუხედავად, შინაგანი უხეშობა და სიცალიერე ახასიათებთ და რომ „კურ-  
ტუაზიული წესები ვალდებულს ხდის მათ ხშირად გამოთქვან მალაღფარდოვანი ფრაზები,  
რომლის მიღმა არაფერი იმალება“.

მიუხედავად ყოველივე შემოადინშულისა, მიუხედავად იმისა, რომ იუქუდას თქმით „ამ  
ამპარტავენებს ძარცვა და მკვლელობა მიაჩნიათ დავის გადაწყვეტის ერთადერთ წესიერ  
საშუალებად“, რაც უნდასდ გამოხატავს თავად ფიოტტანგერის დამოკიდებულებას ამ  
ყველაზე საშინელი უბედურებისადმი, რომლითაც ღმერთი სჯის თავის ქმნილებებს“, დი-  
დი რეალისტი ამჩნევს და უჩვენებს კიდევ იმ მხარეებსაც, რომლებიც, ზოგჯერ საღი გო-  
ნების საწინააღმდეგოდ, თავისებური რომანტიკული შარავანდლით მოსაგეს, „მომსიბღლე-  
ლად“ და „მაცდუნებლად“ წარმოგვიდგენს „რაინდთა პიროვნებებს“. ეს რაღაც „მომ-  
სიბღული და მაცდუნებელი“, ნ. კაკაბაძის მართებული შენიშვნისამებრ, „მათი დარდ-  
მანდობა და ჩასპანდობა, მათი სიმამაცე, თავხედვალეებული და ანგარიშმიუცემელი გმი-  
რობა ანდა თვით უკიდურესი განსაცდელის თუ შეპირვების ეაშს ოხუნჯობის უნარის  
შენარჩუნებაა“.

უწინარეს ყოვლისა, ყოველ შემთხვევაში ნაწარმოების დასაწყისში მაინც, ასეთი  
უგონო სიმამაცის, თავხედვალეებული და ანგარიშმიუცემელი გამმედობის მატარებელია

კასტილიის მბრძანებელი, მეფე ალფონსო მერვე, „ესპანური ბალადის“ ერთ-ერთი ყველაზე რთული, მომხიბვლელი და საინტერესო სახე.

რეკონკისტის თალსაჩინო მოღვაწე, ევროპის ისტორიაში „კეთილშობილად“ და „კეთილად“ წოდებული ალფონსო მერვე, ძველი ესპანური ქრონიკების მიხედვით, რჯულმემწეწინარეგული, მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი და პირველი უნივერსიტეტის დამაარსებელი იყო ქრისტიანულ ესპანეთში. ისტორიული ალფონსოს ეს თვისებები „ტოლედოელ ებრაელ ქალში“ არის შენარჩუნებული: მუსლიმანური ესპანეთიდან დევნილი ებრაელები ქრისტიანულ კასტილიაში პოულობენ საიმედო თავმჯავარს, ევროპიდან ლტოლვილი 6000 ებრაელსაც ტოლედის ხელს, მეფის მოძღვრის დონ როდრიგოს აკადემიაში დღისმეტყველებასთან ერთად ბერძნულ და არაბულ სიბრძნესაც სწავლობენ და მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებიან. მაგრამ სტიქია გულფიცხი ახალგაზრდა მეფისა, რომლის „დაუდგროველი ხასიათი ყოველთვის გადმოლასავს გონიერულობის ზღუდეს“, მაინც რაინდული სიქველე და ომია. კასტილიის მბრძანებელი, რომელმაც „თავისი ბავშვობა სამხედრო ბანაკებში გაატარა და თავს ბრძოლის ველზე უფრო თავისუფლად გრძობს, ვიდრე მაგიდასთან, სადაც მოლაპარაკება მიმდინარეობს“, უწინარეს ყოვლისა გაბედული და მამაცი მხედართმთავარია და თუმცა მას, როგორც თვითონ ამბობს, „ღმერთმა ჭკუა უბოძა და თავის ცოლზე და სიმამრზე, ინგლისის მეფეზე, ნაკლებად როდო იცის, რომ დღევანდელ პირობებში სამხედრო სიძლიერე უფრო მუერნეობაზე ზრუნვაა საჭირო“, რომ „ემშაქურ შემოვლით გზას მასვილზე უფრო სანდოდ მიყვავართ მიზნისაკენ“, მაგრამ თავისი წოდებრივ-რაინდული შესუღუღლობის კარნახით იგი მშვიდობიანი ტონით ქვეყნის მუერნეობის აყვავებაზე წინ ომს აყენებს, თავის თავს. „ჯარისკაცად და არა მათემატიკოსად“, „ჯარისკაცად და მხოლოდ ჯარისკაცად“ მიიჩნევს და ესპანელი გრანდების იმ აზრს იზიარებს, რომ „სიმდიდრე შრომით და ოფლით კი არა, მასვილით მოიპოვება“ და-სადი აზრის ყველა საბუთის მიუხედავად, აპირებს დაუყოვნებლივ ჩაებას „წმიდა ომში“.

მაგრამ მეფის ცსოვრებაში მომხდარი ერთი ამბავი რამდენიმე წლით მიიწვ გადაარჩენს კასტილიას ომში ჩაბმისაგან. ალფონსო შესვლება რაკელს — იუპუდა იბნ ეზრას 17 წლის ულამაზეს ასულს, ზედმეტ სახელად ფერმოზას — მშენიერებს რომ უწოდებენ. და თვით ალფონსოს სიტყვებით რომ ვთქვათ, „შვილებზე მეტად, უფრო მეტად, ვიდრე სამეფოს, ქრისტეზე მეტად“, თვით თავის „უკვდავ სულზე მეტადაც“ კი შეიყვარებს ებრაელ ქალს.

ეს სიყვარული არ ყოფილა ანაზღველი, იგი არ მოვარდნილა გაზაფხულის ნიღბარვიით, ერთბაშად რომ აღიდგება, ყველაფერს წალკვეთი ემუქრება და ასევე ერთბაშად დაეცრება. დანაშნისთანავე არ მოდებია სიყვარულის აღმური ალფონსოს გულს და არც რაკელი მოზიბლულა თავდგიწყებამდე კასტილიის მბრძანებლით. პირობით, პირველი მხედრისას ალფონსოს არც კი შეუმჩნევა რაკელი და მხოლოდ ლეონორის ოხოვნით გამოვლამარაკა თავის ასლად დანიშნული მინისტრის ასულს. არც მეორე შემუერისას იყო გარკვეული მეფე თავის გრძნობებში რაკელის მიმართ. კურტუაზიული ზრდილობის კარნახით ესაუბრება იგი რაკელს, მაგრამ არ იცის, როგორ წარმართოს ეს საუბარი. ალფონსო ხვდება, რომ „რაკელი არ ეკუთვნის იმ ქალთა რიცხვს, რომელთაც უყვართ შალღფარდოვანი, თავაზიანი, მაგრამ არაფრის მთქმელი ქათინაურები, და არც იმ ქალთა რიცხვს, რომლებსაც, შავალითად, თავისუფალი ჯარისკაცული დამოკიდებულა მისწონთ“ და ამიტომ მან „არც ის იცის, როგორ დაიჭიროს მასთან თავი, არც ეს — რა უოა ამ ქალისაგან“, და ამაზე ფიქრის დროს გულში „მეტად უხეში სიტყვებით“ იმეორებს ლათინურ ენაზე, — შესაძლებელია, მასთან ლამის გატარება მსურსო“ და ბოლოს გადაწყვეტს, კმარა თავის მოსულებება და ამ ებრაელის გოგონასთან თავაზიანობა, ასლავე მასუდამოდ მივატოვებო. მაგრამ მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, მეფემ გალიანა

აღადგინა, აღმოსავლური გემოვნებით მოწყობილ ახალ სასახლეში მიიწვია, ხასად დაისკა რაკელი და მასთან გატარებულ პირველ დღეებშივე მიხვდა, რასაც ნიშნავს ნამდვილი ტრფობა. ახლა გაიგო ალფონსო მნიშვნელობა ქებათა ქებაში სიყვარულზე ნათქვამი სიტყვებისა: „რამეთუ ძლიერ არს სიყვარული, ვითარცა სიკვდილი... ფიცხი, ვითარცა შური ჯოჯოხეთისა, ფრთე მისა, ფრთე ცეცხლის ალისა, არ ძალუძს წყალსა მრავალსა დასაშრეტად სიყვარულისა, და მდინარე ვერ წარღვნის მას“. დიახ, ეს იყო ტრფობა სიკვდილზე უძლიერესი, თავდავიწყება უნეტარესი „და არ არსებობდა მათთვის არც დრო წარსული, არც მომავალი, იყო მხოლოდ პირსავე აწმყო“. ხდებოდა ისე, რომ ალფონსო და რაკელი ერთმანეთს შორდებოდნენ, მაგრამ უერთმანეთოდ „კი არ ცხოვრობდნენ, მხოლოდ სუნთქავდნენ, უზიზნოდ ცოცხლობდნენ... გალიანას გარემო სიცოცხლე ვერ წარმოუდგინათ, საკუთარ სასაუბრო ენას თხზავდნენ ლათინურისა და არაბულისაგან თავიანთი განსაკუთრებული, ჯერ კიდევ დაუწერელ კანონებით, და სხვა არავითარი ენა მათ არ სჭირდებოდათ, მაგრამ უკეთ მაშინ ესმოდათ ერთმანეთის, როცა სდუმდნენ“. დიახ, კუმშარტ სიყვარულს, ღრმა, გულწრფელ გრძობას დამხმარედ ენა აღარ სჭირდება, რაც მრავალგზის აღნიშნულა მსოფლიო ლიტერატურის ბევრ ძეგლში, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრადა გამოხატული ერის მარია რემარკის „ტრიუმფალური თაღის“ ფინალში, სადაც მომაკვდავი ფოანი და რაკივი ერთმანეთს თავ-თავიანთ მშობლიურ ენაზე ელაპარაკებიან, ისე რომ არც ერთს არ ესმის სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ, როგორც არასდროს, ისე კარგად უკეთვე ერთმანეთს, ამ უკანასკნელ საუბარში.

წრფელია და უანგარო ალფონსოსა და რაკელის ტრფობა, მაგრამ ისინი ვერ იქცნენ ერთსულ და ერთსორც არსებად. რაკელმა ვერ შეძლო თავის სიცოცხლეში საბოლოოდ დაეძლია ალფონსოს წოდებრივი ქედმაღლობა, ველური ენის, დაუოკებელი მისწრაფებამისა და ნგრევისაკენ.

სულით ხორცამდე ალფონსოს სიყვარულით განმსჭვალული რაკელი თითქოსდა ეგუება ნუფის რაინდულ უხეობას და შურეაცხმყოფელად აღარ განიცდის მას, მაგრამ ჩაინც მისთვის ყოველთვის უცხო ხდება ალფონსო, როგორც კი თავის უხე რაინდულ-მეომრულ სულსეკუთებას ამვლავნებს. ასე მაგალითად, დგას ალფონსო ტახოს ნაპირზე მცხუნვარე მზეში რაკელის გვერდით „შიშველი, ლაღი, მხიარული“ და ოცნებობს, როგორ გაითამაშებებს სევილიელ მუსლიმანებზე, დაანგრეს სიმბატრებს, კოსშებს, გაანადგურებს მათ მბრძანებლებს, ხოლო თვით სევილიას დედამიწასთან კავშირებს და მარილს მოაყრის, — „საკუთარი თვალით იხილავ, მშვენიერო ბანოვანო, — მიმართავ იგი რაკელს. — როგორ ჩავყრით შენს მუსლიმანებს ზღვაშიო“, ამ დროს რაკელი უმწვოდ შესცქერის მისთვის უცხოდ ქცეულ ამაყ, ვაჟკაცურ, თითქოსდა ნამდვილად სიყვარულის ღირს თავის მეუფეს და ნაღვლიანად ფიქრობს: „კუმშარტად კასტილიის მბრძანებელადაა დაბადებული, შესაძლოა. არა მარტო კასტილიისა, არამედ ზღვით გარშემორტყმული მთელი ანდალუსის. მაგრამ, რაც ყველაზე ძვირფასია ცასა და დედამიწაზე, მისთვის მიუწვდომელია. უმთავრესი არ ესმის: არაფერი იცის სულის შესახებ“.

თავის მხრივ ალფონსოც იძულებულია შთაავნოს უფრო დემოკრატიულად აღზრდილ და მოაზროვნე რაკელს, რომ ამქვეყნად უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც კანონებს აწესებენ, ესენი არიან მეფეები და ღვთისმსახურნი, დაბალ წოდებას კი არა აქვს უფლება კანონებზე იმსჯელოსო, იგი უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მას. სწორედ იმითაა უკმაყოფილო მეფე, რომ მართალია რაკელი მთელი გულით ეტრფის მას და დიდად აფასებს მის „სიმამაცეს, გულდობასა და მოჭარბებულ ძალას, თუნდაც მანკიერების თანაზიარს“, მაგრამ მაინც „საკუთარსო, რაც მას (ალფონსოს — დ. ლ.) გააჩნია, ეს რაინდობაა, მხოლოდ რაკელს არ ძალუძს ამის გაგება, მას მხოლოდ სიყვარული შეუძლია. ქვეყნად არვის ძალუძს რაკელს აუხსნას და განუმარტოს, რა არის რაინდობა და რა არის მეფე“. დრო-დადრო ალფონსოს ეჩვენება, რომ დაივიწყა თავისი რაინდული და მეფური მოვალეობა.

სიღნისი ქენჯნის, რომ გალიანაში ჩაკეტილი მონაწილეობას არ იღებს „წმიდა ოში“, რითაც ღვთის რისხვას იმსახურებს და ჯოჯოხეთის გვერძას იშვადებს და თუმცა თავს იზიარებდა, რომ „არის ისეთი ნეტარება, რომლის გულისთვისაც ღირს ყოველგვარი დამცირება და ტანჯვა-წამება“, მაგრამ იგი იგონებს არაბულ ლექსებს, რომლებიც რაკელმა ჩისყა წასაკითხად: „ხშირად მესმოდა თავს გადავლილი ისრის ზუზუნი და არ შევმერთაუჯარ, მაგრამ, როცა კახის შრალი მესმის, ვთრთი და ვვანალებ. ხშირად მსმენია პეტრეაზე გადმოსული მტრის საყვირის ხმა, გულგრილი შეგვედრევიარ მას, მაგრამ, როცა მისი ხმა მესმის, ცუცსლი მუდგება“, და იძულებულია თავისთვის გამოუტყდეს, რომ „ეს ნახი, მონური მოჩრილების ლექსი ჭეშმარიტებას აღიარებს“ და გოლესტიკვილით შენიშნავს: „რაინდს არა აქვს უფლება, იყოს ასე მონურად მორჩილი“.

ალფონსო შინაგანად განუწყვეტლივ ებრძვის რაკელისადმი გრძობას, რომელსაც რელიგიური ცრურწმენის გაუღენით ზოგჯერ თავადაც „ცოდვილიანად“ თვლის, და ქედმაღალ სასულიერო და საერო რაინდთაგან შეგონებულ მოვალეობას, და ამ შინაგან ბრძოლაში არა ერთთვის გადაუწყვეტია მეფეს მიეტოვებინა გალიანა, სამუდამოდ მოშორებოდა რაკელს და „წმიდა ოში“ მონაწილეობით განმანიღოყო ებრაელ ქალთან უკანონო კავშირით დაბმბებული ცოდვებისაგან. მაგრამ, ხანმოკლე განშორების შემდეგ, ალფონსო კვლავ უბრუნდებოდა ხოლმე თავის ხატფოს და ყოველი ასეთი განშორების შედეგად იგი კიდევ უფრო მეტად გრძობდა, რას ნიშნავდა მოსთვის რაკელის. მეფე სულ უფრო ეუბებოდა და ებებოდა გალიანაში ცხოვრებას, რწმუნდებოდა, რომ „ღვთის განსაკუთრებული წყალობით სარგებლობდა“, რომ „ცოდვილიანი“ ტრფობის გამო ღმერთი არ გაწირავდა, და უკვე ყოველგვარი რიდის გარეშე ეწეოდა სახელმწიფო საქმიანობას ვნების სასახლეში. მეფის ასეთი მოქმედება ამძვინარებდა მტრულად განწყობილ გრანდებს და პრელატებს, თუმცა კასტილიის მბრძანებელს ვერაგინ უბედავდა ამჟარად გაიცესკას, ე.გრამ „ყველგან მოისმოდა ბოროტი ჩურჩული“. დიდგვაროვანთა ამ „ბოროტ ჩურჩულს“ მდამიო ხალხის ნაწილიც აჰყა, მაგრამ „უფრო დიდ ნაწილს არ უკვირდა, რომ მეფემ სატრფოდ სწორედ ასეთი არაბეულებრივად ლამაზი ქალი აირჩია და ხანდახან კიდევ უწონებდნენ გადაწყვეტილებას. „მუთუნახავო!“ — შესძახოდნენ ხოლმე ისინი რაკელს და უხაროდით, როცა მას შესცქეროდნენ; „სხვანაირად არ უწოდებდნენ თუ არა ფერმოსას — მშვენიერს, და თანაგრძობით სავსე, ალტაკებულ რომანსებს მღეროდნენ რაკელისა და მეფის სიყვარულის შესახებ“.

კასტილიის დიდებულთა განსაკუთრებული რისხვა გამოიწვია ებრაელი ქალის ფეხმძიმობამ. ისინი შიშობდნენ, რომ ეს მეფეს ხელს შეეშლის ოში ჩაებას. ხალხი კი სისარულით შეხვდა ამ ამბავს, ღვთის წყალობად მიიჩნია რაკელის ფეხმძიმობა სწორედ იმიტომ, რომ „იძულებული აღარ იქნებოდა დაანგრიონ თავიანთი მშვილობიანი ცხოვრება და ამიტომაც „მეფის ხასით ემყოფილი“ კასტილიელებზე, რომლებიც „თანაუგრძობდნენ მეფე-რაინდისა და ფერმოსას ღვთის მიერ ნაკურთხ სიყვარულს“, გავლენას ვერ ახდენდა წარჩინებულთა მიერ ასლად შეთხზული და გაერცვლებული ჭორები. პირიქით, „არქივებისკოპოსის რინზე, რაკელს მეტსახელად „ემშაყის მოციქული“ რომ შუარქვა, მას ძველებურად ფერმოსას უწოდებდნენ“.

მაგრამ იმავე წარჩინებულთა ზეგავლენით, ლეონორისა და დონ მარტინის მეცადინეობით გონივრულ, ქვეყნის საკეთილდღეო აზრს დათრგუნავეს ქედმაღლური, პატივმოყვარობაზე დამყარებული შეხედულებანი; უხეში რაინდული საწყისი გაიმარჯვებს ღრმად აღმიანურ გრძობაზე, ალფონსო დაარღვევს სველიასთან დადებულ ზავს და ოში ისე წავა, რომ რაკელს არც კი დაემეობოდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ოში ალფონსო სასტიკად დამარცხდება, ხოლო მშვილობის მომხრეთა ბანაკის, კერძოდ, დონ როდრიგოს ცდა, იხსნას დონა რაკელი და

იქუდა იზნ ეზრა ომის მომხრეთა შურისმაძიებლობისგან, ამაოდ ჩაივლის: მათ შეუზრ-  
ლებლად დახოცავენ.

მეტად ტრაგიკული და ამავე დროს უაღრესად ლირიკული, ამაღლებელი და გულში  
ჩამწვდომია რაკელისა და იქუდას სიცოცხლის უკანასკნელი წუთები: იქუდამ იცის, რომ  
დადგა მისი აღსასრულის დღე და რაკელიც ხედება, რომ იქუდასთან ერთად მასაც  
მიუსაბიბენ სიცოცხლეს, მაგრამ მამა-შვილი არც გულს მიუშვერენ და პათეტიკური სიტყვე-  
ბით მიმართავენ მათ წინ მდგომ მკვლელებს, არც მუხლებში ჩავევადებიან მუდართი,  
რომ სიცოცხლე შეუნარჩუნონ. ისინი შიშით შეპყრობილნი დგანან და ელიან სიკვდილს,  
ვლიან და ფიქრობენ: იქუდა თავისი ცხოვრების განვლილ გზაზე, რაკელი კი იმაზეც,  
რომ სიკვდილის წინ ღირსეულად ეციროს თავი, არ შეარცხვიროს თავისი სატრფო — მეფე  
ალფონსო.

ფოიხტვანგერი ამ ტრაგიკული სიტუაციის აღწერისას ლირიკულ ინტონაციას იმით  
აღრმავებს, რომ თბრობა მესამე პირიდან მოულოდნელად გადაჰყავს მეორე პირში. ეს  
ხერხი აქვს მას გამოყენებული რაკელის განცდების გადმოსაცემად, როცა ალფონსოსგან  
შუკრაცხყოფილი ქალი მამასთან დაბრუნდება რამდენიმე ხნით. ფოიხტვანგერი რაკელის  
შინაგან ტკივილთან ერთად იქუდას სასოწარკვეთილებასაც აღწერს იმის გამო, რომ  
იზნ ეზრას ჯერ კიდევ ვერ მიუღია ნებართვა ექვსი ათასი ლტოლვილი ფრანკი ებრაელის  
ტოლდროში შემოშვებაზე და განაგრძობს: „ახეთ მდგომარეობაში იყო იქუდა იზნ ეზრა.  
შენ კი რა მოგდის, რაკელი? დაპირილებ გაფითრებული, მდუმარე და ამაოდ ელოდები  
მისგან (ალფონსოსაგან — დ. ლ.) ცნობას. კარგად ხედავ მაშის ღალატებულ, შემოფთებულ  
შემოხედვას, მაგრამ ის არ გათბობს და არც გამშვიდებს. შენ გესმის შენი ვადიას ცრემლი-  
ანი გოდება — ამაოდ, მისმა ავგაროზმა „ფატიმას ხელმა“ ვერ გიშველა, მისი შფონება  
და მუდარა არ გვეარება. მესხიერებაში კვლავ აღადგენ ალფონსოს სახეს, წარმოსადგო-  
ბას, თუ როგორი იყო იგი იმ სანეტარო აგზნებულ წუთებში, როცა სხუელი და სული  
ერთმანეთს ერწყმის“.

ამავე ხერხს მიმართავს მწერალი აქაც. „რაკელი ნულა ადგა, რაღაც ბავშვური და  
ამავე დროს დიადი მოძრაობით.

მაგრამ იგი ადგა არა გამშაგებული რაინდის (გუტერიე დე დასტიროს — დ. ლ.)  
წინაშე, არამედ სიკვდილის წინაშე.

აი, დგასარ შენ, დონა რაკელ იზნ ეზრა მშენიერი — ფერმოზა, ეშმაკის მოციქული,  
ალფონსო კასტილიელის ხასა: დავითის მოდგმა და იმანუელის დედა. შენ მომხილავ  
სახეს წინანდელზე უფრო მეტად აზის სიბრძნის ბეჭედი და თუ მასზე შიშისაგან ფერი  
გაქრთა, ეს მიანიც არ ჩანს შენი შავგვრემანობის გამო. შენი ჩვეულებრივზე უფრო გა-  
ფართოებული მონაცრისფრო-ცისფერი თვალები შორს იტყობიან, ვინ იცის, იქნებ  
საშინელ სიცალიერეს ხედავენ ისინი, ან იქნებ, ნათელ, ამაღლებულ, სასურველ მომა-  
ვალს“.

იქუდას და რაკელის ფიზიკური მოსპობა სრულიადაც არ ნიშნავდა მათი იდეების და-  
მარცხებას. პირიქით, ეს იყო მსხვერპლი, რომელმაც მრავალს აუხილა თვალი და მათ  
შორის, უწინარეს ყოვლისა, ალფონსოს. ის, რასაც ვერ მიაღწია რაკელმა სიცოცხლეში,  
რაც ვერ გააკეთა „ვერც უბედურებამ და ღალატმა, ვერც სასტიკმა დამარცხებამ“,  
აღსრულდა ამ მსხვერპლის შემდეგ და მის შედეგად. კასტილიის მეფე, რომელიც „სიამა-  
ყით სიმართლეს ეკამათებოდა“, ამ მსხვერპლის შემდეგ მიხვდა, რომ არც სსამყაროს  
ცენტრი იყო და არც „მთელი კასტილია“, რომ მხოლოდ ერთ-ერთი იყო „კასტი-  
ლიის მრავლათასიან მცხოვრებთა შორის“. მხოლოდ ამ მსხვერპლის შემდეგ გაუღო

გული მან რაკელის სიმართლეს, „ახლა მიხვდა იმას, რასაც რაკელი ამოდ უხსნიდა: მიხვდა რა არის მოვალეობა, რა არის დანაშაული. მის ხელში იყო ძალაუფლება და ბოროტად გამოიყენა. იგი ბავშვით, უღმერთოდ, უდარდელად თამაშობდა ძალაუფლებით“.

სწორედ ამ მსხვერპლის შემდეგ დააფასა მეფე ალფონსომ იქედან ღვაწლიც. მორჩილად ისმენს იგი ალჰამის თავკაცის — ეფრაიმის ჩაგონებას: „ღონ იქუდამ ბევრო იშრომა შენ სასარგებლოდ. მან დაამყარა საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ქვეყანას თავდატყენილი უბედურების შემდეგაც გრძელდება. იქუდამ მთელ მსოფლიოს დაანახა, რა სიმდიდრე იმალება კასტილიაში. მან განამტკიცა მენი კრედიტი. მაგრამ იქუდამს მიერ მოგვარებით საქმიანობით რომ ისარგებლო, მის მიერ დასახული გვემით უნდა იხლმდევანელი, იგი მშვიდობიანობისათვის შრომობდა“. და სინანულით აღსაყვ მეფე, რომელიც „ყოველთვის ვერ იჩინდა თავის მიცვალებულ ესკრივანოსადმი იხეთ მადლიერებას, რისი ღირსიც იყო“, მოწინეებით და დაქინებით სთხოვს ეფრაიმს, დიკაიოს იქუდამს ადგილი, „იაროს მის მიერ დასახული გვემით“.

მიუხედავად ღონ მარტინის ანდერძისა, ალფონსო სწორედ ამ მსხვერპლის შემდეგ ნიშნავს ესპანეთის პრიმასად ანუ სამეფოში მეორე კაცად მშვიდობის ერთ-ერთ ქომავს — ღონ როდრიგოს, რომელიც „ვალდებული იქნება თქვას თავისი საფუძვლიანი სიტყვა. როცა საქმე თმს არ მშვიდობას შეეება“.

დიას, ამ მსხვერპლის შედეგად დაუთმო ადგილი ქედმაღლურმა, უხემ-რანდელუმამ წმინდა ადამიანურ, მაღალ-ქუმანურ გრძნობებს. უგონო, მშავი მოქმედება, უსაგნო-რომანტიული ძიების სურვილი შევკალა გონიერულმა, დინჯმა, ნათელმა მიხნებმა. „მან უარი თქვა დაუფიქრებელ რაინდულ გმირობაზე, დაშორდა ბერტრანს, გამოემშვიდობა თავის წარსულს, თავის სიყრმეს, იგი არ ნანობდა, მაგრამ თითქოს ფიზიკურად გრძნობდა შინაგან სიცილიერეს“.

„გზა, რომელსაც იგი ახლა დაადგა, არ უხმობდა საიდუმლო ბილიისაკენ გადასაბეგვად, არ მიდიოდა ცისფერ ბურუსში მოციმციმე შორეთისაკენ; ფინიელი და პირდაპირაურყვად მიემართებოდა პატიოსანი და ნათელი მიზნისაკენ. მაგრამ რაც ალფონსო ამ გზას დაადგა, ბოლომდე გაივლის მას. თვითონვე დაიბორჩაყვს თავს; მისთვის სასიამოვნო გმირული თავგადასავლების გამო საფრთხეში არ ჩაადგებს მწარე მშვიდობას, რომელიც იტვირთა“.

სევდისმომგველი ლირიკული ტონითაა დაწერილი „ესპანური ბალადის“ ფინალი, სადაც მოთხრობილია იქუდასა და რაკელის ცხედრების გალიანიდან გადასვენება, რათა მეფის სურვილით — მათი „წესით“ და „მათებური პატივით“ დაესაფლავებინათ, ვისთანაც „უკანასკნელ წუთამდე სულიერად დარჩნენ“ ისინი. ნაღვლიანი გრძნობა იპყრობს მკითხველს ოდესღაც დაუოკებელი, ვალი, მხიარული კასტილიის მბრძანებლის მიმართ, რომელიც სამეფო ციხე-კოშკის ყველაზე ზემო ფანჯარიდან თვალს ადევნებს საზღვლოვანო პროცესიან და ფიქრობს: „მე არც კი ვწუხვარ. დავმშვიდდი. ახლა ჩემთვის უცხოა ბობოქარი ვებმანი. უკეთესი მეფე გავხდი: უნდა მიხაროდეს, მაგრამ არ მიხარია“.

„კიდევ მოვესწრები ჩემ ძღვევამოსილ ლაშქრობას და ამას აღვასრულებ მაშინ, როცა გაერთიანებული ესპანეთის სათავეში ვიქნები. მაგრამ მაშინაც კი, როცა გამარჯვებას მოვიპოვებ, დიდი სიხარულის ნაცვლად, მხოლოდ იმას ვიგრძნობ, რომ, როგორც იქნა, მოვიხადე ვალი; უკიდურეს შემთხვევაში შევბას ვიგრძნობ და არა ბედნიერებას. ყველა ბედნიერება, რაც ჩემთვის იყო განკუთვნილი, განუღლია. მე ვვლობდი მას, მყერდში მყავდა ჩაერული, ისიც ჩემკენ მოილტვოდა უნაზენი და დამათრობლად სანეტარო, მაგრამ ჩემი უგუნურების გამო ხელი ვყარი. ახლა კი იქ, ქვემოთ, ჩემ თვალწინ მიაქვთ ის ბედნიერება, რომელიც ჩემთვის იყო მონიჭებული“.

მაგრამ მიხატურესო ისაა, რომ სწორედ ეს ნაღვლიანი, სევდისმომგველი ფიქრები

მეფისა, მის მიერ წარსულში დაშვებული, პიროვნულ ასპექტში გამოუსწორებელი შეცდომების შეგნება, ღრმა ოპტიმისტური სულიკვეთებით განმსჭვალავს. „ესპანური ბალადის“ მკითხველს სჯერა წამებული ტრფობით განწმენდილი და ამაღლებული ალფონსოსი, რომელმაც გაიზიარა „სიმართლე რაკელისა“ და სწამს, რომ კასტილიის „მოქცევიანებულ“ მეფე „მისთვის სასიამოვნო გმირული თავგადასაყლებს გამო საფრთხეში აღარ ჩაადგებს მწარე მშვიდობას“.

ფოიხტვანგერს მართებულად უსაყვედურებენ, რომ ისტორიაში ხალხის როლის ასახვის მხრივ „ესპანური ბალადა“ უკან გადადგმული ნაბიჯია მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში დაწერილ ისეთ ნაწარმოებებთან შედარებით, როგორცაა „მელიები ვენახში“, განსაკუთრებით კი „სიბრძნე სისულელისა“, ანუ „სიკვდილი და გარდასახვა ტან უკ რუსისი“, სადაც არა ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები, არამედ ხალხია გამოყვანილი ისტორიის აქტიურ, კემმარიტ შემოქმედ ძალად.

მართალია, ავტორი „ესპანური ბალადის“ ზემოთ დასახელებულ ბოლოსიტყვაში დაბეჯითებით ლაპარაკობს ისტორიაში ხალხის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე, მაგრამ თავად რომანში, როგორც უკვე აღუნიშნავთ, ხალხი მართლაც მხოლოდ იმ როლს ასრულებს, რასაც ქორთ ბერძნულ ტრაგედიაში. სახელდობრ, იგი მხოლოდ უბრალო მოწმედ, სხვათა ნააზრების გქოდ და გადამწყვეტილების შემსრულებლად, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ შეხედულებათა პასიურ გამოხმატელებად არის გამოყვანილი.

მაგრამ, სამაგიეროდ, არც მთლად მართებულად უსაყვედურებენ ფოიხტვანგერს იმას, თითქოს „რუსოსა“ და „გოიას“ ავტორი „ესპანურ ბალადაში“ მთლიანად უბრუნდებოდეს ისტორიის ფილოსოფიის თავის ძველ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ისტორიული პროგრესი ფიქციაა მხოლოდ და ხალხი ბრმა იარაღი მუდმივად განწმენადი ისტორიული პროცესისა. ნაღვლოდ „ესპანურ ბალადაშიც“ აშკარად ჩანს ის ღრმა რწმენა პროგრესისა, რომელიც ფოიხტვანგერმა თავისი ძველი კონცეფციის ნაწილობრივი დამლევის გზით ომისშემდგომ პერიოდში შეიმუშავა. მისალმებაში ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავისადმი ფოიხტვანგერი წერდა: „ადამიანის მიმართ იმედგაცრუებული ზოგიერთი მოაზროვნე ისტორიას წარმოადგენს რაღაც უბედურებათა და დანაშაულთა გროვად. მით უფრო ღრმა სიხარულს განიცდის კაცობრიობის თვითეული მეგობარი, თუკი მოესწრება მოვლენებს, რომლებიც უცილობლად მოწმობენ, რომ „პროგრესის“ ცნება არაა ცარიელი სიტყვა“, და კაცობრიობის წრფელმა მეგობარმა — ფოიხტვანგერმა — „ესპანურ ბალადაშიც“ ასახა ის მოვლენები, რომლებმაც „სიხარული უნდა განაცდევინოს კაცობრიობის ყველა მეგობარს“. ესაა უწინარეს ყოვლისა მაღალ-ჭუმანური იდეების გამარჯვება კაცთმოძულეობაზე, მშვიდობისა და ერთა თანაარსებობის იდეის ზეიმი უაზრო და უმიზნო ომზე. ესაა ის, რომ ქედმაღალმა მეფე-რაინდმა შეიგნო „სიმართლე რაკელისა“.

თუმცა „ესპანურ ბალადაზე“ შეიძლება არ ითქვას ის, რაც ფოიხტვანგერმა თავად აღნიშნა თავის რომანზე „მელიები ვენახში“: „რომანის გმირია არა ბენიამინ ფრანკლინი და არა ბოზარშე, არა მეფე ან ვოლტერი, არამედ პროგრესი“; მაგრამ „ესპანური ბალადა“ თავიდან ბოლომდე გამსჭვალული იმ რწმენით, რომ „მართალია, ნამცეცი მშვიდობისა, რომელიც ეფრაიმმა ჩამოიტანა, ნამცეცი გონიერებისა, რომელიც მეფეს ჩაესახა, მხოლოდ პატარა ნაპერწკალია უკუნეთ სიბნელეში“, მაგრამ მთავარი ისაა, რომ „ეს ახალი სინათლის ნაპერწკალი ანათებს“ და „თავისი სხივით განდევნის ბნელს“.

სწორედ ეს რწმენა „სინათლის ნაპერწკალით“ „ბნელის განდევნისა“ განსაზღვრავს „ესპანური ბალადის“ ოპტიმისტურ სულიკვეთებას, ნერგავს კაცობრიობის ბედნიერი მომავლის იმედს და წარმოადგენს ნაწარმოების კემმარიტ, პროგრესულ დედააზრს.

## შინაარსი

### ნაწილი პირველი

თავი პირველი . . . . .	9
თავი მეორე . . . . .	34
თავი მესამე . . . . .	61
თავი მეოთხე . . . . .	78
თავი მეხუთე . . . . .	95
თავი შექვესე . . . . .	116
თავი შეშვიდე . . . . .	131

### ნაწილი მეორე

თავი პირველი . . . . .	161
თავი მეორე . . . . .	176
თავი მესამე . . . . .	200
თავი მეოთხე . . . . .	228
თავი მეხუთე . . . . .	248
თავი შექვესე . . . . .	269

### ნაწილი მესამე

თავი პირველი . . . . .	293
თავი მეორე . . . . .	315
თავი მესამე . . . . .	333
თავი მეოთხე . . . . .	358
თავი მეხუთე . . . . .	377
თავი შექვესე . . . . .	404
თავი შეშვიდე . . . . .	428

ლიონ ფოიხტვანგერის „ესპანური ბალადა“ (ლ. ლაშქარაძისა) 460



Лион Фейхтвангер  
Испанская баллада  
*Роман*  
(На грузинском языке)  
«Сабчота СакартVELO»  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5  
1967

რედაქტორი ც. ჭაფარიძე  
შხატვარი ნ. იანქოშვილი  
შხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელიძე  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე  
კორექტორი ო. ცინცაძე

გადაეცა წარმოებას 28/VI-66 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II-67 წ.  
ქაღალდის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ნაბეჭდი  
თაბახი 30,25. სააღრ.-საგომომც. თაბახი 27,03  
ტირაჟი 25 000. შეკვ. № 1082.  
ფასი 1 მან. 50 კაპ.

„საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.  
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50

